

ქართული კულტურის
ეთნოლინგვისტური
ენციკლოპედია

(ძირითადი მახასიათებლები)



სსიპ ჩერქეზული (ადიგური) კულტურის ცენტრი
LEPL Circassian (Adygian) Cultural Center



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation

პროექტი – «ქართული კულტურის ეთნოლინგვისტური ენციკლოპედია» – განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The Project – «Ethno-linguistic encyclopedia of the Georgian culture» – has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation. All the ideas expressed herewith are those of the author, and may not represent the opinion of the Foundation itself.

შემდგენლები ნუგზარ ანთელავა,
მანანა ბუკია,
ირმა კვაშილავა,
მერაბ ჩუხუა

Compilers **Nugzar Antelava,**
Manana Bukia,
Irma Kvashilava,
Merab Chukhua

ISBN 978-9941-503-98-6

წინასიტყვაობა

ეთნოლინგვისტიკა ენათმეცნიერების ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც სწავლობს ენას კულტურასთან მის მიმართებაში, ენობრივი, ეთნოკულტურული და ეთნოფსიქოლოგიური ფაქტორების ურთიერთქმედებებს ენის ფუნქციონირებასა და ევოლუციაში. ფართო გაგებით, ეთნოლინგვისტიკა განიხილება, როგორც კომპლექსური დისციპლინა, რომელიც იკვლევს კულტურის, ხალხური ფსიქოლოგიისა და მითოლოგიის შინა-არსს მათი ფორმალური მახასიათებლებისგან (სიტყვა, საგანი, წეს-ჩვეულება, რიტუალი და ...) დამოუკიდებლად. განსხვავებით რომანულ ქვეყნებში (საფრანგეთი, იტალია, რუმინეთი) მიღებული, ლინგვისტურ გეოგრაფიასთან შერწყმული, ძველი ეთნოლინგვისტური ტრადიციისაგან და ამერიკული ეთნოლინგვისტიკისაგან (ამჟამინდელი ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა), რომელიც ინდიელთა კულტურისა და ენის შესწავლის ტრადიციას უკავშირდება (ვ. ბოასი, ე. სეპირი და სხვ.), თანამედროვე ეთნოლინგვისტიკა, დაფუძნებული ვ. ჰუმბოლტისა და სხვათა იდეებზე, ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის/ეთნოლოგიის, ფოლკლორისტიკის, მითოლოგიის ზღვარზე ჩამოყალიბდა, როგორც კომპლექსური დისციპლინა. მისი შესწავლის ობიექტია არა მარტო ენა, არამედ მთელი ხალხური კულტურა, მისი სახეები, ჟანრები და ფორმები: ვერბალური (ლექსიკა, ფრაზეოლოგია, ჰარემიოლოგია, ფოლკლორული ტექსტები), აქციონალური (წეს-ჩვეულებები), მენტალური (რწმენა-წარმოდგენები) და სხვ. ეთნოლინგვისტიკის საგანს წარმოადგენს კულტურის შინაარსობრივი სივრცე, მისი სემანტიკური (სიმბოლური) ენა, მისი კატეგორიები და მექანიზმები, მიზანს კი - ტრადიციული (არქაული, ქრისტიანობამდელი, თავის საფუძვლებში კოსმოლოგიური პერიოდის) მსოფლხატის, მსოფლმხეველობის, ფასეულობათა სისტემის სემანტიკური რეკონსტრუქცია. რამდენადაც ფასეულობითი სისტემა ყალიბდება კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეში, რომელშიც ეთნოსს უხდება ცხოვრება და საქმიანობა და რომლის პირობებშიც ხორციელდება სიცოცხლის უზრუნველყოფის კულტურის ფორმირება, ბუნებრივია, ეთნოლინგვისტიკის ყურადღების მიღმა არც მატერიალური კულტურა რჩება და არც ხალხური სამეურნეო ჩვევები.

უწოდებენ რა თავიანთ მიდგომას ეთნოლინგვისტურს, დარგის სპეციალისტები სავსებით გარკვეულ აზრს დებენ ტერმინ „ეთნოლინგვისტიკის“ შემადგენელ სიტყვებში. ტერმინის პირველი ნაწილი (ეთნო-) ნიშნავს ტრადიციული კულტურის შესწავლას მის ეთნიკურ, რეგიონულ და „დიალექტურ“ ფორმებში, რომელთა საფუძველზე რეკონსტრუირდება კულტურის არქაული მდგომარეობა; ტერმინის მეორე სეგმენტი (ლინგვისტიკა) მიუთითებს, რომ ტრადიციული კულტურის კვლევის ძირითად წყაროს ენა წარმოადგენს.

თუ მხედველობაში მივიღებთ ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების პრობლემას და ენობრივი მონაცემებით კულტურის შინაარსის რეკონსტრუირების შესაძლებლობას, ეთნოლინგვისტიკის სახელოვან პატრიარქებად წარმოდგებიან ვ. ჰუმბოლტი, ა. პოტენბია, ე. სეფირი, ბ. უორფი და „ანთროპოლოგიური ლინგვისტიკის“ რიგი წარმომადგენელები, რომელთა ნაშრომებში შესწავლის ობიექტია ენა, ე.ი. ის, რაც შეესაბამება ეთნოლინგვისტიკის „ვიწრო“ გაგებას (იგივე ვითარებაა ქართველი მეცნიერების ნაშრომებთან მიმართებაში). მაგრამ თუკი ფართო გაგებაზე ვიტყვი, ეთნოლინგვისტიკასთან განსაკუთრებით ახლოს დგას საყოველთაოდ აღიარებული რუსი მეცნიერების - ვ. ივანოვისა და ვ. ტოპოროვის კვლევები, რომლებშიც, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით, მოცემულია არამარტო უძველესი ინდოევროპული ენობრივი ელემენტებისა და სტრუქტურების, არამედ ინდოევროპული ეთნოკულტურული

სიძველეების რეკონსტრუირების ცდა. მაგრამ სემიოტიკური სკოლის ამ წარმომადგენლების კვლევები უფრო „ეტიმოლოგიური“, ვიდრე წმინდა ეთნოლინგვისტური. ეთნოლინგვისტიკა აყენებს და წყვეტს ენისა და ეთნოსის, ენისა და კულტურის, ენისა და ხალხური მენტალიტეტის, ენისა და მითოლოგიის და ა.შ. პრობლემებს. მისთვის არსებითია არა მხოლოდ და არა იმდენად ხალხური კულტურის, ფსიქოლოგიის, მითოლოგიური წარმოდგენების ასახვა ენაში, რამდენადაც ენის კონსტრუქციული როლი და მისი ზემოქმედება ხალხურ კულტურაზე, ხალხურ ფსიქოლოგიაზე, ხალხურ შემოქმედებაზე. ენის ეს აქტიური თვისება ჯერ კიდევ ი. ჰერდერს, მოგვიანებით კი ვ. ჰუმბოლტსა და მის მიმდევრებს ჰქონდათ შენიშნული. ენისა და კულტურის კორელაციური კავშირი მრავალმხრივი და მდგრადია. ენა შეიძლება, გავიზაროთ, როგორც კულტურის იარაღი, უფრო მეტიც, როგორც მისი ერთ-ერთი ჰიპოსტასი (განსაკუთრებით ლიტერატურული ენა, საკრალური ენა, ან ფოლკლორის ენა). მეორე მხრივ, ენა და კულტურა შეიძლება განვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელი, ავტონომიური სემიოტიკური სისტემები, მრავალი მიმართულებით სტრუქტურულად იზომორფულნი და ურთიერთგამომხატველნი. მიუხედავად არსობრივი ერთობისა, ეთნოლინგვისტიკას შეუძლია, გამოყოს რიგი ენობრივ-კულტურული მოვლენები, სტრუქტურული კონსტანტები და კონცეპტები, რომელთა მანიფესტირება ენასა და კულტურაში განსხვავებულია. სწორედ ამით არის გამორჩეული ეთნოლინგვისტიკა სხვა ჰუმანიტარული დისციპლინებისაგან.

მართალია, ქართული ეთნიკური კულტურის შესწავლა XIX საუკუნის II ნახევარში დაიწყო და მოგვიანებით გ. ჩიტაიას მიერ შექმნილმა ეთნოლოგიურმა სკოლამ მნიშვნელოვნად განავითარა ცოდნის ამ დარგის მიღწევები, მაგრამ პრობლემის კვლევა ეთნოლოგიური მეცნიერების ჩარჩოებს არ გაცდენია, ისევე როგორც ქართული ენათმეცნიერების უდავოდ დიდი წარმატებები ძირითადად ლინგვისტიკის ფარგლებში ვლინდება და ეთნოკულტურასთან მისი შეხება უკეთეს შემთხვევაში ცალკეული ნომინების ეტიმოლოგიზირებით განისაზღვრება. შეიძლება ითქვას, რომ ენობრივი მონაცემების საფუძველზე ტრადიციული კულტურის სტრუქტურების კვლევა, მათი სემანტიკური ველის რეკონსტრუქცია, ფაქტიურად, არ წარმოებს. სამწუხაროდ, რიგი გამონაკლისის გარდა, ვერც ჩვენ მოვასურხეთ წარმოდგენილი ნაშრომი მთლიანად ეთნოლინგვისტურ ანალიზზე დაფუძნებულ გამოკვლევად გვექცია, რასაც არცთუ უმნიშვნელო მიზეზი გააჩნია. ვინაიდან 2020-2021 წლებში მიმდინარე პანდემიის პირობებში ქვეყნის ცენტრალური ბიბლიოთეკები და სხვა დაწესებულებები, სადაც უნდა გვემუშავა სათანადო მასალების მოსაკვლევად, უმეტესწილად დაკეტილი იყო, პროექტის განხორციელებას სერიოზული საფრთხე შეექმნა. ამას დაემატა პროექტში დასაქმებული ძირითადი სამეცნიერო პერსონალის კოვიდ-19 ვირუსით დაავადება, რამაც, მკურნალობის გარდა, საკმაოდ ხანგრძლივი სარეაბილიტაციო დრო მოითხოვა.

შექმნილ ვითარებაში წიგნზე მომუშავე ჯგუფის ძირითადი ამოცანა გახდა პირველადი წარმოების (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მონადირეობა, მეფუტკრეობა, ხელოსნობა და შინამრეწველობა), სიცოცხლის უზრუნველყოფის (საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, ავეჯი, კოსტუმი, კვების სისტემა), სოციალური (ოჯახი და საოჯახო წეს-ჩვეულებები) და ჰუმანიტარული (ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, დღესასწაულები, ზეპირსიტყვიერება, მითოლოგია, ხალხური რწმენა-წარმოდგენები) კულტურების მხოლოდ ძირითადი მახასიათებლების აღწერა. ავტორთა ჯგუფის დიდი სურვილია კვლევა გააგრძელოს და ნაშრომს ქვეყნის ეთნოლინგვისტური ხასიათი მისცეს.



აბა (ინეგ.) - უხეში მსხვილი შალის ძაფი.

ლიტ.: შ. ფუტკარაძე. ჩვენებურების ქართული. წიგნი პირველი. ბათ., 1993.

აბაზურაი სამა (ინეგ.) - აფხაზური ცეკვა.

ლიტ.: შ. ფუტკარაძე. ჩვენებურების ქართული. წიგნი პირველი. ბათ., 1993.

აბარება, ქემუსად აყვანა / მოჭრით აყვანა (ზ. აჭარ.) - მწყემსისთვის, მემთევრისთვის (იხ.) სხვისი საქონლის მიბარება გასამრავლებლად (ქართლ.), მოსაწველად და ზაფხულობით მოსავლელად.

ლიტ.: ლ. ლეონიძე. მესაქონლეობის ლექსიკონი. თბ., 1925; ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი. აჭარა. პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ნ. მგელაძე. ბათუმი, 2018.

აბგა - პატარა ნივთების ჩასალაგებელი, მხარიღლივ გადასაკიდი ჩანთა ხურჯინის ტიპისა (შალის, აბრეშუმის, ტილოს ან ტყავის). აბგით დაჰქონდათ ხელ-

ნაწერი წიგნები და გრაგნილები, საგზალი, ხელსაქმე და სხვ. დასტაქრები აბგაში აწყობდნენ სამკურნალო იარაღებსა და წამლებს. აბგით წამლებს წვრილი ვაჭრებიც დაატარებდნენ სოფლიდან სოფლად.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, დასურათებული ლექსიკონი, 200; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2013.

აბგაჯიბე - ტყავის ჭურჭელი. შურდულის მსროლელი იყენებდა საშურდულე ქვების სატარებლად.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

აბდარი (აჭარ.) - პირი, რომელიც განაგებს ხომალდზე საკვებისა და წყლის შენახვა-გაცემას.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

აბე||აბი (ბორჩხ.) - უფროსი ძმა (უმცროსისათვის). ეს არის აგრეთვე ზრდილობიანი მიმართვის ფორმა საკუთარ სახელთან ერთად, საზოგადოდ, ასაკით უფროსი მამაკაცის მიმართ.

ლიტ.: შ. ფუტკარაძე. ჩვენებურების ქართული. წიგნი პირველი. ბათ., 1993.

აბედის სოკო / სააბედე სოკო (ფშ.) / **კვეჟო** (იმერ.) / **აბედა სოკო** (ქართლ, ლეჩხ.) / **ობელიში სოკო** (მეგრ.) / **ჰობელიაქ-ი / ჰობელიაქ ტყუბულ-ი** (სვან.) - წიფლის ხის ტანზე მიკრული სოკო; იზრდება საკმაოდ დიდი. აბედის სოკოს კარგად გამოხარშავენ, მზეზე გააშრობენ და შემდეგ წვრილ ნაჭრებად დაანაკუნებენ. ცეცხლის დანთებისას აბედის ნაკუნს მჭიდროდ დააბეზენ ფოლადის ნაჭერს - კვესს (იხ.) და ჩამოართყამენ ტალს (იხ.) - მაგარი ქანის შედგენილობის ქვას. რკინის ქვაზე ჩამორტყმისას გაყრილი ნაპერწკლები აბედს შეეყრება და რამოდენიმე ასეთი ჩამორტყმის შემდეგ წაეკიდება უალო ცეცხლი, რომელიც საკმარისია დიდი ცეცხლის ასანთებად. კვეს-აბედით ცეცხლის გაჩაღება ადამიანის ერთი უძველესი გამოგონებათაგანია. ეს პრინციპი მოგვიანებით უფექტურად იქნა გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღის კონსტრუქციაში.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2013; ა. მაყაშვილი. ბოტანიკური ლექსიკონი. მესამე გამოცემა. თბ., 1991; ვ. ბერიძე. სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა. სპბ., 1912; გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი. თბ., 2000.

აბეჩხარი (მთიულ.) / **ნაბეჩხარი** (მოს., ქიზიყ.) / **ნაოჩხარი** (ქიზ.) - 1. გამოფიტული, უნაყოფო, ცუდმოსავლიანი მიწა; 2. გამიზნულად მოუვლელ ვენახი, რომელიც ცოტას ისხამს, მაგრამ ღვინო კარგი დგება; 3. ნახევრად გადამხმარი ვენახი.

ლიტ.: სტ. მენტეშაშვილი. ქართლურის სალექსიკონო მასალა (ალგეთის ხეობა) // იკვ, XVII. Тб.,

1970, გვ. 251-282; მისივე, ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943; ო. ქაჯაია. მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის // სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პ[ედ]აგოგიური ინსტიტუტის შრომები. XI. ცხინვალი, 1967, გვ. 375451;

აბზიკარა, აბზიკარას აიკრავს (რაჭ.) - მინდვრად ზაფხულში მკბენარი ბუხები-საგან (მაწუხელასაგან) დამფრთხალი საქონელი კუდს აიბზეკს და თავს გაქცევით შველის.

აბზინდი - სარტყლის, ფეხსაცმლის, ცხენის ადკაზმულობისა და მისთანათა შესაკრავი, უფრო ლითონისა. საქართველოსა და კავკასიაში ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრიდან I ათასწლეულის დამლევამდე ფართოდ ყოფილა გავრცელებული ფირფიტისებრი სწორკუთხა აბზინდი, რომელსაც შიდა მხრიდან შესაკრავი კავი აქვს. ხშირად ზედ ამოკვეთილია მითიური ცხოველების გამოსახულებანი და გეომეტრიული ორნამენტები. ძვ. წ. I ათასწლეულის ბოლოს და ახ. წ. I ს-ში საქართველოში გავრცელებულა ბრინჯაოს ჭვირული აბზინდების (სამუალო ზომა 12-12 სმ.) ჩამოსხმა. აბზინდზე გამოყვანილია ცხოველთა გამოსახულებანი, სადაც ცენტრალური ადგილი უკავია სტილიზებულ ირემს, ხარს, ჯიხვს ან ცხენს, რომელთა ირგვლივ ხშირად სხვა ცხოველთა მინიატურული გამოსახულებებია. სავარაუდოა, რომ აბზინდზე გამოსახული სცენები სიმბოლურ - მაგიურ და მითოლოგიურ სიუჟეტებს ასახავენ. გვიანანტიკური ხანიდან რომაული კულტურის გავლენით მთელ მსოფლიოში გავრცელდა ენიანი აბზინდის ახალი სახეობა. აბზინდის სახესხვაობაა აგრავი, რომელიც იხმარებოდა წამოსასხამის შესაკრავად. აბზინდს ხევსურეთში საყრელს, ქარშიკს უწოდებდნენ, სამეგრელოში კი - ყუნს.

ლიტ.: გ. გობეჯიშვილი, დასურათებული ლექსიკონი, 2008; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

აბილაური (ქართლ.) || **აბილოური** (ლექს.) - ვაშლის ერთ-ერთი საუკეთესო ჯიშთაგანი, ხარობს ქართლში. ლექსუმური აბილოური - საზაფხულო მსხვილი ვაშლი

ლიტ.: ი. ჭყონია. სიტყვის კონა; მის. ალავიძე. ლექსუმური ლექსიკონი // ქართველურ ენათა ლექსიკა. I. თბ., 1938, გვ. 139-164.

აბრამიანი - ქართლური საახალწლო-სამეკვლეო ძღვენი. აბრამიანი თავისი ფუნქციით დასავლურქართული ჩიჩილაკის (იხ.), რაჭულ-ლექსუმური „სამკლოვი-არო გვერგვის“ (იხ.), ზემო იმერული „აბრი პურის“ (იხ.), ჯავახური „სახალწლო ტაბლის“ (იხ.), აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა „საკვლევარის“ (იხ.) ანალოგიაა. წარმოადგენს მოხარული ღორის თავის, სხვადასხვა სახის რიტუალური პურების („ბასილა“, ბედის კვერები და სხვ.), ხილის, ტკბილეულის, პურის მარცვლის, ხელადით ღვინისა და სხვა პროდუქტების ნაკრებს, რომელიც დიდ გობზე (ხონჩაზე), ტაბაკზე ან ცხრილზეა დაწყობილი.

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ „აბრამიანი“ ტერმინისათვის ამოსავალია ბიბლიური აბრაამის სახელი (?), სხვანი „აბრამიანისა“ და „აბრი პურის“ (იხ.) კავშირზე მიუთითებენ (საეჭვოდ გამოიყურება ტერმინის ამოსავლად „ამბარი“ სიტყვის მიჩნევა).

ლიტ.: ს. მაკალათია. ახალწელიწადი საქართველოში. ტფ., 1927, გვ. 24; გ. გოცირიძე. საახალწლო ხონჩა // ძეგლის მეგობარი. № 1. თბ., 1988, გვ. 60-65; ჯ.

რუხაძე. ხანი იმერეთის ხევსურეთია. თბ., თბ., 1989, გვ. ; ზ. ჯინჯინაშვილი. საახალწლო დღეობათა ციკლი ქართველ ებრაელებში // მაცნე. ისტორიის სერია. № 3. თბ., 1987, გვ. 17.

აბრამალი (თბ.) - მატყლის ძვირფასი მალი.

ლიტ.: ი. გრიშაშვილი. ქალაქური ლექსიკონი. თბ., 1997.

აბრეშუმი - საქართველოში აბრეშუმის ძაფი და მისგან დამზადებული ქსოვილები, „აბრეშუმის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. ძველ ქართულად, „ჭიჭნაური“ აბრეშუმის ჭიის პარკიდან ამოხვეულ ძაფს აღნიშნავდა. მისგან საქსოვ დაზგაზე - საქსელზე იქსოვებოდა დარაია (თავთა//მერდინი, კახეთში, ქართლში, იმერეთში, ქიზიყში), ჩხირებითა და ყანისნალებით კი, თავსაფრები, წინდები, ტოლალები, ხელთათმანები, ჩახსაკრავები, სახიანი სარტყლები, ყაითნები, ჩაფარიშები. წმინდა აბრეშუმთან ერთად, მზადდებოდა აბრეშუმნარევი ქსოვილები: მალ-აბრეშუმი, ბამბა-აბრეშუმი. აბრეშუმის ნაწარმს, საოჯახო მოთხოვნილებების გარდა, გასაყიდადაც იყენებდნენ. ადგილობრივი ბაზრების გარდა, აბრეშუმის ნაწარმი სხვა ქვეყნებშიც გადიოდა. ქართული წერილობითი წყაროები და ეთნოგრაფიული მასალა აბრეშუმის წარმოების მდიდარ ტრადიციებს წარმოაჩენს. შორეული აღმოსავლეთიდან მომდინარე მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო-სატრანზიტო გზის გარკვეულ მონაკვეთზე მდებარე საქართველოში, აბრეშუმის კულტურის შესწავლა V-VI სს-დან ივარაუდება. სოფელ მცხეთიჯვარში (ხაშურის რაიონი) აღმოჩენილია აბრეშუმის სამშობლოს - ჩინეთის იმპერიის ფულის ერთეული, რაც ამ მოსაზრების

ერთი მნიშვნელოვანი დამამტკიცებელი ფაქტია. აჭარში აბრეშუმის ქსოვილები ჯერ გურიიდან შემოჰქონდათ, შემდეგ კი, აჭარაშიც დაიწყეს აბრეშუმის პარკის მოშენება და აბრეშუმის ძაფის მიღება. XIX ს-ის 80-იანი წლებიდან, აჭარელმა მუჰაჯირებმა ეს საქმე თურქეთში, მარმარილოს რეგიონშიც ჩაიტანეს.

ლიტ.: ნ. აბესაძე, აბრეშუმის ქსოვილის დამზადების ისტორიისათვის საქართველოში // მსე, ტ. V, 1963; ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი. აჭარა. პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ნ. მგელაძე. რედაქტორი რ. მეტრეველი. ბათუმი, 2018.

აბრი პური - ზემოიმერული დიდი ზომის რიტუალური პური, აცხობდნენ ახალ წელს. აბრი პურს საახალწლო სუფრის შუაგულში დადებდნენ, გარშემო კი მრგვალად მოხარშულ ქათამს, ღორის თავს, ხილს, კვახს, ნიგოზს, ბასილასა და სხვა პურ-კვერებს შემოუწყობდნენ. დიასახლისი თავლში ამოვლებული აბრი პურის ნაჭრებს ოჯახის წევრებს შეაჭმევდა და ახალი წლის დადგომას მიულოცავდა. კალათში ჩაწყობილი აბრი პური და სხვა პურ-კვერები ოჯახის მისაკვლევ იყო და თავისი ფუნქციით დასავლურქართული ჩიჩილაკის (იხ.), რაჭულ-ლეჩხუმური „სამკლოვიარო გვერგვის“ (იხ.), ქართლური „აბრამიანის“ (იხ.), აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა „საკვლევარისა“ (იხ.) და საქართველოს სხვა კუთხეების საახალწლო ხონჩების ანალოგიას წარმოადგენდა; აბრი პურის იდენტური იყო სვანური დიდჯვრიანი ბედის პური, რომელზედაც მეკვლე ყველს, მოხარშულ ხორცს, პურს, თაფლსა და ვერცხლის ფულს დააწყობდა და ახალწლის შემოსვლას უფროსობის რიგის დაცვით ოჯახის ყველა წევრს მიულოცავდა.

ლიტ.: ლ. დადუანი. შობა-ახალწელიწადი სვანეთში // ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე. თბ., 1973, გვ. 19; ჯ. რუხაძე. ხანი იმერეთის ხევსურეთია. თბ., თბ., 1989; გ. გოცირიძე. საახალწლო ხონჩა // ძეგლის მეგობარი. № 1. თბ., 1988, გვ. 60-65;

აბუღელაურის ტბა - ხევსურეთში, სოფ. რომკის ზემოთ მდებარე ტბა, რომელშიც, ფშაური ანდრეზის თანახმად, იაქსარის (იხ.) მიერ დევნილ უკანასკნელ დევს თავი შეუფარებია; იაქსარი დევს ტბაში ჩაჰყოლია, განუგმირავს იგი და, რამდენადაც დევის სისხლი წყლის ზედაპირს გაბმია, თავადაც ვეღარ ამოსულა, ვიდრე ღვთიშობის ყმებს ოთხრქა-ოთხყურა ცხვარი (იხ.) არ დაუკლავთ და მისი სისხლი ტბისთვის არ უსხურებიათ. გადმოცემის თანახმად, ექვს-შვიდ წელიწადში ერთხელ შუაფხოს ხატის იაქსარის თავ-მორიგენი (იხ.) ხევსურეთში მოსახლე იაქსარის ყმებს შემოუთვლიდნენ: „შუაფხოს ხატი იწევსავ, წამავასავ ნამდვილ აუცილებლადავ, ჩვენ ლუდს გვინდოდ მახარშვა... ამაღლებამი დაგვიბარებდეს, მაში მაგვიხვიდითავ“. იაქსარის ჰევისბერი ხატიტ ხელში პროცესიას გაუძღვებოდა და ხევსურეთისკენ გასწევდა. ხევსურეთის სოფლებში (ღულში, ქმოსტში, ღელისვაკში), სადაც კი იაქსარის ნიშნები იყო, თოფ-იარაღიანი ახალგაზრდები მათ ყველგან ხვდებოდნენ და თან მისდევდნენ. მივიდოდნენ თუ არა ტბასთან, ჰევისბერი ქადაგობით ტბაში ჩასავარდნად გაიწევდა, თან ისე ძლიერად, რომ შვიდი-რვა კაცი ძლივს ამაგრებდა; დანარჩენები კი ტბას თოფებს დაუშენდნენ; შემდეგ საკლავს დაკლავდნენ და უკან წამოვიდოდნენ; იაქსარს ყველგან უთევდნენ ღამეს, სადაც მისი ნიში იყო და კვლავ შუაფხოში ჩამოვიდოდნენ იმ

გზით, რომელიც დევებთან ბრძოლის დროს იაქსარს გაუვლია.

ლიტ.: თ. ოჩიაური. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ., 1954, გვ.115; თ. ოჩიაური. მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბ., 1967, გვ. 46-47.

აბჯარი - სამხედრო საქურველი, რომელიც მეომარსა და მის ცხენს მტრის მჭრელი და საძგერებელი იარაღისაგან იცავდა. უძველესი დროიდან გავრცელებული იყო ხისა და ტყავის აბჯარი. ლითონის აბჯარი ბრინჯაოს ხანაში გაჩნდა. აბჯარი შედგებოდა ჩაფხუტის, ჯაჭვ-კურტაკისა და ლითონის ან ლითონგადაკრული ტყავის სარტყლისაგან. მკლავებზე (მაჯიდან იდაყვამდე) მეომრები 25-30 ცალ ბრინჯაოს რგოლს იცვამდნენ. ფეხების დასაცავად წვივებზე ქეჩას იკრავდნენ, შემდგომში კი ლითონის მთლიან ფირფიტებს ხმარობდნენ. ძველ საბერძნეთში მსუბუქად შეიარაღებულ ქვეითს სელის ქსოვილის რამდენიმე ფენისაგან შეკერილი ქურქი ეცვა. თავზე მსუბუქი ჩაფხუტი ეხურა და ხელთ მცირე ფარი ეპყრა. მძიმედ შეიარაღებული ქვეითის (ჰოპლიტის) აბჯარი შედგებოდა სპილენძის ან რკინის მუზარადის, ჯავშნის, ოვალური ფარისა და საჩერნისაგან (საწვივესაგან). ლითონის სარტყელზე დამაგრებული იყო ლითონგადაკრული ბრტყელი თასმები, რომლებიც კაბასავით ეშვებოდა და მეომარს წელქვევით იცავდა. ასეთი სარტყელი და ჩაფხუტი ჰქონდათ რომაელებსაც, გულმკერდს კი ზედ დამაგრებული ლითონის დაფით იცავდნენ. აბჯრად ხმარობდნენ აგრეთვე ტყავის ტანსაცმელს, რომელზეც ლითონის ფირფიტები ან რგოლები იყო დაკრებული. ამგვარი აბჯრისგან გაჩნდა შემდგომში თორი. აბჯრის ხმარება რომაელებისა-

გან გალებმაც ისწავლეს. ძველმა გერმანელმა ტომებმა ლითონის აბჯარი VII-VIII სს-ში შემოიღეს. XI ს-ის ევროპაში გავრცელებული იყო ფოლადის ფირფიტებისაგან შეკრული მთლიანი აბჯარი, ხოლო ჯაჭვის აბჯარი - ფოლადის რგოლებით მჭიდროდ ასხმული ბადის შარვალი და პერანგი - ჯვაროსნებმა შეიტანეს აღმოსავლეთიდან (ჯაჭვის აბჯრის ხმარება ჯერ კიდევ ძველმა ასურელებმა იცოდნენ). ამ აბჯრის მუზარადსაც ფოლადის ბადე ჰქონდა, ბადე მხრებს სწვდებოდა და კეფასა და სახეს იცავდა. შემდგომში ჯაჭვის პერანგზე (მხრებზე, კისრის არეში და სხვ.) ზოგჯერ ლითონის ფირფიტებსაც ამაგრებდნენ. XV ს-ის მხედარს ეცვა ჯავშანი, საწვივე, საბარკული და ლითონის ფეხსაცმელი, ხელებზე - ჯაჭვგადაკრული ხელთათმანი. ცხენსაც ჯავშანი იცავდა, შუბლს ლითონის საშუბლე უფარავდა და მკერდზე ფარი ჰქონდა ამოკრული. აბჯარი მეომარს თითქმის ყოველგვარი ცივი იარაღისაგან იცავდა. საასპარეზო და საზეიმო აბჯარი ოქრო-ვერცხლით, პატიოსანი თვლებითა და მდიდრული ქსოვილებით იყო მორთული. მძიმედ შეიარაღებული აბჯროსანი რაინდი ძლიერი ძალა იყო და ხშირად ბრძოლის ბედს წყვეტდა. ცეცხლსასროლი იარაღის სრულყოფასთან ერთად აბჯარმა თანდათანობით დაკარგა მნიშვნელობა. საქართველოში აბჯარს უძველესი დროიდან ხმარობდნენ. თრიალეთში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოაჩინეს ბრინჯაოს მუზარადისა და ფარაგის ნაშთები (ძვ.წ. III ათასწლეული), ლილოსა და კაჭრეთში - ბრინჯაოს მრგვალი ფარები, სამთავროში - ბრინჯაოს სარტყლები. ვანში აღმოჩენილი ანტიკური ხანის სამარხში დაკრძალულ მეომარს ბრინჯაოს საბარკული და საწვივე ეცვა. ჰეროდოტეს ცნობით (ძვ. წ. V ს.), მოსინიკებს ტყავის მუზარადი ეხურათ და ქსოვილის კვართი (პერანგი) ემოსათ. მოსხებს დაწნული,

ხარისტიყავადაკრული, ფათალოს ფურცლისებრი ფარები ჰქონდათ, სხეულს კი სელის კვართით იცავდნენ. ხალიბებსაც სელის კვართი ეცვათ. თავსარქმელად ხესაც იყენებდნენ. ხის მუზარადი ეხურათ მოსინიკებს, ტიბარენებს, კოლხებს. ბერძნული მითის მიხედვით, კოლხეთის მეფე აიეტს ღვთაება არესისაგან ნაბოძები ჰქონია ოთხჯიდიანი ოქროს მუზარადი. საქართველოში ნადავლ საჭურველს, მათ შორის მუზარადებს, სალოცავებს სწირავდნენ, მაგ., ქუცანა ამირეჯიბს ჯალალედინის მუზარადი მრავალძალის ეკლესიისათვის შეუწირავს. ქართველ მეომრებს თავსარქმელად მუზარადი, ჩაფხუტი და ჩაჩქანი ჰქონდათ. ძლიერი დარტყმის შესასუსტებლად ჩაჩქანევემ თუშურ ქუდს იხურავდნენ, მუზარადევემ - სვანურს. ტერმინი „აბჯარი“ შუა საუკუნეების დამდეგიდან საერთოდ საჭურველს აღნიშნავდა, შუა საუკუნეებისმიწურულში აბჯრის შინაარსი „იარაღმა“ შეცვალა და აბჯარში მხოლოდ თავდასაცავი საჭურველი იგულისხმებოდა. აბჯარი საქართველოს მთაში, სადაც მას თითქმის უკანასკნელ დრომდე ხმარობდნენ, ფართო გაგებით თავდასაცავი და შესატევი საჭურველის ერთ „ტანს“ (ერთ კომპლექტს) აღნიშნავდა. მასში შედიოდა მუზარადი ან ჩაჩქანი, ჯაჭვის პერანგი ან ჯავშანი, სამკლავები, ფარი, ხმალი, დამნა, ურსა(დანა), საჩერნე, საბარკული, საცერული, შემდეგ - თოფიც, დამბაჩაც, მასრებიც და საპირისწამლეც. აბჯრიდანაა ნაწარმოები სიტყვები „აბჯრისმტვირთველი“, „მეაბჯრეთუხუცესი“ და „მეაბჯრე“.

ლიტ.: კ. ჩოლოყაშვილი, დასურათებული ლექსიკონი. თბ., 2008; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

აგაგა - მივიწყებული მიცვალებულის

მშვიერი, მოხეტიალე სული მეგრული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით. წარმოდგენილი ჰყავთ სუსტი, ძლივს მოსიარულე მამაკაცის ან ქალის სილუეტის სახით. ღამით ხშირად ჩნდება სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე, სასოფლო გზებსა და ბილიკებზე; არის ამბივალენტური ბუნების: ერთი ცნობით, ეზოში მის გამოჩანას მოუსავლიანობა, საქონლის ჭირიანობა, ოჯახის სიღარიბე მოაქვს, აშინებს ადამიანებს; სხვა ცნობით, აგაგა ადამიანის დამხმარედაც გვევლინება, შველის მგზავრებსა და მეთევზეებს.

ლიტ.: ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. 7, გვ. 11; რ. ხარაძე. ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალები. 1938 // კავკასიის ეთნოლოგიური კრებული. XIV. თბ., 2012, გვ. 177.

აგვარა - საკარვო მეურნეობის პარალელური ბაზა. დასახლებიდან მოშორებულ საძოვრებსა და სახნავ-სათეს ნაკვეთებზე ეწყობოდა. სიმინდის ყანების აღების შემდეგ აქ გადმოჰყავდათ საქონელი, რომლის მოვლა-პატრონობა ოჯახის ერთ-ერთ წევრს, მამაკაცს ევალებოდა. საქონლის მოვლა-პატრონობა მისთვის თივა-ჩაღის მიწოდებას მხოლოდ ზამთრის სუსხიან დღეებში ითვალისწინებდა, სხვა დროს ზამთრობით საქონელი ჭალებში ძოვდა და ადვილი შესანახი იყო. თუ მუშახელი ოჯახს არ ჰყავდა, აგვარაში გასარეკ საქონელს მეზობელთან აერთიანებდა. გაერთიანებული მეზობლები ერთად აგებდნენ ქოხ-ბოსლებს, საბძლებსა და ბაკებს და მორიგეობით უძღვებოდნენ აგვარას მეურნეობას.

ლიტ.: საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, 1986:145.

აგვართა - გურიასა და სამეგრელოში მწყემსების სახელდახელო ქოხი: „აგუარა“ დღესაც დამოწმებულია აფხაზეთში და აღნიშნავს მესაქონლეო დანიშნულების ბანაკს. აგუარები შესაბამისი ფორმებით, სტრუქტურით ხასიათდებიან. არის: მრგვალი, ოვალური, კვადრატული. სამეგრელოში აგუარა, აგუარათია საქონლის საზაფხულო სადგომია. ქვით შემორაგული მასივია, სადაც მესაქონლე ღამით თავის საქონელს წველის, მკურნალობს და სახეების მიხედვით აყენებს. აქვია მისი სადგომი (აღრე ეს ჯიხური ღია იყო, ახლა გადახურულია ორფრთიანი სახურავით). მის გვერდით, ერთ მხარეს სახბორეა და მეორე მხარეს - საძაღლე, შემდეგ გაშლილი აგუარაა, მისი უკანა ნაწილი გამოყოფილია საერთო სამეურნეო დანიშნულების ეზოთი. საქონელი პირველად აქ შემოდის, აქ წველიან, უტარებენ სამკურნალო ღონისძიებებს და შემდეგ შუა ნაწილში შედენიან, სადაც საქონელი თავის სახეობრივ სადგომზე „თფ“-ზე დგას. „თფ“ სამურზაყანოში აღნიშნული აქვს თელო სახოკიას. აგუარა ამ „თფ“-ებზე იყოფა. ტერმინი „თფ“ აფხაზეთში ფართოდ ფიქსირდება და მესაქონლეობასთან არის დაკავშირებული. იგი მესაქონლის სადგომს ნიშნავს.

ლიტ.: გ. ელიავა, სამეგრელო ჩემს თვალსაწიერში. თბ., 1996, გვ. 51-52; თ. სახოკია, მოგზაურობანი, 1985:355.

აგიღელა - ხალხური სიმღერა, მაღალი ყურძნის კრეფის დროს სრულდება.

აგუნა - მევენახეობა - მეღვინეობის წარმართული ღვთაება. მისდამი მიძღვნილი რიტუალები სრულდება ახალ წელსა და შემოდგომაზე, სახელდობრ, გურია - სამეგრელოსა და ლეჩხუმში.

აგუნას გადაძახება (გურ.) - 1. ხალხური რელიგიური რიტუალი; სრულდება ახალი წლის სადამოს ან მეორე დილას მარანში... 2. ნაკურთხი წყლის მიცვალებულის საკურთხვე დასხურების წესი.

ლიტ: ბ. ბარდაველიძე, აგუნა - ანგურა, ძეგლის მეგობარი 16,1968:13 ქართ. ეთნ. ლექს. 2009:10; აღ. ქურდაძე, ვაზისა და ღვინის საგალობელი, თბ; 2004:281 ერ. ნაკაშიძე, მევენახეობა-მეღვინეობა გურია-სამეგრელოში,... 1929:4

ადესა - აჭარაში, იმერეთსა და გურიაში შემოტანილი ყურძნის ჯიში. იგივეა, რაც იზაბელა, არის თეთრი და შავი ფერის ყურძენი, ძირითადად გვხვდება მაღლარის ან ხეზე ველურად გასული სახით. თელო სახოკია მას ასე აღწერდა: რამდენადაც შევიძელით ცნობების შეკრება აჭარაში, დღემდე დარჩენილია 17 სახელწოდების ყურძენი. ამათგან „ადესის“ გარდა, რომელიც ამ ათი თუ თხუთმეტი წლის წინათ, ალბათ, გურიიდან არის შემოტანილი (ჩვენ ზემო აჭარის სოფელ ღორჯომში ვნახეთ), ყველა ძველებია. აი, მათი სახელებიც: ადესა (თეთრი და წითელი), ბუღუშური (თ), ბურძგალა (თ), ბუტკურა (წ), ბროლა (აღრეულია, თ), ვანური თეთრი ყურძენი, კლარჯული (თ. და წ.), მატენაური (წ), მეკრენჩხი (წ. მაგარკანიანი), მწვანე (თ), შხუმი (დიდკუფხალიანია, სახელი მეგრული აქვს: შხუ - მსხვილი), ჩხავერი (წ), ცხენისძუძუ (წ), წოდი (მრავალ-მტევანა, რამდენიც ფოთოლი აქვს, იმდენი მტევანი ასხია, მხოლოდ მტევანი თხელია), ხართვალა (წ. მსხვილკუფხლიანი), ხოფათური (თ), ჯანისი (ბრუში-თეთრი)... გურიაში ჩხავერი ცოტა დარჩა, მაგრამ რაც არის, კარგია. „ადესა“ მოდებულია ყველგან. თუ ნიადაგიც ხელს უწყობს,

მოსავალს ბევრს იძლევა, მაგრამ ღვინო ადგილობრივი ვაზის ღვინოსთან შედარებით ნაკლები ხარისხის გამოდის, ამიტომ ზოგიერთი ცნობით, ჭაჭის გარდა, ადესის ღვინიდან გურიაში ხდიდნენ არაყს, რომელმაც XIX საუკუნის ბოლოს სამრეწველო ხასიათი მიიღო. იზაბელას ძირები ოდესიდან შემოჰქონდათ, ამიტომ მას „ადესას“ უწოდებდნენ.

ლიტ.: თ. სახოკია, *მოგზაურობანი, 1985:224, 61; ერ. ნაკაშიძე, მევენახეობა-მეღვინეობა..., 1929:7-8.*

ადესა სიმინდი - დიდტაროიანი და ფართომარცვლიანი სიმინდის ჯიში.

ადიდა - საოქრომჭედლო ხელსაწყო, მავთულის გასაწვრილებელი ბრტყელი ლითონის ნაჭერი, რომელიც დახვრეტილია სხვადასხვა ზომაზე. ნახვრეტები მიყოლებით თანდათან იზრდება. ყველაზე დიდი ზომის ნახვრეტში ატარებენ მსხვილ მავთულს. შემდეგ თანდათანობით უფრო მომცროებში „გაწურავენ“ და იღებენ ნებისმიერი სისქის მავთულს. მავთულის გამოზიდვა ნახვრეტებიდან ხდება ბრტყელპირიანი გაზის მეშვეობით.

ლიტ.: ლ. სოსელია. *მესხეთის ოქრომჭედლობის შესწავლისათვის // კრებ. მესხეთ-ჯავახეთი*. თბ., 1979.

ავგარდანი / აბგარდანი / აბუგარდანი - სპილენძის დიდი ზომის ღრმა კოვზი, ჩამჩა, უქუსლო და მრგვალპირიანი. მასიური, ლულოვანი ტარი მირჩილულია ქურჭლის ტანზე ორად გაყოფილი ფოთლისებური ბოლოთი და თითო-თითო სამჭვალით. არის მოკალული და მოუკალავიც და უფრო მეტად სადა, უორნამენტო. ავგარდანი მზითვის აუცილებელი ატრიბუტი იყო. საინგილოში ქორწილებსა და სულპურებში (აღაპი) წვნიანის ამოსადე-

ბად ხმარობდნენ. შეძლებული ოჯახები იგივე დანიშნულებისთვის ატანდნენ „ტამტ-წურწუმას“; ანუ „ალთაფას“, ასევე ტამტს ტოლჩით ან „იბრიხ-ლენგერს“ (აჭარ.)

ლიტ.: ი. გრიშაშვილი. *ქალაქური ლექსიკონი*. თბ., 1997; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ავგაროზი – ნივთი, რომელსაც სამკურნალო ძალა ან მფარველის თვისებები მიეწერებოდა. ეთნოგრაფიულ ყოფაში ავგაროზებად იმ ნივთების გამოყენება ჩანს, სადაც ლოცვები ან ჯადოსნური სიტყვები იყო ჩაწერილი ან ჩამაგრებული. ტერმინი ავგაროზი უკავშირდება იესო ქრისტეს აპოკრიფული წერილების ადრესატს ედესის მმართველ ავგაროზს. ძველად ნაწყვეტებს ამ წერილებიდან ქალაქებზე დაწერდნენ, ოთხად მოკეცავდნენ და ახალუხის სახელოსთან მიიკერებდნენ. დღემდე, ზოგიერთი მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანი, ავგაროზს, ლოცვებთან ერთად ყოველთვის თან ატარებს, რათა დაიცვას თავი „ხილული და უხილავი მტრისაგან და ყოველგვარი გრძნეულობათაგან“. ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმში ავგაროზების მეტად საინტერესო კოლექციაა დაცული. ყველა ეს ნივთი წარმოადგენს ნაჭერში ან ტყავში გახვეული შელოცვების, მაგიური ფორმულებისა და ლოცვების ტექსტებს. ხალხის რწმენით, დაცვითი ფუნქციის გარდა მათ განკურნების ძალაც მიენიჭებოდა. ეს რწმენა იმდენად ძლიერი იყო, რომ არც სარწმუნოებრივი და არც ენობრივი სხვაობა არ უშლიდა ხელს კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს ერთმანეთის ავგაროზები გამოეყენებინათ. ცნობილია, რომ სვანებს ბალყარეთიდან გადმოჰქონდათ ტყავის ბუდეში ჩასმული

მესალოცი ქაღალდი „დუა“ და ავი თვალისაგან დაცვის მიზნით ატარებდნენ კისერზე ჩამოკიდებულს ან იკერებდნენ ტანსაცმელზე. ბორჩალოელი თათრები განკურნების მიზნით ქართულ ლოცვა ჩაკერებულ ავგაროზს ატარებდნენ.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2013.

ავფენი ვაზი -- ნაყოფს რომ არ გამოისხამს, ასეთი ვაზისათვის სახელად ავფენი უწოდებიათ. უნაყოფო ვაზისთვის, ავფენის გარდა, უსარგებლო, უგვარო, გადარჯულებული, გაკრიკინავებული სინონიმები გვხვდება ქართლში. დამატებითი ძიების შემდეგ, შესაძლოა, საქართველოს სხვა კუთხეებში მსგავსი სინონიმები შეგვხვდეს. სულხან-საბას მიხედვით, ავფენი ყოფილა „გვარად უნაყოფო ვაზი,“ რომელიც „აყვავდეს უნაყოფოდ, აყვავდეს და ნაყოფი არა ყოს.“

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებული... 1978:78; სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. 1, 1991:41.

ავშარა - ულაგამო აღვირი, რომელიც შეკერილია ტყავისგან. ავშარა ცხენსა და ვირს ყბებსა და ცხვირზე უკეთდება და მონინარება არა მხედრისთვის სამართად, არამედ ცხოველების გადასაყვანად. მაგ., საბალახოდ, გომურიდან გამოსაყვანად და ა.შ.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2013.

ავქარი / ავკაცი (თუმ.) - ადამიანი-დემონი, კუდიანი ადამიანი (კაციც და ქალიც), მაქცია, თანამოძმეთათვის ზიანის მიმყენებელი, შურისმაძიებელი,

რომელიც წყენას არავისგან შეირჩენს, ხან - ბუდ, ხანაც მგლად გარდასახული თავის მსხვერპლს აცხრება და თუ ვინმე არ მიეშველა და თოფი არ ესროლა, კაცს კლავს. კუდიანები ავშარაზე გადამჯდარნი მიფრინავენ ხიბალ-კუდიანთა თავშეყრის ადგილისაკენ, ებმებიან მათთან „ერულაში“ და მერე, ავსულთა მეთაურის დავალებით, ადამიანებისთვის ზიანის მისაყენებლად მიეშურებიან: აცლიან მათ ღვიძლს და ჭამენ.

თუმების რწმენით, ბავშვს დაბადებიდანვე დაჰყვებოდა კუდიანობის გარეგნული ნიშნები: ხერხემლის ბოლოს, კუდუსუნთან კუდისებრი წაგრძელება, კუდუსუნთან პატარა ჩაღრმავება ან მის თავზე დახვეული ბეწვები; თუ ამ ნიშნებს პირველი დედა შეამჩნევდა და გაამჟღავნებდა, იგი ვნების უნარს კარგავდა და საშიში აღარ იქნებოდა. თავად კუდიანი კაცი თავის კუდიანობას არ ამჟღავნებდა, მაგრამ თუ იძულებული გახდებოდა და აღიარებდა, მავნებლურ თვისებებს კარგავდა და იწყებდა წარსული თავგადასავლების დაუფარავად მოყოლას.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 74-75; ე. თათარაიძე. დემონოლოგიური თქმულებები აღმოსავლეთ საქართველოს მთაინეთში. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998, გვ. 84, 100; ნ. აზიკური. მასალები თუშური დემონოლოგიიდან // ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი. 2016, XVIII, გვ. 180-181.

აზადი (ხევს.) - ხთიშვილთა ეპითეტი ჯვართ ენაზე („აემ ჭიქა-ბარძიმითა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას, გაგიმარჯოს, გიორგი, აზადო ჰაჰმატის ჯვრისაო“). როგორც ჩანს, ტერმინი „აზადი“ (< აზატი

- „თავისუფალი“. შდრ. აზადი - უღელში შეუბმელი ცხენი) „ლალის“ მნიშვნელობით იხმარება.

აზარი - თოფის დამარხვის წესი, გავრცელებული ქართველ მონადირეებში; სრულდებოდა მონადირის მიერ მთელი მისი სამონადირეო პრაქტიკის განმავლობაში გარკვეული რაოდენობის (ზოგან ასი, ზოგან ათასი) ნადირის დახოცვის შემდეგ. ამ წესის დარღვევა, ხალხური რწმენით, ნადირთპატრონის რისხვას იწვევდა და მონადირე სასტიკად ისჯებოდა (სიკვდილითაც კი). აზარს, უპირატესად, შეადგენდა წმინდა, ჩლიქიანი ნადირი; კურდღელი, მელა მგელი და დათვი აზარში არ ითვლებოდნენ. რამდენ აზარსაც აათავებდა მონადირე, თოფი იმდენჯერ უნდა დაემარხა (ხშირად, სამი ღლით. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში აზარის ამთავებელი მონადირე ნადირობას საბოლოოდ აღიკვეთდა.

ლიტ.: ვაჟა-ფშაველა. აფხუშობა // ივერია. 1886, № 141; ა. რობაქიძე. კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში // შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში. თბ., 1941, გვ. 173-174; შ. ძიძიგური. ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ. თბ., 1956; ე. ვირსალაძე. ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება. მთიულეთ-გუდამაყარი. თბ., 1958; ო. ქაჯაია. მასალები მოხუერი კილოს ლექსიკონისათვის // სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი შრომები. 1967; პ. ხუბუტია. თუშური კილო. 1969.

აზარმაცი / აზარმაცი - დიდი სიმძიმის ასაწევი იარაღი. შედგება ოთხი ნაწილისაგან: საყრდენი ქვა, ჰორიზონტალურად

დადებული გრძელი და მსხვილი ხე, რომლის წამახულ წვერზე ვერტიკალურად დგება აზარმაცის ბოძი, ხოლო ამ ბოძის თავზე ჰორიზონტალურად გაიდება „შადაგი“. აზარმაცის დაწევით ბოძი შადაგს აწვება და შადაგი კი ასაწევად გამიზნულ სიძიმეს. აზარმაცის მოხმარება ბოლო დრომდის ფართოდ იყო გავრცელებული ქართლში დარბაზული სახურავის ასაწევად, როცა მისი გატეხილი თავხეების გამოცვლა სურდათ. აზარმაცი ოწინარის ტექნიკური ნაირსახეობაა.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2013.

აზარფემა - ტარიანი, ფართოპირიანი დიდი კოვზისებრი ღვინის სასმისი, რომლის ვერცხლითა და ოქროთი მოჭედილი საუკეთესო ნიმუშები ყველაზე მეტად გავრცელებული იყო თბილისში.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2013.

აზიატსკი - მამაკაცის ჩექმები. ძირიანი, მალაყელიანი ფეხსაცმელი, რომლის ყელს და ქვედა ნაწილს ცალ-ცალკე კერავდნენ და ერთმანეთს მიაკერებდნენ, შემდეგ ქუსლში და წვერთანაც მაგარ ტყავს დააკერებდნენ და კალაპოტზე გადაჭიმავდნენ. მანამდე კალაპოტზე „შპილკებით“ ტყავის სარჩულს ამაგრებდნენ. შემდეგ შემოავლებდნენ არშიას, ძირს დადებდნენ და შეკერავდნენ, ბოლხის ქუსლსაც დაუდებდნენ.

ლიტ.: მასალები..., 1983:216, 253.

ათნიგნობები - აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში, ასევე აღილებში, ინგუშებში, ოსებში (იხ. „ათინაგი“) გავ-

რცელეულ დღეობათა ციკლის საერთო სახელწოდება, რომელიც IV საუკუნის სებასტიის ეპისკოპოსის წმ. ათენოგენის სახელს უკავშირდება. მართალია, საქართველოში იერუსალიმური კანონარის შემოსვლისა და სომხური გავლენის საფუძველზე ათენოგენის კულტი დამკვიდრდა, მაგრამ ქართველ მთიელებში და ზემოდასახელებულ ხალხებში წმინდანის თაყვანისცემა, როგორც ჩანს, მისი სახელობის დღესასწაულმა ისე გადაფარა, რომ სებასტიელი ეპისკოპოსის შესახებ ცოდნა მათი მუხსიერებიდან მთლიანად წაიშალა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა შორის ყველაზე შთამბეჭდავი და ნაირგვარი წეს-ჩულებებით დატვირთული თუშური ათნიგენობებია, რომელიც „მკვდართ რიგებს“ (მიცვალებულთა ხსოვნის დღეებს) მოსდევს, და თავისი მასშტაბურობით, ზამთრის „წელწდობების“ (შობა-ახლწლის დღეობების) ტოლია.

თუშური ათნიგენობები, დასაწყისების მიხედვით, ორად განიყოფიან: ერთი ნაწილი მკათათვის შუა რიცხვებში იწყება, კვირის რომელიმე განსაზღვრულ დღეს, ხოლო მეორე - აღდგომას; გრძელდება ორი კვირის განმავლობაში.

ათნიგენობების დაწყების დღეს ხელოსანი დროშას „გამოაბრძანებდა“, ხატის ნიშზე გადმოკიდებდა, რითაც სოფელს დღეობის დაწყებას ამცნობდა. სანამ დროშას შეეხებოდა, იგი რამდენიმე დღის განმავლობაში „წმიდაობდა“: ცოლს არ გაეკარებოდა, არც თვითონ შევიდოდა სხვისას და არც სხვას შემოუშვებდა სახლში, წინა დღეს ცივი წყლით განიბანებოდა და ღამეს ხატში გაათევდა. სანამ დროშა გარეთ იყო და სალოცავიდან სალოცავში მოგზაურობდა, ხელოსანი მას არ სცილდებოდა, დღეღამ ყარაულობდა (ადგილობრივთა რწმენით, დროშასთან ერთად, თვით ჯვარი გამოდიოდა გარეთ და ხელოსანი მას უწევდა

საპატიო ყარაულობას). დროშის გამობრძანების შემდეგ, საფუარში მთავარი კოდი დაილოცებოდა. საამისოდ ყველა ოჯახიდან სამ-სამ ხმიადს, ერთ სანთელს, ერთ კალტის კვერს ან ყველის ნაჭერს, ერთ პატარა არყიან ზედაშეს გამოგზავნიდნენ. ხელოსანი ლუდით სავსე თასით ხელში სადიდებელს იტყოდა და სოფელს დაამწყალობებდა; შემდეგ საკლავს (დაუკოლავ მამალ ცხვარს) სანთლით შუბლს შეუტრუსავდა, აღმოსავლეთისკენ მიბრუნებულს ყელს გამოჭრიდა, სისხლს ხატის ნიშის ყორეებს მიასხურებდა და ჯვრისკარიდან ქვემოთ გადმოაგდებდა, თან სამჯერ, სწყალობდესო, შესძახებდა. ამ დროს ხდებოდა „ყმის ჯვარში გაყვანა“: ახალშობილი ვაჟის პატრონი გამოაცხობდა „ყმის კოტორს“ (დიდ ქადას), რომელსაც, სანთელთან და ზედაშესთან ერთად, ოჯახის მეკვლე ჯვარის კარზე გაიტანდა, თან ბავშვსაც წაიყვანდა და ხელოსანს წარუდგენდა. ეს უკანასკნელი სანთელს აანთებდა, ზედაშით ჯვარს შეავედრებდა: შენს კარზე მოსულა სანთელ-ზედაშით, კოტრით, იყმე და იმსახურეო. ბავშვს სხვანიც დალოცავდნენ, კოტორს დაჭრიდნენ, ნაწილს იქვე შეჭამდნენ, ნაწილსაც სოფლის ახალრძლებს გაუგზავნიდნენ, გაისად თქვენგან ელის ჯვარი ყმის კოტორსო. როცა სანთელ-ზედაშეს ყველა ოჯახი მოიტანდა და საკლავის ცორციც რომ მოიხარშებოდა, კაცების საჯარეში დასალოც სუფრას დააგებდნენ: ძირს დაფენილ თეთრი ტილოს ნაჭერზე სამ პურს დაალაგებდნენ, ზედ ხორცის მარჯვენა მხრის თითო ნაჭერს დადებდნენ; იქვე იღო სამი სანთელი და ალუდის ნათაურათი სავსე ერთი თასი. ხელოსანი პურებზე სანთლებს აანთებდა თასით ხელში სადიდებელს იტყოდა:

„დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა, ღმერთო, გაუმარჯვე ღმერთსა-დკვირა'ესა, ღმერთო, გაუმარჯვე დღეს

დღესინდელსა, დღეს ნახსენებ ღვთიშვილებსა: გმირს კოპალეს კარატისასა, დევთა მეომარსა, აღს იახსარსა, ლახვრიანს, მათრახიანსა, ქაჯუეთის დამჭერსა, სანებას სახარისასა, გიორგის გომეწრისასა გიორგის ლაშარისასა, გიორგის ხახმატისასა, გიორგის სახეოსასა, გიორგის მუხროვინისასა, ანგელოზს ვესტომთისთავისასა, ცალა ფიჭვ საჩილოლოსასა, ისრიელ ბიჭურთისასა, ბატონ ცვარიელდადიკურთისასა, ცალარქა ბელელაისთავისასა, თურსიეხ არდოტისასა, ჭიხალე ხისოსთავისასა, ელია ნაქერლისასა, შაფურთა ქუმელაურთისასა, მიქაელ ხვავგორისასა, ლადს ბიჭხელსა, ღვთის პირის მეღვინესა, ღვთის მესამსახურესა, ლაღნრო ღვთიშვილნო, დიდად სადილებელნო, ძვირად სახსენებელნო, თქვენ გეხვეწებინ, თქვენ გვედრებიან თქვენნი მლოცავნი, თქვენდ შემოუწირავ ეს გამლილი სუფრა, სანთელ-სამწკრინი, საფუვრის თავი, ცეფისკვერი,, ქაჯანგიანი. სადილებელი თქვენი იყოს, სამწყალობნო იმათი. თქვენ თქვენ მორიგე ღმერთს შესწირიდითა, თქვენ ღმერთი გადიდებსთ, გაგიმარჯვებსთა. მთას გაუჭირდეს, მთას დაეშველნიდითა, ბარს გაუჭირდეს, ბარს დაეშველნიდითა, ზე კალთა დააფარიდითა მწყემსსა, მეცხვარესა, მოლაშქრესა, მონადირესა; ჯოხ აიღონ, ვახშამ მისციდითა, თოფ აიღონ, სახელ მისციდითა, თქვენ ღმერთი გადიდებსთ, გაგიმარჯვებსთა. თუ რა სარჯიელ ეხედვებოდეს ან ზღვათა გამოსული, ან ცითა ჩამოსული, ხმელეთზე მატარებელი, წყალთა მორიალეი, მიწრიელ დაულაგმიდითა, გზა უკუღმ გაუბრუნიდითა, ცხვა გუბერნიელ, ცხვა ქალაქელ მააჩვენიდითა, თქვენ ღმერთი გადიდებსთ, გაგიმარჯვებსთა. დაიხსნიდით, დაიფარნიდით ალაღებული მტრისაგანა, ადიდებული წყლისაგანა, მთის ზვავისა, მთის ნაპრალისაგანა, ჭალაის ალთო-ყინულისაგანა. ნუ ჩამოაგდებთ ამათ ეზო-ყურეში მტრის ქვასა, სი-

კვდილის ხმასა, თქვენ ღმერთი გადიდებსთ, გაგიმარჯვებსთა. ძალთაგან ძალ ნუ მოღრიდითა, სწორთაგან - სამართალი, ამათა ამჯობნიდითა ამათ მტრისასა. მტერს მიზევდენ, მისწივნიდითა, მოზღვედენ - გამაახრწივნიდითა, შინ მშვიდობა ნუ მოუშალიდით, ველს - გამარჯვება, თქვენ ღმერთი გადიდებსთ, გაგიმარჯვებსთა. ჯვარ დასწერიდითა ცხენსა, ცხენის მხედარსა, კაცსა, საქონელსა, ორფეხსა, ოთხფეხსა. ქალს, ქალწულს უმატიდითა, ფურს, ფურის ხბოს უმატიდითა, ცხვარს, ცხვრის კრავს უმატიდითა, ჯვარ დაუწერდით ხარსა, ხარის ნახნავსა, ფურსა, ფურის ნაწველ-ნადღვებსა. ნაქადებს არ გიმტყვნიანთ, ნაძახებ გაუგონიდითა, თავის ნამათრახალზედ ლხინის წამალ დაყარიდითა, ცხვათ ნამათრახალზედ შუაკაცად ჩამოუხვიდნიდითა, თქვენ ღმერთი გადიდებსთ, გაგიმარჯვებსთა. იქნებითაც მცველნი, მფარველნი, მშველელნი, მწყალობელნი. სწყალობდეს!”

ამ სადილებელ-სავედრბელის დასრულებისთანავე მხიარული პურობა დაიწყებოდა: კაცები ცალკე დასხდებოდნენ, ქალები - ცალკე. მათ შორის საცეკვაოდ მოედანი რჩებოდა. მზის ჩასვლისას კაცები აიშლებოდნენ, ხუთი მხარგადახვეული ახალგაზრდა წრეს შეკრავდა, მხარი-მხარ გაბმული ოთხი კაცი მათ მხრებზე დადგებოდა და გამართავდნენ ქორბელელას, რომლის შუაში ფანდურით ხელში „მეცხხოვნე“ მოეწყობოდა. წაღმანელი ტრიალითა და „ჯვარულის“ სიმღერით, ქორბელელა საჯარიდან ხატის კარისკენ წავიდოდა; იქ კვლავ წაღმა შემოტრიალდებოდა და დაიშლებოდა.

თუშეთის სოფლებში ათნიგენობები, საკულტო რიტუალების მხრივ, თითქმის, ერთნაირი იყო, განსხვავება ვლინდებოდა საერო წეს-ჩვეულებებში, რომლებშიც გარკვეული რელიგიური-მაგიური რწმენა-წარმოდგენები იყო უკუფენილი

და არსობრივად ადამიანისა და პირუტყვის ნაყოფიერების უზრუნველყოფას ემსახურებოდა.

ქართულ-ნახური ურთიერთობების თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია თიბვასთან დაკავშირებული ხალხური დღეობა (ათენგენობა), რომელსაც ხევსურები და ინგუშები მორიგეობით აწყობდნენ და რომელშიც ინგუში და ქართველი სტუმრების მონაწილეობა საკლებულყო იყო.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 126-147.

აივანა - 1. ჯილდის მსგავსი სახუნელი, მისი სახესხვაობა. ჯილდის სახუნელის ნაწილი - აივანა მხოლოდ ბუდის სიდიდით და ტარის სიგრძით განსხვავდებოდა. აივანას ყურები უფრო გადაშლილი და მაღალი, წინა ცხვირი კი - ვიწრო იყო. მას კავთან და ჯილდასთან შედარებით პატარა ზომის სახნისი უკეთდებოდა. აივანას ტარი უფრო გრძელი იყო. აივანა ისეთ ნიადაგებში გამოიყენებოდა, სადაც მიწა მკვრივი იყო და გვალვას უმკლავდებოდა. ასეთ ნიადაგში აივანას ვიწრო სახნისი ადვილად ჩადიოდა, მას კორდის გასატეხადაც იყენებდნენ. 2. გრძელი ხე, უკანა ნაწილით ოდნავ მოღუნული და მაჭვასთან მიერთებული.

ლიტ.: ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი. აჭარა. პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ნ. მგელაძე. ბათუმი, 2018.

აკვანი (ქართ.) / **არკვანი** / **ონწე** (მეგრ.) / **აკვან** / **ჰენწ** (სვან.) / **აკვანი** || **ავაკანი** (რაჭ., ლეჩხ.) - ჩვილ ბავშვთა საწოლი. აკვანამდე ჩვილი ბავშვი იზრდებოდა ხოჭიქში (იხ.). რწევის პრინციპის მიხედვით

აკვანის სამი სახე გამოიყოფა: უსაგოგავო, მომრგვალებულფეხებიანი და საგოგავიანი. აკვანის ძველი სახეობა ოთხ ფეხზე მდგარი უსაგოგავო საწოლია, ხოლო საგოგავების პრინციპზე შექმნილი აკვნები მომთაბარე ტომებს უნდა გაეკრცელებინათ, რომელიც აღმოსავლეთ სამყაროში ცნობილია ბიშეკის სახელწოდებით. მოგვიანო ხანაში ქართული აკვანი ამ უკანასკნელმა შეცვალა. საქართველოში ძირითადად გავრცელებული იყო საგოგავიან-კამარიანი აკვანი. აკვანის ნაწილებია კამარა-კარბა, სახელური, დირე-გამირი, საგოგავი. სიგრძის დირეს ამკობდა ჩვილის დამცავი ჯვრები, ბორჯდლები, გასხივოსნებული წრეხაზები და სხვა. აკვანის აუცილებელი ელემენტებია - არტახი (იხ.). აკვანზე გადასახვევი ბრტყელი მაგარი ნაჭერი, საბეჭურები - მხრების გასაკრავი, მატყლისაგან შეკერილი მუხლთბალიში, „მირგვალაი ქუდი“ (გუდამ.)//გორგოლი-გვირგვინი (იმერ.) - მიტკალში გამოხვეული თივა თავქვეშ დასადებად (2-3 თვე), რათა ბავშვს თავი და კისერი გასწორებული ჰქონოდა. ნალი - ლეიბი წმ. თივით დატენილი, ჰიგიენური ნახვრეტით და აკვანში ჩასადები მარდსადენი ხის მილით (ბოქმო, შიბაქი (იხ.)). გოგონებისათვის მოგრძო, ბიჭებისათვის კი მრგვალთავიანი, სანთელწასმული და მიტკალგადახვეული. შიბაქთან დაფენილი იყო ანწლისა და ბუერის ფოთლები (ზაფხულში), ზამთარში კი მიტკალი მატყლით. განსაზღვრული ერთი ჩაწვენი-სათვის. ბავშვის აკვანში პირველად ჩაწვენიას ოჯახის უფროსი ქალი აცხობდა გულიან პურებს - ქადა-ტკბილებს, აწყობდნენ ბავშვის თავთან, შუაში და ფეხებთან და ლოცავდნენ ჩვილს. ასევე იქცეოდნენ სახლის გარეთ აკვანის პირველად გამოტანისას. ნამცხვარს არიგებდნენ და უყრიდნენ ფრინველებსაც. სწამდათ, რომ თუ კვრებს მათ შეაჭმევდნენ, ბავშვი მალე აიღვამდა ფეხს. მთის რაჭაში

ახალშობილს პირველად ბებია აიყვანდა, თუ ვაჟი იყო, კერაზე თავს მიაღებინებდა და სახლის ანგელოზს ბავშვის იღბლიანობას შესთხოვდა. შემდეგ მას ღვინოს აჰკურებდნენ - ვაჟკაცი გამოვარო. ბავშვის დაცვის თვალსაზრისით გავრცელებული იყო აკვანზე ავგაროზის დაკიდება. საქართველოში უკანასკნელ დრომდე შემორჩა დიდი სალოცავისადმი აკვნის შეწირვის ტრადიცია. შესაწირავ აკვნებს უმთავრესად ნაყოფის მომცემ მსხლის ან კაკლის ხისაგან აკეთებდნენ. სცოდნიათ ასევე ვერცხლის მინიატურული აკვნის შეწირვაც. წესად ყოფილა იღბლიანი აკვნის განათხოვრებაც. ხევსურეთში, გვარს გარეთ აკვნის გატანა იკრძალებოდა აგვარეულოს ბედ-იღბლის სხვა გვარზე გადასვლის შიშით.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე-ლომია. ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან ქართლში // სსმმ. ტ. IV, 1953; ს. მაკალათია, მთის რაჭა. 1971; ლ. ბედუკიძე. ხის ავეჯი რაჭაში // სსმმ., XLII B, 1997.

აკვეთილი ღვებები - სამეურნეო საქმიანობისათვის უქმე ღვებები უხვი მოსავლის მისაღებად აღთქმული. მაგ., ორშაბათი აღდგომიდან ამაღლებამდე, ზოგან მარიამობამდე ალკვეთილი იყო სეტყვისგან ნათესის დასაცავად; პარასკევი და ოთხშაბათი ღვთის სადილებლად, ხვნიდან მკის გათავებამდე საუქმო იყო.

ლიტ.: ჯ. რუხაძე, ქართლი, II, 2011:141-148.

აკიდო - 1. მოკლედ აჭრილი ვაზის წყვილ მტევნიანი რქა; 2. სიმინდის წყვილი ტარო, ფუჩეჩით შეკრული, 3. ტირიფის წნელზე ასხმული ყურძნის მტევნები ზამთარში შესანახად.; 4. აკიდო - ვაზის ჯიში. საჯავახოს რაიონში.

აკიდო საჯავახოს სოფელ ამაღლებაში ხარობდა, აგრეთვე სამეგრელოს სოფლებშიც კინჩხა, გორდი, ნახუნევო და სხვა. კახეთში, ქართლში ყურძნის კრეფის დაწყებამდე პირველ რიგში ჩხის ან აკიდოს სახით იმ ვაზს აჭრიდნენ, რომელიც ამა თმ იმ წმინდანისათვის ჰქონდათ სახელდებული, შეთქმული - ოღონდ ნუ დამისეტყვავ და ჭირში ნუ მომახმარო. აკიდოს სანამ სალოცავში არ დაკიდებდა ოჯახის უფროსი კაცი, ვაზის ხელის ხლება აკრძალული იყო. პირველად მოკრეფილი ყურძენი სალოცავს ეკუთვნოდა.

აკიდო ვაზის ორმტევნიანი რქის სახელწოდებაა. აკიდო ზოგადად, რქის სახელი სხვადასხვა იმის მიხედვით, თუ როგორ ასხია მტევნები. აკიდო ისეთი რქა არის, რომელსაც მტევნები წყვილად ასხია (ქართ. კახ. ქიზ. იმერ.). ლეჩხუმში მას „აკიდონი“ ჰქვია. სულხან-საბას განმარტებით, „აკიდო (არის) ხილი ერთად შებმული.“ მრავალმტევნიანი რქის სახელწოდება შემდეგნაირია: ჩხა (ქართლ. კახ. ქიზ. ლეჩხ.); გრჯღა (კახ.); ჯღა (ქიზ. ლეჩხ.); ჯაგანი (კახ. იმერ.).

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ... თბ., 1978:30-32; სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1991:43; ქართ. ეთნ. ლექს. 2009:11; ერ. ნაკაშიძე, მევენახეობა-მეღვინეობა..., 1929:25:33; ნ. თოფური, მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები კახეთში, მსე XXI, 1981:124.

აკიდონი (რაჭ.) - ხილის ან ყურძნის ჯაგანი, ასხმულა, - აკიდო.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005; გაზეთი „კომუნისტი“, № 88, 1967.

აკლდამა - მიცვალებულთა განსასვენებელი ქვის ნაგებობა, როგორც მიწის ქვეშ, ასევე მიწის ზევით. ხალხური ქვითხუროობის პრაქტიკაში აკლდამური განსასვენებლის მნიშვნელოვანი ძეგლებია შექმნილი. აკლდამური განსასვენებლების შენებას განაპირობებდა სათანადო ტრადიცია, ეკონომიკური შესაძლებლობა და ქვითხუროობის მაღალი დონე. ეთნოგრაფიულ ყოფაში აკლდამური განსასვენებლის საუკეთესო ნიმუშებია დაცული ქვითხუროობით განთქმულ ცენტრებში დასავლეთ საქართველოში - ჭოგნარში, ითხვისში, მანდაითში, ჯიხაიშში და სხვაგან. უძველესი აკლდამური სამარხების საუკეთესო ნიმუშები აღმოჩენილია მცხეთაში.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში. თბ., 2001.

აკო (ფშ., ხევსურ., მოხ.) - ბელის ერთ-ერთი დანაყოფის სახელია (თვალი, ხარო, ხვიმირა, საგვერდული). დანაყოფი თვლები გამოიყენებოდა: მარცვლეულის, ფქვილის, გამომცხვარი პურის სათავსოდ, ინახავდნენ ჯამ-ჭურჭელსაც. პირველად მზადდებოდა ღირეები. ჩარჩო იკრებოდა ულურსმნოდ, შვერილის ბუდეებში ჩასმის წესით. ფიცრები ღირეთა ღარებში თავსდებოდა და მჭიდროვდებოდა საჭიკავის საშუალებით. ზოგიერთი აკო წარმოადგენდა ცალკე სათავსს და ოთხ ფეხზე იდგა. ჰქონდა ასახდელი სახურავი. აკოს დასამზადებლად საუკეთესო იყო რცხილა, წიფელი და ცაცხვი. მოხევეთა ყოფაში აკოს სახელდახელო საწოლის ფუნქციაც ენიჭებოდა. გამართავდნენ კარების უკან, აწვენდნენ ახლად დაქორწინებულებს. დამახასიათებელი იყო დიდი ოჯახისთვის.

ლიტ.: ბედუკიძე, ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბ., 1973.

ალაგი ლიხელე („ადგილისათვის, მიწისათვის მიძღვნა“) - ახალწლის ციკლის სვანური წეს-ჩვეულება, „განკუთვნილი იყო ოჯახის ბარაქისა და კეთილდღეობისათვის (ვ. ბარდაველიძე); სრულდებოდა ლიძიენალ ლადელის დღეობაზე. ალაგი ლიხელეს რიტუალის საინტერესო ვარიანტი დამოწმებულია სოფ. ფაყში (ლენტეხის რ-ნი): შუშვამ ღამეს, როგორც კი ოჯახის მამაკაცთა და ბავშვთა ნაწილი დაიძინებდა, უფროსი დიასახლისი გამოაცხობდა სამ კვერს, რომელთაგან ერთი - დიდი ღმერთის სახელობისა იყო, მეორე - ნამგლის ფორმისა (გამოხატავდა ახალ მთვარეს. მას ალაგი ლიხელეს მეორე ლენტეხურ ვარიანტში, რომელიც დღეობა ჩიტობს სრულდებოდა, ღომდულ - „მთვარე“ ეწოდებოდა) და მესამე - კენჭივით მრგვალი და პატარა. გარდა აღნიშნულისა, აცხობდნენ სამ მრგვალ სამქიმიან ლემზირს (იხ.), ამასთან შესაწირავად მზადდებოდა: მოხარშული კვერცხი, საახალწლოდ დაკლული ღორის მარჯვენა ფეხი და გულ-ღვიძლის მარჯვენა ნაწილი, ერთი ჭიქა არაყი ან ღვინო და სანთელი. საცერში ჩალაგებულ ყველა შესაწირავს, გარდა ღვინისა, დიასახლისი მარცხენა ხელში დაიჭერდა, მარჯვენა ხელით კერაზე ცვილს დაყრიდა და ღვინით ხელში კერიის წინ გაჩერდებოდა; რძლებიც კერიის გარშემო განლაგდებოდნენ. უფროსი მანდილოსანი შეუდგებოდა ლოცვას, რომელსაც დამსწრე ქალები ხმამაღლა იმეორებდნენ. შემდეგ ყველა დაიჩოქებდა და ლოცვას გაიმეორებდა იმავე წესით. ლოცვის დასრულებისთანავე, განზე გამდგარი რძლები კერას პირს მოარიდებდნენ. უფროსი მლოცველი, რომელიც კვლავ მუხლმოყრილ

პოზაში რჩებოდა, კერიის პირზე მიწაში ჩაფლავდა სამ პატარა კვერსა და მოხარულ კვერცხს, ისევ ილოცებდა და ღვინოს დალევდა; ბოლოს, წამოდგებოდა და იქ მყოფთ ღორის გულ-ღვიძლს, ფეხის ნაწილებსა და ლემზირებს გაუნაწილებდა.

3. ბარდაველიძის აზრით, „კვერების მიწაში დამარხვით, უნდა მომხდარიყო ციურ არსებათა დაახლოება ღვთაებრივი მიწის ნიადაგთან იმისათვის, რომ მიწა მნათობთა სითბოსა და სხივებს (სინათლეს) ზიარებოდა, მათი ცხოველმყოფელური ძალით განაყოფიერებულიყო და, ამის შედეგად, თავისი წიაღიდან ადამიანთათვის საკეთილდღეო მცენარეები წარმოემზა“.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 119; ვ. ბარდაველიძე. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბ., 1953, გვ. 90-91.

ალაზანი (გურ.) || **ალაზანა** (აჭარ.) -- გურია-აჭარაში გავრცელებული სიმინდის ჯიში. აჭარაში ალაზანას ორი ჯიში იყო წარმოდგენილი: თეთრი ალაზანა - უფრო მეტად დაბლობ ადგილებში ითესებოდა, ბრტყელი მარცვლები ჰქონდა და ბ) წითელი ალაზანა, რომელიც შედარებით ადრე მწიფდებოდა. იგი ქედის რაიონში გვხვდება.

ლიტ.: კ. გვარამაძე. გურული ლექსიკონი // მოგზაური, № 10. 1901, გვ. 946-952; ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი. აჭარა. პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ნ. მგელაძე. ბათუმი, 2018.

ალვანია (ხევს., თიან.) – განსა-

კუთრებით მძიმე ჭრილობისათვის ან მკვლელობის საფასურად აღებული რჩეული ღრამა (3-5 ძროხის რაოდენობით). დაზარალებულს შეეძლო პირდაპირ დაესახელებინა ღრამა (საქონელი, იარაღი თუ სხვა რამ). თიანეთში ალვანია ეწოდებოდა ჯარიმას სახეზე მიყენებული ჭრილობის გამო.

ალთუნა (აჭარ.) - სიმინდის ჯიშია, რომელიც აჭარაში, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს შემოუტანიათ. სიმინდის სხვა ჯიშებისაგან განსხვავებით, იგი დღესაც ითესება.

ლიტ.: ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი. აჭარა. პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ნ. მგელაძე. ბათუმი, 2018.

ალი - ქართული დემონოლოგიის პოპულარული პერსონაჟი (ორივე სქესის. მამრი უფრო ძლიერია). მღვდრობითი სქესის ალი წარმოდგენილი ჰყავთ გრძელი, ოქროსფერთმიანი და თეთრკაბიანი ლამაზი ქალის სახით (სხვა მონაცემით, ალი არის მახინჯი: აქვს საზარელი, სისხლით მოსვრილი თმა, რვალის კბილი, რკინის ქლივი; ჭუჭყიან ტანზე ეკლები ასხია, ახმანია და ფეხმოქცეული); მკვიდრობს ტყეში, კლდეში, უკაცრიელ ადგილებსა და ნანგრევებში; ჩნდება წყლისპირზე: ზის და ოქროს სავარცხლით ივარცხნის ლამაზ თმებს, წყალში იტყუებს მისი მშვენებით მოხიბლულ მამაკაცებს; შესწევს მაქციობის უნარიც: თავის მსხვერპლს ახლობლის სახით ეჩვენება. ალი მელოგინე ქალის, ახალშობილის, ღამის მგზავრის, მთვრალი ადამიანის, დასაქორწინებელი ქალ-ვაჟების ანტაგონისტია (საცოლე ვაჟებთან ინტიმურ კავშირსაც ამყარებს); მთელი ღამე ქანცგაწყვეტამდე დააჭენებს ცხენებს, რომელთაც ფა-

ფარსა და ძუას უწნავს; ეშინია წმ. გიორგის სახელის ხსენების, ცეცხლისა და ნემსის. თუ ადამიანი აღს მოიხელთებს და თმასა და ფრჩხილებს დააჭრის (ან სავარცხელს მოპარავს) და დაუმაღლავს მას ოჯახის ერთგულ მოსამსახურედ გაიხდის, ვიდრე ალი თავის ნივთებს არ იპოვის; თუ იპოვა, სახლ-კარს გადაუწვავს და წავა. ლ. ჩლაიძემ, შეისწავლა რა ირანულ- და თურქულენოვანი ხალხების ამავე სახელწოდების (აგრეთვე, ალ- კომპონენტის შემცველი) დემონოლოგიური პერსონაჟის ნიშან-თვისებები ქართულ ალთან მიმართებაში, სავსებით დამაჯერებლად დაასკვნა, რომ იგი ქართულ პანდემონიუმში აღმოსავლურ სამყაროდან არის შემოსული.

ლიტ.: ე. ვირსალაძე. ქართული სამონადირეო ეპოსი. თბ., 1964, გვ. 111-120; მ. ჩიქოვანი. ქართული ეპოსი. ტ. I. თბ., 1959, გვ. 242; ლ. ჩლაიძე. ქართულ-აღმოსავლური დემონოლოგიური ურთიერთობიდან // მაცნე., ისტორიის ... სერია. 1975, № 1. გვ. 125-133; ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. თბ., 1951, გვ. 97; М. Джанашвили. Картвельские поверья // СМОМПК, 1893, вып. 17, отд. II. გვ. 164-170; М. Г. Марушко. Из области народной фантазии и быта Тифлисской и Кутаисской губернии // СМОМПК, вып. 18, отд. III. გვ. 364-365; М. Г. Марушко. Из области народной фантазии и быта // СМОМПК, вып. 32, отд. III. გვ. 85-87.

ალიზი - 1. ქვიშა-ცემენტის ნარევი ხსნარი, რომელსაც იყენებენ ქვის, აგურის, ან „ბლოკით“ ნაგებობათა მშენებლობისას. 2. გამოუწვავი, მზუზე გამომშრალი ბლოკი, რომელსაც იყენებდნენ საშენ მასალად. მზადდება თიხის, ქვიშის, თი-

ვის ან ნამჯის ნარევისაგან, ხელით ან ყალიბით. ალიზის დამზადება ქართული აგურის ქრის დროს გამოყენებული ყველა წესის თანმიმდევრობით მეორდება. განსხვავება არის საშენი მასალის შეზავებაში.

ანტიკურ ხანაში ალიზი ერთ-ერთი ძირითადი საშენი მასალა იყო. საქართველოში ალიზი ცნობილია ძვ. წ. VI ათასწლეულიდან.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1946; მ. ზანდუკელი, ქართული ხალხური კერამიკა, 1982.

ალილო - საშობაო მისალოცი სიმღერა და საწესო მსვლელობა (ალილოზე სიარული) საქართველოში. შობის წინა საღამოს ახალგაზრდები (ზოგან ისე გადაცმულნი, რომ არ ეცნოთ) ჯგუფ-ჯგუფად კარდაკარ დადიოდნენ და სოფელს ქრისტეშობის დადგომას ულოცავდნენ, რითვისაც ფულისა და პროდუქტების სახით გარკვეულ საჩუქრებს იღებდნენ. ზოგიერთ კუთხეში (მაგაითად, ქიზიყში) ალილოზე მოსიარულები და სახლის პატრონი ალილოს თქმაზე წინასწარ თანხმდებოდნენ („აგაშენოთ, აგაშენოთ ვთქვათ?“ - პასუხი: „თქვით“), რაც იმის ნიშანი იყო, რომ მასპინძელი საჩუქარს გაიღებდა, და ისინი იწყებდნენ სიმღერას:

„ოცდახუთსა და ამ თვესა,
ქრისტე დაბადებულა,
შობაც მობრძანებულა,
ადე, აანთე სანთელი
მამა დაგიდგეს ნათელი ...“

ან:

„ჩიტი ღობეზე შამოჯდა,
იდახოდა ნინო, ნინო
ჭიჭლით ღვინო გამოგვიტა,
შეგეწიოს წმინდა ნინო ...“

ან კიდევ :

„ალათასა, ბალათასა,
ხელი ჩავკარ კალათასა,
ერთი კვერცხი გამოგვიტა,
თქვენი სახლი ბარაქასა.
განა მართლა მთხოვრები ვართ?
ქრისტეს მახარობლები ვართ“.

მილოცვის შემდეგ ოჯახის უფროსი მომლოცველებს დაასაჩუქლებდა.

ლიტ.: ს. მენტეშაშვილი. ქიზი-
ყური ლექსიკონი. თბ., 1943.

ალილოს კოტორი - თუშური საშობაო ქადა, საგანგებოდ დიდი ზომისა, განკუთვნილი მეალილოე ახალგაზრდებისათვის.

ალიყული - ავი თვალის საწინააღმდეგო სათამაშო ჟღარუნა; ჰკიდებდნენ აკვანზე; სილაქის მნიშვნელობა მიუღია იმ მდგომარეობის გამოსახატად კაცს რომ შემოულაწუნებენ და ყურები წვილს, ჟღრიალს დაუწყებს.

ლიტ.: ე. ნადირაძე. ალიყული // ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2012, გვ. 29.

ალკაპი || **ალიკაპი** (გურ.) – 1. ხის აღვირი, პატარა ლაგამი; 2. მოზრდილი ხბოს პირის ასაკრავი, საძოვარზე გასულ დედას ძუძუ რომ არ გამოსწოვოს.

ლიტ.: გ. შარაშიძე. გურული ლექსიკონი // ქართველურ ენათა ლექსიკა. თბ., 1938, გვ. 1-96; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2013.

ალისარჩული - ერთგვარი ჯიშის მცენარე, რომელიც გამოიყენებოდა სამღებრო საქმიანობაში. საგანგებოდ თე-

სავდნენ და მის მოყვანას მისდევდნენ იმერეთში, რაჭაში, კახეთში და სხვ.

ლიტ.: ლ. მოლოდინი. ღებვის ხალხური წესები (წითლად ღებვა) // სსმმ, ტ. 45, 2003-2004.

ალახი - 1. წვნილის ან ღვლერჭის გვერგვი (ზოგჯერ ჯაჭვის ნაწყვეტი), რომელსაც დაღმართში ჩამოსატარებულ დატვირთულ მარხილს უკეთებენ დახურების შესანელებლად, დასამუხრუჭებლად. 2. შუმის კონა, რომლის წვრილი თავები წვნილებისაგან გაკეთებულ გვერგვაშია გაჭედილი.

ალექსანდრული / **ალექსანდროული** - რაჭული შავყურძნიანი ვაზის ჯიში. მცირემოსავლიანია, მაგრამ საუკეთესო ხარისხის საღვინე მასალას იძლევა. მისგან (მუჯურეთულთან ერთად) ამზადებენ ცნობილ „ხვანჭკარის“ ღვინოს.

ალეში (რაჭ.) - მდარე ხარისხის; სუსტი, ძაბუნი. ალეში ღვინო.

ალთამი (რაჭ.) - თივის ბულული, რომელსაც ხის შტოზე ღებენ და ფერდობიდან თრევით ჩამოაქვთ ვაკე ადგილას, სადაც ზვინად დგამენ.

ალიგოდი / **ალიგოტე** - ვაზის ჯიში. აქვს მკვრივი მტევანი. ღვინო დგება ტკბილი და კარგი ხარისხის. ალიგოდი თეთრიც არის და შავიც.

ალიშილა (რაჭ.) - ქსოვილია, – წითელი ნარმა.

ალმურა - წითელყურძნიანი საღვინე ჯიში იყო. იგი მადლარების სახით, ზემო აჭარაში, განსაკუთრებით სოფელ ალმეს მიდამოებში ფართოდ ყოფილა გავრცელებული. სხვა ადგილობრივი წითელი ჯიშებისაგან ალმურაც განსხვავდებოდა,

რის გამოც მას, როგორც უსახელო ჯიშს, ლიტერატურაში, სოფელ ალმეს მიხედვით, „ალმურას“ უწოდებდნენ. ადგილობრივი მოსახლეობა მას „შავი ყურძნის“ სახელწოდებითაც იცნობდა. უსახელო შავი ჯიშები აჭარაში, და მეტადრე ხულოს რაიონში, მრავლად მოიპოვებოდა, რომლებიც როგორც ამპელოგრაფიული ნიშნებით, ისე სამეურნეო ღირებულებებით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ. მაღლარად აღზრდის გამო, ალმურას ვაზები მოუვლელი, ამინდზე უშუალოდ დამოკიდებული და შესაბამისად, მოუსავლიანი იყო. თუ ამინდი დაუდგებოდა, მაშინ იგი უხვ მოსავალს გამოიღებდა. მის მოსავალს მოსახლეობა, ძირითადად, ყურძნად იყენებდა ანდა ბადაგის სახით შესქელებულ ყურძნის წვენს ამზადებდა.

ლიტ.: ქართველი ხალხის... 2018:35; შ. ნიჟარაძე, ქართული ენის... 1971:83.

ალო - 1. გუთნეულის ერთდღიანი მოხმარება; 2. დღიური სახნავი. სასოფლო - სამეურნეო სამუშოების შესრულების დრო საერთოდ, რამეს შესაფერი დრო, სეზონი. მაგ; ვაზის სხვლა „კვირტის გარყევამდე“ უნდა დამთავრებულიყო. ალოს დარღვევას ვაზის დაზიანება, მოსავლის შემცირება მოჰყვებოდა. მაგ; დაუშვებელია ყვავილობის დროს ვენახში შესვლა, მითუმეტეს რაიმე სამუშოს შესრულება.

ლიტ: ლ. ფრუიძე, მევენახეობა... 1974:78-79

ალოსთავი - რაიმე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სეზონი, დრო, მაგ., მოსავლის მოწევა (მკა, კალოობა, ლობიოობა...), - ალოობა.

ალუდები - მიცვალებულის წლისთავი - მკვდრის პატივსაცემად გამართული უკანასკნელი სუფრა თუშეთში;

იმართებოდა ზაფხულში, ათნიგენობების (იხ.) დაწყებამდე. წლისთავის ჯეროვანი გადახდისათვის საჭირო იყო სამი-ოთხი კოდი ქერი სალუდე ფორის დასამზადებლად, ორი-სამი კოდი საარყე მასალა, ორი კოდი ფქვილი პურის გამოსაცხობად, სამი-ოთხი ცხვარი საკლავად, ათი-თხუთმეტი ცხვარ-თოხლი დოდის მონაწილეებისთვის, საკმარისად ბევრი ფული სხვადასხვა ხარჯებისთვის. ყოველივე ამაში ოჯახს ნათესაობა „სანიჭრით“ (ცხვრით, ყველით, ფულით და სხვ.) ეხმარებოდა, რითაც ჭირისუფალს გარკვეული მატერიალური შეღავათი ეძლეოდა. ალუდის გადახდის სამზადისში მთელი საგვარეულო და სოფლის მეზობლობა მონაწილეობდა. ისინი ოჯახს შემის მოჭრა-მოტანასა და ლუდის მოხარშვაში, არყის გამონხდაში, პურის გამოცხობაში და სხვა საქმეში შველოდნენ.

წლისთავის თარიღს ნათესავებს ერთი კვირით ადრე შეატყობინებდნენ: ზოგს ცხენიანად დაპატიჟებდნენ, ზოგსაც - უცხენოდ; დოდისთვის საშუალოდ ოც-ოცდახუთ ცხენს მაინც მოიწვევდნენ (იხ. „სადგინი“); იწვევდნენ მოდალავეებსაც (იხ. „დალაა“).

საალუდებო სუფრის დასრულებისთანავე, როცა სტუმრების წასვლის დრო დადგებოდა, მასპინძლები სოფლის გასასვლელებში ჩადგებოდნენ და სტუმარ კაცებს დიდი სასმისებით გარდაცვლილ მეშაბაშეთა, მექარმუჯეთა, კოდ-მეკოდეთა, მოლხინართა შესანდობარს დაალევინებდნენ.

ალუდების მეორე დღეს მიცვალებულის სოფლელი ქვრივი ქალები „საქვრივოს“ მოითხოვდნენ. ჭირისუფალი ვალდებული იყო მათთვის სუფრა გაეშალა. ქვრივები სასმელით გარშემომყოფებსაც გაუმასპინძლდებოდნენ და თავიანთი ქმრების შესანდობარს ათქმევინებდნენ.

ბოლოს, საამდღისოდ საგანგებოდ მოხარულ ფაფას ოჯახის მეკვლე სახლიდან უკანმოუხედავად გამოიტანდა, გამოიყოლებდა სასმელსაც და მიცვალებულის სულს ახსენებდა; ფაფას კი ბავშვებს აჭმევდა. ჭირისპატრონი „მოსანიჭრეებს“, ანუ იმათ, ვინც ხარჯში ოჯახს სანიჭრით დაეხმარა, სასმელ-საჭმელა გაატანდა, თან გარდაცვლილის პირადი ნივთებიდან რაიმეს უსახსოვრებდა; შინ მისული მოსანიჭრეები მეზობლებს მოიწვევდნენ და მოტანილი სასმელ-საჭმლით მეზობლებს მკვდრის შესანდობარს ათქმევინებდნენ („ვის სახელზედაც ნამცხვარ-ნაღულარი იყოს, იმას შეუნდოსო“). გარდა ამისა, ჭირისუფალი თავის სოფელში ე. წ. „სამეკვლოს“ ჩამოარიგებდა: ხარჯში დაკლული ცხვრის ნაწლავებს დაწნულს მოხარშავდნენ, წვრილად დაჭრიდნენ და, ერთ „საკვამლო კვერთან“ და ერთ მუჭა ბიჭონთან ერთად, ყველა ოჯახს გაუგზავნიდა.

ალუდის ხარჯებიდან მესამე დღეს კვლავ სუფრას გამლიდნენ, სოფლის ქალებს მოიწვევდნენ და ფლასზე უკანასკნელად გამართავდნენ ტირილს. შემდეგ ფლასიდან მიცვალებულის ტანსაცმელსა და ნივთებს ააღაგებდნენ (ამას „ფლასის აღება“ ერქვა) და მკვდრის სახსოვრად გასცემდნენ; მიცვალებულის ცხენსაც გაასაჩუქრებდნენ (იტყოდნენ: „ცხენი დედისძმათ საკუთვნოაო“). ამ ცხენის გაყიდვა არ შეიძლებოდა, იგი ახალი პატრონის ხელში უნდა დაბერებულიყო.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 101-126.

ამალანი (მოხეურ.) – ნადი მშენებლობაში.

ამბაზი (რიგრიგა, ნაცვალგარდა, მოდგამი, ულამი და ა. შ.) - ხვნა-თესვასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაცია.

ერწო-თიანეთში იგი ხარ-კამეჩით და სახვნელი იარაღით მხვნელ-მთესველთა შეიარაღებას გულისხმობდა, რომელსაც საქმის მცოდნე გუთნისდედა ხელმძღვანელობდა და განპირობებული იყო დიდი მასშტაბის მემინდვრეობის არსებობით.

ლიტ: ჯ. რუხაძე, ცოცხალი ისტორიები, 2021:417.

ამბარი (ქართლ.) - წისქვილში დადგმული სამინდე ჭურჭელი, გატიხრული სამად, ხორბლისათვის, ქერისა და სიმინდისათვის; 2. ხის ფიცრებისაგან შეკრული ფქვილისა და მარცვლეულის შესანახი დიდი ყუთი; შედგება ორი ან სამი განყოფილებისაგან. ზოგიერთში ას ფუთამდე სულადი (იხ.) ჩაეტეოდა.

ლიტ.: შ. ძიძიგური. ქართლში ჩატარებული სალექსიკოლოგიო მუშაობის ანგარიში, ქსნისა და ლიხვის ხეობაში // ენიმკის მოამბე. II. Tb., 1937, გვ. 317-324; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ამბოკვარი - ძუძუთა ბავშვის სულის მომვლელი საიქიოში. ხევსურთა რწმენით, სულეთის ღმერთი სულეთის მკვიდრ უსუსურ ბავშვებს აბარებს ამბოკვრებს, რომელთა მოვალეობას მათზე ზრუნვა შეადგენს. ჭირისუფალი სამზეოდან რძეს „სახელს უდებს“ და ამბოკვარს მიმართავს: „ვინც ჩემის ყმაწვილის ამბოკვარი ხარ ამითამც აღუმებ, ამ ასახვრეტიტამც უღობობ პირს, უძუძურობითამც ნუ შეგაწუხებს, უსახვრეტობითამც ნუ დაგაღონებს. შენიმც სახმარია ეს ზისცვარი“.

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940, გვ. 61.

ამგალი (ქართლ.) – 1. „სამწყსო (იხ.) მეზობლად მდგარი“ (საბა); მომიჯნავე; 2. ქვემო ქართლში დიდი გუთნით ხვნასთან დაკავშირებული კოლექტიური შრომის ფორმა ხვნადღებების განაწილების ნორმირებული, დიფერენცირებული სისტემით. ყოველი წევრის მონაწილეობის ანაზღაურება ხდებოდა ალოებით (1 დღის ხვნა), მისი ამ ამხანაგობაში სახვნელი იარაღით, გამწევი ძალით თუ პირადი შრომით მონაწილეობის შესაბამისად (იხ. მოდგამი). გარდა ამგალისა, აქ დიდი გუთნით ხვნასთან დაკავშირებული კოლექტიური შრომის ამ ფორმის აღსანიშნავად იხმარებოდა ტერმინი მოდგამი. მოდგამი, განსხვავებით ამგალისაგან, გულისხმობდა იმ შემთხვევას, როდესაც სახნავად ერთიანდებოდნენ ნათესავები.

ლიტ.: სტ. მენტეშაშვილი. ქართლურის სალექსიკონო მასალა (ალგეთის ხეობა). ივე, XVII. Тб., 1970, გვ. 251-282; Геладзе Т. Формы коллективного труда в земледелии Восточной Грузии. 1987.

ამინაის ჩამავლევა (ხევს.) - იხ. „ამინი“.

ამინის დაცემა (ხევს.) – იხ. „ამინი“.

ამინი - სული, რომელსაც, ქიზიყელთა რწმენით, ნატვრისა და წყევლის ახდენა შეუძლია; ასეთივე რწმენისანი არიან თუშებიც და ხევსურებიც: როცა ვინმე უსიამო ამბავს ყვება, იტყვიან: „ამინამ არ ჩამაიარას“, ე. ი. არ ახდესო. ხევსურეთში გავრცელებული წესის თანახმად, ახალწულის სადღეგრძელოს დაღევის შემდეგ, თითო სასმისს ჩამოატარებენ და „ამინ გაუმარჯოს“-ო იტყვიან, რასაც „ამინაის ჩამავლევა“ ეწოდება; როცა ვისიმე ზარალი გაუხარდებათ, ეტყვიან: „ეგრემც მოგივა“-ო, ე. ი. „ამინს დაუცემენ“.

ლიტ.: ს. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943; ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005; ე. თათარაიძე. დემონოლოგიური თქმულებები აღმოსავლეთ საქართველოს მთაინეთში. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998, გვ. 90.

ამლახუ (აფხაზ.) - ყურძნის ჯიში, მარცვალ მონათალი მიხაკის ფერი, ხანდახან მუქ ფერზე გადადის. სურნელოვან, მუშხუნა ღვინოს იძლევა. მოსავლიანობა დიდი არ იცის. გვიან ოქტომბრის ბოლოს მწიფდება. მისი წარმოშობა თავად ამილახვარს უკავშირდება, რომელსაც ეს ჯიში ქართლიდან აფხაზეთის მთავართან გაუგზავნია. არის სხვა ვერსიებიც.

ლიტ.: ერ. ნაკაშიძე, მევენახეობა-მეღვინეობა..., 1929:55.

ამულეტი - საგანი, რომელსაც მორწმუნე ატარებს უმთავრესად ყელზე ჩამოკიდებულს ავი თვალისა და ავი სულისაგან თავდასაცავად. მსგავსად სხვა ძველი კულტურული ხალხებისა, საქართველოშიც ამულეტების ტარების ტრადიცია უძველესი დროიდან მომდინარეობს და ფეტიშიზმსა და მაგიას უკავშირდება. უსულო საგნების მიმართ თაყვანისცემა და მათთვის ზებუნებრივი ძალის მინიჭება დამახასიათებელია რელიგიის განვითარების ნებისმიერ სტადიაზე მყოფი ადამიანისათვის. ამ ჩვევების ადრინდელი ფესვები კარგად იძებნება არქეოლოგიურ ძეგლებში. ამულეტებად გამოყენებული ქვის საკიდები ჯერ კიდევ ზედა პალეოლითის ძეგლებშია დამოწმებული. ფუნქცია-დანომნულების მიხედვით ამულეტები არსებობს ავი თვალის საწინააღმდეგო, მოსავლის დამცავი, სამკურნალო,

სიუხვისა და კეთილდღეობის მომტანი. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია ამულეტების შემდეგნაირი კლასიფიკაცია. 1) ამულეტები, რომლებიც მიეკუთვნება ორგანულ ბუნებას (ადამიანისა და ცხოველთა სხეულის ნაწილების გამოსახულებები, მაგ. ხელი, ფეხი, კბილი, ეშვი) 2) არაორგანული ბუნების ობიექტები (ქვების, ნიჟარების, მძივებისგან გაკეთებული ამულეტები). 3) მატერიალური და სულიერი კულტურის ამსახველი ნივთები (რკინის ნაკეთობები, ქსოვილები, მაგიური სიტყვები, შელოცვები).

ლიტ.: ე. ნადირაძე, მსოფლიო რელიგიები. თბ., 2001.

ამქარი - ერთი და იმავე ხელობის ხელოსნურ-ვაჭრული გაერთიანება. სიტყვა „ჰამქარ“ მომდინარეობს სპარსულიდან და ნიშნავს თანამოსაქმეს. განვითარებულ შუა საუკუნეებში ხელოსანთა ასეთ კორპორაციას ეწოდებოდა „თაბუნი“, XVII-XVIII სს. - „ასნაფი“, ხოლო XIX საუკუნიდან „ამქარმა“ მოიკიდა ფეხი. ხელოსანთა გაერთიანებანი საქართველოში დასტურდება VI ს. ისეთი მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლის მიხედვით როგორცაა „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, უცხოური ასნაფის დამკვიდრებამდე, ხელოსნური გაერთიანების აღმნიშვნელად საქართველოში იხმარებოდა „ოფიკალი“, ხოლო მასზე ადრე „მუშათუხუცესი“, „ხელოსანთა მომგე“ და „ზედამდგომელი“, რომლებთაც სხვადასხვა სახის მოქმედება ევალებოდათ „საქმის მოქმედთა“, ანუ „მუშაკთა“ მიმართ. საკუთარი ამქრული გაერთიანებანი ჰქონდათ: კალატოზებს, დერციკებს, ჭონებს, ხარაზებს, მეთულუხჩეებს, ბაზაზებს, მეუნაგრეებს, მეთუნუქეებს, მეპურეებს, ხუროებს, დურგლებს, მეთუნეებს, მჭედლებს, ოქრომჭედლებს, მეაგურეებს, თერძებს, მესპილენძეებს და სხვათა. ამ-

ქრის სრულუფლებიანი წევრი იყო მხოლოდ ოსტატი, რომელსაც ჰქონდა თავისი სახელოსნო იარაღები და ნედლეული. იგი იყო მწარმოებელი და ვაჭარ-გამყიდველიც. ამქრის არაწევრს ეკრძალებოდა ქალაქის ფარგლებში მუშაობა. ამქარს სათავეში ედგა უსტაბაში (ოსტატთა თავი), ხოლო მისი მოადგილე იყო აღსაჰყალი. ამქრის უსტაბაშს ირჩევდა და წესდებას ამტკიცებდა ამქრის საერთო კრება. ამქრის წოდებრივი ორგანიზაცია სამსაფეხურიანი იყო: ოსტატი, ქარგალი, შეგირდი. ოსტატი როგორც მუშა და მასწავლებელი თავის ხელოსნურ გამოცდილებას შეასწავლიდა შეგირდს, რომელიც გარკვეული ხნის შემდეგ იწყებდა ქარგლობას ანუ ნაწილობრივ დამოუკიდებელ მუშაობას, ხელობის სრული დაუფლების შემდეგ იგი ოსტატისაგან დამტკიცდებოდა. თავისი მასწავლებლისაგან მიიღებდა ერთ ხელ სახელოსნო იარაღებს და ამის შემდეგ სრულუფლებიან ოსტატად ითვლებოდა. თითოეულ ამქრულ ორგანიზაციას გააჩნდა თავისი ფირი და დროშა, რომელზედაც გამოსახული იყო ამ ხელობათა მფარველი ღვთაებანი. ამქარს ჰქონდა საკუთარი საერთო ხაზინა, საიდანაც ფული გაიცემოდა ამქრის თითოეული ხელმოკლე და გაჭირვებაში ჩავარდნილი წევრის სასარგებლოდ. ამქრული ორგანიზაციის მკვლევართა აზრით, ქართული მასალეების სიჭარბე მნიშვნელოვანი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ ამქრული ორგანიზაციები საქართველოში - ქართულ ნიდაგზეა წარმოშობილი და თავის მძლავრ განვითარებას X-XI ს-ში მიაღწია.

ლიტ.: პ. გუგუშვილი. ამქრული ორგანიზაციები // ქსე ტ.1. 1975; შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. II, თბ., 1983.

ანდაბი || ანდაფი - ხევსურული საგვარეულო სასაფლაოს უმცირესი სტრუქ-

ტურული დანაყოფი - უახლოესი ნათესაური გაერთიანების - მამების - სასაფლაო ადგილი. ანდაბთა გაერთიანება შედარებით მსხვილი ნათესაური ერთეულის, ე. წ. ძირის, სასაფლაოს ქმნის, ხოლო ამ უკანასკნელთა გაერთიანება - საგვარეულო სასაფლაოს.

ხევსურული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, საიქიოში გარდაცვლილ ახლო ნათესავთა საერთო სამკვიდროდაც ანდაბი ითვლება. ხევსურული სახელდების ყველა ტექსტში ნათქვამია: „საცა შენ სულ მაივსენების (იტყვიან მკვდრის სახელს - ნ. ა.), შენ საცა ხარ, შენ ანდაბ ას“, ან კიდევ: „სადაც შენ ხარ გიგიავ, შენ სამყოფოი ას შენ ანდაფი“. ამ შეხედულებებს კარგად ასახავს საიქიოს გახილვის მაგალითები, სადაც აღწერილია, თუ როგორ მიჰყავდათ გარდაცვლილ ნათესავთა სულებს - მგებრებს (იხ.) - ახალსული მის ანდაბში.

ლიტ.: დ. გიორგაძე. წარმოდგენები საიქიოზე ხევსურეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXI. თბ., 1981, გვ. 139; რ. ხარაძე. ხევსურული „ძირი“ და „გვარი“ // მიმომხილველი. I. თბ., 1949, გვ. 198.

ანდაზი - თარგი, ქვის რთული ორნამენტის შაბლონი, ფიცრის ან თუნუქისგან გამოჭრილი, არის სხვადასხვა სახის.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2013.

ანდაუიმ ლემზირ-ი („მწყემსის პური“), **მენნიამ ლემზირ-ი** („საქონლის მკვებავის პური“), **მემგალიამ ლემზირ-ი** („ძროხის მწველელის პური“) - სვანური რიტუალური ყველისგულიანი პურები, რომლებსაც ცხუმარლები შობაზე

(ქრისდემ) და ე. წ. ემხჷამ-ზე (31 დეკემბერი) დილაადრიან აცხობდნენ. ოჯახის უფროსი მამაკაცი (ქორჷ მახჷმ), კჷანჭილებით (მცირე ზომის ყველიანი კვერები) ხელში სგირის (სახლის ქვემო სართული - მაჩუბი) აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან მივიდოდა, მწყემსი (ანდაჷ), საქონლის მკვებავი (მენნი) და მწველავი (მემგალ) შესაბამისად სგირის სათივესთან (ლაშდჷრ), ხარებისა და ძროხების ბაგებთან (ლალიჷრ) გაჩერდებოდნენ, თავიანთ პურებს ბარბოლს (ემხჷამზე - დჷლ ემხჷმიმს) შესწირავდნენ და ევედრებოდნენ: ქორჷ მახჷმი - წვრილფეხა საქონლის გამრავლებას, მენნი - მსხვილფეხა საქონლის გამრავლებას, მემგალი - მეწველი საქონლის ბარაქას და ანდაჷ - ყველა საქონლის გამრავლებას. ლოცვის შემდეგ, ეს უკანასკნელნი ხმის ამოუღებლად და უკან მოუხედავად თავიანთ ლემზირებს იქვე შეჭამდნენ, ხოლო ქორჷ მახჷმი კჷანჭილებს ჩამოურიგებდა ოჯახის წევრებს, რომლებიც მათ ხმაამოუღებლივ უნდა შეეჭამათ.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 47-48, 86.

ანეული - ზაფხულის ნახნავი საშემოდგომო ხორბლის დასათესად. ანეულის ხვნა ძირითადად, დამახასიათებელი იყო ქართლ-კახეთის ბარისათვის. აქ მეურნეობის წამყვანი დარგი მიწათმოქმედება იყო, რომელშიც ერთ-ერთი ძირითადი ადგილი მარცვლეული კულტურების მოყვანას უჭირა. ცნობილი იყო საგაზაფხულო ხვნა („ახალთესლი“ - ქართლ-კახეთი, „ქერობა“ - მესხეთი), ზაფხულის ხვნა („ანეული“ - ქართლ-კახეთი, „თერძვა“ - მესხეთი) და საშემოდგომო ხვნა - „ნაომი.“ ანეულის ხვნა იწყებოდა მაისის ბოლოდან და მთელი ივნისის გა-

ნმავლობაში გრძელდებოდა. ანუღად იხვნებოდა ნასვენები მიწა. ანუღად მოხნულ მიწის ნაკვეთს შემოდგომით აომავდნენ, ე. ი. მეორედ მსუბუქად მოხნავდნენ და მოთესავდნენ. მიწათმოქმედების რთულ სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ანუღს ენიჭებოდა. ურწყავში თითქმის სულ ანუღად ხნავდნენ, რადგან ანუღად მიწა ღრმად იხვნებოდა და დათესილი ყანა ადვილად იტანდა გვალვას. თავის მხრივ, ღრმად ხვნა დიდი გუთნით მუშაობას მოითხოვდა.

ანუღი დასვენებული მიწაა. ამ ხერხს ხშირად მიმართავდნენ. ზაფხულში ნაპურალ ყანას მოხნავდნენ და გაზაფხულამდე დატოვებდნენ დაუთესავს. ასე არა მხოლოდ მიწის დაფშვნა-გაფხვიერებას აღწევდნენ, არამედ ბალახისა და მომკილი პურის ფესვები ამობრუნდებოდა და ზამთრის ყინვისაგან მოიწვებოდა, ხოლო ქვეში მოქცეული პურის ძირები და ბალახი სასუქად გამოადგებოდა ნიადაგს, გაანოყიერებდა. ანუღს გაზაფხულზე ისევ ხნავდნენ და მასში თესავდნენ სიმინდს. ანუღს საინგილოში ჭირაქი ეწოდებოდა. აქ სახორბლე ყანის საანუღო ხვნას 3-4 წელიწადში ერთხელ მიმართავდნენ.

ანუღი ხვნის პროცესია ბარულ მიწათმოქმედებაში, ანუღის მიწის შესამზადებლად, გასაფხვიერებლად ჯერ გაზაფხულზე მოხნავენ, მკათათვეში „გათერძილს“ ისე მოხნავენ, ანუ გაოშვენ, სექტემბერში უკვე ხორბალს მიაბარებენ... ანუღად ხნავენ მეტწილად ზვარეში. ზვარე იმ ადგილ-მამულს, ტყეს ეწოდება, რომელიც სამხრეთით მდებარეობს და მზე დასცქერის. ანუღზე სხვა მოსაზრებებიც არსებობს, მაგ.: იგი ზაფხულის ნახნავს ნიშნავს (სულხან-საბა).

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურ., 2011:33-34; მ.

ბოკუჩავა, ინგილოთა ყოფისა და კულტ... 2017:43; ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება..., 1960:422; გ. ჩიტაია, შრომები, ტ. 1, 1997:63, 74.

არგილი ანგლოზ (ლენტ.) – „ადგილის ანგელოზი“ - სვანური მეზერის (იხ.) ერთ-ერთი სახელწოდება.

არგილი ბაყაყი (ლენტ.) – „ადგილის ბაყაყი“ (იხ. „მეზერ“).

არგილი ვიჯ (ლენტ.) – „ადგილის გველი“ (იხ. „მეზერ“).

არგილი ნახჯლ (ლენტ.) – „ადგილის მისართმევი“ - ჯრგილი ანგლოზისთვის შესაწირი კვერი (იხ. „მეზერ“).

არგილი შდუგვ (ლენტ.) – „ადგილის თაგვი“ (იხ. „მეზერ“).

არვარგია - იხ. „სანამალეო“.

ანტე - ანტიქრისტე, მაცხოვრის ღვთაებრივ საქმეთა ანტაგონისტი ძველქართულ ხალხურ რწმენა-წარმოდგენათა მიხედვით. ამ წარმოდგენათა თანახმად, ანტე, რომელიც მომავალში უნდა დაიბადოს, მაცხოვრის ანტიპოდი იქნება: მახინჯი, არაადამიანური გარეგნობის, არაჩვეულებრივად მაღალწვივებიანი (იოანე-ზოსიმე. კალანდაი. III. მთოვარისა ბედნიერება და უკუღმართობა...“). მაღალწვივებიანი ანტეს შესახებ წარმოდგენის ილუსტრაციაა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტრიქონი, რომელშიც ნათქვამია: „ ქვითა დავჰლენეთ წვივები, ჩვენ იგი გავაანტენით“ (ე. ი. ანტედ ვაქციეთ, ანტეს დავამსგავსეთ). ტარიელმა და ფრიდონმა თავიანთი მტრები ანტეს იმით დაამსგავსეს, რომ მათ წვივები დაულეწეს (ხალური შეხედულებით, მომავალში ანტე წვივებდალენილი უნდა დაღუპულიყო). შ. რუსთაველმა, რა თმა

უნდა, კარგად იცოდა, რომ ანტიქრისტე უნდა მოკვდეს არა ისე, როგორც ქრისტე გარდაიცვალა, - მაცხოვარმა პილატესა და მრავალ სხვა თვითმხილველთა გასაკვირად, წვივების დაღეწვის გარეშე განუტევა სული (მარკოზი. XV, 44), „... რაფთა წერილი აღესრულოს, ვითარმედ ძვალი მისი არა შეიმუსროს“ (იოანე. XIX, 36).

ახალი „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტში საქართველოში თემურ-ლენგის შემოჭრის აღწერას წინ უსწრებს მისი წინაპრის - ჩინციზ სამარყანელის - უწმიდური, სატანისეული ჩასახვის შესახებ ამბის თხრობა. ტექსტის ავტორი ჩინციზ სამარყანელის დედის დაორსულებას ანტესებრივ დაორსულებას („მიდგომილება ანტესებრივი“) უწოდებს და, ამდენად, თემურ-ლენგს ანტიქრისტედ სახავს (თემურ-ლენგს ანტიქრისტეს უწოდებს ძველი სომხური საისტორიო ტრადიციაც). საკითხთან დაკავშირებით, ინტერესმოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ, ძველ ქრისტიანთა წარმოდგენით, ანტიქრისტე უნდა დაიბადოს ქალწულად მიჩნეული მეძავი ქალისაგან (ქრისტეს უმანკო ჩასახვის პაროდია); სხვა ვერსიით, აღქმაგატეხილი მონაზვნისაგან (როგორც განდგომის სამომავლო ხორცმესხმა), ან სისხლადრევიტი კავშირით (ინცესტი). როგორც ჩანს, ძველ საქართველოში ანტეს დაბადება სწორედ ასე ესახებოდათ.

ლიტ.: ნ. ანთელავა. ახალი „ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილის გაგებისათვის („მიდგომილება ანტესებრივი“) // საისტორიო შტუდიები. V. თბ., 2004, გვ. 39-42; ახალი „ქართლის ცხოვრება“. მეორე ტექსტი // „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. Tb., 1965, გვ. 446-448; თ. მეწო-

ფელი. ლენგ-თემურის ისტორია. თარგმანი, შესავალი და კომენტარები პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგისა. თბ., 1937, გვ. 22; შ. რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. პ. ინგოროყვას რედაქტორობით და შენიშვნებით. თბ., 1953, გვ. 412.

ანძა - დიდ ნავზე, ხომალდზე აღმართული საგანგებოდ შერჩეული მაგარი ხის ძელი, რომელზედაცაფრები გაჭიმული და ქარის მეშვეობით ნავი მოძრაობაში მოდის. ძველ ქართულში ანძის შესატყვისი ტერმინებია: „ნაქუსი“, „ცაყე“, „ხალე“, „სახერველი“. ანძა ისმება ნავის ფსკერზე მუხის ხეებისგან გაკეთებულ ბუდეებში და მთელი აქცენტი გადატანილია მის მკვიდრად გამაგრებაზე, რათა მტკიცედ იდგეს ძლიერი ქარის ზემოქმედების დროს.

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი. ნაოსნობა საქართველოში. თბ., 1987.

ანძისფეხი (გურ.) - მსხვილი და გამძლე ხე, საყრდენი, რომელზედაც დგას ოდა სახლის სახურავი. იმერეთში გოგას (იხ.) უწოდებენ. ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2013.

აოდვა (ქართლ.) – 1. პურის მარცვლის დამწიფებამდე ყანის ახმობა ცხელი ქარისგან ან ჩაჭკნობა ახალ ნაწვიმარზე თუ ახალ ნარწყავზე ხვატისაგან; 2. პურის ამრეტა.

ლიტ.: ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე. ქართული დიალექტოლოგია. 1. დიალექტთა განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი. თბ., 1961.

აოშვა - მოსავლიანობის გადიდების ეფექტური საშუალებაა. მეორეჯერ ზეზეურად მოხვნა, ანეულის ხელახლად გადახვნა, გათერძილის ცერად, უფრო შორ-შორ კვალის გავლებით მოხვნა. აოშვა მსუბუქი სახვნელი იარაღით, კავით, ანდა ორხელათი ხდებოდა. მისი დანიშნულება დამწვარი ანეულის აქექვა-აფხვიერება იყო, რომ მასში მოხნულ თესლს გასაღვივებლად მიწის გარკვეულ სიღრმეში მოხვედრა გაადვილებოდა. საქართველოში აოშვა სხვადასხვა მეთოდით იცოდნენ: ნახნავის გასწვრივ, გარდიგარდმო, ჯვარედინად, დიაგონალურად, იგივე აყურით აოშვა, რაც ხელს უწყობდა მიწის სტრუქტურით წარმოქმნა-შენარჩუნებას.

ლიტ.: თ. ოჩიაური, ნიადაგის განოყიერება, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, მასალები, 1980:44; გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, 1960:95; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

აპირი (რაჭ.) - იხ. აბანდო.

აპლადი (ლაზ.) - თევზსაჭერი ბადე, 10-15 მეტრის სიგრძისა. იგება ზღვის ნაპირზე საღამოთი და მისი ამოღება ხდება მეორე დღით.

ლიტ.: ა. თანდილავა. ლაზური ლექსიკონი. მთავარი რედაქტორი მ. ჩუხუა. თბ., 2013.

არაბეული / არაბოული / არაბულა - რაჭაში გავრცელებული ვაზის ჯიში იყო. შავი ყურძენი ჰქონდა, მრგვალი მტევანი; მოსავალი - მცირე. ღვინო კარგი დგებოდა. ზოგჯერ ალექსანდრეულთან ერთად აყენებდნენ. ახლა იშვიათად გვხვდება.

ლიტ.: რაჭული ლექსიკონი

არახუტუ | ერამხუტუ - მეგრული ფოლკლორის პოპულარული პერსონაჟი, მიჯაჭვული გმირი - აფხაზი აბრსკილის (იხ.) ორეული. ერთი გადმოცემის თანახმად, არამხუტუ აფხაზი ყოფილა, მამამისს აფიცბა რქმევია. არამხუტუ ადამიანებს იპარავდა თურმე. ერთხელ იგი ჯვარში მოსულა, ქალიშვილი მოუტაცნია და გაეცუულა. ქარდავებს ქრისტეს ხატისთვის შეუხვეწნიათ - არამხუტუს მუხლები მოკვეთე და გოგონა პატრონს დაუბრუნეო. ქალიშვილის მამა და ქარდავები გამოჰკიდებიან მოძალადეს, რომელსაც მუხლების ტკივილი ჩქარა უგრძვნია და მისი სრესა დაუწყია. ამის გამო, მდევარიც ჩქარა დასწევია. ის მოუკლავთ და მოუჭრიათ თავი, რომელიც გრძელ ჯოხზე ჩამოუკიდიათ და მაცხოვრის ეკლესიის კარებზე დაურჭვიათ. აქვე მიუყუდებიან არამხუტუს რკინისწვეტიანი ჯოხი - ლაბამა, მისი საპირისწამლე კი ჯეგეს (წმ. გიორგის) ეკლესიაში ჩამოუკიდიათ (ს. მაკალათია).

ლიტ.: ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 368; ა. ჭანტურია. ეთნოგრაფიული ჩანაწერები. მეგრული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებანი // თსუ შრომები. ტ. 227. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ., 1982, გვ. 230-231.

არაყი - ქართველ მთიელთა საწესო სასმელი, რომელიც, ლუდთან ერთად (აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში), ყველა რელიგიური და საქორწილო წეს-ჩვეულებებისა და მკვდრის რიგის აუცილებელი ატრიბუტი იყო. არყის გამომხდის (გამაწურვის) ხევსურული ტექნოლოგია შემდეგნაირია: საარყედ

ოგვარ ფქვილს - ფორსა (ალაოს) და ნაყრს (მდარე ხარისხის მშრალი ფქვილი) იყენებდნენ. ამ უკანასკნელს ორი დღით ადრე წყალში ჩაყრიდნენ და მეორე-მესამე დღეს „ამააღლებდნენ“, გაანელებდნენ, კოდში (ასილაში) გადაასხამდნენ, საფუარსა (ხაშს) და ფორსს დაუმატებდნენ და მჭიდროდ დახურავდნენ. იგი სამი დღის განმავლობაში „იფუილებდა“ და როცა დადგებოდა, ასაღლებლად საარყე ქვაბში გადმოსხამდნენ; დუღილის პროცესში ურევდნენ, რათა შიგ მოთავსებული მასა ფსკერზე არ მიმწვარიყო.

არყის სახდელი „ქარხანა“ მოწყობილი იყო შემდგენიარად: ერთმანეთის გვერდით ამოშენებულ პატარა „ყორეებზე“ დადგამდნენ რვლის ყურმატიან (სახელურებიან) ქვაბს. ყორეებს შორის, ხუფიანი ქვაბის ქვეშ ცეცხლს დაანთებდნენ. ქვაბის ზარფუმი (ხუფი) ყელით წყლით სავსე ხის გეჯაში გაყრილ ლულას უკავშირდებოდა. არყის გამოხდისას გეჯაში მდგარ წყალს ხშირად ცვლიდნენ და ყინულსაც უმატებდნენ, რადგან ცივი წყალი ლულას აცივებდა, ხელს უწყობდა ორთქლის არყად ქცევას და მისი ხარისხის გაუმჯობესებასაც.

ადუღებულ საარყე ქვაბს ხუფს დაახურავდნენ, წყალში მოზულილი ნაცრით პირს დაუგოზავდნენ და და არყის გამოსვლას დაელოდებოდნენ. პირველად გამოსულ არაყს წვერის არაყი/წინწვერი/წინწვრის არაყი/წინწარაქალი (<წინ წანაქარი) ეწოდებოდა, ნაბოლოვარს კი - შამანი.

ლიტ.: ალ. ჭინჭარაული. ხევსურული თავისებურებანი. ტექსტებითა და ინდექსით. თბ., 1960, გვ. 215-217.

არდაბი (გლ.) თბილ მარილწყალში გახსნილი ფქვილი, რომელსაც ძროხას ასმევენ ხბოს მოგების შემდეგ.

არგანი - საბჯენი ჯოხი, ხელჯოხი.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, 2005:53

არზანულა (აჭარ.) -- სიმინდის ერთ-ერთი ჯიში.

ლიტ.: ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა). ბათუმი, 1971.

არიფანა - დღეობებისას (ამაღლება, მარიამობა) მწყემსები, ვის პირუტყვსაც აძოვებდნენ, იმ ოჯახებს ჩამოივლიდნენ და სანოვაგეს (ერბოს, კვერცხს, პურს) შეაგროვებდნენ. მერე მინდორში მიჰქონდათ, მოამზადებდნენ და იქვე შეექცეოდნენ, ამას ერქვა არიფანა, საკვების შეგროვებაზე სიარულს, - არიფანაზე სიარული.

ლიტ.: გ. ზედგინიძე, ჯავახური ლექსიკონი, 2014:27.

არკებუზი - ცეცხლსასროლი იარაღი, ფითილიანი თოფის სახეობა, რომელსაც საქართველოში სიათას უწოდებენ. არკებუზი შედგება - კონდახის, ლულისა და ჩახმახისაგან. არკებუზის ჩახმახს წარმოადგენდა ლათინური „ს“-ის ფორმის ბერკეტი, რომლის ერთ ბოლოზე დამაგრებული იყო ფითილი, ხოლო მეორე ბოლო „სასხლეტის“ ფუნქციას ასრულებდა. ვინაიდან „ს“-ის ფორმის ბერკეტს გველის ფორმა ჰქონდა, აქედან გამომდინარე მან მიიღო მეორე სახელწოდებაც სერპენტინი (ლათ.სერპენუს.-გველი), ამ პირვანდელ სახეობებს განეკუთვნება ბომბარდერებისა (იხ.) და კულევრინების შემდეგ. მართალია, სერპენტინის კონსტრუქციამ მსროლელს საშუალება მისცა თავადვე ეწარმოებინა გასროლა (მეორე პირის დაუხმარებლად, რომელსაც ფითილი მიჰქონდა საფალიესთან), მაგრამ

სწრაფსროლით, მიზანში სროლითა და ტყვიის ხვრეტიტი ძალით არკებუზი ჯერ კიდევ შორს იყო სრულყოფილებიისაგან. სერპენტინიანი ჩახმახები შეიქმნა XV ს-ის მეორე ნახევარში, რომლებიც თანდათანობით დაიხვეწა და XVს-ის ბოლოს ზამბარიანი ფითილის ჩახმახების სახით მოგვევლინა, ასეთ იარაღსაც ევროპაში არკებუზს, რუსეთში - „пышаль“.

ლიტ.: ЖУК. А. Б. Энциклопедия стрлкового оружия. Москва. 1998, დ. ჩუბინაშვილი - ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1984. ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

არმანი (ქვ. იმერ., ზ. რაჭა) || **არმანა** (ლექს.) - კედელთან მიდგმული და დამაგრებული ერთ ან ორგანყოფილებიანი, კარებიანი სათავსი ან თარო (მდრ. ბუჯერი ქვ. რაჭა, ზ. იმერეთი). გამოიყენებოდა გამომცხვარი პურისა და ჯამ-ჭურჭლის შესანახად. კეთდებოდა კერის უკანა მხარეს. არმანზე, როგორც წესი, ვარცლი უნდა მდგარიყო. არმანი და ვარცლი ფიგურირებდა წმ. შიოს დღეობის ყველიერის ხუთმა ათის დღესასწაულში: ოჯახის უფროსი აიღებდა ორ კვერცხს, ორ განატეხს (კვერს) და წმ. შიოს შესთხოვდა ოჯახის ბარაქიანობას. ლოცვის შემდეგ კვერცხებსა და კვერებს არმანში ინახავდა. ვარცლზეკი ღვინით სავსე ჭიქას დგამდა. ხალხს სწამდა, რომ წმ. შიო გამოივლიდა და თუ მისი მათრახის კუდი ღვინოში დასველდებოდა, მაშინ ოჯახში დოვლათიანობა დატრიალდებოდა, თუ ჭიქა ცარიელი დახვდებოდა ოჯახს წყევლა არ ასცდებოდა. ეს დღეობა განიხილება იმ დღესასწაულთა რიგში, რომელთა უმრავლესობა ბარაქიანობასა და ნაყოფიერებას უკავშირდება.

ლიტ.: ს. მაკალათია, მთის რაჭა. თბ., 1987; ა. კიკვიძე. „შუა

სახლი“ რაჭა-ლეჩხუმში // ენიმკის მოამბე. ტ. V-VI, 1940.

არნაბი (გურ.) || არნაბა (აჭარ.) – 1. მიწის გადასატანად მოწყობილი ფიცარი; 2. სამიწათმოქმედო იარაღი, რომელიც ხის სახელურიანი რკინის პირისა და მასზე გამობმული თოკისაგან შედგებოდა. ამასთან, იგი ტერასების მოსამზადებლად, დაბარული, დამუშავებული მიწის გადასაადგილებლად - გადასაწევად გამოიყენებოდა. არნაბაზე ორი კაცი მუშაობდა. ერთს არნაბა სახელურით ეკავა და ქვემოთ აწვებოდა, ზოგჯერ ფეხსაც იშველიებდა, ხოლო მეორე არნაბის პირის კიდეებზე მიმაგრებული თოკით მიწას სწევდა, ახვეტებდა. საბას მიხედვით, არნაბი/არნაბი - ბზის გასახვეტი.

ლიტ.: ი. ჭყონია. სიტყვის კონა. საბა-სულხან ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები. სპბ., 1910; ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი. აჭარა. პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ნ. მგელაძე. რედაქტორი რ. მეტრეველი. ბათუმი, 2018.

არნაგი (ლექს., ხევს.) / **არნადი** (ქართლ., კახ., მთიულ., ქსნ ხეობ., ზ. იმერ., რაჭა) – 1. დიდი ხის ნიჩაბი, კალოზე ხორბლის გასანიავებელი ან თოვლის გადასაყრელი; 2. კალოზე ბზისა და ხორბლის სახვეტი ხის იარაღი, ნიჩაბი. საბას მიხედვით, არნადი / არნაბი - ბზის გასახვეტი.

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984.

არტამანი - 1. ხის სამკელი იარაღი; მნაკვის იდენტური იარაღია, რომელსაც

გამოიყენებდნენ აჭარაში „ხასი პურის“ დროს. ეს არის ორი გრძელი ჯოხი, რომლის ბოლოები თოკით მოძრავად იყო გაბმული. სწორედ ასეთ იარაღს, შნაკვის სახელწოდებით რომ იყო ცნობილი, მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმსა და სამეგრელოში, ენდემური პურეულის - მახასა და ზანდურის თავთავის საკრეფად ნამგალთან და ხის დანასთან ერთად იყენებდნენ. 2. არსებობდა ხალხური სამედიცინო ტერმინი - „არტამანი დაადო.“ მოტეხილობის დროს, არტამანის მეშვეობით, მოტეხილ ადგილს სწორ ფორმას უნარჩუნებდნენ და დაზარალებულს ისე შეუხვევდნენ.

ლიტ.: ქართველი მატერი-
ალური... 2011:36; ქართველი
ხალხის ეთნოლ. 2018:42.

არყის გამოხდა - „არაყი არაბულად ოფლს ჰქვიან, ვინადგან იგიცა ქვაბისა ოფლი არს, ხოლო ქართულად არაყსა სახელად იყი ეწოდების“, მისი ბერძნული შესატყვისი „რახი, ერთჯერ გამოხდილს ეწოდების“ (საბა), ე. ი. ქართული „იყი“, არაბული „არაყი“ და ბერძნული „რახი“, სამივე გამოხდის შედეგად მიღებული პროდუქტებია და „სასმელ არაყს“ ნიშნავს. საქართველოში, მეღვინეობის უძველეს ქვეყანაში, არყის წარმოება უშუალოდ მევენახეობა-მეღვინეობასთანაა დაკავშირებული. საქართველოს ბარში არაყს მეტწილად ხილისა და მეღვინეობის ნარჩენებისგან ხდიდნენ, მთაში კი - მარცვლეული კულტურებისგან. არყის გამოხდის ხალხურ წესებს საქართველოში დიდი ტრადიცია გააჩნია. იგი ძირითადად ოჯახის საჭიროებას ხმარდებოდა. ყოფაში შემორჩა ის ხერხები, რომლითაც ქართველი გლეხი ოდითგანვე ხდიდა არაყს. არყის გამოსახდელად ხმარობენ დიდი ზომის სპილენძის ქვაბს, სპილენძისავე

ზარფუმს, ხუფს, გეჯასა დამილს, აგრეთვე სპილენძისასა და რკინის სამფხას. არყის გამოსახდელ ქვაბს დგამენ წყალთან ახლოს, მდინარის ნაპირას, ღია ცის ქვეშ ან საგანგებოდ მოწყობილ ფარდულში. ქვაბში ყრიან მასალას, უმატებენ ცოტა წყალს, რათა ჭაჭა დუდილის დროს ქვაბის ფსკერს არ მიეწვას. ქვაბს ახურავენ ზარფუმს და შეერთების ადგილას გოზავენ ნაცრის ნაზავით ან წყლის ნაზავით. ზარფუმის მილთან შეერთებულია სპილენძისავე მილი, რომელიც გადის ხის, ქვის ან სპილენძის გეჯაში. გეჯაში ჩადის გამდინარე ცივი წყალი, რომელიც აგრილებს მილს, ქვაბი დგას სამფხეზაზე ან დიდი ზომის ქვებზე და შენთებული აქვს ცეცხლი. გამოხდის დროს ქვაბიდან ორთქლი გადადის მილში, გეჯაში მოთავსებული ცივი წყლის საშუალებით ორთქლი კონდენსირდება და წვეთ-წვეთად წარმოქმნილი არაყი ჩადის ჭურჭელში. შესაბამის დროს არყის ჩანაცვლება ღვინის მაგიერ ამ უკანასკნელის ეკონომიკურ ხარჯვას უწყობდა ხელს.

ლიტ.: სულხან-საბა ორბელი-
ანი. ლექსიკონი ქართული. ტ. I.
თბ., 1991.

არყის დადაღვა (ხევს.) - იხ. ღვინის დადაღვა.

ასალი - ცხენის ზურგსა და გავაზე გადასაფარებელი ხალიჩურად ნაქსოვი ანდა აპლიკაციებით გაწყობილი ქსოვილი. ყოფაში გაიგივებული იყო ყაჯართანაც, რომელსაც მხოლოდ უნაგირზე გადასაფარებლად ხმარობდნენ. ლიტერატურაში ასალის მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე „ორთუქი“ (ცხენის გავაზე გადასაფარებელი) და „შატროვანი“. ფეოდალურ საქართველოში გავრცელებული იყო ოქრომკედით ნაქარგი

და ოქროს ან ვერცხლის კლიტებით, ბურთულებით, ზოგჯერ კი ძვირფასი თვლებით შემკული ასალი. ფეოდალურ ხანაში ასეთი მდიდრული ნახელავი ასალები ქართული ოქრომკედლის ნაქარგობის სხვა ნიმუშებთან ერთად თურქეთსა და ირანში გაჰქონდათ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემონახულია ნაქსოვი ასალები, რომელთაც საპატარძლოები უქსოვდნენ საქმროს ნათესავ მამაკაცებს.

ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

ასამთავა () - გობის გასაკეთებელი ხელსაწყო ერთ-ერთი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს მამოძრავებელ ღერძს. ერთი ნაწილით, რომელზედაც რკინის სამთავაა, მიმაგრებულია ფეხზე. მეორე ნაწილით კი, რომელიც უფრო სქელია, გამაგრებულია საგობე ხეში.

ატარი (მეგრ.) - ჯამისმაგვარი ჭურჭელი ცაცხვის ან თხმელის ხისგან ნაკეთები, ხვეწდნენ ჩარხზე. ოჯახში 20-მდე ატარი იყო. ატარს იყენებდნენ ღომისა და პურის საწყობადაც. გამოიყენებოდა XVI-XVII საუკუნეებში ოდიშში, ატარი 0.4 ლიტრს იტევდა.

ავთარი - მაღალი საცერულის სახეობა. ერთგვარი საბრძოლო იარაღი. გავრცელებული იყო ხევსურეთსა და აღ. საქართველოს მთიანეთში. საცერულის ეს სახეობა რკინისაგან მზადდება. ესაა რგოლი, რომელსაც ქვემოთ მხრებიანი აშია აქვს, ხოლო ზემოთ მაღალი წაწვერილი და ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული კბილები. ავთარის კბილების რიცხვი და სიმაღლე ცვალებადია, მისთვის დამახასიათებელია უსწორმასწორო ალესილი კბილები, ამის გამო საცერულის ამ სახეს ლესულაც ეწოდება. ხევსურეთში ლესულას სახედრის ნალისაგანაც ამზადებდნენ. ზომაზე გამოჭ-

რილ ნალს კბილებს გაუკეთებდნენ, შემდეგ ალესავდნენ და საცერულიც მზად იყო. ვინაიდან მაღალი ავთარი ძალზე თხელია, მას ცერზე სწორად დგომა არ შეუძლია, ამიტომ მას ორივე მხრიდან რგოლებს უმატებდნენ.

ლიტ.: გ. ჩიტაია, ხევსურული საცერული, შრომები ტ. II, 2000.

აფრა - მაგარი ტილოს ნაჭერი, რომელიც დამაგრებულია ანძაზე და ქარის ზემოქმედებით ხომალდი მოჰყავს მოძრაობაში. აფრა არის სხვადასხვა სახის, მაგ., ოთხკუთხა, პირდაპირი, ირიბი. უძრაობის დროს აფრა აკეცილ მდგომარეობაშია, ხოლო ქარის ამოვარდნის შემთხვევაში მუზღვაურები გაშლიან აფრებს და სასურველი მიმართულებით მიცურავენ.

აფხაზურა - თეთრყურძნიანი საღვინე ჯიში. აფხაზურას დადებითი თვისებებიდან აღსანიშნავია მისი უხვი მოსავლიანობა, წვნიანობა, დიდი გამძლეობა სოკოვან ავადმყოფობათა (მაგ, ნაცრის) მიმართ. მაღლარების სახით არის გავრცელებული სამეგრელოს მიკრორაიონებში.

ლიტ.: მ. რამიშვილი, გურიის, სამეგრელოს... 1948:123-125.

აფხაზურები//აფხაზური - ფეხსაცმელი. ჩუსტები, წულები, ჭვინტიანი ფეხსაცმელი. შესაკრავად გვერდზე ფართო ყურები აქვს მიკერებული.

ლიტ.: გ. ზედგინიძე, ჯავახური ლექსიკონი, 2014:30.

აფხაზური - ვაზის ჯიში ლეჩხუმში. ნაკლები ხარისხის ღვინოს იძლევა.

აფხაზური მარვალი - იკერებოდა მალისაგან, მაუდისაგან და ბამბანარევი მალისაგან. იგი წვივებზე გამოყვანილი იყო და მუხლებს ზემოთ გაფართოებული;

სარტყელში გაყრილი ჰქონდა ხონჯარი. მას ტოტებს ქვევით მიაკერებდნენ ფეხის ამოსადებ პაჭანიკებს, რომ ტოტი ზემოთ არ ამოწეულიყო.

ლიტ.: მასალები..., 1983:247.

აფხაზური ჩოხა - ძალიან ვიწრო იყო გამოჭრილი, წელში გამოყვანილი, ვიწრო სახელოებს უკეთებდნენ; გულთათები ჩერქეზული ჰქონდა, კალთები, იმერულთან შედარებით, უფრო ვიწრო და გრძელი. მეგრული ჩოხაც აფხაზურის მსგავსი იყო. მასრებს გვერდით ჰკიდებდნენ (ალმაცერად).

ლიტ.: მასალები საქართველოს შინამრეწველობის..., ტ. III, ნაწ. I, 1983:213, 216.

აქსი! / ქსი! (რაჭ.) - შეძახილი ცხვრის გასარეკად.

ლიტ.: რაჭული ლექსიკონი...

აქში (რაჭ.) - შეძახილი ქათმების დასაფრთხობად, - აქშა.

ლიტ.: რაჭული ლექსიკონი...

აშენება (რაჭ.)- ასარვა, მოსარვა ვენახის (იხ. ასათ., 136).

ლიტ.: რაჭული ლექსიკონი...

აღვირი - შეკაზმული ცხოველების სამართავი მოწყობილობა, რომელიც დამზადებულია ტყავის ფართო თასმებისაგან და პირუტყვს ჩამოეცმევა თავზე. ცხენის აღვირს აუცილებლად უკეთდება რკინის მრგვალი ლაგამი (იხ.), რომელიც რგოლებითაა დამაგრებული აღვირზე, ლაგამი ცხენს ამოედება ყბებში და მხედარი მისი მეშვეობით აძლევს მიმართულებას. აღვირს პრაქტიკული დანიშნულების გარდა სამშვენიის ფუნქციაც ჰქონდა

დაკისრებული და მას არცთუ იშვიათად, სხვადასხვა სახეებით ამკობდნენ.

ადი||ადე (ფშ., ხევს.) - ჯვარ-ხატთა ზომორფული იპოსტასი. დვთისშვილთა უმეტესობა ხილულად ამა თუ იმ ფრინველისა თუ ცხოველის ადით ვლინდება. მაგალითად, იაქსარი აბუდელაურის ტბიდან გველის ადით ამოდის და ბროილის ქვაზე ჯდება. ხევსურეთის სოფ. ჯადუს საჯანგეს უნჯის ანგელოზს გველის ადი აქვს, ბატონ სანებას - ღორის ადი და ა. შ.

ლიტ.: ი. ქეშიკაშვილი. ღმერთები, მითები, რიტუალები. თბ., 1990.

ადი (ხევს.) - ბრინჯაოს ყალიბი, რომლის მეშვეობით ჩამოისხმებოდა და ფორმაში მოექცეოდა სხვადასხვა საოქრომჭედლო ნახელავი. ზოგჯერ ადის მეშვეობით ორნამენტი მზადდებოდა ცივი კვერვის მეთოდითაც.

აღკაზმულობა ცხენისა (ქიზიყ. საკმანდი; კახ., ფშ., გურ. შეკაზმულობა; ხევს. მართულობა) - ქართველთა ყოფაში ცხენი უძველესი დროიდან გამოიყენებოდა. მეცხენეობა თითქმის ყველა კუთხეში იყო განვითარებული. ცხენის ჯოგი ჰყავდათ ქვემო და შიდა ქართლში, თრიალეთში, ჯავახეთში, გარე კახეთში, იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში (ვახუშტი). მრავალი მიზეზი არსებობს იმისა, რომ ცხენის აღკაზმულობა, როგორც ერთ-ერთი ძირითადი მომენტი მხედრისა და ცხენის ურთიერთობაში, სრულყოფილად წარმოედგინათ. აკაზმულობის ყველა შემადგენელი ნაწილის ფუნქცია ისეა შემუშავებული, რომ ერთი ნაწილის არასწორმა გამოყენებამ ცხენისა და მხედრის შეუთავსებლობა არ გამოიწვიოს. ამიტომ გათვალისწინებული უნდა იყოს ცხენის ზომები და ზურგის ფორმა. ცხენის აკაზმულობა შემდეგი ნაწილებისგან შედგება: უნა-

გირი, კეხი, უზანგები, აღვირი, საძუე, სამკერდე, თექალთო, საოფლე, გარსაკრავი ღვედები, ბარგის ამოსაკრავი თასმები, გვერდის საყბურები, ფრთები, მოსართავები, ბალიშის მომჭერი, სამუცლე, სამუხლე, საბუზე, საყელო, ავშარა, მათრახი. კარგად აღკაზმული ცხენი, პრაქტიკული საჭიროების გარდა, მხედრის ავტორიტეტულობის მიმანიშნებელიც იყო.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში. თბ., 1973.

ადრეში (აჭარ.) -- საყანე მიწის ნაკვეთი, დასვენებული 4-5 წლით.

ლიტ.: შ. ნიჟარაძე. ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა). ბათუმი, 1971.

აყალო () – 1. თიხის განსაკუთრებული ჯიში, რომელიც მუშავდება და მისგან შენდება კერამიკული ნაწარმი. საჭურჭლე ნედლე მასალას იმერეთში „მიწას“ უწოდებენ, დახელილ მიწასაც „მიწა“ ჰქვია, თიხა კი ეწოდება მხოლოდ გამომწვარ ჭურჭელს-კერამიკას. ზედმეტად „ცხიმიანი“ და ზედმეტად „მჭლე“ მიწა ჭურჭლის დასამზადებლად არ ვარგა, ამიტომ ხელოვნურად ხდება ცხიმიანი მიწის „გამჭლევა“ და პირიქით. საუკეთესო საჭურჭლე მიწად საშუალო პლასტიკურობის მიწა ითვლება. ხარისხის მიხედვით არჩევენ დიდ, საშუალო და მცირე პლასტიკურობის მიწებს. აყალო იზილება როგორც ფეხით, ასევე მანქანითაც. ჭურჭლის დასამზადებლად იმერეთში ორშრიანი „აყალოსა“ და „თირის“ ნარევს იყენებენ. აყალო „წებოიანი“, „ცხიმიანი“, „მსუქანი“, „კეჟური“, „ფიცხი“, „ძარღვიანი“ და ხელში კარგად დამყოლი მიწაა. წითელ-ჭრელი დაჰკრავს, დაზელის დროს კარგად იწელება. აყალო იმის გამო, რომ ნიადაგში ღრმად დევს და წებოვანია, ძნელად სათხრელი მიწაა. თხრის

დაწყებამდე საჭიროა მიწის ზედაპირის გადაცლა 10-50 სმ-ის სიღრმეზე. მიწის ახალი საბადოს აღმოჩენას გარკვეული ცოდნა და გამოცდილება სჭირდება. ყოფილა შემთხვევა, როცა ხელოსანს ამ მიზნით რამდენიმე ორმოს მოთხრა დასჭირვებია. 2. ჭურის მიწა დასავლეთ საქართველოში, ჭურის დასაგოზ-დასაგლესი თიხა. აყალო სამგვარია; ყვითელი, მოწითალო და რუხი. ყველაზე ხარისხიანია ყვითელი აყალო, რომელიც სხვადასხვა ადგილებშია მისაკვლევი და საპოვნი. როცა ასეთ მიწას შეიგულევენ, მოთხრიან ბარ-თოხით, მიიტანენ სახლში და მცირედ დაალობენ. შემდეგ დაყრიან ფიცრებზე (ბრტყელ ქვაზე, თუნუქზე) და დაზეპავენ კეტით, ისე რომ დაუმუშავებელი არც ერთი მონაკვეთი არ უნდა დარჩეს. დაზეპვისას მიწა უფრო და უფრო ყვითელ ფერს ღებულობს და მოქნილი ხდება. როცა ეს პროცესი დასრულდება, აყალოს ნაჭერ-ნაჭერ დაადებენ ბადიმებს და გლესენ კვეჟოს მეშვეობით იმ პროცესამდე, სანამ ჭურისთავზე ოვალური ფორმის სახურავი არ წარმოიქმნება. შემდეგ ზედ წყალს მოამხეფებენ და ხელით გადაგლესენ, ისე რომ ღვინო ჭურში სრულიად ჰაერმეუვალი რჩება. ღია მარნებში აყალოს ყოველ წელს ცვლიან და ზედ აყრიან „ხვარხვალ“ მიწას ან ქვიშას, წყალი რომ კარგად გაატაროს და ამავე დროს, ჭურისთავი დაცული იყოს მზისა და სიციხის ზემოქმედებისაგან. ჭურის მოხდის დროს ჯერ მიწას მოამორებენ, გადაცოცხავენ, შემდეგ ხის ბარით შემოუყვებიან, წრიულად შემოჭრიან, თუ დიდი ჭურია, აყალოს ორ ნაწილად გაჭრიან, გადაიღებენ და შემდეგ მოხდიან ბადიმებსაც.

აყვერება - ხანგრძლივი წვიმების შემდეგ მსუქან, დანეხვილ ნიადაგზე ბოსტნეული, ბალახიც, თამამად ახვითქდება, უცებ ავარდება, ტანს აიყრის, – აყვერდება. აყვერებული ბოსტნეული თამამია, მაგრამ „ძალა ზრდაში აქვს დახარჯული, აბოლუ-

ბულია“, არ ვარგა. ზოგიერთ დიალექტში ამ მოვლენას „აყვირებას“ ეძახიან. „განმარტებით ლექსიკონში“ ფიქსირებულია კახური და ფშაური („აყვირებული მამბნარი“ – ვაჟა) მაგალითებიც, საინტერესოა „აყვირება“-ს სინონიმი „აქუხება“. ამის მსგავსად თვალადელებიც ამბობენ: „ბალახმა დაიძახა... სიმინდმა დაიძახა“-ო. „ქიზიყური ლექსიკონიც“ „აყვირებას“ ადასტურებს („აყვირება, ალაღება“). თვალადურ „აყვირებას“ ეხმიანება ვუკ. ბერიძის „იმერულ და რაჭულ თქმათა სიტყვის კონა“ (ყვერება, აყვერება), მაგრამ არ ჩანს, იმერულია თუ რაჭული, იქნებ ორივეგან ასე ხმარობენ.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი, ტ. 4: წერილებ; თვალადური ქართულის ჭაშნიკი. თბ., 1975.

აშალი (ხევს.) - თხელი სარიტუალო პურები, რომელსაც აცხოვდნენ ხევსურეთში ბავშვის ავადმყოფობისაგან განკურნების მიზნით. ხევსურები ბავშვის ავადობას აბრალებდნენ სალოცავის დობილებს და მათ საამებლად კლავდნენ თიკანს და აცხოვდნენ აშალს. აშალი არის ორმოცამდე თხელი პური, რომლებთაც საწინაოდ ყველიანი ან ხორციანი ქადა უძღვის. აშალს მიიტანდნენ ხატში, დასტურები ამ ძღვენს დააწყობდნენ ხის ტაბაკზე, გაიტანდნენ გარეთ და ხუცესი წარმოთქვამდა ბავშვთა განსაკურნებელ ლოცვას. ამასობაში ერთი დასტური ხმამალა დაიძახებს: „აშალი, აშალი“, რაზედაც ბავშვები ერთ ჯგუფად შეიკვროდნენ და დასტურისგან გადასროლილ პურებს იჭერდნენ.

ლიტ.: ალ. ოჩიაური, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1988.

აშანგელო || შამანგელო (სვ.) - მგლის რიტუალურ მოკვლასთან დაკავშირებით გამართული მამაკაცთა პროცესია, რომელსაც წინ მგლის მკვლელი მიუძღოდა. წინამძღოლს ეკავა გრძელი ლატანი, რომლის წვერზე ნადირის ტყავი იყო დამაგრებული. საწესო მსვლელობის მონაწილენი სოფელს სიმღერით შემოვივლიდნენ და შეჩერდებოდნენ ყველა მოსახლესთან, რომლებიც პროცესიის ხელმძღვანელს თოფისწამალს ან ტყვიას აძლევდნენ.

„მგლის მოკვლისათვის ტყვიისა თუ თოფისწამლის მიცემა, ეჭვ გარეშეა, სიმბოლიურად გამოხატავდა თანამესოფლეთა მონაწილეობას მგლის მკვლელობაში. მაშასადამე, ეს მნიშვნელოვანი დეტალი წარმოგვისახავს ნადირის კოლექტიურად მოკვლის ფორმას. ხოლო ის გარემოება, რომ საწესი პროცესია უშუალოდ ნადირის მოკვლას უკავშირდებოდა (იგი მარტო მგლის მოკვლის გამო იმართებოდა), ამჟღავნებს კოლექტიური მოქმედების პირვანდელ ხასიათს და ამ მოქმედების ობიექტის მნიშვნელობას: როგორც ჩანს, ეს ტოტემური ცხოველის საწესო მოკვლა უნდა ყოფილიყო. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ ტოტემური გადმონამთის განუყრელ ნაწილად ლატანი და მის წვერზე მიკრული მგლის ტყავი გვევლინება, რაც, ვგონებთ, შეუძლებელია ... სვანური დროშის პროტოტიპად არ მივიჩნიოთ“ (ვ. ბარდაველიძე). მკვლევრის აზრით, აშანგელო || შამანგელო დამახინჯებული ქართული „სამგელო“ უნდა იყოს.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. დროშა „ლემ“, მგელი-ძალი // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XII-XIII. თბ., 1963, გვ. 149-150.

აშურა (ხევს.) - რძისა და ფქვილის შეჭამანდი.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

აშურმანი (ხევს.) - ვერცხლის ყაწიმებით მორთული სამხარილლიე, ღვედზე დაკრული ყაწიმები.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

აჩათანა (ფშ.) - ტარმოკლე ნიჩაბი.

ლიტ.: ი. ჭყონია. სიტყვის კონა, საბა-სულხან ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები. სპბ., 1910.

აჩარიქვა (გურ., აჭარ.) - ასო-ასოდ დაჭრა საკლავისა, აჩეხვა.

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. დლომინტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984.

აჩაჩა / აჩაჩი (ქართლ., კახ.) - სახვნელი იარაღი, მსუბუქ სახვნელთა შორის შედარებით რთული კონსტრუქციისა, ჩუთზე (იხ.) ცოტა მოზრდილი და მძიმე, რომელსაც ჩუთისგან გასხვავებით ჰქონდა საკვეთელიც. აჩაჩა გავრცელებული იყო ფშავსა და ქართლ-კახეთში. შედგებოდა: მხრის, ხელნის, ქუსლის, კბილას, ხმალას, სახნისისა და საკვეთლისაგან. აჩაჩის მასალად იყენებდნენ: თელას, იფანს, წიფელს, მუნას. აჩაჩა ძირითად სახვნელ იარაღს წარმოადგენდა ფშავში. აჩაჩის ეს სახეობა უმთავრესად გამოიყენებოდა თხელფენიან სახნავ ადგილებში და ასევე მთის ფერდობ ადგილებზე. ფშავური აჩაჩით ხვნასთან დაკავშირებული შრომითი გაერთიანება „ხელნაცვლობის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. ამ გაერთიანებაში მონაწილეობდა ორი

ოჯახი თითო უღელი ხარით. აჩაჩისათვის საჭირო რკინის ნაწილებიც თითო ნაჭერი შეჰქონდათ და ერთმანეთს დღეების თანაბარი რაოდენობით ეხმარებოდნენ. აჩაჩა ბარის მიწათმოქმედებაში მხოლოდ მეორე რიგის სამუშაოებისათვის (მიწის ხელმეორედ გადახვნა-აომჰვა) გამოიყენებოდა. აქაც შრომითი გაერთიანება („ნაცვალგარდა“ - ქართლი, „ხელნაცვლობა“ - კახეთი) სანაცვლო ურთიერთდახმარებას წარმოადგენდა. თითო წევრი ამ პატარა გაერთიანებაში შედიოდა თითო ხარით და აჩაჩისათვის საჭირო თითო რკინის ნაწილით. აჩაჩის ტიპის სახვნელი იარაღი გავრცელებული იყო მთელ კავკასიაში. ტიპოლოგიურად იგი ენათესავება ძველი აღმოსავლეთისა (შუმერულ, ბაბილონურ, ასურულ) და ხმელთაშუა ზღვის რეგიონის სახვნელებს.

ლიტ.: გ. ჩიტაია, თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, ენიმკის მოამბე, ტ. XI, 1941; გ. ჯალაბაძე, მემინდვრობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 1986.

აჩაჩა ფშაური - სახვნელი იარაღის ტიპი. გავრცელებულია ივრის, ფშავის, არაგვისა და თეთრი არაგვის ხეობებში. სახვნელი იარაღის ნაწილებია: მხარი, ერქვანი, ქუსლი, ხმალა, სახნისი, საკვეთელი. იგი სხვა სახვნელებთან შედარებით (კავი, ორხელა) მძიმე და დიდი ზომისაა. მასში ორი უღელი ხარი იყო შეხმული. ფშაური აჩაჩა მესხური არონას, ქსნური გუთნისა და რაჭული სახვნელის მსგავსად ფერდობის დასამუშავებლად გამოიყენება. მისი „მხრის“ მეშვეობით ხდება ერქვანისა და ხმალას აწევ-დაწევა, რითაც ხდება ხვნის სიღრმის რეგულირება. ერქვანით, გუთნისდედა, კვალის მიმართულებასა და ხვნის სიღრმის

რეგულირებას ახდენს. ერქვანზე დაკიდებული იყო ქარჩი და საფხეკი (გუთნის კბილის გასაწმენდად). ფშაური სახვნელი იხმარება მძიმე მიწების დასამუშავებლად. იგი ოთხმხრიან სახვნელთა ტიპს განეკუთვნება. ფშაურ სახვნელში მებმული იყო ყვარი ხარი (ორი წყვილი). მუშაობის პრინციპი: სახვნელის მხარი ისე იყო მოხრილი, რომ დაბოლოება საძირის უღელზე ყოფილიყო მიბმული, ხოლო განრილობის კუთხეში მოთავსებულ ნაჩვრეტზე გამობმული შოლტკავებით წინა ხარის უღელი უკავშირდებოდა სახვნელს. ფშაურ სახვნელში დასტურდება ხარის შესაბამელი უღლების ზომების ურთიერთმიმართების დაცვა, რაც ფრთიან გუთანზე არის მიღებული. კერძოდ, საძირეში ხარს მეტი ძალა ადგება, ვიდრე სიმძიმის წევის ძალიდან რამდენიმე მეტრით დაშორებულ წინა ხარს. ამის გამო საძირის უღელი გრძელი კეთდებოდა, წინა უღელი კი მოკლე. ეს დაშორება აიხსნება, ერთი მხრივ, იმით, რომ მეხრის მოძრაობა ხართან მუშაობის დროს ადვილდება, მეორე მხრივ, გრძელი უღლით სახვნელი მიწის ზედაპირიდან მოცურდება. გამწევი ძალისა და წევის ძალის ამგვარი განაწილება ხალხის დაკვირვების საფუძველზეა შემუშავებული, რომელიც სხვა ხალხთა სამეურნეო პრაქტიკაში არ დასტურდება.

ლიტ.: გ. ჩიტაია, თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში // ენიმკის მოამბე, XI, 1941; გ. ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წ. // მიმომხილველი, I, 1949. გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 1986.

აჩია (ქართლ.) - ვირი ბავშვის ენაზე.

ლიტ.: ლ. ლეონიძე. მესაქონლეობის ლექსიკონი. თბ., 1925.

აჩირიკება (გურ.) - ცუდად მოხვნა, ზერელედ მოხნული მიწა.

ლიტ.: პ. ჯაჯანიძე. მასალები გურული ლექსიკონისათვის // ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. XVII. 1957, გვ. 509-523.

აჩუა (რაჭ) - მთავარი კოჭი შენობის სახურავისა, - თავზე, საყვავე. აჩუაზე ეწყობა მარწუხები (იხ. მარწუხი).

აცრით რწყვა (ქართლ.) - ქართლში სარწყავი წყალი მცირეა, მიწა კი - გამოგვალული და დახეთქილი, ამიტომ სარწყავი წყალი რომ არ „გიპაროს“, პირდაპირ, მიგდებით რწყვას ერიდებიან, ნაკადელს გზას ბარის წვერით „უცრიან“, უკვლევენ. მიგდებით რწყვა ნაკადელის ერთბაშად, დარუებით მიშვებაა, იგივე დატანით რწყვა. ამგვარად მხოლოდ მაშინ რწყავენ, როცა წყალი ბევრია: ნაკადელს პირდაპირ სანაკადლოდან მიუგდებენ ნაკვეთში, თავისთავად იდინოს და დაიტანოსო.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი, ტ. 4: წერილები. თვალადური ქართულის ქაშნიკი. თბ., 1975.

აწურული რძე - ძროხის მიერ ინსტიქტურად ჯიქნიდან ზევით აწურული, „ხბოსთვის შენახული“ რძე, რომელსაც მწველავი საგანგებო ხერხით გამოსტყუებს ხოლმე.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი, ტ. 4: წერილები; თვალადური ქართულის ქაშნიკი. თბ., 1975.

აჭარულაფ - აჭარული ჯიშის ვაშლი.

აჭარული ყველი - მზადდებოდა როგორც თავმოხდილი, ისე თავმოუხდელი.

ყველი სხვადასხვა სახის იყო: გადაზე-
ლილი, ჩლეჩილა, ლავაში, გორჯოლო,
ფუმტურო, თუმცა, მაინც აჭარულად თა-
ვმოხდილი რძისაგან დამზადებული
ყველი ითვლებოდა.

ლიტ.: ქართველი ხალხის ეთ-
ნოლ. 2018:52.

აჭარული ძროხა - აჭარაში წარმო-
დგენილი ძროხა ქართულ-კავკასიური
მთური ჯიშის მსხვილფეხა საქონელთა
რიცხვს განეკუთვნება, რომელიც გენე-
ტიკურად, ძველი ქართული, კოლხური
ჯიშის მემკვიდრეა. აჭარული ძროხა მო-
მცრო ტანისაა, მკვრივი და მოქნილია,
რთულ რელიეფთან, მკაცრ კლიმატურ
პირობებთან და უხეშ საკვებთან ადაპტი-
რებული და შეხამებულია. ასეთივეა სა-
მეგრელოში ადგილობრივი მთის ჯიშის
ძროხის შერჩევის გზით გამოყვანილი
წითელი ფერის ძროხა, ე. წ. „კვარაცხე-
ლიას წითელი“//მეგრული წითელი. იგი
სახორცედ უაღრესად გამორჩეულია და
რძესაც (16-18 ლიტრი, ცხიმისანობა 4,5-5%
აღწევდა) საკმაოდ ბევრს იძლევა. მან ლე-
ჩხუმსა და გურიაში ისეთი მოწონება და-
იმსახურა, რომ გურული კიღურა და ლე-
ჩხუმური ადგილობრივი ჯიშის საქონელი
მასობრივად ამ ჯიშით შეიცვალა.

ლიტ.: ქართველი ხალხის
ეთნოლ. 2018:52; გ. ელიავა, მხა-
რეთმცოდნის თვალთ, 1996:46.

აჭკვავდომა - განრიდების ინსტიტუტ-
თან დაკავშირებული აკრძალვის მოხსნის
თუშური წესი - რძალ-მამამთილს შორის
ლაპარაკის დაშვება. ოჯახში ახალრძლის
მოსვლიდან სამი ან ოთხი წლის შემდეგ
რძალთან უნძრახად მყოფი მამამთილი
მასთან აძრახვას (აჭკვავდომას) მოისუ-
რვებდა. ამ მიზნით, იგი არყიან ყანწს ასწე-
ვდა და იტყოდა: „კეთილი იყოს ეს ჩვენი
უნძრახობა და ერთმანეთის მოხატრება,

აჭკვავდომა“. მამათილი მეორე ყანწს მიაწ-
ვდიდა რძალს, რომელიც მორცხვად გამო-
ართმევდა და იტყოდა: „გაგიმარჯოს“. ამ
აძრახვაში ახალრძალი მამამთილს წინდას
აჩუქებდა, საპასუხოდ კი მუხლსაფარს ან
რაიმე მცირე საჩუქარს მიიღებდა. შემდეგ
ასეთივე წესით მოხდებოდა აკრძალვე-
ბის მოხსნა დედამთილთან და მაზლთან.
ლიტ.: ს. მაკალათია. თუშეთი. თბ., 1983, გვ.
166-167; გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორ-
გობამდე. თბ., 1987, გვ. 198.

ახალ-ახალ (რაჭ.) - იტყვიან რაიმე
ახალი ხილის პირველად გასინჯვისას.
თან ჭამენ და თან დააყოლებენ: ახალ-ა-
ხალ, ახალ-ახალ, შენ ძველი და სხვა
ახალიო.

ლიტ.: რაჭული ლექსიკონი...

ახალი პური (რაჭ.) - პურის ჯიშია ერ-
თგვარი. (იხ. ჯავახ., ეკ. ისტ., I, 407).

ახალუხი - მამაკაცისა და ქალის შიდა
სამოსელი. მასალად გამოიყენებოდა ბა-
მბის, აბრეშუმისა და შალის ქსოვილები
(ყარამანდულა, სატინი, დიმიკიტონი,
ქიშმირი, ხამი, ნაშური ე.წ. შავი ფართლე-
ული და სხვ. ახალუხი ფორმით ჩოხისებუ-
რია, საყელო დამდგარი აქვს და გულდა-
ხურულია. აქვს სწორი სახელოები, გვე-
რდებში შედგმული კალთებით. ჩოხაზე
მოკლეა, გულისპირზე აქვს ჯიბე, ზოგჯერ
დასარჩულეებულია. სეზონის მიხედვით
ბამბაფენილი და დალიანდაგებული. XIX
ს. II ნახევარსა და XX ს. დასაწყისში სა-
ქართველოში მასობრივად გავრცელდა
სამი ფორმის ახალუხი: 1. ქართული, ანუ
მოკლე ახალუხი, რომელსაც ჰქონდა ნა-
ოჭი და ქართველ გლეხობაში იყო გავ-
რცელებული. 2. ჩერქეზული, ანუ გრძელი
და უნაოჭო, რომელსაც თავადები და წა-
რჩინებულები იცვამდნენ. 3. ქალაქური,
ანუ დომლულიანი, რომელის მომხმა-
რებლები ქალაქის ვაჭარ-ხელოსნები და

წვრილი მოხელები იყვნენ. ახალუხის უმოკლეს ვარიანტად უნდა ჩაითვალოს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გავრცელებული მამაკაცის ტანსაცმლის კომპლექტი - „ჩაქურა“ (იხ.) შესული წელამდე სიგრძის „ზუპუნა“. ძველად მამაკაცის ჩასაცმელ საგარეო ფორმად, კავკასიაში, ჩონა-ახალუხის ერთობა ითვლებოდა. წარჩინებულთა წრეში კი მათ ყოველდღიურად ხმარობდნენ. თუ მამაკაცებში ახალუხს ჩონის ქვეშ ატარებდნენ ქალები მას კაბის შიგნით იცვამდნენ. ქსნის ერისთავის ანას მზითვის წიგნში (1692-1703 წწ.) ორი ახალუხია ნახსენები. ერთი დარაია ბაბთისა, მისის ოქროს ჯაჭვის თვლებით. ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნში (1712წ.) დასახელებულია ცხრა ახალუხი. საქალო ახალუხების ორი ფორმა გვხვდება: ა) გრძელი და წინ ჩახსნილი; ბ) მოკლე და გულდახშული. გრძელი საქალო ახალუხი მამაკაცის ახალუხის მსგავსია: წელზე მომდგარი, კალთაგანიერი, მაღალი საყელოთი, წინ ჩახსნილი და დილ-კილოებით შესაკვრელი. სახელოები სწორი, ზოგჯერ ყოშით დაბოლოებული. მეორე ფორმის ახალუხი მოხევე ქალის კომპლექტშია დამოწმებული. ეს არის მოკლე, გულდახშული და უკან ზურგში შესაკვრელი - უსაყელო და გრძელი სახელოებით. ამ ტიპის საბავშვო ახალუხებს ხევში „კონდოლები“ ერქვათ. ორივე ფორმის საქალო ახალუხები გაფორმების მხრივაც იქცევენ ყურადღებას. მთავარ საშუალებებად გამოყენებული იყო ბუზმენტი და ვერცხმკედით მოქსოვილი ყაითანი. ყაითნით ირთვებოდა ახალუხის ნაპირებთან ერთად ნაკერებიც. კალთებზე იცოდნენ აპლიკაციის წესით სხვადასხვა ცხოველის (ჯიხვი, ცხვარი, ირემი) გამოსახვა. ახალუხი ფართოდ გავრცელებული ტანსაცმლის ტიპია და იგი დიდი ხნის განმავლობაში როგორც კაცის, ასევე ქალის შეუცვლელ სამოსს წარმოადგენდა.

ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი, ქართული გლეხის მამაკაცის კოსტიუმი XIX ს-სა // სსმ ტ. XIX, 1957.

ახალციხურა -- ვაშლის ჯიში.

ახისხურა - ვაშლის ნაირსახეობა.

ლიტ.: ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი, 2018: 53-54.

ახოთურაჲ - მსხლის აჭარული ჯიში.

ახორი -- საქონლის სადგომი, ბაგა, თავლა, გომური, ბოსელი, პირუტყვის ბინა. სახლს მიშენებული საქონლის ზამთრის სადგომი აჭარული საცხოვრებელი ნაგებობის პირველ სართულზე იყო მოთავსებული, ასევე, ბოსელი ზოგჯერ კარ-მიდამიშიც იდგა, რომელიც პირუტყვის სამყოფად იყო გამოყენებული. აღრე, გურიასა და იმერეთშიც სახლს მიშენებული თავლა, ბოსელი გააჩნდა. ახორი დასავლეთ საქართველოში - გურიაშიც იყო ცნობილი. თავად სიტყვა „ახურ“ არაბულია და საჯინიბოს ნიშნავს. თურქულსა და აზერბაიჯანში მან „ბაგას“ მნიშვნელობა შეიძინა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ახორი ქართული არ არის, ბაგას ჰქვია.“

ლიტ.: ქართველი ხალხის ეთნოლ. 2018:55-56; ქართული ეთნოლოგიური... 2009.

ახოს აღება - სახნავისა და სათესი მინდვრის მოპოვება ტყის გაჩეხვის შედეგად; ახალი სათესი მინდვრის მომზადების მიზნით, ტყის გაჩეხვა და გადაწვა, გულისხმობდა ბუჩქნარის გაჩეხვას, დაწვას, ამოძირკვას. სისტემა მოიცავდა ნიადაგის დასამუშავებელ იარაღებს, ნიადაგის თვისებებს, ნაყოფიერებას, კლიმატურ პირობებს, სახნავი ადგილის ზედაპირის ფორმას, ნიადაგის ტენიანობას, ნაკვეთის

მდებარეობას, დაქანებას, პურეულის ჯიშებს, თესლმონაცვლეობას, ახოს გასატეხ იარაღებს - თოხ-წერაქვს, ნაჯახს, ცულს, რკინის კეტს, ცულ-ქარჩებს. დგინდება ახოს ორი მეთოდი: ცეცხლის გამოყენებით და უცეცხლოდ. ახოს არების წესი გავრცელებული იყო სამეგრელოშიც, რომელსაც ჭვარუა და ოჭვარუა ერქვა.

ახოს აღება, ახოს გატეხვა, ახოობა ნიადაგის ათვისების ერთ-ერთი პირველთაგანი წესია მიწათმოქმედების ისტორიაში, რომელიც დღეისათვის ეთნოგრაფიულმა ყოფამ შემოინახა. ტყის ხარჯზე სახნავ-სათესი ნაკვეთის შექმნას (მაგ., მესხეთში) დიდი ხანია აღარ მიმართავენ. ახოს აღება აქაც, ძირითადად საქართველოში (დასავლეთ საქართველოში, მთიანეთში, ქსნის ხეობაში) გავრცელებულ ტრადიციას იმეორებს.

თუ ახოს აღება მესხეთში ნიშნავს ტყის გაჩეხვას და მიწის სახნავად შემზადებას, წლების მანძილზე ექსპლუატაციის გარეშე მიტოვებულ, უკვე ბუჩქნარით დაფარული ნაკვეთის საყანედ გასუფთავებას „კორდის გატეხას“ უწოდებენ. საბა ორბელიანს კორდი განმარტებული აქვს როგორც „უნამუშავრო მიწა.“ კორდის გატეხვის პრაქტიკა ქართველი ხალხისათვის ნიადაგის ასათვისებლად გამოყენებული უძველესი ღონისძიებაა. ახოს აღების მსგავსია მესხეთში „ჰაროსის,“ 6-7 და მეტ წელს მოუხნავად, და უმუშავებლად დატოვებული მიწის მოხვნის წესიც. ქსნის ხეობაში ახოს აღება გაზაფხულით და შემოდგომით სცოდნიათ. მთაში უფრო გაზაფხულით, მთის ძირის სოფლებში - გაზაფხულითა და შემოდგომით. ხშირად, მოჭრილ ხეებს შუამდ გადაზიდვის ნაცვლად, იქვე წვავდნენ ნახშირად. ამისთვის ორმოს ამოთხრიდნენ, დახეთქილ შუშას ორმომი ცეცხლს მოუკიდებდნენ, თანდათან შუშას უმატებდნენ, სანამ ორმო სულ არ ამოივსებოდა ნაღვერდლით. მერე ორმოს გულავ-

დნენ მიწით. ერთ კვირაში ნახშირი მზად იყო. ახოს აღების დროს, განსაკუთრებით, მთაში ქალები კაცების თანაბრად მუშაობდნენ. სამუშაო იარაღები იყო: წალდი, ცული, წერაქვი, ქორჩი, თოხი.

ფშავში სახნავი ფართობის გაზრდა ხდებოდა ტყის გატეხვის - მოახოების შედეგად, რასაც „ახოს გამოღებას“ უწოდებდნენ. მოახოებულ მიწას ქარჩით გადაქორჩავდნენ და შემდეგ ქვებისაგან გაწმენდნენ. ამ პროცესს „სახნაურთ გაღორღვა“ ეწოდებოდა. „სახნაურთ გაღორღვა“ მიწის მოხვნა-თესვის თანამდევ პროცესი იყო და მეტ-ნაკლებად მიწის ყოველ ნაკვეთს ესაჭიროებოდა.

ლიტ.: ქართველი ხალხის ეთნოლ. 2018:55; ლ. ბერიაშვილი, მიწათმოქმედება მესხეთში, 1973: 101-103; მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1975:79-80; გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 1986:75; გ. ჩიტაია, შრომები, წ. 1, 1997:27

აჯია-ბაჯიაობა - ხევსურული საბავშვო დღეობა: ამდღების შემდეგ ბავშვები ერბოს შესაგროვებლად სოფელს დაივლიდნენ და, ყოველი მოსაზლის კარზე მისილნი, დაიძახებდნენ: „აჯიაო, ბაჯიაო, ყვავნი გიდგან კარჩიაო, ვინაც ბევრას ერბოს მოგვცემს, ბევრი იმის სახჩიაო. ვინც ერბოს არ მოგვცემს, არცრა იმის სახჩიაო“. თითოეული მოსახლე ცდილობს, ბავშვები უკმაყოფილონი არ გაუშვან და ერთი ჯამი ერბო მაინც უწილადონ; ვინც ვერ გაიმეტებს, მას „დაარისხებენ“ (დაწყევლიან): „დედაო ხთიშობელო, ადგილის დედაო, დედა ბურიელო, შენ ნუ მისცემ ბარაქას, შენ დაუჯოცი საქონი, შენ გამაული საქონის ნაწველის ბარაქა, შენ გაუუბარაქოვი სახლი, შენ ნუ მისცემ ბარაქას კაცის ნამუშევარს, ჯარის ნაჯნავ-ნა-

თესს, ფურის ნაწველ-ნადღვებს“. შემდეგ კლდიდან ქვებს დააგორებენ და დაიძახებენ: „დალოცვილო ხთიშობელო, დედაო მარიემო, შენ გადმოუყარი ფურები კლდეზეთ, შენ ნუ გაუმართავ ჰელს საქონის მავლაში, შენ დაული ბარაქა, შენ დაუღვარენი ზისცვარნი, დაუდენი კარაქნი ღოვში, დალოცვილო“. ვინც ერბოს გაიღებდა, დაამწყალოებდნენ: „დალოცვილო ხთიშობელო, შენ შაეწი, შენ მიეც ბარაქა, შენ გაუმრავლენი საქონნი, შენ მიეც ბევრა საქონის ნაწველ-ნადღვები, შენ დაუტანი ბარაქა“ და ა. შ. ბოლოს, ბავშვები შეგროვილი ერბოთი ხავიწს აღუღებდნენ და შეჭამდნენ. ხავიწის ჭამისას ლოცავდნენ და ამწყალოებდნენ ერბოს გამცემებს და წყევლიდნენ ძუნწებს.

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ. მაკალათია. მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიიდან. თბ., 1989, გვ. 74.

აჯაჭვა (რაჭ.) - ნართის შულოდ დახვევა მარცხენა ხელის იდაყვსა და გაშლილ ცერს შორის. შემდეგ ნართს დაკეცავენ მრგვლად და განაგრძობენ ძაფის დახვევას სანამ არ მიიღებენ გვრიჭას (იხ.).

აჯიკა - წიწაკიანი სანელებელი. მას ორნაირს ამზადებდნენ. მშრალს - ხმელი სუნელებით. ქინძს, უცხო სუნელს, წიწაკას, მარილს. ნიორს ხორცსაკეპ მანქანაში ატარებდნენ სათანადო დოზებით და ცოტა ძმარს უმატებდნენ. მწვანე აჯიკა ანალოგიურად კეთდებოდა. თესლისაგან გაცილლ წიწაკას - პილპილს, ქინძს, ნიახურს, ცოტა კამასა და ოხრახუმს, ნიორს ხორცსაკეპში გაატარებდნენ და მარილს დაუმატებდნენ.

ლიტ.: ს. ბახია-ოქრუაშვილი, აფხაზურ-ქართული ეთნოგრაფ., 2020:135; საქართველოს ადგი-

ლმდებარეობასთან დაკავშირებული..., 2019:129.

აჯილაკი (სამცხ.) || **აჯლა** (ჯავახ.) - ნეფე-დედოფლის საქორწინო ტახტი, სამცხურ-ჯავახური საქორწინო რიტუალის აუცილებელი ელემენტი; გამოიყენებოდა, როგორც ქორწილის დროს სიძე-პატარძლის სადგომ-საჯდომად, ისე ახალშეუღლებულთა საწოლ ტახტად. აჯლა || აჯილაკს აწყობდნენ ან სამცხე-ჯავახეთში გავრცელებულ დარბაზული ტიპის საცხოვრებელში (საწნახლისა თუ პურის ორმოს თავზე), ან ბოსელში (შესასვლელიდან მარჯვენა კედელთან), სადაც ქორწილის სუფრა იყო გაშლილი; წარმოადგენდა ფიცრის ამალეებულ ტახტს, რომელზედაც ჯერ ჯეჯიმი, შემდეგ კი ფიჩვი ან ხალიჩა იყო გადაფარებული და ზემოდან ნეფე-დედოფლისა და ნათლიისათვის ბუმბულის სამი ბალიში იდო. ტახტის გასწვრივ კედელზე ფიჩვ-ხალიჩა და ჯეჯიმი იყო გაკრული. თუ ქორწილს დარბაზში იხდიდნენ, მაშინ აჯლა || აჯილაკს მხოლოდ ფიჩვ-ხალიჩებით ამკობდნენ. ტახტი ისე იყო მოწყობილი, რომ მასზე მჯდომებს პირი აღმოსავლეთისკენ ჰქონდათ მიქცეული.

პატარძლის მშობლების სახლში აჯლა || აჯილაკთან სრულდებოდა ნეფისთვის დედოფლის „ჩაბარების“ წესი. გარდა ამისა, ვაჟის სახლში ნათლიას საჩუქრებით უნდა „გამოესყიდა“ ტახტი, რომელზედაც ბავშვები წვებოდნენ.

ლიტ.: თ. იველაშვილი. აჯილაკი სამცხე-ჯავახეთში // ძეგლის მეგობარი. № 55. თბ., 1980, გვ. 27-30; თ. იველაშვილი. საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში. თბ., 1987, გვ. 58-61; თ. იველაშვილი. საქორწინო წეს-ჩვეულებანი საქართველოში. თბ., 1999, გვ. 138-140; ს. მაკალათია.

მესხეთ-ჯავახეთი. თბ., 1938, გვ. 97; თ. ჩიქოვანი. ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან. თბ., 1967, გვ. 87; ს. ხოსიტაშვილი. ქორწინებისა და მიცვალებულის დაკრძალვის წესი სამცხე-ჯავახეთში (ეთნოგრაფიული ნარკვევი). თბ., 1983, გვ. 47-48, 50-51, 60.

აჯილდა (ქვ. ქართლ.) - სახვნელი იარაღი, ჯილდის ტიპისა. შედგება: მხრის, კბილას, ხმალას, ფრთის, კვალის, მანჭის, სახნისისა და საკვეთლისაგან. აჯილდის სახნის საკვეთელი პატარა ზომისა იყო და მსუბუქი. მუშაობდა ერთი უღელი ხარით. იგი შექმნილი იყო სამი სხვადასხვა სახვნელის ზოგიერთი ელემენტის შერწყმით. კერძოდ, აჯილდაში მოცემულია დიდი გუთნისათვის დამახასიათებელი ფრთა, კვალის მანჭი, საკვეთელი და სახნისი, არონას დამახასიათებელი გრძელი მხარი და ჯილდასთვის დამახასიათებელი კონსტრუქციული სიმსუბუქე, რის წყალობითაც აჯილდა გათავისუფლდა ჯილდისათვის დამახასიათებელი ფამფალაკის აუცილებლობისაგან. ალგეთის ხეობაში მის გამოყენებას ჩამოსა-

ხლებულ მთიულებს მიაწერენ, თითქოს მათ მთიულურ კავს ფრთა მიუმატეს და ჯილდისაგან განსხვავებით აჯილდა დაარქვეს.

ლიტ.: გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში, სსმმ, ტ. IV, 1928. გ.ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, 1960; ქართული მატერიალ. კულტურ., 2011:49.

აჯილა - ქალის სეზონური მოსასხამი. იგი მართკუთხად გამოჭრილი, ბოლოებმომრგვალებული, დიდი მოცულობის თეთრი ქსოვილი იყო, რომელიც მანდილოსნებს თავიდან ფეხებამდე ჰქონდათ მობურული. ის ტანსაცმელს წვიმისა და მტვრისაგან იცავდა. აჯილის მასალად ყალამქარი, ტილო, მიტკალი და სხვა ნაჭრები იყო გამოყენებული. ცხადია, მას მასობრივად არ ატარებდნენ.

ლიტ.: გ. კვანტიძე, დიდგვაროვანი ქალის ჩაცმულობა..., სემმ VI (51-B), 2015:146.



ბაბასილი (რაჭ.) - წიწილების ავადმყოფობაა. დაავალებული წიწილა საჭმელს ვერ ინელებს, ცუდი სუნის სკინტლი მიკრული აქვს უკან. დასაწყევლადაც ინმარება ეს სიტყვა – „ვაი შენ და ჭირი და ბაბასილიო“.

ბაბილო - მადლარი ვაზი, უმეტესად ხეზე გაშვებულ ვაზს ეწოდებოდა, ზოგჯერ საგანგებოდ აგებულ ხეების კონსტრუქციაზე ასული. ასეთს ხეივანსაც უწოდებდნენ. ტერმინი ბაბილო ხეზე აშვებული ვაზია, უფრო დასავლეთ საქართველოში გვხვდება. ვახუშტი ბატონიშვილი იმერეთის აღწერისას ახსენებს: „და არს ქვეყანა ესე... ნიგვზნარ-ხილიან ვენახიანი, ხეთა ზედა ასულნი, რომელსა უწოდებენ მადლარსა ანუ ბაბილოსა.“ იხ. დობილო.

ლიტ.: ვახ. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, წ. IV, 1973:772.

ბაბუა (რაჭ.) - ოჯახის უხუცესი წევრისთვის განკუთვნილი, კერასთან ახლოს მდგარი სკამ-სავარძელი, რომელზედაც დაჯდომა, მის გარდა, მხოლოდ საპატიო სტუმარს შეეძლო. იხ. საკარცხული.

ლიტ.: ს. მაკალათია, მთის რაჭა. თბ., 1987; ლ.ბედუკიძე, ხის ავეჯი რაჭაში // სსმმ, XII, 1997.

ბაბუდა / ბაბუღია (რაჭ.) - ბაბუის და.

ბაბუჯები (სამცხ.) - ქომისებრი ფეხსაცმლის ტიპი. ქალების სახლში სახმარი. საპირედ გამოყენებული იყო წითელი მუში, ნაწიბურებზე ორნამენტებად „ნახში“ (ჩუქურთმა) ჰქონდა გამოყვანილი. „ნახში“ ნიშნავს ფეხსაცმლის ფერადი ძაფებით შემკობას. ახალციხელი ხარაზები ბაბუჯებს საგანგებოდ პატარძლებისათვის ამზადებდნენ.

ბადე - 1. ზოგადი სახელი თოკისგან მოქსოვილი თევზისსაჭერი ხელსაწყო. საბას განმარტებით „ბადე არს თევზთა შესაპყრობელი: სათხვეელი, ხულიხი, ღრიპონი, ჩიჩქინური, მასე, ზელმა, ხელბადე“. ბადე ზოგი დასაგებია, ზოგი სასროლი. ბადე ჩვეულებისამებრ თვალელი (ცხრილისებრი) ქსოვილია, რომელიც მიღებულია ძაფის ჯვარედინად გადანასკვით თანაბარ მანძილზე, ხმარობენ თევზისა და ფრინველის დასაჭერად, გადასაღობად (მავთულის, თოკის ბადედ ასხვ.), შირმად, თმის სამაგრად, სპორტში და სხვ. ბადური ქსოვა ერთ-ერთი უძველესია ქსოვის ტექნიკასა და კულტურის ისტორიაში. იგი ქვის ხანიდანაა ცნობილი. განათხარი მასალის მიხედვით საქართველოში თევზის საჭერი ბადეების გამოყენება ნეოლითის ხანიდანაა ცნო-

ბილი. საქართველოში სათევზაო ბადეს უმთავრესად სელის ბოჭკოსაგან ამზადებდნენ. ძველი ბერძნული საისტორიო მწერლობის მიხედვით, ანტიკურ სამყაროში სათევზაო ბადის დასამზადებელ ერთ-ერთ საუკეთესო ნედლეულად კოლხური (ქსენოფონტეს სიტყვით, „წმინდა ფასიანური“) სელი იყო მიჩნეული. ამ უძველეს ტრადიციას უნდა უკავშირდებოდეს ის, რომ დასავლეთ საქართველოში (იმერეთი, სამეგრელო, აჭარა, აფხაზეთი და სხვ.) ახლო წარსულამდე სათევზაო ბადეებს სელის ბოჭკოსაგან ამზადებდნენ. სელთან ერთად ბადის დასამზადებლად საქართველოში ძველთაგანვე იყენებდნენ კანაფს, უფრო გვიან აბრეშუმსა და ბამბას, ბოლო ხანებში კი საყოველთაოდ გავრცელდა სინთეზური ბოჭკო. ბადის საქსოვად ხმარობდნენ სხვადასხვა ზომის კოჭებს, ანუ ფირფიტებს და ხისა და ლითონის ჩხირებს, რომლებსაც ორკაპა და „ენიანი“ ბოლოები ჰქონდა. ბადის საქსოვი ჩხირი სხვადასხვა სახელწოდებით იყო ცნობილი - „მაქო“ (ზემო ქართლი), „ჩხაში“ (გურია, იმერეთი), „ფათქა“ (ქვემო იმერეთი) და სხვ. ბადეს ქსოვდნენ უმთავრესად მეთევზე-მებადურები (ზოგან ქალებიც ეხმარებოდნენ). მეთევზეობის ზოგიერთ რაიონში (განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროზე) მებადურის პროფესია მემკვიდრეობით გადადიოდა. დანიშნულებისა და ფორმის მიხედვით, თევზსაჭერი ბადე სამი სახისაა: წყალგამწერი (ტრალი, სასროლი, ფსკერული, ქისაბადე), გამხლართავი (ჩასადგმელი, მცურავი), თევზსაჭერი მახე (ჩასადგმელი, ვენტერი, ხოლიხი). ხალხურ მეთევზეობაში სათევზაო მრავალ სახესხვაობათაგან ყველაზე გავრცელებულია სასროლი, ანუ სათხვეელი, მოსასმელი ანუ გამოსასმელი, საჩხრეკავი, ანუ ხესკელი, ჩასამვები, ანუ სახოპავი და სხვ. სასროლი ბადე კონუსისებრი მოყვანილობისაა და კიდეზე ტყვიები აქვს დაყოლებული წყა-

ლში ჩასაძირად. შუაში კი გრძელ თოკს უბამენ დასაჭერად. მოსასმელი ბადე სწორკუთხაა, გრძელი და განიერი, ერთ მხარეს ტყვიებს უბამენ, მეორე მხარეს კი ტივტივებს. მოსასმელ ბადეს წყლის ზედაპირზე სიგრძეზე შლიან და თევზს ბადის მოსმით იჭერენ. სახოპავი ბადე კვადრატულია, სარებზე ჭიმავენ და წყალში დგამენ. საჩხრეკავი ბადე მრგვალია, გიდელისებრი, ორკაპ ან მშვილდისებრი მოხრილ ჯოხზეა დამაგრებული. იყენებენ ქარაფოვან სანაპიროზე სათევზაოდ. ერთი და იმავე სახის ბადეები თავის მხრივ გაირჩევა ზომით და ზოგიერთი თავისებურებით. სათევზაო ბადეს ყოფაში რიტუალური მიზნითაც იყენებდნენ. მას მაგიურ ძალას მიაწერდნენ. ზოგან მშობიარესა და ახალშობილს „ავი თვალისაგან“ „დაცვის მიზნით აფარებდნენ. ზემო იმერეთიდან ჩამოტანილი ერთ-ერთი ასეთი ბადე, „მშობიარე ქალის ბადე“, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება. იგი სასროლ ბადეს ჰგავს, საგულდაგულოდ შემკულია ოქროსფერი ფირფიტებით და ტილოსაგან გამოჭრილი ვარსკვლავებისა და ყვავილების აპლიკაციებით. ასეთი ბადის წარმოშობა დაკავშირებულია თევზის კულტის გადმონამთების ამსახველ ხალხურ რწმენა-წარმოდგენებთან.

ლიტ.: ვ. ბატონიშვილი. ისტორიები აღწერა. 1914, გვ. 18-19; ა. თანდილავა, მ. ვანილიში. ლაზეთი. თბ., 1964, გვ. 126; ნ. კაპანაძე. მშობიარობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი სამეგრელოში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXIII. თბ., 1987, გვ. 230-231; არქ. ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თბ., 1938, გვ. 67; ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 271; ქ. მირიანაშვილი. სათევზაო ბადეების რელიგიური

მნიშვნელობა // XXIII. თბ., 1987, გვ. 232-235; ჯ. ნოღაიდელი. ეთნოგრაფიული ნარკვევები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან. თბ., 1965, გვ. 8; სულხან-საბა ორბელიანი. თხზულებანი. ტ. IV. თბ., 1966, გვ. 196; ც. ყარაულაშვილი. საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ქსოვის ხალხური წესები კახეთში). საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1972, გვ. 44; ა. წულაძე. ეთნოგრაფიული გურია. თბ., 1971, გვ. 113; М. Машурко. Из области народной фантазии и быта Тифлисской и Кутаисской губернии // СМОМПК, вып. XVIII, отд. III, с. 306-307; А. Степанов. Поверья грузин Телавского уезда // СМОМПК, вып. XXII, отд. II, с. 132; А. Фон-Потто. Природа и люди Закавказского округа // ССКГ, вып. IV, с. 46; Г. Чурсин. Амулеты и талисманы Кавказских народов. Махачкала, 1929, с. 65.

ბაღია— დიდი ზომის, ხის, თიხის, ან სპილენძის საწვანე ჭურჭელი. აქვს ჯამის ფორმა. გამოკვერილია სპილენძის ერთი ან ორი ფირფიტისაგან (ზომაზეა დამოკიდებული). აქვს სხვადასხვა სიმაღლის ღრმა ქუსლი, ბადიის კედლები სწორია, პირისკენ ოდნავ გადაშლილი, პირმოხვეული ან შიპიანი....ბაღია ძირითადად უორნამენტო ჭურჭელია. მხოლოდ მკრთალად ამოღარული წრეხაზები შემოუყვება. გვხვდება ქართულ წარწერიანი. მაგ. „ქ. მერაბისა“. ბაღია მზადდება თიხისგანაც. საინგილოში დადასტურებულია, ჯამის ფორმის, ვერცხლის, ღვინის სასმელი ბადიები, რომლებსაც მზითევშიც ატანდნენ, რაც ამ ჭურჭლის პრაქტიკულ საჭიროებაზე მიუთითებს. ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ბაგა (ქართლ., ქიზიყ., ფშ., თუშ. გურ.) -- 1. გადაფიცრული ან მოწნულ-გადაღობილი ადგილი ბოსელში (გომურში), ბაკში ან უზოში საქონლისათვის საკვების ჩასაყრელად. ბაგაზევა გამობმული კანჯოები, რომლითაც საქონელი დაიბმება; 2. კახეთში - ხის ან რკინის რკალი წისქვილის ზედა ქვის გარშემო. რათა ფქვისას ფქვილი არ გაიფანტოს; 3. ქიზიყში - ქვევრის პირის გარშემო გაკეთებული მოქვაბული, რომ სარქველდახურული ქვევრი მიწისპირის დაბლა იყოს და სარქველიანი ქვევრის პირის გარშემო ხელის შემოსმა შეიძლებოდეს; 4. საბასთან ბაგა - პირუტყვთა საზრდელთა დასადებელი ადგილი; ბაგა ეწოდების სახლთა შინა მოღაბლო სარკმელთა; ბაგა ეწოდების ახალს ნაშენ ვენახსა“. ცარიელ მიწაში ახალჩაყრილ ვაზს ბაგას ეძახდნენ სამ წლამდე, სამი წლის შემდეგ - ვენახს (ზ. ქართლი).

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984; ქართული მატერიალური კულტურ., 2011:50; სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. 1, 1991:88.

ბაგვი (რაჭ.) - 1. ნაბდის ფეხსაცმელი. 2. სქელი წინდა (იხ. ბერ.).

ბადაგი - ყურძნის დაღუღებული წვენი, ტკბილი. საბადაგედ იყენებენ შუა წურვისას წამოსულ მოსქო წვენს, რომელსაც მეტი სიტკბო აქვს, გაწურავენ საცერში და სპილენძის ქვაბით ნელ ცეცხლზე შემოდგამენ, თან ციცხვით გამუღმებით ურევენ, ნადუღარი წვენი თავზე მოიღებს ქაფს და ჭუჭყს, რასაც ქაფქირით მოხდიან. ზოგჯერ წვენს დუღილით განახევრებამდე მიიყვანენ და მერე გადმოიღებენ ცეცხლიდან. გაცივებულ ბადაგს

სათანადო ჭურჭლებში ასხამენ და ინახავენ. მოიხმარენ სადღესასწაულოდ, სამკურნალოდ, სასტუმროდ.

ბადია - დიდი ზომის, ხის, თიხის, ან სპილენძის საწვანე ჭურჭელი. აქვს ჯამის ფორმა. გამოკვერილია სპილენძის ერთი ან ორი ფირფიტისაგან (ზომაზეა დამოკიდებული). აქვს სხვადასხვა სიმაღლის ღრმა ქუსლი, ბადიის კედლები სწორია, პირისკენ ოდნავ გადაშლილი, პირმოხვეული ან შიპიანი. ...ბადია ძირითადად უორნამენტო ჭურჭელია. მხოლოდ მკრთალად ამოღარული წრეხაზები შემოუყვება. გვხვდება ქართულ წარწერიანი. მაგ. „ქ. მერაბისა“. ბადია მზადდება თიხისგანაც. საინგილოში დადასტურებულია, ჯამის ფორმის, ვერცხლის, ღვინის სასმელი ბადიები, რომლებსაც მზითევშიც ატანდნენ, რაც ამ ჭურჭლის პრაქტიკულ საჭიროებაზე მიუთითებს.

ბადიმი - ჭურის ხის სარქველი, პირსაფარი, რომელზედაც დაიგლისება დაზელილი აყალო და ზედ დაეყრება „ხვერეფი“(წმინდა) მიწა. ბადიმისათვის საუკეთესო ხედი ითვლება ნაძვი და ცაცხვი, ასევე, წიფელა და თელა. ბადიმი სამნაირია: მთლიანი (მედარებით პატარა ჭურებისათვის), ორნაწილიანი და შედგენილი რამდენიმე ნაწილისაგან. ყველა ტიპის ბადიმს შუაში ნახვრეტი აქვს მაჭრის დულილისას ჰაერის გამოსასვლელად. კარგი ხის ბადიმი რამდენიმე წელს გაძლებს. შემოდგომით ბადიმებს მოხდიან, დაფხეკენ, დარეცხავენ, ცეცხლის ალზე მორუჯავენ და სუფთა ნაჭრით გაასუფთავენ. ბადიმის განსაკუთრებულ სისუფთავეს განაპირობებს ჭურში ღვინის მომატების საშიშროება, რომლის დროსაც ღვინო ბადიმს შესაძლოა მოადგეს და თუ იგი სათანადოდ არაა დამუშავებული ამ თვალსაზრისით, ღვინოს „ხელს“ მისცემს და გააფუჭებს.

ბავშვის გაყიდვა - იხ. „ჯვარის სახელი“.

ბაზმა - 1. ზეთის პატარა სანათი, ლამპარი (ხატის წინ ასანთები); 2. ბატონებით დაავადებული ბავშვის ტაბლაზე, ხილეულ-ტკბილეულთან ერთად, მდგარ თიხის ჯამზე ნიგვზის ლებნებით ანთებული ცეცხლი; იწვის ლიცლიცა სუსტი, მოცისფრო ალით. იმერეთში გავრცელებულია წყნარი ამინდის გამომხატველი გამოთქმა: „ისეთი ამინდია, ბაზმა არ დაგვრებაო“. ეს ხაზს უსვამს ბაზმის ალის სინაზეს და კარგად შეესატყვისება „ბატონების“ ჭირვეულ ბუნებას.

ლიტ.: ე. ნადირაძე. ბაზმა // ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ე. ნადირაძე. თბ., 2011, გვ. 52; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული. ნაკვეთი პირველი. თბ., 1990, გვ. 118.

ბაზო - 1.საკარე ფიცრები. 2. ფერდობის დატერასება უკედლოდ.

ბაზუნა (თუმ.) - ხის პატარა ჭიქისებური ჭურჭელი, რომელშიც ერბო ან ერბო-კალტი თავსდება, იგი ძირითადად მწყემსის ჭურჭელი იყო მომთაბარული ცხოვრებისთვის გამოსაღები.

ბათმაზი - იგივე ბეთმაზი (ბეთმეზი) ხილის: მსხლის, ვაშლის, ყურძნის, ქლიავის ხურმის, თუთის (ბჟოლის), ზოგადად, ზაფხულის ხილისაგან საგანგებოდ დამზადებული, შესქელებული თაფლივით ტკბილი წვენი, ბადაგი იყო შესანახად დამზადებული. საბათმაზო ხილს (მაგ., თუთას, ვაშლს, მსხალს) ცალკე ხარშავდნენ ცოტა წყალში; ჩაშლის შემდეგ, აგრილებდნენ და წურავდნენ. მიღებულ წვენს გა-

სქელებამდე აღუღებდნენ. იყენებდნენ როგორც საკვებად (ჰალვის მოსამზადებლად), ისე სამკურნალოდ. გაციებული-სათვის ერთი კოვზი ქონი ან ერბო და დაახლოებით ნახევარი ჭიქა ბათმაზი//ბეთმაზი ერთად მოდუღებული უებარ წამალს წარმოადგენს (საინგილო).

ლიტ.: მასალები..., 1986:67.

ბათმანი - საწყაო მასის ერთეული, რომელიც ირანიდანაა შემოსული საქართველოში. გამოიყენებოდა მარცვლეულის ასაწყველად. ირანული ბათმანი უდრიდა 3კგ, ხოლო ოსმალური 7,3 კგ. ეთნოგრაფიულ ყოფაში მარცვლეულის საწყაოდ ხმარობდნენ ხის ჭურჭლებს, რომლებშიც გარკვეული რაოდენობის ბათმანი ჩაეტეოდა. აქედან გამომდინარე, დროთა განმავლობაში თავად ჭურჭელმაც ბათმანის სახელწოდება მიიღო.

ბათომურა - წითელყურძნიანი ვაზის ჯიში ასწლოვანი მალღარების სახით ქობულეთისა და ოზურგეთის რაიონებში იყო გავრცელებული. მსგავსი ჯიში, საქართველოს სხვა კუთხეებში არ გვხვდებოდა. წარსულში აჭარის მოსახლეობასთან ოსმალეთის იძულებითი დაახლოების შედეგად, ამ უკანასკნელიდან, განსაკუთრებით კი - ყოფილი ქართული ტერიტორიებიდან, კერძოდ, შავშეთიდან, კლარჯეთიდან, ლივანიდან ვაზის ზოგიერთი ჯიში შემოიტანეს, რომელთა ნაშთებს ისეთი ჯიშების სახით, როგორიცაა ჩაუში, მისკიეთა, ლივანურა, კლარჯული, შავშურა, თითო-ოროლა ძირის სახით შუა და ზემო აჭარის რაიონებში ამჟამადაც ვხვდებით. შესაძლოა, ბათომურაც იყოს შემოტანილი. მისი ნამდვილი სახელწოდება დაკარგულია და მიუღია იმ ადგილის სახელი, სადაც მასობრივად იყო დაწერგილი და გავრცელებული. ბათუმის მიდამოებში ვაზის ადგილობრივი ჯიშე-

ბის შესწავლის დროს, გარდა იზაბელასი, რომელსაც „ადესას“ ეძახდნენ, არც ერთი ჯიში არ დადასტურებულა. ვაზის აბორიგენული ჯიშები აჭარაში მხოლოდ შუა და ზემო რაიონებში, აგრეთვე ქობულეთის რაიონის მთისპირა სოფლებშია ფართოდ გავრცელებული. ბათომურა ძლიერი ზრდის ჯიში იყო. მისი 150 წლამდე ხნოვანი მალღარები 20-25 მეტრი სიმაღლის ხეებზე იყო აღზრდილი. ამის გამო, ვაზები სათანადო მოვლას მოკლებული იყვნენ.

ლიტ.: ქართველი ხალხის ეთნოლ. 2018:64; შ. ნიჟარაძე, ქართული ენის... 1971:100.

ბათუმის ლობიო - ლობიოს ერთ-ერთი ჯიში, ბრტყელპარკიანი, უბეწვო და ჭრელი.

ბაკანა (გლ.) - ხის პატარა ჯამი.

ბაკანი (ხევს.) - ღრმა გობი ნადების მოსაყენებლად, ხევსურეთში მას საზისცვრესაც უწოდებენ, რომელზედაც რძეს ასხამდნენ. ბაკანი პირგანიერი იყო და ერბოს ბურთულეების ზედაპირზე დაგროვებას უწყობდა ხელს. ბაკანი და პინაკი სხვა დანიშნულების ჭურჭლებსაც ერქვა და მარცვლეულის საწყაოდ გამოიყენებოდა.

ბაკი - საქონლის საზაფხულო სადგომი.

ბაკისკარი -- ახორის დამხმარე სათავსო.

ბალავარი, ბალავერი, საძირკველი - ქვის საცხოვრებელი სახლის მიწაში ამოშენებული საფუძველი. ბალავარი-სათვის მიწაში გრუნტ ქანზე დასვლამდე ამოიჭრება 40 სმ-დან 1 მეტრამდე სიგანის თხრილი, რომელიც ამოივსება მასიური

ქვებითა და კირის ან ცემენტის ხსნარით (ზოგიერთგან ვხვდებით მშრალი წყობის ბალავრებსაც), რომლებზედაც შემდეგ აიგება კედლები. ბალავარის სიმკვიდრეუბა დამოკიდებულია აშენებული სახლის სიმტკიცეზე.

ბალდავნობა - ძვ. ცხვარ-ძროხის გაზიარების წესი: ვინც ჩაიბარებდა, იღებდა მოვლის ქირას და რჩებოდა მიღების პერიოდში მოგებული ხბო-ბატკანი, მატყლი და ნაწველი საზიარო იყო. თავნი საბოლოოდ უკლებლივ უბრუნდებოდა გამზიარებელს.

ლიტ.: ნ. სუჯაშვილი, ი. ფიცხელაური, მოხუერი ლექსიკონი, 2005:40.

ბალდუმი (იმერ., ლეჩხ., გურ.) - კურტნის საძუე, ამაგრებს კურტანს, იგი ძუის ქვეშა ამოდებული, აკეთებდნენ ტყავისაგან ან ქსოვილისაგან.

ბალთა - ტანსაცმლის (ჩვეულებრივ, სარტყელ-ქამრის), ცხენის აკაზმულობის (ავშარა, აღვირი და სხვ.) ლითონის საკვრელი, ფირფიტა, რომლის ზედაპირი თითქმის ყოველთვის შემკულია სხვადასხვა გამოსახულებით, გრეხილით, ფერადი თვლებით. უკანა მხარეს აქვს ქსოვილზე ან ტყავზე დასამაგრებელი ყუნწი. ამავე მიზნით, ბალთას ზოგჯერ უკეთდებოდა ნახვრეტები. საქართველოში ბალთა გვხვდება ბრინჯაოს ხანიდან. ცნობილია არმაზისხევში აღმოჩენილი ოქროს თვალედი (ბადისებრი) ბალთები. ზოგჯერ უნო აბზინდსაც ბალთას უწოდებენ.

ლიტ.: ი. გაგოშიძე, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

ბალულა (მესხ.) - ბავშვის საწოლი, ჰამაკივით მოქსოვილი. ბალულა ხეებს შორის იყო ჩამობმული ორკეცი თოკით.

ხმარობდნენ აკვნის ნაცვლად. სახლიდან მოშორებულ სახელდახელო თუ სასწრაფო სამუშაოს შესრულებისას.

ბამბა - ბოჭკოვანი კულტურა, საქართველოში ერთ-ერთი უძველესი კულტურაა, ძველად დიდი რაოდენობით მოჰყავდათ და საქართველოდან უცხოეთშიც გაჰქონდათ. მისგან ამზადებდნენ სხვადასხვა საჭირო ნივთებს - ტანსაცმელს, საცვლებს, ლოგინებს, ფარდაგებს, ხურჯინებსაც ქსოვდნენ ბამბის ნართისაგან. სამკურნალოდ იყენებდნენ ბამბის თესლისაგან მიღებულ ზეთს, ფესვების ექსტრაქტს. მიუხედავად იმ დიდი მნიშვნელობისა, რაც ბამბას წარსულში ჰქონდა, ამჟამად იგი არსად ითესება.

ლიტ.: თ. სადუნიშვილი, ი. მანისაია, საქართველოს აგრარული კულტურა, 2021:148-150.

ბამბამყვალა (რაჭ.) - მაყვლის ერთ-ერთი სახეა. ტენიან ადგილებში გვხვდება. ბარდები წვრილია და შემოსილია ეკალ-ბუსუსებით. ფოთლები ქვემო მხრიდან მორუხო-თეთრი ბუსუსებითაა დაფარული. ყვავილი თეთრი აქვს, ნაყოფი - წვრილი. იჭმება (შდრ. ძოწ., გაჩ.).

ბამბასხალი (რაჭ.) - საშემოდგომო-ზამთრის მსხლის ჯიშია. მაღალი ხეა ძირს დაშვებული ტოტებით. ნაყოფი საშუალო ზომისაა, გრძელყუნწიანი, ძლიერ ტკბილი გემოსი, რბილობი თეთრი ფერისაა (იხ. ბრეგ.: ბამბა მსხალი, გვ. 46).

ბამბულა (რაჭ.) - დაბამბული ტანსაცმელი.

ბანდარი - საქალო და სამამაკაცო გრძელი სკამი სვანეთში. საქალო ბანდარი უმთავრესად მთლიან ხეში გამოთლილი მარტივი კონსტრუქციის - ნავისებური მოყვანილობის სკამია. სკამის

წაწვეტილ თავთან მრგვალად ამოკვეთილია ფილის ჩასადგმელი. ოჯახის უფროსი ბანდარის ფილის ჩასადგმელთან იჯდა. აქვე თავსდებოდა ბედნიერ დღეს ლემზირების და სხვათა საზელი ვარცლი („ჯარ“). ბანდარი სტუმარ ქალთა საპატიო სასხდომიც იყო. იგი ერთგვარ მსგავსებას ამჟღავნებს თუშურ სადიაცო მერხთან, რომელზედაც ამოკვეთილი - „ამობანკული“ იყო კროჭი (მცირე ყუთი) ან რაიმე ჭურჭლის ჩასადგმელი. ხალხის რწმენით, „ლამარია ლიფანესათვის“ (24 დეკემბერი) განკუთვნილი ტაბაგი და ფიჩქი, რომელზედაც ლემზირებს და ლობიან პურებს აწყობდნენ, მრგვალი უნდა ყოფილიყო. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში ერთი ფიჩქი იყო და მიცვალებულთა სულებისათვის იყენებდნენ, მაშინ ლამარია ლიფანესათვის განკუთვნილ სუფრას ქალების „ბანდარის“ მომრგვალებულ ნაწილზე შლიდნენ. სუფრასთან დიასახლისი ლოცულობდა და ლამარიას ოჯახის კეთილდღეობას ევედრებოდა. ლოცვის შემდეგ ლამარიასათვის განკუთვნილ სანოვავეს ქალები შეექცეოდნენ. ლიტ.: ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ახალი წლის ციკლი, 1939. ლ. ბედუკიძე, სვანური ავეჯი, სსმმ. ტ. XXXVI-B, 1982.

ბანდული, ჯღანფეხი (ხევი) - ძირგამოწნული ქალამანი. ბანდული ძროხის ან ხარის ტყავისაგან მზადდებოდა. ახლად გატყავებულ საქონლის ტყავს გაასუფთავებდნენ, გააშრობდნენ, შოლტებად დაჭრიდნენ, დააყრიდნენ ნაცარს, შეახვევდნენ 2-3 დღით, გამშრალს მიწაზე დაფენდნენ და წვერწამახვილებული ხისკეტით ბეწვს გააცლიდნენ, შემდეგ გაწელავდნენ, გამოჭრიდნენ თარგზე, ხანჯლის წვერით ან სახვრეტათი თვლებს გაუკეთებდნენ და გაბანდვას იწყებდნენ ცხვირიდან. გაბანდვა მდგომარეობდა იმაში, რომ თვლებს თასმებით აბამდნენ - თი-

თო-თითოს, ორ-ორს ან სამ-სამს ერთად. ამის მიხედვით ბანდული იყო ერთთვლიანი, ორთვლიანი, სამთვლიანი.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ბანდული - შინ დამზადებული ტყავის ფეხსაცმელი, რომელსაც ლანჩები წვრილი დვედით აქვს დაწნული. მთაში სასიარულოდ იყენებენ.

ლიტ.: ო. ქაჯაია, მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის, სამხრეთ ოსეთის სახელმ. პედაგ. ინსტიტუტის შრომები, ტ. XI, 1967:380.

ბანძურა (რაჭ.) - ქვევრში ნარეცხი წყლის ნარჩენის ამოსამშრალელებელი ჩვანი, დამაგრებული ხის გრძელი ჯოხის წვერზე. - მაწაწური (სინონ. ქვ. ოსირო).

ბაჟანი / ბაჟანა (გლ.) - მომკილი პურის 10-20 კონა ერთად (უსართოდ) დადგმული. ხუთი ბაჟანი დავდგით.

ბარამბა - 1. ორკაპა ხის ჯოხი, რომელიც იხმარება თევზაობისას სასროლი ბადის ჩაშლილი თვლების გასასწორებლად; 2..კარის საკეტი, სარაზავი (ლეჩხ.); 3. ორკაპა ხის ჯოხი, ლობიოს ამოსაზელი. ლიტ.: ალ. ლლ. ქვთსკ, 1974.

ბარა ქურისა - თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურის კარები, საიდანაც ხდება ქურაში გამოსაწვავად გამზადებული ჭურჭლის შეწყობა. ქურის ბარადან ჭურჭლის შეწყობის დროს ახდლია ქურის „ცა“, ანუ ქურის ბანი - სინათლისთვის, რათა მეჭურჭლე კარგად ხედავდეს როგორ გადაანაწილოს ჭურჭელი ქურაში. ჭურჭლის შეწყობის დამთავრებისთანავე ქურის ცა გადაიხურება კრამიტის ნატე-

ხებით და გადაიღესება თინა-ტალახით. ქურის ბარა კი ამოშენდება გამშრალი აგურითა და გაიღესება ლამი მიწით. ბარაზე დარჩე ბა სამი „სათვალე“ ანუ სათვალთვალლო - ერთი ბარას თავში და ორი ბარას ძირში. სათვალის დანიშნულებაა, მეჭურჭლემ გამუდმებით ადევნოს თვალყური ქურაში ცეცხლის მოძრაობას და მის მოქმედებას ჭურჭელზე. ლიტ.: ს. ბედუკაძე, მოჭიქული ჭურჭლის წარმოებისათვის შიდა ქართლში. 1953.

ბარბულა (სვ.) - ბარბოლის (იხ.) სახელზე დაყენებული საფურე ხბო ან ძროხა; მისი გაყიდვა ან სხვა საქონელზე გაცვლა არ შეიძლებოდა; იგი ოჯახში უნდა დაკლულიყო; ხშირად დაკლულის სანაცვლოდ მეორე ძროხას შეუთქვამდნენ.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ). თბ., 1941, გვ. 20-21.

ბართოხა - ხელით სამუშაო სამიწათმოქმედო იარაღი, აღნაგობითა და მუშაობის პრინციპით აერთიანებს წერაქვის, თოხისა და ბარის მუშაობის ელემენტებს (დარტყმა, გამოწევა, ღრმა ბელტის მოჭრა და გადმოგდება). იგი მარტივი სახვნელის წინასახედ ითვლება, რომელიც სამუშაო ტარის დაგრძელებისა და ბარის დასაგებ მუხლთან კუთხის შემცირების შედეგად, ხელით სამუშაო იარაღიდან სახვნელისაკენ გარდამავალი ტიპის იარაღს წარმოადგენს. ბართოხა მოყვანილობით რკინის ბარს წააგავს, მაგრამ მოხრილი ტარი აქვს. ბართოხას გავრცელების არეალი მთის ზოლის ის ნაწილია, სადაც მაგარი სტრუქტურის ნიადაგები იყო.

ბარი - 1. საქონლის გამხმარი შიგნეული. ძროხის, ცხვრის, თხის ან ნადირის ფაშვსა და ფილტვისგარეცხილ-გასუფ-

თავებულს 2-3 დღით დაამარილებდნენ, ნაწლავს შემოახვევდნენ და გასაშრობად კურის თავზე, მზეზე ან ჩრდილში სანიაოზე დაჰკიდებდნენ. ხმარობდნენ ხინკლის გულად; 2. ხელით სამუშაო სამიწათმოქმედო იარაღი. შედგება რკინის ნაწილის, ანუ ბარის, ტარისა და სატერფულისაგან. ზოგჯერ უამისოდაც აქვს სამკუთხა სამუშაო პირი და ვერტიკალურ (შვეულად) მიმართული ტარსაგები. ბარი გამოიყენებოდა ძირითადად ვაკე ადგილების დასამუშავებლად. უმთავრესად მებაღეობამევენახეობაში, აგრეთვე სხვა სამუშაოებზე (მშენებლობა, არხების გაყვანა და სხვ.). ტერმინი „ბარი“, მკვლევართა აზრით, მომდინარეობს შუმერული სიტყვათაგან მარ, მარუ (ბარი და თოხი), აქადურთან მარრუ. აღნიშნული ტერმინები შეესატყვისება ქართველური ენების ბარი, ბარგი, ბერგი სახელებს. ვარაუდობენ, რომ „ბარი“-ს პარალელური ტერმინია „სათხარი“ (შდრ. სულხან-საბა ორბელიანის განმარტება: ბარი-სათხრელი იარაღი). ბარის ტიპის იარაღები საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მომდინარეობს. რკინის ბარებს წინ უსწრებდა ხისა და რქის ბარები (და თოხები). ეს უკანასკნელი დასტურდება ნეოლითის ხანიდან, რასაც არქეოლოგები უკავშირებენ ფეტვის კულტურის გაჩენასა და დამუშავებას.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, 1960.

ბარიშ ხვამა („ბარის ლოცვა“) - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულება: იმ ბარის (ბარების) დალოცვა, რომლითაც საფლავი გაითხარა. საამისოდ, დასაფლავების მეორე დღეს ჭირისუფალი, მესაფლავე (მესაფლავეები), გარდაცვლილის უახლოესი ნათესავები

და მეზობლები ახალგარდაცვლილის სამარხთან შეიკრიბებოდნენ, გარეცხილ-გასუფთავებულ ბარის ტარზე სანთლებს აანთებდნენ, ბარის (ბარების) პირზე ღვინოს მოასხურებდნენ და მათ შორის ასაკით უფროსი მამაკაცი დაილოცებოდა: „ღმერთო დიდებულო, დაილოცოს შენი სახელი, აცხოვნე და წმინდა სასუფეველი დაუმკვიდრე მიცვალებულს, ეს ბარი, რომლითაც ჩვენი ... (სახელას იტყოდა) სამუდამო სახლი აშენდა, დალოცე და დღეის ამას იქით კეთილი საქმისთვის მოახმარე მის ოჯახს. დალოცვილი ჰყავი მესაფლავე (მესაფლავეები), რომელმაც წმინდა სახლი ააგო, ბედნიერად ამყოფე მისი ოჯახი“. ვიდრე ჭირისუფალი „ბარის ლოცვას“ არ შეასრულებდა, ამ იარაღის სამუშაოდ გამოყენება არ შეიძლებოდა. იყო შემთხვევები, როცა მიცვალებულის ოჯახი ამ წესის შესრულების შემდეგაც კი ბარს სამუდამოდ ასვენებდა და მხოლოდ ახლობელი ადამიანის საფლავის გასათხრელად იყენებდა.

ლიტ.: ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 6, გვ. 12 (ინახება ავტორთან); ა. ჭანტურია. ეთნოგრაფიული ჩანაწერები. მეგრული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებანი // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, ტ. 227. თბ., 1982, გვ. 243.

ბარულა (იმერ.), **ბარჯუკი** (რაჭ.) - ძირითადად გამოიყენებოდა თიხით დაგლესილი ჭურების მოსახდელად. ერთ ხეში გამოთლილი სწორპირიანი ეს იარაღი გამოიყენება ასევე გაყინული მიწის საბარავადაც. დაგლესილ ჭურს, მოხდის წინ, გადაწმენდენ თოხით და გამოაჩენენ თიხას, რომელიც წინასწარ კარგადაა დაზეული და დაგლესილი ჭურის ბადიმებზე.

ხის ბარს ჩაასველებენ სუფთა წყალში და ჭურის თავის გარშემო შემოჭრიან თიხას. შემდეგ გადადებენ გვერდზე და მოხდიან ჭურს. ლითონის ბარის ხის ბარით შეცვლას ის გამართლება აქვს, რომ მოხდის დროს არასწორად წასულ რკინას შეუძლია დააზიანოს ჭურის ფარფლი (თავი), რაც გამორიცხულია ხის ბარით ჭურის მოხდის შემთხვევაში.

ლიტ.: რაჭული ლექსიკონი...

ბარული მესაქონლეობა - სასოფლო მენახირეთა ზედამხედველობის ქვეშ გაერთიანებული საქონლის ჯოგების და ცხვრის ფარების სეზონური მონაცვლეობა ახლომდებარე საძოვრებზე, გარკვეულ პერიოდში სოფლად ბაგურ კვებაზე გადაყვანა.

ბარქაში - 1. ღრმა თევში, დიალექტიკურ მასალებში განმარტებულია როგორც პატარა გობი, ხონი, თაბახი, დიდი თიხის ჯამი, იმერეთის ზოგ რეგიონში საცეხველის სინონიმადაცაა გამოყენებული. ზოგადად ბარქაში წარმოადგენს მრგვალ ან ოდნავ ოვალური ფორმის ხისა და კერამიკის საოჯახო ჭურჭელს, თევშზე დიდსა და გობზე პატარას. ხმარობენ სუფრაზე მშრალი საჭმლის ან ხილის მისატანად. მას ძველად საეკლესიო დანიშნულებაც ჰქონია. მეფეთა და დიდებულთა სუფრაზე მისატანი ბარქაშები ძვირფასი ლითონებისგანაც იყო დამზადებული. ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ბარქაში XVI საუკუნეში დასტურდება; 2. პატარა ხის გობი. ლიტ.: ზ. ჭუმბურიძე, ბარქაში, კრებულში ოჩხარი, 2002.

ბარძიმი - 1. მაღალფეხიანი სასმისი, ქრისტიანული ეკლესიის „სიწმიდის ჭურჭელთაგანი“, იხმარება ზიარების რიტუალის შესრულებისას. 2. ვერცხლის თასი (ჯვართ ენაზე).

ლიტ.: ა. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, 2005:89.

ბარჯუკი / ბარჯუკა (რაჭ.) - ცალფრთიანი ხის ნიჩაბი. იყენებენ ჭურის მოსახდელად.

ბარჯღალაყი (თუშ.) - ცხვრის გრძელბეწვიანი ტყავის ქუდი.

ბასასი (მთიულ.) - დაბალმოსავლიანი ყანა.

ბასილა - საახალწლო რიტუალური პური; აცხობდნენ ახალწლის წინა დამეს; წარმოადგენდა ფალოსიანი მამაკაცის გამოსახულებას; დებდნენ საკვლეველზე და წყალკურთხევამდე ინახავდნენ. წყალკურთხევაზე ბასილას თოხის ტარზე გადაამტკრევდნენ და ისე დაინაწილებდნენ და შეჭამდნენ, თან იტყოდნენ: „უხვი მოსავალიმოგვიტანოსო ბასილამ“. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბასილა ბუნების ძალთა აღორძინებისადმი მიძღვნილი რიტუალური პურია და მისი მონაწილეობა ახალწლის დღესასწაულში, რომელიც, თავის მხრივ, წარმართული კალენდრის მიხედვით, აგრარული ციკლის დასაწყისში იმართებოდა, სრულიად გასაგებია: ფალიკურ ნიშნიანი ბასილა-კვერი მოსავალთან არის დაკავშირებული.

კვერის სახელწოდება უკავშირდება წმ. ბასილი დიდის სახელს, რომლის ხსენების დღე, მართლმადიდებლური კალენდრით, პირველი იანვარია (ძვ. სტილით 14 იანვარი). ამიტომაც არის, რომ საახალწლო ჩიჩილაკს ზოგან „ბასილას წვერებს“ უწოდებენ.

ლიტ.: გ. გოცირიძე. კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში. თბ., 2007, გვ. 155; ჯ. რუხაძე. ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში.

თბ., 1999, გვ. 139; ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. დამბაშიძე. ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი. თბ., 1992, გვ. 47.

ბასკა (რაჭ.) - გაბზარულ ხის გობზე დაჭედებული თუნუქის საკერავი (შდრ. ქეგლ, ძოწ., ქართლ.).

ბასმა - თმის საღებავი შავი ფერისა, რომელიც საქართველოში ირანიდან შემოდიოდა. 2. დაჩითვა, შეღებვის წესი, როცა ქალის ლეჩაქზე ბასმით გამოჰყავდათ ყვავილისა და ორნამენტის სახეები. **ბასტურმა** - ჭურჭელში ჩადებული სამწვადე ხორცი, რომელსაც მოყრილი აქვს შავი პილპილი, მარილი, ხახვი და ძმარი. შემწვარი ბასტურმის მწვადი არის რბილი და სურნელოვანი. **ბატიბუტი** - ერთგვარი სიმინდის ჯიშია. ტაფაზე მოხალავენ. გაცხელებისთანავე სკდება და თეთრად იპენტება. საჭმელია გასართობად.

ბასტურმა - ჭურჭელში ჩადებული სამწვადე ხორცი, რომელსაც მოყრილი აქვს შავი პილპილი, მარილი, ხახვი და ძმარი. შემწვარი ბასტურმის მწვადი არის რბილი და სურნელოვანი.

ბატის ხორცის შემზადება - გაწმენდილ-გარეცხილი ბატის ხორცი ჯერ უნდა მოიწალოს (ნახევრად მოიხარმოს) და შემდეგ შეიწვას. მერე მას გადაეკვლება დანაყილი ნიგვზითა და მარილით შემზადებული სანელებელი და წამოდუდდება. შუა დუდილისას, დაასხამენ ძმარს და მზად იქნება. ასევე მზადდება იხვიც. ბატს ხშირად შამხად ინახავდნენ და მისგან საჭმელს ამზადებდნენ (რაჭა). ბატის ხორცს დასამამხად მოაყრიდნენ მარილს და 5-10 დღე კვამლში გააშრობდნენ. საჭიროების დროს ხარშავდნენ, დაამატებდნენ დანაყილ ქინძს, მარილს, ნიორს, ძმარს (დუდილის დროს) და კერძი მზად იყო. ძმრის ნა-

ცვლად ყარაოს (დადუღებული ტყემალი) იყენებდნენ. (იხ. ყარაო). ზემო იმერეთში ბატის (ქათმის, ინდაურის) აპოხტს აკეთებდნენ; შუაზე გაჭრიდნენ, დაამარილებდნენ, „დამწნიდნენ“ ინჯაროში, სადაც ორ კვირას აჩერებდნენ; წვენს თვითონ გამოიღებდა. შემდეგ ტაფაში, თავისივე ცხიმის ერბოში შეწვავდნენ, შეკაზმავდნენ და რამდენიმე კვირცხსაც დაახლიდნენ (მესხეთი). მესხეთში მსუქანი, გამხმარი ბატის ხინკალსაც აკეთებდნენ.

ლიტ.: მასალები..., 1986:155, 165, 170, 186, 225.

ბატონების ხე - ბატონების კულტთან დაკავშირებული ქართული საწესო საგანი - ყვავილით ან წითელათი დაავადებული სუფრაზე, „ბატონების ტაბლაზე“, აღმართული ხის ტოტი, რომელზეც ჩამოკიდებულია წითელი ნაჭრები, ხილი, ტკბილეული, პურის ცომისგან გამომცხვარი და წითელი საღებავით მოხატული რკალის სახის პატარა კვრები, ბურთულები, სხვადასხვა ფრინველები, ცხოველები და სხვ.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ). თბ., 1941, გვ. 75.

ბატონი მეფუკე - იხ. „ფუკობა“.

ბაფთურა (მთიულ.) - ნაქსოვზე შიბებს შორის გამოყვანილი რაიმე სახე.

ლიტ.: ლ. კაიშაური. მთიულურის დარგობლივი ლექსიკა. თბ., 1967.

ბაქანი (ქსნ. ხეობ.) - საჩეჩლის ხის რკალი.

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984.

ბაქმაზი - ტყემალს რომ გახეხავენ, წვენს დიდხანს ადუღებენ (დილიდან შუადღემდე), რომ გასქელდება, გადმოდგამენ და ბოთლებში ჩაასხამენ შესანახად. ბაქმაზი, თურქულად „ბექმეზ“, უმეტესად ტკბილი ხილისაგან (ყურძენი, მსხალი) მზადდება, მოდუღებული კარგად ინახება. ქართლში ბაქმაზს ბაღრიჯნისგანაც აკეთებდნენ. მას ადუღებდნენ და გახეხავდნენ, შემდგომ როცა გასქელდებოდა გადმოიღებდნენ და ჩაასხამდნენ შესანახად, საჭიროების დროს მოსახმარად. პომიდვრის ბაქმაზსაც ადუღებდნენ, საცერში წურავდნენ, ბოთლებში ინახავდნენ, ზემოდან ზეთს ასხამდნენ რომ არ გაფუჭებულიყო. ბოთლებს საცობს კარგად უკეთებდნენ.

ვაშლისა და მსხლის ბაქმაზის გარდა, მესხეთში თუთისაც იცოდნენ. თუთას ჩაყრიდნენ ქვაბში, კარგად მოხარშავდნენ. ხარშვის პროცესში უწყვეტად ურევდნენ, მერე გადაწურავდნენ, რომ კურკები არ შეჰყოლოდა და ქვაბში ასადუღებლად ჩააბრუნებდნენ. დუღილისას ისევ ურევდნენ, გასქელდებამდე ადუღებდნენ და შესანახად უკვე მხად იყო.

ლიტ.: მასალები..., 1986:15, 132, 151; საქართველოს ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული..., 2019:121.

ბაღდადი - თავშალი. კვადრატული მოყვანილობის აბრეშუმის თავშალს, თავის დაბურვის დროს უბეურად კეცავდნენ. ზამთრობით, ბაღდადის ნაცვლად, შალისა და ქიშმირის თავშლებსაც იყენებდნენ. ასაკის მიხედვით ირჩევდნენ ბაღდადის მუქ და ღია ფერებს. ქალის თავდაბურვის პროცესი ბაღდადის მოხვევით მთავრდებოდა, რომელსაც ჩიხტზე ქინძისთავებით ამაგრებდნენ; გრძლად ჩამოშვებული ბაღდადის ყურები ყელთან

იკვრებოდა. ბაღდადის ხმარებას გარკვეული წესი ჰქონდა. ქალები ბაღდადს გარეთ გამოსვლის დროს იხვევდნენ. შინ და სტუმრად ყოფნის დროს, ისინი უბაღდადოდ იყვნენ. მხოლოდ ხანდაზმულნი და მგლოვიარენი ატარებდნენ ყველგან შავი ფერის ბაღდადს. აბრეშუმის ბაღდადის, ქიშმირის ან ჩითის მოსახვევების გარდა, ზამთრის პერიოდში ქალები თავშალს იყენებდნენ, რომელსაც გამზადებულს ყიდულობდნენ. ჩიხტსა და კოპს თვითონ ამზადებდნენ, ლეჩაქსა და თავსაკრავს ოსტატები კერავდნენ. მთაში (მაგ., ფშავში) „ბაღდადი“ XX ს-ის დასაწყისში შემოვიდა. მას ახალგაზრდა ქალები იხვევდნენ და ოჯახებს ქალის დასანიშნად მიჰქონდათ.

ლიტ.: ნ. გვათუა, ჩაცმულობის ისტორიიდან, 1967:30; ლ. ბოძაშვილი, ფშავი და ფშაველები, 1988:18.

ბაღ-ი (სვ., მეგრ.) - 1. ბელის ფუნქციის მქონე ნაგებობა, რომელსაც უსახელურო კიბე ჰქონდა მიდგმული. იხმარებოდა ხორბლის, ქერისა და ფქვილის შესანახად. დაახლოებით ეტეოდა 100-120 კვიდოლი მარცვალი. (კვიდოლი - 3 ფუთი). „ბაღში“ ჭირნახულს ყრიდნენ - „ლაშდარიდან“ - საგანგებო სარკმლიდან, ზოგიერთ თემში „ბაღ გუიზის//ტაბლამ“ (ბ.ქვ.სვ.) წმინდა პურის მარცვლის ან ფქვილის შესანახს ეწოდებოდა, რომელიც საკულტო დანიშნულების კვრებისთვის იყო გამიზნული. მისგან გამომცხვარი ლემზირების დანახვა, სუფრაზე მიტანამდე, უფროსი ქალის გარდა ყველას ეკრძალებოდა. კიდობანს უწმინდური ქალი ახლოს ვერ გაუვლიდა. ტაბლამის ფქვილისგანდ სადღესასწაულო ლემზირებს აცხობდნენ. ლოცვაც კიდობანთან სრულდებოდა; 2. (გურ., ზ. აჭარ., ინგილ.) - ა. სარტყელი, ზონარი, წვივსა-

კრავი, ბ. ქალამნის შესაკრავი თასმა, ბაწარი.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ ღლეობათა კალენდარი. 1930; ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ლლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984.

ბაღჩა -- ხეხილნარი, ადგილი საკარმიდამოში, სადაც ძირითადად ხეხილი იყო დარგული.

ბაშტე (თუშ.) - საცხოვრებელი სახლის პირველი სართული, სადაც საქონლის გომური იყო გამართული.

ბაჩაყურაი (თუშ.) - მიცვალებულისადმი მიძღვნილი მრავალტოტა, უგულო ნამცხვარი.

ბაჩაჩა (იმერ.), **ბოკონი**, **კვენტი** (რაჭ.), **კველა** (სამეგრ.), **კერიის სკამი** (აღმ. საქ. მთ.) - პატარა სამფენა ან ოთხფენა სკამი, ზურგიანი ან უზურგო.

ბაცანკალა (რაჭ.) - პატარა, ზრდაში ჩამორჩენილი პირუტყვი.

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ლლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984.

ბაცანკალი (ქართლ.) / **ლათხურმა** (სვ.) / **გუა** (მეგრ.) - თავსადები ფიცარი, საწოლად განკუთვნილი სკამ-ლოგინების, ლოგინებისა თუ ტახტის აუცილებელი ატრიბუტი. თავსადები ფიცარი ორ სადგარზე დახრილად მიმაგრებულ დირეებში იყო ჩასმული, რომ თავსადებად მოსახერხებელი ყოფილიყო. ეთნოგრაფიული მასალა ბაცანკალს მხოლოდ შიშველ თავსადებად კი არ წარმოაჩენს,

არამედ ცხადყოფს, რომ მასზე იღებოდა სასთუმლად გადახვეული ფარდაგი, ნაბადი, ბალიში. ბაცანკალად იგი ამ შემადგენელ ნაწილებთან ერთად აღიქმებოდა. ამის საუკეთესო მაგალითს დღეს სვანური „ლათხურმამ“-ი წარმოადგენს. ამ ტერმინით დღესაც ფიცრის თავსადებთან ერთად მასზე დადებული ნაბადი, ფარდაგი და სხვა იხსენიება.

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2013.

ბაცუკა (თუმ.) || ბაციკი || ბაციკუკუ (სვან.) - ანთროპომორფული, ზომორფული, ზოგადად, ფიგურული რიტუალური ნამცხვარი. თუშეთში ანთროპომორფულ ბაცუკებს ძირითადად სამი დღესასწაულის (შობა, მგელჯიხვაობა, სულთკრეფა) დროს აცხობდნენ. საშობაო სუფრაზე ორნაირი ბაცუკა იდო: ერთი, ე.წ. „კაცის აღე“ - უფუარი ცომისაგან შექმნილი ადამიანის პატარა ფიგურა დოინჯით, ნახშირის, სიმინდის ან „ცვერვის“ მარცვლების თვალეებით, ზოგჯერ ფალოსით (მას სპეციალისტები ფუნქციურად საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებული საახალწლო რიტუალური ნამცხვრის - ბასილას კვერის - ანალოგიად მიიჩნევენ); მეორენაირი ბაცუკა წარმოადგენს მრგვალად დაგრძელებულ და ნალივით მოხრილ, დაჩხვლეტილ ცომს, რომელსაც მოხრის ადგილზე ცხვირით ამობურცავენ, „ტოტებზე“ კი ცომისავე ჯვრებს დააკრავენ. ამ სახის ბაცუკას იმდენს აცხობენ, რამდენი მამაკაციც არის ოჯახში. მათ, იარაღთან ერთად, „გამცხადებამდე“ (იხ.) კელელზე ჰკიდებენ. შობაზე აცხობენ კერაზე დასასმელ ბაცუკას - პირამიდულად აზიდულ ფიგურას ყუ-

რებით, ცხვირით და თვალეებით. ასეთ ბაცუკას რამდენიმე სახელი აქვს: „კერაის დედა“, „ღომილის დედა“, „ნაცრის დედა“, „ყვერფთ დედა“, „ყვერფის ნანო“, „ჭერჩი ჭყეტია“. იგი კერიის მფარველად ითვლება და, შობის დროს ნაცარზე დასმული, იქ იმდენ ხანს რჩება, სანამ არ დაიწვება ან არ ჩამოიფშვნება.

თუშები მგელჯიხვაობის (იხ.) დილას აცხობენ სხვადასხვა რაოდენობის ზომორფულ (ცხვარს, ჯიხვს, ირემს, თხას, ხარს, მგელს ...) და ანთროპომორფულ ბაცუკებს. შვილმკვდარი ოჯახები ე.წ. „სულის ბაცუკას“ ამზადებენ. კაცებისა და გოგონებისათვის ცხვება ნალივით მოხრილი ფორმის ბაცუკები, ბიჭებისათვის - „კაცის აღე“. „სულის ბაცუკასა“ და დანარჩენ კვერებს დგამენ „საისრეველზე“ (ადგილი, სადაც სამიზნე კვერებს მშვილდ-ისარს ესვრიან). ვინც გამორჩეულად მორთულ „სულის ბაცუკას“ ისარს მორტყამს, მოიტანს ერთ ბოთლ არაყს და იქ მყოფთ იმ მიცვალებულის შესანდობარს ათქმევინებს, რომლის სახელზეც ნიშანში კვერია ჩადგმული.

სულთკრეფაზე (იხ.), რომელიც მიცვალებულისა და აგრარულ კულტებს უკავშირდება, ანთროპომორფული ბაცუკა სუფრის აუცილებელი ატრიბუტია. იგი საიმდლისო საწესო სუფრაზე სამ „გახვრეტილ კვერთან“, „საქალთანოსთან“ (კვერი), წანდილთან და ბიჭონთან (მონალული ქერი, სვილა, სიმინდი) ერთად დევს. ადგილობრივთა რწმენით, მათ გარეშე მიცვალებულს „სუფრა არ მიუვა“.

ხარის, ვერძის, ვაცის, ცხენის, ჯიხვის არჩვის, მტრედის, გვრიტის და სხვ. გამოსახულების სვანურ ბაციკს||ბაციკუკუს თევდორობა (ლითოდურ) დილას ოჯახის რომელიმე მამაკაცი აცხობდა იმდენს, რამდენი თორმეტ წლამდე ასაკის ვაჟიშვილიც ჰყავდათ (სვანი ქალები

ლიფანალის დღეობაზე ცხოველთა გამოსახულების ბაციკებს ცვილისა და ყველისგან ამზადებდნენ). სხვადასხვა ოჯახის შვილები თავს მოიყრიდნენ რომელიმე სახლის ბანზე, რომელსაც დარბაზს ეძახდნენ. ბაციკებს თავად ბავშვები შეავედრებდნენ წმ. გიორგის, რათა ამ უკანასკნელმა მათ გაზრდა-გახარება მისცეს და სამერმისო თევდორობას მშვიდობით შეახვედროს. ლოცვის შემდეგ, ბიჭები ბაციკებს ერთ ადგილზე დააწყობდნენ, დირეზე ბაწარს ჩამოკიდებდნენ და საქანელას გაიკეთებდნენ, დაღლამდე იქანავებდნენ, შემდეგ ბაციკებს შეჭამდნენ და თავიანთ სახლებში წავიდოდნენ.

ტერმინი „ბაც-უკა“ ორნაწილადი სიტყვაა, რომლის პირველი სემანტი ბაცკანონზომიერი შესატყვისია ლაზური ბოჩი „მამალი ცხვარი“ და მეგრული ოჩი „მამალი თხა“ სახელებისა (-უკა კნინობითი სუფიქსის თუშური ვარიანტია). როგორც აღნიშნავენ, ქართულ წარმართულ პანთეონში ბოჩი ნადირისა და მონადირეობის, დოვლათის მფარველი ღვთაებაა, რომელიც მესაქონლეობის მფარველ ღვთაება ბოსელთან გენეტიკურ კავშირს ავლენს.

ლიტ.: ნ. აზიკური. თუშური „ბაცუკა“ // ძეგლის მეგობარი. № 42. თბ., 1976, გვ. 65-69; ვ. ბარდაველიძე. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბ., 1953, გვ. 71-117; დ. გიორგაძე. მიცვალებულთა სულების მოსახსენებელი დღე - სულთავრეფა - აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში // საისტორიო კრებული. თბ., 1974, გვ. 401; ბ. ნიჟარაძე. სვანების ზოგიერთი ჩვეულებანი და ცრუმორწმუნეობანი (შეკრებილია თავისუფალ სვანეთში) // ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე. თბ., 1973, გვ. 77; ჯ. რუხაძე. ღვთაება ოჩი || ბოჩი ახალი ეთნოგრა-

ფიული მასალის მიხედვით // სამეცნიერო სესია მიძღვნილი პროფ. ვ. ბარდაველიძის ხსოვნისადმი. მოხსენებათა თეზისები. თბ., 1972, გვ. 17; ნ. ლოდობერიძე. თუშური საბავშვო გართობა-თამაში და სათამაშოები // თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბ., 1967, გვ. 232; В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тб., 1957, гв. 122.

ბაცხ-ი - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული სვანური (უშგულური) წეს-ჩვეულება - მკვდრის მოსახსენებელი ხარჯის (რიგის) გამართვა შობა-ახალწელიწადის „ორთაშუობის“ (იხ. „ბარუნენსგა || ბარუნენსგა“), ან შუშხუჭმის (იხ.) დროს (ზოგი შემოდგომაზე ნოემბრის თვემდე იხდიდა). ბაცხის მომწყობი ოჯახი წინა დღით დაკლავდა ერთ, ან ორსამ ხარს, ხორცს მოხარშავდა და ულუფებად (ლაგჭფ-ებად) დაანაწილებდა. ლაგჭფ-ი იმდენი უნდა ყოფილიყო, რამდენი კომლიც იყო უშგულში. ცალკე გამოყოფდნენ და ოჯახის გათხოვილ ქალიშვილს (ჰასჟიშ-ს) უგზავნიდნენ ხარის მარჯვენა ბეჭს, რომელსაც ნაწუჭრ-ი („შესაწირი“) ეწოდებოდა. გარდა ამისა, საამდლოსოდ აცხობდნენ საკმაოდ დიდი ზომის თითო კვერს, ე. წ. სეფსკუერ-ს (სეფისკვერს) უშგულის მოსახლეობის ყოველი სულისთვის. ბაცხობა დღეს თემის მთელი მოსახლეობა მასპინძლის ოჯახს არყის დასალევადა, შინწასაღები ლაგჭფ-ისა და სეფისკვერის მისაღებად სტუმრობდა.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 74-75, 106.

ბაწარად ღომი -- ღომის ჯიში: „ბაწარად ღომი თეთრი ღომია. გემოც კარგი აქ კარაქათაც მზადდება გამრთავია.“

ლიტ.: ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი, 2018:72.

ბაწარი - 1. მატყლისაგან ან ბამბისაგან დამზადებული საქსოვი ძაფი. 2. თოკი, რომელსაც აჭარაში კანაფისაგან გრეხდნენ

ბაწარი - 1. მატყლისაგან ან ბამბისაგან დამზადებული საქსოვი ძაფი. ბაწარის სისქეს ხელოსანი განსაზღვრავდა. სქელ ბაწარს რამოდენიმე წვერი ნართისაგან ართავდნენ საძახ ტარზე. წვრილ თოკსაც ბაწარს ეძახდნენ. 2. შინ დართული მატყლის ძაფი, მკედი (და არა თოკი), ძაფი საწინდელ (ფშ.). 3. თასმა ჯღანისა (ხევს.).

ლიტ.: ა. ღლონტი, ქტსკ. 1974.

ბაჭაჭყი - ტყავის დასამუშავებელი სპეციალური ხელსაწყო. მეუნაგირეები იყენებდნენ ტყავის დასაჭიმად და გასასწორებლად.

ბაჭკო (ფშ. ხევს.) - საწვიმარ-მოსასხამი. თხის ბალნისაგან მოქსოვილი ტომარა, რომელსაც მწყემსები კაპიუმონის მსგავსად წამოიხურავდნენ თავზე.

ბაჭული (რაჭ.) - იგივეა, რაც სართვიანი, შერთული (ხაჭოიანი, ლობიანი).

ლიტ.: რაჭული ლექსიკონი...

ბახარხლები (რაჭ., მხოლოდ მრ. რიცხვში) - მცირეწლოვანი ბავშვები ოჯახში (ჩვეულებრივ მრავალი) (შდრ. ქეგლ, გაჩ.: ბასარხლები; ბერ.: ბახარხალა; ძოწ.: ბასასხები).

ბახვა (რაჭ.) - ვაზის ჯიშია. შავ ყურძენს ისხამს, ახლა იშვიათად გვხვდება (იხ. ფრ., 24).

ბახრიპეწი - (ხევს.) - რქის ხელსაწყო, ცხენის აღკაზმულობის თასმების გამოსაკვანძი.

ბაჯგა - ლობიოს ჯიში.

ბებუთი - ირიბი დანა, ორპირად ლესული. მზადდებოდა გაშუალებითი დაფოლაფების წესით, რაც გულისხმობს რკინის ორ ნაჭერს შუა ფოლადის დაყოფას, დატენვას. ბებუთი ხელჩართულ ბრძოლაში გამოიყენებოდა. ქართული ბებუთი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს აღმოსავლურ ყამასთან.

ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი, ქართ. ხალხ. მეტალურგია, 1964.

ბეგთარი - „მორკინული საცმელია, საომარი“ (საბა). ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ბეგთარი შედგება ოთხი ფოლადის ნაჭრისაგან-საგულე (წაგრძელებული მართკუთხა ფორმის), რომელსაც მარჯვნივ და მარცხნივ აქვს საფერდები და საზურგე. ფოლადის ფირფიტები ერთმანეთთან დამაგრებულია წყვილ-წყვილი ტყავის თასმებით, საგულეზე ოთხივე კუთხეში ჩამაგრებულია თასმები, რომელნიც საფერდებზე იკვრება ენიანი ბალთების საშუალებით, ხოლო საფერდეზე დამაგრებული თასმები საზურგეზე იკვრება ასევე ენიანი ბალთებით. ბეგთარის ჩაცმისას ტყავის ღვედებს (ქაფი) ბეჭებზეც გადაიკრავდნენ საგულედან საზურგეზე. ჩვენს დრომდე მოღწეული ასეთი ბეგთარები ძირითადად აღმოსავლური წარმომავლობისაა, რომლებიც აქტიურად გამოიყენებოდა ქართველ წარჩინებულთა საომარ აღკაზმულობაში. ბეგთარი ხშირად ჯაჭვის პერანგების ზემოდან კეთდებოდა, რაც პოეზიაშიც დასტურდება - „ჯაჭვი-ბეგთარი დევ-ქაჯთა მას ღღესა დაიხვევისა“ (მაჰნ. I.1513-3). ქართული არქეოლოგიური მასალის მიხედვით ბეგთარი ლითონის პატარა ფირფი-

ტებით დაფარული, მორკინული, ტყავის ან მჭიდრო ქსოვილის ჯავშანია, ასეთი ტიპის ბეგთარი აქტიურად გამოიყენებოდა განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების ქართულ შეიარაღებაშიც, ეთნოგრაფიულ ყოფაში აღარ გვხვდება.

ლიტ.: კ. ჩოლოყაშვილი, ქართული საჭურველი - ჯაჭვი, სსმმ. ტ. XIXB.

ბედგონიო კედელი - შენების დროს მრუდედ აყვანილი კედელი.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი, ტ. 4: წერილებ; თვალადური ქართულის ჭაშნიკი. თბ., 1975.

ბედისკვერი - რიტუალური კვერი; ახალწელს, ბედისკვერობა დღეს, ოჯახის წევრების სახელობაზე ცხვებოდა ბედისკვერები: ფრინველის, საქონლის, სამეურნეო იარაღის, მარცვლეულის სათავსის, წიწილ-კრუხის, ვაზის რქის, ხარის ქედის, უღლის, ნამგლის, თოხის, საცხველის, ღომის თაველის და სხვათა გამოსახულებებით. ბედობა დღეს ხევსურეთში კაცებს დაუკრავდნენ შოთებს, დედაკაცებს მრგვალ პურებს, ბავშვებს კი - კვერებს. პურის ზედაპირზე ჩაარჭობდნენ ერთ კვნიტ შაქარს, ჩამიჩსა და ნიგვზის კბილს. ერთ მოზელაზე გამოაცხობდნენ ოჯახის წევრებისა და საქონლის სახელზე და თითოეულს დანიშნავდნენ; ვისი ბედისკვერიც ცხობის დროს „გასუქდებოდა“, ბედნიერი იქნებოდა, ვისიც „განმებოდა“ - დასნულდებოდა. ბედისკვერები თანაბარი ზომისა იყო, გარდა ერთისა, რომელსაც „ხარის გოგას“, „ხარის კვერას“ უწოდებდნენ. იგი დანარჩენებზე 5-ჯერ დიდ ხარის კვერზე გუთნის ნიშანი იყო გამოყვანილი. ძროხების კვერს გომურში გაიტანდნენ, მუჭით ხორბალს გადააყრიდნენ და პატარ-პატარა ნატეხებს შეაჭმევდნენ; ცხვრისას თვითონ შეჭამდნენ

და დაილოცებოდნენ. ხევსურული ბედისკვერა ხავიწის გულიანი ან უგულო ჯშიადი იყო, რომლის ჩაღრმავებულ მხარეს გაყინული ერბოთი ამოავსებდნენ.

რიტუალურ კვერებში ნათლად ჩანს მემინდვრეობის, მესაქონლეობის, მეფრინველეობის, მევენახეობის, აგრარულ და ასტრალურ ღვთაებათა თაყვანისცემის ნიშნები, რწმენა-წარმოდგენათა არქაული სემანტიკა, რომლის მიხედვითაც ადამიანები ბუნების ძალების მფარველობას, ნაყოფიერების მონიჭებას, უხვ მოსავალს, სიცოცხლისა და დღეგრძელობის უზრუნველყოფას ითხოვდნენ.

კახეთში საახალწლოდ ქალისათვის თონეში აცხობდნენ მრგვალსა და შუაში გახვრეტილ ბედისკვერას. მათი რწმენით, თუ კვერი კარგად გამოცხვებოდა, კაი ბედისა იქნებოდა ის, ვის სახელზედაც იყო გამომცხვარი; თუ თონეში ჩავარდებოდა, ან დასახიჩრდებოდა, იტყოდნენ უბედური იქნებაო.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბ., 1953, გვ.83; მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის. ტ. III, ნაწილი II. საჭმელ-სასმელები. თბ., 1986, გვ.121; ალ. ჭინჭარაული. ხევსურული თავისებურებანი. ტექსტებითა და ინდექსით. თბ., 1960, გვ. 212-213; ს. მენტემაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

ბედისმწერლები || **ბედიმწერელნი** (ქიზ.) / **მწერელი** (თუშ.) - ადამიანის ბედის განმსაზღვრელი სულები (ან რამდენიმე სული) ქართულ მითოლოგიაში. ხევსურული მასალის თანახმად, ცხოვრობენ საიქიოში, გამუდმებით „ბედის წიგნში“ იხედებიან და სულეთის ღმერთს (იხ) დროუ-

ლად აწვდიან ინფორმაციას ცისქვეშეთში ადამიანის ცხოვრებისათვის დაწესებული ვადის გასვლის თაობაზე. ზოგჯერ ბედის მწერლები ცდებიან და სულეთში იმ ადამიანის სულსაც იძახებენ, რომელსაც სიცოცხლის ვადა ჯერ კიდევ არ გასვლია. ასეთ შემთხვევაში ისინი სულს სხეულს უბრუნებენ და ადამიანი მისთვის განწესებულ დრომდე ცხოვრობს. ბედის მწერლების ფუნქციას, არცთუ იშვიათად, სულეთის ღმერთი ითავსებს.

ლიტ.: დ. გიორგაძე. წარმოდგენები საიქიოზე ხევსურეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXI. თბ., 1981, გვ; დ. კარიჭაშვილი და ივ. ბუქურაული. თუშურს ლექსებში ნახმარის სიტყვების განმარტება // ძველი საქართველო. ტ. II. ტფ., 1913. განყ. V, გვ. 129-139; ს. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943; И. С. Бедис мцэрлеби // Мифы народов мира. Главный редактор С. А. Токарев. Т. I. М., 1980.

ბედის სამხსნელო - უშვილოთა მიერ წულის, ვაჟიშვილის სამხვეწროდ, ასევე ახალდაქორწინებულთათვის ბედისა და დოვლათის მინიჭების მიზნით ხახმატის ჯვრისთვის - „ბედის გამხსნელისთვის“ - შეწირული საკლავი ხევსურეთში.

ლიტ.: გ. თევდორაძე. ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში. წიგნი 2. თბ., 1939, გვ. 23-25; ალ. ოჩიაური. სტუმარ-მასპინძლობა ხევსურეთში. თბ., 1980, გვ. ???; თ. ოჩიაური. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ., 1954, გვ. 51-52.

ბელ-ბალი (ჯავახ.) - ქალის წელსახვევი. მასალად იყენებდნენ 3 სმ სიგანისა

და 12 მ სიგრძის ჭრელ შალს. ძირითადად ხმარობდნენ ხანშიშესული ქალები და დედაბრები. ბელ-ბალი მესხური ჩასაცმელის ძველი ელემენტი.

ლიტ.: ლ. ბარათაშვილი, მასალები XIX საუკუნის ქართული ხალხური ტანსაცმლის ისტორიისათვის მესხეთ-ჯავახეთიდან, მსკი, 1966.

ბელეში - საყავრე ხის ნაჭერი. შერჩეულ საყავრე მორს შუაზე გააპობდნენ, შემდეგ დაანათხლებდნენ, ნათხალს კიდევ ოთხად დაჭრიან და ბელეშს მიიღებენ. ბელეშის სიგრძე 1,5 არშინი იყო, მისგან ყავარს ხდიდნენ, ფურცლავდნენ.

ლიტ.: გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, 1962.

ბელი - ყავრის სახდელი იარაღი აჭარაში.

ბერა - საცხვრე, ცხვრის სამყოფი, ძელური ბაკი თხა-ცხვართათვის. ეს იყო შემოზღუდულ ადგილზე ცხვრის დასათვლელად და მოსაწველად დატოვებული ვიწრო გასავალი. აჭარის გარდა, იგი ცნობილი იყო ჭოროხის აუზის არაერთ მხარეში - ტაო კლარჯეთში, მტკვრის აუზის მოსახლეობაში - სამცხეში, აღმოსავლეთ საქართველოში - ქსნის ხეობაში, ხევში, მთიულეთ-გუდამაყარში, ქიზიყში. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში მას ოდნავ განსხვავებული მნიშვნელობებიც გააჩნდა. სამეურნეო კომპლექსი აღმოსავლეთ საქართველოს ბარულ მესაქონლეობაში, მაგ., მეწველი საქონლის ძირითადი ნაწილი გაერთიანდებოდა რძის მეურნეობის წარმოებისათვის. ამ მიზნით იორ-ალაზნის მოსახლეობა 5-10 ოჯახის შემადგენლობით აერთიანებდნენ მეწველ საქონელს და აგებდნენ საერთო მესარეკს - გომს. ჯოგის მოვლა-პატრონობა

და წველა-დღეობა რიგისამებრ მოდიოდა, რაც გაერთიანებული საქონლის რაოდენობით განისაზღვრებოდა. ბერას მეურნეობას მამაკაცები უძღვებოდნენ.

ლიტ.: ქართველი ხალხის ეთნოლოგ. 2018:77; საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, 1986:145.

ბერად შეყენება - შეთქმის საფუძველზე გარკვეული ვადით ხატის სამსახურში ჩაყენების ქართლური წესი - ქიზიყური „კურატად დაყენების“ (იხ.) ანალოგი. ვ. ბარდაველიძის მიხედვით, „როცა ოჯახს შვილი არ უჩნდებოდა, ან უჩნდებოდა და არა რჩებოდა, ან ავადმყოფობდა, ოჯახის უფროსი კაცი ან ქალი (და ან თვით ავადმყოფი) თავის სალოცავს შეუთქვამდა: ოღონდ შვილი გამიჩინე, ან გამიზარდე თუ ავადმყოფი მომირჩინე და ამდენი ხნით „ბერად დაგიყენებო“. რამდენი წლითაც შეუთქვამდნენ, იმდენი წლის განმავლობაში შეთქმულ პირს თმას არ მოჰარსავდნენ და უზრდიდნენ, შემდეგ ხატში წაიყვანდნენ საკლავით და სანთელ სამწყალობნოთი და დეკანოზს ან მღვდელს შეაკრეჭინებდნენ ბერად შეყენებულის თმას. „ბერად შეყენება“ იცოდნენ 10-13 წლის ბავშვისაც და დიდი ვაჟკაცისაც“.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. 1947 წლის ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის საარქივო მასალა; Рухадзе Дж. Бери-Бера // Мифы народов мира. Главный редактор С. А. Токарев. Т. I. М., 1980.

ბერაულა - რაჭაში გავრცელებული ვაზი იყო. მტევანი ჰქონდა გრძელი და შეკრული, მარცვალი მსხვილი, ფერად თეთრი. ბევრს ისხამდა. ღვინოც კარგი ჰქონდა. ამჟამად თითქმის გადაშენებულიაო (იხ. ფრ., 45).

ბერბუმო (რაჭ.) - რაჭაში გავრცელებული ვაზის ჯიში, ყურძენი ვარდისფერ-შავი, ღვინო წითელი დგებოდაო. ახლა გადაშენებულად მიაჩნიათ (იხ. ფრ., 24).

ბერბიჭა / ბერკვიცი - ბერბიჭას ეძახიან ხნიერ, მაგრამ უბერებელ კაცს, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ჭაბუკური იერი და ძალღონე. ბერკვიცი-ც ასევე ხნიერი და უბერებელი ცხენია, რომელიც, მიუხედავად თავისი ხნოვანებისა, მაინც ამჟღავნებს მოზარდი ცხენის – კვიცის თვისებებს თავისი სიმარდით, სიმკვირცხლით და ღონით. „განმარტებით ლექსიკონში“ ბერკვიცი ახსნილია, როგორც ბებერი ცხენი. ეს განმარტება, რა თქმა უნდა, ზუსტი არ არის, აკლი სწორედ ის ნიუანსი, რაც ხაზგასმული უნდა იყოს განმარტებაში: ბერის ახალგაზრდობა, ბერკვიცობა. განა ყველა ბებრ ცხენზე ითქმის, ბერკვიციაო? თვით მაგალითი, რომელიც მოტანილია ლექსიკონში: „მოაყვანიან ბერკვიცი, შეჯდა, მიეშურება, სადაც ომია (აკაკი)“, ამ აზრს უნდა ადასტურებდეს. ბერბერ ცხენზე თორნივე ერისთავი არ შეჯდებოდა ბრძოლის ველზე წასასვლელად, შეჯდებოდა გამოცდილ, ნომარ, ხნიერ, მაგრამ ახალგაზრდული თვისებებით აღჭურვილ ცხენზე.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი, ტ. 4: წერილებ; თვალადური ქართულის ჭაშნიკი. თბ., 1975.

ბერგი (მეგრ.) - თოხნი, ხოლო ბარგუა - მარგვლა, ანუ თოხნის აღმნიშვნელი მეგრული სიტყვაა, ნიშნავს პირველ გათოხნას. ასევე, ლაზურში თოხნას გამოხატავს - ობერგუ.

ლიტ.: ნ. მაშია, სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია, 2021:43.

ბერკლი (რაჭ.) - ტილოს პატარა ჩვარი, ბერკლის ხმარობდნენ ფინთიხის

(ტყვიის) შემოსახვევად, რომ იგი მაგრად ყოფილიყო ჩამჯდარი თოფის ლულაში.

ლიტ.: ალ. რობაქიძე, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქ-ოს სახალხო მეურნეობაში, ტ.1, 1941.

ბერდარი || **ბელდარა** - წისქვილის დიდი ღარი, საიდანაც წყალი ეცემა ბორბალზე. ბელდარით წყალი გადაყავდათ ხევის ერთი ნაპირიდან მეორეზე.

ბერძღუმი || **ბურზღუმი** -- გარეული ვაზი ჰერეთსა და საინგილოში. მისი სინონიმური ვარიანტებია ბრძღვამლი (იმერ.), ძღვამლი//ძღვამბლი (რაჭა-ლეჩხუმი), ზღვამბლი (რაჭ.). გარეული ვაზის, ტყის ყურძნის აღმნიშვნელი სხვა უფრო გავრცელებული ქართული სახელებიც გვაქვს. იხ. კრივინა, უსურვაზი. გარეულ ვაზს 20-ზე მეტი სინონიმი აქვს. მათ შორის, მორცხულა//მორცხვილი (გურ. იმერ.), კაჭიჭი (იმერ.), ჭანჭყატი (ქიზ.), ბაბილო, ტყის ბაბილო, მთის ბაბილო (ქართლ.).

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტ. დაკავშ. 1978:90-91.

ბერწმეწველი (რაჭ.) - ძროხა ბერწი და მეწველი. ცოტას, მაგრამ მაინც იწველის.

ლიტ.: რაჭული ლექსიკონი...

ბელელა - მითოლოგიური პერსონაჟი - ღვთა მეფე (ვარიანტი: ღვთა მეფის მსახური გოლიათი); კლავს იახსარი (ვარიანტი: კოპალა). ზოგიერთი მითის თანახმად, ბელელა მზეთუნახავი ქალია, მიწამდე შვიდ ტალღად დასული თმებით.

ლიტ.: Кикнадзе З. К. Бегела // Мифы народов мира. Главный редактор С. А. Токарев. Т. I. М., 1980.

ბელელი (რაჭ.) - გახდილი ყავარი, და-

ხერხილი ფიცარი... ერთმანეთზე დაწყობილი ფენა-ფენა კუბისებურად, რომ სწორად გახმეს და არ დაიბრიცოს. გახდილი ყავარი თუ ბელლად არ დადგი, დაიბრიცება.

ლიტ.: რაჭული ლექსიკონი... (შდრ. ჩიქოვ.: დაბედლვა).

ბელელი - სამეურნეო პროდუქტების შესანახი შენობა. ბელელი წარმოადგენს წმინდად გათლილი ფიცრისგან აგებულ ერთსართულიან ოთხკუთხა ოთახს, რომელიც შედგმულია ქვის დაბალ ბოკონებზე. ბელელი მთლიანი ნაგებობაა, იმდენად მჭიდროდ აშენებული, რომ მასში მღრღნელებმა ვერ შეადწინონ. ბელელს აქვს პატარა კარი და იკეტება ე.წ. დათვა საკეტით. ბელელი შიგნით დაყოფილიც არის და მთლიანიც. დაყოფილი ბელლის ცალკეულ თვალში (ხარო, ხვიმირა, საგვერდული) ინახებოდა სხვადასხვა პროდუქტი და მარცვლეული. ბელელი მეტ-ნაკლებად გავრცელებული იყო საქართველოს ყველა კუთხეში და ძირითადად დამახასიათებელი იყო დიდი მასშტაბის მეურნეობისთვის. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ბელელი ითავსებდა პატარა ოთახსაც, რომელიც თაფლობის თვეში ახლად დაქორწინებულთა საცხოვრისად გამოიყენებოდა. ლიტ.: ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, 1976.

ბელელ-ოთახი//ბელლის ოთახი//ხულა - სამეურნეო პროდუქტების შესანახი სამეურნეო ნაგებობა - სათავსი. დიდი ბელელი ახალდაქორწინებულთა საცხოვრებლის დანიშნულებითაც გამოიყენებოდა. ბელლის, როგორც მარცვლეულისა და ფქვილის სათავსის გამოყენების ფაქტი დამოწმებულია ქართველი ხალხის ყოფაში. გენეტურად ბელელი უკავშირდება იმ რიგის ნაგებობებს, როგორცაა: დიდი კიდობანი, ამბარი, ხარო

და სხვა. მსგავსი სათავსები გვხვდება საქართველოს ფარგლებს გარეთაც. მასალის დამუშავების მიხედვით, ბეღელი გვხვდება: ძელური, ფიცრული და სიპისაგან აგებული (აღმ. საქ. მთა). ბეღელი არის დაუყოფელი და დაყოფილი. დანაყოფებია: თვალი, ხარო, ხვიმრა, საგვერდული, აკო, ორმო. დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებისგან განსხვავებით, ქვემო იმერეთის ზეგანზე ოდითგანვე ყოფილა ოროთახიანი ბეღელი, რომლის ოთახებს შორის მკვეთრი ფუნქციური დიფერენციაცია არსებობს. ერთი ოთახი კვადრატულია. ტიხრით თვლებად და დაყოფილი, რომელშიც მარცვლეს ინახავენ, ხოლო მეორე სასტუმრო ოთახს წარმოადგენს. მას ბეღელ-ოთახი, ბეღლის ოთახი ან ხულა ჰქვია. ბეღელ-ოთახი მოგრძო სწროკუთხა ფორმისაა. ფასადის მხარეს გაჭრილი კარით. აქ ღვას პატარა სუფრა, სკამები. კედლის გასწვრივ გაკეთებულია გრძელი ტახტი. ტერმინი „ბეღელი“ ქართულ ენაში მეტად ძველია. ლინგვისტური მონაცემებით იგი ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის ხანას მიეკუთვნება.

ბეყე - წყლის ჭურჭელი სამჭედლოში გახურებული რკინის საწრთობად. მისი სინონიმებია როდი და გეჯა.

ბეჩო (რაჭ.) - დათვის ბუნაგი. (შდრ. ბერ., ქეგლ, გაჩ.).

ბეჭი (რაჭ.) – 1. ქვევრის (ჭურის) ზედა ნაწილი, სადაც შევიწროება იწყება; 2. ვერტიკალური საქსოვი დაზგის ელემენტი, ხის ან რკინის ზომით მტკაველი სიგრძესიგანისა, ჩარხით გამოყვანილი თავით. გამოყენებული იყო ქსელში - ქირცაში ცხემლით გატარებული საზედაო ძაფის მიჯრა-მიმტკიცებისათვის, ანუ ჩასაბეჭად.

ლიტ.: მსმხი ტII, ნაწ. .II, 1982.

ბეჭიშალი (რაჭ.) - მხრებზე მოსასხამი შალი. ბეჭიშალი თვითონ მოიქსოვა.

ბეჭსაფენი (რაჭ.) - ბეჭზე (მხარზე) დასადები რამდენიმე ფენისაგან შეკერილი სქელი ქსოვილი. ხმარობენ, როცა შორი მანძილიდან წყალი მიაქვთ მხარზე შედგმული ჩაფით, უფრო ხშირად კი ვენახის წამლობისას, როცა ბორდოს სითხეს ჩაფებით უზიდებიან მწამლავებისაკენ.

ბზე -- პურის, ანდა ქერის განაწეწი ჩალა.

ბიდალი - (აჭარ.) - ნაძვის ხისაგან გაკეთებული დიდი კასრი, ყველის შესანახად.

ბიდილა / ბიდილი (გლ.) სხვადასხვა დანიშნულების ხის კოდი. ფულუროიან ხეს ვნახამთ, მოვჭრით, გავთლით, ჩავფსკერამთ და გამოვა ბიდილა (იხ. ბერ.).

გლ. სხვადასხვა დანიშნულების ხის კოდი. ფულუროიან ხეს ვნახამთ, მოვჭრით, გავთლით, ჩავფსკერამთ და გამოვა ბიდილა (იხ. ბერ.).

ბიკვანი (გლ.) - კვარი. (შდრ. ქეგლ: ბიკონი; ბერ.: ბიკვი).

ბილაგი - ტყავის მოსაქნელი ხელსაწყო. შედგებოდა ფიცრის სამი ნაჭრისაგან. ბილაგს თბილისის მედაბღეები იყენებდნენ.

ნადირაძე.

ბიმბილი (რაჭ.) - ყურძნის (ერთი) მარცვალი (შდრ. ბერ., გაჩ., ასათ.).

ბიქილა (რაჭ.) - ხის საბეჭდავი, რომლის ზედაპირი დაჭრელებულია სხვადასხვა ორნამენტით და რომლითაც სა-

რიტუალო პურებს უკეთებენ ნაჭდევებს. ბიქილა - საბეჭდავების კარგად დაცული ნიმუშები აღმოჩენილია ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე, რაც იმის მაუწყებელია, რომ ამ სარიტუალო საგანს მოხმარების ხანგრძლივი ისტორია აქვს.

ბიჩაღჩი - დანების მკეთებელი, მე-დანე.

ლიტ.: ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, 1997.

ბიჭონი - ხევსურული საწესო ბატი-ბუტი; ამზადდებდნენ ახალ წელს და მგელთუქმში (იხ.), თებერვლის ბოლო რიცხვებში.

ლიტ.: ალ. ჭინჭარაული. ხევსურული თავისებურებანი. ტექსტებითა და ინდექსით. თბ., 1960, გვ. 214.

ბობოლა - დიდმარხვის სიმბოლო - ხახვის ბოლქვი, ან ნაცრით სავსე პარკი (ფშავი), რომელშიც ქათმის, ან სხვა შინაური ფრინველის შვიდი ნაკრტენი (დიდმარხვის შვიდი კვირის სიმბოლო) იყო გარჭობილი. ასეთ სადიდმარხო საფრთხობელას ოთახის ან აივნის ჭერზე ჩამოკიდებდნენ და ყოველი კვირის გავლისას ერთ ნაკრტენს გამოაძრობდნენ. როგორც კი დიდმარხვა ჩაივლიდა, ბობოლას გადააგდებდნენ (შდრ. „კირკადოლ-ი“, „კონჭოლოზი“). ბობოლათი ბავშვებსაც ამინებდნენ.

ლიტ.: ს. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1954; ი. ქეშიკაშვილი. თედო რაზიკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ლექსიკა. თბ., 1969; Анчабадзе, Волкова. Старый Тбилиси. Город и горожане в XIX в. .М., 1990, გვ. 230.

ბობღანი - დასარტყმელი საკრავი. საბას განმარტებით, ბობღანი „არს დაფი და დაფთაფი, ტყავისგან შემზადებული საკრავი“. ბობღანი ყოფილა სპილენძისა, შესაძლებელია იგი თანამედროვე საორკესტრო ინსტრუმენტის დასარტყმელი დოლის ნაირსახეობას წარმოადგენდეს. ე. ნ.

ბობღანდი - (სამცხ.-ჯავახ.) - ვერცხლის ყელსაბამი, რომელშიც წვრილი ვერცხლისავე ფულები იყო ჩართული.

ბოზა - ერთგვარი ალკოჰოლური სასმელი, რომელსაც უფრო მთიულები ამზადებენ.

ბოზბაში - ცხვრის ხორცისგან მომზადებული წვნიანი და ღუმეგარეული კერძი.

ნადირაძე.

ბოთლა სხალი (ქვ. რაჭ.) - საზამთრო მსხლის ჯიშია. ნაყოფი საშუალო ზომისაა, მწვანე ფერის. შენახვისას მუქდება (იხ. ბრეგ.: ბოთლა მსხალი, 58).

ბოიკი (რაჭ.) - 2-3 წლის მამალი ჯიხვი. (შდრ. საბა, ქეგლ, ძიძ.).

ბოკონი (იმერ., გურ.) - სახლის საძირკვლის ბურჯი, ბოძი, რომელზედაც ეყრდნობა სახურავი; 2. პატარა სკამი ბავშვებისათვის (ლექხ.); 3. ხისაგან დამზადებული რძის საწველი ჭურჭელი, ვედროსებური; 4. ქვის ოთხკუთხად გამოჭრილი ბლოკები, რომელზედაც ეწყობა სახლის საყრდენი ბოძები, წვიმისაგან ძირი რომ არ მოუღებეს. 4. ბოკონი (რაჭ.) - ოთხკუთხედიანი ნაჭერი. წბერის (იხ.) ერთ-ერთი ნაწილია. ზოგან სკამის მაგივრობასაც ეწევა. რაჭული ლექსიკონი.

ბოლოთრია - აღმოსავლეთ საქართველოში ბორბლიანი ტრანსპორტის

ერთ-ერთი სახეობა, გავრცელებული იყო მთისა და ბარის გარდამავალ ზოლში და აქედან გამომდინარე ბრუნვითი მოძრაობა შეხამებულია თრევა-სრიალთან. ბოლოთრიას გააჩნია ტანი, ღერძ-ბორბლები, ხელნები და უღელი. ბოლოთრია ძირითადად გამოიყენებოდა ძნისა და თივის საზიდად.

ლიტ.: მ. გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, 1956.

ბომბარდერი - ცეცხლსასროლი იარაღი. ცეცხლსასროლი იარაღის პირვანდელი ნიმუშები (XIV) კონსტრუქციულად არასრულყოფილია, იგი წარმოადგენს ცალკეული ლითონის ფირფიტებისაგან დამოქლონებულ ან მთლიანი ფურცლოვანი მასალისაგან გამოჭედილ, რკინის ან ბრინჯაოს მიღებს. მძიმის ერთი ბოლო დახურული იყო ან ლითონის ღეროთი ბოლოვდებოდა. ასეთი ლულები მაგრდებოდა ხეზე, რომელიც უხეშად დამუშავებულ კონდახს წარმოადგენდა. გასროლის პროცესიც პრიმიტიული იყო: ლულაში იყრებოდა დენთი, შემდეგ იდებოდა ტყვია (ლითონის ან ქვის) და ლულის ზედაპირზე მოთავსებული მცირე დიამეტრის ხვრელთან მიტანილი ცეცხლით (გაღვივებული ფითილი) ხორციელდებოდა გასროლა. ცეცხლის მიტანა ხდებოდა არა მსროლელის, არამედ მისი დამხმარის საშუალებით. ადრეული ხელის ცეცხლსასროლი იარაღი პრინციპულად არ განსხვავდებოდა საარტელერიო იარაღისაგან და ფაქტობრივად მცირე ზომის ზარბაზანს წარმოადგენდა. ასეთი კონსტრუქციის იარაღს ევროპაში - ბომბარდერი და პეტრონელა, რუსეთში - „пучница“, ხოლო საქართველოში ზოგადად „ხელმეხი“ ეწოდებოდა. XV ს-ის დასაწყისში ცეცხლსასროლი იარაღის განვითარებაში მცირეოდენი წინსვლა შეინიშნება, ლულები შედარებით

დაგრძელდა, კონდახი მოიხარა, საფალიე ნახვრეტმა კი ლულის გვერდით ნაწილში გადმოინაცვლა, სადაც გაუკეთდა პატარა დაფა დენთისათვის. იარაღი აღიჭურვა სამიზნე (კორა) საშუალებებით, ასეთ იარაღს ევროპაში კულევრინები ეწოდებოდა.

ლიტ.: Жук А. Б. Энциклопедия стрелкового оружия Москва 1998; ივ.ჯავახიშვილი, მქემკი, ტ. III-IV, 1964.

ბონდერი - კასრების მკეთებელი ხელოსანი. საქართველოში მკასრეობა ფართოდ გავრცელებული ხელობის დარგი იყო. კასრი გამოიყენებოდა სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულებისათვის, განსაკუთრებით - მეღვინეობაში.

ბონდი - ბაგირზე დაკიდებული საცალფეხო ხიდი.

ბონი („სწორი“) - მეგრული საწესო ხე - სიცოცხლის ხის ერთ-ერთი სახეობა; წარმოადგენდა სალოცავში მისატან 3-4 მ-ის სიგრძის იფნის, ცაცხვის ან ფიჭვის სწორსა და ლამაზ ხეს, წაწვეტებული ძირით. გარდა იმისა, რომ ხის ტანსა და ტოტებს ფერადი ლენტებით ამკობდნენ, ან ნაირი ფერის საღებავით აჭრელებდნენ, მის ტოტებზე ხილსა (ვაშლი, მსხალი, კომში, ბროწეული და სხვ.) და ტკბილეულს (უპირატესად კანფეტებსა და ჩურჩხელებს) ჰკიდებდნენ და საწირ-სანთლებს აკრავდნენ. ასე გაწყობილ ხეს, რომელიც სალოცავში რამდენიმე კაცს მიჰქონდა, ძირითადად წმ. გიორგის სწირავდნენ. ბონს ეკლესიის გარე კედელზე მიაყუდებდნენ, ილოცებდნენ და წმ. გიორგის მფარველობას შეთხოვდნენ. ხეს ხელს არავინ ახლებდა, ვიდრე არ გახმებოდა (გამხმარს დიაკვანი გადააგდებდა), მხოლოდ ღვთისმსახურნი ხილსა და ტბილეულს პერიოდულად ჩამოხსნიდნენ.

ლიტ.: ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 369; ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 19, გვ. 8 (ხელნაწერი ინახება ავტორთან).

ბორა - ოქრომჭედლობაში ბორა გამოიყენებოდა ვერცხლის ნაჭრების ერთმანეთთან დასაკავშირებლად. პოტაშს და თანუქარს ერთმანეთში აურევდნენ, ზედ მარილს დაურთავდნენ და ცეცხლზე ააღულებდნენ. დუდილის შემდეგ ჯამის ძირში დაღეჭილი მასა არის ბორა. დასაკავშირებელ ნაჭრებს გაახურებდნენ, ერთმანეთზე დაადებდნენ და ზედ ბორას დააფრქვევდნენ, შემდეგ კვლავ გაახურებდნენ და ნაჭრები ერთმანეთს მიედულებოდა.

მ. ბ.

ბორალა / კუდბორალა / კუდაბრაში (თუმ.) - კუდიანი, ადამიანში ჩასახლებული ავსული თუშური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით. კუდიანებად იმ ადამიანებს მიიჩნევდნენ, რომელთა კუდუსუნის თავზე, ან ფრჩხილთან არსებულ დრმულეებში სამი ან ცხრა ბეწვი იყო ჩაბრუნებული (მდრ. ბორალა „ბრუნვა“). მაქცია კუდიანები, რომლებიც, თუშთა რწმენით, ცოცხალი არსებების ღვიძლით იკვებებოდნენ, ადამიანებს - ლამაზი ქალის, ან კიდევ მგლის, ბუს, ქორის, უპირატესად, კატის სახით ეჩვენებოდნენ. თვლიდნენ, რომ კუდბორალები ქალაქში იკრიბებოდნენ, უპირატესად, ღამით. აკაზმაზე (საქსოვ დაზგაზე) გადამსხდარნი სწრაფად მოძრაობდნენ. ვნებდნენ ადამიანებს, განსაკუთრებით ბავშვებს, საქონელს, ცხენებს. კუდიანად დაბადებული ბავშვის დედა აუცილებლად ტყეში მიდიოდა და ხმამალთა იძახდა: „კდენო, დრენო, ჰევ-ჭალა’ოვ, ხენოვ, ქვანოვ, გი’გეთავ, ჩემ შვილივ კუდიანად ნუმც რას ვის ავნებსავ“ ან - „შვილ გამნიჩინდავ კუდიანიოდ ნურავისამ ავნებსავ“. სწამდათ, რომ ამით ახალშობილს ავსულის ძალა გაუქრებოდა. გარდა აღნიშნულისა, ჩვილს სამი დღე ძუძუს არ აჭმევდნენ, მხოლოდ მესამე დღეს კუდმეტრუსულს მიგვრიდნენ დედას.

თუმები მიიჩნევდნენ, რომ გარდაცვლილ კუდიანს ცოცხლებისათვის ზიანის მიყენება შვიდი წლის განმავლობაში შეეძლო. ამიტომ კუდიანობაში ეჭვმიტანილის საფლავში ნალსაც ფლავდნენ, რათა მისი ბოროტი ძალაც გაექროთ.

კუდიანებზე არანაკლებ საშიშ ავსულებად ითვლებოდნენ არაბუნებრივ პოზაში (უკულმა ან ჯდომით) გაჩენილი ადამიანები, რომელთა წყევლას ახდენა ეწერა. თუ ბავშვი უკულმა დაიბადებოდა, მისი ვნების ძალის განეიტრალების მიზნით, მშობლებს ყველას გასაგონად ხმამალთა უნდა გამოეცხადებინათ, და ტყეში შესულებს შემდეგი სახის ფორმულა უნდა წარმოეთქვათ: „კდენოვ, დრენოვ, გი’გეთავ, ჩემ შვილებივ უკულმ დი’ბადნესავ, ნურავის ავნებენავ, ნუც ოჯახშიავ, ნუც სოფელშიავ“.

ლიტ.: ნ. აზიკური. მასალები თუშური დემონოლოგიიდან // ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი. 2016, XVIII, გვ. 176-182.

ბორანი - მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გასასვლელი მორებისაგან შეკრული ტივი, მგზავრობის უსაფრთხოებისთვის ზოგიერთ შემთხვევაში მოაჯირი ჰქონდა მოვლებული. ბორანი მოძრაობს ბაგირის გასწვრივ, რომელიც მდინარის ორივე ნაპირსაა დამაგრებული. ბორნით გადააქვთ ტვირთი, გადაჰყავთ ადამიანები და ცხოველები. თბილისში არსებობდა რამდენიმე ბორანი, რომელიც ქალაქის ერთ ნაპირს მეორესთან აკავშირებდა.

ბორანო - (აჭარ.) - ერბო-კარაქში შემწვარი მოხდილი ყველი.

ბორბალო სხალი (ქვ.) - საზაფხულო მსხლის ჯიშია. მის მობრტყო ფორმის მწიფე

ნაყოფს ყავისფერი რბილობი აქვს (იხ. ბრე., 67).

ბორბლის საკეტი (ქვ.) - გრძელი ჯონია, რომელსაც ჩაუდებენ წისქვილის ბორბალს და აჩერებენ მის ტრიალს (შდრ. ბერ. საფთურა).

ბორბლის ფეხი (რაჭ.) - წისქვილის ნაწილია რკინისა.

ბორდა - უნაგირზე გადასაფარებელი ქსოვილი ან ტყავი, რომელიც შემკული იყო ფერადი ძაფებით.

ბორზალი || **ბორძალი** (მეგრ.) - ბორძალი - ორწვერა ისარი ან შუბი - წმ. გიორგის, როგორც მეხმტყორცნელის, განუყოფელი ატრიბუტი. მეგრულთა შეხედულებით, ჭექა-ქუხილის ჟამს თეთრ ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგი ზეცაში დაქროდა და ავსულებს ამ იარაღით ხოცავდა (შდრ.: აფხაზური „ა-ფი“, „ა-ბგრ-ზალი“). იმავე შეხედულების თანახმად, მეხნაკრავ ადგილს წმ. გიორგის ბორზალის ნაკვალევი ამჩნევია. სამეგრელოში ბორძალი წმ. გიორგის სახელობის, თითქმის, ყველა ეკლესიაში ინახებოდა, ხოლო სოფ. ხეთის (ხობის რ-ნი) წმ. გიორგის ეკლესია ამ იარაღის ერთგვარ საწყობსაც კი წარმოადგენდა. ხალხის რწმენით, ბორზალი ტაძარში ყოველწლიურად თავად წმინდანს მოჰქონდა; რაც უფრო მეტ იარაღს მოიტანდა, ის წელიწადი მით უფრო იღბლიანი იქნებოდა. გარდა ამისა, სამეგრელოში არსებობდნენ გვარები, რომელთაც ილორის წმ. გიორგის ეკლესიისთვის ნაჭედი რკინის ისრები

უნდა შეეწირათ. მეგრულში სიტყვა ბორზალი || ბორძალი მეხის სინონიმიცაა.

ლიტ.: ნ. აბაკელია. ქრისტიანული წმინდანები დასავლურ-ქართულ რწმენა-წარმოდგენებში (წმინდა გიორგი) // მაცნე. ისტორიის სერია. № 3. 1985, გვ. 149-150; ს.მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 369; ი. ყიფშიძე. რჩეული თხზულებანი. თბ., 1994.

ბორიაში ოხვამერი (მეგრ.) – „ქარის სალოცავი“; ასრულებდნენ სიმინდის სიმწიფეში შესვლის დროს, რათა ტარიანი მცენარე ქარს არ დაემტვრია. საამისოდ ოჯახის უფროსი მამაკაცი დაკლავდა წიწილს და თავად შეწვავდა. ამ შესაწირს ყანაში წაიღებდა და დმერთს ქარისგან სიმინდის დაცვას შეევედრებოდა. დასასრულს, წიწილს იქვე მარტო შეჭამდა.

ლიტ.: ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 331.

ბორკილი - აქ.: ცხენის ფეხის შესაკრავი. მზადდებოდა როგორც ლითონის, ასევე ტყავისაგან. ცხენის ბორკილი წარმოადგენდა სამპირი ტყავის წვრილ თასმებს. ფიცხი, ძნელად დასაკავებელი ცხენის დასაბორკად იხმარებოდა ორი ან სამფეხჩადგმული ტყავის ბორკილი.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ბორტვის ამოჭრა - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული თუშური წეს-ჩვეულება. „ახალი სულის“ (ახალგარდაცვლილის) პატრონები, დააცხობენ რაკოტრებს, ამადლება დღეს მიდიან სასა-

ფლაოზე, თან მიაქვთ ხის ტოტი, რომელსაც ჩხებზე (რტოებზე) ჩამოცმული აქვს კვერცხები, ვაშლები, კონჩხულაყი (ჭყინტი ყველი), კამფეტები, ყვავილები (მღრ. სვანური „კამარაი“). ასე მორთულ ტოტს საფლაოზე მიცვალებულის თავთან დაარჭობენ. შემდეგ მოიყვანენ უგვირგვინო ქალს ან ბიჭს, რომელიც ტოტთან ახლოს ამოჭრის ბორტვს (ბელტს), შიგ ჩაასხამს ცოტა ერბოს, დოს, ჩაალაგებს ყვავილებს, ჩააღებს კონჩხულაყის ნაჭერს და ბელტს კვლავ თავის ადგილზე დააბრუნებს. ჭირისუფალი რიტუალის შემსრულებელს მისცემს ქიტ-კოხს (ჩამჩასა და კოხვს) და ერთ კოტორს, რომელიც ცალკე აქვს „ბორტვის ამომჭრელაყისად“. შემდეგ მიცვალებულის შესანდობარს იტყვიან: „თურა წესი ბორტვის ამოჭრისაი, ბორტვ ამოჭრილებ იყვენთ, განათლებულებ იყვენთ“. თუშების რწმენით, ბორტვის ამოჭრის შემდეგ, მიცვალებულებს საიქიოსკენ მიმავალი გზა ეხსნებოდათ..

ლიტ.: ნ. აზიკური. კოტორი, როგორც რიტუალური პური თუშეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXIII. თბ., 1987, გვ. 221; გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 98.

ბორტვის ნაკვეთი - ხატის, ჯვარის ეზო-მიდამო (ჯვართ ენაზე).

ლიტ.: თ. ოჩიაური. მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბ., 1967, გვ. 105.

ბორუა (რაჭ.) - საშემოდგომო მსხლის ჯიშია. ნაყოფი მრგვალი ფორმისაა, მსხვილი, წვნიანი. ლიტ.: რაჭული ლექსიკონი... (მღრ.: ქავთ. II; ბორა).

ბორწკალი (ხევს.) - ორკეცად მოხრილი მაშისებრი რკინა. ოქრომჭედლო-

ბაში იხმარება გამდნარი ვერცხლის ჭურჭლის გადმოსადებად და ყალიბში ჩასასხმელად.

ბორჯომული ცული / სურამული ცული - ნიდრებიანი ცული. ასეთ ცულს ოჯახში (საოჯახო საქმეში) არ ხმარობდნენ, ტყეში მიჰქონდათ ხის საჭრელად, მორისთვის „ნაცხვირის“ გასაკეთებლად. ძირითადად ხმარობდნენ წიწვოვანი ხეების მოსაჭრელად. ბორჯომული ცული ქართული ცულის სახესხვაობაა და მას ყოფაში პარალელები გააჩნია „მეტიურა“, „ჩენგი“ (სამეგრ.), „მესხურ“ - ვიწრო და გრძელ ცულებთან.

ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, 1954. გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, 1962.

ბორჯღალა - ქართული ავეჯის დამანასიათებელი ელემენტი. ბორჯღალაში გამოხატულია ბრუნვის იდეა, იგი სათავეს იღებს ბოლომეხრილი ჯვრებისა და სვასტიკის ჯგუფის გამოსახულებიდან და განასახიერებს მარადიულ ტრიალს, კავკასიის არქეოლოგიურ მასალებში ბორჯღალით შემკული ნივთები შუა ბრინჯაოს ხანით თარიღდება. ერთი ასეთი საუკეთესო ბორჯღალა გამოსახულია ბორჯომის ხეობაში აღმოჩენილ ბრინჯაოს დისკოზე, რომელიც თარიღდება ძვ.წ.ა. XIII ს.-ით. ბორჯღალების უძველესი ნიმუშები ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გვხვდება: დედაბოძზე, კერაზე, საოჯახო დგამ-ავეჯზე, ბუხარზე, სარიტუალო პურის საბეჭდავებზე და სხვა. შენიშნულია, რომ ბორჯღალა საერთო დეკორატიულ ორნამენტში გამოირჩევა დიდი მოცულობითა და მინიშნებით, რომ იგი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ბორჯღალას ფრთების რიცხვი დაკანონებული არაა. თანაბა-

რზომიერი ფრთები გამოდიან ცენტრიდან ერთი მიმართულებით და წარმოსახვენ ტრიალს, ზოგჯერ ბორჯღალა ჩახატულია წრეში, რაც მას ასტრალურ სიმბოლიკასთან აკავშირებს, კერძოდ, წრე ძველ ხელოვნებაში გაიგებოდა მზისა და ცის მნიშვნელობით (მაგ., ქართულ სინამდვილეში ამის საუკეთესო გამოხატულებაა სიტყვა „ცარგვალი“). ბორჯღალაც ასეთ შემთხვევაში გაიგება ცისა და განსაკუთრებით მზის მნიშვნელობით და ამდენად, იგი ნათებისა და სიმხურვალის ასტრალურ ნიშანსაც წარმოადგენს, რომელიც გამუდმებით ტრიალებს თავისი ცენტრის გარშემო. ბორჯღალა არის უნივერსალური სიმბოლო, რომელიც კავკასიის გარდა გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ხალხთა კულტურაში. ლიტ.: ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, 1993.

ბოსელი - საცხოვრებელი სახლისაგან დამოუკიდებელი საქონლის საზამთრო ნაგებობა. კედელში სარკმელს ატანდნენ სინათლისათვის. ბოსელის იატაკი იყო გათლილი მორები ან სიპი ქვა. („ზღვე“, „ბოგა“ დას. საქ). ბოსელში კედლის გასწვრივ არის ფიცრის ან ლასტის ბაგა, სადაც საქონლის საკვები იყრება. ცალკეა მეწველი და მუშა საქონლის ადგილი. ბოსელში ლასტით გამოყოფილია სახბორე, საცხვრე ადგილები. ზოგჯერ ბოსელს ადგამდნენ საბძელს. ბოსელის სახელწოდება ღვთაება ბოსელს და დღესასწაულ ბოსლობას უკავშირდება. ქართლში ბოსელს გომად ან გომურად მოიხსენიებენ.

ბოსლობა (რაჭ.) - ერთგვარი წეს-ჩვეულება იყო. ასრულებდნენ ალებაში, დიდმარხვის დადგომამდე. ამ კვირაში ზოგი არ ხელსაქნარობდა. ბოსლობა შაბათ დღეს იყო. მეორე დღეს იყო დაურწყება, შემდეგ დგებოდა ყველიერი. სხვადასხვა

კუთხეში რამდენადმე განსხვავებულად ასრულებდნენ.

ბოსტნეულის აბოლება - ბოსტნეულის აბოლება გადაუღებელმა წვიმებმა, ხშირმა რწყვამ, მსუქანი ნიადაგის ჭარბად დატენიანებამ იცის. აბოლებული ბოსტნეული უვარგისია, მაგალითად: აბოლებული, უდროოდ აყვავებული ბოლოკი ძირს არ იკეთებს.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. წერილები; თვალადური ქართულის ჭაშნიკი. თბ., 1975.

ბოდლიწო - მიცვალებულის გულზე გადატენილი და ღვინოში ჩამბალი პურის მცირე ნაწილები, რომლებსაც ქართლ-კახეთში, ხელის განბანვის შემდეგ, ჭირის სუფრასთან დასხდომამდე ჩამოატარებდნენ; მიაჩნდათ, რომ ლუკმა ბოდლიწო მიცვალებულისათვის მისაგებებელი აუცილებელი საკვები იყო. საქართველოს სხვა კუთხეებში ეს წესი არ დასტურდება; სამაგიეროდ მას ცვლის ღვინიან ჭიქაში პურის ჩაწების, ან პურზე ღვინის გადმოღვრის ჩვეულება, რაც სემანტიკურად ბოდლიწოს იდენტურია (შდრ. „გინოკინა“). ორივე ეს წესი, როგორც ჩანს, მაცხოვრის სისხლთან და ხორცთან ზიარებას გულისხმობს. არის სხვა ვარაუდიც.

ლიტ.: ლ. ფრუიძე. მევენახეობა-მეღვინეობა რაჭაში. თბ., 1974, გვ. 91; გ. გოცირიძე. კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში. თბ., 2007, გვ. 329-330; ნ. აბაკელია. სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბ., 1997, გვ. 143.

ბოყვი - 1. მთავარი ფიცრები ოდასახლის კედლების შუა ნაწილებსა და კუთხეებში, რომლის კიდეები ამოდარუ-

ლია კედლის ფიცრების ჩასალაგებლად. ბოყვები იჭერს მასში ჩაწყობილ ფიცრებს და როცა კედლები აღიმართება, მაშინ ბოყვის თავებს ჩამოეცმება სარტყლები და ოთხივ კუთხივ სახლის კედლები ერთიანად გაიჭედება. აქედანაა ტერმინი „ბოყვებიანი სახლი“. 2. ხის ქერქის ჭურჭლის ზოგადი სახელი დას. საქართველოში (იხ. ხოკერა).

ბოყვი¹ (რაჭ.) - სიგრძეზე ამოღარული ძელი, რომელშიაც ორი მომიჯნავე კედლის ფიცრებია ჩამჯდარი თავებით.

ლიტ.: რაჭული ლექსიკონი..., ქეგლ, ჯაჯან., ნიჟ., გაჩ.

ბოყვი² (რაჭ.) - ცილინდრული ფორმის ხოკერი, რომელსაც ამზადებენ ზოგიერთი ხის (უმთავრესად ცაცხვის) ქერქისაგან. იხმარებოდა ოჯახში რისამე შესანახავად. წინათ სკადაც იყენებდნენ (იხ. საბა, წერ., ქეგლ, ჯაჯან., ძოწ., ქავთ. II, გაჩ.).

ბოყვიჩა - 1. (ლეჩხ.) მაჩვის ტყავის ჩანთა კაჟიანი თოფის ჩასადებად, შალითა; 2. ნემსების, სათითის, ძაფ-მაკრატილის და მისთ. შესანახი.

ლიტ.: ქვთსკ, 1974.

ბოყუნი || ბუყუნი (მეგრ.) - ხის ჭურჭელი, მაღალი და ძირჩადგმული. აქვს ხისავე ხუფი. იხმარებოდა ყველის შესანახად. (საშუალო ბოყუნის სიმაღლე 70-80 სმ., პირის დიამეტრი 40სმ.)

ბოხობის ქული - მამაკცის თავსაბურავი, ბატკნის ტყავისაგან იკერებოდა. შიგნიდან ჩოხის შალი ჰქონდა გამოკრული. ძველად, ბოხობის ქული უფრო მაღალი იყო, რომლიდანაც ახლანდელი ორი გამოვიდოდა. მას ზევით წითელი „ცა“ ჰქონდა დაკერებული და ზონარებით

იყო გაწყობილი. ადრე უქუდოდ, ან თავდაუბურავად სიარული არ შეიძლებოდა, უზრდელობად ითვლებოდა. თავსაბურავი ტანსაცმლის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალ. კულტურ., 1962:124; მასალები..., 1983:241-242.

ბოხჩუანი (რაჭ.) - ოთხკუთხა ხაჭაპური. ზოგან რიტუალურია, გულად შეიძლება ჰქონდეს ჩართული კვანკაკალი (იხ.), ერბო, ყველი, ხაჭო, ნიგოზი... კვანკაკლიან ბოხჩუანს ასე აკეთებენ. კვანკაკალს ცხელ კეცებში ახმობენ, დანაყავენ და გაცრიან. მიღებულ ფქვილს გობზე წაზელენ მაგრად.

ბოძანძარა - ქვაბის ჩამოსაკიდი სამფეხა.სამი გრძელი ბოძის წვერს ერთმანეთს მიაკრავენ წნელით, მავთულით, თასმით. მერე ბოლოებს (ფეხებს) მიწაზე თანაბარი მანძილით გაუდგამენ და სწორედ იქიდან, სადაც ბოძების თავებია შეერთებული, ჩამოუშვებენ ჯაჭვს, რომელზეც ყურიან ქვაბს ჩამოაბამენ საჭმლის მოსახარმად. ქვეშ ცეცხლს დაუნთებენ. „ბოძანძარა“-სთან შედარებისთვის საინტერესოა საბას „ოჯინჯარი“, რაც ქვაბის საკიდად არის განმარტებული. აგრეთვე ვუკ. ბერიძის ლექსიკონში რაჭული კაჩა, კაჩხა, – „ოჯინჯალა, რომელზეც ნაჭა (საქვაბე) ჰკილია“.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. წერილები; თვალადური ქართულის ჭამნიკი. თბ., 1975.

ბოხჩა - საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთი. ოთხკუთხა ფორმის ქსოვილი. კერავდნენ ან სადა ქსოვილისაგან, ან სხვადასხვა ფერის ნაკუწებისაგან.

მასალად იყენებდნენ აბრეშუმს, ფარჩას, შალს, ყალამქარს, ქირმანშალს და იშვიათად ტყავს. ბოხჩის ზედაპირს ქარგავდნენ ოქრომკვდით ან მულინეს ძაფებით. ამკობდნენ აგრეთვე მძივებითა და კილიტებით. ბოხჩა ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში თანამედროვე ჩანთის, ხელჩანთისა და საფულის (თეთრეულის, ტანსაცმლის და სხვა მცირე ზომის ნივთების, ფულის სატარებლად) ფუნქციას ასრულებდა. ზომის მიხედვით დასტურდება დიდი, საშუალო და მცირე მოცულობის ბოხჩები. ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ტერმინი „ბოხჩა“ არ მოიხსენიება, მას მხოლოდ გვიანფეოდალური ხანის მზითვის წიგნებში ვხვდებით. სავარაუდოა, რომ ბოხჩა როგორც აბანოსათვის სახმარი ნივთი, XIX საუკუნის თბილისურ ყოფაში დამკვიდრდა და მისი ამგვარი დაწინაურება თბილისური აბანოების პოპულარობას უნდა უკავშირდებოდეს. ბოხჩას რიტუალური დანიშნულებაც ჰქონდა. მას იყენებდნენ სარტყელად უსტაბაშის მიერ შეგირდის ხელოსნად დალოცვისას. ბოხჩას მაჰმადიანი მლოცველები მუხლსაფენადაც ხმარობდნენ; ტყავის ჭურჭელი. იკერებოდა ოთხკუთხა ტყავის ნაჭრებისაგან. ამკობდნენ ტყავისავე მორკალური და დაკბილული ორნამენტებით. ბოხჩა იხმარებოდა სხვადასხვა სატუალეტო ნივთის შესანახად ან გადასატანად. იგი ქალის თანამედროვე ხელჩანთის ფუნქციის მქონე საგანი იყო წარსულში. ლიტ.: „საქართველოს სიძველენი“, ტ. I, III, 1910; ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა. თბ., 1986; ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში. თბ., 1973.

ბჟო (რაჭ.) - საზამთრო მსხლის ჯიშია. მწვანე დაწინწკლული ნაყოფი აქვს. შენახვისას რბილდება და ყავისფერი ხდება

ლიტ.: რაჭული ლექსიკონი...
(მდრ. ქართლ.: ბჟო, ბჟუა).

ბრავალქამიე (რაჭ.) - ერთ-ერთი სუფრული სიმღერა - მრავალქამიერი.

ბრავაწობა - შობისწინა დღე გურიამი. მზადდება სხვადასხვა სახის სასხსნილო კერძები, მათ შორის ე. წ. მუცლის სალოცავი (იხ.) კვერები და საშობაო ღვეზლები (იხ.).

ლიტ.: ა. წულაძე. ეთნოგრაფიული გურია. თბ., 1971, გვ. 74-76.

ბრელო -- 1. სიმინდის გაცრის შემდგომ დარჩენილი გამონაცარი, სიმინდის ნაფშვენი, ტაროს ანატკეცები. იგი ბალიშისა და აკვნის ლეიბის შიგთავსად გამოიყენებოდა; 2. ჩალახეშზე ზემოთ დასაგები, აკვანში სიმინდის ფუჩეჩისაგან დამზადებული თხელი ლეიბი, რომელსაც ასევე ზემოთ, სამი-ოთხი ცალი შკერის - „დეკა“ ფოთოლი ეგებოდა.

(მდრ. საბა, ნ. და დ. ჩუბ.: ბრე; იხ. ჭყ., ქეგლ, გაჩ.).

ბრინჯი (ორიზა - მეგრ., ჩალტიკ - ინგილ.) - ამიერკავკასიაში უძველესი მარცვლეული კულტურა, რომელიც ძველთაგანვე მოჰყავდათ საქართველოში (გარეკახეთში, სამეგრელოში, გურიაში, აჭარაში). XVII საუკუნეში ხდებოდა მისი ექსპორტი თურქეთში. საინგილოში ბრინჯის თესვა-მოყვანის ძველი ტრადიცია არსებობდა, მაგრამ XIX ს-ში მას ინტენსიური ხასიათი მიუღია. აქ რამდენიმე ჯიშის ბრინჯი იყო გავრცელებული, რომელიც ე. წ. სველი ბრინჯის სახეობებია. მშრალი ბრინჯი, ძირითადად, მთაში იყო გავრცელებული. ბრინჯი მანის დასაწყისში ითესებოდა. შემოსულად სექტემბრის დასაწყისში ითვლებოდა. მკიდნენ ნამგლით, ხელეკვლებად

მეკრავდნენ მომკილს და ურმით კალოზე წაიდებდნენ. ძნებს კალოზე გამლიდნენ და გალენდნენ ქორთუქით ან კევრით. გალენილს დიდი ნიჩბებით ანიავებდნენ. ტომრებში ჩაყრიდნენ და ურმებით სახლში მიჰქონდათ. ჩალთუქს ჯეჯიმებზე გამლიდნენ და მზეზე გამრობის შემდეგ შეინახავდნენ. ბრინჯი საინგილოში ძირითადი ტრადიციული მარცვლეული კულტურაა, მათი კვების საჭირო კომპონენტი.

ლიტ.: მ. ბოკუჩავა, ინგილოთა ყოფისა და კულტ... 2017:45-47; ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, 1976:62.

ბროლა - 1. სიმინდის ერთ-ერთი ჯიში; 2. ბროლა, ასევე აჭარაში გავრცელებული თეთრყურძნიანი საღვინე ჯიში იყო.

ბროწეულის წვენი - ხორცეულის საკაზმი. ბროწეულის წვენში ჩაჭრიან ხახვს, ცოტა დანაყილ ნიგოზს, მარილს, პილპილს და აურევენ (გურია).

ლიტ.: მასალები... 1986:174, 220, 226.

ბროწი (რაჭ.) - თხილის, კაკლის, წაბლის... დამწიფებული ნაყოფი, წაბლისფრად შეფერადებული. ბუდეს ადვილად სცილდება. ბროწი ფთხილი. (იხ. ბერ., ქეგლ. შდრ. ჭყ., გაჩ.: ბრაწი).

ბუდარი - კურტანზე გადასაფარებელი ტყავი.

ბუდნა (რაჭ.) - ლობიოს, კიტრის, კარტოფილის... დასარგავად ამოღებული პატარა ორმო, რომელშიაც თესლის რამდენსამე მარცვალს ჩააგდებენ და მიწას მიაყრიან. ლობიოს ბუდნა (იხ. ქეგლ, ჭყ., ჯაჯან., გაჩ.).

ბუდრუგანა - წნელის ან ფიცრის მცირე ნაგებობაა. უმთავრესად კახეთში (ქიზ.) სოფლის მოშორებით, კალოებთან აგებდნენ. იყენებდნენ საცხოვრებლად კალოობის დროს რამდენიმე კვირით მინდვრად გასული ოჯახის წევრები, ასევე ანულის ხვნაზე - გუთნისდედა და მეხრეები, გვიან კი - საზამთროდ ჩამოსული მწყემსები. ლიტ.: გ. ჯალაბაძე, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

ბუდუმური - ვაზის ერთ-ერთი ჯიში. ამჟამად საქართველოში ხუთასზე მეტი ჯიშია გამოვლენილი და აღრიცხული. აქედან აჭარაზე სამოცზე მეტი ადგილობრივი ვაზის ჯიში მოდის, მაგალითად, ისეთები, როგორცაა ალმურა, ახალაკი, ბროლა, დუდლო, ბუტკო, ბოსტნური, გორგოული, ვაიოს საფერავი, საფერავი აჭარული, თეთრა, ჩხავერი, თურვანდი, კაკიკაციშვილისეული, კვირითავა, კიბურა, კირწითელა, კორძალა, ქვაბთური, სხალთური, ბათუმურ-ლივანური, შავშურა (შავშური), კლარჯული, ხოფათური, მაგარა, მეკრენჩხა, მორცხა, მწვანურა, მწვანე აჭარული, ორჯოხული, პოვნილი, სალიკლევი, მისკეთი, კოლომა (კოლომა), საკმიელი, საწურავი, ტაძიკურა, ქორქაულა, შიშველი, ხარისთვალა, აჭარული, ჩიტისთვალა, ჩიტაყურძენა, ცვითე, ცხენის ძუძუ აჭარული (ცხენის ძუძუ), ჭეჭიბერა, ჭიპაკური, ჭოდიჯავახეთურა, ჯინეში...

ამჟამად, აჭარის დაბლარ ვენახებში ვაზის ჯიშებიდან ძირითადად გავრცელებულია ცოლიკაური, ალიგოტე, ჩხავერი, ჩინური ციცკა, საწურავი და სხვა. აჭარაში გავრცელებული ვაზის ჯიშებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას საწურავი ვაზის ჯიში იმსახურებს.

ლიტ.: ქართველი ხალხის ეთნოლოგიური, 2018:94.

ბუკი (აჭარ.) -- წვრილი ხილი, ბოსტნეული. იხ. ბჯიტი.

ლიტ.: ქართველი ხალხის ეთნოლოგიური, 2018:95,103.

ბუკი, ღოროტოტო (ქართლ.), **საყვირი** (რაჭ.), **სანკერ** (სვან.), **ოყე** (მეგრ.) - თავის დროზე იგი როგორც სასიგნალო საკრავი თითქმის ყველა კუთხეში იყო გავრცელებული. ბუკი-სანკერ შემორჩენილი იყო უკანასკნელ ხანებამდე სვანეთში. ეს არის სპილენძის საყვირი, დაახლოებით 1,5- 2 მ. სიგრძისა, კონუსის ფორმის გაგანიერებული ბოლოთი. თავზე ჩასმულია (ჩადღებულა) ჩასაბერი მუნდმტუკი. ბუკის მეგრული სახეობა ოყე ხისა იყო. ბუკი სამხედრო-სასიგნალო საკრავია. მშვიდობიანობის დროს ბუკით მოუხმობდნენ ხალხს (სოფელს, თემს) შესაკრებად. ბუკი არ წარმოადგენს სამუსიკო საკრავს. იგი გამოსცემს მხოლოდ ერთ ბგერას, მაგრამ სხვადასხვა რიტმული ფიგურაციით. აქვს მხოლოდ სასიგნალო და არა ესთეტიკური ფუნქცია. ქართული წერილობითი წყაროების მონაცემების მიხედვით, „ბუკი“ მოიხსენიება XI ს-დან. იყო სასიგნალო სახმაურებელი საკრავი, მაუწყებელი ლაშქრობის, ზეიმის, დარბაზობის, ნადირობის. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, სამეგრელოში საადდგომო ლიტანიას წინ ორი მებუკე მიუძღოდა. უკრავდნენ აგრეთვე ნათლისღების დღესასწაულზე წყალკურთხევის ლიტანიობის დროსაც.

ლიტ.: ვ. ახობაძე, ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული, 1957.

ბულო || **ბულა** - იხ. „ბუღლაჯაყი“.

ბულული - გათიბული და გამხმარი ბალახის პატარა ზვინი, რომელსაც თივის გროვებისას აქა-იქ დააბულულებენ,

რომ მერე დიდი ზვინი დადგან. მთაში (თუშ-ფშავ-ხევსურეთი, აჭარა, სვანეთი) და მთათა ფერდობებზე ასეთ ბულულებს დგამენ და ზამთარში თოვლზე დაცურებით ჩამოაქვთ ქვემოთ. აჭარის გარდა, ამ სახელწოდებით იგი ცნობილი იყო რაჭასა და ქართლში.

ლიტ.: ქართული მატერიალ. კულტ. 2011.

ბულღვა (რაჭ.) - 1. ბურღვა. 2. შავყურძინანი ვაზის ჯიში. ბულღვივით დახული ტევანი იცოდა ბულღვამ (იხ. ჯავახ. ეკ. ისტ., II, 442; ფრ., 24).

ბუნაგი (ხევს.) - აქ: სამკურნალო წამლების შესანახი ცილინდრული ფორმის სპეციალური ჭურჭელი. ხარის რქისგან გაკეთებული. აქვს ჩადგმული ხის ძირი, საცობი და პატარა ხვრელი ფხვნილისგადმოსაყრელად. ლიტ.: ნ. მინდაძე, ქართული ხალხური მედიცინა, 1981.

ბუნი - „შუბის ტარი“(საბა). ბუნი წარმოადგენს ხის ტარს, რომელიც სხვადასხვა ზომის არსებობდა. დღევანდელი ქართული ტერმინოლოგიური დატვირთვით შუბი ეწოდება ყველანაირ სატყორცნ-საძგერებელ იარაღს, ხოლო ფეოდალურ საქართველოში ასეთი ტიპის იარაღები ერთიანდებოდა „ლახუარის“ ქვეშ. „ლახვარნიცა განიყოფებიან:“ოროლი, გმური, სათხედი, გეონი, შუბი, ხიშტი, ზუფანი, ლიბანდაკი, ამათი განმასხვავებელი ნიშანი შუბის პირის ფორმის გარდა, მათ ბუნის ზომებშია მაგ. ოროლი, შუბი და გმური, -ბუნგრძელია, სათხედი - ბუნ-ზომიერი, გეონის ბუნი „მცირედ კაცისა უმაღლესი“, ხიშტი - ტარ-კოტა, ზუფანი - ბუნ-წყრთეული და ა.შ.

დროშის ტარის დაბოლოება. ზოგ შემთხვევაში ფოლადისაგან დამზადებული,

სიუჟეტი და წარწერებიც, უმთავრესად გამარჯვებისა და ძღვევის აღსანიშნავი.

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I. 1991.

ბუნიკი - მრგვალი ან ცილინდრის ფორმის ლითონი, რომელიც ქარქაშის (ხმლის, ხანჯლის, დანის და სხვ.) ბოლოზეა წამოცმული. ბუნიკი შეიძლება იყოს რკინის, თითბრის, ვერცხლის, განსაკუთრებულ შემთხვევაში ოქროსი. ქართული და კავკასიური ხანჯლის ბუნიკები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ბოლოსკენ ვიწროა და გირჩის ფორმის ბურთულით ბოლოვდება.

ბუჟღუნდი, ჭიაფერა - ერთგვარი საღებავი, რომელიც მზადდებოდა ხის ჭიისაგან. ასეთი ჭია ჩვეულებრივ ბუღობს მრავალწლიან მცენარეებზე, განსაკუთრებით მუხაზე. ამ მწერებს აგროვებენ, ახმობენ, შემდეგ ფქვავენ და იყენებენ საღებავად. ჭიაფერში შეღებილი ქსოვილები ძოწეულის სახელით იყო ცნობილი. **ბურზღლუმი** - გარეული ვაზი (საინგილო). იგი შავი ფერის წვრილ ნაყოფს იხამს, რომელიც საკვებად ვარგისია, მაგრამ ძალიან მჟავაა. ბურზღლუმის 3-4 ძირი ვენახშიც ირგვებოდა, რომელსაც შინაური ვაზის დასამტკვრიანებელი დნიშნულება ჰქონდა.

ლიტ.: მ. ბოკუჩავა, ინგილოთა ყოფისა და კულტ... 2017:54.

ბური, ბურის კეტი, მართხაფ - გრძელტარნიანი და ბრტყელპირიანი რკინის იარაღი, რომელიც გამოიყენებოდა კლდის მასივის ამოსახვრეტად მისი აფეთქების მიზნით. ბურის კეტები არიან სხვადასხვა ზომისაა. კლდის გახვრეტას იწყებენ მოკლე ბურებით და ხვრელის ზრდასთან ერთად გადადიან გრძელი ბურების მოხმარებაზე. ბურს ამუშავებს ორი

ხელოსანი, ერთი ატრიალებს ხელში, ხოლო მეორე უროს არტყამს ზემოდან. ბურის კეტით გახვრეტილში ჩაიყრება „ლაღმი“ და ააფეთქებენ ქვის მასივს.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხურობა იმერეთში, 2001.

ბურსეული (რაჭ.) - აბრეშუმის თხელი თავსაფარი (შღრ. საბა; იხ. ქართ. დიალექტ., 682).

ბურტყილა (ქვ.) - ბალახეული მცენარეა. ყვითელი ყვავილები აქვს. მის ნორჩ ფოთლებს ფხლისათვის კრეფენ, - ფუჩ-ფუჩა (იხ. მაყ.).

ბურდი - რკინის გრენილპირიანი ხელსაწყო, რომლითაც ხითხურო-ხელოსნები ფიცრებს ბურღავენ. იხმარებოდა დიდი და პატარა ბურღები. ზოგჯერ დიდ ბურღებს თავში სახელურები აქვს, რათა ძალა მიატანოს მბურღავმა.

ბურჭული - ერთგვარი წალდის სახეობა. მზადდება კარგი ხარისხის ფოლადისაგან. საუკეთესოა სავენახე სარების სათლელად. ლიტ: ქეგლ., 2009.

ბუტკუ (რაჭ.) - თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში (იხ. ჯავახ., ეკ. ისტ., II, 443; ფრ., 33).

ბუტკო -- აჭარის უძველესი წითელყურძნიანი აბორიგენი ვაზის ჯიში იყო.. აჭარაში, აგრეთვე შავშეთ-კლარჯეთში შავმარცვლიანი ბუტკოს არსებობა შორეული წარსულიდან არის ცნობილი, საშუალო სიდიდის მარცვალი თითქმის შავი ფერის იყო, ჰქონდა თხელი კანი და წვნიანობით, სასიამოვნო ტკბილი გემოთი გამოირჩეოდა. ჯიშის ქართული სახელწოდება და მისი მტელი რიგი სპეციფიკური თავისებურება საშუალებას გვაძლევს ბუტკო პონტოს მხარის ვაზის ჯიშთა ჯგუფს მივა-

კუთვნოთ. ბუტკო საღვინე ჯიში იყო.

ბულავა (რაჭ.) - ქალაქის (ზოგჯერ თიორითან ერთად) საჭამადი. აქეთებენ ასე: ზამთრისათვის შენახულ დაწნულ ქალაქიდან დაჭრიან, მოხარშავენ საფენალს ამოუკიდებენ, ჩოგნით მოურევინ – კორმეჭები (იხ.) რომ არ გაუკეთდეს, შეკაზმავენ მარილით, დანაყილი ნივრით, ნიგვზით და წყით.

ბულამა - ბუღში მოხარშული უწვნი კერძი, ხახვსა და ერბოს მოხრაკავენ, ზედ დააყრიან დაჭრილ ცხვრის ხორცს და მოხარშავენ უწყლოდ.

ბულაჯაღი || **ბულაჯაღი** / **მელყვიტი** / **წყლის ნანო** / **წყლის ბერდედა** / **ბულო** (თუმ.) || **ბულა** (მთიულ.) - ავსულები, რომელთა სახელებით თუშები ბავშვებს ამინებდნენ; წარმოდგენილი ჰყავთ დიდთვალეა, დიდკბილეა, გრძელკუდა, ბრჭყალებიან და ბანჯგვლიან არსებებად. გრძელკუდა კუდაბრაში ყორეში სახლობს, კუდი თავზე აქვს შემოხვეული და თვალს აღევნებს ბავშვების საქციელს. წყაროებთან, მდინარესთან, ხევებში დამკვიდრებულ წყლის ნანოსა და წყლის ბერდედას ბუს სახე აქვს. მათი ბინადრობის ადგილებში ბავშვებს სიარული ეკრძალებათ. ზოგჯერ უფროსები „ბულოდ გაკეთდებოდნენ“ - გადმობრუნებულ ტყავკაბას ჩაიცვამდნენ და სახეშებურულები ბავშვებს მაშინ დაესხმოდნენ თავს, როცა ეს უკანასკნელნი სახედრებს ჭენებით აწვალებდნენ, ან წყალში დიდხანს ჭყუმპალაობდნენ.

ლიტ.: პ. ხუბუტია. თუშური კილო. ლექსიკა. თბ., 1969; ლ. კაიშაური. მთიულურის დარგობრივი ლექსიკა. თბ., 1967; ნ. აზიკური. მასალები თუშური დემონოლოგიიდან // ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი. 2016, XVIII, გვ. 173-174.

ბუცავი / **ბუცაობა** (რაჭ.) - საქონლის ერთმანეთთან რქებით თამაში (იხ. ქეგლ, ქავთ. II, გაჩ., მდრ. დღ. სიტყვ. კონა: ბუჩაობა).

ბუძგვი (რაჭ.) - 1. ზღარბი. 2. წაბლის ეკლიანი ბუდე (იხ. ქეგლ, ალაჯ., გაჩ.).

ბუჭულა (იმერ.) - წისქვილის პატარა ქვა, რომელსაც მცირედებეტიანი წყლის პირობებში გამოიყენებენ, ძირითადად, ინდივიდუალური სარგებლობისთვის.

ბუხარი - საცხოვრებელი ნაგებობის გასათბობი საშუალება. გათბობის გარდა ბუხარი იქცა სახლის სამკაულად და ამიტომ მისი გაფორმება უფრო და უფრო დაიხვეწა. ქართულ სინამდვილეში ბუხრის მშენებლობის ხერხები და ფორმები შემოტანილია გარედან, მაგრამ საქართველოში არსებულმა ქვითხურობის მდიდარმა ტრადიციებმა განაპირობა მისი გაფორმების ეროვნული სტილი. ბუხრის მშენებლობა საქართველოში პროფესიული ხასიათის იყო. სპეციალობა „მებუხრე“ სწორედ ამ ნიადაგზე ჩამოყალიბდა. ბუხრის მშენებლობას გააჩნია საგანგებო წესები, რაც გამოიხატება როგორც შენების თავისებურებაში, ასევე საბუხრე მასალის სწორად შერჩევაში; ეს განსაკუთრებით ეხება ბუხრის იმ ნაწილების ქვას, სადაც ცეცხლი ინთება და საამისოდ შერჩეული უნდა იყოს ისეთი ჯიში, რომელიც ცეცხლგამძლეა. საბუხრე ქვა უნდა იყოს სუფთა - უტალო, უარტამანო. მხოლოდ რკინის იარაღით მოჭრილი და არა აფეთქების გზით მოპოვებული, რადგან ასეთი ხერხი „ლახავს“, აზიანებს ქვის სტრუქტურას და მალე გამოვა მწყობრიდან. ბუხარს აქვს: ყვერბი// ტაფა - სადაც ცეცხლი ინთება, ფეხები, ზურგი, წინპირი, სასანთლე// თარო, ყელი, ქუდი//კალამი. ბუხრის აკვარგინობისათვის უმთავრესია წინპირისა და ზურგის დაყენების ოსტა-

ტობა: წინპირის საკვამლე მხარე გულამოდებულია, ბუხრის ზურგი კი ოდნავ უკანაა გადაწეული, რაც ხელს უწყობს კვამლის დაუბრკოლებლად მოძრაობას ქვემოდან ზევით. ბუხრის წინპირი, სასანთლე და ყელი კეთდება საუკეთესო თეთრი ქვით, რომელიც უნდა იყოს „რბილი“ თვისებისა, რაც აუცილებელი პირობაა მხატვრული სიუჟეტისა და ჩუქურთმების გამოხატვისათვის. ფეხებიანი ბუხრების გარდა საქართველოში გავრცელებული იყო კომპლექსური ბუხარი - რამდენიმე ოთახის გასათბობად და დაკიდებული ბუხარი - რომლის წინპირი ჩვეულებრივ ფეხებიან ბუხართან შედარებით გამოწეულია და იქმნება დიდი მოცულობა მძლავრი ცეცხლის დასანთებად. ასეთი ბუხრები ძირითადად სამეურნეო საქმიანობისთვის გამოიყენებოდა. საქართველოში, ბუხრების მშენებლობაში, სრულყოფილად გამოვლინდა ქვითხურობის უძველესი ტრადიციები და ის მაგიურ აპოთროპეული დანიშნულების სიუჟეტები, რომლებიც ადრეულ ქართულ საცხოვრისში გამოხატული იყო კერასა და დედაბოძზე. ქართული ბუხრის შემკულობაში დიდი ადგილი უჭირავს კოსმოგონიურ გამოსახულებებს, ცხოველურ მოტივებსა და მცენარეულ ორნამენტს - განსაკუთრებით სიცოცხლის ხესა და მარადიულობის სიმბოლოებს - ნაირგვარ ბორჯღალებს, რომლებიც არცთუ იშვიათად ამკობენ ბუხრის „მუხლებსა“ და წინპირებს. რაც შეეხება ზოომორფულ მოტივს, საქართველოში არსებულ ბუხრებზე დასტურდება ლომის, არჩვის, ირმისა, ფრინველის გამოსახულებანი. ყველაფერი ეს ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენების დანაშრევს წარმოადგენს.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხურობა იმერეთში, 2001.

ბუხუა, ხვედა - კოჟრიანი ხისგან გამოთლილი, სანავე ხის ლურსმნების დასაჭედებელი ხის ურო.

ბუჯერი - 1. კედელში ჩადგმული ერთ ან ორგანყოფილებიანი ხის სათავსი. ძირითადად იხმარებოდა ჯამ-ჭურჭლის დასაწყობად. ბუჯერი იმერეთში სახლის მარჯვენა - წაღმა მხარეს კედელში იყო ჩადგმული. თუ დაინგრეოდა, მის ფიცარი ძველი ბუჯერის აღდგენას ხმარდებოდა. 2. ცომის მოსაზული დიდი გობი. 2. მაღალი მაგიდა ან დიდ კოდებზე (კოდებში ფქვილს ინახავდნენ) დადებული ძალიან ფართო სქელი ფიცარი, რაზედაც აწყობდნენ ცომის მოსაზულ გობს, საფუარს (იხ.) და ზოგ სხვა ჭურჭელს. 3. (ზმ.) ზოგან ბუჯერს ეძახიან ბელელში გაკეთებულ თალოს.

ლიტ.: ა.კიკვიძე, შუა სახლი რაჭა-ლეჩხუმში, ენიმის მოამბე, ტ. V-VI, 1940. ს. მაკალათია, მთის რაჭა, 1987, რაჭ. ლექსიკ.

ბღარტი (რაჭ.) - 1. ძვ. პერანგის, კაბის... გვერდებში ჩაყენებული ნაჭრები განის მისაცემად. 2. გარეული ფრინველის ბარტყი. 3. გადატ. ბავშვი, ბალდი.

ბჭე - სახლის, სასახლის, ტაძრის შესასვლელი, მისი სინონიმია - კარები და აქედანაა ტერმინი კარიბჭე.

ბჭისკარი - იხ. ჭიშკარი

ბჯგინი (რაჭ.) ბოყვიანი კედლის გასამაგრებელი ფიცარი. კედლის ფიცრები რო აქეთ-იქით არ წავიდენ, ორ ბჯგინს უკეთებთ აღმაცერად. ორივე ბჯგინი თავებით ზემოთ ერთად შეყრილია (მდრ. ნიჟარ.).



გაბა (თბ.) - ხელოსნების ერთგვარი საგარეო ტანსაცმელი, ფარჩეული.

გაბარება - გასამრჯელოს გაღებით სხვისთვის საქონლის (ხარის, ძროხის...) დროებით მიბარება მოსავლელად.

ლიტ.: შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971:117.

გაბა-შარ-ი (სვან.) - ქალის ფეხსაცმელი. ცხვრის და ხბოს ტყავისაგან იკურავდნენ ისევე, როგორც ჩაფულას. იხ. ჩაფულა.

გაბრა - ცხენის საწმენდი ჯაგრისი. აკეთებდნენ ცხენის ძუისაგან.

გაბუდაყება (მთიულ.) - გამდიდრებული კაცის საყმოსგან გამოცალკევების მცდელობა. თემი გაბუდაყებულს იკვეთდა, სრულ იზოლაციაში აქცევდა, რაც თემის შიგნით შექმნილი პრეროგატივების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი საშუალებას წარმოადგენდა. გადმოცემების მიხედვით, გაბუდაყებული ეჯიბრებოდა, ემიჯნებოდა, ზოგჯერ დევნიდა კიდევ ჯვარს, რის გამოც თავგასულ ყმას ან თემი კლავდა ან თავად ჯვარი სპობდა მასაც და მის გვარსაც (ასე მოსვლიათ ჩარგლელ სულასა და კურდღელას, არტნელ თავგა თაღლაურას, არხლელ არხალს, გოგოლაურთელ ყა-

რტაულას, გვიდაქელ ცხრა ძმას, ხადელ ცხრა ძმა მიდელაურებსა და სხვებს).

ლიტ.: რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე. მთიულეთის სოფელი ძველად. თბ., 1965, გვ. 64-67; თ. ოჩიაური. მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბ., 1967, გვ. 116-122; ლ. კაიშაური. მთიულური ტექსტები. თბ., 1978, გვ. 100-101.

გაბურთ ეშმა - გაბურთა ხევსურული გვარის ერთ-ერთი წარმომადგენლის მიერ შეპყრობილი და მოსამსახურედ დაყენებული ავსული. ოდესღაც შუამთის სათიბში მომუშავე გაბურის გვარის კაცს გვერდში ეშმა ამოდგომია და, გამოსაჯავრებლად, ხის ცელით თიბვა დაუწყია; გაბურს დაჭერა მოუნდომებია, მაგრამ ავსული გაქცეულა; მთიბავი კვლავ მუშაობას შედგომია; ეშმა დაბრუნებულა და მასაც უთიბია; დამჯდარა გაბური და დამჯდარა ეშმაც; დაუხველებია გაბურს და დაუხველებია ეშმასაც; ერთი სიტყვით, რაც გაბურს უკეთებია, ის უკეთებია ეშმასაც; ბოლოს, გაბური დამჯდარა და ფეხები ალერდით შეუკრავს; დამჯდარა ეშმა და ფეხები მასაც ალერდით შეუკრავს; ამ დროს გაბურს ცელი ამოუკრავს და ალერდი გადაუჭრია და ფეხები გაუნთავისუფლებია; ავსულსაც მოუნდო-

მებია იგივე, მაგრამ ხის ცელით ფეხები ვერ გაუნთავისუფლებია; მივარდნი გაბური, ეშმა დაუჭრია, შინ წამოუყვანია, ხელის ფრჩხილები დაუჭრია და ხმლის ქარქაშში ჩაუყრია, რადგან ეშმას ხმლის შინებია; უფრჩხილოდ კი სახლიდან გაქცევა არ შეძლბია. ასე დარჩენილა იგი მოსამსახურედ გაბურის ოჯახში და ბევრი საკვირველი რამ უკეთებია: როცა ყანა ყოფილა სამკალი, ფაფა მოუღულებია, შუაღამით ყანაში გაუტანია, დაუძახნია თავისი მოძმე ეშმაებისთვის და დილამდე მთელი ყანა მოუშვიათ; როცა კარაქი ყოფილა მოსადღვები, საწყლეთი წყალი მოუტანია, შიგ ცოტაოდენი რძე ჩაუსხამს და სულ კარაქად უქცევია. ამნაირი ბევრი რამ ჩაუდენია; გაბურის ოჯახისთვის ძალზე გამოსადეგი ყოფილა. ბოლოს, ეშმას ოჯახის უფროსი წევრების არყოფნით უსარგებლია, გაბურის ხუთი წლის ვაჟი შეუცდენია, თავისი ფრჩხილები დაუბრუნებია და გაქცეულა; წასვლის წინ ბავშვისთვის უთქვამს: „დაწყევით ვერ დაგწყევთავ ისრაჲ, რო სრუ გაგათავნათავ, - კანი მყვანდითავ. შვიდ მამას ნუ გაღბევრდებითავ და ნუმც გასთავდებითავ! შვილიმც მამას ნუ იცნობთავ! შვილ რო გაჩინდების, მამაიმც ქვე მახვვდებითავ! თითოიმცავ კა მენადირე ნუ მაგეშლებისთავ, თითო კა ცხენივ, თითო გიჟივ! შვიდ მამასავ შინ სიკვდილიმც ნუ გიწერავთავ!“ ეშმას ნათქვამი ახდენილა.

ბ. გაბურს ჩაწერილი აქვს უშიშა წიკლაურის მიერ შეთხზული „ეშმაისა და გაბურის“ ლექსი:

თითო ყანწ იმას შაუნდნას, ვინაც
იჭურდა ეშმასა!
გაბურ შუამთას წამავა, თივას თიბს,
ცელს კი ლესავსა,
ათასნაირად მაექცა, რას მათყუებს
ეშმასა?

ამბობდა გულში გაბური:

„ეშმავ, გიტირებ დედასა“.

დაჯდა, დაიხვევს ალერდსა, ეშმაც
იკონავს ფეჯათა.
გაბურმ კი ფეჯებ დაიჭსნა, დახტა ეშმაი
კვეცასა.
გაიქცა, აღარ გაუშვა, ეშმა მიაჯდა
ეშმასა“.

ლიტ.: ბ. გაბური. ხევსურული მასალები // საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდული. 1923-1924, I-II. გვ. 155-157; ე. თათარაიძე. დემონოლოგიური თქმულებები აღმოსავლეთ საქართველოს მთაინეთში. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998, გვ. 59, 62. ხორნაული. მთები და სახელები. თბ., 1983, გვ. 150, 159, 192.

გაგურჯელა (მეგრ.) – ფოჩებიანი ყელზე შემოსახვევი, მოქსოვილი იყო აბრეშუმისაგან. კისერზე იკეთებდნენ ახლანდელი „კაშნესავით.“

ლიტ.: მასალები..., 1983:244.

გადამში სხალი (რაჭ.) - საშემოდგომო-საზამთრო მსხლის ჯიშია. ნაყოფი საშუალო ზომისაა, მწვანე, დაწინწკლული (იხ. ბრეგ. 169). (სახელწოდება უკავშირდება ონის რაიონის სოფ. გადამშს).

გადანადება (აჭარ.) - ერთი ოჯახის ყანაში მუშაობის დასრულების შემდეგ, ნადის გადასვლა, (გადანადება) მეორე ოჯახის ყანაში დასახმარებლად.

ლიტ.: ჯ. ნოღაიდელი, აჭარული კილოს სალექსიკონო მასალები - XX ს-ის 30-50-იანი წწ., ბათუმი, 2015.

გადაქნა (რაჭ.) - წინდის და მისთ. ქსოვის ნაწილურით დამთავრება, თავის ისე შემოქსოვა, რომ ნაქსოვი არ დაირღვეს.

გადაყრა (რაჭ.) - კბილგასაყარით ხერხის კბილების აქეთ-იქით გადაწევა, რომ ხერხი არ გაიჭეპოს ხერხვისას (იხ. გაჩ.: კბილის გადაყრა).

გადილავება (ქართლ.) - დილით მოწველამდე ძროხის გაღენა საბალახოდ, რათა მეტი რძე მოიწველოს. ამავე მიზნით მეწველი ცხვრის საბალახოზე დილით გარეკვას გარიალებას ეძახიან.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. წერილებ; თვალადური ქართულის ჭაშნიკი. თბ., 1975.

გავალაკი - ერთგვარი საჩრდილობელი, რომელიც მეფე-მთავართა და დიდებულთა ტახტრევანს ან დროებით სამყოფს ებურა, ამზადებდნენ ძვირფასი ქსოვილისაგან, წარმოადგენდა როგორც ოთხკუთხა, ასევე მრგვლად მოწყობილ სახურავს. შემკული იყო სხვადასხვა სამშვენიისით.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2000.

გათერძვა (აჭარ.) -- ყამირის გატეხვა, შეთოხნა ანდა მოხვნა. პირველად შეთოხნა - თუ საანულო კავით - სახვნელით ყანის მოხვნა, ასევე, ხნულის - ანულის მეორედ მოხვნა. პირველად მოხნულთან შედარებით, კვალს უფრო შორიშორს გაავლებდნენ. კორდს ადრე გაზაფხულზე გათერძავდნენ. გათერძული კორდი გადაიწვებოდა და მისი მეორედ დამუშავება ადვილი იყო.

ლიტ.: შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971:123; ქართველი

ხალხის ეთნოლოგიური, 2018:107.

გათვალვა / თვალის კვრა / თვალის ცემა - ავი თვალით შეხედვა. ხალხური რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ზოგიერთ ადამიანს ავი თვალი აქვს და, როგორც კი ვინმეს, მეტადრე ბავშვს ან საქონელს, შეხედავს, მაშინვე ავად გახდის: ბავშვი ატირდება, აღარ დაიძინებს; საქონელი დაფრთხება ან რაიმე ფათერაკი შეემთხვევა. არჩენდნენ შელოცვით. აგრეთვე, რაიმე კარგი საქმის დაწყებისას ადამიანს ვინმემ რომ ავი თვალთ შეხედოს, საქმე უკუდმა წაუვა. მკურნალობენ ირაც. ხერხებით, შელოცვებით.

ლიტ.: ს. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

გაია - ხისგან გაკეთებული ბავშვის ჩასაყენებელი შესაწევ-გასაწევი მოწყობილობა. საჭიროების დროს შიგ ბავშვს ჩააყენებდნენ. ბავშვი თვითონ ერთობოდა, გაიას ზამთარში მიხმარობდნენ, ზაფხულში კი ეზოში გასატან გაიას აკეთებდნენ.

გაკაჭაჭება - გაზაფხულზე ნასიმინდარიდან სიმინდის კაჭაჭის ამოყრა, ნიადაგის გაწმენდა, ახალი თესვისთვის მომზადება.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. წერილებ; თვალადური ქართულის ჭაშნიკი. თბ., 1975.

გალა - ნივრისა და ხახვის ასხმა, რომლებიც ფოჩებითაა ერთმანეთს გადაწნული.

გალია - მავთულის ბადე ფრინველთა დასამწყვდევნი. დიდი მხეცებისათვის რკინის გალიებს აგებენ.

გალიბანდი - ყარაჩოხელთა ქუდი, ცხვრის დახუჭუჭებული ტყავისგან გაკეთებული.

გალიფე - შარვლის ტიპი, რომელიც იცმევა ჩექმებთან ერთად. ძირითადად მხედართათვის. აქვს ვიწრო ტოტები და ფართო უბე. ხშირად საჯდომ ნაწილზე ტყავი აქვს ამოკერებული. სახელწოდება მომდინარეობს ფრანგი გენერლის გალიფეს მიხედვით, რომელიც ატარებდა ასეთი ტიპის შარვალს.

ლიტ.: ქელ., 2009.

გამირი (რაჭ.) - რკინის ხაფანგის ერთ-ერთი ნაწილია, ნადირს რომ ფეხზე შემოეჭირება. პატარა ნადირის დასაჭერ ხაფანგებში გამირეები (ხაფანგს ორი გამირი აქვს) რკალისებურია, ხოლო დიდ ხაფანგებში (მგლისა და დათვის დასაჭერად) გამირეები კუთხეებიანი და კბილებიანი.

გამასამალო - იხ. “მედარბასე ანგელოზნი”.

გამიწრივლება - 1. სიკვდილის შემდეგ ადამიანის სულის ავსულად, ეშმაკად, მიწრივლად გადაქცევა (იხ. „გამიწრივებული კურდღელა“). 2. მას შემდეგ, რაც ჯვარის (ხატის) მსახურება შეწყდება, იგი ჯვარ-ეშმაკად გადაიქცევა, ე. ი. გამიწრივდება და ადამიანთათვის ზიანი მოაქვს (იხ. „ხთიშობელი“).

ლიტ.: ალ. ოჩიაური. ზოგიერთ ხთიშვილთა და დევ-კერპთა ამბები. 1949, რვ. № 1, გვ. 12 (ხელნაწერი ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში); ალ. ოჩიაური. ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. ხევსურეთი (არხოტის თემი). თბ., 1988, გვ. 194-195; თ. ოჩიაური. მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბ., 1967, გვ. 19.

გამიწრივებული კურდღელა - სიკვდილის შემდეგ ავსულად, ეშმაკად, მიწ-

რიელად (იხ. „გამიწრივლება“) ქცეული კურდღელა - რეალურად არსებული ადამიანი - ხევსურული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით. გადმოცემის თანახმად, სოფ. უკანხაღუში ცხოვრობდა ვინმე კურდღელა, რომელსაც სოფლის განაპირას ციხე-სახლი ჰქონია; სიცოცხლეშივე გრძნეულს, შურიანსა და ბოროტს, სიკვდილის შემდეგ კი ავსილად ქცეულს, კაცთა ვნება დაუწყია: მის ნასახლართან გავლილი ბავშვები და ქალები შინდებოდნენ, ძილში ეჩვენებოდათ და ავად ხდებოდნენ, ზოგიერთი ბავშვი კვდებოდა კიდეც. მკითხავენ „გამომარკვეს“, რომ კურდღელა გამიწრივდა და თუ შესაწირს ითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანს დაამიზეზებდა. ამის შემდეგ, კურდღელას ნასახლარ-ნაციხარი საკულტო ადგილად იქცა; ხარის გარდა, ყოველგვარ საკლავს (ცხვარს, თხას, ძროხას და სხვ.) სწირავდნენ და იმისთვის ლოცულობდნენ, რომ არაფერი ევნო.

ლიტ.: ალ. ოჩიაური. ზოგიერთ ხთიშვილთა და დევ-კერპთა ამბები. 1949, რვ. № 1, გვ. 12 (ხელნაწერი ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში); თ. ოჩიაური. მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბ., 1967, გვ. 19.

გამოყვანილი - რაჭული ვაზის ერთ-ერთი ჯიში (იხ. ფრ., 24).

გამუალი დღეები - ხატზე გადაცემისა და წყევლის ამხდენი დღეები, რომლებიც წელიწადში ერთხელ ღვებოდა (მაგალითად, კალანდა, შობა, აღდგომა, დადები - 1 სექტემბერი, წითელი პარასკევი და სხვ.). რამდენადაც გადაცემა და წყევლა ყოველთვის ერთნაირად „არ კვეთდა“ (არ მოქმედებდა), გურულები ამ ღონისძიე-

ბებს, მათი „დაუცვეთლობის“ მიზნით, „გამუალ დღეებში“ მიმართავდნენ.

ლიტ.: ა. წულაძე. ეთნოგრაფიული გურია. თბ., 1971, გვ. 143.

განალინი (მეგრ.) – „გავლილი“ - მეხისგან დაზარალებული ოჯახის მიერ ილორის წმ. გიორგის სახელობაზე შესრულებული ლოცვა. იმ შემთხვევაში, თუ მეხი საცხოვრებელ ან სამეურნეო ნაგებობას, ან კიდეც ხეს დაეცემოდა, ოჯახი ხატისგან გალახულად - „ჟვარილად“ - ჩაითვლებოდა. ამიტომ მას, მკითხავის რჩევით, ილორის წმ. გიორგისათვის ბატკანი ან ციკანი უნდა შეეწირა და მეხისა და ცეცხლისაგან დაცვა უნდა ეთხოვა.

ლიტ.: ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 325.

განატეხი (რაჭ.) - დიდი ზომის გულიანი სქელი ნამცხვარი. განატეხი რიტუალური დანიშნულებისაა და მას მხოლოდ რაიმე დღესასწაულთან დაკავშირებით აცხობენ. გული სხვადასხვა აქვს: ერბოში მოშუშული ფქვილისა, კაკლისა, ლობიოსი და სხვ. უფრო ხშირად კაკლიან განატეხს აცხობენ.

განძი (ხევს.) - აქ: ზოგადი სახელი სარიტუალო საგნებისა და ვერცხლის ქურჭლეულობისა, რომელიც ხატისადმია შეწირული. ხატის განძი უდიდეს სიწმინდედ ითვლება. მას ინახავენ მხოლოდ ერთეულთათვის ცნობილ ადგილას. ხატის განძი გამოაქვთ დღესასწაულის დღეს და ასრულებენ სხვადასხვა რიტუალს. : ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2013.

განძის ანგელოზი - ხევსურული ჯვარ-ხატების ვერცხლის რიტუალური სასმი-

სების, ე. წ. თას-განძის, მფარველი სული. დღეობების დროს ჯვარის ხუცესი სადიდებელთაგან წარმოთქმისას მას ეპითეტით მოიხსენიებდა: „ლალო განძის ანგელოზო“. გარდა ამისა, განძის ანგელოზი იფარვიდა კისტნის ღვთისმშობლის ჯვარში დაცულ ძვირფას თვალს, რომელსაც საგანგებო პირი ემსახურებოდა - კლდეში ინახავდა და მხოლოდ დღეობების დროს გამოაბრძანებდა. ამ თვალისა და მასთან დაკავშირებული რიტუალის შესახებ ვ. ბარდაველიძეს ადგილობრივი მთხრობელისაგან შემდეგი რამ ჩაუწერია: თვალის მცველი „ღამით გამაბრძანებდ იმას. ის არც ვის არ უნდ ენახ. კლდეჩი სადმე ხქონდ ერთკან , რო მივიდოდით დარბასში, იმაში გამოვიდოდეს ხატის ხალხი, დასტურ-ჰელოსნები, ხუცესები. გამაიყვანდ ისიც. დასტურის უკან გადმაჩინდებოდ. ხალხ ორთ დაყუდებულები საკლავით ჰელჩი, მუჭლმაყრილები, ქუდმაჰდილები. თეთრ ფარჩას გადაიფენდ ჰელზე. მემრ კოლოფას რასამ გასჰსნიდად შიგით გამავიდოდ იმაჩი. დიდ ხან ვერ უაზრებდ კაცი, რაჰელც მზეს ვერ უაზრებდ. მინახავ მიაც. ახლოს-კი გვექონდ [მისვლის] ნებაი - მივიდიდით. ხატის ხალხ კი იმის გვერდი იყვნეს. ისენ განათლულები, თითო საკლავს დახკვლენ. უყურებდით. „წყალობა განძის ანგელოზისა (თვალს ეძახს) მუზღვნე-მესანთლესავ, გწყალობდასთავ განძის ანგელოზი“. მემრ დაიჭერდ ჰელჩი. სრუ იძროდ ის, როგორც სულდგმული, ისე იჩუჩებოდ ის თვალი, - სხივს იყოლებდ. ყველასაც ეეგრ გვეჩვენებოდ. კვერცხივით ლულუტ (მოგრძო) კი იყვ ისი. თამარ მეფეს დასცილებიყვავ წყაროზედავ, იმის პირჩი ნადებიავ, იციან. მემრ დავკოცდით საკლავებს. ხთისო (თვალის მსახურის სახელი) იდგ ეგრ, ჰელჩი ხეყვანდ. საკლავებს დახკოცდეს განძის ანგელოზისად. სხვაკნით მადიოდეს. ი სისხლსაც ცოტას უწევდეს იმას საკლავისას. მემრ დააბრუნებდ უკენ“.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია) // მიმოხილველი. I. თბ., 1949, გვ. 124-125.

განჯარა / განჯირა (რაჭ.) - ცეცხლზე ნახმარი ჭურჭლის ფსკერსა და გვერდებზე გარედან მოკიდებული მური, მჭვარტლი (შდრ. ალავ.: ჯანგარა).

განჯინა - კედელში უძრავად ჩადგმული დიდკარიანი თახჩა. ძველი საცხოვრებელი ნაგებობის აუცილებელი ელემენტი. გამოიყენებოდა სხვადასხვა დანიშნულებით. ზოგჯერ პურის კარადასაც ენაცვლებოდა. XX საუკუნის დასაწყისიდან დიდკარიანი თახჩები განჯინის - კედლის კარადის სახელწოდებითაა ცნობილი.

გარა - (ფშ., ხევს.) – 1. მრგვალი ხე, სიგრძით აღლნახევარი, რომელზედაც ქსოვის დროს ნართს ახვევენ. ერთი გარა მოძრავია, მეორე უძრავი; 2. (რაჭ.) თივის ზვინის ან მომკილი პურის კონების საზიდად გაწყობილ მარხილზე სიგრძივ, თანაბარ მანძილზე დამაგრებული (ღვლერქებით რამდენსამე ადგილას გადაწნული) 4 ჭოგრი. 3. ურმის ზესადგარის კოჭებზე დამაგრებული ორი ჭოგრი. 3. სმ. ღობის სარებზე მიკრული ჭოგრები.

გარგანა - იხ. „გარგნობა“

გარგნობა (აჭარ.) - გველების დღეობა აჭარაში; ემთხვევა წითელ პარასკევს - აჭარულ ბზობას (მაჭახლის ხეობაში ძველი სტილით აპრილის პირველ პარასკევს - ზღვის კაცის გამოსვლის დღეს); იკრძალება შეშის მოტანა, რადგან, ადგილობრივთა რწმენით, გარგნობის დღეს გველები მოგზაურობენ, და მათი შიშით ტყეში ვერავინ შედის; გარგნობაზე სახ-

ლში შეტანილ შემას გველი მოჰყვება და ოჯახს მთელი წელიწადი არ მოშორდება. ზ. თანდილავა, არცთუ უსაფუძვლოდ, „გარგნობა“ ტერმინს აჭარულ, გურულ და იმერულ დიალექტებში დადასტურებულ გარგანა „დიდი ჯოხი“ სიტყვას უკავშირებს (შდრ. სვანური საახალწლო მორი - ჯული; მეგრულ საახალწლო მკითხაობა-შეჯიბრში გამოყენებული ჯოხი გველის ტაბუირებული სახელით „შურდინაფილი“ - იხ. „ჭკიდიშ გინოტახუა“).

ლიტ.: ჯ. ნოღაიძე. ნარკვევები და ჩანაწერები. წიგნი პირველი. ბათუმი, 1971, გვ. 62; ზ. თანდილავა. მასალები მესეფებზე // სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება. IV. თბილისი, 1978; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. II. თბ., 1951.

გარეწანი / გარეწანა (გლ.) - თავკავის (იხ.) ნაწილია, ოთხი წვრილი და ორი ფსხვილი გარეწანი გაწყობილია ნეფსაზე (იხ. ნეფსა) და სართაულაზე (იხ. ძიძ.).

გარკოვება - შენაცრული ყურძნის მარცვლის გამაგრება, გაუხეშება.

: ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. წერილებ; თვალადური ქართულის ჭაშნიკი. თბ., 1975.

გარმონი, გარმონიკა - კლავიშიან-ჰნევმატური ინსტრუმენტი. შედგება კორპუსის, საბერველისა და კლავიშიანი მექანიზმისაგან. საბერველი მზადდება გოფირებული მუყაოსაგან, რომელსაც ორივე მხრიდან გადაკრული აქვს თხელი, მყარი ქსოვილი. ყველაზე რთული ელემენტია სახმო ნაწილი. იგი შედგება ლითონის თხელი ფირფიტისაგან, რომელზეც დამაგრებულია ლითონის „ენები“. ერთი ელერს საბერველის გაწევისას, მეორე -

შეკუმშვისას. ბგერის სიმაღლე დამოკიდებულია „ენის“ ზომებზე (სიგრძე, სიგანე, სისქე). რაც უფრო მოკლე, ვიწრო და თხელია „ენა“, მით მაღალია მის მიერ გამოცემული ბგერა: „ენიანი“ ფირფიტები მიმაგრებულია ხის რეზონატორზე. მის კედლებში ნახვრეტებია ჰაერის გასატარებლად, რომელსაც სარქველი აქვს დაფარებული. შემსრულებლიდან მარჯვნივ კორპუსის გრიფზე მიმაგრებულია ე.წ. მელოდიური სარქველი, მარცხენაზე - ბანის. გარმონის უამრავ სახეობაში ძირითადად ორი ტიპი გამოიყოფა: 1) გაწელვა-შეკუმშვისას ყოველი ღილაკი სხვადასხვა სიმაღლის ბგერებს გამოსცემს; 2) გაწელვა-შეკუმშვისას ბგერის სიმაღლე არ იცვლება. გარმონის პროტოტიპი კონსტრუირებულ იქნა 1822 წელს გერმანელი ოსტატის კ.ფ. ბუმანის მიერ ბერლინში. ვენელმა ოსტატმა კ. დემიანმა დაუმატა მზა აკორდთა რიგი აკომპანემენტისათვის, რომელთაგან თითოეული გამოიცემოდა მარცხენა ხელის თითო ერთ კლავიშზე დაჭერით (1829წ). საკრავი მალე გავრცელდა ევროპის ქვეყნებში. გარმონი// გარმონიკა რუსეთში შემოვიდა XIX ს-ის 30-40-იანი წლებიდან და სწრაფად იწყობდა გავრცელება იმპერიამში შემავალ სხვა ხალხებშიც. რუსმა ოსტატებმა დაიწყეს მისი საშემსრულებლო საშუალებების გაფართოება რუსული ხალხური სიმღერის კილოებრივი და წყობის თავისებურებების გათვალისწინებით. შეიქმნა სხვადასხვა სისტემის გარმონიკები, რომელთაც სახელები ერქმეოდათ იმ ქალაქების მიხედვით, სადაც მზადდებოდა - ტულის, ლივნის, სარატოვის, ვიატკის, სმოლენსკის და სხვა. XIX ს-ში გარმონი ფართოდ გავრცელდა ჩრდილოეთ კავკასიასა და დაღესტანში. იგი შემოიტანეს რუსმა ჯარისკაცებმა. ეს საკრავი კავკასიაში მალე აიტაცეს და ეროვნული მუსიკის შესაბამისად შეუცვალეს წყობა. ზოგან იმდენად დამკვიდრდა (მაგალითად, დაღესტნის ხალხებში),

რომ ეროვნული საკრავის მნიშვნელობა შეიძინა. შეიქმნა ეროვნული ფოლკლორისათვის დამახასიათებელ ბგერათრიგებთან მეტ-ნაკლებად შესაბამისი ე.წ. „აზიური გარმონი“. „აზიური გარმონი“ ვიატკის ერთრიგიანი გარმონიკის მსგავსი აღნაგობისაა. მარჯვენა კლავიატურისაგან განსხვავებით, „აზიურ“ გარმონზე გაწვევა-შეკუმშვის დროს ბგერის სიმაღლე იგივე რჩება. ბანის კლავიატურა შედგება 12 ღილაკისაგან, რომლებიც წყვილებადაა განლაგებული ორ რიგად. თითო წყვილში ერთი ღილაკი გამოსცემს ძირითად ბგერას, მეორე - მის შესაბამის სამხმოვანებას. ორივე რიგში განსხვავებული ჰარმონიული ფუნქციის მქონე აკორდებია. საქართველოში გარმონი გავრცელდა XIX ს-ის ბოლო ოცწლეულში „ბუზიკას“ (დამახინჯებული რუსული „музыка“) სახელწოდებით. მალე შეიქმნა „აზიური“ გარმონის მსგავსად ქართული გარმონი „ბუზიკა“ // „წიკო-წიკო“ სრულიად თავისებური ხმოვანებით. XX ს-ის II ნახევრიდან გარმონის ადგილი დაიჭირა აკორდეონმა, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, განსაკუთრებით თუშეთში, იგი შეუცვლელი დარჩა. აქ ჩამოყალიბდა გარმონის სიმღერებისა და სოლო დასაკრავების შესრულების თავისებური სტილი. შეიქმნა გარმონის დასაკრავები - პროგრამული ხალხური მუსიკის ნიმუშები („ანიკოს ტირილი“, „წოვა ქალის ტირილი“ და სხვა). გარმონზე სრულდება საცეკვაოები, მისი თანხლებით სიმღერები, მაგრამ ესენი ტრადიციული ჟანრებისაგან განსხვავებულია. გარმონი გამოყენებულია ანსამბლშიც, განსაკუთრებით დამკვიდრდა ყოფაში გარმონისა და რიტმული საკრავის დოლის დუეტი ე.წ. დოლ-გარმონი, განსაკუთრებით ცეკვების თანხლებისათვის.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. 2011.

გაროზი (რაჭ.) - ნაქსოვი შალის მოსასხამი.

გასაბამი / გასაბმელი (ქვ.) - ვაზის რქა 8-9 კვირტზე გასხლული, მიმაგრებული ხარდანზე (მდრ. ზმ. საკავებელი, გასაკრავი) (იხ. ფრ., 81).

გაუქილავი / გაუქმუშნავი (რაჭ.) - კანგაუცლელი (ლობიო). იხ. ლობიოს გაქილვა.

გაქილვა, ენის გაქილვა - დაკლული პირუტყვის ენის მომზადება (გაფხუკა-გაფუფთავება) მოსახარმად ან შესაწვავად.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. წერილებ; თვალადური ქართულის ჭაშნიკი. თბ., 1975.

გაცხალება - იხ. ცხავი, ცხრილი.

გაცხრილვა - იხ. ცხავი, ცხრილი.

გადლი || გაძლიკია || გაძიკია || გაძიგია - თაროს ანგელოზი. მეგრელებს იგი პატარა ტანის დიდსტომიანი მამაკაცის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. ოჯახს ყოველწლიურად დიდმარხვის ოცდამეოთხე დღეს, ოთხშაბათ ღამით, „გაძლიკობაზე“ („გაძიგობაზე“) სტუმრობდა და მის სახელობაზე გამლილ სუფრას ათვალეურებდა. ამიტომ გაძლიკობისთვის მეგრელის ოჯახი განსაკუთრებულად ემზადებოდა. რამდენადაც მარხვა იყო, საამდღისოდ ყველანაირ ფხალს, გამორჩევით კი ჭინჭრისას აკეთებდნენ. ჭინჭრის ფხალი იმდენად სავალდებულოდ ითვლებოდა, რომ მთიანი სამეგრელოს მკვიდრნი მას ბარში მოიპოვებდნენ. უნდა ითქვას, რომ ახალი წლის დადგომიდან გაძლიკობამდე ჭინჭრის სახელის ხსენებაც კი იკრძალებოდა და, აუცილებლობის შემთხვევაში, მას „ეზოს ხარის“ (ოზემ ხოჯი) სახელით ახსენებდნენ. როცა ვახშამი გამზადდე-

ბოდა, თითო კოვზ ყველანაირ კერძსა და ფხლისგულიანი კვერების თითო ნაჭერს გაძლისთვის წინა კარებზე მოწყობილი „კარბუზის“ (ურდულის) თაროზე გარკვეული წესით დაალაგებდნენ. იმისათვის, რომ გაძლიკიას მოვასმმეთა შორიდან „ნახვა“ გააძვილებოდა, ნაგებობის წინა ფასადზე გაჭრილ სარკმელს, ე. წ. „შუადლის კარს“ (ონდღემ კარს) გააღებდნენ. სახლში უჩინრად შემოსული გაძიგია მდიდრული სუფრის ნახვისას „იტყოდა“: „ვისაც აქვს, კვლავაც მას მიეცეს“ (მისით უღუნი, ხოლო თის), ხოლო ღარიბულად დამხვედრ მასპინძელს „დაწყევლიდა“: „მცირედის პატრონს, ისიც წაერთვას“ (ჭიჭემ მინჯეს, თით მიდაღალდას).

ლიტ.: ა. ჭანტურია. ეთნოგრაფიული ჩანაწერები. მეგრული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებანი // თსუ შრომები. ტ. 227. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ., 1982, გვ. 218; И. Кобалия. Из мифической Колхиды // СМОМПК. № 32. Тф., 1903. გვ. 103-104.

გაძლიკობა || გაძიგება - იხ. „გადლი || გაძლიკია || გაძიგია“.

გაწეწილა (რაჭ.) - დანაყილი და წყალში გახსნილი ნიგვზისაგან დამზადებული შეჭამანდი, ნივრით და მარილით შეკმარული (იხ. ალავ. ქართ. დიალექტ. ლექსიკიდან; დლ. სიტყვ. კონა).

გაჭალავება (ზ. აჭარ.) -- 1. გამოფიტული საყანე მიწის საბალახოდ დატოვება, დასასვენებლად დატოვებული საყანე მიწა; 2. ბალახწასწრებული სიმინდის გაუთოხნელი ყანა.

ლიტ.: შ. ნიჟარაძე. ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა). ბათუმი, 1971.

გაჭალავებული (აჭარ.) - დასასვენებლად დატოვებული საყანე მიწა. იხ. გაჭალავება.

ლიტ.: შ. ნიჟარაძე. ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა). ბათუმი, 1971.

გეიშა - ქალისა და მამაკაცის ზედა სამოსელი. მასალად გამოყენებული იყო მსუბუქი და ნაზი ქსოვილები. ზოგჯერ უდებდნენ სარჩულს. ქალის გეიშა მოკლეა, წელთან მომდგარი და ქვემოთ თანდათან გაშლილი. სახელოები გამოყვანილი და ბოლოებისაკენ გაგანიერებული. საყელო ოდნავ დაფენილი. გულისპირები ერთმანეთთანაა მისული და ერთი დილით იკვრება. თუ ქალის ზედა ტანსაცმელი ტალმა (ტოლომა) საზამთრო ჩასაცმელად იყო მიჩნეული, გეიშას გაზაფხულ-შემოდგომობით იცვამდნენ. გეიშა ქიზიყში მამაკაცის წელამდე დასულ ტყავის სამოსელსაც ერქვა, რომელსაც ზამთრობით გლეხობის ის ნაწილი იყენებდა, ვისაც გრძელი ტყავის შეკერვის შესაძლებლობა არ ჰქონდა.

გელა (მეგრ., ზ. იმერ.) - ლურსმნის ამოსაღები თავკაპიანი რკინა, სადაც ლურსმნის თავი ამოედება. ღურგლის სამუშაო იარაღი, არის სხვადასხვა ტიპის - მძღავრი და სუსტი ლურსმნების ამოსაღებად.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2013; (იხ. წერ., ქავთ. I, ძოწ., გაჩ.; შდრ. საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ).

გელაზი - მთლიანი ბორბალი, გამოთლილი ბაზალტის ქვისგან. გელაზი ზეთსახდელის, საზეთე წისქვილის მოძრავი სამუშაო ნაწილია. გელაზი შუაში ოთხკუთხედაა ჩაჭრილი. ნახვრეტში გაყრილ ჰორიზონტალურ ღერძის ერთ ბოლოზე

უღელს ამაგრებდნენ და გამწევ ძალას აბამდნენ. გელაზის გარე პირის დიამეტრი შიდაზე მეტი იყო, რის გამოც სამუშაო პირის ძგიდე ირიბად იყო აჭრილი და ქვის ფილებით მოპირკეთებული წრიული კალოს დახრილობას შეესაბამებოდა. უღელში შებმული გამწევი ძალა ურმის თვალვიით ცერზე შეყენებულ ბორბლის კალოს ირგვლივ აგორებდა. გელაზის ქვით ხდებოდა სელის მარცვლის დაქუცმაცება-დაფქვა, დაგელაზება და შემდეგ ზეთის გამოხდა.

გელაზები უმეტესად დიდი ზომისაა. მათი დიამეტრი მეტრნახევრიდან დაწყებული ორ მეტრს აჭარბებდა. გელაზის ზედაპირი შემკული იყო სხვადასხვა რელიეფური მოტივებით. აღსანიშნავია საქართველოს სახ. მუზეუმის ქვის ფონდში დაცული ს. გუნიაყალადან ჩამოტანილი გელაზი. იგი ყურადღებას იქცევს მხედრული წარწერის ფრაგმენტით, რომელშიც გარკვევით ამოიკითხება „გელაზი ჩვენ ავგაროზიშვილებმა“ - რაც უნდა მიუთითებდეს ამ ნივთის ან ავგაროზიშვილთა კუთვნილებაზე ან მის გამომკვეთ ხელოსნებზე. ამავე გელაზზე გამოსახულია გუთნეული და მის უკან მიმყოფი კაცი. გელაზები ძირითადად გავრცელებული იყო საზეთე სელის ინტენსიურად გავრცელების არეალში (სამცხეჯავახეთი, თრიალეთი). აღმოჩენილ გელაზთა შორის ყველაზე ადრეულია მესხეთში მიკვლეული გელაზის ნაშთები.

ლიტ.: გ. ჩიტაია. გელაზი // ძეგლის მეგობარი. № 20, 1970; ლ. მოლოდინი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ხალხური ზეთსახდელი იარაღები) 1963.

გემა - ძვირფასი ქვა, ზედ ამოკვეთილი გამოსახულებით ან წარწერით.

გემას, რომელზედაც გამოსახულება სიდრმეშია ამოკვეთილი ინტალიო ეწოდება. გემას, რომლის გამოსახულება რელიეფურია - კამეა. ძველად ხმარობდნენ კუთვნილების დამადასტურებელ ბეჭდად (უმთავრესად ინტალიოს), ავგაროზად ან მორთულობად. მოგვიანებით ის უმთავრესად სამკაულია როგორც ბეჭედი, საყურე, გულსაბნევი. გვიანანტიკური ხანის საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ბერძნულ რომაული წარმოშობის ძვირფასი ქვები - ინტალიოები და კამეები. გემებზე უმთავრესად ბერძნულ-რომაული ღვთაებებია გამოსახული, თუმცა ზოგიერთ მათგანზე ქართველ დიდებულთა პორტრეტებსაც ვხვდებით და ამასთან, არასაყოფაცხოვრებო სიუჟეტების გამოსახვაც.

ლიტ.: ს. ბარნაველი, საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები. 1965; ი.გაგომიძე, ქართველი ქალის სამკაული, 1981.

გემნა - (ხევს.) - ტყავის მოსაქნელი ხელსაწყო. ხმარობდნენ საგუდე, საკერავი და წვრილფეხა საქონლის ტყავის მოსაქნელად. იხმარება აგრეთვე ტყავის ქონისგან მოსაშორებლად.

გერმა - ბატისა და ქათმის ნაზი ბუმბული, რომელიც ბალიშში იდება.

გეჟვილაფა (მეგრ. „ზედ დაკვლა“) - გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს მიცვალებულის სახელზე გამართულ საწესო მოქმედებათა კომპლექსი სამეგრელოში. საამდღისო წეს-ჩვეულებები ზედმიწევნით აღწერა თ. სახოკიამ: „... „ზედ დააკვავდნენ მიცვალებულს ხარს (ერთს ან რამდენიმეს), ცხვარს (ან ცხვრებს) და სხვ. მეგრულს სწამს, რომ რაც უფრო მეტ საქონელს „დააკვავენ ზედ“ მიცვალებულს,

მით უფრო ელხინება მიცვალებულის სულს, რომელიც მოუთმენლად ელის ამ საქონლის დახოცვას საიქიოში შვება-ლხენის მოსაპოვებლად. ამ ზედ დაკვლაზე მოიწვევენ მეზობლებს ყველას. მაგრამ სანამ სუფრას მიუსხდებოდნენ, „ნიშანზე“ ხელმეორედ და უკანასკნელად იტირებენ მიცვალებულს. ნიშანზე სტირიან ის ნათესავები და ნაცნობები, რომელნიც პირველ ტირილს ამა თუ იმ მიზეზით ვერ დაესწრებიან. ძველად ასეთ „ზედ დაკვლაზე“, რომელსაც აწყობდნენ დიდკაცების პატივსაცემლად, თვითონ სამეგრელოს მთავარი ესწრებოდა. ასეთი შემთხვევისათვის, რათა დიდის ამბითა და ზემით ჩაეტარებინათ „ზედ დაკვლა“, აკეთებდნენ რამდენსამე სეფას: ერთ სეფაში გამლიდნენ მიცვალებულის „ნიშანს“, მეორეში დააყენებდნენ მის უნაგირიან ცხენს, მესამეში მისი სანადირო ძაღლები ეჭირათ ხელში, უკანასკნელში - მისი სანადირო ქორები და მიმინოები. ტირილის წინ შიშვლდებოდნენ წელს ზემოთ, ფეხებზე საცმელს იძრობდნენ, სწორედ ისე, როგორც პირველი ტირილის დროს, და მისი კუთვნილი საგნების საშუალებით, რომელნიც ობლად იყვნენ დარჩენილნი, მიუტირებდნენ მის ლანდს, იქვე უჩინრად დამსწრეს.

„ამ დღისათვის საკურთხად აკეთებენ ყოველსავე, რაც სანუკვარი გამოუგონია მეგრულს საკულინარო ხელოვნებას და განსაკუთრებით რაც ეამებოდა მიცვალებულს, ცოცხალი რომ ყოფილიყო: შამფურზე შემწვარი ქათამი საწებლით, გულ-ღვიძლი დაკლული საქონლისა, შამფურზე შემწვარი გოჭი ხაჭაპური, სულგუნები, მაწონი; სუფრაზევე დევს თუთუნით სავსე ქისა, აბედი და ტალ-კვესი... თუ საკურთხი ახალგარდაცვალებულ ძუძუმწოვარა ბავშვისათვის იყო, საჭმელს მიემატება ერთი ჭიქა რძე, რძის ფაფა, ტკბილეულობა, სათამაშოები, მძივი, ყვა-

ვილები ... მღვდელი სუფრას აკურთხებს და ქოთნის ნატეხზე, საცა ნაკვერცხალი ყრია, საკმევლს დააგდებს; შემდეგ ხორცს მოსჭრის, პურს მოსტეხავს, ღვინით სავსე ჭიქას თავს წაუქცევს პურის ნატეხზე და მიცვალებულს შენდობას და ცხონებას შეუთვლის. ამავ დროს სუფრაზე დასვამენ მტრედს ისე, რომ იქიდან გარეთ გაფრენა შეუძლოს. ამ შემთხვევაში მტრედი სიმბოლოა მიცვალებულის სულისა, რომელიც ამ სადილის მოლოდინში სააქაოში იყო და მხოლოდ ამ „ზედდაკვლის“ გამართვის შემდეგ გაფრინდება სახლიდან ზეცაში, სულეთში გასამგზავრებლად. მღვდლის მსგავსად დამსწრენი ნაკვერცხალზე დააგდებენ თითო მარცვალს საკმევლს, მიცვალებულს ცხონებას შეუთვლიან და სუფრას მიუსხდებიან. საკურთხის კურთხევის შემდეგ იწყება ცერემონია „პირის გახსნილებისა“ („პიჯიმ გარსხინება“) ... მეორმოცე დღეს, სულის „წასვლის“ შემდეგ, მარხულობა უნდა გათავდეს და მომარხულებს ჩვეულება ნებას აძლევს „პირი გახსნას“ ანუ ხორცეულის ჭამა განაახლოს. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მიუხედავად ამ ნებართვისა, მშობლები „კბილს არ დაადგამენ“ ხორცეულს და ამით სხვებს აჩვენებენ, რომ სურვილი აქვთ განაგრძონ მარხულობა, რომ ამით „უღხინონ“ მიცვალებულის სულს. რომ მომარხულეს ჯიუტობაზე ხელი ააღებინონ, საქმეში ჯერ მღვდელი ჩაერევა, შემდეგ მეზობლები და მახლობლები, არწმუნებენ ... ბოლოს, როცა დარიგებით ვერას გააწყობენ და მომარხულენი თავის ხელით არ ჩაიდებენ ხორცს პირში, მეზობლები ძალათი ჩაუდებენ პირში ხორცის ნაჭერს და ამის შემდეგ პირი ხორცეულობისათვის ხსნილად ითვლება“.

ლიტ.: თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1956, გვ. 137-139.

გეჯა - ერთ ხეში ამოღებული ან თავბოლო გამოყენებული მორი, რომელიც იხმარება წყლისათვის ან ცხოველთა საჭმლის ჩასაყრელად. მთიანეთში გეჯას ფუტკრის სკასაც (იხ.) უწოდებენ, რომელიც ასევე წარმოადგენს გულამოღებულ მოკლე ხის ნაჭერს.

გვაბანა//გვაბანაკი (მეგრ.) - წამოსასხამი. მატყლისაგან აკეთებდნენ ისევე, როგორც ნაბადს, ოღონდ კერავდნენ. გვაბანა სიგრძით მუხლებამდე იყო, სახელოიანი, წინ გაჭრილი. გრძლად შესაკრავს ისევ თავის ანაჭერს გაუკეთებდნენ და ასე შეიკრავდნენ. ქალები საზამთროდ ქეჩისაგან გვაბანას იკერავდნენ. გვაბანა//გვაბანაკი - მწყემსის ქეჩის სამოსელი კისერზე ქუდმოკერებული ცნობილია აფხაზეთში, ჩერქეზეთში, ყაზახეთში და ა. შ.

ლიტ.: მასალები..., 1983:245; გ. ჩიტაია, შრომები, ტ. IV, 2001:192.

გვარდი / გვარდა / კაბიწი (ზ. აჭარ. გურ.) - ნაძვის თხელი ყავრისგან დამზადებული მრგვალი ან ოვალური კასრი, რომელშიც რძის პროდუქტებს (ყველს, კარაქს) ინახავდნენ. იყო სასაპანლე, ოთხკუთხა ყუთი, რომელსაც ცხენს გადაჰკიდებდნენ და ასე დაჰქონდათ. ცაცხვისა და ნაძვის ხისგან დამზადებული გვარდა კარაქს შეფერილობასა და გემოს აძლევდა. ვინც ნაძვის ხისგან ასეთ ჭურჭელს ამზადებდა, მეგვარდეს ეძახდნენ.

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984; ქართველი ხალხის ეთნოლოგიური... 2018:118.

გვარლი - ბალახისაგან დამზადებული თოკი. ზოგან მას ულოსა და წირებს უწოდებენ. გვიმი ჭისა - ქვის, თიხის ან ხის მრგვალი მილი, რომელიც იდგმებოდა ჭის თავზე წყლის სისუფთავის დაცვის

მიზნით. ეთნოგრაფიულ ყოფაში (დას. საქ.) გვხვდება ქვის კარგად დამუშავებული გვიმები, როგორც მთლიანი - ერთ ქვაში გამოკვეთილი, ასევე ორნაწილიანი, რომელსაც თავში რკინის სალტე აქვს შემოჭერილი. ქვის გვიმს აქვს თავი და გამოწეული „ტაფა“ წყლის ჭურჭლის დასადებად. გვიმის პრაქტიკული და ესთეტიკური დანიშნულება კარგადაა შეხამებული ისეთ მნიშვნელოვან საყოფაცხოვრებო ობიექტთან, როგორცაა ჭა და მისი ჰიგიენური უსაფრთხოების დაცვის გარანტიას იძლევა.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

გვანა (რაჭ.) - ზანდური ხორბლის ერთ-ერთი ჯიშია.

გვერ(ღ)წითელა სხალი (რაჭ.) - საშემოდგომო მსხლის ჯიშია. ნაყოფი საშუალო ზომისაა, კანი - ყვითელი, გვერდი შეწითლებული აქვს. მწიფე რბილობი ყავისფერია, ძლიერ ტკბილი (იხ. ბრეგ., 65).

გვიმი ჭისა - ქვის, თიხის ან ხის მრგვალი მილი, რომელიც იდგმებოდა ჭის თავზე წყლის სისუფთავის დაცვის მიზნით. ეთნოგრაფიულ ყოფაში (დასავლეთ საქართ.) გვხვდება ქვის კარგად დამუშავებული გვიმები, როგორც მთლიანი - ერთ ქვაში გამოკვეთილი, ასევე, ორნაწილიანი, რომელსაც თავშირკინის სალტე აქვს შემოჭერილი. ქვის გვიმს აქვს თავი და გამოწეული „ტაფა“ წყლის ჭურჭლის დასადებად. გვიმის პრაქტიკული და ესთეტიკური დანიშნულება კარგადაა შეხამებული ისეთ მნიშვნელოვან საყოფაცხოვრებო ობიექტთან, როგორცაა ჭა და მისი ჰიგიენური უსაფრთხოების დაცვის გარანტიას იძლევა.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

გვინოლი (გლ.) - სახვნელის ნაწილი, იგივეა, რაც ხელანი, სატარი (იხ.).

ლიტ.: ძიძ., ქართ. დიალექტ., 682).

გვირგვინი - 1. ზოგადი სახელია თავის შემკულობისა, არის სხვადასხვა ფორმისა და მასალისაგან დამზადებული. გამოიყენებოდა უხსოვარი დროიდან მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხებში. 2. გვირგვინი, იალქანი, თაჯი-აქ: რიტუალური თავდასადგამი, ქალ ვაჟთა საქორწინო თავსაბური. მასალად გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის ფერადი ძაფები (მათ შორის უპირატესობა ეძლეოდა ოქროსფერსა და ვერცხლისფერს) და ხის ნაწილები. შედგება ხის რგოლისა და თანაბარი მანძილით დაცილებული რამდენიმე გრძელი ტოტისაგან, რომლებიც შედგენილი არიან ფერადი ძაფებით შევსებული ხის პატარა ბურთულებისაგან. ტოტების ბოლოში მძივებით გაწყობილი ფოჩები კილია. გვირგვინზე შუბლის სწორად ამავე წესით შესრულებული ჯვარია გამოსახული. როგორც წესი, ჯვარი ეკლესიაში უნდა დაეწერათ და მღვდელი იყო გვირგვინის თავზე დამდგმელი. იქ, სადაც ეკლესია არ იყო, ამ ფუნქციას ხატის მსახურები ასრულებდნენ. თუ მექორწილე წყვილს საკუთარი გვირგვინი არ ჰქონდა, მაშინ დაქირავება უწევდათ. პატარძალს გვირგვინი ქორწილის დამთავრებამდე არ უნდა მოეხადა, გვირგვინების მოხდის ცერემონიალი კი ბევრი ძველქართული წესის თანხლებით სრულდებოდა. ასე, მაგალითად, ფშავში, ქორწილის მესამე დღეს „საწადმართოს“ გადაიხდიდნენ, დაკლავდნენ საკლავს და სუფრასაც ხელახლა გაშლიდნენ. შუადღისას ნეფიონი ადღეგრძელებდა ნეფე-დედოფალს და მეჯვარე ხანჯლის წვერით ჯერ ნეფეს მოხდიდა თავიდან გვირგვინს და მერე დედოფალს. გვირგვინმოხდილ ნეფეს

გაქცევით უნდა ეშველა თავისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მაყრებისათვის ერთი ხელადა არაყი უნდა მიერთმია. გვირგვინის ახდის შემდეგ ქალის მაყრები მოითხოვდნენ სამაყროსა და სამდადოს. თუშეთში, ქორწილის დასასრულს, პატარძალს იმ ოთახში შეიყვანდნენ, სადაც მხოლოდ ქალის მაყრები იყვნენ თავმოყრილი. გვირგვინის ახდის წესის დამთავრების შემდეგ მაყრები მოითხოვდნენ საფურე ხბოს, დედალ თოხლს, ან ძროხას და შემოთავაზებულს ყურს პატარძლის სახელზე აუხევდნენ, ე.ი. პატარძლის საკუთრებად ცნობდნენ. გვირგვინის წარმოშობა დაკავშირებული ჩანს დიადემასთან, რომელიც ეტრუსკულ სამყაროშია საძებნელი. პატარძლის გვირგვინს ძველ საქართველოში „იალქანი“ ერქვა.

ლიტ.: ც. ბუზარაშვილი, ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1974.

გვირგვინი სამეფო - ერთ-ერთი სამეფო რეგალია, მეფობის უმთავრესი ნიშანი. ძველად სამეფო გვირგვინის ნაცვლად დიადემას ხმარობდნენ. ეს იყო ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით შემკული, სხვადასხვა ფერისა და დეკორის აბრეშუმის თავსაკრავი, ანუ ხილაბანდი. მას შუბლზე იკეთებდნენ და უკან იკრავდნენ. სამეფო თავსაბურავი V საუკუნეში ჩნდება საბერძნეთში. მას სტეფანოზი, ანუ კორონა ერქვა და ქართულად იალქანი შეესატყვისება. სტეფანოზი ვერცხლის ან ოქროს ბრტყელი რგოლი ან რკალია, თვლებითა და მარგალიტებით შემკული. დროთა განმავლობაში მის გვერდებზე გაჩნდა ასევე ძვირფასთვლებიანი ტოტები, რკალის შუა ნაწილში კი ჯვარი. ასეთ თავსაბურავს სტემა ეწოდება. ბიზანტიის მეფეების სტემა ძირითადად ღურჯი, თეთრი, წითელი და მწვანე ფერის იყო. მართალია, იმპერატორები

სტემასთან ერთად ძველ სტეფანოზსაც ხმარობდნენ, მაგრამ სტეფანოზი უკვე უბრალო თავსაბურავი იყო და არა გვირგვინი. სტემა დამკვიდრდა, როგორც დამოუკიდებელი მეფობის სიმბოლო, ხოლო სტეფანოზი და სხვა „კორონები“ იმპერატორთა ხელქვეითების კუთვნილება გახდა. აღსანიშნავია ასევე მეფეთა კიდე ერთი თავსაბურავი - ტიარა, რომელიც მათ დღესასწაულზე და დედაქალაქში ძღვევამოსილად შესვლის დროს ეხურათ. ქართული წყაროები ქართველ მეფეების თავსაბურავს მიტრასა და გვირგვინს უწოდებს. რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ დიადემას, იგი ჩვენში საერთოდ არ არის ცნობილი, როგორც მეფეთა თავსაბურავი. ქართველ მეფეთა სამეფო ნიშნები გარკვეულ პერიოდში ბიზანტიიდან შემოდიოდა, მაგალითად, V-VI საუკუნეებში. ლაზიკის მეფეები ფორმალურად ექვემდებარებოდნენ ბიზანტიას და ტახტზე ასვლისას სამეფო ნიშნებს ბიზანტიის კეისრისგან ღებულობდნენ. ეს იყო „ოქროს გვირგვინი, ძვირფასი ქვებით შემკული“. აღსანიშნავია, რომ ბიზანტიური სამოხელეო სამოსელი და თავსაბურავი საქართველოში IX-XI საუკუნეებშიც შემოდიოდა. როცა ბიზანტიის მეფე საქართველოს მთავარს ან მეფეს ამა თუ იმ პატივს მიანიჭებდა, მათ საპატიო სამოსელსა და სამკაულსაც უგზავნიდა.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011; ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი, 1964.

გვირგვინი ფოჩებიანი - ქართლ-კახეთში საქორწინო ცერემონიების შესრულების დროს ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი. ქართული გვირგვინი დისკოსებური ფორმისაა. მასზე ჩამოკიდებულია ოთხი, ერთმანეთისგან თანაბრად დაშორებული ფოჩი, რომელიც შედგება ოქროსფერ-ვე-

რცხლისფერი სირმებისაგან გაკეთებული ბურთულებისგან. გვირგვინის ტოტები დაბოლოებულია სამ-სამი მოკლე ფოჩით. მამაკაცის გვირგვინზე, ქალისგან განსხვავებით, ცენტრში ჯვარია მოთავსებული, რომელიც ასევე სირმითაა მოქარგული. მას ნეფე ნაბდის ქუდზე იხურავდა, პატარძალი კი - ჩიხტიკოპზე. ვ. ბარდაველიძე, ქართული ჩიჩილაკისა და გვერგვის (იხ) შესწავლისას, აღნიშნულ გვირგვინს გარეგნული ფორმის გამო მზის ემბლემად თვლის. ჯვრისწერის დროს კი, მისი ნეფე-დედოფლის თავზე დახურვა უნდა მომდინარეობდეს შეხებითი მაგიიდან, იმ სურვილით, რომ ასტრალური ღვთაების თვისება - შვილიერება და ნაყოფიერება, თვით ნეფე-დედოფალზე გადასულიყო. ზოგი აღნიშნულ გვირგვინს ვაზის კულტს უკავშირებს. მევენახეობის ძირითად რეგიონებში ქართული ფოჩებიანი გვირგვინი, თავდაპირველად ვაზის რქებისგან იყო. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავი, თუშეთი, ხევსურეთი), სადაც არ არის გავრცელებული ვაზის კულტურა, ფოჩებიანი გვირგვინი საერთოდ არ გვხვდება. საინტერესოა ქართული ფოჩებიანი გვირგვინის ერთი დეტალი - ჯვარი, რომელიც, როგორც აღინიშნა, მხოლოდ მამაკაცის გვირგვინზე ფიქსირდება. სამეც. ლიტ-ში დადგენილია, რომ ჯვარი თავისი წარმოშობით წინ უსწრებდა ქრისტიანულ რელიგიას. ფიქრობენ, რომ „მამაკაცის გვირგვინში ჯვარი ხარის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული. საქორწილო რიტუალში წესად იყო დასაკლავად მომზადებულ ხარის გარშემო ნეფის ცეკვა-თამაში და მის მიერ ხარზე დანის ჯვარედინად დასმა. ასევე აღნიშნული შეხედულების დამადასტურებელია ისიც, რომ ნეფისთვის ქორწილზე უნდა მიეტანათ ხარის ბეჭი“. ამდენად, თავდაპირველად ქართული გვირგვინი ვაზისა და ხარის კულტებთან იყო დაკავშირებული, მოგვიანებით კი მან

უკვე მზისა და მთვარის ფუნქციები შეიძინა, რომლის გამოხატულებაცაა ოქროსფერვერცხლისფერი სირმებით გასხვიოსნებული გვირგვინის ტოტები.

ლიტ: ნ. მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, 1978.

გვირგვინი / გვერგვინი - საახალწლო სარიტუალო საგანი. ლეჩხუმური საახალწლო გვერგვი ლერწისგან მოწნულ რგოლს წამოადგენს. ასტრალურ კულტთან გვერგვის კავშირს განსაკუთრებული სიცხადით ამ საგნის გარეგანი გამოსახულება ამჟღავნებს: გვერგვი-წრე, მის ცენტრში მოთავსებული ჯვრით, რომლის წვრილად წათლილი ბოლოები წრის ნაპირისკენ სხივების მსგავსად ეფინება, მნათობი მზის ფორმასა და სხივოსნობას ასახავს. ამ ვითარებას ცხადყოფს აგრეთვე სვანური გირგედის (სალოცავი ხატი) თავისებური გარეგნული გამოსახულება. გირგედ-ი მრგვალი ფორმის ლითონის საგანია ირგვლივ შემოყოლებული ცხრა ცალი მომცრო რგოლით და ამ რგოლებშია სამყურა მცენარის სახის სამკაულებით. ქართველების მზის ემბლემა მოწმდება დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში ე.წ. „კალპიანი ჩიჩილაკის“ სახით. კალპი მზის ისეთივე ემბლემაა, როგორც რაჭველ-ლეჩხუმელების საახალწლო გვერგვი. ამ უკანასკნელის მსგავსად, კალპიც ლერწისგან მოწნული და მცენარეულით შემკული რგოლია. ეთნოგრაფიულ ყოფაში ჩიჩილაკი ბედნიერება-კეთილდღეობისა და დოვლათის სიმბოლური გამოსახულებაა. როგორც ცნობილია, მსოფლიო ხე მრავალ ძველ კულტურულ ხალხში მზესთან იყო ასოცირებული. კალპიანი ჩიჩილაკიც ამგვარ კონცეფციას ასახავს, რამდენადაც აქ მზის სიმბოლო - კალპი მსოფლიო ხის სიმბოლურ გამოსახულებასთან - ჩიჩილაკთან არის შერწყმული და ორივე ერთად (კალპი

და ჩიჩილაკი) ზამთრის მზის მობრუნებას მოასწავებს. ქართველ ხალხში მსოფლიოს ხის კონცეფციის ფართოდ გავრცელებაზე მიუთითებს აგრეთვე ეთნოგრაფი ულ ყოფაში დამოწმებული ე.წ. „ბატონების ხე“ და მეგრელების „კელაპტარი“. შესაძლებელია, მზის ემბლემის საკითხში სვანური გირგედის, რაჭულ-ლეჩხუმური გვერგვისა და გურული კალპი-ს გვერდით ქართული გვირგვინის ამოყენება. გური-ა-სამეგრელოს და საერთოდ, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ხალხური საქორწინო გვირგვინი ლერწისგან მოწმულ რგოლს წარმოადგენდა გვერგვის მსგავსად. განსაკუთრებით საინტერესოა ქართლურ-კახური ნეფე-დედოფლის გვირგვინი, აგრეთვე რგოლის ფორმის, რომელსაც აქვს ოთხი მომცრო ტოტი და რგოლის წინა ნაწილზე გასხვივსნებული ჯვარი. გვირგვინი რძისფერი შუშის მძივებითაა შემკული და მთლიანად ოქროს ან ვერცხლისფერი სირმით არის გადაკრული. თავისი ფორმით, ტოტებით, სამკაულითა და ფერით ქართლურ-კახური ხალხური საქორწინო გვირგვინი მზის გარეგნულ გამოსახულებას, ფერსა და სხივოსნობას ასახავს. ნეფე-დედოფლის თავზე ამგვარი გვირგვინის დადგმა ოდესღაც მაგიური ზემოქმედების მიზნით ხდებოდა. ახალად დაქორწინებულებს მზის მსგავს საგანს ადგამდნენ იმისათვის, რომ მზის ცხოველმყოფელი ძალა და ნაყოფიერების თვისება ნეფე-დედოფალზე გადასულიყო.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011

გვირგვინი / დიადემა / თავჯი - ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული, პატიოსანი თვლებით მოოჭვილი თავსამკაული. გვირგვინი სხვადასხვა ტიპისა იყო: დიადემა, ქუდი, შარავანდი,

ფოთლებიანი თუ დაკბილული სალტე და სხვა. საქართველოში გავრცელებული გვირგვინები ნაირგვარია: ქედური რელიეფით, გრეხილურით, გავარსით, ძვირფასი თვლებითა და ტიხრული მიწანქრით შემკული. საქართველოში აღმოჩენილი უძველესი ოქროს გვირგვინი ძვ. წ. V ს-ით თარიღდება. იგი მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ სამკაულთა ტიპებს განეკუთვნება. დიადემა//გვირგვინი წარჩინებულობის ნიშნად, ინსიგნიად ითვლებოდა. საფლავის ქვებზე ხშირად გვხვდება რელიეფურად ამოყვანილი გვირგვინები. რომელთა სიმბოლური დანიშნულება აქ განიმარტება, როგორც ჯილდო კეთილმორწმუნე ქრისტიანისა, რომელმაც დაიმსახურა იგი თავისი უმწიკვლო ცხოვრებით: „მორწმუნე იყავ შენ სიკვდილამდე და მოგეცემა სიცოცხლის გვირგვინი“ (გამოცხ 2:10). გვირგვინი ზოგადი სახელია თავის შესამკობლისა, არის სხვადასხვა ფორმისა და მასალისაგან დამზადებული. გამოიყენებოდა უხსოვარი დროიდან მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხებში.

ლიტ.: ი.გაგოშიძე, ქართველი ქალის სამკაული, 1981, ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხ. იმერეთში, 2001.

გვრიჭა (რაჭ.) - ჩამორთული, აძახული და ბურთივით მრგვლად დახვეული (შალის) ძაფის გორგალი (იხ. ჭყ., ძიძ., ქართ. დიალექტ., 670; ძიწ.).

გვრიჭილა (რაჭა) - საბრძოლო-სანადირო იარაღი. გვრიჭილა ჯოხის ბოლოზე ძუებით ან თასმებით მიმაგრებული ქვების ერთობლიობას წარმოადგენს. საბრძოლო დანიშნულების გარდა, რომლის ტრიალიც დიდ ხელოვნებას მოითხოვდა, გამოიყენებოდა სანადიროდაც,

რაჭის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით პურის მკის დროს, მას მწყერზე სანადიროდ იყენებდნენ ბავშვები.

ლიტ.: ა. გიორგობიანი, *ქვის კულტი და ქვის საბრძოლო იარაღები, 1977.*

გიდელი - წნული ჭურჭელის სახეობა. წვანა კაცობრიობის კულტურის უძველესი მონაპოვარია, იგი წინ უსწრებდა ქსოვას, რომელიც მისგან განვითარდა. წვანასთანაა დაკავშირებული აგრეთვე კაცობრიობის კულტურის ისეთი მონაპოვარიც, როგორცაა მეთუნეობა. მეთუნეობა ყველგან ალბათ იმის შედეგად გაჩნდა, რომ დაწნულ ან ხის ჭურჭელს თიხით ლესავდნენ, რათა ცეცხლგამძლე გაეხადათ. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში წვნის აღმნიშვნელი ტერმინია თხზვა. ეს ტერმინი დღეისათვის მხოლოდ აჭარულ დიალექტშია შემონახული. წნული ჭურჭლის დასამზადებლად იყენებენ, უპირატესად ტირიფს და მის სახესხვაობებს - ძეწას, მდგნალს, წნორს, მანუღს, აგრეთვე - თხილს, შვინდს, უზანს, სიმინდის ფუჩეჩსა და პურის ნამჯას. საქართველოში გავრცელებული წნული ჭურჭლებიდან ფორმითა და ფუნქციით საყურადღებოა მოგრძო, ძირწაწვეტილებული უყურო გოდორი - გიდელი. იგი მაღლარი ვენახისა და ხილის საკრეფი ჭურჭელია. გიდელს ამზადებენ წნელისა და ტკეჩისგან. გავრცელებულია გურიამი, აჭარამი, სამეგრელოში, ლეჩხუმში, ქვემო იმერეთსა და სხვაგან. გიდელის მთავარი საყრდენი წაბლის, მუხის ან ქორაფის ღეროა, რომელსაც ცეცხლზე ათბობენ და ოთხივე მხრიდან ტკეჩებს აცლიან. ღეროს შუაში დარჩენილ ხის გულს ჭრიან და მის ქვედა ნაწილს გიდელის ფსკერად ტოვებენ. გურიამი მას კუმტული ჰქვია, ლეჩხუმში - მუჯურო, აჭარამი - კუნჭულო, სამეგრელოში - კურსული. გიდელის საწნავ ტკეჩს ასე

ამზადებენ: საშუალო სისქის დანით ჩაჭრიან, მუხლზე მოხრიან და მარჯვენა ხელის შუა თითის დახმარებით თანდათან ზოლებად მლიან. გიდელის წვანა იწყება ფსკერიდან. გიდელის საყრდენს წვრილი ტკეჩი ჯვარედინად გადაეწვნება. წვანა ხორციელდება მარჯვნიდან მარცხნივ. შუა ნაწილში გიდელი ოდნავ ფართოვდება, რისთვისაც მსხვილ ტკეჩს უმატებენ. გიდელის თავსაც მსხვილ ტკეჩს შემოაწნავენ. თავზე უკეთებენ თოკის სახელურს, რომელზეც ხის კავი - დვანღვალი - არის მიმაგრებული ტოტზე გიდელის ჩამოსაკიდებლად.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, *დასურათებული ლექსიკონი, 2008.*

გინოკინა („გადაწევა“) - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული მეგრული რიტუალი - ნაკვერჩხალზე საკმევლის დადების შემდეგ, გარდაცვლილის სახელობის სასაკურთხე სუფრის პურზე ღვინისა და წყლის დასხმის წესი. გინოკინა სრულდება მკვდრის ყველა რიგში/ხარჯში - მეცხრე დღეს (იხ. „კილეში გონწყემა“), ორმოცზე, წლისთავზე, აგრეთვე მიცვალებუთა ხსენების დღეებში, როცა მათი სახელობის ტაბლას დგამენ. მეგრელები ამ ტერმინით აღნიშნავენ მიცვალებულის საფლავზე ღვინის მოსხმასაც. (მდრ. „ბოდლიწო“).

ლიტ.: ნ. აბაკელია. *სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბ., 1997, გვ. 154-155; ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 7, გვ. 12-13 (ინახება ავტორთან).*

გინორჩქილაფა - მკითხაობის ერთ-ერთი მეგრული წესი, რომელსაც ელიობის წინა დღეს, ჭეჭეთობა (იხ.) ღამეს მიმართავდნენ. რამდენიმე ქალი და მამაკაცი ღამით მალულად მალლობ ადგილზე

დასხდებოდნენ; განაბულნი და სმენად ქცეულნი სოფელს მიაყურადებდნენ: სწამდათ, იმ ოჯახში, საიდანაც შეშის ჭრის ხმა მოესმოდათ, წლის განმავლობაში აუცილებლად მამაკაცი მოკვდებოდა, ღომის ცეხვის ხმაზე კი - ქალი. (მდრ. „სმინაობა“).

ლიტ.: ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 318.

გირგალი (რაჭ.) - ღობის თავზე მეტი სიმაგრისათვის გარკვეული წესით გადავლებული მსხვილი წვნელების არშია. ღობეს რო მოვწნამთ, ზეიდან ფსხვილ წვნელებს გადავაწნამთ და იმას უძახით გირგალს (იხ. ჩიქოვ., ბერ.: გირგვლა; ალავ. ქართ. დიალექტ. ლექსიციდან).

გირგელ-ი (სვ.) - ლახამულელთა და ეცერელთა საფიცარი ხატი. ეცერელთა გირგელი ინახებოდა ფხოტრერის ეკლესიაში, ლახამულელების - ჩამოკიდებული იყო სოფლის მოედანზე მდგარ ცაცხვის ხეზე. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა მრგვალი ფორმის ლითონის საგანს, რომლის გარე ნაპირზე შემოკვლებული იყო ლითონისავე ცხრა ცალი რგოლი, რგოლებსშორის სივრცეს კი სამყურა მცენარის მსგავსი ლითონის სამკაული ამშვენებდა. დაახლოებით ასეთივე ყოფილა ეცერელთა გირგელიც.

გადმოცემის თანახმად, გირგელი მდ. ენგურის გადაღმა, ლახამულას პირდაპირ მდებარე მთის მწვერვალიდან ჩამოუტანიათ (ვარიანტი: ლახამულელებს ყარაჩაელები დასხმიან და დიდი ზარალი მიუყენებიათ; მაშინ გირგელი გაპარულა და ჯგრაგ ბოგემის სალოცავის პირდაპირ რომ მაღალი კლდეა, იქ დამალულა).

გირგელზე შერისხება იმ შემთხვევებში სცოდნიათ, როცა ვინმე ყანას დაა-

ზიანებდა, ან საქონელს დაასახიჩრებდა, ან კიდეუ მიწათმოქმედებასთან და მესაქონლეობასთან დაკავშირებულ ზარალს გამოიწვევდა. დაზარალებული ოჯახი დანაშაულში ეჭვიმითანილის ან დამნაშავის მცოდნე პირთა გამოსატყუად, მოკილს (სალოცავის კაცს) გირგელს გამოატანინებდა; მოკილი, გირგელით ხელში, შეკრებილი ხალხის წინაშე დამზარალებელს ხმამაღლა შერისხავდა (გირგელის ძალით საქონლის ამოწყვეტით, მოსავლის განადგურებით დაემუქრებოდა და გირგელს პირუკუღმა გადააბრუნებდა), თუ ეს უკანასკნელი დანაშაულს არ აღიარებდა, ან დამნაშავის მცოდნე პირები მას არ დაასახელებდნენ.

3. ბარდაველიძე, ანალიზებს რა გირგელსა და მასთან დაკავშირებულ საწესო მოქმედებას, ასკვნის: „საფიქრებელია, რომ წრის სახის „ხატი“ გირგელი ოდესღაც მნათობი მზის ღვთაება ბარბალეს სიმბოლური ნიშანი ანუ ემბლემა უნდა ყოფილიყო“. მკვლევარს ამავე სემანტიკურ წრეში შემოაქვს რაჭულ-ლეჩხუმური „საამკვლოვარო გვერგვი“ (იხ.) და გურული ჩიჩილაკის კალპი (იხ. „ჩიჩილაკი“).

ლიტ.: 3. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდა (ღვთაება ბარბარ-ბაბარ). თბ., 1941, გვ. 65-76.

გირგირი (ლაზ.) - დიდი ზომის სათევზაო ბადე.

გირგლური ღობე (რაჭ.) - მსხვილი წვნელებით ორმხრივად მოწნული ყველაზე მაგარი ღობე - ტყრუშული. გირგალი ღობე თავიდანვე სულ გირგალით რო იწვნება. წვნელები ერთმანეთშია გადაწნული ხან ერთი მხრიდან, ხან მეორიდან.

გირგოლი - ხევსურული ფარის დეტალი, წარმოადგენს რკინის ბრტყელ

ფირფიტას, რომელიც წრიულად შეჭედ-
ლია ფარის ზედაპირზე გირგოლების მი-
ხედვით განასხვავებენ ფარის სახესხვაო-
ბებს - ერთგირგოლიანი, ორგირგოლიანი
და სამგირგოლიანი ფარები.

გირკალი / გრკალი / რკალი (ქა-
როთლ., ფშ., ხევს.) - რკალივით მოხრილი
ჯოხი, რომლის ბოლოები ერთმანეთთან
წნელით არის დაკავშირებული, იხმარება
საქონლის დასაბმელად.

გიშერი - ერთგვარი ძვირფასი შავი
ქვა, რომლისგანაც ამზადებდნენ სხვა-
დასხვა სახის სამკაულებს. გიშერი ქვანა-
ხშირის სახესხვაობაა. ამ მინერალს უწო-
დებენ „გაგატსაც. ახასიათებს სირბილე,
ადვილად ემორჩილება დამუშავებას.
იხმარება სხვადასხვა დანიშნულების
ნივთების დასამზადებლად. გიშრის წა-
რმოებას საქართველოში ხანგრძლივი
ისტორია აქვს. ეთნოგრაფიულ ყოფას იგი
ბოლო დრომდე შემორჩა, რასაც განაპი-
რობებდა იმერეთში ძიროვანის და ოკრი-
ბის მდიდარი საბადოების არსებობა. გიშ-
რის დამუშავება ორ საფეხურად იყოფა: 1.
გიშრის ნედლეულის მოპოვება 2. გიშრის-
გან სხვადასხვა ნივთების „გამოქნა“. მო-
მპოვებელს და მომჭრელს „მეძებარი“//
მომჭრელი ეწოდება. გამთელეს და დამ-
მუშავებელს - გიშრის მთელელი//“ხელო-
ვანი“. გიშერი ჰაერზე სწრაფად კარგავს
სინოტივს, ტანში „იბწკალება“ - იშლება.
ამიტომ გიშრის მჭრელი მას აყალო მი-
წით შემოშელავდა და ისე ამოქონდა სა-
ბადოდან. გგაგოზილ „რიყე“ გიშერს ისევე
მიწაში მარხავდნენ. რადგან მეორედ და-
მარხული გიშერი შეჩვეოდა ჰაერის ზე-
მოქმედებას. ასეთი მდგომარეობა ამცი-
რებს გიშრის სიფიცხეს და აადვილებს
მის დამუშავებას. გიშრის დამუშავების
ტექნოლოგია რამდენიმე საფეხურს მო-
იცავს: გიშრის ნატეხების სახსრებად და-
ხსნა, ზომიანად დაყენება, გაფცქვნა - ცილის

შემოცლა, დაკუთხვა - გიშრის კაკლები-
სათვის ფორმის მიცემა, გახვრეტა, ქვაზე
ხეხვით გაპრიალება, ნამზადის მჩვარში
გახვევა და ბნელ ადგილზე შენახვა. გიშ-
რის ნივთებიდან აღსანიშნავია სამკაუ-
ლები, სკვნილები (კრიალოსნები). გიშ-
რის ყელსაბამით ნიშნავდნენ ქალებს.
როგორც ნივთიერი, ისე წერილობითი
წყაროების საფუძველზე ირკვევა, რომ
გიშრის წარმოება სამკაულისა და ამულე-
ტის სახით საქართველოს მიწა-წყალზე
თავს იჩენს ჩვ. ერამდე მე-16 საუკუნეში.
გიშრის სკვნილები ფეოდალური ხანის
საქართველოში წარმოადგენდა მზითვის
აუცილებელ საგანს. მონასტრებსა და ეკ-
ლესიებში იყენებდნენ ლოცვა-ვედრების
სხვადასხვა კანონიკური წესის წარმოსა-
თქმელთა დასათვლელად. ქართული გი-
შერი გაჰქონდათ საზღვარგარეთაც. გიშ-
რის წარმოებამ XIX ს. I ნახევარში ფართო
ხასიათი მიიღო. 1841წ. ქუთაისში გიშრის
ნაწარმის ექსპორტი წელიწადში 2000 მა-
ნეთ წმინდა მოგებას იძლეოდა.

ლიტ. ნ. რეხვიამვილი., ქა-
რთული გიშერი, ჟურნ. „ძეგლის
მეგობარი“, №24.

გმური - საძგერებელი იარაღი. სულ-
ხანსაბას გმური განმარტებული აქვს
ცალკე და ლახვარის ქვეშაც. პირველ
შემთხვევაში აღნიშნულია რომ „გმური
ხელშუბა“-აო, მეორე შემთხვევაში აღ-
წერილია - „გმური არს ლახუარი პი-
რ-ბრტყელი და ბუნგრძელი, რომლითა
მაცხოვარსა უგმირეს.“ საბას არავითარი
წყარო დამოწმებული არა აქვს და არც
ის ჩანს თუ საითგან უნდა იყოს ეს ტერ-
მინი ამოღებული. ქართულ საისტორიო
თხზულებებში გმური არც ერთხელ არ
არის ნახმარი, რაც ცხადყოფს რომ სა-
ბას ცნობა ან გარკვეულ წერილობით
წყაროზე, ან და პირად ზეპირ ცოდნაზე
უნდა ჰქონდეს დამყარებული.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემცი, ტ. III-IV 1962.

გობაკი - ყარაჩოღელთა ვერცხლის ქამრის ბალთაზე პირამიდულად ამოყვანილი გობაკი, იმდენად დიდი რომ ზოგიერთში ნახევარი ჩარევა ღვინო ჩავიდოდა. გობაკიანი ვერცხლის ქამარი ყარაჩოღელის ერთგვარ სიამაყეს წარმოადგენდა. შეიძლება ყველაფერი გაეყიდა, მაგრამ ქამარს არ გაყიდდა. თუ გარდაცვლილი ყარაჩოღელის ოჯახს გასვენების ფული არ ჰქონდა, ქამარს გაყიდნენ და აღებული თანხით დაასაფლავებდნენ. ამიტომაცაა ნათქვამი „თავის სამარხი ზედ არტყია ვერცხლის ქამარი“.

გობი/გვები (სვ.) / **ხონი** (თუმ., ხევ.) / **გორდა** (ზ. აჭარ.) - დიდი ზომის ამოთლილი, ან ფიცრებით შეკრული ხის ქურქელი, უმთავრესად იხმარება ცომის მოსაზედად, სანოვარის დასაწყობად, ლობოს, მხლის დასატუკად//დასაკვებად. გობს ამზადებდნენ „უწვნი“, „სუფთა“ ხეებისგან (ცაცხვი, თელა). იყო დიდი ზომის „ლაშგვერდი გობი“(სვანეთი), მცირე ზომის გობი-“ხელგობა“, კარაქის ამოსაღები(ზემო აჭარა) და ა.შ.გობი, როგორც საზომი ერთეული, ჩანს XVI-XVII საუკუნეებიდან ოდიშში. მასში 18 კგ. მარცვლეული ეტეოდა.

გობა (იმერ.) – 1. სახლის სახურავის მთავარი ხე, რომელზედაც მიკრულია სახურავი კოჭები. გადალარტყვის შემდეგ გობაზე იციან მამლის დაკვლა სახლის გადახურვის აღსანიშნავად. 2. ფშავსა და ხევსურეთში საახალწლოდ გამომცხვარი დიდი სამეკვლეო პური.

გობა (იმერ.)- 1. სახლის სახურავის მთავარი ხე - თავხე, რომელზედაც მიკრულია სახურავი კოჭები. გადალარტყვის შემდეგ გობაზე იციან მამლის დაკვლა

სახლის გადახურვის აღსანიშნავად. 2. ფშავ-ხევსურეთში საახალწლოდ გამომცხვარი დიდი სამეკვლეო პური.

გოგორა (რაჭ.) - მკვიდრზე სადგარიანი ურემი ხის სქელი თვლებით და ხისავე ღერძით. იხმარება მძიმე ტვირთის (მაგ. საწნახლის, დაკირული ქურის...) გადასატანად (იხ. ფრ., 146; შდრ. ქეგლ)

გოგრიჭი (რაჭ.) - ქვის სასროლი იარაღი. წარმოადგენს მახრილლივ გადასაკიდებელ ღვედს, რომელსაც მიბმული აქვს ძუა-ჭაპანი და ზედ ასხმულია გახვრეტილი მრგვალი ქვები, რომლებთაც გოგრიჭები ეწოდება. სასროლად მსროლელი ხმარობდა არა მარტო ბუნებაში შემთხვევით ნაპოვნ გახვრეტილ ქვებს, არამედ ხელოვნურად დამზადებულსაც, ე.ი. გაჩარხულ ქვებს. გოგრიჭები იჩარხებოდა ადვილად დასამუშავებელი ქვის ჯიშებისგან. ამზადებდნენ გამომწვარი თიხისგანაც. გამოწვამდე შუაში ჯოხს უყრიდნენ, რის გამოც ნახვრეტი რჩებოდა, გოგრიჭები მზადდებოდა სხვადასხვა ფორმის: მრგვალი, კვერცხისებური, წვეთურა და სხვა. სცოდნიათ აგრეთვე თიხის გოგრიჭებში კაჟის ქვების ჩაყოლებაც (გამოწვამდე), რომელსაც „ბუძგა გოგრიჭი“ ერქვა. ყველაზე უფრო კარგი მიზანში სასროლად წვეთურა ფორმის გოგრიჭი ყოფილა. უკანასკნელ ხანებში ქვის სროლის ეს მეთოდი ბავშვთა თამაშის ელემენტი გამხდარა და მას გოგრიჭობანას უწოდებდნენ. როგორც ეთნოგრაფიული მასალით ირკვევა, გოგრიჭს ძველად სერიოზული საბრძოლო გამოყენება ქონია, ეს იარაღი გაწაფული მეშურდულის ხელში, დიდი სიზუსტით და ზედიზედ მიყოლებით, ქვის მტერზე დამენის საშუალებას იძლეოდა, ახლო მანძილზე ცხენზე ამხედრებული მხედრისთვის გოგრიჭი უკვე მოსაქნევ-ჩასართყმელი საშუალება ხდებოდა. ძუა-ჭაპანის ბრუნვის რადიუსი

მსროლელს საშუალებას აძლევდა, შეექმნა დიდი სიხშირის მახრუნებელი ძალა, რაც გასროლილ გოგრიჭებს მაღალ საწყის აჩქარებას აძლევდა.

ლიტ.: ა. გიორგობიანი, ქვის კულტი და ქვის საბრძოლო იარაღები, გაზ. „რეო“ 1997.

გოგროხი - ღვინის საწყაო, ხელჩაფის ტიპისა.

გოგუთი - „თავ მრგვალი ჯოხი“ (დ. ჩუბინ.) ი. ჯავახიშვილს გოგუთი ნახსენები აქვს საბრძოლო დასარტყმელ იარაღთა შორის და განსამარტავად კვერთხი და გურზი(იხ) აქვს მითითებული. წარმოადგენს ხის ტარზე დამაგრებულ ლითონის ან ხისავე სფეროს. ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემცი, ტ. III-IV 1962.

გოდორი - წნული ჭურჭლის სახეობაა, ფართოდ იყო გავრცელებული მთელ საქართველოში. გამოიყენებოდა როგორც მარცვლეულის შესანახად, ასევე სხვადასხვა სამეურნეო პროდუქტის გადასაზიდად. აღმოსავლეთ საქართველოში მთიელები ჭირნახულს გოდრებში ინახავდნენ. აქ გოდორი ნაკელისა და ნაცრის ნაზავით იყო ამოლესილი. სქელი ძირი ჰქონდა, ზოგჯერ ფეხებზე იდგა, რომ არ დანესტიანებულიყო. ასეთი გოდრების სიმაღლე 2 მეტრამდე აღწევდა და 40-80 ფუთ მარცვლეულს იტევდა. შეძლებულ ოჯახს 7-8 გოდორი მაინც ედგა. დასავლეთ საქართველოში მარცვლეულის შესანახად თიხით შელესილი გოდრები იყო გავრცელებული. ზოგადად შესაძლებელია ითქვას, რომ ფიცრის ფსკერიანი შელესილი გოდორი, როგორც მარცვლეულის შესანახი სათავსო, ფართოდ იყო გავრცელებული მთელ საქართველოში. ასევე ითქმის სხვადასხვა სიდიდის შეუღესავი გოდრების შესახებ,

რომლებიც სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობისთვის იყო განკუთვნილი. გოდორის სახეებია გუჯინა(ხევ), გოგროხა (ქართლ.), დიდი გოდორი, გოდრულა(ქსანი, ქართლ.), ყურძნის შესანახი გოდორა (აჭარ. გურ.), თევზის საჭერი გოდორი, გორიცა (გურ.), პატარა გოდორი, ზურგზე მოსაკიდი გოდრულა (კახ), და სხვ. თ.წ

გოდორი შელესილი - საქონლის პატივისა და ნაცრის ნაზავისაგან შიგნიდან შელესილი, რომელიც გამოიყენებოდა სულადის (ხორბლეულის-ქრთილეული-პური, ქერი) შესანახად.

გოდროხა/გოგროხა/საკრეფელი - წნელის პატარა მრგვალი გოდორი, პირდია, ყური გვერდზე აქვს. რთველში მონხმარენ დაკრეფილი ყურძნის მოსაკავებლად და მერე გადააქვთ დიდ გოდრებში.

ლიტ.: სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

გოზაური - დიდი ზომის საღვინე თიხის ჭურჭელი. ტერმინი გოზაური XVIII საუკუნეში გავრცელებული იყო მთელ საქართველოში. გოზაურის დამზადების კერად აღიარებულია კახეთი. დასაშვებია, ტერმინი „გოზაური“ უკავშირდებოდეს ჭურჭლის გოზვა-შელესვას საღებავით, ჭიქურით. გოზაური ძირითადად მრგვალპირიანია, გვხვდება ტუჩიან-პირიანიც. ხასიათდება მაღალი განიერი ყელით, ოვალური მუცლით; უმეტესად ძირსწორია, არის ქუსლიანიც, ბრტყელი, განიერი ყურით. გოზაური უმეტესად მოჭიქულია, ხატავენ მწვანე თოგალით და ავლებენ ფირუზისფერ და ნაცრისფერ ჭიქურში. გოზაურზე გამოსახავენ სხვადასხვა ფიგურებს, მცენარულ და გეომეტრიულ ორნამენტებს. გოზაურის სხვადასხვა ვარიანტი დაცულია არა მარტო საქართველოს მუზეუმებში, არამედ

ბაზელის, სანკტ-პეტერბურგის, ბაქოს, ერევნისა და დაღესტნის მუზეუმებში. გოზაურმა, როგორც ორიგინალურმა და საინტერესო ჟურნალმა, ჯერ კიდევ ადრეულ ხანაში მიიპყრო როგორც ქართველ, ასევე უცხო მეცნიერთა ყურადღება.

გოზინაყი (რაჭ.) - 1. ჩურჩხელა. კაკლის გოზინაყი, კვანავის გოზინაყი. ძან გემბრიელია ატმის გოზინაყი, ატამში რო კაკლის ლებნებია ჩადებული. 2. თაფლის გოზინაყი. (იხ. ძოწ., გაჩ., შღრ. ქეგლ).

გოთურმა - ხმლის, ხანჯლის, თოფისა და მისთანათა ჩამოსაკიდი.

გომბრო სხალი (რაჭ.) - საშემოდგომო მსხლის ჯიშია მწვანე ფერის მობრტყელო ნაყოფი აქვს (იხ. ბრეგ. 68).

გომიჯი (ლუჩხ., რაჭ., აჭარ.) - მოგრძო, თხელი პური, ერთ მხარეს სქელი, თხელი პირით, სამეგრელოში ფეტვის მჭადს უწოდებენ.

გომური - საქონლის საზამთრო სადგომი (იხ. ბოსელი).

გუნია - ჩვილ ბავშვთა მფარველი სული მეგრული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით. მეგრელთა რწმენით, მდებარობითი სქესის პატარა ტანის გუნია მუდამ ახალშობილის გვერდით იმყოფება და მის ზრდა-განვითარებაზე ზრუნავს; ღამით მის ძილს დარაჯობს და ავსულთაგან იცავს. საამისოდ, გუნია მსხვერპლასაც ითხოვს; მისი განაწყენება ყოვლად დაუმეგობელია, რადგან გუნიას მფარველობის გარეშე დარჩენილ ჩვილს დიდი დღე არ უწერია. ამიტომ მის სახელზე ჩვილის დაბადებისთანავე ლოცულობდნენ ღვინით, რძითა და კვერცხით; თუ ვაჟი დაიბადებოდა, შესაწირს დაემატებოდა ღვეზელი

და მამალი, თუ ქალი - კვერი და დედალი. საწესო ტაბლასთან მდგარი ოჯახის უფროსი დიასახლისი დაილოცებოდა: „დიდებულო გუნია, დაილოცოს შენი სახელი, ყოველი მოზარდის მფარველო, ეს ახალშობილი ყოველი ალიან-ჩალიანისაგან შენ დაიფარე, შენი სიტკბო არასოდეს მოაკლო და მისი კარგი, უნაკლო ზრდით მისი დედა და მამა შენ გაახარე. დაილოცოს შენი სახელი“. როგორც ჩანს, გუნია ამბივალენტური ბუნების არსებაა, რადგან მისით ბავშვებს აშინებდნენ კიდევ: როდესაც ახალშობილი ტიროდა და მშობლებს შეაწუხებდა, დედა იტყოდა: „რა გაკვილებს, გუნიას გაეხეთქოს შენი თავი“.

ლიტ.: ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 7, გვ. 3 (ინახება ავტორთან); ა. ჭანტურია. ეთნოგრაფიული ჩანაწერები. მეგრული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებანი // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, ტ. 227. თბ., 1982, გვ. 223.

გონიო - ქვითხურობაში ქვის კუთხეების სისწორეში გამომყვანი რკინის ან ხის იარაღი. გონიო სამგვარი მოყვანილობისაა, ბედგონიო - ბლაგვკუთხიანი, გონიო - მართკუთხიანი (სწორკუთხიანი) და გონიო - მახვილკუთხიანი.

გონჯა - ერთგვარი ტიპის თოჯინა, რომელიც ავდარის გამოწვევის სარიტუალო მსვლელობისას კარდაკარ დაჰქონდათ და ღმერთს სასურველ ამინდს შესთხოვდნენ. აქედანაა ტერმინი გონჯაობა.

გონჯა - ლაზარობის (გონჯა-გონჯაობის) მთავარი პერსონაჟი - ადამიანის გამოსახულების თოჯინა (ჯვრისებურად

მეკრულ ორ ჯოხზე შემოხვეული ჩვრები);
დააქვთ კარდაკარ.

ლიტ.: ს. მენტემაშვილი. ქიზი-
ყური ლექსიკონი. თბ., 1943.

გონჯა-გონჯაობა - წვიმის გამოწვევა-
სთან დაკავშირებული რიტუალი - ლაზა-
რობა; ასრულებენ ზაფხულში, გვალვე-
ბის დროს. ბავშვები გააკეთებენ გონჯას
(იხ.) და კარდაკარ სიარულით ღმერთს
წვიმის გამოგზავნას შეთხოვენ, თან ამ-
ბობენ: „გონჯა, გონჯა მოვიარე, გონჯა
მოდგა კარებსა, აბრიალებს თვალებსა;
ადარ გვინდა გორახი, ღმერთო, მოგვე ტა-
ლახი“. მეკომურები გამოუტანენ ფქვილს,
გონჯასა და ბავშვებს წყალს გადაასხამენ.
ბავშვები შეგროვილ ფქვილს გაყიდნიან
და, თუ აღებული ფული ცხვრის საყიდ-
ლად ეყოთ, საღვთოს ელიას შეწირავენ,
თუ არადა და შილაფლავს გააკეთებენ და
მეჭამენ (მღრ. „დიდება“).

ლიტ.: ს. მენტემაშვილი. ქიზი-
ყური ლექსიკონი. თბ., 1943.

გორა - ღვინის საწყაო ფეოდალურ სა-
ქართველოში. ჩვეულებრივ გორა აიწყვე-
ბოდა კოკით და ერთ კოკაში რამდენიმე
გორა თავსდებოდა.

გორგოლა (რაჭ.) - ხის მრგვალი ნა-
ჭერი, წელში ოდნავ გამოყვანილი. იყენე-
ბენ წისქვილის ქვის გადმოღებისას.

გორდა - ქართული ხმლის სახეობა,
რომელზედაც გორდას დამლად ცნობილი
ნიშანი იყო გამოსახული. დამლა წარმო-
ადგენს - ორ ნახევარმთვარისებურ, ერ-
თმანეთთან ზურგმეექვეულ, დაკბილულ
რკალს, შუაში ლათინური წარწერით:
„GENUA“. ეს დამლა როგორც სამეცნიერო
ლიტერატურაშია ცნობილი, თავდაპირ-
ველად ეკუთვნოდათ (XIII-XIV) გენიუს ქა-
ლაქ-სახელმწიფოს ხელოსნებს, ხოლო

მოგვიანებით (XV-XVII) მას ავსტრიელი
ოსტატებიც იყენებდნენ, ისინი მიზანმიმა-
რთულად აღმოსავლეთისათვის მუშაობ-
დნენ. საქართველოში გორდა ხმლები XIII-
XIV სს-შივე იყო ცნობილი, ამას ამტკიცებს
ის გარემოება, რომ გენუელ ვაჭრებს შუა
საუკუნეებში საქართველოს ტერიტორი-
აზე გახსნილი ჰქონდათ სავაჭრო ფაქტო-
რიები და სხვადასხვა ნედლეულთან
ერთად, ხმლის პირებითაც ვაჭრობდნენ.
არსებობს მოსაზრება, რომ გენულებმა
საქართველოდან წაიღეს მაღალი ღირსე-
ბის გორდა ხმალი და ამ დამლამ შემდგომ
საერთო ევროპული აღიარება მოიპოვა, ამ
მოსაზრებას ზურგს უმაგრებს ლეგენდა,
რომ საქართველოში სოფ. გორდაში ცხო-
ვრობდა ხელოსანი, რომელმაც გამოჭედა
საუკეთესო ხმალი, რომელიც შემდეგ
გორდა ხმლის სახელით ახდა ცნობილი
(ჩვენთან დღესაც არსებობს სოფ. გორდი,
სახელი გორდა და გვარი გორდაძე).
სხვა ლეგენდით ორი ხმლის ოსტატი წა-
კამათებულან ერთმანეთთან, თუ ვისი
ხმალი იყო საუკეთესო, პირველმა - ხმლის
მაღალი ღირსების დასამტკიცებლად
ცხვარი ერთი მოქნევით შუაზე გაკვეთა,
მაგრამ მეორემ არ აღიარა იგი. გაცეცხლე-
ბულმა პირველმა მჭედელმა დაიღრი-
ალა გურ-და (რაც ერთ-ერთ კავკასიურ
დიალექტზე ნიშნავს „შეხედე“) და შუაზე
გაკვეთა თავის ხმლიანად „ურწმუნო“
ოსტატი. ამ ფაქტის შემდეგ მოკლულის
ნათესავებმა ადათის მიხედვით სისხლის
აღება გადაწყვიტეს, მაგრამ უხუცესთა
კრებამ სხვა განაჩენი გამოიტანა, მათ
ვერ გაიმეტეს საუკეთესო ოსტატი სასიკ-
ვდილოდ და დაავალეს, რომ ყველა მო-
სისხლესათვის ასეთივე ხმალი დაეშა-
დებინა. მჭედელმა შეასრულა თავის და-
ვალება და თავის ადრინდელ დამლაზე,
რომელზედაც გამოსახული იყო ზედა და
ქვედა ყბა (სქემატურად ზურგმეექვეული
დაკბილული რკალები, ნიშნად იმისა
რომ ხმალი ისე კვეთდა რკინას, როგორც

კბილები ძვალს), გარშემო დაუმატა წერტილები, სიმბოლურად სისხლის წვეთები, იმის აღსანიშნავად, რომ ხმლები სისხლის საფასურს წარმოადგენდა. საქართველოში არ მოგვეპოვება შუა საუკუნეების გორდა ხმლის პირები. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში კი დღესაც მოიძებნება ქართული და ევროპული გორდა ხმლები. მათი გარჩევა ერთმანეთისაგან ფოლადის ხარისხითა და მორთულობის დეკორით შეიძლება. გორდა ხმლის პირებს საქართველოში ხშირად ვადაჯვრიან, ტარებს უგებდნენ, მაგრამ ვხვდებით შაშვა(იხ) ხმლის, ანუ „ჭოლაური“, „ლეკური“ ხმლის ტარზეც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გვიანფოდალურ საქართველოში ქართველი ოსტატები თავიანთ გამოჭედილ ფოლადის პირზე (რომლის რეცეპტიც საიდუმლოდ ინახებოდა და თაობიდან-თაობას გადაეცემოდა), ხშირად სვამდნენ იმ დროისთვის კავკასიაში პოპულარულ გორდას დამღებს. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთელ კავკასიაში ხმარობდნენ ამ დამღას, ქართული გორდა ხმლები მაინც გამორჩეული და თვითმყოფადია თავისი მორთულობითა და ფოლადის ხარისხით.

ლიტ.: Э. Аствацатурян, *ОРУЖИЕ НАРОДОВ КAVKAZA, москва-нальчик 1995.*

გორდი (ქართლ.) - ერთ ხეში ამოღებული ჭურჭელი ცომეულის საზელად. გამოიყენებოდა ქართლში.

გორსუმი (ლეჩხ.) - სოლისებური ლითონის იარაღი, რომლის ბოლო ოვალურადაა მოყვანილი, ამ იარაღს იყენებენ ვერცხლის ნაკეთობაზე „კაკლების“ (მრგვალი წრეების) ამოსაყვანად.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი.

გოსინა (ოკრიბ.) - თიხის ან ფაიფურის სასმისი.

ლიტ.: მიხ. ალავიძე. ოკრიბული ლექსიკონი // ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. X. თბ., 1950-1951, გვ. 75-101.

გორჯოლი ყველი -- მდარე ხარისხის ნაღებმონდილი რძიდან შემზადებული ყველი. ამოსაყვანად კვეთს არ იყენებდნენ. ჭურჭელში რძეს მის გარეშე ამჟავებდნენ, რაც დაახლოებით, 2-6 დრეს გრძელდებოდა. ყველი შედგებოდა და შედეღებულ რძეს ნელ ცეცხლე შედგამდნენ. ციცხვით შეურევდნენ, ერთ საათში ქვებს თავზე გორჯოლი ყველი მოადგებოდა. ყველს სპილენძის სუზგში - თუშ-ფალანგში გადაიტანდნენ და გაწურავდნენ, ბოლოს მასას ჩახვში - თოფრაში ჩაასხამდნენ, შრატისგან გაწურავდნენ და ყველიც მზად იყო.

ლიტ.: ვ. შამილაძე, მესაქონლეობასთან დაკავშირებული სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში, აჭარის სოფელი, 1969:138; შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971:148.

გოჭი ხუჩაფათი (რაჭ.) - ეთნ. დღესასწაული იყო ბოსლობის (იხ.) მომღვენო კვირაში. გოჭი ხუჩაფათის წინ სამი დღე მარხულობდნენ (იხ. did.; ქართ. დიალექტ., 683).

გოჯი - უძველესი ქართული სიგრძის საზომი. თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით ის წყრთის 1/16 ან ადლის 1/32 ნაწილია. მეტრულ სისტემაში შეადგენდა 3,165 სმ. შინაარსობრივად გოჯი წარმოადგენს მანძილს ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე. გოჯებით იზომებოდა სახვნელი იარაღების ნაწილები, მიწის

ხნულის სიღრმე, გოჯის შესატყვისად მოგვიანებით დასტურდება ვერშოკი. რაჭა-ლეჩხუმში გოჯი უდრიდა ორი თითის სიგანეს ან ცერის პირველ სახსრის სიგრძეს, 5,5 გოჯი შეადგენს ერთ მტკაველს.

ლიტ.: გ. ჯაფარიძე, ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან. 1973; ნ. ბრეგაძე. მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, 1969.

გოჯიალა (რაჭ.) - ბავშვების სათამაშო ხუხულა. აგებენ სიმინდის ნაქურჩალისაგან (იხ.) (იხ. ალავე, გაჩ: გოჯიალა).

გოხარჭალაფა (გახრჭიალება) - ავსულთა და მავნე არსებათა განდევნის მეგრული წეს-ჩვეულება; სრულდებოდა დიდ ხუთშაბათს. წინა საღამოს „მეშურბუმე“ (უბრად მყოფი) - რიტუალის მთავარ შემსრულებლად - არჩეული ქალი (უპირატესად ქალიშვილი), ვახშობის შემდეგ, თითისტარზე მატყლს დაართავდა (ამ დროიდან ლაპარაკის უფლება არ ქონდა), ღამე მალულად ადგებოდა და ოჯახის მძინარე წევრებს ნართს ფეხზე შეაბამდა. დილაადრიან, ყველაზე უწინარეს ამდგარი „მეშურბუმე“ სპილენძის ტამბზე ან ქვაბზე ჯოხს ურტყამდა და მთელ ოჯახს აღვიძებდა. ყველანი ადგებოდნენ (ცდილობდნენ, „მეშურბუმეს“ სიტყვა დასცდენოდა, მაგრამ ამაოდ) და ხმაურს ასტეხდნენ: ზოგი - აბრახუნებდა, ზოგი - უსტვენდა, ზოგიც - საღამურზე ან ფანდურზე უკრავდა და ა. შ. მთელი ეს პროცესია ეზოში ხმაურითა და ყიჟინით გამოეფინებოდა, გარშემოულიდა საცხოვრებელს, ბედელს, სასიმინდეს, ბოსელს, საქათმეს, მარანს და სხვა სამეურნეო ნაგებობას; შემდეგ მოხმაურე და მოყიჟინე მეზობელთანაც გადავიდოდნენ, სადაც მას დიდი სიხარულით ხვდებოდნენ.

შინმობრუნებული „მეშურბუმე“ ოჯახის რომელიმე წევრს ანიშნებდა, ფილ-

თაქვა აედო და კერასთან მოპასუხედ დამდგარიყო, თავად კი თოხით ხელში საცხოვრებლის სხვენში ავიდოდა და ჭერზე თოხის ცემასა და ხმამაღლა ლაპარაკს იწყებდა:

მი ყვანა დო მი ცხვინდია!

(სად ყანა და სად სხვენო!)

მოპასუხე ფილთაქვას მიწას ურტყამდა, თითქოს რწყილს კლავსო და პასუხობდა:

მი ყუდე დო მი წყირია!

(სად სახლი და სად რწყილი!)

„მეშურბუმე“ იმეორებდა:

მი ყვანა დო მი ცხვინდია!

(სად ყანა და სად სხვენო!)

მოპასუხე ფილთაქვის ცემით პასუხობდა:

წყირი დინა-სამარეს!

(რწყილი მიწა-სამარეში!).

ასე მეორდებოდა სამჯერ და მთავრდებოდა „რწყილის დაჭერის“ (წყირიში ჭოფუა) წესი (მეგრელის რწმენით, ოჯახი მთელი წლის განმავლობაში რწყლისგან დაზღვეული იქნებოდა). შემდეგ „მეშურბუმე“ მოპასუხის თანხლებით უნაყოფოდ წელგამვებულ ხილის ხეებს დაივლიდა, ყოველ მათგანს ცულს მოუღერებდა და იტყოდა: „უნდა მოვჭრა!; მოპასუხე ეტყოდა: „ოდონდ ახლა ნუ მოჭრი და მე ვარ თავმდები, რომ ნაყოფს მოისხამს“.

ლიტ.: И. Кобалия. Из мифической Колхиды // СМОМПК. № 32. Тф., 1903. გვ. 104-107.

ჟუჭ ტაბღლ (ჩოლ.) / **ნეზუ-ტახი ტაბღლ** (ლენტი.) – „გოჭის ტაბღლა/ნეზ-ტახის ტაბღლა“ - ღორის გამრავლებასთან

დაკავშირებული სვანური რიტუალის ატრიბუტი - ღორის კანჭით დაჩხვლეტილი კვერი. ჩოლურსა და ლენტეხში შუშხამის (იხ.) დღეობაზე, ვახშობის წინ, ოჯახის უფროსი მამაკაცი, რომელსაც ბავშვები თან ახლდა, ამ კვერს, სანთელს, ჭიქა ღვინოს, საახალწლო ღორის კუდს, ძუძუებსა და სასქესო ორგანოს საღორის კართან მიიტანდა და დაიძახებდა: „ნეზვი-ტახი, ნეზვი-ტახი, ბასილ ზღვა კალანდისავ, გაამრავლე ჩვენი ღორები“. ამ დროს ბავშვები ერთხმად გაიძახოდნენ: „ნეზჷ-ტახ, ნეზჷ-ტახ“. მამაკაცი ლოცვის დასრულებისთანავე ღორის ჩლიქებსა, ძუძუებსა და სასქესო ორგანოს საღორეში შეყრუდა და, ბავშვებთან ერთად, შეკყვირებდა: „ნეზჷ-ტახ, ნეზჷ-ტახ“; შემდეგ ნეზჷ-ტახი ტაბლასა და ღორის კუდს ჩამოურიგებდა ბავშვებს, რომლებიც მათ საღორესთან უნდა შეეჭამათ.

აღნიშნული რიტუალისა და ანალოგიური რაჭულ-ლეჩხუმური საკალანდო წეს-ჩვეულების (იხ. „ღორის სალოცვილი“) თაობაზე ვ. ბარდაველიძე წერს: „ღეობა კალანდისა და შუშხამის მთავარი რიტუალი ორგვარ მაგიურ და რელიგიურ მოქმედებებს მოიცავდა... ამ რელიგიურ წესში ნათლად ასახულია ბასილის სახელით სქესობრივი განაყოფიერებისა და გამრავლების მფარველი ძველი ქართული ღვთაება: ერთი მხრით, ლოცვების შინაარსი ცხადყოფს, რომ ბასილს ღორების გამრავლების ძალა მიეწერებოდა; ხოლო, მეორე მხრით, ბასილისათვის მაინცდამაინც ღორის კანჭით ან საფოთხით (რაჭულში) დაჩხვლეტილი კვერებისა, „უძვლო ხორცისა“ (რაჭულში), ღორის ძუძუებისა და სასქესო ორგანოს შეწირვა აშკარა მაჩვენებელია იმის, რომ ეს წმინდანი წარმოდგენილი იყო როგორც სქესობრივი განაყოფიერების მფარველი ღვთაება“.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 112-113, 116-117; ვ. ბარდაველიძე. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბ., 1953, გვ. 106-107.

გუიზ || **გუზუარ** || **გუზმაგუზ** || **გუიზმაგუზ** - სვანური საახალწლო შემოსალოცი - მრავალკვირტიანი თხილის (ზოგან თხილთან ერთად წიწვიანი ნაძვის) ტოტების კონა.

გუიზი (სვ.) - საკრალური ხორბლის ფქვილი. ლეწვის დროს გადაარჩევდნენ საუკეთესო პურის თავთავების კონას და აგრეთვე იმ მსხვილ თავთავებს, რომელიც ნაწვერალში ჩარჩებოდა ხოლმე. დაფქვავდნენ და ცალკე კიდობანში შეინახავდნენ სხვადასხვა დღეობებზე ლემზირების გამოსაცხობად. ამ ფქვილისა და მისგან გამომცხვარი ლემზირების ნახვა და, მით უფრო, მათი შეჭმა, არავის შეეძლო ოჯახის წევრების გარდა. ხოლო ოჯახის წევრებიდანაც არ აჩვენებდნენ იმ პირებს, რომლებიც ახალი წლის წინა დამეს ოჯახში არ ყოფილან და წეს-ჩვეულების შესრულებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამგვარად, გუიზ-ი ასეთი სარიტუალო პურის საერთო სახელწოდება იყო და მას ემატებოდა ხოლმე იმ დღეობის ან ღვთაების სახელი, რომლისადმიც იყო განუთვნილი. მაგ., ბარბლამი გუიზ-ი, ლამარია გუიზ-ი, ლამარია ტაბლამ და სხვა.

გუიზ (ბ.-ზ.) / **ტაბლამ** (ბ.-ქვ.) - დღეობისათვის წინასწარ მომარაგებული საუკეთესო ხორბალი, ფეტვი ან ფქვილი, რომელსაც სვანები „წმინდად“ თვლიდნენ და უწუნა (იხ.) იყო. გარკვეული დღეობისათვის მომარაგებულ გუიზს / ტაბლამს ამ დღეობის სახელით მოიხსენიებდნენ,

მაგალითად: ბარბლაში გუიზ, ლამარია (-შ) გუიზ, ლამარია ტაბლაშ. იყენებდნენ ლემზირების (იხ.) გამოსაცხობად. გუიზისა და მისგან გამომცხვარი ლემზირების ნახვა და ჭამა შეუძლოთ ოჯახის მხოლოდ იმ წევრებს, რომლებიც ახალწლის წინა ღამეს ოჯახში იმყოფებოდნენ და სათანადო რიტუალის შესრულებაში მონაწილეობდნენ.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 9, 15, 24, 25...

გრდემლი - რკინის საყრდენი ლითონის გამოსაჭედად. არსებობს ორი ტიპისა - „ურქო“ და „რქიანი“, რომლებიც მრავალი ქვესახით არის წარმოდგენილი პირველი ტიპი უფრო ადრინდელად ითვლება და უახლოვდება უმარტივეს გრდემლს, რომელსაც ჭედური რკინის დამუშავებაში მადნის დასაფშვნელად იყენებდნენ და უკანასკნელ დრომდე შემოინახა. ურქო გრდემლი წაკვეთილი პირამიდის ფორმისაა. ვიწრო თავით ჩამაგრებულია ხის კუნძში („ქალამანი“). მას „ქართული გრდემლიც“ ეწოდება. რქიანი გრდემლი რამდენიმე სახისაა („ორრქიანი. „ცალრქიანი“, „დუმინი“ და სხვ.). ე.წ. სამთავა გრდემლი თავმოხრილია, წინ ქიმიტ გამოიყენება წვეტიანი საგნების დამზადების დროს.

ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, 1953.

გრე - დერცვიკების (იხ.) საზომი ერთეული, უდრიდა ნახევარ ვერშოკს.

გრეხილი - ოქრომჭედლობისათვის დამახასიათებელი ხერხია. მსგავსად ფერადი თვლებით შემკობისა, ლითონის ლითონითვე შემკობაც, ინკრუსტაციის სახესხვაობას წარმოადგენს,

ამასთან, გარკვეული გემოვნების გამომხატველიცაა. ის ახასიათებს მაღალი ოქრომჭედლოური კულტურის ხალხებს. ლითონის ორნამენტის დამზადების ესწესი, როგორც არქეოლოგიური მასალა მოწმობს, წინათ უფრო მაღალ დონეზე მდგარა. ქართულმა ოქრომჭედლობამ დღევანდლამდე მოიტანა ნივთის შემკობის ეს ხერხი.

გრივი - მასის საზომი ერთეული ძველ საქართველოში, გავრცელებული იყო მახლობელი აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში, ძირითადად გამოიყენებოდა მარცვლეული კულტურების ასაწყველად. პირველად ეს ტერმინი გვხვდება გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში, შემდეგ ნიკორწმინდის სიგელში, „ვაჰანის ქვაბთა განგებაში“, ზოგადი მონაცემებით გრივი ფუნქციონირებდა V-XIV საუკუნეებში. გვიანი პერიოდის ეთნოგრაფიულ ყოფაში არაა დადასტურებული.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2002.

გრიტა (რაჭ.) - პატარა (ერთთვალა) წისქვილი, - ბუჭულა. დელის პირას სამი გრიტა იყო ჩაყოლებული (იხ. ბერ.).

გულა - ტყავის ჭურჭელი, ადრე მონადირეთა და მომთაბარე მესაქონლე ხალხების ერთ-ერთი ძირითადი ჭურჭელი იყო. ქართულ წყაროებში გულა-ვაშკარანი ერთი მნიშვნელობითაა ნახმარი, „გაუჭრელად გაძრობილი ტყავი ხვასტაგთა შთასადებლად რისამე“ (საბა). საქართველოში გამოყენებული ტყავის ძირითადი ჭურჭელი იყო გულა, რომელსაც ფუნქციის მიხედვით ჰქონდა სახელი შერქმეული. ბუნჯს შიგნით ან გარეთ უტოვებდნენ, იმის მიხედვით, მკვრივ თუ თხიერ პროდუქტს მოათავსებდნენ გულაში. პირველ შემთხვევაში ბუნჯი შიგნიდან ჰქონდა გულას, სითხის ჩასასხმელს ბუნჯს გარეთ

დაუნარჩუნებდნენ, საჭმელი პროდუქტებისათვის გამოყენებული იყო შემდეგი სახის გუდა: საჭამია გუდა, კალტის გუდა, ყველის გუდა, ერბოს გუდა. ყველის ხარისხის ჩამოყალიბებას დიდად უწყობდა ხელს ტყავ-გუდის ვარგისიანობა. გუდა კარგი გამოყვანილი უნდა იყოს, „ლემი“ არ უნდა შერჩეს, რომ ყველს სუნი არ დაუტოვოს, ან არ გაამწაროს. გუდა იხმარებოდა ყაურმის შესანახად. გუდის თავისებურ ნაირსახეობას წარმოადგენდა საქონლის სამარდე ბუმტი, რომელსაც დაამუშავებდნენ და იყენებდნენ არყისა და ერბოს შესანახად. გუდა საზომადაც იხმარებოდა: გუდა ყველი, გუდა ერბო და სხვ. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში სიპის ღუმელის მშენებლობისას გუდით მიაქვთ წებოვანი ლურჯი თიხა-მიწა. ფშაველი ქალი მაის-ივნისში ცხვარშიაც მიდიოდა, თუ პატარა ბავშვი ჰყავდა, გუდაში ჩასვამდა და თან გაიყოლებდა. ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973. ს. მაკალათია, თუშეთი, 1933.

გუდანური (ფშ., ხევს.) - ტყავის საბანი. ყოფაში გავრცელებული, ზოგჯერ ქსოვილგადაკრულიც. ძველად საბნის ნაცვლად ხმარობდნენ. ასეთი ტიპის ტყავის საბნები ქართველ მეცხვარეებს ახლო წარსულამდე შემორჩათ.

გუდასტვირი/შტვირი (რაჭ.), **თულუმი** (მესხ.), **ჭიბონი** (აჭარ.) - წარმოადგენს გუდისა და ქარახსით (რქით) დაბოლოებული ორი პარალელური ლერწმისაგან (ან დიდგულასაგან) შემდგარ საკრავს. რაჭული სტვირი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან - გუდისა და რქისაგან. გუდა ცხვრისაა, ერთგან ატანებული აქვს ხის პატარა მილი („ხრეკო“), რომლითაც ბერავს (ჰაერით ავსებს) ინსტრუმენტს და დაკვრის დაწყებამდე საცობით („პეპელა“) ფარავს. გუდაში ჩასმულია რქა

(სტვირის ბუდე), რომელშიც ჩამაგრებულია ე.წ. დედნები, ლერწმები - თანაბარი სიგრძისა და სისქის ორი ლერწმის ან ხის მილი (მთქმელი, დამწყები და მოძახილი, მებანე). მებანეს უკეთდება სამი თვალი, დამწყებს - ექვსი. რქა (ყანწი) შემკულია ძეწვებითა და ფერადი შუშის მძივით. გუდას ინახავენ შალითაში (ჩანთა, პერანგი). დაკვრის დროს შემსრულებელს საკრავი მარჯვენა იდლიის ქვეშ აქვს ამოღებული, ბგერას გამოსცემს გუდაზე მკლავის მოჭერით. საკრავი უჭირავს ორივე ხელით და თითების თვლებზე ცვლით გამოჰყავს მელოდია. გუდისათვის გამოყენებულია ცხვრის, თხის ან იშვიათად ხბოს ტყავი, რქად - ხარის ან ჯიხვის რქა. გუდასტვირის როგორც ჩასაბერი საკრავის პრინციპულ თავისებურებას წარმოადგენს, ერთი მხრივ, რეალური ორხმიანობის არსებობა, მეორე მხრივ, მექანიკური ჩამბერავის (გუდის) არსებობა. გუდასტვირი სათანხლებო საკრავია, გამოიყენება სოლოდაც. იგი მოხეტიანაღე მუსიკოსებთან იყო ასოცირებული, რომლებიც სტვირზე ამღერებდნენ ეპიკურ, ლირიკულ თუ სახუმარო ლექსებს. მესტვირეები მონაწილეობდნენ სახალხო სანახაობა „ბერიკაობაში“. საქართველოში ზოგან ორ ლულაზე გუდის გარეშეც უკრავდნენ. ორმაგი სალამური (ლერწმის ან ასკილის) ქართლში აქა-იქ დღესაც შეიძლება შევხვდეს. ამგვარი საკრავი გუდასტვირის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს. ლიტ.: ალ. მსხილაძე, ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკის ისტორიიდან, 1969.

გუგულა (რაჭ.) - წისქვილის ზემოთა ქვის შუაში ამოჭრილი ნახვრეტი, რამიც დასაფქვაკი მარცვალი ცვივა (იხ. ბერ., ჟღ., ქეგლ, ნიჟარ., ძოწ., გაჩ.).

გუგულის ქუდი (რაჭ.) - წითელი ფერის სოკოა, მოკლე ფეხი აქვს. არ იჭმება.

გუგუმი -- 1. სპილენძის წყლის ჭურჭელი, თუნგი, ზოგჯერ სურის მსგავსი ფართო ფსკერით, ხელიანი და ტუჩიანი; 2. ლითონის მსხვილი მძივი; 3. ქართული ნემსიწვერა; 4. ღუღუნა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში იგი ცნობილი იყო მოხვევება და თუშებში.

ლიტ.: ქართული ხალხის ეთნოლოგ. 2018:130.

გურდი - უძველესი ქართული საწყაო. პირველად მოიხსენიება დაბადების ქართულ თარგმანში, როგორც ღვინის საზომი („ღვინო შესაწირად მეოთხედი გურდისა“). XV ს-დან მოყოლებული, ისტორიული საბუთების მიხედვით, გურდი მოხსენიებულია როგორც ღვინის, ასევე მარცვლეულის საწყაოდ. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ძველ ქართულში ტერმინი გურდი ნახევარს ნიშნავდა. ამ საწყაოს სიდიდედ მან კაბიწის ნახევარი მიიჩნია, რაც დაახლოებით 9 კგ მარცვლისა და ამავე რაოდენობის ლიტრი ღვინის დამტევი უნდა ყოფილიყო. გურდმა ამგვარი სიდიდე მომდევნო საუკუნეებშიც შეინარჩუნა.

ლიტ.: გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973.

გუზლუგის ხორბალი - გაზაფხულის ხორბალი.

ლიტ.: თ. ლომთათიძე, სამიწათმოქმედო ციკლის ზოგიერთი წეს-ჩვეულება აჭარაში, კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფ. ძიებანი საქართველოში, ბათუმი, 1996:79.

გუიზი (სვ.) - საკრალური ხორბლის ფქვილი. ლეწვის დროს გადაარჩევდნენ

საუკეთესო პურის თავთავების კონას და აგრეთვე იმ მსხვილ თავთავებს, რომელიც ნაწვერალში ჩარჩებოდა ხოლმე. დაფქვავდნენ და ცალკე კიდობანში შეინახავდნენ სხვადასხვა დღეობებზე ლემზირების გამოსაცხობად. ამ ფქვილისა და მისგან გამომცხვარი ლემზირების ნახვა და, მით უფრო, მათი შეჭმა, არავის შეეძლო ოჯახის წევრების გარდა. ხოლო ოჯახის წევრებიდანაც არ აჩვენებდნენ იმ პირებს, რომლებიც ახალი წლის წინა დამეს ოჯახში არ ყოფილან და წეს-ჩვეულების შესრულებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამგვარად, გუიზ-ი ასეთი სარიტუალო პურის საერთო სახელწოდება იყო და მას ემატებოდა ხოლმე იმ დღეობის ან ღვთაების სახელი, რომლისადმიც იყო განკუთვნილი. მაგ., ბარბლაში გუიზ-ი, ლამარია გუიზ-ი, ლამარია ტაბლამ და სხვა.

გულავშარა - ცხენის აჯაზმულობის ნაწილი, აღვირის მეორე წყვილის ტოტებით მიამაგრებდნენ სამკერდულზე, იმ მიზნით, რომ ცხენს თავის მაღლა აგდება არ დაეწყო.

გულისპირი - ქალის ქართული კაბის ჩახსნილ ნაწილში ჩასაფენი. დასამზადებლად იყენებდნენ კაბისაგან განსხვავებულ, მაგრამ ფერთა და ხარისხით შეთანხმებულ მასალას. ხშირად იყო მოხმარებული ხავერდისა და აბრეშუმის ქსოვილები. ფერებიდან არჩევდნენ თეთრს, შვინდისფერს, ლურჯს და შავს. XIX საუკუნის ბოლოსათვის გამოყენებული ჩანს აგრეთვე ფაბრიკული, ყვავილებით მოჩითული ქსოვილებიც. კისერთან ზონრით დაკავშირებული, ყელთან მომდგარი და წელს მიტანებული გულისპირი გაფორმებული იყო ოქრომკედის ძაფით შესრულებული მცენარეული და სახეებიანი ნაქარგით. ზოგჯერ ნაქარგს მარტო ფერადი ძაფებითა და მძივებით ასრულებდნენ.

მოქარგულ სარტყელსა და სახელოებთან ერთად, გულისპირი, საქართველოში ფართოდ ცნობილი ქალის ჩასაცემელი კომპლექტის „ქართული კაბის“ აუცილებელ ელემენტად ითვლებოდა.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, კახური ჩაცმა-დახურვა (ქალის ჩაცმულობა), ანალები, ტ.ი. 1974.

გულსაფარა - თუში ქალის უბეზე ასაფარებელი გულისპირი. მასალად გამოიყენებოდა სხვადასხვა ფერის ქსოვილი - ქიშმირი, სატინა, რომელსაც წელსა და ყელზე სამაგრად ზორტები ეკერა. ბავშვის ასაფარებელ ამგვარი ტიპის საგულეს „გულამბარი“ ერქვა, ყელთან მინაოჭებული გულსაფარას ნაწილი უბის შიგნით იყო ჩაფენილი, ბოლო კი ზემოდან გადმოიფინებოდა. გულსაფარას დანიშნულება იყო ფარაგას მონაცვლეობა, ზოგჯერ კი მის დამცავ საშუალებას წარმოადგენდა სამუშაოთა შესრულებისას. იგი რამდენადმე ფარავდა ფეხმძიმე ქალის ორსულობას. ლიტ-რა: გ. ბოჭორიძე, თუშეთი, 1993. ც. ბუზარაშვილი, თუში ქალის ტალავარი, კრ. თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1967.

გულსაფარი (რაჭ.) - ქალის უსახელოებო მოკლე ტანსაცემელი იყო, კაფთარის (იხ.) შიგნით იცვამდნენ.

გულდია ხაჭაპური (რაჭ.) - აცხობენ, როგორც ჩვეულებრივ ხაჭაპურს, ოღონდ ზემოდან ცომს თავს არ შეუკრავენ და ჩართულ ყველს სანახევროდ ღიად ტოვებენ.

გუმბათის ხატი - ხევსურული ფარის დეტალი, ოთხკუთხი ფორმის რკინის ფირფიტა, რომელიც დაკრულია ფარის ზედაპირზე (იხ.ფარი).

გუმური (მეგრ) - თიხის საცობი (ერთი მუჭის ზომის), რომელიც სათვალთვალოს, ანუ ღუთქაშს (გამოსაწვავ ქურას მენების დროს კედელში დაატანდნენ რამდენიმე სათვალთვალოს), უკეთდებოდა ჭურჭლის გამოწვის პროცესში. გუმური ისე უნდა მორგებოდა სათვალთვალოს, რომ ქურას „სასუნთქი დარჩენოდა“. გუმური ეწოდებოდა აგრეთვე, მომრგვალებულ თიხის ნაჭერს, რომელიც იდება ქურაში ჩადგმულ ქვევრსა და ქურის კედელს შორის, რათა კედელმა ქვევრი არ დააზიანოს. გუმური მხოლოდ ერთჯერად გამოიყენებოდა, რადგან ჭურჭელთან ერთად გამომწვარი გუმური იმდენათ ვიწროვდებოდა, რომ მეორედ გამოყენებისათვის უვარგისი ხდებოდა. ლიტ.: რ. თოდუა, სამეთუნეო ნაგებობანი სამეგრელოში. მსე, ტXX. 1979.

გუნია - ჩვილ ბავშვთა მფარველი სული მეგრული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით. მეგრელთა რწმენით, მღვდრობითი სქესის პატარა ტანის გუნია მუდამ ახალშობილის გვერდით იმყოფება და მის ზრდა-განვითარებაზე ზრუნავს; ღამით მის ძილს დარაჯობს და ავსულთაგან იცავს. საამისოდ, გუნია მსხვერპლასაც ითხოვს; მისი განაწყენება ყოვლად დაუშვებელია, რადგან გუნიას მფარველობის გარეშე დარჩენილ ჩვილს დიდი დღე არ უწერია. ამიტომ მის სახელზე ჩვილის დაბადებისთანავე ლოცულობდნენ ღვინით, რძითა და კვერცხით; თუ ვაჟი დაიბადებოდა, შესაწირს დაემატებოდა ღვინული და მამალი, თუ ქალი - კვერი და დედალი. საწესო ტაბლასთან მდგარი ოჯახის უფროსი დიასახლისი დაილოცებოდა: „დიდებულო გუნია, დაილოცოს შენი სახელი, ყოველი მოზარდის მფარველო, ეს ახალშობილი ყოველი ალიან-ჩალიანისაგან შენ დაიფარე, შენი სიტკბო არასოდეს მოაკლო და მისი კარგი, უნაკლო ზრდით

მისი დედა და მამა შენ გაახარე. დაილოცოს შენი სახელი“. როგორც ჩანს, გუნია ამბივალენტური ბუნების არსებობაა, რადგან მისით ბავშვებს ამინებდნენ კიდევ: როდესაც ახალშობილი ტიროდა და მშობლებს შეაწუხებდა, დედა იტყოდა: „რა გაკვივლებს, გუნიას გაეხეთქოს შენი თავი“.

ლიტ.: ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 7, გვ. 3 (ინახება ავტორთან); ა. ჭანტურია. ეთნოგრაფიული ჩანაწერები. მეგრული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებანი // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, ტ. 227. თბ., 1982, გვ. 223.

გწრდი (ბ. ქვ.) - სამფეხა „მაგიდა“, სპეციალური მოწყობილობა, რომელზედაც „სატირალის პურს“ (ლაგვანა დიარ) აჭრელებდნენ.

ლიტ.: მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1961, გვ. 224.

გურზი - დასარტყმელი იარაღი. ხის ან ლითონის ტარზე დამაგრებული ლითონისავე თავით, გურზის თავი შესაძლოა იყოს მრგვალი, ეკლებრივი ან ფრთიანი, არსებობს აგრეთვე ძროხისთავიანი გურზებიც, რომელსაც სულხან-საბა უბრალოდ „ძროხისთავიანს“ უწოდებს.

გურზი ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენამდე მეომრის შეიარაღების ერთ-ერთ მთავარ ატრიბუტს წარმოადგენდა. საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ფრთიანი გურზები, რომელნიც უკანასკნელ დრომდე შემორჩა ეთნოგრაფიულ ყოფაში.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011

გურჩი (თუშ. ფშ. ხევს.) - ქვასანაყი.

გურჯინაი (ხევს.) - წნელისგან მრგვალად მოწნული, უპირო გოდორი, რომელიც გამოტენილია თივა-ჩალაბულათი. დღესასწაულის დროს გურჯინაის აიტანენ მათალ ადგილას, წაუკიდებენ ცეცხლს და დააგორებენ დაბლა. ეს თამაშობა იმართება ბავშვების პატივსაცემად და გასართობად.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

გუხუ - (მგრ.) - ჭურზე აყალო მიწის დასაგოზი, ერთ ხეში გამოთლილი თავიანი კეტი, ფორმით განსხვავებულია იმერული კვეჟოსაგან, ფუნქციით კი ერთნაირი დანიშნულებისაა.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.



დაბაგებს / დამუხლავს / დაბაგავს / დაწიღნის / დაწიგნავს -- ვენახის დარგვის, გაშენების სამუშაოებთან დაკავშირებული ისეთი საქმიანობის სინონიმებია, როგორცაა ფართოდ გავრცელებული დარგავს//ჩარგავს//ჩანერგავს, გააშენებს, დაასხამს და ა. შ. ვაზი შეიძლება თესლით გაეხარებინათ, მოჭრილი ლერწით, ნამყენით და აგრეთვე, მოუჭრელი ლერწით (ლერწის გადაწვენით). ვენახის გასაშენებლად რქის (ნერგის ნამყენის) დარგვა არის საჭირო. მას ქართლში დაბაგებას//ჩაბაგებას ეძახიან. წიღვნა//წიღვნა//დაწიღვნა//გადაწიგვნა - ვაზის გადაწვენით გამრავლების აღმნიშვნელი სიტყვებია ქართლსა და იმერეთში. გური-აჭარაში ვაზის გადაწვენას დამაგინება, გადამაგინება ეწოდება. დასავლეთ საქართველოში გადაწვენის მნიშვნელობით გადაბარვაც გვხვდება.. ვაზის გასამრავლებლად სხვა საშუალებაც იყო, მაგალითად, დამუხლვა//გადამუხლვა (კახეთი) და სხვა ამისთანა.

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებული 1978:100-109.

დაბადი (მეგრ.) - ახალშობილი მსხვილფეხა საქონლის მფარველი სული მეგრული (სამურზაყანოული) რწმენა-წარმოდგენების მიხედვით. ხალხური

რწმენით, მასზე იყო დამოკიდებული საქონლის შობადობა და ხბოების ჯანმრთელობა. დაბადის სახელზე ლოცულობდნენ ყოველ ნამატზე; სწირავდნენ დეკეულს ან მოზვერს ახალშობილის სქესის გათვალისწინებით. ოჯახის წევრების გარდა, სამსხვერპლო ცხოველის ხორცის ჭამა მხოლოდ იმ პირებს შეეძლოთ, რომლებიც მსხვერპლმეწირვას შემთხვევით ესწრებოდნენ (საამდღისოდ სტუმართა სპეციალური მოწვევა იკრძალებოდა).

ლიტ.: ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 27, გვ. 14 (ინახება ავტორთან).

დაბაქნილი (გლ.) - უსაროდ ერთმანეთზე დაწყობილი პურის კონები.

დაბასტაგი - ლეიბისა და ქვეშაგების ზოგადი სახელი ძველ საქართველოში. აკეთებდნენ ტყავისა და ნაჭრისაგან. უმთავრესად გატენილი იყო წმინდა თივით.

დაბადი, მეპატრაკე - მეტყავე, ტყავის დამამუშავებელი ხელოსანი. საქართველოს ეკონომიკურმა მდგომარეობამ და გეოგრაფიულმა გარემომ შექმნა მესაქონლეობის განვითარებისთვის საუკეთესო პირობები, რამაც ხელი შეუწყო დიდი რაოდენობით ტყავის დაგროვებას, აქედან გამომდინარე, მედაბლეობის მდიდარი

ტრადიციის შექმნასა და წარმოჩინებას. მედაბლეობა გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში. თბილისი კი ამიერკავკასიის ქალაქებს შორის ძველთაგანვე გახდა მედაბლეობის წამყვანი ცენტრი. მედაბლეების ამქარი სხვა ამქართა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო. თბილისელი დაბლების მიერ დამზადებული ტყავი სრულიად აკმაყოფილებდა მეწაღეების, მეჩექმეების ქართული, აზიური, ევროპული ფეხსაცმლის მკერავთა, მეუნაგირეთა და სირაჯების მოთხოვნილებას. ლიტ.: ნ. აბესაძე, ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, 1986. ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები, 1973.

დაბახანა - ადგილი, სადაც წარმოებდა ტყავის დამუშავება. საქართველოს დაბა-ქალაქებში თითქმის ყველგან იყო გამართული ტყავის დამუშავების ასეთი ცენტრები, მაგრამ საყოველთაო სახელი ჰქონდა მოხვეჭილი თბილისურ დაბახანებს, რომლებიც განლაგებული იყო გოგირდის ბუნებრივი თბილი წყლების სიახლოვეს, დღევანდელი აბანოების უბანში მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. დაბახანა წარმოადგენდა ნახევრადღია ფარდულის ტიპის ხის შენობას, რომელშიც დადგმული იყო ხის ან ქვის დიდი აუზები, სადაც ხდებოდა ტყავის დაღობა, დამუშავება და გამოყვანა.

დაბელჯვა (რაჭ.) - გახდილი ყავრის, ახალ დახერხილ ლამფის ან ფიცრის ფენა-ფენა დაწყობა ოთხკუთხედად, კარგად რომ გახმეს და არ დაიბრიცოს.

დაბძნა (რაჭ.) - იხ. ფეხის დაბძნა.

დაგები - სახელდახელო ნაგებობა, რომელსაც რძის ნაწარმის შესანახად რამდენიმე ოჯახი ერთად აგებდა მთაში.

დაღუარე ცამი („დედლების ხუთმაბათი) / **იარუნესგა ცამი** - სვანი ქალეობის სალოცავი, რომელიც ოარუნესგაჲს (იხ.) ხუთმაბათს იმართებოდა. მასზე დასწრება მამაკაცებს ეკრძალებოდათ. მართო დარჩეილი ქალები ლიმზურისთვის (ლოცვისთვის) ემზადებოდნენ. ლოცვის ცხუმარული ვარიანტი შემდეგია: გამოაცხობდნენ ყველიან და ნიგვზიან კვერებს (ლემზირებს), შემდეგ სგირი (ქვედა სართულის) აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან მივიდოდნენ და იქ უფროსი დიასახლისი ილოცებდა: „დიდება მოგვლოდეს ლამარია დედლებისას, გენუკვით ადამიანის მშვიდობას, წლის სიკეთეს, რაც ადამიანისთვის კარგი იყოს, იმას ნურაფერს დაგვაკლებ, მადლი გექნება“ (დიდჲ ჴჴჴდ ლამჴრია დადჴრემს, ჯაბცდ მარემი ნჴშჴლების, ზჴრ ნაჴერის, მჴრ ამ-აღდამდ ხოჩა ლესჴ, ეჴი ნომა გემ ანტიხჴნა, მადილ ჴარი). შემდეგ ახსენებდა ლამჴრია ჴარდმიმ-ს, რომლის სალოცავი ცხუმარის მთაზე მდებარეობს, და იტყოდა: „ლამარია უმხვანარისაო, შენ გვიშველე, შორიდან გენუკვით, ახლოს შენ გვიშველე, შენ მიდამოში რაც ხატი ბრძანდებოდეს, იმასაც წყალობა მოაცემინე, შენც შეგვიწყალე, გვედრებით, შეგვივედრე“ (ლამჴრიჴ უმხჴჴრნიმ, სი ლჴნემდ, ჴოდიად ჴაბიცდ ფედიად სი ლჴნემდ, ისგუ გჴიდამისგა მჴრ ხატი სგჴ ეჴი ანჴირინ, სიერ ანჴინდ, ჴამზერიდ, ანმეზირ). ლოცვის დასრულების შემდეგ, შეწირულ ლემზირებს შეექცეოდნენ. (მღრ. “დუღუაჲ”).

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 62-63; მისივე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ). თბ., 1941, გვ.13, 18-19.

დავითფერული - ქართული ვადაჯვრიანი ხმალი. არსებობს ამ ტერმინის წარმომავლობის სხვადასხვა ვარიანტები. ერთ-ერთი ვერსიით „დავითფერულის“ ხმალს, დიდ ქართველ მეფეს დავით აღმაშენებელს უკავშირებენ. მ მეორე ვერსიით კი XVI საუკუნის იტალიელ მეიარაღე ოსტატებს, ძმებს ანდრეა (1530-1583) და ჯანდონატო (1560-იანი წლები) ფერარებს. ცნობილია, რომ ევროპული ხმლის პირები ძალზედ აქტიურად შემოდიოდა ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია ანდრეა ფერარას დამდიანი (როგორც ორიგინალი, ასევე მინაბაძი) ქართული ხმლები, რომელიც ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ქართულ ეთნორეალობაში ცნობილი იყო „დავითფერული“ სახელწოდებით. ქართული „დავითფერული“ ხმალი შედგება - ტარის, პირისა და ქარქაშისაგან. ოდნავ მოხრილი პირი დამზადებულია ფოლადისაგან, ერთღარიანია, ღარი მიუყვება ვადადან 15-20 სმ დაშორებით. პირის ერთ მხარეს გამოსახულია ლათინური ასოებით წარწერა „ფერარა“ და მორბენალი მგელი, ხოლო მეორე მხარეს ასევე ლათინურად „ანდრეა“ და ასევე მგელი. ტარი დამზადებულია ხისაგან და მასზე გადაკრულია ყვითელი ხავერდი, რომლის ზემოდანაც გადაჭიმულია სამი ვერცხლის სალტე და ვერცხლისავე „ვამლი“. ტარზე დაგებულია ოქროზარნიშით მორთული ლითონის ვადაჯვარი. ქარქაში დამზადებულია ხისაგან და ტარის შესაბამისად მასზეც გადაკრულია ყვითელი ხავერდი. ქარქაშზე მოცემულია ოქროზარნიშით მორთული ლითონის ორი სალტე და ბუნიკი. გარდა აღწერილი იარაღისა არსებობს აგრეთვე, ორ და სამღარიანი დავითფერულები, წვერისკენ შედარებით გახრილები, ასევე მორთულობის სხვანაირი დეკორით და ა.შ.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011; კ. ჩოლოყაშვილი, „დავით აღმაშენებლისდროინდელი საქურვლისათვის“, ჟურ. ჯვარი ვაზისა '2, 1989.

დაზგა - ზოგადი სახელია სანახელაო და საოსტატო ხელობისათვის მისადაგებული სამუშაო მაგიდისა, რომელსაც აქვს უჯრები მასალისა და სახელოსნო იარაღის შესანახად. დაზგის განვითარებულ სახეობას წარმოადგენს მექანიკური დაზგები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი სპეციფიკურობით და წარმოადგენენ ერთგვარი ტიპის პრიმიტიულ მანქანას, რომლის მეშვეობითაც ხდება ნივთის დამზადება (მაგ., სახარატო, საქსოვი, საოქრომჭედლო და სხვ.).

დათავულება / დამთავულება (რაჭ.) - თავულის / მთავულის დასხმა, დათავთავება.

დათვა (რაჭ.) - 1. ურმის ნაწილია, რაც ღერძზეა დაყრდნობილი. ურემს ორი დათვა აქ (იხ. მენთ.). 2. წბერის (იხ.) ნაწილია. დამაგრებულია დირის ბოძებზე. მას უკავშირდება ისარი. დათვას სხლის ხისგან ვაკეთებთ (იხ. ფრ., 160).

დათვა-ბოყვა (აჭარ. გურ.) - ხალხური საკეტის ტიპი. იხმარება კარების, ნალიის, ბეღლისა და სხვათა დასაკეტად. აკეთებდნენ ხისგან, შედგება ოთხი ნაწილისგან: კბილები, გასაღები, ურდული და ფიცარი, რომელზედაც დამაგრებულია მთელი ეს მოწყობილობა. დათვა-ბოყვა კარების ამყოლზეა მიჭდილი. გასაღების ამოდებით, რომელიც გაყრილია კბილების ზევითა ნაწილისა და ურდულის შუა, ბოქლომი იკეტება, რადგან კბილები დაბლა ეშვება და თავის ბუდეებში ჩადის. გაღებისას კი ისევ გასაღების საშუალებით კბი-

ლები მაღლა აიწევა. საკეტის ასეთ ტიპს ანალოგები ეძებნება მახლობელი აღმოსავლეთის უძველეს კულტურაში.

ლიტ.: გ. ჩიტაია, აჭარული დათვა-ბოყვა, შრომები, ტ II, 2000.

დათვიმოცხარი (რაჭ.) - მოცხარის ერთ-ერთი სახეა; იზრდება მაღალმთიან ადგილებში, - მთის მოცხარი (იხ. მაყ.).

დათვისაფთხობელა (რაჭ.) - სპეციალურად აგებული მოწყობილობაა, რომელსაც დგამენ შორეულ (ტყისპირა) ყანებში დათვისაგან დასაცავად. მოქმედებს წყლის მეშვეობით და პერიოდულად გამოსცემს ისეთ ხმას, თითქოს ვინმე ცულობით ხეს ჭრიდეს (სინონ.: ხეკაკუნა).

დათვიფთხილა (რაჭ.) - თხილის ერთ-ერთი სახეობა, მაღალზე იზრდება. მრავალტყუპა და სქელნაჭუჭიანი ნაყოფი აქვს, - დათვისთხილა (შდრ. მაყ.).

დათხური (თუშ.) - ერთგვარი საჭმელია. თუშები უმარილო ხაჭოს ორიოდ დღე თბილ ადგილას შეინახავენ, რათა ჩახურდეს. შემდეგ ჩახურებულ ხაჭოს მარილს მოაყრიან, ტაფაზე ერბოს დაადნობენ, შიგ ჩაყრიან და მოაღულებენ. ერბო და ხაჭო კარგად რომ გაუჯდება ერთმანეთს, მარილს მოაყრიან, გადმოიღებენ და პურთან ერთად მიირთმევენ.

დაირა - დასარტყამი მუსიკალური ინსტრუმენტი. გავრცელებული იყო საქართველოს ბარში, თუშეთში, სამეგრელოსა და რაჭაში. სხვადასხვა რეგიონში საკრავებს შორის განსხვავება არ არის. საკრავი წარმოადგენს რკალს, რომელსაც ცალ მხარეს გადაკრული აქვს თხელი მემბრანა (ცხვრის ტყავი). რკალზე შიგნიდან დამაგრებულია საჩხარუნებლები - ეჭვნები, ლითონის რგოლები, პატარა ფირფიტები. რკალი ინკუსტრირებულია სადაფით, თე-

თრი ან შავი ძვლით. დაკვრის დროს საკრავი შემსრულებელს უჭირავს ორივე ხელით. მემბრანას ეხებიან ცერების გარდა ყველა თითით მემბრანის ცენტრსა და ნაპირებში. ზოგჯერ მაჯასაც იშველიებენ, საკრავს დააქნევენ და აჟღარუნებენ. დაირა ქალების საკრავად ითვლება, რადგან მასზე შემსრულებლები ქალები იყვნენ. ზოგჯერ მოდაირე ერთდროულად უკრავს და ცეკვავს. შემსრულებლებს დაირა უჭირავს ორივე ხელით. დახელოვნებული შემსრულებელი ახერხებს ხელის დარტყმას, აჟღარუნებას, მაჯის რკალზე მირტყმასა და ჰაერში შეთამაშებასაც. დაირა არის როგორც სოლო საკრავი, ასევე გამოიყენებენ ანსამბლში ლარჭემთან (სამეგრ.) და ფანდურთან (კახ.) ერთად. მაგრამ აღმოსავლური ანსამბლისათვის კი (დასტა) აუცილებელი თანმხლებია. ქართულ წერილობით წყაროებში ამ საკრავს დაფი ეწოდება. დაირის ფუნქცია არის ცეკვის თანხლება, მისი რიტმის ხაზგასმა.

დაკოჭვა || დაკოჭვიება - ფსიქიურად დაავადებული, ბნელიანი ან შეშინებული ქალისთვის სათანადო საღვთისმსახურო რიტუალის - ავადმყოფისაგან ავსულის განდევნის წესის - ჩატარება ხევსურეთში. მაცილ-ეშმაკთაგან „დაჯელთულ“ ქალს ახალ სამოსში გამოაწყობდნენ, შეიძენდნენ ხელსახოცს, საკლავს და „დასაკოჭად“ ჯვარში წაიყვანდნენ. „დასაკოჭ“ ადგილზე დაჩოქილ ავადმყოფს მკადრე ხელსახოცს - სამკადრეოს - გადააფარებდა თავზე, ზედ ჯვარის დროშას და აღირებდა და დროშაზე შებმულ ზარს აწვარუნებდა; ხუცესი კი იხუცებდა: „ღმერთმა აღიდას შენი ძალი, შენი სახელ-სამართალი ჯაჭველო ჳმელის გორისაო, შენა სამთავროდ, შენა გასამრჯოდ მაიჭმარი ეს სამსახური პირის საბანი შენის მუხვეწურისად (იტყოდა სახელს - ნ. ა.) საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობოდ მაიჭმარი, უშველ, დალოცვილო, მაგიძ-

ლავ დევ-კერპებთან ბრძოლაი, მიწრიელ-ქვეცრიელ დაულაგმი, მავნე მათორი შენის ძალითა დიდებით,, ლახტითა მათრავით, გეძახს (იტყოდა სახელს - ნ. ა.), გეხვეწების, შაიხვეწი, ნაძახნები გაუგონი, ღმერთი შენს ძალსა დიდებას მაუმატებს. ამინ, დიდება ღმერთსა“. კოპალას შემდეგნაირად მიმართავდნენ: „გმირო კოპალავ, ლაღო ლახტიანო, დახვარ ლახტი, ივმარე შენი ძალი, უშველე ამ ქალს შემოხვეწილსა, მოაშორე მაცილი და ეშმაკი“. მედროშე ქალის თავზე დროშას სამჯერ შემოატარებდა და დროშის ბოლოს - კოჭს - თავზე დაადებდა (“დახვრავდა“). ამის შემდეგ „დაკოჭვიებული“ ავადმყოფი უკან მუხლით წამოვიდოდა იმ ადგილამდე, სადაც დედაკაცები ჯვარის კართან მიდიან. ამ რიტუალის შესრულებიდან ერთი წლის განმავლობაში „დაკოჭვიებულს“ სიწმინდის დაცვა მართებდა. ხევსურთა რწმენით, თუ მოხიბლული ქალი დროზე არ დააკოჭვინეს, მაცილები მას აუცილებლად შეაცდნენ, თავს მოაკვლევინებენ და მის სულსაც დაეპატრონებიან. ათენგენობის (იხ.) დროს ფშავსა და თუშეთში გადასული კარატის ჯვარიონი იქაურ ავადმყოფ ქალებსაც კოჭავდა.

ლიტ.: ბ. გაბუური. ჰევსურული მასალები // ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული. I-II. თბ., 1923-1924, გვ. 152-153; ს. მაკალათია. ხევსურეთი. თბ., 1984, გვ. 233; ს. მაკალათია. თუშეთი. თბ., 1933, გვ. 209; ნ. მინდაძე. ქართული ხალხური მედიცინა. თბ., 1981, გვ.104-110.

დაკიცვა (რაჭ., გლ.) - თივის ზვინზე მეორე ზვინის გამობმა (თოვლიან გზაზე ერთად 2-3 ზვინის მოტანა ხერხდება).

დალაფ - მიცვალებულის გუნდური მოთქმით დატირების წესი, სამგლოვი-

არო ზარი თუშეთში; მიცვალებული მამაკაცის (იშვიათად, ძალზე პატივსაცემი ქალის) წლისთავზე გამართული ხარჯის დროს (დოღის შემთხვევაში) ეზოში გაშლილ მკვდრის „ლიმანთან“ (ტანსაცმელთან) დალაფს ხუთი მხედარი ასრულებდა, აქედან ერთი „მოდალავე“, ე. ი. ტექსტის მთქმელი იყო, დანარჩენებს „ამყოლებს“ უწოდებდნენ. იმ სოფლიდან, სადაც დალაობა იმართებოდა, მოდალავე ისეთ ხალხს შეარჩევდა, რომლებსაც „აყოლა“, ე. ი. ბანის თქმა, შეეძლოთ. დალაობა ხელობა იყო, რომელიც საგანგებო შესწავლას მოითხოვდა. მოდალავეს გარკვეულ გასამრჯელოს (თოხლს ან ჭედისას, მოგვიანებით 20-30 მანეთს) უხდიდნენ.

დალაობას წლისთავზე მაშინ ასრულებდნენ, როცა ეზოში მიცვალებულის „ლიმანს“ (ტანსაცმელს) გაშლიდნენ. აქვე ეწყო რამდენიმე წყვილი წინდა და ჩითის „სათამაქოე“ ქისა, გაპენტილი მატყლი, ქვამარილი, ბიჭონი (მოხალული ქერი); დაგებულ ფლასზე დაყრიდნენ ქერს, დადგამდნენ ჯამით რძეს, რომელშიც ქოჯო (შეკონილი ბალახი) იყო ჩადებული. დალაფს შემსრულებელი მხედრები მიცვალებულის ნიშანთან გამწვრივდებოდნენ; შუაში, ორ-ორ ამყოლს შორის მოდალავე იჯდა ლამაზი უნაგირით შვამულ „სულის ცხენზე“, რომელიც შავი საფენით იყო დათალხული და ზედ ხურჯინი ეკიდა; სხვა ცხენები (ერთი დედისძმისა) უბელოები იყო. მოდალავე დაიწყებდა დალაობას - სევდიანი, მინორული კილოთი მიცვალებულის ქებას. მის მიერ ნათქვამ ყოველ ფრაზას ამყოლების რეფრენი „დაალა, დაალა“ მოსდევდა. დალაობის დროს სამჯერ „მუხლი უნდა მოექციათ, ე. ი. შეესვენათ. მოქცევებს შორის მწდეები ლუდს მიაწვდიდნენ მხედრებს, რომლებიც მიცვალებულის შესანდობარს იტყოდნენ, ცოტა ლუდს „სულის ცხენს“ ფაფარზე

დაასხამდნენ და დანარჩენს დალევდნენ. შესვენებისას გარდაცვლილის და-ძმა, რძალი ან მოგვარე ცხენ-მხედარს რძეს აპკურებდა და ქერს უყრიდა. დალამს დასრულების შემდეგ მხედრები სამჯერ შემოუვლიდნენ მიცვალებულის ტანსაცმელს და, დედისძმებთან მისულები, კვლავ დალამს იტყოდნენ, რის შემდეგაც მათ გაუმასპინძლებოდნენ; უკანმოზრუნებულები ჭირისპატრონის სახლში კიდევ ერთხელ იდალავებდნენ. გ. ცოცანიძის მიერ ჩაწერილი დალაობის ერთი ვარიანტი ასეთია:

დალა თქვით, დალა-დ მხედრებო,
ძნელი-დ არს დალაობაი.
ბრალი ხარ, აფთარაულო, შენი-დ
ულაშქროდ სიკვდილი.
ლაშქარს გიკითხვენ სწორები, წანამ არ
გაუძღვებია?
მაგ შენის თეთრის ცხენითა ლაშქართ არ
აერეოდე.
შენის სიათის თოფითა მღევარს არ
უბრუნდებოდა.
კარზე გიდგენან სტუმრები, შინამ არ
შეუძღვებია?
დისწულო, დედისძმათასა კარგამ არ
დაუხვდებია?
გამჭრეო, მოსამართლეო, სუ
მამპაპობით
ხმლიანო,
პირწყალო თავის ქვეყნისა, გამრიგევ
თუშეთისაო.
დედან გტირან შვილობით, დანი
გტირიან
ძმაობით,
ძმანი გტირიან ძეობით, ალამო,
აფთარაულო.
ეგ შენი დედა, ბეჩავი, სანთლებურ
ჩამოდნებოდეს,
ეგ შენი ცოლი, ბეჩავი, სუროვით
ექანებოდეს,
შენი გვარისა ქალ-ზალი შავითა-დ
იმოსებოდეს,

შენი ნაწოლი ლოგინი ია-ვარდით
ჭკნებოდეს,
შენი ნაცვამი სამოსი დარბაზს არ
იცივებოდეს,
შენი წვერი და უღვაში მწვანილად
ამოდიოდეს,
ალამო, აფთარაულო.
ლეკთა გიკითხონ, ქისტეთ არს,
დიჩინთანაო,
გიკითხონ, ქალაქში ჯარებს ხყრისაო,
გიკითხოს ბატონმა, წავიდა უფალთა-
ნაო.
შენს საიქიოსა, შიგ შეხვალ მტრედის-
ფერადა,
გიდგ გარიგებული, გაკეთებული თეთ-
რითა,
სულეთს გიდგანან კოდები, გადმო-
მდინარნი
პირითა,
ზედ გიდგას მეღვინეები ხუცითა,
დიაკვნებითა,
ამოიღებენ, დალევენ, ვერცხლისი
ვაშრაპებითა.
ალამო, აფთარაულო, ღმერთმა
გაცხონოს სულითა.
ლიტ.: დ. გიორგაძე. დაკრძალ-
ვისა და გლოვის წესები საქართვე-
ლოში (თუმ-ფშავ-ხევსურეთის ეთ-
ნოგრაფიული მასალის მიხედვით).
თბ., 1987, გვ. 43-49; ს. მაკალათია.
თუშეთ. ტფ., 1933, გვ. 171-172; გ.
ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგო-
ბამდე. თბ., 1987, გვ. 116-118.

დალემკვა (რაჭ.) - თევზაობის ერთ-ე-
რთი ხერხია, მდინარე წყლის მოწამვლა
დანაყილი ლემკის (იხ.) ფოთლებით.

დამბაჩა - ცეცხლსასროლი იარაღი.
დამბაჩა ცეცხლსასროლი იარაღის განვი-
თარების ისტორიაში ადგილს იმკვიდრებს
XVI ს-დან, მაშინ როცა ხმარებაში შემო-
ვიდა ე.წ. კაჟიანი ჩახმახები, რამაც საშუ-
ალება მისცა იარაღის კონსტრუქტორებს

თოფის ზომების ისე შემცირება, რომ გასროლა ერთი ხელით ყოფილიყო შესაძლებელი. კაჟიანი დამბაჩების პერიოდში (XVI-XIX), სხვადასხვა კონსტრუქციულ ვარიანტებთან ერთად (ერთიხაზიანი და ოთხხაზიანი) იქმნებოდა აგრეთვე კომბინირებული დამბაჩები დანებთან და ხმლებთან ერთად. ქართული კაჟიანი დამბაჩების ადგილობრივი წარმოება, ისევე როგორც კავკასიაში, დაიწყო XVIII ს-დან. კავკასიაში ცეცხლსასროლი იარაღის დამამზადებელ ცენტრებს ძირითადად წარმოადგენდა საქართველო, დაღესტანი და ჩერქეზეთი. ხოლო კონკრეტულად საქართველოში ყველაზე დიდი პოპულარობით თბილისური, ახალციხური და აჭარული დამბაჩა - „მაჭახელა“ სარგებლობდა. ამ დამბაჩების განმასხვავებელი ნიშნები დეტალების ფორმებში მოიძებნება, ხოლო ტიპოლოგიურად ისინი ერთ კავკასიურ ტიპს მიეკუთვნებიან.

ლიტ.: მ. ქაფიანიძე, XV-XIX სს. ცეცხლსასროლი იარაღი (საქ. სახ. მუზეუმის იარაღის ფონდში დაცული მასალების მიხედვით), სამაგისტრო ნაშრომი, 2000 .А. В. Жук, энциклопедия стрелкового оружия, 1998г. Э. Аствацатурян, оружие народ ов кавказа, Москва 1995.

დამიზნება - ხატის (ჯვარის) მიერ ადამიანის დაავადემყოფება. განირჩევა დამიზნების ორი ტიპი: ა. დამიზნება, როგორც სასჯელის ფორმა, ხატის შეურაცხყოფისათვის („ზღვენ-სამსახურის“ დაკლება, ნაკრძალ ადგილზე გავლა და სხვა ცოდვები), რაც ადამიანის დროებით ავადმყოფობაში (თავის, თვალების, გვერდების ტკივილი, ფილტვებისა და სხვა ორგანოების დაავადება) ვლინდება, და ბ. დამიზნება „რჩეულის“ ხატის მეხედ (ქადაგად) ან ხუცესად აყვანის მიზნით. ამ უკანასკნელის სიმპტომები საჩინო ხდება

ფსიქო-ნერვული ხასიათის დაავადებით, რომლის დროსაც კაცი „გიჟდება, ქადაგობას დაიწყებს, დაბუშობას. ის გონთადარ იქნების, ის იქნების არეული. რას იძახებს, თაო არ იცის იმან. რასაც აძახებებს [ჯვარი], იმას იძახებს“. იხ. „ქადაგი“, „დაბუში“.

ლიტ.: ნ. მინდაძე. რჩეულობის ინსტიტუტი და ფსიქო-ნერვული დაავადებანი ფშავში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXI. თბ., 1981, გვ. 146-152; მისივე, ქართული ხალხური მედიცინა. თბ., 1981, გვ.; თ. ოჩიაური. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ., 1954, გვ. 18.

დამკვრელთა ამქარი - მუსიკოსთა ამქარი ისეთივე ორგანიზაცია იყო, როგორც ხელოსანთა. ამქარს ჰყავდა თავისი უსტაბაში. ის აწარმოებდა შეგირდის ოსტატად კურთხევას, ამქრობის//სადვთოს მოწყობას. სწავლის კურსის დასრულების შემდეგ შეგირდი ოსტატად უნდა დალოცვილიყო. ოსტატად კურთხევის ცერემონიალზე, ჩვეულებრივ, წინ ბაირადი მიჰქონდათ, რომელსაც დასტით ან ზურნით მთელი ამქარი მიყვებოდა. თბილისში, ორთაჭალის ბაღებში, იმართებოდა წვეულება, რომელიც რამდენიმე დღე გრძელდებოდა. პირველ დღეს საღამომდე იქეიფებდნენ, საღამოს კი მთელი ამქარი ზურნით სიონის ქუჩამდე მივიდოდა და დაიშლებოდა. ლიტ.: ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, თხზულებათ სრული კრებ. ტ. III.1963; მ. შილაკაძე, ქართული ხალხური მუსიკალური ტრადიციები და თანამედროვეობა, 1988.

დამრჩვალის დღე - გურულები წყალში დამხრჩვალთა დღედ ორშაბათს მიიჩნევდნენ და მათ აუცილებლად ამ

დღეს ასაფლავებდნენ, სხვა შემთხვევაში კვირის პირველ დღეს გარდაცვლილის დასაფლავება ყოველად დაუშვებელი იყო. რადგან პარასკევი მაცხოვრის ჯვარცმის დღე იყო და, გურულის რწმენით, ამ დღეს ქრისტიანისათვის რკინის იარაღის გამოყენება და, ამდენად, საფლავის გაჭრა, აგრეთვე ღვინის დაღვევა არა ჰხამდა. ამიტომ მიცვალებული უზედამოდ შეუნდობელი არ დაიმარხებოდა. ტირილის დღედ უფრო ხშირად შაბათს - მიცვალებულთა დღეს, სამშაბათ და ხუთშაბათს ირჩევდნენ, უკიდურეს შემთხვევაში - ოთხშაბათს. მიცვალებულის დასაფლავების დღის შერჩევას განსაკუთრებულ მნიშვნელობას წარმო და უკუნ დღეებს ანიჭებდნენ. იგი უკუნზე, ანუ „საბნელო დღეს“ უნდა დაემარხათ; წარმო-უკუნს კი ასე ანგარიშობდნენ: კვირა დღე არც წარმო იყო და არც უკუნი. ახალ მთვარეზე ხუთშაბათი და შაბათი უკუნი იყო, წარმო კი - ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი; ძველ მთვარეზე პირიქით: ხუთშაბათი და შაბათი წარმო, დანარჩენი - უკუნი. ძველი მთვარე იანგარიშებოდა - ცხრომის შემდეგ 15 მთვარიდან. გურულების რწმენით, რიგი საქმის გაკეთება შეიძლებოდა (და სასურველიც იყო) უკუნზე, ზოგისაც - წარმოზე. საფიცრე ხე, ფაცხის წნელი, აგრეთვე, საწნახლის, ნავისა თუ ხიდისთვის (ბოგირისთვის) განკუთვნილი ხეები ძველი მთვარის უკუნზე უნდა მოეჭრათ. გურული ახალაშენებულ სახლშიც უკუნზე შედიოდა, სამეურნეო ნაგებობასაც (ბეღელს, ხულას, ნალიას, ბოსელს) უკუნზე „შესძრავდა“.

ლიტ.: ა. რობაქიძე. მეფუტკრეობა გურიაში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, V. თბ., 1951, გვ. 29-30; ა. წულაძე. ეთნოგრაფიული გურია. თბ., 1971, გვ.155.

დამუხვლა ვაზისა - ვაზის ძირის მთლიანად გადაწვენა-გადაწინდნვა.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

დამძმარი - შესაწავად შენახული ხორცი, რომელსაც მოაყრიან მარილს და ქილა//ქოთანში ჩადებენ (რბილი, სახინკლე, სამწვადე). ინახება თავისივე წვენში. განსაკუთრებით გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთაში. ხორცი მოჭიქულ ქოთანში უნდა შენახულიყო. წვენი რომ არ შეიშროს, ქოთანს ზედ ცხვრის ტყავი ან ფაშვი აფარია, სარქველად კი სიპი ადევს, უფრო ჰერმეტიკულად რომ იყოს დახურული.

დანა - საშუალო ან მცირე ზომის მჭრელი იარაღია. როგორც წესი, მხოლოდ ცალი მხარე აქვს ბასრი, მაგრამ ზოგჯერ ყუაც აქვს წვერთან ალესილი. დანა შეიძლება იყოს სწორი ან მოხრილი, წელსაკიდი ან ჯიბის დასაკეცი. ძირითადად ყოველდღიურ ყოფაში იხმარება. ძველად დანას ადამიანი ისე ხშირად იყენებდა, რომ იგი სხვადასხვა ხალხის ტრადიციული სამოსის ნაწილად იქცა. ყველა ერს თავისი გემოვნების, ცოდნისა და საქიროების შესაფერისი დანა შეუქმნია. ასეთ დანებს ეთნოდანებს უწოდებენ. ქართველი მუდამ ომის მოლოდინში იყო, ამიტომ წელზე განუყრელად საბრძოლო ხანჯალი (სატევარი) ერტყა, მაგრამ ყოველდღიურ საქმეებში მას ვერ გამოიყენებდა და დანას ხმარობდა. საამისოდ ხანჯლის ქარქაშს საგანგებო ბუდე ჰქონდა, სადაც ვიწრო დანა - „ხანჯლის შვილა“ ინახებოდა. ბოლო დრომდე შემორჩა ვაზის სასხლავი დანა - „სასხლავი“ ან „სავაზე“, დასაკეცი ჯიბის დანა, ჯაყვა - „ციღვი“, აჭარული დანა და სხვ. დღემდე თბილისსა და საქართველოს ზოგიერთ კუთხეში კეთდება სწორი, წელსაკიდი ქართული დანა.

საბას განმარტებით, დანა „არს უდიდესი ყოველთა ხორცისა მოსათლელი, დანაკი - უმცრო მისსა და ზომიერი“, ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით დანა XII ს-მდე საომარი იარაღი ყოფილა, „ეხლა დანას არავინ არ იხმარს საომრად.“ ქართული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, დამოწმებულია დანების შემდეგი ნაირსახეობა: ბაბასყამა, საყუნელი, ციღვი, წანდელი, ჭიტადანა, დანაკი, ხანჯლიშვილა, გაღიხვადი, რაჭული, ურსა, ბებუთი, მეგრული სასროლი დანა - ბოლოფუნჯა, აჭარული, შალთი, სათული, სათირი, გიორგაძის დანა და სხვა.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემკი, ტ. III-IV 1962. სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991. ი. ბაქრაძე, დანა, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

დანა საორხელო - შედგება ორი ნაწილისაგან: ხის სახელურებისა და მოხრილი რკინის ტანისაგან. გამოიყენებოდა ხის კანის გასახდელად, სოლების სათლელად.

დანა სასხლავი - ვენახის სასხლავი ნამგალივით ფართოპირიანი და ტანში გახრილი, უძველესი სავენახე იარაღი. უამრავი ნიმუშია აღმოჩენილი სასხლავი დანებისა არქეოლოგიურ ძეგლებზე.

დანაყარი (რაჭ.) - საკლავის შიგნულობა, გულ-ღვიძლი (იხ. ლეონ.).

დანახერხი / გველიკუდა (რაჭ.) - ღურგლისა და ხუროს იარაღია: მოგრძო და ვიწრო ხერხი. ხმარობენ სხვადასხვა ფიგურების ამოსაჭრელად (მღრ. ქეგლ).

დანდაზი, ფარდები, შაბაქა - სახლის აივნის ბოძებს შორის მოთავსებული ხერხით დაჭრელებული ხის ფიცარი. აივნის მორთულობა.

დანეკვა -- 1. ვაზის გასხვლა (იმერ.); 2. ვაზის დარგვისა და დამყნობის სხვადასხვა პროცესს დანეკვა, დაფესობა// ჩაფესობა ეწოდება (იმერ.). კახეთში აკოკოლავენ ეძახიან, როცა გადაწვენილ და დარგულ ლერწს თავს ამოაყოფინებენ, რასაც მიწას მიაყრიან. ქუსლებით გადაჯვარედინება, ორი რქის წვერებით გადაბმა (რაჭ., ზ. ქართლ.) დატოკვა// დატუნკვა//ატონკება, ისევე, როგორც დანეკვა - იმერეთსა და რაჭაში, ზუსტად, მოკლედ გასხლვას, ორ-სამ კვირტზე დატოვებას უწოდებენ. ვაზი გაზაფხულზე ან შემოდგომაზე უნდა გაისხლას. ვაზის შემდგომი გახარებისათვის, მევენახემ უნდა „დაამდაბლოს“ ვაზი, უნდა დაუმოკლოს თამამი რქა, შეარჩიოს „სამამულე“ და „მოსავლიანი“ რქები და სათანადოდ გასხლას.

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტ. დაკავშირ. 1978:120-123.

დანეკვა (რაჭ.) - ზვინის დასადგმელად თივის პატარ-პატარა ბულულებად, ნექვებად (იხ. ნექვი) შეგროვება.

დანიხვა (რაჭ.) - ნიხებად (იხ. ნიხა) დაკვალვა.

დაპილთუმება - ჭურჭლის, უმთავრესად ღვინის, ქვევრის პირთამდე ავსება.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. წერილები; თვალადური ჭამნიკი. თბ., 1975.

დარაბა - ხის ფიცრებისაგან შეკრული საფარი, რომელიც ეფარება ფანჯრებსა და კარებს ავღრიანობისას.

დარაია (დას. საქ.), **თავთა. მერდინი** (კახ.) - აბრეშუმის თხელი ქსოვილი. იქსოვებოდა ორ ან ოთხ დგიმიან ჰორიზონტალურ საქსოვ დაზგაზე - საფეიქროზე. ქსო-

ვილის ქსელისთვის გამოყენებული იყო გასანთლული ან გახამებული შულოები, საზედაოსთვის ნაცარწმენდში ან საპონში გამოხარშული ძაფი. ძირითადად იყო სადა თეთრი ფერის. იქსოვებოდა ასევე სახიანი - კუბოკრული, ფუთური, ჭადრაკული (დას. საქ.), უჯრედებიანი (კახ.), ზოლებიანი. დარაიას მოქსოვა ძაფის სათვალავზე იყო დამოკიდებული, რაც დაქსელვის დროს გამოიანგარიშებოდა. მოქსოვილი დარაია საგანგებოდ გამოიხარშებოდა. დარაია, თავთას ხმარობდნენ მამაკაცის პერანგის, ახალუხის, ყაბალახისათვის; დასავლეთ საქართველოში ქალის თავსაფრებად და საკაბედ. დარაიას ფართოდ იყენებდნენ ყოფაში - საბნის პირებისათვის. მას მზითევშიც ატანდნენ.

ლიტ.: ნ. აბესაძე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, 1957.

დარანი, მადარაი - მიწისქვეშა დასახლება, ერთგვარი თავდასაცავი კომპლექსიმიწის ქვეშ. დარანში იყო ადამიანის საცხოვრებელი, სამეურნეო დანიშნულების სათავსები, საქონლის საბძელ-ბოსლები, რომლებიც გვირაბებით უკავშირდებოდა ერთმანეთს. დარნები დაყოფილი იყო უბნებად, გაყვანილი ჰქონდათ წყალი და ომიანობისას ასეთი დასახლება იქცეოდა ადამიანთა თავშესაფრად, რომელიც შეუმჩნეველი იყო მტრისათვის. დარანების საუკეთესო ნიმუშები დასტურდება სოფლებში: ჭობარეთში, ხიზაბავრაში, დამალაში, იღუმალასა და ჩამძვრალაში, რომელთაგან სამი უკანასკნელის ტოპონიმი უშუალოდ გამოხატავს ასეთი დასახლების ხასიათს. დარნები აგებული იყო ლოდოვნებით და იკეტებოდნენ ქვის დიდი კარებებით. ამ ტიპის დასახლებანი სამცხე-ჯავახეთში XVI ს. თურქმანთა ინტენსიური შემოსევების დროს უნდა გავრცელებულიყო.

ლიტ.: თ. ჩიქოვანი, იღუმალა, 1975.

დარბაზი - იხ. სახლი ერდოგვირგვინიანი.

დარბაზი || **დარბასი** (ხევს.) - ხატის კარის კომპლექსის ერთერთი მნიშვნელოვანი საკულტო ნაგებობა საქართველოს მთიანეთში. ესაა „ხელოსნების“, „ხევისბერების“, „დეკანოზების“ სამყოფი შენობა, აგებული ქვისაგან, გადახურული სიპებით. გარდა ჩამოთვლილი პირებისა, დარბაზში შესვლა სხვებს აკრძალული ჰქონდათ. ზოგჯერ დარბაზში ინახებოდა ხატის ჭურჭელი. დარბასში გამოიტანენ საკულტო დროშას და დაილოცებიან.

დარიჯა - საოქრომჭედლო იარაღი. შედგება ლითონის თანატოლი ორი ჩარჩოსგან, რომლებთაც გვერდებზე და ძირში აქვთ პირსაკიდები, ხოლო თავში ყელი და რიჯა. გამოიყენებოდა ქამრის, ხმლის, ხანჯლის, დამბაჩისა და ვერცხლის სხვადასხვა დეტალის დასამრგვალებლად.

დარიჯი, ბაქანი, საქვე, დუქანი, ოროკო - ტერასების აღსანიშნავი ტერმინები მესხეთში. ეთნოგრაფიული მასალებით შესაძლებელი ხდება ამ ტერმინების შინაარსობრივი და ფუნქციონალური კონკრეტიზაცია. მაგ., დარიჯები ძირითადად განლაგებულია მდინარეთა დინების გაყოლებით, ზომიერი დახრილობის ფერდობზე, ნაყოფიერ ნიადაგებზე და მათი ფართობი ბევრად აღემატება საქვეს ფართობს. საქვე უფრო მაღალი ექსპოზიციის ადგილებშია მოწყობილი, მისი ნიადაგი ნაკლებნოყიერია, სჭირდება ქვებისგან გაწმენდა და განოყიერება, საქვე მრავალპარუსიანი ნაგებობაა. დუქანი და ოროკო კი ერთი ან ორტერასიანი ფართობია.

ტერასები შენდებოდა მიწის გამოთხრით - ფერდობის გამოკაფვით, სადაც შემდეგ იგებოდა ქვის კედლები, რომლის სიმაღლეს განსაზღვრავდა ფერდობთა დახრილობა. აშენების შემდეგ ხდებოდა ფართობის გასუფთავება, გაწმენდა, მოსწორება-განოყიერება. ტერასული ნაკვეთების ექსპლუატაციისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მორწყვას. თუ მას ბუნებრივად მომდინარე წყალი არ უდგებოდა მაშინ აქტიურად იყენებდნენ წყარო-ნაკადულებს, რომლებიც ერთი ტერასიდან გადიოდა დანარჩენებზე. ტერასებზე ძირითადად გაშენებული იყო ვაზი და ხენილი.

ლიტ.: ლ. ბერიაშვილი, ნიადაგის ათვისებისა და დაცვის ტრადიციები საქართველოში, 1989.

დაროშკა (აჭარ.) - ნაქარგობა, რომლითაც ტრადიციული აჭარული სახლის კედლები და კუთხეები იყო მორთული. ნაქარგობის ეს ფორმა დამახასიათებელი იყო აჭარული საცხოვრებლისათვის, განსაკუთრებით, სასტუმრო ოდისათვის. ამგვარი ნაქარგობა პატარძლის მზითვის აუცილებელი ელემენტიც იყო და იგი უშუალოდ პარატძლის მოქარგული უნდა ყოფილიყო. დაროშკები ერთმანეთისაგან ზომითა და ნაქარგის შინაარსითაც განსხვავდებოდა. ძირითადად, მცენარეული სტილის თემატიკა იყო გავრცელებული: ყვავილები, ფრინველები, ირმები, ბავშვები. გეომეტრიული სახის ორნამენტიც - ჯვარსახოვანი და სხვადასხვა ტეხილი ნაზებიც გვხვდებოდა.

ლიტ.: ქართველი ხალხის ეთნოლოგ. 2018:144.

დასტა - აღმოსავლური ჩასაბერი საკრავების ანსამბლი. შემადგენლობა: ორი ზურნა ან ორი დუდუკი და ერთი დოლი. პირველი მეზურნე - უსტა (ოსტატი) ას-

რულებს მელოდიას, მეორე მეზურნე - დამქაში მიჰყვება მას გაბმული ბანით. მედოლე მომღერალიცაა. დასტის რეპერტუარი მრავალფეროვანია. ასრულებენ უმთავრესად საყოფაცხოვრებო, ლირიკულ-სატრფიალო, საღაღობო, საცეკვაო მუსიკას. დასტა საქართველოში აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოვიდა XVII ს-დან. იგი ყარაჩოხელებისა და ქართველი არისტოკრატიის დროსტარების თანმხლები იყო. დასტის რეპერტუარი თბილისში განვითარდა და გამდიდრდა. დასტამ განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა XX ს-ის 30-იან წლებში, როდესაც მომღერალმა ანა ვარდიაშვილმა მედუდუკეთა ტრადიციულ დუეტს მესამე დუდუკი დაუმატა. ამიერიდან დუდუკზე დაიწყო სამხმიანი ქართული სიმღერების შესრულება და დიდი პოპულარობაც მოიპოვა. ამგვარად „გაქართულდა“ დუდუკი. თბილისში (და ყველგან სადაც დასტის ტრადიცია გავრცელდა) ქორწილის დაწყება, „მეფის“ მოსვლა აუცილებლად ზურნის დაკვრით უნდა აღნიშნულიყო. ღამით, ქორწილის დროს, ზურნას აღარ უკრავდნენ, მაგრამ დილით ზურნაზე „დილის საარი“ აუცილებლად უნდა შესრულებულიყო. ზურნაზე საგანგებო ჰანგი „საქორწილო“ სრულდებოდა პატარძლის ოჯახში მზითევის გადატანის დროს. დასტის აუცილებელი მონაწილეობა დასტურდება თბილისისა და შიდა ქართლის ზოგიერთ სოფელში (ცხინვალში, ლიახვის ხეობაში) ქორწილის მეორე დღეს „მეფისა“ და მისი მაცრიონის მსვლელობაში წინაპართა საფლავზე საგანგებო ჰანგის („სამგზავრო“) დაკვრით. „მეფეს“ იქ უნდა ეცეკვა, ზოგჯერ ჭიდაობაც იმართებოდა. ამ დროს საცეკვაო და საჭიდაო უნდა შესრულებულიყო. უკან დაბრუნებისას ისევ საცეკვაო იკვრებოდა. დასტა გამოიყენება მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში. თბილისში იცოდნენ პანაშვიდზე „დამკვრელების“

- დასტის (უმეტესწილად მეზურნეების) მიწვევა. ამისათვის არსებობს საგანგებო რეპერტუარი („მკვდარზე რასაც იმღერებდნენ, იმას ქეიფში არ მღეროდნენ, იმას თავისი სიმღერა აქვს“). ცხედრის მიწად მიბარების შემდეგ სრულდება საგანგებო სამგლოვიარო ჰანგი - მასრაფი. თბილისურ ქორწილში მესაკრავეთა მონაწილეობა მოწმდება ჟ. შარდენის ცნობითაც.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

დასტაგი, დაგი, ლადგი (სვ.) ბიქილა (რაჭ.) - პურის საბეჭდავი ხის ნივთი. განსაკუთრებით კარგადაა შესწავლილი სვანეთის მასალების მიხედვით, სადაც ლადგის ხმარობდნენ სარიტუალო სეფისკვერის დასაბეჭდავად. პირველად ასეთი ნივთი შეუსწავლია და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისთვის 1909 წელს გადმოუცია თავად თ. დადეშელიანს. დასტაგს სვანეთში სხვანაირად საჭვრეთსა და ბეჭდარსაც უწოდებდნენ. ზოგადად ასეთი საბეჭდავები უძველესიდანაა ცნობილი მსოფლიოს ბევრ ხალხში. საქართველოში საწესო პურების დაჭვრეთა//დაბეჭდვა წესად იყო მიღებული და მას მაგიურ - აპოთროპეული დანიშნულება გააჩნდა. არსებობს მოსაზრება, რომ ქრისტიანობის განმტკიცების შემდგომ, საბეჭდავის ჩამოყალიბებაზე, გარკვეული როლი ითამაშა ქრისტიანული ლიტურგიის პრაქტიკამ და ამ ნივთის ხანგრძლივი გამოყენება გამოიწვია ტრადიციულ ყოფაში საეკლესიო სწავლების გახალხურებამ. 2. წისქვილის ღარში ჩასადები მოგრძო და ოთხკუთხა ფიცარი წყლის გადასაგდებად, მაშინ როცა წისქვილის გაჩერება სურთ.

ლიტ.: რ. გუჯეჯიანი, ერთი ეთნოგრაფიული ნივთის შესახებ, ეთნოლოგიური ძიებანი, ტ III, 2007.

დასტაკილი - დამუშავებული ჩვილი თიხა, ჭურჭლის კედლის ანაფხეკი, რომელსაც მეჭურჭლეები ჭურჭლის დამზადების დროს აგროვებენ. ანაფხეკს ძირითადად ჭურჭლის ყურისათვის ხმარობენ, რადგანაც მაგრად დაზელილი საჭურჭლე თიხა ყურისათვის არ გამოდგება.

ლიტ.: ლ.ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა, 1949.

დატანით რწყვა - როცა წყალი ბევრია „ნაკდელს“ სანაკადლოდან პირდაპირ მიუგდებენ სარწყავ ნაკვეთში, თავისთავად იდინოს, წყლი თვითონ დაიტანსო. ეს იგივე მიგდებით რწყვაა. ამათი საპირისპიროა აცრით რწყვა.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

დატეხილი კაბა (აჭარ.) - ქალის შიდა სამოსელი, რომელიც ზუბუნ-ფარაგას პარალელურად მოიხმარებოდა. მასალად იყენებდნენ ნაზ ქსოვილებს - ყანაოხსა და ყუმამს. ფერებიდან არჩევდნენ წითელს, მწვანეს, ყვითელსა და ალისფერს. მთლიანი კაბისაგან განსხვავებით, დატეხილი კაბა ორი ნაწილისაგან (წელზედა და წელქვეშა) შედგებოდა. სატანი სამნაჭრიანია, რომელსაც სარჩული სჭირდება. ქვედატანს ბოლოზე შემოჰყვება ოქროსფერი არშია, რომელიც კალთის სიფართეს ორჯერ აღემატება. არშია გვიანაა შემოსული ქვ. აჭარიდან და მას ზოგჯერ ბარულსაც უწოდებენ. კაბა გრძელია და ნაოჭიანი, წელის არეში დატანებული აქვს ფარული ჯიბეები. ჩახსნილი გულისპირი ღილებით იკვრება. წესად იყო მიღებული გულისპირის, საყელოსა და სამაჯეების სხვადასხვა ფერის ძაფით შემკობა. საპატარძლო კაბაზე ოქრომკედელ ბევრი ინარჯებოდა და ქსოვილიც. ამასთანავე, კაბის სახელოს ფორმა განსხვავდებოდა ჩვეულებრივი კაბის სახელოსაგან. იგი

ნაოჭებიანი და ქალის ხელის მტევნის ზურგს ფარავდა.

ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათ. 2005.

დატომება - იხ. „ხიბალ-კუდიანები“.

დაფარნა - „სიწმიდის საფარებელი“ (საბა). საგანგებოდ გამოჭრილი და შეკერილი გადასაფარებელი. დაფარნა სამია: ერთი დიდი და ორი -პატარა. დიდი კვადრატის ან მართკუთხედის ფორმისაა, პატარები-ჯვრის ფორმის. პატარა დაფარნებით ცალ-ცალკე ბურავენ ბარძიმსა და ფეშხუმს, ხოლო დიდით -ორივეს ერთად. საღმრთო ლიტურგიის დამკვიდრებისთანავე ხმარებაში პირველად პატარა დაფარნები შემოვიდა, რომლებსაც XIX საუკუნემდე ოთხკუთხა ფორმა ჰქონდა, რომ უფლის წმიდა სისხლი და წმიდა ხორცი დაცული ყოფილიყო. მესამე, დიდი დაფარნა (იგივე პერექელი) V საუკუნიდანაა ხმარებაში და მისი დამკვიდრება ღვთისმსახურებაში წმ. საბა განწმედელს უკავშირდება. პირველად ტერმინი „დაფარნა“ მოხსენიებული აქვს წმ. იოანე მმარხველს (VI ს). იგი მას ქრისტეს „საფლავის საბეჭდავს“ უწოდებს. წმ. გერმანე კონსტანტინოპოლელი აღწერს რა ლიტურგიას, დაფარნის შესახებ ამბობს, რომ ისინი ისე ფარავენ ფეშხუმსა და ბარძიმში მოთავსებულ წმიდა ნაწილებს, როგორც ჰაერი დედამიწას. ქართველები დიდ დაფარნას „ცაი“-ს უწოდებდნენ. სვიმეონ თესალონიკელი მას იმ ლოდის სიმბოლოდ მიიჩნევს, რომელიც ქრისტეს საფლავს მიაფარეს. XVII საუკუნემდე დაფარნისა და გარდამოხსნის (იხ.) ფუნქცია გაყოფილი არ იყო და გარეგნულადაც ისინი არ განირჩეოდა ერთმანეთისაგან როგორც ზომით, ისე მათზე ამოქარგული იკონოგრაფიული სიუჟეტიტაც და ერთმანეთის ფუნქციას ასრულებდნენ. ორივეზე

კლასიკური ფორმის „დატირების“ კომპოზიცია დომინირებდა. XVI საუკუნიდან დაფარნა და გარდამოხსნა ნელ-ნელა ემიჯნება ერთმანეთს. გარდამოხსნაზე დარჩა დატირების კომპოზიცია, ხოლო დიდ დაფარნებზე ჯერ ჯვრები დაჩნდა, ხოლო შემდეგ მისი სახე დაიხვეწა და შემოვიდა შემდეგი სიუჟეტები: „ნუ მტირ მე დედაო“, „კუბოთდება“, „დიდისა ზრახვისა ანგელოზი“. ლიტურგიის პირველ ნაწილში, კვეთის დროს, როცა ხდება პურისა და ღვინის საზიარებლად შემზადება, დაფარნები იმ სახვევების სიმბოლური სახეა, რომლებშიც ღვთისმშობელმა ახალშობილი მაცხოვარი შეახვია და ბაგაზე მიაწვინა, დიდი დაფარნა კი ის ქსოვილია, რომელშიც ჯვრიდან გარდამოხსნილი მაცხოვრის სხეული წაგრაგნეს. წირვის მეორე ნაწილში, კათაკმეველთა ლიტურგიისას, დაფარნათა ხმარება შეჩერებულია. წირვის მესამე ნაწილში (მართალთა ლიტურგია), დიდი გამოსვლის დროს, ფეშხუმის დაფარნა ნიშნავს სუდარას, რომელშიც მაცხოვარი შეახვიეს, ბარძიმის დაფარნა-არდაგს, რითაც მაცხოვრის ჯვრიდან გარდამოხსნილი სხეული შეგრაგნეს. დიდი დაფარნა კი ის ლოდია, რითაც მაცხოვრის საფლავი დაბეჭდეს. „მრწამსის“ გალობისას ბარძიმ-ფეშხუმის თავზე მღვდლის დიდი დაფარნის რხევა სულიწმიდის ძალისა და მადლის ფრქვევას და მაცხოვრის აღდგომას მოასწავებს. თითოეული დაფარნის ხმარებისას ლიტურგიაზე მღვდლის მიერ განსხვავებული ლოცვები წარმო ითქმება. საქართველოში არსებობდა უძველესი ტრადიცია დაფარნების შეწირვისა ეკლესია-მონასტრებისათვის. როგორც ამ მდიდრულად შემკული დაფარნების წარწერები გვამცნობენ: ისინი „ცოდვილი სულის საოხად“, ორსავე შიგან ცხოვრებასა წარმართებისათვის“ ან „ძეთა და ასულთა აღსაზრდელად“ გაუკეთებიათ. ქართული დაფარნები ქარგულობის უბრწყინვალეს ნიმუშს წარმოადგენენ.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

დაფიცვა ჰელისმოქილით - დაფიცების ხევსურული წესი: როცა ორი მხარე დანაშაულს ერთმანეთს აბრალებდა, მაგრამ ვერ ამტკიცებდა, რომელიმე მათგანი მოდავეს შეუთვლიდა, ჰელისმოქილესთან (ნათესავი: ძმა ან ბიძაშვილი, რომელიც დაფიცების დროს მას გვერდით უდგას) ერთად დაეფიცა. ასეთ შემთხვევაში, დამფიცავს ჯვარში საკლავი მიჰყავდა და შემდეგი სახის ფიცს დებდა: „დალოცვილო მთავარო ანგელოზო, შენ ნურაით შამისაწყინდები შამაზახილზე. შენ გულთამხილავი ხარა-დ შენ იცი, რომ მე დამნაშავე არ ორ. დალოცვილო, ამ საქმეში (დაასახელებს) თუ მე მართალ ორ, სიმართლით მამყოფე, მიშველი. თუ მტყუანი ორა, მიმტყუვნი, დალოცვილო, თუ მტყუანი ორ, მე გამიწყერი, მამდი შვილით-შვილამდინა-დ ქალის შვილამდინ, თუ არადა, ჩემს ტყუილად დამბრალეს გაუწყერი“. მერე ხუცესი შემდეგნაირად იხუცებდა: „ღმერთმა ადიდას შენ ძალი, შენ სახელ-სამართალი, მიქიელ-მთავარანგელოზო, შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიჭმარი ეს პირის საბანი (იხ.), შენ შენთ მეხვეწურთად, ერთუცის მოდავეთად (სახელებს იტყვის) საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნელოდ მაიჭმარი. ნურაით შაუსაწყინდები, დალოცვილო, შენდ შამაძახილზე თავის გასამართლებლად, ნურაით დააზიანებ, შანაცოდვარი შაუნდევი, დალოცვილო. ხთის კარზე შაიტან ეს ეს სამსახური (იხ.), დალოცვილო, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს“. ხუცესი ხუცობას აგრძელებდა და ბოლოს ასე დაასრულებდა: „შენად სამთავროდ, შენად გასამარჯოდ მაიჭმარი, მიქიელ მთავარო ანგელოზო, ეს სამსახური, პირის საბანი, შენ მეხვეწურთ სამწყალობნოდ მაიჭმარი, შენ უშველი

ერთუცის მოდავეთ, დალოცვილო, რაც ავ ჩამაღორდნივ, ნულარას ავს ჩამაუგდებ, დალოცვილო, დავის სიმართლის გული-სად შამაძახილზე ნუ შაუსაწყინდები, შენ უშველ, დალოცვილო, შენ დაეჭმარი ველთაცა-დ შინაც, ღმერთი შენს ძალსა, დიდებას მაუმატებს“.

ხუცობის დამთავრებისთანავე, დასტური საკლავს ოთხივე ფეხს დაუჭერდა, აიყვანდა და მუცელზე პირადმოსავლეთისკე დაიდებდა, ხუცესი კი ყელს გამოჭრიდა და მოდავეებს დაამწყალობნებდა: „გწყალობდასთ ერთუცის მოდავეთ მიქიელის დავლათი, საწადმართოდ მაგინარასთ, მშვიდობით მაგინახნათ, შამაძახილზე ნუ მაგიცოდვნასთ დალოცვილმ; სინარულად გაგიჭადასთ, ჯვარიონთ გწყალობდასთ, ხუცესს ენა-პირ გიკურთხას, შაუცოდვრად მაგინახნასთ“. შემდეგ მოდავეები ერთმანეთს გადაკოცნიდნენ; დაფიცვის შემთვლელი კი იტყოდა: „ეესეთაი ას ხალხის ენაი, ხალხმ კინად ერთუცი დაგვაჯოცივ. კარგად ხქენი, შენს თავს ჭირი მააშორი, მე - სირცხვილი, რო დაიფიცი.. კაქცნი მარცხნიდეს, თორემ მე შენ არ დაგაფიცებდი“. დამფიცავი უპასუხებდა: „აბა, შენ გადამეკიდი თავის სილალითა, სიამაყით, თორემ შენაც იც, რო მე მაგ საქმეში ბრალ არცაით მელებდ“. შემდეგ, შერიგების ნიშნად, კვლავ ერთმანეთს გადაკოცნიდნენ, მაგრამ საქმე ამით არ მთავრდებოდა: მოდავე მხარეს დამფიცველისთვის „სამამფიცრო“ (ხუთი ძროხის ფასი. ძროხა - ხუთი კილოგრამი სპილენძი.) უნდა გადაეხადა.

ლიტ.: ალ. ოჩიაური. ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. ხევსურეთი (არხოტის თემი). თბ., 1988, გვ. 102-103.

დაღეროვება - ვაზის რქის დამსხვილება, ღეროდ ქცევა.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი.
თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

დადი, დამდა - ერთგვარი ნიშანი, რომელიც ამოიტივრებოდა ან ამოიწვებოდა რაიმე ნივთზე ან ცხოველზე მისი პატრონის საკუთრების ნიშნად. ცხენის დადაღვა ფართოდ იყო გავრცელებული სამეგრელოში, როგორც ცხენის ქურდობის საწინააღმდეგო საშუალება. მაღალი წოდების წარმომადგენლებს, თითოეულ თავადს ან აზნაურს თავისი საკუთარი დადი ჰქონდა შემუშავებული. ცხენს დადავდნენ როცა ორი წლისა გახდებოდა. სამეგრელოში დადაღვამდე ცხენს ამოჭრიდნენ სარსესა და სახოპს. სარსე - ესაა წერტილოვანი ძვალი ცხვირში, რომელიც ცხენს ძოვას უშლის, სახოპი კი არის სასის ქვემოთ ზედმეტი ღრძილი. შემდეგ ცხენს ააჭრიან კუდის თავზე ე.წ. „ძვარეს“, რომელიც ქავილს იწვევს და ცხენს არ ასვენებს. შემდეგ ცხენს დადაღვენ მარცხენა მხრიდან, იქიდან საიდანაც ჯდებიან. მდაღველი, რომელიც გამოცდილი სპეციალისტი უნდა იყოს ამ საქმისა, აიღებს დადის ნიშნიან გახურებულ შანთს და ამოუწვავს ტყავს ცხოველს, შემდეგ დადაღულზე ძროხის ქონს წაუსვამენ. იმის გამო, რომ ქურდები ხშირად ახერხებდნენ დაღების გადაკეთებას, მეპატრონეები ცდილობდნენ ძნელად გადასაკეთებელი დაღები შეერჩიათ, ზოგჯერ ამავე მიზნით ერთ ცხენს ორ-სამ დაღსაც უკეთებდნენ.

ლიტ.: ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 2006.

დაღორება, ღორის დაღორება - დაკლულ ღორს სანამ „გააკეთებენ“, პირქვე დააწვენენ, მერე მღუღარეს დაასხამენ, გაფუფქვენ და შეუდგებიან გაკეთებას. ამას ეძახიან „დაღორებას“.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი.
თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

დაყუჩული ლობიო (რაჭ., ქვ.) - იგივეა, რაც ყუჩა ლობიო. ირგვება ვენახში. (იხ. ფრ. 99).

დაშნა - „მოკლე ხმალი, მოკლე საკიდარი“ (საბა). დაშნა წარმოადგენს მოკლე, ცალღესურ ხმალს, რომელიც ხანჯალზე დიდია, ხოლო ხმალზე პატარა. დაშნა ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, ხევსურეთში. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ხევსურები ხმალ-ხანჯალთან ერთად ხმარობდნენ აგრეთვე „ხმალ-დაშნას“, რომელსაც სახელოში ან ზურგზე ტანსაცმლის ქვემოდან შეფარულად ატარებდნენ. ე.ი. „ხმალ-დაშნა“ მალული იარაღია, იგი გამოიყენებოდა, მაგ., შუღლის დროს, იმ შემთხვევაში, როდესაც ხევსურს სხვა იარაღი არ ჰქონდა, მაგალითად სტუმრობის დროს, როდესაც წესის მიხედვით იარაღს მასპინძელი ჩამოართმევდა, ის დაშნის, უბისფარისა და საცერულების ამარა რჩებოდა. ყავრის გამოსახული ხმლისებური იარაღი.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011 წ. И. ЭЛАШВИЛИ. „Парикаоба „ 1956..

დაცარვა / დათართვა - დაცარვა და დათართვა ეწოდება დაგრეხილი (დაძახული) ძაფის მოშვებას, გაცალცალებას. ეს ორი სიტყვა უპირისპირდება „დაძახვა“-ს: რამდენიმე ძაფის ერთმანეთზე შეგრეხას თითისტარით ან ჯარაზე. ამგვარად შეგრეხილ ძაფს „დაძახული“ ჰქვია. „დაცარვა“ ეწოდება აგრეთვე თოკის, ნართის დაძველება-დაშლას, თოკის გაწყვეტამდე მისვლას, ქსოვილის დაფხავებას და სხვ. „დაცარვა“-სთან უნდა იყოს დაკავშირებული „ხელის მოცარვა“,

საქმის უკუღმა წასვლა. დაცარვისას ძაფი უკუღმა „იცარება“.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

დაჭეჭელიავება (რაჭ.) - კეცებში ცხო-ბისას ლობიანის, ქადიანის და მისთ. ზე-დაპირის დანით ან ხოწით (ზოგან სპეცია-ლური ტრაფარეტით) დაჭრელება.

დახვეული (რაჭ.) - ფენოვანი ნა-მცხვარი.

დაჯდა ხელადა - თიხის საღვინე ჭურჭელი. გამოიყენება წყლის მოსატანა-დაც. იტევს 3-4 ლიტრს. მისი დამზადება მხოლოდ კახეთში სოფ. ბოდბისხევშია დადასტურებული მეჭურჭლე მეკოკიშვი-ლის მიერ. ჭურჭელს სახელწოდება შეერ-ქვა ფორმა-აღნაგობის მიხედვით. ხასი-ათდება არაჩვეულებრივი სიფართოვის ძირით, განიერი მუცლით, პატარა ტუჩით. იგი მკვიდრად დგება მყარ ზედაპირზე და დაჯდა ხელადაც ამიტომ ჰქვია.

ლიტ.: ქართული მატერია-ლური კულტურის ეთნოგრაფი-ული ლექსიკონი. თბ., 2011.

დგიმი, ზინგი (მეგრ.), ლელჯმარ (სვ.) - ჰორიზონტალური საქსოვი დაზგის („საქსე-ლე“, „სამექსლეო“, „საფეიქრო“, „ოშუალე“, „ლაჯმარ“) ელემენტი. ქსლის გამყოფი და საზედაოს გასავლები. დგიმი მოქსოვილი იყო კედის (კანაფი), ბამბის ან აბრეშუმის დაფაფული ძაფისგან. იქსოვებოდა ორ პა-რალელურ ჯოხზე ჯვარედინად გადახლა-რთული ძაფით. დგიმი თოკებით იყო ჩა-მოკიდებული საფეიქროს ჩიტებზე//გინგი-ლებზე//გამერზე (სამეგრ.). ქვევიდან მიბ-მული ჰქონდა თოკის საფეხურები და მასზე ფეხის დაჭრით მოდიოდა მოძრაობაში.

ლიტ.: მსმხი. ტ. II, ნაწ. II, 1982.

დედა-ვაზი (კახ.) || დედო ვაზი (რაჭ.) / დედანი (კახ.) -- ვაზს, რომლისგანაც გა-დააწვენდნენ რქას ახალი ვაზის გასახა-რებლად, დედა-ვაზი ეწოდებოდა. დე-და-ვაზისათვის კახეთში „მუშა-ვაზი“ უწო-დებიათ, ვინაიდან იგი „მუშაობს“ ვაზის სხვა ნაწილების გაზრდის, გამრავლებისა და დამწიფებისათვის. „სადედე, დედო“ იმერეთში ეწოდება ვაზს, რომელზედაც ამყნიან. მწარე ვაზი - სადედეა, ამაზე ამყ-ნიან (ქვ. ლეჩხ.). ამერიკული ვაზის ლერწს დედო ეწოდება... ჩვეულებრივი ვენახის ლერწს - კვირტი (იმერ.). „სადედე“ იგივე სანერგეა (იმერ.).

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა. 1978:157, 172.

დედაბოძი - მთლიანი ხისაგან გა-მოთლილი დიდი, თავფართო სვეტი, ქა-რთული დარბაზული სახლის საყრდენი, რომელსაც ეყრდნობოდა გვირგვინიანი გადახურვა. დედაბოძზე იყო გადებული სახლის განივი კოჭი, თავზე. ბოძსა და თავ-ზეს შორის სიმძიმის გასანაწილებლად დებდნენ ე. წ. „ბუღურას“, ანუ „დათ-ვას“, ხის გრძელ ბალიშს, რომელიც დე-დაბოძთან ერთად მთლიან ელემენტს ქმნიდა. დედაბოძზე გამოსახავდნენ ორ-ნამენტებს, ფრინველებს, ცხოველებს, ა-დამინის ხელს, სხვადასხვა ტიპის ჯვარს, რადიკალურად განსხივებულ მზეს, ბორ-ჯღალს, კონცენტრულ წრეებს, ვარსკვლა-ვებს და სხვ. ხალხის წარმოდგენით, და-რბაზული სახლის კერა, დედაბოძი და გვირგვინი ერთ კომპლექსს შეადგენდა და ოჯახის წმიდათაწმიდად იყო მიჩნე-ული. ყველა რიტუალი სახლში დედაბო-ძისა და კერის გარშემო სრულდებოდა. დედაბოძის წარმოშობაზე არსებული ხალხური თქმულებები მიუთითებენ, რომ მისდამი თაყვანისცემა უკავშირ-დება ჩვენში ოდესღაც გავრცელებულ ხის

კულტს (ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, ღვთაება კერაში ამოსული, გველშემოხვეული ხის სახით გამოეცხადებოდა თავის საყმოს) და სიცოცხლის ხის მოტივს. ძველ ქვეყნებში და კერძოდ, კავკასიაში სიცოცხლის ხე წარმოდგენილი ჰქონდათ ცის საყრდენად, მნათობთა სადგურად და ღვთაებათა მშობლად. სწორედ ასეთი ხის ყველაზე სრულყოფილი სიმბოლო ჩვენში დედაბოძი იყო. ხალხური წარმოდგენით, იგი ისე ებჯინებოდა გვირგვინს, როგორც სიცოცხლის ხე ცას. არქეოლოგიური მონაცემებით, საცხოვრებლის წმინდა სვეტების თაყვანისცემა საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ადრე, სამიწათმოქმედო ხანაში ყოფილა გავრცელებული.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011 *ი. სურგულაძე, დასურათებული ლექსიკონი, 2008.*

დედატირება - მიცვალებულის გლოვასთან დაკავშირებული თუშური წესი - წლითავის გადახდამდე ყოველი თვის პირველ დღეს თითოეული კომლიდან მოწვეულ ქალებთან ერთად მიცვალებულის დატირება და მისი სულის შენდობით მოხსენიება. ოჯახის დიასახლისი საამდღისოდ აუცილებლად ფაფას ხარშავდა.

ლიტ.: ს. მაკალათია. თუშეთი. თბ., 1983, გვ. 180.

დედალთა ქალბატონი - იხ. „დედალობა“.

დედალობა - საგაზაფხულო ციკლის საოჯახო ხასიათის იმერული წეს-ჩვეულება - „სახლის უკლებლობისა“ და ქათმების დაცვის მიზნით შესრულებული ლოცვა-რიტუალი. ყოველ გაზაფხულზე

ოჯახის დიასახლისი რძით სავსე ჯამით ხელში საცხოვრებელ ნაგებობას სამჯერ შემოუვლიდა და თან ლოცულობდა: „დედალობაა, ქალბატონო, მობრძანდი და ჩემი ქათმის სამაგიერო ერთი ჭიქა რძე მიირთვი“. შემდეგ რძიან ჯამს სახლის საძირკველზე ჩამოვლიდა და დილით თუ არ დახვდებოდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ ქალბატონმა შესაწირი მიიღო და, ამდენად, წლის განმავლობაში ქათამი არც დაიკარგებოდა და არც არაფერი შეჭამდა. როგორც ჩანს, ლოცვის ტექსტში ნახსენები ქალბატონი ან ქათმების მფარველია, ან ფუძის ანგელოზი თუ ადგილის დედა, რაზედაც, შესაძლოა, სახლის შემოვლისა და შესაწირის საძირკველზე დადების წესი მიუთითებდეს.

ლიტ.: კ. კახიანი. საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებული ზოგიერთი რწმენა-წარმოდგენა იმერეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXIII. თბ., 1987. გვ., 247.

დიდა მანგისა (ლაზ. დიდა - „ბებია“, მანგი - „ტოლი, ფარდი“) - დემონი, ლაზური ფოლკლორის პოპულარული პერსონაჟი; წარმოდგენილი ჰყავთ დიდძულებიანი მახინჯი ქალის სახით, რომელსაც მარჯვენა ხელზე დიდი კაუჭი აქვს; ცხოვრობს სიმინდის ყანებში მიწის ქვეშ. ცელქ ბავშვებს, რომლებიც სიმინდს იპარავენ, თავისი კაუჭიანი ხელით იტაცებს და მიწისქვეშეთში მიჰყავს. ზ. თანდილავას ლექსიკონში „დიდა მანგისა“ განმარტებულია, როგორც „მოსავლიანობის ღვთაება“. შესაძლოა, იგი ერთ დროს ნაყოფიერების ქალღმერთი იყო, რაზედაც მისი დიდმკერდიანობა, ბავშვთან და სიმინდის ყანასთან კავშირი უნდა მიუთითებდეს, მოგვიანებით კი ავსულად იქცა.

ლიტ.: ა. თანდილავა. ლაზური ლექსიკონი (ლაზური ნენაფუნა).

თბ., 2013, გვ. 195; ა. კვახაძე. ლაზე-
თის ექსპედიციის მასალები. რვ. №
3, გვ. 5 (ინახება ავტორთან);

დედა-მღებიარე - იხ. „მღებრის/მღე-
ბივრის სუფრა“.

დედამკვდარი მაწონი - თავისთავად,
უფელოდ შედელებული მაწონი. თხელი
და მდორეა.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი.
თხზულებანი. ტ. 4. წერილები;
თვალადური ქართულის ჭაშნიკი.
თბ., 1975.

დედანი (ქართლ.), ლერწამი (რაჭა) -
გუდა-სტვირის ნაწილი. მარჯვენა დედანს
სამი თვალი აქვს, მარცხენას - ექვსი. გა-
რდა ამისა, მარჯვენა დედანის კუთხეში
ამოჭრილია საბანე თვალი. დედნებს
დიდგულა ხისაგან ამზადებენ. ხმარობენ
ჭერმის ან ასკილის ხეს. უმჯობესია ჭე-
რამი, რადგან უფრო წმინდა ხმას გამო-
სცემს. დედნებში ხშირად ცოცხის წვრილ
ღერებს აწყობენ. ისინი დედნის ბოლოს
ბუსუსებით თავდება და ხელს უწყობს
ხმის ვიბრირებას. ენები მოთავსებულია
დედნების ქვემოთ. მასზე ამოჭრილია
მგრძნობიარე ენა, მესტვირე იდლიით
აწვება ჰაერით სავსე გუდას. ჰაერი ეცემა
მგრძნობიარე ენას, საიდანაც ხმა მიდის
ლერწამებში. ენები გარედან არ ჩანს. და-
კვრის დროს ლერწამებში „სული რომ არ
გაიპაროს, ბოლოებს სანთლით გალესა-
ვენ. მარჯვენა დედანს „მობანე“ ეწოდება.
მარცხენას-“დამწყები“, „მთქმელი“. და-
კვრის წინ დედნებს შეამოწმებენ და სა-
ჭიროების მიხედვით ააწყობენ-დედნებს
„ასწევდასწევენ“. ისინი ჩამკვდარია ხის
ბუდეში, რომლის ბოლოზე წამოცმულია
ყანწი-ქარახსა (იხ.).

ლიტ.: ნ. ჯიქია, გუდასტვირი,
მმ, ტ. XXXII-B 1976.

დედასპური - პურის სახეობა, რო-
მელიც ძირითადად შიდა და ქვემო ქა-
რთლში იყო გავრცელებული. გარეგნუ-
ლად ნახევარმთვარეს წააგავს, ყუა სქელი
და პირთხელია. ადრე დედასპურს მახო-
ბელას ურევდნენ, რაც პურს სურნელებას
მატებდა და ოდნავ ფერსაც უცვლიდა. პუ-
რის ეს სახეობა ყურადღებას იქცევს თა-
ვისი სახელითაც. არსებობს მოსაზრება,
რომ დედასპური მას ეწოდა დედოსაგან,
ანუ საფუვრისაგან. ხალხური გადმოცე-
მით კი, იგი დედის ხელით გამომცხვა-
რია და რადგან დედა პურს გვაჭმევს, სა-
ხელწოდებაც მისგან მიიღო. მოცემულ
შემთხვევაში ქალური საწყისის, დედის
ბუნების გააზრებასთან გვაქვს საქმე. ისე,
როგორც დედაბოძი, დედასამშობლო,
დედამიწა, დედაენა, დედასპურიც დედის
ბუნების მნიშვნელობას გამოკვეთს.

ლიტ.: გ. გოცირიძე, კვების
ხალხური კულტურა და სუფრის
ტრადიციები საქართველოში.
2007, ს. ცაიშვილი, ზოგიერთი
მოსაზრება დედასპურის შე-
სახებ, ლიტ. ეტიუდები, 1984.
დედო - დიდი ზომის მეგრული რი-
ტუალური პური, რომელსაც, ლო-
ცვის დროს, პატარა პურებს შემო-
ულაგებდნენ.

ა. ჭანტურია. ეთნოგრაფიული
ჩანაწერები. მეგრული რწმენა-წა-
რმოდგენები და ზნე-ჩვეულებანი
// თსუ შრომები. ტ. 227. ისტორია,
ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგ-
რაფია. თბ., 1982, გვ. 217.

დედოფალა - ბავშვის სათამაშო,
გართობისა და თამაშისათვის განკუთვ-
ნილი. დიდ როლს ასრულებდა ბავშვის
ფიზიკური წვრთნისა და სულიერი ცხო-
ვრების ჩამოყალიბებაში. დედოფალაში
აირეკლებოდა ცალკეული ეთნიკური ჯგუ-
ფებისა და ასევე მთელი ხალხის სარ-

წმუნეობრივი წარმოდგენები. ნივთიერი კულტურისა და ჩაცმა-დახურვის ელემენტები. დედოფალებით ძირითადად ერთობოდნენ გოგონები, რომლის მეშვეობითაც თანდათანობით შედიოდნენ ქალური ცხოვრების სფეროში. დედოფალა ხელს უწყობდა ქალის მომავალი, გარდაუვალი მოვალეობის პირველად აღქმასა და ათვისებას სათანადო ჩვევების შემუშავებას. ადამიანთა მიმსგავსებით გაკეთებული დედოფალები უხსოვარი დროიდან არსებულა. საქართველოში დედოფალები გამოუყენებიათ მაგიური წეს-ჩვეულებების შესრულების დროსაც, რომელსაც შესთხოვდნენ გამრავლებას, შვილიანობას, წვიმის მოყვანას, ასეთი დედოფლების სახელი იყო: „ლაზარე“, „გონჯა“, „საწვიმარი გუგა“ აფხაზეთში - „ძივოუ“. დედოფალებს იყენებდნენ ავადმყოფობის მოცილების მიზნით, მაგ: ქართლში, წითელა ბატონების, ან ყივანახველას დროს გააკეთებდნენ დედოფალას, მორთავდნენ, პატარა ჯიბეში შაქარს ჩაუდებდნენ და გადააგდებდნენ შორს ავადმყოფობის მოცილებისა და გასტუმრების მიზნით.

ლიტ.: ნ. ღოდობერიძე, *დედოფლების კატალოგი, 1968.*

დეთ! დეეთ! დეთ! (რაჭ.) - ძროხის დაძახება, რომ შეჩერდეს ან პატრონთან მოვიდეს (მღრ. ქეგლ: დეედო; დიილო; ლეონ.: დეთო!).

დევთ დედა - მაცილ-ეშმაკთა დედა ხევსურულ მითოლოგიაში. ვისაც დევთ-დედა დაამიზუნებებს, მას იგი ეშმაკებს მიუსევს და დააავადებს. ეშმაკები დამიზუნებულის ბალღებსა და ბოჩოლებსაც მტრობს, ავად ხდის და ხოცავს. მისი სალოცავი კოშკი ციხურა რომჯაშია, სადაც დედაკაცები საწირ-საკლავით მიდიან და ლოცულობენ. მახვეწარი დევთ-დედას ცი-

კანს დაუკლავს, რომელსაც გაგლეჯენ და იქვე გადააგდებენ.

ლიტ.: ს. მაკალათია. ხევსურეთი. თბ., 1984, გვ. 231- 232.

დევ-რძალ-დედამთილი - ავსული დემონები, ბავშვთა და დიაცთა ანტაგონისტები ხევსურულ მითოლოგიაში. ხევსურთა რწმენით, იახსარ-კოპალას მიერ რომჯის ციხე-გორს მოსახლე დევთა ამოწყვეტის შემდეგ, სიკვდილს გადარჩენილ დევ-ქალებს გაქცევა ვერ მოუხერხებიათ: ერთი რომჯაშივე დარჩენილა, მეორეს კი თავი სოფ. ხორნაულთასთვის შეუფარებია. დევ-რძალ-დედამთილს ადგილობრივთათვის, უპირატესად ქალებისა და ბავშვებისათვის, ვნების მიყენება დაუწყია. ზიანის თავიდან აცილების მიზნით, ხალხი მათ სახელზე შიშის ჩასვლის შემდეგ ზღვენ-საწირავებით ლოცულობდა: ხელუკუღმა დაკლავდნენ თიკანს, გამოაცხობდნენ სამ ხაჭოსგულიან ქადისკვერებს, ჩვრებს ერბოთი გაპოხავდნენ და აანთებდნენ და დევ-რძალ-დედამთილს გაცლას შეთხოვდნენ („იმის გამო ილოცვენ, რომ დავიშორათავ“).

ლიტ.: თ. ოჩიაური. მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბ., 19, გვ. 47.

დემური - აჭარული რიტუალური პურისა და მისი საცხობი ყალიბის საერთო სახელწოდება. სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილი საცხობი ყალიბი ორნაწილედია: ერთში ცომი იკვრება, მეორე კი ზემოდან ეხურება; ყალიბის გამლა-დახურვა ერთმანეთთან მაკრატლისებურად დამოქლონებული სახელურის მეშვეობით ხდება. მისი ზედა ნსწილის შიდა მხარე დაფარულია ნატიფად შესრულებული ორნამენტით, რომლის ყოველი ფუძეფართო დეტალი ზემოთკენ თანდათან

ვიწროვდება, რაც ყალიბიდან ნამცხვრის ამოღებას აადვილებს. ყალიბს ჯვრის, დაუსრულებელი ჯვრის, ხარის თავ-რქისა და სხვა სახის დეკორი ამშვენებს. ყალიბში პურის ცხობა შედარებით ადვილი იყო და ნაკლებ დროსაც მოითხოვდა. საამისოდ, დემურს წინასწარ გაახურებდნენ, შიგ ცომის გუნდას (რძეში მოზეულილ პურის ფქვილს კვარცხს, შაქრის ფხვნილს, ზოგჯერ კარაქსაც ურევდნენ, რის გამოც იგი საკმაოდ ყუათიანი იყო) მოათავსებდნენ, ყალიბს დახურავდნენ და ღუმელში ნაკვერჩხალზე დადებდნენ. პური დაახლოებით 5 წთ-ში ცხვებოდა. ზემოაღწერილ ყალიბში გამომცხვარ პურს აჭარლები, გარდა დემურისა, ჭრელ//დაჭრელებულ (ე. ი. ორნამენტირებულ) პურსაც უწოდებდნენ (ოთხკუთხა ყალიბში თუ უყალიბოდ სწორკუთხად გამომცხვარს ოთხქოშალი - „ოთხკუთხა“ - პური ერქვა). საკუთვრივ ტერმინი დემური თურქული წარმომავლობისაა და „სამჭედლოს“ ნიშნავს (თურქ. დემირჩი „მჭედელი“. აჭარაში დემური ნახშირის აღსანიშნავადაც გამოიყენებოდა). შესაძლოა, ყალიბსა და მასში გამომცხვარ პურს „დემური“ იმიტომაც უწოდეს, რომ საცხობი მოწყობილობა სამჭედლოშია დამზადებული და პურიც ნაჭედ ყალიბშია გამომცხვარი (არის ვარაუდი, რომ სახელწოდება დემური „...სამჭედლოსთან, ან მჭედლობასთან დაკავშირებულ რიტუალებთან მის გარკვეულ კავშირზე უნდა მიუთითებდეს“). საქართველოს სხვადასხვა კუთხეში რიტუალური პურების დასაჭრელებლად იყენებდნენ სპეციალურ საბეჭდავებს, რომლებსაც ეწოდებოდა ღესტაგი/დაგი/ბეჭდარი (სვ.), ბიქილა (რაჭ.), საჭვრეთა (ხევს.) და სხვ. ქიზიყში ტერმინი „დემური“ ტყავის საფხეკ რკინის იარაღს აღნიშნავს.

ლიტ.: ნ. მგელაძე, ლ. ლევიძე, თ. ტუნაძე. რიტუალური პურის საცხობი ყალიბი ოლადაურის თემი-

დან // კავკასიის ეთნოლოგიური კრებული. XI. თბ., 2005, გვ.145-155; რ. გუჯეჯიანი. ერთი ეთნოგრაფიული ნივთის შესახებ // ეთნოლოგიური ძიებანი. III. თბ., 2007; ს. მენთეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

დენთი - ფეთქებადი ნივთიერება. გამოიყენება ცეცხლსასროლი იარაღისათვის. კაჟიანი თოფების ეპოქაში (XVI-XVIII), სანამ ტყვიის განვითარება სრულყოფილ ღონეს მიაღწევდა (XIX ს-ის I ნახ. უნიტარული ვაზნა) და დაიწყებოდა მისი ქარხნული წარმოება, საქართველოშიც დენთს ადგილობრივად ამზადებდნენ. დენთის დამზადებისათვის საჭირო იყო - ყინვარი (გვარჯილა), ჩექა (გოგირდი) და ნახშირი. ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ყინვარსა და ნახშირს ადგილზე ამზადებდნენ, ხოლო გოგირდი შემოჰქონდათ. საჭირო ნედლეულის მომარაგებისა და მათი შეზავების შემდეგ, იწყებოდა თოფისწამლის გატეხვა დენგში (ხის ან ქვის დენგი), რაც საკმაოდ შრომატევადი საქმე იყო. თოფისწამლის გატეხვის დროს ხშირად იყენებდნენ ჭაშნიკს, თუ თოფისწამალი არ აკმაყოფილებდა ძირითად მოთხოვნას (ძლიერი და უცაბელი აფეთქება უმნიშვნელო ფერფლით), მას უმატებდნენ გვარჯილას, რითაც წამლის სიფიცხეს ზრდიდნენ. მეტიმეტად ფიცხი წამლის შემთხვევაში კი უმატებდნენ გოგირდს, რაც დაბლა სწევდა სიფიცხეს. თოფისწამალს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირად აჭაშნიკებდნენ, მაგ., სვანეთში ჭაშნიკს ხელისგულზე იდებდნენ, დილოეთში - მარცხენა ხელის ცერის ფრჩხილზე, ხოლო რაჭაში ამისთვის თეთრ ქაღალდს იყენებდნენ. ქართული ეთნოგრაფიული მასალით დადგენილია, რომ საქართველოს მთიანეთში თოფისწამალი თითქმის ყველგან (ხევსურეთში, რაჭაში, სვანეთში, დილო-

ეთში და სხვ) მზადდებოდა. ხოლო რაც შეეხება დიდ ქალაქებს, განსაკუთრებით თბილისს, XVIII საუკუნის 70-იან წლებში თბილისში არსებობდა თოფისწამლის დასამზადებელი სარეწაო, რომელიც ისაია თაყუაშვილს ეკუთვნოდა. სამწუხაროდ, ალა-მაჰმად-ხანის შემოსევისას აღნიშნული ქარხანა მთლიანად განადგურდა. ერეკლე მეორემ 1796 წელს თაყუაშვილს ახალი მიწები (სოლოლაკის მიდამოებში) უბოძა ღვთის წარმოებისათვის, მაგრამ ეს ინიციატივა რუსეთის ანექსიამ გააუვნებელყო.

ლიტ.: ალ. რობაქიძე, „თოფისწამლის დამზადება პირაქეთ ხევსურეთში“, ანალები ტ. I, 1947.

ღერგი - დიდი ზომის თიხის ქილა, გამოიყენება ყველის, მარცვლეულისა და მზა პროდუქტის შესანახად. გავრცელებულია მთელ საქართველოში. მას „სახორბლე“ და „საფქვილე“ ღერგებსაც უწოდებენ. ანალოგიური ფორმისა და დანიშნულების ქილები აღმ. საქართველოში ცნობილია „ქოცო ქილის“, „მწნილის ქილის“, „ძირის ქილის“ (კახეთი), „საქალაქო ქილის“, „საარაგვო ქილის“ (ქსნის ხეობა), და „ყველის ქილის“ სახელწოდებით. ღერგების მრავალფეროვანი ნიმუშები უხვად ფიქსირდება საქართველის არქეოლოგიურ ძეგლებზე რაც ამ ჭურჭლის ინტენსიურ გამოყენებაზე მიუთითებს.

ღერციკი - ტანსაცმლის მკერავი. საქართველოში ოდითგანვე დიდი ყურადღება ექცეოდა ტანსაცმლის დამზადებასა და მის გაფორმებას. XIX ს. ნახევარსა და XXს. დასაწყისში მცხოვრებ მამაკაცთა უმეტესობა ისევ ტრადიციულ ჩოხა-ახალუხით იმოსებოდა, ამიტომ ამ ტანსაცმლის დამამზადებელ ღერციკთა რაოდენობა საგრძნობლად დიდი იყო, განსაკუთრებით ქალაქებში. ამ მხრივ აღმო-

სავლეთ საქართველოში პირველობდა თბილისი, გორი, თელავი, სიღნაღი, ახალციხე; დასავლეთ საქართველოდან ქუთაისი, ზუგდიდი, სოხუმი და სხვ. ბუნებრივია, ქალაქებს შორის გამორჩეული ადგილი თბილისს ეჭირა. 1795 წ. ალა-მაჰმად-ხანის მიერ დაქცეული თბილისი აღდგა, აშენდა და XIXს. 20-იანი წლები-სათვის იგი კვლავ იქცა ამიერკავკასიის მნიშვნელოვან სავაჭრო-კულტურულ და სახელოსნო ცენტრად. ხელოსანთა უბანი ძველ თბილისში გოგირდის აბანოების სიანლოვს მდებარეობდა. აქ - „პატარა სირაჩხანის“ აღმართზე საქმიანობდნენ სხვადასხვა ხელობის ოსტატები. თბილისური ხელოსნების მნიშვნელოვან დარგს ფეიქრობა შეადგენდა. აქაურ სახელოსნოებში იქსოვებოდა როგორც ბამბის (ლაინი, ჩითი, ტილო), ისე აბრეშუმეულობა-დარაია (თავთა, ჩესუნჩა, მერდინი), ყანაოზი და სხვ. XII ს. თურქი მოგზაურის ევლია ჩელების ცნობით, თბილისელი ხელოსნები აქტიურად ეწეოდნენ აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილების იმპორტს. XVII ს. რუსი მოგზაურების დაკვირვებით, თბილისური ქსოვილი გამოირჩეოდა განსაკუთრებული ორიგინალური ფერადოვნებითა და შემკულობით. ქართველი ღერციკები ამზადებდნენ ქართულ ტანსაცმელს, ისეთ სახეობებს, როგორცაა: ჩოხა-ახალუხი, ხონჯრიან განიერი მარვლები, ქულაჯა, ყაბალახი, ჩინტა, თავსაფარი, ქუდები, წვივსაკრავი და სხვა. ღერციკი-ხელოსნები ამქრებში იყვნენ გაერთიანებული და მოიცავდნენ უფრო წვრილ გაერთიანებებს, მაგ: მექუდეთა ამქარში სამი ტიპის მკერავები მუშაობდნენ. ზოგი ფაფახს კერავდა, ზოგი ნაბდის ქუდებსა და ნაწილიც შალისა და ტილოსას.. ამქარში გაერთიანებული ღერციკები დაკვეთაზედაც მუშაობდნენ და ბაზრისათვისაც, ხელოსნური ნაწარმი კარგად საღებოდა დიდ ღლეობებზე. ისე როგორც ყველა ამქარს, ღერციკებისასაც

თავისი მფარველი წმინდანი ჰყავდა, რომელთა გამოსახულება ღერბსა და ემბლემასთან („ფირი“) ერთად მათ დროშას ამშვენებდა. ეს იყო ღვთისმშობელი, მაკრატელი და ნახევარადლიანი. ქალაქელი დერციკები ხშირად იყენებდნენ ქალების შრომას. მათთან მიჰქონდათ გამოჭრილი ტანსაცმლის ელემენტები, რომელთა შეკერვა და სათანადო გაფორმება გარკვეული საფასურით შინმოხელე ქალებს უნდა შეესრულებინათ. ტანსაცმლის გაფორმებისათვის საჭირო ბაბთა-არშია-ზონრების შემოქმედნიც ქალები იყვნენ. განსაკუთრებული მოთხოვნილება იყო სირმებსა და ბუზმენტებზე. იქსოვებოდა ორგვარი ჩაფარიშები: უბრალო და სახიანი, რომელთაც განსხვავებული გამოყენება ჰქონდათ. უბრალო-ჩოხის შიდა ნაკერების დასამაგრებლად იხმარებოდა, სახიანი კი - ქალის საგარეო შარვლის - „შეიდიშის“ ტოტების მოსავლებად. სახლებში მოსაქმე ქალთა უდიდესი ნაწილი ქალაქებში იყო თავმოყრილი, ჩვეულებისამებრ წვრილ მოვაჭრეებს ჰქონდათ ზონრების, ყაითნის, ფოჩების, ბაფთების, თასმების, შესაკრავების, ზორტების, სირმების, ბუზმენტების, ზეზების, მოქარგული არშიების და ამგვარი საგნების საგრეხი და საქსოვი პატარა სახელოსნოები. ქალები ეწეოდნენ ლეჩაქების დაბასმვასა და დაქარგვას, შუბლსაკრავებსა და სარტყელ-გულისპირებზე ნაქარგის ამოყვანას, რაც ერთგვარი გაჯიბრების ხასიათს ატარებდა. ოჯახური წარმოების ასეთი ფორმა ტრადიციული იყო საქართველოსათვის. ტანსაცმლის შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ისეთი პროცესები, როგორცაა თარგების დამზადების ტექნიკა, ჩაცმა-დახურვის წესები, ტანსაცმლის ტარების მანერა და სხვა. ქალაქელი დერციკების ნაწარმი აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნილებებს.. მთიელ ქალს, საოჯახო ყოველდღიური საქმიანობის გარდა, სატანსა-

ცმლე მასალისა და ხალიჩ-ფარდაგების ქსოვაც ევალეობდა. ფარდაგ-ხალიჩის ქსოვა საძნელო საქმე იყო და ყველას არ ეხერხებოდა, მაგრამ ქსოვილების ქსოვას თითქმის ყველა ზრდასრული ქალი ფლობდა. ამასთანავე, ჩხირებითა და ყაისნადით იქსოვებოდა წინდა-პაიჭები, ხელთათმანები, თავშლები, ითელეობდა ნაბადი და სხვ. აღნიშნული საქმიანობის შესასრულებლად შემოდგომაზე ქალებს ოჯახში არსებული მატყლიდან გამოეყოფოდათ წილი. მატყლთან დაკავშირებული საქმიანობა კი ხევსურეთში ასე ყოფილა განაწილებული: ოქტომბერში მატყლის გარეცხვაგამრობა; ნოემბერ-დეკემბერში - გაჩეჩვა; იანვარში - დართვა; თებერვალში - დაძახვა ჯარაზე; მარტაპრილში შალის - „ტოლის“ ქსოვა. ასე რომ, გაზაფხულზე, მინდვრის სამუშაოთა დაწყებამდე, ქალს ამ სახის სამუშაო დასრულებული უნდა ჰქონოდა. ჩამოთვლილ სამუშაოს მთიელი ქალები თავად ასრულებდნენ, მხოლოდ ზოგიერთი პროცესის შესასრულებლად მიმართავდნენ კოლექტიური დახმარების მარტივ ფორმებს - მუშა ქალების შეკრებას, უმეტესად მატყლის ჩეჩვის დროს. ასეთ თავყრილობას ხევსურეთში „მჩეჩლები“ ეწოდებოდა. სხვაგან მუშა ქალების დაძახება დართვის დროსაც სცოდნიათ.

გოგონებს 6 წლის ასაკიდან აჩვენებდნენ მუშაობას, ჯერ მატყლის ჩეჩვა-დართვის წესს შეასწავლიდნენ, მერე ქსოვას. 8-10 წლის გოგოს უნდა სცოდნოდა წინდა-პაიჭების ქსოვა, 14-15 წლისა კი დამოუკიდებელი მოსაქმე ხდებოდა მთის პირობებში არსებული საქალო ხელობის თითქმის ყველა წესს დაუფლებული, რაც ერთერთ ძირითად პირობას წარმოადგენდა. ძველი წესებით ტანსაცმლის დაჭრა-შეკერვა გულისხმობს წინასწარ მომზადებული თარგის გარეშე დუქარდით (მაკრატელი) ტანისამოსის გამოჭრასა და ხე-

ლით მის შეკერვას. მასალის დაჭრისა და ზომის აღების დროს თუშ-ფშავ-ხევსურნი გამოიყენებდნენ ბუნებრივ საზომ ერთეულებს: „მხარი“, „წყრთა“, „მტკაველი“, „ხელი“, „ტაში“, „ციდა“, „ღვინჭი“, „ორთითის სიბრტყო“, „გოჯი“. ხელით კერვის ტექნიკაც სათანადო დონეზე ყოფილა აყვანილი: „დადანდვლა“ // „ნემსის კუდით კერვა“ // „დანემსვა“, „კუდიქეულა“, „ისკუნტალი“ // „ხელუკუდმართა“, „მხვევრაი“, „ღუმბარა“ და სხვ. სამოსელი ჯერ უნდა დაებლანდათ - („დადანდვლა“), შემდგომ კი მაგრად შეეკერათ - „გვირისტი“. შესაკერ მასალას ჯერ გადაზომავდნენ მტკავლით, მაკრატლის წვერით წააჭრიდნენ მცირედ ან ძაფით ნიშანს დაადებდნენ. დაჭრის დროს აუცილებლად დაილოცებოდნენ: „ბედნიერებაში გაცვითეო, ეს ერთი და ორი ათასი სხვაო: ტყის ფოთოლმთაც გექნება მრავალიო, მამა ყიდვაში, დედა კერვაში, შენ ხევაშიო, ან მშვიდობაშიო, და-ძმების სიცოცხლეშიო, ქმარ-შვილთან გახარებაშიო...“ თუ ქალი კარგად ფლობდა ჭრა-კერვის წესებს, იგი მოწაფეებსაც იზიდავდა. საქართველოში ასეთ ქალს „ოსტატი“ ეწოდებოდა და მას განსაკუთრებით ბევრი მოსწავლე დაბებსა და სოფლებში ჰყავდა. ოსტატთა შორის მრავლად იყვნენ მღვდლებისა და მასწავლებელთა ცოლები, რომლებიც ჭრა-კერვასთან ერთად მოწაფეებს წერა-კითხვასაც ასწავლიდნენ. ზოგიერთ ოსტატს რამდენიმე მოწაფეც ყავდა. სწავლების ვადა ერთნაირი არ იყო, ზოგჯერ რამდენიმე წელს გრძელდებოდა. დახარჯული შრომის საფასურიც ცვალებადი ყოფილა - ხან ფულით, ხშირად ნატურით და ზოგჯერ შრომით გადახდის გზითაც. ტანსაცმლის ელემენტების დამზადებასთან ერთად ოსტატი დიდ დროს ანდომებდა გაფორმებასაც. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა „ქართული კაბის“ შესამკობელი ელემენტების-სარტყელგულისპირებისა და თა-

ვსაბურავ შუბლსაკრავების ქარგულობას. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა საუკუნეების განმავლობაში გამოუმუშავებული ცოდნაგამოცდილების შედეგად, ადგილობრივი ნედლეულის ბაზის ტრადიციული ხერხების გამოყენებითა და დამუშავებით, სავსებით იკმაყოფილებდა ტანსაცმელზე არსებულ მოთხოვნის დამაკმაყოფილებლად და საუკუნეთა განმავლობაში გამოიმუშავა ჩაცმულობის თავისებური ორიგინალური ფორმა, მისთვის დამახასიათებელი ფერადოვნებითა და შემკულობის განუმეორებელი სტილით, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია ისტორიის მამას ჰეროდოტეს, რომლის მიხედვითაც ქართველ მთიელთა ტანსაცმელი გამოირჩევა საუკეთესო გამძლეობით, კარგი მოყვანილობითა და უაღრესად ლამაზი შემკულობით. ამ მოსაზრების საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს უმაღლეს ესთეტიკურ დონეზე დამზადებული ხევსურული ტანსაცმელი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიო ხალხთა კოსტიუმებს შორის.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

დეფანი (ზმ., გლ.) - პატარა ოთახი, მიდგმული სახლზე, ზოგჯერ ბუდეზე. იყენებდნენ ნეფე-დედოფლის საწოლად. ზოგჯერ ჭურჭლეულსა და წველეულსაც იქ ინახავდნენ. (იხ. ძიძ.: შინამრეწვ., ტ. I, 344).

ღერგი - დიდი ზომის თიხის ქილა, გამოიყენება ყველის, მარცვლეულისა და მზა პროდუქტის შესანახად. გავრცელებულია მთელ საქართველოში. მას „სახორბლე“ და „საფქვილე“ ღერგებსაც უწოდებენ. ანალოგიური ფორმისა და დანიშნულების ქილები აღმ. საქართველოში ცნობილია „ქოცო ქილის“, „მწნილის ქილის“,

„ძირის ქილის“ (კახეთი), „საქალაქო ქილის“, „საარაგო ქილის“ (ქსნის ხეობა), და „ყველის ქილის“ სახელწოდებით. დერგების მრავალფეროვანი ნიმუშები უხვად ფიქსირდება საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე რაც ამ ჭურჭლის ინტენსიურ გამოყენებაზე მიუთითებს.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ღვრიტა -ყველის დედო, ყველის ამოსაყვანი ნაერთი, რომელსაც ამზადებდნენ ღორის მაჭიკისა და ძმრისაგან.

ღიაღემა - ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით შემკული აბრეშუმის თავსაკრავი, რომელსაც შუბლზე იკეთებდნენ და უკან იკრავდნენ, ღიაღემა გვირგვინის ნაირსახეობას წარმოადგენდა.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემცი, 1962.

ღიაღიმა - ბიზანტიელი კეისრების სამოსელის ელემენტი, რომელიც ძალზე გავრცელებული იყო ქართველ მეფეთა ჩაცმულობაშიც. ესაა ლოროსის (იხ.) განვითარებული სახე. წარმოადგენდა გრძელ ქსოვილს, რომელიც ლოროსის მსგავსად წელსა და მხრებზე ამოტარებით წინ იყო დამკვეთი. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით ღიაღიმა დროთა განმავლობაში ისე დამძიმდა ძვირფასი ქვებით, რომ მისი შემოხვეული ტარება შეუძლებელი გახდა და ამიტომ დაყვეს ნაწილებად. ქართველ მეფეთა მორთულობაში გვხვდება დამკვეთი და მეორე, რომელიც გულზე გადაჯვარედინებულადაა წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიის მეფეთა ჩაცმულობა დიდ გავლენას ახდენს მისი კულტურული ძლიერების ქვეშ მოქცეულ სამყაროზე, ქართველ მეფეთა ბისონებიცა და ღიაღი-

მებიც თავისებური ორიგინალობით გამოირჩევა. მეფეებისა და დედოფლების გარდა ქრისტიანულ სამყაროში ღიაღიმებით გამოხატავდნენ მიქაელსა და გაბრიელ მთავარანგელოზებს.

ლიტ.: ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი, 1964.

ღიდება - წვიმის გამოწვევის მესხურ-ჯავახური რიტუალი - საწესო მსვლელობა სიმღერით. ხანგრძლივი გვალვების დროს, როდესაც წვიმის მოსვლას ლაზარობის (იხ.) გამართვა ვერ უზრუნველყოფდა, ასრულებდნენ ე. წ. ღიდებას. საამისოდ, ასაკმოყრილი დედაკაცები ფეხშიშველა დაივლიდნენ სოფელს სიმღერით: „ღმერთო, მოგვეც ტალახი, აღარ გვინდა გორიხი“. შემდეგ ქვრივი ქალები გუთანს შეებმებოდნენ და მას წყალში გაატარებდნენ; ერთი მათგანი გუთნისდედა იყო და წყალში მარცვლებს ყრიდა, თითქოს, თესავდა. სოფლის ქალები მათ წყლით წუწავდნენ. ასეთივე რიტუალი სრულდებოდა ქიზიყშიც, სადაც ღიდებაზე მოსიარულე ფეხშიშველა დედაკაცებს ხალხი ფულით ასაჩუქრებდა. ამ ფულით ისინი „საღვთოს“ ყიდულობდნენ და ელიას სწირავდნენ.

გვალვების დროს იცოდნენ აგრეთვე უპატრონო მკვდრის საფლავიდან მიწის ამოღება და ამ მიწით ტლაპოს გაკეთება. წვიმის გამოწვევის სხვა ხერხი იყო ხუთშაბათ დღეს უცხო ადამიანის საფლავზე კუტი ბავშვების დაბანა (სოფ. კოთელი-ში ვირებს აბანავებდნენ).

„ღიდებაზე სიარული“ იცოდნენ მძიმე ავადმყოფობის დროსაც: ხატს შეუთქვამდნენ „ღიდებას“ და, ამ მიზნით, ორი ქალი სოფელს დაივლიდა. ყოველ ოჯახში მისვლისას იტყოდნენ: „ღიდებას დავდივართ და რასაც გაიმეტებთ, გვიწყალობეთ“. ასე აგროვებდნენსანთელს, ფულს,

კვერცხებს, ყველს და სხვ. სანოვაგეს. ამ შესაწევარს გაყიდდნენ და ავადმყოფისთვის თეთრი ფერის ტანისამოსს შეიძენდნენ. ასეთ სამოსში გამოწყობილი დაავადებულს, რომელსაც ხელში კელაპტარი ეკავა, ხატთან მიიყვანდნენ და განკურნებას შეთხოვდნენ. ავადმყოფი თეთრ სამოსს იქვე გაიხდიდა და დატოვებდა.

ლიტ.: ს. მაკალათია. მესხეთ-ჯავახეთი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი). თბ., 1938, გვ. 111-112; ს. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

დიდი გუთანი - მიწის სახვნელი იარაღი. იგი რამდენიმე სახელით არის ცნობილი: ქართული გუთანი, დიდი გუთანი, დიდი ქართული გუთანი, ხის გუთანი, შავი გუთანი, პაპას გუთანი. ყველა ეს სახეობა მეტ-ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს განსხვავება ან მათ კონტრუქციაში მდგომარეობს, ან მასალაში, რომლითაც გუთნები დამზადებული. მუშაობის პრინციპი კი ყველა მათგანისათვის ერთია. დიდი ქართული გუთნის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია: „რვილი“ (მოხრილი გრძელი ძელი, რომელზედაც მიმაგრებულია სახნისი, საკვეთელი, ფრთა და სხვა ნაწილები გუთნისა, ზომით დაახლოებით 320- 340 სმ.), „მანჭები“ (სახელურები), „ფრთა“ (ბელტების გადასაბრუნებელი ფიცარი), „ხმალა“ (აერთებს რვილსა და გუთნის სხვა ნაწილებს ერთმანეთთან, რითაც გუთანს სიმტკიცეს სძენს), „ქუსლი“ (ხის ნაწილი, რომელზედაც სახნისი იყო წამოცმული), რკინის „სახნის-საკვეთელი“, „ფამფალაკი“ (ღერძი, რომლის ბოლოებში გაყრილია სხვადასხვა ზომის გოგორები - „კვალის გოგორა“ და „ველის გოგორა“). გუთნის ხის ნაწილები მაგარი ჯიშის ხისგან მზადდებოდა (მუხა, იფანი, თელა და სხვა). დიდი ქართული გუთნისათვის

ისევე, როგორც საერთოდ ქართული სახვნელებისათვის, დამახასიათებელი იყო მრუდე რვილი. გუთნის ტიპის ევროპული სახვნელი იარაღები, რომლებიც გავრცელებული იყო შუა საუკუნეებში, ხასიათდებოდა პირდაპირი მხრით. რვალის სიმრუდე, რომელიც ქართულ სახვნელებს ახასიათებს, ერთხელ კიდევ ადასტურებს ქართული გუთნის თვითმყოფად ხასიათს. ფრთა და სხვადასხვა ზომის გოგორებიანი ფამფალაკი არის ის ნაწილები დიდი გუთნისა, რომლებიც მარტივ სახვნელ იარაღებს არ გააჩნიათ. დიდი ქართული გუთნის არსებობა დასტურდება XI-XII საუკუნეებში. იგი ღრმად ხნავდა (35 სმ. სიღრმეზე), ბელტს (50-60 სმ. ზომისას) ჭრიდა, აბრუნებდა და შლიდა. სწორედ ეს იყო მისი უპირატესობა სხვა სახის სახვნელ იარაღებთან შედარებით. XIX ს-ის II ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში ჩნდება ქართული გუთნის გაუმჯობესებული სახეობანი. ასეთებია ე.წ. მუხრანული გუთანი და კაკაბური გუთანი. დიდი ქართული გუთანი დაკავშირებული იყო მიწათმოქმედების საანულო სისტემასთან (იხ. ანუელი). იგი საყოველთაოდ იყო გავრცელებული ქართლ-კახეთის ბარში, ნაწილობრივ ქართლის მთის წინა ზოლში. მესხეთში დიდი გუთანი მხოლოდ ყამირის მოსახნავად გამოიყენებოდა. იშვიათად გამოიყენებოდა ზემო იმერეთის ვაკე ადგილებში მემამულურ მეურნეობებში. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ხის გუთნები ნიადაგის თავისებურების მიხედვით ზომით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მაგალითად, გარეკახეთსა და ივრის ხეობაში უფრო დიდი ზომის გუთნები იყო ხმარებაში, ვიდრე ქართლში, შიდა კახეთსა და ქიზიყში. ქართლის მთის წინა ზოლში ქართლის ბართან შედარებით უფრო პატარა ზომის გუთნები იყო. გამართული ხის გუთანი საკმაოდ ძვირად ღირებულ სახვნელ ია-

რალს წარმოადგენდა. შედარებით იაფი ჯდებაოდა გუთნის ხის ნაწილი, რომელსაც ხშირად გლეხები თვითონ თლიდნენ. თითქმის ყველა სოფელში იყვნენ ამ საქმის მცოდნე გლეხები. შედარებით დიდ სოფლებში იყვნენ ისეთი ხელოსნებიც, რომელთათვისაც ეს ხელობა ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა. ისინი, ჩვეულებრივ, რამოდენიმე სოფელს ემსახურებოდნენ. შედარებით ძვირი ჯდებაოდა გუთნის რკინის ნაწილები, სახნისისათვის საშუალოდ ერთი ფუთი რკინა იყო საჭირო, საკვეთლისათვის კი - ნახევარი. გუთნის აუცილებელ ნაწილს შეადგენდა ჯამბარა (იხ.) - ტყავისაგან დაწნული ღვედი, რომლის საშუალებითაც გუთანი მიბმული იყო ფაფმფალაჟზე. XIX ს-ის II ნახევარში ქართლ-კახეთის ზოგიერთ ნაწილში იგი რკინის ჯაჭვმა შეცვალა. გუთანში გამწევი ძალის შესაბამელად გამოიყენებოდა უღელი ტაბიკებითა და აპურებით (იხ.). ჯამბარა-ღვედის საშუალებით უღლები ერთმანეთთან იყო დაკავშირებული. თითო ღვედი 3-4 უღელს აკავშირებდა. ღვედის დასაწვნილად საჭირო იყო 2 კამეჩის, ან 3 ხარის ტყავი. ღვედების ოსტატებად ხევსურები ითვლებოდნენ. ქართლში ადგილობრივადაც ამზადებდნენ ღვედებს. გადმოცემით, ღვედი 25-30 წელი ძლებდა. ღვედები ძირითადად ქართლისათვის იყო დამანახიათებელი. კახეთში ზოგჯერ ღვედების ნაცვლად იყენებდნენ საყვარ-უღლებსა (საყვარი-ძელი, რომელიც 2 უღელს აერთებდა) და ჯაჭვებს. როგორც ჩანს, გამართული ხის გუთანი საკმაოდ ძვირი ჯდებაოდა. ალბათ ამიტომ საბუთებში სასოფლოსამეურნეო ინვენტარის მოხსენიების დროს გლეხის ოჯახში სახვნელი იარაღების ნაწილებზეა ხოლმე უმეტესად ლაპარაკი და არა გამართულ სახვნელ იარაღზე - გუთანზე. გლეხთა შორის მხოლოდ შეძლებულებს გააჩნდათ საკუთარი, ყოველმხრივ გამართული გუთანი. ქართლ-კახეთის სო-

ფლებში გამართული გუთანი საშუალოდ კომლების 10-12% ჰქონდა. დიდ გუთანში აბამდნენ 6-12 უღელ გამწევი ძალას. გამართული გუთანი და მუშა საქონელი შეადგენდა გუთნულს. დიდი გუთნის მუშაობას სჭირდებოდა გუთნისდედა და 3-6 მხრე. ისეთი ოჯახები, რომლებსაც ჰქონდათ გამართული გუთანი და ჰყავდათ გამწევი ძალისა და მუშახელის საჭირო რაოდენობა, ძლიერ მცირე იყო. ამდენად, საგლეხო კომლთა უმნიშვნელო ნაწილს შეეძლო მიწის მოხვნა საკუთარი ძალებით. ეს უმთავრესად დიდი, გაუყრელი ოჯახები იყო, რომლებიც XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისისათვის სპორადულად იყო შემორჩენილი. ამიტომ პატარა ოჯახები, როგორც წესი, ხვნის დროს მიმართავდნენ შრომით გაერთიანებას დიდი გუთნის გარშემო. ხვნასთან დაკავშირებული იყო გარკვეული რწმენა-წარმოდგენები და ადათ-ჩვეულებები. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი ხვნა-თესვის დაწყებასა და დამთავრებასთან დაკავშირებულ ცერემონიალს. ქართლ-კახეთის ბარში ანუ უღლის წინ იმართებოდა „სასოფლო საღმრთო“//“გუთნის საღმრთო“. ქართლის ზოგიერთ სოფელში ამას ამადლებას უკავშირებდნენ. ხვნის დაწყების პირველ დღეს გარკვეული წესები სრულდებოდა, რომელთა დიდი ნაწილი მაგიური ხასიათისა იყო. პირველად რომ „გაიტანდნენ გუთანს“ მინდორში, ხვნის დაწყებამდე გუთნისდედას წინა ხარისათვის კვერცხი უნდა დაეკრა თავში სიტყვებით: „ასე გასცდეს იმისი თვალი, ვინც შენ ავი თავლით შემოგხედოს“-ო. ეს წესი ყველგან დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს ბარში. მესხეთში ამ დღეს სახნისზე სანთელს დაანთებდნენ, საკმეველს დააკმევდნენ. მერე მხრე აიღებდა კვერცხს, სამჯერ შემოუვლიდა გარს შებმულ გუთანს, მესამედ შემოვლისას ესროდა კვერცხს წინა ხარს სიტყვებით: „რომე-

ლმაც ავი თვალთ შემოგხედოს, ასე გამოუვარდეს თვალი“-ო. დიდ ხუთშაბათს გუთნისდედას ღამით უმძრახს ტყემლის ტოტი უნდა მოეჭრა და ტაბიკად ჩაერჭო უღელში, რომ „საქონელს თვალი არ სცემოდა“. ამავე მიზნით ხვნის პირველ დღეს ხარს კულზე წითელ ძაფსა და ტყემლის ყლორტს აბამდნენ. პირველად გუთანს რომ შეაბამდნენ, იმ დღეს მეზობელს არაფერს მისცემდნენ, არც ათხოვებდნენ. ქართლის ზოგიერთ სოფელში ხვნის პირველ დღეს წინა უღლის შუაში პატარა ბაირადი კეთდებოდა, აუცილებლად წითელი. ზოგჯერ ამ დღეს წინა ხარებს ზარებს აბამდნენ, ხარს თავზე, რქაზე „ფუნჯებისაგან“ (ბალახია ერთგვარი) დაწნულ გვირგვინს ჩამოაცვამდნენ. ყველა გუთნეული ცდილობდა, სხვაზე უკეთესად გამოსულიყო. ამ შეჯიბრს „განგაშს“ ეძახდნენ. ხვნი რომ დამთავრდებოდა, იმ დღეს წინა უღელს ბაირადს გაუკეთებდნენ და სოფელში ისე ბრუნდებოდნენ. ლიტ.: Г. С. Читая, Земледельческие системы и пахотные орудия Грузии. Вопросы этнографии Кавказа, 1952г г.ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, მიმომხილველი, 1949. ტ. I. გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, 1960.

დიდი მანდილი, ორმანდილი, ორკეცი მანდილი, გაყრილი მანდილი - თუში გათხოვილი ქალის თავსაბურავი, თავსახურ კუჭურაზე გადმოსაფენი. მასალად გამოიყენებოდა წმინდა შალი, შავი და ლურჯი ფერის სატინა ან ლასტიკი. მანდილის სამკუთხა ფორმის მისაღებად დიდი განის მასალას ორად გადაკეცილი ნაწილიდან ერთ-ერთ ოთხკუთხედ დიაგონალზე ჩამოეჭრებოდა ნაჭერი, რომელიც სწორი ნაპირით აეკრებოდა ხელუხლებელ ქსოვილს. ამდენად, დიდ მანდილს მხოლოდ ერთ მხარეს, პატარა ყურისკენ ექნებოდა ნაკერი.

ძველად დიდი მანდილების მორთვა იცოდნენ. განსაკუთრებული მონდობებით საპატარძლო მანდილებს ამკობდნენ. ზურგში გრძლად ჩამკვებულ ბოლოს ჯერ ფუნჯს დააკრებდნენ, შემოთ ბუზმენტს, შემდეგ ჩაფარიშს, მერე ისევ ვერცხლიფერ ან ოქროსფერ ბუზმენტით გაილამაზებდნენ. გათხოვილი ქალი მანდილს მუდამ ატარებდა. ძველად უნამუსო ცოლს ქმარი თავიდან მანდილ-კუჭურას მოხდიდა, ზედ დააფურთხებდა და გადააგდებდა, რადგან სწამდათ, რომ ქალის თავსაბურავი წარმოადგენდა არა მარტო თავის დასაცავ საშუალებას, არამედ ადამიანის ღირსების ნიშანს. ამიტომ თავდაუბურაობა შეურაცხადად იყო მიჩნეული.

ლიტ.: გ. ბოჭორიძე, თუშეთი, 1993. ც. ბეზარაშვილი, თუში ქალის ტალავარი // თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1967.

დიდფეხა (აჭარ.) -- მსხვილფეხა საქონელი.

დიკირი - ორსანთლიანი ფიგურული მანდალი, შუაში ლენტით შეკრული ორი კელაპტრით, რომლითაც მღვდელმთავარი ღმრთისმსახურებისას ხალხს აკურთხებს. სიმბოლურად მოასწავებს ქრისტეს ორბუნებოვნებას - ღმრთაებრივსა და კაცობრივს.

ლიტ.: С.Е. Молотков. Практическая энциклопедия православного христианина. С.ПБ. 2001.

დილხმუანი (გლ.) - ნამცხვარი, რომელშიც დილხმის ფხალია ჩართული (იხ. ქართ. დიალექტ. 684).

დიპლიპიტო - დასარტყმელი საკრავი. კონუსის ფორმის თიხის ან ხის

ორი (ზოგჯერ სამი, იშვიათად ოთხი) ტყავადაკრული ქოთანის ერთმანეთზე თასმებით გადაბმული. ქოთნების სიმაღლე თანაბარია. ქოთნები შეღებილია წითელ ან ყვითელ ფერებად და მოხატულია საღებავებით, გამოყვანილია მცენარეული ორნამენტი. დიპლიპიტოზე უკრავენ სპეციალური ჯოხებით - ჩილიკებით // „თხის ფეხუნებით“, რომლებსაც თავები მომრგვალებული აქვთ. დიპლიპიტო ცეკვების თანმხლებია. შედის აღმოსავლურ საკრავთა ანსამბლის (საზანდარი) შემადგენლობაში. ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულია ხის დიპლიპიტოც.

ლიტ.: დ. არაყიშვილი, ხალხური სამუსიკო საკრავების აღწერა და გაზომვა, 1940. К. Вертков, Г. Благодартов, Э. Язовицкая, Атлас музыкальных инструментов народов СССР, М., 1963.

ღირე (რაჭ.) - წებრის (იხ.) ერთ-ერთი მთავარი ნაწილია (იხ. ფრ., 159).

ღიმი - კლდეზე მოკიდებული მარილივით ფხვნილი, რომელსაც ააფხეკენ და საღებავში შეურევენ. ხევსურეთში მასლები ეწოდებოდა, სვანეთში კი - ჯერაბი. ღებვისას ხმარობდნენ როგორც ფერმჭერ საშუალებას.

დიშკამ კვარიმ ხაშუა (მეგრ. „შეშიანი კვარის მოხარშვა“) - წინასაქორწილო წეს-ჩვეულება - „წითელი მარილის“ (იხ. „ჯიმუმ ბირა“) დამამზადებელი ქალიშვილებისათვის ყველიანი კვარების მოხარშვა. იმ ოჯახის დიასახლისი, სადაც ქალიშვილები „წითელ მარილს“ ნაყავდნენ, გამამზადებდა ყველიან კვარებს, რომელთაგან ერთში ხის ჩხირი იდო. ასეთ კვარს „შეშიანი კვარი“ (დიშკამ კვარი) ერქვა. მას, ვისაც ჩხირიანი კვარი შეხვდებოდა, დანარჩენები სიცილს დააყრიდნენ შეძახილით: „შეშა მოგხვდა“

(დიშკაქ ქუმორხვადუ). „შეშიანი კვარის“ პატრონი თანატოლებს გამოენთებოდა და პასუხით: „შენც მოგხვდა“ (სით ქუმორხვადუ), ყოველ მათგანს სხეულის შიშველ ნაწილზე (მკლავზე, კისრის არეში და სხვ.) კვარიდან ამოდებულ ჩხირს შეახებდა, შემდეგ კი კვარის ცეცხლში ჩააგდებდა; ქალიშვილები ზედ წინასწარ მომზადებულ ფიჩხებს დააყრიდნენ ისე, რომ ცეცხლი აგზგიზებულიყო. დიასახლისი იტყოდა: „დიშკაქ დიჭუ“ (შეშა დაიწვა); ყველას მალე გათხოვებასა და მრავალშვილიანობას უსურვებდა და სახლებში გაისტუმრებდა.

ზემოაღწერილის იდენტური იყო სამეგრელოში გავრცელებული ერთი წეს-ჩვეულება, რომელსაც ყველიერის დასასრულს აწყობდნენ: ხარშავდნენ ყველიან კვარებს, რომელთაგან ერთში, რომელსაც „ხოზოკვარი“||„ხოზოკონი“ ერქვა, „ჩაატანდნენ კაკლის ჩხირს და ვისაც ეს კვარი ერგებოდა, ის იქნებოდა იმ წელიწადს ბედნიერი და დღეგრძელი“ (ს. მაკალათია).

როგორც ვხედავთ, „დიშკამ კვარი“ და „ხოზოკვარი“||„ხოზოკონი“ ერთი და იგივეა. განსხვავება თავს იჩენს მათი მოქმედების დროში და რიტუალში მონაწილე პირების ასაკსა და სტატუსში. „შეშიანი კვარი“ ქალიშვილებისთვის არის განკუთვნილი, „ხოზოკვარი“||ხოზოკონი“ - ქალებისთვის. მართალია, აღნიშნული რიტუალები სხვადასხვა დროსა და სიტუაციებში მოქმედებენ, მაგრამ, ხალხის აღქმით, ორივე ეს დრო (ქორწილის პერიოდი და ყველიერი), გარკვეული თვალსაზრისით, თანაბარმნიშვნელოვანია. ყველიერი ადრეგაზაფხულზე მოდის, როდესაც ბუნება აღორძინებას იწყებს. აღნიშნულ პროცესში ადამიანის ჩართვა და მისი ზიარება აღორძინება-ნაყოფიერებასთან მიიღწევა „ხოზოკვარი“||ხოზოკონის“, რო-

გორც ნაყოფიერების სიმბოლურ-მატერიალური გამოხატულების, ჭამის გზით. ამკარაა, რომ კვერი მდედრული საწყისის მატარებელია, ჩხირი კი - მამრულისა. ამორი საწყისის შერწყმა გაიაზრება, როგორც აღორძინებისა და განაყოფიერების რეალური საფუძველი. მსგავსად აღნიშნულისა, დროის საქორწილო მონაკვეთი, რომელიც საპირისპირო სქესთა შეერთებით უნდა დასრულდეს, განიხილება, როგორც ნაყოფიერების დრო, რომელშიც ცხოვრობს არა მხოლოდ ერთი რომელიმე წყვილი(ნეფე-დედოფალი), ან ერთი კონკრეტული ოჯახი, არამედ მთელი ჯგუფი. და ეს იმდენად შესამჩნევი ხდება, რომ ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ: წინასაქორწილო და ქორწილის დღეებში კოლექტივის მთლიანობა შეკრულია აღორძინება-ნაყოფიერების დროით, ანუ ესაა კოლექტივის ერთობლივი ცხოვრება ნაყოფიერების მომნიჭებელ დროში. ამიტომ ამ დროში შესასრულებელი აქტი - „შეშინი კვერის“ ჩხირთან ქალიშვილების ფიზიკური კონტაქტი მამრულ საწყისთან მათი შეერთების იდეის შემცველია. ესაა მაგიური ხასიათის ქმედება, რომელმაც სასურველი რეალობად უნდა აქციოს.

ლიტ.: ნ. ანთელავა. ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამეგრელოში. თბ., 2005, გვ. 162-164; ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 310.

დიშლი - ქვის სათლელი რკინის იარაღი, აქვს მძიმე ტანი, კბილებით ასწორებს, თლის ქვის ზედაპირს და ზედ ხაზებს ტოვებს. ზოგიერთი დიშლი სწორპირიანია და გამოიყენებდნენ როგორც სამშენებლო ქვის, ასევე საოჯახო ჭურჭლის სათლელად. დიშლი და ტარაღი ორივენი ქვის სათლელად გამოიყენებოდა, ოღონდ ტარაღი უფრო სუფთად თლის.

დიხამ კოჩი („მიწის კაცი“) - ავსული ჯუჯა მეგრულ მითოლოგიაში. ტანით პატარა, ჭინკისტოლა, მაგრამ ძალ-ღონიანი მიწის კაცი ადამიანის მსგავსი წითური ფერის არსებაა, რომელიც ვერტიკალურად ვერ დადის, ოთხზე დგას და ნელ-ნელა დალოდავს; ცხოვრობს მიწისქვეშა გამოქვაბულში, საიდანაც პერიოდულად ამოდის და დასახლებულ პუნქტებს სტუმრობს, იმალება ეზოებში და მალულად ძროხასა და თხას წველის, ჩნდება სასოფლო გზებსა და ბილიკებზე; ქვეითად მიმავალთ ფეხებშუა უძვრება და ცდილობს წააქციოს; თუ მხედარს შეხვდა, აღვირს წაავლებს ხელს და ცხენს ფეხის გადადგმის საშუალებას არ აძლევს; შეშინებულ მგზავრს ჭკუიდან შლის; იკვებება ძროხისა და თხის რძით. როცა ადამიანს უნებური შიში იპყრობს, მეგრელები გარეთ გადგამდნენ ყველჩაფშვნილ რძეს ჯამით - „მიწის კაცის ულუფას“ (დიხამ კოჩიმ თია) - და ავსულს დაშორებას თხოვდნენ.

ლიტ.: ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 11, გვ. 19 (ინახება ავტორთან); თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1956, გვ. 14.

დიხამ ხვამა („მიწის ლოცვა“)/**ოხორიმ ხვამა** („სამოსახლოს დალოცვა“) - საცხოვრებელი სახლის ასაგებად შერჩეული ადგილის დალოცვის მეგრული რიტუალი: არასწორ კვადრატად დაგეგმარებული ნაგებობის ოთხივე კუთხეში ოჯახის ხელმძღვანელი მამაკაცი საამისოდ გამომცხვარ მცირე ზომის თითო პურს დადებდა, იქვე სანთლებს აანთებდა, ხელში ღვინით სავსე სასმისს დაიკავებდა და ოჯახის წევრების თანდასწრებით ფუძის (ნერჩის) მფარველს სახლის აშენებაში შემწეობას, შერჩეულ ადგილზე ბედნიერ ცხოვრებას, ოჯახის შემადგენლობის გაზრდასა და საქონლის გამრავლებას შე-

თხოვდა. ფუძის ანგელოზს ასეთივე ვედრების ტექსტით საცხოვრებლის აგების შემდგომაც მიმართავდა.

ლიტ.: ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 114, გვ. 7 (ხელნაწერი ინახება ავტორთან); ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, 325.

დინაშხო - სავენახე ადგილი. „ესე არს მიწა დახეთქილი და ავად გამოგვალული“ (სულხან-საბა ორბელიანი). დინაშხო შავი მიწა არის, როგორც ნაკელი ისეა, სუყველაას სჯობია (ქვ. იმერ.). სავენახე მიწა მშრალი, მჩატე - თირიანი (მსუბუქი) უნდა იყოს „ქვაგუნდა“ (ქვ. იმერ.) მიწასავით, რომ დასამუშავებლად ადვილი იყოს. ვენახს შავი მიწა ურჩევნია. მართალია, შავნოყიერ მიწაშიგვიან ხეირობს, მაგრამ იქ ვაზი გვიან ბერდება (რაჭა). სავენახედ შერჩეულ მიწა ადგილებს ხირხატი (ქიზ.) ეწოდება, ასევე, შირიფი, ფხვნილი მიწა (რაჭ.) და სხვა. ქართველ მევენახეს სავენახე მიწის დამუშავებისათვის საგანგებო სახელწოდებები შეურჩევია, რომელიც ვენახის გავრცელების მხარეებში გვხვდება. მაგალითად, დაბრუნება//ააქვავებს//აჰკენჭავს (ქიზ.); მიწიბრუნება//მეხურავს (ლეჩხ.); მოტენის (იმერ. რაჭ.) და სხვა.

ლიტ.: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. 1. 1991:222; ლ. ასათიანი, ვაზის კულტ. დაკავშირებული, 1978:114-115.

დო - შედღვებილი მაწვნის შემდეგ, კარაქის მასას გამოყოფილი მომჟაო სითხე, რომელსაც იყენებდნენ საჭმელად. დუღილით შესქელებულ და მწვანილებით შეკაზმულ ამ რიგის საჭმელს დომხალი ჰქვია.

დობილო - მაღლარი ვაზი, ბაბილოს სინონიმი (იხ. ბაბილო).

დოდლაბი / დონდლაბი (რაჭ.) - ვაზის ჯიშია ერთგვარი, არის თეთრყურძნიანიც და შავყურძნიანიც. მსხვილი ბიბილი (იხ.) აქვს, ბარაქიანია. გასავალი კარგი აქვს, **დოვლათის მარცვალი** - როდესაც ბელლიდან სათესლე ხორბალს ამოიღებდნენ დასათესად, ერთ მუჭა ხორბალს უკანვე ჩააბრუნებდნენ, ძველი მოსავლის მარცვალი ახალს უნდა დახვდეს და დოვლათი დაუბედოსო. ბელელში ჩატოვებულ ძველ ხორბალს „დოვლათის მარცვალს“ ეძახდნენ.

ლიტ.: შატბერაშვილი, გიორგი. თხზულებანი. ტ. 4. წერილები. თვალადური ქართულის ჭაშნიკი. თბ., 1975.

დოთქუნთა, კარაბა (ქართლ.) - სადღვებელის „აკვანი“, დოთქუნთაზე დგამენ სადღვებელს და რყევით იღებდნენ კარაქს.

ლიტ.: გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, „ქსნის ხეობა“, 1975.

დოლაბი - წისქვილის ქვა.

დოლაკინი (რაჭ.) - სქელი ფიცარი, რომელსაც ჭურს ადებენ თავზე დაკირვისას (სიმძიმისათვის) (მდრ. ბერ.: დოლაკანი).

დოლა პური (ზმ.) - პურის ერთ-ერთი ჯიშია, უფხო, ითესება გაზაფხულზე (იხ. did.; მდრ. ქეგლ: დოლის პური).

დოლბანდი - 1. ქალის გარედან ჩასაცმელი. მასალად გამოყენებულია სქელი და მუქი ქსოვილები, დოლბანდის სიგრძე ქალის მუხლებს სცილდებოდა. ჰქონდა

სწორი კალეტები და წინ მთლიანად ჩახსნილს ხშირად გვერდებსაც შეუხსნიდნენ, რომელთა ნაპირებს აბრეშუმის ზონრებით დააკავშირებდნენ. განიერი და მოკლე სახელო ხან სწორი იყო და ზოგჯერ ირიბად აჭრილი. დოლბანდს მხრებზე ღრმად ეფინებოდა დიდი საყელო, რომლის შესაკრავად დილ-კილოები იხმარებოდა. 2.თხელი ქსოვილის მრგვალად დახვეულ თავსაფარ-ჩალმა. ატარებდნენ მაჰმადიანი მამაკაცები.

ლიტ.: ნ. გვათუა, ჩაცმულობის ისტორიიდან, ქალის ქართული ჩაცმულობა, XIXს. და XXს. დასაწყისი, 1967.

დოლის თავი - დოლის დროს პირველად მოგებული მამალი ბატკანი, რომელიც ქიზიყში საღვთოდ ინიშნებოდა.

ლიტ.: ს. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

დოლის პური - ხორბლის სხვა ჯიშებს შორის საუკეთესოდ ითვლებოდა დოლის პური. გამოირჩეოდა უხვმოსავლიანობით, სხვა ჯიშებზე უკეთ უძლებდა არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებს, ამინდის ცვალებადობას, ტემპერატურის მერყეობას. ახასიათებდა მარცვლის ჩაცვენისადმი მდგრადობა. თავთავი სხვა ჯიშებზე მსხვილი და მძიმე ჰქონდა. დღიურ მიწაზე მოსავალი შეადგენდა 8-10 კოდს (კოდი 10 ლიტრა - 50კგ) მატულობდა ზელაში. ცომი ძარღვიანი, გამწევი, „ღვედიანი“ იყო. ცხვებოდა გემრიელი სურნელოვანი პური, რომელსაც სირბილეს მატებდა მის ნათესებში მინარევი ჭვავი, ამიტომ თესლმეყოლილ ჭვავს დოლის პურის ყანიდან ადარ აცლიდნენ. დოლის პურის ბზეც საუკეთესოდ ითვლებოდა საქონლის საკვებად. ადგილობრივნი მას „მთავარ პურს“ უწოდებდნენ. მოიხსენიებდნენ „დედალი პურის“ სახელითაც. რიტუალური დანიშ-

ნულებისთვის - „სანათუროდ“ (ზედაშედ) ინახავდნენ. მის მარცვალს კორკოტისა და წანდილისათვის იყენებდნენ. თიანეთის რაიონში, ისე როგორც სხვა კუთხეებში, ნათესის გვალვისგან დასაცავად გავრცელებული იყო წყლის მოხვნის ჩვეულება. ამ რიტუალს ქალები ასრულებდნენ. თეთრწყაროში ამ წესის შესრულების დროს ქალები სკაბრეზული სიტყვების წარმოთქმით ერთმანეთს ასხამდნენ წყალს სარცხვინელ ადგილებში, ლეჩხუმში ქალი ქვედა საცვალს იხდიდა და ყანაში მოაფრიალებდა სარეველას მიმართ გინებით. კახეთში საკმარისი იყო კაბის კალთის შეხება, რომ სუფთა ყანა ამოსულიყო, სარეველა გამქრალიყო. ხალხის რწმენით ეს რიტუალი ზრდიდა მოსავლის ბარაქიანობას.

ლიტ.: გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულახის რაიონში, სმმ ტ. IV, 1928.

დოლური - ტყავის გამოსაყვანი ხის დიდი კასრი. თითო მსხვილფეხა საქონლის ტყავის დასამუშავებლად დოლურში ჩაყრიდნენ 1კგ ქიმიურ ნივთიერებას - ქლორპიკრინს, ერთ კგ სიმქავეს, ოთხ კგ შაქარს და გაავსებდნენ წყლით. ამ ნაზავში ჯერ ხელით ატრიალებდნენ ტყავს, შემდეგ წყლის ძალით ან ელექტროდენით. დოლურს შიდა მხარეს დამაგრებული ჰქონდა მოკლე ჩხირები, რასაც ტყავები ეხებოდა და სუფთავდებოდა. დოლურში ტყავის დამუშავების ხარისხით განსაზღვრის მიზნით ტყავს პატარა ნაჭერს მოაჭრიდნენ და ჩააგდებდნენ ადუღებულ წყალში, თუ ტყავი დაიჭმუჭნებოდა იმას ნიშნავდა, რომ იგი არ მომკვდარა და ხელმეორედ დამუშავებას მოითხოვდა. სხვადასხვა დროს ტყავის დამუშავების მიზნით გამოუყენებიათ ხის, თიხის, ცემენტის თადარ-აუზები, ბოლოს კი ხის დოლურები. დოლურის შემოდე-

ბით გაადვილდა ადამიანის შრომა. ხისა და თიხის თაღარებსა (იხ.) და ცემენტის აუზებში ტყავები ხელით მუშავდებოდა. დოღურების გამოყენებით ტყავის დამუშავების საქმეში გაუმჯობესება მოხდა, რითაც მანუფაქტურული წარმოება ფაბრიკულით შეიცვალა. 2.ღვინის საწყაო, თიხის ჭურჭელი, ასევე ჭურიდან ამოღებული ღვინის მოსაკავებელი. დორა ლეჩხუმსა და რაჭაში ღვინის უმთავრესი საზომი იყო. გამოირჩევა დახვეწილობით, გადმოსასხმელად მეტად მოხერხებული ყელ-პირით, მხარგამლილია, მუცელი მსხლისებური და ძირი სწორი აქვს. ორი მომცრო ბრტყელი ყური მიძერწილია შუა მუცელზე. დორის ნახევარს „დორაკსა“ და „მენახევრესაც“ უწოდებენ. ჭურ-ქვევრის ტევადობას „დორას“ მიხედვით საზღვრავენ: სამდორიანზე პატარა ჭურჭელი ყვიბარია, 3-9 დორას შემცველს ქვევრს უწოდებენ, 10 დორიანზე დიდს კი - ჭურს. ტერმინი „დორა“ 1519 წლის საბუთშია მოხსენიებული. XVIII-ის „იმერეთის კათალიკოსის სიაში“, აღნიშნულია, „მართებს საჩხურს სამოცდა შუდი დორა“.

ლიტ.: ლ. ფრუიძე, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, 1974; ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973; ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

დომბურა (რაჭ.) - თვითნაკეთი ციგა. ქვემოდან ზოგჯერ თუნუქს ამოაკრავენ, რომ უკეთ დაცურდეს (იხ. ბერ., ქეგლ).

დორა, დორიკა - ღვინის საწყაო, თიხის ჭურჭელი, ასევე ჭურიდან ამოღებული ღვინის მოსაკავებელი. დორა ლეჩხუმსა და რაჭაში ღვინის უმთავრესი საზომი იყო. გამოირჩევა დახვეწილობით, გადმოსასხმელად მეტად მოხერხებული

ყელ-პირით, მხარგამლილია, მუცელი მსხლისებური და ძირი სწორი აქვს. ორი მომცრო ბრტყელი ყური მიძერწილია შუა მუცელზე. დორის ნახევარს „დორაკსა“ და „მენახევრესაც“ უწოდებენ. ჭურ-ქვევრის ტევადობას „დორას“ მიხედვით საზღვრავენ: სამდორიანზე პატარა ჭურჭელი ყვიბარია, 3-9 დორას შემცველს ქვევრს უწოდებენ, 10 დორიანზე დიდს კი - ჭურს. ტერმინი „დორა“ 1519 წლის საბუთშია მოხსენიებული. XVIII-ის „იმერეთის კათალიკოსის სიაში“, აღნიშნულია, „მართებს საჩხურს სამოცდა შუდი დორა“.

ლიტ.: ლ. ფრუიძე. მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში. თბ., 1974.

დორაისჭველი - ხიბალ-კუდიანთა (იხ.) უფროსი, მანათობელი ავსული, ემ-მაკ-ქაჯების საქმეთა განმწესრიგებელი „მათთვის ბედ-ყისმათის მწერელი“, განძის მცველი თუშური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით; არის გოლიათური აღნაგობის, შავნაბდიანი დემონი, შუბლზე საცრისოდენა „წითელი თქანთქალა“ თვალით; მკვიდრობს დორაის ხეობაში; დადის თეთრ ჯორზე შემჯდარი. მისი გამოჩენა ხიბალ-კუდიანთა აქტიურობის, არევის ჟამს ხდება. როცა ხიბალ-კუდიანები ადამიანის დაშინება, მის „დატომებას“ (ჭკუიდან შეშლას) ვერ ახერხებენ, დასახმარებლად თავიანთ ხელმძღვანელს უხმობენ; ეს უკანასკნელი ცდილობს შეაშინოს, გააცინოს ან სიტყვა დააცდევინოს; ეტყვის: „აბარკული ჩაბარკული, აქ შუაში რაღა კრული“, თან ხელს ბარკლებზე აუსვამს და დაუსვამს, შემდეგ ფეხებს შორის ამოუსვამს; თუ რაიმე ათქმევინა გააგიჟებს და ტყვედ წაიყვანს, თუ არადა დაწყევლის; მისი წყევლა კი აუცილებლად ახდება.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ.

67-78; ე. თათარაიძე. დემონოლოგიური თქმულებები აღმოსავლეთ საქართველოს მთაიანეთში. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998, გვ. 21, 40-42, 48-53; ნ. აზიკური. მასალები თუშური დემონოლოგიიდან // ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი. 2016, XVIII, გვ.157-184.

დოსტაქანი - ღვინის სასმისი, ღრმა თასი.

დოქი თიხისა, ხელადა - თიხის საწყლე და საღვინე ჭურჭელი, ამზადდნენ კარგად შეზავებული სუფთა მიწისაგან, აქვს ბრტყელი, მრგვალი ძირი - „ფსკერი“, ზომიერად გამობერილი მუცელ-“გვამი“; წვრილი მატალი ყელი და ლამაზად გამოყვანილი, მატლა აშვერილი „ნიკარტი“, მრგვალი ყური მიძერწილია შუა ყელიდან მხარზე ან შუა გვამზე. დოქის რამდენიმე სახელწოდება მოწმდება: „საღვინე“, „საწყლე“. „თუნგულა“, „ხარა დოქი“(დიდი ზომისაა), „ლიტრა“ „ყურმილიანი“ იგივე „საწოვრიანი“ დოქი და სხვა. საღვინე დოქები „ნიკარტიანი“ უნდა იყოს, წყლისათვის განკუთვნილი დოქები კი მრგვალტუჩა. დოქები მრავალფეროვანი სახისაა, შემკობის თვალსაზრისით მათში სჭარბობს დალოცვა-დღეგრძელობის შემცველი წარწერები, ზოგი დოქი წითლადაა გამომწვარი, ზოგი კი მთლიანად ჭიქურითაა დაფარული და დამშვენებული სხვადასხვა მხატვრული სიუჟეტებით.

ლიტ.: ც. კაკაბაძე, შრომული საღვინეები, 1971, ძმ. 124.

დოდი - მიცვალებულის კულთან დაკავშირებული რიტუალური მარულა, გავრცელებული, თითქმის, მთელ საქა-

რთველოში (აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში, სვანეთში, სამეგრელოში, აფხაზეთში, საქართველოს ოსურ მოსახლეობაში); იმართებოდა მიცვალებულის წლისთავზე. დოდში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა გარდაცვლილის სახელზე ნაკურთხი ცხენი (იხ. „სულის ცხენი“, „დალაა“, „სადგინი“, „თარჩია“, „ბახფალდისინი“, „დუდი“), რომლის სახით ცხენთრბევაში ახალსულიც „მონაწილეობდა“. ფრიად საინტერესოა სვანეთში გავრცელებული, დანარჩენთაგან განსხვავებული, წესი: სვანები დასაფლავების დღეს ცხენს საუკეთესოდ მორთავდნენ და პატრონის კუბოს მახლობლად დააყენებდნენ. გასვენებისას ამ ცხენზე ახალგაზრდა შეჯდებოდა და სამგლოვიარო პროცესიის წინ მას იმდენ ხანს აჭენებდა, რომ პირუტყვი მომკვდარიყო, ე. ი. თავის პატრონთან ერთად საიქიოში „გამგზავრებულიყო“. საწესო დოდი და მასთან დაკავშირებული რიტუალების მთელი კომპლექსი საიქიოში მიცვალებულის გამგზავრებისა და სიკვდილის გაცილების ინსცენირებას წარმოადგენს (იხ. „დუდი“).

ლიტ.: დ. გიორგაძე. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). თბ., 1987, გვ. 11-14; მ. ბალიაური, ნ. მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940, გვ. 12, 29, 57; ს. მაკალათია. ხევსურეთი. თბ., 1984, გვ. 203-204; ა. ოჩიაური. მიცვალებულის კულტი როშკასა და უკენ ხაღუს თემებში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940, გვ. 77; ნ. ხიზანიშვილი. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1940, გვ. 76-77; გ. ცოცანიძე. გიორ-

გობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ.116-118; მისივე, სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბ., 1997, გვ. 143.

დოდონაკი, ჯაფა - ტყავის მოსაქნელი რკინის ხელსაწყო. ბლაგვირიანი. დასამაგრებლად ჰქონდა ფეხები, რომლითაც მიწაში ჩასობილ ხის ბოძზე ამაგრებდნენ. მაჯაგანში მოქნილ ტყავს დოდონაკში უფრო უკეთესად ამუშავებდნენ.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები, 1973.

დომაკი - საწოლი ლეიბი, ქვეშაგები.

დოხანი (ხევს.) - ნაწილობრივ მოხარშული და ერთმანეთში არეული სიმინდი, ლობიო და წმინდა ხორბალი. ზოგჯერ სვილსაც ურევდნენ, რომელსაც იყენებდნენ საკვებად. **დოხანჭრელი** - ხევსურული რიტუალური საკვები - ერთად მოხარშული სიმინდის, ლობიოსა და პურის მარცვლები. მზადდებოდა სულთაკრეფაში (დოხანჭრელობაში).

ლიტ.: ალ. ჭინჭარაული. ხევსურული თავისებურებანი. ტექსტებითა და ინდექსით. თბ., 1960, გვ. 214.

დრომა ამქრისა - საქართველოს ქალაქებში ხელოსნობის თითქმის ყველა დარგის ამქარსგააჩნდა საკუთარი დრომა, რომელიც გამოჰქონდათ სადღესასწაულო დღეებში და ხმარობდნენ ასევე თავიანთ სახელოსნო-სარიტუალო წეს-ჩვეულებების შესასრულებლად. დრომებზე ძირითადად გამოსახული იყო მფარველი წმინდანები და რეალური თუ ლეგენდარული პირნი, რომელთა სახელებიც, რაღაც ნიშნით, დაკავშირებული იყო ამა თუ

იმ დარგის აღმოჩენებთან. მაგ., მჭედლის დრომას ამკობდნენ ლითონის პირველი გამჭედელნი ბიბლიური იავანი და თობელი, ხარაზებისას ელია, ხუროებისას ნოე და მისი კიდობანი, სარაჯებისას ყურძენი და ა.შ. წმინდა გიორგი იყო უნივერსალური პერსონაჟი, რომელიც ხელოსანთა უმეტეს დრომებზე იყო გამოსახული, როგორც მრავალი ხელობის გამჩენი. ეს ვითარება ქართველთა უძველესი სარწმუნოების ფესვებს ააშკარავებს და ამ სფეროშიც კი გვევლინება იმ დიდი პოპულარულობის უშუალო დასტურად, რომელიც წმინდა გიორგის ეჭირა ქართველთა რელიგიურ პრაქტიკაში. ამ მომენტის ანალოგი ქართველთა უძველესი სარწმუნოების გადმონამთებშია დადასტურებული. მაგ., ასეთია სვანეთში - სოლანი, მეგრელებში - სოლომი, ხევსურებში - პირქუში, აფხაზებში - შშა.

ლიტ.: ნ. აბესაძე, ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, 1986.

დრომათ მცავი ანგელოზი / ალვის ტანისად მყოლი ანგელოზი / დრომა-დ-ბორაყისად მყოლი ანგელოზი / მებორაყე ანგელოზი / მედრომაე ანგელოზი - ხევსურები ლოცვებში ასე მოიხსენიებენ ჯვარის (ხატის) საკრალურ საგნის - დრომის ანუ ბორაყის, მფარველ სულს.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია) // მიმომხილველი. I. თბ., 1949, გვ. 124.

დრომა ხატისა - ქართველ მთიელთა საკრალური ნივთი. მთიელთა დღესასწაულის უმთავრესი ატრიბუტი. ხატ-ჯვარიონის დიდი სიწმინდე. ხატის დრომების აღნაგობა და შემკულობა მცირედი განსხვავებულობით ხასიათდება, იდეურად

კი ერთი იდეის მატარებელი არიან. ხატის დროშას გააჩნია მოჭრელებული და ზოგჯერ ვერცხლის დეტალებით შემკული ხის ტარი, რომელიც ბოლოვდება წვერზე წამოგებული ჯვრით ან უიმისოდ. დროშაზე შებმულია პატარა ზარ-ზანზალაკები, ხალხისაგან შეწირული ფერადი ნაჭრები. ზოგიერთ თემში დროშა დაშლილი ინახება და „დროშათ აბმას“ ხევისბერი დღესასწაულის წინ ახდენს. „დროშათ აბმა“ არის რიტუალური პროცესი, რომელსაც ხევისბერი უბრად ასრულებს. ზოგ დროშას დღესასწაულის დროს გარეთ გამოაბრძანებდნენ, ზოგს კი - არა. დროშის ამბმელ-გამომტანი კურატის სისხლით უნდა განიწმინდოს, რომ ღირსი იყოს მისთვის ხელის შეხებისა. სხვა ადამიანებს ეკრძალებათ ხატის დროშისათვის ხელის შეხება. გამზადებულ დროშას ხელოსანი „დარბასის“ კარში გამოიტანს, შემოივლის ზარების წკარუნით და იწყებს ხუცობას.

ლიტ. ე. ნადირაძე, ქართული ლუდი, 2011.

დუდუკი - ხის ჩასაბერი აღმოსავლური საკრავი. წარმოადგენს ცილინდრულ ღეროს, დამზადებულს თუთის ან ქერმის ხისაგან. საერთო სიგრძეა 28-31 სმ. თავში ჩასმულია ლერწამი. ამათგან ერთი გაკეთებულია ქვემოდან. ლულაში ჩადგმულია ლელის ან ლელქაშის ბრტყელი ორმაგი მილაკი, ე.წ. ყამიშები. დუდუკს აქვს ხავერდოვანი, რბილი ტემბრი, მდიდარია დინამიკური ნიუანსებით (ძლიერიდან ძალიან სუსტამდე). დუდუკი ძირითადად საანსამბლო საკრავია. როგორც წესი, ღუეტში ერთი მედუდუკე - უსტა (ოსტატი) ასრულებს მელოდიას, მეორე - დამქაში უბანებს. დუდუკები აშუღების სიმღერების თანმხლებიც იყო. დუდუკი პოპულარული საკრავია სომხეთში, აზერბაიჯანსა და დაღესტანში. არიან

პროფესიონალი შემსრულებლები. შედის ხალხურ საკრავთა ორკესტრების შემადგენლობაში. საქართველოში დუდუკი გავრცელდა XVIII ს დან, თბილისში. მალე მოიპოვა პოპულარობა. მოგვიანებით გავრცელდა თბილისის მიმდებარე სოფლებსა და რეგიონებში. აქ შეიქმნა თბილისური საშემსრულებლო სტილი, საკრავმაც მოდიფიცირება განიცადა, რის საფუძველზეც დამკვიდრდა ე.წ. „ქართული დუდუკის“ ცნება.

ლიტ.: დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკა, ქუთაისი, 1925. ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1963.

დუვალი (აჭარ.) - ქალის საქორწილო თავსაბურავი. კონუსისებური, მუყაოს ზემოდან დასაფენი ძვირფასი ქსოვილი. წითელი ფერის ქსოვილს, რომელსაც ხოჯა შეკერავდა პატარძალს გადააფარებდნენ თავზე. სტუმრების გასტუმრებამდე არ მოიხსნიდა. სასიძოს სახლში პატარძლის ქალის ძმა ან ნათესავი ვაჟი მოხსნიდა დუვალს და ქალიშვილების ჯგუფისაკენ გაიქნევდა, ვისაც მოხვდებოდა, ის განდებოდა ვაჟის საცოლუ. ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005.

დულუაჲ || დულაჲ - სვანური საქალებო წეს-ჩვეულება; სრულდებოდა ახალწლის წინა დღეს ან კვიმატებზე (2-3 იანვარს). საამდღისოდ უფროსი დიასახლისი აცნობდა ყველისგულიან კვერს, ე. წ. დულს, რომელსაც მამაკაცებისგან მალულად შეჭამდა. ზოგან (მაგალითად, სოფ. ფარში) კუიმტარის პირველ დღეს ოჯახის ქალები, დიდი და პატარა, დულაჲ ლიმზრს მამაკაცებისაგან ფარულად შე-

ჭამდნენ, შემდეგ კერასთან შეჯგუფდებოდნენ, ხოლო მამაკაცები ამ დროს იქაურობას ტოვებდნენ და გარეთ გადიოდნენ. დიასახლისი ფეტვის ფქვილს ადუღებულ წყალში ჩაყრიდა, შიგ ბლომად ყველს ჩათლიდა და იმდენხანს ზელდა, ვიდრე ფაფა არ შეიკვრებოდა და გაწელვას არ დაიწყებდა. შემდეგ, ქვაბს გადმოდგამდნენ და აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან მიაჩოჩებდნენ. იქ დიასახლისი ქვაბს მიწაზე წადმა დაატრიალებდა და შესწირავდა ბარბოლის სახელზე, რომელსაც მეწველი საქონლის გამრავლებას და წველის ბარაქას შეევედრებოდა. ლოცვის დასრულებისთანავე ფაფას დაინაწილებდნენ და შეექცეოდნენ. ამ ფაფას ქალები ყურტმას, ხოლო კაცები ლეშიდს უწოდებდნენ. მ. ჩართოლანის ცნობით დული არის კვერი, რომელსაც ორშაბათს ამოყვანილი ყველი აქვს ჩართული.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 102, 179; მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1961, გვ. 225.

დუმა (რჭ.) - თოფის კონდახის ბოლო ნაწილი (იხ. ჭყ., ქეგლ).

დუმბული - საბას განმარტებით, დუმბული არის მცირე ნადარა, ეთნოგრაფიულ ყოფაში მსგავსი საკრავი დამოწმებული არაა.

დურა-ტყავი - ცხვრის ტყავის ქურქი, აგრეთვე ცხვრის ტყავისაგან შეკერილი საბანი. ხევსურს „უგდია სახლში რამდენიმე ლაჭანი, წნული ჯინა ჩალით ან თივით დაგებული და ზედსახურად თითოში არის დურა-ტყავი“.

დურგალი - ხითხუროს შემცვლელი გვიანდელი ტერმინია. დურგალი აშენებდა ხის სახლს და ყველაფერი - კარი, ფანჯარა, იატაკი, კარი, მას უნდა დაემზადებინა და გაემართა. **დურდო / დურდლი** (ქართლ., ფშ., ქიზიყ.) – 1. კარაქმდნარის ნარჩენი, ღვინისა და ძმრის დანალექი, თხლე, რაიმე ნალექი, მღვრიე სითხე; 2. ფშავში - ერთმანეთში არეული ორი საჭმელი (მაგალითად, თუ აქვთ ლობიოს ნარჩენიცა და ხორც-წვენიც და ცალკ-ცალკე ყველას არ ყოფნის, ორივეს ერთმანეთში აურევენ, წამოადუღებენ და ისე მიირთმევენ (მხოლოდ ოჯახის წევრები, ბავშვების გამოკლებით).

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984; გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი. თბ., 2000.

დურეჯი (ქიზიყ.) - სკის თავსახური, გულამოდებული მორის ნახევარი.

ლიტ.: სტ. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

დურკი - ცაცხვის ხისაგან დამზადებული გულამოდებული ჭურჭელი. მომცრო კასრს წააგავს. კარგად ინახავს რძეს.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2005.

დუქანი - სავაჭრო სახელოსნო ნაგებობა, რომლის სინონიმი უძველეს ქართულ ძეგლებში არის „საფარდული“ და „სამოსასყიდლო“, ამათთან ერთად, XI-XII სს. წერილობით ძეგლებში გვხვდება დუქნის შესატყვისი უცხოური ტერმინი „ქულბაქი“. დასავლეთ საქართველოში დუქნის მნიშვნელობით ტერმინი „ხულაც“ ყოფილა გავრცელებული. დუქნის

მიგნით უშუალოდ მიმდინარეობდა სახელოსნო საქმიანობა, ხოლო მის წინპირზე გამოფენილი იყო სახელოსნო ნაწარმი და მათი რეალიზაცია აქვე ხდებოდა. არქიტექტურული თვალსაზრისით დუქნები სხვადასხვანაირი ფორმისა იყო: მაგ.: ორსართულიანი დუქანი, დუქანი-საცხოვრებლით, დუქანი დარაბებიანი და სხვა. დუქნები ზოგი ქვითკირისაგან იყო ნაგები, ზოგი კი ხისაგან. პირველი დამახასიათებელი იყო აღმოსავლეთის, ხოლო მეორე დასავლეთ საქართველოსათვის. ქალაქის დუქნები ერთი ქუჩის პირზე ჩარიგებულ შენობებს წარმოადგენდა და არქიტექტურული თვალსაზრისით საკმაოდ მოწესრიგებული იყო. მოგვიანებით დუქანი ეწოდა სასადილოსაც.

ლიტ.: შ. მესხია, საისტორიო ძეგლები, ტ II, 1983.; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2013.

დუქარდი (ფშ.) - ცხვრისა და თხის საკრეჭი დიდი მაკრატელი. წარსულში ამ მაკრატლით კრეჭდნენ ბავშვებსაც.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი. თბ., 2000.

დუშაყი - დაგრეხილი წნელი.

დუშლუყი (მთიულ.) – მამაკაცის სამოსი, პერანგზე ჩასაცმელი ჟილეტი, რომლის გული მოქარგულია ხვეული სახეებით. ჟილეტს არ იკრავდნენ, საყელოს ნაპირებს გადმოუწევდნენ და შეხსნილად

ატარებდნენ. ასეთი ჟილეტი, შეძლების მიხედვით, ზოგს სამი-ოთხი ეცვა. ჟილეტზე ახალუხს//არხალუხს იცვამდნენ, რომლის გულ-მკერდიც შავი ძაფის ტენილი ხაზებით იყო ნაქარგი. მთიულები ფშაველებს წააგავდნენ ჩაცმა-მოკაზმულობით. ფერებში შავი და მუქი ლურჯი სჭარბობდა. ხანში შესულები მხოლოდ შავ ტანსაცმელს ატარებდნენ, ახალგაზრდები კი - ფერადს. ასე იყო ყველგან - ხანდაზმულები „ჯიგრიან“, თალხი ფერის ტანისამოსს ატარებდნენ, ახალგაზრდები კი - „ლაღაფერს“ (მხიარულს). ჟილეტს გუდამაყრელი ქალების ატარებდნენ, ნაოჭიან გრძელ კაბაზე მოიცმევდნენ.

ლიტ.: ს. მაკალათია, მთიულეთი, 1930:104-105; ს. მაკალათია, ფშავი, 1985:122.

დუშლუდი - უსახელო, სანიადაგოდ სახმარი დალიანდაგებული დაბამბული ქართლში.

დუხტი (რაჭ.) - ბალახოვანი მცენარეა. მის ნორჩ ფოთლებს ფხალში ხმარობენ.

დღეწერა (ფშ.) - ბედისწერა, განგების მიერ დადგენილი სიკვდილის დღე.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი. თბ., 2000.

დღიური (ქართ. კახ.) -- მიწა, რომელსაც 8-10 წყვილი ხარ-კამეჩი დიდი გუთნით ერთ დღეში მოხნავს (იხ. მოდგამი).



ებანი- 1. ქნარის ტიპის სიმებიანი საკრავის სახელწოდება, რომელიც XIX ს-მდე იყო ყოფაში საქართველოში. მისი ზუსტი აღნაგობა ცნობილი არაა. თანმხლები საკრავის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი

ლიტ.: გრ. ჩხიკვაძე, სამუსიკო საკრავი ებანი და მისი რაობა.- მსე, VII, 1955.

ეგვტერი - ეკლესიის მოშორებით მდგარი პატარა სამლოცველო, საჟამნო.; ზოგჯერ მემორიალური.

ეკლოგია - მორწმუნეთა მიერ მოსახსენიებლებთან ერთად შეწირული სეფისკვერი, რომელიც წირვის დამთავრებისას, ჯვრის მთხვევის შემდეგ, კვლავ მორწმუნეებს ურიგდებათ. მისი მიღება დილით მხოლოდ უზმოდ შეიძლება. მლოცველთ ნაწილი ეკლოგიისა შინ მიაქვთ, რათა მომდევნო დღეებში დილის ლოცვების შემდეგ იხმიონ ნაკურთ წყალთან ერთად. ეკლოგიის წინ საჭიროა სათანადო ლოცვის წარმოთქმა: „უფალო ღმერთო ჩემო ჰყვენ ესე წმიდა ძღვენი შენი და წმიდა წყალი შენი, მოსატევებლად ცოდვათა ჩემთა, განსანათლებლად გონებისა ჩემისა, განსამტკიცებლად ცოდვათა ჩემთა, განსანათლებლად გონებისა ჩემისა, განსამტკიცებლად სულიერთა და ხორციელთა ძალთა ჩემთა, საკურნებლად სუ-

ლისა და ხორცისა ჩემისა, დათრგუნვად ვნებათა და უძღურებათა ჩემთა, განუზომელისა მოწყალებისა შენისა გამო, ლოცვითა ყოვლადწმიდისა დედისა შენისათა და ყოველთა წმიდათა შენთათა, ამინ“.

ლიტ.: *მართლმადიდებლის მცირე ლექსიკონი, 2002, ლოცვანი, 2000.*

ეზო-რიადაგი (რაჭ.) - სახლ-კარის გარემო ადგილები, კარ-მიდამო (იხ. გაჩ.).

ეთილი - აქ: ტყავის გასასწორებელი ხელსაწყო. წარმოადგენდა მრგვლად გათლილ ხეს, რომელსაც გამოშვერილ ნაწილზე სპილენძის, მარმარილოს, ან ლითონის ნაჭერი ჰქონდა დამაგრებული. ეთილს აქეთიქით წაავლებდნენ ორივე ხელს დაუსვამდნენ ბეწვის მხრიდან ტყავს მის გასწორებამდე. ეთილი ტყავს სინესტეს აცლიდა და გამძლეობას მატებდა.

ლიტ.: *ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.*

ეილანი - წითელი ფერის მინერალი, რომელიც გამოიყენებოდა საიუველირო ხელოვნებაში. საკმაოდ დიდი გამოყენება ჰქონდა ელინისტური ხანის გლიპტიკაში. სეილანით შემკული სამკაულები იშვიათად მაგრამ მაინც გვხვდება საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებში. სეილა-

ნით არის შემკული სხვადასხვა სახის სა-
ეკლესიო ნივთები.

ლიტ.: ვ. ზუხბაია, ქვის კულ-
ტურა საქართველოში, 1965.

**ელეგი, ელელი, კანთარი(რაჭ.) სა-
ბეჭური(ლეჩხ.) დუმლუდი, (კახ.)** - მა-
მაკაცის უსახელოო ჩასაცმელი. მასა-
ლად გამოიყენებოდა აბრეშუმი, შალი,
მაუდი, ხშირად წინა და უკანა ზურგი
სხვადასხვა ქსოვილისაა. დასარჩულე-
ბული იყო ფერადი ბამბის ქსოვილით.
მისი ნაწილებია: წინა ორი კალთა და ზუ-
რგი. წინ მთლიანად ჩახსნილი და დილ-კი-
ლოებით შესაკვრელი. „ჟილეტის“ ტიპის
ეს უსახელოებო ჩასაცმელი იყო საყელოი-
ანი და უსაყელოც, გულისპირზე ჯიბით მო-
რთული იყო სირმით და ზოგჯერ აპლიკა-
ციითაც. უსახელებო ელეგს მეორენაირად
„საზაფხულო ზუბუნსაც“ უწოდებდნენ.
ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი. ქართლელი გლეხის
კოსტიუმი XIX ს. სსმმ ტ XIX-A და XIX-B, 1957.

ემბაზი - საბანელი, განსაწმედელი,
ნათლისღებისათვის განკუთვნილი ქვის,
ხის ან ლითონის დიდი თასის მსგავსი (შე-
იძლება ოთხკუთხა ფორმისაც იყოს) ჭურ-
ჭელი. სამი პატარა შანდლით სანთლე-
ბისათვის, რომლებსაც ნათლობის საი-
დუმლოს ჩატარებისას ანთებენ. „ემბაზის
შვილი“ ნიშნავს მონათლულს. ნათლობის
საიდუმლოს გარკვეულ მომენტში ემბაზში
ჩასხმულ ნაკურთხ წყალში მღვდელი სამ-
გზის შთაფლვითა და ლოცვით ნათლავს
ერისკაცს. ბავშვის მონათვლა შესაძლე-
ბელია დაბადებიდან მე-9 ან მე-40 დღეს,
(ხოლო ჯანმრთელობისთვის რისკის შემ-
თხვევაში დაბადებისთანავე), რომელსაც
მონათვლის შემდეგ შეუძლია წირვა-ლო-
ცვაზე დასწრება, აღსარებისა და ზიარების
საიდუმლოებებში მონაწილეობა. მონათ-
ვლისას ადამიანს უფლისგან დაედგინება
მფარველი ანგელოზი, რომელიც მთელი

ცხოვრების მანძილზე და გარდაცვალების
შემდეგაც უხილავად იცავს მის სულს უწმი-
ნდურ ძალთაგან.

ლიტ.: საქართველოს ეკლესიის
კალენდარი, 2005.

ენდრო - საღებავი მცენარე. ხალხურ
სამღებრო საქმიანობაში იხმარებოდა
საღებავად. ენდროს ძირებში გამოირჩე-
ოდა გარეთა კანი, ცილი და მოყვითალო
შუაგული. მასთან შერეული სხვადასხვა
დასადედებელ-ფერმჭერის საშუალებით
(ნაცარი, შაბი, გამხმარი შვინდის ნახა-
რში, მურყნის ქერქის ნახარში და სხვა)
ღებულობდნენ წითელი ფერის ფართო
სპექტრს. ენდროთი იღებებოდა ბამბის,
შალის, მატყლის მრავალფეროვანი სა-
ფეიქრო ნაწარმი. იგი იძლეოდა უხუნებ,
მდგრად ფერებს. ენდრო საქართველოში
უძველესი დროიდან იყო ცნობილი. ინტე-
ნსიური წარმოების გამო საექსპორტო სა-
განსაც წარმოადგენდა. საქართველოდან
იგი აქლემებით გაჰქონდათ აღმოსავლეთ
ქვეყნებში. ქართული ენდრო წარმატებით
უწევდა კონკურენციას საერთაშორისო ბა-
ზარზე აზიურ და კაპრისენდროს. ამის გამო
ენდრო XIX ს. 60-იან წლებიდან რუსეთის
მიერ „კოლონიალურ“ მცენარეების გაშე-
ნების პროექტში იყო შესული, რისთვისაც
მისი მოშენების საგანგებო აგროტექნი-
კური ღონისძიებები იქნა შემუშავებული.
მისი პლანტაციები გაშენებული იყო საქა-
რთველოს სხვადასხვა ადგილას (თელავი,
სიღნაღი, აწყური, ქუთაისი). XIX ს. 70-იან
წლებიდან ხელოვნური საღებავის -ანი-
ლინის მიღების შემდეგ საფუძველი გამო-
ეცალა ენდროს მოხმარებას და გაშენებას.
ამჟამად ველური სახითაა გავრცელებული
ქართლ-კახეთსა და იმერეთში.

ლიტ.: ქართული მატერია-
ლური კულტურის ეთნოგრაფიული
ლექსიკონი. თბ., 2013.

უნდა (რაჭ.) - წვრილი ბაწარი, რომელსაც კალატოზები ხმარობდნენ კელლის სწორად გასაყვანად, იგივე ლარი.

ლიტ.: ქვოსკ, 1974.

ეჟვანი - საჟღარუნო პატარა ზარაკი, რომელიც შეებმებოდა დროშებსა და ალმებს, სარიტუალო თუ სატრანსპორტო ეტლებს, საქონელს. ხმარობდნენ სხვადასხვა ტიპის ეჟვნებს, რომელთაგან გამოირჩევა მრგვალი უნო ეჟვანი, მას შიგნით რკინის ბურთულა აქვს მოთავსებული და პატარა შენძრევაზედაც კი ხმას გამოსცემს. სარიტუალო თუ საბრძოლო დროშებზე ეჟვნების შებმა და მათი ხმაური გამოკვეთდა არსებული მდგომარეობის საკრალურ ბუნებას. ეჟვანს პრაქტიკული დანიშნულებით გამოიყენებდნენ ეტლებზე, აბამდნენ საძოვარზე გაშვებულ საქონელს, დაკარგვის შემთხვევაში, მათ ხმაურზე უფრო იოლად რომ მოეძებნათ. ბრინჯაოს ხანის მასალებში მოიპოვება დიდი რაოდენობით ეჟვნები, რაც იმის მაუწყებელია, რომ ამ ნივთს ფართო რელიგიური და პრაქტიკული დანიშნულება ჰქონია.

ერბო - გადამდნარი კარაქი. კარაქის ერბოდ გადადნობა ხევსურეთში - „კარაქთ დაძირების“, ფშავში - „ერბოს გადადნობის“, ხევში - „კარაქის გადნობის“, თუშეთში - „კარაქის გამოდნობის“, მთიულეთგუდამაყარში - „კარაქის გარჩევის“ სახელით არის ცნობილი. ერბოს მომზადებისას გადღვებილ კარაქს ქვაბში ნელ ცეცხლზე გადაადნობდნენ, გაწურავდნენ და იმავე ქვაბში ჩააბრუნებდნენ. დროდადრო წყალს ან რძეს (რძე „კარაქის ძირისად“ იყო კარგი) ჩაუმატებდნენ და კვლავ ცეცხლზე შემოდგამდნენ. როცა ადუღებოდა ქერის, სვილის ან სიმინდის ფქვილს ჩაყრიდნენ (4კგ. კარაქზე ერთ მუჭ ფქვილს). ქერის ფქვილი ერბოს კარგად „წურავდა“, სვილისას - ძლიერი, მსუყე ერბო გამოჰყავდა. დაახლოებით

ერთი საათის დუდილის შემდეგ კასრებში გადაასხამდნენ. მეორე ხერხით, სითხეს აადუღებდნენ ქაფის დაკარგვამდე. გადმოდგმულსა და შენელებულს მარილს მოაყრიდნენ, წყალს აჰკურებდნენ და თან ურევდნენ. ერთ-ორ საათს ქვაბში თავდახურულს ამყოფებდნენ. როცა ერბო „დაიწვინებოდა“ (მთიულეთი) და კარაქის ლექი ქვაბის ფსკერზე დაილექებოდა, საერბოე კასრში გადაწურავდნენ. როგორც წესი „ერბო ზეთს მაიდგამს“ და იმას „წურულ ერბო ჰქვია“ (ხევსურეთი). მოზრდილი ადამიანისთვის წლიურად ფუთნახევარ ერბოს ანგარიშობდნენ. ერბო გამოიყენებოდა ყველა სახის ხინკლის (გარდა ხორციანისა) ამოსაწებად, კერძებში - ჩასახრაკ-ჩასამუშად, ქადისკვრების ამოსავლებად, ხავიწის დასამზადებლად, სტუმრებთან ჯამით სუფრაზე ჩასადგმელად და სხვა. ერბო ფულის მაგივრობას სწევდა და ძირითადად მასზე იცვლებოდა ხევსურთათვის საჭირო საქონელი. საქართველოს მთიანეთში ერბოს გამოიყენებდნენ სარიტუალო მიზნებისთვისაც. პირველ შედღვებილ ერბოს ცალკე შეინახავდნენ და იმით დამზადებულ ქადას არყის ზედაშესთან ერთად ხატში მიიტანდნენ ძროხების „შესახვეწად“, ხევისბერი „ჯვარად გასჭრიდა“ ერბოს და დაამწყალობებდა: „წყალობა მოგცეს ამ ხატმაო, რისაც კარზე მახვედ, წყალობა გამოგაყოლოს კაცისაო, საქონლისაცაო. შენ იყოს მწყალობელი და შენი ოჯახისაო“ (ხევს.). ამ ერბოთი დამზადებულ ქადას, აგრეთვე, გაიხმარდნენ დღეობებზე სტუმრის პატივსაცემად.

ლიტ.: ლ. კაიშაური, მთიულეთის დარგობრივი ლექსიკონი, 1967. გ.ჩიტაია, ხევსურული სახლის „სენე“, ანალები, I, 1947.

ერბობა (ხევს.) - ხევსურეთის „სოფ. ახიელში, ამაღლებაში მწყემსებს საგზლად მიაქვთ ერბო. ეს დღე ღალის დღედ

ითვლება და ერბობას ეძახიან“ (მდრ. ზისცვარობა - იხ.).

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

ერბოს ნათავარი (ხევს.) - გაზაფხულზე პირველად შედღვებილი კარაქის ერბო.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

ერდო - ერდოგვირგვინიანი სახლის ბანში ამავალი ღია ადგილი, საიდანაც შემოდის სინათლე და გადის კვამლი.

ერეჯიბი - კაჟიანი თოფის სახელწოდება. ტერმინი მომდინარეობს ოსტატის სახელიდან. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ერეჯიბი, ანუ ირაჯიბი იყო ადიღეული ოსტატი, რომელიც XVIII ს-ში მოღვაწეობდა და ამზადებდა საუკეთესო თოფებს. ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება, რომ ერეჯიბი (XVIII-XIX) ამზადებდა შამხანის ტიპის ხრახნულულიან იარაღს მასიური ლულებითა და კონდახებით, რომელთაც ირმის რქით აპირკეთებდა, ასეთი თოფები მის სახელს ატარებდა და ძალიან ძვირადაც ფასობდა. ერეჯიბი საქართველოშიც იყო გავრცელებული. ამ თოფის სახელწოდება გვხვდება ხალხურ პოეზიაშიც.
ლიტ.: Э. Аствацатурян - ОРУЖИЕ НАРОДОВ КAVKAZA, 1995.

ერთონა (რაჭ.) - ბავშვთა თამაშის - კენჭაობის ერთ-ერთი ფიგურა.

ერქვანი - ძველად ამ სახელწოდებით ცნობილი იყო სახვნელი იარაღი ჯილდა. თანამედროვე ქართულ ენაში „ერქვანი“, „ვერქვანი“ აღნიშნავს სახვნელი იარაღის სახელურს.

ერქვანი || **ერქვანა** (რაჭ.) - სახვნელის ნაწილია - კაპიანი ხე (კაპი სახელურად გა-

მოიყენება). მისი საშუალებით მხვნელი მართავს სახვნელის მუშაობას (ზოგან სინონ. ხელა) (იხ. ჩიტ.).

ეტი - ვენახს ყოფენ ერთჯერობაზე შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით. ვენახის ამ მონაკვეთებს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელს უწოდებენ. ეს სახელწოდებანი ხშირად საზიაროა ბადის, ყანის, ბოსტნის სათანადო მონაკვეთების სახელებთან. ეტი - ვენახის ნაწილია, ერთი ეტი, ერთი კვალი (ქართლ.). კახეთში მისი სინონიმია „სვე“, იმერეთში - „სვრელი.“ ქართლ-კახეთში ვენახები ბილიყებითაა დასერილი, ისინი ტახტებად, ქუსმებად ყოფენ ვენახებს. სულხან-საბა ორბელიანის „არაკალი - ვენახის ეტი,“ ცოცხალ მეტყველებაში არ გვხვდება.

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტ. დაკავშირ. 1978:166-167; სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. 1, 1991:60.

ეტრათი - **ეტრათი** - ტყავისაგან დამზადებული საწერი მასალა. საქართველოში X-XI საუკუნემდე სამწიგნობრო ხელოვნებაში გამოყენებულ საწერ მასალას ტყავისაგან ამზადებდნენ. XI საუკუნიდან თანდათანობით ხმარებაში შემოდის ქაღალდი. ეტრათზე შესრულებული უძველესი ქართული ხელნაწერები - პალიმფსესტები V-VIII საუკუნეებით თარიღდება (პალიმფსესტი - ეტრათის ფურცელი, რომელიც ძველი ტექსტის გადაფხევის შემდეგ ხელახლა არის გამოყენებული საწერ მასალად). ცხოველის (ცხვრი, თხა, ხბო) ტყავისაგან დამზადებულ საწერი მასალას მცირე აზიის ქალაქ პერგამონის მიხედვით პერგამენონი ეწოდა. მისი ქართული შესატყვისია „ეტრათი“. იგი ქართულ წერილობით ძეგლებში X საუკუნიდან დასტურდება. პარალელურად გვხვდება „წიგნი ტყავისა“ (X ს., XI ს.). სულხან-საბა ორბე-

ლიანს ეტრატი განმარტებული აქვს, როგორც „ტყავის ქალაღი, წიგნის ტყავები“. ქართულ ხელნაწერებზე დარული ანდერძ-მინაწერების მიხედვით, ეტრატის დასამზადებლად ბატკნის, თიკნის და ზოგჯერ ირმის ტყავსაც იყენებდნენ. საწერი ეტრატისაგან განსხვავებით, ყდის შესამოსად, ძროხის ან სხვა რომელიმე ცხოველის შედარებით სქელ და უხემ ტყავს ხმარობდნენ. ტყავს რეცხავდნენ, ამუშავებდნენ ნაცრით, ნაცრისა და კირის ნარევი ან კირიანი წყლით, შემდეგ აცლიდნენ ბეწვის და ხორცის ფენას, ამისთვის გამოიყენებოდა სპეციალური ხელსაწყოები – ვარაჩო და დემური. კვლავ რეცხავდნენ და მიღებულ სუფთა ღერმას, ჭიმავდნენ ხის ჩარჩოზე. გაჭიმულ ღერმას ამრობდნენ და თან ამუშავებდნენ მრგვალპირიანი დანითა და პემზით ერთგვაროვანი გლუვი ზედაპირის მიღებამდე. ეტრატისაგან დამზადებულ ხელნაწერს ორგვარი ფორმა შეიძლება ჰქონოდა. ერთი მათგანი რვეულებად შეკრული და ყდაში ჩასმული ხელნაწერი წიგნი - ფურცლებად დაჭრილ და დაკეცილ რვეულებს შეიცავდა, ხოლო მეორე – გრაგნილი, ერთი მეორეზე გადაკრებული ან მიწებებული ფურცლების დახვევით ანუ გრაგნით მიიღებოდა. გრაგნილის შემადგენელ ფურცლებს „კეფი“ ერქვა. დ. გოგაშვილი, ეტრატი - საწერი მასალა და მისი დამზადების წესი, მრავალთავი, XX, თბ., 2003.

ლიტ.: შ. მესხია, საისტორიო ძიებანი ტ.1, 1982.

ეშმა - ქალცედონის, არაგამჭვირვალე, მკვრივი სახესხვაობა, რომელიც დამუშავების შემდეგ იძენს ფერთა მრავალფეროვან გამას, ამ ქვისგან ამზადებენ ლარნაკებს, ფიალებს, ადრეულ ხანაში ეშმას იცნობდნენ იასპის სახელწოდებით. საქართველოში ეს მინერალი ნეოლითის ხანიდანაა დადასტურებული, ხოლო მისი

დამუშავება და ესთეტიკური მნიშვნელობით გამოყენება უამრავი სახის ძეგლზეა დადასტურებული.

ლიტ.: ვ. ზუზბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.

ეჩო - ხის მოხელის სათლელი იარაღი. ყოფაში გავრცელებულია სინონიმები: ეჩო (ქართლ. კახ.), ხელეჩო, ღორეჩო (იმერ.), ღორაჩო (ქიზ.), ეჩუა (გურ.), ქესარი (აჭარ.), ეჩვაი, ხელეჩვაი (ფშ.), ქოთქოთო და ა.შ. შედგება ლითონის პირისა და ხელტარისაგან, არის პატარა ეჩო - ხელეჩო და დიდი - თოხეჩო, ფეხეჩო, მძიმე ეჩოები. ეჩო თავისკენ მიითლის ნაფოტს და მთლელისკენ ისვრის. რაც თავისებურად არის ასახული ხალხურ სიტყვიერებაში: „...განა კაცი ეჩო არის, სულ თავისკენ მიითლიდეს“.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ეჭრამი, ჩარჩაბი (მესხ-ჯავახ.) - ჩადრის სახეობა. თხელი შალის თეთრი ქსოვილის. 1 ან 1,5მ სიგანისა და 3მ სიგრძისა. ამ ქსოვილს ამზადებდნენ სომეხი ან ებრაელი ხელოსნები ქ. ახალციხეში. ეჭრამს ატარებდნენ შეძლებული ფენის წარმომადგენელი ქალები. ოსმალთა ბატონობის დროს გათხოვილი ქალის ჩაცმულობის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი, ქალის ტანზე სრულად მორგებული. ორი ფართო მანი ერთმანეთზე გადაკრებული. წინა მხარეს წელს ზემოთ გახსნილი. სახლის გარეთ ჩასაცმელ ამ ელემენტს ზოგჯერ წინ ბოლომდე ჩახსნიდნენ.

ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005, ლ. ბარათაშვილი, მასალები XIX საუკუნის ქართული ხალხური ტანსაცმლის ისტორიისათვის მესხეთ-ჯავახეთიდან. მსმკი, 1966.



ვაგაკეტი, (ამკეტი) - დიდი ქვების ასაწევ-გადასაბრუნებელი მრგვალი რკინის მასიური იარაღი. სამი-ოთხი არშინის სიგრძის და წონით ხუთ ფუთამდე. ერთი თავი წვერიანი აქვს, მეორე გაბრტყელებული. მისი საშუალებით დიდი ქვის ლოდები დაიძვრება კლდიდან. მისი სიგრძის წყალობით შესაძლოა ორმა-სამმა კაცმა 2-3 ტონიანი ქვა გადააბრუნოს.

ვაზი - 1. მცენარე, რომლის ნაყოფისაგან - მტევნისაგან აკეთებენ ღვინოს. საქართველოში მიჩნეულია ვაზის უძველეს სამშობლოდ, რაც დადასტურებული არქეოლოგიური მასალებით. საქართველოში 500-ზე მეტი ვაზის ჯიში გვხვდება. 2. ქვის ძეგლებზე გამოსახული ვაზი ქართველთა წარმართული რელიგიისა და ქრისტიანობის უდიდესი სიმბოლოა. IX-X საუკუნეებიდან მოყოლებული, ქართული ენის ძეგლებში დადასტურებულია ტერმინი ვაზი ყურძნის ხის მნიშვნელობით. ვენახი ვაზის მნიშვნელობით გვხვდება ძველ ქართულში. „მე ვარ ვენახი ჭემმარიტი და მამა ჩემი მოქმედი არს. ყოველმან რტომან, რომელი ჩემთანა არს და არა მიიღის ნაყოფი, აღიღოს იგი“ (იოანე 15, 12). ვენახი ერთი ძირი ვაზის მნიშვნელობით გვხვდება თანამედროვე ქართულის უპირატესად დასავლურ კილოებში. ყურძნის ხის მნიშვნელობით ლეჩხუმში მა-

მული გვხვდება. ზემო აჭარულში - ვაზის მნიშვნელობით - ყურძენიც, ხოლო რაჭა-ლეჩხუმში ლერწიც გვხვდება. ვენახს 8 სინონიმი აქვს, ვაზს -7, გარეულ ვაზს - 31 სინონიმი.

ლიტ.: ახალი აღთქუმაჲ, თბ., 2005:193; ლ. ასათიანი, ვაზის კულტ. დაკავშირ. 1978.

ვაზის ბელისკვერი - ჭიგო-სარის, სარზე შემოხვეული ვაზის, ქვევრის მოყვანილობის კახური საახალწლო რიტუალური პურები; აცხობდნენ ყურძნის მოსავლის სიუხვის დაბეღების მიზნით. საახალწლო საკვლევარზე მოთავსებული კვერებით დილით მეკვლე ეზოს შემოივლიდა, სახლში შემოვიდოდა, დაილოცებოდა, შემდეგ ვენახის კვერებს ვენახში შეიტანდა, სანთელს აანთებდა და დაილოცებოდა, კვერს ვაზთან გადატეხავდა, ღვინოს დალევდა და კვერსაც იქვე შეჭამდა.

ლიტ.: ნ. თოფურია. მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები კახეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXI. თბ., 1981, გვ. 122.

ვაზის დასხდომა -- ვაზის ზრდის, კვირტის ამოძღავეების სხვადასხვა პე-

რიოდი სხვადასხვანაირად აღინიშნება. მაგალითად, ვაზის დასხდომა//კვირტის ძვრა (ქიზ.) - გასაცოცხლებლად მომზადდება. გაიღვიძებს ვაზი (ქართ. კახ. იმერ.); გაიხარებს// იხარებს//ხეირობს//იხეირებს (ქართ. რაჭ.); კვირტის წვიმა (იმერ.). მტევნის, ფოთლის, ყლორტის... გამოსხმას აღნიშნავს: ამოჭრის, გამოიტანს, ამოხეთქს, ამოკურკურდება. ზრდისას - გამომცენარდება ვაზი, დაიმუხლება (რაჭ.); გაიფუთქება//აყვავდება// დაიყვავილებს (ქართ.). ყუავის - ძველ ქართულ ენაში. ვაზის ყვავილობა თანამედროვე ენაში ვაზის ზრდას ეწოდება, ხოლო ზრდის თავისებურება ქართველ მევენახეს ასე გამოუხატავს: გადაიბარდლება//გაიფარჩხება (ქართ.); გაიბურტყლება//გაიპარტყნება (რაჭა)//გადაიჩიჩხლება (ლექს.); გათამამდება ვაზის რქა (ქართ.); გაყილდება//გაგორდება//გაბრიყვდება (რაჭა) და სხვა.

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტ. დაკავშირ. 1978:68-74.

ვაზის დაწვრილშვილება - როცა ვაზს რქით მეტის-მეტად დატვირთავენ, ე. ი. ზომამზე მეტ რქას დაუტოვებენ, ვაზი „რქად იქცევა“, მისი ძალა რქის ზრდაში იხარჯება. მართალია, ბევრსაც მოისხამს, მაგრამ „ძალა დაადგება და ქვირილთას გამოიტანს. ამგვარად დატვირთულ ვაზს „დაწვრილშვილებული ვაზი“ ჰქვია.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

ვაჟინა || ვეჟინა და ჟიჟინა || ჟიჟინა - ლეგენდარული გმირები (მამა-შვილი, ან ძმები) ლეჩხუმური და ქვემო სვანური მითოლოგიური გადმოცემების მიხედვით. ლეჩხუმური გადმოცემის თანახმად, სოფ. ტვიშში არსებულ კოდორას წყაროს ერთი გაუმაძღარი და ბავშვთა მტაცებელი გველეშაპი დაპატრონებია და სოფელისთვის წყლით სარგებ-

ლობა აუკრძალავს, თუკი მსხვერპლად ბავშვებს არ მიუყვანდნენ. საქმე იქამდეც კი მისულა, რომ უწყლოდ დარჩენილი სოფლები ცომს საკუთარი შარდით ზელდნენ. სოფელში მამა-შვილ ვაჟინასა და ჟიჟინას ჩამოუვლიათ, გაუგიათ ხალხის გასაჭირი და გველეშაპი მოუკლავთ, მაგრამ მის შხამს ისინიც დაუხოცავს. ეს დიდმარხვის პირველ დღეს მომხდარა. ამიტომ მაღლიერ სოფელს მამა-შვილის სახსენებლად სწორედ შავი ორშაბათი დაუწესებია. მოყოლებული იმ დროიდან, ყოველი ოჯახი საამდღისო განატეხს აცხობს და ვაჟინასა და ჟიჟინას შესანლობარს სვამს. სხვა გადმოცემით, ძმები - ჟიჟინა და ვაჟინა - შავ ორშაბათს სანადიროდ წასულან, მხეცს შებმიან და დაღუპულან.

შუა დიდმარხვის ოთხშაბათს სვანის ოჯახში აცხობდნენ ერთ დიდ პურს, რომელსაც ხალხი „ფანს“ უწოდებდა. ვახშმად ამ პურს დაჭრიდნენ იმდენ ნაწილად, რამდენი ყანაც ჰქონდათ. ჭრის დროს მამაკაცი მარცხენა ხელით პურს დააჭერდა დანას, რომლის ყუაზე მარჯვენა ხელით მარილის სამტვრევ ქვას დაარტყამდა და იტყოდა: „ასე გაიჭრას ჩემი ყანის ჭაობი“. ვახშმობამდე კი ამ პურს ჟიჟინასა და ვეჟინას სახელზე აკურთხებდნენ. სვანური გადმოცემა გვამცნობს: ძველად სოფელს ერთი მგელი შემოიჩვევია და ბავშვები სულ დაუტაცნია. ამ სოფლის მკვიდრს - ჟიჟინას, რომელსაც ერთადერთი შვილი ვეჟინა|| ვოჟინა ჰყოლია, მგლის შიშით თავისი ვაჟი მოწნულ გოდორში ჩაუსვამს და თავად იქვე მიმალულა: როგორც კი მგელი მოვა და ბავშვს დაეცემა, მოკლავო. მგელი მართლაც მოსულა, ჩამხტარა გოდორში, ჟიჟინა ხანჯლით მიჭრია და მოუკლავს, მაგრამ უნებურად ვეჟინაც გაუფატრავს. ამ უბედურებას მთელი სოფელი შეუწუხებია და ჟიჟინასთვის უთქვამს: რაც გინდა გვთხოვე, შეგისრულებთო; ჟიჟინას უთხოვია: ყოველ

შუა დიდმარხვაში ჩემს ვაჟს ფანი გამოუცხვეთ და სუფრა უკურთხეთო. ხალხი ჟივ-ჟივას ნაანდერძევს დღესაც ასრულებს.

მ. მაკალათიას აზრით, ვაჟინა და ჟივჟინა წარმოადგენენ მიცვალებულთა სულებს, რომლებიც, ერთი მხრივ, წყლის სტიქიასთან არიან დაკავშირებულნი, მეორე მხრივ კი - გარეულ ნადირთან.

ლიტ.: მ. ალავიძე. ლეჩხუმური ზეპირსიტყვიერება. თბ., 1951, გვ. 128; ბ. ნიჟარაძე. სვანების ზოგიერთი ჩვეულებანი და ცრუმორწმუნეობანი (შეკრებილია თავისუფალ სვანეთში) // ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე. თბ., 1973, გვ. 78; მ. მაკალათია. წყლის კულტის გადმონამთები ლეჩხუმში // მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბ., 1985, გვ. 125-146.

ვარაყი, მოვარაყება - სხვადასხვა დანიშნულების ნივთის შესამკობად ოქროს ან ვერცხლის თხელი ფენის გადაკვრა. ფეოდალურ ეპოქაში ავარაყებდნენ საომარ იარაღებს: ხმალს, ხანჯალს, ფარს, დამბაჩას, თოფს, უნაგირს და სხვა. ვარაყით არის აგრეთვე შემკული ძველი ქართული ხელნაწერი წიგნები. ვარაყით ამკობდნენ ფაიფურის ჭურჭელსაც.

ვარაჩო - გამოიყენებოდა ტყავის დამუშავებისას, წარმოადგენს უბრალო ხეს, რომლის ერთ ბოლოს დებდნენ მიწაზე, მეორეს მიაყრდნობდნენ კედელს. ზედ ტყავს გადაჰკიდებდნენ და დემურით ფხეკდნენ ბალანას და ლეშკს. ლიტ.: სტ. მენტეშაშვილი, *ქიზიყური ლექსიკონი*, 1943.

ვარდული, ქულბაქი - ლაზური სახლის შუა ჭერში მიკრული სამშვენისი, პლასტიკური რელიეფით შესრულებული,

მრგვალი ფორმის ფართო დისკო, რომლის ორნამენტული დეკორი დატვირთულია მცენარეული ორნამენტით, განსაკუთრებით მსხმოიარე ვაზის მოტივით. ვარდულში განსახირიებული მოტივით. ვარდულში განსახირიებული ოსტატის ხეზე კვეთილობის შემოქმედებითი შესაძლებლობა, ხოლო მისი სიმბოლური შინაარსი დატვირთულია ბარაქიანობის, ნაყოფიერების, ზოგადად ქვეყნიერებისა და კერძოდ, ოჯახის სიტბოსა და სინათლის მინიჭების სიმბოლიკით. ვარდული ყველაზე მეტად დამახასიათებელი იყო ლაზური სახლისათვის (იხ. ლაზური სახლი). ლიტ.: თ. ჩიქოვანი, ქართული ხახლური საცხოვრებელი.

ვარია (ხევს.) - ნაღების დასამზადებელი ხის ან თიხის ჭურჭელი, რომელიც ფართო მასშტაბის სამეურნეო საქმიანობისთვისაა დამახასიათებელი. ვარია ცილინდრული ფორმის მთლიანი ხისგან გამოთლილი გულამოღებული და ორმხრივ დახურულია, რომელსაც ზემოდან შუა ადგილას ოთხკუთხად ან მრგვალად ამოჭრილი პირი აქვს. ვარიის ტანს აქვს ნაჩვრეტი - ლულა, საიდანაც გადმოედინება დო. ვარია დღევანდის დროს ჭერში თოკითაა ჩამოკიდებული და მდღევანდის მას ერთი მხრიდან მეორისკენ თანაბარზომიერი ბიძგებით ამოძრავებს. ვარიის ფსკერის ზომა თანაბარი არაა. მისი ერთი მხარე პატარაა, მეორე კი დიდი, რადგან წინააღმდეგობა მეტი ექნეს სადღვებ რძეს და მალე შეიდღვიბოს. ვარია ზოგადად განიერი უნდა იყოს, რომ რძემ დიდი გაქანება მიიღოს და არ შეიხუთოს. ყოფაში გამოყენებული ყოფილა სპილენძის ვარიაც, რომელიც უფრო მეტად იცავდა თანაბარ ტემპერატურას, მაგრამ ნაღებს სპეციფიკურ გემოს აძლევდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გვხვდება თიხის სადღვებელი ვარიებიც, რომლებიც ეყრდნობოდა აკვნისებურ საგოგავებს და

მღვდლებს მისი მეშვეობით მოჰყავდა მღვდომარეობაში. ეს საღვთისმეტყველებელი მიეკუთვნება ვერტიკალურ საღვთისმეტყველებელ ტიპებს და იგი ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს მთიანეთში (იხ. ღოთქუნა// კარაბა, ჩხუტ-ბრუნელი).

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

ვარიოზი - ქვის სამტყრევი მასიური რკინისთავიანი იარაღი. იხ. ურო.

ვარყა (ზმ., გლ.) - დაუკოდავი ცხენი (იხ. ვაყა).

ვარცლი - პურის ცომის მოსაზელი ნავისებური ხის ჭურჭელი. ძირითადად ორი სახისაა. ერთი დიდი ზომის, ფეხებიანი, სადაც ერთდროულად 30-40 კგ ცომი მოიზილებოდა დიდ ოჯახში, ასევე ქორწილისა და ქელეხის დროს. ვარცლი ღრმა ჭურჭელია, განუთვნილია საფუარიანი ცომისთვის და მისი კონსტრუქცია მისადაგებულია ფუების, ამოსვლის პროცესთან. ვარცლის მეორე ტიპს ხელვარცლი ეწოდება და ყოველდღიურად მოიხმარებოდა. ასეთი ვარცლის სიღრმე და სიგანე იმ ზომის უნდა ყოფილიყო, რომ შიგ საცერი თავისუფლად ჩატეულიყო. ხელვარცლს მცირერიცხოვან ოჯახში ხმარობდნენ. ზოგიერთ ვარცლს იმხელა ფრთები ჰქონდა, რომ პურის გუნდის მომზადება მასზევე ხდებოდა. ვარცლი გავრცელებული იყო მთელ საქართველოში, მაგრამ სხვადასხვა სახელწოდებით. მაგ., მესხეთში - გობი, სვანეთში - ჯარ, რაჭაში - ორე. ვარცლის გავრცელების არეალები ძირითადად ემთხვევა იმ რეგიონებს, სადაც მემინდვრეობაში ძირითადად პურული კულტურები იყო გავრცელებული. პურის ცხობა ოჯახში საპატიო მოვალეობად ითვლებოდა და მას ტრადიციულად ოჯახის უფროსი ქალი უძღვებოდა. დიასახლისად დალოცვაც ვარცლთან ერთად ხდებოდა.

ვაყა (ქვ.) - დაუკოდავი ცხენი (იხ. ნიქარ., ღლ.; შდრ. ბერ., ქეგლ).

ვამკარანი - ზოგადი სახელია შთასადებელთა ჭურჭელთა ნაქსოვთა, ანუ ტყავისათა (საბა). ესენი არიან: ბალანტი, გულაგი, გუდა, ველავარაკი, თალია, თალისი, მაფრაშა, მანდიკი, მახალი, მახალიკი, პარკი, საცალო, ტომარა, ქისა, პავარაკი, საქუფთე, ურნატა, ტუნკია, ჩახვი, ჩალთა ანუ შალითა, შულდაკი, ხალთაგუდა, ხურჯინი, აბგა, ჯალდანი, კუზდანი გინა ამიანური.

ლიტ.: ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, 1961.

ვამლა ბია (ქვ.) - კომპის ერთ-ერთი სახეა. აქვს კონუსური ფორმის მსხვილი, არომატიანი ნაყოფი (იხ. ბრეგ., 86).

ვენახი -- ვაზის ბაღის აღმნიშვნელი ძირითადი ტერმინია, ბიბლიაში არაერთგზის გვხვდება. კერძოდ, „შვილო, წარვედ და იქმოდე ვენაჟსა ჩემსა“ (მათე 21,28). ამავე მნიშვნელობითაა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება). ვენახი ფართოდ არის გავრცელებული ქართული ენის კილოებში. ვენახთან ერთად, სხვა სახელწოდებებიც გვხვდება. მაგალითად, ვენახოვანი, სავენახე, საყურძენე; იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ვაზიანი, ვაზი, მამული. ეს უკანასკნელი, ძირითადად, ქართული ენის დასავლურ კილოებშია, ხოლო ქართლსა და კახეთში მამულს უფრო ფართო მნიშვნელობით იყენებენ. ვენახისა და მისი სინონიმებისაგან ნაწარმოები სიტყვები გვხვდება ახალსა და ძველ ქართულში. მაგალითად, ნავენახარი, მევენახე, მეზუარე//მეზვრე//ნაზურევი//ვაზნარი.

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტ. დაკავშირ. 1978:93-95; ახალი აღთქუმაჲ, თბ., 2005:42.

ვენახის დარკინვა - ვაზის კულტთან დაკავშირებული რაჭულ-ლექსუმური წეს-ჩვეულება - ნაგვირგვინევი კაცის მიერ ვაზის ძირში ძველი წალდის ან სასხლავის ნატეხის ჩაფლვა. რაჭაში იგი ყველიერის შაბათს, ხოლო ლექსუმში დიდმარხვის პირველ დღეს - შავ ორშაბათს - სრულდებოდა. ლექსუმში კვირა სალამოს, გარდა ვენახისა, რკინავდნენ ხეებსაც - ტანზე რკინის იარაღს შემოუკაკუნებდნენ. შემდეგ ყველა იარაღს (რკინისას) დამალავდნენ და მეორე სალამომდე ხელს არ ახლებდნენ. შავი ორშაბათის სალამოს ილოცებდნენ, ჟიჟინასა და ვაჟინას (იხ.) შესანდობარს შესვამდნენ და რკინას „გახსნიდნენ“: იარაღის ხმარება იმ დამესვე შეიძლებოდა. ამ დღეს არც უქმობდნენ და არც განატეხს აცხობდნენ.

ლიტ.: მ. ალავიძე. ლექსუმური ზეპირსიტყვიერება. თბ., 1951, გვ. 128; ლ. ფრუიძე. მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით. წიგნი I. რაჭა. თბ., 1974, გვ. 262.

ვენახის ლოცვა - ვაზის კულტთან დაკავშირებული რაჭული წეს-ჩვეულება; სრულდებოდა ბოსლობას, ყველიერის წინა კვირის შაბათს. დიასახლისი აცხობდა „ლერწის განატეხს“ - ქადიან ან ყველიან მრგვალ პურს, რომელსაც ზედაპირზე რელიეფურად მტევნები ჰქონდა გამოსახული. ჯერ კიდევ ცხელი განატეხი, ზედაშე და ზანდურის კონა ოჯახის უფროსს ვენახში მიჰქონდა, კონას ხარდანზე ჩამოაცვამდა და იტყოდა: „ადენითა მტევნები მეიბას ჩვენმა ლერწებმა“; შემდეგ ღვინოს რომელიმე ვაზის ძირს მიასხურებდა და დაილოცებოდა: „ღმერთო, მამულის ანგელოზო, კაი ძირ-ფესვი, ძალა და ღონე მიეცი ჩვენს ვენახს“. რაჭის ზოგიერთ სოფელში „ვენახის ლოცვა“

დიდმარხვის პირველ კვირას, თედორობაზე იცოდნენ. სალამოს, ვახშამდე, გამოაცხობდნენ ნიგვზიან სამ სართვიანს: ერთს - ყურძნის მტევნის მსგავსს, შუაში ჯვარდასმულს, რომელსაც „მამულის განატეხი“ ერქვა; მეორეს - უღელგამოსახულ კალო-კვერისას, მესამეს - „ხელკავიანი“ საცეხვლისა. სამივე განატეხს, ზედაშეს და ზანდურის კონას ოჯახის უფროსი მამაკაცი ვენახში წაიღებდა და იქვე ვაზის ძირში ილოცებდა: „ღმერთო, მიეცი ჩვენს ლერწებს კაი მტევანი, ნოღავი, კაი მოსვლა, ააშორე კოხი და ყოლიფერი ცუდი“. კოროლს (ზანდურის კონას) ხარდანს ჩამოაცვამდა და ღვინოს ვაზის ძირს მიასხამდა, შემდეგ დარჩენილ ზედაშეს, სათანადო ლოცვით, კალოსა და საცეხველზე დაასხურებდა.

ლიტ.: ფ. ქიქოძე-გარდაფხაძე. რაჭულ დღეობათა კალენდარი // ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი. გვ.40-41; ლ. ფრუიძე. მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით. წიგნი I. რაჭა. თბ., 1974, გვ. 261-262.

ვერძა (რაჭ.) - მყავე მინერალური წყალი, ზოგჯერ მლაშე გემოსი. ძალიან ეტანება საქონელი (და ნადირიც), - ვეძა (იხ. ჭყ.).

ვერცხლის დილის გამობმა (თუმ.) - ქორწილში ნეფე-პატარძლის დალოცვის დროს წარმოსათქმელი აუცილებელი ფორმულა - ვაჟიანობის დაბეღება.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 191.

ვერჯველა - ერთ-ერთი დევი, რომელიც, ცოლ-შვილთან ერთად, ზემოთიანეთის სათავეში, ერთ ვიწრო ხეზე ცხო-

ვრობდა და მისი შიშით იმ არემარეს ვერავინ გაეკარებოდა. ვერხველას მრავალწევრიანი ოჯახის დევები ადამიანებს იჭერდნენ და ჭამდნენ. მათ დაიჭირეს პირქუშ-ოქრომჭედელი და ტყვედ ჰყავდათ; აკეთებინებდნენ იარაღს, მშვილდ-ისარსა და ოქრო-ვერცხლს; ბევრს ეცადა, მაგრამ დევების ტყვეობას თავი ვერ დაადგინა. როცა ეს იაჰსარმა გაიგო, მასთან მალულად მივიდა და უთხრა: დაგიხსნი, თუ ერთ კარგ ზარს გამიკეთებო. პირქუში მას ზარსაც და ბევრ სხვა რამესაც დაპირდა. იაჰსარი დევებს თავს დაესხა და თავისი ლახტით ჯერ ვერჯველა მოკლა, შემდეგ ყველა დევი ამოწყვიტა და პირქუში გაანთავისუფლა.

ლიტ.: ალ. ოჩიაური. ფშაური ხალხური დღეობები. 1947. რვ. № 6 (ხელნაწერი ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში).

ვედიკვერა - ყველიერის ორშაბათის ღამეს ქალიშვილებისთვის გამომცხვარი მლაშე (ვედა) კვერი. კვერის შეჭმის შემდეგ, გოგოს ძილში წყალი მოწყურდებოდა და

სიზმარში ვინც წყალს დააღვევინებდა, ის იქნებოდა მისი საბედო (საქმრო).

ს. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

ვიღბჷშ - სვანური რიტუალური კვერის გვერდებზე სამ ადგილას თითის დაჭერით გაკეთებული ჩაზნექილი ნიშანი.

ლიტ.: მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1961, გვ. 225.

ვითინ - სვანური სახლის კედელში მეზღრისათვის (იხ.) გაკეთებული ხვრელი.

ლიტ.: მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1961, გვ. 225.

ვოხდრის (სვ.) - სახსნილო საჭმელი (ხორციანი ან ყველიანი).

ვირიპიტნა (რაჭ.) - ტყის პიტნა.



ზალნაკი, წაკანი - „სველი პურმარილი“ (ფშ.) ერთგვარი საჭმელია ფშავში. აღუღებულ წყალში ჩაყრიდნენ დაფხვნილ ხაჭო-ყველს, ჩააჭრიდნენ ხახვს და დადგამდნენ. წამოდულების შემდეგ პურს ჩაალბობდნენ და ჭამდნენ.

ლიტ.: მსმხი, ტ. I, 1976.

ზალოს ჯვარისკარ გაყვანა (თუშ.) - საქორწილო ციკლის წეს-ჩვეულება - პატარძლის გაყვანა ხატის (ჯვარის) კარზე, რომელსაც თუშები ქორწილის შემდეგ სოფლის პირველსავე შალვთო დღეს, პირველივე ხატობაზე ასრულებდნენ (რამდენადაც ქორწილები ძირითადად ადრე-შემოდგომაზე, მარიამობის მარხვის გახსნისთანავე, იმართებოდა, პატარძალი ჯვარისკარზე გიორგობის დღესასწაულზე გაყავდათ; თუ ქორწილი გიორგობის შემდეგ გაიმართებოდა - აღდგომებში, ხოლო თუ დაადგომევს - ათნიგენებში). ზალოს თან მიჰქონდა ღედამთილის ან მონდავის (მაზლის ცოლის) მიერ გამომცხვარი საჯვრისკარო კოტორი (ერთს დიდს, ან სამს, ანდა სამ სამეულს პატარას). სალოცავში ზალოს კოტორი და სანთელ-ზედაშე ოჯახის იმწლევიანდელ მეკვლეს უნდა წაეღო. ხელოსანი სანთელს აანთებდა, ზედაშეს დალოცავდა, პატარძალს ხატს შეავედრებდა, კოტრებს ყუებს წაატუნდა და ხატის ნიშში შეაგდებდა,

ხოლო კოტრებს ქალების ჯარზე დააბრუნებდა. კოტრებს სამად გაყოფდნენ, ორ წილს ქალებს დაუტოვებდნენ (აქ მათ დაჭრიდნენ და თითო ნაჭერს ყველა სოფლის ქალს შეახვედრებდნენ), მესამეს კი მამაკაცებს გაუგზავნიდნენ. კაცები ტარ-კომას ლუდით აავსებდნენ და ახალრძალს მიართმევდნენ.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 201.

ზამბურაკი - ჩახმახიანი და განიერტუჩიანი დიდი თოფი, უფრო სათოფურებიდან სასროლი, ამისათვის ციხის თოფად იწოდებოდა. ხელში მძიმე დასაჭერია, მსროლელები ერთმანეთზე დაყრდნობითაც ისროდნენ.

ზანგალები - (მესხ-ჯავახ.) - პაიჭები კაცის. მზადდებოდა მატყლის ძაფისაგან, იქსოვებოდა წინდის ჩხირებზე. ძირითადად შავს ან წაბლისფერს ამზადებდნენ, რომელთაც ბოლოში ამოსაღები ჰქონდა გაკეთებული. იყო უსახო და სახიანი პაიჭებიც. მესხეთის დიდებულები ატარებდნენ კარგი ხარისხის ჩექმებს. გლეხობას კი ღაზლისაგან შინნაქსოვი პაიჭები ეცვათ. პაიჭებთან ერთად ხმარობდნენ ასევე შინნაქსოვ წინდებს. ფეხსაცმელებად წულები ან კოხუნჯები ჰქონდათ.

ლიტ.: ლ. ბარათაშვილი, მასა-
ლები XIX საუკუნის ქართული
ხალხური ტანსაცმლის ისტორი-
ისათვის მესხეთ-ჯავახეთიდან.
მსმკი, 1966.

ზანდუკი - სახურავიანი ხის ყუთი. თუ-
ნუქის გარსაკრავი სალტეებით შეკრული.
გამოიყენებოდა ქალის ტანსაცმლისა და
სამკაულების შესანახად. იყო სამზითვო
და ქალის პირად საკუთრებას წარმოა-
დგენდა. ოჯახის გაყრის დროს წილში
არ შედიოდა. ქვრივის გათხოვების შემ-
თხვევაში ზანდუკი ოჯახში რჩებოდათ.
თუ ქვრივი მოახერხებდა განაწყენებული
მაზლებთან შერიგებას, სამზითვო ზა-
ნდუკი მას უბრუნდებოდა. ზანდუკი წყა-
როებში XVIIIს-დან იხსენიება.

ლიტ.: ვ. ითონიშვილი, მო-
ხევეების საოჯახო ყოფა, 1970. ვ.
ართილაყვა XVI-XVIII სს. ქართული
მატერიალური კულტურის ისტო-
რიიდან, 1965.

ზანზალაკი - მომცრო ზარი.

ზაოტი, ზაოდი (კახ.) - კახეთის სა-
მეურნეო ცხოვრებაში დამკვიდრებული
არყის სახდელი საწარმო, რომელიც ჩვე-
ულებრივ იმართება შემოდგომით ღვინის
დაღუღების შემდგომ, ამოღებული ჭაჭი-
დან. ზაოტი წარმოადგენს ჩვეულებრივ
კუსტარულ საწარმოს (იხ.

არყის გამოხდა), სადაც გლეხებს მო-
რიგობით მიაქვთ ჭაჭა და ხდიან არაყს

ზარაფხანა - მონეტების, ორდენე-
ბის, მედლებისა და სხვა სახელმწიფო
ნიშნების დამამზადებელი სახელმწიფო
საწარმო, რომელიც ფართოდ იყენებს
მოვერცხლვისა და საიუველირო მინან-
ქრით ლითონის ნაკეთობათ დაფარვის
ხერხებს. ზარაფხანა შეიქმნა ეროვნული

სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად,
როცა მონეტების მოჭრა სახელმწიფო მო-
ნოპოლიად იქცა. საქართველოს ტერიტო-
რიაზე მონეტას ჭრიდნენ ძველი წელთა-
ღრიცხვის VI საუკუნიდან. ქართული სახე-
ლმწიფოს ზარაფხანები იყო თბილისში,
დროგამომშვებით: დმანისში, ანისში,
არტანუჯში, ზაგემში, უფლისციხეში, ქუ-
თაისში, ცხუმში, ზუგდიდში და სხვა.

ზარბაბი - ძვირფასად ნაქსოვი აბრე-
შუმი, ოქრომკვდით ნაკერი.

ზარბაზანი - ქვემეხი (ქართ.) წარმო-
ადგენს სპილენძისაგან ან ბრინჯაოსაგან
დამზადებულ ლითონის მილს, რომლის
ერთი ბოლო ამოლუქულია, ზემოდან კი
საფალიე ნახვრეტი აქვს. ხშირ შემთხვე-
ვაში ზარბაზნების შუა წელზე სახელუ-
რებია დამაგრებული, ხოლო ზედაპირი
სხვადასხვა რელიეფური ორნამენტითაა
მორთული. XV-XVIII საუკუნეების ქართვე-
ლმა მეფეებმა კარგად იცოდნენ არტილე-
რიის მნიშვნელობა, მაგრამ XVIII საუკუნის
მეორე ნახევრამდე მაინც ვერ მოხერხდა
ქართული ზარბაზნების წარმოების შექ-
მნა. ამ საქმის განვითარებისათვის, დიდი
გასამჯელოს დაპირებით, მეფე ერეკლემ
მადნის ბერძენი ოსტატების ოსმალეთი-
დან გადმოყვანა მოახერხა, რომლებმაც
1774 წელს ახტალასა და ალავერდში
სპილენძისა და ვერცხლის მოპოვება-გა-
მოდნობის საქმე განავითარეს. ერეკლე
II-ის ინიციატივით, თბილისში ჯერ კიდევ
1749 წელს, ააგეს საარტილერიო ქარხანა
(ჯაბახანა), სადაც ციხის თოფებს, ზამბუ-
ლაკებს, თოფ-იარაღსა და ზარბაზნებს
ასხამდნენ. შემდგომში, მეფე ერეკლემ
ისარგებლა საქართველოში გენერალ
ტოტლებენის მეთაურობით ჯარის შე-
მოყვანით და მას საარტილერიო საქმის
ქართველი სპეციალისტების მომზადება
სთხოვა. ტოტლებენის ბრძანების სა-
ფუძველზე, 1769 წლის ნოემბრიდან 1770

წლის თებერვლამდე პოდპოლკოვნიკი ს. ჩოლოყაშვილი, რუსეთის მთავრობის წარმომადგენელ ანტონ თარხან-მოურავთან ერთად ტფილისში იმყოფებოდა. ისინი ერეკლე მეფის ხალხს ზარბაზნებისა და მორტირების გაკეთებასა და გამოყენებას ასწავლიდნენ. ქარხანა მდებარეობდა ძველი თბილისის გარეუბანში - კოჯრის ძველი გზის დასაწყისის, დღევანდელი კ. ლესელიძის, შ. დადიანის, ლ. ასათიანის ქუჩის მიდამოებში. აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგ VI-საც ჰქონდა მცდელობა საარტილერიო საქმე ქარხნული წესით ეწარმოებინა, მისი დავალებით „საარტილერიო წიგნი“ რუსულიდან ვინმე მიხეილ ელიევიჩის 1725 წელს ქართულად გადათარგმნია. ვახტანგ VI-ის მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. შემდგომში ამ სახელმძღვანელოთი სარგებლობდნენ მეფე ერეკლე და გიორგი თარხან-მოურავი. 1776 წელს განახლებული საარტილერიო ქარხნისა და არტილერიის უფროსი გიორგი თარხან-მოურავი იყო, რომელმაც მეფე ერეკლეს ზარბაზნები დაუმზადა. იგი ამ თანამდებობაზე 1780 წლამდე მოღვაწეობდა. ერეკლე მეფეს არ აკმაყოფილებდა ზარბაზნის ადგილობრივი წარმოება და თბილისის საარტილერიო ქარხნის უახლოესი ტექნიკის მიხედვით გარდაქმნა განიზრახა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ზარბაზნების წარმოება ევროპასა და რუსეთის არმიებში საგრძნობლად გაუმჯობესდა. გლუვლულიანი ზარბაზანი ფოლადის დაღარულულიანი შეიცვალა. საქართველო სამხედრო კადრების ნაკლებობას განიცდიდა XVIII საუკუნის 60-იან წლებში, ერეკლე მეორემ საარტილერიო საქმის შესასწავლად რუსეთს პაატა ანდრონიკაშვილი მიავლინა. პაატამ რუსეთის არმიის არტილერიის ოფიცრის წოდება მიიღო. 70-იანი წლების პირველ ნახევარში სამშობლოში დაბრუნებულს საარტილე-

რიო საქმის ხელმძღვანელობა დაევადა. იგი სათავეში ჩაუდგა საქართველოს სამხედრო წარმოების გარდაქმნას. ეს იყო პირველი მცდელობა საქართველოში სამხედრო წარმოების ევროპულ ყაიდაზე გადასვლისა. 1780 წელს პ. ანდრონიკაშვილმა არტილერიის უფროსობა მიიღო. 1790-1794 წლებში ერეკლე II-მ იარაღის ქარხანა კიდევ უფრო მაღალ დონეზე ასწია, რადგანაც იცოდა, რომ ირანიდან მოახლოებულ საფრთხეს თავისი მცირე ლაშქრის სამხედრო აღჭურვილობით ვერ გაუმკლავდებოდა. დამატებით შეისყიდა 19 ევროპული ყაიდის ქვემეხი, მოიწვია არტილერიის ინგლისელი სპეციალისტი, მისი დახმარებით გააუმჯობესა ქვემეხების დამზადების საქმე. თბილისში მანამდე არსებული ქვემეხების ჩამომსხმელი ქარხანა, 90-იან წლებში ქვემეხების დამზადების ინგლისურ წესზე გადავიდა. ამ დროს პაატა ანდრონიკაშვილი ცოცხალი აღარ იყო. მის საქმეს აგრძელებდნენ გაბრიელ არემიშვილი და გიორგი გურამიშვილი. რუსეთში გაზრდილმა ამ სპეციალისტებმა 1790-1794 წლებში არტილერიის წარმოებისა და გამოყენების ინგლისური წესებიც შეისწავლეს. ქართული არტილერიის სრულყოფაში მონაწილეობდა, აგრეთვე ავსტრიელი ოსიპ ვეტინგი. საარტილერიო საქმის განვითარებისათვის დენტის (იხ.) დამზადება საჭირო აუცილებლობას წარმოადგენდა. XVIII საუკუნის II ნახევარში თოფისწამალს გარკვეულწილად მოქალაქე ხელოსნები ამზადებდნენ და ვაჭრობდნენ კიდევ, რაც მეფემ აკრძალა და წარმოების უფლება მხოლოდ ერთ პირს - თაყუაშვილს უბოძა. მეფის ნებართვით მან 1770 წელს თოფის წამლის ქარხანა ააშენა. ამრიგად, გვარჯილისა და დენტის დამზადება-ვაჭრობას ერეკლე II თავად აკონტროლებდა. თოფისწამლის სარეწაო, ისევე როგორც ზარბაზნების ქარხანა ალა-მაჰმად-ხანის შემოსევამ იმსხვერპლა. შემდგომში კი ქა-

რთული იარაღწარმოება რუსეთის იმპერიალისტურ გეგმებში აღარ შედიოდა და ქართული ქვემეხების ისტორიაც დასრულდა. XVIII საუკუნის II ნახევრის ზარბაზნების საბრძოლო მახასიათებლები შემდგენაირად წარმოგვიდგება: 1757- 1796 წლებში საარტილერიო ქვემეხების კალიბრი მერყეობს 76 მმ-დან 245 მმ-მდე. (პაატა ანდრონიკაშვილის მოღვაწეობის პერიოდში 120 მმ-დან 152 მმ-დე), სროლის მანძილი კი 20-22 გრადუსიანი კუთხით გასროლისას 1066 მ-დან 2980 მ-მდე განისაზღვრებოდა. შესაბამისად, პაატა ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით დამზადებული ზარბაზნები მიახლოებით იგივე ტექნიკური მახასიათებლებისა უნდა ყოფილიყო.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011; მ. ქაფიანიძე, ცეცხლსასროლი იარაღის განვითარების ისტორიისათვის, ეთნოლოგიური ძიებანი ტ.III, 2007.

ზარდახმა - ძვირფასეულობის შესანახი პატარა ყუთი. მისი შიგთავსის შესაბამისად ზარდახმები იმკობოდნენ ძვირფასი მასალით. თბილისურ ყოფაში განსაკუთრებით გავრცელებული ჩანს ირანული ტიპის ზარდახმები, რომლებიც დაფერილია ოქროს წყლითა და ინკრუსტაციითაა შემკული.

ზარი - ლითონის სარკვი. ძირითადად ცილინდრული ფორმისა, რომელსაც აქვს ენა. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით გამოკვეთა ქრისტიანობამ, როგორც ცნობილია, მკვდრეთით აღდგომის იდეა ქრისტიანული მორალის ქვაკუთხედს წარმოადგენს. იგია რწმენის ძირითადი საყრდენი, რომელსაც მოელის მორწმუნე თავის დროზე. ამ აუცილებელი აქტის მაუწყებელი გახდება ზარი, მან უნდა მისცეს

ნიშანი სიკვდილისგან დახსნისა და მარადიული არსებობისა. ზარი წარმოადგენს ყველა საეკლესიო დღეების, დღესასწაულებისა და სალიტურგიო წესთმსახურების შესრულების აუცილებელ ატრიბუტს. შუა საუკუნეებში ზარისთვის გაჩნდა საგანგებო შენობა - სამრეკლო.

ზარიჩინი - ოქრომკედნარევი ფართოლელი.

ზარფუმი - არყის გამოსახდელი ქვების სპილენძის ხუფი, სახურავი, ლაფრანი. კვერავდნენ სპილენძის რამდენიმე ფურცლის, ფირფიტისაგან. ზარფუმს აქვს წინ გაშვერილი მილი, რომელიც თავში განიერია, ბოლოში კი ვიწრო, რათა იოლად შევიდეს წყლიანი ტაშტის მილში. სპილენძის მრგვალდერა სახელური, ყური მირჩილულია ზარფუმის ტანზე და დამაგრებულია სპილენძის მანჭვლებით. არყის გამომხდისას ზარფუმი მჭიდროდ ეხურება ჭაჭაჩაყრილ ქვებს. ადუღების შემდეგ მასში დაგროვილი ორთქლი ზარფუმის ყელიდან გადადის წყლიანი ტაშტის მილში და გადაიქცევა სითხედ. ზარფუმები არსებობდნენ, როგორც სპილენძის, ასევე თიხის, მაგრამ უფრო კარგი და მისაღები იყო სპილენძის ზარფუმი. ლიტ.: ც. კაკაბაძე, *სპილენძის ქართული ჭურჭელი, ეთნოლოგიური ძიებანი, I, 2000.*

ზარქაში - ოქროს ან ვერცხლის სხეპლა.

ზებერდე - თევზთა და მეთევზეთა მფარველი, თევზთა გამჩენი მეგრულ მითოლოგიაში. წარმოდგენილი ჰყავდათ მხარზე ბადეგადაგებული ახალგაზრდა მებადურის სახით, რომელიც ხშირად ზღვისა და მდინარეების ნაპირებზე ჩნდებოდა. მისი სახელობის დღეობას მეთევზეები გაზაფხულზე, თევჭერის დაწყების წინ, მართავდნენ. ზებერდობის

წინა დღეს მეთევზე ზღვაზე ან მდინარეზე გადიოდა და, ვიდრე ბადეს მოისროდა, თავის მფარველს მიმართავდა: „შენთვის მინდა, ზებერდე, ბარაქა მომეცი“. თევზაობის შემდეგ შინ ბრუნდებოდა და მთელი მისი ოჯახი თადარიგს მეორე დღისთვის იჭერდა: აცხობდნენ სხვადასხვა ჯიშის თევზების გამოსახულების კვერებს, რომლებსაც, ცოცხალ და შემწვარ თევზებთან ერთად, თევზის ფხით შემკულ ტაბლაზე აწყობდნენ; აქვე იდგა დოქი ღვინით (ფოთელი, ხობელი და ანაკლიელი მეთევზის საწესო ტაბლაზე, სხვა ჯიშის თევზებთან ერთად, იღო ზუთხიც, რომელსაც „ზებერდეს თევზი“ ერქვა). ოჯახის წევრი მამაკაცები ანთებული სანთლით ხელში ტაბლის გარშემო განლაგდებოდნენ; ასაკით უფროსი მეთევზეღვინით სავსე ჭიქას აწევდა, პირით ზღვისკენ დადგებოდა და დაილოცებოდა: „ჩვენო მფარველო ზებერდე, თევზების გამჩენო, ჩვენს ბადეს ბარაქა არ მოაკლო, ჩემს ოჯახს უმატე და ბედნიერად ამყოფე, დღევანდელი ლოცვა შეარგე“. შემდეგ ტაბლას მიუსხდებოდნენ ზებერდეს სადილებელს იტყოდნენ.

პალიასტომის ტბასთან მეთევზეებს ორი სალოცავი ადგილი ჰქონიათ - ერთი ნავისთვის განკუთვნილი, ე. წ. „სანავო სალოცავი“ (იხ. „ონიშე ოხვამური“), მეორე კი - „სათევზაო სალოცავი“ (იხ. „ოჩხომური ოხვამური“). ეს უკანასკნელი ზებერდეს სალოცავიც ყოფილა. ზებერდეს შესახებ რწმენა ბიბლიურ ზებედეს უკავშირდება.

ლიტ.: ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 4, გვ. 5-6 (ინახება ავტორთან); ზ. კუტალეიშვილი. ნაოსნობა საქართველოში. თბ., 1987, გვ. 264.

ზეგარდა - ბაგაზე საქონლის დასაბამელი რკალის გადასაჭერი.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

ზედადგარი, ზესადგამი - რკინის ფეხებიანი სადგარი, რომელზედაც დაედება ქვაბი საარყე, საფელამუშე, საწყლე და ა.შ. შეიძლება იდგეს როგორც ბუნარში, ისე მის გარეთ.

ზედაშე - ესაწირავი ღვინო. ყურძნის მოსავლის საუკეთესო ნაწილიდან პირველი ნაწური, რომელიც დაყენებული და შეთქმული იყო სალოცავის სახელზე, რათა სალოცავს კარგი თვალი დაეჭირა შემომწირველზე, ემფარველა და მისი მოსავალი ბარაქიანი და დოვლათიანი ყოფილიყო. საზედაშე ტკბილის ჭურში ჩასხმის დროს სანთელს აანთებდნენ, დაილოცებოდნენ, ღმერთს წყალობას შესთხოვდნენ და მიართმევდნენ ხატს მაშინ, როცა დღეობა მოვიდოდა. საზედაშე ღვინოს მოიწევდნენ როგორც კერძო ვენახებიდან, ასევე ხატის ზვრებიდანაც. სახატო, ანუ სალოცავის მიწებს გლეხები ამუშავებდნენ მორიგეობით. ნაწილს ამ მოსავლისას სალოცავის სახელზე ჩაასხამდნენ, ნაწილს კი თვითონ გამოიყენებდნენ. გავრცელებული იყო ასევე სალოცავის ვენახების კოლექტიური დამუშავება, რომლის დროსაც მოსავალი მთლიანად ეწირებოდა მას და შეწირულ ღვინოსაც ერთობლივად მოიხმარდნენ. არცთუ იშვიათად სალოცავთან არსებობდა მარანი, სადაც ღვინო ჩაისხმებოდა და დღესასწაულზე მოიხმარებოდა. შეწირული ღვინის გასესხება, გაყიდვა ან სხვა დღეებში მოხმარება შეუძლებელი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ხატი გაწყრებოდა და ამის მოქმედთ ზიანს მიყენებდა. საზედაშე ღვინის დაყენების ტრადიცია უეჭველია, რომ წარმართული ეპოქიდან იღებს სათავეს და უეჭველად ღვინის კულტს უკავშირდება. ქრისტიანობამ კიდევ უფრო გააღრმავა ეს ჩვეულება და პრაქტიკულად იგი გამოიხატა სააღაპე

ვალდებულებასთან დაკავშირებით, რომლის დროსაც გლეხი ვალდებული იყო ეკლესია-მონასტრისათვის სააღაპე შესაწირავთან ერთად მიეტანა ღვინოც. საზედაძე ქვევრების მოვლა-პატრონობასა და სარიტუალო საქმიანობაში მხოლოდ მამაკაცი მონაწილეობდა. ეს ფაქტი აიხსნება იმით, რომ მევენახეობა-მეღვინეობა მხოლოდ მამაკაცის საქმე იყო, მამაკაცია გამძღოლი ამ მეურნეობისა და იგი უდგას სათავეში მევენახეობის კულტურას.

ლიტ.: ნ. თოფურია, ღვინის ზედაძეები, მსე ტ. XII-XIII, 1963.

ზედგანი (ხვს.) ქალების გამოსაცხობი რკინის რგოლი, რომელიც ჭერში დამაგრებული რკინის საკიდით, ჩამოკიდებულია ცეცხლზე და ზედ დადებულია სიპი ქვა. ცეცხლის დანთებისას ქვა ხურდება, მასზე დააკრავენ ქადას. ქადა რომ მომაგრდება, დიასახლისი შემდეგ გადმოიღებს, ჩაფლავს ცხელ ღადარში, სადაც გამოშუშდება და კარგად გამოცხვება.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011

ზევიჩი, ძევიჩი - ხარაზის იარაღი. ტყავის საჭრელი დანა. უტარო, ერთი მხარე განიერი აქვს, მეორე - ვიწრო, ტარზე ხელის მოსაკიდებლად ტყავი ან გაცილული ძაფი აქვს შემოხვეული.

ლიტ.: სტ. მენტეშაშვილი ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

ზეზურგი - ზურგის შუა ხაზი. საქონლის ტყავის ზურგის გაყოლებაზე სიგრძივ აჭრილი. ყველაზე უკეთესია საქალამნედ.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ზეთსახდელი, საზეთე - სელის ზეთის სახდელი საწარმო. ზეთის ხდის ეტაპების შესაბამისად ზეთსახდელში წარმოდგენილი იყო: 1. ღუმელი, 2. საზეთე წისქვილი, ანუ გელაზი, 3. წნეხი. აქვე იყო ზეთის ხდის პროცესთან დაკავშირებული ხელსაწყოები - საცრები, მარცვლისა და წყლის საწყაოები, წყლის ჭურჭელი, თოხები, ნიჩბები. ზეთსახდელები ძირითადად ლოკალიზებული იყო საზეთე სელის გავრცელების ზონაში (სამცხე-ჯავახეთი, თრიალეთი). ზეთსახდელის კედელთან მიშენებულ ქვის ღუმელზე ხდებოდა სელის მარცვლის მოხალვა. მოხალული მარცვალი ზეთსახდელის წისქვილშივე იფქვებოდა. საზეთე წისქვილი ზეთსახდელის ცენტრში იყო გამართული. საზეთე წისქვილს შეადგენდა სამუშაო ნაწილი დოლაბი - გელაზის ქვა და ქვის კალო. წისქვილში გადამუშავებულ დაზელილ-დაგელაზებულ მასას დსაწნეხად წნეხში გადაიტანდნენ. XIX ს. ზეთსახდელები კერძო საწარმოებს განეკუთვნებოდა. აქ გამოყენებული იყო დაქირავებული შრომა. ზეთს ხდიდნენ და ყიდდნენ კიდევაც. XVII-XVIII ს. გვიანფეოდალურ საქართველოში ზეთსახდელების მფლობელებად გვევლინებიან სამეფო კარი, ცალკეული ფეოდალები და ეკლესია-მონასტრები. ისტორიული წყაროების მონაცემებითა და გელაზის ქვის ნაშთების მიხედვით ზეთსახდელები ფართოდ იყო გავრცელებული. იგი შედიოდა სამონასტრო მეურნეობის კომპლექსში (ათონის ივერთა მონასტერი, შიო მღვიმის მონასტერი, ქვენიფნევის ეკლესია, კიმოთეს უბანი, უბისის ეკლესია, კაბენის მონასტერი, ღუმეთის ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ეკლესია და სხვა). ჯავახეთის ახალქალაქის ციხის გარეთ ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ზეთსახდელის კომპლექსის ნაშ-

თები X საუკუნითაა დათარიღებული. ადრეული ხანის ანალოგიური ზეთსახდელის არსებობა ივარაუდება პალესტინაში, ბირ-ელ-ყუთის უდაბნოში. 430-იან წლებში პეტრე იბერის მიერ დაარსებულ წმ. თედორეს სახელობის ქართული მონასტრის სამეურნეო კომპლექსში.

ლიტ.: ლ. მოლოდინი ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ხალხური ზეთსახდელი იარაღები), 1963. გ. ჩიტაია, გელაზი, ძმ. №27, 1970.

ზეი - მამაკაცის ჩოხის მოსართავი ზონარი, რომლის დასამზადებლად გამოიყენებოდა დაბალი ხარისხის ფერადი აბრეშუმის ძაფები. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ აბრეშუმის ძაფების ფერების შერჩევას. ზეიში ჭარბობდა ოთხი ძირითადი ფერი: ლურჯი, ყვითელი, წითელი და მწვანე. ამ ფერის ძაფებს ერთად შეგრეხავდნენ და ჩაფარიშთან ერთად ჩოხის ნაპირების მოსართავად ხმარობდნენ.

ლიტ.: ნ. აბესაძე, ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, 1986.

ზეიდალი - ჯაჭვის პერანგის ნაირსახეობა. ზეიდალურ ჯაჭვს „თვითო ჯაჭვის თვალი მრთელი და უფარეშო აქვს და თვითო რიგი ფარეშოვანი“ (საბა), ე.ი. ჯაჭვის რგოლების (ჭიკუ) ერთი მწკრივი უფარეშოა, მხოლოდ თავებშია ხლოებული, ხოლო მეორე მწკრივი ფარეშოვანი, ანუ დამოქლონებული, მოქლონები მოქცეულია პერანგის შიგნითა მხარეს, ჭიკუ „ღბილი და გარდაგრეხით ძნიად გასატეხელი“-ა. ზეიდალური ჯაჭვი ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, სვანეთსა და ხევსურეთში. (იხ. ჯაჭვის პერანგი).

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული ტ. I, 1991.

ზეპირ დარჩენილი - ძველი მიცვალებულის მიწის ზემოთ დარჩენილი ძვლები. როდესაც ხევსურეთში მიცვალებულს ასაფლავებდნენ, თუ შემთხვევით ძველ საფლავს ამოთხრიდნენ, ძვლებს ამოიღებდნენ, ერთად მოაგროვებდნენ, კარაქით გაპოხავდნენ და კვლავ საფლავში ჩადებდნენ. თუ ძვალი „ზეპირ“ (მიწის ზემოთ) დარჩებოდა და მიწა არ მიეყრებოდა, იტყოდნენ: დიდი წვიმა მოვა, ქვეყანას წყალი წალეკავს და არ გამოიღარებსო. სასაფლაოზე ძვლის ძებნას დაიწყებდნენ და, თუ იპოვნიდნენ, დამარხავდნენ (მდრ. წვიმის გამოწვევის მიზნით, მიცვალებულის ძვლის წყალში ჩადების და წვიმის შემდეგ მისი კვლავ საფლავში დაბრუნების წესი).

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ. მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. თბ., 1940, გვ. 58.

ზერანი (იმერ.) - პურის ცომისაგან გამომცხვარი ადამიანის პატარა ფიგურა. როცა ადამიანს უქმური//მოყოლილი მონახდომი შეეყრებოდა, მოიყვანდნენ ქალებს, გამოაცხობდნენ ხაჭაპურებს და იმდენ ზერანს, რამდენი ადგილიდანაც შესაძლოა აჰყოლოდა მას უქმური. თეფშზე დაყრიდნენ მარცვლეულს, ქინძის თესლს, ნაცარს, აურევდნენ ერთმანეთში, ხელით აზელდნენ, სამჯერ შემოავლებდნენ ავადმყოფს ზურგზე და მკერდზე. შემდეგ დაყრიდნენ ხელეებზე, ფეხებზე და თან ავ სულს მოუწოდებდნენ, რომ დაეტოვებინა ავადმყოფი. შემდეგ ამას ყველაფერს აიღებდნენ ზერანითურთ და ავადმყოფის მითითებულ ადგილებთან მუჭით დაყრიდნენ, თან

ემმაკეულს მიმართავდნენ, ჭამეთ, სვით და წადითო.

ლიტ.: ლ. ნებიერიძე, პედიატრიის ხალხური წესები საქართველოში, 2006.

ზედა - სვანური სახლის სხვენი, სადაც განლაგებულია ოჯახის საცხოვრებელი „დარბაზი“, იქვე ინახავდნენ თივასა და სანოვაგეს.

ლიტ.: ნ. ბრაილაშვილი, საქართველოს ეთნოგრაფია, 1990.

ზვარა (ზმ.) - ძროხის პირველი ხბო. ძროხი პირველ ხბოს ზვარა ჰქვია (მდრ. საბა, ქეგლ, ძოწ.).

ზვინიგული (რაჭ.) - მაღალი და მსხვილი სარი, რომლის ირგვლივაც თივის ზვინს დგამენ. ზვინიგული სწორი უნა იყოს და კაი გასხეპილი. ზვინიგულს თავი სოლივით უნა წოუთალო.

ზილფი - ქალის თმის კავები.

ზინდანი - ქვების მჭედელთა გრდემლი, სპილენძულობის გამოსაკვერად. ზინდანს იყენებენ ქვების საკეთებლად, თუნგის ყელის გასასწორებლად, თუნგის ძირის გამოსაკვერად, ქვების გვერდის დასაყენებლად, ტაშტის საკვერავად, ფორმაზე მოსაყვანად, ტაფის გასაკეთებლად დაა.შ. მას მოძრავ გრდემლსაც უწოდებენ. ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი ქართული ხალხური მეტალურგია, 1963.

ზირანდაზი - პატარა ხალიჩა, ფეხქვეშ გასაგებელი პატარა ორხოვა.

ზისცვარი (ხევს.) - რძე. ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, განსაკუთრებით დაწინაურებული იყო რძის პროდუქტების დამზადება. ხევსურეთის

მეურნეობის სპეციფიკურობას, განსხვავებით თუშების, ფშაველებისა და მოხვეებისაგან, ძირითადად მსხვილფეხა მესაქონლეობა შეადგენდა. ამიტომ წარმატებით განვითარდა აქ რძის პროდუქტების დამზადების კულტურა, განსაკუთრებით ერბოსი, რომელიც საუკეთესოდ ითვლებოდა. ხევსურული ძროხა კარგადაა შეგუებული აქაურ კლიმატურ, გეოგრაფიულ პირობებს და მიუხედავად მცირეტანიანობისა, მისი რძე მაღალი ცხიმოვანობით ხასიათდება. რძის პროდუქტების საუკეთესო დამცველი იყო ხევსურული სახლის სენე, სადაც ჰაერის ცირკულაცია კარგად ხდებოდა დარძე დამისი პროდუქტი დიდი ხნის განმავლობაში არ ფუჭდებოდა. როგორც მარანი ღვინის დასამზადებელი და შესანახი ნაგებობაა, ხოლო ბეღელი მარცვლეულის საკუჭნაოა, ასევე ხევსურული სახლის სენე რძის პროდუქტების დასამზადებელი და შესანახი ადგილია.

ზისცვარობა (ხევს.) - ხევსურეთის სოფ. ამლაში, იახსარის ხატში ერთ დღეს მიაქვთ რძე და სვამენ ეს დღე ღალის დღედ არის გამოცხადებული. (მდრ. ერბობობა - იხ.).

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

ზისწვენი, სისწვენი - ადუღებული და გაწურული სალუდე ტკბილი, რომელიც მიიღება წყლისა და ფორის შერეული ნაზავის დუღილისგან.

ზისხორა - სამსხვერპლო ცხოველის სისხლისაგან მომზადებული სვანური კუპატი; მზადდებოდა შემდეგი წესით: ახალდაკლული საქონლის სისხლს ამავე საქონლის გარეცხილსა და გასუფთავებულ ნაწლავებში ჩაასხამდნენ, თავს მოუკრავდნენ და მოხარშავდნენ. ზისხორა „წმინდა“ საქმლის რანგში განიხილებოდა. ვ. ბარდაველიძის აზრით,

ამ სისხლისმჭამელობის გადმონაშთში შესაძლებელია სისხლის, როგორც სასიცოცხლო ძალის, სასიცოცხლო ელემენტები ვიგულისხმოთ. სისხლი მთელ რიგ ხალხებში როგორც სასიცოცხლო ძალად, ისე ადამიანის ერთ-ერთ სულად იყო მიჩნეული. ჰომეროსის თანახმად, ჯოჯოხეთის მკვიდრი სულები სვამდნენ სისხლს და ამის შედეგად ცოცხლდებოდნენ. სისხლთან, როგორც გამანაყოფიერებელი ძალის მქონე სუბსტანციასთან, დაკავშირებით საინტერესოა აჭარაში დადასტურებული წესი: სამსხვერპლო ხარის სისხლის წასმა ხეებზე („ყოველ წელიწადს მოისხამს“).

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია) // მიმომხილველი. I. 1949, გვ. 127-128; ნ. მგელაძე. ერთი წარმართული რიტუალის შესახებ ღორჯომის ხეობაში // სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება. VII. თბ., 1984, გვ. 106; ჰომეროსი. ოდისეა. თბ., 1979, გვ. 227-233; А. И. Еланская. Древнеегипетское божество в коптскую эпоху // Древний восток и мировая культура. М., 1981, с. 134.

ზოდი - გადამდნარი ლითონის მასა, რომლისაგანაც აკეთებენ სხვადასხვა ნამზადს, ეს ტერმინი გადასულია სოფლის ტოპონიმშიც. მაგ., სოფელი „ზოდი“ (იმერ.)

ზოდი-კვერი - აქ: სპილენძის შენადნობი. ყალიბში - კალაპოტში გაცივებულ თხევად სპილენძს „ზოდი“ ეწოდება. ერთ ყალიბში ერთ ჯერზე ამოღებული სპილენძის სითხე უნდა ჩაისხას, ზოდი „ფურჩიანი“ გამოდის და გაბრტყელებისას „ფურცლად“, ორად იხსნება. ზოდს ყალიბის ფორმა ეძლევა ოსტატის სურვი-

ლისამებრ. ზოდის გადმოღება ყალიბიდან გაცივებისთანავე შეიძლება, მაგრამ ოსტატი მას ზედვე ტოვებს მომდევნო ქურის გამოდნობამდე, რადგან ზოდი ყალიბს ცხლად ინახავდა. ცივ ყალიბზე თხიერი სპილენძის დასხმა არ შეიძლება, აფეთქდება. თუ ზოდი ძნელად შორდება ყალიბს, მას გრდემლზე გადმოაპირქვავენ და ზემოდან ჩაქუჩს დაუკაკუნებდნენ და ასე აცილებდნენ. ზოდს გარედან მოშავომონაცრისფერო ფერი აქვს, ცეცხლისაგან არის გამავებული, შიგნიდან კი მოწითალოა. კალაპოტი არის თიხის, რკინის. სხვადასხვა ფორმის: მრგვალი, ოთხკუთხა, ოვალური, გრძელი. გეოგრაფიული ტერმინი ზოდის (სოფ. ზემო იმერეთში, ჭიათურის რ-ნი) შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული არქეოლოგ ჯურხა ნადირაძეს. მისი აზრით, „ზოდი მელითონეობასთან დაკავშირებული ტერმინზე აღმოცენებული ტოპონიმია; რაც ქვეყნის მეტალურგიის უძველესი ტრადიციის მანიშნებელია“.

ლიტ.: ჯ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, 1975; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ზოსტერი - ტყავის სარტყელი, ხშირ შემთხვევაში მოოჭვილი იყო თვალმარგალიტით და სახიანი ბალთები ჰქონდა.

ზოფხი (ზმ., გლ.) - ჭვავი.

ზუბუნ-ფარაგა, გრძელი ზუბუნი (აჭარ. სამცხ.ჯავახ.) - ქალის ზედა სამოსელი. იკრება შინნამზადი (სელი, კანაფი, აბრეშუმი) და ფაბრიკული ქსოვილებისაგან (ხავერდი, მანთინი, ყანაოზი, ყუმაში, ფარჩა), ხშირად ორმაგი ქსოვილის საპირესა და სარჩულისაგან და საჭიროებისას მათ შორის ბამბასაც უფენდნენ. ზუბუნ-ფარაგა ფორმით ახალუხის

მსგავსია: აქვს წინა ორი სატანი თავის ფარაგებით, ზურგი, სახელოები, საყელო. მთლიანი, წელში გაუკერავი და ბოლომდე გახსნილი. ფარაგებს შორის დიობია დატოვებული, საიდანაც მოჩანს პერანგის მოქარგული საყელო. ასევე ქარგავდნენ გულისპირსა და სამაჯებს. წელზე შემოიკრავდნენ ყვითელ ან წითელ სარტყელს. ზუბუნ-ფარაგა. სეზონის მიხედვით ატარებდნენ- გრძელსახელოებიანს და დაბამბულს ზამთარში, უსახელოსა და დაუბამბავს ზაფხულში. ზუბუნი, როგორც საქალო ჩაცმულობის ფორმა საქართველოს გარდა დასტურდება: ანატოლიაში, აზერბაიჯანში, უდმურტებში, ჩუვაშეთში, სომხეთში, ბულგარეთში, სერბეთსა და ხორვატებში.

ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005, ლ. ბარათაშვილი, მასალები XIX საუკუნის ქართული ხალხური ტანსაცმლის ისტორიისათვის მესხეთ-ჯავახეთიდან. მსმკი, 1966.

ზუზა (რაჭ.) - ნაჭდევიანი თამასა, რომელსაც იყენებენ ხის დამუშავებისას საჭირო ზომის დასაცავად (იხ. ქეგლ).

ზურგი - საზომი. გამოიყენებოდა თივის, სელის, ფეტვის, კანაფისა და ღვინის საზომად. იგი ისეთი სიმძიმის ტვირთი იყო, რომლის მოკიდებაც შეეძლო ერთ ადამიანს, ამდენად, მისი სიდიდე დამოკიდებული იყო ადამიანის ფიზიკურ მონაცემებზე. ზურგის შესახებ ცნობები მოიპოვება XV-XVIII სს-ის ისტორიულ საბუთებში. XIX ს-ში დაფიქსირებულია აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაშიც.

ლიტ.: გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973.

ზურმუხტი - მუქი ლურჯი ფერის მი-

წერალი. რადგან ბერძნულად მას „სამარგლო“ ჰქვია, ძველ ქართულშიც მის ერთ-ერთ სინონიმად სამარაგლონია დამკვიდრებული. ზურმუხტის საბადოები საქართველოში არაა და იგი იმპორტული წარმოების საგანი იყო, რაც განსაკუთრებით ზრდიდა მის ფასს. ანტიკური მცხეთის მასალებში ბევრია ზურმუხტით შემკული სამკაულები. თამარ მეფის ტახტზე აყვანის ცერემონიალისას, მეფე გიორგიმ, „დაადგა გვირგვინი ოქროსა თავსა მისსა ოქროსა მის ოფაზისა აღმკული იაკინთითა, ზმირითა და სამარაგდითა მიერ“. ზურმუხტი თავისი ულამაზესი ფერის გამო არაერთხელ ქვეულა პოეტური მჭერმეტყველების საგნად. იგი ნაცნობი და საყვარელი ფერი იყო ქართველთათვის. ლიტ.: ვ. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965

ზურნა - ჩასაბერი საკრავია კონუსური ფორმისა, ამზადებდნენ ქერმის ხისაგან. სიგრძით 32-38სმია. ზედა მხარეს 7 თვალი აქვს, ქვედა მხარეს ზედა პირველი თვალის ოდნავ ქვემოთ - ერთი. ზედა მხარეზე, სადაც გაგანიერება იწყება, პატარა წვრილი ნახვრეტია. საკრავი ინკრუსტირებულია მინანქრითა და ლითონის ან ვერცხლის რგოლებით. ზედა ბოლოში ჩასმულია ხის მილაკი, რომლის ბოლო აღწევს მესამე ნახვრეტამდე. ჩაბერვის ადგილას კეთდება თითბრის ღერი. მასზე მაგრდება მრგვალი ან ოვალური ფირფიტა (ძვლის, სადაფის ან ლითონის), რომელსაც აყრდნობს შემსრულებელი ბაგეებს. ზურნის ლერწამი დუდუკისნაირია, მაგრამ უფრო მოკლე (20მმ სიგრძის). ზურნის ბგერათა რიგი დიატონურია, დიაპაზონი - ერთნახევარი ოქტავა. ზურნის ბგერა არის მკაფიო, გამჭოლი, ჭყვიტინა. ზურნაზე დაკვრა ფიზიკურ დაძაბვას, სუნთქვის რეგულირების ფლობას მოითხოვს. შემსრულებელმა დიდხანს უნდა გააგრძელოს ბგერა. ესაა მეზურნის სა-

შემსრულებლო მანერის თავისებურება. ზურნა, როგორც წესი, საანსამბლო საკრავია, დუდუკის მსგავსად, დუეტში, ერთი მე-ზურნე (პირველი) - უსტა (ოსტატი) ასრულებს მელოდიას, მეორე - დამქაში - უბანებს გაბმული ბგერით ძირითადი ტონის (ან რომელიმე სხვა საყრდენ) ბგერაზე. დუეტი ზოგჯერ რიტმული ინსტრუმენტებით (დოლი, დაირა) არის შევსებული. ზურნა პოპულარული საკრავია სომხეთსა და განსაკუთრებით აზერბაიჯანში. იგი ადრე გამოიყენებოდა სამხედრო, სალამქრო საკრავად. შეუცვლელია სახალხო თამაშობებზე, შეჯიბრებებზე, დოლში, მამლებისა და ყოჩების ჩხუბში და, რაც მთავარია, ქორწილში, სომხებში - დასაფლავებაზეც. ზურნა XVII-XVIII ს-დან გავრცელდა თბილისში. მოგვიანებით გავრცელდა თბილისის მიმდებარე სოფლებსა და რეგიონებში, განსაკუთრებით იქ, სადაც არაქართული მოსახლეობა იყო.

ზუფანი - სატყორცნ-საძგერებელი იარაღი. საბას განმარტებით ზუფანი სასროლი მოკლე შუბია, წყრთეული შუბი, ხოლო ლახვრის ქვეშ განმარტებული აქვს - „ზუფანი არს ლახვარი მსგავსი გეონისა, ბუნწყრთეული შორით სასროლი, რომელ არს ლიბანდაკი“. შაჰნამეში ზაალზის ტყორცნის ძალის გამოსაცდელად ნათქვამია: „ოთხი ფარი დაარჩივეს, იქ დაუდგეს ზაალს წინა, მან ზუფანი შემოტყორცა, ყუელას შიგან გაირბინა, მიწაშიგა დაიკარგა, ეძებს, არსად არ აჩინა.“ ამ სტრიქონებიდან ცხადად ჩანს, რომ ზუფანი შუბივით საძგერებელი იარაღი კი არ ყოფილა არამედ სატყორცნი, რომელსაც დიდი განმკვეთლობის ძალა ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ზუფანი ძველ ქართულ ლიტერატურულ წყაროებში არ გვხვდება, გარდა შაჰნამესა და სულხან-საბას ლექსიკონისა. ამ ტერმინის სპარსული ფორმა ჟუფინია, რაც შუბს ნიშნავს, ხოლო ქართული ზუფანი სატყორცნიც

არის და საძგერებელიც. ზუფანი ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში არ ფიქსირდება, ამიტომ სავარაუდოა, რომ „ზუფანი“ იარაღის უცხო სახელი იყო და საქართველოს ყოფა-ცხოვრებისა და საჭურველის ისტორიისათვისაც მოგვიანებით და, ამასთანავე, ხანმოკლე დროით გამოჩენილიყო.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემკი, ტ. III-IV 196; სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991.

ზღავი, ზღვე - სიპის ბრტყელი, დიდი ქვებით მოკირწყლული გომურის//ბოსლის იატაკი. ერთმანეთზე კარგად მიჯრილი და მკვიდრად მორგებული. ამავე მიზნით გამოიყენება სქელი ფიცრები და მასაც „ზღვე“ ეწოდება.


ზღმურდლის უქმე - ზღმურდლის (ზღმურტლის) - სახეზე ამოსული მუწუკის - საწონააღმდეგო საშუალება; უქმობდნენ გაზაფხულზე კახელი ქალები, რათა ზღმურდლი არ დაყროდათ.

ლიტ.: სტ. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

ზღუდე - დასაცავად შემოვლებული გალავანი, მტკიცე კედელი, რომელიც იცავდა რაიმე მნიშვნელოვან ობიექტს.

ზღურბლი - შესასვლელი კარის ქვედა ნაწილი. ზღურბლზე მდგარი ადამიანი არც შიგაა და არც გარეთ, იგი თავისებური საკრალური ადგილია. ხალხის რწმენით, სახლში მოსულ ადამიანთან მისალმება და ხელის ჩამორთმევა უნდა მოხდეს ზღურბლის გადმოლახვის შემდგომ. მასზე გადაბიჯება მიჰატიჟების გარეშე არ შეიძლება.

ლიტ.: ქელ. 2009.



თაბახი - ტაბაკი, თეფში, ლანგარი, გობის მსგავსი ხის ჭურჭელი. ხვეწდნენ წიფლის, ლეკისა და თელის ხისგან.

ლიტ.: გ. გასიტაშვილი, თაბახი, ქსე, ტ. IV, 1976.

თაბუნი - ხელოსანთა ჯგუფი, ამხანაგობა, იგივე ამქარი.

თაგვისარა - ერთგვარი ეკლიანი მცენარე, რომელსაც მჭიდროდ შეჰკონიან და იყენებენ ქვევრის სახეხად. დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოსათვის. თავანი (გურ. აჭარ. იმერ. კახ.) - არე სახლის ჭერსა და სახურავს შორის. სხვენი, ქორედი. ზამთარში ინახავენ სხვადასხვა სანოვაგეს, გამოიყენებდნენ დასაწოლადაც.

თაგვთ-უქმე (რაჭ.) - მარხვა. ნამარიობევს იცოდნენ. მემარხულეს თითქოს თაგვი ვერაფერ ზიანს მიაყენებდა (იხ. ქეგლ; შდრ. ბერ.: თაგვმარიობა, ჩიტმარიობა).

თაგვობა - თაგვების გასარეკად ყველიერში შესრულებული წესი ლიახვის ხეობაში; ადების ღამეს გამოაცხობდნენ ქაღებს და დაურიგებდნენ ბავშვებს, რომლებიც ამ ქაღებითა და ასკილის ტოტებით სახლს შემოუვლიდნენ, ასკილის ტოტებს სახლის კედლებს ურტყამდნენ

და გაიძახოდნენ: „თაგვო, თაგვო, გადი, ანგელოზო, შემოდი!“ ერთი მათგანი კატასავით კნაოდა. შემდეგ ბავშვები სახლიდან მოშორებით დასხდებოდნენ და ქაღებს შეჭამდნენ, მიწაზე დაარჭობდნენ ასკილის ტოტს, რომელზედაც წამოცმული იყო ქადის პატარა ნაჭერი - თაგვების წილი.

თაგვობა ღამეს იცოდნენ აგრეთვე „ბაღების დასარყვა“ :ჯოხის თავს ოთხად გააპობდნენ და ნაპობში ჯვარედინად ორ ჩხირს ჩაარჭობდნენ. შემდეგ ამ სარყს ყანაში, ბოსტანში, ბაღში ან ეზოში მიწაში ჩაარჭობდნენ, სარყის გვერდზე კი ასკილის ტოტს დადებდნენ.

ლიტ.: ს. მაკალათია. ლიახვის ხეობა. თბ., 1971, გვ. 72-73.

თაგო-თაგოობა - ქიზიყური საბავშვო წეს-ჩვეულება - სახლიდან თაგვების განდევნის რიტუალი; სრულდება ყველიერის ბოლო დღეს. შემდეგი სახით: დილით ადრე ბავშვები ასკილის ტოტით ხელში სახლის ყოველ კუთხე-კუნჭულს სამჯერ შემოუვლიან, თან გაიძახიან: „თაგო, თაგო, კარში გადი, ანგელოზო, მინ შემოდი!“ შემდეგ აიღებენ თეფშს, რომელზედაც ცოტა პური, ქადა, ყველი და თევზი დევს, და ხმაამოუღებლად გაემართებიან სერისაკენ, საითკენაც, თით-

ქოს, თავგებიც უნდა წაიყოლონ. ბავშვებს გზა-გზა ხვლებიან მეზობლის გოგო-ბიჭები, რომლებიც ცდილობენ დაალაპარაკონ, გააცინონ, ან უკან მოახედონ, რათა თავგები კვლავ სახლებში „დააბრუნონ“. ბოლოს, ამ საწესო მსვლელობის მონაწილენი რომელიმე ბუჩქის ძირას შეჩერდებიან, პროდუქტის ნაწილს, როგორც თავგების წილს ასკილის ტოტს ააბნევენ და იქვე დატოვებენ, დანარჩენს თავად შეჭამენ და შინ იმ იმედით დაბრუნდებიან, რომ ამიერიდან თავგები ოჯახს არ შეაწუხებენ.

ლიტ.: ეპისკოპოსი კირიონი. სალექსიკონო მასალა // ძველი საქართველო, ტ. II. ტფ., 1913, გვ. 1-27; ს. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

თაგუნაობა (რაჭ.) - ბავშვთა თამაშია, - კატა-თაგობანა (იხ. ბერ.; შდრ. გაჩ. თაგობია).

თავანი (გურ. აჭარ. იმერ. კახ.) - არე სახლის ჭერსა და სახურავს შორის. სხვენი, ქორედი. ზამთარში ინახავენ სხვადასხვა საწოვარს, გამოიყენებდნენ დასაწოლადაც.

თავბანიება - მიცვალებულის კულთან დაკავშირებული თუშური წეს-ჩვეულება: გარდაცვალებიდან მეშვიდე დღეს ჭირისპსტრონები სუფრას გაამზადებდნენ, მოიწვევდნენ მიცვალებულის თანატოლებს, ხუთ-ექვს პირს და თავებს დააბანინებდნენ. თუ გარდაცვლილი გათხოვილი ქალი იყო, თავისმბანელთა შორის ერთი უგვირგვინო ვაჟი უნდა ყოფილიყო, თუ კაცი - ქალიშვილი. თავბანის შემდეგ სუფრას მიუსხდებოდნენ, სანთლებს აანთებდნენ და მიცვალებულს სულს უხსენებდნენ. სწამდათ, რომ ამ წესის შესრულებით გარდაცვლილის თავ-ტანი „მოისვენებდა“.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 114.

თავგადაგდება / თავზე გადაგდება (რაჭ.) - ქორწილში ახალდაქორწინებულთათვის ფულის ან სხვა რაიმე ძვირფასი ნივთის ჩუქება, შეწირვა (იხ. ქართ. დიალექტ., 684).

თავგადასაგდები (რაჭ.) - ახალდაქორწინებულთათვის შესაწირავი ფული ან ნივთი. (იხ. ქეგლ, ქართ. დიალექტ., 684, ძონ., გაჩ.).

თავდამარხვა | თავდამარხვაჲ - საქართველოს მთიანეთსა (ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, სვანეთი) და ბარის ზოგიერთ რეგიონში (გურია-სამეგრელო, კახეთი) გავრცელებული რიტუალური თავდამარხვა, რომელსაც უმემკვიდრეოდ (უძეოდ) დარჩენილი და ნათესავების იმედის არმქონე ასაკმოყრილი პირები (მამაკაცებიც და დედაკაცებიც, ცოლ-ქმარი ერთად) ასრულებდნენ; გამოიხატებოდა მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯის (ქელეხის და სხვ.) გაწევაში (ზოგჯერ დამარხვის შემდგომი „რიგის“ გამართვაშიც. მაგ., სვანურ თავდამარხვაში შედიოდა როგორც ქელეხი - „ლუხორი“, ისე „ლაგვანი“, რომელსაც ჩვეულებრივ შემთხვევაში მიცვალებულს სამი წლის შემდეგ უხდიდნენ).

„თავდასამარხად“ მზადება ქართველ მთიელებში, სადაც იგი XX ს-ის შუა ხანებამდე შემორჩა, და გურულებში ისეთივე იყო, როგორც მიცვალებულთა სახელზე გამართული ჩვეულებრივი „რიგების“ დროს. მთაში „თავდამმარხავი“ ხარშავდა ლუდს, ხდიდა არაყს აცხობდა პურს, „სულის ცხენსაც“ დაიკურთხებდა და დოდსა და ღაბაჟს გამართავდა, ნათესავ-მეზო-

ბლებს მოიწვევდა და ქელესაც გადაიხდიდა. საუკეთესო სამოსში გამოწყობილი „თავდამმარხავი“ ნაკურთხ ტაბლასთან დაჯდებოდა, მაგრამ შენდობანათქვამ საჭმელს არ მიეკარებოდა, რადგან საიქიოში არ მიუვიდოდა. ხევსურეთში სულის ხუცესის მიერ ტაბლის დალოცვის დროს მას გარშემო დასალოცს შემოუწყობდნენ, ხოლო ცხენის დაკურთხებისას სადავე თავად ეჭირა; საწესო სუფრის დამთავრებისთანავე „თავის დამმარხავი“ დარჩენილ სასმელ-საჭმელს მეზობლებში დაარიგებდა, „დოღვს“ (დოღში გამარჯვებულისათვის განკუთვნილი ჯილდო) გასცემდა; ტანსაცმელს, მისი სიკვდილის შემდეგ, ანდერძის მიხედვით გაანაწილებდნენ. როცა „თავდამმარხავი“ გარდაიცვლებოდა, მხოლოდ „საპირიქსნოს“ დაკლავდნენ და ერთ საარყეს გამოხდიდნენ, რათა მისი ტალავარი (იხ. „სულის ტალავარი“) დაელოცათ და შესაწავლობარი ეთქვათ.

სვანეთში „რიგების მომწყობი ოჯახებში თუ მიცვალებულთა ცოლები და რძლები, ან, პირიქით, ქმრები და ხანდაზმული ვაჟიშვილები ცოცხლები იყვნენ, მაშინ რიგებს, მიცვალებულთან ერთად, ამ ცოცხალი პირების სახელზეც იხდიდნენ და მათ შესაფერის საკურთხ ცხოველებს დაუკლავდნენ. ასეთ შემთხვევაში სარიგო სუფრის წინ, მიცვალებულთა ფიტულების, ე. წ. „ნახაზების“, გვერდით მათი ცოცხალი მეუღლეები ისხდნენ საუკეთესო ტანსაცმელში გამოწყობილები და საჭურველ-სამკაულით დამშვენებულები. როდესაც ოჯახს მემკვიდრე არ გააჩნდა ან ოჯახის უფროსს იმედი არ ჰქონდა, რომ მათი სიკვდილის შემდგომ მათ სახელზე რიგს მოაწყობდა, მაშინ ისინი თავის სახელობის რიგებს სიცოცხლეშივე თვით იმარხავდნენ და ყველაფერი ისე სრულდებოდა, როგორც მიცვალებულთა სახელობის რიგებში. პირველი იმპერიის

ლისტური ომის წინ ჩუბიხევის მოსახლის მიერ მოწყობილ ლუხორში (რომელმაც თავისი დიდი ხარჯითა და სახეიმო ხასიათით წარუშლელი მთაბეჭდილება დატოვა მხცოვანი და მორწმუნე სვანების თაობაში და „ბაძუანთ ლუხორის“ სახელით საარაკო ამბად იქცა) ერთი მოხუცი სტუმარი ქალი საჯაროდ აცხადებდა, რომ მას საიქიოში 35 ხარისაგან შემდგარი ჯოგი ჰყავს წამძღვარებული და რომ ამის შემდეგ მას სიკვდილიც კი არ ეზარება“ (ვ. ბარდაველიძე). მართალია, ასეთ სუფრას სვანები სალხინო სუფრად მიიჩნევდნენ, მაგრამ ნამდვილი ლხინი და სახეიმო განწყობა სუფევდა გურული „თავდამარხვის“ სუფრაზე, რომელსაც თან სდევდა მხიარულება, სიმღერა, ცეკვა, თოფ-დამბაჩის სროლა.

„თავდამარხვის“ წესის გამოძახილია კახეთში უკანასკნელ დრომდე შემორჩენილი ჩვეულება: მოხუცები, რომელთაც იმედი არ ჰქონდათ, რომ გარდაცვალების შემდეგ ვინმე ხარჯს გადაუხდიდა, სასმელ-საჭმელს მოამზადებდნენ და სხვაზე გასცემდნენ: „იქნებ ჩემი სიკვდილის შემდეგ არაფერი გამიკეთონ. მე რომ ჩემს სიცოცხლეშივე ჩემივე ხელით გავცემ - საიქიოში მომივაო“. კახელი მხცოვანის მდგომარეობაში მყოფი უშვილძირო მეგრული ძვირფასი ხის (წაბლის, მუხის, ძელქვის) მასალისაგან კუბოს გააკეთებებდა, შინ ღამით მიიტანდა და საცხოვრებლის სხვანში, სასიმინდეში ან ბელელში შეინახავდა. რა თქმა უნდა ეს ფაქტი სოფელს არ გამოეპარებოდა, მაგრამ კრინტსაც კი არ დაძრავდა, ვიდრე „თავდამმარხავი“ უახლოეს ნათესავ-მეზობლებს არ დაპატიჟებდა და ამის თაობაზე სასხვათაშორისოდ არ იტყოდა. სტუმრები მასპინძელს დალოცავდნენ, დღეგრძელობას უსურვებდნენ და ტაქტიანად დააყოლებდნენ: კაცი ყველაფრისათვის მზად უნდა იყოსო. „თავდამარ-

ხვის“ დროს მეგრელებს „ნიშნით ტირილიც“ ცოდნიათ.

აღნიშნული წეს-ჩვეულება ეფუძნება საიქიოს შესახებ ხალხურ რწმენა-წარმოდგენებს, რომლის თანახმად ხარჯების, რიგების ყველა შესაწირი სულეთში გადაინაცვლებდა და „თავდამარხულთა“ სამუდამო საკუთრებად იქცეოდა. რიტუალური „თავდამარხვის“ შესაწირავთა სახით ადამიანი წინასწარ აგზავნიდა საიქიოში ყოველივეს, რაც, მისი რწმენით, სულეთში ცხოვრებისათვის იყო საჭირო.

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. თბ., 1940, გვ. 48; ვ. ბარდაველიძე. ქართული (სვანური) გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბ., 1953, გვ. 68; დ. გიორგაძე. რიტუალური „თავდამარხვის“ წესი საქართველოში // კავკასიის ეთნოლოგიური კრებული. VIII. თბ., 2003, 96-101; რ. ერისთავი. ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები. თბ., 1968, გვ. 178; თ სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1956, გვ. 127; ბ. ყავრაშვილი. სვანეთი. თბ., 1926, გვ. 51; ა. წულაძე. ეთნოგრაფიული გურია. თბ., 1971, გვ. 203-204; ნ. ხიზანიშვილი. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1940, გვ. 76.

თავდგომელაობა (რაჭ.) - ბავშვთა თამაშობაა ერთგვარი (იხ. ბერ.).

თავისახლობა (რაჭ.) - გათხოვილი ქალის მშობლების ოჯახი. (მდრ. ბერ.: თავისახლი).

თავკავი (ზმ., გლ.) - თოვლზე სატარებელი მარხილი, რომელსაც ფჩხილები

(იხ. ფჩხილა) არა აქვს, ხოლო „ფეხების“ („საჩოჩავის“) წინა მხარე ზევით არის ამოღუნული (იხ. ბერ., ქეგლ; მდრ. ძოწ.).

რაჭ. ლექსიკონი

თავლა - საკარმიდამოში სამეურნეო ტიპის ნაგებობა, რომელიც ძირითადად ასოცირდება ცხენის, ვირის, ჯორის სამწყვდევთან. როგორც ცალკე ნაგებობა თავად-აზნაურთა და შეძლებულ გლეხთა ფენას გააჩნდა. ასევე გამოიყენებოდა თივისა და სხვადასხვა სამეურნეო იარაღების შესანახად. გომთან და ბოსელთან შედარებით, თავლა უფრო სუფთად დაცული სადგომს წარმოადგენდა.

თავლაშვარი - (თბ) - ხარაზის ხელსაწყო, გასალესი ქვა.

თავრიელი (რაჭ.) - 1. საქონლის თავის ტყავი. თხელია და საქალაბნედ არ ვარგია (იხ. ქეგლ). 2. (ზმ.) მოკლული ნადირის თავ-კისერი. ნადირის თავრიელს საპატიო ადგილას ინახავდნენ, მაგ., ჯიხვის და არჩვის რქებს კედლებზე აკრავდნენ, დათვის თავ-ყბას ღობის სარებზე აცვამდნენ.

თავმოკრულაყის საწდე - საახალწლოდ მოხარშული და გამცხადების (იხ.) დღისთვის ერთ ჩხუტში (ხის საწდე) ჩაფუვლებული ლუდი. თუმები გამცხადების დილით საწდეზე სანთლებს აანთებდნენ, დაილოცებოდნენ, ხუცესი ჩონგურს დაუკრავდა და ხალხი ჩხუტს გარშემო სამჯერ შემოუვლიდა. მღეროდნენ „ფერჟისაყს“ („დღესამ დღეობა ვისია...“); შემდეგ „თავმოკრულაყზე“ დადებდნენ ჩონგურს, რომელსაც ღამით ყურს უგდებდნენ, თუ როგორ გამოსცემდა ხმას.

საგანგებოდ ამ რიტუალისთვის შეთქმულ სალუდე კოდს („თავმოკრულაყის

საწდეს“) ვესტმომი „საქარმუჯოს“ უწოდებდნენ. ადგილობრივები ახალი წლის მესამე ღამეს საჯარეში (სოფლის თავმჯდომარის ადგილზე) ერთ შამფურ მწვადს მოიტანდნენ და დიდი ჯამით ლუდს დადგამდნენ. ერთი კაცი დაჯდებოდა და იტყოდა „მექარმუჯეთ შეუნდოსო“, დალევდა ერთ სასმისს და მწვადს მიაყოლებდა; მერე მივიდოდა მეორე, მესამე და ა. შ. შვიდი კაცი გაიმეორებდა ერთსა და იმავეს. ასე უნდა დაეცალათ სალუდე ჯამი და შეეჭამათ მწვადი.

აღნიშნულ რიტუალს გომეწარში (სოფ. ვერხოვანში) „გოგბახულაყობას“ ეძახდნენ. აქაურები მეზობელი სოფლიდან მოპატივებულ სტუმრებსაც უმასპინძლებდნენ. ამ რიტუალს შეცვლილი სახით და, თითქმის, იმავე სახელწოდებით („გოგბახვილა“) აღვანელი წოვა-თუშებიც ასრულებდნენ. „გოგბახულაყობა“, როგორც ჩანს, მომდინარეობს წოვა-თუშური ტერმინიდან გოგბახარ „წრის ვლება“, „გარშემოვლა“.

ლიტ.: ნ. აზიკური. კოტორი, როგორც რიტუალური პური თუშეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXIII. თბ., 1987, გვ. 218-219; გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. **თავმოსაპარსო** - მიცვალებულის გლოვის ნიშნად მოშვებული თმა-წვერის მოპარსვის წესი აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში. თუშეთში, ხევსურეთსა და ფშავში მგლოვიარე მამაკაცები (მიცვალებულის ოჯახის წევრები, ბიძაშვილები დეიდაშვილები, დისშვილები, ძმისშვილები, მოგვარეები) გარკვეული დროის განმავლობაში ატარებდნენ: თუშები და ფშავლები - ერთი წელიწადი (მოგვიანებით, „თმის სხმის“ დრო

ორმოც დღით განისაზღვრა), ხევსურები - შვიდი კვირა. თავმოსაპარსოს ჭირისპატრონის სახლში მგლოვიარე მამაკაცები თავიანთი სასმელსაჭმელით იხდიდნენ და თმა-წვერსაც მაშინ იპარსავდნენ; მოპარსვის დროს ხევსურები იტყოდნენ: „ ბევრჯელამც მაიპარსავ თავს მშვიდობით და დღეგრძელობით, სამგლოვიარო აგვადას ღმერთმა“. დაახლოებით ამასვე ამბობდნენ თუშები და ფშავლები.

სამგლოვიარო თმა-წვერის მოშვება და მისი რიტუალური მოპარსვა თუ შეჭრა საქართველოს სხვა კუთხეებშიც იყო გავრცელებული, მაგრამ განსაკუთრებული ინტერესის საგანს მეგრული „თმის ჩამოგდების“ წესი წარმოადგენს (იხ. „თუშეთში მუკოთამა“).

ლიტ.: დ. გიორგაძე. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). თბ., 1987, გვ. 43-49; ს. მაკალათია. თუშეთ. ტფ., 1933, გვ. 169. თბ., 1987, გვ. 56-57.

თავრიელი (რაჭ.) - მოკლული ნადირის თავ-კისერი რქებიტურთ; ენიჭებოდა იმ რაჭველ მონადირეს, რომელიც ნადირს პირველი დაადენდა სისხლს, მიუხედავად იმისა, სასიკვდილოდ იყო დაჭრილი, თუ - არა; რამდენადაც ხშირ შემთხვევაში (განსაკუთრებით კოლექტიური ნადირობის დროს) პირველი სროლის უფლებით ფროსი მონადირე სარგებლობდა, თავრიელიც მისი წილი იყო. თავრიელი წარმოადგენდა საკულტო საგანს, რადგან ნადირობის წინ და ნადირობის შემდეგ თავრიელზე, უფრო სწორად, ნანადირევის რქებზე ანთებ-

დნენ სანთელს და პირველ შემთხვევაში ნადირთპატრონს წარმატებულ ნადირობასა და შინ მშვიდობით დაბრუნებას ევედრებოდნენ, მეორე შემთხვევაში კი - მადლობას სწირავდნენ ბარაქიანი ნადირობისათვის. გარდა ამისა, ნანადირევის თავრიელს (რქებს) რაჭველები, ისევე როგორც დანარჩენი ქართველი მთიელები, ხატს სწირავდნენ და მისი გასხვისება იკრძალებოდა.

ლიტ.: ალ. რობაქიძე. კოლექტიური ნადირობის გადმონათობები საქართველოში. თბ., 1941, გვ. 175-189; ვაჟა-ფშაველა. ეთნოგრაფიული წერილები. ტფ., 1937, გვ. 110; თავისუფალი სვანი. სვანეთის ეკლესიათა ქონება // დროება. 1885, № 78; Г. Радде. Путешествие в мингрельских альпах // ЗКОРГО. Т. VII. გვ. 112; А. Зиссерман. Очерки Хевсурии // Кавказ. 1851, № 22; Р. Эристов. О тушино-пшаво-хевсурском округе // ЗКОРГО. Т. III. Тф. 1835, გვ. 127.

თავსაბურავი ქალისა - საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახულია ქალისა და მამაკაცის მრავალფეროვანი თავსაბურავი. ამათგან ყურადღებას იქცევს კომპლექსი „თავხურა“, რომელიც ქართველი ქალის ეროვნული ჩაცმულობის-ქართული კაბის აუცილებელი ელემენტია და თითქმის მთელ საქართველოში იყო გავრცელებული. ამ კომპლექსში შედიოდა ჩიხტიკოპი, თავსაკრავი, ლეჩაქი. ბაღდადი, შუბლის ქინძისთავები და სხვ. ქალის ამ საერთო ქართულ თავსაბურავები: ხილაბანდი, ფშაური ჩიქილა, ხელსახოცი, თავჩითა, ხევსურული სათაურა და მანდილი ასევე თუშური კუჭურა, შუბლსაკრავი, კოპენა, ჩიქილა, აჭარული თეფელუდი და სხვ. ხ ი ლ ა ბ ა ნ დ ი - ბა-

მბის თეთრი ქსოვილის სამკუთხა თავსაფარია, თავზე წასაკრავი. მასთან ერთად (შეწყვილებულად) იხმარებოდა სხვადასხვა ფერის ქსოვილის ოთხკუთხა მოსახვევი, რომელსაც მოსამყუროებულად, ანუ უბურად მოკეცილს იხვევდნენ ხილაბანდის ზემოდან. ლ ე ჩ ა ქ ი - თხელი გამჭვირვალე ქსოვილისაგან (ტიული, მარმაში) დამზადებული სამკუთხა თავსაფარია. კიდეებზე მაქმანი აქვს შემოკერებული. მოქარგული ან დაბასმული (ბასმით ანუ თეთრი წებოთი მოხატული). ეს სახელწოდება გავრცელებულია კავკასიისა და შუა აზიის ხალხებში. ლეჩაქს ძველ ქართულად ჰქვია „ჩიქილა“, „კუბასტი“, „მაკინაკი“, „მაკნანი“. ჩ ი ხ ტ ი კ ო პ ი - ეს თავსაბურავი ორი ნაწილისაგან შედგება: ჩიხტისა და კოპისაგან. ჩიხტი არის თავზე დასადები მუყაოს ან ხის ბრტყელი რკალი თხემისკენ დაქანებული, რომელზეც გადაკრულია შუბლსაკრავი, ანუ თავსაკრავი. თავსაკრავი ფარჩის ან ხავერდის სხვადასხვა ფერის ქსოვილის ვიწრო ოთხკუთხა ზოლია, მოქარგული ან შემკული შუბლის ქინძისთავით, ზოგჯერ მძივებით. კოპი არის ბოლოებზე წვეტილებული, ბამბით გამოტენილი ფერადი ფარჩის ან აბრეშუმის ქსოვილის ნახევარრკალი. მას დებენ ჩიხტის შიგნით, რათა ზედ ქინძისთავებით ლეჩაქი დაამაგრონ. ბ ა ღ დ ა დ ი - სახიანი ფარჩის ან აბრეშუმის ქსოვილის ოთხკუთხა მანდილია, რომელსაც ჩიხტიკოპისა და ლეჩაქის ზევით იხვევენ. მ ა ნ დ ი ლ ი - შავი სატინის ან ქიშმირის გრძელტოტებიანი სამყურა მოსახვევია. მას თუშები იმაგრებენ კუჭურას ზევით. კუჭურა მიტკლისგან იკერება. ის ჩიხტისმაგვარია, მაგრამ მიკერებული აქვს თავზე მისამაგრებელი სალტეები. კუჭურა გატენილია ბამბით ან მატყლით და შემოვლებული აქვს ქინძისთავის დასაბნევი გრეხილი. თუშები მანდილის ზევიდან იხვევენ გრძელ, ოთხკუთხა, ორფა შავი ქსოვილის ზოლს. არის ხევსურული მანდი-

ლიც. იგი სათაურასთან ერთად იხმარება. ს ა თ ა უ რ ა - ხევსური ქალის თავსაბურავის ნაწილია. ესაა გასათხოვარი ქალის თავსადები - ნახევარკალის მოყვანილობის, მაღალი წინდაცერებული და მდიდრულად ნაქარგი. გათხოვილი ხევსური ქალი მას უმატებდა ხევსურულ მანდილს. ეს მანდილი შინნაქსოვი შალისგან - ტოლისაგანაა დამზადებული. ოთხკუთხაა, ცალ მხარეს აქვს ფოჩი, მისი ბოლოები მოქარგულია. თ ა ვ ჩ ი თ ა - ფშაველი ქალის სამკუთხა თავსაკრავია. მის ზემოდან იხვევენ ქიშმირის ოთხკუთხა და ირგვლივ ფოჩებშემოვლებულ სახიან ხელსახოცს. ჩ ი ქ ი ლ ა - (ლუჩაქი) ფშაური თავსაბურავის შემადგენელი ნაწილია. იგი აბრეშუმის გრძელი სამყურა თავშალია. შეკერილია ორი ნაჭრისაგან. ზემოდან დაუყვება ფერადი აბრეშუმის ზოლები - სრელები. ირგვლივ შემოკარებული აქვს ფესვი - ფოჩი. ჩიქილის ზემოდან იხვევენ ოთხკუთხა, შუაზე გაკეცილ და რამდენჯერმე გადახვეულ მოსახვევს. დასავლეთ საქართველოში ტრადიციული თავსაბურავისაგან გამოირჩევა რაჭველი ქალის თავსაბურავი. ის მხოლოდ მთის რაჭის სამ სოფელშია (ღები, ჭიორა, გლოლა) გავრცელებული. ამ თავსაბურავის ნაწილია ჩიქილა - თეთრი მიტკლის სამყურა თავსაფარი, რომელსაც ორი ტოტი მიკერებული აქვს. ჩიქილის შუა ნაწილის ქვედა მხარეს შემოკერებულია აბრეშუმის ძაფის ფოჩებგამობმული ჩიმჩიყი - ბადე. ჩიქილას ზემოდან ეხვევა რამდენჯერმე გადახვეული ოთხკუთხა, ფოჩებშემოვლებული ქსოვილი - თ ა ვ ს ა უ კ ო - ნ ი, ხოლო მეჩხერ თმას აერთებს კოპუნების გასაკეთებული გრძელი ხელსახოცი.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

თავსაია - თავდაუბურავი ქალი, ე.ი. მანდილმოხუხვეველი, უბაღდადო, მხოლოდ ჩიხტიკოპისა და ლუჩაქის ამარა. ამ წესის გამოყენება მხოლოდ ახალ პატარძლებს შეეძლოთ.

ლიტ.: სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

თავსაკრავი - ჩიხტას წინა მხარეზე გადასაკრავი დაქარგული ნაჭერი. მასალად გამოყენებულია ხავერდი ან სხვა ძვირფასი ქსოვილი (შავი, თეთრი, შვინდისფერი, ლურჯი და სხვა). პატარძლები თეთრ თავსაკრავებს ხმარობდნენ, მოხუცები და ქვრივები - სადასა და შავს, ხოლო შუახნის ქალები კი ნაქარგით დამშვენებულ თავსაკრავებს. ჩიხტაზე ბოლომდე არმისული სიგრძის ვიწრო ნაჭერს ნაპირები გადაკეცილი უნდა ჰქონოდა. ჩიხტაზე მას უბრალო ქინძისთავებით ამაგრებდნენ. გაფორმების მხრივ არჩევდნენ ორგვარ თავსაკრავებს: 1. ნაკერი, ანუ მოქარგული და 2. სადა, ანუ „საია“. თავსაკრავის მოსაქარგად გამოიყენებდნენ როგორც ოქრომკედს, ასევე ფერად ძაფებსაც. მოწონებით სარგებლობდა ოქრომკედით ნაკერები. ქარგულში ჩართული იყო სხვადასხვა ზომისა და ხარისხის მძივები თუ ოქროსფერი ლითონის პატარა ფირფიტები - „კილიტები“, რომელთა დასამაგრებლად მოიხმარდნენ ოქროვან ძაფს. მოქარგვის სახეები იყო ტოტიანი, ვარდიანი, ბროწეული, ჯაჭვი და სხვა. გაფორმების მხრივ ასხვავებდნენ: ოქრომკედით ნაკერს, მძივის თავსაკრავს, კილიტიანსა და მარგალიტიანს. ეს უკანასკნელი დიდი მოწონებით სარგებლობდა. სადა ხავერდის თავსაკრავებზე მარგალიტის ან ფირუზის თვლიანი ქინძისთავები ეკეთათ. XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში გავრცელდა ალმასის თვლებით შემკული ბაღჩის ტიპის ოქროს ქინძისთავები -

„ჯიდა“. ლეჩაქთან ერთად, მოქარგულ თავსაკრავებსაც, პროფესიონალი ოსტატები ამზადებდნენ.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, კახური ჩაცმა-დახურვა, 1947:211; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011

თავსაფარი - ქალის ყოველდღიურად მოსახმარი სამკუთხა ნაჭერი. სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული. იცოდნენ თავსაფრის მოხვევის რამდენიმე ხერხი. სამგლოვიაროდ იხმარებოდა შავი თავსაფარი, რომელიც ზოგჯერ მთლიანად ფარავდა სახეს.

თავსახლი (რაჭ.) - საცხოვრებელი ნაგებობის ერთ-ერთი სახეობა. ჩვეულებრივი სახლისაგან განსხვავებით მას გვერდით მიშენებული ჰქონდა ლამაზკარფანჯრიანი ოთახი სტუმრებისათვის.

ლიტ.: რაჭული ლექსიკონი.

თავშალი „იაზმა“ - გათხოვილი ქალის თავსაბურავი, ძირითადად შეძლებულები ატარებდნენ. მესხეთ-ჯავახეთში ქმრიანი ქალები მუქწითელსა და მწვანეს აძლევდნენ უპირატესობას, მოხუცებიც კი თალხი ფერის სქელ თავშალებს ხმარობდნენ. ხმარებაში იყო ნაზი მატყლის ნაქსოვი თავშალებიც, რომელთაც ზამთარში იყენებდნენ. საზაფხულოდ ფერადი მარმამის თავსაფრები მოსწონდათ. განსაკუთრებით მაჰმადიანგოგონებს.

ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005, ლ. ბარათაშვილი, მასალები XIX საუკუნის ქართული ხალხური ტანსაცმლის ისტორიისათვის მსმკი, 1966.

თავშალი - ქალის თავსაბურავი, რომელიც მეტწილად მატყლის ძაფისაგან მზადდებოდა და შესაბამისად, იგი უფრო სათბუნებელს წარმოადგენდა და ზამთარში ბაღდადს ზემოდან მოიხვევდნენ. იგი ზომითაც ბაღდადზე დიდი იყო, ამიტომ მანდილოსანს თითქმის წელამდე სწვდებოდა.

ლიტ.: ნ. გვათუა, ჩაცმულობის ისტორიიდან, 1967:30.

თავშემოვლა / თავზე შემოვლება - ავადმყოფის გამოჯანმრთელების მიზნით, მისთვის რაიმე ვერცხლის ფულის, პურის, სამოსლის ან სხვა რაიმე ნივთის თავზე შემოვლება და მათი დატაკთავის გადაცემის, ან გარკვეული ვადით ჭამის შეწყვეტის თაობაზე აღთქმის დადება.

თავჩითა (ფშავი) - ქალების თავსაფარი. ქალები თავზე თავჩითასა და ქიშმირის მოსახვევს იხურავდნენ. თავჩითას სამკუთხად მოკეცავდნენ, რომლის ორ ყურს შუბლზე გაინასკვავდნენ. მას ყურებზე ზოგჯერ მძივები და თეთრი ფულები ჰქონდა შებმული. თავჩითას მოხდა და თვშიშველი გავლა ქალისათვის სირცხვილი იყო.

ლიტ.: ს. მაკალათია, ფშავი, 1985:124.

თავხე - მთავარი კოჭი სახლის გადახურვისას, რომელზედაც მიემაგრება დანარჩენი სახურავი კოჭები (იხ.გოგა).

თაზანა - თაზისა და ჩონგურის დასაკვრელი ხის წკირი.

თათარათ ჯვარანი - არხოტის თემის სოფ. ახიელის მომორებით ოდესღაც არსებული სალოცავი, სადაც ჯაბუშანურები გაქრისტიანებამდე, ანუ თათრად (მაჰმა-

დიანად) ყოფნის დროს ლოცულობდნენ. გადმოცემის თანახმად, ჯაბუშანურების წინაპრები თათრები (მუსლიმები) ყოფილან. ერთხელ თამარ მეფე არხოტში მოსულა, ხალხი შეუკრებია და უკითხავს, რამდენი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა და რამდენი თათარი; როცა პასუხი მიუღია, თათრებისათვის სასაფლაო ცალკე მიუზომავს. მას აქეთ ახიელი ჯაბუშანურების გვარს სასაფლაო ცალკე აქვს. მათი მოქცევის შემდეგ, თათართა ჯვარანი გაუქმდა.

ლიტ.: ალ. ოჩიაური. ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. ხევსურეთი (არხოტის თემი). თბ., 1988, გვ.195-196.

თათი - აქ: კაცისა და ქალის ნაქსოვი ფეხსამოსი აღმ. საქ. მთიანეთში. მასალად გამოიყენებდნენ შალის ძაფს. თათების ძირითადი ნაწილის მოსაქსოვად იყენებდნენ სისვისა და კრაველის ძაფს, მატყლის სიმცირის დროს კვირტსაც (იხ.), დასველებულ თათს კალაპოტზე გადაჭიმავდნენ და ძირად ტყავს გამოაკერებდნენ. ნაზი ნაქარგობით, ლამაზი ორნამენტაციითა და გამძლეობითაც გამორჩეული თუშური ჩითებისაგან განსხვავებით, ხევსურული თათები ორგვარი ფორმისა ყოფილა - მაღალი და დაბალყელიანი. ქსოვას იწყებდნენ წვერიდან უმეტესად ხვეული ქსოვით („დამატვა“), რომლითაც გამოჰყავდათ სხვადასხვა სახე. ორმაგი ნაქსოვი ორნამენტის გამოყვანის საშუალებაც იყო და სითბოს კარგად დამჭერიც. ამგვარი წესით იქსოვებოდა თათების გამოსაჩენი ადგილები: ზურგი და ყელი. თათების დანარჩენი ნაწილები ძირი და კოჭი (ქუსლი) ცალპირი ქსოვით სრულდებოდა. წვერი და ქუსლი, შიბის დაკერვის წესით, აბრეშუმის ფერადი ძაფით დაიქარგებოდა. ნაქარგს მძივ-ღილებითაც დაამშვენებდნენ, სირმასაც იხმარდნენ. საკაცო თათები უფრო შიბიანია, საქალო კი ნაცვალ-ნაშატებიანი. კვირტისგან მოქსოვილ ჭრელ თათებს ქალამანში იცვამენ. თათების ყელზე ჭრელი ზონარი - „შილიფანია“ შემოკე-

დაამშვენებდნენ, სირმასაც იხმარდნენ. საკაცო თათები უფრო შიბიანია, საქალო კი ნაცვალ-ნაშატებიანი. კვირტისგან მოქსოვილ ჭრელ თათებს ქალამანში იცვამენ. თათების ყელზე ჭრელი ზონარი - „შილიფანია“ შემოკერებული და ხშირად გრეხილი ბაწარიცაა გამობმული შესაკვრელად.

ლიტ.: გ. ბოჭორიძე, თუშეთი, 1993.

თათი ამოკერებულ-გამოკერებული

- ხევსური კაცისა და ქალის ნაქსოვი ფეხსამოსი. მასალად გამოიყენებდნენ შალის ძაფს. თათების ძირითადი ნაწილის მოსაქსოვად იყენებდნენ სისვისა და კრაველის ძაფს, მატყლის სიმცირის დროს კვირტსაც (იხ.) დასველებულ თათს კალაპოტზე გადაჭიმავდნენ და ძირად ტყავს გამოაკერებდნენ. ნაზი ნაქარგობით, ლამაზი ორნამენტაციითა და გამძლეობითაც გამორჩეული თუშური ჩითებისაგან განსხვავებით, ხევსურული თათები ორგვარი ფორმისა ყოფილა - მაღალი და დაბალყელიანი. ქსოვას იწყებდნენ წვერიდან, უმეტესად ხვეული ქსოვით („დამატვა“), რომლითაც გამოჰყავდათ სხვადასხვა სახე. ორმაგი ნაქსოვი ორნამენტის გამოყვანის საშუალებაც იყო და სითბოს კარგად დამჭერიც. ამგვარი წესით იქსოვებოდა თათების გამოსაჩენი ადგილები: ზურგი და ყელი. თათების დანარჩენი ნაწილები ძირი და კოჭი (ქუსლი) ცალპირი ქსოვით სრულდებოდა. წვერი და ქუსლი, შიბის დაკერვის წესით, აბრეშუმის ფერადი ძაფით დაიქარგებოდა. ნაქარგს მძივ-ღილებითაც დაამშვენებდნენ, სირმასაც იხმარდნენ. საკაცო თათები უფრო შიბიანია, საქალო კი ნაცვალ-ნაშატებიანი. კვირტისგან მოქსოვილ ჭრელ თათებს ქალამანში იცვამენ. თათების ყელზე ჭრელი ზონარი - „შილიფანია“ შემოკე-

რებული და ხშირად გრეხილი ბაწარიცაა გამობმული შესაკვრელად.

ლიტ.: გ. ბოჭორიძე, თუმეტი, 1993.

თათმანი - აქ. უთითებო ხელთათმანი, რომელსაც იყენებდნენ მუშაობისას. (იხ. ხელთათმანი).

თათრული კვანი / თათრულა (რაჭ.) - კვანის ერთ-ერთი სახეობაა. დიდი იზრდება, ნაცრისფერი რბილი კანი აქვს.

თალაბულუხის სარტყელი - კაცისა და ქალის წელსარტყამი აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში. მასალად გამოიყენებოდა ფაბრიკული აბრეშუმის ქსოვილები. სარტყელი სამკუთხა ფორმისაა. საქართველოში აჭარის გარდა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთში გვხვდება, რომელსაც ქალები და მამაკაცები დაქორწინების შემდეგ ატარებდნენ. მსგავსი სარტყელები გავრცელებული იყო ანატოლიაში.

ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათ. 2005.

თალხი - იგივეა რაც ქარსი (იხ.). საბას განმარტებით, „თალხი ქვა რაიმე არს ქიქასავით“, რომელსაც იყენებდნენ სარკმელთა და სანათურთა მინის ნაცვლად“.

თამადა, ტოლუმბაში - ქართული სუფრის თავი და წარმმართველი. ფორმით, შინაარსითა და დანიშნულებით ამ ინსტიტუტის გამოკვეთილ პერსონაჟს მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება. თამადას ევალება სადღეგრძელოების თქმა და პურობის წესის თანმიმდევრული დაცვა. მასზეა დამოკიდებული ოჯახის, გვარისა და საერთოდ, ესთეტიკურ ღირებულებათა წარმოჩენა, გარდაცვლილთა მოგონება, დამსწრეთა დაფასება და პატივისცემა. თამადა თავად უნდა იყოს

ინტელექტუალური, ავტორიტეტული, ღვინის სმისას გამძლე. ტერმინები „თამადა“ და „ტოლუმბაში“ არაქართულია და მხოლოდ XIX საუკუნეში შემოსულა ჩვენში. სამაგიეროდ არსებობს ამ ინსტიტუტის მოთავის ძველი ქართული სახელწოდებანი: „პურის უფალი“, „წინამძღოლი“, „მზრალი“, „მემზირი“, „მხნის თავი“, „დუდ მახვენჯი“, „ტაბგვა თხვიმი“. ამ სახელწოდებათა ქვეშ მოაზრებული ადამიანები უძველესიდანვე ახორციელებდნენ ყველა სარიტუალო, საოჯახო თუ საზოგადოებრივი სუფრის გაძღოლას და პურ-მარილს აზიარებდნენ მრევლს. სადღეგრძელოების სისტემას ასევე საფუძველს უდებდნენ წინაქრისტიანული კულტის მსახურნი (ხევისბერი, დეკანოზი, ხელოსანი, ქორა მახვში), რომლებიც წარმოთქვამდნენ სადილებელ ტექსტებს, რაც დროთა განმავლობაში სადღეგრძელოთა ფორმებს აყალიბებდა. ამიტომ, რომ დღესაც სადღეგრძელოთა დიდი ნაწილი სემანტიკური ნიშნითაა დატვირთული. სადღეგრძელო სიტყვასთან ერთად, სასმლის მიღების სიმბოლურ აზრსაც შეიცავს. სადღეგრძელო ჟანრობრივად მაგიური სიტყვების სპეციფიკური, განვითარებული ფორმაა, რომელიც რელიგიური რიტუალიდან იღებს სათავეს და რომელსაც უძველესი ტრადიცია გააჩნია. ქართული სუფრა თავისი თამადით არაერთი მკვლევარისა და მოგზაურის ყურადღების საგანი გამხდარა. ამ მხრივ, სანიმუშოდ შეიძლება დასახელდეს XVII ს. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც თბილისში დაესწრო ქართლის მეფისწულის ქორწილს და თავისი თვალთი იხილა ქართული სუფრის სისტემური ხასიათი და საკვირველი წესრიგი. შარდენის თქმით, „სუფრაზე სამი ევროპელი ვიყავით და ჩვენ უფრო მეტს ვხმაურობდით, ვიდრე ყველა ის ასორმოცდაათი კაცი, რომელიც სუფრაში იყო“. ბუნებრივია დავასკვნათ, რომ წესრიგიანობით გამო-

რჩეული ასეთი თავშეყრა ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაივლიდა „ხელმძღვანელის“, „წინამძღოლის“, „პურის უფლისა“, თუ „მზრალის“ გარეშე. თამადის კულტი დღემდე შემორჩა ქართულ სუფრას და ნებისმიერი ტიპისა და დანიშნულების სუფრა არ ჩაივლის მის გარეშე.

ლიტ.: გ. ბანძელაძე, *სადღეგრძელო*, 1991. გ. გოცირიძე, *კვების ხალხური კულტურა... 2007*; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

თამარ დელეს აქიმ-დელუფალი (ფშ.) - ყოველგვარ სნეულებისგან მფარველი და მკურნალი ფშავური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით. ავადმყოფობის დროს ფშაველი მას მფარველობასა და შველას შეთხოვდა; მიმართავდა ლოცვა-ვედრებითა და შესაწირავებით. მაშინაც კი, როცა იგი ქალაქის ექიმის მიერ გამოწერილ წამალს სვამდა, მკურნალ ქალღმერთს ახსენებდა, ვერცხლის ფულს თავზე შემოივლებდა და თამარის სახელზე შეინახავდა. ამ ფულს ანუ ე. წ. წამლის საკსარს თამარის დღეობაზე მის ხატს სწირავდა.

ლიტ.: ნ. ხიზანიშვილი. ეთნოგრაფიული ნაწერები // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. II. 1940, გვ. 25; ვ. ბარდაველიძე. ივრის ფშაველებში // ენიმკის მოამბე. XI.

თანამტანი (რაჭ.) - კოლექტიური ნადირობისას ტვირთის (სასმელ-საჭმლის, ნანადირევის) მზიდავი არამონადირე (იხ. რობაქ., 77; შდრ. did.).

თანაფრღი - ავი თვალის საწინააღმდეგო ძაფი, რომელსაც სვანი ქალები ადდგომის წინა ხუთშაბათს რთავდნენ და

იმავე დამეს ოჯახის წევრებსა (მკლავებზე ან ფეხებზე) და ავეჯულობას შეაბამდნენ.

ლიტ.: მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1961, გვ. 226.

თანგირა 1. უყურო მოზრდილი სპილენძის ქვაბი, არასანიადაგოდ სახმარი, „ზედადგარზე დაიდგმის.“ 2.. წყალგაყვანილობაში ერთგვარი წყლის გამანაწილებელი თიხის ჭურჭელი, რომელსაც აქვს ორი ან სამი მილი. ნაკადის სხვადასხვა მხარეს წასაყვანად.

თარაზო - სიზუსტის იარაღი მშენებლობაში. თარაზოს შიგნით ჩასმული აქვს ორი პატარა სინჯარა ჩვეულებრივი წყლით სავსე, რომელთაგან ერთი აზუსტებს ჰორიზონტალურ სისწორეს, ხოლო მეორე პარალელურს.

თარგი - ხის ჩუქურთმების გამოსაყვანი შაბლონი. ხის მოხელეს ჰქონდა ქალაქის ან ხის თარგი აივნის ფარდების დასაჭრელებლად, კოვზის, როდინის, ქაფქირისა და ა.შ. დასამზადებლად.

თარგლუზერ (ბ.-ქვ.), **თარინგზელ** (ბ.-ზ.) – „მთავარანგელოზი“ - მრავალფუნქციური ღვთაება, რომლის კულტი სვანეთში ფართოდ იყო გავრცელებული; იხსენიებოდა ღვთაებათა ყველა სადიდებლისა თუ ცალკეული ლოცვის ტექსტებში. მისი ეპითეტები და სალოცავი ადგილები იყო: თანდარე თარგლუზერ (ფარ.) / თანდი თარინგზელ / თანდი მქქემ თარინგზელ (ლატ.) - სალოცავი ლატალში მთის წვერზე (ევედრებოდნენ ვაჟიშვილების მინიჭებას); თარინგზელი ლაჭუამ (ლენჯ.); მიქამ თარგლუზერ (ლახ., ჩუბ.); იდლიანამ თარგლუზერ (ლახ., ჩუბ.); ისგლდიაშ თა-

რგლუზერ || ისგლდშია თარგლუზერ (ფარ., ჩუბ.) - სალოცავი ფარში; კაიმა / კაიმა თარგლუზერ || კაიმა თარინგზელ (იხ.); ლალხორალამ თარგლუზერ (ჩუბ.); ლამურუაამამ თარგლუზერ - „საკომკებო მთავარანგელოზი“ (ლახ., ფარ.); ლაფსყალდამ თარგლუზერ (ჩუბ., ფარ.) - „ლაფსყალდის მთავარანგელოზი“ (ცხუმარის თემის სოფ. ლაფსყალდში არსებული მთავარანგელოზის ეკლესია); ლაღრალამ თარგლუზერ (ლახ.) - „ლაღრალის მთავარანგელოზი“ ; ლახუამ თარგლუზერ (ლახ., ფარ.) - „მთის მთავარანგელოზი“; ლესგლდამი თარინგზელ (ლატ.) - „გვერდის მთავარანგელოზი“ (მიიჩნევა გვერდების ტკივილის მფარველად); მეზრა თარგლუზერ (ფარ., ლენჯ.) - „მეზრას მთავარანგელოზი“ (ბეჩოში, მეზრას მთაზე არსებული სალოცავი); მეშხელ თარგლუზერ (ფარ.) / მეშხელ ლღლალ თარგლუზერ (ჩუბ.) - „შავი მთავარანგელოზი“ (მისი სალოცავი არის ღებდერში); მურქუილ თარგლუზერ (ფარ.) - „მურქვილის მთავარანგელოზი“ (ეცერში, ფხოტრერში არსებული სალოცავი); მხხერი (ლატ.) / მხხერი თარგლუზერ (ჩუბ.) / მხხერია თარგლუზერ (ფარ.) - „მხიარულების მთავარანგელოზი“ (ითვლებოდა ვაჟიშვილების მიმნიჭებელ ღვთაებად); სუაჯარ თარგლუზერ (ფარ.) - „სვაჯების მთავარანგელოზი“ (?); ფხტრერიმ თარგლუზერ (ლახ., ჩუბ.) - „ფხოტრერის მთავარანგელოზი“ (ეცერში, ფხოტრერში არსებული სალოცავი).

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 190-192.

თარი - აღმოსავლური სიმებიანი ჩამოსაკრავი ინსტრუმენტი. საკრავის კორპუსი რვიანის ფორმისაა. მზადდება

თუთის ხისაგან, პატარა ზომის თარები მთლიანი ხისაგან, დიდი ზომისა - ორი ცალკეული ნაწილისაგან. ზედა მხარეს გადაკრულია მემბრანა (ბუმტი ან თევზის ტყავი). ყელზე აქვს 11-დან 26-მდე საქცევი, ნაწლავის სიმების მასალისა. თავი ვიწრო კოლოფია, რომელშიც სიმების დამჭერი ხის მოქლონებია ჩასმული. ხშირად კორპუსი, ყელი და თავი სადაფითა და ძვლით არის ინკრუსტირებული. სიმები ლითონისა და თითბრისაა, რაოდენობა - 5-დან 14-მდე. თანამედროვე თარი 5-6-სიმებიანია. იყოფა ორ ჯგუფად: ძირითად და დამატებითად. დაკვრის დროს საკრავი შემსრულებელს უღევს მუხლებზე, მიბჯენილი გულთან და ბგერის ვიბრირების მიზნით დროდადრო არხევს. ბგერა აქვს ძლიერი, დიდი საშემსრულებლო შესაძლებლობანი: რთული მელოდიები, ჩქარი, მაღალი მელოდია, დაბალ რეგისტრში ტემბრი რბილი და ხავერდოვანია. თარი არის სოლო, საანსამბლო და საორკესტრო საკრავი. განსაკუთრებით ხალხურ პროფესიულ ანსამბლში - საზანდარში. საზანდარის ძირითადი რეპერტუარი იყო ციკლური ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოებები - მუღამები, რომელშიც თარს და სოლისტ-მომღერალს გადამწყვეტი როლი აქვს. თუ ანსამბლში ხემიანი საკრავი ქემანჩაც შედის, უკრავენ უნისონში, წამყვანი არის მეთარე. საზანდარები ასრულებენ აგრეთვე ტესნიფებს (სიმღერები ინსტრუმენტული თანხლებით, სატრფიალო შინაარსის პოეტურ ტექსტებზე), საცეკვაოებს.

ლიტ.: ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

თარო - ჭურჭლის დასაწყობი სათავსი. თარო კედელთან მიდგმულია და და-

მაგრებული ან ჩამოკიდებული. სხვადასხვა ნივთთა დასაწყობ-შესანახად. ხევსურეთში თარო - „ისკორტა“ კერის თავზე იყო ჩამოკიდებული და მასზე მამაკაცის კუთვნილ ნივთებს აწყობდნენ. თუშეთში თარო სადიაცო მენზე იყო დაშენებული, ისე, რომ მისი სასხდომად გამოყენებაც შეიძლებოდა. ზოგიერთ სადიაცო მენს თავსა და ბოლოში კროჭი - საწვრილმანო მცირე ყუთი უკეთდებოდა. ქართლში „მარიამალობას“ თაროს ანგელოზისათვის ფრინველის დაკვლა სცოდნიათ. წესად იყო თონეში გამომცხვარი პირველი პურის თაროზე დადება ანგელოზისათვის, რომელიც მლოცველს მეორე დღეს უნდა შეეჭამა.

თარფი - 1. მოწნული ლანგარი, თაბახი, რომელსაც დღესწაულის დროს ხილით გავსებულს დადგამენ მაგიდაზე. 2.. მოწნული ლასტი თევზთა საჭერად.

თარჯი - ნიშანი, რომელსაც ხის მჭრელები დაადებენ ტყეში შეგულებულ ხეს, როგორც თავის საკუთარს (იხ. ნიშანი).

თასა (ხევს.) – 1. პატარა თასი; 2. ზოგიერთი მცენარის თესლის ბუდე.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

თას-განძი (ხევს.) - ხატის საწირად მიტანილი ვერცხლუული.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

თასთ მოხსენება / „გადიდება“ (ხევს.) - ლუდიანი თასებით გაწყობილი სუფრის დალოცვა.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

თასის გაღება (ხევს.) - თავისი თასის სხვისთვის გადაცემა პატივისცემის ნიშნად.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

თასის გამაყრა (ხევს.) - დაცლილი თასის, სასმისის დაბრუნება დამლევი-ნებლისთვის.

თასის გამახყრა (ხევს.) – 1. თასის ჩამორთმევა. როცა ერთი მეორეს თასს, სასმისს მიუტანს ან დაიჩოქებს ან ფეხზე დგას და ელოდება სასმისის დაცლას. დამლევი-ნებელი ცდილობს, ჯერ დამლევს დაცლილი თასი გამოართვას, დასვას და მერე თვითონ დაჯდეს, დამლევი პირიქით: მუხლზე დაჩოქილს სთხოვს, აბძანდი და მერე გამაყვირი თასსო,; თუ ფეხზე დგას დამლევი-ნებელი, დამლევი ცდილობს ჯერ ის დასვას. დიდხანს გრძელდება ეს პატიჟი. ბოლოს დამლევი-ნებელი ემორჩილება. 2. რაიმე მიზეზის გამო (უღირსი საქციელი და სხვ.) სავსე თასის ჩამორთმევა.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

თასის ჩამახყრა (ხევს.) – 1. იხ. თასის გამახყრა (შენიშვ. 1); 2. იხ. თასის გამახყრა (შენიშვ. 2.). როცა უღირსი საქციელის ჩამდენი ხევსური ხალხში (დღეობაშიმ ქორწილში...) მივიდოდა და სასმისს, თასს მიაწოდებდნენ, ერთერთი იქ მყოფთაგანი მივიდოდა და ეტყოდა: შენ ამა და ამ საქმის გამო თასის ღირსი არა ხარ და თასი ჩამოიყარეო და სავსე თასს ჩამოართმევდა., „ჩამახყრიდა“.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

თასჩამაყრილი (ხევს.) - ვისაც თასი ჩამოართვეს, „ჩამახყარეს“. იხ. თასის ჩამახყრა.

თასურა / თასურუა (ხევს.) - მომცრო თასი.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

თასჩამასაყრელი (ხევს.) - ვინც თასის ღირსი არ არის, ვისაც თასი უნდა „ჩამაჰყარან“.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

თასი - ფიალა. არის დაბალქუსლიანიც და უქუსლოც. იგი აუცილებელი სარიტუალო ჭურჭელია საქართველოს მთიანეთის ხატ-სალოცავებისა. ამ წმინდა სასმისით ხატის ყმები წმინდა სასმელს ეზიარებიან. იგი ითვლება სალოცავის სიმბოლოდ. ასეთი თასის ყველაზე ძვირფასი სარიტუალო ჭურჭელია სახუცო კოჭობი (იხ.). წესად იყო მიღებული ხატების სათვის თასების შეწირვის ჩვეულება.

ლიტ.: ქელ. 2009.

თასმა - ტყავის თხლად აჭრილი ნაწილი. გამოიყენება ქალამნების შესაკერად და საერთოდ, ყველა საჭირო სათასმე საქმეში.

თაფწყალა (რაჭ.) - თაფლიანი წყალი, – თაფლწყალი. ჩარჩოდან თაფლის ამოდების მერე თაფლის ნარჩენებიან ჩარჩოს წყალში გავავლებთ და იმას უძახით თაფწყალას.

თაფლ-ხავიწი - ერთგვარი საჭმელი. ესაა ორი წილი წყალი, ერთი წილი თაფლი და ერთი წილი ფქვილი. წარმოიქმნება თხელი მასა, რომელსაც გამოაცხობენ და მიირთმევენ.

თადარი - 1. ტყავის დასალობი ჭურჭელი. მუცელზე გადაჭრილ ქვევრს ჰგავს. თადარი მზადდებოდა: ხის, თიხის, ქვისა და ცემენტისაგან. ამათგან უფრო გავრცელებული იყო თიხის თადარი. მასში დაბლები აწყობდნენ ტყავს დაასამუშავებლად ან შიგ აყენებდნენ სხვადასხვა საღებავს. თადარებს ჭონებიც ხმარობდნენ. 2. მარცვლეულის საწყაო, დიდი ზომის პირფართე თიხის ჭურჭელი. საქართველოში დამკვიდრდა ირანიდან, სიტყვა „თადარი“ პირველად გვხვდება XIII ს-ის ხოჯაყოფილის მიერ ნათარგმნ „წიგნი სააქიმოი“-ში. როგორც საზომისაწყაო ირანში, თადარის წონა განსაზღვრული იყო 100 თავრიზული მანით (მანი=812გ.), რაც შეესაბამება 83,2 კგ-ს. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, თადარი 30 ლიტრას უდრიდა. XIX ს-ში თბილისის მაზრაში თადარი შეადგენდა 3 კოდს, ე.ი. 30 ლიტრას. კოდის ზრდის გათვალისწინებით, თადარის ტევადობა XVIII-XIX სს-ში საშუალოდ 90-100 კგ-ით განისაზღვრებოდა.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთმცოდნეობა. გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან. 1973.

თახახა, თახთახა - თხელი ლავაში. თონეში გამომცხვარს გაახმობდნენ, და მერე წვენში „ჩააბუჭებუებდნენ“. ჩვილ ბავშვებსა და ავადმყოფებს აჭმევდნენ. მსუბუქი და ადვილი მოსანელებელია. ლიტ.: სტ. მენტეთაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

თახჩა - კედელში დატანებული ნიში, რომელიც XVII საუკუნიდან მკვიდრდება ქართულში. ანა ქსნის ერისთავის მზითვის წიგნში ნახსენებია ფარდები თახჩისათვის, ანუ „თახჩაფუხები“. თახჩა-ნი-

მები საცხოვრებელი სახლის კედლებში იყო დატანებული, რელიგიური დანიშნულების თახჩაში ინახებოდა ხატები. XIX ს. დიდკარიან თახჩას განჯინასაც უწოდებდნენ. მეცნიერნი და მწიგნობარნი ნიშ-თახჩებში ინახავდნენ თავიანთ სამუშაო ნივთებს, ამ მხრივ საილუსტაციო მასალას წარმოადგენს XII საუკუნის ჯრუჭის ოთხთავში დაფიქსირებული მარკოზს მახარებლის კარადა, რომლიც სამწერლო ნივთების შესანახ თახჩა-ნიშს წარმოადგენს.

თბილული (რაჭ.) - რაჭაში გავრცელებული ვაზის ჯიშია. ქარვისფერ თეთრ ყურძენს ისხამს. მტევანი პატარა იცის, მარცვალი – სამუალო და თხელკანიანი. ღვინო კარგი აქვს (იხ. ჯავახ. ეკ. ისტ., II, 445; ფრ., 34).

თაჯიათ ჯვარანი - დობილთა (იხ.) სახელობის ყოფილი სალოცავი არხოტის თემის სოფ. ახიელში. გადმოცემის მიხედვით, სალოცავის სახელწოდება უკავშირდება იქვე მცხოვრებ თაჯიანთა გვარს, რომელთა დიდი ნაწილი დობილებს რაღაც მიზეზით ამოუწყვეტიათ, გადარჩენილები კი გადასახლებულან. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად იქ სალოცავი მოშლილია და საღვთისმსახურო ღოცვა-წირვა არ სრულდება, ადგილობრივებს იქ მისვლა, ან ქვის სროლა ეკრძალებათ, რადგან სწამთ, დობილები მათ დოყვს (მუწუკს) დააყრიან და დაიკვლთებენ (გააგიჟებენ).

ლიტ.: ალ. ოჩიაური. ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. ხევსურეთი (არხოტის თემი). თბ., 1988, გვ.196.

თებჟორიკა (თუმ.) - დემონი, ადამიანთათვის ნაკლებ საშიში და ნაკლებ მავნებელი მდებრობითი სქესის ავსული თუმების რწმენა-წარმოდგენების თანახ-

მად. თუ ვინმემ მისი დაჭერა მოახერხა, მსახურად დაიყენებს; ადამიანს არაფერს ავნებს, ოღონდ მძინარს, დღისით თუ ღამით, დააწვება, პირს პირზე დაადებს, ხელს - ხელზე, ყოველმხრივ მოერგება კაცს და სულს უხუთავს; კი არ კლავს, აწვალავს; თუ ამ მომენტში მარცხენა ხელს ისე მომუჭავ, რომ ცერა თითს მჯიღში მაგრად მოიქცევ, თებჟორიკას ცერათი დაიჭერ; იგი გასხლტომას ეცდება, ხან კატად გადაიქცევა ხელში, ხან ძაღლად, ხანაც გველად, მაგრამ არ უნდა შეშინდე და დაგნებდე, თავის სახეს მიიღებს; დატყვევებულ თებჟორიკას მარცხენა ხელის ნეკზე ფრჩხილს თუ მოაჭრი და ხანჯლის ქარქაში ჩადებ, იგი შენია (ხანჯლის ეშინია და ქარქაშიდან ვერ ამოიღებს), ვერსად წაგივა. ასეთი თებჟორიკა საოცრად მორჩილია, დამჯერი და ყოჩადი, ყველაფერს აკეთებს, ოღონდ უკუღმა უნდა ელაპარაკო, ვთქვათ, თუ ცეცხლის დანთება გინდა, უნდა უთხრა: „ცეცხლი ჩააქრე“, წყლის მოტანის ნაცვლად - „წყალი არ მოიტანო“ და ა. შ. თებჟორიკა უვლის საქონელსა და ბავშვებს, მკის ყანას, უზარმაზარი ლოდებისაგან აშენებს ციხეებს და სხვ. არის გულთმისანი, შეუძლია სხვისი ნაფიქრი გამოიცნოს. ყვებიან, რომ შენაქოელ ჭვრიტიანებს თებჟორიკა დაჭერილი ჰყოლიათ; ომალოში კაცი მომკვდარა და ქალებს იგიც წაუყვანიათ: ზის მოტირალ დიაცებში თებჟორიკა და ხმას არ იღებს, მაგრამ უცებ გადაიხარხარა თურმე; ქალებს მუჯლუგუნი უკვრიათ და გაუჩუმებიათ, მერე უკანა გზაზე უკითხავთ, რა გაცინებდაო, უპასუხნია: როგორ არ გავიცინებდი, ერთმა კოჭლმა კაცმა გამოიარა და მკვდრის ცოლმა გაიფიქრა, ნეტა, ასეთი კაცი მაინც არ წამიყვანსო.

თებჟორიკა დიდხანს ჰყოლიათ ტყვედ ჭვრიტიანებს; ერთხელაც, შინ რომ არ ყოფილან, თებჟორიკას ბავშვი შეუგულიანე-

ბია და მას ქარქაშიდან ხმალი ამოუღია; ამ დროს ფრჩხილი ამოვარდნილა, უტაც-ნია ხელი თებქორიკას და გაქცეულა, წასვლისას ჭვრიტიანები დაუწყევლია: „სახელიან კაციმც ნუ დაგელევათა-დ უსახელო ქალივ“. მართლაც, ჭვრიტიანების გვარს სახელოვანი კაცები არ დაკლებიათ, მაგრამ ქალების სახელით თავს ველარ იწონებდნენ.

ნ. აზიკურის აზრით, ტერმინი „თებქორიკა“ წოვა-თუშურ დიფმრიკ („მწოლელა“, „მაჯლაჯუნა“) სიტყვას უკავშირდება (დიფმრიკ → თიბქრიკ → თებქორიკა).

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 75-76; ე. თათარაიძე. დემონოლოგიური თქმულებები აღმოსავლეთ საქართველოს მთაინეთში. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998, გვ. 45, 46; ნ. აზიკური. მასალები თუშური დემონოლოგიიდან // ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი. 2016, XVIII, გვ. 170-172, 182.

თეგი (თუშ., ქიზიყ., ქართლ., გურ.) - 1. დიდი მარწუხი, მჭედლის იარაღი: რკინის საჭრელი, მარწუხით იჭრენ და კვერს სცემენ 2. ტყეში დაჭრილი ფიჩხის ან გათიბული ბალახის ძირები.

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984.

თედორობა (რაჭ.) - ეთნ. თევდორობა. რაჭის სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული შინაარსი ჰქონდა. ზემო რაჭის მთის სოფლებში საქონლის მომრავლებათე ლოცულობდნენ. ქვემო რაჭის ბარის

სოფლებში ვენახის ლოცვა იცოდნენ. აღნიშნავდნენ დიდმარხვის პირველ კვირას.

თეე - საპატიო პირთა საწოლი ძველ საქართველოში.

თეთრა (რაჭ.) - თეთრი ყურძნის ჯიშია. საშუალო ზომის მტევანი აქვს, მჭიდროდ შეკრული, ბევრ წვენს შეიცავს. გასავალი (იხ.) კარგი აქვს. ეს თეთრა სულ სხვა ჯიშია, ვიდრე ე. წ. რაჭული თეთრა, რომელსაც რაჭაში წულუკიძის თეთრას (იხ.) ეძახიან.

ლიტ.: რაჭული ლექსიკონი.

თეთრი ფხალი (რაჭ.) - ბალახეული მცენარეა, 1 მეტრამდე სიმაღლისა. მის ნორჩ ფოთლებს ფხალში ხმარობენ (სინონ. რუხვი ფხალი), - ჩვეულებრივი ჯიჯლაყა (იხ. მაყ.).

თეთრი ლივანურა - მალღარების სახით ზემო აჭარაში, სოფელ ჩაოს მიდამოებშია გავრცელებული. გადმოცემით, იგი ჩაოელთა წინაპრებს 1800-იან წლებში ლივანადან გადმოუტანიათ. ჯიშის ნამდვილი სახელი დაკარგულია და იმავე კუთხის სახელი დაურქმევიათ. საყურადღებოა, რომ ქედის რაიონში შავი ლივანურაც გვხვდება.

ლიტ.: მ. რამიშვილი, გურიის, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები, თბ., 1948.

თეთრი ღომი -- საგვიანო ღომის ჯიში (აჭარ.).

თემიში ხვამა (თემის ლოცვა) - გვალვების, ხშირი წვიმების, მიწისძვრისა და ეპიდემიის ნფექციური დაავადებების გავრცელების) ჟამს გამართული საერთო სათემო ლოცვა სამეგრელოში. ასეთი უბედურებების დროს თემის უხუცესები

მეიკრიბებოდნენ და საერთო სახალხო ლოცვის დღეს გამოაცხადებდნენ და გამოცდილ კულტმსახურს (მახვამერს) აირჩევდნენ. თემი საერთო სახსრებით შეიძენდა შესაწირ ხარს, რომელსაც დაკვლამდე მახვამერი განსაკუთრებულად უვლიდა და კვებავდა. გარდა, საკლავისა, აუცილებელი იყო საწესო დიდი მჭადის, ე. წ. ჭვიშტარის გამოცხობა, რაც მახვამერის ცოლს ევალებოდა. საიმდლისო სადილისათვის საჭირო მზა პროდუქტები ყველა ოჯახს მოჰქონდა. ლოცვის დღეს მახვამერის მეთვალყურეობით დაკლავდნენ ხარს, რომლის მოხარშულ და ღვინომოსხმულ გულ-ღვიძლს, ჭვიშტართან ერთად, გრძელი ჭიკის თავზე წამოაცვამდნენ. მეორე ასეთივე ჭიკის წვერზე ანთებულ სანთელს დაამაგრებდნენ და ორივეს მახვამერს გადასცემდნენ. ეს უკანასკნელი მაცხოვარს გაჭირვებისგან დახსნასა და კეთილდღეობის მონიჭებას შეთხოვდა, ორივე ჭიკს დაჩოქილი ხალხის თავზე მარჯვნიდან სამჯერ შამოატარებდა და ლოცვას ამ სიტყვებით დაასრულებდა: „ასე წაღმა შენ ამყოფე ჩვენი თემის მოსახლეები და შენ გადაარჩინე ისინი ყოველგვარი გასაჭირისგან. დაილოცოს შენი სახელი!“ ლოცვის დასრულების შემდეგ შეწირული საკლავის ხორციტა და სხვა კერძებით სუფრას გაშლიდნენ და მოილხებდნენ. დაფვნილი ჭვიშტარის ნამცეცი თემის ყოველ წევრს უნა შეხვედროდა, ხოლო გულ-ღვიძლი მთლიანად მახვამერის წილს შეადგენდა.

ლიტ.: ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 323-324; ი. ქობალია. ჩემი ავტობიოგრაფია. გვ. 31-33 (ხელნაწერი დაცულია ქ. ზუგდიდის ისტორიის მუზეუმის არქივში).

თენჯერა (იმერ., გურ.) - თუჯის ჭურჭელი, ქვაბი, ჩალხანა (იხ.).

ლიტ.: ვ. ბერიძე. სიტყვის კონაიმერულ და რაჭულ თქმათა. სპბ., 1912. სიტყვასთან თენჯერა; ს. ჟღენტი. გურული კილო. თბ., 1936; ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე. ქართული დიალექტოლოგია. 1. დიალექტთა განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი. თბ., 1961, გვ. 664.

თერცხანე (ლაზ.) – ნავსაშენი და ნავსადგომი ლაზეთში, რომელიც გაშენებულია ზღვის წყნარ ნაპირზე.

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი. ნაოსნობა საქართველოში. თბ., 1987.

თექალთო || თოქალთო (ფშ., ხევს., ინგილ.) - ცხენის აღსაკაზმავი; მზადდებოდა ტყავისა და ნაბდისაგან. შედგება ზედა და ქვედა პირისგან. ზომას ვარაუდით იღებდნენ კეხის სიგანეზე უფრო დიდს. ხშირ შემთხვევაში თექალთოს ბოლოში ორი წვრილი თასმა უმაგრდებოდა ტვირთის შესაკრავად. ნაბდის თექალთო ხან ცალკე, ხან კი ტყავისას ქვეშ ეფინებოდა, ზოგ თექალთოს ერთი მხარე ტყავისა, მეორე კი ნაბდისა ჰქონდა. მას საოფლის შემდეგ ცხენის ზურგზე აფენდნენ და ზედ ადგამდნენ უნაგირს.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში. თბ., 1973; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

თეჯანი (ქართლ.) - ცხვრის ტყავის პარკი გამოყენებული რძის ან მაწვნის ჩასასმელად.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

თვალი / ბიმბილა (რაჭ.) / **კიმპალი** (ლექს.) - ყურძნის მარცვალი. მარცვლის თვისებები ბევრად მნიშვნელოვანია ღვინის დაყენების საქმეში. ამიტომ მარცვალი შეიძლება იყოს სქელკანა / თხელკანიანი / ცვრიანი (ქართ.) / კრახუნა (იმერ.) / კნატუნა (კახ.) / წყლიანი (გურ.), აგრეთვე: შუშუშა, წოწოლა, წვრილი, ბჟიტი, ბღუნძურა, სხვილი, დონდლო და ა. შ.

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში, 1978:57-65.

თვლის ხორბალი -- შემოდგომის ხორბალი.

ლიტ.: თ. ლომთათიძე, სამიწათმოქმედო ციკლის ზოგიერთი წეს-ჩვეულება აჭარაში, კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, ბათუმი, 1996:79.

თეთრი ქაღი (რაჭ.) - ფეტვისნაირი მცენარეა. ცილინდრული წვრილი თაველი აქვს. ხმარობენ წიწილების საკვებად. წინათ ადამიანებიც იყენებდნენ საკვებად, - ქვრინოფა, ქვრიმა (იხ. მაყ.).

თეთრი ხულუგო (რაჭ.) - უფხო ხორბლის ჯიშია. რაჭაში ფართოდ იყო გავრცელებული წითელ ხულუგოსთან (იხ.) ერთად.

თეთრკაბისტონი / თეთრი კაბისტონი (რაჭ.) - თეთრი ყურძნის ერთ-ერთი ჯიშია, მაგრად შეკრული მტევანი აქვს. ღვინოს აქებენ (იხ. ჯავახ., ეკ. ისტ., II, 444; ფრ., 34).

თეთრონა (გლ.) - თეთრი ღორი (მდრ. შავრონა) (იხ. ქართ. დიალექტ., 684).

თერცხანე - ნავსამენი და ნავსადგომი ლაზეთში, რომელიც გაშენებულია ზღვის წყნარ ნაპირზე.

თეროსანი || თოროსანი (მეგრ.) || **თეთროსან** (სვ.) - წმ. გიორგის ერთ-ერთი ეპიტეთური სახელი; აღნიშნავს თეთრ ცხენზე მჯდომ წმ. გიორგის.

ლიტ.: მ. აბაკელია. ქრისტიანული წმინდანები დასავლურ-ქართულ რწმენა-წარმოდგენებში (წმინდა გიორგი) // მაცნე. ისტორიის სერია. № 3ი 1985, გვ. 150.

თესლის ზიარება - აგრარული ხასიათის ქიზიყური წეს-ჩვეულება - სათესლე მარცვლეულის (ხორბლის, ქერის და სხვ.) დალოცვა. სათესლე მარცვლით სავსე საცალოში (5-7 ფუთის ტევადობის ტომარა) ხახვს, ნიორს, კაკალს (კაკლის ზომის მარცვალი მოვამ) ჩაყრიდნენ და ნაკვერჩხალსაც ჩაებდნენ; გუთნისდედა ხელადით ღვინოს გამოიტანდა, ქუდს მოიხდიდა, პირჯვარს გადაიწერდა, ცოტა ღვინოს ნაკვერჩხალს დაასხამდა, ღმერთს მოსავლის სიუხვეს მეთხოვდა და დაღევდა. თესვის დროს კაკალს, ნიორსა და ხახვს მეხრეები აკრეფდნენ.

გურიაში სათესლე სიმინდის კურთხევა იცოდნენ. სათესლედ საუკეთესო სიმინდის ტაროებს არჩევდნენ, ფშვნიდნენ შიგ ლობიოს თესლს გაურევდნენ და თავდია ჭურჭელში მოათავსებდნენ. თესლის საკურთხებლად მოიწვევდნენ მღვდელს, რომელიც სათანადო ლოცვის წარმოთქმის შემდეგ თესლით სავსე ჭურჭელს სამჯერ წაღმა შემოატრიალებდა და აიაზმას მიასხურებდა. ასე დამთავრებული კურთხევის შემდეგ მასპინძელი მღვდელ-დიაკვანს შეძლებისდაგვარად გაუმასპინძლებოდა.

ლიტ.: ს. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943; ა. წულაძე. ეთნოგრაფიული გურია. თბ., 1971, გვ. 108.

თეფში - საერთო სახელია სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული სამზარეულო ჭურჭლისა. ეთნოგრაფიულ ყოფაში ყურადღებას იქცევს ლითონის თეფში, რომელიც იკვერებოდა როგორც სპილენძის, ასევე თითბერისაგან. სპილენძის თეფშებია: ღრმა, ფრიალა, ქუსლიანი, უქუსლო, გადაშლილპირიანი, პირმოხვეული, ფარფლიანი, უფარფლო, სახურავიანი ან უსახურავო. თეფშები ძირითადად სპილენძის ერთი ფირფიტისაგან იქედებოდა. ყოველთვის ორმხრივი იყო მოკალუდი, იხმარებოდა წვნიანისათვის, მშრალი კერძებისათვის, ხილისათვის და ა.შ.

თეჯა - მოთელილი მატყლისაგან დამზადებული საფენი, ქეჩა. გამოიყენებოდა შესამოსად, კარვებისათვის, საწოლად და საფენად. საქართველოში თეჯის საუკეთესო ოსტატები თუშები იყვნენ.

თეჯალთო, თოჯალთო - ცხენის აღკაზმულობის ნაწილი. მზადდებოდა ტყავისა და ნაბდისაგან. შედგება ორი ნაწილისაგან-ზედა და ქვედა პირი. ზომას ვარაუდით იღებდნენ-კეხის სიგანეზე უფრო დიდს. ხშირ შემთხვევაში თეჯალთოს ბოლოში ორი წვრილი თასმა უმაგრდებოდა ტვირთის შესაკრავად. ნაბდის თეჯალთო ხან ცალკე, ხან კი ტყავისას ქვეშ ეფინებოდა, ზოგ თეჯალთოს ერთი მხარე ტყავისა, მეორე კი ნაბდისა ჰქონდა. მას საოფლის შემდეგ ცხენის ზურგზე აფენდნენ და ზედ ადგამდნენ უნაგირს.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

თეჯანი (ქართლ.) - ცხვრის ტყავის პარკი გამოყენებული რძის ან მაწვნის ჩასასხმელად.

თვალი (ქართლ. კახ.) - ხის ფერსო-სოლებით ასხმული ბორბალი. ურმის თვალი შედგება: ხუნდის, მორგვის, ფერსოსა და სოლებისაგან.

ლიტ.: მ. გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, 1956.

თიბის შამშაბათი - ხევსურულ ხალხურ დღეობათა კალენდრის საზაფხულო ციკლის დღეობა - მიცვალებულთა სულების მოსახსენებელი დღე. ემთხვევა თიბვის სეზონს. გარკვეულწილად უკავშირდება მიცვალებულთა სახელობის სხვა დღეობას - ხალარჯობას (იმართება ამადღების მეათე დღეს. ხალარჯობის მეორე-მესამე დღიდან მოქმედებას იწყებდა „სათიბის დაყენების“ წესი, ანუ ყველა ვალდებული იყო სათიბებზე საქონელი არ მიეშვათ, რათა სათიბ ადგილებს დაესვენა და ბალახი ამოსულიყო). „თიბის შამშაბათის“ გადახდის შემდეგ კი „ბალახში ცელი შეჰქონდათ“, ე. ი. ხალხს ბალახის მოთიბვის უფლება ჰქონდა.

„თიბის შამშაბათისათვის“ ახალსულის (ახალგარდაცვლილის) ოჯახის უფროსი არაყს გამოხდიდა, პურს გამოაცხოვდა - ზოგს სატაბლეს ანუ ხმიალებს, ზოგსაც გულიანებს (ქადა-კვერებს); მთელ სოფელს დაპატიჟებდა და მოკეთებებს თემიდანაც დაიბარებდა. ჭირისპატრონი ტაბლას გაამზადებდა: ფაფას ბაკნებითა და ჯამებით, ერბოჩაყრილ ადულებულ რძეს ჯამებით დადგამდა და გვერდზე არყით სავსე ბოთლებს განალაგებდა.; ტაბლაზე სამ ან ხუთ სანთელს მიამაგრებდა. სულის ხუცესი ტაბლას შენდობას ეტყოდა, რის შემდეგაც ქალები მიცვალებულის ტანსაცმელს (ტალავარს) გაშლიდნენ და დაიტირებდნენ.

სტუმარი ქალები მათ მიერ მოტანილ თითო ბოთლ არაყს „ტალავართაჩი“ ჩადგამდნენ. ტირილის დასრულებისთანავე, ვიდრე ტალავარს აალაგებდნენ, უფროსი ქალთაგანი არყიან ბოთლებს შენდობას ეტყოდა, რის შემდეგაც ქალებს და კაცებს ცალ-ცალკე ტაბლებს დაუდგამდნენ. ჭირისუფალი „თიბის შამშაბათს“ რომ გადაიხდიდა, სოფელს უფლება ჰქონდა სათიბად გასულიყო, მანამდე კი მგლოვიარის ხათრით, ცელსაც კი არ წაავლებდნენ ხელს. ამ დღეს ბალახს მკვდრის პატრონიც მოთიბავდა.

თიბვის სეზონში მიცვალებულთა მოსახსენებელი დღის არსებობა განპირობებული იყო წინაქრისტიანულ ეპოქაში შემუშავებული რწმენებით სულის სიკვდილშემდგომ არსებობაზე, სულის ყოვლისშემძლეობაზე, მათს აქტიურ მონაწილეობაზე სამზეოს მცხოვრებთა საქმიანობაში (დ. გიორგაძე). ხალხური რწმენის თანახმად, მიცვალებულები განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობდნენ სამიწათმოქმედო, მათ შორის თიბვასა და მკასთან დაკავშირებულ მეურნეობაში. ეს გარემოება კარგად იჩენს თავს „თიბის შამშაბათსაც“: ხალხური შეხედულების თანახმად, სულები „მთიბელ-მამკალთ თან დაჰყვებოდნენ“. ეს რწმენა იმდენად ძლიერი იყო, რო შესვენებისას, პურისჭამის დროს თუ ვინმეს არყიანი ყანწი ხელიდან გაუვარდებოდა, დააბრალებდნენ ხოლმე „მთიბელ-მამკალთა’დ მამყოლ სულს“. მთიბელნი მაშინვე შენდობას ეტყოდნენ მას: „შაგინდნასავ ვინაც ჩვენ მაგვყვებივ, ვინაც ჩვენ მიგვბირიოვ, შენავ გეჭმარებისავ“. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ თიბვისას, შრომის თემატიკაზე შექმნილ მთიბლურებთან ერთად, სრულდებოდა „ჰმით ნატირლები“, ე. წ. „გვრინი“, როგორც მიცვალებულის სამსახურის ერთ-ერთი ელემენტი. „გვრინი“ ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში მკისა

და თიბვის დროს გავრცელებული რიტუალური გლოვის ანალოგიური მოვლენაა. მკისას (თიბვისას) გლოვობდნენ ტანჯულ ჭაბუკღვთაებას, რომელსაც მომკილი ყანა განასახიერებდა. ეს გლოვა გაიგივებული იყო კონკრეტული პირის დატირებასთან, რამდენადაც ნებისმიერი მიცვალებული განიხილებოდა როგორც ღვთაებრივ სამყაროსა და მიწის ნაყოფიერებასთან ნაზიარები ძალა.

დ. გიორგაძის მართებული აზრით, „თიბის შამშაბათი“ აშკარად მიუთითებს მიცვალებულისა და მიწის კულტების კავშირზე, რასაც ადასტურებს ამ დღეს მიცვალებულისათვის ტაბლის დადგმის, ტალავართაზე დატირების, სათიბად სოფლის პირველად გასვლის წესი, რწმენა იმისა, რომ თიბვისას სულები თან „სდევდნენ“ მთიბელებს. გარდა ამისა, „თიბის შამშაბათი“ ემთხვეოდა თიბვის სეზონს და ამ დროს მთიბლურებად ხმით ნატირალთა გამოყენება, ყველა შემოჩამოთვლილ წესთან ერთად, მიზნად ისახავდა სულის კეთილგანწყობის მოპოვებას და მისი ზებუნებრივი ძალის გამოყენებას მინდვრის მოსავლის ნაყოფიერების გაზრდისათვის“.

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ. მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის ხეობაში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. თბ., 1940, გვ. 47; დ. გიორგაძე. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში. თბ., 1987, გვ. 62; ა. ოჩიაური. ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. თბ., 1988, გვ. 169; თ. ოჩიაური. ხევსურული მთიბლური სიმღერა - გვრინი // მიმომხილველი. II. თბ., 1951, გვ. თ. ოჩიაური. მთიბლურთა და ხმით ნატირალთა ურთიერთობის საკითხისათვის // მასალები საქა-

რთველოს ეთნოგრაფიისათვის. XI. თბ., 1960, გვ.; ი. სურგულაძე. ქართველთა აგრარული რწმენა-წარმოდგენების ისტორიიდან (მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებები) // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XIX. თბ., 1978, გვ. 84-86.

თივთიკი - თხის ბეწვისგან დამზადებული რბილი და ნაზი ქსოვილი.

თითისტარი - ძაფის დასაგრეხი ხელსაწყო. თითისტარი წარმოადგენს მუცლიანი და წვრილთავებიანი ჯოხისა და ქვის ან თიხის კვირისტავის (იხ.) ერთობლიობას. საჩეჩელზე დამუშავებული მატყლის ფთილას გამოუწყობენ წვერს, მოახვევენ თითისტარს, მერე დააბზრიალებენ და ფთილიდან გამოიძახება დახვეული ძაფი. ესაა უძველესი საფეიქრო მოწყობილობა, რომელიც ადამიანმა გამოიგონა ცივილიზაციის გარიჟრაჟზე.

თიკვი - ფერადი ქსოვილის არასიმეტრიული ნაკუწებითა და ზონრებით შემკობილი შესამოსელი ან საფენი. ზოგჯერ ეს ნაკუწები ერთმანეთზეა გადაკრებული, ზოგჯერ კი რაიმე ნეიტრალურ ფონზეა დაკრებული. თიკვის კეთების ხერხების აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინები: „ზიკი“ და „ნაფთულა“, თიკვის ტექნიკის საშუალებით მთიულეები ამზადებდნენ მამაკაცის საშუბლეს (ოფლისაგან დასაცავად), ტრადიციული სამოსის ნაწილებს, საბნებს, საფენ-სადამურებს, კედლის საფარებს, თიკვებს იყენებდნენ ჩითების კერვისას, ტანსაცმლის ნაკერის დასაფარავად და სხვა.

ლიტ.: ნ. აზიკური, თიკვი და ნაფთული ქართულ ხალხურ ქსოვილსა და შესამოსელზე, მსე ტ. XXVI, 2004.

თიკრუნა (ხვს.) - დამუშავებული ტყავის ჭურჭელი, აქვს ორი ყური ხელის ჩასავლებად. ხვსურები ხმარობენ წისქვილში საფქვავის წასაღებად.

თილისმა - ნივთი, რომელსაც ზებუნებრივი ძალა მიენიჭებოდა. თილისმა ცრუ რწმენის მიხედვით ჯადოსნური და გრძნეული ნივთია, იგი ამულეტის მნიშვნელობითაც იხმარება, თუმც მისგან განსხვავებით იგი არა მარტო იცავს ადამიანს ავი თვალისა და ავადმყოფობისაგან, ამასთანავე, შეუძლია გავლენა მოახდინოს სხვათა არსებობაზე და თავის სურვილს დაუმორჩილოს ყოველივე. ამდენად, თავისი დანიშნულებით, თილისმა ამულეტებზე უფრო აქტიურ ხასიათს ატარებს. თილისმა, რადგანაც იგი ჯადოსნურია, უცხოს არ დაანახვებენ და საგულდაგულოდ მალავენ, ამულეტს კი, პირიქით, ყველას დასანახად ატარებენ. ქართულ ზღაპრებსა და მითოლოგიურ გადმოცემებში ჯადოსნური თვისებების მატარებელი ნებისმიერი ნივთი შეიძლება თილისმად ჩაითვალოს. მაგ., ქვა, ბეჭედი, ქუდი, ხალიჩა და ა.შ. მათი მფლობელები ასწაულ საგმირო საქმეებს სჩადიან. ამირანს აქვს აღმასის ჯადოსნური დანა, რომელიც გველეშაპს გაუფატრავს მუცელს და ზევით ამოვა, კოპალა დიდი ძალის მქონე ლახტით ებრძვის და ამარცხებს დევებს, ეთერი სამი ჯადოსნური ვაშლის ჭამით ჩაესახება მამამისს კანჭში და სხვა.

თირი - მსუბუქი და ადვილად სათლელი სამშენებლო ქვა, შიგადაშიგ ცარიელი რგოლები - „თვლები“ დაუყვება.

თირი (ქვ.) - ფხვიერი, შირიფი მიწა სხვადასხვა ფერისა. ნაკლებ გამოსადეგია სახნავ-სათესად, სავნახედ კი კარგიაო (მდრ.: ჯავახ. ეკ. იტს., II, 123; ფრ., 52; ძოწ.; მდრ. საბა, ნ. და დ. ჩუბ., ქეგლ, გაჩ.).

ლიტ.: რაჭული ლექსიკონი.

თი სახლი - იაილებზე არსებული მწყემსთა საზაფხულო სახლი.

თიფა -- ტალახი, ხოლო „კეცი“ მიწა საჭურჭლე. „მიწა რ-აც ჭურჭლად შეიქმენ, საქოთნე მიწა“ (სულხან-საბა ორბელიანი).

ლიტ.: მ. ზანდუკელი, ქართული ხალხური კერამიკა, 1982; სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. 2, 1991:306, 369.

თიხა, კეცი - განსაკუთრებული ჯიშის საგანგებოდ აწეილილი მიწა - ჭურჭლეულისა და სამშენებლო მასალის დასამზადებლად. სიტყვა „კეცი“ ჩვენ დროში „თიხის“ სახელწოდებით ცნობილ მიწის ჯიშს აღნიშნავდნენ, „თიხას“ კი ჩვეულებრივ ტალახსა და აწეილ ჭურჭლის მიწას უწოდებდნენ. XVII-XVIII საუკუნეების ძეგლებში „თიხა“ თანამედროვე გაგებით იხსენიება, მის პარალელურად სიტყვა „კეციც“ გვხვდება. თიხის პირვანდელი მნიშვნელობა მეჭურჭლეობამ დღევანდლამდე უცვლელად შემოინარჩუნა, ხოლო „კეცმა“ თავისი კვალი საცხობ „კეცის“ სახელწოდებაში შეინახა.

ლიტ.: მ. ზანდუკელი, ქართული ხალხური კერამიკა, 1982.

თლაზუვიჩი - ხარაზის იარაღი. თავმომრგვალებული დანა, ხისტარიანი, იხმარება საძირე ტყავის ლეშკის გასაცვლელად ლიტ.: სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

თლამო (თბ.) - არყის სასმელი ნორმირებული ჭიქა.

თლუქა (რაჭ., გლ.) - ურმის ნაწილია, რკინა მორგვის შუა, რაშიც ჯერდი ტრიალებს (იხ. did.).

თმანაშვები (თუმ.) - სათემო სალოცავის მსახურად შეთქმული ახალშობილი. თუ ოჯახს შვილები ჩვილობაშივე უკვდებოდა, ბავშვს თავის შუა ნაწილში თმას არ შეაჭრიდნენ და ჯვარს შეუთქვამდნენ. ოთხი-ხიტი წლის შემდეგ, მშობლები ხატობისათვის ალუდს მოხარშავდნენ და ბავშვს, საკლავთან ერთად, ხევისბერთან მიიყვანდნენ. ეს უკანასკნელი მას სალოცავის კარზე შეაგორებდა, ნაშვებ თმას შეაჭრიდა, საკლავს დაკლავდა და ალუდის ნათაურით დაამწყალობნებდა, სალოცავს მის მფარველობას შესთხოვდა: „შენია, გაზარდე, იყმე და იმსახურე“.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ.163.

თმასატანა - ფერადი ძაფებისაგან დაწნული თოკი, რომელსაც ახალგაზრდა თუში ქალები თმაში ჩაიწნავდნენ.

თოგალი („მაია“) - სპილენძის ჟანგი, იხმარება თიხის ჭურჭლის ჭიქურქვემა მოხატულობისათვის, ამავე დროს, იგი მწვანე ჭიქურის კაზმის აუცილებელი შემადგენელი მასალაა. თოგალს მაიასაც უწოდებენ. თოგალი სპილენძის დამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენია. თიხის სპეციალისტი თოგალს გააშრობს და „თონის ცალზე“ (იხ.), ანდა ტყვიის საწვავ ქურაში დაწვავს. თოგალი შავია, ცეცხლს რომ შეუკეთებენ გაწითლდება, ცეცხლიდან გადმოღებული ნაცრისფერი ხდება. დამწვარი თოგალი, ანუ „მაია“ ჭიქურის შემადგენელი წამლებიდან წისქვილში ყველაზე ბოლოს უნდა დაიფქვას, შემდეგ წისქვილი კარგად უნდა გაირეცხოს, რადგან მისი ფერი სხვას არ შეერიოს. თალარში ჩაყრილ დაფქულ თოგალს, ზომამზე დაასხამენ წყალს ისე, რომ დოსავით იყოს, ოდნავ სქელი. გახსნილგამზადებული თოგალით

ჭურჭელზე მოხატვა ხდება საგანგებო ყალბით, კახელი ხელოსნები ვირის ფაფრის გარდა კამეჩის ბალნით ან ცხენის ძუის ფუნჯით სარგებლობენ. შროშელი მეჭურჭლეები ჭურჭელს, ჯოხზე დახვეული ბამბის საშუალებით ხატავენ. მოხატვის დროს მეჭურჭლე უნდა ფრთხილობდეს, რათა ზედმეტი რაოდენობით წასმული თოგალის სითხე ჭურჭელზე არ ჩამოიღვენთოს. სიტყვა „თოგალი“ ეტიმოლოგიურად უნდა უკავშირდებოდეს ბიბლიაში მოხსენიებულ თუბალს, რომელიც იყო სპილენძისა და რკინის მჭედელი, ქართველური მოდგმის ერთ-ერთი უძველესი ტომი თუბალები - განთქმული იყვნენ მელითონეობით.

ლიტ.: ს. ბედუკიძე, მოჭიქული ჭურჭლის წარმოებისათვის შიდა ქართლში, მმ, ტ XIX-A XXI-B, 1957.

თოვლის მახარობელა / თოვლის დედა (რაჭ.) - ყვავილოვანი მცენარეა, ყვავის შემოდგომაზე, ყვავილები ენძელას მიუგავს, - სათოვლია (იხ. მაყ.).

თოთობ-ი (სვ.) - მსხვილფეხა საქონლის გამრავლებისა და წველის ბარაქისათვის განკუთვნილი დღე; იხდიდნენ ქალები ჰელშობის (იხ.) მომდევნო ორშაბათს; დააცხობდნენ ხაჭაპურებს, მოხარშავდნენ ყველიან ფაფას (შუბანს) და მამაკაცებისგან მალულად მათ ბარბოლს შესწირავდნენ, თან ევედრებოდნენ საქონელი გაემრავლებინა და წველადობა გაეზარდა.

ფარსა და ჩუბეხევი რამდენიმე ქალი ერთ-ერთის ოჯახში შეიკრიბებოდნენ, თან ყოველი მათგანი წაიღებდა თავისთვის სამყოფ ფქვილსა და ყველს, რომლებსაც შეაერთებდნენ, ხაჭაპურებს გამოაცხობდნენ, ლეცუმარს ანუ თაშმიჯაბს (მოხარშულ ყველს) გააკეთებდნენ და ბარბოლს შესწირავდნენ უფროსი ქალის ლოცვით: „დიდება შენდა, ბარბოლ

ანგელოზო, მეწველი და საუღლე საქონელი გაამრავლე, ამ წლის თოთობი კარგ გულზე გვიყავი საქონელსა და ადამიანს, ყველას“. შენაწირს შეექცეოდნენ და დაძლებოდნენ.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. ღვთაება ბარბარ-ბაბარ. თბ., 2006, გვ. 21-22.

თომი - - „საბანდულე მოლი, წურილი თივა“ (საბა) თომს ჩააფენდნენ ბანდულეებში. თომი ისე ათბობს ფეხს ზამთარში, როგორც არც ერთი სხვა ბალახი. ამიტომაც ყოველი ოჯახი დაინტერესებული იყო შემოდგომაზე ერთი მარხილი თომი მოემარაგებინა. თომი სვანეთის გარდა ცნობილია რაჭაშიც.

თომი (რაჭ.) - წვრილფოთლოვანი ბალახია, სიმაღლით 60-70 სმ. ახმობდნენ და ქალამნებში იღებდნენ. ფეხს თბილად ინახავდა (იხ. ქეგლ; შდრ. did.).

თონე / თორნე - თიხისაგან დამზადებულ პურის საცხობი. პურის გამოცხობისას თორნეში ხმელი ფიჩხისა და შემისაგან ცეცხლს ჩაანთებენ, როცა კედლები გავარვარდება, ზედმეტ ნამწვებს ამოიღებენ ნაკვერჩხლებს შუაგულში შუა კალთაზე და ზემოდან კრამიტის ნაჭრებს დააფარებენ, შემდეგ გამზადებულ პურის გუნდებს გააბრტყელებენ და ზემოდან ქვემოთ მწკრივად შემოაცხობენ კედელზე. გავსებულ თორნეს თავს დაახურავენ და ასე 15-20 წუთის შემდეგ პური უკვე გამომცხვარია. ერთ საშუალო თორნეში 15-20 პური გამოცხვება.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

თონის ცალი - სამნაჭრიანი თონის ერთი ნაწილი, რომელსაც აღარ იყენებდნენ თონისათვის და მათზე ხდებოდა ჭიქურის შემადგენელი ერთი ელემენტის - ტყვიის ნაცრისა ანუ „ტყვიის მტვერის“ დაწვა. თონის ცალი მეჭურჭლეების მიერ ადრე გადაიდგმებოდა ნაპირებზე, მოზულაილი საჭურჭლე თიხის გუნდით კიდეები შემოუშენდებოდა, რათა მორევის დროს მასზე დაყრილი ტყვია არ გადაფანტულიყო. თონის ცალს ქვემოდან ცეცხლი შეენთებოდა. მასზევე ხდებოდა „ტყვიის მტვერის“ გაცივება.

ლიტ.: ს. ბედუკიძე, მოჭიქული ჭურჭლის წარმოებისათვის შიდა ქართლში, მ.მ .ტXIX-A XXI-B, 1957.

თორაკია - ოქროთი შემკული გერბის ფარი, რომელიც აღიქმება როგორც ტანსაცმლის ნაწილი და რომელსაც ატარებდნენ დედოფლები, მაღალი წრის ქალები და გვხვდება აგრეთვე წმინდათა ჩაცმულობაშიაც. ესაა მახვილპირიანი ფარის ტიპის ნიშანი, რომელზედაც ხშირ შემთხვევაში გამოსახულია ჯვარი და მიდრულადაა შემკული. ქართულ ხელოვნებაში თორაკიათი წარმოგვიდგებიან ზედაზნისა და ატენის ქტიტორები, ასევე წმინდანები, განსაკუთრებით ეკატერინე და ელენე. თორაკიანი გამოსახულებები გვხვდება კრიხის, ბოჭორმის, მაცხვარიშის, ვარძიის, ანანურისა და სხვათა მხატვრობაში. ლიტ.: ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი, 1964.

თორი, თავსაჭირი, თავსაკრი - ქალის თავსაბურავიდან ლეჩაქის დასამაგრებელი საშუალება. მასალად იყენებდნენ მუყაოს, რომელზედაც კაშკაშა ფერის ძვირფასი ქსოვილი: ფარჩა, ხავერდი და ატლასი იყო გადაკრული. სხვა სახის თავსაჭირი ქსოვილის გაორმაგებული და გასამმაგებული ნაჭრისაგან მზადდებოდა.

ხმარებაში იყო ბადისებურად ნაქსოვიც, უკან გადაშვებული ორი ტოტით, რომელსაც ხის ხელსაწყოთი (კინთი) ქსოვდნენ. ამათგან განსაკუთრებული ყურადღება თორს ეძლეოდა, რომლის მხარე და გვერდები საგანგებოდ იმკობოდა, პატარა მძივებით გამოსახავდნენ მზეს. ზოგიერთზე ათი წითელი ან ყვითელი მზეც იყო გამოსახული. მზეთა შორის არსებული სივრცე კი სამ-სამი კილიტის მსგავსი ვერცხლისფერი ლითონის სამკაულია. თავსაკრი XVII ს. საქართველოშიც ცნობილია. განსაკუთრებულად გავრცელებული იყო კახეთში, ქართლში და საქართველოს ზოგიერთ სხვა კუთხეშიც. იქ, სადაც ქალის „ქართულ კაბას“ ატარებდნენ. აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში დამოწმებული თორი ზოგადქართული ტრადიციების ადგილობრივ მოდიფიკაციას წარმოადგენს.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011; ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005.

თორნი - საომარი, გულმკერდის საცავი იარაღი. „თორნი არს მთელი რკინა, პოლოტიკი ტანსაცმელი“(საბა). თორნი წარმოადგენს რკინა-ფოლადის მთლიანს ან ორნაწილიან გულმკერდისა და ზურგის დამფარველ ჯავშანს. გვიანფეოდალური ხანის ქართველი წარჩინებულები ხშირად გამოიყენებდნენ საომარ ალკაზმულობაში თორნს. ჯავშნის ამ სახეობის გენეტიკური ფესვები ანტიკურ სამყაროშია საძიებელი.

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. II. 1993; ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011

თორ-ფაცხა - ახალდაქორწინებულთათვის განკუთვნილი დროებითი საცხოვრებელი, შეიძლება ითქვას, საწესო ნაგებობა. წარმოადგენს გეგმაზე მრგვალი ან ოთხკუთხა ფორმის წნულკედლებიან, ჩალით ან ისლით გადახურულ ნაგებობას, რომელსაც ჩვეულებრივი წნული ნაგებობებისაგან შედარებით მცირე ზომები და დაბალი სახურავი განასხვავებს. მას ქორწილის წინა დღეებში ძირითადი საცხოვრებლის უკან აგებდნენ, რათა ნეფე-პატარძალს თვალი არ სცემოდა. მაგიური ფუნქცია ენიჭებოდა ჩარჩოსა და კარზე მიკრულ ცხენის ნალებსა და ჯვრის გამოსახულებებს. შესასვლელის მარჯვენა მხარეს კედელზე ეკიდა სახელდახელოდ შეკრული მცირე ზომის ხის ყუთი, ე. წ. „ადაფა“, რომელშიც ნეფე „ხემანწყუსათვის“ (ხელშემწყობი. მის ფუნქციას შეადგენდა ვაჟისთვის პატარძლი მიგვრა ფაცხაში,, მათთვის ლოგინის გაშლა და სხვა სახი დახმარების გაწევა) განკუთვნილი საჩუქრები - ფული, თავშალი ან ცხვირსახოცი - იდო. თორ-ფაცხის შიდა მხარეს, კარებთან ახლოს დირეს ორივე ბოლოში უკეთებდნენ ჯამისებურ ამონადარს, ე. წ. „ობჟალეს“ (სარძევს), რომელშიც რძეს ასხამდნენ. მეგრელთა რწმენით, პირველ დამეს სიძე-პატარძალს შესაძლოა, წვეოდა გველი, რომელიც ან ორივეს დაარჩობდა, ან მხოლოდ ნეფეს და თავად დედოფალს მიუწვებოდა (შდრ. მ. მარუშკოს მიერ ნიკორწმინდაში ჩაწერილი გადმოცემა, რომლის თანახმად, ერთხელ იქ მდებარე ტბაში მობინადრე გველს მოუტაცნია ქალიშვილი, რომელიც მისთვის არასასურველი კაცისთვის უნდა მიეთხოვებინათ). იმისათვის, რომ გველს ახალშეუღლებულთათვის არ ევნო, მისი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად „ობჟალეში“ რძეს ასხამდნენ. როგორც ჩანს, გველისთვის რძის დადგმის წესი დაკავშირებულია გველის, როგორც

ფუძის მფარველის, შესახებ ქართველებში გავრცელებულ რწმენასთან.

ლიტ.: ნ. ანთელავა. ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამეგრელოში. თბ., 2005, გვ. 175-179; М. Марушкою Из области народной фантазии и быта // СМОМПКБ вып. XVIII. Тф., 1894, с. 202.

თოფი გორგოლაჭიანი - ცეცხლსასროლი იარაღი. XV ს-ის ბოლოსათვის ფითილიანი თოფების გაუმჯობესების ყველა შესაძლებლობა ამოიწურა. საჭირო იყო სიახლე, რომელიც ბიძგს მისცემდა იარაღის შემდგომ განვითარებას და ასეთი სიახლე მალე გამოჩნდა საათისმექანიზმიანი ჩახმახების სახით, რომელიც ნაპერწკლის მიღების ახალ წყაროს იძლეოდა. ეს მოწყობილობა ზოგიერთი ცნობის მიხედვით, 1504 წელს ნიუნბერგში გამოიგონეს, სხვა წყაროებით კი ფლანდრიაში. ასეთი კონსტრუქციის ნახაზები ლეონარდო და ვინჩის ხელნაწერებშიც მოიპოვება. ევროპაში დიდი პოპულარობა მოიპოვა ასეთი თოფის ნიუნბერგულმა ტიპმა. ყოველი გასროლის წინ (ლულაში დენტისა და ტყვიის ჩატენვის შემდეგ) საჭირო იყო გასაღებით გორგოლაჭის (დაქოქვა) შეყენება, საფალიე დაფაზე დაიყრებოდა დენთი და დაეფარებოდა ჩახმახის ყბა მასში დამაგრებული კაჟით. სასხლეტირკალის გამოკვრისას გორგოლაჭი სწრაფად დატრიალდებოდა და მასზე დაბჯენილი კაჟიდან მიიღებოდა ნაპერწკალი, რომელიც მიხვდებოდა ლულის ხვრელში და იწვევდა დენტის აფეთქებას. ასეთი კონსტრუქციის გამოგონებამ იარაღის ხმარება უფრო მოხერხებული გახადა. დატენილ იარაღს აღარ სჭირდებოდა მბჟუტავი ფითილი, ასე რომ, გასროლის პროცესზე ამინდი გავლენას ვეღარ ახდენდა, ამასთანავე, შესაძლე-

ბელი იყო იარაღის საბრძოლო მზადყოფნაში ტარებაც. გორგოლაჭიან სჩახმახებს თავისი ნაკლოვანებებიც გააჩნდა, ეს, პირველ რიგში, მისი სიძვირე იყო, კონსტრუქციის სირთულის გამო დაბინძურების დიდი ალბათობაც ჰქონდა, გარდა ამისა, გასაღების დაკარგვის შემთხვევაში თოფს ფუნქცია ეკარგებოდა. მიუხედავად ამისა, გორგოლაჭიანი ჩახმახების უპირატესობა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო ნაკლოვანებაზე, სწორედ ამიტომ, ასეთი ჩახმახიანი თოფები დროთა განმავლობაში სულ უფრო ვრცელდებოდა. საქართველოში და კავკასიაში გორგოლაჭიანი თოფები არ მზადდებოდა, რადგან ჩვენში ძალზედ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ე.წ. კაჟიანი ჩახმახები, რომელთა გამოგონება თითქმის გორგოლაჭიანი მექანიზმის თანადროულად მოხდა.

ლიტ.: მ. ქაფიანიძე, XV-XIX სს. ცეცხლსასროლი იარაღი (საქ. სახ. მუზეუმის იარაღის ფონდში დაცული მასალების მიხედვით), 2000; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

თოფიკალა (რაჭ.) - ბავშვთა სათამაშო თოფი - თოფის მოყვანილობის მშვილდ-ისარი. ამოღარულ ლულაში გაყრილია მშვილდი, ხოლო ლულაზე იდება ისარი, რომელსაც დაჭიმული თოკი ისვრის სასხლეტის საშუალებით (სინონ. ხელთოფა).

ლიტ.: რაჭული ლექსიკონი.

თოფი კაჟიანი - ცეცხლსასროლი იარაღის სახეობა, რომელიც წარმოიშვა XVI ს-ის დასაწყისში თითქმის გორგოლაჭიანი მექანიზმის პარალელურად. კაჟიანი ჩახმახები, უფრო სრულყოფილი იყო ვიდრე გორგოლაჭიანი, მასში ნაპერწკლის მიღება ხდებოდა კაჟის კვესზე (ფოლადის

ფირფიტა) დაცემის შედეგად. კაჟიანი ჩახმახების კონსტრუქციული სქემა იმდენად მარტივი იყო, რომ იგი ყველანაირი ცვლილების გარეშე მიიღეს მთელ მსოფლიოში. ისინი საუკუნეთა მანძილზე დარჩა სხვადასხვა ქვეყნების შეიარაღებაში.

კაჟიანი ჩახმახების კონსტრუქცია შეიარაღებებს საშუალებას აძლევდა სწრაფსროლა გაუმჯობესებინათ, ამ პერიოდისა და ჩნდება ორლულიანი და ორჩახმახიანი, ერთლულიანი და ორჩახმახიანი, ოთხლულიანი და ერთჩახმახიანი ცეცხლსასროლი იარაღები. საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების დაწყება კაჟიანი თოფების მოგვიანო პერიოდს ემთხვევა (XVII-XVIII). თავდაპირველად ქართული, უფრო ზუსტად კავკასიური ტიპის თოფის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია თურქულმა იარაღმა. ადგილობრივი წარმოების პირვანდელი ნიმუშები ძალზედ წააგავდა თურქულ თოფებს, ხოლო შემდგომ, XVIII ს-ის ბოლოდან, დაიხვეწა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა კავკასიური ტიპი კაჟიანი ცეცხლსასროლი იარაღისა, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა როგორც რუსეთში, აგრეთვე მანლობელ აღმოსავლეთშიც.

ლიტ.: მ. ქაფიანიძე, XV-XIX სს. ცეცხლსასროლი იარაღი (საქ. სახ. მუზეუმის იარაღის ფონდში დაცული მასალების მიხედვით), მ. ქაფიანიძე, სამაგისტრო ნაშრომი, 2000; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

თოფის დამარხვა - იხ. „აზარი“.

თოფი, ხელმეხი (ქართ.) - ცეცხლსასროლი იარაღის ტიპი, შედგება კონდახის, ჩახმახის, ლულის, ზუმბის და საპირისწამლისაგან. ევროპული ისტორიული დოკუმენტები ცეცხლსასროლი იარაღის

წარმოშობას XIV ს-ის პირველი ათწლეულით ათარიღებენ. მიუხედავად ამისა, XIII ს-ში არსებობდა არაბული ცეცხლსასროლი იარაღი „მოფა“ (იხ.). ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით კი ცეცხლსასროლი იარაღი პირველად მოხსენიებულია XVს. უკანასკნელი მეოთხედის მოვლენებთან დაკავშირებით. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თემურ ლენგის ლაშქარი პირველი შემოსევის დროს იყენებდა ე.წ. „რადანდაზებს“. ცეცხლსასროლი იარაღის (თოფის) განვითარების ისტორია შეიძლება დაიყოს რამდენიმე ეტაპად 1. თოფი ფითილიანი 2. თოფი გორგოლაჭიანი 3. თოფი კაჟიანი 4. თოფი ფისტონიანი 5. სახაზინო დასატენი ნემსიანი შაშხანა, რომელმაც სათავე დაუდო თანამედროვე იარაღის ჩამოყალიბებას.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

თოფის დაგება (რაჭ.) - დათვზე ნადირობის ერთ-ერთი სახეობაა, ფეხზე შეყენებულ თოფს დათვის სავალ ბილიკზე ისე ამაგრებენ, რომ დათვის გავლისას თოფი გავარდება და დათვს მოხვდება.

თოფის დაშხამვა / თოფის შერცხვენა - რაჭველ მონადირეთა წეს-ჩვეულება; სრულდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მონადირე ნადირს ხშირად დააცდენდა ტყვიას ან დაჭრილი ნადირი გაქცეოდა. მონადირეების აზრით, ამის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ან თოფის წამლის გაგიჟება (მეტად ფიცხი წამალი თუ გამოვიდოდა), ან ისეთი შემთხვევა, როცა გველს მოხვდებოდა ნასროლი ტყვია, ან კიდევ თუ ნანადირევს ცუდად დამზნილი (დაცდილი) ადამიანი ხელისმდებზე ადრე მოკიდებდა ხელს. ყველა ასეთ შემთხვევაში ხელის ასახსნელად საჭირო

იყო თოფის დაშხამვა ან მისი შერცხვენა; დაშხამვის მიზნით, დატენილი თოფის ლულაში პატარა გველს ჩააცურებდნენ და თოფს ისე დაცლიდნენ. ასეთი თოფით ნადირობის დროს მონადირე უზრუნველყოფილი იყო დაცდენისაგან და ვერც დაჭრილი ნადირი წაუვიდოდა. თოფის დაშხამვის გარდა, იცოდნენ ასევე რძის გამოყენება: რძეს აადულებდნენ და თოფის ლულაში იქამდე ასხამდნენ, ვიდრე ეს უკანასკნელი კარგად არ გაცხელდებოდა; შემდეგ თოფს მოაძრობდნენ კუდს, დატენიდნენ მას ლულის ძირიდან და ორ-სამჯერ ზედიზედ დაცლიდნენ.

ხელის გადგომის შემთხვევაში ფართოდ იყო გამოყენებული თოფის შერცხვენის წესი, რაც იარაღის საღორეში ჩამარხვას ან დედაკაცის ქვედა საცვალში რამდენჯერმე გატარებას ითვალისწინებდა. ამ რიტუალში ორი ადამიანი მონაწილეობდა; ერთ-ერთი მონადირე ეკითხებოდა თოფს: „არც ეხლა მოხვდები? არც ეხლა მოხვდები?“ - მეორე უპასუხებდა: „ოღონდ აქედან გამომიყვანე და მოხვდები“.

ხელის გადგომის შემთხვევაში მონადირის „ხელის ახსნა“ შეეძლო კარგად დამზნილ პირს, რომელსაც სანადიროდ წასვლის წინ პურს, ყველს, მარილს, ფქვილს გამოართმევდა. ამ ფქვილს ხმელგანატენის (იხ.) გამოსაცხობად იყენებდნენ, მარილი და ყველი კი თან მიჰქონდა; უკანდაბრუნებული მონადირე ვალდებული იყო ხელის ამხსნელისათვის ნანადირევის წილი მიეცა. ხელის ასახსნელად შინაური ფრინველის თოფით მოკვლასაც მიმართავდნენ.

ლიტ.: ა. რობაქიძე. რაჭაში მივლინების ანგარიში (1939 წლის 10. VII – 7. VIII) // ენიმკის „მოამბე“, XI. თბ., 1941, გვ. 1-10; მისივე, კო-

ლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში // შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში. თბ., 1941, გვ. 167-168.

თოფრა - პატარა ტომარა, რომელშიაც ჩაყრიან შვრიას და აჭმევენ ცხენს.

თოქმარი || **თოქმაჯი** - თითბრისა და სპილენძის ოსტატი. თოქმარები ამზადებდნენ შანდლებს, ჩაფრასტებს, ტაფებს, ქვაბებს, თასებს, თუნგებსა და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნებს.

ლიტ.: ს. მაკალათია. სამცხე-ჯავახეთი. თბ., 1938, გვ. 89.

თოხა (მესხ.) - აბზინდა, ლითონის ენიანი შესაკრავი ქამარზე, ფეხსაცმელზე.

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. დლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984. სიტყვასთან თოხა.

თოხეჩო (ქართლ. კახ. მესხ. ჯავახ.) - ხის სათლელი, პირბრტყელი და თონივით მოხრილი, დიდი საორხელო ხელჭურჭელი, ყოფაში გავრცელებულია შემდეგი სახელწოდებებით: „მძიმე ეჩო“ (ქართლ-კახეთი), „თოხ-ეჩო“ (აჭარ., მესხ.-ჯავახ.), „დიდი ეჩო“ (ქსნის ხეობა), „ფეხეჩო“ (ქართლ-კახ., მესხ.-ჯავახ.). „თოხეჩო“ შედგება ეჩოსა და ტარისაგან. ეჩოს პირი ლითონისაა, ალესილია და ტარისაკენ მოხრილი. თოხეჩოს იყენებდნენ ურმის ხელნების, კვრის ფიცრების და ა.შ. გასათლელად.

ლიტ.: გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, 1962.

თოხი - უმნიშვნელოვანესი სამიწათმოქმედო იარაღი, იჭედებოდა რკინისაგან. აქვს ყუა, ტანი, პირი და ხის ტარი.

ეთნოგრაფიულ ყოფაში გავრცელებული იყო თოხების უამრავი ნაირსახეობა, დამზადებულნი ნიადაგისა და სამეურნეო კულტურების დამუშავების გათვალისწინებით. სადაურობის მიხედვით თოხი იყო იმერული, მოხევეური, თრიალეთური, კახური, მეგრული, ინგილოური, ხევსურული. აგებულების მიხედვით: სწორმხრიანი, ოთხკუთხა, ფოთლისებური, მხრებდამკვეთი, ნისკარტიანი, ნაფოტა, მოქანდული, მხრებგამლილი, შალთა, ხელეჩოსებური, ყუამილიანი, უყუო, ყუიანი. ფუნქციების მიხედვით: საბელტე, საჩოკნი, კეკო, საფხვიერებელი, სამარგლავი და სხვა. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებში დიდი რაოდენობითაა დადასტურებული ნაირგვარი ტიპის თოხები. ზოგადად, მსოფლიო არქეოლოგიის პრაქტიკაში სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი უძველეს სამარხებში იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს. ამის საპირისპიროდ საქართველოს სამარხულ ინვენტარში ასეთი ნაშთების დაფიქსირება ხშირად ხდება, მაგ.: ერგეტის ერთ კოლექტიურ სამარხში (ძვ.წ. VII ს.) აღმოჩენილ იქნა 28 სახნისი, 27 ნამგალი და 142 თოხი, რაც კიდევ ერთი საბუთია საქართველოს, როგორც მიწათმოქმედების ერთ-ერთი უძველესი ეპიცენტრის მიჩნევისათვის. თოხი ქართული ოჯახის უმთავრესი სამეურნეო იარაღი იყო. მისი დამზადება ხდებოდა ადგილობრივი მჭედლების მიერ. თოხის მჭედლები ხშირად თოხს თავიანთ ნიშანს, დამდას ან სულაც სახელს აწერდნენ რითაც ღიად აცხადებდნენ პრეტენზიას ხელობის ავტორიანობაზე. ასეთ თოხს ჰქონდა როგორც ავტონომიური, ასევე საბაზრო ღირებულება. თოხი დღესაც რჩება ქართველი მეურნის ყოველდღიურ, სანიადაგო, სამეურნეო იარაღად.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმ. საქართვე-

ლოში, 1986. ო. ჯაფარიძე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ ქართულ კულტურაში, თსუ შრომები, 1953.

თოხი ბოსტნის - ბოსტანში სახმარი თოხი, გათვალისწინებულია ერთმანეთთან ახლოს დარგული ნარგავ-ჩითილუბის გასამარგლავად. ამიტომ მისი პირი პატარაა და მოხრილი, რათა მუშაობისას ეფექტურიც იყოს და არც ნარგავ-ჩითილები დააზიანოს.

თოხი ქისტური - მიწის დასამუშავებელი იარაღი. ოქისტები უწოდებენ „ცელს“. გავრცელებულია ფშავსა და თერგის ხეობაში. იყენებდნენ მარცვლეული კულტურებისა (სიმინდი, ლობიო) და კარტოფილის მოსავლელად. იარაღი მსუბუქია და გამოიყენებოდა აგრეთვე დიდი ღუმელებიდან ღაღარის გამოსახვეტად.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 1986.

თოხმახი (თბ.) - ხორბლის დასანაყინის ჩაქუჩი. თოხმახის განსაკუთრებული სახეობა გამოიყენებოდა ქვაფენილების დასაგებად.

თოხნაჯახი (გურ.) - თოხისა და ნაჯახის კომბინირებული სამეურნეო იარაღი; გამოიყენებოდა მცენარის რფესვებით გამაგრებული ნიადაგის დასამუშავებლად და ყამირის გასატენად.

თოხ-წერაქვი - ხელით სამუშაო უნივერსალური იარაღი თუშეთში. მისი საშუალებით წარმოებდა მოხვნის დროს დარჩენილი ხარვეზების ჩათოხნა, ბელტების დაფშვნა, დაჩერვნა. თოხით სამუშაო ქალების მიერ სრულდებოდა. ამზადებდნენ ადგილობრივი მჭედლები. ცნობილი იყო ამ მხრივ სო-

ფლები: დიკლო, ბოჭორნა, ომალო. ლიტ.: გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 1986. **თოჯა (ფშ.)** - თოჯინა, დედოფალა.

ლიტ.: ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი. შეადგინა ალ. ჭინჭარაულმა. თბ., 1969.

თრიტინა მიწა (ზ. იმერ.) - უნაყოფო მიწა.

ლიტ.: ბ. წერეთელი. ზემოიმერული ლექსიკონი // ქართველურ ენათა ლექსიკა.1. თბ., 1938. სიტყვასთან თრიტინა მიწა.

თრიმლი - მრგვალოფოთლიანი მცენარე, შემოდგომით ფოთლები უწითლდება. იხმარებოდა ტყავის წარმოებაში ნამზადის დასარბილებლად. მოთრიმვლა ტყავის დამუშავების ერთი ეტაპია. მთრიმლავ ნივთიერებათა აღმოჩენამდე დაბლები ტყავს ამუშავებდნენ თბილისის გოგირდოვან წყაროებში. რის გამოც თბილისი ითვლებოდა ამიერკავკასიის ქალაქთა შორის მედაბლეთა ცენტრად. თრიმლის გამოყენებამ უფრო ეფექტური გახდა ტყავის დამუშავება, ტყავის თრიმვლა ხდებოდა დაბახანაში. თბილისის ერთ-ერთი დაბახანა 1957 წლამდე მუშაობდა ძველი წესებით. დაბახანაში სამი განყოფილება იყო: პირველში ტყავის პირველადი დამუშავება ხდებოდა; მეორეში ტყავს ბეწვის გაცლა, მესამე განყოფილებაში კი ტყავების დათრიმვლა წარმოებდა. საქონლის ერთ ტყავს კირნარევ წყალთან ერთად დაფქულ თრიმლს აყრიდნენ. სამუშაოს გაადვილებისათვის თაღრის (იხ.) კედელზე ორივე მხარეს ამაგრებდნენ ორ გრძელ ხეს, მათზე დაყრდნობით ფეხებით ზელდნენ შიგ ჩაწყობილ ტყავებს. შემდეგ ერთი დამე ტოვებდნენ თაღარში, დილით ერთ საათს კიდევ დაამუშავებდნენ, დემურით გაასუფთა-

ვებდნენ და გასაწურად კეტებზე გადაკიდებდნენ. შემდეგი მოქმედება იყო ტყავზე წყლის ჰკურება და გამრობა. ერთი დღე-ღამე ხეებზე გაფენდნენ გასაშრობად. დილისათვის თუ გამრებოდა, ჯაგრისით გაწმენდნენ. ბრტყელპირა ჩაქუჩით ტყავის ნაპირებს გაასწორებდნენ. დროთა განმავლობაში ტყავის გასწორების მეთოდის გაუმჯობესების მიზნით ეთილი (იხ.) გამოუყენებიათ. ის ტყავს უფრო კარგად ასწორებდა და ლესავდა კიდეც, გარდა ამისა, ტყავი დიდდებოდა, ეთილი ტყავს სინესტეს აცლიდა და გამძლეობას მატებდა. ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

თრიმლის პური (ქიზიყ)- თხელი, გამხმარი პური. თრიმლის საჭრელად წამსვლელებს მიაქვთ საგზლად. არ ფუჭდება და ადვილი მოსანელებელია.

თრიშა (იმერ.) - ტყავის პატარა ნაჭერი, წულაზე, გუდასა და მისთანაზე დასაკერებლად.

თრუსო (ქიზიყ.) - ცელის პირის სალესი ქვა, ხორხომელა, მოლურჯო, ხმარობენ მშრალად, დაუსველებლად.

თრუშო (ქიზიყ.) - თრიმლის (იხ.) წვენი.

ლიტ.: სტ. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943. სიტყვასთან თრუსო.

თულო - თივისაგან დაგრეხილი მსხვილი თოკი.

თულუხი, თასუხა - წყლის საზიდავი ტყავის ჭურჭელი. ამზადებდნენ კამეჩისა და ხარის ტყავისგან, (15 წელს ძლებდა). მოცულობით რუმბის მეოთხედი იყო. ჩადიოდა რვა ფუთი წყალი. ზემოთ ფა-

რთო ნახვრეტი ჰქონდა, ქვემოთ უფრო წვრილი. ფართო ნახვრეტის საშუალებით თულუხი (იხ.) მდინარიდან წყალს ასხამდა თულუხში, ხოლო წვრილი ნახვრეტიდან ჩამოუსხამდა მომხმარებელს. იშვიათად თულუხებში დვინოს, ზეთსა და ნავთს ასხამდნენ.

თულუხი - თულუხით წყლის მზიდავი, მეთულუხიეს ზოგან მეწყელესაც ეძახდნენ. დიდი ხნის მანძილზე თბილისი მარაგდებოდა მტკვრის წყლით, დამტარებლები კი თულუხები იყვნენ. თულუხი ან თავად ატარებდა წყლით დატვირთულ თულუხს მხრებზე მოკიდებულს ან ცხენს ვირსა და ჯორს აჰკიდებდნენ. წყლის ადების პროცესი რთული იყო. ამიტომ სამხედრო უწყებამ ჩუღურეთში, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გვერდით დადგა წყალსაქაჩი. ეკლესიასა და წყალსაქაჩს შორის მდინარეზე ვიწრო ჩასასვლელი ბილიკი იყო გაკეთებული წყლის მზიდავთათვის. მათ მოსახლეობისათვის ქუჩა-ქუჩა დაჰქონდათ წყალი. უნაგირის კეზზე თულუხს წყვილად გადაბმულს გადაჰკიდებდნენ და ტყავის თასმით ამაგრებდნენ. წონასწორობისათვის თულუხი ხან ერთი და ხან მეორე თულუხიდან ასხამდა წყალს. თბილისში წყლის ფასი იცოდნენ, რადგან ქალაქში ჭა იშვიათად იყო. წყლის მოტანაში მომხმარებელი თულუხის „შაურს“ უხდიდა, მაგრამ არა ყოველ მოტანაზე: თულუხი თავის საანგარიშო ჯოხზე ყოველ მისვლაზე ნაჭდევს აკეთებდა და ყოველ 20 მისვლაზე მიიღებდა ერთ მანეთს. 1887 წელს, თბილისში გაიხსნა ქალაქის წყალსადენი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, XX საუკუნის დასაწყისამდე, მეთულუხეობას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

თუმაჟი - ცხენის გავაზე გადასაფარებელი ყაჯარი.

თუმბი (ზ. აჭარ.) - ქვით ნაშენი ან მიწით შეზვინული დასაფხურებული ბაქანი.

ლიტ.: შ. ნიჟარაძე. ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი. ბათუმი, 1961.

თუნალაი (მოხ.) - რვილი, საქსოვი მოწყობილობის მბრუნავი ნაწილი, რომელზედაც იხვევა ნაქსოვი.

ლიტ.: .ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე. ქართული დიალექტოლოგია.1. თბ., 1961, გვ. 562.

თუნგი - აქ: სპილენძის თუნგი, წყლის საზიდი, მოსაკავებელი და ასადულებელი ცალყურა ჭურჭელი. თუნგების უმრავლესობა მოუკალავია, უორნამენტო ან შემკულია უმნიშვნელოდ. თუნგი არის ნისკარტიანი, მრგვალტუჩა, ბრტყელძირა, მრგვალძირიანი, თავსახურიანი ან უთავსახურო. თუნგები იკრებოდა სპილენძის ფირფიტებისაგან. საქართველოში თუნგის რამდენიმე სახეობა მოწმდება. მაგ., „გიგიმ“ (ჯავახეთში), „გუგუმი“ (აჭარაში). ჯავახეთში რამდენიმე ზომის გიგიმს ხმარობენ. დიდი ზომის გიგიმში აღულებენ ჩაის და სუფრაზე მისატანად პატარა გიგიმში გადაასხამენ, „რადგან სუფრაზე სახმარ ჭურჭელს ცეცხლზე არ იხმარდნენ“.

ლიტ.: ე. მახარაძე, აჭარული და ადმოსავლური კერძების სამზარეულო სუფრა, ბათუმი, 1988.

თუნგულა - პატარა თუნგი. იმერეთში თიხის პატარა დოქსაც თუნგულას უწოდებენ.

თუნი (ქსნ. ხეობა, ინგილ.) - ქურა, რომელშიც ჭურჭელი გამოიწვება.

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტვის კონა. შემდგენელი ალ. დლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984. სიტყვასთან თუნი.

თურჯი (ლექხ.) - საღომე ქვაბი თურჯისა.

ლიტ.: .ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე. ქართული დიალექტოლოგია.1. თბ., 1961, გვ. 676.

თულანა (გუდამაყრ.) - მოქსოვილი შალის სახვევი.

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტვის კონა. შემდგენელი ალ. დლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984. სიტყვასთან თულანა.

თუმი, თურში - მძიმე ტვირთის საზიდი ტრანსპორტი, ზოგჯერ საგანგებოდ ამზადებენ ქვისა და ხის საწნახლების, ქვევრების ე.წ. საგანძურების საზიდად. თუმი შერეული ტიპის საზიდს მიეკუთვნება და ახლოს დგას აჩაჩა ურემთან. თუმს აქვს ძლიერი ზესადგარი ღერძები ტვირთის დაწოლას რომ გაუძლოს, მისი ბორბლები პატარაა და მასიური, ზოგჯერ კი ბორბლების მაგიერ მსხვილი მორები აქვს. თუმი დამოწმებულია ზემო იმერეთის სოფლებში (გორისა, მერჯევი). ასეთი ტიპის საზიდავი „თურშის“ სახელწოდებით მთიულეთში ქვის საზიდად გამოიყენებოდა.

ლიტ.: გ. გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, 1956.

თუმური სახვნელი, თუმური აჩაჩა - მიწის დასამუშავებელი იარაღი, შედგება 4 ნაწილისაგან: ქუსლი, ერქვანი, მხარი, სახნისი. ქუსლი სოლისებური მოყვანის ხის ძელია. მასალად შერჩეუ-

ლია მაგარი ხე (წიფელა, რცხილა, ნეკე-რჩხალი). მას აქვს ნაჩვრეტი, რომელშიც იდგმება სახვნელი მხარის ბოლო და ერქვანი. მხარი მზადდება ნაძვისაგან. ერქვანი 7სმ-ის სიმაღლის სწორი ჯოხია. სახვნელის მეოთხე ნაწილი რკინის სახნისია, განეკუთვნება უფროთო სახნისთა ჯგუფს. სიგრძე 26-30 სმ., სიგანე 14 სმ. სახნისს ამზადებდნენ ადგილობრივი მჭედლები ან იძენდნენ ბარში. სასახნისე რკინა ძნელი მოსაპოვებელი იყო და ადგილობრივი მეურნენი განსაკუთრებით უფროთხილდებოდნენ, გაცვეთისთანავე მჭედელთან მიჰქონდათ, რომელიც სხვა რკინის ნაჭერს დააკერებდა, ანუ „დარკინავდა“. სახვნელის თუშური სახეობა განეკუთვნება სამმხრიან სახვნელი იარაღების ტიპს, რომელიც გავრცელებულია მთელი კავკასიონის ცენტრალურ რაიონებში. ამ ტიპს განეკუთვნება ორი სახეობა - მთლიანი და შედგენილი მხარით. ეს უკანასკნელი ცნობილია მოხურვი, აფხაზური, მეგრული, გურული, სვანური, ხევსურული და ოსური სახვნელების სახით. ლიტ.: გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 1986.

თუშფალანგი - სითხის საწურ-საფილტრავი. ეთნოგრაფიულ ყოფაში დასტურდება როგორც ლითონის, ასევე თიხის თუშფალანგები. აგებულების მიხედვით გვხვდება ქუსლიანი, უქუსლო, პირგადაშლილი და თავმომრგვალებული. თუშფალანგი განეკუთვნება სამზარეულო ჭურჭელთა რიგს.

თუხტი (მესხ.) - წონის ძველებული ერთეული, გირვანქის ერთი მერვედი.

თუჯია (რაჭ.) - თუჯის ქვაბი (შდრ. ჩონა) (იხ. ბერ., ჩიქოვ., დლ., ძოწ.).

თხაბელა (რაჭ.) - უსაფუვრო ცომისაგან საახალწლოდ გამომცხვარი თხის (ან

სხვა ცხოველების, მაგ., ჯიხვის) ფიგურა.

თხეველი (ძვ.) - სასროლი ბადით თევზის ჭერას ეწოდება, ხოლო მესათხეველ - მებადურია, მეთევზე.

თხერობ / თხერემი ლამპრობ - იხ. „მამბერი“.

თხიერი - ზოგადი სახელწოდება საქონლის ტყავისგან დამზადებული მოკუპრული და მოუკუპრავი ჭურჭლისა (რუმბი, კოლოტი, ტიკი, ტიჭორა, გუდა და ა.შ.).

თხილამურები - თოვლზე ან ქაობიან ადგილზე გადასადგილებელი მოწყობილობა არის ორი სახისა - სასიარულო (საბიჯებელი) და სასრილო. სასიარულო თავის მხრივ ორგვარია - თოვლისა და ქაობისა. სასრილო თხილამურებს განეკუთვნება სპორტული (სარბოლო, სასლალომო, სახტომი), ტურისტული, სანადირო და სპეციალური დანიშნულების თხილამურები. სასიარულო თხილამურები გავრცელებული იყო საქართველოს მთისწინეთსა და მაღალმთიანეთში. ქართული ხალხური თხილამურები სხვადასხვა მოყვანილობისა იყო (გირკალისებრი, მრგვალი, ელიფსური, ოვალურჭვინტიანი) და დამზადების ტექნიკითაც განსხვავდებოდა. გირკალისებრი თხილამურები გავრცელებული იყო ხევსურეთში, მრგვალი - უმთავრესად სვანეთში, სამეგრელოში, ლაზეთში, აფხაზეთსა და მთიულეთში. ელიფსური - ქართლში, აჭარაში, რაჭაში, ნაწილობრივ სვანეთში, სამეგრელოსა და იმერეთში, ხოლო ოვალურჭვინტიანი - აჭარაში, გურიასა და ლაზეთში. საქართველოს მთიანეთში ცნობილია ადგილობრივი წარმოშობის თხილამურები. ამ მარტივ სასრილო თხილამურებს სვანეთში „ლაჩირხალალი“ ჰქვია, თუშეთში - ქოკები, მთიულეთში - კაგდები და სხვ. ქართული ხალხური

თხილამურების დიდი კოლექცია დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების ფონდებში. ამ ტიპის თხილამურების გამოყენება საქართველოსა და კავკასიაში ძველი ბერძნული საისტორიო მწერლობაშიცაა დამოწმებული. საქართველოსა და კავკასიის გარდა სასიარულო (საბიჯებელი) თხილამურები ძველთაგანვე ფართოდ იყო გავრცელებული შუა აზიის მთიანეთში, ციმბირში, ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკის ცივ ზოლში. რუსეთის ჩრდილოეთისა და სკანდინავიის ქვეყნების მოსახლეობა უხსოვარი დროიდან იყენებდა სასრილო თხილამურებსაც, როგორც გადაადგილების ერთ-ერთ აუცილებელ საშუალებ

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011; ფ. ნა-

ვერიანი, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

თხილამური - ფეხსაცმელი. თხილამური თხილის, ან წაბლის ტკეჩის მოღუნვით მზადდებოდა. ტკეჩი მრგვლად მოიღუნებოდა, შიგ იბანდებოდა წვრილი ბაწარი და ბაწრითვე დაიხვეოდა ფეხზე. თხილამურს დიდ თოვლში იყენებდნენ სანადიროდ. აჭარლები თხილამურს ნეკერჩხლისაგან (ლეკი ხე) ამზადებდნენ.

ლიტ.: მასალები..., 1983:255, 265.

თხლე, მთხლე - ღვინის დანალექი ჭურში. მარხვის დროს პურის ფქვილში ურევდნენ, წამოადულებდნენ და ჭამდნენ. აქედანაა „თხლის შეჭამადი“.

თხმორულა (ქვ.) - რაჭული ვაზის ჯიშია (იხ. ჯავახ., ეკ. ისტ. II, 445; ფრ., 24).



იაბო (ქიზიყ., თუმ., მთიულ., გუდამაყრ.) - დაკოდლილი ცხენი და ვირი.

ლიტ.: სტ. მენტემაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943. სიტყვასთან იაბო; პ. ხუბუა. თუშური კილო. ლექსიკა. თბ., 1969.

იაგუნდი - მინერალთა გარკვეული ჯგუფის ზოგადი სახელწოდებაა. ზოგჯერ იაგუნდის ქვეშ საერთოდ, ძვირფასი ქვები იგულისხმებოდა. ლიტ.: ვ. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.

იავნანა - ყვავილ, წითელა და სხვა ბატონებისათვის განკუთვნილი საგალობელი, იგივე „ბატონების ნანა“ (აღმოსავლეთ საქართველოში) და „საბოდიშო“ (დასავლეთ საქართველოში). განსხვავებით აკვნის ნანასაგან, რომელიც ერთხმინი სიმღერაა, ინდივიდუალურად სრულდება და უპირატესად იმპროვიზაციული ხასიათისაა, იავნანა წარმოადგენს სინთეტური ფორმის გუნდურ ორსამ ხმინ სიმღერა-საგალობელს (რაჭაში ერთხმინიცაა), რომელსაც თავისი განსაკუთრებული მუსიკალური და პოეტური ტექსტი გააჩნია. იგი ზოგ შემთხვევაში საწესო ცეკვის თანხლებით ყვავილით, წითელათი და სხვა სახადით დაავადებულ ბავშვთან „ბატონებისა“ და მათი

დედის პატივსაცემად სრულდებოდა. საყურადღებოა ისიც, რომ იავნანას ჰანგი გამოყენებულია აგრარულ კულტებთან დაკავშირებულ სიმღერა-საგალობლებში (მაგალითად, გონჯა-ლაზარე, დათოს ფერხული, ზემყრელო, ლამარის სიმღერა და სხვ.) და თავისი ძირებით მუსიკალური კულტურის აღმოსავლურქართულ წრეს უკავშირდება, ამასთან, ზოგადქართულ ინტონაციურ არეში ექცევა.

პირვანდელი საწესო ფუნქციის დაკარგვის შემდეგ, იავნანა აკვნის ნანასთან გაიგივდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ, ქართველების მსგავსად, „ბატონების ნანასა“ და „აკვნის ნანას“ ერთმანეთისაგან კავკასიის სხვა ხალხებიც (აფხაზები, ჩერქეზები, ოსები და სხვ.) განარჩევდნენ და მათ განსხვავებული ტერმინებით აღნიშნავდნენ.

ლიტ.: მ. ასლანიშვილი. „იავნანა“-ს მელოდია და მისი ადგილი ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში // ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ. I. თბ., 1954; ნ. მაისურაძე. ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები. თბ., 1989; თ. მამალაძე. ქართული აკვნის ნანა // საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები. თბ., 1968, გვ. 80-90; ნ. მიწაძე. ქართული ხალხური მედი-

ცინა. თბ., 1981; ქ. ნაკაშიძე. „იავნა-ნას“ რაჭული ვარიანტი // კავკასიის ეთნოლოგიური კრებული. VIII. თბ., 2003, გვ. 133-135.

იაილა - საგაზაფხულო საძოვრების სახელი მთიან აჭარაში, სადაც მწყემსებს მოწყობილი აქვთ გათლილი ფიცრის ერთსართულიანი და ორსართულიანი სახლები. ორსართულიანებში პირველ სართულზე გომურია გამართული, მეორეში კი საცხოვრისი მერძვეობასთან დაკავშირებული სამეურნეო მოწყობილობით. ეს სახლები კარგად დაცული და

იალმაგი, ალამაგი - ჯაჭვის პერანგის ზემოდან ჩასაცმელი, „სამოსელი არს საომარი, ჯაჭვთა გარეგან საცმელი“ (საბა). ვინაიდან ჯაჭვის პერანგი უხეშია და მას აქვს ბევრი ნაწიბური, რომელსაც შესაძლოა ქსოვილი დაეზიანებინა, ამიტომ სავარაუდოა, რომ იალმაგი, ანუ ალმაგი ყოფილიყო ტყავის ჩასაცმელი, ან ბეწვეული, წარჩინებულთათვის ძვირფასბეწვიანი, ტყავაბა, ხოლო დაბალი ფენებისათვის უბრალო ტყაპუჭი.

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I. 1991.

იალქანი - იხ. აფრა

იარადი - თავდასხმის მოსაგერიებლად და ბრძოლის საწარმოებლად განკუთვნილი საომარი იარაღების ზოგადი სახელწოდება. როგორც ტერმინი იგი უკვე XV-ს-დან ჩნდება და თანაარსებობს აბჯართან ერთად. მომდევნო ხანებში უკვე დამკვიდრებული სიტყვაა. საბას განმარტებით „იარადი... არს ჭურჭელნი ხელოვანთა სახმარნი რკინათა თუ ძელთაგან, მეომართა აღსაკაზმავი, გინა ცხენთა“. საგულისხმოა, რომ თუ აბჯარში იგულისხმებოდა მხოლოდ საბრძოლო იარაღი, თავად იარადში - გარდა ამისა, შედიოდა

აგრეთვე სახელოსნო ნივთიც. ქართველი მთიელები იარაღს, თავის პრაქტიკული საჭიროების გამო, ძალზე აფასებდნენ და ამავე დროს, მრავალ ზებუნებრივ ძალას მიაწერდნენ. ამიტომაც მან აქტიურად შეაღწია ხალხის ყოფიერებაში და სულიერ ცხოვრებაში. ხშირი იყო ტაძრებში იარაღის შეწირვის შემთხვევები. ტაძარში იარაღის შეწირვის ერთ-ერთ მიზანს, მისი საიმედო ადგილზე შენახვა წარმოადგენდა, რათა ხალხს დიდხანს დამახსოვრებოდა-ვის ეკუთვნოდა ეს იარაღი, როდის და რატომ შესწირეს იგი ხატს. საკულტო სალოცავში იარაღის შეწირვა ატარებდა სარწმუნოებრივ შინაარსს. მომავალი დედა, როცა მშობიარობისთვის ემზადებოდა, ბალიშის ქვეშ ხანჯალს იღებდა, რათა არ მიეშვა ავი სულები ახალშობილთან (ყველა მთიელის წესია). ზოგან მშობიარეს ხანჯალი ხელში ეჭირ (ფშავი), ხოლო მეუღლე, ან რომელიმე ახლო ნათესავი იარაღით ხელში ახლომახლო იმყოფებოდა, რათა სროლით გადაედევნა უწმინდური და შეემსუბუქებინა ქალისათვის მშობიარობის სიმძიმე. მეორე მხრივ, ახალშობილისთვის გაეცნო მამაცობის პირველი გაკვეთილი. ამავე მიზნებით, ბავშვის აკვანს აბამდნენ ხმალს ან დაშნას, ანდა თავქვეშ უდებდნენ დანას. ბავშვის ავადმყოფობის შემთხვევაში წყალში დებდნენ ხმალს, ხოლო შემდეგ ბანდნენ ბავშვს ამ წყლით. იარაღს არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა „ჯვრისწერის“ დროს. ტაძრისა და სასახლისაკენ მიმავალ გზებზე ახალდაქორწინებულებს აუცილებლად შეიარაღებული ახლობლები და ნათესავები, მაყრები აცილებდნენ, რომლებიც განასახიერებდნენ ყოველნაირი უბედურებისაგან დამცველ ძალას, ანუ მაგიური ძალის მფლობელს. მომავალში იგი გადაიქცა ქორწილის ჩვეულებრივ დამატებად. ამასვე განეკუთვნება ფართოდ ცნობილი ტრადიცია ახალდაქორწინებულთა გავლა გადაჯვარედინებული ხმლე-

ბის ქვეშ. ფშავში ახალდაქორწინებულები სახლში შესვლამდე ცივი იარაღით გარს უვლიდნენ სახლს და ურტყამდნენ კედლებს. თუშეთში პატარძალს კარებთან უნდა გადაეხიჯებინა ხანჯალზე ან ქუდზე. მოახლოებული სტუმრები კი თოფის სროლით ამცნობდნენ სოფელს ამის შესახებ. სვანური ქორწილის დროს ხდებოდა ქალიშვილის სახლში მალულად „ტყვიის შეგდება“ ანდა თოფის გასროლა მის კარებთან შემდეგი წამოძახილით: „დღეის ამას იქით ეს ქალიშვილი ჩვენია.“ საბრძოლო იარაღს დაკრძალვის დროსაც იგივე მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაგ., ხევსურეთში გარდაცვლილს მარჯვენა ხელში აჭერინებდნენ ხმალს, მარცხენაში-ანთებულ სანთელს და წარმოთქვამდნენ: „მშვიდობიანად იმგზავრე იმქვეყანაში, გზა შენთვის ხსნილია, შენი სულისთვის გზა ნათელია, ნუ დარჩები სიბნელეში, არ შეშინდა, ხმლით მოიგერიე მტერი, იყავ გულმაგარი,“ ხოლო დატირების დროს ჭირისუფლები გარდაცვლილის ხანჯალს ან ხმალს დებდნენ და მასზე დაიტირებდნენ. დასაფლავების შემდეგ, რამდენიმე ხნით იკრძალებოდა შრომა და თოფის სროლა. ამ წესის დარღვევა ლაჩრობად ითვლებოდა და ხშირად შუღლში გადადიოდა. ასეთი წესი იყო მთელს ხევსურეთში, არხოტის გარდა, რადგან არხოტი მდებარეობდა სასაზღვრო ზოლში, თოფის სროლის აკრძალვა კი სახიფათო ხდებოდა, სროლა მხოლოდ დაკრძალვის დღეს არ შეიძლებოდა. საბრძოლო იარაღს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვაჟკაცის კაი ყმად გამოცხადების დროსაც. როდესაც ყმაწვილს უსრულდებოდა 15 წელი, ხევსურები მას საზეიმოდ გადასცემდნენ ოჯახის საბრძოლო იარაღს. მას წინ უძღოდა ფეხონზე ყმაწვილის ღირსებებზე საუბარი და საერთო ნება-სურვილი - „დროა, ამ ვაჟკაცმა აისხას იარაღი.“ წლების განმავლობაში საბრძოლო იარაღი, ხანჯალი და ხმალი, წარმოადგენდა ქართული

ეროვნული ტანსაცმლის (ჩოხის) აუცილებელ ელემენტს. ხევსურულ ტანსაცმელში კი ყოველთვის გათვალისწინებული იყო ადგილი საბრძოლო სათითენისათვისაც (საცერული), ქართულ ჩოხას ჰქონდა ხმლისა და ხანჯლის ჩამოსაკიდი ადგილები, უფრო გვიან გაჩნდა სავაზნე ჯიბეები. მთიელებში ის მხარე, რომელსაც საუკეთესო ხარისხის საბრძოლო იარაღი ჰქონდა და გამოჩენილი იყო თავისი გამარჯვებებით, სარგებლობდა შესაბამისი ავტორიტეტით. ის ოჯახი, რომელსაც ასევე გააჩნდა საუკეთესო საბრძოლო იარაღი, დიდი პატივით სარგებლობდა. თანაბარი ფიზიკური და საბრძოლო მომზადების დროს, საუკეთესო იარაღის ქონა ხშირად გადაწყვეტდა ორთაბრძოლის ბედს. საბრძოლო იარაღის დიდ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს ის გარემოებაც, რომ გაცვლითი ოპერაციების დროს იარაღი ფულის ეკვივალენტურ ფასეულობად ითვლებოდა. მთიელთა წესის მიხედვით, ოჯახის გაყრის დროს გარდაცვლილი მამის ქონება ძმებს შორის თანაბრად იყოფოდა, მაგრამ ეს წესი არ უხებოდა საბრძოლო იარაღს, „მამის ერთი მთავარი იარაღი“ გადაეცემოდა მხოლოდ უფროს ვაჟს.

ლიტ.: ი. ყვინაშვილი, ქართული საბრძოლო სისიტემები .ტრადიცია და ისტორია 2002; ს.მაკალათია, ხევსურეთი, 1984; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

იარაღის დაფარება (რაჭ.) - ფიცია მონადირის. ჯგუფური ნადირობისას თუ უთანხმოება ჩამოვარდებოდა იმაზე, თუ ვინ მოარტყა პირველად ნადირს თოფი, დავა ფიცით წყდებოდა: „შენი იარაღი დააფარე და შენი იყოსო“, ე. ი. იარაღის დაფარება დაფიცება იყო (იხ. რობაქ., 119).

იარაღის კვერი - თუშური საშობაო კვერი, მრგვალი და გახვრეტილი. ასეთ კვერებს დიასახლისი ქრისტის (შობის) წინა საღამოს ვაჟების (იარაღის მატარებლების) სახელობაზე აცნობდა და კერის თავზე შერჭობილ ჩხირზე წამოაცვამდა. ეს კვერები იქვე რჩებოდა, ვიდრე არ ჩამოცვივდებოდა ან კატა-თაგვები არ შეჭამდნენ.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 43.

იასადი -- დაავადებული საქონლის მოსპობის და დაწვა-დაფლვის მეთოდი. კარანტინი, რომელიც გადამდები დაავადების გავრცელებისას ცხადდებოდა. აჭარაში ხალხურ ვეტერინარულ ცოდნას დიდი ისტორია აქვს. აჭარელმა მესაქონლეებმა განსაკუთრებულ წარმატებას ხალხურ ვეტერინარულ თერაპიასა და მეანობაში მიაღწიეს. ეს მონაპოვარი, რიგ შენთხვევაში, გამოყენებას პოულობდა თანამედროვე მეცნიერული ვეტერინარიის სამკურნალო მეთოდებსა და საშუალებებში. საქონლის გადამდებ სნეულებებთან მიმართებაში, აჭარაში ყურადღებას იპყრობდა ხალხური კარანტინი - იასადი და საქონლის დახიზვნა. აჭარაში ძველი და ტრადიციული ფესვები ჰქონდა წარმართულ რელიგიასთან დაკავშირებულ შელოცვებს, მაგიური ხასიათის რწმენა-წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებს, რომლებიც საქონლის დაავადება-მკურნალობის პროცესში სრულდებოდა.

ლიტ.: ქართული ეთნოლოგია, 2009:193; ვ. შამილაძე, მსხვილფეხა საქონლის ... აჭარის მოსახლ. ყოფისა და კულტ. საკითხები, 1966:201.

იატაგანი - ცივი იარაღის ტიპი. ცალღესული. XVI საუკუნიდან ცნობილია, როგორც იანიჩარების იარაღი, მაგრამ

გარდა თურქეთისა იატაგანს ახლო აღმოსავლეთის, ბალკანეთის და სამხრეთ ამიერკავკასიის ჯარებშიც ხმარობდნენ. მის ზოგიერთ სახეობას ორმაგათ გაღუნული, ტალღოვანი პირი აქვს. ეს იარაღი უვადაჯვროა. ტარი გაკეთებულია ძვლისაგან ან ლითონისაგან, რომელიც ბოლოში ფართოვდება და ორკაპა სახეს ღებულობს. პირი ქარქაშში ორკაპა ნაწილამდე ჩადის. იატაგანის ქარქაში ძირითადად ტყავგადაკრული ხისაგან კეთდებოდა.

იაფინჯი - იხ. ნაბადი.

იაღლოჯი - (იმერ). - სახლის ბალავრის სისწორის მოსაყვანი გადაჯვარადინებული თოკების კომბინაცია, მისი შესატყვისია დიაგონალი და ხაჩირი. **იგოგის ლოცვა** - სამშენებლო ციკლის იმერული წეს-ჩვეულება. იგოგი/გოგი/ვაცა წარმოადგენს ნაგებობის სახურავის ცენტრალურ ნაწილში ვერტიკალურად აღმართულ არქიტექტურულ ელემენტს (დაახლ. 1-1.5 მ-ის სიმაღლის ერთი ან ორი მოქუდული ბოძი), რომელიც სახურავის მთელი სისტემის ძირითად საყრდენს წარმოადგენს. მის აღმართვას სახლის პატრონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და თავს ვალდებულად თვლიდა, ეს ღირსშესანიშნავი ფაქტი სახურავის დასარტყვლისთანავე საგანგებო ლოცვითა და საწესო სუფრით აღენიშნა: საამისოდ იწვევდა ნათესავებსა და მეზობლებს; ხელოსნები სახლის თავზე ავიდოდნენ, იგოგის ქუდს გადააჯდებოდა უფროსი ხურო, რომელსაც ოჯახის უფროსი გობით საჭმელს, დოქით ან ჩაფით ღვინოსა და თინისა და ხის ჯამებს მიართმევდა. უფროსი ხურო ღვინით სავსე ჯამს აწევდა და ასე დაილოცებოდა: „დიდებულო ღმერთო, გვირგვინო ქვეყნისა, ყოვლის შემძლე, შენ მიეცი ამ სახლის ბჭეს ბედნიერება და სიხარული,, მუდამ გახარებულნი იყვნენ შვილთაშვილებში“, შემდეგ ღვინოს და-

ლევდა. მას დანარჩენებიც მიბაძვდნენ. ჭურჭელში დარჩენილ ღვინოს იგოგის ქუდსა და სარტყლებს გადაასხამდნენ და იტყოდნენ: „სიტკბო და პურმარილი არ მოეშალოს ამ ოჯახს“; ღოქსა და ჯამებს კი ძირს გადმოყრიდნენ (თიხის ჯამები აუცილებლად უნდა გამტყდარიყო, ხისა კი, ნიშნად სახლის აღმართვისა, თაობიდან თაობას გადაეცემოდა), თან დააყოლებდნენ: „ასე დაიქცეს ამ ოჯახის ბჭის დამაწყევარი ავი სული“. ბოლოს სტუმრებს საამდღისო სუფრასთან მიიწვევდნენ და სათანადოდ მოილხებდნენ.

ლიტ.: კ. კახიანი. საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებული ზოგიერთი რწმენა-წარმოდგენა იმერეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXIII. თბ., 1987. გვ., 246.

იენა ლატარიში / საიანოშო - ერთი ან რამდენიმე მოძმე ოჯახის ერთობლივი სალოცავი სოფ. ჯვარში (წალენჯიხის რ-ნი); იხდიდნენ წელიწადში ერთხელ სამშაბათ, ხუთშაბათ ან შაბათ დღეს. საამდღისო ლოცვისთვის დაკლავდნენ ღორსა და მოხარშავდნენ ორ ცალ ყველიან ან ქონიან კვერს. ღორის გულ-ღვიძლსა და კვერებს გობზე დააწყობდნენ, გვერდებზე სანთლებს შემოუნთებდნენ და უხუცესი მამაკაცი, ანთებული სანთლით ხელში, პირისახით მთებისკენ (სვანეთისკენ) მიბრუნებული, ლოცვას აღავლენდა: „იენა ლატარიში, სახელდალოცვილო და დიდებულო, ჯანმრთელობა და გამარჯვება მოგვეცი, მარად-ქამ კარგად გვამყოფე ჩვენი ცოლებითა და შვილებით“ (იენა ლატარიში, სკანი სახელი ხვამელი დო დიდებუანი, სინთელე დო გომორძგუა ქომუჩით, ირო ჯგირო ღუმორინეთ ჩქინი ჩილამო დო სკუალამო).

ლიტ.: ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 12, გვ. 9-11 (ხელნაწერი ინახება

ავტორთან); ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 324.

იელი - „ილია წინასწარმეტყველი“ - დარ-ავდრის გამგებელი სვანური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით. მისი ეპითეტები და სალოცავი ადგილებია: იელი თეკელიშ (ფარ.) - „ილია თეკლისა“, ილია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესია სოფ თეკალში, ჩოლურში; იელი ლაჰჰჰმ (ლენჯ.) - „ილიას სალოცავი“; იელი ლენჯჰრიშ - „ილია ლენჯერისა“, ილია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესია ლენჯერში.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 36, 61, 177, 195.

იერიში - უნაგირზე გადასაფარებელი მოქარგული ქსოვილი. ქალი-ოსტატი შეგირდის გაწვრთნაში არ იღებდა გასამრჯელოს, სამაგიეროდ გათხოვების დროს ნეფე მას გადაუხდიდა 10-20 მან. და მოითხოვდა ცხენის მორთვას პატარძლისაგან. პატარძალი, გარდა იერიშისა, ქარგავდა ყაჯარსაც (იხ.) და სამკერდულს (იხ.). ყველა ამ ნაქარგს-მიართმევდნენ ნეფეს პატარძლის ხელსაქმის ცოდნის დასამტკიცებლად.

ივანე მახარობელი - მონადირეთა მფარველი წმინდანი გურულების რწმენა-წარმოდგენების მიხედვით. როცა გურული მონადირე თოფს ტენიდა ან მახეს აგებდა, ივანე მახარობელს შეწევნას თხოვდა. მონადირესთან შემხვედრს სალმისთვის აუცილებლად უნდა დაეყოლებინა: „შეგწიოს ივანე მახარობელი“. ნადირობიდან დაბრუნებულ მონადირეს დიასახლისი სამზადი სახლის კარებთან დახვდებოდა, მუჭით ნაცარს შეაყრიდა და ეტყოდა: „კიდევ ამდენი,

კიდევ ამდენი, შენი ავი თვალითა და ავი გულით შემხედვარეს თვალში ნაცარი, გულში ლახვარი, ივანე მახარობელი იყოს შენი მფარველი!“ ნანადირევ ფრინველს მაშინვე ცივ წყალში დაასველებდა, ცხელ ნაცარში დაატრიალებდა და თან ამბობდა: „ასვარია, დასვარია, შენი დედა, შენი მამა, შენი ძამიე, შენი დაიე, შენი ნახული, შენი უნახავი, შენი ნაცნობი, შენი უცნობი - ყველა აქანაი დასვარია“. ქალი ცხელ ჩიტს ცოტა ხანი ფეხებზე დაიჭერდა და მხოლოდ შემდეგ გაპუტავდა.

ლიტ.: ა. წულაძე. ეთნოგრაფიული გურია. თბ., 1971, გვ. 70-71.

ივურდან (იორდანე ?) - სვანური „აიზმა“ - ნაკურთხი წყლით მოზეულილი ნაცარი, რომელსაც ოჯახი წლიდან წლამდე ინახავს; მზადდება დიდმარხვის დასრულებისთანავე. ივურდანს „ხმარობენ ყოველ იმგვარ შემთხვევაში, როდესაც ეკლესიურის კანონით აიზმაა საჭირო: დაფშვნილ ნაცარს იმგვარად მოაყრიან ოჯახში, როგორადაც აიზმას წყალს მოასხურებენ ხოლმე“.

ლიტ.: ბ. ნიჟარაძე. სვანების ზოგიერთი ჩვეულებანი და ცრუმორწმუნეობანი (შეკრებილია თავისუფალ სვანეთში) // ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე. თბ., 1973, გვ. 75.

იზმირი, იზბირი - რკინის პირთხელი, ხისტარიანი იარაღი, იხმარება სატეხით ამოჭრილის გასასუფთავებლად.

ილახი - ორკაპა ხე (სიგრძე დაახ. 2,50 მ.), რომლის საშუალებითაც დიდი გუთანი მინდორში გაჭქონდათ. ილახის ერთ თავს ფამაფალაჟზე გამოაბამდნენ, ორკაპით კი იგი მიწაზე მოეთრეოდა. ამ ორკაპზე გუთანს დააკრავდნენ და ასე გაჭქონდათ სოფლი-

დანმინდორში. თუ მინდორი ძალზე შორს იყო, მაშინ გუთნის გატანა ურმით იცოდნენ. ლიტ.: გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, 1960.

ილეკრო (ძვ) - ძვირფას ლითონთა ზოგადი სახელი.

ილიკი - ხარაზის ხელსაწყო. ძაფის დასაგრეხი თითისტარი. ატრიალებდნენ თავდაყირა.

ლიტ.: სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

ილიტონი - ოდიკის შესახვევი აბრეშუმის ან სელის ოთხკუთხა ქსოვილი, „შესახვეველი“. სიმბოლოა, როგორც ახალშობილ მაცხოვრის სახვევებისა, ასევე გულისხმობს იმ სინდონს, ანუ არმენაკს, რომლითაც შეგრაგნეს ჯვრიდან გარდმოსხნილი და საფლავად დადებული სხეული ქრისტესი. სვიმეონ სოდუნელის თქმით: „ილიტონი წმინდა ტრაპეზზე არის ქრისტეს სიკვდილისა და აღდგომის ნიშნად“. მოციქულებმა ქრისტეს აღდგომის შემდეგ მის სამოსთან და სახვევებთან ერთად იხილეს სუდარაც, რომელიც განსაკუთრებულად იყო დახვეული. ზუსტად ასევე, იხვევა ილიტონიც და მასზე მაცხოვრის ნაცვლად დასვენებულია სახარება.

ლიტ.: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2005- 2004. Архиепископ Вениамин, Новая Скрижал, М. 1999.

იმერული კავი - დაბალი კავი, სახენელი იარაღის სახეობა ქუსლში ჩამჯდარი მხარით. იხმარებოდა ფერდობ ადგილთა სახნავად.

ლიტ.: ქელ, 2009.

იმერული ჩოხა - გრძელი იკერე-ბოდა, სახელო და სისრულე ზომიერი ჰქონდა; ყველანაირი ფერის იყო, კერავდნენ ქართული შალისაგან. ტანზე შემოკვართული, საქილეებითა და ჩიბუხით გაწყობილი სადა ჩოხა, ფეხზე შემოსალტული რბილი ტყავის „აზიაცკები“ და ოვალური ფორმის, თასმით გაწყობილი და ოქრომკერდის ძაფით ნაქარგი ორიგინალური თავსაბურავი, „ფაფანაკი“ - ჩოხა-ახალუხის ეს ტიპი XIX ს-ის ბოლოდან საქართველოში ფართოდ გავრცელდა. ჩოჯა/ჩოხა მატყლის ქსოვილის შალს ნიშნავს თურქულად. ჩოხა ქართულში IX-X ს-დან ჩნდება ქართული მწერლობის ძველ ძეგლებში (მაგ., „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“). ქართველ ბერებს შესამოსელად ჰქონდათ ჩოხა, საბეჭური, კუართი, თავზე კი, კუნკული ჰხურებიათ.

ლიტ.: ც. ბეზარაშვილი, გ. ჯალაბაძე, ქართული ხალხური ტანსაცმელი, 1988:13; ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალ..., III, 1962:49, 99.

ინგლისი - ჭურჭლის ერთგვარი შესამკობელი მასალა. ინგლისი მოვარდისფრო ოქროსფერი მიწაა. იგი „თირზე“ ღრმად არის მიწაში და „პწკრიალებს“. ერთი ფუთი ინგლისი საკმარისია ერთი საპალნე ჭურჭლის „მოსაინგლისებლად“. შრომაში ინგლისს საკარმიდამო ნაკვეთებში თხრიან. კარგად აშრობენ, ახმობენ მზეზე, ნაყავენ ხის როდინებში და ცრიან წმინდა საცერში - „სამტკიცში“. შემდეგ ყრიან თიხის ჭურჭელში ალბობენ და ზელენ ხელით თხლად- „ლაღედ“. წყალს უმატებენ მანამ, სანამ თხელი ფაფის სისქეს არ მიიღებენ.

ლიტ.: ც. კაკაბაძე, შრომული კერამიკა, 1982.

ინდური (იმერ. რაჭ. ლეჩხ. ქართლ.) - საწნახლის წინ გამოშვერილი ღარიანი

პირი, საიდანაც დაწურული ყურძნის ტკბილი (სითხე) გადმოდის.

ინკრუსტაცია - ნაკეთობის დეკორირება სხვადასხვა მასალის ნატეხების ჩასმით. ინკრუსტაცია ფართოდ გამოიყენება ოქრომჭედლობაში. საქართველოში უკვე ადრეანტიკურ ხანაში გვაქვს ინკრუსტირებული ნივთები. ძალიან პოპულარული იყო ტიხრული ინკრუსტაცია ანუ ოქროს ნივთებზე, ოქროსავე ტიხრებით შექმნილ ბუდეებში ფერადი ქვების ნატეხების ან პასტის ნაჭრების ჩასმა.

ლიტ.: ი. გაგომიძე, ქართველი ქალის სამკაული, 1981.

იობი - აბრეშუმის ჭიისა და მებარე-შუმეობის მფარველი ქართული ხალხური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით. აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთა შეხედულებით, აბრეშუმის ჭია იობის მატლი ყოფილა: იობს, თურმე, დაესია მატლი, რომელიც მას სხეულს უღრნიდა. იგი უსიტყვოდ იტანდა განსაცდელს და ყოველთვის, როცა მატლი მისი სხეულიდან გადმოვარდებოდა, აიყვანდა და კვლავ დაისვამდა. გადმოცემის სხვა ვარიანტით, იობს დიდი დოვლათი ჰქონდა და ამიტომაც ადილებდა უფალს. ერთხელ უფალმაც გამოცადა მისი ერთგულება: ჯერ შვილები დაუხოცა, შემდეგ - ცხვრის ფარები და ძროხის ჯოგები და ასე მოკლე დროში მთელი ქონება გამოაცალა. მაგრამ იობი ღვთის მიმართ არაფერს იტყოდა. ჯანმრთელია იობი და ამიტომ წყალობს უფალით, - ახლა ამას გაიძახოდნენ. უფალმა ავად გახადა იობი და მატლი დაუსია. მართალია, მატლი იობს მთელ სხეულს უღრნიდა, მაგრამ იგი ღმერთს მაინც არ წყევლიდა. რაკი უფალმა ასე გამოცადა იობი, შემდეგ გამოაჯანსაღა კიდევ. იობმა იცოდა, რომ შვილების დაბრუნება არ შეიძლებოდა და მხოლოდ ისღა სთხოვა ღმე-

რთს, რომ ეს ჭია მისი საკუთრება ყოფილიყო (კახეთი). კახეთში გავრცელებული გადმოცემის თანახმად, იობს სიკვდილის წინ მატლისთვის უთქვამს: ფურცელი ჭამე ჩემი გულისთვის, მე მერგოს ერთი ცახიო. ამიტომ იცოდნენ ცახის ჩადგმა იობის სახელზე; სწამდათ, თუ იობის სახელზე ცახს ჩადგამდნენ, მოსავალი არ გაფუჭდებოდა. იობის ცახს მეზობელს აძლევდნენ იმ მიზნით, რომ კარგი მოსავალი მოეწია; მიქონდათ ეკლესიაშიც, ან ამოახვევდნენ და პატარა ხაიათს იობის სახელზე შეწირავდნენ; იცოდნენ აგრეთვე გამოუხარშავი თეთრი აბრეშუმის ძაფის ეკლესიისთვის შემოვლება და იობის სახელზე ლოცვა.

დასავლეთ საქართველოში აბრეშუმის ჭიის იობის მატლიდან წარმომავლობის ამბავი შედარებით ბუნდოვნადაა ცნობილი. სამეგრელოში იობს უწოდებენ მუხის დიდ პეპელას, რომელიც, ადგილობრივთა ცნობით, „ყაჭის“ პეპელასავით კვერცხს დებს და შემდეგ მისგან გამოსული ჭია პარკს იძლევა. ოჯახში იობის შემოფრენა „ყაჭის“ კარგი მოსავლის საწინდარი იყო და მას სიხარულით ხვდებოდნენ.

მეგრული ქალები ამდღებაზე იობის სახელობის ლოცვისთვის (ღანჭიმ ხვამა - „ყაჭის ლოცვა“) ხარშავდნენ აბრეშუმის პარკის ფორმის ყველიან კვერცხსა და ჭალებს და იობს შემდეგი სიტყვებით მიმართავდნენ: „იობი პატენი, დიდებუანი, სახელუანი! ჩქიმი ღანჭი ურკებუო ქომიყოფირი, ვალალაში თია ვამიღუა, სიდიდათ ქომოლიმ უოლეში მათარა ქომიციი, პარკი სიშხუათ თიში ევაჯიში მათარა ქომიციი. სქან სახელი ხვამელი!“ (იობი ბატონო, დიდებულო, სახელოვანო! ჩემი ყაჭი დაუკლებლად მიმყოფე, ვალალას ლუკმად ნუ გახდი, სიგრძით მამაკაცის ყლისტოლა გახადე, პარკის სისქე მისი ყვერების ზომა ჰყავი. დაილოცოს შენი სახელი!); ლოცვას ვერ დაესწრებოდნენ

მამაკაცები. მათ მხოლოდ საკმევლის დასაღებად იწვევდნენ. დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში იობის სახელობაზე გამომცხვარ კოკრებს „ყაჭის პარკები“ (გურია), „აბრეშუმი“ || „აბრეშუმის პარკები“ || „აბრეშუმის განატენი“ ერქვა (იმერეთი). დიასახლისი მათ საყაჭეში შეიტანდა, ანთებულ სანთლებს ღვინიან ჭიქაზე დაამაგრებდა, ჭიას წაღმა სამჯერ შემოუვლიდა, კოკრებს სამჯერ წარმა დაატრიალებდა და ასე დაილოცებოდა: „წმ. იობო, შენ გაუმარჯვე ჩემ აბრეშუმს, მიეცი ხვავი და ბარაქა“. კოკრებს ქალებს დაუნაწილებდა და შეაჭმევდა.

ლიტ>: ნ. აბესაძე. მეაბრეშუმეობა საქართველოში. თბ., 1957, გვ. 53-68; ი. ქობალია. ჩემი ავტობიოგრაფია. გვ. 32-33 (ხელნაწერი დაცულია ზუგდიდის ისტორიის მუზეუმის არქივში); Поверья и предания, относящиеся к шелководству в некоторых местностях Закавказья // Кавказ, 1891, № 161.

ირანჭკა (ზ.იმერ). - ჩიტის მახე.

ირიკი (გლ.) - დაკოდილი ვერძი (სამ წლამდე).

ისარი - მშვილდით სასროლი. ისრის შემადგენელი ნაწილებია: ზრო, თბე (ფრთა), კილო და ისრისპირი. სულხან-საბა ასახელებს ცხრა სახის ისარს: საყალნო - ფრთე დაბალი და პირ-წვრილი, რომელსა ყიფჩადნი და თურქნი იქონებენ; სარჩა - ზომიერი ისარი, ფრთე-მობრტყე და პირმობრტყე; ქეიბური - მისგან უგრძესი პირ-დიდი და ფრთე-მაღალი; ქიბორჯი - ისარი სარჩის მსგავსი პირ-განპებული, მომცრო; ბოძალი - ისარი ქეიბურის მსგავსი პირ-დიდი განპებული; ყოდალი - ისარი სარჩის ტოლი სამფრთოსანი, უპირო, წვერ-მრგვალი; ღრჯა - ყოდალისა უგრძესი, წვერ-მწვეტი ჯვარედად ჩხირ-და-

სხმული; სეფქა - ფრთე-მაღალი, გრძელი, გრკალ-შემობმული; გუზი - უფროთო, უპირო ისარი; წინწკიტელა - ყრმათა ისარცუდასა ჰქვია. სამალი - არს ღარი რკინისა სატყორცებელი და ისარი მტკაველზედ მეტი, მის ღარით სასროლი. და ბოლოს აღნიშნავს „სხვანიც რამ ისარნი არიან რომელსამე ბორბალად უწოდებენ და სხვასა სხვასა...“ ქართულ ისტორიულ წყაროებში დასახელებულია ისრის სხვა სახეობებიც, მაგალითად - „უტევანი“ (სწრაფ და შორს გასატყორცნი ისარი), ასევე „წამლიანი ისარი“, „მოწამლული ისარი“, „პირალმასი ისარი“, „ჩალხისა ისარი“ და ა.შ. საქართველოში აღმოჩენილი ყველაზე უძველესი ისრის პირები ზედა პალეოლითის ხანას მიეკუთვნება და ძვლისგანაა დამზადებული, ნეოლით-ენეოლითში ჩნდება კაჟისა და ობსიდიანის, ხოლო მოგვიანებით სპილენძის, ბრინჯაოსა და რკინის ისრისპირები. ამ პერიოდის ისრის ზროები არ არსებობს მათი ორგანული წარმოშობის გამო. ისრის ზროს სიგრძე დამოკიდებული იყო მშვილდის ზომაზე, საშუალოდ იგი 50-75 სმ-მდე მერყეობდა. ისრის პირებს მრავალნაირი ფორმა ჰქონდა - პირგანპეხული, რომბისებური, პირმობრტყო, ფოთლისებური და სხვ. ასეთი მრავალსახეობა მიუთითებს, რომ ისინი სხვადასხვა დანიშნულებისათვის გამოიყენებოდა, ზოგი - ძვირფასბეწვიან ცხოველზე სანადიროდ (რომ ტყავი არ დაზიანებულიყო), ზოგი სათევზაოდ, ზოგი აბჯრის გასახვრეტად, ზოგიც სასწავლოდ და ა.შ. მაგ. ბრტყელპირიანი ისარი რომელსაც სულხანსაბა სარჩას უწოდებს, გამოიყენებოდა თევზაობის დროს, გასროლისას ისრის ბოლო (კილო) მშვილდზე ან საბამზე თოკით იყო გამობმული. ისარი ქეიბური კი იხმარებოდა დიდ ცხოველზე სანადიროდ, რათა მსხვერპლი სისხლისაგან უცებ დაცლილიყო და ა.შ. მრავალფეროვანია ასევე ისრის ზროზე ფრთების განლაგებაც. არსებობდა ორ, სამ და ოთხფრთიანი ისრები

მაგ., ყოდალი - სამფრთიანია. განასხვავებდნენ აგრეთვე დაბალ და მაღალფრთიან ისრებსაც მაგ. სეფქა - ფრთა-მაღალია, საყალნო - ფრთა-დაბალი და ა.შ. ისრის დამზადება ცალკე ტექნოლოგიურ პროცესებს მოითხოვდა, რის გამოც „მე-ისრეობა“ ცალკე ხელობად ჩამოყალიბდა და მას ჯოღობორდი ერქვა

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, 1991; ალ. გვახარია, „კვლავ უტევანის შესახებ“, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, 1991. ელაშვილი ვ. მშვილდოსნობა, 1959 .

ისარი (რაჭ.) - წებრის (იხ.) ნაწილია. სამ მეტრამდე სიგრძის მაგარი მრგვალი ხეა, რომელსაც ორ მესამედზე ამოჭრილი აქვს ხვეული ღარი (ხრახნი). ჩასმულია დიდ ბრტყელ დოლაბისებრ ქვაში (იხ. ფრ., 162).

ისარნა, სატკბილე - ყურძნის და წურვისას ტკბილის მოსაკავებელი ჭურჭელი, საიდანაც შემდეგ ტკბილი გადააქვთ ქვევრებში. თიხის ისარნა არის უყუროცა და ყურიანიც. საკმაოდ სქელკედლიანი ჭურჭელია ხამი კერამიკისგან გაკეთებული. გვხვდება როგორც ბრტყელძირა ასევე კონუსურიც, აქვს ოდნავ დაქანებული კედლები (თუ ისარნა უყუროა), ან ოდნავ გამობერილი მუცელი „გვამი“ (თუ ისარნა ორყურაა). ისარნას პირი ფართო, გადმოკეცილი ფარფლით მთავრდება. ისარნა//თადარი ჩვეულებრივ საწნახელის წინ დგას, საიდანაც ტკბილი ჩამოედინება, იქედან კი ანაწილებენ ჭურებსა და ქვევრებში. აღსანიშნავია, რომ ისარნა სხვა დანიშნულებითაც იხმარება: მაგ., ვენახის შესაწამლი შაბიამნის ხსნარის მოსაკავებლად და დასამზადებლად. ზოგი მეჭურჭლე დიდი ზომის ისარნას მიწის დასალბობადაც იყენებენ. მოჭიქული ჭურჭლის ხელოსნები კი ისარნებში

სხვადასხვა ფერის ჭიქურს ამზადებენ. კახეთში იგი გამოყენებული ყოფილა სხვადასხვა საღებავის ჩასაყენებლად, ხოლო დაბადები ტყავს აწყობენ დასამუშავებლად, იყენებდნენ აგრეთვე საწყაოდაც. ზემო იმერეთში სოფ. თავასაში დამოწმებულია შუა საუკუნეების ქვის დიდი საწნახელი და ქვისავე ისარნა.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა, I კახური, 1949.

ისრიმი - აქ.: მკვახე ყურძნისაგან დამზადებული საწებელი, საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ისრიმის სინონიმებია: „ბჟოქი“, „მკვახე“, „ჟოლოქა“, „შემოუსვლელი“ და სხვა. დასავლეთ საქართველოში მიღებული იყო ისრიმის წვენში ჩაწყობილი შემწვარი წიწილის კერძი. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ისრიმის გამოყენებას საკვებად გამოწვეული იყო ზედმეტად მსხმოიარე ვენახის განტვირთვით.

ლიტ.: ბ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში. 2007.

ისხერტი (რაჭ.) - ხაფანგის ერთ-ერთი ნაწილია. მოთავსებულია ხაფანგის კალოზე და ენის საშუალებით იჭერს ხაფანგს დაგებულ მდგომარეობაში (იხ. საბა, რობაქ., 65; შდრ.: ისხლეტი).

ისხლეტი (ზმ.) - ფოცხვრის საჭერი მახეა (იხ. რობაქ., 55; შდრ. წერ.).

ილა (რაჭ.) - საწინწკარას ფორმის ორკაპი ჯოხი, სიგრძით 80-90 სმ. ამაგრებენ მარხილის (ურმის) წინა და უკანა მხარეს ღვლურჭებით. ხმარობენ თივის, ძნის და მისთ. ჭაპანის (იხ. ჭაპანი) გასაკოჭად. ილეები გოუკეთე მარხილს და გაამზადე სათივედ (იხ. ბერ., ქეგლ).

იჩლუდი (აჭარ.) - ქალის გარეთა სამოსელი. მასალად გამოიყენებოდა ზოლიანი ან სადა ფარჩა. მისი მოხმარება სეზონური იყო. იგი მოკლე და წელს მწვდომი სამოსელია, წინ ჩახსნილი, მთლიანი ზურგით. აქვს საყელო და მხრებთან მიდგმული სახელოები, რომელთა ბოლოები შეხსნილია და ყოშით (იხ.) დასრულებული. ზედატანის ჩახსნილი ნაპირების შესაკვრელად გამოყენებულია ლითონის დილები. დასარჩულებულია ბამბის უბრალო ქსოვილით. შემკულია სირმის გრეხილებით. მასალის ხარისხი და გაფორმების მაღალი დონეც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი შეძლებული ფენის ჩასაცმელი იყო. იჩლუდს სამცხის ზოგიერთი კუთხის გარდა ანალოგი საქართველოში არ ეძებნება. მსგავსებას ავლენს ანატოლიურ „იჩლიკთან“, მაგრამ განსხვავებაც აშკარაა. ეს, პირველ რიგში, სახელოთა ფორმას შეეხება აჭარული იჩლუდის სახელო სამაჯეთი კი არ ბოლოვდება, არამედ „ელორით“ (ყოშით) და შესაბნელებიც გააჩნია.

ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005.

იწორწალი (რაჭ.) - წბერის (იხ.) ნაწილია. ოთხკუთხი მასიური მაგარი ხე ერთი თავით გაყრილია კაცაში (იხ.), ხოლო მის მეორე თავში გაყრილია ისარი, – დირე (შდრ. ქეგლ, ძონ., ქავთ. I, ფრ., 160).

იჯაგაი (თუშ.) - ლუდის ხარშვის დროს სისწვენის მოსაკავებელი მაღალი, ცილინდრისებური ჭურჭელი. როცა სისწვენი მოიხარშება და გაიწურება, ლუდის ქვაბი უნდა გასფუთავდეს ლუდის ხელახალი დუღებისათვის, ამიტომ პირველანადუღარი მასა იჯაგაიში დადგება, ქვაბი გაირეცხება და შემდეგ მთელი სისწვენი იჯაგაიდან გადაისხმება ქვაბში.



კაბ-ი (სვან.) - ქალის კაბა. იგი ორი ნაწილისაგან შედგებოდა: „ჟიბე ტანი“ და „ჩუბე ტანი“ (ზედა და ქვედა ტანი ცალ-ცალკე); წინ ნაოჭი არ ჰქონდა, უკან კი - ძალიან ბევრი. კაბა წინ შედარებით უფრო მოკლე იყო, უკან კი - გრძელი. ქვედა ტანს შესაბნევი გვერდზე ჰქონდა. ზედა ტანი გვერდებში შევიწროებული უნდა ყოფილიყო, წინ ჩაჭრილი და მერე შებნეული „ხელკავ“-ებით, რომლებსაც საგარეოდ ვერცხლისას აკეთებდნენ. უსათუოდ უნდა ჰქონოდა ფართო საყელო და გრძელი სახელოები (ჰვენჯა-რ). ე. წ. „კუდიან კაბას“, რომელიც იმერეთ-ქუთაისის მხრიდან (სადაც სვანები სამუშაოდ დადიოდნენ) იყო შემოსული, ახალგაზრდები იცვამდნენ.

ძველად ყველაფერს ხელით კერავდნენ. სვანეთში ორი სახის კერვა სცოდნიათ: „გვირიშტი“ და „გინდაგ.“ ამ უკანასკნელით კაბას, საცვლებს და მისთანას კერავდნენ.

კაბა - სამამაკაცო. კაბა ძველ საქართველოში მამაკაცის ტანსაცმლის მთავარ ელემენტს წარმოადგენდა. უწინ კაბა გრძელი იყო. ახალუხი ძველებური კაბის მსგავსია, ოღონდ, უფრო მოკლე და გულგახსნილია. კაბის თავისებურება მის შემკულობაში ვლინდებოდა: მხრები, სამ-

კერდე კალთები, საყელო, სახელოთა შუა ნაწილები, მაჯები და კალთები გაფორმებული უნდა ყოფილიყო. საზამთრო და საზაფხულო კაბების სხვადასხვაობა შესაკერი მასალით განსხვავდებოდა.

ლიტ.: მასალები..., 1983:237; ლ. ბოჭორიშვილი, ქართველი ხალხის მატერიალ... 2017:30-31.

კაბაკარდი - ბამბის ჩოხა, სამგლოვიაროდ (საშავოდ) ჩასაცმელი. კარდი (იმერ.) სამგლოვიაროს ნიშნავს. კაბაკარდს საქილევები არ ეკერებოდა.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალ. კულტურ., 1962:49.

კაბალა (გლ.) - ურმის ღერძში გაყრილი რკინის რიკი, ჩალხი (იხ.) რომ არ მოსძვრეს.

კაბა ყოშებიანი - მამაკაცისა და ქალის ჩასაცმელი, ნაოჭასხმული კაბა ღია სახელოებით, რომლებიც ფარავენ ხელის მტევნებს.

ლიტ.: ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, 1997.

კაბდო - 1. მიწის საზომი ერთეული,

მიწის საზომი საშუალებებიდან კაბდო ყველაზე ძველ და ამავე დროს, მერყევ ერთეულად არის მიჩნეული. კახეთის სხვადასხვა კუთხეში კაბდოს ქვეშ სხვადასხვა ზომის ერთეული ივარაუდებოდა. XIX ს-ის მონაცემებით სიდნადის მაზრაში ეს საზომი 12 მტკაველს, მტკაველი კი 24,86 სმ-ს შეადგენდა. აქედან კაბდოს ზომა საშუალოდ 3 მეტრს აღწევდა. ქიზიყში საფარცხი კაბდოს საშუალო ზომა 3 მ იყო, თუმც აქვე დასტურდება მცირე ზომის 1,5 მ-ის კაბდო, რომელიც სახედარით ფარცხვისათვის იყო განკუთვნილი. 3. ფიცარი, რომელსაც ფარცხი აქვს გამობმული ბელტების საფშვნელად და ხნულის გასასწორებლად. 2. ფიცარი, რომელსაც ფარცხი აქვს გამობმული ბელტების საფშვნელად და ხნულის გასასწორებლად. 3. ბზის სახვეტი იარაღი.

ლიტ.: ალ. დლონტი. ქცთს, 1974. გ. ჯაფარიძე, ნარკვევები... 1973.

კაბიჩა - ხის ერთგვარი საწოლი.

კაბისტონი / კაპისტონი / კაბიშტონი (რაჭ.) - რაჭაში გავრცელებული ვაზის ჯიში (იხ. აგრეთვე თეთრკაბისტონი, შავკაბისტონი) (იხ. ძონ., გაჩ., ქართ. დიალექტ., 677, ფრ. 26).

კაბიწი - მარცვლეულის საწყაო ხის ჭურჭელი. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, კაბიწი ერთ კოდს უთანაბრდებოდა. ქართულ მეტროლოგიაში კაბიწი შეცვალა კოდმა. საწყაოს ეს ერთეული საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული. აჭარაში ძირითადად რძის პროდუქტების შესანახად გამოიყენებოდა. კაბიწული ჭურჭლისთვის საუკეთესო იყო ცაცხვისა და ნაძვის ხის ყავარი. საკაბიწე ყავარს ადუღებულ წყალში ხარშავდნენ, რის შედეგადაც მასალა „დამყოლი“ ხდებოდა, რაც ფორმის მიცემისთვის აუცილებელი

იყო და ამავე დროს, კარგავდა სიმწარეს და აცლიდა ფისს. ოსტატი ცხელ მასალას თავის ნებაზე მოღუნავდა და ყავრის თავებს მაშებით შეკრავდა. ჭურჭლის თავებს სადგისით დახვრეტდა და ნაძვის ფესვისგან დამზადებული თასმით გაკერავდა, ჩაუდგამდა ძირს და ნაძვისავე ფისით გამოგლესავდა. კარგი ნახელავი ჭურჭელი სითხეს არ გაატარებდა და გამზადებული იყო სახმარად. ასეთი წესით მზადდებოდა კაბიწული ჭურჭლის ტიპები, როგორცაა: საწველელა, გვარდა, კოთხო, სანაღბე, სამატყლე, საწვრიმალა და სხვა. ემპირიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ასეთი ტიპის ხის ჭურჭელი საუკეთესოდ ინახავს პროდუქტს, არა მარტო ადგილზე, არამედ ტრანსპორტირების დროსაც. აჭარლები იმდენად დახელოვნებული იყვნენ კაბიწული ჭურჭლის კეთებაში, რომ მათ შეკვეთები მოსდიოდათ მეგრული მეჯოგეებისგან. მათი ნახელავი საკმაოდ წარმატებულად იყიდებოდა არა მარტო აჭარასა და გურიაში, არამედ ახალქალაქისა და ახალციხის ბაზრობებზე.

ლიტ.: ალ. დავითაძე, კაბიწული, „ძეგლის მეგობარი“, 159, 1982.

კაბურა - კაბის ზემოდან ჩასაცმელი ქალის სამოსი ხევსურეთში. წინ გახსნილია, ბეჭებსა და წელში გამოყვანილი.

ლიტ.: ქელ, 2009.

კავი - პრიმიტიული სახვნელი იარაღი, ძირითადად გავრცელებული იყო მთიან რეგიონებში. შედგება მხარის, კბილას, ერქვნისა და სახნისისაგან. კავის ვარიანტებია ჩუთკავი და კავწერა, რომელიც გამოიყენებოდა ნიადაგის გასაწერად, რათა შემდგომ გუთანს უფრო გაიოლებოდა ხვნა.

კავი იმერული - მარტივი სახვნელი იარაღი. შედგება: მხრის, ერქვანის, ქუს-

ლ-კბილასა და სახნისისაგან. ბარში გავრცელებული კავი ზომით ბევრად ჩამოუვარდებოდა იმერეთის მთის სოფლებში გამოყენებულ კავს. ამის მიზეზი ის იყო, რომ იმერეთის მთისა და ზეგანის მშრალი ნიადაგები შედარებით მძიმე დასამუშავებელი იყო, ვიდრე ბარის ნესტიანი მიწები. ამდენად, იმერეთის მთისა და ზეგანის სოფლებში უფრო მძიმე სახვნელებს იყენებდნენ, ვიდრე ბარში. კავით მუშაობას ორი კაცი სჭირდებოდა: „მეხრე“, რომელიც „კავს ეკიდა“ და „წინძლოლი“, რომელიც ხარებს უძღვებოდა. იმერული კავის სახესხვაობას წარმოადგენს გურიასა და ლეჩხუმში გავრცელებული, ასევე „კავის“ სახელწოდებით ცნობილი, სახვნელი იარაღი. ეს იარაღები ერთიანდება სახვნელის კოლხურ ტიპში. იგი ხასიათდება 900-ით მოხრილი მხრით, რომელიც ჩადგმულია ქუსლში და არ გააჩნია საკვეთელი. კოლხური სახვნელების ერთ-ერთ ფორმად მიჩნეულია მოხური სახვნელის ტიპი, რომელსაც, თავის მხრივ, ანალოგები მოეძებნება შუმერისა და ბაბილონის ძვ. წ. აღ. IV ათასწლეულის სამიწათმოქმედო კულტურაში.

კავწერა, საწერა (ხევს.) - მარტივი სახვნელი (მიწის გასაწერი იარაღი). ამ იარაღის საშუალებით ხდებოდა ყამირებისა და ბორტვების (დიდი ხნის დაუმუშავებელი მიწა) გაწერა. კავწერით მიწის დაწერადაკვალვის შემდეგ იმავე კვალზე მეორე სახვნელ იარაღს - ხევსურულ „სახვნელს“ გადაატარებდნენ. „დაწერილი“ ბორტვი ადვილი სახნავი იყო. როგორც კავწერას, ისე სახვნელის მოძრაობა დაბლობიდან მაღლა გარდმგარდმო სვლით წარიმართებოდა. ორი სხვადასხვა სახვნელით მუშაობა ხვნის ეფექტურობას განაპირობებდა. კავწერის გამოყენება მისადაგებული იყო მთის ზოლის მეურნეობასთან და მის ბუნებრივ პირობებთან (ხრიოკი ნიადაგი, მთაგო-

რიანი რელიეფი). როგორც ვარაუდობენ, ეს დამხმარე ფუნქცია შედარებით გვიან უნდა შემუშავებულიყო, მისი თავდაპირველი დანიშნულება კი ხვნა უნდა ყოფილიყო. ხევსურული კავწერას ტიპის მარტივი სახვნელი საქართველოს სხვა კუთხეშიც ყოფილა გავრცელებული, კერძოდ, თუშეთში (იხ. საკვეთელი), სვანეთში (იხ. ლაღრავ), სამეგრელოში (იხ. ჯაში ოხონალი, ოღარაი). ანალოგიური სახვნელების არსებობა დასტურდება ვეროპის ქვეყნებშიც - ვლახეთში, დასავლეთ გერმანიაში და შვედეთში. იქაც ამ იარაღის ფუნქცია მიწის გაწერა იყო. ხევსურული კავწერა სხვა მისი ანალოგიური სახვნელებისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი აგებულებით ყველაზე მარტივი იყო და დიდი ზომის წერაქვს წააგავდა. იგი ხელით სამუშაო იარაღიდან სახვნელისაკენ გარდამავალი იარაღის ერთ-ერთ ფორმად არის მიჩნეული. ლიტ.: Г. С. Читаия, Земледельческие системы и пахотные орудия Грузии. Вопросы этнографии Кавказа, 1954. გ. ჯალაბაძე, მამინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 1986.

კათხა - 1. თუშეთში არყის ხის ქერქისგან დამზადებული ჭურჭლის სახელია, რომელშიც მეცხვარეები ხაჭოსა და მარილს ინახავდნენ; 2. ქალის თავსაბურავის ნაწილი, ჩიხტის სახესხვაობა. მასალად გამოიყენება მუყაო და ქსოვილი როგორც უბრალო, ისე კარგი ხარისხისა. მას ატარებდნენ მხოლოდ გათხოვილი ქალები; 3. ფეხიან ხის სასმისი. ცნობილია, რომ ქართველ ტომებში დიდი ყურადღება ექცეოდა რიტუალურ სმასა და სარიტუალო სასმისებს, რის გარეშეც არც ერთი საზოგადოებრივი ნადიმი თუ სარიტუალო ქმედება არ სრულდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში რომლის ყოფის ორგანული ნაწილია ლუდის კულტურა, სასმისთა ისეთი ნაი-

რგვარი ტიპები წარმოიშვა როგორცაა: კათხა, კომი, ტარკომა, კონჩხა, თასი, მოდიმოდმართა, სამთვალა, ბარძიმი, სირჩა და სხვა. კათხა ფართოდ იყო გავრცელებული მთელ საქართველოში. ეთნოგრაფიულ ყოფაში მისი ნაირგვარი ვარიაციები დასტურდება. ზოგ კათხაში 5-ნლიტრი სასმელი ჩადიოდა, ზოგი კი მხოლოდ ერთ ღვინის ჭიქას ეტეოდა.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

კათხ-ტაბაგ-ი - მიცვალებულის კულთან დაკავშირებული სვანური წესი - მკვდრის მოსახსენებელი ხარჯი. კათხ-ტაბაგ-ს ზოგ სოფელში (კალაში, იფარში და უშგულში) ოჯახის კეთილდღეობისათვის და ავადმყოფის სახელზე იხდიდნენ.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 71, 74-76, 106.

კაი პარასკევი - იხ. „ღორის სალოცვილი“.

კაიმა (ბეჩ.) / **კაიმა თარგლეზერ-ი** (ლახ., ჩუბ.) || **კაიმა თარინგზელ-ი** (ლატ.) – „კაიმას მთავარანგელოზი“ - ზვავის, მიწისძვრისა და მეწყრის გამომწვევი წმინდანი სვანური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით; ითვლებოდა ძალზე ძლიერ და საშიშ ღვთაებად, რომლის სახელობაზე სვანეთის ცალკეულ სოფლებში დღეობას იხდიდნენ, ან მას საგანგებო ღოცვას უძღვნიდნენ, ან ღვთაებათა სადილებელში აუცილებლად მოიხსენიებდნენ (იხ. „კაიშობ-ი“).

კაიშობა - ზვავების საწინააღმდეგო სვანური სასოფლო-საღასკარო დღეობა, რომელსაც ბეჩოში, სოფ. უშხვანარის

მკვიდრნი 31 დეკემბერს ასრულებდნენ. საამოსოდ, ლასკარ-ში (იხ.) შემავალი ყველა ოჯახიდან მორიგე მოსახლის (ხერასუ-ი) მიერ აკრეფილი ქერით ხდიდნენ არაყს. კაიშობა დღეს ხერასუს სახლში სადილისათვის ყოველი კომლიდან თითო კაცი მიდიოდა და თან მიჰქონდა ერთი დიდი ზომის სამარხვო პური - კუახ ლესკარ-ი, სამი ცალი ლემზირ-ი (კვერი) და აფუებული კვერი, ე. წ. „სეფსკერი“ (სეფისკვერი). როცა ყველა მოიყრიდა თავს, სოფლის უხუცესი კაიმა-ს სახელზე დაილოცებოდა და მას ზვავისაგან სოფლის დაცვას შეთხოვდა. ღოცვის დასრულებისას იქ მყოფნი ერთად შესძახებდნენ „ა-ა-მ-ე-ე-ნ“ და სუფრას მიუსხდებოდნენ. სუფრაზე პირველ სადღეგრძელოდ შესვამდნენ ე. წ. ლახუამიალ-ს (იხ.), რომელსაც სარუაშ-ი (იხ.) და საყან-ი (იხ.) მოსდევდა.

ლატალის თემში შემავალი სოფ. თენამის მცხოვრებნი შობა-ახალწლის ორთაშუობის პარასკევს თუ კაიმა თარინგზელის სალოცავში წასვლას ვერ მოახერხებდნენ, მას სახლში მაინც შესწირავდნენ ლემზირებს (კვერებს) და ილოცებდნენ: „კაიმა მთავარანგელოზო, ნაშენებს და ცა-მიწას შენი შესაკრავი შემოაკარი“. ლახამულელები და ჩუბიხევლები კაიმა თარგლეზერ-ს სთხოვდნენ, ყანებისა და სათიბებისათვის ზიანი არ მიეყენებინა.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 60, 68, 88-89, 176.

კაკაბი - გუთნის ნაწილი, რომელიც მანჭუას ქუსლში ამარგებს.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

კაკანათი - ჩიტების დასაჭერი ხაფანგი.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

კაკანი / კაკანა (ფშ., მოხ., ქართლ.) / **კაკანაი** (აჭარ.) – 1. აკვანი ბავშვთა ენაზე; 2. ბატკანი.

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984; გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი. თბ., 2000.

კაკვი (ლექს.) – 1. ვაზის გადაწვევის დროს მიწაში გადაწვენილ ლერწს ჯერ ასეთი კაკვით, პატარა ჯოხით ამაგრებენ და მერე მიწას მიაყრიან; 2. სახურავის ქვეშ დადებული გრძელი ხე.

ლიტ.: მიხ. ჩიქოვანი. ლექსუმური ლექსიკონი // ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები. I. თბ., 1941, გვ. 231-259; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

კაკლიანი / კაკლუანი (რაჭ.) - ნამცხვარი, რომელშიც დანაყილი კაკალია (ხახვთან ერთად) ჩართული. კაკალს დანაყავენ ძალიან წმინდად, დაუმატებენ წვრილად დაჭრილ ხახვს, მარილს უზამენ და კარგად აზელენ. ჩაურთავენ პურის ცომში და გამოაცხობენ.

კაკუტი (რაჭ.) - 1. წითელი გვირილა (ყვავილოვანი ბალახი) (იხ. მაყ.). 2. ქვ. იგივეა, რაც მარწხნი.

კაკუჭა (რაჭ.) - იხ. კოკოშა.

კალათი - სამეურნეო მოწნული ჭურჭელი, პირგაშლილი, ყურიანი, სხვადასხვა ფორმის, ძირითადად ოთხკუთხა ძირით. გამოიყენებდნენ აგრეთვე ზურგის კალათასაც, რომელსაც სამხრეები ჰქონდა მობმული. გავრცელებული იყო მთელ საქართველოში. კალათი გამოიყენებოდა სხვადასხვა სანოვაგისა და წვრილმანი ნივთების ცასალაგებლად.

კალანდობა - ახალწლის წინადღე რაჭა-ლეჩხუმში. დილაადრიან იკვლებოდა საკალანდო ღორი, რომლის ბარკაღსა და უწუმარს საღამოს მოხარმავდნენ, მოჭრილ თავს კი ნათლისღებისთვის შეინახავდნენ; დაამზადებდნენ ჩიჩილაკს (იხ.), გვერგვსა (იხ.) და ე. წ. სამკვლოვიაროს (იხ.), რომელსაც ოჯახის უფროსი, ღვინით სავსე დოქთან ერთად, ბელელში მოათავსებდა. გარდა აღნიშნულისა, დიასახლისი საახალწლო ხაჭაპურებსა და ნამცხვრებს (ლობიანს, ცერცვიანს დასხვ.) დააცხობდა.

ლიტ.: მ. ალავიძე. ლექსუმური ზეპირსიტყვიერება. თბ., 1951, გვ. 127

კალანჩხა (ქართლ., კახ., იმერ., ლექს.)- პატარა კალათა, ყანაში საჭმლის ან ხილის წასადებად.

კალაპოტი - ყალიბი, რის საშუალებითაც სხვადასხვა ფეხის ზომიანისა-ზღვრებოდა. ძველად კალაპოტის მაგივრობას ასრულებდა დაფხვნილი მიწა, გაცრილი ნაცარი. ხარაზი ნაცარზე მუშტარს ფეხს ადგმევინებდა, ნაცარზე აღბეჭდილი ფეხის ანაბეჭდს თოკით ზომავდნენ. ამ წესის შემდეგ ქალაღლის თარგები შემოუღიათ, ბოლოს კი ხის კალაპოტები. სახარაზო სახელოსნოში ბევრი კალაპოტი იყო სხვადასხვა ზომის ფეხის სიდიდის გამოსახატავად, ფეხის ზომისთვის ზოგან გეომეტრიული ნიშნები

იყო გამოყენებული, ზოგან კი ტერმინები. ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

კალატოზი - ქვიტკირის მაშენებელი. ქვითხუროს იდენტური პროფესიაა. უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში კალატოზების და კალატოზთუხუცესების დეფინიციით გამორკვეულია ამ დარგის შინაგანი სტრუქტურა და ხელობის აქტიური ხასიათი - (იხ. ქვითხურობა). გვიან პერიოდში კალატოზმა მიიღო სახლის მაშენებლის მნიშვნელობა, რომლის მოვალეობაში შედიოდა კირის, მიწის ან ცემენტის ხსნარით ქვის სახლის აშენება. ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

კალაფატნი - ნავის მოქმედნი, ნავის მკეთებელნი (საბა).

კალდიმი - ხმლის ერთ-ერთი სახეობა. ხმალი კალდიმი დიდი პოპულარობით სარგებლობდა კავკასიაში, კერძოდ, საქართველოსა და ჩეჩნეთში. საბას განმარტებით „ესე ხრმალნიცა მრავალგვარნი არიან სხვადასხვა თემთა ქმნილთაებრ და რომელიცა ხრმალი ძველი, გრძელი, განხრილი, მზეველი და სრულია, გლუვი იყოს თუ გამოფერდილი, ანუ ღაროსანი, გორდა თუ კალდიმი, - ამას ქართველი ყვარობენ.“ ქართველების საყვარელი ხმლის „კალდიმის“ დამღას წარმოადგენს ჯვარის ფორმა, რომელიც სფეროზეა გამოსახული, ხმლის მეორე მხარეს უმეტეს შემთხვევაში მგელის დამღაც გვხვდება. კალდიმი სწორი, ან ოდნავ გახრილი, ცალღესული და ცალღარიანი ხმალია, ღარი პირს ვადადან 20-30 სმ სიგრძემდე დაუყვება, პირის სიგრძე 80-83 სმ-ია. კალდიმის პირებზე დაგებულია რო-

გორც ვადაჯვრიანი, ისე ე.წ. „შაშკას“ უვადაჯვრო ტარები.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

კალათი - სამეურნეო საქმიანობაში სანიადაგო, მოწნული ჭურჭელი. პირგამლილი, ყურიანი, სხვადასხვა ფორმის, ძირითადად ოთხკუთხა ძირით. გამოიყენებდნენ აგრეთვე ზურგის კალათასაც რომელსაც სამხრეები ჰქონდა მობმული. გავრცელებული იყო მთელ საქართველოში. კალათი გამოიყენებოდა სხვადასხვა საწოვარისა და წვრილმანი ნივთების ცასალაგებლად.

კალაპოტი - იგივე ყალიბი, რის საშუალებითაც სხვადასხვა ფეხის ზომიანი საზღვრებოდა. ძველად კალაპოტის მაგივრობას ასრულებდა დაფხვნილი მიწა, გაცრილი ნაცარი. ხარაზი ნაცარზე მუშტარს ფეხს ადგმევინებდა, ნაცარზე აღბეჭდილი ფეხის ანაბეჭდს თოკით ზომავდნენ. ამ წესის შემდეგ ქალაქის თარგები შემოულიათ, ბოლოს კი ხის კალაპოტები. სახარაზო სახელოსნოში ბევრი კალაპოტი იყო სხვადასხვა ზომის ფეხის სიდიდის გამოსახატავად, ფეხის ზომისთვის ზოგან გეომეტრიული ნიშნები იყო გამოყენებული, ზოგან კი ტერმინები. ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

კალაპოტი (რაჭ.) - ოთხკუთხედი ნაჭერი საპნის, თავსაბანი მიწის. ერთი კალაპოტი საპონი. სამი კალაპოტი თავსაბანი მიწა. (იხ. ჩიქოვ.).

კალატოზი - ქვიტკირის მაშენებელი. ქვითხუროს იდენტური პროფესიაა. უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში კალატოზების და კალატოზთუხუცესების დეფინიციით გამორკვეულია ამ დარგის

შინაგანი სტრუქტურა და ხელობის აქტიური ხასიათი - (იხ. ქვითხურობა). გვიან პერიოდში კალატოზმა მიიღო სახლის მამულებლის მნიშვნელობა, რომლის მოვალეობაში შედიოდა კირის, მიწის ან ცემენტის ხსნარით ქვის სახლის ამენება.

კალაფატნი (*ძვ.*) - ნავის მოქმედნი, ნავის მკეთებელნი (საბა).

კალდიმი - ხმლის ერთ-ერთი სახეობა. ხმალი კალდიმი დიდი პოპულარობით სარგებლობდა კავკასიაში, კერძოდ, საქართველოსა და ჩეჩნეთში. საბას განმარტებით „ესე ხრმალნიცა მრავალგვარნი არიან სხვადასხვა თემთა ქმნილთაებრ და რომელიცა ხრმალი ძველი, გრძელი, განხრილი, მზეველი და სრულია, გლუვი იყოს თუ გამოფერდილი, ანუ ღაროსანი, გორდა თუ კალდიმი, - ამას ქართველი ყვარობენ.“ ქართველების საყვარელი ხმლის „კალდიმის“ დამდას წარმოადგენს ჯვარის ფორმა, რომელიც სფეროზეა გამოსახული, ხმლის მეორე მხარეს უმეტეს შემთხვევაში მგელის დამდაც გვხვდება. კალდიმი სწორი, ან ოდნავ განხრილი, ცალელესული და ცალღარიანი ხმალია, ღარი პირს ვადადან 20-30 სმ სიგრძემდე დაუყვება, პირის სიგრძე 80-83 სმ.-ია. კალდიმის პირებზე დაგებულია როგორც ვადაჯვრიანი, ასევე ე.წ. „შაშკას“ (იხ.) უვადაჯვრო ტარები.

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. II, 1993. Аствацатурян, оружие народов кавказа, Санкт-Петербург, 2004. მ. ქაფიანიძე, ქართული ხმლების ტიპოლოგიისათვის. სემმ ტ. I, 46ბ, 2010.

კალო - პურეულის სალენი ადგილი, რომელიც გამართული იყო სწორ ადგილას, წრიული ფორმით, იყო როგორც ღია, ასევე დახურული კალოები. (საქ.

მთა, ხევს.), კალოსათვის იყენებდნენ მიწური სახლის ბანსაც. ხორბლეულს ლეწავდნენ კევრით, ქვის დაკბილული მორგვებით (ჭარჭარა) ან შინაური საქონლის გადატარებით. კევრში აბამდნენ ხარებს, კამეჩებს, ცხენს. კალოს ზედაპირი იფარებოდა პურეულით, რომელზედაც წრიულად დაჰყავდათ კევრი. ლეწვის დროს ძნებს (იხ.) ხშირად აბრუნებდნენ ნიჩბით, რათა მარცვალი გაყროდა გალენილ მასას. დაგროვილ ხვავს ანიავებდნენ არნადით (იხ.), გალენილ ხორბალს ჯერ ცხავში ატარებდნენ და მერე ცხრილში, სარეველებისაგან რომ გაეთავისუფლებინათ. მარცვალი გადაჰქონდათ შესანახად სახლში და აბინავებდნენ ბელლებსა და ხაროებში (იხ). ხევსურები დახურულ კალოში ზამთარშიაც ეწეოდნენ პურეულის გალენვას. კალო მიჩნეული იყო წმინდა ადგილად და გარკვეული ადგილი ეჭირა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, აღმ. საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, 1960.

კალო (რაჭ.) - რკინის ხაფანგის ნაწილია, მისი საფუძველი. წარმოადგენს ბრტყელ რკალს, რაზეც დამაგრებულია ორი გადასახსნელი გამირი, რომლებიც ხაფანგის დაგებულ მდგომარეობაში კალოს ემთხვევა (იხ. რობაქ.).

კალოს განატეხი - აგრარული ხასიათის ქართლურ წეს-ჩვეულებასთან დაკავშირებული რიტუალური პური: კალოობის დაწყებისას კალოზე მახვილს ჩააგდებდნენ, კევრზე გამომცხვარ პურს დადებდნენ და კალოს სამჯერ შემოუვლიდნენ; შემდეგ პურს მეკალოეებს შორის გაანაწილებდნენ და სათანადო ლოცვის წარმოთქმისთანავე შეჭამდნენ. კალოობის დასასრულს კი, როგორც წესი, უსათუოდ დაკლავდნენ თეთრ მამალს, მოიტანდნენ

ღვინოს, ქაღებს და მოსავლის დალოცვის შემდეგ შეჭამდნენ.

ლიტ.: ნ. მაჩაბელი. მინდვრის სამუშაოებთან დაკავშირებული რიტუალური კვრები // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXI. თბ., 1981, გვ. 162.

კალოს მოპიტვლა (რაჭ.) - კალოს მომზადება, კალოს მოქნა საღებად. საქონლის ახალ ნევს და ნაცარს ერთმანეთში აურევენ და გახსნიან წყალში, მოასხამენ მოსწორებულ კალოზე. ცოცხით ასწორებენ. გაშრობის შემდეგ გლუვი ზედაპირი გამოვა და მტვერი და მიწა არ შეერევა ნალექს.

კალოს მოქნა (რაჭ.) - იგივეა, რაც კალოს მოპიტვლა.

კალოს სხალი (რაჭ.) - საზაფხულო მსხლის ჯიშია. ძლიერ ტკბილი გემოსია. კალოობის დროს შემოდის. (იხ. ბრეგ., 71).

კალოს ქორწილი - კალოსა და ნალექს ვავს ავი თვალი რომ არ სცემოდა, ლეწვის მონაწილე აიღებდა რკინის ნაჭერს და ქვას ურტყამდა. როდესაც მორჩებოდნენ კალოობას, იცოდნენ მცირე ლხინის გადახდა ანუ „კალოს ქორწილი“ (მესხეთ-ჯავახეთი), „კალოკრეფიანობა“ (ქართლი), „კალოს დალოცვა“ (იმერეთი), „ლიკლაური“ (სვანეთი). კალო ძველთაგანვე წმინდა ადგილად მიაჩნდათ, კალოზე დატოვებულ ნივთს ხელს არავინ ახლებდა.

კალო ხატისა (ხევს.) - კალო, სადაც სახატე მამულებში მოწეული მოსავალი გაილეწებოდა. ეს იყო კარგად მოსწორებული და დატკეპნილი ადგილი, თუ საჭიროება მოითხოვდა, გვერდები ქვებით ჰქონდა გამაგრებული, კალოსთა-

ვზე ძნები ეწყობოდა და მას საძნოვარი ეწოდებოდა. 20-25 ძნიდან ერთი კალო გაილეწებოდა, ხოლო დღეში 3 კალო. საკულტოდ გაღებულ ქერს ხევსურეთში „ქერ-ოქროს“ უწოდებდნენ. კალოს ძირითადად დასტურები ლეწავდნენ და კალოობის დამთავრების შემდეგ ლუდით კალოზევე ხატონისა და ხატის სადილებლებს წარმოსთქვამდნენ.

კალო - წნული რგოლი, რომელიც მაგრდება ჩიჩილაკის წვერზე.

კალტი - შრატის წამოდულებით მიღებული ხაჭო, რომელსაც ამარილებდნენ და ინახავდნენ კოდში ან ქილაში. გავრცელებული იყო ფშავში.

ლიტ.: ქელ, 2009.

კამარა - სამხედრო დანიშნულების კოლხური ნავი დაახლ. 15 მეტრის სიგრძისა, სადაც ეტოდა ოცდაათამდე ადამიანი და სამეკობრეოდ მოხერხებული იყო. რომაელმა ისტორიკოსმა ტაციტუსმა ეს ნავები აღწერა კოლხეთში ანიკეტის აჯანყებასთან დაკავშირებით. კამარას საჭიროების შემთხვევაში ფიცრების შემოკვრით თაღისებური ფორმა ეძლეოდა, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს მის სახელი (კამარა//თაღი), კამარა საუკეთესი სამანევრო თვისებებით გამოირჩეოდა.

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი, ნაოსნობა..., 1987.

კამარაი (“თაღი”) - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული სვანური სიმბოლო - ხის პატარა ბოძის ზედა ნაწილზე ვერტიკალურად დამაგრებული რკალი-სებურად მოღუნული მცენარის ტოტები, რომელზედაც ჩამოკიდებულია სხვადასხვა ხილი, მათ შორის კამარაის აუცილებელი ატრიბუტი - ყურძენი, აგრეთვე,

ნაირფრად შეღებილი კვერცხები, ყველისგან დამზადებული მზის, მთვარისა და ფრინველთა ფიგურები, ყველისავე წნულები, პურის თაველები და სხვ. ასე მორთულ კამარაის დგამენ მიცვალებულის წლისთავისადმი მიძღვნილ სუფრაზე (წარსულში კამარაის დამზადება საადღგომო სუფრისთვისაც იცოდნენ). კურთხევის შემდეგ, კამარაის მორთულობას ქალები სუფრაზე ჩამოარიგებდნენ, ხოლო მის ხის კარკასს წვავდნენ.

სვანური კამარაი წარმოადგენს მსოფლიო ხის ნაირსახეობას, რომელიც პარალელს პოულობს სიცოცხლისა და სიუხვის ხის, როგორც საკუთრივ სვანური, ისე, ზოგადად, ქართული სიმბოლოების სახით.

ლიტ.: ჯ. ონიანი. კამარაი // ძეგლის მეგობარი. № 55. თბ., 1980, გვ. 31-34.

კანაფი - მცენარე, რომლისგანაც ამზადებენ საკვებ ზეთს და ასევე გამოიყენებდნენ როგორც საბოჭკოე კულტურას. (წნავდნენ თოკებს, ესოვდნენ ტილოს და ა.შ.), საქართველოში ბევრგან იყო გავრცელებული, განსაკუთრებით სვანეთში. ქართველები მოხალული კანაფის მარცვალს როდინებში// ქვიჯაში ნაყავდნენ, საცერში ატარებდნენ და მიღებულ მასას ხელით ზელდნენ ან ტომარაში ჭყლეტდნენ. საგულისხმოა, რომ კანაფის თესლს საკულტო მნიშვნელობაც ჰქონდა. კანაფისგულიანი ქალები სარიტუალო დღეებში ტრადიციულ საკვებად ითვლებოდა, ასეთ პურებს განეკუთვნებოდა სვანეთში „გიმბმარ ლუკვენე“ და „ღიმიმბამ ქუთ“. კანაფი ფართოდ მოიხმარებოდა ხალხურ მედიცინაშიც.

ლიტ.: გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში.

2007. ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, 1976.

კანდელი - სანათი, ლამპარი, საკიდარი ბაზმა (საბა). ქრისტიანულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში მსახურების ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი. ეკლესიაში კედელზე, ხატთან ჩამოკიდებული სანათი, ლამპარი, ჩვეულებრივ მინისა. ჩასმული ლითონის ბუდეში, რომელიც დაფანჯრულია და ჯვრით ბოლოვდება. კანდელში ასხია ზეთი და ლითონის უღელში ჩამაგრებული ბამბის ძაფის პატრუქი ანთია. ღმრთის მსახურებისას ანთებენ ტაძრის ყველა კანდელს, კანკელის ხატებთან აუცილებელია თითო კანდელი. ტრაპეზის უკან დგას შვიდსანთელა, ანუ შვიდტოტა (იხ. შვიდსანთელა), რომელიც შვიდი კანდელის ერთობლიობას წარმოადგენს. ძველ აღაპებში მიუთითებდნენ, თუ რომელი ხატის წინ უნდა დანთებულიყო კანდელი სააღაპე პირისთვის და რამდენი ზეთი უნდა დახარჯულიყო საამისოდ. არსებობს დაუშრეტელი კანდელიც, რომელიც განსაკუთრებით დიდი სიწმინდეების წინაშე მუდმივად ანთია. კანდელი სიმბოლოა თვალშეუდგამი საღმრთო ნათელისა, ამიტომ ის კრძალვითა და ლოცვით უნდა აინთოს სანთლიდან. ცნობილია ათონის ივერთა მონასტრის ივერიის ღვთისმშობლის ხატის წინ მდებარე სასწაულთმოქმედი კანდელის შესახებ, რომელიც მონასტრის საძმოს მოახლოებული უბედურების შესახებ აუწყებდა ხოლმე - რაიმე ხილული ზემოქმედების გარეშე თვითონ იწყებდა მოძრაობას ან ტრიალს.

ლიტ.: მართლმადიდებლის მცირე ლექსიკონი, 2002; საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2005.

კანდრი (რაჭ.) - ბაგაზე საქონლის დასაბმელი რკალივით მოხრილი ჯოხი, რომელსაც ორივე თავში აქვს ნაჭდევები. მას ქვემოდან ამოსდებენ კისერზე საქონელს და გადაუბნევენ თოკით (ზემო რაჭაში ზოგა მას საზიდსაც ეძახიან, - კირკალი (იხ. ქველ, ბერ., წერ).

კანჭი (რაჭ.) - ღვინის მოძმარება. (მღრ. ჩიქოვ.: კანჭვა).

კანჯო 1. კაუჭი, ზოგჯერ ჯოხზე წამოცმული, რისი მეშვეობითაც ითრევენ სხვადასხვა ნივთს (მაგ., ზღვაში) ან ზედსამაგრად ხმარობენ.**2.** საზღვაო ტიპის ნავი.

კაპარი / კაპრაში (რაჭ.) - საშუალო სიმაღლის ბუჩქი. მის ფოთლებსა და ნორჩ ყლორტებს ტყავის გამოსაყვანად იყენებენ, - თრიმლი. კაპრაშის ღვლერჭი; კაპრაშის ტკეჩი მჩალტეა და მაგარი. 2. ბუჩქოვანი მცენარე. აქვს ლამაზი თეთრი ყვავილები. მისი კოკრებისა და ყვავილებისაგან ამზადებენ ჯონჯოლის მწნილს, - ჯონჯოლი (იხ. მაყ., ძოწ.).

კაპარი - ხორბლისაგან გამოხდილი მჟავე სასმელი. ხევში მას ქალების სასმელად თვლიდნენ. ქალის ოჯახში, ნიშნობის დამთავრებისა და მძახალთა წასვლის შემდეგ, ნათესავებსა და მეზობელ ქალებს იწვევდნენ. ამ პურობაში მამაკაცები არ მონაწილეობდნენ. კაცები სადღამთილოს მიერ მოტანილ არაყს შეექცეოდნენ. ქალები კი მასპინძლების მიერ დაყენებულ კაპარს სვამდნენ.

ლიტ.: ნ. მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, 1978.

კაპარჭი - „ისართ ქარქაში“ (საბა), ისრების ჩასაწყობი ბუდე, რომელიც მშვილდისრის პატრონს მხარიდღივ ჰქონდა თასმით გადაკიდებული.

კაპიჭი (რაჭ.) - მანუელი (იხ. ქველ, მაყ.).

კაპრაში (რაჭ.) - იხ. კაპარი¹ (მღრ. ქველ).

კაპუნია - გაურკვეველი ფუნქციის მერული ღვთაება, რომლის სახელობაზე წელიწადში ერთხელ ყოველი ოჯახი ღორს კლავდა და ლოცულობდა (იხ.). ი. ქობალიას მიერ ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, უხსოვარ ღროში მეგრელები კაპუნიას მსხვერპლად ადამიანს სწირავდნენ, მოგვიანებით კი იგი ღორით შეუცვლიათ. სხვა გადმოცემა მოგვითხრობს, რომ „მარტვილში, იმ ადგილზე, სადაც ამჟამად ღვთისმშობლის სახელობის ტაძარია, წარსულში წარმართული ღვთაების - კაპუნიას - თუჯის კერპი მდგარა. პირღია ადამიანის მსგავსი კერპი, რომელსაც, თურმე, ქურუმი ცოცხალ ბავშვებს სწირავდა, მუხის (ჭყონის) ხეზე ყოფილა მიბმული. ღვთაება კაპუნიას მაღიდებელ ქურუმს ჭყონდარი (< ჭყონდიდარი - „ჭყონდიდელი“ - ნ. ა.) რქმევია, ისევე როგორც დღეს სამეგრელოში ეპისკოპოსს უწოდებენ... ღვთისმშობლის დავალებით მარტვილში ჩამოსულ ანდრია პირველწოდებულს, სვიმონ ქანანელთან ერთად, კაპუნიას კერპი დაუნგრევია, მუხაც მოუჭრია და მათ ადგილზე ჯვარი აღუმართავს. მოგვიანებით იქ ტაძარი აუგიათ“ (მ. მარუშკო).

ა. ჭანტურიას დ. ჩახაიასგან შემდეგი რამ ჩაუწერია: „კაპუნიას კაპუნია იმიტომ ერქვა, რომ მან სანსვლა („კაპუა, რკაპუა“) იცოდა; დიდი პირი ჰქონდა. ეს იყო სპილენძის კაცი. იდგა სახლის ოღენა უზარმაზარი მოღრეცილი მუხის ქვეშ. ამ მოღრეცილი მუხის ქვეშ უზარმაზარი გველემაპი იჯდა. თუ ის, ვისაც უზარაკი უნდა შეეწირა, ღროზე არ მიუყვანდა (შესაწირს), ეს გველემაპი წამოვიდოდა და მთელ

ოჯახს მთლიანად მუსრს გაავლებდა. ერთხელ ერთმა ქალმა ბავშვი წამოიყვანა - კაპუსთვის უნდა შეეწირა. ამ დიდ მუხასთან რომ მოვიდა, ამოვარდა ქვეყნის დამაქცეველი წვიმა და ქარი. ქალს მისვლა უნდოდა, მაგრამ წვიმამ და ქარმა არ მიუშვეს. ამ დროს გაიელვა, განათდა, მეხი გავარდა. ამ მუხას ცეცხლი გაუჩნდა, საშინელი სუნი გამოსცა. შეხედა ქალმა და ნახა, რომ მეხს მუხა დაეწვა, ნახა, რომ ოკაპუ დაქცეულიყო და ნახევრად მიწაში ჩაფლულიყო“.

ლიტ.: ა. ჭანტურია. ეთნოგრაფიული ჩანაწერები. მეგრული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებანი // თსუ შრომები. ტ. 227. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ., 1982, გვ. 210, 2216; Кобалия И. Из мифической Колхиды // СМОМПК, вып. XXXII, отд. II. Тф., 1903, გვ. 99; Марушко М. Из народной фантазии и быта Тифлисской и Кутаисской губернии // СМОМПК, вып. XVIII, отд. III. Тф., გვ. 376-377.

კაპუნობა - ღვთაება კაპუნისა (იხ.) სახელობის მეგრული ღვთაება; აღინიშნებოდა დიდმარხვამდე ათი დღით ადრე, ბოსლობის შემდგომ ხუთშაბათს. საღვთობოდ სწირავდნენ კარგად ნასუქ ღორს - ოკაპუნეს, რომელსაც ოჯახის უფროსი კერიას შემოატარებდა და შემდეგ ლოცვას ადავლენდა: „კაპუნია დიდებულო, ჩემს ოჯახს წყალობას ნუ მოაკლებ, ბედნიერად გვამყოფე, ყოველ ეშმაკსა და ცბიერს განგვარიდე, გამრავლება და ბარაქა არ მოგვაკლო. დაილოცოს შენი სახელი“ (კაპუნია დიდებული, ჩქიმი ფანიას ჭყოლოფუა ვემიარკა, ირი ალიან-ჩალიან ქიგარაყი, ბედინერო ღუმორინეთ, მიძინით დო ხვე ქომუჩით. დიხვამუ სქან სახელქ). გარდა ღორის ხორცისა, საამდღისო სუფ-

რაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო ყველისგულიანი კვერები. სამსხვერპლო ცხოველის ხორცს მხოლოდ ოჯახის წევრი მამაკაცები მიირთმევდნენ (ქალებს მისი ჭამა არ შეეძლოთ). ოკაპუნეს ხორცი სტუმართა და, საერთოდ, გარეშე პირთა გამასპინძლება მკაცრად იკრძალებოდა. ხორცისა და ძვლის ნარჩენებს გადაყრიდნენ ან ცეცხლში დაწვავდნენ.

ლიტ.: ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 12, გვ. 21-22 (ხელნაწერი ინახება ავტორთან); ა. ჭანტურია. ეთნოგრაფიული ჩანაწერები. მეგრული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებანი // თსუ შრომები. ტ. 227. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ., 1982, გვ. 210, 216; Кобалия И. Из мифической Колхиды // СМОМПК, вып. XXXII, отд. II. Тф., 1903, გვ. 99.

კარადა კედლისა, წალო (ზ. იმერ. ქართლ. შიდ.კახ.) - კედელში ჩამაგრებული ხის დიდი კარადა. ინახავდნენ ლოგინებს. იხმარებოდა სხვა დანიშნულებითაც, ზოგჯერ ჭურჭლის კარადასაც ენაცვლებოდა.

ლ. ბ.

კარადა, კართანულა - (თუმ.) - ავეჯის სახეობა. თავდაპირველად კარადა კილობნის ნაწილს შეადგენდა და მასთან შეთავსებით იყო. კილობანთან გაერთიანებულ კარადას ორი კარი ჰქონდა, ორივე ერთ ვერტიკალზე იყო აბმული. კილობანთან შეთავსებული კარადა, რომელიც ჯამ-ჭურჭლისშესანახს წარმოადგენდა, დროთა ვითარებაში გამოეყო მას და ყოფაში დამკვიდრდა კართანულას სახელწოდებით.

ლ. ბ.

კარადა-ვარცლი (მთ.-გუდამაყ.), ლაშად (ზ. სვ.), კორთა (ქვ. სვ.) - კომბინირებული სათავსი, იდგა საცხოვრებელში - „შინაში“, კეთების პროცესი იწყებოდა ღირებულების გამოთვლით. ჩარჩო იკვებოდა შვერილის ბუდეში ჩასმის წესით. მაგრდებოდა ხის სამსჭვალეებით („ფარეში“, „წვირი“). კარადა - ორი ნაწილისაგან შედგებოდა: ზედა -კარიანი გამოიყენებოდა ჭურჭლისა და საჭმლის შესანახად, ქვედა-ვარცლის დასადებად.

კარავი - უძველესი საცხოვრისი, რომელიც გავრცელებული იყო და ბოლო დრომდე შემორჩა მეჯოგე-მომთაბარე ხალხებში. კარვის ტიპი, მაღალი ხარისხი და ესთეტიკური სახე განპირობებული იყო მისი მომხმარებლის სოციალური სტატუსით. კარვის მშენებლობაში გამოყენებული იყო ხის მასალა (ჯოხი, ძელი, ლატანი), ლერწამი, თოკი, ტყავი, ქეჩა, შინნაქსოვი შალი, აბრეშუმი, მაუდი, ტილო და სხვ. შუა აზიის მომთაბარე ხალხებმა შექმნეს არა მხოლოდ საცხოვრებელი, არამედ ადმინისტრაციული ინსტიტუტების შესაფერისი კარვები. კარავი წარმოადგენს უაღრესად მობილურ ნაგებობას, რომლის გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე დაუბრკოლებლად ხორციელდება. კარავი კარგად შეესაბამებოდა მომთაბარული ცხოვრების სოციალურ სტრუქტურას.

კარაკინი (რაჭ.) - ჭურის (ქვევრის) თავი, რაზეც სარქველი დევს. სქელია, რომ დაგოზვისას (დაგლესისას) დიდ სიმძიმეს გაუძლოს (იხ. ბერ., ქეგლ).

კარაკული - იგივეა რაც კრაველი.

კარანიჩი, კარანიჩი - ხარაზის იარაღი. უტარო დანა საძირის ნაპირების შემოსაჭრელი. ტარის ნაცვლად ხელმოსაკიდზე ტყავი ან გაცვილული ძაფი იყო შემოხვე-

ული. ცალი მხარე განიერი ჰქონია, ცალი - ვიწრო.

კარანჩხა (გურ). - ორკაპიანი, გრძელი ჯოხი, რომელსაც კაპებს შუა მოთავსებული აქვს კალათი, იხმარება ხილის მოსაკრეფად.

კარაპა - ნავის ტიპი ძველ საქართველოში, რომელიც გარეგნულად კატარდის მსგავსია, მაგრამ მასზე მცირე ზომისაა.

კარაპეტი, კარპეტი - ხარაზის ხის სამკუთხა იარაღი. მასზე ფეხსაცმლის საპირეს დადებდნენ, ფარძვალით დაიჭრდნენ და გაკერავდნენ. ლიტ.: სტ. მენტე-მაშვილი, *ქიზიყური ლექსიკონი*, 1943.

კარასული - მასისი საზომი ერთეული. ხის სასმისად ჩანს ჰაგიოგრფიული ლიტერატურის ძეგლებში. ბერებს ღვინო ტრაპეზობის დროს კარასულით განესაზღვრებოდათ, დადგენილი არაა თუ რამდენს იტევდა ერთი კარასული. მისი სინონიმებია: „კარასოვული“ და „კარასოული“.

კარაქი - ცხიმი, რომელიც მიიღება რძის ან მაწვნის შედღვებით. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი ცნობილია სარძევე მეურნეობისათვის საჭირო კარგი პირობებით. კავკასიის მთის ბალახი ხშირი და ნოყიერია. ამიტომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებმა რძის გადამუშავების საქმეში, ყველისა და კარაქის დამზადებაში, მაღალ ოსტატობას მიაღწიეს. ქართველ ტომთა შორის კარაქს საყოველთაო გავრცელება არ ჰქონია. გურულები, მეგრელები, იმერლები, აფხაზები და სხვა იშვიათად ამზადებდნენ. სამაგიეროდ კარაქის დამზადების მაღალი ხელოვნება ძველთაგანვე ცნობილი იყო ხევსურებსა და აჭარლებში. ამ საქმეს ინტენსიური ხასიათი ჰქონდა

სამცხეში, ქსნის ხეობაში, ქიზიყში. საგულისხმოა, რომ კარაქის მიღება-გამოყენება მსოფლიოს ბევრმა ხალხმა არ იცოდა (მაგ., ბერძნებმა, რომაელებმა, გერმანელებმა). ძველ ქართულ წყაროებში კარაქი რძის მნიშვნელობით აღინიშნება. მაგ., „დაუტევეს სხუანი ძუძუნი სავსენი კარაქითა“. კარაქის დასამზადებლად რძეს ხის ან სპილენძის საწველეში მოწველიდნენ და ბაკნებში ან პინებში ჩაწურავდნენ. შემჩნეულია, რომ ხის ბაკანი ნაღებს კარგად აყენებდა, მაგრამ „ეგ წუნი“ ჰქონდა, რომ მალე ამჟავებდა რძეს. სპილენძ-თითბრის ჭურჭელი კი კარგად ინახავდა, არ ამჟავებდა, მაგრამ ნაღებს ნელა იღებდა. თუ რძე დამჟავდებოდა ბაკანში, ნაღები მოიხდებოდა, მაგრამ ყველი არ გაკეთდებოდა. რძე რომ არ გაციებულყო, ბაკანს გოდორს დაახურავდნენ და ზედ ტილოსაც მიაფარებდნენ. საზეურში//სარძეულში ნაღების გადასატანად ჯერ ბაკნის „ნაპირთ თითს გაუსვამდნენ“ და მერე „წახდიდნენ“. საზეური ხისაც იყო და სპილენძისაც. იტევდა სამ-ოთხ ვედრო ნაღებს. საზეურს გვერდზე, ძირთან, საგანგებო შუშუტი აქვს დატანებული. „წანაღებულ“ რძეს „საკუსე ქობში“ ჩაასხამდნენ, ნაღებს ვარია//ყუიკაში (იხ.) ან ჩხუტშიც დღვებდნენ. დღვების პროცესში დროდადრო წყალს ასხამენ: როცა რძე ცივია - აღუღებულს, შემდეგ კი ცივ წყალს. სიცხეში თბილ რძეს ხშირ-ხშირად უნდა ცივი წყლის ჩამატება, რძის გასაგრილებლად, რომ არ გაწყალდეს. ოთხი ვედრო ნაღები ორ კგ. კარაქს იძლევა.

ლიტ.: გ. ჩიტაია, ხევსურული სახლის სენე, ანალები, I, 1947.

კარაჭინი - ფეხსამოსი, მზადდებოდა შალის უხეში ძაფისაგან და აჭრულებდნენ ფერადი ძაფებით.

ლიტ.: მასალები..., 1983:253.

კარახანა (ხევს.) - ზოგადი სახელია ლუდის სავსე სასმელი ჭურჭლისა, რომელიც პატივისცემის ნიშნად მიერთმევა ადამიანს.

კარბა (რაჭ.) - 1. აკვნის თავსა და ბოლოში მოხრილი ბრტყელი ლარტყები. 2. კარდალის, ქვაბის ხელი. 3. წიგნის ყდა. 4. ზმ. იგივეა, რაც რკალი (იხ.) (იხ. ქეგლ, ჩიქოვ., ძოწ., გაჩ.).

კარდალა - სანიადაგოდ სახმარი სპილენძის მოკალუელი ქვაბი, მისთვის დამახასიათებელი ვიწრო ძირით. არსებობდა რამდენიმე ტიპისა, როგორც პატარა, ასევე საშუალო მოცულობისა. კარდალა განეკუთვნება „ყურიან“ ქვაბთა რიგს. მას ძირითადად ჰკიდებდნენ ბუხარში ჩამოშვებულ ნაჭაზე (იხ.). იმერეთში კარდალას ძროკუნჭელასაც უწოდებენ.

კარზეყანა / კარზევენახი (რაჭ.) - სახლთან ახლო მდებარე ყანა, ვენახი, - კარის მამული.

კარიყურში (რაჭ.) - ახლოს მყოფი, ახლოს მდებარე. წისქვილი კარიყურში აქვე.

კარმიდამო - ზოგადი სახელი ადამიანის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებისა იმ ტერიტორიის ჩათვლით, რომელზედაც ისინი არიან განლაგებული. კარმიდამოს პარალელური ცნებებია: ეზო-კარი, ეზო-სახლი, ეზო-გარემო, სახლ-კარი, სახლ-კარ-მიდამო, ეზო კუთხე. კარმიდამოში შედის სუფთა და შავი ეზო. სუფთა ანუ თეთრი ეზო გამოირჩევა წმინდა მოლით, მოვლილი ხეხილით, ქვის სკამითა და მაგიდით, ჭით, ლამაზი ღობით და ზოგადად დიდი ესთეტიკური სილამაზით, შავი ეზო, ანუ საჩეხი უფრო ხშირად სახლის უკანაა მოწყობილი და მასში განთავსებულია ბოსელი, საქათმე,

საღორე, ფარეხი, თავლა. აქვე ჩეხავ-
დნენ და აწყობდნენ შუშას, აქვე იყო სა-
ნაკელე და ფეხსალაგი//ჩეჩმა. შავ უზოში
ამწყვდევდნენ საქონელს.

ლიტ.: კ. კახიანი, იმერული კა-
რმიდამო, 1969.

კაროკალი (რაჭ.) - მარტივი ჭიშკარი,
უმთავრესად ვენახში შესასვლელი.

კარსელი (რაჭ.) - სახლში შესას-
ვლელი წინათახი (იხ. ბერ., ქეგლ; შდრ.
ძიძ.: კასლი).

კასრი (რაჭ.) - ღვინის საწყაო. უდრის
2 ფუტს. ჭურებს სახელები აქვთ (რვიანი,
თუთხმეტიანი, ოციანი, ორმოციანი...)
იმის მიხედვით, თუ რამდენი კასრი ჩა-
დის.

კასრი (ქართლ.) - დამორილი, ცილი-
ნდრის ფორმის ძირჩადმგული, სალტით
შემორტყმული ხის ჭურჭელი. იხმარება
სანოვაგისა და სითხის სათავსად.

კატაპარია (რაჭ.) - თავისებური არო-
მატის მქონე სამკურნალო ბალახოვანი
მცენარეა. მის ფესვებს იყენებენ გულის
წვეთების დასამზადებლად, - კატაბა-
ლახა. კატაპარიას წვეთები დამალევიან.

კატარდა - საბრძოლო ხომალდი 20-
26 მ სიგრძისა, 50 ნიჩბიანი, ჰქონდა აფრა.

კაფთარა (რაჭ.) - წელს ზემოთ მუ-
ხლებამდე ჩასაცმელი. კაფთარა ლურჯი
ლაინის იყო ან შავი, ნაოჭდაყრილი (იხ.
ძიძ., ქეგლ).

კაფია (ზმ., გლ.) სამეურნეო იარაღია,
საშუალო თოხსა და ხელეჩოს შორის. ხმა-
რობენ კარტოფილის, ლობიოს და მისთ.
დასარგავად.

კაფო (რაჭ.) - კანჭაობისას ერთ-ერთი
ილეთია (იხ. გაჩ.: კაფა, წერ.: კაფე).

კაჩა (რაჭ.) - ძველ სახლში შუაცე-
ცხლის ზემოთ დირეზე ჩამოკიდებული
მოწყობილობა ზამთრისათვის სხვადას-
ხვა პროდუქტების შესანახავად, - ოჯინ-
ჯალი (იხ. ბერ., ჯაჯან., ჩიქოვ.).

კაცა (რაჭ.) - წბერის (იხ.) ერთ-ერთი
ძირითადი ნაწილია. 2 მ. სიმაღლის გათ-
ლილი მაგარი ხის განიერი და სქელი
ძელი, ჩასმულია მიწაში. მასზე თავსდება
დირე და დამაგრებულია წბერის ძირი
(იხ. ბერ., ფრ., 158); შდრ. ქეგლ).

კაცაბასილა (რაჭ.) - საახალწლოდ
გამომცხვარი კაცის (იხ. ძიძ.; შდრ. მენტ.:
ბასილი).

კაციტავა (რაჭ.) - საშემოდგომო
მსხლის ჯიშია. ნაყოფი მსხვილია 300-400
გრ. ხორცი მაგარი აქვს, ძალიან წვნიანი
(იხ. ალაკ., ძოწ.. ბრეგ., 74).

**კაცის მცავ-მფარავი ანგელოზი /
კაცზე მდგომ-მავალი ანგელოზი** - მამა-
კაცის მფარველი სული ხევსურულ მითო-
ლოგიაში. ხევსურების რწმენით, ადამიან-
თა მფარველი სულები დანაწილებულნი
არიან სქესობრივი და ასაკობრივი ნიშნე-
ბის მიხედვით. მამაკაცთა მცავ-მფარავი
სული დიდი და ძლიერი ანგელოზია, ვი-
დრე ქალ-ბავშვთა მფარველი. ამიტომ
ავი სული კაცს ადვილად ვერ მიუდგება.
ქალ-ყმაწვილთა ანგელოზი კი „ბატარა
და ბეჩავია“, რის გამოც ავი სულები მათ
იოლად ერევიან. ქალ-ბავშვთა მფარველი
სულებისაგან განსხვავებით, კაცთა მცა-
ვ-მფარავი ანგელოზები ჯვარების (ხატე-
ბის) ირგვლივ არიან გაერთიანებულნი
და იმ სალოცავ ხატს (ჯვარს) ემორჩილე-
ბიან, რომლის ყმებადაც ხევსურები თავს
მოიაზრებენ, ანუ თითოეული გვარის

სალოცავებში გაერთიანებულნი იყვნენ მთელი გვარისკაცობის სულები.

„წარმოდგენა მფარველ სულებზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ე. წ. განათვლის მისტიკასთან. ყველა ხევსური თავისი გვარის სალოცავში ინათლებოდა, ხოლო ხევსური ქალების უმრავლესობა ჰაჰმატის ჯვარს ემორჩილებოდა და ამ ჯვარში ინათლებოდა. პირველი განათვლის მისტიკა სრულდებოდა ჩვილი ბავშვის მიმართ, ვიდრე მას დაბადებიდან ერთი წელიწადი შეუსრულდებოდა. ეს ხდებოდა ერთ-ერთ დიდ დღეობაში, როდესაც ჯვარის დარბაზიდან დროშის „გამობრძანება“ იცოდნენ. მისტიკა სრულდებოდა ამ დროშის წინ, რომელიც ამ დროს სახატე ანუ სადროშო კოშკზე იყო „დაბდნებული“. კოშკთან მიიყვანდნენ ბავშვს და საკლავ ცხვარს, რომელსაც სანათლავი ეწოდებოდა. განათვლის მისტიკა მოიცავდა ხუცესის ან ჰელოსნის მიერ ხუცობის ტექსტის წარმოთქმას, სანათლავის დაკვლასა და ამ საკლავის თბილი სისხლის წასმას ბავშვის გულსა და მუბლზე. ივარაუდებოდა, რომ ამ მისტიკის შესრულების მომენტში ბავშვის განათვლასთან ერთად მას კელ-მჯართან მისი მფარველი სული ანუ ანგელოზი ამოუდგებოდა... ყრმობის პერიოდიდან დაწყებული ხევსურები ინათლებოდნენ პერიოდულად: ერისგანთაგანნი - წელიწადში ერთხელ მაინც, ხოლო ჯვარისჟელკაცნი - წელიწადში რამდენჯერმე. სამსხვერპლო ცხოველის (სანათლავის) დაკვლისთანავე მისი პატრონი დაკლული მსხვერპლის კისრის ქვეშ ხელებს შეუშვებდა, პეშვებში თბილ სისხლს დაიგროვებდა და მას გულზე, სახესა და ხელებზე წაიცხებდა... ადამიანის პერიოდული განათვლის მიზანი სხვა უნდა ყოფილიყო (ვიდრე მისი პირველადი განათვლისა ჩვილი ბავშვობის ასაკში), სახელდობრ ის, რომ პერიოდულად შეემარებინათ და განემტკიცებინათ კავშირი,

რომელიც პირველი მისტიკის დროს იქნა დამყარებული ადამიანსა და მის მფარველ სულს შორის“ (ვ. ბარდაველიძე).

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართული ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია) // მიმომხილველი. I. 1949, გვ. 126-127.

კახაბალი (რაჭ.) - თეთრი ბლის ჯიშია. ერთ ძირზე მაქ დამყნული კახაბალი და შავი მბალი (იხ. ქეგლ, ჩიქოვ.: კახაბალი).

კახური საფერე (რაჭ.) - შავი ყურძნის ჯიშია. წითელი ღვინის დასაყენებლად კახური საფერეს ჭაჭას უმატებდნენ (იხ. ოწ., ფრ., 29).

კახური ჩოხა - სიგრძით ზომიერი იყო, მაგრამ ნაოჭი არ ჰქონდა. სახელოები ვიწრო და გაჭრილი იყო. მასრებს უკეთებდნენ ხშირად ვერცხლისას, აგრეთვე, სპილოს ძვლისას. შავ მასრებს რქის მასრები ეწოდებოდა.

ლიტ.: მასალები საქართველოს შინამრეწველობის..., 1983: 213.

კბილის საყარი - რკინის ხერხის კბილების გადასაყრელი, ასაწყობი, შედგება ტარისა და ორი კბილისაგან, იხმარებოდა ხერხის (სისო, საცალხელო და საორხელო) კბილების გადასაყრელად. ხერხის კბილები მუშაობის დროს ბლაგვდება, მხერხავი კბილის საყარში თანმიმდევრობით დებს კბილებს და ქლიბის მეშვეობით აფხავებს (ალესავ) მათ. კბილებს შორის ალესვის შედეგად „ჩაფრასტი“ ჩნდება. თუ „ჩაფრასტი“ გაქრა ხერხი ვეღარ იმუშავებს.

ლიტ.: გ. გასიტაშვილი, ხითხურობა საქართველოში, 1963.

კლინი / კლინის კვირა - ავსულთა გა-
აქტიურების პერიოდი - იანვრის თვის მე-
სამე კვირა.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობი-
დან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ.
67-78.

კედები - თავებში ჯაჭვგაბმული ორი
გრძელი კეტი, რომელიც შემოეჭირება
ხაკის ტომრებში გასაწურად ჩასხმულ სა-
ლუდე ნახარშს, თანაბარი მოჭერით სქელ
მასას დაწნეხავს და გამოადენს წვენს.
ჯოხები რომ არ გაიშალოს და დაჭიმულ
მდგომარეობაში იყოს, მოჭერილ კედებს
თავზე წამოაცვამენ „მალახას“ იმავე წნე-
ლის რგოლს.

კვრი (ქართლ. კახეთ. სამცხ.-ჯავახ.
რაჭ.), **ფსკვრი** (ზ. რაჭ), **კიავირ** (სვ.), **კელი**
(ქვ. იმერ.) - ხორბლეულის სალენი. კვრს,
როგორც თავთავის სალენ სამეურნეო ია-
რატს, დიდი ხნის ისტორია აქვს. მზადლე-
ბოდა უპირატესად ფიჭვის ხისაგან, რო-
მელიც ადვილი სათლელია და კოხებსაც
კარგად იჭერს. შეგულებულ-შერჩეულს
მოჭრიდნენ, გაქერქავდნენ, დამორავდნენ
და ხის სოლებით გააპობდნენ. საკვრე
ფიცრებს დიდი, საორხელო ხელეჩოთი
გათლიდნენ, „სამუშაო პირზე“ სატეხით
„საკოხე ბუდეებს“ ცერად ამოიღებდნენ,
რომელშიც მაგარ კოხს (ქვებს) ჩასვამ-
დნენ. კოხები ბუდეში ისე იყო ჩაწყობილი,
რომ მათი საჭრელი პირი (ფხა) გარეთ
რჩებოდა, რათა თავთავი კარგად გალე-
წილიყო. კვრის ფიცრებს ერთმანეთზე
მიაწყობდნენ და რიკით შეაერთებდნენ,
ზურგზე კი ორ უღელს დააკრავდნენ. სა-
თავო უღელზე ღვედს გამოაბამდნენ, რომ-
ლის საშუალებითაც გამწევ ძალას (ცხენს,
ხარს) ჩაუბამდნენ. კვრები ძირითადად,
ხე-ტყით მდიდარ ხეობებში მზადდებოდა
და სამიწათმოქმედო რაიონებში იყიდე-
ბოდა. გამზადებული კვრი კალოზე გაჭ-

ქონდათ. კალო ეწყობოდა შემადლებულ
ადგილზე (სახლის ბანზე, ეზოში, ყანასთან
ახლოს). მიწას დატკეპნიდნენ, გაფოცხავ-
დნენ, მორწყავდნენ და ბზეს მოაყრიდნენ,
ლეწვისთვის არჩევდნენ მზიან ღლეს, რა-
დგან ამ დროს თავთავი უკეთესად ილე-
წება. ყურადღება ექცეოდა აგრეთვე ქარის
მიმართულებასაც. კალოში პირველად წინა
წელს დამზადებული თავთავისაგან შეკ-
რულ ჯვარს ჩაშლიდნენ - „ახალ მოსავალს
მიაგებოსო“, მერე ბჯას (ძნის ზვინს) თავთა-
ვით შიგნით ჩაშლიდნენ, სქლად ჩააფენ-
დნენ და ზედ კვრებს შეაყენებდნენ. კა-
ლოზე სამი-ოთხი კვრი მუშაობდა, იმისდა
მიხედვით, თუ რამდენი ძნა იყო ჩაშლილი.
კალოსა და ნალენ ხვავს ავი თვალი რომ
არ სცემოდა, ლეწვის მონაწილე აიღებდა
რკინის ნაჭერს და ქვას ურტყამდა. რო-
დესაც მორჩებოდნენ კალოობას, იცოდ-
ნენ მცირე ლხინის გადახდა ანუ „კალოს
ქორწილი“ (მესხეთ-ჯავახეთი), „კალოკრე-
ფიანობა“ (ქართლი), „კალოს დალოცვა“
(იმერეთი), „ლივლაური“ (სვანეთი). კალო
ძველთაგანვე წმინდა ადგილად მიაჩნდათ,
კალოზე დატოვებულ ნივთს ხელს არავინ
ახლებდა. ხოვლეგორაზე (კასპის რაიონი)
არქეოლოგებმა გათხრების დროს მიაკ-
ვლიეს კარგად გათლილ-გამოყვანილ და
კოხებით გაწყობილ ოთხ კვრს, რომლებიც
ძვ. წ. XII-XI საუკუნეებით თარიღდება, საყუ-
რადლებოა, რომ კვრის ნაშთებთან ერთად
არქეოლოგებმა ადამიანის ჩონჩხიც ნახეს,
ე.ი. კვრზე მიცვალებული ყოფილა დასვე-
ნებული. როგორც ჩანს, მიცვალებულის კე-
ვრზე დასაფლავების ჩვეულება უძველესია
და ჩვენი ხალხის დიდ სამიწათმოქმედო
კულტურაზე მიუთითებს. საინტერესოა,
რომ ასეთი ძველი, ეფექტური სალენი ია-
რადი, როგორიცაა კვრი, ბევრ სხვა ქვეყ-
ნებში გვიანობამდე არ იცოდნენ.

ლიტ.: ქართული მატერია-
ლური კულტურის ეთნოგრაფი-
ული ლექსიკონი. თბ., 2011.

კეთილა - „ჭკვიანი“, მორჩილი ცხოველი.

ლიტ.: მ. კობერიძე, ზემო აჭარული დარგობრივი ლექსიკა, თბ., 2011:19.

კეკვა (გურ.) – 1. ჩეკვა. გამოკეკვა - გამოჩეკვა; 2. მატყლის წეწვა ხელით (გურ., ხევს.); 3. წისქვილის ქვის, დოლაბის, მოპირკეთება (მოკოდვა) სპეციალური წერაქვით (გურ.).

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. დლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984.

კეკველა (იმერ.) - წისქვილის სარეკელა.

ლიტ.: პ. ჯაჯანიძე. მასალები იმერული ლექსიკონისათვის // ა. წულუკიძის სახ.

კეკვი - (იმერ.) - 1. ნიშანი, რომელსაც დასარღვევი სახლის ფიცრებს უკეთებენ ერთმანეთისაგან გასარჩევად, ახალ ადგილას მისადაგებულად რომ მოარგონ ერთმანეთს. 2. მოხრილთავიანი ჯოხი რაიმეს დასანაყად.

ლიტ.: პ. ჯაჯანიძე. მასალები იმერული ლექსიკონისათვის // ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. IX. თბ., 1949, გვ. 241-271.

კეკო (იმერ.) – 1. პატარა თოხი; 2. ღომის გასაცეხვი ხის ურო, ხელკავი (ოკრიბ.).

ლიტ.: ვ. ბერიძე. სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა. სპბ., 1912; მიხ. ალავიძე. ოკრიბული ლექსიკონი // ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგო-

გიური ინსტიტუტის შრომები. X. 1950-1951, გვ. 75-101.

კეკოლა (ლექს.) - ხის მოხრილი ჯოხი. თიხის ჭურჭელზე ყურის მისამაგრებლად საჭირო იარაღი. გავრცელებულია ლექსუმის რ-ში. მოხრილ ჯოხს თავზე თიხის გუნდას მიაკრავენ, ახლად ამოყვანილი ჭურჭლის სველ ყელში ჩადებენ და იმ ადგილას მიაბჯენენ, სადაც ყურის მიბმა ნავარაუდები, რაც ხელს უწყობს ჭურჭელზე ყურის სიმყარეს.

ლიტ.: ფ. გარდაფხაძე, მეჭურჭლეობა და მექვევრეობა ლექსუმში, მუზეუმის მოამბე XIV-B 1947.

კეკულა (ოკრიბ.) – ხის ურო, რომლიც ქვევრის თავზე აყალო მიწის დასატკეპნად გამოიყენებოდა.

ლიტ.: მიხ. ალავიძე. ოკრიბული ლექსიკონი // ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. X. 1950-1951, გვ. 75-101.

კელამიდა || **კელამინდა** (გურ.) - პატარა კეცი თიხისა.

ლიტ.: ი. ჭყონია. სიტყვის კონა, საბა-სულხან ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები. ნ. მარის რედაქციითა და წინასიტყვაობით. სპბ., 1910.

კელამიტა (იმერ.) - კეცის მსგავსი დიდი ჭურჭელი.

ლიტ.: პ. ჯაჯანიძე. მასალები იმერული ლექსიკონისათვის // ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. IX. თბ., 1949, გვ. 241-271.

კლეხი (რაჭ.) - ქვადორდიანი მწირი ადგილი.

კელი (იმერ.) - პურის სალუწი იარაღი, კეკრი.

ლიტ.: ვ. ბერიძე. სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა. სპბ., 1912;

კემუხტი - ცხენის, ხარის ან მისთ. გავის ტყავი, მწვანედ ან შავად შეღებილი. იყენებდნენ ქოშების საპირედ, მისი უფრო ხორკლებიანი ნაწილით კი ქარქაშებს მოსავდნენ. ლიტ.; ქელ, 2009.

კენჭაობა (ქართ. კახ. იმერ.) - ბავშვთა თამაშობა კენჭებით. ნ. კეცხოველის მიერ ქართლში ჩაწერილი მასალით თამაში ხუთი კენჭით მიმდინარეობს და არის 76 სახეობის, რომლებსაც ყველას თავ- თავისი სახელი მოეპოვება, ესენია: 1. თითოლა, 2. ოროლა, 3. სამოლა, 4. თოფა, 5. კაფა, 6. კაფების ერთიორა, 7. თოფობილის ერთიორა, 8. ჩუმჩუმა, 9. წკატუნა, 10. წიწმატა, 11. ფოცხოლა, 12. ბოლოკა, 13. კოჭობა, 14. უკან კაფია, 15. გულა, 16. გულა უკან კაფია, 17. ყელა, 18. ყელა უკან კაფია, 19. ნიკაპა, 20. იკაპა უკან კაფია, 21. ტუჩა, 22. ტუჩა უკან კაფია, 23. ენა, 24. ენა უკან კაფია, 25. კბილება, 26. კბილება უკან კაფია, 27. დინგა, 28. დინგა უკან კაფია, 29. ცხვირა, 30. ცხვირა უკან კაფია, 31. ლოყა (მარცხენა), 32. ლოყა მარცხენა უკან კაფია, 33. ლოყა (მარჯვენა), 34. ლოყა (მარჯვენა) უკან კაფია, 35. თვალა მარცხენა, 36. თვალა (მარცხენა) უკან კაფია, 37. თვალა მარჯვენა, 38. თვალა (მარჯვენა) უკან კაფია, 39. შუბლა, 40. შუბლა უკან კაფია, 41. ყურა მარცხენა, 42. ყურა (მარცხენა) უკან კაფია, 43. ყურა მარჯვენა, 44. ყურა (მარჯვენა) უკან კაფია, 45. თავა, 46. თავა უკან კაფია, 47. ოჩხორა, 48. ოჩხორის თოფა, 49. ერთხელ ნაცვლია პირველნაირად,

50. ერთხელ ნაცვლია მეორენაირად, 51. ორხელ ნაცვლია პირველნაირად, 52. ორხელ ნაცვლია მეორენაირად, 53. სამხელ ნაცვლია პირველნაირად, 54. სამხელ ნაცვლია მეორენაირად, 55. ცხენის ზურგა, 56. საბძელა, 57. ბატების ჩარეკვა, 58. ბატების გამოყვანა, 59. დაბლა ბოძა, 60. შუა ბოძა, 61. მაღლა ბოძა, 62. მაკრატელა, 63. საცერა, 64. მოზელა, 65. გამოცხობა, 66. ამოყრა, 67. ბაჯბაჯა, 68. ხეხია, 69. ზედადგარა, 70. ჩიტისკენცია, 71. ლურსმანა, 72. ნემსა, 73. თითოლა გამოთავებისა, 74. ოროლა გამოთავებისა, 75. სამალა გამოთავებისა, 76. თოფა გამოთავებისა. კენჭაობის თითოეული ეტაპი მოითხოვს სიფხიზლეს, ხელების ვირტუოზულ მოძრაობას, დაკვირვებას, სისწრაფეს. კენჭებს მაღლა ისვრიან, თითებზე აჯენენ, ხელითვე გაკეთებულ ღრმულში ყრიან, თითებშია აძვრენენ და ა. შ. საკმარისია, ერთმა კენჭმა მიზანს ვერ მიაღწიოს, რომ შეცდომის დამშვები თამაშს წყვეტს და ახლა მისი მოწინააღმდეგე აგრძელებს. ზოგიერთი ბავშვი ისე იყო დაოსტატებული კენჭაობაში, რომ მთელ 76 ხერხს თავიდან ბოლომდე შეუცდომლად ჩაატარებდა. კენჭაობა თვალისა და ხელის სისწრაფის ერთგვარ დემონსტრირებას წარმოადგენდა და საუკეთესოდ უვითარებდა ბავშვს ამ თვისებებს.

კეჟერი ქერი (რაჭ.) - ორმწკრივიანი ქერი, ბრტყელი ქერი, - შავფეხა (იხ. ჯავახ., ეკ. ისტ. I, 354; მაყ.).

კერა - რკინის სადგარი საცხოვრებელი ნაგებობის ცენტრში, სადაც ცეცხლი ენთო. შემდგომში ამ ადგილმაც მიიღო კერის სახელწოდება. მისი მდებარეობა განსაზღვრავს საცხოვრებლის შინაგან გეგმას და საზოგადოდ, საცხოვრებელი ნაგებობის მთელ სისტემას. ამავე დროს, კერასთანაა დაკავშირებული ისეთი საოჯახო რკინის ნივთები, როგორცაა: ქვა-

ბის საკიდი ჯაჭვი, სამკვრე, საქორწინო კანდელი, ხათრითი, შამფური, საკეცე, ასტამი. კერა ყურადღებას იქცევს თავისი კონსტრუქციითა და ფუნქციით. რკინის კერა ოჯახის სიძლიერისა და სიმტკიცის სიმბოლოს წარმოადგენდა და მასთან დაკავშირებული იყო დიდი ოჯახის სოციალური სისტემისა და მაგიურ აპოთროპული დანიშნულების მრავალი მნიშვნელოვანი წეს-ჩვეულება. კერა ძირითადად დარბაზული ტიპის შუაცეცხლიანი სახლებისთვის იყო დამახასიათებელი. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (იმერ. გურ.) ამავე დანიშნულებით გამოიყენებოდა ქვის კერა. ტიპური რკინის კერა გრეხილი ტანისაა ნაწილობრივ ან მთლიანად შედგება ფეხებისა და მათ შორის ჩადგმული ბრტყელი 5-6 სმ სიგანის ლარტყისგან, რომელსაც გამირი ეწოდება. გამირებს შორის მოქცეული სივრცე გაწყობილია გრეხილი რკინის რიკულებით. კერა კონსტრუქციის მხრივ მეტად მოხერხებული ნივთია, კარგად მორგებული თავის ფუნქციას. სახლის ინტერიერში მას ესთეტიკური დატვირთვაც გააჩნია, რასაც აძლიერებს ზოგიერთ ნიმუშზე გამოყვანილი გამოსახულებები. კერა გვარის, ოჯახის გამაერთიანებელი ცენტრი, მარადიული ცეცხლის სიმბოლო იყო. ამიტომაცაა, რომ ქორწილის ყველაზე მნიშვნელოვანი ცერემონიალი კერასთან იმართებოდა. ჯვრისწერაც ხშირად კერასთან ხდებოდა, როდესაც ნეფე-დედოფალს კერის გარშემო შემოატარებდნენ, შემდეგ დალოცავდნენ და გვირგვინს უკურთხებდნენ. ნეფე-დედოფლის კერასთან გარშემოტარებას ადგილი ჰქონდა როგორც პატარძლის, ასევე ნეფის ოჯახში. პატარძალი ახალ ოჯახში მისვლისას კერიაზე ფეხს უსვამდა, რაც სიმბოლოურად გამოხატავდა კერის კულტისადმი მსხვერპლშეწირვას. ამავე ჩვეულებაზე მიგვანიშნებს ხალხური ლექსი: „ახალი პატარძალი ვარ, ფეხი დაუსვი კერასა“-ო

ადნიშნული რიტუალის დროს სვანეთში ასრულებდნენ საქორწინო სიმღერებს: „სადამ“-სა და „ორი ოხა“-ს. იმავე მომენტთან იყო დაკავშირებული იმერეთში საკმაოდ ცნობილი სიმღერა „ღმერთო ბედნიერი ქენი“, ხოლო სიმღერები: „ჯვრის წინასა“, „ჯორული“, „დიდება“ - ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს კუთვნილებას წარმოადგენდა. ახალი კერიის დადგმის დროს კერაზე ქონს უსვამდნენ, დიდ ცეცხლს ანთებდნენ, ხორციან და ყველიან დიდ პურებს აცხობდნენ, რომ დაბედობდათ ხვავი და ბარაქა. სვანეთში გავრცელებული იყო აგრეთვე კერიის მარხულობა, რაც გამოიხატებოდა კერაზე ცხობის გარკვეული დროით აღკვეთით. მარხულობის პერიოდში კერას საჭმელი არ უნდა „დაენახა“. სვანეთში დადასტურებულია ჩვეულება, როცა ხორცეულის კვირაში, ჭამის დროს, კერაზე ნაბადს გადააფარებდნენ, ხოლო ჭამის დამთავრების შემდეგ გადახდიდნენ. იყო შემთხვევები, კერა გარეთ გაჰქონდათ, რომ არ „დაენახა“ სახსნილო საჭმელი. ჭამის შემდეგ ნარჩენებს გადამალავდნენ. მის მიმართ ისე იქცეოდნენ, თითქოს კერია ცოცხალი არსება ყოფილიყო.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

კერა თიხისა - ცეცხლის დასანთები და შესანახი ადგილი საცხოვრებელში. მისი გამოყენება ადამიანმა ისწავლა განვითარების ადრინდელ საფეხურზე. საქართველოში უძველესი კერა (გარკვეულად განლაგებული ქვები, ორმო, რომელსაც ცეცხლის კვალი ეტყობა) გვხვდება ადრინდელ მუსტიეს ხანაში (წოფი), გვიანდელ მუსტიეს ხანაში (ჯრუჭულის მღვიმე) და ზედა პალეოლითის მთელ რიგ ძეგლებში (დევისხვრელი და სხვ.), შულავერში, იმირში და ხრამის დიდ

გორაზე (ძვ. წ. VI-V ათასწლ.). სრამის დიდ გორაზე კერებში ნაპოვნია თიხის ანთროპომორფული ქანდაკებანი (ერთ მათგანში 17). გამომწვარი თიხის კერები გვხვდება მტკვარ-არაქსის კულტურის (ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრული, III ათასწლეულის დამდეგის) ძეგლებში (ოზნი, ქვაცხელები, გუდაბერტყა, ამირანის გორა და სხვ.). წრიული ფორმის თიხის გამომწვარ კერას შიგა მხარეს აქვს რამდენიმე შვერილი სადგამის ფუნქციით. კერებს იყენებდნენ გასათბობად, საჭმლის მოსამზადებლად, ამავე დროს, ის ოჯახის წმინდა, საკულტო ადგილი იყო. იქ სრულდებოდა სხვადასხვა რელიგიური რიტუალი, ცდილობდნენ, მასში ცეცხლი არ გამქრალიყო. კერები გვხვდება გვიანდელი ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. II ათასწლეულის დამლევით - I ათასწლეულის დამდეგით) ნამოსახლარებში (ხოვლეგორა, დიდომი). ფეოდალური ხანის თიხის კერებია ურბნისში (IV- VIII სს), დმანისში (XI-XIII სს.) და სხვ. ქვით ნაგები კერები - არახლოზე (XII-XIII სს.), ქოჩულოში (XII-XIII სს.) და სხვ. გვიანდელ ფეოდალურ ხანაში კერას ზოგჯერ თონე ცვლიდა. საქართველოში თონისმაგვარი უძველესი კერები აღმოჩენილია სამადლოსა და ციხეგორაზე (ძვ. წ. IV-III სს.). დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა კერის სხვადასხვა ფორმა - მრგვალი, სწორკუთხედი, ორმოსებრი, მიწის ზედაპირზე გამართული და ა.შ. მრგვალ საცხოვრებელში კერები ჩვეულებრივ შუა ადგილზე იყო (ნენცები, ევენკები, და ჩრდილოეთის სხვა ხალხები), სწორკუთხედებში - კედლის ახლოს, ზოგჯერ შესასვლელის პირდაპირ (გარდამავალ ტიპადაა მიჩნეული კედლისპირა კერა, რომლისაგან შემდგომში ბუხარი განვითარდა).

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011; ნ. ვაჩე-

იშვილი, მ. ჩართოლანი, დასურათებული ლექსიკონი. 2008.

კერამიკა - თიხისა და მისგან შექმნილ საგანთა ზოგადი სახელია. ძველი საბერძნეთის მკვიდრნი მეკეცე ოსტატს „კერამენს“ –უწოდებდნენ. ბერძნული „კერამიკა“ ქართული მეკეცეობის, ანუ მეთუნეობის შემცველი ტერმინია.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, კახური კერამიკა, 1947.

კერკეჟა (რაჭ.) - ბებერი საქონლის ხორცი. დიდი ხნის ხარშვა უნდა. რა ოხერი კერკეჟა არი, ამი მოხარშვას არაფერი ეშველა (შდრ. ნიჟარ.: კერკეში, ქეგლ: კერკეჟი, ლეონ.: კერკეჟი).

კერკეტა კაკალი (რაჭ.) - მაგარ- და სქელნაჭუჭიანი წვრილგულიანი კაკალი. კერკეტა კაკალს ერთი ცირცენა გული აქ და ისიც სულ ნამცეცვებად უნდა გამოიღო ხეჭიდან (იხ. ქეგლ: კერკეტი, კირკიტი; ბერ., ძოწ., გაჩ.).

კერკი ჩილი (რაჭ.) - შუა-შუა დაჭრილი და გამხმარი პანტისა (უპირატესად) და მაჟალოს ჩირი. ზამთარში ღორების საკვებად ხმარობდნენ. კერკი ჩილი მოუხარშაყე ღორებს (შდრ. ნ. და დ. ჩუბ., ქეგლ, ძოწ.).

კეცეული - ზოგადი სახელია კეცში გამომცხვარი პურებისა.

კეცი თიხისა - „კელამიტა“, „ჩაჩამუტა“. ცომეულის გამოსაცხობი. მზადდება საქართველოს ყველა კუთხეში როგორც მეთუნე ხელოსნების მიერ, ისე შინაური წესითაც - უმორგვოდ. კეცს აკეთებდნენ ქალებიც და კაცებიც. კეცს მიწაც ცოტა უნდა და ადვილი გასაკეთებელიც არის. დახელილ თიხას ფიცარზე მრგვალად გაათხელებენ, სველი ხელით ნაპირებს

ამოუქნიან, ამოუხვევენ და გამოწვავენ. პურის ან მჭადის გამოცხობისათვის კეცებს დააპირქვავებენ ძლიერად ანთებული ცეცხლის მუგუზლებზე და გაახურებენ გაწითლებამდე, შემდეგ გადმოიღებენ საკეცით, სიწითლე რომ გადაუვლის, ზედ დააცხობენ ცომს და მიუფიცხებენ ნაკვერჩხლებს. სხვა წესით - ცომჩაკრულ კეცს ზემოდან მეორე გახურებულ კეცს დააფარებენ და ასე გამოაცხობენ. ამ წესით კეცებში წვავენ წიწილებს და სხვადასხვა სახის საკვებს (მაგ. კვანის მარცვალი, წაბლი, თხილი, კაკალი). ტერმინი „კეცი“ ძველად თიხის მნიშვნელობითაც იხმარებოდა. ლიტ.: ფ. გარდაფხაძე, მეჭურჭლეობა და მექვევრეობა ლეჩხუმში, სსმმ, ტ. XIV B, 1947.

კეცი ქვისა - მჭადისა და პურის გამოსაცხობი. ქვის კეცების დამზადებას ძირითადად მისდევენ იმერეთში (სოფ. ბესიაური), გურიასა (სოფ. ვანი) და სამეგრელოში (სათანჯაოს მთის კარიერი). კეცისათვის საჭირო მადანი წარმოადგენს რბილ ქანს, რომელიც ფერით მოლურჯო//მორუხო//მოლიბეროა და ადვილად ითლება რკინის სათლელით. მადნიდან მას ამოტეხავენ წერექოთი, მოაცლიან უხემ დანამატებს, გათლიან ჩხოტით, მოსაყვანით და საბოლოოდ გაასუფთავენ საფხეკით. საკეცე ქვის ჯიში ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ დიდხანს შეინარჩუნოს მხურვალეობა და სრულყოფილად აცხობდეს. ქვის კეცები იყო სხვადასხვა ზომის. მათ წარმოებას შინამრეწველობის ხასიათი ჰქონდა, გაჰქონდათ ბაზარზე გასაყიდად და იკმაყოფილებდნენ საოჯახო მოთხოვნილებასაც.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხურობა იმერეთში, 2001.

კეხი - ლიტონი ხისაგან გამოთლილი ვირის სასაპალნე (იხ. უნაგირი), ამზადებ-

დნენ ფიცრებისგანაც, ტახტას ზოგჯერ ლიტონის მრგვალ სახელურსაც უკეთებდნენ. საბა კენს განმარტავს როგორც „მეუმზადებელ უნაგირს“. საქართველოში იგი ყველგან მზადდებოდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თუში ხელოსნები. ზაფხულში თუშები შერჩეულ ხის ჯიშებს გააკოპიტებდნენ, ზამთარში დაამზადებდნენ, ხოლო გაზაფხულზე გაყიდდნენ. იგი ორი ნაწილისაგან შედგებოდა - ფრთები და თავები. ფრთები თელის ხისაა კარგი, თავები კი თხმელისა. საკეხე ხეს სიმაგრე რომ შემატებოდა, წყალში ხარშავდნენ. თავისებური ორიგინალობით გამოირჩეოდა კერამიკული ნაწარმის გადასატანი კეხი.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973..

კვაკვანა იხვი (რაჭ.) - გარეული იხვია ერთგვარი. კვაკვანა იხვებმა გაზაფხულზე იციან მოფრენა (მდრ. საბა, ქეგლ: კოკონა, კოკორინა; გაჩ.: კოკონა იხვი).

კვალად გასვლა - საქორწინო ციკლის ინკორპორაციული ხასიათის თუშური წეს-ჩვეულება, რომელიც ქორწილიდან მესამე დღეს სრულდება: პატარძლისა და ოჯახის მეკვლის ყანაში გასვლა და იქ ნამგლის რამდენჯერმე მოსმა.

ლიტ.: ს. მაკალათია. თუშეთი. თბ., 1983, გვ. 166.

კვალის მოპარვა (რაჭ.) - კვალის აბნევა. კვალის მოპარვა კურდღელმა იცის. რო მირბის, უეცრად ისუპებს და გვერდზე გადახტება 8-10 ნაბიჯზე. მერე სხვა მხრით გეიქცევა (მდრ. ორკვალობა).

კვანჩხა - ორიგინალური ტიპის სასმისი. კვანჩხას ამზადებდნენ როგორც ხისგან, ასევე ლიტონისაგან. ესაა ორი,

ცილინდრული ფორმის ერთმანეთზე მიტყუპებული პაწაწინა ქვევრები, რომელნიც შიდა ნახვრეტი უერთდებიან ერთმანეთს, კვანჩხას აქვს ტარი ან თითის გასაყრელი რგოლი. ზოგიერთი კვანჩხა წარმოადგენს სარიტუალო ნივთს და განკუთვნილი იყო წმინდა სასმელის საზიარებლად. არსებობს ღვინის, არყისა და ლუდის კვანჩხები. კვანჩხას როგორც ზიარი ტიპის ჭურჭელს, ანალოგი ეძებნება მარანთან, და შვილებიან ლიტრასთან. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ვერცხლის კვანჩხები - შემკულნი სხვადასხვა სიუჟეტებით. კვანჩხა განეკუთვნება კავკასიურ სასმისთა უძველეს ტიპს.

კვანჩხურა / კვანჩხულა / კვანჩხუა (რაჭ.) - ღვინის სასმისია, სახელურიანი ხის კათხა (იხ. ფრ., 201; შდრ. საბა: კვანჩხი, ქეგლ: კვანჩხა).

კუანჭილ-ი / ანჭი-კუანჭი - სვანური საწესო ყველისგულიანი კვერი - ცისკრის ვარსკვლავის სიმბოლო, სხვადასხვა დღეობების, განსაკუთრებით შუშხამისა (იხ.) და ლიფანალის (იხ.) რიტუალების აუცილებელი ატრიბუტი. განსხვავებით მზისა (იხ. „ქალ-ბაბჯრ“) და მთვარის (იხ. „ლაწდჷშ ლემზირ“, „კირკადოლ“) სიმბოლო-კვერებისაგან, რომელთა წარმომჩენი რიტუალები, შესაბამისად, დღისით და ღამით იმართებოდა, კუანჭილთან დაკავშირებული საწესო მოქმედებები უკლებლივ ყველა დღეობაში დილით, მზის ამოსვლამდე კარ-სარკმელ დახურულ სახლში სრულდებოდა. რიტუალის ერთი საინტერესო ვარიანტი შემდეგი სახისა იყო: ოჯახის უფროსი სარკმელთან მივიდოდა, დარაბას ოდნავ გამოადებდა, კუანჭილებით დატვირთულ ხელს გარიჟრაჟს გადაუშლიდა და დაილოცებოდა. შემდეგ დარაბას კვლავ დახურავდა და კვერებს დაუნაწილებდა ოჯახის წევრებს, რომლე-

ბსაც თავიანთი წილი მაშინვე უნდა შეეჭამათ, რათა რიტუალი მზის ამოსვლამდე დამთავრებულიყო.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939; ვ. ბარდაველიძე. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბ., 1953, გვ. 87-89.

კვარახჭინი / კვარახჭინა (რაჭ.) - ქალის ქუდი («ჩავაღე კარები, ჩაწკაპულან ქალები, ზოგსა ქუდი ახურია, ზოგსა - კვარახჭინები»). (შდრ. ღლ., სიტყვ. კონა: კვარახჭინა ქუდი).

კვართი - 1. პირვანდელი სამოსი. 2. ზედა საცვალი. წინა აზიისა და ევროპის ხალხთა ყველა სამოსი კვართიდან მომდინარეობს და მის ამა თუ იმ ვარიანტს წარმოადგენს. ქართველთა წინაპრების პირვანდელი სამოსი კვართის ერთ-ერთი სახეობა იყო. ქსენოფონტეს ცნობით (ძვ. წ. 434-353 წწ), ხალიბების კვართი თექისა ყოფილა და მათ პაიჭები სცმიათ; ხოლო მოსინიკებს ტანზე პატარა ნაქსოვი კვართები ეცვათ, რომლებიც მუხლამდე სწვდებოდათ, ხოლო თავზე ტყავის ჩაფხუტები ებურათ. კვართი უძველეს ქართულ ძეგლებში გვხვდება. ისტორიული ცნობებით, კვართი მრავალი საუკუნის წინ არსებობდა. ნათარგმნი ძეგლების დედანთან შედარება ცხადყოფს, რომ კვართი ბერძნულ „ქიტონს“ შეესატყვისება. უპირველესად, „მაცხოვრის კუართი სამეუფო უკერველ ზეით გამოქსოვილი ხელთაგან უბიწოდასა ღმრთისა დედისა“ მოგაგონდებათ. მოქსოვის გარდა, კვართს სხვადასხვა ქსოვილისაგანც კერავდნენ (ტილოს, ბამბის, ე. წ. მოვის, კუბასტის). სპეციალისტთა დასკვნით, ხევსურული პერანგის ძველი ქართული სახელი კვართი ყოფილა.

ლიტ.: ი. ციციშვილი, მასალები..., 1954:102-103; ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალ. კულტ., 1962:84-85; გ. ჩიტაია, შრომები, ტ. 4, 2001:178.

კვარკვალა (გლ.) / კვარკვალიტა (ქვ., ზმ.) - სარეველა პარკოსანი ბალახია. იზრდება ყანებში, სათიბებში, ღობეების გასწვრივ, - ცერცველა. (იხ. ქეგლ, ძოწ., ჩიქოვ., გაჩ.).

კვართი - გრძელი პერანგი. კვართი იყო როგორც სამღვდლო, ასევე სამეუფე. წარმოადგენდა ვიწრო სახელოებიან ტანსაცმელს. კვართისთვის იყენებდნენ სხვადასხვა სახის ქსოვილს. ქართული საეკლესიო ტრადიციით, ქრისტეს კვართის ადგილსამყოფელად მცხეთაა დასახელებული. კვართი საქართველოში ჩამოუტანიათ ქრისტეს ჯვარცმის მოწმე ქართველებრაელებს.

კვატი, კვატია (რაჭ.) - შინაური იხვი (იხ. ბერ., ქეგლ, ძოწ.).

კვატუმი (რაჭ.) - ნავისებური, დაბალქუსლიანი, სახელოურიანი ხის ჭურჭელი, გამოიყენებოდა ღვინის სასმისად. უმეტესად კვატუმი დაჭრელებულია, ამოდარული ზოლებითა და ტეხილი ხაზებით. გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოს მთიან ზოლშიც.

კვატუმი (რაჭ.) - 1. კათხის ფორმის მქონე, მოგრძობიანი ხის კოვზი იყენებენ წვნიანი შეჭამანდის ქვაბიდან ამოსაღებად, ქოთანში ლობიოს მოსაზულად და სხვ. 2. ღვინის სასმისი (ხისა). აქვს რამდენიმე განყოფილება (თვალი). ორთავალა კვატუმი, ოთხთავალა კვატუმი (იხ. ბერ., ქეგლ; ფრ.

კვანარახი (რაჭ.) - მოხარბული ტყემლის წვენი, დუღებით შესქელებული, - წუა. ძაან ჟავე რო იქნება, იმაზე ვიტყვით

კვანარახით არიო (იხ. ქეგლ, ძოწ., გაჩ.; შდრ. ჟღ.: კვანარახი).

კვანახური (რაჭ.) - კონახური. კვანახურსა ვკრიფამდი და ეკლები შემესვა (იხ. ქეგლ, მაყ.).

კვანია (იმერ.) - თიხის პატარა ქოთანი ლობიოს სადუღებლად.

კვანია / კვანიანა (რაჭ.) - პატარა ქოთანი. კვანიანაში ლობიო ჩაადგი. (იხ. საბა, ქეგლ, ძოწ., გაჩ.; შდრ. წერ.: კვინიანა).

კვაჭახური (რაჭ.) - ხისკედლიანი სახლის კუთხეში ერთმანეთზე გადაჭლობილი - ფიცრების გარეთ მოქცეული ნაწილი, - ჭლებო (იხ. საბა, ქეგლ, ალავ., ძოწ.).

კვაჭახურის ქვა - (იმერ.) - იგივე ყურის, კუთხის ქვა, გამოყვანილი სწორად, ამ ქვის სისწორის მიხედვით, იგებოდა მთელი კედელი, ლეჩხუმში „მუხუროს“ უწოდებენ.

კვახიწელა (რაჭ.) - ღვედებივით გრძლად დაჭრილი და გამხმარი კვახი. კვახს გავთლით, გულსა და თესლებს ამოვაცდით და ვიწრო გრძელ ნაჭრებად დავჭრით. გავკიდებთ თოკვებზე გასახმობად. ზამთარში საჭამადს ვაკეთებთ (იხ. ქავთ. I, გაჩ.; წერ.: წელა კვახისა).

კვახკაკალი (რაჭ.) - საღორე კვახის (იხ. საღორე კვახი) თესლი. ხმარობენ საჭმელად: კანს შემოაცლიან და ჭამენ (სამკურნალო თვისებებიც აქვს). კვახკაკლისაგან გოზინაყსაც (იხ. გოზინაყი) ამზადებენ და სართვიანებშიც ხმარობენ (იხ. კვახკაკლიანი, კვახუანი).

კვახკაკლიანი (რაჭ.) - სართვიანი, რომელშიც კვახკაკლის მასაა ჩართული.

საღორე კვანის თესლს მოვხალამთ, წმინდად დავნაყამთ, გავცრიტ, ცოტა წყალში ავზილამთ და ჩაურთამთ პურში. როგამოცხვება, ზეიდან კვანკაკლის ზეთს მოუსვამთ. გემბრიელიც არი და ყუათიანიც (მდრ. ბოხჩუანი).

კვანუჭა / კვანუჯი (ზმ., გლ.) - ქალამანია ერთგვარი (იხ. did., ქველ; მდრ. საბა, ნ. და დ. ჩუბ.: კოხუნჯი).

კვებო (რაჭ.) - 1. პატარა ფანჯარა ან თახჩა (კედელში) (იხ. did., ქველ, ქართ. დიალექტ., 685). 2. ბოსლიდან ნეხვის გასაყრელი სარკმელი, - ურდუმი (გლ.).

კვეთი -- რძის შესადელებელი წამალი - ყველის დედა.

კვეკვერი, ჭვეჭვერი (მეგრ.) - ახლად ამოყვანილი უმარილო ყველი. აღმ. საქართველოს მთიანეთში ასეთ ყველს „კუმკანას“ უწოდებენ.

კვეჟო (იმერ.) - ჭურისთავის საფარებელი აყალო მიწის საგლეხი ხის პატარა ურო (იხ. საგოზელა).

კვერი - პატარა ჩაქუჩი, ზოგჯერ ერთსახოვანი და ზოგჯერ განსხვავებული თავების მქონე. გამოიყენებოდა ხელოსნობაში. ჰქონდა სხვადასხვა ფუნქცია. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში კვერი ნიშნავს „საგვემელ იარაღს“, რომლითაც წარმოებს „კვერვა“ ან „სანგვა“. ქვითხურობაში გამოიყენებოდა პირდაპირი კვერიც, რომელსაც ახასიათებს ყურუმი//მასიური ტანი, კუთხოვანი მოყვანილობა, გამართული მხრები, აქვს ხის მრგვალი ტარი. მისი ფუნქციაა ქვის გათეგვა, ქვის მოლესილი ზედაპირის დაკბილვა. მისი პირები დაკბილულია (20-25 კბილი). კვერის ნაირსახეობაა ჩეკი//უჩარდა, რომელიც თავისი წამახული კბილებით ასრულებს ქვაზე საჩეკავ სამუშაოს.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

კვერი სადგინის (თუმ.) - მრგვალი ფორმის პური, რომელსაც მუაგულში ჩარჭობილი ჰქონდა მიტკლის ნაკუწმებშებმული პატარა ჯოხი, ამ კვერებს თუმეთში ურიგებდნენ იმ მხედრებს, რომლებიც მიცვალებულთა სულების სახელზე გამართულ დოდში იღებდნენ მონაწილეობას.

კვერი სულგუნის - სარიტუალო კვერი, რომელსაც წნავდნენ სულგუნის ძაფებისაგან. შემკული იყო სხვადასხვა სახის მოტივით. ძირითადად გავრცელებული იყო სამეგრელოს მეჯოგე-მესაქონლეებს შორის. მასში გამოხატულია განაყოფიერებისა და გამრავლების იდეა.

კვერი-ჩაქუჩი - მცირე ზომის კვერი, ჩაქუჩის ილენტურია. მესპილენძე ხელოსნის აუცილებელი ხელსაწყო. კვერი ორნაირია: მაღალთავიანი და დაბალთავიანი. იციან რისთვის რომელი კვერი იხმარება. რკინის ჩაქუჩთან ერთად ხელოსნები ხის ჩაქუჩითაც სარგებლობენ. ხის ჩაქუჩი ქვაბისა და თუნგის ზედაპირის გასასწორებლად, გადაკერებული ადგილების შესალამაზებლად იხმარება. ყოველი ხელოსანი 4-5 ცალი კვერით და ამდენივე რაოდენობის ჩაქუჩით სარგებლობდა.

კვერკვემი (ზ.რაჭ.) - ხის პატარა ურო, ოთხკუთხედთავიანი, რომელსაც სცემენ ლეკურაზე (იხ. ლეკურა) და ხლიან ყავარს.

ლიტ.: მსმხი, ტ. II. 1981

კვერკვემო (რაჭ.) - ხის კვერი; პატარა ურო. სხვადასხვა დანიშნულებით იყენებენ (მაგ., ყავრის სახდელად) (იხ. ბერ., ქველ; მდრ. საბა: კერკუეტი, ჯაჯან.: კვერკვეტი).

კვერნა//ყვერნა - ურმის ხელნას საბრუნავ ნაწილში ჩაყრილი ორი მრგვალი ჯოხი, რომლებიც ღერძს წაცურებისაგან იცავს.

ლიტ.: მ. გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, 1956.

კვერტუა - მოკლე შალის, ჩოხისებურად შეკერილი ტანსაცმელი. კვერტუას ქვეშ ზუჭუნას იცვამდნენ (გურია, იხ. ზუჭუნა).

ლიტ.: მასალები..., 1983:247.

კვერცხა ლობიო (რაჭ.) - იგივეა, რაც ჩიტაკვერცხა.

კვესი - რკინა-ფოლადის ნაჭერი, რომელიც ტალზე ჩამორტყმისას გაყრის ნაპერწკლებს და აანთებს აბედს.

კვიდოლა - მარცვლეულის საწყაო ლეჩხუმსა და სვანეთში. ლეჩხუმში ის 2,5 ფუტს იტევდა, რაც დამრგვალებულად 40 კგ-ს შეადგენდა, სვანეთში კი - 2 ფუტს (32,7 კგ). სვანეთში კვიდოლას, რომელსაც ქუფსაც უწოდებენ, მარცვლეულის გადასაზიდადაც ხმარობდნენ. ქუფი დღესაც არის დადასტურებული სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში. მოწნულ კვიდოლას მარხილზე დადებენ, შიგნიდან სელისგან დამზადებულ ქსოვილს გამოაკრავენ მარცვალი რომ დააკაოს. ქუფი გამოყენებული იყო პურის რეცხვის დროსაც. მარხილზე შედგმულ ქუფში პურის მარცვალს ჩაყრიდნენ, წყალს მიუდგამდნენ და გარეცხავდნენ.

ლიტ.: ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, 1969. გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობა სვანეთში // სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1970.

კვირიკობა (რაჭ.) - ეთნ. დღესასწაული იყო, ძვ. სტილით 22 ივლისს. ეძღვნებოდა ვენახის დაცვას ავი სულებისაგან. მათ დასაფრთხობად ოჯახის უფრო სადამოს ვენახში შევიდოდა და თოფს ისროდა, თან დააყოლებდა: ა-რუ-რუ-რუ კუდიანსა, მისი სვას და მისი ჭამოს ჩემსას ჯვარი დამიწეროსო.

კვირისტავა სხალი (რაჭ.) - საშემოდგომო მსხლის ჯიშია. ნაყოფი კვერცხისებური ფორმისა აქვს. ტკბილია (იხ. ბრეგ., 52; ძოწ.).

კვირისტავი - თითისტარის მამოძრავებელი ქვის ან თიხის მრგვალი და შუაში გახვრეტილი საგანი, რომელიც წამოცმულია თითისტარზე. კაცობრიობის ერთი უძველესი გამოგონებათაგანი. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებში უამრავი კვირისტავებია აღმოჩენილი, რაც ჩვენში მატყლის დამუშავების ხანგრძლივ კულტურაზე მიუთითებს.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

კვირტულა - ფარდაგი, რომელიც ჩეჩვის შემდეგ დარჩენილი დაბალხარისხოვანი ძაფით იქსოვებოდა.

კვიჭიჭა (რაჭ.) - ჩვეულებრივზე პატარა, წვრილი, ნორმალურად განუვითარებელი ნაყოფი (მაგ., ხეხილის, სიმინდის...) (იხ. წერ., ჟღ., ქეგლ, ძოწ.).

კიბორჩხალა (რაჭ.) - 1. წისქვილის ნაწილია, რკინის ორკაპი საყრდნობი, რაშიც ბორბლის ფეხი ტრიალებს (იხ. ქეგლ. კიბორჩხი; ბერ., წერ., ძოწ.). 2. (ქვ.) ხის გრძელი ორკაპი ჯოხი, რომლითაც ჩალის ზვინის დადგმისას ჩალის კონას მიაწოდებენ ზვინის დამდგმელს (მდრ. ქავთ. I: საჩალე).

კიბურა -- ვაზის ჯიში, განეკუთვნება ვარდისფერყურძნიან ჯიშთა ჯგუფს. თითო-ორიოლა ძირის სახით, მაღლარად ქედის რაიონში გვხვდება. გადმოცემებითა და დაკვირვებებით, კიბურა აჭარული ვაზის აბორიგენულ ჯიშთა წყებას მიეკუთვნება, რომელიც საუკუნეთა მანძილზე, ამ მხარის ეკოლოგიურ პირობებში აღზრდილა და აკლიმატიზებულია.

ლიტ.: მ. რამიშვილი, გურიის, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები, თბ., 1948.

კილობანი - სამეურნეო დანიშნულების ღვამი, რომელშიც ინახებოდა მარცვლეული, ფქვილი ან გამომცხვარი პური. შესაბამისად არსებობდა ერთბუდიანი, ანუ ერთთვლიანი კილობანიცა და კომბინირებული - ორ ან სამთვლიანი. კილობანს მჭიდროდ აგებდნენ თელის, ცაცხვის, ვერხვის, ნაძვის ან ფიჭვის მასალით. იყო კვადრატული ან წაგრძელებული ფორმის. კილობნის ოთხივე სვეტს მუხის ხისაგან თლიდნენ და ორ მხარეს ღარავდნენ ფიცრების ჩასაწყობად. ჩვეულებრივად ოჯახს რამდენიმე კილობანი ჰქონდა: გამომცხვარი პურის, ხორბლის ფქვილის, ფეტვის, ქონისა და ა.შ. შეძლებულ ოჯახს ათამდე კილობანიც კი ჰქონია. კილობანი სხვადასხვა სიდიდისა იყო, ზოგი კი იმოდენა, ზედ კიბით აღიოდნენ. ასეთი კილობანი ხშირად ბედლის ფუნქციასაც ასრულებდა. კილობნის ტევადობაც განსხვავებული იყო. ზოგი ოც ფუთ პროდუქტს იტევდა, ზოგი 120 ფუთს. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთიან კუთხეებში ჰქონდათ საკულტო დანიშნულების კილობნები, სადაც სარიტუალო კვერებსა და მსგავსი დანიშნულების მარცვლეულს ან ფქვილს ინახავდნენ. კილობნებს ამკობდნენ ორნამენტებით, განსაკუთრებით მათ წინა მხარეს, მაგალითად, გომეტრიული გა-

მოსახულებებით, ბორჯღალებით, ჯვრებითა და ა.შ. კილობანი სამზითვო ავეჯიც იყო და რძლის პირად საკუთრებას შეადგენდა. შემკული იყო ძირითადად გასხივოსნებული წრეხაზებით - ბორჯღლებით. საინგილოში კილობანი, რომელიც დედაბოძის მარჯვენა კუთხეში იდგა, უფროს მამაკაცს ეკუთვნოდა. კილობანი საახალწლო რიტუალის დროს წმინდა საგნად იქცეოდა. ოჯახის უფროსი მასზე ანთებულ სანთლებს მიაკრავდა და ილოცებდა. სვანეთში ერთ-ერთი დღეობის დროს („ქორა ლიმზირ“) ქალები აცხობდნენ კერისათვის შესაწირ პურს - „კიხვს“, რომელსაც „გვემში“ - ბედელში მდგარ კილობანში ინახავდნენ - ბარაქა იცისო, მეორე დღეს კაცების დაუნახავად გვემში შედიოდნენ, იღებდნენ კილობნიდან შესაწირ პურს და მიწაზე დამსხდარნი შეექცეოდნენ. ეს იყო მოსავლიანობისა და ბარაქიანობის გამომწვევი ერთ-ერთი რიტუალი. ამ მიზნით იყო, რომ კილობნები უმეტესწილად ინახებოდა სხვადასხვა სახის ჭრელებით და მაგიურ აპოთროპული დანიშნულების მოტივებით. ბარაქიანობის მონიჭების იდეამ შექმნა განსაკუთრებული მოკრძალებული დამოკიდებულება სანოვაგის ამ ტიპის სათავისის მიმართ. მთელ საქართველოში (განსაკუთრებით მთიან ნაწილში) მეტ-ნაკლები სიხშირით გავრცელებულია მოჭრელებული კილობნების საუკეთესო ნიმუშები, სადაც უმაღლეს დონეზეა წარმოდგენილი მხატვრული ხითხურობის ეს დარგი. ტერმინის „კილობანი“ სკივრის, ზანდუკისა და ლარნაკის ძველი ქართული შესატყვისია, რომელიც წერილობით ძეგლებში IX-X საუკუნიდან ჩანს.

ლიტ.: ლ. ბედუკიძე, ხალხური ავეჯი აღმ. საქართველოს მთიანეთში, 1973. ვ. ართილაყვა XVI-XVIII სს. მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1965. ნ. შოშიტა-

შვილი, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

კილანტარი (მეგრ.) - კელაპტარის თავისებური ტიპი, რომელსაც გამოიყენებდნენ მიცვალებულის წლისათვის ცერემონიალის ჩატარებისას. კილანტარი წარმოადგენს სწორად და მრგვალად გათლილ გრძელ ჯოხს, რომელსაც ზოლებად შემოხვეული აქვს შავი და თეთრი ფერის გასანთლული მიტკალი. გარშემო იქით-აქეთ პატარა სანთლები ჰქონდა დამაგრებული. წვერზე ედგა ფრინველის ქანდაკება. წლისთავზე კილანტარს ეზოში გაიტანდნენ და მიზანში ესროდნენ თოფს ფრინველს. ვინც მოახვდრებდა გამარჯვებულად ის ითვლებოდა და ჯილდოს მიიღებდა. ლიტ. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 2006.

კილემ გონწყუმა (მეგრ.) – „მკლავის გახსნა“ - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული მეგრული წეს-ჩვეულება - სამგლოვიარო მარხვის მოხსნის რიტუალი. იმართებოდა დასაფლავებიდან მესამე დღეს; დაკლავდნენ გოჭსა და ქათმებს, სხვა მონაცემით, ხბოს ან ცხვარს, გაამზადებდნენ სახსნილო სუფრას, მოიწვევდნენ ნათესავებსა და მეზობლებს, რომლებიც ჭირისუფალს ხორცზე კბილს მაინც დაადგმევინებდნენ. ამ დღიდან ხორცის ჭამა ყველა მომარხულეს შეეძლო. გარდა ამისა, „მკლავის გახსნის“ დღიდან ჭირისპატრონს სამგლოვიარო პოზაში, ანუ გულხელდაკრეფილი (ხეჭკურე) ყოფნა ეკრძალებოდა (როგორც ჩანს, ამას უკავშირდება აღნიშნული წესის სახელწოდება, თუმცა არის მისი სხვაგვარი ახსნის ცდაც). თუ „მკლავის გახსნის“ რიტუალი მარხვაში სრულდებოდა, სუფრაზე თევზი აუცილებლად უნდა ყოფილიყო. მართალია, ჭირისუფლის (მშობლებისა, და-ძმებისა და შვილების) ხორცის ჭამაზე დაყოლიება ძალზე რთული იყო (ხშირ შემთხვევაში, ისინი, ღრმა მწუხარების გამოსახატავად, ხორცს მთელი წლის მანძილზე არ გაეკარებოდნენ), მაგრამ წესი აუცილებლად უნდა შესრულებულიყო.

ლიტ.: ნ. აბაკელია. სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბ., 1997, გვ., 154-155; ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 7, გვ. 11-12 (ხელნაწერი ინახება ავტორთან); ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 287; გ. გოცირიძე. კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში. თბ., 2007, გვ. 335-336.

კიმპალი (რაჭ.) - 1. ყურძნის მტევნის ნამხრევი 3-5 მარცვლის შემცველი. 2. ცალკე გამობმული განუვითარებელი მტევანი 5-10 ბიმბილის (იხ.) შემცველი (იხ. ქეგლ, ძოწ., ბერ.).

კიმპალა (ქვ.) - ვაზის ჯიშია, შავ ყურძენს იხსამს. ღვინოს უქებენ (იხ. ფრ., 27).

კიმპალაობა (რაჭ.) - რთვლის შემდეგ ვენახში შემთხვევით აქა-იქ დარჩენილი ყურძნის კრეფა, _ მოკუფხვლა, მომცრევა (იხ. ქეგლ).

კინთა (რაჭ.) - 1. ფენის დასაბჯენი რიკი ბარის ტარში. ბარი კინთამდის ჩაყამდა (იხ. ბერ., ქეგლ). 2. გლ. ცელის ტარის სახელური – მოხრილი ან კუთხიანი ჯოხი, რომელიც ცელის ტარს შუა ნაწილში უკეთდება.

კინთა (რაჭ.) - 1. ფენის დასაბჯენი რიკი ბარის ტარში. ბარი კინთამდის ჩაყამდა (იხ. ბერ., ქეგლ). 2. გლ. ცელის ტარის სახელური – მოხრილი ან კუთხიანი ჯოხი, რომელიც ცელის ტარს შუა ნაწილში უკეთდება.

კინთი - ბამბის საპენტი ჯოხი.

კიპკიპა (რაჭ.) - ქათმის ორთითა მკერდის ძვალი, ქათმის ლავიწი, – საწინწკარა.

კიპორჭი (რაჭ.) - პატარა მდინარეზე გადებული მორი, რომელსაც ხიდად იყენებენ (ზოგჯერ ხელის მოსაკიდებელი ლატანიც აქვს დამაგრებული) (იხ. საბა, ბერ., ქეგლ, ძოწ.: კიპორჭიკი, გაჩ.).

კირი - საშენი მასალა, რომელიც ადრეულ პერიოდში ცემენტის მოვალეობას ასრულებდა. ქვიშითა და კირხსნართაა აშენებული საქართველოს საერო და საფორტიფიკაციო ნაგებობანი. ცემენტის გამოყენებამდე კირი წარმოადგენდა ძირითად საშენ ხსნარს, რომელსაც გამოიყენებდნენ სამშენებლო საქმიანობისას. კირი მზადდება საკირეში, კირქვის მასა გამოიწვება საგანგებოდა მოწყობილ ღუმელში. წყლის დასხმის შემდეგ იწყება მისი დაშლის პროცესი. დაშლილი კირი და ქვიშა შემდეგ შეიზილება ერთად და მიიღება სამშენებლო ხსნარი.

კირითხურო - (ძვ.) - ქვითკირის ნაგებობის მამშენებელი.

კირკადოლ-ი || **კირკადუ** || **კირკა-ლდუ** („გორგალი“) - სვანური საწესო პური - სეფისკვერის ოდენა გულცარიელი დისკოსებრი კვერი შუაში ნაჩვრეტი, ნაპირებზე მრავალი მუჭუართით (ქიმე-ბით); აცხოებენ ნაკურთხი წყლით შუშხუ-ამზე (იხ.) და ზომხაზე (იხ.) თითო ცალს, ხოლო ნათლისღებაზე - 7 ცალს. ნათლისღების გახვრეტილი და ბაწარზე აცმული კირკადოლები, რომლებსაც დიდმარხვამდე ინახავენ, წარმოადგენს დიდმარხვის სვანურ სიმბოლოს (შდრ. „ბობოლა“, „კონჭოლოზი“). დიდმარხვის ყოველ კვირა დილას ოჯახის რომელიმე წევრი აცმას ერთ კირკადოლს მოხსნის, მაღლიდან სამჯერ დააგდებს კერაზე და სამჯერვე იტყვის: „ასე ჩამოვარდეს აგდებული დიდი მარხვა“. შემდეგ ოჯახი პურს გაინაწილებს და „მიიღებს, როგორც ევლოგიას“ (ბ. ნიჟარაძე).

სვანები დიდმარხვის განმავლობაში ექვს კირკადოლს შემდეგი წესით ჭამენ: დაიბანენ ხელ-პირს, მარცხენა ხელში დაიკავენ პურს, თავზე გადაიდებენ და პირში მარჯვნივ ჩაიდებენ. მეშვიდე კირკადოლს შეაბამენ ლალაშზე (გოდორზე), რომლითაც ყანაში თესლი დააქვთ. თესვის დროს კი მის ნაფშვენებს თესლში გაურევენ. როგორც ჩანს, კირკადოლს, ლაწლქმ ლემზირთან (იხ.) ერთად, თესლის ბარაქიანობისა და პურეულის მოსავლიანობის გაზრდის ფუნქცია ჰქონდა. სავსებით მართებულია წერს ვ. ბარდაველიძე: „კირკადუ და ლაწლქმ ლემზირი... თავისი გარეგანი მოყვანილობით მნათობის გამოსახულებას ემსგავსებოდნენ. ამ საკულტო ობიექტების ამგვარი მნიშვნელობით დადგენა გასაგებს ხდის რიტუალის დეტალს: თესლის საცავ გოდორზე გარედან კირკადუს შებმით და შემდეგ თესლთან ერთად მის მიწისქვეშ მოქცევით ოდესღაც სვანი, უეჭველია, მნათობის ემბლემა-კვერს თესლსა და მიწასთან აახლოვებდა, რომ ამ გზით მათ მნათობის ცხოველმყოფელური ძალა განეცადათ და პურეული აღმოცენებულიყო“. ასეთ მნათობად მკვლევარს სავსე მთვარე მიაჩნია.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 98, 153, 206; ვ. ბარდაველიძე. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბ., 1953, გვ. 85-90; ბ. ნიჟარაძე. სვანების ზოგიერთი ჩვეულებანი და ცრუმორწმუნეობანი (შეკრებილია თავისუფალ სვანეთში) // ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე. თბ., 1973, გვ. 75.

კირკაჟი - მოხარშული და ამოუხელავი ლობიო, მარილითა და ნედლი ხახვით შეკაზმული.

კირკიმალა || **კირკიმალი** (რაჭ.) - გრძელი (2 მეტრამდე) ჯოხი, ძირში გაპობილი, რომელსაც ბავშვები ვენახის ღობეში გაუყრიან, გაპობილი თავით მტევნის ყუნწს მოგრეხენ, მოგლეჯენ და ყურძენს იპარავენ (იხ. ბერ.).

კირკიმალაობა (რაჭ.) - კირკიმალათი ყურძენის მოპარვა.

კირ-უკარუ || **კირ-უკირუ** („დაბმულ-დაუბმელი“) - მეგრული საახალწლო ფიგურული კვერები. პირველ იანვარს, სადილის შემდეგ, ოჯახის დიასახლისი დააცხობდა ვაზის მტევნის, ხელის წისქვილის დოლაბის, ბარის, ბაგას, საცეხველის, კაკუტის, ღორის, ძროხის, თხისა და კრუხის გამოსახულების კვერებს. ამ უკანასკნელს, ვიდრე გამოაცხობდა, ქათმის ნაკრტენს გაურჭობდა და რამდენჯერმე იმეორებდა:

ჩე ქოთომი, ჩელაია!

„თეთრო ქათამო, თეთრო!

ჩე მუნომირხიალე,

თეთრი შემომიბრწყინე,

ოში ანთასი ჩქიმი თის,

ასი ათასი - ჩემს ოჯახს,

აკა - მეზობელიშ თის!

ერთი - მეზობლის ოჯახს!“

შემდეგ, კვერებს გობზე დაალაგებდნენ, სამ სანთელს შემოუნთებდნენ და უფროსი მამაკაცი, ღვინით სავსე ჭიქით ხელში, უზენაესს საქონლისა და ფრინველის გამრავლებას, ჭირნახულის ბარაქას, ცოლ-მვილის ჯანმრთელობასა და ოჯახის კეთილდღეობა ევედრებოდა.

ლიტ.: ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 7, გვ. 9; И. Кобалия. Из мифической Колхиды // СМОМПК. № 32. Тф., 1903. გვ. 95.

კირჩხვინა (რაჭ.) - თმის დავარცხნა მსხვილკბილიანი სავარცხლით (იხ. წერ., გაჩ.).

კირცხალი (ქვ.) - ჭიშკრის ბოძი (მდრ. ბერ., ქეგლ: კირცხვლა).

კისრის ღვინო (ქვ.) - ღვინო ჭურის ყელსა და ბეჭებში (უფრო ნაკლები ხარისხისაა, ვინემ ჭურის წელში).

კიშტე, საკალტე - მოწნული, გრძელი, ოთხკუთხა ლასტი, რომელზედაც გაწურულ, მოზელილ და დამარილებულ ხაჭოს კვერებს აწყობენ. კიშტე კერის თავზე ეკიდა. ფშავში მას საკალტე გოდორსაც უწოდებენ.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

კიჩო - ხომალდის უკანა დაბოლოება.

კიჩოს ანძა - უკანა ანძა სამნავიან ხომალდზე.

კიციმ გინოხვამუა - მეგრული საქორწილო წეს-ჩვეულება - „კეცის გადალოცვა“. მეგრელები ქორწილისთვის, სხვა პურებთან ერთად, დიდი ზომის (დაახლ. 60-70 სმ. დიამეტრის) „თავ პურსა“ (დუღქობალი) და „თავ ჭვიშტარს“ (დუღჭვიშტარს) აცხობდნენ. მათ გამოსაცხობად, ბუნებრივია, ჩვეულებრივი კეცი არ გამოდგებოდა. საამისოდ სოფლის ყოველ უბანში ჰქონდათ საერთო სარგებლობაში არსებული რამდენიმე ე. წ. „თავი კეცი“ (დუღ კიცი). აღნიშნული კეცები ინახებოდა ქორწილგადახდილ ოჯახში. როდესაც კეცების წასაღებად მორიგი მექორწილე ოჯახის წარმომადგენლები მოვიდოდნენ, მათ საგანგებო სუფრას გაუშლიდნენ და სახლში რამდენიმე ახალგამომცხვარ პურს გაატანდნენ.

ლიტ.: ნ. ანთელავა. ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამეგრელოში. თბ., 2005, გვ. 165-166.

კიხვი - სვანური რიტუალური პური (იხ. „ჭაბგობ/ჭაბუკობა“).

კლარჯული - თეთრი ვაზის ჯიში, ასევე ვაზის ჯიში მაჭახლის ხეობაში. მშრალი მარცვლის გამო, ზამთარშიც ინახავდნენ. აღნიშნული ჯიში აჭარაში ახლაც გვხვდება და სუფრის ყურძნად ითვლება. სახელწოდების მიხედვით, კლარჯეთიდანაა გავრცელებული.

ლიტ.: თ სახოკია, მოგზაურობანი, 1985:224; ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობა, ბათუმი, 1974:46; ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონი, 2009:229.

კლერტი - მარცვალგაცლილი მტევნის დატოტვილ დეროს ეწოდება. ის მარვალგაცლილი ვაზის მტევნის//ტევნის სახელწოდებაა ძველ ქართულ ენაში და თანამედროვე ქართლ-კახურ-იმერულ კილოებში. საინტერესოა, რომ კლერტს სხვადასხვა სინონიმური ვარიანტი აქვს - ყლერტო//კეპტო//ბონძდი//ბუზუნვლო (იმერ.); ფორცხვი//ცინცხვი//ნაფხუწი (რაჭ.) და სხვა.

კლიტე - კარების ჩასაკეტი მოწყობილობა, იყო როგორც რკინის ასევე ხისაც. ქართულ საცხოვრისსა და სამეურნეო ნაგებობებზე დაფიქსირებულია კლიტეთა სხვადასხვა ტიპები, რომელთაგან ზოგიერთი თავისი არქეოლოგიით გამოირჩევა (იხ. დათვა-ბოყვა).

კობერი ქერი (რაჭ.) - რაჭაში გავრცელებული ქერის ერთ-ერთი სახეობაა, - მრავალმწრვიანი ქერი (იხ. ჯავახ. ეკ. ისტ., I, 353; მაყ.).

კობული - 1. ბელტების დასაშლელი იარაღი. **2.** მრგვალთავიანი კეტი, რომლითაც ყურძენს ტენიან საწნახელში.

ლიტ. ქელ. 2009

კოდალა (იმერ.) - ქართული ცულის ერთ-ერთი სახეობა. მისი ნაწილებია: ლითონის მოგრძო პირი (წინა და უკანა ნიღრებით) და ხელტარი. იხმარება ხის მოსაჭრელად, დასაჩეხად და მორზე „ნაცხვირის ამოსაღებად“.

კოდალი - საბავშვო, წვერწაუმახავი ისარი გურიასა და იმერეთში.

ლიტ. ქელ. 2009

კოდ-ბადაგნი - სახატო ლუდი (ჯვართ ენაზე).

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

კოდი - ხის დიდი კასრი ხორბლეულის, ყველის, ლუდისა და მისთანათა შესანახად.. კოდისთვის საუკეთესო იყო ცაცხვის ხე, რომლის ნამორს ამოხოწავდნენ სატეხებითა და სახვეწებით, გამოამრობდნენ კარგად და დადგამდნენ სახლში ან სამეურნეო სათავსში. აღმ. საქართველოს მთიანეთში კოდს ლუდის დასადუღებლად იყენებდნენ.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ქურჭელი, 1988;

კოდი ლუდისა - ლუდის საფუებელი ხის დიდი კოდი, რომელიც დგას საკოდში. იქ მიიტანენ ჩხუტებით სვიამიცემულ და გაფილტრულ სისწვენს, გაავსებენ კოდს (ან კოდებს), გადააფარებენ სუფთა ფარდას და შეუქმნიან სათანადო პირობებს, სადაც 6-7 დღის განმავლობაში დაიდუღებს ლუდი. კოდთან ხდება ლუდის სარიტუალო დალოცვა, ჯვარ-ხა-

ტიონის დღეგრძელობა, ხევსიბერი კოდიდან ლუდს პირველად ამოიღებს სახეცო კოჭობით, კოდზედაც და თასზედაც სანთლებს მიაკრავს და იტყვის ჯვარ-ხატიონის სადილებელ ლოცვას.

კოდის ტაბლა - ლუდიანი კოპდის გახსნისას გასამლელო სუფრა.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

კოდი(ს)ყანა (რაჭ.) - სახნავ-სათესი ყანის ფართობი, რაზედაც 1 კოდი (2 ფუთი) ხორბალი დაითესება.

კოდნი - ჭირ-ლხინისათვის მომზადებული ლუდიანი კოდები.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

კოდ-სამკურთხველო - კოდის ტაბლაზე მისატანი სარიტუალო ნამცხვრები.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

კოვზი - საქართველოში ნაირნაირი სახისა და დანიშნულების კოვზები იყო გავრცელებული როგორც ხის ასევე ლითონის. ხანგრძლივი დროის მანძილზე მოსახლეობა ძირითადად ხის კოვზებს მოიხმარდა, რომლისთვისაც სათანადო ჯიშის ხეები აღრიდანვე შეურჩევიათ და ფუნქციის მიხედვით გამოუყენებიათ. კოვზების ჯგუფში ერთიანდება მარტივად გათლილი ჯოხებიც, რომლებსაც კერძის დამზადებისას იყენებდნენ, ასეთ ჯოხებს მთიანეთში სარეველს უწოდებენ და რძის მოსარევედ ხმარობენ. დასავლეთ საქართველოში მას სუთი//კირზა//სარსარა, სარხე (სვან.) ჰქვია. ამავე ჯგუფში შედის ტოტეზიანი ჯოხები - სამკაპა//ფუცხი. ეს უკანასკნელი საბას განმარტებით „არის კაკო-

ელი რკინა ხორცთა ამოსადებელი“. ტოტეზიანი ჯოხები გამოიყენებოდა ფაფის, ფელამუმის, ლობიოს დასამზადებლად. ამ უკანასკნელი შეჭამანდისთვის, მისი პოპულარობის შესაფერისად, ასეთი ჯოხები უფრო მრავალფეროვანი იყო: მაგ: ლაფენა// ლაფერთხა (რაჭა,ლეჩხ. სვან.), ბურეჭყი (გურ), სამკაპალა//კიბორჩხალა (იმერ.) და სხვა.საქართველოს მთიანეთში ძალზე გავრცელებული იყო ბრტყელპირიანი კოვზები და მათ სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელები აქვთ. მაგ., ჩეკი, ჩოგანი, ხოწი, საკეპელა, კიზი, ლაფერა და განსაკუთრებით ორიგინალური ხევსურული ორნაწილიანი კოვზი - ე.წ. საფაფე//სარეველა. ეთნოგრაფიულ ყოფაში მრავალგან დასტურდება დახვრეტილ კოვზთა წყება ე.წ. ქაფქირები და სახინკლენი. მათი ნახვრეტების ფუნქცია დასამზადებელი საქმლის პრაქტიკიდან გამომდინარეობს. მაგ., საქართველოს მთიანეთში ხინკლის ქაფქირს ერთი დიდი ნახვრეტი აქვს, ხაჭოსას 3-4, ხოლო ხორცის საქაფ-ამოსადებს რამდენიმე. ქაფქირის მოყვანილობისაა ხის კოვზი ქიტი, რომელიც ღრმია, დაუხვრეტავი და წვნიანი კერძის საჭმელად გამოიყენება. ზოგადად მთელ საქართველოში გამოიყენებოდა ტარიანი და მოგრძოპირიანი სხვადასხვა სიდიდისა და მოყვანილობის კოვზები ნაირნაირი სახელებით. მაგ. ახვაფი (ხევს), ქიტი, ქიტურა, ქიტკოვზი (თუშ.), კონჩხა//კონჩხო (ფშავ. ხევ.) და სხვა. კოვზები იყო მრგვალი და ოვალური. იცოდნენ ხის, კამეჩის, თხის და ცხვრის რქისაგან კოვზების გამოთლა. საკოვზე რქას ხერხავდნენ, ცეცხლზე შეარბილებდნენ, დანით გათლიდნენ, ჭოპოანით გაფხეკდნენ. ხმარობდნენ ძირითადად მწყემსები.

ლიტ.: მ. ხარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი. - ძეგლის მეგობარი. 1988, №1.

კოთხო - ხის სასმისი. ამზადებენ ხის ქერქისაგანაც, დასავლეთ საქართველოში კოთხო მარცვლეულის საწყაოს წარმოადგენდა და ჩვეულებრივ 1/4 ფუთს იტევდა.

კოიტი (იმერ.) - ქუდის ტყავის სარჩული.

კოკა 1. საშუალო ზომის თიხის ჭურჭელი. 2. საწყაო. ქართლსა და კახეთში გავრცელებული კოკა დასავლეთ საქართველოს ყოფილი ხმარებული საწყაო ჭურჭლის - ჩაფის ანალოგიურია. კოკის როგორც საწყაო ერთეულის მოცულობა მერყეობდა რაიონების შესაბამისად.

კოკა ხისა - საწყლე ჭურჭელი. ძირითადად ამზადებდნენ კატრისა და ნადვის ხისაგან. ხის კოკა სამ პატარა ფეხზეა შედგარი და გააჩნია გვამი, ტანი და სახელურები. ამზადებდნენ ისე, როგორც კუტალს. ხის კოკა და კუტალი განსაკუთრებით გავრცელებული იყო მოსახლეობის ისეთ ფენებში, რომლებთაც ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდათ სპილენძის საწყლე ჭურჭლის დასამზადებლად. ხის კოკებს საქართველოს მრავალ რეგიონში ამზადებდნენ (ქართლი, კახეთი, მესხეთ ჯავახეთი და ა.შ.) სოფ. მამულაანში (ქვ. ქართლი) ამ ხელობით გამოირჩეოდნენ თაყნიაშვილები, რომლებიც მეტსახელად „მეკოკიანთ“ ეძახდნენ.

კოკალი, კოკორე - აბრეშუმის თესლიდან გამოჩეკილი ჭიის/“მურის“ კეცის ფორმის დასასმელი. აკეთებდნენ ნაცარმოყრილ მიწაზე თბილი წყლით მოხედილი ნაკელისა და ბზის ნარევით. დასავლეთ საქართველოში (გურია, იმერეთი, სამეგრელო) ჭია კოკალზე ერთ კანს იცვლიდა. კოკლებს მაგიდაზე ან ხის გრძელ სკამებზე ერთმანეთზე შედგამდნენ - ააკოკოლებდნენ ან ერთმანეთის გვერდით

ათავსებდნენ. ჭიას რომ არ შესცივროდა, შალით ფუთავდნენ და კერასთან ახლოს დგამდნენ. კოკლებზე სამ-ოთხ დღეში გამოდიოდა პირველი ასაკის ჭია.

ლიტ.: ნ. აბესაძე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, 1957.

კოკოზა - სათევზაო გოდორი, წოწოლა მოყვანილობისაა, პირი შიგნით აქვს ჩაბრუნებული. დაწულ კოკოზას ჩქერებში დგამდნენ, გვერდებზე დიდ ქვებს შემოუწყობდნენ. თევზი კოკოზას ჩაბრუნებულ „ყელში“, ანუ „პირში“ თავისუფლად შედის, მაგრამ იქიდან ვეღარ გამოდის.

ლიტ.: თ. ჩიქოვანი, მესხეთი, 1979.

კოკონცხა - (იმერ.) - წვრილძირიანი კონუსური ფორმის გოდორი, რომელიც გამოიყენება ჭაჭიანი ჭურიდან ღვინის ამოსაწურად. იწვნება გათლილი თხილის ტკეჩებისგან. ღვინის გადაღებისას როცა ფსკერისკენ ჩასული ჭაჭის მასა ორშიმოს აღარ უშვებს სიღრმეში, მაშინ ჭაჭაში ჩადებენ კოკონცხას, მაგრად დააწვებიან და მასში შესულ წვენს პატარა ორშიმოთი ამოიღებენ.

კოკომა - 1. ვერცხლის გრძელტარიანი სასმისი (ხევს.); 2. სახვნელის ნაწილი, მოხრილი ხე, რომელიც მასრის თავშია გაყრილი და ხელს უწყობს ხნულის გაღრმავებას. ცნობილია სხვა სახელწოდებებითაც: **კაკუჭა** (რაჭ.), **საცორავი** (სამცხ., ქვაბლ. ხეობ., შ. ქართლ., ქსნ. ხეობ.); 3. მცირე ხაპი, სათლიდან ღვინისა და წყლის ამოსაღები (იმერ., ქიზიყ., ფშ.); 4. ორყურიანი თიხის ჭურჭელი ან გულამოდებული გოგრა, რომელშიც აკვნიდან გამონადენი ბავშვის მარდი ჩაედინება.

ლიტ. ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონი. თბ., 1990.

კოლო დღალეფი (მეგრ.) – „მწარე დღეები“ - ასე იწოდებოდა სამეგრელოში ოთხშაბათი და პარასკევი, ანუ მარხვის დღეები, რომელთა დროს საფლავზე გასვლაც იკრძალებოდა.

კოლოტი - ტყავის ჭურჭელი, რომლითაც ღვინოს გადაიტანდნენ. საკოლოტედ შეარჩევნ ასაკოვან ხარს. დაკლავენ ზაფხულის დამლევს, სანამ საზამთრო ბაღნით შეიმოსებოდეს. გაატყავებენ დიდი სიფრთხილით, რომ არსად გაიჭრას, შემდეგ ტყავს ნედლი ჯოხებით გასნიპავენ, დაჭიმავენ, ბოლში გამოიყვანენ, ორი სამი თვის შემდეგ, გამხმარ ტყავს დააღობენ, ბალანს გაცლიან, დაზულენ და ბალანგაცლილი პირით შიგნით მოქცეულს გვირისტით შეკერავენ. ხმარების შემდეგ გამოაშრობენ და მშრალ ადგილას ჩამოჰკიდებენ. საშუალო კოლოტი ჩვეულებრივ 10-15 ფუთ ღვინოს იტევდა.

ლიტ.: ლ. ფრუიძე, *მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში, 1974. ნ.ჯ.*

კოლოტი (რაჭ.) - ყურძნის ტკბილის გადასაზიდი ტიკი (ჩვეულებრივ მოუკუპრავი) 5-6 კასრის ტევადობის (იხ. საბა, ნ. და დ. ჩუბ., ქეგლ, გაჩ.).

კომარა (რაჭ.) - ჯიხვი. რაჭველი მონადირეები განარჩევენ ჯიხვის ორ სახეობას – კომარასა და ლაფურ ჯიხვს. კომარა ჯიხვი ლაფურზე უფრო დიდია, მოკლე და უკან გადაღუნული რქებით (იხ. რობაქ., 28).

კომბალი - მწყემსის ჯოხი, რომელსაც თავში აქვს პატარა კაუჭი ცხვრის დასაჭერად.

კონტუღცი (*ქართლ.*) - მოკლე, ორტაბიკიანი უღელი, რომელსაც აქვს „საქედური“, მას უმეტესადჯიუტ მოზვერს ადგამდნენ, რათა მოზვერი „გამოქნი-

ლიყო“, მოთვინიერებულიყო.

კონჩოლი - სამარხვო საჭმელი ერთგვარი. ზეთში ჩაყრიან ხახვს, ჩაფშვნიან პურს, დაასხამენ ძმარს და მიირთმევენ.

კონჩხა (ხევს.), კონჩო (ფშ. თუშ.) - მრგვალი, ღრმა, ყურიანი უფხვო ხის სასმისი. გამოიყენებოდა წყლისა და რძის სასმელად. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მისი ანალოგიური სასმისებია: ქვიშინა (ლეჩხ.), კვანჩხი (რაჭ.), ჩაყვა (სამეგრ.). საუკეთესო კონჩხა მზადდებოდა პანტისა და ველური მსხლის ხისაგან. მონადირეების კონჩხა ტარში განვრეტილი იყო, ქამარზე იკიდებდნენ და ხმარობენ წყლისა და არყის დასალევად. ერწო-თიანეთში კონჩხას ყურიან ხის ჭიქასაც უწოდებენ. ზოგჯერ ორი კონჩხა მილით ერთმანეთსაა შეტყუპებული და ერთი რომ იცლება მეორედან გადაედინება.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

კოპალი (იმერ.) - ქამარზე დადებული მრგვალ-მრგვალი ნაჭერი ვერცხლისა (ვ. ბერ.)

კოპაჭური - თავკომბალა ჯოხი, თიხის ჭურჭლის შენებისას შიგნიდან უხვედრებენ რბილი ნაკეთობა რომ არ დაინგრეს.

კოპე / კოპი (ლეჩხ.) - ურმის ნაწილი - მორგვი.

კოპე (გურ., აჭარ) - მწარე, მაგარკანიანი გოგრისგან გაკეთებული ჭურჭელი ქვევრიდან ღვინის ამოსაღებად (ს. ჟღ; დიალექტ. 638)

კოპი (ინგილ.) - ბრინჯის დასათესად გამოზადებული ფართობის დანაყოფი ნაკვეთი, უჯრა (დიალექტ., 619).

კოპი (ქიზიყ.) – ჩიხტა-კოპის შემადგენელი ნაწილია: ჩიხტში (იხ.) ჩასადები გალუული ნახევარი მთვარის მსგავსი ატლასში ან სატინაში შეკერილი ბამბის რკალი ლეჩაქის (იხ.) დასამაგრებლად (ს. მენტემ.).

კოპი (ქართლ., მთიულ., ქიზიყ.) - ქალამნის ამოსასხმელი თასმა, წვრილად დაჭრილი ტყავი (ლიტ. ნახე კილო-თქმაში)

კოპი (დას. საქ.) – 1. ჩიხტაში ჩასადები „ქართული თავზურვის“ ელემენტი. მასალად გამოიყენებოდა რბილი და ღია ფერის ქსოვილები, უპირატესად სატინა და ატლასი. ნახევრად რკალისებური ფორმის მისაღებად ვიწრო და ირიბ ნაჭერს ბამბით გამოტენიდნენ ისე, რომ მისი შუა ნაწილი, ბოლოებთან შედარებით მომსხო ყოფილიყო. კოპსა და ჩიხტას გვერდებზე ქინძისთავებით ლეჩაქ-ბადდადებს ამაგრებდნენ. ჩიხტასთან ერთად კოპიც საოჯახო პირობებში მზადდებოდა, ლეჩაქ-ბადდადებად კი ოსტატის ნახელავს ამჯობინებდნენ. 2. ქალამნის ნაწილი, წვრილი თასმა, რომელიც ღვედისგან არის გაკეთებული და ქალიმბადის ამოსასხმელად გამოიყენებოდა.

კოპი - თავსაბურავის ელემენტი, რომელიც რკალისებური ფორმისაა. ვიწრო და გრძელ ნაჭერში ნეკის სიმსხო ბამბას ათავსებდნენ და ისე კერავდნენ, რომ კოპი შუაში მსხვილი ყოფილიყო, ბოლოებისკენ - თანდათან დავიწროებული. კოპი ჩიხტში ზემოდან თავსდებოდა და ამით ივსებოდა მისი ზედა ნაპირი. ჩიხტზე გადაფარებული ლეჩაქი კი, შუშისთავიანი ქინძისთავებით კოპზე და ჩიხტის ნაპირებზე მაგრდებოდა.

ლიტ.: ნ. გვათუა, ჩაცმულობის ისტორიიდან, 1967:26.

კოპიანი ნალი (გლ.) - ნალი, რომელსაც ამობურცული კოპები აქვს. ზამთარში კოპიანი ნალით იჭდება ხარი, ზაფხულში - ქართული ნალით.

კოპინა (მესხ.) - წყლის სასმელი ხისა.

კოპის ყური (ქიზიყ.) - ჯარის (სართავი იარაღის ნაწილი, მოუქნელი ტყავის ყური (ს. მენტემ.)

კოპიტი (შ. ქართ.) - ქართული ცულის ერთ-ერთი სახეობა.

კოპური (იბერ.) - ირგვლივ ნაოჭასხმული ქალამანია.

კორაკინა, კოროვანი (კახ.) - მოწნული გოდორი, მასში ჩასვამენ ახლად დაბადებულ ბატკანს. კორაკინა იმ სიმაღლეა, რომ ვერც ბატკანი ამოხტება იქიდან და ვერც სხვა ჩაუხტება. ცოტა რომ მოჩიტდება, საბატკნეში გადაიყვანენ.

ლიტ.: სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943, კორვა \\ კორუა \\ კარვა (რაჭ. სვ.) - ხის საწყაო ფქვილისა და მარცვლეულისათვის.

კორვა (რაჭ.) - ხის პატარა ჭურჭელი (დაახლოებით ერთი ლიტრის ტევადობისა) (შდრ.ბერ., ძოწ.: კორუა).

კორთაი (ხევი) - სათავსი. სახლის-სამყოფოს კუთხეებში ამოჭრილი ბრტყელი ქვებით მოპირკეთებული. იხმარებოდა სხვადასხვა ნივთების დასადებად.

ლიტ.: ვ. ითონიშვილი, ხევი ძველად და ახლა, 1967.

კორთე || **კორთეი** - (ინგ.) - ხის თარო კედელთან, რომელზედაც ჯამ-ჭურჭლს აწყობენ.

ლიტ.: მ. ჯანაშვილი. ახალ-წლის მიგებება საინგილოში. – „ივერია“. 1887, № 1.

კორკოტი - ხორბლისაგან დამზადებული ფაფის საკვები. მზადდებოდა კანგაცილი დაღერდილი მარცვლისაგან. ეს კერძი, ისე როგორც წანდილი (იხ.), საწესო-სარიტუალო საკვებია. ამზადებენ შობას, სულთმოფენობას, კვირაცხოვლობას, მიცვალებულის „თავზე“, „ორმოცზე“, „წლისთავზე“. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მიცვალებულის სახელობაზე და ახალი წლის დღესასწაულზე მომზადებული კორკოტი ბუნების აღორძინებისა და მთელი წლით სიკეთის დაბეჭების პრაქტიკული იდეით იყო გამსჭვალული. ლიტ.: გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში, 2007. ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმ. ისტორიიდან, 1941.

კორმეჭი (რაჭ.), **მურკლი** (ქიზიყ., ინგილ.), - ცომსა, ფაფასა, თათარასა და ფელამუშში მოუზელავად ან გაუქნელად დარჩენილი პატარა ფქვილის მკვირივი გუნდა, – მურკლი. (იხ. ვ. ბერ., ქეგლ).

კორნე - სწორი ფიცარი, რომელსაც ჰქონდა მოწნული გვერდები. აკვანში ჩაწვენამდე ერთი კვირიდან ათ დღემდე ჩვილს ამგვარ საწოლში აწვენდნენ (იხ. ხოჭიჭი).

კოროლი (რაჭ., ლეჩხ.) პურის (ზანდურის) ღეროები; ძველად სახლის სახურავად ხმარობდნენ. (იხ. ვ. ბერ., მ. ჩიქ., დიალექტ.).

კორჩიოტა - იმერეთსა და შიდა ქართლში წისქვილის პატარა ქვების სახელია. ბუჭულაზე უფრო მცირე (იხ. ბუჭულა).

კოტა (რაჭ.) - 1. კედლისა და იატაკის ფიცრებში ჩასმული რიკები სიმტკიცისათვის და სწორად შესაერთებლად. 2. უღელში ჩასმული ორი რიკი, რომ საზიდი უღლის შუაში გააჩეროს. უღლის კოტაები (იხ. ქეგლ, ბერ., ძოწ.; შდრ. წერეთ., ნიქარ., ალაჰ.).

კოტეტი (ლეჩხ.) - საგანგებოდ გამომცხვარი პურის მრგვალი თავი (მ. ალაჰ., 1).

კოტი-კოტი! (რაჭ.) - შეძახილი ხბოს მოსახმობად.

კოტინა (რაჭ.) -პატარა ხბო. მოსახმობადაც ხმარობენ: კოტინა-კოტინა! (შდრ. ქავთ., II: კოკინა).

კოტიობა (ქართლ.) - იგივეა, რაც ლაზარობა, მხოლოდ კოტიობა ავდარში იციან, რომ გამოიღაროს. (კირიონი).

კოტიტა (რაჭ.) -პატარა ხბო.

კოტორი (რაჭ., ოკრიბ.,) - 1. საყავრე, ხის სინჯი ერთი-ორი მტკავლის სიგრძისა. 2. ყავრის სიგრძის ნამორი, რომელსაც ყავრად ხდიან (იხ. რაჭ. ლექსიკ.); 3. ბერ., გაჩ.); 3. თუშეთში ქადა (თ. უთურგ.), ერბოწასმული კვერი (ს. მაკალ.); 4. ფშავში - პურის ნატეხი, ყუა (ვაჟა-ფშავე.); მთიულეთში - პატარა მამული (ლ. კაიშ.); ხევსურეთში - 1. მცირე ზომის მამული, პატარა მიწის ნაკვეთი; 2. ნაქარგის სახეა ერთგვარი (ალ. ჭინჭარ.).

კოტომი - რქის ჭიქა, სისხლის მოსაზიდი ჭურჭელი. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, კოტომი მიზიდვით სისხლის გამომღებელი ჭურჭელია. ძველად კოტომად მოკლედ გადაჭრილ, ვიწრო და ბოლოგახვრეტილ საქონლის რქას ხმარობდნენ. ამჟამად კი ჩვეულებრივ მინის ქილას იყენებენ. რქის კოტომი, სვანურად „კობ“ ყანწის მსგავსი ჭურჭელი,

ოღონდ ბოლო აქვს მოკვეთილი. რქას ნუნს წააგდებინებდნენ, ცხელ წყალში ან ნაღვერდალში დაალობდნენ, გათლიდნენ, შემდეგ გაფხვკდნენ, შიგნიდან გამოასუფთავებდნენ ხვეწით და სასურველ ფორმაზე გადაჭრიდნენ. საქონელს ავადმყოფობის დროს, დაჟეჟილ არეს ბასრი დანით მსუბუქად დაუსერავდნენ. რქის კოტომის განხრეტილი ბოლოდან ჰაერს ამოწოვდნენ და ნახვრეტს გამდნარი სანთლით დაგმანავდნენ. კოტომის შიგნით ვაკუუმი იქმნებოდა, რის შედეგადაც იგი მჭიდროდ მოეკიდებოდა ხორცს და სისხლს შეიწოვდა, დასერილი არიდან ცუდი-არამი სისხლი გამოვიდოდა. რქის კოტომში საქართველოში თითქმის ყველგან იყო გავრცელებული. მას იყენებდნენ როგორც საქონლის, ასევე ადამიანის დაჟეჟილი სხეულის სამკურნალოდ.

ლიტ.: ნ. მინდაძე, ქართული ხალხური სამედიცინო ტრადიციები კახეთში, 2005.

კოფა (რაჭ.) - სარწყული ჭურჭელი. ფიჭვის ხისგან ამზადებდნენ. კოფა ფიჭვის თუნგივით იყო.

ლიტ.: რაჭული ლექსიკონი.

კოფიო (რაჭ.) - საწყაო იყო, დაახლოებით ნახევარი ბათმანი ჩადიოდა (იხ. ბერ., ქეგლ, შდრ. ძოწ.).

ლიტ.: რაჭული ლექსიკონი.

კოში - სალუდე ქვაბიდან წვენის (სისწვნის) გადასაღები ხის ტარიანი ჯამისებური ჭურჭელი. საპატიო სტუმარს კოშით მიართმევდნენ ლუდს, რაც დიდ დაფასებად ითვლებოდა.

კოშკი - კოშკი გალავანშია ჩამუნებული ან ცალკე დგას. იგი ვიწრო და მაღალია. საქართველოში ორიდან რვა სართულამდე კოშკებს აგებდნენ. კოშკი არის გეგმით კვადრატული, ცილინდრული, ზურგიანი (გეგმაში მისი ერთი მხარე ნახევარწრიულია), სწორუთხა, მრავალკუთხა, წრიული. სიტყვა კოშკი ქართულ წყაროებში XI ს-დან გვხვდება, მანამდე ასეთ ნაგებობას უწოდებდნენ გოდოლს, სვანეთში „მურყვამს.“ კოშკი დროის მიხედვით აღჭურვილი იყო სალოდეებით, სათოფეებით, საზარბაზნეებით. ფეოდალურ ხანაში მთავარი სიმაგრე ციხე-ქალაქი იყო, მაგრამ ციხეების გარეშე ის თავის მოვალეობას ვერ შეასრულებდა. ციხე სახელმწიფოს ეკუთვნოდა, ხოლო ციხე-დარბაზი - კერძო პირს, ფეოდალს. ამ სიმაგრეებს სჭირდებოდა მაკავშირებელი, რომლის როლსაც ცალკე მდგარი კოშკი ასრულებდა. ამით ქვეყანაში იქმნებოდა თავდაცვის ერთიანი ჯაჭვი. თუ სახელმწიფო ძლიერი და ერთიანი იყო, ჯაჭვი მოქმედებდა და მტერი შეუმჩნევლად ვერ დაესხმებოდა. ციხეები და მათი მაკავშირებელი კოშკები ისე იყო განლაგებული, რომ ერთმანეთს უცქეროდა. ასეთი განლაგებისას საზღვრებზე მტრის გამოჩენისას იქვე მდგარი ციხის კოშკზე აინთებოდა კოცონი. მომდევნო კოშკის გუმაგი ცეცხლის დანახვისთანავე თვითონაც აანთებდა კოცონს და ასე, კოშკიდან კოშკს, სიმაგრიდან სიმაგრეს გადაეცემოდა სიგნალი, რომელიც სწრაფად აღწევდა ცენტრამდე. ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენის შემდეგ ცეცხლს თოფი და ზარბაზანი ცვლიდა. კოშკური კულტურა განსაკუთრებით განვითარდა სვანეთში.

ლიტ.: პ. ზაქარაია, დასურათებული ლექსიკონი, 2008; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

კოჩაბანდი (ქვ.რაჭ.) - ხის საწოლი. კოჩაბანდი ხის სვეტებიანი საერთო სა-

წოლია. გასდევდა კედლის 3/4 ნაწილს. სვეტები ეყრდნობოდა „ძირა კოჭებს“, რომელზედაც დაგებული იყო კოჩაბანდის იატაკი, ხოლო „თავ-კოჭებზე“ ქერი. საწოლის წინა სვეტები თაღებიანი იყო. თაღებისა და სვეტების ზედა ნაწილს ჩუქურთმები ამკობდა. კოჩაბანდი შეძლებული, გაუყოფელი, დიდი ოჯახების საწოლი იყო. ღარიბ ოჯახებში კოჩაბანდის შემცვლელს სკამ-ლოგინი წარმოადგენდა, რომელიც აგრეთვე მთელი კედლის გაყოლებაზე კეთდებოდა. დიდი ოჯახის პირობებში ასეთი საწოლი იყო ორი - კაცებისა და ქალებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საწოლი არ იყო დაყოფილი, მასზე ყველას ჰქონდა მონიშნული თავისი ადგილი.

ლიტ.: ა. კიკვიძე, „შუა-სახლი“ რაჭა-ლეჩხუმში, ენიმკის მოამბე, ტ. V-VI, 1940; ლ. ბედუკიძე, ხის ავეჯი რაჭაში, სსმმ, XLII-B, 1997.

კოჩაბანდი (ქვ. რაჭ.) - ძველ სახლში ხის საწოლი იყო კედლის გასწვრივ; თაღებიანი სვეტები ჰქონდა ჩუქურთმებით. რამდენიმე კაცი იძინებდა. (იხ. შინამრეწვ., I, 339; ბერ.: ქოჩაბანდი).

კოცხანა (ქვ. ღაჭ.) - ვაზის ჯიშია ერთ-ერთი (იხ. ფრ., 27).

კოწიწი (ქიზიყ.) - ჭურჭლის საწებავი ნივთიერება: 1. რძეში გახსნილი კირი. რძეში გახსნილ კირში ბამბას გააჟივებენ და მიაკრავენ გატეხილ ჭურჭელს, რომელიც გამრთელდება და სითხე აღარ გაუვა; 2. კვერცხის ცილა. რომელშიც ბამბას გააჟივებენ და იმგვარადვე ამრთელდებენ ჭურჭელს. ამჯობინებენ რძე-კირის კოწიწს (ა. მენთემ.). შღრ.: საბა, ნ. ჩუბინ., დ. ჩუბინ., ქეგლ.

კოჭი - გრძივი ძელები, რომლებიც დატანებულია სახლის კედელში და რომლებზედაც დაიგება იატაკი და ლამფა.

კოჭი / კოჭა (რაჭ.) - ურმის ყბებში ან მარხილისფეხებში (იხ. მარხილისფეხი) ჩასმული 70-80 სმ სიგრძისმანჭო, - ქალი, თითოეული მხრიდან ორ-ორი. კოჭებს შორის თავსდება ტვირთი - შეშა, აჭრილი სიმინდი, თივა და სხვ.

კოჭაობა - კოჭით თამაში. ცხვრის კოჭს აქვს ოთხი მხარი: ალჩუ, თოხანი, თაფი, ჭიკი. გადაგდებისას რომელ მხარესაც დაჯდება, იმის მიხედვით განისაზღვრება მოგებული.

კოჭობი - საჭმლის გასაკეთებელი სადღუღარი ჭურჭელი. ქოთანზე მომცრო. აქვს ფართო პირი და ყურები ხელში მოსამარჯვებლად. კოჭობით ყანაში გასული მუშებისათვის კერძიც მიჰქონდათ.

კოჭობი სახუცო - ლუდის სასმისი, ვერცხლის სარიტუალო თასი, რომელსაც შებმული აქვს ხალხისგან შეწირული სხვადასხვა სამკაული: მონეტები, ყაწიმები, შიბები-ძეწვები და სხვა. სახუცო კოჭობი წმინდა ჭურჭელია და სასმელი ჭურჭლებიდან მხოლოდ იმითაა ნებადართული კოდიდან ლუდის ამოღება. თუ ადამიანი ცოდვილია, თავის თავს ვერ მისცემს ნებას სახუცო კოჭობიდან ლუდი დალიოს. არის წესი, როცა განსაკუთრებული კრძალვის ნიშნად კოჭობს მიწაზე დადებენ და მუხლებზე დამდგარნი ლუდს დახტუნებით დალევენ. ამ ჭურჭლის საკრალურ დანიშნულებას ხაზს უსვამს ის გარემოებაც, რომ მას წელიწადში ერთხელ გამოაბრძანებენ, რასაც ხალხი მუხლმოდრეკით შეხვდება. ეს თასი თავისი სიმბოლური არსით ზეციური წარმოშობისაა და ციდანაა ჩამოსული, ღვთისმშვილთა ნიშანს წარმოადგენს და მისგან აღმოცენდება ჯვარხატი. „ეს ცით მოსული ხატი“ (ანუ ჯვრის ნიშანი), რომელიც ეკვრის სახუცო კოჭობის კიდეს, მტრედის სახით ეცხადება საყმოს. თასს განსაკუთრებული

ძალა ენიჭება ხევისბერის ხელში, ხოლო მასზე მიკრული სამკაულები დიდიპატივისცემის ნიშანია. სახუცო კოჭობიდან თემის წევრები მოსვამენ ლუდს, რითაც სიმბოლურადაა გამოხატული თემის ერთიანობის იდეა.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ქართული ლუდი, ეთნოლოგიური ძიებანი, ტ III, 2007.

კოხი - მაგარი შედგენილობის ჯიშის ქვა, რომლისგანაც სხვადასხვა ნივთს ამზადებენ. კოხი სინოტივეს არ ინარჩუნებს, ხავსი არ ეკიდება, არის თეთრიცა და ლურჯიც, მოწითალოცა და მოყვითალოც. წითელი და თეთრი კოხებით მოჭედული იყო კვერები.

კოხინჯრობა / კოხინჯობა (აჭ.) - დღეობა იყო კოხისაგან დასაცავი. გაზაფხულზე (ძვ. სტილით 7-8 მაისს) იხდიდნენ (იხ. წერეთ., ქეგლ, ძიძ., ჩიქოვ.).

კოხუჯი (ხევი), **კვანძური**(კახ.), **ჯღანი**(ჯუთა, ხევის.) - უხეში ქალამნის ტიპი. ასეთი ქალამნის ამოსხმის დროს საკერავი თასმა ხელში იგრიხებოდა, რათა ხმარების დროს კოპს (იხ.) მეტი სიმაგრე ჰქონოდა. ერთ თვალში გაყრილი კოპი უკანვე ბრუნდებოდა და კოპები გრეხვით ერთმანეთზე იდებოდა. ერთი კოპი ნაჩვრეტში გადიოდა და ასე მეორედებოდა ქალამნის ამოსხმის დასრულებამდე. კახელები კოხუჯს უწოდებდნენ უმნოდ ამოსხმულ, გაცვეთილ და გამხმარ ქალამანს.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

კრაზანა - ერთგვარი მცენარე, რომელსაც ჭურის სარეცხად ხმარობენ შემოდგომის პირას, როცა ეს მცენარე ზრდა-განვითარებით მთლიანად დას-

რულებულია მოჭრიან, შეკრავენ მაგარ კონებად და რთვლამდე შეინახავენ. ჭურების რეცხვის წინ წყალში დაალბობენ „კაცის მაჯის სიმსხოზე“ თავბოლოშექცევით დაალაგებენ. შუაგულში მანუელის „ღვლეჭს“ მოუჭერენ, შემდეგ წრიულად მომშვილდავენ, კანაფს დაამაგრებენ და მისი გაფშეკილი მაგარი ბოლოებით ხეხავენ ქვევრის ზედაპირს.

კრაზანის სარცხი (რაჭ.) - ჩასავალი (იხ.) ჭურის სარცხი. კრაზანა ბალახის მაჯის სისხო კონას რკალივით მოხრიან და მჭიდროდ შეკრავენ. ჭურის მრეცხავს ორივე ხელით უჭირავს სარცხი და ჰორიზონტალურად, აქეთ-იქით მოძრაობით რეცხავს ჭურს.

კრამიტი - სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობების გადასახური. მეკრამიტეთა საქმიანობა კრამიტის თიხის გახმობა-დალბობით იწყება. დაწეული თიხა გაბრტყელდება და მოსუფთავებულ სოხანეს თხლად დაეკვრება. გაბრტყელებული თიხის შუაგულში მარცხენა ფეხს დააბჯენენ და მარჯვენა ფეხის ქუსლის ცემით ირგვლივ შემოვლას დაიწყებენ. ქუსლისავე დახმარებით თიხას ნაწილებად დაჭრიან და შლამმოყრილ დაზგაზე გუნდებს დააწყობენ. ამის შემდეგ ხდება ხელით დარჩევა, რათა საკრამიტე მასა განთავისუფლდეს მინარევებისაგან. აქედან იწყება კრამიტის მოჭრა ყალიბის საშუალებით. ყალიბი ხისაგან გაკეთებული მოგრძო ჩარჩოა, რომელსაც ერთი მხარე ფართო, ხოლო ბოლო ვიწრო აქვს. ყალიბში გაყვანილსა და ზედაპირგადასწორებულ თიხას ე.წ. ქობუნაზე (იხ. ქობუნა) გადაიტანენ. საქართველოში ადრე სწორი ქართული კრამიტი იჭრებოდა, შემდგომ პერიოდში ქართული კრამიტი შეცვალა ღარიანმა კრამიტმა. ღარიან კრამიტს ამობურცული ზურგი აქვს, რომლის ერთი ნაპირი ბრტყელია, მასზე კარგად რომ

მოთავსდეს მეორე ცალი. ღარიანი კრამიტი შუაზე გაჭრილი მილის ფორმისაა. ორ ერთმანეთთან მიჯრით მოწყობილ ამოყირავებულ კრამიტს ზემოდან დამხობილი აქვს მესამე კრამიტი. სახლის გადახურვა ძველად სწორი და ღარიანი კრამიტის მონაცვლეობა-შერწყმით ხდებოდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მართო ღარისებური კრამიტი იჭრებოდა. საქართველოში არსებობს „ქსნური კრამიტიც“, რომელსაც იტალიურ კრამიტსაც უწოდებენ. საკრამიტე ქარხანა სოფ. ქსანში იტალიელს აუშენებია და სახელიც ქედან მომდინარეობს. სოფ. ქსანში დამზადებული კრამიტი მთელ საქართველოში ვრცელდებოდა. როგორც ცნობილია, თავდაპირველად კრამიტი და აგურიც საკულტო დანიშნულების ნაგებობებისათვის იყო განკუთვნილი. არქეოლოგების აზრით, კრამიტი სამეფო, გაბატონებული წრისათვის განკუთვნილი ნაგებობების გადასახურავად იხმარებოდა. ეთნოგრაფიულ ყოფაში შემოგვრჩა მოკალუღი, ანუ მოჭიქული კრამიტიც. რომლითაც იხურებოდა საკულტო ნაგებობები. ამგვარი კრამიტის გავრცელების ფაქტი დასტურდება ბაგინეთის, ვანისა და ურეკის არქეოლოგიურ ძეგლებზე. მოჭიქული კრამიტით გადახურული ყოფილა ალავერდის ტაძარი და ლურჯი მონასტერი ქ.თბილისში. ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, კახური კერამიკა. მ. ზანდუკელი, ქართული კერამიკა, 1982. ა.ბოხოჩაძე, რუსთაველის ეპოქის სამშენებლო კერამიკა ძველ საქართველოში, 1968.

კრიალოსანი - 1. სალოცავად ასხმული მარცვალნი, „ესე არს მძივნი, ანუ ხეთა ნათალნი ძაფსა ზედა“ (საბა). გამოიყენება ლოცვის კანონის შესასრულებლად. წარმოდგება ბერძნული „კირიე ელეისონ“- იდან, რაც ნიშნავს „უფალო, შეგვიწყალებ“. მძივთა რაოდენობის ჩაყრით, წარმოთქმული ლოცვების რაოდენობა განისაზღვრება; 2. ქალთა სამკაული, რომელიც მზადდებოდა ძვირფასი ქვებისა და მინისაგან; 3. მოხუცთა გასართობი, თითებით სამარცვლავი.

ლიტ.: ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული I, 1991; მართლმადიდებლის მცირე ლექსიკონი. 2002.

ლიტ.: ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული I, 1991; მართლმადიდებლის მცირე ლექსიკონი. 2002.

კროცი, კროლი (იმერ.)- ნაჭუჭაგელილი, სადი კაკალი.

კროჭი,კროჭა (თუმ. ფშ.) – 1. ქალის სამკაულებისა და ხელსაქმის იარაღების ყუთი. ჰქონდა გასაწევ-გამოსაწევი სახურავი. უკეთდებოდა ასახდელი სახურავიც. შემკული იყო უხვი ორნამენტებით.

კუბასტი - დიდი თავსაფარი.

კუბდარი - დაკეპილი ხორციტა და სანელებლებით შეზავებული პური, სვანური სამზარეულოს კულტურული მონაპოვარი. უადრესად დიდი ადგილი ეჭირა საკულტო დღესასწაულებში, როგორც საწესოსარიტუალო პურს.

კუბო - საბას მიხედვით, „კუბო არის ქალთა და კაცთა ჩასაჯდომელი, აქლემთა ასაკიდებელი, გინა ხელით სატარებელი“. ვეფხისტყაოსანში ნათქვამია: „იგი მზე შესვეს კუბოსა, არს მათგან განაკრძალები“. ძველი ქართული ენის ლექსიკონში იგი განმარტებულია „სასძლო, საქორწინო სახლად“. ქრისტიანულ მწერლობაში ღვთისმშობლის საფლავი „ყოვლად დიდებით მოსილი საქორწინო პალატია“. კუბოს განმარტება, როგორც საქორწინო პალატისა უნდა იყოს ძველი ცნება ამ ტერმინისა. სავარაუდოდ, შემდეგში დაუკავშირდა სიკვდილს და მიცვალებულის ყუთის ჩასასვენებელ ტერმინად იქცა.

კუდაბრაში - იხ. „ბორალა“.

კუდაწარა - 1. სატყორცნი (ქვის სასროლი) იარაღი; 2. მგლის ეპითეტია.

კუდბორალა - იხ. „ბორალა“.

კუდიანთ წუხრა - კუდიანთა ღამე ფშავ-ხევსურეთში; დგებოდა დიდმარხვის ბოლო კვირის ოთხშაბათს; უქმობდნენ (ნაოფლარი კუდიანების იქნებაო) და სახლიდან არაფერს გასცემდნენ; საღამოს ოჯახის უფროსი აიღებდა ჯამით ნახშირს, მარჯვენა ხელში დაიჭერდა დანას, დაივლიდა საცხოვრებლის კუთხე-კუნჭულს და ყველაფერს, რაც სახლში ებადა (ავეჯს, ტალავარს, ლოგინს, იარაღს და სხვ.), დანით მოჭრილ ნახშირს მიაყრიდა, თან იტყოდა: „ჟვარი გეწერას, ქრისტემ დაგდოს ბეჭედი!“ დაღამებულზე კუდიანების შიშით, ყველა სახლში იკეტებოდა, მხოლოდ ოჯახის უფროსი ხუთი ნიგზუარით (მუგუზლით) ხელში სახლს ირგვლივ შემოუვლიდა, ერთ ნიგზუარს პირჩაღმა გაისვრიდა, მეორეს - პირაღმა, მესამეს - მარცხნივ, მეოთხეს - მარჯვნივ, მეხუთეს კი - ცისკენ და ყოველ გადაგდებაზე ამბობდა: „გრიიიი, გრი კუდიანთ. ამაგის მეტიმც ნურა მიგაქვთ ჩემი სახლისა, ქვისაი, ხის მეტი! თავისა შასვით და შაჭამეთ!“ ამის შემდეგ, მთელ სოფელში ატყდებოდა თოფის გრიალი და ძახილი: „ამაგის მეტიმც ნურა მიგაქვთ ჩემი სახლისა, ქვისაი, ხის მეტი! თავისა შასვით და შაჭამეთ!“ შემდეგ შინ შევიდოდნენ, კარებს ჩაკეტავდნენ, პირჟვარს გადაიწერდნენ და იტყოდნენ: „ქრისტემ დაგდვას ბეჭედი!“ ნავახშმევს დაწოლის წინ აუცილებლად პერანგის საყელოს შეიხსნიდნენ, რათა მძინარეთათვის კუდიანებს გულ-ღვიძლს არ ამოეცალათ. ამ ღამით, მესმინაეს (იხ.) გარდა, კარში არავინ გავიდოდა, რადგან კუდიანები დაწყევლიდნენ და მოკლავდნენ.

ლიტ.: ალ. ოჩიაური. ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. თბ., 1988, გვ. 137; ბ. გაბუური. ჰევსურული მასალები // ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადული. I-II. თბ., 1923-1924, გვ. 149-150.

კუდურაული (რაჭ.) - ვაზის ჯიშია ერთგვარი. თეთრ ყურძენს ისხამს, მტევანი მოზრდილია და მჭიდრო, მარცვალი - მრგვალი. კარგ ღვინოს აყენებენ (იხ. ჯავახ., ეკ. ისტ., II, 444; ფრ., 35).

კუთო - ბრინჯითა და კარტოფილით შემზადებული წვნიანი კერძი.

კულა - 1. ხისგან გაკეთებული ღვინის ორიგინალური სასმისი, რომლისთვისაც საუკეთესო მასალა იყო ძელქვის, ბზის, ურთხელის, კაკლის ხე. კულას აქვს მასიური ოვალური ტანი და გრძელი ყელი. ყელთან პატარა რქა აქვს სმისას თითის გამოსაღებად. კულიდან ღვინო რაკრაკით გადმოედინება. კულებს არცთუ იშვიათად ამკობდნენ ვერცხლის დეტალებით და ძვირფასი ქვებით. კულას ამზადებდნენ მწარე კვახისაგანაც, რომელიც ორშიმოს მსგავსად მუშავდება (იხ. ორშიმო). ასეთ კულას ყელში უდგამენ ხის ტიხარს ღვინო რომ ძუნწად მიაწოდოს და ღვინის სმის პროცესი გაახანგრძლიოს. ხშირად კვახის კულას ამკობდნენ წარწერებითა და ორნამენტებით, არცთუ იშვიათად უკეთებდნენ ინკრუსტაციას სხვადასხვა ქვებით (მაგ., გიშერი). 2. ქვებით აგებული ოთხკუთხი სვეტი, რომელიც მოხევეთა სახლში დედაბოძის მოვალეობას ასრულებდა.

კულაბა - ბზის ჯოხი, ამ ხელსაწყოთი ხელოსნები კალაპოტში ჩადებული წულის ძირს ლესავდნენ.

კულონი - ერთგვარი ოვალური ფორმის სამკაული. ზოგჯერ აქვს საკიდრები. კულონს ძირითადად აკეთებენ ოქროსა და ვერცხლისაგან. ხშირად აქურულად დამუშავებული კეთილშობილი ლითონისაგან, ხმარობენ ძეწვზე დაკიდებულს. კულონი საქართველოში მიღებული სამკაული იყო ისტორიულადაც. არქეოლოგიურ ძეგლებში მიკვლეული კულონები შემკულია საქართველოსთვის ტრადიციული ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვებით. ესენია: ალმასი, ლალი, ზურმუხტი, საფირონი, ამეთვისტო და სხვა. ზოგჯერ კულონს ავგაროზის დანიშნულებაც ჰქონდა. მაგ., II-IV სს-ით დათარიღებულ წილკნის არქეოლოგიურ გათხრების შედეგად ნაპოვნ ოქროს კულონს, რომელიც შემკულია ამეთვისტოს ინტალიოთი და მარგალიტით, ინტალიოს ზურგზე, შელოცვების ტექსტით მაგიური შინაარსის წარწერაა ამოკვეთილი. ამგვარი ავგაროზ-აბრაზაქსები ძალიან პოპულარული იყო ანტიკური ხანის დასასრულს და მათი ანალოგები მრავლადაა აღმოჩენილი საქართველოში.

ლიტ.: ი. გაგოშიძე, ქართველი ქალის სამკაული, 1981; ს.სელივანკინი, პ.სერენკო, პ. ციპლაკოვი, საიუველირო საქონელი და საათები, 1958; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

კუნჭულა - გიდელისებურად მოწნული ჭურჭელი, ხეზე ასული ყურძნის საკრეფად ხმარობენ.

კუპატი, შიგნითა, შიგნითადი (თუმ), ძეხვი (ქართ.კახ.), მძეხვი (ფშ.), ჭიჭნაგური (ინგ.) - კარგად მოხარშული, წვრილად დაკეპილი და სუნელებით შეზავებული ხორცი, რომელსაც ჩატენიან, ცხოველისავე კარგად გასუფთავებულ-გა-

რეცხილ ნაწლავში. ნაწლავში ჩატენილ ძეხვს მოუკრავენ თავბოლოს, რითაც დაცულია გაფუჭებისგან. სამეგრელოში კუპატს ძირითადად ამზადებენ შიგნეულობისგან.

კუპრიელი - მოკუპრული ტყავის ჭურჭლის ზოგადი სახელია. გატყავებულ და დამუშავებულ ტყავს ხელოსანი კარგად გარეცხავს, გაპარსავს, მზეზე გამოაშრობს, ჭიპთან და უკანა ნახვრეტთან ხარატულებს დაუყენებს, წინა ფეხებზე მასრებს მოარგებს, ხოლო უკანებს თასმით შეუკრავს და ბალანგაცილილ ზედაპირს ცხელ კუპრს თანაბრად წაუსვამს. ტყავი რომ გაშრება, გადმოაბრუნებს, მოკუპრულს შიგნით მოაქცევს და კუპრიელი მზადაა ღვინისგადასატანად. ხმარების შემდეგ კუპრიელი უნდა გაიბეროს და ასე უნდა იქნეს შენახული.

კურატად დაყენება - მშობლების შეთქმის საფუძველზე, გამოჯანმრთელების მიზნით, ხატისთვის ავადმყოფი ბავშვის (უმთავრესად, მცირეწლოვანი ვაჟის) დროებით (რამდენიმე თვით ან წლით) „შეწირვის“ (ანაგის მთავარანგელოზის ეკლესიის სამსახურში ჩაყენების) ქიზიყური წესი. „შეწირულის“ მოვალეობას შეადგენდა ეკლესიის უზოს დაგვა, ფიჩხის აგროვება, წყლის მოტანა, ბოსტანში მუშაობა და სხვა წვრილმანი საქმიანობა. ზოგჯერ, „კურატად დაყენების“ ნაცვლად, ბავშვს მაჯაზე შეაბამდნენ თეთრ მიტკალში გამოკრულ ვერცხლის ორშაურიანს, რომელიც შეთქმიდან სალოცავში მისვლამდე ეკეთა (შემდეგ მღვდელი ააჭრიდა). ეკლესიაში მიმავალ აღთქმულს ყელზე შემოახვევდნენ თეთრ მიტკალს, რომელსაც იქ აართმევდნენ. გარდა ამისა, ბავშვს დათქმული ვადის გასვლამდე თავზე თმას არ აჭრიდნენ.

„კურატად დაყენების“ ანალოგიურ

მოვლენას წარმოადგენს „ბერად შეყენების“ (იხ.) ქართლური წესი.

ლიტ.: ნ. აბაკელია. „ხატის მონობის“ ინსტიტუტი კახეთში (1976-77 წწ. კახეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით) // საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1982, გვ. 121-128; სტ. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1954.

კურატი|კურეტი|კურაკი - 1. ხატისთვის შეთქმულ-შეწირული ცხოველი (წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი). ხატისთვის აღთქმულ ცხოველს მარჯვენა ყურის წვერს მოჭრიდნენ და თავისუფლად გაუშვებდნენ. მისი, გამწევ ძალად გამოყენება იკრძალებოდა. სალოცავის მიმით კურატს ქურდებიც კი ხელს არ ახლებდნენ. აღთქმულ დღეს კურატს დაამწყალოებდნენ, დაკლავდნენ და მოხარული სახით თემის წევრებს შორის გაანაწილებდნენ. 2. ხატის სამსახურში დროებით ჩაყენებული ადამიანი, უპირატესად ბავშვი (იხ. „კურატად დაყენება“).

ლიტ.: სტ. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1954; ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

კურტაკი - „არს სამოსელი მეომრისა საჩინო ჯაჭვთა გარედან საცმელი“ (საბა).

კურტანი / კურტამი (რაჭ.) - ხის ან ქვის ნაგებობა, ჯებირი, ბურჯი, რასაც ხიდი ეყრდნობა (იხ. ქეგლ, ქართ. დიალექტ., 685; ალავ. ოკრიბ.).

კურუმკა (გლ.) - სიმაღლის ხერხის ქვედა, სახელურიანი ნაწილი (იხ. გაჩ. კრუმკა).

კუს ერბო - ერთგვარი საჭმელი მთიუ-

ლეთში „დათლილ ყველს მაუკიდებდნენ ერბოზე“, ზოგჯერ ორსაც ჩააჭრიდნენ.

კუტალი - ძირჩადგმული, ცილინდრისებური სამ დაბალ ფეხზე შემდგარი ხის (ნაძვის, კატრის) ჭურჭელი, რომელსაც აქვს მილი, ყელი, ტანი, გვამი და სახელური. კუტალი ითლებოდა ორი მტკაველი სიგრძის ხისაგან, მის ტანს ხოწით ამოთლიდნენ, ხოლო ყელს შამფურით ჩასწავდნენ. ნედლ კუტალს ფიჭვის ხმელ ძირს ჩაუდგამდნენ. კუტალის დიდი რაოდენობით ამზადებდნენ მესხეთ-ჯავახეთის სოფლებში, განსაკუთრებით გამოირჩეოდა გოდერძისა და წინუბნის კუტალები. წყლით ავსებულ კუტალს სახელურით ზურგზე მოიკიდებდნენ, აქედანაა წარმოშობილი იმერულ დიალექტში შესული სიტყვა „მოკუტალება“.

კუჩხა ბედინერა - „ფეხბედნიერი“ - მეგრული საწესო სიმღერა, სრულდებოდა ქორწილში ნეფის მაყრიონის მიერ, ორ ვარიანტად: ა. კუნტა ბედინერა („მოკლე ბედინერა“) - ნეფის სახლისკენ, პატარძალთან ერთად, მსვლელობის დროს; ბ. კუჩხაბედინერა - ჯვრისწერის შემდეგ, ეკლესიიდან ან მარნიდან (თუ სოფელში ეკლესია არ იყო, სპეციალურად მოწვეული მღვდელი საეკლესიო წესების დაცვით ნეფე-დედოფალს ჯვარს მარანში წერდა) გამოსვლის შემდეგ, ნეფის სახლში მისვლისას, კერიის გარშემო საწესო შემოვლის პროცესში და საქორწილო სუფრასთან.

„კუნტა ბედინერას“ მუსიკალური ტექსტი... ძირითადად ხმათა პარალელურ მოძრაობაზეა აგებული, სიმღერას იწყებს ერთდროულად სამი ხმა. მათ შორის პირველი წამყვანია, ხოლო დანარჩენი ორო მასზეა დამოკიდებული. სიმღერა ძირითადად სრულდება სი-ბემოლ კილოს გაფართოებულ VII საფეხურზე

(ლა-ბემოლი), რომელიც შემაერთებული ჰანგით გადადის ფა კილოში. სიმღერის დასასრულს მოცემულია რთული კადანსი (V, VI, VII, I). იგი ამავე დროს წარმოადგენს მოდულაციას ფა კილოდან ძირითად სი-ბემოლ კილოში“ (ქ. ჭითანავა). სიმღერის ზოგიერთი ვერსიის სიტყვიერი ტექსტი მხოლოდ შორისდებულით შემოიფარგლება, ზოგს შემდეგი მისამღერი ახლავს:

მა თინა რე მახარენც
 „მე ისაა, რომ მახარებს,
 მოჭყუდუ მოყუნცუ მაყარეფც,
 პატარძალი მოჰყავთ მაყრებს,
 ახალგაზრდა ბოშეფც
 დო ახალგაზრდა ბიჭებსა და
 ცირეფს მუში მახანეფც.
 მის თანატოლ გოგონებს.
 მოჭყუდუს ქიმიყუნანა,
 პატარძალს რომ მოიყვანენ,
 კუნთხუს ქეკნარინუნანა,
 კუთხეში დააყენებენ,
 ქიცას ქიგნაფორანა დო
 მანდილს გადააფარებენ და
 კოც ვენაჯინუნანა,
 კაცს არ შეახედებენ,
 ამსერ თაში თხილანა დო...
 ამღამ ასე უვლიან და...“

„კუჩხა ბედინერას“ მუსიკალურ ტექსტებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ის ვერსიები, რომელთა ძირითადი მელოდიური ქსოვილი ინტონაციურად ენათესავება ფშავური საქორწილო საფერხულო სიმღერის („ჯვარი წინა“) მელოდიას, რაც შემთხვევითი არ არის. ამ სიმღერათა შესრულების ლოკალურობა და წესი ერთგვაროვანია.

„კუჩხა ბედინერას“ ტექსტი შეიცავს სიტყვებს „ბედი და ფეხბედნიერი“ („ბედი

დო კუჩხა ბედინერა“) და შორისდებულებს და გამოხატავს ახალ ოჯახში ბედნიერი ფეხით შესვლისა და სიკეთის მოტანის სურვილს. ამ თვალსაზრისით იდენტური ჩანს პატარძლისა და მეკვლის/მფერხავის (მაკუჩხორი) ფუნქციები, მეკვლისა, რომლის მოსვლით ოჯახს ბედნიერი წელი უნდა დაეხედოს. ამ ფუნქციათა ერთგვარობამ განაპირობა „კუჩხა ბედინერას“ შესრულება ქორწილშიც და ახალ წელიწადსაც. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სამეგრელოში ხვნა-თესვის დაწყების წინა დღეს ე.წ. „დედოსა“ (მარილიან-ნიგვზიან გრძელ მჭადს) და სამ მრგვალ ლობიოსგულიან კვერებს დააცხობდნენ და სახნავში წაიღებდნენ, სადაც, სათანადო რიტუალის შესრულების შემდეგ, ნხვნელ-მთესველნი „კუცხა ბედინერას“ იმღერებდნენ.

ლიტ.: ა. ბენაშვილი. „კუჩხა ბედინერა“. ხელნაწერი ინახება ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში; ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941. გვ. 265-266; ნ. მაჩაბელი. მინდვრის სამუშაოებთან დაკავშირებული რიტუალური კვერები // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXI. თბ., 1981. გვ. 158-159; თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1956. გვ. 51-52, 97-99; ო. ჩიჯავაძე. ქართული ხალხური სიმღერები. თბ., 1974. გვ. 9; ქ. ჭითანავა. მეგრული სიმღერა „კუჩხა ბედინერა“ // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XXIII. თბ., 1987. გვ., 255-260; ნ. ანთელავა. ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამეგრელოში. თბ., 2004, გვ. 210-11.

კუნუბი - გარშემო შემოვლებული არშია, ხერხის კბილებივით ოკრობოკრო.

კუჭურა - გათხოვილი თუში ქალის მანდილის ქვეშ სატარებელი თავსადგამი (ადრე მის მაგივრობას თმების განსაკუთრებული ვარცხნილობა სწევდა). მასალად გამოიყენებდნენ უბრალო ბამბის ქსოვილებს, უპირატესად თეთრ „ამერიკას“ და მატყლს. ნაწილები: თავისკვერი//გორილაი, ბოძები, ზოლტები და ყაპყატი. აქედან ზედა წრე, შუა და უკანა ზოლტები მატყლით იყო გატენილი. დანარჩენები ორკეცი მატერიისაგან სოლისებურად იკერებოდა. მათი სიგრძეც განსხვავებულია. თუში ქალი მამაკაცის თანდასწრებით კუჭურას არ გამოაჩენდა. ჩიხტის ფუნქციის მატარებელი ეს უჩინარი თავსახური გათხოვილ ქალს ნიადაგ უნდა ეტარებინა და სიკვდილის შემდგომ, საფლავშიც თან

უნდა გაეყოლებინათ.

ლიტ.: გ. ბოჭორიძე, თუშეთი, 1993. ც. ბეზარაშვილი, თუში ქალის ტალავარი, კრ. თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1967.

კუჭურა - სათაურა (ხევსურ.). კუჭურა თუშ ქალს სათაურას მაგივრობას უწევდა. ის წვრილი თავსაკრავია მანდილზე შემოსაკრავი. თავზე ჯერ კუჭურას დაიდგამდნენ, შემდეგ - მანდილს. მამაკაცთან კუჭურას არ მოიხდიდნენ. მანდილ-კუჭურას შეურაცხყოფა დიდი სირცხვილი იყო. კუჭურა მხოლოდ გათხოვილი ქალის თავსაბურავშია წარმოდგენილი.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, ქართველი ხალხის მატერიალ... 2017:23.



ლაბადა (რაჭ.) - ტილოგადაკრული პატარა ფიცარი. თორნეში ლავაშების ამოსაკრავად ხმარობენ.

ლაბარდა (რაჭ.) - ქალის დაბამბული ტანისამოსი (იხ. ქეგლ).

ლაბარი (ხევი) - სახლის გადახურვისას გამოყენებული სვილის ნამჯა, რომელზედაც აყრიან მიწას და შემდეგ ტკეპნიან.

ლიტ.: ქელ. 2009.

ლაგამი - აღვირზე რგოლებით დამაგრებული ორნაწილიანი მეტალი, რომელიც ცხენს ამოედება პირში და მისი მეშვეობით მხედარი ცხენს აჩერებს ან აძლევს მიმართულებას. ზოგჯერ ლაგამს უკეთებდნენ ხორკლებს, რათა მართვის პროცესი უფრო ეფექტური ყოფილიყო. ლაგამ-აღვირი ხშირად შემკული იყო ძვირფასი თვლებითა და ვერცხლის სევალით.... „ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა“ (ვეფხისტყ.) საბა ლაგამს საკბილავს უწოდებს. ქართველ არქეოლოგთა ვარაუდით, ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრიდან ჩნდება ლითონის ლაგამები; ბრინჯაოსაგან დამზადებული ეს ლაგამები დაკბილულია, რაც იმის მანიშნებელია, რომ ასეთი ლაგამასხმული ცხენი ძნელად დასამორჩილებელ-გა-

სახედნავი უნდა ყოფილიყო.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ცხენის აღკაზმულობა. კრბ. ოჩხარი, 2007.

ლაგერი - მდინარეზე ნავის სამართი გრძელი და მსხვილი კეტი.

ლაგვანი - 1. პირფართო სარწყული დოქი; 2. ქვევრი (მეგრ.).

ლაგზუბუნი//ზუბუნი - მოკლე და წინ შესაკრავი ჩასაცმელი. მისი ნაოჭიანი სახელოები „ღირვილოებით“ იკვრებოდა. ღირვილოებს აბრეშუმის ძაფისაგან ქსოვდნენ, ატარებდნენ აგრეთვე, ლითონისას. ლაგზუბუნის საგულე ჰქონდა ღია და არ ჩანდა პერანგის საგულე. ზუბუნის წელზე ფერად სარტყელს შემოიკრავდნენ. მასზე ჩოხას იცვამდნენ, რომელსაც არ იკრავდნენ, მაგრამ იკრავდნენ ვერცხლის ბალთიან ქამარს, ან აბრეშუმის სარტყელს. ქალები კი, პერანგზე ატარებდნენ ზუბუნს ჩაფრასტებით.

ლიტ.: ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1938:90.

ლაღბამი - საკულტო ადგილი სვანურ საცხოვრებელში, სადაც კერა იყო გამართული და შესაწირ პურებსა და ხორცეულს ამზადებდნენ. ეკლესიებთან

ლადბაში-ი სპეციალურად მიმენებული ხის ან ქვის შუაფეცხლიანი ნაგებობა იყო, სადაც დღეობების დროს სამსხვერპლო საკლავის ხორცს ხარშავდნენ და შესაწირავ კვერებს აცხობდნენ და სწირავდნენ.

ლიტ.: ლიტ. ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 10, 64; მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1961, გვ. 228.

ლავაში - თხელი პური. ამგვარი ფორმის პური ფართოდ იყო გავრცელებული მთელს წინა აზიაში. კავკასიაში ცნობილია ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და აისორული ლავაშები. ქართული ლავაში შედარებით სქელი, სომხური კი ძალზე თხელი და გრძელია. შესაბამისად ქართული ლავაში მზადდება საფუვრიანი ცომისგან, სომხური კი უსაფუვროსაგან. ამ ტიპის აზერბაიჯანული „ფათირი“ და ებრაული „მაცა“ რიტუალური საკვებია. შესაძლებელია ითქვას, რომ ამ სახის პურეულს ადრევე გამოეყო ქართული ლავაში და თვითმყოფადი სახე შეიძინა. ქართული ლავაში თონეში ლაფათით (ტარიანი დაფა, რომელსაც ზედ ბალიში აქვს გადაკრული) ჩაიკვრება და მისი ვარიაციული სახელწოდებებია ფაფხაჭა, უდიერი, მუცელგანიერი, მადაური, იყალთოური, გარეჯული და სხვ. ისე როგორც შოთმა (იხ.), ლავაშმაც დროთა განმავლობაში სარიტუალო დანიშნულება შეიძინა. მას აცხობდნენ მიცვალებულის სახელზე. იცოდნენ ლავაშის მკვდრის გულზე გადატეხვა და შემდეგ ღვინოში ჩამბალი ნატეხების შეჭმა, რაც აიხსნება ქრისტესთან ზიარების სიმბოლურ გარდასახვად. ლიტ.: გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში. 2007.

ლათბა (თუმხევს.) - ლუდის გამოხდისას სისწვენის მოსაკავებელი, გეჯისებური დიდი ზომის ჭურჭელი როგორც ხის, ასევე სპილენძისა. ლათბას შეკერავდნენ სპილენძის ფირფიტებისაგან, ისევე როგორც ლუდის ქვაბს. (იხ. ქვაბი ლუდისა). ხის ლათბას აკეთებდნენ ნავისებურად, ცაცხვის ან მურყანის ხისგან.

ლაკვა, ღრულო - კლდეში ქვევრისებრ ამოჭრილი წყლის საცავი. საუკეთესო ნიმუშები დადასტურებულია დავითგარეჯის უდაბნოში-ლავრაში, ნათლისმცემელში, დოდოს რქაში. აქაური ბერები პიტალო კლდის მასივზე ჭრიდნენ ღარებს, რომელთა მეშვეობითაც წყალი ჩაედინება ლაკვებში. ლაკვები დაცული იყო კარგად მორგებული სახურავებით. ისინი, რომლებიც დასალევად გამოიყენებოდა, ცალკე სენაკში იყო ამოჭრილი. სათავსს ჰქონდა კარები, რომელიც იკეტებოდა. თითოეული ლაკვის ტევადობა ხუთიდან ათ ტონამდე წყალს მოიცავდა. ერთი ძლიერი წვიმის შედეგად ივსებოდა პირთამდე. უდაბნოს პირობებში ეს იყო უაღრესად რაციონალური ხერხი წყლის შეგროვებისა. გარეჯული ლაკვები აღმოსავლური მეუდაბნოებისათვის დამახასიათებელ კლასიკურ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს წარმოადგენენ.

ლიტ.: ე. ნადირაძე, თ. ნადირაძე, უდაბნო საღვთოდ შემოკრებულთა, 2001

ლაკუმი (ლაზ.) - ჭოროხულ ნავზე ნიჩბების დასამაგრებელი.

ლალი - გამჭვირვალე წითელი ფერის ქვა, ისტორიულ წარსულში ლალი წარმოადგენდა იმპორტულ ქვას, რომელიც ძირითადად აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოჰქონდათ, მისი სახელიც არაბულ-სპარსული წარმოშობისაა, ხოლო ევროპულ ქვეყნებში რუბინი ეწოდება, მიუხე-

დავად იმისა, რომ ეს ძვირფასი ქვა ძნელი საშოვნელი იყო, ქართული ოქრომჭედლობის არაერთი ნიმუშია შემკული ლალის თვლებით, მაგ., ბორში აღმოჩენილი ანტიკური ხანის ერთ ყელსაბამს 29 ცალი ლალის ქვა ამკობს. ლალის გამოყენება საქართველოში გაიზარდა შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით საეკლესიო ნივთებში. ქართულ მწერლობაში ლალი იქცა ბრწყინვალე წითელი ფერისა და სილამაზის სიმბოლოდ. ღვინოც კი, ასე სანუკვარი პროდუქტი, ქართველს ლალისათვის შეუდარებია.

ლიტ.: ვ. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.

ლალა - იხ. „ძიქვა“.

ლალყაჯი -ი || **ლელყაჯი** -ი (“აკრძალული”) - სვანური საოჯახო დღეობების სამსხვერპლო ღორი (მთლიანად, ან მისი თავი თუ ქვედა ყბა, შიგნული, სისხლი, ძვლები და ჯაგარი). სამსხვერპლო ღორის ან მისი ნაწილების დანახვა და შეჭმა აღკვეთილი ჰქონდათ იმ პირებს, რომლებიც დღეობის გადამხდელის ოჯახში ახალწლის ღამეს არ იყვნენ ნამყოფი და საახალწლო კვერების გამოცხობა არ ენახათ. უმამაკაცოდ დარჩენილი ოჯახები ღორის დასაკლავად მოწვეულ მეზობელს თვალეებს წინასწარ აუხვევდნენ, რათა ამ უკანასკნელს საკლავი არ დაენახა და ამით ლალყაჯი არ დაერღვია (მდრ. უწუენა || უწონჴმ).

ლიტ. ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 80, 83, 87, 97, 102, 105, 110, 111, 112, 169, 173.

ლამარია ლემზირი-ი (ზ. სვ.) / **ლამარია-ლგენე** || **ლამარია-შილგენე** (ქვ. სვ.) - სვანური საწესო პური - ლამარიას

სახელზე შესაწირავი კვერი, მრგვალი და ნაპირთან სამჭდიანი (ზ. სვ.), ან ოთხქმიანი და შუაზე თითით ჩახვრეტილი, ან შუაზე კიდით კიდემდე ხელის ყუით დანაკრავი (ქვ. სვ.). მისი შეჭმა მხოლოდ ქალებს შეეძლოთ. აცხობდნენ დღეობებზე.

ლიტ. ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 19, 42, 43, 57, 59, 70, 72, 78...

ლამარია უარდშიმ-ი (სვ.) - იხ. „დადუარე ცამი“.

ლამეზირი-ი || **ლამზირი**-ი || **ლამზურ**-ი (სვ.) - სალოცავი ადგილი.

ლიტ.: ა. დავთიანი. მეზირის კულტი. ხელნაწერი (ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში).

ლამზურ ბაჩარი-ი (სვ.) - „სალოცავი ქვები“ - საკულტო ქვები, სადაც სვანი ქალები ლიმზირს (ლოცვას) მართავენ.

ლიტ.: მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1961, გვ. 229.

ლამპარი - ზეთიან-პატრუქიანი სანათი, სხვადასხვა სიდიდისა სხვადასხვა სოციალური გარემოსთვის შეთანწყობილი.

ლამპარის კვერი - ბედის კვერზე (იხ.) მოზრდილი კვერი. აცხობდნენ ახალი წლის შესახვედრად. ერთი კვირა გაუტეხავს ინახავდნენ. წყალკურთხევის წინა დღეს - ლამპარის კვერს საცერში ჩადებდნენ და აჰკიდებდნენ ბიჟს, რომელიც გარეთ დანთებულ ცეცხლს სამჯერ შემოუვლიდა ყვირილით: „საფუარი მფუანი, სახლი ბარაქიანი“. ამის შემდეგ ტყისკენ გაიხედავდა და იტყოდა - „ასეთი ყანა მოგვივიდესო“. შე-

მდეგ სახლში კოჭლობით შევიდოდა, დაიჩოქებდა და დაიძახებდა: „მომეშველენით, კეთილმა წელმა წელი მომწყვიტაო“, მოვიდოდნენ, საცერს მოხსნიდნენ, ლამპარის კვერს დაჭრიდნენ და შეჭამდნენ“.

ლიტ.: ნ. თოფურია, ღვინის ზედაშეები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, 1969, ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, 1969.

ლამტვარალი - სვანური სახლის მაჩვიბის გასანათებელი საშუალება რომელსაც კიდებდნენ კერის თავზე, „შგილზე“. შედის სვანური კერის კომპლექსში. გამოიყოფა მარტივი და რთული კონსტრუქციის ლამტვარალი. მარტივი კონსტრუქციის შედგება სამი ღერძისგან, რომლებიც აერთიანებს რკინის ორ მრგვალ დაბრტყელებულ რგოლს. ზედა რგოლი გუმბათისებური ფორმისაა. ქვედაზე კი რამდენიმე წვრილი რგოლი ისეა დარჩილული, რომ კვარი კარგად დაიდოს, ხოლო ნახშირი და ნაცარი კი ძირს ცვიოდეს. შუა ღერძზე ჯაჭვია მიბმული, რითაც ლამტვარალს შგილზე ჰკიდებდნენ. რთული კონსტრუქციის ლამტვარალს რვა გარეთა ღერძი აქვს. ღერძები დაგრეხილია. სამი რგოლი ზევითაა და სამი ქვევით. შუა ღერძი ყველაზე გრძელია და გარეთა ღერძებამდე რკინის მრგვალი ჯოხებია გადაებული. ღერძების გადაკვეთის ადგილები ზოომორფული ფიგურებითაა შემკული. დასაკიდი ლამტვარალის გარდა სვანეთში დასადგმელი ლამტვარალიც გვხვდება, რომელსაც ძირითადად დროებით საცხოვრისში იყენებდნენ. დასაკიდ ლამტვარალს სოფლის მჭედელი ამზადებდა: რკინას დაკვერავდნენ 70სმის სიგრძის ოთხუთხედად („ლევთხუვე“) - 4 ან 5 ცალი სვეტებისთვის და ერთი რგოლისთვის („გირგველდ“). თანაბრად დაკვერილ რკინის ზოდს გაახურებდნენ,

ერთ ბოლოს მუხრუჭით დაამაგრებდნენ, მეორეს მარწუხით დაატრიალებდნენ და დაგრეხდნენ. სვეტები უთუოდ დაგრეხილი უნდა ყოფილიყო. რაც უფრო მდიდრულად იყო შემკული ლამტვარალი, მით მეტად ფასდებოდა. უბრალო ლამტვარალის ფასი ერთი თხა იყო, მდიდრულად შემკულის კი - ერთი ძროხა. ლამტვარალზე დასანათებ კვარს ოქტომბერ-ნოემბერში ამზადებდნენ. შემოდგომაზე დამზადებულ კვარს ცეცხლი, რომ კარგად მოჰკიდებოდა ახმობდნენ და მომავალ წელს იყენებდნენ. კვარი მზადდებოდა ფიჭვის ძირების და მორებისგან, მაგრამ ეს უკანასკნელი დაბალი ხარისხის იყო და მხოლოდ მაშინ იყენებდნენ, როცა ოჯახს ფიჭვის ძირების საკმაო მარაგი არ ჰქონდა. ფიჭვის ძირის ამოთხრა მეტად შრომატევადი საქმე იყო და ამიტომ შრომის ორგანიზაციის კოლექტიურ ფორმას მიმართავდნენ. ზოგ დიდ ოჯახში კვარის 2-3 წლის მარაგი ჰქონდათ. ფიჭვის მორის კვარი ნაკლებ სინათლეს გამოსცემდა, ფესვის კვართან შედარებით. ამიტომ ხშირად შერეულ კვარს ანთებდნენ მაჩუბი რომ ზომიერად განათებულყო. საუკეთესო კვარს „ცუბ“-ს უწოდებდნენ. დასანათებად კვარის დაპობა კაცის საქმე იყო, მისი სახლში შემოტანა კი ქალების და ბავშვების. ოჯახი კვარს ფრიად მომჭირნედ ხარჯავდა, ვინაიდან მისი დამზადებისათვის ხანგრძლივი შრომა იყო საჭირო. ლამტვარალის შესამკობად გამოყენებული იყო შინაური და გარეული ცხოველების სტილიზებული გამოსახულებები, რაც ქართველი ხალხის უძველეს რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება. ეს ქმედებები მაგიური მნიშვნელობის იყო და ხალხის რწმენით ნაყოფიერება-გამრავლებასა და ოჯახის დოვლათიანობასთან იყო დაკავშირებული.

ლიტ.: მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1961.

ლამშუნ-ი - კალოზე დადგმული სვანური საახალწლო თოვლის ზვინი - ბარაქის სიმბოლო. მესტიამი ზომხა (ახალი წლის) დილაუთენია ქორ,, მწჰმხები (შინაური მეკვლეები) ხმაამოულებლივ ტანსაცმელს ჩაიცვამდნენ, ხელ-პირს დაიბანდნენ, უფროსი ქორ,, მწჰმხი კერიაში ღრმადჩაფლულ ნაკვერჩხალ ამოქეჟავდა, ზედ გამხმარ ფიჩხს დააყრიდა და ქუდით აუქარებდა, რადგან ამ დღეს ცეცხლის გაჩაღება შებერვით არ შეიძლებოდა. ამის შემდეგ უფროსი მეკვლე თოვჩაბმულ ხარს გამოიყვანდა უმცროსი ქორჲ მწჰმხი კი ხელში დაიჭერდა არყით სავსე დოქს და ზურგზე წამოიკიდებდა სათესლე კალათს - ლალჲშს, რომელშიც საახალწლო შემოსალოცის სახით სხვადასხვაგვარი პროდუქტები ელაგა. შემდეგ ორივენი გარეთ გავიდოდნენ, სახლის კარს მაგრად გაიხურავდნენ და კალოზე გავიდოდნენ. შუა კალოზე უფროსი მეკვლე თოვლის ზვინს დადგამდა და წინა სალამოს მოტანილ ნაძვისა და თხილის ტოტებს მის შუაგულში დაამაგრებდა. მეკვლეები, ხარითან ერთად, ლამშუნს მარჯვნიდან სამჯერ შემოუვლიდნენ, შემდეგ დაიჩოქებდნენ და ასე ილოცებდნენ: „ო-ო, დიდება მოგსვლოდეს, წლის ძალის შემცვლელო, კარგი წელი შეგვიცვალე, ბედით და ბარაქით გაგვახარე; ლამ,,რია, წლის მოსავალი მოგვიტანე და შენ გვიშველე, მადლი გექნება“. ლოცვის დასრულებისთანავე ორივენი შინისკენ გასწევდნენ, რათა ახალი წლის დადგომა ოჯახის წევრებისთვის მიელოცათ. ჩულებრივ ყოველდღიურ ხმარებაში სიტყვა „ლამშუნ“ მოლენილსა და ბზისგან განიავებულ ხორბლის გროვას აღნიშნავს. თოვლის ზვინიც სწორედ ასეთი ხორბლის სიმბოლოა.

ლიტ.: ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა

კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 144-145.

ლამხორვა (უშგ.) - სვანური საოჯახო „საკურთხეველი“, მიშენებული ფანჯარასთან, ან კედელში დატანებული ნიში, რომელთანაც ლოცულობდნენ.

ლიტ.: მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1961, გვ. 229.

ლაოდი - (ლაზ.) - ნავში შესული წყლის ამოსახაპი ჭურჭელი.

ლაოში - ხევსურული რიტუალური პური - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული უგულო ნამცხვარი.

ლიტ.: ალ. ჭინჭარაული. ხევსურული თავისებურებანი. ტექსტებითა და ინდექსით. თბ., 1960, გვ. 212.

ლანჩა (რაჭ.) - კალათის (და მისთ.) ფართო და სქელი ტკეჩები, რომლებსაც გამოწნავენ თხელი და ვიწრო ტკეჩით (შდრ. მენთ.; ქეგლ: ლაჩი).

ლარბიალ ბანდარ (სვან.) - ვარცლის დასადგმელი სკამი. ამ სკამის თავში უფროსი რძალი - მერბიელი (პურის მცხობელი) ჯდებოდა. მას ებარა ოჯახის პურეულის მარაგი და მასვე ეკისრებოდა პურის ცხობა. სვანურ ქორწილში კერის გარშემო სამჯერ შემოტარების დროს პატარძალს მარჯვენა ხელში მისცემდნენ პურის ფევილით სავსე კარვას (ხის ყუთი), რომელშიც იდო სამკაულები: ჩაფრასტები, ბეჭედი და სხვა. პატარძალს მარცხენა ხელში ჩვილი ბავშვი ეჭირა. შემოტარების შემდეგ დედამთილი ან უფროსი რძალი რძით ხელებს დააბანინებდა. ამ ცერემონიალის შემდეგ დასვამდნენ „ლა-

რბიალ ბანდრი თხუიშუე“ - სკამის თავში, კალთაში კი პატარა ბიჭს ჩაუსვამდნენ - „ბიჭი დაგებადებო“.

ლიტ.: რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, 1939; მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან 1961.

ლასანი (გლ.) - მსხვილი თოკი, რომელსაც თივის საზიდავად ხმარობენ.

ლასკარ-ი - სვანური სადღეობო დაჯგუფება, რომელიც ერთი ან რამდენიმე გვარის მეზობლად მოსახლე ოჯახებისგან შედგებოდა. ასეთი სადღეობო დაჯგუფება ყოველ სოფელში და, მით უფრო, თემის ფარგლებში რამდენიმე იყო. ლასკარის წევრები სადღეობო წეს-ჩვეულებებს ერთად ასრულებდნენ. სალასკარო დღეობას ჰყავდა ერთი წლით შერჩეული მასპინძელი, რომელსაც მომდევნო წელს ლასკარის სხვა წევრი ცვლიდა და ა. შ. მორიგე მასპინძელს სადღეობო სამზადისის გაწევა, თავის სახლში დღეობის გამართვა და ლასკარის გამასპინძლება ევალებოდა. რამდენადაც ყოველ თემში წლის განმავლობაში რამდენიმე დღეობა იყო, მორიგე მასპინძელიც დღეობის სახელწოდების მიხედვით მოიხსენიებოდა, მაგალითად, თუ თემში სალასკარო დღეობა ახალი წელი (ზომხა) იყო, მის მასპინძელს „მეზ’მახ“-ი ეწოდებოდა, შობის (ქრისდემ-ის) მასპინძელს - „მოქრისდემ“-ი, ახალკვირისას (უფლიმბერ-ის ანუ ხომა თანაფ-ისას) - „მეუფალიმ“-ი ან „მოთნაფ“-ი და სხვ. ზოგიერთ თემში ნებისმიერი ხასიათის დღეობის მასპინძელს „მეხელი“ ერქვა.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 38, 39, 40, 41, 42, 53, 54, 55, 56, 77,

78, 103, 105, 156, 157, 158, 183; მისივე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ). თბ., 1941, გვ. 43-49; მისივე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, IV. ოან დეცემ // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. V. თბ., 1951, გვ. 58-59.

ლაჟვარდი - ძვირფასი ცისფერი ქვა, რომელიც უძველესი დროიდან გამოიყენებოდა საიუველირო ხელოვნებაში. მისგან ამზადებდნენ ბეჭდებს, თვლებს, ყუთებს ამულეტებისთვის. გვიან შუა საუკუნეებში ლაჟვარდით ამკობდნენ ავეჯს, ბუხრებს, ლარნაკებს. „ლაჟვარდი“ სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ლურჯ ცას, ხოლო მისი ქართული შესატყვისია „ცაფერი“ „ცისფერი ქვა“. ლაჟვარდით შემკული ნივთები ნაპოვნია მცხეთაში - არმაზისხევის ნეკროპოლისში. საშუალო შუა საუკუნეებში ლაჟვარდს საღებავადაც იყენებდნენ, მაგალითად, კედლის მხატვრობაში.

ლიტ.: ვ. ზუნბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.

ლარ-ჩილფი - ხის მოხელე მორს ლარით დაჩილფავდა (აღნიშნავდა), რომლის მიხედვითაც უნდა გაეპო, გაეხერხა თუ გაეთალა სხვადასხვა საჭიროების ფიცრები. ლარი // რალი (რაჭ) // ჩილფი (ქართ.კახ. იმერ.) // ჩირფი (აჭარა) // ნახშირ-ბაწარი (თუშ.) წარმოადგენს რამდენიმე წვერად შეგრეხილ ძაფს, რომელსაც ამოავლებდნენ შავ „წერნაქში“. გადაჭიმავდნენ დასამუშავებელ ფიცარზე და ლარს დაბერტყავდნენ, რასაც „ლარის“ დაკვრას // „ხის დაჩილფვას“ ეძახდნენ. „ლარის დაკვრით“ აღინიშნებოდა გასახერხი ან გასათლელი ადგილი და შემდეგ იმის მიხედვით გაითლებოდა ხე.

ლიტ.: გ. გასიტაშვილი, ხის და-
მუშავების ხალხური წესები, 1962.

ლარი - 1. მთის კალთის სიგრძეზე განლაგებული სახნავი ფართობი. შემა-
გრება და ჯებირი ლარს არ უკეთდება: ია-
რუსულად განლაგებული ნაკვეთები ერ-
თმანეთისგან ბალახითა და ბუჩქნარით
დაფარული დაკორდებული ზოლითაა
გამიჯნული. ლარების წარმოშობა განა-
პირობებს სათესი ადგილების მოპოვების
საჭიროებას მცირემიწიან პირობებში. 2.
საკრავი ინსტრუმენტის (ფანდური, ჩო-
ნგური, გიტარა) სიმი, რისთვისაც ადრე
ცხოველის ნაწლავებსაც იყენებდნენ. 3.
მატყლის საპენტი მესხეთსა და რა-
ჭაში. მსხვილად დაგრეხილი ლარი მა-
გრდება ოდნავ მოღუნულ ხის ჩარჩოზე
და ხელის გამოკვრით პენტავენ მატყლს.
4. კალატოზთა წვრილი და მაგარი თოკი,
რომელსაც გაასწორებენ თარაზოთი და
მისი მიხედვით იჭერენ მშენებარე კედ-
ლის სისწორეს.

ლარნაკი - წმინდანთა ნაწილების
დასაცავი ურნა, ვაზა, ყუთი. ილარიონ ქა-
რთველის გარდაცვალების შემდგომ „შე-
მსგავსებულნი გალობითი დაკრძალეს
ხორცნი იგი მოღვაწისანი, ხოლო საღ-
მრთონი იგი ნაწილნი წმიდისა ილარიო-
ნისნი, საღმრთოდ შებურნეს და პატიოს-
ნად დაკრძალეს ლარნაკსა შინა ქვისასა
და დადგეს ეგუტერს შინა საყოფელსა
მისსა“. თავად ილარიონმა დავით გარე-
ჯელის წმინდა ნაწილებისათვის „შეჰქმნა
ლარნაკი მშვენიერი, რომელსა შინა აწ-
მდებარენი არიან პატიოსანნი ნაწილნი
წმიდისა მამისა დავითისნი“, სერაპიონ
ზარზმელის ცხოვრებაში ბასილი ამბობს:
„მოვიწიე ზედა წმიდისა სამარხვოსა მისს
და ვიხილე საფლავი მისი ადგილსა ფა-
რულსა, რომელსა ყოველნი უძღურნი
მოიღებდეს დღითი-დღე კურნებასა,
ამისთვისცა ბრძანებითა უფალთაითა

ხელ ვყავ შევშადად ლარნაკი ქვისაი და
აღვადე საფლავსა მისსა და დავსხენ წმი-
ნდა ნაწილები ლარნაკსა შინა ახალსა
და აღვმართეთ მას ზედა ჯვარი“. სამივე
შემთხვევა ადასტურებს, რომ ლარნაკი
არის მიცვალებულის წმინდა ნაწილების
დასაცავი ყუთი, ურნა, ვაზა, რომელიც
კეთდებოდა ქვისაგან, ხისაგან, ძვირფასი
მეტალისგან, იდგმებოდა საფლავზე,
ეკვდერში ეკლესიაში და არმოადგენდა
მორწმუნეთა სათაყვანებელ ობიექტს.
მოგვიანებით, ლუსკუმისა და ლარნაკის
მიბაძვითაა წარმოშობილი საფლავის
ლოდის, როგორც ლუსკუმის (იხ.) განსა-
ხიერების და მასზე აღმართული მატურის
- როგორც ლარნაკის იდენტიფიკაციის
წესი, რამაც მოგვცა კომბინირებული სა-
ფლავის ძეგლი.

ლიტ.: ე. ნადირაძე, საქართვე-
ლოს მემორიალური კულტურა,
2001.

ლარჭემი, სოინარი - ლერწმის მრავალ-
ვალდერიანი სალამური. ცნობილია სა-
მეგრელოში (ლარჭემი, წარმოდგება სი-
ტყვიდან „ლერწამი“), გურიაში (სოინარი,
ბერძნული სიტყვიდან „სოლინარი“) და
ლაზეთში („ოსტვინონი“). საკრავი შედ-
გება ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი
სხვადასხვა სიგრძის მილებისაგან. ყო-
ველ მილს თავისი სახელწოდება აქვს:
„კრიმანჭული“, „მოძახილი“, „გადა-
ტანილი“, „წყება“, „საშუალო“, „ბანი“
(გურია); „მეჭიფაშე“, „მაჭყაფალი“,
„მაღალი“, „მაბანე“, „მეშხუაშე“ (სამე-
გრელო). ეს სახელწოდებები სიმღერე-
ბის ხმების სახელწოდებებია და გამოხა-
ტავს არა ბგერის ჰარმონიულ ფუნქციას,
არამედ მის რეგისტრულ მდებარეობას.
ღეროები ლერწმისა, ზევით ღია, სადაც
შემსრულებელი ჩაბერავს, ხოლო ქვედა
ბოლო წაკვეთილი, რაოდენობაა 5-6, სი-
გრძე - სხვადასხვა. ღეროები განლაგებუ-

ლია ერთმანეთის გვერდით შემდეგნაირად: ცენტრში გრძელი ღეროები, ხოლო ნაპირებისაკენ კლებადი სიგრძით. ასეთი განლაგება დასავლეთ საქართველოში მკაცრად დაცული და მსოფლიოს სხვა ხალხებში ცნობილმრავალღეროვან საკრავთა შორის ანალოგი არ ეძებნება. ლარჭემის ღერწამს ჭრიან ივლისის ბოლოს, უფრო ადრე მოჭრილი ნესტიანია და საკრავს კარგი ხმა არ ექნება. ღერწმის ერთი ღერო საკმარისია საკრავის ყველა მილის დასამზადებლად. ყოველი მილისათვის მცენარის ერთი მუხლი გამოიყენება. მილის სისქეში განსხვავება არ ასრულებს არსებით როლს, რადგან ბგერის სიმაღლე ღეროში არსებული ჰაერის სვეტის სიმაღლეზეა დამოკიდებული, რისი ცოდნაც ემპირიული გზით არის მიგნებული ხალხური შემსრულებლის მიერ. ამიტომ ბგერის სიმაღლის რეგულირება ხდება ღეროს სიგრძით. ღეროების სიგრძე რეგულირდება სმენით. ლარჭემზე სხვადასხვა მწყემსური მელოდიები სრულდებოდა. უკრავდნენ საცეკვაოებსაც ქორწილსა თუ სხვა დღეობებში. სამეგრელოში არსებობდა მელარჭემთა შეჯიბრების წესი - „ნირზი“, რომლის დროსაც ორი მელარჭემე ექვსღერიან ლარჭემს შუაზე ყოფდა და ერთმანეთს გამძლეობასა და ოსტატურად შესრულებაში ეპაექრებოდა. ცნობილია აგრეთვე, რომ სოფ. ჩქვალერში (წალენჯიხის რაიონი, დიდ ხუთმაბათს, ეკლესიიდან ბრუნდებოდნენ ლარჭემის, დაირის და სპილენძის ბუკის (ოყელია) დაკვრით. ეს საკრავი სახალხო დღესასწაულებზე, სოფლის ღვინვებსა და ქორწილებშიც ჟღერდა. გურიაში სოინარი სასიგნალოდაც გამოიყენებოდა. კვერნაზე სანადიროდ წამსვლელი სხვადასხვა სოფლის მონადირეები სოინარის დაკვრით აძლევდნენ ნიშანს ერთმანეთს. ხშირად ფრინველების გალობასაც ბაძავდნენ. ყოფილან სოინარის ისეთი ოსტატები,

რომლებსაც დაკვრაზე ბუღბუღივ გამოეპასუხებოდა ხოლმე. ეს საკრავი ამჟამად ყოფიდან თითქმის გამქრალია.

ლიტ.: დ. არაყიშვილი, ხალხური სამუსიკო საკრავების აღწერა და გაზომვა, 1940. В.К. Стешенко-Куртина, Древнейшие инструментальные основы грузинской народной музыки. Флейта Пана, Тб., 1936.

ლასკარი (სვან.) - სადღეობო დაჯგუფება, რომელიც შედგებოდა მეზობლად მოსახლე ერთი ან რამდენიმე გვარის ოჯახებისგან.

ლასტი 1. შვინდის ან თხილის ტოტების წნული (2 ან 3 მეტრის სიგრძის და 1 მ სიგანის) მეაბრეშუმეობაში გამოყენებული იყო კოკალიდან მესამე ასაკის აბრეშუმის ჭიის გადასარიგებლად. ლასტზე დააწყობდნენ თუთის ფოთლებს და ზედ აბრეშუმის ჭიას დასვამდნენ. ლასტებს აწყობდნენ მარანში, საბძელში-ბოძებზე გადებულ ლატნებზე, სხვენზე - პირდაპირ ფიცრებზე ან ოთახში ჭერიდან ბაწრებით ჩამოაბამდნენ. საწნახელში იცოდნენ ლასტების ჩაფენა, რათა ტკბილს ჭაჭა არ გაჰყოლოდა. (იხ. ტოპკირი) საწნახელში იცოდნენ ლასტების ჩაფენა, რათა ტკბილს ჭაჭა არ გაჰყოლოდა.

ლიტ.: ნ. აბესაძე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, 1957. **ლასტი, კიშტეი (თუშ.)** - კალტის გასახმობი. ოთხკუთხედი კალათი. თუშეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი კიშტე გვხვდება ძველ ქართულ წყაროებში, როგორც პროდუქტის შესანახი - „ერთსა ჰქონდის კიშტეი სავსეი პურიტა“, „მიჩუენა მე უფალმან ორი კიშტეი ლედვ“.

*ილ. აბულაძე, ძველი ქართული
ენის ლექსიკონი, 1973.*

ლასტიკი - სატინის მსგავსი შავი ფერის ფართლუელი. იყენებდნენ საახალუხედ.

ლაფათინი (რაჭ.) - ურმის ყბებში (ხელნებში) გაყრილი მაგარი ხის რამდენიმე ლარტყა ურმის ზესადგარის შესაკრავად, - დანდალი. ზოგ ურემს 2-3 ლაფათინი აქ და ზედ ფიცრებია სიგძეზე დაკარგული, ზოგს კიდე მარტვა ლაფათინები აქ და სიგძის ფიცრები ადარა სჭირდება (იხ. ქეგლ, ბერ).

ლაფანი (ქართლ.) - ვენახის შესაკონავი, შესაყელი სახვევი. ამზადებენ ცაცხვის ქერქისაგან. ლაფანს დაალობენ, შემდეგ წვრილ-წვრილ ძაფებად დაჩქლეთენ. კახეთში ასეთ სახვევს ხარალს, იმერეთში აკაციის ქერქისას - ქვთელოს, ხოლო რაჭაში თელის კანისას - ჭონი ჰქვია.

ლაფარა (იმერ.), **ჩოტი** (რაჭ.) - პატარა საფხეკი, გამოიყენება მუშაობისას მიწით დამძიმებული ბარისა და თოხის გასაწმენდად. აკეთებდნენ როგორც ხის, ასევე ლითონისაგან. ლაფარას ხმარობდნენ ჭურისთავის მოხდის შემდეგ, ფარფლებზე დარჩენილი აყალო მიწის მოსაფხეკად და ბადიმების გასაწმენდად.

ლაფაჩა - დაბეწვილი ძვირფასი ტანსაცმელი. საქართველოში X ს-ში ჩნდება და მალე გამოდის ხმარებიდან. „ნიკორწმინდის სიგელში“ აღნიშნულია; „ყანაში მივეც ლაფაჩაი სტავრაისი და მელიის ტყავი შიგან ამოკერებული“. ამ შემთხვევაში ლაფაჩის ზედაპირი სტავრის ქსოვილისა ყოფილა და სარჩული მელიის ტყავისა ჰქონია.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემკი, III-IV, 1962.

ლაფერთხა, ჯიშხა (სვან), **სამკაპალა, კილაფერა** (აჭარა), **ბორჩხა** (იმერ.). სამი ან ოთხტოტა ჯოხი, გამოიყენებოდა როგორც სარევად, ასევე მასის (მაგ. ლობიოს) გასაქნელად.

ლაფერთხა / ლაფეხა (რაჭ.) - გაფხეკილი ჯოხი, რომელსაც ბოლოში 3-4 კაპი აქვს. იყენებენ საფუვრის მოსარევად (საფუვრის ჩაგებისას), ფაფის ხარშვისას ფქვილის გასაქნელად და სხვ. (იხ. ქეგლ, ჩიქოვ.).

ლაფჩინა - ქალის ფეხსაცმელი, იგივე ტუფლი. ხარაზულად შეკერილი ყელიანი და ქუსლიანი ფეხსაცმელი. ძველად, გურიიში ჩექმას „ლაფჩინას“ უწოდებდნენ.

ლიტ.: მასალები..., 1983:255.

ლაღმი, ლაღუმი - ქვის მასივის ასაფეთქებელი ნივთიერება, შავი წამალი, ძირითადად შინნამზადი, რომელსაც სხვადასხვა მინარევებისაგან ამზადებდნენ. იყენებდნენ ქვითხურობაში. ბურის კეტით (იხ) გახვრეტის შემდეგ, ნახვრეტში ჩაყრიდნენ ლაღუმს, დაატანებდნენ წამალში შეზელილ, გამხმარი მცენარის უჯანგარის ღეროს, რომელიც ასრულებდა ფითილის მოვალეობას, დატკეპნიდნენ, წაუკიდებდნენ ცეცხლს და ააფეთქებდნენ.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხურობა იმერეთში, 2001.

ლაღრავი (სვ.) - მარტივი სახვნელი იარაღი (მიწის საწერი). შედგებოდა: მხრის, საკვეთელისა და სახელურისაგან. მხარი მრგვლად ან ოთხკუთხედად გათლილი ხე იყო, დაახლოებით 250 სმ. სიგრძისა. თავში უკეთებოდა რიკი, უღელზე მისაბმელი თოკის გამოსადებად, ხოლო ბოლოსკენ გაწყობილი იყო საკვეთლითა და სახელური ჯოხით. ლაღრაში ერთ

უღელ ხარს აბამდნენ. საკვეთელის გამოყენებას მიმართავდნენ გაბალახებული ან ყამირი მიწების დამუშავებისას. ჯერ მიწის ნაკვეთს ლაღრავით დაკარავ-და-ხაზავდნენ და შემდეგ სვანური სახვნელით (ღანწუიში) მოხნავდნენ. ლაღრავი დამოუკიდებელი სახვნელის სახით არ გამოიყენებოდა, თუმცა სავარაუდოა, რომ იგი თავდაპირველად ამ დანიშნულებას ასრულებდა. სვანური ლაღრავის ანალოგიურია ხევსურული კავწერა, საწერა, თუშური საკვეთელი, მეგრული ჯაში ოხონალი, ოღარაი, ამ ტიპის იარაღები ცნობილია დაღესტანში, გერმანიაში, შვედეთში. მათი გამოყენება ხდებოდა ხრიოკი და მწირი ნიადაგის პირობებში.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობა სვანეთში// სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1970.

ლაშიჷმ ლიფშჷდე („თესლის გამვება“) / **ლილაში შიე ლიფშჷდე**) - აგრარული ხასიათის სვანური წეს-ჩვეულება - რიტუალური თესვა. სოფ. ეცერში ემხჷშმის (იხ.) დღეობის დამეს ქალები საქონლის ბაგაში (ლალდიჷრ-ში) ეძებდნენ ცხოველთა საკვებს შეყოლილ პურეულის მარცვლებს და რამდენი მარცვალიც არ უნდა ენახათ, სასოებით შეინახავდნენ ლაშიჷმ ლიფშჷდე-მდე, რომელიც უფრო ხშირად სრულდებოდა ლილაშუნე-ს დღეობაზე, ზოგ შემთხვევაში, შუა მარხვაში (ისგ-ლილჩჷლ-ს), ან ხარება დღეს (ხარჷბ-ს). ლაშიჷმ ლიფშჷდე-ს დროს გამოიღებდნენ ემხჷშმ ღამიდან შემონახულ ხორბლეულის მარცვალს, მას ნეხვში აურევდნენ, გაიტანდნენ ყანაში და ამოთხრილ თოვლში ნეხვიანად ჩათესავდნენ.

ზემოაღწერილი რიტუალის ანალოგს წარმოადგენს ქვემო სვანეთში დადასტურებული წეს-ჩვეულება, ე. წ. „თესვის ხელის შენაცვლება“: ლაშხეთის თემის სოფ.

სასაშში, ახალი წლის (ზომხას) დღეს, პურობის დასრულების შემდეგ, ავი თვალის საწინააღმდეგოდ შუა კალოზე ეკლიან ბაძგარს თოვლში ჩაარჭობდნენ, შემით დატვირთულ მარხილში ხარებს შეაბამდნენ და რამდენჯერმე გაატარებდნენ, რასაც ხარების „ხელის ახსნას“ (ლიშიჷშს) უწოდებდნენ. შემდეგ ერთ ჯამ პურის, ან ქერის მარცვალს საქონლის სადგომის სარკმლიდან სანეხვეზე გადაყრიდნენ და მოხნავდნენ.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 86, 167.

ლაჩქიმი - მარხილისებური საზიდი ტრანსპორტი, რომლის თავ-ბოლო წნელებითაა გამაგრებული. ძირითადად გამოიყენებოდა მთიდან თივის ჩამოსატანად.

ლაწდამ ლემზირ-ი („სახილველი კვერი“) / **ემხუამი ლემზირ-ი** („ემხუამის კვერი“) - სავსე მთვარის სვანური სიმბოლო - დისკოსებრი მოყვანილობის ქიმებიანი საწესო კვერი, რომელიც მზის გამომხატველი კვერისგან შედარებით მცირე ზომით, ნაკლები რაოდენობის ქიმებითა და შუაში გაკეთებული ნახვრეტით განსხვავდებოდა. ლაწდამ ლემზირს აცნობდნენ ახალი წლის წინა დღეს, შუშხამის (იხ.) დღეობაზე, ნავანშმევს, დაღამებულზე, აუცილებლად ლამარიასთვის განკუთვნილი ფქვილის მარაგიდან, რომელსაც ლამჷრიჷმ ტაბლჷშის („ლამარიას ფქვილი“) სახელწოდებით საგანგებო კილობანში ინახავდნენ. ვინც ამ კვერის გამოცნობას შეესწრებოდა და მას კბილს დაადგამდა, უცხოც რომ ყოფილიყო, უფლება ჰქონდა, წლის მანძილზე ოჯახის მიერ შესრულებული ყველა საიღუმლო რიტუალის მონაწილე გამხდარიყო. ლაწდამ ლემზირი

გამოცხობის პროცესი უნდა ეხილათ და კვერები უნდა ეჭამათ ოჯახის წევრებსა და მათ ახლობლებს. მაგრამ, არცთუ იშვიათად, მუშხვამის დღეობისათვის სასურველი პირების ერთად შეკრება ყოველთვის ვერ ხერხდებოდა. ამიტომ ლაწდჷმ ლემზირთან დაკავშირებული რიტუალი უმრავლეს შემთხვევაში შემდეგი სახის იყო: დიასახლისი ცომს მოზელდა და გააკეთებდა ერთ გუნდას, რომელსაც ნაჭრებად დაყოფდა და ამ ნაჭრებს შინ არმყოფ ოჯახის წევრებს, ახლო ნათესავებს, ძმადნაფიცებსა და მეგობრებს სათითაოდ შეუსახელებდა; შესახელებულ ნაჭრებს კვლავ გუნდად შეკრავდა, ერთ მთლიან ლაწდჷმ ლემზირს გამოაცხობდა და შუაცეცხლის სხვენზე ჩამოვიდებდა, სადაც იგი მომავალ მუშხვამამდე რჩებოდა. როცა ოჯახს შესახელებული პირი ეწვეოდა, კვერს ჩამოიღებდნენ და მას მიართმევდნენ. ეს უკანასკნელი კი მხოლოდ კვერის ერთ ქიმს შეჭამდა, რის შემდეგაც ლაწდჷმ ლემზირს ისევ სხვენზე ჰკიდებდნენ.

გარდა მითითებულისა, საშუშხვამო კვერი ცნობილი იყო რამდენიმე სახელწოდებით: შეშხჷშ ლეთი ლემზირ („შეშხვამ ლამის ტაბლა“), ტეშხჷში ლემზირ („შეშხვამის ტაბლა“), ლამამჷ ლემზირ („ხელასახსნელი ტაბლა“).

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 77-119; ვ. ბარდაველიძე. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბ., 1953, გვ. 84-90.

ლაჭანი (ფშ. ხევს.) - ხის საკაცო საწოლი. ძირითადად ძირგამოწნული. ამგვარ საწოლში თივას ყრიდნენ და ზედ საგებელს - ლოგინს (ნაბდებს, ტყავებს) მლიდნენ. წნულის ძირი ხელს უწყობდა

ჰაერის მოძრაობას და მასში ჩაგებული ქვეშაგებლის მშრალად შენახვას უზრუნველყოფდა. მიწის იატაკის სინესტის გამო საწოლი ფეხებზე იდგა.

ლიტ.: ლ. ბედუკიძე, ხალხური ავეჯი აღმ. საქართველოს მთიანეთში 1973.

ლაჭინში კარჷა - სვანური სამეკვლეო კალათი (პურეულის საწყავი, ყავრისა, ჩადგმული ძირით), რომელშიც შემოსალოცი (იხ. „ლაჭინიარ / ლამამჷლ“) პროდუქტები და საკულტო საგნები ეწყობოდა (მდრ. ლაჭინიარ კჷილოლ).

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 114.

ლაჭუნდირი - მოჩუქურთმებული ტიხარი სვანურ სახლში, რომელიც ერთმანეთისაგან ყოფდა ადამიანთა საცხოვრებელსა და საქონლის სადგომს. მოჩუქურთმებული იყო მაგიურ-აპოთროპეული დანიშნულების სიუჟეტებით, რომელიც ეძღვნებოდა ბარაქიანობის, მოსავლიანობისა და გამრავლების იდეას. სვანური ლაჭუნდირები ხალხური ხითხურობის უნიკუმებს წარმოადგენს (იხ. ლეჭუნდირი).

ლიტ.: ქელ. 2009.

ლაჭინიარ-ი / ლამამჷლ-ი - სვანური საახალწლო-სამეკვლეო შემოსალოცი: კალათში, გოდორში ან გიდელში ჩაწყობილი სხვადასხვა სახის კვერები (ლემზირები, ლესკ, რი, ფუსნ, მუჟელჷ და სხვ.), საახალწლო ღორის (ზომხანტ/ლეზომახ/ლეკალანდე | ლეკალანდე), ან გოჭის თავი, ან მრგვალად მოხარშული ბურვაკი, წველა ყველი, წივანა, ჯამით ფქვილი, ბოთლით არაყი, გჷიზ/კჷიმპრ (კვირტიანი თხილის

ტოტების კონა), ნაძვის ტოტი, მატყლი, კანაფი, თეთრი ფერის ფართალი და სხვ.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 82, 83, 86, 87, 94, 105, 106...

ლაჭმხიამ კუილოლ-ი - სვანური სამეკვლეო კალათი (პურეულის საწყავი, მოწნული და გაგოზილი), რომელშიც შემოსალოცი (იხ. „ლაჭმხიარ / ლამამწალ“) ხორაგი და საკულტო საგნები ეწყობო (მღრ. ლაჭმხი კარჟა).

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 79, 120.

ლაჯუამი „ლ-ი / სახსიგელ-ი - სვანური სადღეობო სუფრის რიტუალი - პურობის დასაწყისში ნათაველი არყით სავსე კათხით ხელში ღვთაებათა სადღეობის წარმოთქმა. როგორც წესი, სვანები პირველ სამ სადღეგრძელოს ხომა ღ'რბეთს (დიდ ღმერთს), ჯგზრგს (წმ. გიორგის) და ლამარიას (წმ. მარიამს) უძღვნიდნენ.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 55, 71, 89.

ლაჯუამი მარე („სალოცავის კაცი“) - ეკლესიისა და მისი მამულის მეპატრონე და მომვლელი გვარის კაცი. სვანეთში ყოველ სალოცავს ჰყავდა მომსახურენი, რომელთა მოვალეობას ხატის სამსახური შეადგენდა. მათ ხელში იყო სალოცავის სიმდიდრე; მათი ნებართვის გარეშე ეკლესიის განძეულს ხელს ვერავინ ახლებდა. სალოცავი ნაგებობის შეკეთება, სახურავის დახურვა და სხვა საზრუნავი საქმე

მათ ევალებოდათ. მომსახურეთა შორის ყველაზე პატივცემულ პირს, რომელსაც „მეკლიტული“ (იხ. მოკილ||მეკილ) ეწოდებოდა, ეკლესიის გასაღები ებარა. ეკლესიის მომსახურენი იყვნენ ერთი (უმეტესად) ან რამდენიმე გვარის წარმომადგენლები, რომლებსაც ლაჯუამი მარე-ს („სალოცავის კაცები“) ეძახდნენ. უცხო გვარის წარმომადგენლებს ეკრძალებოდათ უშუალოდ მიეძღვნათ სალოცავისთვის შესაწირავი, - ეს სალოცავის კაცების მეშვეობით უნდა მომხდარიყო. მლოცველი მოტანილ შესაწირავებს გადასცემდა ლაჯუამი მარე-ს, რომელიც მათ სალოცავს შესწირავდა, სამაგიეროდ მეწირულის ნაწილს დაიტოვებდა.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 36, 49.

ლახვარი - 1. ხის, ლითონის ან ძვლისტარიანი და ორპირიანი სამკუთხა დანა, რომლითაც მღვდელი აღასრულებს პროსკომედიაზე წმიდა ქმედებებს სეფისკვერების კვეთის დროს. სიმბოლურად იმ ლახვარს წარმოადგენს, რომლითაც ერთმა რომაელმა მხედართგანმა „ჯვარცმულ მაცხოვარს გვერდსა მისსა უგმირა“. „ლახვრით განწმენდა“ იმასვე გულისხმობს, რასაც წინასწარმეტყველის მიერ თქმული: „დასაკლავად წაიყვანეს, როგორც კრავი“ (ესაია III,) .2. საძგერებელი იარაღი. ლახვარი ქართულია რაც სიტყვა „ხვრეტადან“ მომდინარეობს. ლახვარი სხვადასხვა ზომისა იყო, ბოლოს თანდათან დაპატარავდა. ლახვრის ასეთი ცვლილება შესაძლოა დავუკავშიროთ მისი საბრძოლო ფუნქციის დაკარგვას. ლახვრის ქვეშ საბა აერთიანებს საძგერებელი საჭურვლის ყველანაირ, მისთვის ცნობილ სახეობას: ჰოროლს, გმურს, გეონს, სათხედს, ხელშუბას, შუბს,

ხიშტს, ზუფანს და ლიბანდაკს.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემცი ტ. III-IV, 1962.

ლახიწი (რაჭ.) - პირუტყვის ჯოგი. ამდენი ლახიწი შემოსულა ვენახში და სულ გაუოხრებიათ (იხ. ალავ. მასალ.). 2. ზმ., გლ. ძალიან გამხდარი საქონელი (იხ. ჭყ., ქეგლ).

ლახტი - უტარო მათრახი. გრძელი და მაგრად დაწნული. გამოიყენებოდა ბრძოლის დროს. ასეთი ტიპის უნდა ყოფილიყო წყაროებში მოხსენიებული ტაჯგანაგი. ლიტ.: სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

ლახუტი - საზედაშე პატარა ქვევრი სამეგრელოსა და ლეჩხუმში.

ლაჯმარ (სვ.) - დგიმ-სავარცხლიანი ჰორიზონტალური საქსოვი დაზგის ერთ-ერთი სახეობა. შალისა და კანაფის ქსოვილების საქსოვი. იქსოვებოდა სახიანი ქსოვილებიც. მისი ანალოგიური საქსოვები იყო „ქსელი“, „საფეიქრო“ (რაჭა), „საქსელი“ (იმერეთი), „საოშუალო“ (სამეგრელო), სამექსელო (აჭარა). ასეთივე საქსოვები დადასტურებულია ჩრდ. კავკასიაში ბაქსანის ხეობაში, ჩერქეზეთში. ამ ტიპის საქსოვი დაზგების გამოყენება უძველესი დროიდან ივარაუდება. საქართველოში მათი არსებობა კოლხური სელის საქსოვად დამუშავების ტრადიციებიდან უნდა მომდინარეობდეს.

ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი, ქართული ხალხური საქსოვი დაზგები, სსმმ, XVIII-B, 1954.

ლაპიჭვარი (სვ.) - ტყავის მოსაქნელი ხელსაწყო. სვანეთში ცხვრის ტყავის მოსაქნელად შემდეგ ხერხს მიმართავდნენ:

ფიცრის ორი ნაჭრიდან ერთს მიწაზე დადებდნენ, მეორე მასზე ვერტიკალურად იყო დამაგრებული. და ზედა მხარე დახორკლილი ჰქონდა. დარბილებისას ტყავს ხორკილიან პირზე გადადებდნენ და ორივე ხელით ჭიმავდნენ ხან ერთ და ხან მეორე მხარეს.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები, 1973.

ლედოლ-ი - მაგიური ძალის მქონე წრიული ფორმის თეთრი ფერის ბრტყელი ქვა, რომელსაც სვანები კერიის უკან დებდნენ. სწამდათ, რომ განსაკუთრებული მოყვანილობისა და სილამაზის გამო ავ თვალს პირველად ის მიიღებს, ხოლო კუფდარი და ხაჭაპური გადარჩება. უნდა ითქვას, რომ სვანები თეთრ ქვებს (მგდრგცა), როგორც ავი თვალის საწინააღმდეგო საშუალებას, გარდა კერიისა, საფუარში, რძის საკვეთელში და ყანაშიც კი ათავსებდნენ. ჰაშირიპ||ჰერიი მძმ-ის (იხ.) „ნახშირის ხუთშაბათს“ (იხ. „შიხარ ცაშ“) მოტანილ თეთრ ქვას, რომელიც ახალამოყვანილ ყველს გავს, კერძად ფეხთან (ლამყინჷ გურნა) დებდნენ, რათა წველადობა „გაეზარდათ“ (იტყოდნენ: ამოდენა ნაწველი დაგვებედოსო).

ლიტ.: მ. ჩართოლანი. ქართული ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1961, გვ. 162.

ლეიბი - საწოლ-საგებელის ნაწილი, კერავდნენ ტყავისაგან, ნაჭრისგან და ტენიდნენ მატყლითა და ბუმბულით.

ლეკვერთხი - მაღალყელიან პაიჭზე შემოსაჭერი თასმისენიანი საკვრელები, იდენტურია მუხლაკრავისა და წვივსაკრავისა.

ლეკურა - ბლაგვი, დანისებური იარაღი. როცა ყავარს ხდიან, ლეკურას, ნაღარევი ჩაურჭობენ, უროს დაარტყამენ და ავარდება ყავარი.

ლეკური - ხმლის ტიპი.

ლელწამი - რკინის (ან ხის) გრძელი და სწორი იარაღი, სისწორის საზომი.

ლემზირ-ი || ლემეზირ-ი || ლემზურ-ი - პატარა ზომის სვანური რიტუალური პური (კვერი), მრგვალი და ნაპირზე სამედიანო; აცხობდნენ დღეობებზე, სწირავდნენ მფარველ ღვთაებებსა და სულებს. ა. დავთიანის მიხედვით, ამავე ტერმინით აღინიშნება ყოველგვარი სალოცავი, რაც რიტუალში გამოიყენება, რაც ლოცვის საგანია.

ლიტ.: ა. დავთიანი. მეზირის კულტი. ხელნაწერი. 1937 (ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში); ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 1, 2, 3, 4, 5...

ლემზირ გიმ-ი (სვან.) - სარიტუალო პური, ე.წ. მიწის კვერი. აცხობდნენ ქალები ახალ წელს წმინდა მარიამის (ლამარია) სახელზე. მამაკაცებისა და გარეშე პირთათვის აკრძალული იყო არა მარტო მისი ჭამა, არამედ დანახვაც კი. აღნიშნული ლემზირი ყველიანი იყო. ამავე დღეს, ცხვებოდა მარილიანი დანიგზიანი კვერები ე.წ. „ზენახ ლემზირები“.

ლიტ.: ა. დავთიანი. მეზირის კულტი. ხელნაწერი. 1937 (ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში); ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 1, 2, 3, 4, 5...

ლემზირ დულ-ი (სვან.) - სარიტუალო პური, ცხვებოდა აღდგომის მომდევნო ხუთშაბათს. ამ დღეს ოჯახში მხოლოდ ქალების ლოცვა სრულდებოდა. შესაწირ კვერებს „დულებს“ უწოდებდნენ. „რამდენი დული-ც ცხვებოდა ოჯახში, იმდენი შეჯგუფული ღეროები (ე.წ. „კვამბ“) ემატება ყანასო“ - ამბობდნენ სვანები. გამომცხვარ დულ-ებს კერიას უკანა ფეხთან. სწირავდნენ ლამარიას სახელზე.

ლიტ.: ა. დავთიანი. მეზირის კულტი. ხელნაწერი. 1937 (ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში); ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 1, 2, 3, 4, 5...

ლემზირ კალვ-ი (სვან.) - კალოს კვერი. აცხობდნენ უშგულში წმ. მარიამის ეკლესიის გვერდით მდებარე საკულტო ნაგებობაში. აქ იმართებოდა ე.წ. მიწისკენ ვედრება „ჩუბავ ლიმზირ“. იკრიბებოდნენ მთელი სოფლის ქალები. წინასწარ შეგროვილი პურის ფქვილისა და ყველისგან აცხობდნენ ლემზირებს პეციალურად გამართულ ქვის კერამი, რომელსაც „ქოროლსაც“ უწოდებდნენ. ასეთი კერა იდგმებოდა რამდენიმე (სამი, ოთხი). ქალები აცხობდნენ იმდენ ლემზირს, რამდენი სულიც იყო თითოეულ ოჯახში. მხოლოდ ერთ ლემზირს („მაჩა ლემზირ“) გამოაცხობდნენ ზედმეტად. პურის მცხობელი ქალი („მერბიელი“) კვერს „მეზირის“ (ადგილის დედა) სახელზე შეავედრებდა და მიწაში საგანგებოდ გაკეთებულ ხვრელში ჩადებდა. შემდეგ ქვას მიადებდა და დახურავდა სხვებს, რომ არ დაენახათ.

ლიტ.: ა. დავთიანი. მეზირის კულტი. ხელნაწერი. 1937 (ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინ-

სტიტუტის არქივში); ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 1, 2, 3, 4, 5...

ლემზირ კიხვი (სვან.) - ქალების მიერ კერასთან შესაწირი პური, რომელიც ცხვებოდა ქორა ლიმზირის (სახლის ლოცვა) დროს.

ლიტ.: ა. დავთიანი. მეზირის კულტი. ხელნაწერი. 1937 (ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში); ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 1, 2, 3, 4, 5...

ლემზირ მენნიაში (სვან.) - სარიტუალო პური, ე.წ. ხარების მკვებავი კვერი, ცხვებოდა ბარბალობას. ეწირებოდა წმინდა ბარბარეს ხარების გამრავლებისათვის. ამავე დღეს ცხვებოდა მწველავის კვერიც - „ლემზირ მეშგალიაშ“ - ყველანაირი მეწველი ცხოველის გამრავლებისათვის. რიტუალის მთავარი მონაწილე იყო ოჯახის უფროსი მამაკაცი, რომელიც ლოცვა-ვედრების წარმოთქმის შემდგომ თავადვე მიირთმევდა შენაწირ ლემზირებს.

ლიტ.: ა. დავთიანი. მეზირის კულტი. ხელნაწერი. 1937 (ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში); ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 1, 2, 3, 4, 5...

ლემზირ ქორა (სვან.) - სახლის მფარველის სახელზე შესაწირი კვერი. ამ რიტუალის შესრულების დროს ქალების მიერ ორი სახის შესაწირი პური ცხვებოდა. ერთი - სახლში მყოფთათვის („ქორა მერდესათვის“), სახლის კედელში ჩასადებად, ხოლო მეორე - კერა ლემზირ - კერიის

კვერი, კერიის ფეხებთან შესაწირად. ქორა მერდესათვის განკუთვნილი ლემზირი პატარა იყო და მას კოკორალ-ს უწოდებდნენ. პურის მცხობელი ქალი (მერბიელი) პატარა კვერს წაიღებდა სახლის კუთხეში დატანებულ ხვრელთან, რომელიც ქვით იყო დახურული და აქ ევედრებოდა ქორა მუზირ-ს (იხ) ოჯახის ბედსა და ბარაქას და ძროხების წველადობის გადიდებას, შედეგებდა შიგ ლემზირს და ისევ დახურავდა ქვით, იმ რწმენით, რომ ქორა მუზები ანუ სახლის მჭამელი აუცილებლად შეჭამდა მას. მეორე ლემზირ-ს კერიასთან შეავედრებდა და ჩოქილი მერბიელ-ი. კერიას წინა მარჯვენა ფეხის გარშემო სამჯერ შემოავლებდა და თან ევედრებოდა, რაც შეიძლება ხმადაბლა, ოჯახის ბარაქისა და ძროხების წველადობის გადიდებაზე. ამ ლემზირს მხოლოდ ქალები შეეძევოდნენ.

ლიტ.: ა. დავთიანი. მეზირის კულტი. ხელნაწერი. 1937 (ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში); ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 1, 2, 3, 4, 5...

ლემზირ ღვინძილი - (სვან.) - ყველის გულიანი პური, რომელსაც ქალები აცხობდნენ და სწირავდნენ მიწას.

ლიტ.: ა. დავთიანი. მეზირის კულტი. ხელნაწერი. 1937 (ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში); ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 1, 2, 3, 4, 5...

ლემ („ლომი“) - სვანური ტრადიციული დროშა, რომლის ტარზე, სვანეთის სხვადასხვა საზოგადოებების (მულახის, იფარის, ლაშხეთის და სხვ.) საკუთრებაში

არსებული და ამ საზოგადოებათა ეკლესიებში დაცული წმინდა დროშებისაგან განსხვავებით, შებენილი იყო „ლომით ძლიერი“ (ხალხური განმარტება) ტოტემური ცხოველის - მგლის - გამოსახულების მქონე ქსოვილი (წითელი, თეთრი ან ყვითელი ფერისა). ტიპოლოგიური თვალსაზრისით, იგი ურჩხულისმაგვარი შტაინდარტების რიგს განეკუთვნება.

დროშა ლემის წარმოშობის შესახებ რამდენიმე ხალხური გადმოცემაა ჩაწერილი. ერთი ვერსიის თანახმად, იგი სვანებს მათ მიერ დამარცხებული თათრებისთვის წაურთმევიათ; მეორე ვერსიით, დროშა თამარ მეფეს შეუკერია და სეტის ჯგერჯისათვის (წმ. გიორგისათვის) შეუწირავს; მესამე ვერსიით, ლემი სვანებისათვის ქალღმერთ ლამჭრიას (იხ.) გადაუცია.

ს. ბარნაველის მიერ აღწერილი დროშა ლემი, რომელიც, თავის დროზე, მესტიის რაიონის სოფ. სეტის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში ინახებოდა, შემდეგი სახისაა: დროშის გრძელ ბუნს (დაცულია მესტიის მუზეუმში) წამოცმული აქვს ვერცხლისგან ჩამოსხმული და ოქროთი მოვარაყებული შუბი, რომლის ერთ მხარეს ლატალის წმ. იონასა და უღვირის მთავარანგელოზის გამოსახულებები ამკობს, ხოლო მეორე - სეტის წმ. გიორგის ფიგურა და ცხრამეტსტრიქონიანი წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია ლომი და დროშის თავი „ბედნიერი სვანეთის ერთობილი ხევის“ დროშით. საკუთრივ დროშა ზოომორფული მოყვანილობით შეკერილი ყვითელი აბრეშუმია. ცხოველის გამოსახულების საერთო სიგრძე (კუდის ჩათვლით) 2, 24 მ-ია, უკუდოდ - 1,25 მ. თავზე დაკრებული აქვს ყურები, შუბლზე - ვერცხლისფერი ზონრის ორი ჯვარი. ასეთივე ზონრითვე მონიშნულია ცხვირი, რომელსაც ნესტოებად დაკრებული აქვს ოთხკუთხედის ფორმის

წითელი ნაჭრები, და ოვალური მოყვანილობის თვალის ბუდეები, ხოლო გუგები ყავისფერი ძაფითაა ნაქარგი (გრაფ. უვაროვას მიერ ნანახ დროშაზე ცხოველის დაღებულ პირში ვერცხლის ენა და კბილები იყო ჩასმული). როცა დროშა უძრავადაა, იგი ბუნზე უფორმო ნაჭრად ჰკიდია, მოძრაობაში კი ჰაერით ივსება, იბერება და ცხოველის მოყვანილობის ხდება.

XIV ს-ის ისტორიული საბუთების თანახმად, დროშა ლემის გამგებელი და მედროშეც (ლემი მუღვენე - „ლომის მპყრობელი“) „ბედნიერი სვანეთის ერთობილი ხევის“ უფროსი ყოფილა (იხ. „მელომე“). დროშა ლემი და სეტის წმ. გიორგის ხატი მთელი ზემო სვანეთის სალოცავი იყო. აღნიშნული საბუთების მიხედვით, სეტის წმ. გიორგის ხატის თემში (სეტი ჯგერჯი მარალ, ლელჯგერჯი) - ექვსი, ეთნოგრაფიული მონაცემებით კი მხოლოდ ოთხი გვარი - ფალიანი, მჭედლიანი, რატიანი და ნიგვრიანი - შედიოდა. მათ შორის დაწინაურებულნი იყვნენ ფალიანები, რომელთაგან ე. წ. ლელჯგერჯი თხვიმს (თემის თავს) ირჩევდნენ. როგორც ჩანს, „ლომის მპყრობელებსაც“ ისინი წარმოადგენდნენ. მოგვიანებით, ვინმე იმახათ ჯაფარიძეს მის მიერ შეკერილი დროშა ლემი სეტის წმ. გიორგისთვის შეუწირავს, რაც ჯაფარიძეებს „ლომის მპყრობელობის“ დაჩემების საბაბად გამოუყენებიათ და მედროშეებიც გამხდარან. უკანასკნელი ყვითელი ფერის დროშა დებს - ალათი და ივდით ჯაფარიძეებს - შეუკერიათ.

უნდა ითქვას, რომ სეტის წმ. გიორგის წლიურ დღეობათა ციკლში დროშა ლემი მხოლოდ ერთადერთ საერთო სახელო დღეობაზე გამოჰქონდათ (იხ. „ჰელმობ“).

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოე-

ბის ისტორიიდან. დროშა „ლემ“, მგელი-ძაღლი // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XII –XIII. 1963, გვ. 141-156; ს. ბარნაველი. ქართული დროშები. ტფ., 1953, გვ. 29-31; პ. ინგოროყვა. სვანეთის ისტორიული ძეგლები. ტფ., 1941; В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племеню Тб., 1957, გვ. 37-44; Граф. Уварова. Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию // Материалы по археологии Кавказа. Вып. X. М., 1904, გვ. 132.

ლერგიმ-ი (სვან.) - გრძელი, ზურგიანი სკამი სვანეთში. დასაჯდომი ავეჯის ერთ-ერთი ნიმუში. ავეჯის ასეთი სახე გავრცელებული იყო მთიულეთსა და ხევში. სვანური ლერგიმი წარმოადგენს 2-დან 4 მეტრამდე სიგრძის ზურგიან სკამს, რომელზედაც დიდი ოჯახის წევრები სხდებოდნენ, ასეთი სკამები გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი შემკულობით, სადაც წმინდა ესთეტიკური დანიშნულების ჭრილის გარდა, დიდი ადგილი აქვს დათმობილი რელიგიური შინაარსის მოტივებს - განსაკუთრებით კარგადაა დამუშავებული მნათობთა სემანტიკა, რაც სვანთა კოსმოგონიური რწმენის არსებობაზე მიუთითებს. ამ ტიპის სვანური ავეჯის ფორმები დასტურდება შუაფო-დალური ხანის ქართულ ხელნაწერთა მორთულობაში.

ლიტ.: ვ. ართელაყვა, XVI-XVIII სს. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1965.

ლერწის განატეხი (რაჭ.) - რიტუალური ნამცხვარი, რომელსაც ბოსლობის დღესასწაულზე ვენახის სალოცავად აცხობდნენ. (იხ. ფრ., 261).

ლესა (ლაზ.) - გოდრისებრი თევზსაჭერი მოწყობილობა, რომელიც მხოლოდ ლაზეთში იყო გავრცელებული.

ლესწრ-ი - დიდი ზომის სვანური საწესო პური. აცხობდნენ სოფ. ხალდეში შობ-ისა (24 დეკემბერს) და შუმხჭამ-ის დღეობაზე; მზის ჩასვლის შემდეგ მოქრისდემ-ის (იხ.) ოჯახში შეიკრიბებოდა ექვსი „წმინდა“ მამაკაცი და ფუთნახე-ვარი ფქვილისაგან ლესერს შემდეგნაირად გამოაცხობდნენ: მოზელილ ცომს დააგუნდავებდნენ, გულში ცოტა მარილს და ყველს ჩააყოლებდნენ, გახურებულ კაზე (კერის ზედადგარზე დასადები პურის საცხობი ფიქალი) დააკრავდნენ, ზემოდან ნაკვერჩხალს დააყრიდნენ და კას ლესწრითურთ მიწაზე დადებდნენ.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 39, 103, 105.

ლესკარ-ი - სვანური დიდი ზომის რიტუალური პური, შუაზე ჯვარდასახული, ცერცვის- ან ყველისგულიანი, ან ცერცვთან ერთად ყველჩართული; აცხობდნენ ლასკწრში (იხ.) შეროვილი ფქვილისგან; ზოგან დღეობაზე ცალკეული ოჯახები თავიანთთვის აცხობდნენ.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 17, 39, 54, 64,83, 93, 94, 104, 105, 106, 158.

ლესური (რაჭ.) - თიბვის დროს გატანილი ერთი კვალი, - სვე.

(იხ. ქეგლ, ქართ. დიალექტ., 685).

ლექუნე სეჟ – („დასანძრევი მარხილი“) - ქვემო სვანეთში, ლაშხეთის თემის სოფ. ქახუნდერში საახალწლოდ მოტანილი მარხილი შეშა. შუშხუამ (იხ.) საღამოს ეზოში შემოაცურებდნენ და მაჩუბ-ის (საცხოვრებლის ქვემო სართული; ბაღს ქვემოთ სგირს უწოდებენ) კარის წინ გააჩერებდნენ შეშით დატვირთულ მარხილს, რომელსაც შეშის ზემოდან მუხის ორი ტოტი (გუზმაგუზ) და „ბროლის“ ქვა (ქიჟ) ედო.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 111.

ლექრისდემ („საქრისტეო“) - სვანური ქრისტიანობის (შობის) დღეობისათვის განკუთვნილი საგანგებოდ ნასუქი სამსხვერპლო ღორი (უმეტესად), ხარი, ან ვერძი, ან სხვა შესაწირავი.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 41, 42, 47, 50, 51, 52, 53, 54.

ლემგნ-ი (სვან.) - რიტუალური პური, რომელსაც აცხობდნენ ფქვილის შესანანი კიდობნის პირველად ახდის დროს. „ლემგნი“ დიდი ზომის პურია, რომლის ქამის დროსაც ოჯახის წევრებს ფეხქვეშ დანა და ნახშირის ნაჭერი უნდა სდებოდათ.

ლეჩაქი - ანუ ჩიქილა ქალის თავსაბურავი, ქართული იგივე, კუბასტი. იგი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია. სამკუთხა მოყვანილობის, თეთრი, გრძელი და გამჭვირვალე ქსოვილია. თვზე დახურული ლეჩაქის ბოლო ოდნავ წელს ქვემოთ არის ჩამოშვებული. სათანადო ვარცხნილობის (დალაღ-დაწნული) შემდეგ, ქალი თავზე ლეჩაქის ერთ ბოლოს

შემოიხვევდა და ზედ ჩიხტი-კოპს დაიდგამდა, ბოლოს კი, თავს ბაღდადით იბურავდა. მზითვის წიგნებში მოხსენებულია სალექაქე ქსოვილები: მარმაში, შილა, ატლასი, ბურსო, ფოს-ბლონდი, ბლონდი და სხვა. ბლონდი საუკეთესო სალექაქე მასალად ითვლებოდა. სალექაქე ბლონდი და ბლონდის არშია (მაქმანი) შეძლებული ფენის მანდილოსნებისთვის იყო ხელმისაწვდომი. ის უცხოეთში მზადდებოდა და ძვირად ფასობდა. მოგვიანებით, ლეჩაქის მკერავი და არშიების მქსოველი ოსტატები სოფლებშიც გამოჩნდნენ, უფრო ადრე ისინი ქალაქ თელავში, სიდნაღში ცხოვრობდნენ. ლეჩაქის თავსაბურავის დახურვის წესით განირჩეოდა გაუთხოვარი და გათხოვილი ქალი. გათხოვილი ლეჩაქის ერთი წვერით ყელს იხვევდა, იფარავდა, გაუთხოვარი კი - არა. იხ. თავბურვის წესი. თუ მამაკაცისთვის თავსაბურავი ვაჟკაცობის სიმბოლო იყო, დედაკაცისთვის მანდილი კდემამოსილებას გამოხატავდა. ამიტომ, XIX საუკუნის II ნახევრიდან „შლიაპის“ შემოსვლას და დამკვიდრებას, რიდეების, ჩადრების, ლეჩაქის გაქრობა მოჰყვა.

ლიტ.: გ. ჩიტაია, შრომები, 2001:188; ნ. გვათუა, ჩაცმულობის ისტორიიდან, 1967:29, 33; ქ. მუშკულიანი, ნ. დათუნაშვილი, ევროპული კოსტიუმის დამკვიდრება XIX საუკუნის თბილისის საქალაქო ცხოვრებაში, სემმ, VI, 2015:250-251.

ლეჭუნდირი (სვან) - ხის ტიხარი „მაჩვიბ“-ში. იგი ყოფს საქონლის სადგომს საცხოვრებელი ბინისგან. სვანური მაჩვიბი „ლეჭუნდირი“-ს წყალობით გაყოფილია ისეთ სადგომად, სადაც ერთსა და იმავე დროს ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნული არიან საქონელი და ადამიანები და ამავე დროს, მჭიდროდ

და ორგანულად არიან დაკავშირებულნი. სვანური „გვალი“ (გომური) ლექსდირითურთ პრაქტიკული ორიენტაციის შენობაა, რომელსაც ტიხარი და ბაგა ისე აქვს მოწყობილი, რომ საკვებს საქონელი ფენით ვერ გათელავს და ამდენად, ოჯახს საკვების მარაგი ეკონომიურად ეხარჯება. ამ თვალსაზრისით გვალ-ი დაწინაურებული მეურნეობის მანიშნებლად მოჩანს. ლექსდირი გვალით სვანური მაჩვიბის განუყრელი ნაწილია, რომელიც მაჩვიბის კედლებს ზურგად და კედლებად იყენებს. ამავე დროს, მისი კამარებიანი ნაწილი ერთი მთლიანი, მჭიდროდ შეკრული ტიხარია, რომელსაც კარი არ გააჩნია, ამიტომ საქონელს ადამიანის სამყოფში მოხვედრა არ შეუძლია, ადამიანს კი შესაძლებლობა აქვს გვალ-ში შესვლის გარეშე მისი ბინიდან პირუტყვს მუდმივად თვალყური ადევნოს, საბლით კამარასთან დააბას, ბაგაში საკვები ჩაუყაროს და სხვა. რაც შეეხება საქონელს, იგი ადამიანის ბინის ატმოსფეროთი სუნთქავს, სითბოსა და სინათლესღებულობს, ადამიანის ბინაში იკვებება, გვალ-ს ორნამენტული კამარებიანი ხის კედლით მაჩვიბისაგან დამოუკიდებელი საკუთარი სახურავი და კარი გააჩნია.

ლიტ.: მ. ჩართოლანი, ქართული ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. 1959.

ლიბანდაკი - საძგერებელი იარაღი. სულხან-საბას ლიბანდაკი განმარტებული აქვს ლახვრის ქვეშ „ბუნ-წყრთეული შორით სასროლი, რომელ არს ლიბანდაკი.“ ამ საძგერებელი საჭურველის ნამდვილი სახელი ალებარდია, რომელიც ზემო გერმანული Helmbarte-საგან არის წარმომდგარი. ის მართლაც შუბისმაგვარი საძგერებელი იარაღია, მაგრამ პირსამძგიდობის გარდა, მას წვეტიანი თავის ქვევით, ცულ-თოხის მაგვარი

საჭრელ-საჩხვლეტიც ჰქონდა.(ივ. ჯავახიშვილი). ის ჰალებარდი, რომელიც ჯავახიშვილმა განმარტა მართლაც ცულ-თოხიანია და ბუნგრძელიც, ხოლო საბას განმარტებული ლიბანდაკი მცირე ზომისაა და სასროლი, ხოლო სასროლად ცულ-თოხიანი შუბი არცთუ საიმედოა მიზანში მოსარტყამად (მისი სროლა მხოლოდ ნაჯახივით შეიძლება ბზრიალით), რაც იმას ადასტურებს, რომ ჯავახიშვილისეული „ალებარდი“ და საბასეული „ლიბანდაკი“ სხვადასხვა იარაღია, მითუმეტეს, რომ ლიბანდაკის ქვეშ საბა კიდევ ერთ ტერმინს „ისარს“ ასახელებს, რაც ალებარდისთვის მიუღებელია.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემცი, ტ. III-IV 1962. სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ, I, 1991.

ლიდბაში - ტარუნესგას („ორთაშუა“ - შობიდან ახალწლამდე კვირა) დღეობაზე სალოცავის კარზე ფქვილით ან ცომით მისვლა, იქ კვრების გამოცხობა და შეწირვა. ორთაშუობაზე სვანი ქალები მთელი კვირის განმავლობაში სხვადასხვა ეკლესიაში სალოცავად დადიოდნენ. ყოველ მათგანს სალოცავის მინაშენში (იხ. „ლადბჷშ“) მიჰქონდა ერთი კარჷა (პურეულის საწყავი, ყავრისა, ჩადგმული ძირით) ფქვილი ან ცომი; იქვე გამოაცხობდნენ ლემზირებს, რომლებსაც იმ ეკლესიის წმინდანს შესწირავდნენ და ადამიანის ჯანმრთელობას, მოსავლიანობას, ოჯახის ბარაქას შესთხოვდნენ.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 64, 65, 91, 163.

ლიზორალ-ი („შეკრება“) - სვანური წესი - შემოდგომაზე მოსავლის დაბინავების დროს მომავალი სალასკარო დღეობისათვის ლასკარის წევრი ოჯახიდან

თითო კარჭა (საწყავი; ჩადის 0.5 ფუთი ხორბალი) ხორბლის ან ფქვილის შუკრება. გარდა ამისა, ლიზორჯლ-ში ყოველ ოჯახს დიდი ღმერთის სახელობაზე დამატებით უნდა გაეღო თითო კარჭა ფქვილი ან ხორბალი, რომელსაც „უფლიში ტაბლჯმ“ ეწოდებოდა. ბალს ქვემი სვანეთში, სოფ. ლახამულაში უფლიში ტაბლჯმ-ი ხმარდებოდა სამ დღეობას - ოქმხჯმ-ს, კანდა-ს და უფლიმ-ს.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 77.

ლითხამ-ი - იხ. „ლიჩუდეშ-ი“.

ლილაშუნე - („თესლობა“; სვ. ლაში - „თესლი“, ლილაში - „დათესვა“) - საგაზაფხულო ციკლის სვანური აგრარული დღეობა; იმართებოდა დიდმარხვის მეორე შვიდეულის შაბათს, თევდორობის სწორზე. ამ დღიდან იწყებოდა თესვისთვის მზადება და ამიტომ მთელ მომდევნო კვირას ლილაშუნე მძმ ეწოდებოდა. საადღეობოდ მთელ სვანეთში აცხობდნენ გამწევი საქონლისა და სამიწათმოქმედო იარაღების გამოსახულების რიტუალურ კვერებს, რომელთაც, უხვი მოსავლის ლოცვა-ვედრებით, უზენაეს ღმერთს სწირავდნენ. მაგალითად, ქვემო სვანეთში ყოველ ოჯახში ცხვებოდა: ბრტყელი და მრგვალი კვერი, ე.წ. „კალო“, რომელზეც დაალაგებდნენ ხარების, სახნისის, თოხის და სხვა სამეურნეო იარაღების ფიგურალურ კვერებს. შეწირვის შემდეგ ამ კვერებს ხვანა-თესვაში მონაწილე მამაკაცები შეექცეოდნენ.

ზემო სვანეთში (მულახის თემში) დიასახლისი საადღეობოდ პირველად გახსნიდა სათესლე მარცვლეულის საცავ კიდობნებსა და გოდრებს და ამ მა-

რაგიდან ოჯახის წევრებისათვის სამყოფ კორკოტს მოხარშავდა. ამ ხორბლის კორკოტს გარეული ჰქონდა მცირეოდენი ქერი, ცერცვი, მუხუდო, ოსპი. იმავე დამეს აცხობდნენ სამეურნეო იარაღებისა და მუშა საქონლის გამოსახულების კვერებს, რომლებსაც მოსავლის ღმერთს შესწირავდნენ და თან ევედრებოდნენ თესლეულის ნაყოფიერებასა და ნათესისათვის სასარგებლო ამინდის გამოგზავნას.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბ., 1853, გვ. 121-124; დ. მარგიანი. სვანური ხალხური დღეობები მულახის თემში. 1937 (ხელნაწერი ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში); ა. ონიანი. ქმემოსვანური დღეობები. 1934 (ხელნაწერი ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში).

ლილჭალ-ი - ჭირისუფალ ქალთა მიერ მიცვალებულის რიგრიგობით დატირების წესი სვანეთში. როცა ცხედრის ირგვლივ დამსხდარ ქალთაგან ერთი ხმით ტირილს იწყებდა, დანარჩენები წინადადების დამთავრებისას ქვითინს (ლიგურჰუნი) დააყოლებდნენ.

ლიტ.: მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1961, გვ. 168.

ლამეზირ-ი || **ლამზირ-ი** || **ლამზურ-ი** (სვ.) - სალოცავი ადგილი.

ლიტ.: ა. დავთიანი. მეზირის კულტი. ხელნაწერი. 1937 (ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში).

ლიმეზირ-ი || **ლიმზირ-ი** || **ლიმზურ-ი** || **ლიმზრ-ი** - სვანურ ენაში ამ ტერმინით აღინიშნება ლოცვა-ვედრება და მსხვერპლშეწირვა, ზოგადად რიტუალი.

ლიტ.: ა. დავთიანი. მეზირის კულტი. ხელნაწერი. 1937 (ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში).

ლიფკუარ-ი (< სვ. ლიფკჷე - „გამრობა, დამრობა“) - მაგიურ-რელიგიური ხასიათის სვანური წეს-ჩვეულება; სრულდებოდა ყველიერის წინა პარასკევს შინაური საქონლის მარცხისაგან დაცვის მიზნით; ლიფკჷრის დღეს უქმობდნენ და ყოველგვარი საქმიანობა იკრძალებოდა; ოჯახის ერთ-ერთი წევრი დილიდან საღამომდე მიწაზე ფეხს არ დაადგამდა, ლოგინში იწვა, არც ჭამდა და არც სვამდა, მხოლოდ საღამო ჟამს, როცა დიასახლისი ახალგამომცხვარ ხაჭაპურს ან ხორციან კვერს (კუბად-ს) საცხოვრებლის აღმოსავლეთი კედლის მარჯვენა სარკმელთან შესწირავდა და ბარბოლს ძროხების სისაღეს, გამრავლებასა და წველის ბარაქიანობას შეევედრებოდა, ამ შენაწირით მწტმეს (მომარხულებს) პირს აუხსნიდა (ბალს ქვემო ვარიანტი). ლიფკჷრის ცხუმარული ვარიანტით, მწტმეს მთელი დღის განმავლობაში უბრალო ჯოხივ კი არ უნდა გაეტეხა, არც ფეხი დაესველებინა, თავისთვის წყნარად და მშვიდად უნდა ყოფილიყო; წინააღმდეგ შემთხვევაში საქონელს ზიანი მიადგებოდა (სადმე გადაიჩეხებოდა, ფეხს მოიტეხდა და ა. შ.); ბარბოლის ნაცვლად ლოცვა-ვედრებით ქჷინლმგენე მწწსე ღერმეთს („სულდგმულის გამჩენ ღმერთს“), ან ჭეთხმჷლიმ ლალმმმს („მსხვილფეხა საქონლის დასაძახებელი“) მიმართავდნენ; ზოგან მსხვილფეხა საქონლის მფარველ ღვთაება ბარბოლს მოიხსენიებდნენ ეპითეტით

ჭეთხმჷლიმ ლამზმრ ღერმეთ („მსხვილფეხა საქონლის სალოცავი ღმერთი“).

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. ღვთაება ბარბარ-ბაბარ. თბ., 2006, გვ. 16-19.

ლიშიამალი || **ლიშამალ-ი** || **ლიშამელ-ი** || **ლიშომალ-ი** || **ლიშამე** („ხელის ახსნა“) - სვანური საახალწლო წეს-ჩვეულება - ოჯახის წევრებსა, მეკვლესა და მისაკვლევ ოჯახსა და ნათესავ-მეზობლებს შორის საჩუქრების (ძირითადად, რიტუალური დანიშნულების საკვებისა და საკულტო საგნების) გაცვლის რიტუალი. სვანების რწმენით, ხელის ახსნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი წლის განმავლობაში საკუთარი ბედ-იღბლიანობისთვის. თუ იგი იღბლიანი და მისთვის კეთილის მოსურნე პირისგან აიხსნიდა ხელს, მაშინ მთელი წლის განმავლობაში ბედნიერებას და სიკეთეს დაიბედებდა და, პირიქით, უიღბლო და ავი ხელი უბედურებას დაუბედებდა. ამიტომ სვანები ყველაზე უწინ საკუთარ სახლში აიხსნიდა ხოლმე ხელს თავისი ოჯახის წევრებისაგან.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 91, 121, 122, 125, 126, 127, 129...

ლიჩენიმ-ი - სვანური ხალხური დღესასწაული; იმართებოდა ყოველწლიურად ჰადიშის თემში არსებული ჩანიშის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში კვირიკობის (28 ივლისი) შემდგომ ხუთშაბათს. დღეობა, რომელიც თავისი ხასიათით აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში გავრცელებულ საწულესა (იხ.) და მისამბარეოს (იხ.) წეს-ჩვეულებებს ენათესავება, ერთ წლამდე ასაკის ბავშვის კურთხევას ეძღვნებოდა; გარდა

ამისა, ჯგრაგ ლიჩენიშის ანუ ქუდოსანი წმ. გიორგის - მამაკაცთა მფარველისა და ნადირთ ღვთაების - სახელზე უძეოდ მყოფი ოჯახებიც ლოცულობდნენ და მას ვაჟის გაჩენას შესთხოვდნენ. დღეობაზე დასწრებისა და ლოცვის უფლება, თემის მკვიდრ მოსახლეობასთან ერთად, სოფლიდან გათხოვილ ქალებსა და მათ შთამომავლებსაც (მეშვიდე თაობამდე) ჰქონდათ.

სადღესასწაულო სამზადისი თემის ყველა სრულასაკოვანი წევრისთვის აუცილებელი რიგი აკრძალვების დაცვას ითვალისწინებდა, მაგ., დღეობამდე ერთი თვით ადრე ცოლ-ქმრული სქესობრივი კავშირი წყდებოდა; ოჯახიდან მოშორებით ან იზოლირებულად იმყოფებოდნენ „უწმინდური“ - ახალნამშობიარევი (6 თვემდე) და „თვისბეგარიანი“ - ქალები. დღეობას ვერ დაესწრებოდნენ ახალდაქორწინებულები, სულით ავადმყოფები და მგლოვიარე ოჯახის წევრები; იკრძალებოდა თიბვის დაწყება და სხვ.

სადღეობო სამზადისში შედიოდა: შესაწირი საქონლის შერჩევა, რიტუალური პურებისათვის ფქვილის, ყველის მომზადება, არყის გამოხდა, სანთლის ჩამოქნა, დროშისთვის ხის ტარის (ღვატი) გათლა, უსაფუარო-სამარხო კვერებისა (კუახ-ლემზირ) და ხაჭაპურების (ქუთუარ) დაცხობა.

დღეობაზე მოლჩენიშს (ახალშობილი და მისი ოჯახი) პირველი ვაჟის სახელზე ლიჩენიშისათვის მიაქვს: 9-15 მ. სიგრძის ღვატი და მასზე შესაბამელი თეთრი ან ღია ფერის სწორკუთხა ქსოვილის ერთი ან რამდენიმე ნაჭერი (დურმაი), ცხრა ან მეტი სამარხო კვერი, 20-30 ხაჭაპური, ე. წ. ფუსნა მუჟედუ - მამაკაცისთვის განკუთვნილი პური, სანთელ-საკმეველი, ერთი ან ნახევარი ბოთლი „ნათაველი“ და 5 დოქი

(დოქი - 5 ლიტრი) რახი; მიჰყავს 2-3 მოზვერი ან ორი ვერძი. ხაჭაპურები, რახი და ფუსნი მუჟედუ სადღეობო სადილს ხმარდებოდა, დანარჩენი კი შესაწირს წარმოადგენდა. მეორე ვაჟის დალოცვისას მოლჩენიშის ხარჯი ნაკლებია: წირავენ „დურმაის“, ერთ საკლავს, შედარებით ნაკლებ ლემზირს (არაუმცირეს სამისა), სანთელ-საკმეველს, ნახევარ ბოთლ ნათაველს; სადილად კი ხაჭაპურები და 3-4 დოქი რახი. თუ ერთ ოჯახში ორი მოლჩენიშია სადღეობო ძღვენი ორივეს ცალ-ცალკე მიაქვს.

ეკლესიაში ღვატისა და სხვა შესაწირის მიტანისა და ლოცვა-ვედრების, დიდი ღმერთის მოკლე სადიდებლის წარმოთქმისა და ახალშობილის დალოცვის შემდეგ, როცა მოლჩენიშები ღვატს დურმაის შეაბამენ და ახლომდებარე ბორცვზე აღმართავენ, მომზირებს (კულტმსახურებს) ეკლესიიდან გამოაქვთ ჯვარი და წმ. გიორგის ხატი და მლოცველთა თანხლებით დროშებისკენ მიემართებიან. ამ საწესო მსვლელობის დროს მამაკაცები ჯგრაგის სადიდებელს მღერაინ. დროშასთან პირველი ის მომზირი დადგება, რომელსაც ჯვარი უჭირავს, შემდეგ უფროსობის რიგით მეორე - წმ. გიორგის ხატის დამჭერი, შემოწირულობის მომტანთა აღმნუსხველი და შემოწირულობის შემკრები დგება. იწყება ახალშობილი ვაჟების დალოცვა: უფროსი მომზირი სათითაოდ ლოცავს მოლჩენიშს; დამწყალობებული დროშა და მისი პატრონი მწყობრიდან გამოვა და ასე გრძელდება, ვიდრე ყველა მოლჩენიში არ დაილოცება. ბოლოს დროშებს დაუშვებენ და მზის გადახრის დროს მოხსნიანზედმებმულ ქსოვილებს, რომელთაც მეორე დღეს მაცხოვრის სახელობის ეკლესიაში შეინახავენ.

ლიტ.: ჯ. რუხაძე. ერთი რელიგიური დღესასწაულის შესახებ სვა-

ნეთში // ძეგლის მეგობარი. № 55. თბ., 1980, გვ. 35-40.

ლიჩუდეშ-ი, ლითხამ-ი (სვ.) - ხარების მუშაობის აღმკვეთი დღეები სვანეთში; თოთობის (იხ.) დღიდან მოკიდებული ექვსი კვირის განმავლობაში ყოველ ორშაბათს (ლიჩუდეშს) და სამშაბათს (ლითხამს) იკრძალებოდა ხარების უღელში შებმა; ამ დღეებში ორშაბათს ამოყვანილი ყველით ქალები ხაჭაპურებს გამოაცხობდნენ და ე. წ. დულარს მართავდნენ (იხ. „დულუა“).

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. ღვთაება ბარბარ-ბაბარ. თბ., 2006, გვ. 22.

ლიცგორე („დაეკლიანება“) - ავსულთა საწინააღმდეგოდ კარ-ფანჯრებზე ეკლების შებნევის სვანური წესი, რომელსაც აღდგომის წინა ხუთშაბათს მიმართავდნენ.

ლიტ.: მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1961, გვ. 234.

ლიცე მჭმხი („წყლის მფერხავი“) - ახალწლის შინაური მეკვლე სვანეთში. „წყლის მეკვლეს“ ოჯახის წევრთაგან ან პირდაპირი დასახელებით აყენებდნენ ან კენჭისყრით ირჩევდნენ. ლიცე მჭმხი ახალი წლის დილაუთენია წყაროზე წასასვლელად მოემზადებოდა - ზურგზე სამეკვლეო შემოსალოცს წამოიკიდებდა, ცალ ხელში წყლის ცარიელ ჭურჭელს დაიჭერდა, მეორთი ხარს ან ცხენს გაიყვანდა და გზას გაუდგებოდა. წყაროზე მისვლისთანავე ცხოველს წყალზე მიუშვებდა, შემოსალოცს მიწაზე წყლის პირად ჩამოდგამდა, ხელ-პირს დაიბანდა და ლოცვას შეუდგებოდა: „ღმერთო მა-

დლიანო, კარგი ფეხი მომატანინე, ყველას წყალობა მოგვეცი! წელი ახალი, წლის შემცვლელი, კარგი წელი შეუცვალე ჩემს სახლს; ყველა ღმერთის წყალობა მოგვეცი, ადამიანის მშვიდობა და ოთხფეხის სიმრავლე; გაისს ახალი წელი კარგ გულზე მოასწარი ჩემს სახლს!“

ლოცვის დამთავრების შემდეგ, წყაროზე იგივე მიზნით მოსულ მეზობელ მეკვლეებს მიესალმებოდა. ვიდრე საქონელი წყალს სვამდა, მეკვლეები ერთმანეთს ახალი წლის შემოსვლას ულოცავდნენ და გარკვეული წესის დაცვით არაყს სთავაზობდნენ: სავსე და ცარიელ არყის სასმისებს მიწაზე დაუდგამდნენ ერთმანეთს, - სტუმარს სავსე უნდა აეღო, მასპინძელს კი - დაცლილი სასმისი. ეს „ხელის ახსნის“ (იხ. „ლიძიშლი“) მიზნით სრულდებოდა.

როცა ხარი თუ ცხენი წყლის სმით გულს იჯერებდა, მეკვლე მას შინ წაიყვანდა და თან წყლით სავსე ჭურჭელსა და საახალწლო შემოსალოცს გაიყოლებდა. მეკვლის მიერ მიტანილი წყალი ამ დღეს „რძედ“ (ლწჯე) იწოდებოდა და საახალწლო შემოსალოცში შედიოდა. მეკვლე რომ საკუთარი სახლის კარს მიადგებოდა, სამჯერ ხმამაღლა დაიძახებდა: „კარი გამიღეთ!“ (ყო-ო-რ მიკჭ-ჭ-რ!); ამაზე შინიდან შეეკითხებოდნენ: „რა გაქვს, შე ბედნიერო?“ (მა-ა-ა ჯუღჟე-ე სი ბედნიერ?). მეკვლე უპასუხებდა: „ დიდი ღმერთის წყალობა მაქვს, მიქმ თჯრგლეზრის წყალობა მაქვს, ჯგწრჯის წყალობა მაქვს. კარი გამიღეთ“ (ხოშა ღერთეში ჟწრ მუღჟე, მიქამ თჯრგლეზრიშ ჟწრ მუღჟე, ჯგწრჯიშ ჟწრ მუღჟე. ყო-ო-რ მიკჭ-ჭ-რ!). კვლავ შეეკითხებოდნენ: „კიდევ რა მოგაქვს, შე ბედნიერო?“ (სერ მა-ა-ა ჯუღჟე, სი ბედნიერ?). ლიცე მჭმხი უპასუხებდა: „ ლამარიას წყალობა მომაქვს, ოთხფეხის სიმრავლე მომაქვს, თორმეტი კასრი

რძე მომაქვს, პური ბლომად მომაქვს ლამარიას წყალობა, მოვდივარ და ვერ მოვდივარ. კარი გამიღეთ“ (ლამაშიში ჟნრ ამღჷე, ჷეთხმალლიმ ნჷფშირი ამღჷე, ემღორი გჷბჷ ლნჯე ამღჷე, ლამაშიში ჟნრ კჷეცენ მასარდ ამღჷე, ღურიჷო დემ ღური, ყო-ო-რ მიკჷ-ჷ-რ!). ამ ჯერზე დაუძახებდნენ: „ „შინ, შინ, შე ბედნიერო!“ (ისგჷ, ისგჷ, სი ბედნიერ!).

მეკვლე შევიდოდა სახლში წყლით სავსე ჭურჭლითა და შემოსალოცით, თან ხარიც შეჰყავდა, უკანასკნელთან ერთად კერიას სამჯერ გარს შემოუვლიდა, შემდეგ ხარს რომელიმე შინმყოფს გადასცემდა, თავად კი აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან დაგორდებოდა ისე, რომ მარჯვენა მკლავი თავქვემ მოჰყოლოდა და დაიძახებდა: „წელიწადი მოგორდა“ (ზჷ ჷნგურან). ეს იმას ნიშნავდა, რომ ახალი წელი სახლში შემოვიდა ყოველგვარი სიმდიდრით მეტად დატვირთული, ამ ტვირთის სიმძიმეს ვეღარ გაუძლო და დაგორდა. მეკვლის დაგორებას შინმყოფნი მხიარულად შეხვდებოდნენ. შემდეგ შემოსალოცს ამოალაგებდნენ და ყველაფერს ტაბლაზე გააწყობდნენ, გარდა ლამარიას კვერებისა, რომლებსაც ცალკე გამოყოფდნენ და მაშინვე შეჭამდნენ. შემდეგ იწყებოდა „ხელის ახსნის“ რიტუალი.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 79, 85, 120, 121, 122, 132, 133, 135, 136.

ლიჭაჭი / ჭაჭილარ-ი - ეროტიული ხასიათის სვანური რიტუალი - სალასკარო დღეობაში და ქორწილში პურობის დროს შესასრულებელი წესი: კერის პირად დადგამდნენ ფიჩქ-ს (მრგვალი ფორმის დაბალი სამფეხა ტაბლას), რო-

მელზედაც დაალაგებდნენ წვრილად დაჭრილ ყველს ჯამით და ორ კათხას ნათაველი არყით. ლასკჷრ-ის (იხ.) თითოეული წევრი, უფროს-უმცროსობით, გამოეყოფოდა საერთო სუფრას, შეარჩევდა და გამოიხმობდა ლასკჷრ-ის წევრ ქალს, ორივენი ფიჩქ-ის წინ დაიჩოქებდნენ, ლასკჷრ-ს დალოცავდნენ, კათხებს გამოცლიდნენ და ერთად იცეკვებდნენ; ბოლოს კვლავ საერთო სუფრას დაუბრუნდებოდნენ.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 54, 55, 56.

ლიჯრალ-ი („ხვეწნა“) - მიცვალებულის დატირების სვანური წესი; იმართებოდა გასვენების წინ. საამისოდ, მიცვალებულის ნათესავი მამაკაცები რიგში დგებოდნენ, ცხედართან სათითაოდ მიდიოდნენ და დაიტირებდნენ, თან ოჯახისათვის კარგი ფეხის დატოვებას ევედრებოდნენ; შემდეგ კუბოს აწევდნენ, კარის ზღურბლის ძირს სამჯერ მიადებდნენ და იტყოდნენ: „კარგი ფეხი დაგეტოვებინოს, ამით ამ სახლში მარცხი ერთ ას წელიწადს არ ყოფილიყოს“ (ხოჩჷვ ჭიშხ ჯიცვონრა, ამნომჷ მგლიჯული ალ ქორისგა მძრცხ აშხუ აშირ ზავ).

მამაკაცებმა მიცვალებულის დატირება დამარხვის შემდეგაც იცოდნენ: როგორც კი მიწას მიაყრიდნენ, სოფლის (თემის) მამაკაცები საფლავის გარშემო წრეს შეკრავდნენ, დაიჩოქებდნენ და შემდეგი სიტყვებით იტირებდნენ: „ი ი ი, ვამ, ვამ საბრალო შენი სახლი, შენ რომ არ ეყოლები!“ (ი ი ი ვამ, ვამ, საბრალ ისგუ ქორ, ი ი ი ვამ, ვამ; ი ი ი ვამ, ვამ იმვამ სი მომ ხერდი ი ი ი ვამ, ვამ). ამ სიტყვებს სამჯერ დაიჩოქილ მდგომარეობაში იმეორებდნენ და სამჯერ - ფეხზე მდგარნი, იმა-

ვდროულად ხელებს სახეში ირტყამდნენ, ლოყებს ფრჩხილებით დაიკაწრავდნენ, ორივე ხელის მოკეცილ თითებს ნიკაპთან მიიღებდნენ. სახის დაკაწრვის ცერემონია ხმით ნატირალთან იყო შეწყობილი და ყველა მამაკაცის მიერ ერთდროულად შესრულებული.

ლიტ.: მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1961, გვ. 170-171.

ლილა - ინდიგო, მცენარეული წარმოშობის საღებავი, იღებდნენ ინდიგოს შემცველი მცენარის ფოთლებიდან. საქართველოში შემოჰქონდათ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (ინდოეთი, ირანი, თურქეთი). ლილის-ინდიგოს საღებავის გავრცელება საქართველოში გვიანფეოდალური ხანიდან ივარაუდება. ლილა-ინდიგოს იყენებდნენ ლურჯად ღებვისათვის. საოჯახო ღებვაში ლილა განსაკუთრებით ფართოდ მოიხმარებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავი, მთიულეთი, ხევსურეთი), გამორჩეულად ინტენსიური მომხმარებელი იყო ხევსურეთი. ხევსურული ჩაცმულობის - მამაკაცისა და ქალის ტალავარის ბევრი ელემენტი იღებებოდა ლურჯად. ღებვის ტექნიკაც სათანადოდ იყო შემუშავებული. აყენებდნენ ლილის ხსნარს და შესაღებ მასალას შიგ ყრიდნენ, ფერჭერისათვის იშველიებდნენ ნაცრის ნაყენს და საქონლის შარდს. მტკიცე, მდგრადი ფერის მიღების უზრუნველსაყოფად პრაქტიკულ დონისძიებებთან ერთად შემუშავებული იყო მაგიურ-რელიგიური ქმედებები.

ლიტ.: მსმხი ტII, ნაწ. II, 1982

ლილახანა (სპარს.) - სამღებრო სახელოსნო. ლილიხანა ცალკე ნაგებობაში იყო გამართული: მასში, ერთ მხარეს მი-

შენებული იყო ქურა, ქურაში ჩატანებული იყო ქვევრები, ქვევრებს შორის აგებული ცეცხლის სანთებში დანთებული ცეცხლის კვამლი ქვევრებს უვლიდა და საღებავს ათბობდა. სამღებრო ინვენტარს შეადგენდა წყლის მოსაკავებელი - ქვევრი თაღარი, საღებავისთვის თიხის ჯამები, სატყეპელა და სხვ. სახელოსნოს სიდიდე დამოკიდებული იყო ქვევრების რაოდენობაზე. ღებვა ხდებოდა ოდნავ შემთბარი საღებავის ხსნარით, ზაფხულში საერთოდ გათბობას არ საჭიროებდა. მტკიცე, მდგრადი ფერის მიღებისათვის საღებავს უმატებდნენ ფერმჭერად ხმარებულ ნახშირს და კირის ნარეუს. შესაღები მასალის საღებავში დაყოვნების ხანგრძლივობის მიხედვით მიიღებოდა სხვადასხვა შეფერილობა - ტონი. მუქი ფერის მიღების შემთხვევაში გასაბაძებლად თაფლს უმატებდნენ. შესაძლებელი იყო ფერიდან ფერზე გადაყვანაც: ყვითლისა მწვანეზე, მაგარი წითლისა უფრო ბაცად. და ა.შ. ლილიხანაში ძირითადად ბამბეული და შალის ფეიქრული ნაწარმი იღებებოდა. ლილიხანები გვიანფეოდალურ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული. XVIII ს. ქართლ-კახეთში 60 ლილახანა მოქმედებდა.

ლიტ.: ნ. ბერძენიშვილი, სამღებროთა შესახებ, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, 1967. მსმხი, ტ. II, 1982.

ლილვი (გურ.) - ურმის ღერძი. გურულად ღერძი. (საბა: „ბადის საქსოვი ჩხირი“.

ლიტ.: ს. ჟღენტი. გურული კილო. თბ., 1936; დ. ჩუბინაშვილი. საუნჯე ქართულის ენისა, ქართულ-რუსული ლექსიკონი. სპბ., 1887.

ლილია (ხევს., მთიულ.) - 1. სათამაშო ბავშვის ენაზე, 2. ბავშვის რაიმე სათამაშო

ნივთი. (მდრ. საბა: „ჩივილთ მიერ ლამაზი“, ჩივილთა მიერ წითელი).

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005; ლ. კაიშაური. მთიულურის დარგობლივი ლექსიკა. თბ., 1967.

ლილიფარა (ქართლ., ფშ.) - მზესუმზირა.

ლიტ.: ალ. მაყაშვილი. ბოტანიკური ლექსიკონი. თბ., 1961; ივ. ქეშიკაშვილი. თედო რაზიკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ლექსიკა. თბ., 1969.

ლიპა (ხევს.) - თხელი და გლუვი, სრი-ალა ქვა; იყენებენ კოჭის თამაშში - ლიპაობაში (იხ.).

ლიპაობა (ხევს.) – „ბავშვის სათამაშოა. ბავშვები წრეს შემოხაზავენ და ერთ მწკრივზე კოჭებს გააწყობენ. თითვეული მოთამაშე გარკვეულ; ი მანძილიდან ქვას ესვრის კოჭების მწკრივს და, რამდენ კოჭსაც ამ გარტყმით შემოხაზულ წრეს გადააცილებს, იმდენსავეა მოგებული“

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

ლიპი - სწორი და ბრტყელთავიანი ხელკვერი, რომლითაც რკინეულს ზედაპირს უსწორებენ.

ლირსი (რაჭ.) - შენობის სახურავსა და სარტყელს შუა აფრის ორსავე მხარეს ამოშენებული ფიცრები, რომლებიც ერთიან სამკუთხედად კედელს ქმნიან, – საქარე (იხ. ქეგლ, წერ., გაჩ.; მდრ. საბა).

ლიტის ჭურჭელი - ღამისთევის ლოცვაზე, დიდი დღესასწაულების წინ პურის, ხორბლის, ღვინისა და ზეთის საკურთხევლად სპეციალურად განკუთვ-

ნილი ჭურჭელი, მინის ან კეთილშობილი ლითონისგან დამზადებული. შედგება ლანგრის, სამი პატარა თასის ან ჭიქის და სამი სასანთლისაგან. საკურთხევლად გამზადებულ პურს, ხორბალს, ღვინოს და ზეთს დებენ ლიტის მაგიდაზე შუა ეკლესიაში, ანთებენ სანთლებს, დიაკვანი სამჯერ შემოუკმევს გარშემო საცეცხლურით, მღვდელი ამბობს ლოცვას. ცისკრის ლოცვის დასასრულს, ლიტის დროს, ნაკურთხ ზეთს მღვდელი მუბლზე სცხებს მლოცველებს ჯვრის სახით, ხოლო ნაკურთხ ხორბალს და ღვინოში ჩამბალ პურს ურიგებენ. ეს ქმედება მოგვაგონებს მაცხოვრის მიერ ხუთი პურით ხუთი ათასის დაპურებას და ქრისტიანთა უძველეს ტრადიციას - ეკლესიაში პურის, ზეთის, ღვინის მიტანას, რომლითაც ლოცვის დასასრულს მლოცველები ტრაპეზობდნენ.

ლიტრა, ნიტრა - 1. წყლის ან ღვინის დასალევად განკუთვნილი თიხის ჭურჭელი გავრცელებულია საქართველოს ყველა კუთხეში. ყელის სივიწროვის გამო წყალი რაკრაკით გადმოედინება, რის გამო „რაკრაკა“ ლიტრასაც უწოდებენ. ტერმინი ნიტრა გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ასევე რაჭაშიც, სადაც ნიტრა ჭინჭილაზე მოზრდილი ღოქია. 2. მასისა და სითხის საზომი ერთეული. ერთი ლიტრი უდრის 1000 გრამს.. ლიტრა საწონს გარდა საწყაოდაც გამოიყენებოდა. ლიტრით აიწყვოდა მარცვლეული და სითხე. XIX საუკუნის მონაცემებით საწყაო ლიტრა თბილისის მაზრაში 3,2კგ-ს უდრიდა, ხოლო თელავის მაზრაში - 4,5-5კგ-ს. ლიტ.: გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973.

ლიტრა შვილებიანი / ლიტრა გამბულა. თიხისა, მრავალი ჭინჭილებისგან შემდგარი სარიტულაო დანიშნულების

ღვინის ჭურჭელი. შინაარსობრივად ენათესავება სასმის „მარანს“, განსხვავება ფორმათა თავისებურებაშია. შვილებიანი ლიტრის დამზადების კერად ითვლება ქსნის ხეობის სოფ. ცხავატი, რომელიც მთელ ქართლში იყო განთქმული თიხის ჭურჭლის წარმოებით. შვილებიანი ლიტრაში ერთი ძირითადი დედა-ლიტრა მოზრდილია და ჩარევა ღვინოს იტევს. დედა-ლიტრის მუცელზე შეზრდილი მცირე მოცულობის ჭინჭილები. ღვინო დედა-ლიტრში ისხმება და აქედან პატარა ლიტრებში ნაწილდება. სითხე ჭინჭილიდან ისმევა და ამ გზით დედა-ლიტრაც იცლება. სასმისში დიდი და მცირე ლიტრების არსებობამ განაპირობა მისთვის სახელწოდება „შვილებიანი ლიტრის“ მიკუთვნება. რაც შეეხება მეორე ტერმინს „გამბულა“, მისი ხალხში დამკვიდრება ჭურჭლის დამზადების წესის თავისებურებით არის მოტივირებული. ოდნავ შემშრალ ჭინჭილებსა და დედალიტრას პატარა ხვრელები უკეთდება, შემდეგ დედა-ლიტრას მუცელზე ორი სანტიმეტრის დამორებით გვერდებდახვრეტილ ჭინჭილებს ჩხირებით მიამაგრებენ. დამაკავშირებელი ჩხირები თიხის ფენით იფარება, თიხითვე იმალება დედა-ლიტრასთან შეხების წერტილებიც. სასმისს მთლიანად წერნაქით მოაჭრელებენ დაგამოსაწვავად ქურაში - „თუნში“ შედგამენ. გამოწვის დროს ლიტრათა გადამბმელი, დამაკავშირებელი ჩხირები იწვის და მის ადგილზე ღვინის გასასვლელი ხვრელები რჩება.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ლიფლიფა - ღამის სანათი. გამოიყენებოდა როგორც შენობების, ასევე ქუჩების გასანათებლად. ესაა მრგვლად გაკერილი და გასანთლული ნაჭერი, რომლის თავი

ჩამაგრებულია სპილენძის თავსახურში, ხოლო ძირი წარმოადგენს სანთლის დასამაგრებელს. ლიფლიფა ჩვეულებრივ გარმონივითაა დაკეცილი, ანთებისას კი გაშლიან და ჩამოჰკიდებენ საკილზე. ქუჩის ლიფლიფები იკიდებოდა ბოძებზე და მათ შედამებულზე აანთებდნენ.

ლიფლიფანა - დაირაზე ასხმული ჯინჯილები, რომლებიც დაკვრისას ხმას გამოსცემენ.

ლობიანი / ლობუანი (რაჭ.) - პური (ზოგჯერ მჭადიც), რომელსაც მოტუკული (იხ.) ლობიო აქვს ჩართული, გაქილული (იხ.) ან გაუქილავი (იხ. წერ.; შდრ. ქეგლ. ლობიოანი).

ლობიოს გაქილვა / ლობიოს გაქმუნა (რაჭ.) - ჩაადგამენ (იხ. ჩაადგამს) ქვაბში ლობიოს. ამოთვალვას (იხ. ამოითვალება), რომ დაიწყებს, ჩაყრიან ქვაბში გაცრილ ნაცარს. ერთი რომ წამოდუდდება, გადმოდგამენ. ჯერ ჩოგნით ურევენ, მერმე, როცა შეგრილდება, ხელეებით სრესენ.

ლობიოს შემთვარვა -- ივლისის დასაწყისში, ახალ მთვარეზე კარგი მოსავლის მიღების იმედით ახალგამოსული ლობიოს პარკების პირველად მოკრეფა: „მერე რომ კაი მოსავალი იყოს, ჩურუგას (ივლისის) პირველში, ახალ მთვარეზე ჩევალთ ბაღჩაში და ლობიოს შევმთვარავთ.“

ლიტ.: ჯ. ნოღაიდელი, აჭარული კილოს სალექსიკონო მასალები - XX საუკუნის 30-იანი წლები, ბათუმი, 2015.

ლოგინის ძღვენი - სამშობიარო ციკლის წეს-ჩვეულება - მელოგინისა და ახალშობილის მონახულება ძღვენით, რომელშიც, ჩვილისთვის განკუთ-

ვნილ საჩუქართან ერთად, შედიოდა: ქართლში - ერბოიანი ქადა, 2-3 ჩარეკი არაყი; კახეთში - შითი ჰურები ნაზუქები, ქადა, ყველი, ქათამი საქონლის ხორცი, რამდენიმე ხელადა ღვინო, არაყი, ხილი, აგრეთვე, სასამოსლე დედა-შვილისთვის; სამცხე-ჯავახეთში - ერთი დიდი ხაჭაპური და ერთი ბოთლი თუთის არაყი; იმერეთში - 9 გომიჯის პური (ცხვებოდა უმარილო ცომისგან), ერთი ბოთლი ღვინო ან არაყი, ხაჭაპური, ქათმები და კოკრები; ფშავში, სადაც ამ წესს „სუფრის მიტანა“ ერქვა, - სანახავი კოტორი, თუშური ხაჭაპური; ხევსურეთში („მოსანახავი“) - ქადა, ქადის კვერი, კუბადი, ქინთით (ტიკით) არაყი; სამეგრელოში (ხეღვინი - „ხელ-ძღვინი“) - შაქარი, პური, ხაჭაპური, ქათამი და აუცილებლად ერთი ბოთლი ღვინო, რომლის ერთი ჭიქა მელოგინეს უნდა დაეღია, რათა ღონე მისცემოდა და ძუძუში რძე ჩადგომოდა.

ლიტ.: ნ. კაპანაძე. მშობიარობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი სამეგრელოში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXIII. თბ., 1987. გვ., 230-231; ს. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

ლოდი - აქ: საფლავის ქვის ლოდი, ყველაზე უფრო გავრცელებული მემორიალური კულტურის ძეგლი, რომელიც გამოიყენებოდა უძველესი ხანიდან და მოიცავს უამრავ ნაირსახეობას - დაწყებული დაუმუშავებელი ქვიდან, დამთავრებული რთული სიუჟეტებითა და ბრწყინვალე ორნამენტებით შემკული ქვებით. ეთნოგრაფიულ ყოფაში დასტურდება ლოდების ნაირსახეობანი: მაგ., ზანდუკისებური, აკვანისებური, მშვილდისებური, ჰორელიეფიანი ლოდები, ასევე - ფიქალქვა, კუბო ქვა, ტაგრუცი და სხვა. ჩვეულებ-

რივზე ფართო ლოდები ორი მიცვალებულისათვის იყო განკუთვნილი (ძირითადად ცოლ-ქმრისათვის), რომელთა ზედაპირზე მათი ფიგურები გამოიხატებოდა ანდა გამყოფი ხაზი იყო გავლებული, რაც უფრო საცნაურს ხდის, რომ იგი ორი ადამიანისთვისაა განკუთვნილი. გვხვდება მაღალი ჰორელიეფით ამოკვეთილი ლოდები. ასევე ლოდები, რომლებთაც ბაზილიკებისა და ეკვდერების ფორმა აქვთ მიცემული, ცრუ თალებისა და სარკმელების შემკულობითურთ. ლოდების ფორმებში ძირითადად გამოიკვეთება სამარხი კუბოსა და ეკლესიის დეტალები, ასევე ეკლექტიური ნაზავი სხვადასხვა არქიტექტურული ფორმებისა. ლოდების შემკულობაში დიდი ადგილი უჭირავს სამეურნეო, სახელოსნო და საბრძოლო იარაღებს, ციურ სხეულებს, მცენარეულ და გეომეტრიულ ორნამენტებს, ქრისტიანული რელიგიის ისეთ უმნიშვნელოვანეს სიმბოლოებს, როგორიცაა - ცხვარი, მტრელი, ვაზი, ყურძენი, ნაყოფი, თევზი. საფლავის ლოდებში არეკლილია წარმართული რელიგიური რწმენა-წარმოდგენების დანაშრევებიც.

ლიტ.: ე. ნადირაძე, საქართველოს მემორიალური კულტურა, 2001.

ლომა (გლ.) - თეთრი ზოლი ზოგი ჯიხვის (და არჩვის) ზურგზე. ლომა ჯიხვი წმინდა ნადირად მიიჩნეოდა და მასზე ნადირობა იკრძალებოდა.

ლიტ.: რაჭული ლექსიკონი.

ლომისის ბეგარა - ლომისობაზე ლომისის ხატისთვის შეწირული ხორბალი მთიულეთში. ლეწვის დროს ოჯახის უფროსი თიხის ხელადით ყველა ხვავიდან ხორბალს აიღებდა, თეთრი ფერის ქსოვილის ნაჭერში შეახვევდა და სამკვერთან და სანთლებთან ერთად ხატში

გაგზავნიდა. შემოწირულობას დეკანოზი დაამწყვალაობებდა და იქვე დატოვებდა. მოგვიანებით ამ ბეგარით ხატისთვის ქალები და ხმიალები ცხვებოდა.

ლიტ.: ნ. მაჩაბელი. მინდვრის სამუშაოებთან დაკავშირებული რიტუალური კვრები // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXI. თბ., 1981, გვ. 161.

ლოფინი || **ლორფინი** (რაჭ.) - მარწყუხებზე (ნივინივებზე) გარდიგარდმო დამაგრებული გრძელი ბრტყელი ხე, რომელზედაცზემოდან აჭედებენ (ან ქვებით ამაგრებენ) ყავარს. (იხ. ქეგლ).

ლოფორთი (რაჭ.) - ფოთოლი (უფრო ვაზის ფოთოლზე იტყვიან) (იხ. ქეგლ, ძოწ.: ლოფორთი).

ლოფორჩინი (რაჭ.) - ვიწრო, უვარგისი ყავარი. ასეთი ყავრი სახურავზე გარდიგარდმოა დაჭედებული.

რაჭ. ლექსიკ.

ლოხმა - წყალში გათქვეფილი თიხა., „თხელი ლაფი“. ჭურჭლის ჭრის დროს ოსტატები ხელებს ლოხმაში ისველებენ, რათა ჭურჭლის ამოყვანის დროს ხელი ჭურჭელზე თავისუფლად ცურავდეს. ულოხმოდ ჭურჭელზე მუშაობა შეუძლებელია. „ლოხმა“ მოთავსებულია მოზრდილი თიხის ჯამში.

ლიტ.: ფ. გარდაფხაძე, მეჭურჭლეობა და მექვევრეობა ლეჩხუმში, 1947.

ლუდი - ნაკლებალკოჰოლური სასმელი, რომლის დამზადების ტრადიციები უძველესიდან არსებობდა საქართველოში, განსაკუთრებით მის მთიან ნაწილში - ხევსურეთში, მთიულეთ-გუდამაყარში, ხევში, თუშეთში, ფშავში და

შიდა ქართლის მთისწინეთში. ლუდის სამშობლოდ მიჩნეულია შუამდინარეთი, რომლის დამზადების კულტურა მესამე ათასწლეულისათვის უკვე ძალზე განვითარებული ჩანს. საქართველო, როგორც წინა აზიის კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ქვეყანა, ადრე უნდა გასცნობოდა ლუდის დამზადების წესებს. ამ მოსაზრების დამადასტურებელი ფაქტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ურარტუს არქეოლოგიური გათხრებისას მიკვლეული თიხის ჭურჭელი, რომელშიც ლუდისათვის საჭირო, ფეტვისა და ქერის დაალაოებული მასა იყო მოთავსებული. საქართველო, როგორც ხორბლეული კულტურების წარმოშობის ერთ-ერთი უძველესი ეპიცენტრი, ადრიდანვე იყო შემზადებული ლუდისათვის საჭირო ნედლეულის წარმოებისათვის. ლუდის კულტურა უაღრესად გამოიკვეთა საქართველოს მთიანეთში გავრცელებული სალოცავი ჯვარხატების სარიტუალო დღესასწაულებთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით ჩატარებული ნებისმიერი სარიტუალო ქმედება სრულდებოდა ლუდის თანხლებით და იგი მიღებული იყო როგორც წმინდა სასმელი. საქართველოს მთაში, მეტ-ნაკლები ინტენსივობით, ბოლო დრომდე შემორჩა ლუდის დამზადების ტრადიცია. ეს განსაკუთრებით ითქმის თუშეთის შესახებ, სადაც ზაფხულის დღესასწაულებზე ასულ მოსახლეობას ვალადა აქვს მორიგეობით გასწიოს შულტობა ე. ი. დაამზადოს ლუდი და მასპინძლობა გაუწიოს სტუმრებს. ასეთმა წესმა განაპირობა ის, რომ დღესასწაულმა შემოინახა ლუდი, ხოლო ლუდმა განამტკიცა დღესასწაულის სარიტუალო პრაქტიკა. ლუდს საქართველოს მთაში ადულებენ კერძო მოხმარებისთვის, მაგრამ მისი მასშტაბური ხასიათი სრულყოფილად წარმოჩნდა ჯვარ-ხატებთან არსებულ სალუდეებში, სადაც ლუდის წარმოებას ფართო ხასი-

ათი ჰქონდა. ჯვარის სალუდე წარმოადგენდა ქვის ნაგებობას, სადაც მოთავსებული იყო დაახლოებით 500-600 ლიტრის ტევადობის სალუდე ქვაბები (იხ. ქვაბი ლუდის), რომლებიც შეკერილნი იყვნენ სპილენძის ფირფიტებისგან და უძრავად იყო ჩაშენებული საცეცხლეს კედელში. მთიელებს სახატო მიწებზე მოჰყავდათ ქერი, აკეთებდნენ მისგან ფორს, ხარშავდნენ, ფილტრავდნენ, კაზმავდნენ სვიით და აფუებდნენ საკოდეში. ლუდის დადულების ინვენტარში შედის სალუდე ქვაბი, ლუდის დასაყენებელი კოდი, ლუდის სისწვენის მოსაკავებელი - ლათბა, ისარნა (იხ. ლათბა), ქვაბიდან სისწვენის ამოსაღები კოში, ტარკომა (იხ. კოში). ლუდის საწყაო ტუჩიანი და სახელურიანი ხის ჭურჭელი ჩხუტი, ლუდის გასაფილტრი - თხის ბეწვისგან დამზადებული ხაკის ტომარა და ამ პროცესთან დაკავშირებული იარაღები კედები, პირსაკრავები, მალახა, ასევე კოჭობი და სასმისების სახეობანი. ლიტ.: ა. ლეკიაშვილი, ქართველ მთიელთა მეურნეობის ისტორიიდან (საკანდიდატო დისერტაცია), 1953. ე. ნადირაძე ქართული ლუდი, 2011.

ლუდი || **ალუდი** - აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სარიტუალო სასმელი, რომელიც ქერის ან სხვა პურეულის ხარშვით მიიღებოდა; მზადდებოდა როგორც ჯვარში/ხატში (იხ.) საამისოდ გამოყოფილ სალუდე/საქვაბე (იხ.) ოთახში, ისე ამავე სახელწოდების ცალკე მდგარ ნაგებობაში (მაგალითად, შატილში და სხვა სოფლებში). ლუდის მოსახარში სპეციალური სახლი მთელი სოფლის საკუთრება იყო, სადაც მზადდებოდა როგორც საჯვარო, ისე საქორწილო და მკვდრის რიგის ლუდი. საქვაბეში რამდენიმე ძირკოჭობი (ღრმაფსკერიანი) ქვაბი ინახებოდა. აქვე იდგა ჯვარის საპურე კილობანი, რომელშიც ჯვარის ყანაში მოწეული ქერი იყო დაცული,

და რამდენიმე კოდი და კასრი (ჩხუტი); აგრეთვე სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელი (კოში, ტარკომა, ტარმოკლია, ხელადა, სურა, ხის სასმისები: კათხა, კონჩხა, თასი, საარყე სასმისი მაღალა, კოჭობა, ყანწი და სხვ.).

ხევსურეთში ლუდი შემდეგი წესით მზადდებოდა: ქვაბებში ხარშავდნენ ფორს (ალაოს), ვიდრე გამონახარში საკმაროდ ტკბილი არ იქნებოდა. ეს ტკბილი და ჯოტი (მოხარშული ფქვილი) ქვაბიდან ჯიმურით (ჩხუტზე პატარა კასრით) ამოჰქონდათ, შემდეგ, ჯერ ჩხუტში გადმოსახამდნენ, მერე კი - ტომრებში. ტომრიდან სუფთა ტკბილი ლათბაში (6-7 მ. სიგრძის გეჯაში) ჩადიოდა, ხოლო ჯოტი - ტომრებში რჩებოდა. რამდენადაც ჯოტს გარკვეული ოდენობის ტკბილი მიყვებოდა, ტომარას გაწურავდნენ და ტკბილს ლათბაში გადაიტანდნენ. ლათბიდან ტკბილს კვლავ ქვაბში დააბრუნებდნენ და გრძელი ჯოხით, საზომათი - ჩაზომავდნენ. შემდეგ ტკბილში სვეს (სვიას) ჩაყრიდნენ და ხარშავდნენ. ერთად მოხარშულ სვესა და ტკბილს სისწვენს (სვის წვენს) უწოდებდნენ. სისწვენს ლათბაზე მდგარ სანამგვლეზე (წნელით ძირგამოწნული ხელსაწყო, რომელშიაც ყარტი - მარცვლისგან დაცლილი სვილის - ჭვავის - ჩალაა ჩაყენილი) დაასხამდნენ. იგი ლათბაში ჩაიწურებოდა, ხოლო გამოხარშული ნამგოლი - სვის კლერტები და ყვავილი - სანამგვლეში დარჩებოდა. მოგვიანებით, განელეებულ სისწვენს ლათბიდან კოდებში გადაიტანდნენ და საფუარს გაუკეთებდნენ, ცოტა ფორს დაამატებდნენ და მჭიდროდ დახურავდნენ. ლუდი რამდენიმე დღე „იფულებდა“. ფულისას ლუდი ზედ მოიგდებდა ფორნარევე ქაფს - ჭიჭს, რომელიც ლუდისა და არყისთვის საუკეთესო საფუარად ითვლებოდა. ლუდს ჭიჭს მოაცილებდნენ და დალიკებას (დაწლობას) დააცლიდნენ. კარგი ლუდი შავი, ჯშირი

(სქელი) და სვიანი უნდა დამდგარიყო, რადგან სვიანი ლუდი, მართალია მწარეა, მაგრამ მათრობელაა.

სანამგვლეში დარჩენილ ნამგოლს ადუღებულ წყალში გაავლებდნენ. ნამგოლის ნარეცხსა და სისწვნის ნარჩენებს სარყედ იყენებდნენ.

ლიტ.: ა. ლეკიაშვილი. ქართველ მთიელთა მეურნეობის ისტორიიდან (საკანდიდატო დისერტაცია). თბ., 1953; ალ. ჭინჭარაული. ხევსურული თავისებურებანი. ტექსტებითა და ინდექსით. თბ., 1960, გვ. 215-221; ე. ნადირაძე. ქართული ლუდი. თბ., 2011.

ლუდით მამკალი (ხევს.) - მკის დროს ლუდით გამასპინძლებული მამითაღი.

ლიტ.: ალ. ოჩიაური. სტუმა-მასპინძლობა ხევსურეთში. თბ., 1980, გვ. 223.

ლუდის განარცხვა (ხევს.) - ლუდის გაფუჭება, უგემური ლუდის დადგომა.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

ლუდის ცვარი (ხევს.) - წვეთი ლუდი.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

ლუდიწინა (ხევს.) - როცა ზემდამდეგი (იხ.) ლუდს მოიტანს სუფრაზე, იტყვის: „ლუდიწინა!“ პასუხობენ: „მამტან ბედნიერი! მასპინძელ აგვიშენას“.

ლიტ.: ალ. ოჩიაური. ფშავ-ხევსურული პოეზია. თბ., 1970, გვ. 40.

ლუდოვეთი (ხევს.) - ბევრი ლუდის მქონე ოჯახის ეპითეტი.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

ლულა - ცეცხლსასროლი იარაღის შემადგენელი ნაწილი. ლულა ცეცხლსასროლი იარაღის განვითარებასთან ერთად იხვეწებოდა. თავდაპირველად ის შიდა სივრცით გლუვი (გლუვლულიანი) იყო, შემდგომ (XVI ს.) დაწახნაგებული, მოგვიანებით კი - ხრახნიანი (შაშხანა). თოფისა და დამბაჩის წარმოებაში ყველაზე რთული ლულის დამზადება იყო, რაც მეიარაღე-ხელოსნის დიდ ცოდნასა და დახელოვნებას საჭიროებდა. სალულე რკინას სათანადო სიგრძით გრდემლზე გააბრტყელებდნენ და მოხაპრავდნენ (ე.ი. მილისებურ ფორმას მისცემდნენ). შემდგომ ლულას მთელ სიგრძეზე ნახევარი სანტიმეტრის სისქის გახურებული ფოლადის მავთულს შემოახვევდნენ. ამგვარად დამზადებულ ლულას სიბნელეში შეადუღებდნენ, რადგან ცხელი ლულა სიბნელეში კარგად ჩანს და ამასთან ის ნაწილიც რომელიც უნდა შედუღდეს. მომდევნო პროცესი ლულის მოხვეწა ანუ ლულის ხვრელის წმინდად გაბურღვა - გაფართოებადამისთვის ხრახნისგაკეთება იყო. ლულის გაბურღვა ხდებოდა დაზგაზე, რომელსაც „თოფის ჩარხი“ ეწოდებოდა. თოფის ლულებს ხრახნილს სათანადო ყალიბის საშუალებით უკეთებდნენ. რიკები კბილების მიხედვით ოთხნაირი იყო. პატარაკბილებიანი, რომელიც ლულას ოდნავ გაღარავდა, მომდევნო მსხვილკბილებიანი ღარს გააფართოვებდა და ა.შ. ლულას უმეტეს შემთხვევაში რვაწახნაგიან ფორმას აძლევდნენ. ამის შემდეგ წყალნარევი შაბის ხსნარში „ხარშავდნენ“, რისთვისაც გამოყენებული იყო გრძელი, ცილინდრიკური ფორმის ჭურჭელი (ყუბერი, აჭარ.). ეს პროცესი ბუნრის ან ჭურის ცეცხლზე სრულდებოდა და რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. გამოსარშვის შემდეგ რკინისა

და ფოლადის გარდიგარდმო შემოხვეული მავთულები ლულას ბზინვარებას აძლევდა. ასეთ ლულიან თოფს აჭარაში „კაჭკაჭლი თოფი“ ერქვა და საკმაოდ ძვირად ფასობდა. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემებით, დაახლოებით ასეთივე წესით ამზადებდნენ თოფის ლულას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ჩრდილო კავკასიაშიც. განსხვავებული წესი ყოფილა სამეგრელოში, სადაც თოფის ლულა რკინის გრეხვის წესით უმზადდებოდა. ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი, ქართული ხალხური მეტალურგია, 1964. ნ. კახიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა ტ. II, 1974.

ლურჯი სუფრა - ქართული ტრადიციული სუფრის ერთ-ერთი ნიმუში. ამზადებდნენ ბამბის ან სელის ქსოვილისაგან. ნახატის რეზერვაცია აღმოსავლეთიდან შემოსული ცივი, კუბური წესით სრულდებოდა, რომლის მიხედვითაც ცხიმნარევ, სანთლიან ქსოვილზე საჩითავი (იხ.) ყალიბებით ფიგურებს გამოსახავდნენ. ამ წესით სუფრებს სხვადასხვა წესით ღებავდნენ რუსეთსა და ევროპაში, საქართველოში კი მხოლოდ „ლურჯ სუფრებს“ „ჩითავდნენ“. სელის ქსოვილისაგან დამზადებული სუფრები ბაცი ლურჯი ფერისაა, მისი თეთრი ნახატები ოდნავ ბუნდოვანი, სტილით არქაული, რაც მის ძველ წარმოშობაზე მიუთითებს. შედარებით ახალია ბამბის ქსოვილისაგან ნამზადი სუფრები, რომლებიც მკვეთრი ლურჯი ფერისაა, ნახატები კი - კამკამა თეთრი. სასუფრე ქსოვილის მხატვრული გაფორმება ოსტატის გემოვნებით სრულდებოდა, თუმცა იგი არასოდეს არღვევდა „დაჩითვის“ სპეციალურ სქემას. ასე მაგალითად, აღმოსავლური „მანი“ სუფრის ძირითადი მოტივია, არშიებზე „როზეტები“ და „ვარსკვლავებია“ მოყოლებული ერთმანეთის მონაცვლეობით. ხშირ შემთხვევაში ქსოვილის ცენტრში „მედალი-

ონს“ გამოსახავდნენ, მის გარშემო კი ადამიანის, ცხოველებისა და ფრინველების ფიგურებს. ვხვდებით დანა-ჩანგლის მოტივებსაც. საყურადღებოა სუფრაზე „დაჩითული“ ნადირობის სცენები, უპირატესობა ენიჭებოდა რქებდატოტვილი ირემის „დაჩითვას“ დროშით, რომელზეც მზე, ხან ჯვარი, ხანაც ადამიანი იყო გამოსახული. გარდა დეკორატიული დანიშნულებისა, მოტივებს რიტუალური დატვირთვაც გააჩნდათ, რაც ხალხის მსოფლმხედველობიდან მომდინარეობდა. „ლურჯი სუფრა“ საზოგადოების ყველა ფენისათვის იყო ხელმისაწვდომი.

ლიტ.: ნ. ბრაილაშვილი, ლურჯი სუფრა, 1971.

ლუსკუმა - მიცვალებულის ჩასასვენებელი ქვის ყუთი. ადრექრისტიანულ ხანაში ლუსკუმას კილობანის, ყუთის, მიცვალებულთა სამარხის მნიშვნელობა აქვს. საბაბა და ჩუბინაშვილთან კი მაღლა ნაგებ საფლავადაა განმარტებული, რაც გულისხმობს საფლავის ქვას, რომელიც თავისი ფორმით წააგავს მიწისქვეშა ქვის განსასვენებელ ლუსკუმას. არსებობს ლუსკუმის სხვა ვარიანტი ე.წ. სარკოფაგი (იხ.). ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში არცთუ იშვიათად ლუსკუმა და ლარნაკი (იხ.) ერთმანეთთანაა გაიგივებული. მაგრამ მათ შორის ფუნქციური განსხვავება მაინც შეინიშნება და გაცილებით მეტი მაგალითია იმის დამადასტურებელი, რომ ლუსკუმა მოიზრებოდა, როგორც ქვის ყუთი, რომელშიც მიცვალებული იმარხებოდა (ზოგჯერ რამდენიმე). ლუსკუმას ეხურებოდა თავი, იმარხებოდა როგორც მიწაში, ასევე იდგმებოდა ეკლესიის საძვალეებსა და სახელობით ეკვდრებში. ლუსკუმაში განისვენებდნენ მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლები. გვიანფეოდალურ ხანაში განსაკუთრებით გახშირდა ლუსკუმის ფორმის მსგავსი სა-

ფლავის ლოდების დადგმა სასაფლაოებზე. გ. ჩიტაიას მიაჩნდა, რომ ლუსკუმა და სარკოფაგი მიცვალებულთა სამარხავი ერთი და იმავე ტიპის განსასვენებელია.

ლიტ.: ე. ნადირაძე, საქართველოს მემორიალური კულტურა, 2001. გ. ჩიტაია, ქვის კუბო ქვემო ალმედან, ენიმკის მოამბე, ტVIII, 1940.

ლუმუნუ ფაყვ-ი - (სვან.) - ნაბდის ქუდი, რომელსაც ასე ამზადებდნენ: ქულა მატყლს საჩეჩელზე გაწმენდნენ, გაპენტავდნენ, შემდეგ ჯერ მშრალად თელავდნენ, რის შემდეგაც მატყლი კარგად შეერთდებოდა და შემდეგ დაასხამდნენ ცხელ წყალს, საპონს წაუსვამდნენ და ხელახლა დიდხანს თელავდნენ. რაც უფრო დიდხანს თელავდნენ, ქუდი უფრო ლამაზი და მაგარი გამოდიოდა. საქუდეს, მოთელვის შემდეგ, გარეცხავდნენ, კალაპოტზე გადააბდებდნენ და ხელით შეალამაზებდნენ, ზედმეტს მაკრატლით შემოაჭრიდნენ, შუაზე ბაწრით შეკრავდნენ და გაპარსავდნენ. კალაპოტზე ქუდი ორი-სამი დღე რჩებოდა. ამის შემდეგ, ქუდს გარშემო ზონარს შემოავლებდნენ, კიდევ მშრალად მოთელავდნენ და ისევ დააკალაპოტებდნენ.

ლიტ.: მასალები..., 1983:238.

ლღენ-ი (სვან.) - სპილენძის დიდი ზომის ქვაბი, სამსხვერპლო საკლავის მოსახარში. ლღენ-ის საუკეთესო ნიმუში დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. იგი სპილენძის 52 ფურცლისაგან შეკერილი უზარმაზარი ქვაბია. ფირფიტები, ფურცლები ერთმანეთზე მირჩილულია და გადაკერებულ, დამაგრებულია სპილენძის დიდი ზომის „მანჭვლებით“, იგივე „კოპებით“, ანუ „ფოლაქებით“, რომლებიც სიმეტრიულად არის განლაგებული ქვაბის ზედაპირზე. მისი ზომებია: სიმაღლე - 128 სმ; გარშემოწერილობა - 3 მეტრი; პირის დიამეტრი - 90 სმ; იწონის - 100 კგ-მდე. ლღენი თემის საკუთრებას წარმოადგენდა, მას ეკლესიის მინაშენში („ლაბბაშ“) ინახავდნენ. სათემო დღესასწაულის „ბაცხ“-ის დროს ლღენში ხარშავდნენ მიცვალებულის სულის მოსახსენებლად განკუთვნილ საკლავს. ეტეოდა ერთი დიდი ხარი ან რამდენიმე ძროხა.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალწლის ციკლი, 1939. მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერი-ალური კულტურის ისტორიიდან, 1961.



მაგარა (რაჭ.) - ზამთრის მსხლის ჯიში.

რაჭ. ლექსიკ.

მაგინაფალი / შემაცხადაფალი (მეგრ.) - მწუნარების მაცნე, ანუ პირი (პირთა ჯგუფი), რომელიც მიცვალებულის ნათესავ-მოკეთეებს ამა თუ იმ ადამიანის გარდაცვალებას ატყობინებდა (მღრ. „მტყობიე“). მაგინაფალს თან მიჰქონდა განსვენებულის კუთვნილი რაიმე ნივთი: ხმალი, სატევარი, ბუღეში ჩაწყობილი ისრები, ან კიდევ მისი სამოსის მონახევი და ტომარა. როცა იგი მიცვალებულის ნათესავის სახლს მიუახლოვდებოდა, იწყებდა ხმამაღლა ტირილს. შევიდოდა თუ არა ოჯახში, წელს ზემოთ გაშიშვლდებოდა და მკვდრის ნივთს გამოსაჩენ ადგილზე დადებდა. მასპინძლებიც წელს ზემოთ გაშიშვლდებოდნენ და ყველანი ერთად ნივთს ანუ ნიშანს შემოუსხდებოდნენ და მოთქმით ტირილს დაიწყებდნენ. როგორც კი ტირილს მორჩებოდნენ, მაგინაფალი დამხვდურებს გასვენების დღეს გამოუცხადებდა და გზას გააგრძელებდა. წარსულში, გარდა ზემოაღნიშნული ნივთებისა, მაგინაფალს ზურგზე გადაკიდებული ჰქონდა ტომარა და ხელში ეჭირა საწყაო ჯამი, რომლითაც დაუწყებელი ოჯახის მიერ ქელეხისათვის გაღებული ლობიოს ოდენობას ადრიცხავდა.

ლიტ.: ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 282; თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1956, გვ. 121-122.

მაზარა - საწვიმარი. ის გრძელსახელოიანი ტანისამოსი იყო, რომელიც მაუღისაგან, რუსული შალიდან (საშინელე ქსოვილიდან) იკერებოდა. წელს ზემოთ დასარჩულებით. ზურგზე ორი, ერთიმეორის შემხვედრი ნაკეცი ჰქონდა, რომელიც ყასტიკით იყო დამაგრებული, წინ ფოლადებით (დილებით) იკვრებოდა.

ლიტ.: მასალები..., 1983:246.

მაზრაკი - სატყორცნ-საძგერებელი იარაღი. საბას განმარტებით მაზრაკი შუბია. მაზრაკი არაბული მიზრაკისაგან უნდა იყოს წარმომდგარი, რომელიც შუბსა და ხელშუბასაც ნიშნავს (ივ. ჯავახიშვილი). ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემცი, III-IV 1962. სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991.

მათარა - პატარა სამგზავრო წყლის ჭურჭელი, რომელსაც ჩვეულებრივ იკიდებენ ქამარზე. ჩუბინაშვილის განმარტებით, მათარა ნატისაგან შეკერილი სამგზავრო სასმისია, ხოლო თუშები მათარას წყლის სასმელ კოჩხოს უწოდებენ

და მას მეცხვარეები ხმარობდნენ. მათარა ერქვა აგრეთვე ქამარზე დასაკიდ ტყავის ჭურჭელს, რომელსაც ამზადებდნენ მსხვილფეხა პირუტყვის უკანა ფეხზე გახდილი ტყავისგან. მათარა ძველად ტყავის კეთდებოდა, ახლა ხის, ლითონის ან მინისაა, რომელიც მოთავსებულია ტყავის ან ქსოვილის ბუდეში. იხმარებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

მათენაური -- წითელყურძნიანი სუფრის ჯიში, მეტად ტკბილი გემოთი ხასიათდებოდა და ხულოს რაიონში, სოფელ დეკანაშვილებში იყო გავრცელებული. მათელაური წარსულში მალღარების სახით ყოფილა წარმოდგენილი.

ლიტ.: თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1950:224; მ. რამიშვილი, გურიას, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები, თბ., 1948.

მათრახი - „ცხენის საწკეპი“ (საბა). ამზადებდნენ სარაჯები და მწყემსები. საქართველოში მათრახის დამამზადებელი რამდენიმე გამორჩეული ცენტრი არსებობდა (დუშეთი, ზუგდიდი, სენაკი, აჩიგვარა). მათრახი მზადდებოდა ტყავის, ცხვრის ნაწლავების - „ძალის“ და საქონლის ასოსგან. შედგება ტარისა და ტყავის დაუწნავი ან წნული ენისაგან. სამათრახე შოლტები, ანუ „ხვიანდაგი“ (ქართლ.) საქონლის წელის ტყავისგან მზადდებოდა. სამათრახე ტყავს ყუთულში (იხ.) ამუშავებდნენ, შემდეგში სპეციალური ჩხირებითა და მჭრელი დანით „ხვიანდაგებად“ დაჭრიდნენ, დააკრავდნენ ხეზე, გააშრობდნენ და დაწნავდნენ. სვანები მათრახის შიგნითა გულისათვის ცხენის ძუას ხმარობდნენ. განსაკუთრებული წესით აკეთებდნენ ცხვრის ნაწ-

ლავების - „ძალის“ მათრახებს. პირველ რიგში ცხვრის ნაწლავებს კარგად გარეცხავდნენ, ჯერ ხეზე გამოაბამდნენ, თავში კანაფს მოუჭერდნენ და ნელ-ნელა დაბლა ჩამოსწევდნენ, ნაწლავი რომ დახვეწილიყო, შემდეგ მას ერთი მტკაველის სიგრძის ჯოხზე გადაახვევდნენ, რითაც ელასტიკურობას იძენდა და მერე რამდენიმე შეერთებულ წვერს დაწნავდნენ. ერთი რიგი მათრახებისა მორთული იყო ფოჩებითა და ფუნჯებით. ფუნჯიანი//ფოჩიანი მათრახის დაწვნის დროს დამატებით წვრილი თასები ჩაეწვნებოდა. საქართველოში გავრცელებული იყო, აგრეთვე, ხარის ასოსგან დამზადებული მათრახები. საქონლის დაკვლისა და გატყავების შემდეგ ასოს დანით მოაჭრიდნენ, გარსს გააცლიდნენ, სიმძიმით დაჭიმავდნენ. ასოს შუაზე გაყოფდნენ და დაგრეხდნენ. საქართველოში დასტურდება საბრძოლო მათრახი, რომელიც ჩვეულებრივი მათრახისგან განსხვავებით მსხვილი და ენაბრტყელი იყო. ასეთ მათრახებში მტრისათვის ზიანის მისაყენებლად მავთულები ყოფილა ჩაწნული. მათრახის ტარი ხის, ძვლისა და ლითონის უკეთებიათ. სატარედ ხმარობდნენ შინდის, რცხილისა და ჯაგის ხეს. ტარზე ორი წვერი თასმა ჰქონდა დამაგრებული თითების ან მაჯის გასაყოფად. ტარზე ხელის უკეთ წასავლებად ზოგჯერ ტყავს ან გასანთლულ მუშამბას შემოახვევდნენ. მათრახის ტარს საგანგებო შემთხვევისთვის ამკობდნენ ინკუსტრაციით, სევალითა და ზარნიშით. ძველ საქართველოში არსებობდა დასასჯელი მათრახი, რომელსაც „ტაჯგანაგი“ ეწოდებოდა. აფხაზეთში, აჩიგვარა იყო მათრახების ცნობილი ცენტრი.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

მაკუკი - აფრიანი ნავის ტიპი ძველ საქართველოში, რომელიც მოძრაობდა როგორც აფრით, ასევე ხოფე-ბითაც. დაახლ. 17-20 მეტრი სიგრძის. ლიტ.: ზ. კუტალიეიშვილი, ნაოსნობა საქართველოში, 1987.

მაკულა (გლ.) - მოფოცხილი თივა ზვინის დასადგმელად.

ლიტ.: რაჭ. ლექსიკ.

მალახა-(ხევს.,თუმ.)-წნელისრგოლი, რომელიც ლუდის ფორის გაწურვისას წამოეცმება კედებს და ხელს უწყობს მათი დაჭიმული მდგომარეობის შენარჩუნებას. ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011

მამაკაცის საცვეთი - ფეხსაცმელი. საცვეთი ძველად წვივზე ჩასაცმელად იკერებოდა. ზედ სირმით სხვადასხვა სახეები იყო გამოყვანილი, ზედა და ქვედა ნაპირებზე, ქვემოდან ქობა ჰქონდა; ქვემოთ პაჭანაკი (პაჭანიკი) ჰქონდა ფეხის გასაყრელად, უკულმა პირიდან იკერებოდა. საცვეთს კიდევ მესტს ეძახდნენ. იხ. მესტი.

ლიტ.: მასალები..., 1983:244, 249, 254.

მამბერი - მგელთა უფალის სვანური (ბალსქვემოური) რწმენა-წარმოდგენათა მიხედვით. თუ მამბერი კმაყოფილი იყო, მგლებს ხახას შეუკრავდა, ხოლო თუ სვანები მის რისხვას დაიმსახურებდნენ, საქონლის დასაზარალებლად მგლებს მიუსევდა. სვანების სამეურნეო ყოფაში ცხოველთა ამ კატეგორიას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ამიტომაც იხდიდნენ მათი სახელობის დღეობას, რომელსაც „თხერობ||თხერემი ლამპრობ“ ერქვა. სადღეობოდ ანთებდნენ მამხალებს, წარმოთქვამდნენ ლოცვებს და ნადირს ე. წ.

გელო ლაგდფს („მგლის ულუფა“) სწირავდნენ. საწესო მოქმედებათა და სიტყვიერ ფორმულათა ერთი ნაწილი მიზნად ისახავდა, ნადირისათვის ვნების უნარი შეეკრა, ნაწილი კი მისი გულის მოგებას და, ამდენად, მგლისაგან საქონლის დაცვას ემსახურებოდა (მდრ. „მგელთ უქმი“, „მგელთ კვერაობა“).

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარჭმუნობის ისტორიიდან. დრომა „ლემ“, მგელი-ძალი // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XII-XIII. თბ., 1963, გვ. 152.

მამული (რაჭ.) - ვენახი, ზვარი. (იხ. ბერ., ძოწ., გაჩ.).

მამულის განატეხი (რაჭ.) - რიტუალური სართვიანი პური, აცხობდნენ თედორობის დღეობაზე. განატეხს და ღვინოს ოჯახის უფროსი საღამოს ვენახში წაიღებდა და ღმერთს ვენახის დაცვას ევედრებოდა (იხ. ფრ., 261).

მანა - 1. ხის ლურსმანი, რომლითაც ნავის ფიცრებს ამაგრებდნენ. გარდა ამისა, ნავის დეტალების დასაჭედად იხმარებოდა სხვადასხვა ზომის ლურსმნებ: ჯიბუკი, ყაირი, ნიხაჩო, კოსტალა, კოტა; 2. სარჭობი საზოგადოპდ, პატარა სარი (ოკრიბ., ქვ. იმერ.); 3 სარი, მარგილი, იხმარება ძეგვით შეღობისათვის (ქიზიყ., ინგილ.); 4. წნული ჭურჭლის მთავარი ნაწილი, საყრდენი, რაზედაც იწნება; 5. წესი, ჩვეულება (ჯავახ.).

ლიტ.: ზ. კუტალიეიშვილი. ნაოსნობა საქართველოში. თბ., 1987; მიხ. ალავიძე. ოკრიბული ლექსიკონი // ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები.X. 1950-1951. გვ. 75-101; მისივე. ქართული

დიალექტური ლექსიკიდან // ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. XXIV. 1962, გვ.279-291; ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე. ქართული დიალექტოლოგია. 1. ... ლექსიკონი. თბ., 1961, გვ. 607, 648.

მანდილი / ჩიქილა (რაჭ.) – ქალების თავსაბურავი, რომელიც მახვილკუთხიან სამკუთხედად გამოჭრილ მიტკალს და მასზე შემოყოლებულ „ფოჩ-ჩიმჩიყს“ წარმოადგენდა. ეხურათ ორი წვერით, მესამე დაშვებული იყო. ლოცვა იცოდნენ: „თეთრ მანდილ ქვეშ დაბერდიო.“ მანდილს შალისაგან და აბრეშუმისაგან ამზადებდნენ. გლეხის ქალები ჩიქილას და მანდილს ატარებდნენ, ხოლო თავად-აზნაურთა ქალები - ჩიხტი-კოპს. ხევსური ქალები ჩიხტის ფორმაზე შეკერილ ბამბის, ან შალის ქსოვილის „სათაურზე“ მანდილის - შალის ქსოვილის ფოჩებიან თავსაფარს იფარებდნენ. უთავსაფროდ გავლა დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა, ამიტომ ძველად, თავსაფრის გარეშე გამოჩენა მიღებული არ იყო. შესაბამისად, სოციალურ სინამდვილეში, თავსაფარს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მანდილის მსგავსი თავსაბურავი სხვაგან არ იყო. უძველესი ბეთანიის კედლის მხატვრობაზე, თამარ მეფის გვირგვინიდან მანდილი მოჩანს. ჩიქილა დედაკაცს კოჭებამდე სწვდებოდა. დღესასწაულებზე მასზე ქიშმირის შალსაც მოიხვევდნენ.

საერთოდ, მანდილი სადა და გაუწყობელი იყო. წინათ მასზე ფოჩს აკერებდნენ. თავხურვის წესი ასეთი იყო: თავხურვამდე ქალი (მაგ., თუში) ჯერ კავებს ჩამოუშვებდა. გათხოვილი და გაუთხოვარი ქალი მანდილს სხვადასხვაგვარად იხურავდა, რომელსაც მიტკლის

ჩიხტისმაგვარი კუჭურათი იმაგრებდნენ. კუჭურას თავზე მისამაგრებელი სალტეები ჰქონდა მიკერებული. მანდილს ქალები ნიადაგ ატარებდნენ. მისი მოხდა მამაკაცთან სათაკილოც კი იყო. მანდილის შუაში ჩაგდებით მოჩხუბრები ზავდებოდნენ.

ლიტ.: მასალები..., 1983:230; ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1938:91; ც. ბუზარაშვილი, გ. ჯალაბაძე, ქართული ხალხური ტანსაცმელი, 1988:6; ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალ. კულტურ. 1962:39; ს. მაკალათია, თუშეთი, 1933:8-9.

მანუელი / მარნული / მარნა - წვრილი ტირიფი ვენახის სარზე ასაკრავად. ხმარობენ ვაზის შეყვლისას. დასავლეთ საქართველოში ტირიფის წნორის წნელს კაპიჭს უწოდებენ. ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

მანიათი (ლაზ.) - ერთგვარი ტიპის თევზსაჭერი ბადე, რომელიც მილით იქსოვებოდა.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

მანჩა - ხორბლისა და ფქვილის შესანახი სახურავიანი მცირე ზომის კილობანი. ასეთი ყუთი დაახლოებით იტევდა 40 კგ ფქვილს. აკეთებდნენ ცაცხვისაგან, რადგან ეს ხე კარგად ინახავს ფქვილს. აქვს სახურავი და საკეტი. მანჩაში მარცვალს ზემოდან ყრიან, ხოლო წინა კარიდან იღებენ. მანჩა მოიპირება ისეთ სათავსად, როგორცაა ამბარი, ლაზამბარი და ხალამბარი. ყველა ესენი კი მცირე ბელელის ფუნქციის მატარებელი

არიან. მანჩა იღგა საცხოვრებლის მარჯვენა მხარეს თაროს (ბუჯერი) გვერდით. მანჩის ადგილიდან დაძვრა ხალხის რწმენით იკრძალებოდა. დიდი თუ მცირე ზომის საფუკილე - მანჩა კიღობნებში - ნალის ჩაგდება იცოდნენ, რაც ხალხის რწმენით დოვლათიანობას უზრუნველყოფდა.

ლიტ.: ლ. ბედუკიძე, ხის ავეჯი იმერეთში, მიეშ, 1979.

მანცქვარა -- ყურძნის ჯიში.

მანჭა (ქიზიყ.) - გუთნის კუდისა და ფრთის შემაერთებული ნაწილი, ხის ლურსმანი, რომლითაც ფრთა კუდზეა დამაგრებული (სიტყ. კონა).

მანჭები (ქართლ.) - გუთნის ნაწილი: რკინის ორი ჯოხი, რომლებიც კბილაზეა გამობმული და ხმალს შველიან გადაადგილებაში (დიალექტ., 639.)

მანჭვი (იმერ.) - პატარა კოტა სახელურად (ი. ქავთარ.)

მანჭი (ქართლ.) - გუთნის ხელის მოსაჭიდით. (თ.რაზიკ., ი. ჭყონ.)

მანჭო (რაჭ., ლეჩხ., იმერ.) - პალო.

მანჯანიკი / ჯარა - აბრეშუმის ძაფის ამოსახვევი. მანჯანიკი წარმოადგენს ორკაპა ჯოხს, მის საყრდენში ჩამაგრებული კოჭიდან ძაფი ჩარხის ტარის დატრიალებით ბორბალზე ეხვეოდა. მანჯანიკის მეორე სახეობაში ორკაპა ჯოხი და კოჭის საყრდენი ფიცარი მიწაში ცალ-ცალკე იყო ჩასმული. მესამე სახეობა შედგებოდა ბოძზე დადგმული ჩინრინის-ჩარხისა და ორკაპა ჯოხისგან, მასში გაყრილი კოჭითა და მასრით. ჩარხის დატრიალებით მასრიდან ძაფი გადადიოდა კოჭზე და ეხვეოდა მასზე. მანჯა-

ნიკის დაწინაურებული სახეობაა მანჯალიხი. მანჯანიკის ამ ტიპებიდან პირველი სამი კახეთსა და ქიზიყში იყო გავრცელებული, მანჯალიხი კი - საინგილოში. ლიტ.: ნ. აბესაძე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, 1957.

მარანი - ღვინის სახლი, სათავსი, სადაც ხდება ყურძნის დაწურვა, ღვინის დაყენება და შენახვა. ქართველი გლეხის საკარმიდამო კომპლექსში მარანს გააჩნია როგორც პრაქტიკული, ასევე საკრალური დანიშნულება. 864 წელს გადაწერილ სინურ ხელნაწერში მარანი განმარტებულია, როგორც ღვინის შენახვისათვის განკუთვნილი ნაგებობა და ეს ფუნქცია არ მოსცილება მას დღემდე. საქართველოს ბუნებრივმა პირობებმა განაპირობა მარნების თავისებურებანი. აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებული ცხელი ჰავის გამო მარნები დახურულ, ქვიტკირის ნაგებობებს წარმოადგენენ. ზოგჯერ ასეთი მარნები საცხოვრებელ კომპლექსს ებჯინებოდა, ზოგიერთ შემთხვევაში კი დამოუკიდებელ ნაგებობას წარმოადგენდა, დიდად გავრცელებული იყო საცხოვრებლის სარდაფში მარნების მოწყობა. ძველად მარნები ციხე-სახლებისათვის შეუფარებიათ, მტრისაგან რომ ყოფილიყო დაცული. მეღვინეობით განთქმულ ზემო ხოდაშენში, ხაშში, რუისპირში და სხვაგანაც დადასტურებულ იქნა სათოფურიანი მარნები, რაც მეტყველებს მარნის, როგორც თავდაცვითი ნაგებობის გამოყენებაზე. ასეთი მარნები გაყოფილი იყო ორ ნაწილად, ერთში ყურძნის საჭყლექ-საწური საშუალებანი იყო, ხოლო მეორეში ღვინის დასადუღებელ-დასაყენებელი ქვევრები. მარნებში ხშირად ფიქსირდება დედაბოძი - ერდოგვირგვინიანი და ბანიანი საცხოვრებელი სახლის მთავარი ელემენტი, რომელსაც პრაქტიკული დანიშნულების გარდა ღრმა სიმბოლური დატვირთვაც გააჩნდა. ქართლური და კა-

ხური ქვითკირის მარნებში ხშირად ვხვდებით წითელი აგურით გამოყვანილ აღმოსავლური სტილის თაღებიან ნიშებს, სადაც განთავსებულია სხვადასხვა სახის სასმის-საწყაოები და ღვინის დაყენებასთან დაკავშირებული სამეურნეო ნივთები. ქართული მარნების ხუროთმოძღვრებაში აშკარად შეიმჩნევა საცხოვრებელი სახლის ელემენტები, რაც თავისთავად ხაზს უსვამს მარნის მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას. თავისთავად მარნისათვის „ღვინის სახლის“ შერქმევა შესანიშნავი განმარტებაა იმისა, რომ ადამიანის გარდა ღვინოსაც ჰქონია სახლი. ამიერკავკასიაში უძველესი მარნები აღმოჩენილია ძველი ურარტუს ტერიტორიაზე და ზოგიერთ მათგანში არქეოლოგებმა ასამდე ქვევრი დაითვალებს. ელინისტური ხანის მარნები აღმოჩენილია კოლხეთის უმდიდრეს ქალაქ ვანში, ასევე იბერიის დედაქალაქ მცხეთაში, რომლის ერთ მარანში 5.500 ლიტრის ტევადობის ქვევრებს მიაკვლიეს. ერთ-ერთ ქვევრში აღმოჩენილმა ჩამხმარი სითხის ანალიზმა აჩვენა, რომ აქ ოდესღაც საფერავის ტიპის ღვინო მდგარა. უკანასკნელ ხანს იშვიათი კონსტრუქციის მარნები აღმოჩნდა მეღვინეობით განთქმულ ნეკრესის ერთ-ერთ ნასახლარზე. საინტერესოა, რომ კლდის ქალაქ ვარძიაში 25-ზე მეტი მარანი იქნა აღმოჩენილი 200-მდე ქვევრით. დასავლეთ საქართველოში ტიპიური მარნის ჭურებიანი ნაწილი, სადაც ღვინო ინახება, ღია ცის ქვეშაა განთავსებული, ხოლო თავად სამეურნეო ნაგებობა წარმოადგენს ღია ტიპის გადახურულ ნაგებობას, სადაც მეღვინეობასთან დაკავშირებული ინვენტარია განთავსებული. აქვეა საწნახელი და სატკბილე ისარნა. მარნის ასეთი განლაგება დაკავშირებულია როგორც ნახევრად ტკბილი ღვინოების დაყენების პრაქტიკასთან, ასევე განპირობებულია დასავლეთის ტენიანი ბუნების გათვალისწინებით, რაც კარგად იცავს

ჭურში ჩასხმულ ღვინოს და უნარჩუნებს საუკეთესო თვისებებს. მარანი თავისი დიდი პრაქტიკული დანიშნულების გამო, უძველესიდანვე იქცა საკრალურ ობიექტად და ხშირად მასში სრულდებოდა სარიტუალო ქმედებანიც. ახალ წელს საახალწლო ხონჩით მიულოცავდნენ მარანს და ღმერთს შესთხოვდნენ ღოვლათსა და ბარაქას, მარანში შეიყვანდნენ ახლად დაქორწინებულ ნეფე-დედოფალს და მიულოცავდნენ გაბედნიერებას, მარანში შეიპატიჟებდნენ საპატიო სტუმარს და დაალოცვინებდნენ ოჯახს. მარანში იდგა პრეისტორიული ადამიანის რელიგიური წარმოდგენების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლური ხატის სიცოცხლის ხის იმიტირებული გამოხატულება - დედაბოძი, რომელსაც ქრისტიანობის დროსაც არ მოჰკლებია თაყვანისცემა და მარანში მისი გამოჩენით, ღვინის სახლის მნიშვნელობა კიდევ უფრო იქნა გაძლიერებული.

ლიტ.: ლ. სუმბაძე, ქართული მარანი. ლ. ფრუიძე, მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში (რაჭა), 1974. ნ. თოფური, ქართული მარანი, მსე, ტ. VII, 1955.

მარაო - სახის საგრილობელი, გასაშლელ-დასაკეცი სანიავებელი საშუალება. გავრცელებული იყო როგორც აზიის, ასევე ევროპის ქვეყნებში. მარაოს კლასიკური ნიმუშები, რომლებიც მზადდებოდა ლერწმისა და აბრეშუმის მასალით, შექმნილია ჩინეთსა და იაპონიაში. მარაო დროთა განმავლობაში ქალის კოსტიუმის ერთგვარ ელემენტად იქცა. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში უცხოურ მარაოებთან ერთად დასტურდება ადგილობრივი მასალით დამზადებული მარაოები. დამუშავების ტექნიკით განსაკუთრებით გამოირჩევა ჭილის მარაოები.

**მარაშინამ შქვითიში დღა / მზო-
დას ონჩვიუმი დღა** (აღმ. ლაზ. - „მარია-
მობის შვიდის დღე“, „ზღვაში ბა-
ნაობის დღე“) / **ლიტროპი||მიტროპი**
(დას. ლაზ.) - აღმოსავლელი ლაზების
ხალხური დღესასწაული; იმართებოდა
7 (20) აგვისტოს სადამოს; მზის ჩასვლის
წინ ხალხი, რომელსაც თან მიჰქონდა
ყოველგვარი ხილი და ბოსტნეული
(მსხალი, ვაშლი, სიმწიფეში შემავალი
ყურძენი, ტყემალი, კიტრი, მოხარშული
გოგრა და სხვ.), ზღვაში მასიურ ბანაო-
ბას აწყობდა; უმრავლესობას ქალები
შეადგენდნენ. ლაზთა რწმენით, ამ დღეს
ზღვას განსაკუთრებული თვისებები გა-
აჩნდა და მასში ბანაობა ადამიანისათ-
ვის სასარგებლოა. თუ ოჯახში ვინმე შე-
უძლოდ ან სნეული იყო, „მარია-
მობის შვიდის წყალი“ (მარაშინამ შქვითიში
მზოლამ წკაი) მისთვის შინ მიჰქონდათ,
რათა ტანზე გადაევლო; არც სააკვნე
ჩვილი ავიწყდებოდათ, - ბავშვი ჯანმრ-
თელი და ძლიერი გაიზრდებოდა.

7 (20) აგვისტო მომდევნო დღეა ფე-
რისცვალების ქრისტიანული დღესა-
სწაულისა, რომელიც ქრისტიანული კა-
ლენდრით 6 (19) აგვისტოს აღინიშნება.
ქართული ხალხური შეხედულებით, ამ
დღეს ბუნება ფერს იცვლის, „წყალში
ყინული ვარდება“, ანუ ამ დღიდან გა-
მდინარ წყალში ბანაობა რეკომენდირე-
ბული არ არის. როგორც ჩანს, ზღვაში
მასიური ბანაობის აღმოსავლურლა-
ზური დღესასწაულიც ამ რწმენას უკავ-
შირდება. გარდა აღნიშნულისა, ლაზური
დღეობის ფერისცვალებასთან კავშირს
ავლენს საამდღისო საერთოქართული
ჩვეულება - ხილისა და ბოსტნეულის
კურთხევის წესი. რაც შეეხება დასავლე-
თის ლაზებს, მათთან ზღვაში მასიური
ბანაობის დღესასწაული ლიტროპი||მი-
ტროპი, რომელიც ნ. მარს ათინელებში
აქვს დამოწმებული, ერთი ცნობით, 24

ივნისს (7 ივლისს) - იოანე ნათლისმცე-
მლის დაბადების დღეს - ემთხვევა, სხვა
ცნობით - 14 აგვისტოს, ე. ი. ღვთისმშო-
ბლის მიძინების წინა დღეს.

ნ. მარის მიერ ათინელ ლაზებში და-
მოწმებული ტერმინი ლიტროპი||მი-
ტროპი, ზოგიერთი მეცნიერის არცთუ
საფუძვლო აზრით, ბერძნული წარმომა-
ვლობისაა და ლაზური დღესასწაულის
„განბანვის ტრადიცია შესაძლოა, მივი-
ჩნიოთ გარკვეულ მაგიურ მოქმედებად,
ისეთ რიტუალურ ცერემონიად, რომელიც
მორწმუნეთა შეხედულებაში ითვალისწი-
ნებდა განწმენდას, ცოდვისაგან თუ უწმი-
ნდურთაგან გათავისუფლებას, თავის და-
ხსნას“ (ზ. თანდილავა).

ლიტ.: ზ. თანდილავა. „მომა-
კვდავი ლაზური დღესასწაულის“
მითოლოგიური საწყისისათვის //
სამხრეთ-დასავლეთ საქართვე-
ლოს ზეპირსიტყვიერება. IX. თბ.,
1988, გვ. 50-65; Н. Я. Мара. Из
поездки в Турецкий Лазистан //
ИИАН. № 7. 1910, გვ. 639.

მარეშალი / მარეშალა - იხ. „მარეშ-
ლობა“.

მარეშლობა - იმერული საოჯახო
დღეობა - თაროს (ბუჯირის) ანგელოზის
- მარეშალის - სახელობის ლოცვა; იმა-
რთებოდა აღების კვირის ხუთშაბათს.
იმერლები, წვრილფეხის გამრავლების
მიზნით, თაროს ანგელოზს ქათამს (ზო-
გან ყვერულს) სწირავდნენ. ზოგიერთი
მონაცემით (სოფ. კორბოული), ქალი
ქათამს თაროსთან კლავდა, სხვა მონა-
ცემით (სოფლები: ბახიოთი, სვიდორი)
- კერასთან. ზემო იმერეთში ოჯახის დი-
ასახლისი მრგვალად მოხარშულ ყვე-
რულს, ხაჭაპურს, მჭადს ხონჩაზე დაა-
ლაგებდა და თაროზე შემოდგამდა, იქვე
სანთელს ანთებდა და მარეშალს შეე-

ვედრებოდა: „მარეშალა, შენ გეხვეწები, მომიშენე ყოველივე წვრილფეხი და დაოთხფეხი, ქმარი და შვილი მიმყოფე კარგათ!“ შემდეგ ყვერულს თავ-ფეხს, კუჭსა და ღვიძლს ააჭრიდა და შეჭამდა, დარჩენილ ქათამს ოჯახის წევრებს გაუნაწილებდა. სხვა ვარიანტით, ლოცვის დროს დიასახლისს ხელში ქათმის მარჯვენა ფეხი და მხარი ეჭირა. ქათმის სისხლის კერისთვის შესხურება, ბუმბულისა და ძვლების ცეცხლში დაწვა აუცილებელი იყო. დაწვის პროცესს უცხო არ უნდა დასწრებოდა. მლოცველი ქათმის მარჯვენა ნაწილებს თაროზე აწყობდა და მეორე დღისთვის ინახავდა, დანარჩენი კი იმ დღესვე უნდა შეეჭამათ. სოფ. ბიხოთში თაროზე ინახავდნენ ქათმის გულ-ღვიძლს და ხაჭაპურს, რომელიც მეორ-მესამე დღეს მხოლოდ მლოცველს უნდა ეჭამა.

მარეშლობა ღღეს ქორ-მიმინოსათვის მათი წილი ლუკმის გადაგდებაც ცოდნიათ. ლუკმის გადაგდებიბსას ამბობდნენ: „ამით დაკმაყოფილდი, ჩვენს ქათმებს არაფერი ავნო“. თუ ღორი, ქათამი ან ინდაური დაავადდებოდა, მარეშალს მიმართავდნენ; კარგად გვიმყოფე და გოჭს ან ქათამს დაგიკლავთო.

მარეშლობას ქალი უქმობდა, განსაკუთრებით ქარგვასა და ქსოვას ერიდებოდა; ივრძალებოდა ოჯახიდან ცეცხლის გაცემაც.

ლიტ.: ლ. ბედუკიძე. ხის ავეჯი იმერეთში // იმერეთი. მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბ., 1978, გვ. 164-165; მ. მაკალათია. მეცხოველეობა ზემო იმერეთში // იმერეთი. მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბ., 1978, გვ. 72-73; მასალები საქართველოს შინამრე-

წველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის. ტ. I. თბ., 1976, გვ. 444.

მარგილიანი ხელსაფქვაკი - ხელსაფქვაკის ერთ-ერთი განვითარებული სახეობა. წარმოადგენს ორი თანაბარი დიამეტრის ზედა და ქვედა ქვას. ჩვეულებრივი წისქვილის მიხედვით ქვედა ქვა უძრავია, ხოლო ზედას სახელურის საშუალებით ადამიანი ამოძრავებს. ხელსაფქვაკს წინ გაკეთებული აქვს პატარა ყუთი (ალა, ჩიბე, საფქვილე), სადაც ფქვილი იყრება (იხ. ხელსაფქვაკი).

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

მარკირი -- თამბაქოს სათესი ხის ხელსაწყო, რომელიც თამბაქოს ჩითილების ხნულში დასარგავად თანაბარი ზომის ადგილის მონიშვნისათვის და ჩითილის ჩასადები პატარა ღრმულების გასაკეთებლად გამოიყენებოდა.

ლიტ.: ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი, 2018:271.

მარტო შკამი (მოხ.) - საუფროსო სავარძელი, რომელიც კეთდებოდა ოვალური მოყვანილობის ზურგ-საბჯენით. დასაჯდომი ფიცარი ნახევარსფერული ჰქონდა, იდგა სამ ფეხზე, დიდ ოჯახებში ზოგჯერ რამდენიმე „მარტო შკამი“ ჰქონდათ. ერთი თუ ოჯახის უფროსს ეკუთვნოდა, დანარჩენებს სხვა უფროსები იკავებდნენ. მარტო შკამი ხევში, როგორც სხვაგან, წარმოადგენდა უფროსი მამაკაცის უფლებრივ ატრიბუტს. გამონაკლის შემთხვევაში მას სტუმარსაც უთმობდნენ ხოლმე. სავარძელი მიჩნეული იყო ისეთ ნივთად, რომელთანაც დაკავშირებული ყოფილა როგორც ოჯახის უფროსის, ისე საზოგადოებაში სოციალურად აღზევებული პიროვნების პრიორიტეტი.

ლიტ.: ვ.ითონიშვილი, ხევი ძველად და და ახლა, 1941.

მარცახი - თევზსაჭერი მოწყობილობა, საბას განმარტებით, „ბარჯი სამკბილი ჩანგალსავით“.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

მარჯინალი - იხ. „რწკინუა“.

მარხვაშემოი - იხ. „ქრისტის მარხვა“.

მარწუხი - 1. ტუჩიანი, რკინის საჭერი, მესპილენძე-ხელოსნის სამუშაო იარაღი. გრდემლთან და უროსთან ერთად მესპილენძის ძირითად ხელსაწყოს წარმოადგენს. მის გამოგონებას ხალხი 363 ხელობის უფროსს და მჭედლობის მფარველ წმ. სოლომის//სოლომონს მიაწერს. მარწუხით შეპყრობილი ლითონი გრდემლზე უროთი და კვერით იჭედებოდა. ხელოსანი 3-4 სახის მარწუხს ხმარობს: დიდსა და პატარას, სახელურიანსა და უსახელუროს. ზოდის ასაღებად, ზოდის გადმოსაღებად, კალაპოტის ასაღებად და სხვ. 2. საეკლესიო-სარიტუალო ნივთი. მარწუხით აზიარებენ მორწმუნეებს, მისი საშუალებით ბარძიმიდან სიმბოლურად იღებენ ქრისტეს წმინდა სისხლსა და ხორცს. ასეთ მარწუხს (კოვზს) ამზადებენ პატიოსანი ლითონების: ოქროს ან ვერცხლისაგან, სახელურის დაბოლოება ჯვრის გამოსახულებისაა. სიმბოლურად ნიშნავს ლერწამს, რომლითაც ჯვარცმულ მაცხოვარს, როცა წყალი ითხოვა, მიაწოდეს ნაღველნარევ ძმარში დასველებული ღრუბელი, აგრეთვე ნიშნავს მარწუხს, რომლითაც სერაფიმმა, „ადილო“ რა უფლის სამკვეთლოდან ნაკვერცხალი, შეახო ისაია წინასწარმეტყველის პირს და განწმიდა იგი ცოდვათაგან. ეს საღვთისმსახური ნივთი დაადგინა წმიდა იო-

ანე ოქროპირმა თავისი პატრიარქობის ჟამს, IV საუკუნეში. მანამდე ზიარებას მღვდელი ხელით აძლევდა მორწმუნეს.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

მარხვის ჩატკეცა / მარხვის გოდრის დაგორება - თუშური საბავშვო საწესო თამაში: დიდმარხვით განაწამები ბავშვები აღდგომის წინა ღამეს ძველ გოდორს პირუტყვის ბაგებიდან ამოყრილი ჩალა-თივის ნარჩენებით გაავსებდნენ, პირს წნელებით გადაუხლართავდნენ, სოფლის გარეთ გაიტანდნენ, ცეცხლს წაუკიდებდნენ და დააგორებდნენ; სანამ მიწვდებოდნენ მისდევდნენ და ჯოხებით სცემდნენ, შემდეგ ქვებს მიაყოლებდნენ. შინ მხიარულნი ბრუნდებოდნენ, მარხვა ჩავტკეცეთო.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ.95.

მარხილი - ხალხური ტრანსპორტის ტიპი. მარხილი ყოფაში სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება: მარხილი (ქართ. კახ. იმერ.), ლეკ მარხილი (ზ. აჭარ.), გოგრა (აჭარა), თუში (მთიულეთი, ფშავი, თუშეთი), ლაჩქამი (მთიულეთი, ქსნის ხეობა), მანჯაკი და ა.შ. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, მარხილი „არს ურმის მსგავსი და უგოგორო, თოვლზე სათრევი“. იგი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. ესენია ა) კავები, ანუ ფეხები (ტოტები - თუშეთი, ღო - მთიულეთი), ბ) მარხილის ტანი (ანუ ნერჩი - ფშავი, კვატუში - ლეჩხუმი) და გ) ხელნა. მარხილის დამოუკიდებელი ნაწილია უღელი. მარხილს აქვს ორი კავი, ანუ ფეხი, ოთხი კოჭი (ჭალა - რაჭა), ნემსაფიცარი (თავჯოხი - მთიულეთი), წინა და უკანა კოფო და ორი ხელნა. მარხილის ტანი, სადაც შემა, ფიჩხი, თივა და სხვ. თავსდება, მა-

რხილის ფეხებს ეყრდნობა. მარხილის ფეხები წინა ნაწილში ერთმანეთთან „ნემსი ფიცრითა“ შეერთებული. „ნემსი-ფიცრის“ წვერები მარხილის ფეხების გარეთ გადის, მათზე ჩამოცმულია ხელნები, რომლებიც უშუალოდ მარხილის უღელს უკავშირდება. მარხილის „ფეხებისათვის“ არჩევდნენ მოკაკულ თავმოღვედილ (თუშეთი), ე.ი. ბუნებრივად მოხრილ ხეს, რცხილას ან არყს, კავები (ფეხები) ძირში სქელი (მსუქანი) უნდა ყოფილიყო, სრიალის დროს გვიან რომ გაცვეთილიყო. ფეხებს სატენით დახვრეტდნენ, ამოიღებდნენ (ვერტიკალურად) ოთხ „საკოჭე ადგილს“, ნაჯახით გამოჰყავდათ ნემსაფიცარი, მრგვალი თავჯოხი. დამზადებული ნაწილებით შემდეგ მარხილს აწყობდნენ. მარხილზე ტვირთის დასამაგრებლად იხმარებოდა ღვლეჭი (ალაჭა - რაჭა) ანდა ორკაპა შინდის ხე. მარხილის დამზადებას ორი დღე უნდოდა და XX საუკუნის დამდეგისათვის ორი კოდი ქერი ღირდა. იგი გამოიყენებოდა ძნის, თივის, შემის, ფიჩხისა და სხვათა საზიდად. ამის მიხედვით იყო „შემის“, „თივის“, „ძნის“ და ა. შ. მარხილები, რომლებიც ურთიერთისაგან სიდიდის (ტევადობის) მიხედვით განსხვავდებოდა. ქართულ წერილობით წყაროებში ხშირად მოიხსენიება მარხილი. მაგ., XIII საუკუნის ძეგლი გვამცნობს: „მუნ შეჰკაზმა ქვაი დიდი და მძიმე ფრიად და დადვა მარტო მან მარხილსა ზედა“. „მოსხნეს მარხილნი უღელსა მას ხართასა“ და ა.შ. თუ ბარის ან გარდამავალი ზოლის სოფლებისათვის მარხილი სეზონური სატრანსპორტო სახეობაა და მას მოსახლეობა ურემთან ერთად იყენებდა, მთის ზოლის მოსახლეობისათვის იგი უნივერსალური საზიდი საშუალება იყო, აქ მარხილს ზამთარ-ზაფხულ ხმარობდნენ.

ლიტ.: მ. გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, 1956

მარხილისფეხი (რაჭ.) - მარხილის მთავარი ნაწილია, - მაგარი ხის (რცხილის, მუხის...) გათლილი ძელი, რომელიც მიწაზე (ან თოვლზე) მისრიალებს. ჩამოცმულია ფიჩხილაზე. მასზე დასმულია კოჭები (თითო მარხილისფეხზე - ორი), - ხელნა. მარხილისფეხი თუ ხმელი არ იქნა, მალე ცვდება.

მასათი (რაჭ.) - ფოლადის ბრტყელი, კიდეებმომრგვალებული ნაჭერი. აქვს ტარი. ყასბები და მზარეულები ხმარობენ დანის პირის ასაწყობად (იხ. საბა, ქეგლ, მენტ.; შდრ. ნიჟარ.).

მასაკითხი (ხევს.) - ხევსურული საწესო ნამცხვრები, რომლებსაც, არაყთან ერთად, სოფელი ხატისმსახურთ უგზავნიდა.

ლიტ.: ალ. ჭინჭარაული. ხევსურული თავისებურებანი. ტექსტებითა და ინდექსით. თბ., 1960, გვ. 213.

მასანთონი (ხევს.) - რიტუალური დაჭრელებული პურები, რომლებზედაც სანთლებს ანთებდნენ, „სახელს დასდებდნენ“ და ჯვარს (ხატს) ოჯახის კეთილდღეობას შეთხოვდნენ.

ლიტ.: გ. დოლიძე. ხევსურული ტექსტები (ლექსიკონითურთ). თბ., 1975, გვ. 22, 24; ა. ოჩიაური. სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში. თბ., 1980, გვ. 99, 112; თ. ოჩიაური. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ., 1954, გვ. 45; ალ. ჭინჭარაული. ხევსურული თავისებურებანი. ტექსტებითა და ინდექსით. თბ., 1960, გვ. 213.

მასრა / ქილა (იმერ.) - მოგრძო მილისებური ფორმის ხის ნივთი, რომელიც იდება ჩოხის გულისპირზე დაკერე-

ბულ სამასრეებში. ძველად მასრაში ინახებოდა ერთი გასროლა თოფის წამალი. მოგვიანებით მასრა ჩოხის სამკაულად იქცა და განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამასრეებიდან გამოსაჩენი მასრის თავების გაფორმებას, რომლის დასამზადებლად იყენებდნენ რქას, სპილოს ძვალს, ვერცხლს. რქისაგან დამზადებულებს „შავ მასრებს“ უწოდებდნენ, ხოლო სპილოს ძვლისას თეთრს. აკეთებდნენ აგრეთვე „ვერცხლის მასრებს“. XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში მასობრივად ჩანს ათვისებული რქისთავიანი მასრები. ამისათვის გამოუყენებიათ ირმის ან კამეჩის რქები, რომლებსაც საგანგებოდ რთავდნენ ურთხელის ხის ნაწილებით.

ლიტ.: მსმხი, ტ III. ნაწილი I, 1983.

მატური - საფლავის ძეგლის ტიპი, რომელშიც იგულისხმება მრავალფეროვანი „ფეხზემდგომი“ ძეგლები. დ. ჩუბინაშვილის განმარტებით, მატური არის „სასაფლაოზე მცირე გალავანი ერთის ნათესავის მიცვალებულისთვის“, ე.ი. საგვარეულო სასაფლაო. ასეთი განმარტება იძლევა ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, რომ მატური ადრეულ ხანაში გაიგებოდა, როგორც საგვარეულო სასაფლაოს ადმინისტრაციული ზოგადი ტერმინი, ხოლო მოგვიანებით იგი იქცა „ფეხზემდგომი საფლავის ძეგლების“ კრების სახელად. ქვითხურობის თვალსაზრისით მატურებში გამოვლენილია ძალზე მაღალი დონე, რთული ტექნიკური სიძნელეებით დაძლეულია ქვის დამუშავების ყველა ნიუანსი. განსაკუთრებით დამახასიათებელია გომეტრიული სწორი ხაზები, ოთხკუთხოვანი ან მრგვალი კოლონადები, თაღური და როტონდისებური გადახურვები. ზოგადად მათ იერში დომინირებს ეკლესიე-

ბის, ეკვდერებისა და სამრეკლოს არქიტექტურული მოდელები. ზოგი მატური შესრულებულია ყრუ მოდელებით, ზოგიერთები კი წარმოადგენს „ბანიან“ და „ფარდია სამრეკლოიან“ ეგზემპლარს, რომლებიც მორთულია ცრუ ნიშებით, ღიობებით, თახჩებითა და მომთავრებულნია ქვისა და რკინის ჯვრებით. ხშირად მატურებზე ვხვდებით საკმაოდ ვრცელ წარწერაეპიტაფიებს, ქრისტიანული რელიგიის ისეთ სიმბოლოებს როგორცაა: მტრედი, თევზი, ნაყოფი, ვაზი და მტევანი, ანგელოზები, ასევე სამეურნეო და სახელოსნო იარაღებს, ბოთლს, ყანწს, შეკაზმულ ცხენს, ირემს, საკურთხს და სხვა. მატურთა უმრავლესობისათვის დამახასიათებელია ნიშები საკურთხის დასადებად და სანთლის დასანთებად, გარდაცვალებულთა სურათები და სხვა.

ლიტ: ე. ნადირაძე, საქართველოს მემორიალური კულტურა, 2001. ს. ბელუკაძე, ქვის დამუშავებამთიულეთში, მსე, ტ. V, 1951.

მატყლი -- მატყლისთვის ზემო აჭარაში ყოველთვის ჰყავდათ გარკვეული რაოდენობის ცხვარი. მატყლის ასაწონად ხის სასწორებს იყენებდნენ, გირბის ნაცვლად კი, ხშირად ქაღმის კვერცი გვხვდება. რვა კვერცი ერთ ნუკს - 400 გრამს, ოცი კვერცი - ერთ კილოგრამს, 24 კვერცი - ერთ ოყს (1,2 კგ.) შეადგენდა. ერთი ბატკანი 10-12, ხოლო ვერძი - 1-20 კვერცხის წონის მატყლს იძლეოდა. XIX ს-ის მიწურულიდან XX ს-ის ოციან წლებამდე, ერთი კილო მატყლი სამი აბაზი ღირებულა. ზოგჯერ, მატყლი პროდუქტებზეც იცვლებოდა. მატყლი სამი ხარისხის იყო. აჭარაში საუკეთესო მატყლს გრძელყურა, მომდევნო ხარისხისას - მოკლეყურა და კვირტალი ეწოდებოდა. საქართველოს სხვა კუთხეების ანალოგიურად, გაჩეჩილ მატყლს

ფთილებად ინახავდნენ. მაგალითად, სვანეთში მატყლს სამ სახედ ახარისხებდნენ: პირველი ანაჩეჩი მატყლი კაცხი იყო, შემდეგ - ნაზურგალი და კვირტი.

ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005:17-37.

მაქალათები - ნათეს (იხ.) მოგვარე-დამხმარეები (ორი ვაჟი და ორი ან სამი ქალი), რომლებიც მას საახალწლო ციკლის ყველა სადღეობო ჯარობების დროს ხალხის გამასპინძლებაში შველოდნენ. ნათე მათ „ქრისტის შიყარაის“ (იხ.) ღამეს შემდეგი წესის დაცვით ირჩევდა: ქუდმოხდილი, ლუდიანი თასით ხელში მიადგებოდა რომელიმე მარჯვე ახალგაზრდას, თასს მიაწოდებდა და თან ეტყოდა: შენს გამარჯვებას, ნუ დაიზარებ, ნუ დაამადლი გვარ-ბიძაშვილობას შენს სამსახურსაო. ახალგაზრდა თასს გამოართმევდა და ნათეს დალოცავდა, ქრის-წელწლობის (შობა-ახალწლის) ძალ-მადლი შეგეწიოსო, კვლავაც მრავალჯერ მოგარგინოს ნათეობაო, ჩვენ, უმცროსებს, თქვენი მორჩილება ნუ მოგვეშალოსო.

შობა-ახალწლის ჯარობებში ლხინ-გართობის დამწყებნი და ტონის მიმცემნი მაქალათები იყვნენ. ისინი სულ ფეხზე ტრიალებდნენ, დაჯდომის უფლება არ ჰქონდათ. თუ რომელიმე მათგანი ჩამოჯდებოდა, ახალგაზრდები მას იქვე დააბამდნენ და სანამ ნათე „ქვაბ-საკლავით“ (მწვადი და პატარა ჭურჭლით ლუდი ან არაყი) არ გამოისყიდდა, არ გაანთავისუფლებდნენ. სამაგიეროდ, ნათეს სავარძელზე - ჩიკაზე - დაჯდომის უფლება არავის ჰქონდა; თუ იგი სადმე გავიდოდა, სავარძელს მაქალათები დარაჯობდნენ. მაქალათებს ხელში ხის ხმლები ეჭირათ და ვინც სასმელზე და

ცეკვაზე უარს იტყოდა, მას ხმლებით ცემდნენ. მაქალათი ვაჟები „სამხედრო“ ფორმაში იყვნენ გამოწყობილნი: მხრებზე ფრადი ნაჭრებისაგან შეკერილი ოფიცრის სამხრები ეკეთათ და გულზედაც ნაჭრებისავე ჯვარ-მედლები ეკიდათ. ქალი მაქალათებიდან ერთს დედად ამოირჩევდნენ, სასაცილოდ ჩააცმევდნენ და ვითომ დიდად პატრონობდნენ.

მთელი ჯარობების განმავლობაში მაქალათებს სხვის სახლში შესვლა ეკრძალებოდათ, მაგრამ ისინი მაინც შეიპარებოდნენ ხოლმე და რაიმეს მოიპარავდნენ, რის გამოსახსნელადაც პატრონს „ქვაბ-საკლავი“ უნდა მოეტანა. თუ მაქალათს სახლში პატრონი მოასწრებდა, მას იქვე დააბამდა და იგი სხვა მაქალათებსა და ნათეს ერთი ტარკომა ალუდითა და ერთი მწვადით უნდა გამოეხსნათ.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 44, 62-63.

მაქო - აბრეშუმის ძაფის დასახვევი ხელსაწყო, რკინის. თავ-ბოლოში წყვილი კბილებით.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

მალლარი ვაზი -- ზოგადი სახელია მალლა ასული ვენახისა. ადრე ასეთი მალლარი ვენახები გასული იყო ხეზე და არც კი ისხვლებოდა. დროთა განმავლობაში, მალლარების გაშენება საგანგებო ხისა და რკინის კონსტრუქციებზე ძალზე გავრცელებულ ჩვეულებად იქცა. მალლარი ვენახის კლასიკური ტიპია ტალავერი, ხოლო მისი უძველესი შესატყვისი - „ბაბილო.“ გასათვალისწინებელია, რომ ტალავერს აქვს 11 სინონიმური ვარიანტი, ხოლო ბაბილოს - 17, რომელთა წყარო არის ძველი

ქართული ლიტერატურის ძეგლები და თანამედროვე ქართული კილოები.

ლიტ.: ქართული მატერიალ. კულტურ. ეთნოლ. 2011:254; ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებ. 1978:169.

მაშველა (რაჭ.) - რქის ან ლითონის ჩაზნეული სამარჯვი, რომელსაც ხმარობენ ფეხსაცმლის ჩაცმის დროს, - კიწაპი, სამველი (მდრ. გაჩ.: მეშველი, ქავთ. I: მიშველა).

რაჭ. ლექსიკ.

მაჩა რაჭ.) - კალოს პირას დადგმული სამკედლიანი შენობა (კალოს მხარეს ღიაა. იყენებენ მარცვლეულის სამშრალობლად, სახმობად (სინონ. გლ.: სამშრალო) (იხ. ბერ., მდრ. ძოწ.).

მაჩ-ი (სვ.) - საკულტო ნაგებობა უშგულში, სადაც ქალები ე. წ. ჩუბ ლიმზირს - „ქვევით ლოცვას“ - მართავდნენ (იხ. „ჭაბგობ / ჭაბუკობა“).

მაცხოვრის მარხვა - ყველიერის წინა კვირის ორდღიანი მარხვა, რომელსაც ზემო რაჭაში ორშაბათიდან ოთხშაბათამდე იწინაზდნენ. ოთხშაბათს, დილაადრიან, სოფლის ბიჭები შეგროვდებოდნენ და ოჯახებს შემოივლიდნენ შემდეგი სიტყვებით: „დიდება ბრძანა მაცხოვრისა ჯვარცმისა წმინდა გიორგისა ზედქალაქისაო“ (ზედქალაქი - სოფ. ღებში არსებული ნასაყდრალი). ყოველი მოსახლე ვალდებული იყო მათთვის პური, ღვინო და სხვა პროდუქტი და ფული მიეცა, თან თხოვდა ვაჟის საბედოს დალოცვას (ან გვირგვინის დალოცვას, თუ სახლში ახალშეუღლებულები ჰყავდა), აგრეთვე ახალგარდაცვლილი მიცვალებულების შესანდობარის თქმას. ამ საწესო მსვლელობის მონაწილენი მოგროვილ სანოვა-

გესა და ღვინოს სოფლის ბოლოს გაიტანდნენ და იქ მოილხენდნენ.

მაცხოვრის მარხვის დაწესების შესახებ ს. მაკალათიას შემდეგი გადმოცემა ჩაუწერია: „ძველად ღების მაცხოვრის ჯვარი თურმე სვანებს მოუპარავთ და ამის გამო ღებელები დადონებულან. ამ დროს სოფ. ჭიორაში ცხოვრობდა თურმე განთქმული მონადირე ბათხაძე, რომელსაც შემთხვევით ნადირის მაგივრად შვილი შემოკვდომია. თავზარდაცემულ ბათხაძეს თავის ცოდვის მოსანანიებლად განუზრახავს სვანეთიდან ღების ჯვრის ჩამოტანა. ბევრი ძებნის შემდეგ, ბათხაძე შეპარულა სვანეთის ერთ ეკლესიაში, სადაც მოპარული ჯვარი შეუგულეობა და უთქვამს: „მაცხოვარო, იჩინე თავი, თორემ ბნელაში ვერ დაგინახეო“. ჯვარი მას მართლაც ჩვენებია და მისი წამოსვენება განუზრახავს, მაგრამ დაკეტილი კარებიდან გამოსვლა ვერ მოუხერხებია. მაშინ ბათხაძეს პატარა სარკმლიდან უცდია გაძრომა, მაგრამ ჯვარი ვერ გამოტეულა. ბათხაძე შემფოთებულა და უთქვამს: „მაცხოვარო, შენ იღრიკე თავი და მეცაო, თორემ დავრჩითაო“. ჯვარი მოხრილა და ორივენი გამოსულან. ბათხაძის დაგვიანებით მთელი ღები დაფიქრებული ყოფილა, მაგრამ ოთხშაბათს, მამლის პირველი ყივილისას, ბათხაძეს ზედქალაქიდან გადმოუძახნია: „დიდება ბრძანე, მაცხოვარო, ჯვარცმისა წმ. გიორგი ზედქალაქისაო“. ხალხი აშლილა და აღრფთოვანებით მიგებებია. ამის აღსანიშნავად ეს მარხვაც დაუწესებიათ. ბათხაძის ჩამოტანილი ეს ჯვარი დღესაც სოფ. ღების ეკლესიაშია დაცული, ვერცხლითაა მოჭედული და ცოტათი მოხრილი“.

ლიტ.: ს. მაკალათია. მთის რაჭა. თბ., 1987, გვ., 77-78.

მაცხუარი მარე („მაცხოვრის კაცი“) - მაცხოვრის სახელობის ეკლესიის ყმა სვანეთში. ბარბლჷშ-ის (იხ.) დღეობის სამი დღის განმავლობაში მესტიის მაცხოვრის ეკლესიის ყმებს თავიანთი სალოცავის მიმართ განსაკუთრებული მოვალეობა აწვიათ. თითოეულ მოსახლეს მაცხოვრისათვის უნდა შეეწირა 18 ცალი სამარხვო ლემზირი შემდეგი წესის დაცვით: დღეში ან ორჯერ წავიდოდა სალოცავში და ყოველ წასვლაზე სამ ცალ კვერს წაიღებდა და შესწირავდა, ან სამჯერ წავიდოდა და ყოველ წასვლაზე ორ-ორი ლემზირი მიჰქონდა. თითო ჯერზე წაღებულ ლემზირთა შორის ერთი ცალი დიდი ზომისა უნდა ყოფილიყო, მეორე კი - პატარა ზომისა; დიდს მომზენი ლემზირი ერქვა და ხატის მსახურისთვის (მომზენი) იყო განკუთვნილი, ხოლო პატარა (პიტი) - ხატისკაცის უმცროსი ვაჟისთვის. სალოცავის მიმართ შედარებით ნაკლები მოვალეობანი ეკისრებოდათ მაცხუარი მარეების დისწულებსა და სხვა ახლო ნათესავებს. მათ მაცხოვრისათვის დღეში სამი ლემზირი ცალკე უნდა შეეწირათ, ე. ი. ბარბლამ-ის განმავლობაში სულ 9 ლემზირი.

სოფ. ლენჯერში დღეობა შობ-ს (იხ.) მხოლოდ მაცხოვრის ყმა ნავერიანები უქმობდნენ, მაგრამ მაცხოვრის მიმართ დანარჩენებიც გარკვეულ წესებს იცავდნენ. საამდღისოდ ყოველი ოჯახი ლამარია გუიზ-ისაგან ლემზირებს დააცხობდა, მაცხჷშრის ეკლესიაში წაიღებდა და შობჷ ლჷმარიას წლის მოსავლიანობას შევედრებოდა. ნავერიანები დილით ეკლესიის ეზოში აგებდნენ თოვლის პატარა კოშკს (მურყვამ-ს“ და მასზე დაასვენებდნენ ეკლესიიდან გამოტანილ მაცხოვრის ხატს, რომელიც იქ საღამომდე რჩაბოდა. ხატის წინ სანთლებს დაანთებდნენ, ლემზირებით დაილოცებოდნენ.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. გვ. 13, 36-37.

მაძახურა - უხილავი ავსული ხევსურული რწმენა-წარმოდგენების თანახმად. შუალადით, როცა ხალხს ძინავს, მაძახურა სოფელს დაივლის, რომელიმე მოსახლის საცხოვრებელს მიადგება და მძინარე მამაკაცის ან ქალის სახელს ერთხელ ან ორჯერ დაიძახებს. თუ ახალგამოდვიებული გამოეხმაურა: „რაიავ“, უპასუხებს: „ლავივ“ და დაწყევლის. ასეთ შემთხვევაში კაცი სიკვდილს ვერ გადაურჩება. ოჯახის წევრს შეუძლია, დამძახებულს მესამე დაძახებისას შეეხმიანოს, რადგან მამძახურას სამჯერ დაძახების უფლება არა აქვს. ამიტომ სტუმარიც რომ იყოს, ვიდრე იგი სამჯერ არ დაიძახებს, ხევსური, მაძახურას შიშით, ყურადღებას არ მიაქცევს.

ლიტ.: ბ. გაბუური. ჰევსურული მასალები // ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული. 1923-1924, I-II. გვ. 152.

მაძახურობით მაკვეთა - შვილის მოკვეთის ხევსურული წესი; აღწერილი აქვს ა. ოჩიაურს: „თუ ქალი ისეთ ქმარს გაყვა, ვისთანაც არ ეკუთვნის ან თუნდაც ეკუთვნოდეს, მშობლები და თავისიანები წინააღმდეგნი არიან და ის მაინც გაყვა ქმარს, ან ვაჟმა ქალი შეერთო, მამამ თუ ძაღლი არ მოუკლა, რადგან იქამდე მწვავედ საკითხი არ დგას, მშობელი მამა ან ბიძა ბანზე გამოვა და მაძახურობას იზამს, ე. ი. ხმამაღლა დაიძახებს: - ჩემმა ქალმა ან შვილმა (ქალს ხევსურები შვილს არ ეძახიან) ესა და ეს საქმე ჩაიდინა (დაასახელებს ჩადენილ საქმეს), მე ეს არ მინდოდა ან არ ეკუთვნოდა. იმით ვიშორებ მე ჩემს შვილს (ან ძმისწულს, ძმას და სხვა), ის ნულარ იტყვის რო თა-

ვისა ვინამ მყავავ ან სიკვდილის დღეს ან სიცოცხლისას. ის ჩემ აღარ ას, მე იმისა, იმას ჯალაფნ აღარ ხყონ, მე ის აღარა მყავ. არც ჭირს ვიკითხავ მაგისას, არც ლხინს, არც სიკვდილს, არც სიცოცხლეს, არც მაუშობდ, არც მიოლ მაგასთან არც ჭირში, არც ლხინში. მაგდიოდასთ ჯვართაც, კაცთად, ცასაცად, დედამიწასაც. დღესდგე მაკვეთილ-მაშორებული, ავადაც მამშორდასად კარგადაც. მე მაგისას არას ვიკითხავ, ეგ ჩემს ნურას იკითხავს. - ამ სიტყვების შემდეგ ის მოკვეთილად ითვლება, ვისზედაც ლაპარაკი იყო. მაგრამ დრო და ხნიდგე კაცშუაკაცის ძალით შერიგება შეიძლებოდა“.

ლიტ.: ა. ოჩიაური. 1948-1951 წლების მასალები. რვ. 4. (ინახება ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში).

მაწარა (რაჭ.) - ბალახია ერთგვარი, - ჭყიმი. მაწარას უმალა ვჭამთ. მაწარა საჭმელი ბალახია (იხ. მაყ., ძიძ.).

მაწონი -- აღუღებულ რძეში, შეგრილების შემდეგ მაიას - კვეთს ჩაასხამდნენ და ჭურჭელს შეფუთავდნენ. სამი-ოთხი საათის შემდეგ გახსნიდნენ და მაწონიც მზად იყო. არსებობდა მაწონის კარაქიც. ჭურჭელში მაწონს 24 საათს გააჩერებდნენ. შემდეგ მას სპეციალური მოსარეკი-მოსადღვები ჯოხით თუ რწევით მორეკავდნენ ანდა მაწონს ანდა მაწონს კარიას რწევით შედღვებავდნენ. შეუჩერებელი დღვების შედგად, მაწონი ჯერ ქავს, ხოლო შემდეგ კარაქს მოიგდებდა. კოვზით კარაქს მოხდიდნენ, ცივ წყალში გარეცხავდნენ, დაამარილებდნენ და ხის საგანგებო ჭურჭელში - კაბიწში, გვარდაში, კოთხოში შეინახავდნენ.

ლიტ.: ქართველი ხალხის ეთნოლოგ. 2018:276.

მაჭკუნარა / მაჭკუნარა (რაჭ.) - საჭმელი სოკოა მოყვითალო-მინაკისფერი. ჯგუფ-ჯგუფად ამოდის ჯირკვებზე, - მანჭკვალა. მაჭკუნარას მოკვრიფამთ, გავასუფთავებთ, მზეზე გავახმობთ და ზამთრისთვის ვინახამთ (იხ. მაყ.; შდრ. გაჩ.: მაჭუნკალა, მაჭინკვალე).

მაჭკუნარას მაცილობელა (რაჭ.) - სოკოა ერთგვარი, მაჭკუნარას (იხ.) მსგავსი. არ იჭმება, მაწყინარია, - მანჭკვალას მატყუარა.

მაჭრის ქული - მაჭარი დუდილის დროს თავზე ჭაჭას მოიგდებს, შემდეგ ჭაჭა შეიკვრება და გამაგრდება. ამას ეძახიან „მაჭრის ქულს“. სხვანაირად „ქვევრის ქულს“. ქვევრის ქული ქიზიყშიც სცოდნიათ.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975; სტ. მენტემაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

მაჭრის ქულის ჩატეხვა - პირველ გადაღებამდე (როცა ქვევრს „ჭაჭის ქული“ ჰხურავს) ხელადით მაჭარს თუ ამოიღებენ, იტყვიან, ქული ჩავტეხეო. ღვინო თუ თავის დროზე არ გადაიდეს, „ქულს“ ობი მოეკიდება და ღვინოს აფუჭებს.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975;

მახა (რაჭ.) - რაჭაში გავრცელებული ფხიანი ხორბლის ჯიშია (იხ. ჯახ. ეკ. ისტ., I, 339, ქეგლ, ალაგ.).

მახადანა (სვ.) – ბარაქის ჯადო, რომელსაც, სვანების რწმენით, „ისეთი ძალა აქვს, რომ ერთის კალოდამ მეორეში უჩინრად გადაიტანს ხორბალს. მე ვყოფილვარ დამსწრე, რომ სოფელში ხატი ჩამოეტარებინოთ კარ-და-კარ და ყო-

ველი მოსახლე დაეფიცებინოთ, სახლში „მახადანა“ ჯაღო არ შეენახათ, რომელიც ვითომ მქონებელს გაამდიდრებს და სოფელს კი ამოაგდებსო“ (ბ. ნიჟარაძე). სვანეთში გავრცელებული გადმოცემის თანახმად, თავად დადემქელიანს ერთი მდიდარი გლეხისთვის უბრძანებია, გამოეჩინა გადამალული ჯაღო. გლეხს შეხვეული ნაკელი მიუტანია - „აი, ბატონო, ეს შემაქვს მამულში და მოსავალიც მიტომ მომდისო“.

ლიტ.: ბ. აბაშიძე. მითოლოგიის საკითხები ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. თბ., 1978, გვ. 84-85.

მახათი - ხისტარიანი და რკინისტანიანი დიდი ნემსი, რომელიც იხმარება ტყავის სახვრეტად.

მახათური -- მახათური გურიასა და ქვემო აჭარაში გავრცელებული წითელყურძნიანი ვაზის საღვინე ჯიში იყო. მას სასიამოვნო ტკბილი გემო ახასიათებდა. იგი მაღლარების სახით შუა და ქვემო გურიის სოფლებში, აგრეთვე, ქობულეთის რაიონში - გურიის მოსაზღვრე ადგილებში იყო წარმოდგენილი. გადმოცემებით, ყურძენს ხშირად ვაზებზე ახალწლამდე სტოვებდნენ. როგორც ვაზზე დატოვებული, ისე აკიდობის სახით შენახული ყურძენი მთელი ზამთრის განმავლობაში კარგად ინახებოდა. ღვინო ტრანსპორტაბელური იყო - ტიკებით ხანგრძლივად მგზავრობის შემთხვევაშიც კი არ ილახებოდა. ამდენად, მახათური სუფრის ყურძნისა და საღვინე ჯიში იყო.

ლიტ.: მ. რამიშვილი, გურიის, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები, თბ., 1948

მახარა - წყლის საზიდი მოწყობილობა. აჭარის, გურიის, სამეგრელოსა და

ლაზეთის მთიანეთში დავაკებული ადგილები დაფერდებულთან შედარებით გაცილებით მცირეა, მაგრამ ფერდობებზე კიბე-კიბედ ხელოვნური სავარგულები - ლარები და ოროკებია გამართული. ბაქან-ბაქან მოწყობილ სავარგულებზე - ტერასებზე - ხეხილი და ვაზია გაშენებული. აჭარაში - ხევხუვიანი რელიეფის გამო გლეხკაცი იძულებული იყო, შორიდან გამოეყვანა სარწყავი წყალი, რომელიც ალაგ-ალაგ ხევებზე გადებულ ხის დარებში - ბელდარებში მოჩხრიკებდა და თავის ძირითად საქმესთან - მორწყვასთან - ერთად კოხტა ბუჭულა (პატარა) წისქვილებსაც ატრიალებდა. ხსენებული რეგიონების მთიანეთში სოფლები ძირითადად მდინარეებისა და ნაკადულების პირასაა გაშენებული. ამიტომ იქ სასმელი წყალი არ ჭირს, მაგრამ ზოგჯერ ოჯახის ახალი განაყარი თავისი ამოსახლოს ადგილმდებარეობის გამო სასმელ წყალს შორდებოდა. წყლის მაღლა ამოტანა კი ჭირდა, თუ ნაკადული ან წყარო დაბლა ხრამში იყო. ქართველმა კაცმა ეს საკითხი მახარას საშუალებით გადაწყვიტა. მახარა წყლის ქვემოდან ზემოთ ამოსატანი მექანიკური მოწყობილობაა. მახარას ასე მართავდნენ: კარ-მიდამოს სიახლოვეს, ან თუნდაც ეზოში, ხის ჯოჯგინაზე ხელით სატრიალებელ მორგვ-ბორბალს ამაგრებდნენ, თითქმის ისეთს, როგორც ჭის გვიმზეა დადგმული. შემდეგ ქვემოთ ნაკადულთან ან წყაროსთან მიწაში მსხვილ მარგილს მყარად არჭობდნენ (მარგილი მუხისა უნდა ყოფილიყო, ვინაიდან იგი ტენიან ადგილას იდგა), მარგილსა და ჯოჯგინას ერთ ფეხს მაგარ ბაგირს აბამდნენ და ჭიმავდნენ. შემდეგ თითქმის ბაგირის სიგრძის თოკს მორგვ-ბორბალზე ახვევდნენ. ბაგირზე რკინის კავიან გორგოლაჟს ჰკიდებდნენ და მორგვზე დახვეული თოკის თავისუფალ წვერს გორგო-

ლაჭის კავზე ნასკვავდნენ. წყაროს წყალს ხის ღარს მიუმარჯვებდნენ და მახარაც მზად იყო. თუ წყალი დასჭირდებოდათ, ხის ვედროს - სათლს გორგოლაჭის კაუჭზე ჰკიდებდნენ და მორგვ-ბორბალს უკუდმა დაატრიალებდნენ; ამ ხერხით სათლი ღარის პირს მიადგებოდა. როცა წყლით აივსებოდა, მორგვ-ბორბალს წაღმა დაატრიალებდნენ და წყალიც მაღლა ამოდიოდა. წყლით მომარაგების საქმე ტექნიკური თვალსაზრისით თითქმის თანამედროვე საბაგრო გზის დონეზე იყო მოგვარებული. მახარა ფრიად ორიგინალური და მოხერხებული ტექნიკური საშუალებაა, რის გამოც მას აქა-იქ ახლაც იყენებენ.

ლიტ.: თ. ჩიქოვანი, დასურათებული ლექსიკონი, 2009.

მახარობელი - ქართული საქორწილო რიტუალის ერთ-ერთი პერსონაჟი.

მახის კრეფის ჭაბუკობა - იხ. „ჭაბგობ/ჭაბუკობა“.

მახჩი - ნალის ლურსმნის გამკეთებული მჭედელი-ხელოსანი. ისევე როგორც ნალჯის, მახჩის პროფესია ჩამოყალიბდა ნალბანდობის ხელობის ფართო წარმოებამ. მახჩიდღეში დაამუშავებდა დაახლ. 16 კგ რკინას, საიდანაც გამოვიდოდა 500-550 ცალი ლურსმანი.

ლიტ.: ნ. აბესაძე, ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში. თბ., 1986.

მაჯაგანი - ტყავის მოსაქნელი. მაჯაგანით მოიქნებოდა წვრილფეხა საქონლის ტყავი. იგი 4 ნაწილისაგან შედგებოდა: მაჯაგანის ხე და პირი (ლითონის), ღვედი, სატერფე და კაპი. მაჯაგანის ხეს გათლილი და მოკაული თავი აქვს, მასში ჩასმულია ლითონი. ხე ბოლოში ჩაჭედი-

ლია, რითაც ღვედის საშუალებით იმაგრებს ფეხის ჩასადგმელ რგოლს, რასაც ადრე ტყავისას, მოგვიანებით კი ლითონისას ამზადებდნენ. უკიდურეს შემთხვევაში რგოლი შეიძლება ყოფილიყო წნელისაც. დასამუშავებელ ტყავს ჯერ კისრით დაჰკიდებდნენ ხეზე და ამუშავებდნენ, შემდეგ ბარკლით, ღუმითა და ფერდით. მომუშავეს მარცხენა ხელით ტყავი ეჭირა, მარჯვენათი - მაჯაგანის ხე, მარჯვენა ფეხი მაჯაგანის სატერფე კაპში ჰქონდა შედგმული, როცა მას მარჯვენა ხელით მაღლა ასწევდა, ფეხსაც ააყოლებდა, შემდეგ დაბლა დასწევდა, მაჯაგანის პირს ტყავის ნაწილს ჩამოჰკრავდა და ასე აწარმოებდა ტყავის მოქნას. ტყავმა უნდა იტრიალოს, სანამ არ დამუშავდება. უნდა გახდეს ბუმბულივით, „თვალად თეთრი“ და ხელის შეხებით რბილი. ამის მისაღწევად მაჯაგანს ასჯერ მაინც აუსვამ-ჩამოუსვამდნენ ტყავს (ხევი). ადრე მაჯაგანში გამოსაყვან ტყავს მუხლებზე დაიფენდნენ, ოდნავ მოხრილ რკინის დანას უსვამდნენ და ამ გზითაც მოჰქნიდნენ მას. დაბახანაში თრიმლით დამუშავების დროს იყენებდნენ იმავე იარაღს, რასაც მედაბღეები „დემურს“ უწოდებდნენ. ქვ. სვანეთში რკინის დანის ნაცვლად სცოდნიათ არჩვის ან ღორის ყბის ძვლის, ან დაბკილული ხის ხმარება. მაჯაგანში გამოყვანილი ტყავით ტანსაცმელს, თავსაბურავებს, პაჭიჭებს და მისთანათ იკერავდნენ.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

მბღავანი - იხ. “მყვირალი“.

მგებრთ სუფრა / დედისძმათ სუფრა - მგებრთათვის (დედის საგვარეულოს მიცვალებულთა - დედისძმათა - სულები, რომლებიც ახალგარდაცვლილის სულს

საიქიოში პირველები ეგებებიან. იხ. „მგებრნი“) განკუთვნილი კოტორის გამოცხობა და სუფრის მომზადება. მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ეს წეს-ჩვეულება გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში. როდესაც მომაკვდავი აგონიაშია, იტანჯება და სიკვდილიც აგვიანებს, მთიელთა რწმენით, მისი განთავისუფლება სწორედ მგებრებს შეუძლიათ. ასეთ შემთხვევაში იტყვიან: „დედისძმათ სუფრას“ კითხულობსო. დედის მხრივ ბიძის ოჯახი გამოაცხობს კოტორს, გაამზადებს სუფრას და სულთმობრძავის ოჯახში მიიტანს. კოტორს მომაკვდავის თვალწინ დაჭრიან და „ემშაისა და გაბურის“ ეტყვიან: „შეუნდოს შენ მგებრთ, შენ დედისძმათ, გზა გაგაღებინ“. მგებრებს კი ასე მიმართავენ: „ნუღარ სტანჯავთ, თურა ცოდვა უქნი, გზა გაღლებით“, ან „შეუნდოს თურა წესი დისწულ-დედისძმისი, მიეცით გზად, თურა ცოდვა უქნავ, ნუღარ სტანჯავთ“.

ფშავში მიცვალებულის სახელზე გამართულ ხარჯებში წრენაზებით დაჭრელებულ მოგრძო ფორმის „მგებრთ ქადას“ ახცობდნენ.

ლიტ.: დ. გიორგაძე. წარმოდგენები საიქიოზე ხევსურეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXI. თბ., 1981, გვ. 137-144; ნ. აზიკური. კოტორი, როგორც რიტუალური პური თუშეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXIII. თბ., 1987, გვ. 221; გ. კოპალეიშვილი. „სამზეო“ და „სულეთი“ ფშაველ-ხევსურთა წარმოდგენების მიხედვით // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXIII. თბ., 1987, გვ. 210; გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 102-103.

მგებრნი - გარდაცვლილის სულის წამოსაყვანად სულეთის ღმერთის (იხ.) მიერ სამზეოში წარგზავნილი სულები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მითოლოგიაში. არიან ახალგაზრდა ვაჟნი - მხედრები და ქვეითნი; ზოგიერთი მონაცემით, ახალსულის ახლო ნათესავთა (უპირატესად, დედისძმათა) სულები. თუშთა რწმენით, მგებრები მიცვალებულის სულს სულეთის კართან ეგებებიან და სულეთში შეუზღვებიან; მათ გარეშე იგი სულეთში ვერ შედის. ავადმყოფის სიკვდილისწინა აგონიის დროს მათ სახელობაზე აცხობენ კოტრს (იხ. „მგებრთ სუფრა“), ასევე გარდაცვალებისთანავე ტაბლას დადგამენ, სადაც სამ სანთელანთებულ ხმიადს დადებენ და მგებრთა შესანდობარს იტვიან. მგებრები „სახელდებაშიც“ იხსენიებიან.

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ. მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. თბ., 1940, გვ. 58; დ. გიორგაძე. წარმოდგენები საიქიოზე ხევსურეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXI. თბ., 1981, გვ. 137-144 ; გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 102-103.

მგელკაცი - ნადირი, რომელიც, კახელთა რწმენით, კაციცაა და მგელიც; ერჩის ადამიანებს.

ლიტ.: ს. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

მგლის კბილის შაკვრა - მაგიური ხასიათის ქმედება ღამე გარეთ დარჩენილი საქონლის გადასარჩენად. საქონელი მგელს რომ არ შეეჭამა, მისი პატრონი „მცოდნე“ კაცთან მივიდოდა და შუალოცვინებდა, ანუ მგლის პირს შეაკვრევი-

ნება. შემლოცველი სავარცხლის კბილებზე ძაფს ხლართავდა და თან სათანადო ლოცვას წარმოთქვამდა.

ლიტ.: ეპისკოპოსი კირიონი. სალექსიკონო მასალა // ძველი საქართველო, ტ. II, განყ. III. ტფ., 1913, გვ. 1-27; ს. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

მდებარე მატყლი (გლ.) - შემოდგომის მატყლი.

მდებრის/მდებივრის სუფრა - დედა-მდებიარის (დედამიწის სულის, ადგილის დედის/ფუძის ანგელოზის) სახელობის საწესო სუფრა, რომელსაც კახელები ყოველგვარი უბედურების (განსაკუთრებით მტრების, გველებისა და სხვთა შემოსევის) თავიდან აცილების მიზნით მართავდნენ. საამისოდ კლავდნენ იხვს (ზოგჯერ ცხვარს, დედალ-მამალ ქათმებს), მზესუმზირის ზეთით აცხობდნენ ქადას, ამზადებდნენ რძის შეჭამანდს და სუფრას ზედაშესთან ახლოს პირდაპირ მიწაზე შლიდნენ; სანთლების ანთებისა და საკმევლის კმევის შემდეგ, ლოცულობდნენ: „ფუძის ანგელოზო! შენი სახელი დალოცვილია. თუ ვინმეს რამე უნებლიედ ისე გაუკეთებია, როგორც წესი არ არის, აპატიე და მიუტყვე“.

ლიტ.: ნ. აბაკელია. სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბ., 1997, გვ. 7-8.

მეგვი (წოვ. თუმ.) - იხ. „მესხნი“.

მეგნე (სვ.) – „ფეხზე მდგომი“ - პირი, რომელიც სვანურ საწესო (სადლეობო, საქორწილო, სამგლოვიარო, სასტუმრო) სუფრას ემსახურება.

მედარბასე ანგელოზნი - ხევსურული ჯვარის (ხატის) დარბაზის მფა-

რველი სულები, რომლებიც სასტიკად სჯიდნენ იმათ, ვინც ჯვარის დარბაზის წესს დაარღვევდა. ყოველი ხატობის დასასრულს ჯვარის მსახურნი - ჯვარიონნი (ხატიონნი) - დარბაზში გამოლოცვის წესს ასრულებდნენ და ამ დროს მედარბასე ანგელოზებს ლუდიანი თასებით ადილებდნენ და ქადის კვერს, ე. წ. გამასამალოს, სწირავდნენ.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველი ხალხის რელიგიური ჯიშოვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია) // მიმომხილველი. I. თბ., 1949, გვ. 124.

მედროშავე - ჯვარის ჰელოსანთაგან (იხ.) არჩეული პირი, რომელსაც ჯვარის დროშის მოვლა-პატრონობა ევალებოდა. მედროშეებად მხოლოდ ის ჰელოსნები ხდებოდნენ, რომლებმაც „საჰელოში ჩადგომის|ზღუბლის დალაჰვის“ (იხ.) წესი გადაიხადეს. მედროშის უმთავრეს მოვალეობას შეადგენდა „დროშის ამბა“ (დროშის აწყობა), ჯვარის დარბაზიდან მისი „გამობძანება“ და სადროშე კოშკთან „დაბძანება“, დღეობის დროს მისი გადაადგილება საჭირო მიმართულებით, ბეგარაზე ან სალაშქროდ წასვლისას დროშის ტარება და სხვ. ჯვარს რამდენიმე მედროშე ჰყავდა. მათი რიცხვი ჯვარის კუთვნილი დროშების რაოდენობაზე იყო დამოკიდებული (იხ. „ჯვარის დროშა“). მედროშის ფუნქციას დროშის დანიშნულება განსაზღვრავდა. მედროშეთა შორის განსხვავება კარგად ჩანდა ჯვარის დარბაზში მათი ჯდომი წესიდან: განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა სალაშქრო დროშა, რომლის გამგებელს პირველი სკამი ეკუთვნოდა; მომდევნო ხარისხისა იყო „მგზავრი დროშა“ და მეორე სკამზე მისი „მედროშავე“ იჯდა; სამწყალობნო-სამრისხველო დროშის მფლობელი მესამე სკამზე, ე. ი.

მესამე რიგში ჯდებოდა. ჯვარში ისეთი დროშებიც იყო (მაგალითად, „სამკადრეო დროშა“), რომლებიც მხოლოდ ქადაგსა და ხუცესს ებარა.

მედროშე მონაწილეობდა როგორც საჯვარო, ისე სათემო საქმეების განხილვა-გადაწყვეტაში. სრულიად ხევსურეთის, ისევე როგორც მასში შემავალი სამაგანძურის თემის ცენტრალური სალოცავის, გუდანის საღმრთო გიორგის ჯვარის მედროშენი რჯულის კანონების შემუშავებაშიც კი მონაწილეობდნენ.

ლიტ.: ჟ. ერიაშვილი. ჰელოსანის ფუნქციები ხევსურეთში. 1. ჯვრის ჰელოსანთაგან მედროშეთა დაყენება // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXI. თბ., 1981, გვ. 128-136; ალ. ოჩიაური. ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. ხევსურეთი (არხოტის თემი). თბ., 1988, გვ. თ. ოჩიაური. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ., 1954, გვ. 111.

მეზმას - სვანური ლასკაშრ-ის მორიგე მასპინძელი ახალწელიწადს (იხ. „ლასკაშრ“).

მეზგრ-ი - ფუძის მფარველი სვანური მითოლოგიაში. სახლის მფარველს ბალსზემო სვანეთში ქორწ მეზგრ ან ტარ ეწოდება, ბალსქვემოთ კი - ქორპ ტარბეზ||ქორწ ტგრბეზ. გარდა ამისა, იხმარება ისეთი სახელებიც, რომლებიც მეზირის ამა თუ იმ თვისებაზე მიუთითებს.; მაგალითად, ქორწ მეზებ („სახლის მჭამელი“), ქორწ მერღე („სახლში მყოფი“), მემეთქვ („მიჩვეული“), თვალ||თვალღელ („თვალი, ნატვრისთვალი“), გიმი თვალ („მიწის თვალი“). წარმოდგენილი ჰყავთ ხბოს, თაგვის, გველის, ძლოვკის, ხვლიკის, ბაყაყის, ქათმის (უპირატესად, თე-

თრი მამლის) და სხვა ცოცხალ არსებათა სახით. მეზგრები ცხოვრობენ საცხოვრებელი სახლის რომელიმე კუთხეში (უფრო ხშირად ჩრდილოეთი ან აღმოსავლეთი კედლის კუთხე, სადაც ყოველ ოჯახს მეზირის სამყოფად საგანგებო ხვრელი ჰქონდა მოწყობილი), ბელეში, საძროხეში და სხვ.

მეზირის კულტთან დაკავშირებული რიტუალი, რომელსაც მხოლოდ მენსტრუაციის ასაკს მიღწეული ქალები ასრულებდნენ, აუცილებლად ორი საწესო პურის (ლემზირის) გამოცხობას მოითხოვდა: ერთი ქორპ მერღესათვის სახლის კედელში ჩასადებად (მას უშგულში ქორპ ლეგემ - „სახლის მისადგმელი“ - ერქვა), ხოლო მეორე, ე. წ. კერი ლემზირ („კერიის ლემზირი“), რომელსაც კერიის ფეხზე დებდნენ. ქორწ მერღესათვის განკუთვნილი ლემზირი პატარა იყო და მას კოკორალ-ს უწოდებდნენ. ეს უკანასკნელი მიჰქონდათ საცხოვრებლის კედელში გაკეთებულ ხვრელთან (ჰუჟულდ) და ქორრამეზგრ-ს ოჯახის ბელიანობას, ბარაქასა და ძროხების წველადობის გაზრდას ევედრებოდნენ. შემდეგ გამოიღებდნენ ქვას, რითაც ჰუჟულდი იყო დახურული, შიგ ქორა ლეგემ-ს ჩადებდნენ და იმავე ქვით დახურავდნენ. მეორე ლემზირს კერასთან დაჩოქილი მერბიღლ (მცხობელი) შეავედრებდა: კერიის წინა მარჯვენა ფეხის გარშემო ლემზირს მარცხნიდან მარჯვნივ სამჯერ შემოავლებდა და თან ოჯახის მფარველს ძალზე ხმადაბლა ოჯახის ბარაქასა და წველადობის გადიდებას შეთხოვდა. ლოცვის შემდეგ პურს ქალები მეჭამდნენ.

ლიტ.: ა. დავთიანი. მეზირის კულტი. ხელნაწერი. 1937 (ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში); მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერი-

ალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1961, გვ. 172-176.

მეთვალე - თვალის ამღები საქონელი.

ლიტ.: მ. კობერიძე, ზემო აჭარული დარგობრივი ლექსიკა, თბ., 2011:23.

მეთუნეობა - ნივთიერ კულტურაში უადრესად ფართო ადგილი უჭირავს მეთუნეობასა და სამეთუნეო ნაწარმს. იგი დაკავშირებულია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის თითქმის ყველა სფეროსთან. საქართველოში კერამიკის ისტორია უხსოვარდროში იღებს სათავეს, კერამიკის წარმოების დაწყება კაცობრიობის ახალი ეტაპის მაუწყებელია. გარკვეული ხანიდან თიხის ჭურჭელი საოჯახო ყოფის ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტად იქცა. ამან განაპირობა კერამიკული ფორმების შესაბამისობა მის ფუნქციასთან. ამიტომაც არქეოლოგიურ მონაპოვართა ფორმები ასეთი ლამაზი და მრავაფეროვანი. ენოლოგიის ხანიდან მოყოლებული სამამულო კერამიკამ განვითარების რთული გზა განვლო. ტექნიკის განვითარებას თან ახლდა ფორმების, ფერებისა და მხატვრულად გაფორმების ხანგრძლივი ცონდა და გამოცდილების დაგროვება. უკვე ძვ. წ.ა. დასასრულისთვის საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული მევენახეობა-მელვინეობასთან, მემინდვრეობა, მესაქონლეობასა და მშენებლობასთან დაკავშირებული სამეთუნეო დარგები, რომელთა განვითარების უწყვეტობა დღევანდლამდის მოიტანა ქართულმა ხალხურმა კერამიკულმა წარმოებამ. მეთუნეობის ტექნიკა თანდათან ვითარდებოდა. თავდაპირველად ქალის მიერ ხელით ნაძერწი თიხის ჭურჭელი ღია ცეცხლზე იწვებოდა, შემდეგ გაჩნდა სამეთუნეო იარაღი - მორგვი, რაზედაც ჭურჭელი კეთდება. ჩარხის გაჩენამ საკმაოდ შეა-

მსუბუქა ხელოსნის შრომა, კერამიკული წარმოება ქალიდან მამაკაცის ხელში გადავიდა. ჩარხმა მეთუნეობა კაცობრიობის ისტორიაში პირველ მექანიზებულ დარგად აქცია. კერამიკული ცენტრების აღმოცენება მარტო არსებული შესაფერისი თიხის საბადოებით კი არ განისაზღვრება, არამედ შემოსავლის ახალი წყაროს ძიებითაც. კერამიკული წარმოების ცნობილი კერების შემოწმებით დასტურდება, რომ ამ სოფლებში მოსახლეობას ვარგისი მიწის უმნიშვნელო ფართობი ჰქონდა, რის გამოც მიწათმოქმედება საჭირო შემოსავლის მხოლოდ ნაწილს იძლეოდა. ამ გარემოებამ კი კერამიკული წარმოება საქართველოს ზოგიერთ სოფელში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საარსებო წყაროდ გადააქცია. ძლიერ ტრადიციებზეა დამყარებული XIX-XX საუკუნეების ქართული ხალხური კერამიკული წარმოება, რაზეც მეტყველებს თიხის ჭურჭლის დამზადების კერები: ქიზიყში - ბოდბისხევი, ანაგა, ვაქირი; გარე კახეთში - ნინოწმინდა, კაკაბეთი; შიდა კახეთში - თელავი, რუისპირი, იყალთო, ველისციხე; ქართლში - თბილისი, მცხეთა, არაგვისპირი, ცხავატი, გორი, მეჯვრისხევი, ვანათი, ქემერტი, დმანისი, წაღვლი; იმერეთში - შრომა, საწაბლე, მაქათუბანი, გუზრული, ბოსლევნი, ჯოყოეთი, დიდწიფელა, ჩხირაული, რიონი, ვარციხე; გურიაში - აკეთი, აცანა, ნაგომარი; ლეჩხუმში - საირმე; რაჭაში - ონი, შუბანი, ლაჩთა; სამეგრელოში - ნამიკოლოვო, გურძემი; აფხაზეთი - გუდაუთა; აჭარა - ხეცუბანი. ცხოვრების პირობების გარდაქმნასთან დაკავშირებით აღნიშნულ წარმოების სახელგანთქმულ ცენტრებში დღეს მეთუნეობა უკიდურესად დაეცა და მხოლოდ რამდენიმე ცენტრიღა ფუნქციონირებს. ქართული მეთუნეობის ძირითადი სახეებია: 1. წყლის ჭურჭელი; 2. რძის პროდუქტებთან დაკავშირებული ჭურჭელი; 3. მევენახეობასთან დაკავშირებული ჭურჭელი; 4. სამზარეულო ჭურჭელი; 5. ჭურჭელი პუ-

რეულისთვის;6. საამშენებლო კერამიკა; 7. სპეციალური დანიშნულების საგნები. თიხის ჭურჭლის დამზადებისა და მისი შემკულობის მიხედვით მასალის კლასიფიკაცია შემდგენიარად ჯგუფდება: 1. წითელი ჭურჭელი; 2. მოწერნაქებული ჭურჭელი; 3. მოჭიქული ჭურჭელი; 4. ზეთის საღებავით მოხატული ჭურჭელი.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, კერამიკული წარმოება საქართველოში, 1995; ქართული მეტერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

მეთუნე - შავ და ფერად თუნუქზე მომუშავე ხელოსანი. ეს ხელობის ახალი დარგია და უშუალოდ დაკავშირებულია ფურცლოვანი თუნუქის მასიურ გავრცელებასთან. ამ დარგმა თავისი პრაქტიკული დანიშნულებიდან გამომდინარე სწრაფად იწყო აღმავლობა. შავი ფერის თუნუქისაგან კეთდებოდა სახლის სახურავები, ღუმელები და სხვ. ფერადისაგან კი სანათები, ჩაიდნები, ჭრაქები, შანდლები, ვენახის შესაწამლი მანქანები. მეთუნეები ქალაქის ბაზრებში მუშაობდნენ და იქვე ყიდდნენ თავიანთ ნაწარმს.

ლიტ.: ნ. აბესაძე, ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, 1986.

მეკუზისწვრე ანგელოზი - სახლის მფარველი სული ხევსურეთში; ცხოვრობს საცხოვრებელი ნაგებობის თავზე და სახლს ყოველგვარი ზიანისაგან (ზვავისაგან, ხანძრისაგან და სხვ.) იცავს. ხალხი ამ სულის მიმართ დიდი პატივისცემით იყო განწყობილი და მას წელიწადში ერთხელ საკლავს უკლავდა. ამ წესს სახლის სანათლავი ერქვა (იხ. „სახლის განათვლა“). მსხვერპლმეწირვის დროს ხუცესი შემდგენიარად ლოცულობდა: „ღმერთმა ადიდას შენ ძალი,

შენ სახელ-სამართალი ამ სახლის მცაო, მფარაო მეკუზისწვრე ანგელოზო. შენად სამთავროდ, შენად გასამარჯოდ მაიჭმარი ეს სამსახური სახლის სანათლავი, შენ შენდ მეხვეწურთად სამეშვლოდ, სახოიშნოდ“.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველი ხალხის რელიგიური ზნეობების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია) // მიმოხილველი. I. თბ., 1949, გვ. 124-125.

მეკენძალა (რაჭ.) - ბალახოვანი მცენარეა, ტყეში იზრდება, თეთრი ოდნავ მოყვითალო პატარა ყვავილები აქვს. მხლად იყენებენ (იხ. ქეგლ, მაყ., ძოწ.).

მეკვირტია (რაჭ.) - მოზრდილი წითელგულა ჩიტია. ადრე გაზაფხულზე მოფრინდება და ხეხილის კვირტს ჭამს (იხ. ძოწ., გაჩ.).

მეკრენჩხი - წითელყურძნიანი სუფრის ვაზის ჯიში იყო. წარსულში „მაკურენჩხის“ სახელწოდებით, მეკრემჩხი გურიამიც კარგად იყო ცნობილი, რომელიც მალღარების სახით, გურია-აჭარის რაიონების მთისპირა სოფლებში ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ყურძენს, ძირითადად, საჭმელად იყენებდნენ, რისთვისაც, ხშირად შემოდგომა-ზამთრის განმავლობაში ვაზეზე ტოვებდნენ და საჭიროების მიხედვით კრეფდნენ. მისგან ღვინოსაც ამხადებდნენ, მაგრამ ხანგრძლივად არ ინახებოდა და გურია-აჭარაში გავრცელებულ ვაზის უფრო საინტერესო საღვინე ჯიშებს - ჩხავერს, ჯანს, მტევანდიდს, ბრილას, ხოფათურს ხარისხითაც ჩამოუვარდებოდა.

ლიტ.: თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1950:224; მ. რამიშვილი, გურიის, სამეგრელოსა და აჭარის ვაზის ჯიშები, თბ., 1948.

მელანი - უძველესი საწერი საშუალება. ერთგვარი სითხე, რომელიც მზადდებოდა სხვადასხვა ტიპის ორგანული და არაორგანული ნივთიერებებისაგან. ადამიანები ფლობდნენ მელნის დამზადების სხვადასხვა ხერხს. მელანს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხელნაწერთა დაცვა-შენარჩუნებისათვის, ამიტომ ცდილობდნენ დაემზადებინათ ისეთი მელანი, რომელიც კარგად გაუძლებდა დროსაც და ბუნებრივ პირობებსაც. ქართული ხელნაწერები ძირითადად შესრულებულია შავი და წითელი მელნით, რომლის მიღების რეცეპტები იმდენად ყოფილა დახვეწილი და გამძლე, რომ უმეტესობა ამ ნაწერებისა დღესაც კარგად იკითხება. ისიცაა, რომ უხარისხო მელნის გამო ზოგიერთი ხელნაწერი აღარ იკითხება და ბევრი ძვირფასი ცნობა სამუდამოდაა დაკარგული. საგულისხმოა, რომ მცხეთაში აღმოჩენილ იქნა ელინისტური ხანის სამელნე და საწერკალმები, რაც იბერიის სამწერლობო საქმიანობის უეჭველ დადასტურებას წარმოადგენს.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

მელული (რაჭ.) - ხის კბილებიანი ნიჩაბი (ჩვეულებრივ 4-6 კბილი აქვს), ხმარობენ ყურძნის წურვისას (მღრ. ბერ.; საბა, ჩუბ., ქეგლ: მერული).

მელომე - „ბედნიერი სვანეთის ერთობილი ხევის“ უფროსი, რომელიც, XIV საუკუნის ქართული ისტორიული საბუთების ცნობებით, იმავდროულად სვანური ტრადიციული დროშის - „ლომის“ (იხ. „ლემ“) - გამგებელი, ანუ მელომე, ე. ი. მედრომეც იყო. მელომეს არჩევითი თანამდებობა ეკავა. რამდენადაც მელომე სეტის წმ. გიორგსა და უშგულიდან ლალვერამდე გა-

ნვრცობილ მთელ „... ერთობილი ხევის“ იშვილებდა, იგი ამ უკანასკნელის მამად (მახვმად) ითვლებოდა, ხევის მოსახლეობის მფარველობაში იმყოფებოდა და ბეგარა-ყალანისაგან თავისუფლდებოდა. საჭიროების ჟამს მელომე იწვევდა „ბედნიერი სვანეთის ერთობილი ხევის“ სამხედრო შენაერთებს, რომლებსაც, როგორც მედრომე, ლაშქრობაში დროშა „ლემით“ წინამძღოლობდა.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარჭმუნობის ისტორიიდან. დროშა „ლემ“, მგელი-ძაღლი // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XII-XIII. თბ., 1963, გვ. 142-143; თავისუფალი სვანი. სვანეთის ადათობრივი სამართალი // ივერია. 1886, № 4; პ. ინგოროყვა. სვანეთის ისტორიული ძეგლები. გამ. II. ტექსტები. თბ., 1941, გვ. 6-7.

მელყვიტაი - იხ. „ბულაჯაყი“.

მემარნე - მარნის გამგე, ღვინის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი.

მემარცვლენი - ავსულები, სათემო ჯვარის თანამემწენი ხევსურულ მითოლოგიაში. მათ მოვალეობაში შედიოდა მეთემეთათვის თვალყური დევნება მაშინ, როცა ისინი ჯვარის მიდვრის სამუშაოებს ასრულებდნენ და ჯვარის ქონების მიმართ მეთემეთა კარგი თუ ავი დამოპკიდებულების შესახებ ეცნობებინათ ჯვარისათვის, რომელიც დამნაშავეებს სხვადასხვა უბედურებით სჯიდა.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ხევსურული თემის მმართველობის სისტემა // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. XIII, № 10. თბ., 1952, გვ. 628-629;

მემთუერი (რაჭ.) - მთაში სამუშაოდ (შეშის ან ხის მასალის დასამზადებლად) წასული კაცი.

მემთვარია (რაჭ.) - სამთვარიოთი დაავადებული, - მთვარეული. რავა მემთვარიასავით ღვიარები?

მემხლიანობა -- შუამთობის ღღესასწაული. მემხლიანობა მესაქონლე-მიწათმოქმედთა უძველესი ხალხური ღღესასწაულის, შუამთობის ძველი სახელწოდება იყო, რომელიც ზემო აჭარაში ალპურ საძოვრებზე მესაქონლეების ყოფნის შუა პერიოდში ტარდებოდა. როცა ბარში შედარებით მოიცილიდნენ, სამუშაოებს მოათავებდნენ, მაშინ ქალი და კაცი გუნდ-გუნდად მთებში, აგარაკებზე სამემხლიანოდ მიემგზავრებოდნენ, თან დამკვრელები, მოცეკვავეები და მომღერლები მიყავდათ. მემხლიანობა (მენხლიანობა) დაახლოებით 1-20 აგვისტომდე გრძელდებოდა. სამემხლიანოდ მთაში ასული ხალხი მაღალ გორაზე გროვდებოდა, კოცონებს ანთებდნენ, მთვარის ქვეშ გათენებამდე ცეკვავდნენ, მღეროდნენ, უკრავდნენ და სხვადასხვა თამაშს აწყობდნენ. შემდეგ ცხვარსა და დეკაულს დაკლავდნენ და ნათესავ-მეგობრებს დაიწვევდნენ.

ლიტ.: ჯ. ნოღაიდელი, აჭარული კილოს სალექსიკონო მასალები, XX საუკუნის 30-იანი წლები, 2015.

მენელსაცხებლე - ნელსურნელოვანი, კოსმეტიკური ნივთიერებების დამამზადებელი ძველ საქართველოში. ერთ-ერთი უძველესი ხელობა იყო როგორც ქრისტიანთა, ასევე მუსულმანთა შორის. ძველად ამ დარგს „ხელოვნება ნელსაცხებლისა“ ეწოდებოდა.

მენაპირე -- ნადის დროს ყანის გაუთონნავი ნაწილის მხარეს მომუშავე.

თოხნასა და მკაში ნაპირის - სვის დამწყები, სვის განმსაზღვრელი, მეთაური, რომელსაც დანარჩენები მისდევდნენ. მასზე შრომის ნაყოფიერება დიდად იყო დამოკიდებული. იგი ნაპირს შეკრავდა და მომუშავეებს ააჩქარებდა.

ლიტ.: ჯ. ნოღაიდელი, აჭარული კილოს სალექსიკონო მასალები, XX საუკუნის 30-იანი წლები, 2015; შ. ნიჟარაძე, ქართული რნის აჭარული დიალექტი, 1971:250.

მენახევრე (რაჭ.) - ღვინის საწყაო. თიხის ჩაფი დაახლოებით 1 ფუთის ტევადობისა. ორი მენახევრე ერთი კასრია (იხ. ფრ., 183, ალავ.).

მენახირე - პირუტყვის მომვლელი, რომელიც სოფლის ნახირს უვლიდა, აძოვებდა. მენახირე რვა თვის (მარტიდან გიორგობის თვემდე) განმავლობაში უვლიდა საქონელს. ოჯახი სანახიროს უხდიდა მეწველზე ნახევარ კოდ წმინდას (ხორბალი), ხბოსა და სახარე პირუტყვზე სამ ჩანახ ქერს. იყო სხვადასხვა სახის საპატივცემლო ძღვენიც.

ლიტ.: მ. მაკალათია, მეცხოველეობა, მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1975:59.

მენახშირე - პირი, რომელიც ნახშირს გამოწვავდა და დაჰქონდა გასაყიდად როგორც სამჭედლო საქმიანობისათვის, ასევე გასათბობად.

მენექსილა (ლაზ.) - ე. ჩელების მიერ აღწერილი ლაზური ხომალდი: „...ლაზური მენექსილა ხომალდები შენდება სამი მსხვილი ალვის ხისაგან, რომლებიც მდინარე ჭოროხის ნაპირებზე ხარობენ. ერთი ფიცარი ქვემოდანაა გობივით, თითოც გვერდებზეა, მაგრამ ძალზე დიდი

ფიცრებია. ხომალდების გვერდებზე ორი კაცის სიმსხო ლერწმისა და ჭილის წნულია შემოკრული. ამიტომ არის, რომ ზღვის ქარიშხალი ხომალდში ვერ ატანს და შავი ზღვის ქარიშხალში კორპეზით დაცურავენ. გობის მოყვანილობის საუცხოო ნავებია, რომელთაც თავი და ბოლო არ ატყვია. ამ მხარეში მათ სახელად მენექსილას უწოდებენ...“.

ლიტ.: ევლია ჩელების “მოგზაურობის წიგნი” - ნაკვ. I - ქართული თარგმანი - თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთუ-რიძემ - უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ - წიგნი XXVIII - თბილისი - 1971. გვ. 49.

მერეტაფა (რაჭ.) - წბერის (იხ.) ნაწილია (იხ. ბერ., ფრ., ქველ).

მერუე - ოჯახში სარწყავი არხებისა და ჭალების მოვლა-პატრონობისთვის სპეციალურად გამოყოფილი პირი. მერუეს სოფელი ირჩევდა. ზოგჯერ სოფელს რამდენიმე მერუე ჰყავდა. საერთო არხებიდან წყლის გამოყენების რიგს სოფელი აწესებდა და იცავდა. ე. ი. სპეციალური მერუების ინსტიტუტი არ არსებობდა. სადაო საკითხებს მორწყვაში სოფლის უფროსი (მამასახლისი), ან გამოცდილი პიროვნება აწესრიგებდა.

ლიტ.: შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, 1971:252; ნ. აბესაძე, სარწყავი და ურწყავი მიწათმოქმედება, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, თბ., 1980:31-36.

მერხი / მეხი - სამამაკაცო საჯდომი გრძელი სკამი საქართველოს მთიანეთში. გვხვდება მკლავიანი, უზურგო, ზურგიან გვერდებიანი. ჰქონდა ძლიერი მუხის დი-

რეები, რომლებიც ფეხის ბუდეებში მაგრდებოდა. მათი ოთხივე ფეხის მრგვალ თავებზე მზის სიმბოლო - ბორჯდალა იყო ამოკვეთილი. სოციალური თვალსაზრისით, მერხი მამაკაცების დასაჯდომს წარმოადგენდა. იდგა კერის მარჯვენა - საკაცო მხარეს საუფროსო სავარძლის შემდეგ. კერის მარცხენა მხარე საქალოდ იყო წოდებული. ქალებს საკაცო სკამზე დაჯდომა ეკრძალებოდა. ისინი ისხდნენ დაბალ სამფეხა „კერის სკამებზე“, ბალიშებზე - „ქუნთებზე“ (ხევი) ან დაბალფეხიან გრძელ უზურგო სკამებზე. კერასთან საკაცო და საქალო ადგილების გამოყოფა მკაცრად იყო დაცული ჭამის დროსაც კი. მამაკაცები შემოუსხდებოდნენ მათ წინ დადგმულ ტაბლებს, დედაკაცები თავიანთ დაბალ მაგიდასთან შეექცეოდნენ საჭმელს. ზურგიან-გვერდებიან სკამებიდან ყურადღებას იქცევს სვანური „ლერგიმ“-საკაცო სკამი, რომელიც ამ ტიპის სასხდომების განვითარებული სახეობაა. მასზე ამოკვეთილ ორნამენტებს შორის კომპოზიციური ადგილი ბორჯდალას უჭირავს. როგორც აპოთროპეულ ნიშანს, მას ვხვდებით ავეჯის ყველა სახეობაზე. დიდი იყო ლერგიმის როლი რიტუალებშიც. ბოლო დრომდე „მესარობის“ (ხორციელის შაბათი) დღესასწაულზე სრულდებოდა მესაწირავი ზვარაკის (ღორის) დაკვლა მაჩუბში - საცხოვრებელში მდგარ მერხზე. სისხლი მერხქვეშ შედგმულ ბაკანში (ჯამში) გროვდებოდა. სისხლის დანახვა უცხოთათვის იკრძალებოდა. მსგავს მინიშნებასთან გვაქვს ადგილი ხევსურეთშიც, მართალია, აქ საკლავს სკამზე არ კლავდნენ, მაგრამ მერხისთვის სისხლის ჰკურება სავალდებულო იყო. ლიტ.: ვ. ბარდაველიძე, ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან, მიმომხილველი I, 1949. ი. სურგულაძე; ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, 1986. ლ. ბედუკიძე, ხალხური ავეჯი აღმ. საქართველოს მთიანეთში, 1973.

მესაქონლეობა -- აჭარაში როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონლის მოშენებას მისდევდნენ. მთის მესაქონლეობაში წამყვანი ადგილი ადგილობრივი ჯიშის პატარა ტანადობის მსხვილფეხა მესაქონლეობას ეჭირა, რომელიც აქაურ პირობებს კარგად იყო შეგუებული და წველადობაც მაღალი ჰქონდა. მსხვილფეხა საქონლის შემდეგ მნიშვნელოვანი ადგილი ცხენის, თხისა და ცხვრის მოშენებას ეკავა, რომელთა მამულები ხეობების მიხედვით განსხვავებული იყო. წვრილფეხიდან უპირატესობა ცხვრის მოშენებას ენიჭებოდა. ცხვრის შენახვა ზამთრობით უფრო ადვილი იყო, ვიდრე თხისა. უთხოდ ყოფნა შეიძლებოდა, უცხვროდ კი - არა, ვინაიდან ცხვარი არა მარტო ხორცისა და რძის პროდუქტებს იძლეოდა, არამედ მატყლსაც. მატყლი კი ის ნედლეული იყო, რომელიც სელ-კანაფთან ერთად წარსულში მოსახლეობის ადგილობრივი ნაწარმის ტანსაცმლით: ჩოხა-შალითა და წინდით უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

საქართველოში მეცხვარეობა ყველგან იყო განვითარებული, მეთხეობა - სამეგრელოში, მეკამეჩეობა - ბარის ადგილებში, მსხვილფეხა მესაქონლეობა - ბარშიც და მთაშიც, ზოგან დაწინაურებულად, ზოგან მიწათმოქმედებასთან სიმბიოზში. მეღორეობის განვითარება რელიგიურ შეხედულებებს ექვემდებარებოდა. მეფრინველეობა ყველგან იყო გავრცელებული; მეფუტკრეობა - ბუნებრივი პირობების შესაბამისად. საქართველო მესაქონლეობის ჩასახვის ერთ-ერთ კერად არის აღიარებული, რაც უკანასკნელი ხანის არქეოლოგიურმა მონაპოვრებმაც დაადასტურა. ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებში (შულავერის გორა, იმირის გორა, ხრამის დიდი გორა, არუხლო) მიკვლეულია უძველეს მიწათმოქმედ-მესაქონლეთა კომპლექსები, სადაც გა-

რკვეულად ჩანს მწარმოებლური მეურნეობის ხასიათი და შინაური საქონლის ნაშთები. ადრებრინჯაოს პერიოდიდან უკვე საქმე გვაქვს შინაური ცხოველის ყველა სახეობასთან (თხა, ცხვარი, ძროხა და ღორი). ნიშანდობლივია, რომ საქართველოში არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ძვ. წ. IV საუკუნის ათასწლეულით დათარიღებული თიხის სადღვებელი, დღესაც იმავე ფორმით განაგრძობს არსებობას აღმოსავლეთ საქართველოს ბარში - ქართლ-კახეთში, რაც მოსახლეობის ბინადარი წესის უტყუარი მატერიალური ნიშანია. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოში აღმოცენდა და ჩამოყალიბდა ბარული და მთური მესაქონლეობის, მთა-ბარულის - ტრანსჰუმანსესა და მომთაბარეობის ყველა ის ფორმა და ქვესახე, რომელიც დამახასიათებელია არა საერთოდ კავკასიის, არამედ, ზოგადად, მსოფლიოს სხვა მთიანი ქვეყნებისათვის. ამ შედეგის მიღებაში, უძველესი სამეურნეო კალენდარი დაეხმარა, რომელიც მზისა და მთვარის მოძრაობის ციკლზეა დამყარებული. მესაქონლეობასთან დაკავშირებულ დღეობათაგან აღსანიშნავია „ამაღლება.“ ამ დღეს მოწველილი რძე ან მისგან დამზადებული ყველი მთლიანად უნდა „გაეხარჯათ“ - ყველი დღეობაში მიჰქონდათ და იქ ხალხს უმასპინძლებოდნენ. ამაღლებიდან საქონელი საზაფხულო საძოვრებზე გადაჰყავდათ და საქონლის ცალ-ცალკე გაერთიანებებში ხდებოდა საძოვრების განაწილება. მეწველი საქონლის გამრავლებისა და რძის პროდუქტების სიუხვისაკენ იყო მიმართული არაერთი მაგიურ-რიტუალური ქმედებები.

მესაქონლეობის დიდ ტრადიციას ხაზს უსვამს ისიც, რომ საქონელი ქალს მზითევში მიჰყვებოდა; მოქმედებდა ხალხურ სამართალში; ის იყო სისხლის ანაზღაურების საშუალება; საქართველოს

კუთხეებთან, აგრეთვე, ჩრდილო კავკასიელებთან ურთიერთობის დასამყარებელი და მომწესრიგებელი საშუალება და სხვა.

ლიტ.: ვ. შამილაძე, მესაქონლეობა, წიგ. ქართველები, თბ., 2018:283-289; ვ. შამილაძე, მესაქონლეობასთან დაკავშირებული სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში, აჭარის სოფელი, თბ., 1969; მ. მაკალათია, მეცხოველეობა, მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1975:68; ბ. გამყრელიძე, ხევსურთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები, თბ., 1989:62; ქართული მეტერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

მესმინაე - ავსულთა საუბრის მიმყრადებელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში. ხევსურეთში კუდიანთა ღამეს (იხ. „კუდიანთ წუხრა“) რამდენიმე უიარაღო კაცი („კუდიანებ იარაღიან ხალხს არ მიუდგებიან ახლოს“) სოფლის მოშორებით, მყუდრო ადგილზე, უხმაუროდ დაჯდებოდა და ავსულთა მოსვლას დაელოდებოდა; მოვიდოდნენ კუდიანები, გაშლიდნენ ტილს, გირწყილს; თუ მესმინაეები გაჩქამდებოდნენ, დაწყევლიდნენ, თუ არა - დაიწყებდნენ სოფლის მოსახლეთა ბედ-იღბლის მოყოლას: „ეს ამაშინ მაკვდებისავ, აისივ წყლით მაკვდებისავ, ისივ ქვითავ, ისივ ზვავითავ“; წასვლისას მესმინაეთა სახელებსაც ახსენებდნენ: „ესენივ ამ სიკვდილით დაიჭოცებიანავ“.

თუშები კდინის კვირას - ავსულთა გააქტიურობის კვირას (იხ. „კდინი“) - „სმინაობის კვირასაც“ ეძახდნენ. ამ კვირის ან მომდევნო ხორცის კვირის რომელიმე დღის საღამო ჟამს სოფლის გოგობიჭები (და-ძმებში კენტ რიგში დაბადებულები) რომელიმე ოჯახში შეიყრებოდნენ,

ემმაკთა სახელებს (შუშანქალი, აშურა, ჰაგუნდა, ჩეფშიტა, ზერება და სხვ.) დაირქმევდნენ, სახლიდან უკუღმა გავიდოდნენ და სოფლის განაპირას სადმე მომყუდროებულში „სმინაობად დასხდებოდნენ“; აყურადებდნენ სოფლიდან გამომავალ ხმებს: თუ ვისიმე სახლიდან ღხინის ხმა მოისმოდა, იქ იმ წელიწადს ქორწილი იყო მოსალოდნელი; აკვნის ხმას თუ გაიგონებდნენ, ბავშვი უნდა დაბადებულიყო; თუ ვისიმე სახლთან თოფი გავარდებოდა, ოჯახს უბედურება დაატყდებოდა; თუ რიჭით მარცვლეულის რჩევის ხმას გაიგონებდნენ, ოჯახში ვინმე მოკვდებოდა. ცუდის მომასწავებლად მიიჩნეოდა კედლის ან რაიმე ნაგებობის დაქცევის ხმა; კვნესის ხმა მოსალოდნელ მძიმე ავადმყოფობას ნიშნავდა. შინმობრუნებულები, როცა ამ ამბებს თავისიანებს მოუყვებოდნენ, ყველა შიშის კანკალით მოელოდა მეზობლის უბედურებას.

ლიტ.: ბ. გაბუური. ჰევსურული მასალები // ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული. I-II. თბ., 1923-1924, გვ. 150; მ. ბალიაური, ნ. მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფისათვის. III. თბ., 1940, გვ. 52-53; გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 72-73;

მესპილენძეობა - მესპილენძეობას საქართველოში ღრმა და თვითმყოფადი ტრადიციები გააჩნია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველი ტომები ლითონის დამუშავებით უძველესი დროიდანვე იყვნენ ცნობილი. მოსინიკური სპილენძი, ხალიბური რკინა და სვანური ოქრო ცნობილი ყოფილა მათი მოპოვებისა და დამუშავების ადგილებიდან გაცილებით შორს. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი ტომები მოიპოვებდნენ და აღნობდნენ ლითონ-

ნებს, კარგად იცნობდნენ სპილენძის მადანს. გადასადნობად გამოიყენებოდა სულფიდური მადანი. მოგვიანებით, გასაუმჯობესებლად იყენებდნენ სხვადასხვა ქიმიური შედგენილობის (თუთია, დარიშხანი და სხვა) მინარევეებს. სპილენძის მოპოვება-დამუშავებას ხელს უწყობდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მდიდარი საბადოები, რომელთა შორის აღსანიშნავია ჭოროხის ხეობა დასავლეთ საქართველოში და ალავერდის საბადო - აღმოსავლეთ საქართველოში. სპილენძი და ბრინჯაო გამოიყენებოდა საბრძოლო, სანადირო და სამეურნეო იარაღების დასამზადებლად, იხმარებოდა აგრეთვე სამკაულებისა და საკულტო ნივთების გასაკეთებლად. სპილენძისგან ამზადებდნენ საოჯახო ჭურჭელსაც. დღეისათვის ქართულ ხალხურ მეტალურგიაში სულფიდური მადნიდან სპილენძს არავინ ადნობს. ხდება სპილენძის ჯართის გამოდნობა, რაც გულისხმობს სპილენძის ძველი, ხმარებიდან გამოსული ჭურჭლის ხელმეორედ გამოდნობას.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

მესტი - მამაკაცის ფეხსაცმელი. იგი ცხვრის თხელი ტყავისაგან იკერებოდა და უძირო, დაბალყელიანი იყო, რომლის ყელის მიკერება შეიძლებოდა საცვეთზე. იხ. საცვეთი. მესტი თხელი მეშისაგან იკერებოდა, წინდისებურად იცვამდნენ შიშველ ფეხზე, ყელით საცვეთის შიგნით. მესტი კოჭებამდე იყო. აჭარლები ჯერ წინდას იცვამდნენ, შემდეგ მესტს, მესტზე - ჩუსტს (ჩაფულიას) და მერე - საცვეთს.

ლიტ.: მასალები..., 1983:249, 254, 264.

მესულთანე / მესულეთე / სულთანა - „სულის მკითხავი“, მიცვალებულის სულის

რჩეული, ცოცხლებსა და მიცვალებულის სულებს შორის შუამავალი, მათ ნაცვლად მოლაპარაკე, სამზეოში ცოცხალი ნათესავისათვის სულის სურვილების განმცხადებელი, ოჯახისა თუ სოფლის მოსალოდნელი უბედურების თავიდან აცილებისათვის საჭირო რჩევების მიმცემი პიროვნება, რომელშიც მესულთანეობის პროცესში მიცვალებულის სული ისადგურებდა.

თუმ-ფშავ-ხევსურთა რწმენის თანახმად, მიცვალებულები თვალყურს ადევნებდნენ თავიანთ ცოცხალ ნათესავებს, შეეძლოთ დახმარება, ოჯახის კეთილდღეობისათვის მხარდაჭერა. სულების გულის მოსაგებად ადამიანებს საჭიროდ მიაჩნდათ მათი სურვილების გაგება და დაკმაყოფილება, რასაც მესულთანის საშუალებით „ახერხებდნენ“. მესულთანე, როგორც წესი, გაბედული, ჭკვიანი, მჭევრმეტყველი ქალი უნდა ყოფილიყო. ხევსურეთში მესულთანეობას 8-9 წლის ასაკიდან იწყებდნენ, ხოლო თუშეთში სულთანად 18-20 წლისანი ხდებოდნენ. მესულეთედ გახდომის სიმპტომები ნერვიული ხასიათის დაავადებაში იჩენდა თავს. თუშური მონაცემით, მომავალ სულთანას გარკვეული ხანიდან ხასიათი ეცვლებოდა, დანადგლიანდებოდა, ავადობდა - თავს იტკიებდა, მაგრამ ცდილობდა, ეს არ გაემჟღავნებინა, ხალხს ერიდებოდა, ხოლო „როცა მოხნიანდებოდა, ძალიან ავად გახდებოდა. არავის არ ხვდებოდა, თავის სახლში არავის არ მოიყვანდა, სახლის კარებს მოხურავდა, დაწვებოდა. გამეშვებული იწვა, თვალეები დახუჭული ჰქონდა, დაძინებულებით იყო. მერე კი ლაპარაკს დაიწყებდა. სულში უფრო დამე მიდიოდა. ხალხი იტყოდა: ეს დედაკაცი სულში მიდისო. სულთანა მკვდრის ხმაზე ლაპარაკობდა. სულში ვინც მიდიან, იმათ ესმით სულის ლაპარაკი. ჩვენ თუ სიზმარში ვნახავთ, არ გველაპარაკებიან“ (თუში მთხრობელი).

სულთანობა დღისითაც შეიძლებოდა და ღამითაც, მაგრამ იგი უფრო ხშირად მიცვალებულთა ტალავართაზე (ტანსაცმელზე) ტირილის დროს ხდებოდა. ზოგჯერ ხმით მოტირალი და მესულთანე ერთი და იგივე პირი იყო. ასეთ შემთხვევაში იგი ჯერ იტირებდა, შემდეგ კი სულთანობას იწყებდა. სულთანობისას ხმით მოტირალი მიცვალებულის ენით ლაპარაკობდა. შეიძლებოდა, ხმით მოტირალი მესულთანე არ ყოფილიყო, მაგრამ ტირილის დროს „სული აჰყოლოდა“ და ესულეთა.

გარდა სულეთობისა, მესულთანე დიდ როლს თამაშობდა „სულის სახელის“ დარქმევაში. როგორც ცნობილია, სულის სახელი ბავშვს მიცვალებულთა სურვილით ერქმეოდა, ხოლო მათი სულების ნება-სურვილის განმცხადებლად სააქაოში მესულთანე იყო. მესულთანეს მიმართავდნენ მაშინაც, როდესაც ოჯახში მძიმე ავადმყოფი ყავდათ. ასეთ შემთხვევაში ჯერ ხატის მკითხავთან - ქადაგთან - მივიდოდნენ. იგი მიუთითებდა ავადმყოფობის მიზეზზე, კერძოდ, რომელიმე განაწყენებულ ჯვარს დაასახელებდა და მთხოვნელს ღვთისშვილის გულიმოსაგებად კურატის (მოზვერის) შეწირვას ურჩევდა. მაგრამ თუ ქადაგს ჯვარნი არ მოუვიდოდნენ, ავადმყოფის ახლობლები მესულთანეს მიმართავდნენ.

მესულთანეს გარკვეული ვალდებულებები ეკისრებოდა: ეკრძალებოდა ნივრის ჭამა, რადგან ასეთ შემთხვევაში „სულნი არ მოუვიდოდნენ“; წელიწადში ხატის კარზე ორ-სამჯერ (ხევსურეთი) ან ერთხელ მაინც (თუშეთი) საკლავი უნდა დაეკლა. რამდენადაც მესულთანესთან მისულ ჭირისპატრონებს თან ხმიადები, ყველი, სანთელი და ფული მიჰქონდათ, მათ გარკვეული შემოსავალიც გააჩნდათ.

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ. მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის ხეობაში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. თბ., 1940, გვ. 41-42; ვ. ბარდაველიძე. მრავალსულიანობის კონცეფცია // მიმომხილველი. I. თბ., 1949, გვ. 149, 154; დ. გიორგაძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთელთა წარმართული რელიგიური რწმენის ერთი საკითხის შესახებ (მესულთანეობა) // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. VIII. თბ., 1975, გვ. 175-184; დ. გიორგაძე. მიცვალებულის კულტის მსახური - მესულთანე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XI. თბ., 1978; თ. ოჩიაური. მთიბლურთა და ხმით ნატირალთა ურთიერთობის საკითხისათვის // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XV. Tb., 1960, გვ. 175-176; ნ. ხიზანიშვილი. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1940, გვ. 28-29; В. А. Гурко-Кряжин. Хевсурь. М., 1928 с. 29-30; Р. Эристави. О тушино-пшаво-хевсурском округе // ЗКОРГО, Т. III, გვ. 104.

მესხნი (ჩად. თუშ.) - ციური ავსულები თუშურ მითოლოგიაში; თავს ესხმიან მთვარეს და მის დაბნელებას ცდილობენ; მესხდავეული მთვარე წითელი ფერის ხდება და მუქდება. თუშების რწმენით, მთვარის დაბნელება მოსავლის გაღარიბებას, საქონლისა და ადამიანის ზიანს იწვევს. მნათობის განთავისუფლების მიზნით, ხალხი ცისკენ თოფებს ისვრის და დემონს უყვირის.

მეტიურა - ქართული ცულის ორიგინალური სახეობა, შედგება ორი მთავარი ნაწილისაგან: ყუა და ტანი. მეტიურას

ტანი სწორია, შუბლი ოდნავ გამოწეული, „ნიღრი“ დაქანებული, ყუის ბუდეში ხის ტარი ზის. გამოიყენებოდა ძირითადად ხის მოსაჭრელად და სატივე ხეების დასამუშავებლად („ნაცხვირის“ ამოსაღებად). მეტიურა თავისი ფორმით, ტანის მოყვანილობითა და ფუნქციით განათხარ ბრინჯაოს ცულებს ე.წ. „კოლხურ ცულებს“ უახლოვდება. მეტიურა და მისი მსგავსი ცულები - „ჩენგი“ და „კოდორა“ უმთავრესად წიწვოვანი ტყით მდიდარ რეგიონებშია გავრცელებული. ლიტ.: გ. გასიტაშვილი, ხითხურობა აღმოსავლეთ საქართველოში, 1982.

მეუფჯლიმ / მოთნაფ - სვანური ლასკარის მორიგე მასპინძელი უფლიშიერის ანუ ხომა თანაფის დღეობაზე (იხ. „ლასკჯრ“).

მეილიკენი - ავსული პროვოკატორები, სათემო ჯვარის თანამემწენი ხევსურულ მითოლოგიაში. ხევსურთა რწმენის თანახმად, სათემო დღეობებისა და, ზოგადად, თემის თავყრილობების დროს მეილიკენი ცალკეულ მეთემეებს ხასიათს უცვლიდნენ, სიმთვრალისა და ყოველგვარი უწყესო, გასაკიცხი საუბრისა და საქციელის „ინაბარს ჩაუღებდნენ“ და ამის შემდგომ მათ შესახებ სათემო ჯვარს აცნობებდნენ.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ხევსურული თემის მმართველობის სისტემა // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. XIII, № 10. თბ., 1952, გვ. 629;

მეყურიადენი - ავსულები, სათემო ჯვარის (იხ.) ჯამუშები, ჯვარის თანამემწენი ხევსურულ მითოლოგიაში. ხევსურთა რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ისინი სოფელს ყოველ საღამოს ევლინებოდნენ, შედიოდნენ სახლებში, მალვით ყურს უგდებდნენ და უთვალთვალებდნენ მეთემეებს და ჯვარის მიმართ მათი „შეუ-

ფერებელი“ საქციელისა და საუბრის შესახებ ჯვარს მოახსენებდნენ. მეყურიადეთა ყოველდღიური ანგარიშის საფუძველზე, ჯვარი ურჩ ყმებს სასტიკად სჯიდა.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ხევსურული თემის მმართველობის სისტემა // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. XIII, № 10. თბ., 1952, გვ. 629;

მეში (მოხ.) / კალთა (ფშ. ხევს.) - უზანგის ზემოთ მოთავსებული ოთხკუთხედი ტყავი, რომელიც იცავდა მხედრის ფეხს ცხენის ოფლისა და ბალნისაგან.

მეწლეური (რაჭ.) - ხეხილი, რომელიც წელიწადგამომშვებით ისხამს. (იხ. ქეგლ; შდრ. ძონ., ალაზ. ქართ. დიალექტ. ლექსიკ.: მეწელიწლე).

მეხარე - მთაში არეკილი ხარების მომვლელი. მეხარის არჩევა ხდებოდა ხვნის დამთავრების შემდეგ, რომელიც მაისის ათისთვის მთავრდებოდა. მეხარეს უღელ ხარზე ერთი ან ორი ჩანახი პური ეძლეოდა. საზაფხულო საძოვარზე ხარების 2-3 თვით გარეკვა საქართველოს მთის რეგიონებში მიღებული იყო.

ლიტ.: მ. მაკალათია, მეცხოველეობა, მასალების ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1975:60.

მეხელი / მეხრეს-ი - სვანური სათემო, სასოფლო, საგვარო ან სალასკარო დღეობის მასპინძელი (შდრ. „მეზომახ“, „მოქრისდემ“, „მეუფჯლიმ / მოთნაფ“. იხ. „ლასკჯრ“).

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 77-78, 123, 143, 175, 181.

მეჯალაფენი - ავსულები ხევსურთა რწმენა-წარმოდგენების მიხედვით; ჩნდებიან კლდის ძირში ან წყლისპირზე და ერჩიან ადამიანებსა და შინაურ საქონელს. ამიტომაც ხალხი ასეთ ადგილებში სიარულს განსაკუთრებით ღამით ერიდება. მათი რწმენით, მეჯალაფეთაგან დაწყევლილი ადამიანი დიდხანს ვერ იცოცხლებს.

ლიტ.: ბ. გაბუური. ჰევსურული მასალები // ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული. I-II. თბ., 1923-1924, გვ. 151-152.

მზითვის ყმა (ქიზ.) - პატარძლის ძმა, მზითვის ნაცვლად გაყოლებული. თუ პატარძალს მზითვის წიგნში ჩამოწერილ მზითევს ვერ აუთავებდნენ, ნეფის მხარე სანუეფოდ (სანაცვლოდ) მოითხოვდა დედოფლისთვის ძმის გამოყოლებას, რომელსაც თავის მეურნეობაში ამუშავებდა უჯამაგიროდ, მხოლოდ აჭმევდა და ასმევდა, ქალამანსაც კი არ ჩააცმევდა. ყმობის ვადა დამოკიდებული იყო დანაკლისი მზითვის ოდენობაზე (1-2-3 და მეტი წელიწადი). თუკი პატარძალი საერთოდ უმზითვო იყო, სასიძოს თავიდანვე მზითვის ყმას დაპირდებოდნენ და უსრულებდნენ კიდევ.

ლიტ.: ს. მენტემაშვილი. ქიზიური ლექსიკონი. თბ., 1943.

მზისნაქცევი ღვინო (რაჭ.) - მზისგან გამთბარ ჭურში გაფუჭებული ღვინო. (იხ. ფრ., 224).

მზოდამ კოჩი - „ზღვის კაცი“ ლაზურ მითოლოგიაში. იგი ყოველწლიურად ძვ. სტილით 24 აპრილს გამოდის ხმელეთზე და მწვანით იმოსება, ხოლო 26 ოქტომბერს ისევ ზღვაში ბრუნდება. ხმელეთზე ყოფნის პერიოდში ზღვის კაცი მხვნელ-მ-

თესველს შველის შველის, ზღვაში ყოფნისას - მეთევზე-მეზღვაურებს მფარველობს (მდრ. „მესეფი“).

ლიტ.: ზ. თანდილავა. „მომაკვავი ლაზური დღესასწაულის“ მითოლოგიური საწყისისათვის // სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება. IX. თბ., 1988, გვ. 57.

მზოდამ კულანი - „ზღვის ქალიშვილი“ - მეთევზეებისა და თევზების მფარველი სული ლაზურ მითოლოგიაში; წარმოდგენილი ჰყავთ ლამაზი ახალგაზრდა ქალის სახით, რომელსაც გრძელი და გამლილი ოქროსფერი თმები აქვს (მდრ. „ოსურ-ტოფუ“); ბინადრობს ზღვასა და მდინარეებში; მართავს წყლის მდინარეებს, თვალყურს ადევნებს თევზთა გამრავლებას; უპირატესად მთვარიან ღამეში ჩნდება, როცა ლაზი მეთევზეები სათევზაოდ ზღვაში გადიან. მეთევზეებს, რომლებიც სცოდავენ და თევზჭერას ქვირითობის დროს არ ერიდებიან, ბაღეში ახვევს და წყლის სიღრმეში ითრევს. ყოველ ასეთ შემთხვევაში კოკისპირული წვიმა იწყება და ქარიშხალიც მანამდე არ ცხრება, ვიდრე მზოდამ კულანი დამხრჩვალს მკერდიდან არ მოიშორებს და ნაპირზე არ გამორიყავს. განსაკუთრებით იმ მეთევზეებს მფარველობს, რომლებსაც „ზღვის წესი“ არასოდეს დაურღვევიათ; შველის მათ გაავებული ზღვიდან გამოსვლაში.

ლიტ.: ზ. კუტალიძე. ზღვაოსნობა საქართველოში. თბ., 1987, გვ.247.

მთვარის ფაზები -- მთვარეს ოთხი ფაზა აქვს: ჩვილი მთვარე, აღმა მთვარე, სავსე მთვარე და დაღმა მთვარე. ამ ფაზებთან აჭარის მთიანეთში დაკავშირებული იყო ამა თუ იმ სამეურნეო საქმიან-

ნობის წარმართვა, მისი, რეგლამენტაცია, აკრძალვები. არა მხოლოდ აჭარაში, არამედ ძველად, სამეგრელოში სწამდათ, რომ მთვარეზე იყო დამოკიდებული ყოველივე მათი ბედი და უბედობა. ამიტომ, დიდი გულმოდგინებით სცემდნენ პატივს ორშაბათ დღეს, მეგრ. „თუთაშხას,“ მთვარის დღეს. ამ დღეს არავითარ სამძიმო საქმეს არ დაიწყებენ, სამგზავროდ არ წავლენ, ყანებს არ დათესენ, ვაზს არ დარგავენ. არქანჯელო ლამბერტის თქმით, „ისე უქმობენ, როგორც ებრაელები შაბათს.“

ლიტ.: ჯ. ვარშალომიძე, ხეზე ორნამენტის ძირითადი მოტივები აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, VIII, თბ., 1980:72; არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, იტალიურიდან თარგმნა ალ. ჭყონიამ, თბ., 1991:133.

მთობა - მთაში საზაფხულო საძოვრებთან დაკავშირებული შრომა-საქმიანობა, ალპური მეურნეობა.

ლიტ.: შ. ნიჟარაძე, აჭარული ალპური მეურნეობა, ბათუმი, 1948.

მიდიმოდმართა (ხევს.) - ხის, ნავისებური, სახელურიანი სასმისი, რომლის სახელურს ზოგჯერ ზოომორფული დაბოლოება ჰქონდა, ამ სასმისს უფრო სარიტუალო დანიშნულებით იყენებდნენ.

მითორგინაფა („შეგორება“) - შვილის აყვანასთან დაკავშირებული მეგრული რიტუალი. ძველად სამეგრელოში, თუკი ახალრძალი არ დაფეხმძიმდებოდა, იტყოდნენ: ფუძე გამწყრალიაო (ნერჩი გოჭყორელ რე); მიაჩნდათ, რომ ოჯახში მის შემოსვლას ფუძის მფარველი „ნერჩი პატონი“ უკმაყოფილო შეხვდა. ამიტომ ოჯახის ქალები „ფუძის გამოლოცვის“ („ნერჩი გითოხვამა“) რიტუალს „სა-

მზადში“ მამაკაცთა დაუსწრებლად ასრულებდნენ. ამ დღისთვის რაიმე საგანგებო მზადება არ იცოდნენ. უშვილო ქალს დაჩოქილს კერიის გარშემო სამჯერ ისე უნდა შემოევლო, რომ წინ უფროსი დიასახლისი ანთებული სანთლით ხელში გაძლოლოდა და თან ელოცა: „ნერჩი ბატონო, ნუ გაუწყრები და წყალობას ნუ მოაკლებ უბედურს, თუ დანაშაული აქვს, შენ მიუტევე, დედა გახადე. დაილოცოს შენი სახელი“. თუ ეს ლოცვა ვერ უშველიდა, იტყოდნენ: „იქაურ ფუძეს ჰყავს შეპყრობილი“-ო (თექიან ნერჩის აფუ ჭოფილი) და ახალრძალს მამისეულ სახლში გაგზავნიდნენ, სადაც მსგავსი რიტუალი სრულდებოდა, მხოლოდ ფუძის ანგელოზს ქმრის სახლში ქალის „გაშვებას“ შეთხოვდნენ. თუ ესეც არ უშველიდა, გამოსალოცად „მოსკე-წაჩხურში“ (მარტვილის რ-ის სოფ. წაჩხურის ტავარანგელოზის ეკლესია) წაიყვანდნენ. იქედან მობრუნებული მუცელზე ბალიშს აიკრავდა და ისე დადიოდა, როგორც ფეხმძიმე. ბოლოს დაასკვნიდნენ, რომ „უსკე“ (უნაყოფო) ყოფილაო და ბავშვის აყვანას გადაწყვეტდნენ.

შეიგულებდნენ ორსულ ქალს, გამოიკითხავდნენ ოჯახისა და წინაპრების აკვარგიანობას და თუ ყველა მონაცემი დააკმაყოფილებდათ, წინასწარ შეთანხმების შემდეგ, საჩუქრებით დატვირთულები ეწვეოდნენ. ვიდრე ჩვილს წამოიყვანდნენ, სრულდებოდა რიტუალი, რომელსაც „ძუძუზე კბილის დადგმა“ (ძუძუმა კიბირიში გედგუმა) ერქვა. უშვილო ქალს ბავშვისთვის პირში ძუძუ უნდა ჩაეღო და ეთქვა: „შენ - შვილი, მე - დედა“ (სი - სკუა, მა - დიდა), რაზედაც გამშვილებელი პასუხობდა: „შენ - დედა, მე - შვილი“ (მა - დიდა, სი - სკუა). ბავშვი სახლში ერთი კვირის შემდეგ მიყავდათ. ამ ხნის განმავლობაში მომავალი დედა მუცელზე ბალიშაკრული დადიოდა. ჩვილის მოყვანის დღისთვის საგანგებოდ მოიწვევდნენ

ბებია-ქალს (დედოფანია||დედფანია) და შვილის ამყვანს „მოსალოგინებლად“ დააწვედნენ. „მშობიარე“ „კვნესის ისე, როგორც ბავშვის დაბადების დროს მელოგინენი. ბებია თავს დასტრიალებს, რჩევას აძლევს, ამშვიდებს... და ამ დროს ლოგინში შეუგორებენ ბავშვს... ბავშვის ატირების დროს ყველანი ჩქარობენ მიულოცონ დედას მშვიდობით შეძენა ვაჟისა. მშობიარე კიდეც რამდენსამე დღეს დარჩება ლოგინში. ამ შემთხვევაში საჭმელად აძლევენ საგანგებოდ მომზადებულ ტიბუს (თბილს) ანუ სახვრეპ მსუბუქ წვენს. ახალი მშობლები ნაშვილევს ისე ზრდიან, როგორც საკუთარს. მეზობლებიც ასეთადა სთვლიან“ (თ. სახოკია).

მითორგინაფას მსგავსი ჩვეულება გავრცელებული იყო საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ასე მაგალითად, გურიაში შვილის აყვანის დღეს მოიწვევდნენ ახლო ნათესავებს; მომავალი დედა ლოგინში წვებოდა, ბებია-ქალი კი აიღებდა დედის პერანგს, რომელსაც ერთი ბოლოთი მიკერებული ჰქონდა დაახლოებით 1 მ-ის სიგრძის ლენტის, რომლის მეორე ბოლოს ჩვილს წელზე შემოაკრავდა და ჭიპთან გაუნასკვავდა, შემდეგ მთლიანად პერანგში შეახვევდა და მწოლიარეს მიუწვენდა. ასე დააძინებდნენ ბავშვს. თუ იგი მალე და მშვიდად დაიძინებდა, იტყოდნენ: „მოსიყვარულე და დამჯერი ბაღანა იქნება“. მერე ბებია-ქალი ან ოთახში მყოფი ვინმე მანდილოსათაგანი გარეთ გავიდოდა და მომავალ მამასა და სტუმრებს ამცნობდა: „ბაღანამ დეიძინა“. „ახალშობილი“ როგორც კი გაიღვიძებდა და ატირდებოდა, მამასა და ოჯახის სხვა წევრებს მის გაჩენას მიულოცავდნენ. ბებია-ქალი გამოღვიძებულ ბავშვს ლენტს ჭიპთან შეაჭრიდა ისე, რომ წელზე შემოხვეული მისი ნაწილი ზედ შერჩენოდა. ლენტი ბავშვს ერთ წლამდე შემოკრული უნდა ჰქონოდა. ამის გამო, როცა უკვე გაზრდილის გამო-

ჯავრება უნდოდათ, ეტყოდნენ: „წაი, შე ზონრიანო“. პერანგს, რომელშიც ბავშვი იყო გახვეული, მიკერებულ ლენტთან ერთად, ინახავდნენ. თუ ამ წესით აყვანილი შვილი დედის სიცოცხლეშივე გარდაიცვლებოდა, პერანგს საფლავში ატანდნენ: „მისიანებში არ გადევიდეს“-ო.

საინტერესო ცნობას გვაწვდის გ. წერეთელი მოთხრობაში „მამიდა ასმათი“, რომელშიც აღწერილია უკვე ზრდასრული ადამიანის შვილად აყვანის წესი: „ერთხელ ქვრივმა შეიკერა დიდი განიერი პერანგი, რომელშიც ორი კაცი კარგად მოთავსდებოდა. დაიბარა მოძღვარი, მონიპატიჟა ოთარის ცოლი და მეზობელი, ოთარიც იქ იყო. ასმათმა უთხრა ოთარს: „მე - დედა, შენ - შვილი“. მერე გადაიცვა ტანისამოსზე დიდი პერანგი, შიგ ოთარი გააძვრინა (მდრ. ჰერას მიერ ჰერაკლეს შვილად აყვანის წესი. - ნ. ა.), შემდეგ გადმოაგდო ძუძუ და ზედ კბილი დაადგმევინა. მოძღვარმა აიაზმის წყალი უკურთხა. ამის შემდეგ ყველა დარწმუნდა, რომ ოთარი ასმათის ნამდვილი შვილობილი ყოფილა“.

უშვილო ქალის მიერ მუცელზე ბალიშის ან მუთაქის აკვრა, აგრეთვე თოჯინისა თუ მინიატურული აკვნის ტარება და მშობიარობის სიმულაცია თითქმის მთელ საქართველოში ყოფილა გავრცელებული. ინტერესმოკლებული არ იქნება აქვე გავიხსენოთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მოქმედი „საწულესა“ და „მისამბარეოს“ წესები, რომლებშიც ყურადღებას იქცევს სრულიად შიშველი ბავშვის შეგორება დროშის ქვეშ, რაც მისი შობის სიმულაციას გამოხატავდა ერთ დროს საკულტო ხის, შემდეგ ჯვარ-ხატების და მათი განმასახიერებელი დროშის მიერ. აღოპტაციის დროს შობის სიმულაცია კარგად იყო ცნობილი მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში. ჯ. ფრე-

ზერს აღწერილი აქვს ერთი მეტად საინტერესო ჩვეულება, რომლის თანახმადაც ხელახალი შობის სიმბოლური აქტი სრულდება მაშინაც, როცა ადამიანს შემთხვევით მკვდრად ჩათვლიან.

როგორც ვიცით, კაცობრიობის განვითარების არცერთ საფეხურზე დედა უცნობი არაა, ე. ი. დედა-შვილს შორის ბიო-გენეტიკური კავშირის არსებობა ეჭვს არ იწვევს, როგორც ეს მამობასთან მიმართებაშია. ერთადერთი შემთხვევა, როცა საზოგადოება დედა-შვილს შორის დამოკიდებულებაში ბიოლოგიური საწყისის ხაზგასმას ითხოვს, ადოპტაციის შემთხვევაა. ვინაიდან საზოგადოება მშობიარობის გარეშე არ ცნობს დედა-შვილობას, საჭირო ხდება სათანადო სიმბოლური აქტის შესრულება - მშობიარობის იმიტირება, რაც ხორციელდება კიდევ. სიმბოლური აქტი ნამდვილი მოლოგინების ტოლფარდად არის მიჩნეული.

ამგვარად, „მითორგინაფა“ ბიოლოგიური დედობის მასანქციონირებელი წეს-ჩვეულებაა (მდრ. კუვადა - ბიოლოგიური მამობის „დამამტკიცებელი“ რიტუალი). სიმულაციური აქტი გვიჩვენებს, რომ ბავშვი დედის ღვიძლი შვილია და მათ შორის კავშირი ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივ შემთხვევაში. შობის იმიტაციით, ე. ი. ბიოლოგიურ-გენეტიკური კავშირის ჩვენებით ქალი იმავდროულად სოციალური დედაც ხდება. ბიოლოგიური დედობა აფუძნებს სოციალურ დედობას.

ლიტ.: ნ. ანთელავა. ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამეგრელოში. თბ., 2005, გვ. 10-18; ვ. ბარდაველიძე. ხევსურული თემის სტრუქტურა და ჯვარიყმობის ინსტიტუტი // საქართველოს სსრ მენიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. XIII. თბ., 1952, გვ.; ვ. ბა-

რდაველიძე. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბ., 1953, გვ.; ვ. ბარდაველიძე. სიცოცხლისა და სიუხვის ხე ქართველთა სარწმუნოებაში // საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები. თბ., 1968, გვ. 44-65; ჟ. ერიაშვილი. „საწულესა“ და „მისამბარეს“ წესები ხევსურეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XVI-XVII. თბ., 1972, გვ.; ჟ. ერიაშვილი. „საწულე“ // მაცნე, ისტორიის სერია. № 3. თბ., 1979, გვ. ; ჟ. ერიაშვილი. ბავშვის ჯვარში||ხატში მიბარების წესი ხევსურეთში // მაცნე, ისტორიის სერია. № 2. თბ., 1981, გვ. ; მ. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. ; თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1956, გვ. 73-75; გ. წერეთელი. თხზულებანი. ტ. 1. თბ., 1947, გვ. 472.

მინდვრის ბარდა *Pisum arvense* - იხ. ხანდური, ჯავახური.

მირსობა||ნირსობა (მეგრ.) / **მოისარობა** (გურ.) || **მეისარობა** (რაჭ.-ლეჩხ.) || **მეისარიბ||მეისარობ** (სვ.) - საოჯახო ხასიათის დასავლურ-ქართული დღეობა; ეძღვნებოდა თვალის სიმრთელისათვის ლოცვას.

ლიტ.: ნ. აბაკელია. ქრისტიანული წმინდანები დასავლურ-ქართულ რწმენა-წარმოდგენებში (წმინდა გიორგი) // მაცნე. ისტორიის სერია. № 3. 1985, გვ. 151-152; ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. დამბაშიძე. ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი. თბ., გვ. 57-58; ს. მაკალათია. ჯგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში.

თბ., 1938; ა. წულაძე. ეთნოგრაფიული გურია. თბ., 1971, გვ. 113; ა. ჭანტურია. ეთნოგრაფიული ნაწერები. მეგრული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებანი // თსუ შრომები. ტ. 227. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ., 1982, გვ. 219-220; И. Кобалия. Из мифической Колхиды // СМОМПК. № 32. Тф., 1903. გვ. 97-99.

მისალოცი - ასე უწოდებენ კახეთში მთავარი საყდრის მოშორებით არსებულ სალოცავ ადგილს, სადაც შეიძლება მთავარი ხატის სახელობაზე ლოცვა.

ლიტ.: ს. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

მისამბარეო - იხ. „საწულე“.

მისკეთი - ვაზის ჯიში მაჭახლის ხეობაში.

მისკიეთა - თეთრყურძნიანი ჯიშის ყურძენი იყო და მალღარების სახით ქედის რაიონის მიდამოებში ვრცელდებოდა. ჯიში XIX საუკუნის პირველ ნახევარში თურქეთიდან უნდა იყოს გადმოტანილი. მალღარად ზრდის გამო მის მოვლას არ აწარმოებდნენ. მისკიეთა საშუალო მოსავლიანობით ხასიათდებოდა.

ლიტ.: მ. რამიშვილი, გურიის, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები, თბ., 1948.

მიმნალურა (მეგრ.) - ლეთარგიული ძილის, ან კლინიკური სიკვდილის მეგრული სახელწოდება. ხალხური გაგებით, იგი ღრობითი სიკვდილია, რომლის ღროსაც ადამიანის სული „საიქიოს“ სტუმრობს; ხვდება ნათესავებსა და ნაცნობებს, რომლებიც მიმნალურას (ღროე-

ბით გარდაცვლილს) ატყობინებენ მისი და ზოგიერთი ცოცხალი ახლობლის რეალური გარდაცვალების თარიღს, ოჯახის წევრებთან აბარებენ თავიანთ სურვილებსა და დარიგებებს. მიმნალურა ახლობლებს მოუთხრობს საიქიოში განცდილსა და ნანახზე, მაგრამ არა ყველაფერს, არამედ მხოლოდ იმას, რისი ნებაც დართეს, ან საერთოდ არაფერს. ამ აკრძალვის დარღვევა კი უცაბედ სიკვდილს იწვევს.

მიწა - 1. ნიადაგი; 2. თიხა. თიხას აჭარის კერამიკულ წარმოებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. კერამიკული ნაწარმიდან ძირითადად დერგები, დერგულაები _ პატარა დერგები, ბათმანები - დოქები, ჯამები, წყლის მილები, კეცები, აგრეთვე, სამშენებლო მასალა - ღარიანი კრამიტები, აგურები მზადდებოდა. კერამიკული ნაკეთობებიდან ღღეს შემორჩენილია კეცები, რომლის კეთებაც ძველთაგან მომდინარე ქალის საქმეს შეადგენდა.

ლიტ.: ნ. კანიძე, მაჭახლის ხეობა, 1974:55-56.

მიწა თირი - საჭურჭლე მიწის შემადგენელი ნაწილი. იგი მოთეთრო ფერის „უღალო“, „უძალო“, „ტინტლი“, წმინდა მიწაა. ხელით ადვილად ისრისება. თირი წებოვანიც არის და მშრალიც. რომელსაც წებოვნება აკლია, შლაში ეწოდება. საჭურჭლედ წებოვანი თირის ჯობს, ცოტა რაოდენობით აყალოს შერევა სჭირდება. თირი მიწისაგან განსხვავდება ხელოსნები ცალკე გამოყოფდნენ საჭურე და საკრამიტე მიწას.

მიწაფხალა (რაჭ.) - ძირხვენა მცენარეა. ფესვი იჭმება. უფრო ხშირად საქონლის საკვებად მოჰყავთ, - თალგამურა (იხ. ძოწ.: მიწიხალი, მიწისხალი, მიწიფხალი, მაც.).

მიწის გაჯერება - სამშობიარო ციკლის გურული წეს-ჩვეულება - დედა-შვილის სახელობაზე გამართული ლოცვა-რიტუალი. მშობიარობიდან რამდენიმე დღეში გამოაცხობდნენ დიდ მჭადს, შიგ ჩაურთავდნენ ნიგოზს (ბავშვი მსუქანი იქნებაო), ბროწეულს (კარგ ფერს მისცემსო), ხახვს (კარგ ხორცს მისცემსო); თუ ხსნილი იყო, ყველსაც შეაყოლებდნენ; საქონლის ხორცთან ერთად (თხისა არ შეიძლებოდა) დადებდნენ გობზე, და სამ სანთელს შემოუნთებდნენ. ბებია-ქალი ხელში დაიკავებდა სამ ცალ კაკალს, ერთ-ერთი ქალი - ბოთლით რვინოს. გობთან ახლოს დასვამდნენ დედა-შვილს და პირს აღმოსავლეთისკენ მიაბრუნებდნენ. ბებია-ქალი მათ გარშემო უვლიდა და მიწაზე კაკალს აგორებდა; მიწას რამდენიმე ადგილზე ჯვარედინად მოხაზავდა, დანის წვერით ამოჩიქნიდა ჯვრის შუაგულს, რომელშიც დამხმარე ქალი ღვინოს ჩაასხამდა, ბებია-ქალი კი შიგ ჩხოსა და მჭადის ნამცეცებს ჩაყრიდა. ასე გაიმეორებდნენ სამჯერ; შემდეგ გობსა და დედა-შვილს წინ, აღმოსავლეთისკენ წააჩოჩებდნენ. გობის შემოვლის დროს ბებია-ქალი ლოცულობდა: „ნერჩო ბედნიერო, ნერჩო მშვენიერო, ღვთისაგან ნაბრძანებო, საბედნიეროდ, საკეთილდღეოდ ლოცვა მოგვიხსენებია, მიწა გავიჯერებია (იტყოდა დედა-შვილის სახელებს) საკეთილდღეოდ, საბედნიეროდ, ჯანსაღობა მიეცი, ტანის სიმრთელე, გულის სიმხიარულე, აღმატება წაღმ ყოფნა. იხსენი ყოველგვარი ფათერაკიდან, იხსენი დაავადებისა და ავი საქმისაგან“.

ლიტ.: ა. წულაძე. ეთნოგრაფიული გურია. თბ., 1971, გვ. 111-112.

მკადრე - ჯვარის მსახური, ჯვარის მიერ „დაჭერილი“ პირი, რომელსაც ღვთიშვილი მტრედის, ჯვრისა და ცეცხლის სახით ეცხადებოდა და პირადად

ესაუბრებოდა. ჯვარის მოსვლის შემთხვევაში, იგი ხელზე გადაიფენდა საგანგებო ქსოვილს, ე. წ. „სამკადრეოს“, რომელზედაც ჯვარი დაბრძანდებოდა და თავის ნება-სურვილს შეატყობინებდა. სულგანაბული მკადრე განზე პირს მიიბრუნებდა, რათა ღვთიშვილი თავისი სუნთქვით არ შეებღალა; უსმენდა და შემდეგ ჯვარის სურვილს ქადაგობით იუწყებოდა. ჩვეულებრივი ქადაგისაგან განსხვავებით, მკადრეს ხვედრს ღვთიშვილის უშუალო ხილვა და მასთან, თითქმის, მუდმივი თანხლება წარმოადგენდა.

ლიტ.: თ. ოჩიაური. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ., 1954, გვ. 113-127.

მკვდართ წირვა//მკვდართად მაწირვა (ხევს.) - თავის გამართლების მიზნით, ქურდობაში, ენის მიტან-მოტანაში, ან სხვა დანაშაულში ეჭვიმიტანილი პირის მიერ თავისი და დაზარალებულის მიცვალებულთა სულების სალანძღავად წარმოთქმული წყევლა-ფიცი; მაგალითად: „თუ მე მამეპაროს, მაშინ ჩემის მკვდრისად იყვას ქვეყანაზე რაიმე უსურმაგ დადის, მაშინ მკვდარ ჩაციცაულ, მკვდარ ჩადალეებულ ვიყვავ. მაშინ მე მივეყუდ ჩემთ მკვდართ საიქიოს ძაღლ-ციცაით, თუ მე მაგის მამპარავ ვიყვ, თუ არადა, ვინც მე მბრალეებს იმის მკვდრისად იყვას ისე, რაიც მე ვთქვი ჩემის მკვდრისად“. მკვდართ წირვას, ანუ ერთმანეთის მიცვალებულთა სულების ლანძღვა-გინებას მოჩხუბრებიც მიმართავდნენ (მაგალითად, იტყოდნენ: „შე მკვდარ გადაძალეებულო“, „შე მკვდარ ჩაციცაულო“, „შე მიგიკლავ ვირს შენთ მიმრჩვალთ“, „ძაღლ იყვას შენის მკვდრისად“, „ძაღლ-ციცან გადაგიდნეს შენთ გულისუკეთიათ მკვდართ“, „ყველა შენის მკვდრისად იყოს, რაიც ქვეყანაზე უსურმაგ დადის“, „შენთ მკვდართ გადა-

ვასხამ დაღლის სისხლს“, „შენთ მკვდართ გადავაკლავ თავჩაღმ ცხენ-ჯორებს, დაღლ-ციცაებს“ და სხვ.). გარდა სიტყვიერი წირვისა, ხევსურებმა „დაღლ-ციცათად ცემა“ (იხ.) იცოდნენ.

თუ მოჩხუბარი მოწინააღმდეგეს იარაღით სისხლს გამოადენდა, დამჭრელი დაჭრილს თავის „მკვდართ შასწირავდა“ შემდეგი სიტყვებით: „უნცროსიმც ხარ (იტყოდა მიცვალებულის სახელს), თუ რა ჩემის ჰელისა გჭირს, - საიქიოსამც ეუნცროსები, იმის ჰელქვეითიმც ხარ: წყალსამც უზიდავ, ჯღანსამც უბანდავ, ცხენსამც უკაზმავ, იარაღთამც უწმენდ, დაღლო (სახელს ეტყოდა), არ ხარა კი ღირსი იმის უნცროსობისა, იმის ჰელქვეითიმც ხარ“. „შეწირული“ ძალიან იწყენდა და სანაცვლოდ ეუბნებოდა: „დაღლიმც ას შენის მკვდრის უნცროსი, ციცი, ცხენ-ჯორები, ქვეყანაზე რაიც უსურმაგები ას, აიძებმ გაუწივან უნცროსობაი. მე არა მეკადრების შენის მკვდრის უნცროსობა საიქიოს“. ხევსურეთში ასეთი სახის „შაწირვა“ ძალზე იშვიათად ხდებოდა, რადგან „შეწირული“ „შამწირავს“ სამუდამოდ მტრად გადაეკიდებოდა („რაჰელც ცოლის წართმევაზე, ისრ მკვდართ შაწირვაზედ მარჯვედ მადის მამკლავ-მამკვდრობა არხოტ და ჰევსურეთში“. - ბ. გაბუური).

ქალის „შაწირვა“ ან მიცვალებული ქალის სახელზე მამაკაცის „შაწირვა“ აკრძალული იყო.

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ. მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. თბ., 1940, გვ. 55-56; ბ. გაბუური. ჰევსურული მასალები // საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადული. 1923-1924, I-II, გვ. 137-138.

მკის ჯვარი - თავთავისაგან დაწნული ჯვარი, რომელსაც მკის დამთავრების შემდეგ მესვეური (მეთაური მუშა) დაწნავდა, სამკალის პატრონის სახლში მიიტანდა და გადასცემდა დიასახლისს სიტყვებით - „ეს ძველი და სხვა ახალიო, ღმერთმა კიდევ ბევრს დაგვასწროსო“. „ამინ!“ - იტყოდა დიასახლისი და გამოუტანდა მამალს. მკის ჯვარს დიასახლისი ბოძზე ან კედელზე დაკიდებდა ანდა ბეღელში ჩააგდებდა, მომავალ წელს კი ახალი მოსავლის ლეწვისას პირველ კალოში შეურევდნენ. კახეთში გავრცელებული ჩვეულების მიხედვით, „თესლის გატანის დღეს მას ფშვნიდნენ, „ღვინით აზიარებდნენ“, თესლში შეურევდნენ და იტყოდნენ - „ასე კაკალივით მარცვალი მოვიდესო“. ნაცვალგარდას (შრომითი ურთიერთდახმარება) მონაწილეები მკის დამთავრების შემდეგ აწყობდნენ საერთო სუფრას. თითოეული მონაწილე მიდიოდა მამლით, რომელსაც ის ოჯახის დიასახლისისაგან იღებდა, როცა მას მკის ჯვარს გადასცემდა. ამ მამალს ჯვარის მამალი ერქვა, ხოლო მამლის ხორციტ მოწყობილ სუფრას „ჯვარიმამლობა“.

ლიტ.: გ.ჯალაბაძე მემინდვრობის კულტურა ადმოსავლეთ საქართველოში, 1990.

მკუპრავი - ტყავის ჭურჭლის მომკუპრავი. ტყავის ჭურჭლის ფართო გამოყენების გამო საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში მკუპრავობა გავრცელებული ხელობა იყო. კუპრი საქართველოს ბევრ რაიონში მოიპოვებოდა. კუპრის დამუშავება შემდეგნაირად ხდებოდა: კუპრს ადულებდნენ სპილენძის ქვაბში მეხუთედის დარჩენამდე. მისი ხარისხი დამოკიდებული იყო დულების ხანგრძლივობაზე, რაც მეტად ადულებდნენ, კუპრი უკეთესი გამოდიოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ღვინის ჭურჭლის დაშაბვა

და მოკუპვრა, რათა დიდხანს გაეძლო და ღვინოს სუნი არ მისცემოდა. გამზადებულ კუპრს ტყავზე ჩამჩით ასხამდნენ და ხელით ზელდნენ, ტიკის მოკუპვრის დასრულების შემდეგ ორი ღლით ნიაჭზე ამყოფებდნენ გასაშრობად. გამშრალს ცხვრის ან ძროხის გაუმდნარ ქონს წაუსვამდნენ და ღლე-ღამის განმავლობაში მასში წყალს ასხამდნენ, რათა სუნი გასვლოდა. სითხის ჩასხმა ტიკში კისრიდან ხდებოდა, ჩამოსხმა კი ფეხიდან. ფართოდ იყო გავრცელებული ქურების მოკუპვრაც.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

მობაზური (რაჭ.) - ყურძნის ჯიშია ერთ-ერთი (ჯავახ., ეკ. ისტ. 22, 445; ფრ., 27).

მოგერისება - წველის დაწყების წინ მწველავი მშიერ ხბოს მიუშვებს ძროხასთან, რომ ძროხამ „ხბოსთვის შენახული“ აწურული რძე ჩამოუშვას და ხბოს მოშორების შემდეგ მეტი მოიწველოს. ზოგჯერ ძროხა წველის ღროსაც აიწურავს რძეს. მაშინ იქვე დაბმულ ხბოს ხელახლა მიუშვებენ ღელასთან. ამ პროცესს ქართულად მოგერისება ჰქვია. ძროხის მოტყუების ამგვარი და განსხვავებული წესიც გავრცელებულია საქართველოს რამდენიმე კუთხეში, წესის შესაბამისად იხმარება მოგერისების მსგავსი გამოთქმებიც: **გენვა / მოგენვა** (იმერ., გურ.) / **დაგერება** (კახ.) / **გირება** (ფშ.).

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

მოღგამი / ამბაზი / მონღავი / მეკომე / ალოვნობა / გადაბმა / მონამგლეობა - ხვნასთან დაკავშირებული შრომითი გაერთიანება აღმოსავლეთ საქართველოს ბარში. აღმოსავლეთ საქ-ს ბარში მიწა

იხვნებოდა მრავალხარშებმული მძიმე სახვნელი იარაღით - დიდი ქართული გუთნით. სახვნელი იარაღის ეს ტიპი გათვალისწინებული იყო ვაკის ნიადაგის რელიეფისათვის და კარგად პასუხობდა მის სპეციფიკურ პირობებს. საქართველოს ამ რეგიონში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ანეულს ანეულად მიწა ღრმად იხვნებოდა, რაც ნიადაგის სინესტეს ინახავს. ეს კი, თავის მხრივ, დიდი გუთნით მუშაობას მოითხოვდა. ამ იარაღით მუშაობასთან დაკავშირებული იყო შრომითი კოოპერაცია ხვნა-ღლეების განაწილების ნორმირებული, დიფერენცირებული სისტემით - ყოველი წევრის მონაწილეობის ანაზღურება ხდებოდა ალოვებით (ერთი ღლის ხვნა), მისი ამ ამხანაგობაში იარაღით, გამწევი ძალით თუ პირადი შრომით მონაწილეობის შესაბამისად. გამართული დიდი გუთანი საკმაოდ ძვირად ღირებული სახვნელი იარაღი იყო. მასში აბამდნენ 6-12 უღელ გამწევ ძალას. ეს დამოკიდებული იყო გუთნის სიდიდეზე. აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სხვადასხვა ნაწილში გავრცელებული დიდი გუთნები ნიადაგის თავისებურების მიხედვით ზომით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. დიდი გუთნით მუშაობას სჭირდებოდა გუთნისდედა და 3-6 მეხრე. გლეხთა ოჯახების მხოლოდ ნაწილს შეეძლო მიწის მოხვნა საკუთარი ძალებით. ეს უმთავრესად დიდი, გაუყრელი ოჯახები იყო, რომლებიც XIX ს-ის ბოლოს - XX ს. დასაწყისისთვის სპორადულად იყო შემორჩენილი. პატარა ოჯახები კი, როგორც წესი, ხვნის ღროს შრომით გაერთიანებას მიმართავდნენ. რამდენიმე ოჯახი აერთებდა ინვენტარს, მუშახელს და გარკვეული ხნის განმავლობაში რიგრიგობით ხნავდა თავის მიწას. ყველა სოფელში კომპლექტებოდა ხვნასთან დაკავშირებული კოოპერაციის გარკვეული რაოდენობა. დიდი გუთნის ხვნასთან დაკავშირებული შრომითი გაერთი-

ანება ცნობილი იყო მოდგამის, ამბაზის, მონღავის, მეკომეს, ალოვნობის, გადაბმის, მონამგლეების, ამგლის სახელწოდებით. მათ შორის ყველაზე პოპულარული იყო მოდგამი, რომელიც საყოველთაოდ იყო გავრცელებული ქართლ-კახეთსა და მესხეთში. მოდგამის წევრებს შეარჩევდა გუთნის პატრონი, რომელიც, როგორც წესი, გუთნისდედა და, ამდენად, მოდგამის ხელმძღვანელი იყო. XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში მოდგამის წევრების შერჩევასა და ნათესაობის პრინციპს მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ანულის მოდგამისათვის მზადება ხვნის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე იწყებოდა. ამ მოსამზადებელ პერიოდს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მოდგამის მუშაობა დიდად იყო დამოკიდებული მუშახელის სწორად შერჩევაზე, მეხრეების ფუნქციების განაწილებაზე, ასევე გუთნის აწყობასა და ხარკამეჩის სწორად განლაგებაზე გუთნულში. გასათვალისწინებელი იყო სახნავი მიწების ადგილმდებარეობა და სხვა. წინასწარ უნდა განსაზღვრულიყო ყოველი წევრის მონაწილეობა შრომით თუ ინვენტარით, ხვნის რიგი და ა.შ. ყოველივე ამის ორგანიზატორი და მთელი შემდგომი მუშაობის ხელმძღვანელი გუთნისდედა იყო. ხვნის დროს გუთნისდედას „გუთანი ეჭირა“. 8 უღელი ხარ-კამეჩის პირობებში უმთავრესად 4 მეხრე იყო - 2 დღისა და 2 ღამისა. დღის მეხრეებს ევალეობოდათ ხვნის დროს ხარების გაძლოლა. ღამის მეხრეების მოვალეობას შეადგენდა, გარდა ხვნის დროს საქონლის გაძლოლისა, ხარ-კამეჩის გარეკვა საბალახოდ და მისი მოვლა-პატრონობა დილით გუთანში შებამამდე. ღამის მეხრეებად, ჩვეულებრივ, გამოცდილ გლეხებს აყენებდნენ. შედარებით ადვილი იყო დღის მეხრეების საქმიანობა. დღის მეხრეებად შედარებით ახალგაზრდები იყვნენ. ამათგან ერთ-ე-

რთის (წინა მეხრე) მოვალეობას ხშირად 12-14 წლის მოზარდი ასრულებდა ხოლმე. როგორც მოდგამის წევრების, ისე მუშა საქონლის შრომის, დასვენებისა და კვების რეჟიმი მტკიცედ იყო დადგენილი. მხვნელთა მძიმე შრომას სიმღერა ახალისებდა და აადვილებდა. სიმღერას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი გლეხი. გუთნისდედები ცდილობდნენ მოდგამში ჰყოლოდათ კარგი მომღერალი, რომელსაც ზოგჯერ სიმღერისთვის ზედმეტად უხნავდნენ ერთ დღეს. ხვნასთან დაკავშირებული სიმღერები შრომის პოეზიის სახეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და თემტურად მრავალფეროვანია. ეს სიმღერები ქართლ-კახეთში „ოროველებად“ არის ცნობილი. მოდგამის დაპურება იმ ოჯახს ევალეობოდა, რომლის მიწაც იხვნებოდა. ხვნის დროს მინდორში მიჰქონდათ სადილი და სამხარი. თუ სახნავ-სათესი მინდორი სოფელთან ახლოს იყო, ჯერი ოჯახის წევრს, მეტწილად ქალს მიჰქონდა. მოდგამში ქალის მონაწილეობა ამით იფარგლებოდა. როცა სახნავი შორს იყო, მაშინ საქმელი გუთნისდედას მიჰქონდა დილით იმ ოჯახიდან, ვისი მიწაც იხვნებოდა. ქიზიყსა და გარე კახეთში ამისთვის გუთნისდედას ცხენი ჰყავდა, რაშიც ხვნადღე ერგებოდა. ზოგიერთ სოფელში, რომელსაც სახნავ-სათესი მინდორი განსაკუთრებით შორს ჰქონდა და ამიტომ მოდგამის ყველა წევრი მთელი კვირის განმავლობაში მინდორში იყო, გუთნისდედა შაბათს, სამუშაოს შემდეგ წამოვიდოდა, კვირას დაუვლიდა იმ ოჯახებს, რომლებისთვისაც მომავალ კვირას უნდა ეხნათ და იმათგან წაიღებდა სურსათ-სანოვავებს იმის მიხედვით, თუ ვისთან რამდენი დღე უნდა ემუშავათ. გუთნისდედა ვალდებული იყო ხვნა დაპირებულ ვადაში დაემთავრებინა. თუ რაიმე მიზეზის გამო მოდგამის მუშაობა რომელიმე დღეს ჩაიშლებოდა და მოდგამის რომელიმე წევრს ვერ დაუმ-

თავრებდნენ დაწყებულ სამუშაოს, გუთნისდელა ვალდებული იყო ეს სამუშაო სხვა დღეს დაესრულებინა. თუ მეხრეებს ერთმანეთთან რაიმე სადავო აღმოუჩნებოდათ, ესეც გუთნისდელას უნდა მოეგვარებინა. უკიდურეს შემთხვევაში მას შეეძლო მოდგამის ურჩი წევრი ამ გაერთიანებიდან გაეძევებინა, მაგრამ ამ უკანასკნელის მიერ უკვე გაწეული შრომა უნდა აენაზღაურებინა. გუთნისდელას თვალყური უნდა ედევნებინა, რომ მეხრეებს სხვისი საქონელი არ დაეჩაგრათ. ეს ყველაფერი მოითხოვდა მისგან გარკვეულ ორგანიზატორულ ნიჭს და ცოდნა-გამოცდილებას. გუთნისდელას სოფელში პატივს სცემდნენ. მისი განსაკუთრებული მდგომარეობა ისტორიულად მომდინარეობდა. გუთნისდელის გარკვეული შეღავათები ოფიციალურ დოკუმენტებშია ასახული. ერეკლე II განჩინებაში მორიგი ჯარის შესახებ აღნიშნულია, რომ როდესაც ხვნის დრო იყო, გუთნისდელას შეეძლო თავის მაგივრად თავისი „ბადალი“ გაეგზავნა. გარეკახეთის სოფლებში გუთნისდელები წელიწადში ერთხელ ხვნის წინ გამართულ საღმრთოზე ირჩევდნენ უფროსს (უსტაბაში). ეს იყო ერთ-ერთი გუთნისდელათაგანი, რომელიც სხვებთან შედარებით უფრო გამოცდილი იყო და სოფელში ავტორიტეტით სარგებლობდა. მას გუთნისდელებთან ერთად უნდა დაედგინა ხვნის ჩატარების ვადები. მის მოვალეობად ითვლებოდა ხვნის წინ საღმრთოს ორგანიზაცია, ხვნის მთელი პერიოდის განმავლობაში მოდგამის მუშაობისათვის თვალყურის მიდევნება. თუ მეხრეები უკმაყოფილონი იყვნენ, მასთან შეეძლოთ ეჩივლათ. მასვე უნდა მოეგვარებინა ყოველგვარი უსიამოვნება, თუკი ამას ადგილი ექნებოდა. ერთადერთი საზღაური ყოველივე ამის გამო იყო ის პატივისცემა, რომლითაც უსტაბაში სარგებლობდა სოფელში. ზოგიერთ სოფელში მისი ფუნქციები შეზღუდული იყო და მხო-

ლოდ საღმრთოს ორგანიზაციით იფარგლებოდა. მოდგამის წევრებზე განაწილებული ალოების გარდა, ეს გაერთიანება მიწას უხნავდა სოფლის მენახირეს (სამენახირეო ალო), მეველესა და მჭედელს (მჭედლის ალო). ხვნის ხანგრძლივობას ზოგან ზრდიდა ისიც, რომ იქ ხნავდნენ სოფლის თანამდებობის პირთათვის. ბევრგან წესად იყო მიღებული ხვნა მიწათმფლობელთათვის ტყით, წყლით, საძოვრებით და სხვა სავარგულებით სარგებლობისათვის. ზოგან ქვრივ-ობოლთათვისაც იცოდნენ ხვნა. ზოგიერთ სოფელში ყველა მოდგამი თითო ალოს ყიდდა და ამ ფულით საღმრთოს იხდიდა. ცალკეულ რეგიონებში მუშახელისა და საქონლის რაოდენობა, ალოების განაწილების ნორმები არ იყო ერთნაირი, მაგრამ ყოველი კონკრეტული ადგილისთვის მტკიცედ იყო დადგენილი. შიდა ქართლში გუთნისდელას შრომაში 2 ალო ერგებოდა, დამის მეხრეებსაც - ორ-ორი, დღის მეხრეებს - თითო. ერთ უღელ ხარსა და კამეჩში მათ პატრონებს თითო ალო, გუთნის პატრონს 2 ალო. აქედან ერთი ალო ივარაუდებოდა სახნისასთვის, ნახევარი - საკვეთელისათვის, ნახევარი გუთნის ხის ნაწილისათვის. გუთანი, სახნის-საკვეთით, როგორც წესი, გუთნისდელას ეკუთვნოდა. გუთანს 2 ღვედი (ტყავისგან დაწნული ღვედი, რომლის სამუშალებითაც უღლები ერთმანეთთან იყო დაკავშირებული) სჭირდებოდა. თითო ღვედში მის პატრონს ნახევარი ალო ერგებოდა. ასევე ჯამბარა-აპურების პატრონსაც ნახევარ ალოს უხნავდნენ. უმრავლეს შემთხვევაში ღვედები და ჯამბარა - აპურებიც გუთნისდელისა იყო. მოდგამის მუშაობასთან დაკავშირებული იყო გარკვეული რწმენა-წარმოდგენები და ადათ-ჩვეულებები. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი ხვნა-თესვის დაწყებასა და დამთავრებასთან დაკავშირებულ ცერემონიალს. ქართლ-კახეთის ბარში ანულის ხვნის

წინ იმართებოდა „სასოფლო საღმრთო“. კახეთის იმ სოფლებში, სადაც სათემო მიწათმფლობელობა იყო შემორჩენილი, სასოფლო საღმრთო განსაკუთრებული ორგანიზებულობით ხასიათდებოდა.

ყოველ მოდგამს, ასევე ოჯახს, რომელიც დამოუკიდებლად ხნავდა, უნდა გაეყიდა თითო ალო (ფულს წინასწარ იღებდნენ). ამ თანხით ყიდულობდნენ საკლავს, ღვინოს და ხვნის დაწყებამდე ერთი ღლით ადრე სასოფლო საღმრთოს მართავდნენ. სოფელი ეკლესიასთან შეიყრებოდა და პარაკლისის გადახდის შემდეგ საღმრთო სუფრა გაიშლებოდა. გუთნისდელები დალოცავდნენ მეხრეებს, უსურვებდნენ ერთგულად ემუშავათ და კარგად დაემთავრებინათ ხვნა-თესვა. მხვნელ-მთესველთა გარდა, აქ მოწვეულები იყვნენ: სამღვდელოება, მეცხვარეები, რომლებიც ცხვრით შეეწეოდნენ, მენახირეები, მეველეები. მოხუცებსა და ავადმყოფებს ულუფას სახლში უგზავნიდნენ. გარე კახეთის ზოგიერთ სოფელში საღმრთოს ორგანიზაციას გუთნისდედა ახდენდა. მოდგამთან დაკავშირებული წესები, მტკიცედ გამომუშავებული ჩვევები მიუთითებენ იმაზე, თუ რამდენად ჰქონდა შესისხლხორცებული ეს ინსტიტუტი ქართველ გლეხობას.

შრომის ორგანიზაციის ისეთ ფორმაში, როგორცაა მოდგამი, ნათლადაა გამოკვეთილი ქართველი ხალხის სამიწათმოქმედო კულტურის მაღალი დონე, ყველა იმ მიღწევით, რაც საერთოდ გაიარა სახვნელმა იარაღმა და შრომის ორგანიზაციის ფორმებმა თავისი განვითარების უმორეს გზაზე.

ლიტ.: Т. Геладзе, Формы коллективного труда в земледелии Восточной Грузии, 1987.

მოდგინარი (რაჭ.) - მოცვის ერთ-ერთი სახეა. მოდგინარი მოცვზე უმფრო გემბრიელია (მდრ. მაყ., ქეგლ).

მოზარენი - მიცვალებულის დატირებისას მოთქმით მოტირალნი. კახეთში მიცვალებულის დატირებისას ერთი მოთქმით ტიროდა, ხოლო სხვანი „ბანს აძლევდნენ“ მისი სათვალავის ყოველ მუხლზე. ზოგჯერ მოზარენი იმდენად დახელოვნებულნი იყვნენ, რომ სხვა მიცვალებულის დატირებისას საგანგებოდ იწვევდნენ, როგორც თავიანთი ხელობის კარგ მცოდნეთ, კარგი ხმის პატრონთ.

ლიტ.: ს. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

მოზვერა სხალი (რაჭ.) - სამემოდგომო მსხლის ჯიშია (იხ. ბრეგ., 51).

მოზიარნობა -- ახოს ალების დროს შრომითი გაერთიანების ფორმა. საერთოდ, საქართველოს მთის ზოლში გავრცელებული გავრცელებული მემინდვრეობა, თავისი თავდაპირველი ბუნებით, ახის სისტემიდან არის აღმოცენებული. საინტერესოა, რომ თუშეთში ახოს სისტემასთან დაკავშირებული მასალა არ ჩანს. აქ ბოლომდე მეცხოველეობა დარჩა მეურნეობის წამყვან დარგად. დასავლეთ საქართველოში (ლეჩხუმი, რაჭა) ახოს ალებასთან დაკავშირებული სამუშაოები ნადის ხალხმრავალ შრომით გაერთიანებას გულისხმობდა, სადაც მხოლოდ მამაკაცები ერთიანდებოდნენ. ლეჩხუმში, თუ ოჯახი საკუთარი ძალებით იღებდა ახოს, მუშაობაში ქალები, ხანდაზმულები და მოზარდებიც იღებდნენ მონაწილეობას. აჭარაში კი - მიწების დასამუშავებლად მომზადება ნათესაური ჯგუფის ანდა ტერიტორიულად ახლოს მცხოვრები რამდენიმე ოჯახის შრომითი გაერთიანების, ე.წ. „მოზიარნობის“ ძალებით სრულდებოდა. შრომითი გაერთიანება მოსავლის

ადებამდე რჩებოდა, რაც საკმაოდ ძველი ფორმა ჩანს. მიწის კოლექტიური დამუშავების ფორმს იმერეთში ბაბუიშვილები მიმართავდნენ.

ლიტ.: ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი, 2018:299;

მოკავება (რაჭ.) - ვაზის გრძელი რქის რკალისებრ მოხრა და მიმაგრება ტანზე (ან სარზე) (იხ. ძოწ.).

მოკანჭვა (რაჭ.) - (ღვინის) მეტ-ნაკლებად მოძმარება (იხ. ბერ., ჩიქოვ., შდრ. ქეგლ: მოჭანგული; ძოწ.: მოიჭანგება; ფრ., 224).

მოკაჟიანებული ყველი (რაჭ.) - ყველის ერთ-ერთი სახეა, - მოხარუშლია, სულგუნს ჰგავს, მაგრამ რბილია, შესანახავად არ ვარგა.

მოკილ || მეკილ (სვ.) - ხატის გასაღების, საგანძურისა და ხაზინის მცველი; ინიშნებოდა სახატო თემის მიერ. გარდა აღნიშნულისა, მოკილის მოვალეობას შეადგენდა ხატის შენობის დასუფთავება. მღვდლის (ბაპის) არყოფნის შემთხვევაში საღვთისმსახურო წესებს მოკილი ასრულებდა. ზოგჯერ ბაპიც თავად იყო.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარჭმუნობის ისტორიიდან. ღრომა „ლეშ“, მგელი-ძადლი // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XII-XIII. თბ., 1963, გვ. 144.

მოლა (ლაზ.) - ერთგვარი მძიმე ქანი, რომელსაც ლაზები ბადის საწაფად იყენებენ. ამ ქანს ღუმელში გამოწვავენ, გახვრეტენ და მიაბამენ ბადეს. ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი, ნაოსნობა...1987.

მოლედვილი ღვინო (რაჭ.) - ძალიან სქელი ღვინო, შეჭნობადწყებულ ყურძნისაგან დაწურული ღვინო (იხ. ფრ., 238).

მოლლი ჯგვრაგ - მოლის წმ. გიორგი - მონადირეთა სალოცავი, მდებარე მესტიის საძოვრებზე. მონადირეები მას ნანადირევის ნაწილს სწირავდნენ და თავიანთ შევედრებაში ნადირობის ქალღმერთ დალთან ერთად მოიხსენიებდნენ (ჯგვრაგ მოლლიმ და დალ ლახვრემ).

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარჭმუნობის ისტორიიდან. ღრომა „ლეშ“, მგელი-ძადლი // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XII-XIII. თბ., 1963, გვ. 143.

მოლოზმა (ლაზ.) - ბადის სახეობა ლაზეთში, რომლის ნაპირებში (ღონა) უყრიან ნეკის სიმსხო ბაწარს და ზედ ასხამენ მოლას. ღონაში შესული თევზი გამოსასვლელს ვედარ პოულობს და იოლი დასაჭერი ხდება.

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი, ნაოსნობა...1987.

მოლოქა (რაჭ.) - ბალახოვანი მცენარეა. აქვს ვარდისფერი ყვავილები და მომრგვალო ფოთლები. ადრე გაზაფხულზე ფხალში ხმარობენ, - ბალბა (იხ. მაყ., ქეგლ, ნიჟარ.).

მომზნრ || მომზირ - ხატის, სალოცავის მომსახურე, მრევლის შესაწირავების უშუალო შემწირველი და მისი სახელით მლოცველ-მავედრებელი პირი სვანეთში (იხ. „მაცხჴჭრი მარე“; შდრ. „მოკილ“).

მომზნრი ლემზირ - იხ. „მაცხჴჭრი მარე“.

მომსებული (რაჭ.) - შინაური ფრინველი, რომელმაც ეს-ეს არის კვერცხის დება უნდა მოიწყოს (შდრ. ქეგლ: მოვსებული, ქავთ.: მომსილი).

მორჩეული ყურძენი (რაჭ.) - რთვლის დროს საგანგებოდ შერჩეული საუკეთესო ყურძენი შესანახად.

მონარეობა (კახ., ქართლ., თუშ., ფშ., ერწო-თიან., მთიულ., მოხ.) -მესაქონლეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის დიდმასშტაბიანი ფორმა -მეცხვარეების გაერთიანება. იგი დაკავშირებული იყო მესაქონლეობის ერთ-ერთ ფორმასთან - მთა-ბარობასთან. ეს უკანასკნელი გულისხმობდა ძირითადი დასახლებისაგან ტერიტორიულად მოწყვეტილი ცხვრის ფარებისა და მომვლელი პერსონალის მუდმივ მოძრაობას ცენტრალური და სამხრეთ კავკასიის საზაფხულო საძოვრებიდან აღმოსავლეთ საქართველოს საზაფხულო-სამემოდგომო და საზამთრო საძოვრებისაკენ, და პირიქით. მესაქონლეობის ასეთი მობილური ხასიათის მიუხედავად მთა-ბარობა სტრუქტურულად მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკურ და ორგანიზაციურ კავშირში იყო მიწათმოქმედებითა და მეურნეობის სხვა დარგებით დასაქმებულ ძირითად მოსახლეობასთან. საქონლის მოვლასთან დაკავშირებულ სამუშაოთა წლიურ ციკლს ოჯახის ერთეული წევრები - მამაკაცები უძღვებოდნენ, რომლებიც ამ მიზნით მონარეობის შრომის ორგანიზაციის ფორმაში იყვნენ გაერთიანებულნი. მონარეობა იყო სეზონური გაერთიანება. მასში დაახლოებით თანაბარი რაოდენობის ცხვრის პატრონები ერთიანდებოდნენ, რაც განაპირობებდა მათ თანაბარუფლებიანობას. მონარეობაში გამორიცხული იყო დაქირავებული შრომა. ფარას, რომელშიც 3000 ცხვარი შედიოდა, უნდა გაძლოდა 15-20 მწყემსი,

რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავდა მონარეობის წევრთა რაოდენობას. 1000 სულზე ნაკლები ფარის გადარეკვა ეკონომიკური თვალსაზრისით გაუმართლებელი იყო, ხოლო ფარაში 3000 სულზე მეტი ცხვარი ფარის გაძლოდას აძნელებდა. მხედველობაში იყო მისაღები ის გარემოებაც, რომ ასეთ მრავალრიცხოვან ფარას ემატებოდა დაახლოებით 50-60ცხენი, 20-30 სახეღარი, 80-100 თხა. XIX ს-ის ბოლოს-XX ს-ის დასაწყისში მონარეობა ძირითადად ტერიტორიულ-მეზობლურ გაერთიანებას წარმოადგენდა. მონარეობის ორგანიზაცია აპრილიდან, ცხვრის საზაფხულო საძოვრებზე გადარეკვის წინ იწყებოდა. გაერთიანებულ მონარეებს შორის ისეთ პირს, რომელსაც გააჩნდა მეცხვარეობის ორგანიზაციის დიდი გამოცდილება, იცოდა ცხვრის გადასარეკი მარშრუტები, ერკვეოდა საძოვრების აკარგინანობაში და ა. შ .ბინის თავად - სარქლად ირჩევდნენ. მას ევალებოდა ცხვრის გადარეკვის ორგანიზაცია და შემდეგ საძოვარზე ყოფნის პერიოდში მუშაობის ხელმძღვანელობა. საძოვრებზე მონარეებს შორის შრომა განაწილებული იყო. გამოყოფილი იყო მესაწველავე (მეწველი საქონლის მწყემსი), ასევე, მებატკნე, მეთოხლე, მებერწე, მებინავე. ამ უკანასკნელს შეშისა და წყლის მიტანა და ბინის დასუფთავება ევალებოდა. ყველის დამზადება სარქლის მოვალეობას შეადგენდა. მას მეკოდე ეხმარებოდა. სარქალი გამოჰყოფდა ბარგობად გასაგზავნ მწყემსებსაც, რომელთაც კვირაში ერთხელ ყველი ცხენებით ბარში უნდა გადაეზიდათ და უკან დაბრუნებისას მარილი და სხვა სურსათი ამოეტანათ..მონარევენი შემოსავალს მეწველი ცხვრის რაოდენოდის მიხედვით იყოფდნენ. ასევე, ხარჯებსაც (მარილი, ხალი, მგზავრობის დროს გზების და ხიდების შეკეთება და სხვა) ცხვრის რაოდენობის მიხედვით ინაწილებდნენ.სექტემბრის

ბოლოდან მეცხვარეები საზამთრო საძოვრებისკენ იღებდნენ გეზს. ზამთრის საძოვრებზე გადასვლისთანავე მონარეობა იშლებოდა. მონარეობის საზამთრო გაერთიანებას ადგილი ჰქონდა მხოლოდ იმ მეცხვარეებთან, რომლებიც ცხვარს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ საზამთრო საძოვრებზე მიერეკებოდნენ. როგორც საზაფხულო საძოვრებზე ცხვრის გადარეკვას, ასევე იქიდან დაბრუნებას საგანგებოდ აღნიშნავდნენ. მონარეობა დამყარებული იყო თანაბარუფლებიანობის პრინციპზე, რასაც მისი წევრების საქონლის დაახლოებით თანაბარი რაოდენობა განსაზღვრავდა. გამორიცხული იყო დაქირავებული შრომა. მესაქონლეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ტრადიციული ფორმის პარალელურად XX ს-ის მეორე ნახევარში სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად ჩნდება და მნიშვნელოვან ადგილს იჭერს დიდფარიან მეცხვარეთა მეურნეობები, რომლებიც ძირითადად დაქირავებული მწყემსების მხრიდან, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ დაეცვა წვრილი მეპატრონეები დიდფარიან მეცხვარეთაგან. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ყველა თემი ცდილობდა საძოვრის გადასახადი ცხვრის რაოდენობის მიხედვით გაენაწილებინა, რითაც აიძულებდა დიდფარიან მეცხვარეებს შეემცირებინათ თავისი ფარები.

ლიტ.: ნ. აზიკური. შრომის ორგანიზაციის ფორმები თუშეთის მეცხვარეობაში // მსე, XX|, თბ; 1981; გ. ბოჭორიძე. თუშეთი, თბ; 1993; Харадзе Р. Л. Грузинская семейная община Тб., 1960; ქართული მეტეორიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

მონდავი / მანდავი - 1. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გავრცელებულ მარტივ სახვნელებთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმა. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში მიწათმოქმედების პატარა მასშტაბები განსაზღვრავდა ხვნასთან დაკავშირებულ შრომის ორგანიზაციის მარტივ ხასიათს. ხვნის დროს შრომითი გაერთიანების სიმარტივეს ხელს უწყობდა აგრეთვე იქ გავრცელებული მარტივი აგებულების სახვნელი იარაღი და მისთვის საჭირო გამწევი ძალისა და მუშახელის მცირე რაოდენობა. ამ მიზეზების გამო ხშირ შემთხვევაში ოჯახი დამოუკიდებლად ხნავდა მიწას, მით უმეტეს, რომ XX ს-ის დასაწყისშიც იქ გადმონამთის სახით შემორჩენილი იყო საოჯახო თემი (დიდი ოჯახი); 2. მაღალმთიან ზოლში (ხევსურეთი, თუშეთი, ხევი) იქ გავრცელებული მარტივი სახვნელებით (კავწერა, კავის ტიპის სახვნელები, რომლებშიც ერთი უღელი გამწევი ძალა იბმოდა; მუშახელს შეადგენდა 2 წევრი - მხვნელი და მეხრე) ხვნისას დგებოდა შრომითი გაერთიანება ორ ოჯახს შორის. ეს იყო არაეკვივალენტური ურთიერთდახმარება - აუცილებელი იყო გამწევი ძალით თანაბარი მონაწილეობა. ხვნა-დღეების განაწილება არ იყო რეგლამენტირებული. თითოეულ ოჯახს უხნავდნენ იმდენს, რამდენიც მას სჭირდებოდა. შედარებით დაბალ ზოლში გავრცელებული უფრო განვითარებული სახვნელებით (ფშაური აჩაჩა, მთიულეთ-გუდამაყარში მოქმედი ორხელა. გამწევი ძალა - 2 უღელი ხარი, მუშახელი - 2 ადამიანი) ხვნისას მონდავი იყო ეკვივალენტურ ურთიერთობაზე დამყარებული შრომითი გაერთიანება - მანდავის წევრები ერთმანეთთან დღეების თანაბარ რაოდენობას მუშაობდნენ, მათი ამ გაერთიანებაში თანაბარი მონაწილეობის (იარაღით, გამწევი ძალით, პირადი შრომით) საფუძველზე. პირველად ის მიწა უნდა მოეხნათ, რომელიც „საწინაო“

იყო. სამუშაო დღის განმავლობაში საქონელს ერთხელ უშვებდნენ უღლიდან. ეს დრო ემთხვეოდა სამხარს. საქონლის საკვები, ჯერი და თესლი იმ ოჯახიდან მიჰქონდათ, ვისი მიწაც იხვნებოდა. მიწოდორში ჭამა ორჯერ იყო მიღებული სადილი და სამხარი. ვახშობდნენ იმის სახლში, ვისი მიწაც იხვნებოდა იმ დღეს. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ქალი მემინდვრეობასთან დაკავშირებულ ყველა სამუშაოში იღებდა მონაწილეობას. ხვნის დროს შრომა განაწილებული იყო ქალებსა და კაცებს შორის. ჯერის, თესლისა და საქონლისათვის ჩალის წაღება ქალების მოვალეობას შეადგენდა. მონდავში მეხრეებად როგორც ქალი, ისე კაცი შეიძლებოდა ყოფილიყო. თუშეთში ქალი მხვნელის მოვალეობასაც ასრულებდა. ქალის მონაწილეობა ხვნაში განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო თუშეთისათვის, სადაც სამიწათმოქმედო საქმიანობა ქალის კომპეტენციაში შედიოდა და სადაც საერთოდ ქალის შრომის სფერო გაცილებით დიდი იყო, ვიდრე საქართველოს სხვა რომელიმე კუთხეში. ხვნა-თესვასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი ხვნა-თესვის დაწყებასა და დამთავრებასთან დაკავშირებულ ცერემონიალს. უქმე დღეებსა და კვირაობით მუშაობა აკრძალული იყო. შაბათს მუშაობას ადრე ამთავრებდნენ. კვირა-უქმის „შენახვას“ გლეხები მკაცრად იცავდნენ არა მარტო ხვნის, არამედ სხვა სამუშაოების დროსაც წესის გამტეხს ხალხი რისხავდა. ყოფილა შემთხვევები, როცა უქმე დღის გატეხისათვის ოჯახი მოუკვეთიათ. სამუშაო დღეს რომ სოფელში ვინმე გარდაცვლილიყო, ხვნას შეაჩერებდნენ. ტერმინი მონდავი / მანდავი, გარდა აღმოსავლეთ საქართველოს მთისა, ცნობილი იყო აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს ბარის იმ ადგილებში, სადაც ინტენსიურად ხდე-

ბოდა მთიელთა ჩამოსახლება. XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში მონდავი / მანდავი არ იყო შეპირობებული ნათესაური კავშირით. თუმცა ის ფაქტი, რომ ეს სიტყვა (მონდავი / მანდავი) აღნიშნავს როგორც შრომით გაერთიანებას, ასევე ძმათა ცოლებს, მეტყველებს შრომით გაერთიანებაში ადრე არსებულ ნათესაურ პრინციპზე; 3. ძმათა ცოლები (თუშ., ქსნ. ხეობ.; 4. ხატის მსახური, დასტური (ფშ.). ლიტ.: Геладзе Т. Формы коллективного труда в земледелии Восточной Грузии, 1987.

მორგვი / ბორბალი - თიხის ჭურჭლის დასამზადებელი ხელსაწყო. საქართველოში ჭურჭლის დასამზადებლად დღეისათვის ორგვარი კონსტრუქციის მორგვი გამოიყენება, პირველი, უფრო ძველი და პრიმიტიული - „ხელის მორგვი“ და მეორე, უფრო განვითარებული „ჩარხი“, ანუ „ფეხის ჩარხი“. ხელის მორგვი შედგება მრგვალი დისკოსაგან (მორგვის თავი ანუ მორგვი), „სამფეხისა“ (მორგვის ფეხისა) და „ჭიჭლაკის“, ანუ „მორგვის ძუძუსაგან“. ჭიჭლაკზე მორგვის თავია ჩამოცმული და ხელის ან ფეხის შეხებით ორივე მიმართულებით მოძრაობს. მორგვის ძირი და თავი კოპიტის ან ნიგვზის ხისაგან მზადდება, ჭიჭლაკი კი ბზისაგან. სამეთუნეო საქმეში მორგვის გამოყენებამ სრული გადატრიალება მოახდინა. ეს იყო ტექნიკური პროგრესი, რომლის დროსაც ხელოსანს შესაძლებლობა ეძლეოდა ორივე ხელი ჭურჭლის ამოყვანა-შენებისათვის გამოეყენებინა. მორგვის გამოყენებამ შეამსუბუქა ხელოსნის შრომა და შესაძლებლობა მისცა მას დაემზადებინა თხელკედლიანი, ერთგვაროვანი და სიმეტრიული თიხის ჭურჭელი, გაიზარდა აგრეთვე გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი. ცნობილი არქეოლოგის, გ. ჩაილდის შეხედულებით, მორგვის გამოყენებით მეთუნეობა კაცობრიობის ისტო-

რიაში პირველ მექანიზებულ დარგად იქცა.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი. კახური კერამიკა. თბ., 1949.

მორწყვა -- როგორც მიწათმოქმედების ერთ-ერთი ძირითადი აგროტექნიკური ელემენტი, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იყო გავრცელებული. ის მიწათმოქმედების განვითარების, მისი დაწინაურებისა და მრავალფეროვნების ძირითად ფაქტორად განიხილება. ირიგაციის დასაწყისად, საქართველოში ენეოლითის (ძვ. წ. IV ათასწლეული) ხანაა მიჩნეული. აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში და მთის ძირის ზოლშიც მორწყვა ინტენსიური მიწათმოქმედების საფუძველს წარმოადგენდა. საქართველოს მაღალმთიან ზოლში (მაგ., სვანეთში) მორწყვა უმთავრესად დაკავშირებული იყო სათიბ მეურნეობასთან. დღეისათვის საქართველოში ცნობილია შემდეგი სარწყავი ზონები: ქვემო ქართლის ბარი, შიდა ქართლის ბარი, გარე კახეთი, ალაზნის ველი, მესხეთ-ჯავახეთი. ქართლში რწყვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენდა მდინარიდან გადმოყვანილი სარწყავი წყლის თვითღინების გამოყენების წესი. კახეთის საირიგაციო ტექნიკაზე გრემისა და ალაზნის არხები მეტყველებს. მესხეთში მორწყვის ორი ძირითადი ფორმა ყოფილა გამოყენებული: გაჟონვით და დატბავებით, ამ უკანასკნელის უპირატესობით.

ითვლება, რომ ქალაქების ჩასახვა-განვითარების სამეურნეო ბაზა ინტენსიური სარწყავი მიწათმოქმედება იყო, რაც მჭიდრო დასახლების ერთ-ერთ ძირითად პირობას ქმნიდა. სარწყავად გამოყენებული იყო წყაროსა და ხევის წყლები, ასევე, მტკნარი ტბების წყალი,

რუს წყალი. სარწყავი მიწათმოქმედების გვერდით, ურწყავი მიწათმოქმედებაც ვითარდებოდა.

ლიტ.: ნ. აბესაძე, სარწყავი და ურწყავი მიწათმოქმედება, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, 1980:23-36; მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961; მ. გეგეშიძე, მორწყვა, წიგნ. ქართველები, 2018:256; ი. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, თბ., 1963.

მორხილი (რაჭ.) - ბარჯი, ორკაპი სარი, რომელსაც მიუდგამენ თივის ზვინს ან წერს დასამაგრებლად, ქარმა რომ არ წააქციოს, თივის ზვინს 3-5 მორხილი უნდა (იხ. ბერ., ქართ. დიალექტ., 686).

მოსართავი - ტყავისაგან დამზადებული „უნაგირის მოსაჭირებელი“ (საბა). მოსართავებისათვის ტყავს ყუთულში დაამუშავებდნენ და შემდეგ შუფრით (დანა) ზოლებად დაჭრიდნენ. სამეგრელოში მოსართავებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი მკეთებელი ხელოსნები არსებობდნენ, მეუნაგირეებიც ამზადებდნენ. ერთი ხარის ტყავი ყოფნიდა ხუთი უნაგირის მოსართავს. ტყავს 4 ნაჭრად ჭრიდნენ, წყალში რეცხავდნენ, შემდეგ (დარაბა// სახელოსნო) სპეციალურ ხელსაწყოში - ბაჭაჭყაში დაჭიმავდნენ, ძროხის ქონით დაამუშავებდნენ და ზელდნენ. ამის შემდეგ თბილ წყალში გარეცხავდნენ, გააშრობდნენ და ისევ ბაჭაჭყაში გაასწორებდნენ. ასე დამზადებულ ტყავის საუკეთესო ნაწილს მოსართავებად, ხოლო სხვა ნაწილებს ლაგმისა და ბუდნებისათვის ხმარობდნენ. მოსართავი რამდენიმე სხვადასხვა დანიშნულების თასმაა. საჭირო იყო სამი მოსაჭერი - წინა, შუა და უკანა. წინა მოსართავი ცხენის აღმართზე ასვლის დროს უნაგირს იცავდა უკან დაცუ-

რებისაგან. შუა-ბალიშს კეხზე ამაგრებდა, ხოლო უკანა - დაღმართზე ჩასვლისას წინ წაცურებისგან იცავდა. მოსართავები უნაგირზე ორი მხრიდან მაგრდებოდა-ცხენის მარცხნივ ბალთებით იკვრებოდა, ხშირ შემთხვევაში ვერცხლის ნაწილები ჰქონდა.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973. ნ. აბესაძე, ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, 1986.

მოსკარ-ი - სვანური ლასკარ-ის (იხ.) წევრი.

მოსკე-წაჩხური - „ვაჟიანობის წაჩხური“ - მარტვილის რ-ნის სოფ. წაჩხურში მდებარე მთავარანგელოზის ხატი, რომელიც რიგი დაავადების მკურნალად და შვილის (უპირატესად ვაჟის) მომნიჭებლად ითვლებოდა. ხატობა ნაადგომევის პირველ ხუთშაბათს - დიდ ხუთშაბათს (ცაშხა დიდი) - იმართებოდა; სალოცავად დადიოდნენ არამარტო სამეგრელოს ყველა კუთხიდან, არამედ სამურზაყანო-აფხაზეთიდან და ლაზეთიდანაც კი, უმთავრესად უშვილო (უვაჟო) ცოლ-ქმრები; მოჰქონდათ: თავიანთი სიგრძის სანთლები, ვერცხლის ძაფები, სანთელ-საკმევლები, მინიატურული აკვნები და ფული. მლოცველს ხატის წინ მნათე დააჩოქებდა და ხატს ევედრებოდა, მათთვის ვაჟი მიეცა; ცოლ-ქმარი ხატის წინ წვებოდა და ღამესაც კი ათევდა. აქვე, ეკლესიის მახლობლად იდო ერთი დიდი ქვა, რომელსაც უშვილო ქალები ეხუტებოდნენ. როგორც ჩანს, მას ისეთივე ძალა მიეწერებოდა, როგორც ჯავახურ „ძიქვას|რძის ქვას“ (იხ.). თუ თუ მლოცველს ვაჟი ეყოლებოდა, მეორე ხატობაზე კვლავ წავიდოდა და მთავა-

რანგელოზს შეთქმულ საკლავს შესწირავდა.

ამასთანავე, სამეგრელოში ყველა ოჯახი იხდიდა ე. წ. „საწაჩხუროს“, როგორც მუცლისა და წელის ტკივილის საწინააღმდეგო სალოცავს. მაისის თვის ერთ-ერთ ხუთშაბათ დღეს გამოაცხობდნენ მრგვალი ფორმის ყველიან კვერებს, დაკლავდნენ გოჭს ან ციკანს და აუცილებლად ყვერულს, რომლებსაც გამზადების შემდეგ, საკმეველთან და საზედაშე ღვინოსთან ერთად, ხონჩაზე დააწყობდნენ, სანთლებს შემოუნთებდნენ და წაჩხურის სახელობის ქვევრთან მიიტანდნენ. აქ ოჯახის დიასახლისი და მისი მეუღლე დაიჩოქებდნენ, ხონჩას სამჯერ დაატრიალებდნენ და დაილოცებოდნენ: „ბედნიერო წაჩხურო, დაგვიფარე მუცლისა და წელის ტკივილისაგან, მავენე თრთოლვისაგან შვილებითა და შვილიშვილებით. დღეის ლოცვა შენ შეგვარგე, ვაჟი გაგვიმრავლე, ვაჟიანობის წაჩხურო. ჩვენი ნამრავლით, ჩვენი გული გაახარე, ასი წლის ლოცვა შენ დაგვაცადე, დაილოცოს შენი სახელი“ (წაჩხური ბედნიერი, სი ღოფთხილე ქვარაში დო ოჭიშიში ჭუაშე, უბადო გოლაფაშე სკუამო დო მოთამო. ამუდღარი ხვამა სი გომიტიბინე, სკი მიბრალი, მოსკე წაჩხური, ჩქინი ნაბრალით ჩქინი გური გაახარი, ოში წანაში ხვამა სი ქოდმაცალი, სქან სახელი ხვამელი). ლოცვის დასასრულს წაჩხურის ქვევრს თავს მოხდიდნენ, საზედაშე ღვინოს ქვევრში ჩაასხამდნენ, ანთებულ სანთელს ქვევრისპირს მიაკრავდნენ და მამლის თავს, გოჭის (ციკნის) გულ-ღვიძლსა და ერთ კვერს იქვე შეჭამდნენ. იმ შემთხვევაში, როცა ოჯახს საწაჩხურო ქვევრი არ ემარხა, ვაზისგან დაგრეხილ გვერგვზე ლოცულობდნენ. ვისაც შეთქმული ჰქონდა, ის საკლავ-საწირით წაჩხურში მიდიოდა და იქ ლოცულობდა. . ს. მაკალათიას მიხედვით, სა-

წაჩხუროს დადიანიც იხდიდა და ყოველი წლის ხუთშაბათს წაჩხურის მთავარანგელოზის ხატს ორ კოკა ღვინოსა და ერთ ფუთ ღომს (ჩხვერს) უგზავნიდა.

ლიტ.: ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 18, გვ. 7-8 (ხელნაწერი ინახება ავტორთან); ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 365-366.

მოფათხვა -- ახალდათესილი ბოსტნის კვლების ფათხით - წვრილტოტებიანი ხმელი მტოებით დაფარვა, რათა ბოსტანს ქათამი გასაჩხრეკად ვერ მისდგომოდა.

ლიტ.: შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, 1971:268.

მოქათური (რაჭ.) - რაჭული შავყურძნიანი საადრეო ვაზის ჯიშია. დიდი მტევნები და მსხვილი ბიმბილები (იხ.) იცის. ძალზე წვნიანია. მისი ღვინო თხელი დგება. ამბობენ, „მარახოში სასმელიაო“, საძველოდ უვარგისი. შემორჩენილია ზემო რაჭის ზოგ სოფელში.

მოქედურება - ონავარი და ურჩი რქოსანი პირუტყვის მიერ ქედზე უღლის შებრუნება, რაც ძალიან აწუხებს პირუტყვს. ხევსურეთში უწოდებენ „მოსაქედურებას“ – უღლის გადაგდებას. 2. გადატანით ეს სიტყვა ქედის მოხრისა და დამორჩილების მნიშვნელობითაც იხმარება.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

მოქიანი (ქვ. რაჭ.) - ვაზის რქა 5-7 კვირტზე გასხლული. მოქიანს რკალივით მოვხრით და თავით ძირს დავამაგრებთ (იხ. ფრ., 61).

მოქოჩოჩება (რაჭ.) - მამლისაგან ქათმების მოხმობა.

მოქრისღებ - სვანური ლასკარის (ერთი ან რამდენიმე გვარის მეზობლად მოსახლე ოჯახებისაგან შედგენილი სადღეობი გაერთიანება) მორიგე მასპინძელი შობის დღესასწაულზე (იხ. ლასკარ“).

მოჩაჩინებული (რაჭ.) - თვეშომდგური (ქალი); მაკეობის ბოლო პერიოდში მყოფი (ცხოველი). ჩვენი ძროხა მოჩაჩინებულია, მალე მოიგებს (იხ. გაჩ., შდრ. ალავ.: მოჩიჩინებული; ქავთ. I: მოჩოჩინებული).

მოჩენილი (რაჭ.) - მაკე ძროხა, რომელმაც დღე-დღეზე უნდა მოიგოს (შდრ. ქეგლ: მჩნევიარე).

მოწრეტა (რაჭ.) - თევზაობის ერთ-ერთი სახე. პატარა მდინარის გადაგდება სხვა კალაპოტში.

მოჭყუდიაშ ფულუა („დედოფალას დამარხვა“) - მაგიური ხასიათი მეგრული რიტუალი, დაკავშირებული ავადმყოფის ირაციონალური ხერხით მკურნალობასთან (შდრ. „ზერანი“). თუკი გათვალვით მოხიბლულ ადამიანს სათანადო შელოცვა ვერ უშველიდა, შემლოცველი ავადმყოფის ტანსაცმლის ნაჭრებისაგან დედოფალას („მოჭყუდია“) შეკერავდა და სწეულთან ერთად ჩუმად ტყეში წავიდოდა; იქ მიწას ამოთხრიდა და დედოფალას შიგ ჩაფლავდა, თან იტყოდა: „როგორც ეს ვერ იქცევა ადამიანად და ვერც ადგება ადამიანის სახით, ისე შენს მავნეს არ ეაროს და არ ეცოცხლოს. შენ (ამბობდა გათვალულის სახელს) თავისუფალი იყავი“. შემლოცველი ავადმყოფს ზურგზე ხელს გადაუსვამდა და კისერზე შეაბამდა ნათვალევის („ნათოლე“) წამალს

(სამეგრელოში ნათვალევის წამლად მიჩნეული იყო: ტყავის ან ქსოვილის ნაჭერში ჩაკერებული მგლის კბილი, წითელი ტყემლის ხის ქერქი, წითელი ვაშლის ხის ქერქი, მწვანე შაბი, კაჟის ნატეხი და რიგი ბალახების - ქრისტეს ბეჭდის, დედა-ბოსტანას, შავ ბალახასა და სხვ. ფესვები; აგრეთვე, ქაღალდზე დაწერილი და ჩვარში სამკუთხედად შეხვეული შელოცვის ტექსტი).

ლიტ.: ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 340.

მოჭყულუმ ბურთიმ ყოთამა - „პატარძლის ბურთის გადაგდება“ - სამეგრელოში გავრცელებული წეს-ჩვეულება - პატარძლის მიერ ბურთის სროლა. პატარა აღდგომას („ჭიჭე თანაფა“; უწოდებენ, აგრეთვე, „ქალების აღდგომას“ - დიდი აღდგომის მომდევნო კვირა დღე) ხალხი გასართობად სოფლის მოედანზე შეიკრიბებოდა, სადაც ორ აღდგომას შორის მოყვანილ პატარძალს აუცილებლად ვერცხლის ფულებით შემოკრული ბურთი იქ მყოფთა მიმართულებით უნდა გადაეგდო. ვინც ამ ბურთს დაიჭერდა, გარდა ფულით დასაჩუქრებისა, მომავალში ბედნიერება და წარმატებები ელოდა.

ლიტ.: ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 9, გვ. 17 (ხელნაწერი ინახება ავტორთან); ა. ჭანტურია. ეთნოგრაფიული ნაწერები. მეგრული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებანი // თსუ შრომები. ტ. 227. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ., 1982, გვ. 227.

მოჭყულუმ დარსხება - „პატარძლის დახსნა“ - საქორწილო ციკლის მეგრული წეს-ჩვეულება საქორწინო ანტაგონიზ-

მთან დაკავშირებული რიტუალი: პატარძლის სახლში სუფრასთან მსხდარი ნეფის მაყრიონის აშლამდე მეჯვარე, მდაღთან ერთად, ქალიშვილის მშობლებს ეახლებოდა და მის ჩაბარებას მოთხოვდა. მეჯვარესა და მდაღს მიიყვანდნენ იმ ოთახის კართან, სადაც პატარძალი ტოლ-მეგობრებთან ერთად იჯდა. მეჯვარე კარზე დააკაკუნებდა და იტყოდა: „მოჭყულე ქომუჩით“ (პატარძალი მომეცი). შემდეგ მასსა და პატარძლის მეგობრებს შორის დიალოგი იმართებოდა:

პატარძლის მხარე: ჩქი მომირდუნა, ჩქი მომირთუნა, ანწი თქვა მუშა მოირთუმუნა? („ჩვენ გაგვიზრდია, ჩვენ მოგვირთავს, აწი თქვენ რისთვის მოსულხართ?“).

მეჯვარე: თქვა მოირდუნა, თქვა მოირთუნა, ჩქი ოყუნაფშა მომირთუმუნა („თქვენ გაგიზრდიათ, თქვენ მოგირთავთ, ჩვენ წასაყვანად მოვსულხართ“).

პატარძლის მხარე: თქვა ვაირდუნა, თქვა ვაირთუნა, ანწი თქვა მუშა მოირთუმუნა? („თქვენ არ გაგიზრდიათ, თქვენ არ მოგირთავთ, აწი თქვენ რისთვის მოსულხართ?“).

მეჯვარე: ჩქი ვამირდუნა, ჩქი ვამირთუნა, ჩქი ოყუნაფშა მომირთუმუნა („ჩვენ არ გაგიზრდია, ჩვენ არ მოგვირთავს, ჩვენ წასაყვანად მოვსულხართ“).

პატარძლის მხარე: თქვანო მორდუნს, თქვანო მორთუნს, ჩქი მუ? („თქვენთვის გაზრდის, თქვენთვის მორთავს, ჩვენ რა?“).

მეჯვარე: ჩქინო მორდუნს, ჩქინო მორთუნს, თქვა თენა („ჩვენთვის გაზრდის, ჩვენთვის მორთავს, თქვენ ეს“).

ამ დროს იღება კარი და მეჯვარე პატარძლის მეგობრებს წვრილმან საჩუქრებს (წინდებს, თავსაფარს, პირსახოცს და სხვ.) გადასცემს; თავად კი პატარძალს ხელს ჩაავლებს და უკვე უზოში გამოსულ მაყართან მიჰყავს.

როგორც ვხედავთ ეს არის საწესჩვეულებო დიალოგი, რომელიც ჟანრობრივი თვალსაზრისით რიტუალურ ფოლკლორს განეკუთვნება. დიალოგი აგებულია სინტაქსური პარალელებით. უნდა ითქვას, რომ რიტუალური ლექს-სიმღერების აგებაში სინტაქსური პარალელები და თვით რითმაც კი განსაკუთრებულ როლს თამაშობს. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ კიდევ ერთ დიალოგს, რომელიც სიძის სახლში მოვარდნილ მახარობელსა და ნეფის ერთ-ერთ ნათესავს შორის იმართება:

დამხვდური: წიე მუ რე გახარენს, მი მოყუნსუ მაყარემს? („ბიჭო, რა გახარებს, ვინ მოყავა მაყარებს?“).

მახარობელი: მა თინა რე მახარენს, მოჭყულუ მოყუნს მაყარემს („მე ის მახარებს, (რომ) პატარძალი მოყავთ მაყარებს“).

როგორც ჩანს, სინტაქსური პარალელებით აგებულ ტექსტში დასმული შეკითხვა ნაწილობრივ პასუხად მიღებულ ინფორმაციას შეიცავს. ამასთან, თვით რითმაც კი - „გახარენს - „მაყარემს“, „მახარენს - მაყარემს“ - საწესო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია (ასეთივე სურათი გვაქვს „პატარძლის დახსნასთან“ დაკავშირებულ დიალოგში). ამიტომ ვფიქრობთ, რომ მსგავსი პარალელებით რიტუალური ტექსტის აგებას საფუძვლად უდევს სასურველი ფაქტის რეალურ ფაქტად ქცევის მოტივი. „პატარძლი დახსნის“ წესი და თვით დიალოგის კატეგორიული ტონი წარმოაჩენს

მექორწინე მხარეთა შორის არსებულ, ქალის წაყვანით გამოწვეულ ანტაგონიზმს. მიუხედავად ამისა, დიალოგის ბოლო ნაწილში ქორწინება ორივე მხარის მიერ პოზიტიურადაა შეფასებული, რამდენადაც აქ ლაპარაკია თვით შედეგზე. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესო ტექსტის ნათელ წარმოდგენას გვიქმნის დიალოგში დროის გამონატვაზე: აწმყო დროის პოზიციიდან შეფასებულია მომავალი (ქორწინების შედეგი). დიალოგია აწმყო დრო - ესაა მისი ფუნქციონირება შერულების შედეგი თვით რიტუალში, ხოლო მომავალი - საწესო დანიშნულების შედეგი.

მართალია, „პატარძლის დახსნასთან“ დაკავშირებული დიალოგი საქართველოს სხვა კუთხეებში არ გვხვდება, მაგრამ თვით „დახსნა“, მისი „გამოსყიდვა“ ფართოდ არის გავრცელებული. აღნიშნული წესი კავკასიის ხალხების საქორწილო წეს-ჩვეულებათა წრეშიც ფიქსირდება.

ლიტ.: ნ. ანთელავა. ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამეგრელოში. თბ., 2005, გვ. 183-186.

მეჯველა (რაჭ.) - შავყურძნიანი ვაზის ჯიშია რაჭაში (იხ. ქეგლ, ჯავახ. ეკ. ისტ. ტ. HH, გვ. 442, ფრ. 28).

მურყვამ-ი (სვ.) - კომპი. ქვის მრავალსართულიანი თავდასაცავი და სამეურნეო ნაგებობა. ეთნოგრაფიული მასალით ირკვევა, რომ კომპების მშენებლობა მაინც გრძელდებოდა. კომპის ასაგებად საჭირო ყოფილა 9 საკირის გამოწვა. სამენ მასალად გამოიყენებოდა რიყისა და კლდის ქვა. რიგ შემთხვევაში ფიქალი, დუღაბად კირი და ქვიშა. სართულებისათვის ცალკე ამზადდებდნენ საგანგებო

ხსნარს, რომელიც ჩვეულებრივი დუღაბისგან იმით განსხვავდებოდა, რომ მას უმატებდნენ რძეში შეზავებულ ჭვავის ფქვილს, რაც კედელს აქცევდა მტკიცედ და თეთრ-მოყვითალო ფერსაც აძლევდა. სვანური კომკები მოცულობით დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. მათი საერთო სიმაღლე 25-35 მეტრია. კომკები არის ოთხკუთხეობიანი, კვადრატის ფორმისა (4X4; 5X5მ) და სიმეტრიულად მაღლა აზიდული. კომკი უმეტესად 5-6 სართულს მოიცავს. გვხვდება 4-5-სართულიანიც. ამ უკანასკნელი რიგის კომკებს პირველ სართულში აქვთ დილეგი („ლამტყვირ“), რომელსაც შესასვლელად პატარა კარი აქვს. მომდევნო თითოეულ სართულს, ერთიმეორეზე დადგმული ოთხკუთხეოთახები აქვთ, თითოეულშიასასვლელად ჭდეებიანი კიბეა გამოყენებული. ბოლო სართული დამშვენებულია ქონგურებით, კუთხიდან კუთხემდე სამ-სამი და იშვიათად ორი პატარა სარკმლით. კომკის რიგ სართულებზე დატოვებულია საისრესათოფური ხვრელები, რომლებიც გარედან ვიწროა და მაღალი, შიგნით კი ფართო. კომკების სახურავი ორქანობიანია და ფიქალი ქვით ან ყავრით არის გადახურული. კომკებს, უპირველეს ყოვლისა, თავდაცვითი - საბრძოლო და საყარაულო (სადარაჯო) მნიშვნელობა ჰქონდა. სვანებს თავის დროზე კარგად შეეძლოთ კომკიდან ისრის ტყორცნა და თოფით სროლა, კომკის ზედა სართულიდან კი ქვის დაშენა. 1876 წელს, როდესაც რუსის ჯარს წინააღმდეგობა გაუწია სოფ. ხალდეს მცხოვრებლებმა, კომკებს ზარბაზნები დაუშინეს. ბ. ნიჟარაძის (რომელიც ამ ამბების მოწმე იყო) გადმოცემით, ზარბაზნებმა ვერაფერი დააკლო მათ. ხოლო როდესაც ლაღუმი ჩაუდეს ოთხივე კედელში და ააფეთქეს, რამდენიმე მათგანი დაუნგრევლად, ძირიანად წამოიქცა მიწაზე. კომკის დამცველებს შეეძლოთ თვეობით გაეძლოთ მტრის ალყისთვის, რასაც ხელს

უწყობდა კომკებს შორის ურთიერთდამაკავშირებელი საიდუმლო გვირაბების და საცხოვრებელი სახლებიდან კომკში შესასვლელი კარების არსებობა. კომკების მე-2 და მე-3 სართულზე ჩაკირული ქვევრები და კიდობნები გამოიყენებოდა წყლისა და სურსათ-სანოვავის შესანახად. კომკს ოჯახი საყოფაცხოვრებო თვალსაზრისითაც იყენებდა. იქ ზაფხულში ინახავდნენ პროდუქტებს და იძინებდნენ კიდეც. სვანეთში დღემდე დაცული 200-ზე მეტი კომკისა და ნაკომკარის უმეტესი ნაწილი XI-XII საუკუნეებშია აშენებული, ხოლო მათი მშენებლობის საწყისი ეტაპი კი VI-VII საუკუნეების ბიზანტიურ წერილობითი წყაროებით დასტურდება. ფეოდალური ხანის ვრცელ პერიოდში სვანეთში ქვითკირით საცხოვრებელი სახლებისა და გამაგრებული ციხეების მშენებლობა მაღალ დონეზე მდგარა. კომკის აღრინდელ საწყის ფორმად მიჩნეული ციხე-სახლი (კომკიანი საცხოვრებელი სახლი) ბოლო დრომდე შემოინახა უშგულის ეთნოგრაფიულმა ყოფამ.

ლიტ.: მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1961; ქართული მეტერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

მტევანი -- ძვ. ქართული ენის ძეგლებში „ტევანი“ - ვაზის ერთი გამორეული ნაყოფი, რომელიც ერთმანეთისაგან მარცვლების სიმჭიდროვით, ფორმით, ფერით განსხვავდება. მაგალითად, წვრილმარცვალა (ქართ.), მრგვალმარცვალა (კახ.), მეჩხერიანი//ქარაფა-ქარაფცუა, ჭიდრო//ფხრიანი (იმერ.). თხელ მტევანს 11 სინონიმური ვარიანტი ეძებნება, კუმს მტევანს - 9. ქართველი მეურნე ვაზის კულტურის ურთულეს ბუნებას ისე ჩასწვდა, არ დას-

ჯერდა ძირითად ზოგად სახელწოდებებს და დეტალურად აღნიშნა ვაზთან დაკავშირებული ყოველი წვრილმანი. იხ. კლერტი, კუფხალი.

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებ., 1978:45-51, 169.

მტრედისფხა -- წითელყურძნიანი ვაზის ჯიში იყო. მადლარების სახით ქვემო გურიისა და ქვემო აჭარის მთისპირად მდებარე სოფლებში იყო გავრცელებული. სამეგრელოს რაიონებში მტრედისფხა „ტოროკუჩხის“ სახელით იყო ცნობილი. „ტორონჯი“ მეგრული სიტყვაა და მტრედს ნიშნავს. ტოროკუჩხის ყურძნიდან ადგილობრივი მოსახლეობა საკმაოდ მაღალი ღირსების ღვინოს ამზადებდა, რომელიც შენახვის უნარიტა და ტრანსპორტაბელობით ხასიათდებოდა. ვაზის ავადმყოფობის გამო, ამ ჯიშის მადლარები სამეგრელოში უკვე განადგურებულია.

ლიტ.: მ. რამიშვილი, გურიის, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები, თბ., 1948.

მტყობიე / მაწევარი - მწუხარების მაცნე ხევსურეთში. ა. ოჩიაურის მიხედვით, გარდაცვლილი ოჯახში „მოსული კაცები ბანზე ისხდნენ და საუბრით ჭირისპატრონს ართობდნენ, შემდეგ წილს ყრიდნენ... კერძოდ, დაჭრიდნენ წვრილ და ნედლ ჯოხს ან ბალახის ღეროს პატარა ნაჭრებად; ყველა დანიშნავდა თავ-თავის წილს... ჩაყრიდნენ ქუდში, დაასახელებდნენ ხევსურეთის რომელიმე სოფელს და ვისი წილიც ამოვიდოდა, ამ სოფელში ის წავიდოდა მტყობიედ (შესატყობინებლად)... მივიდოდა სნაპირას და გამოიძახებდა ჭირისპატრონის რომელიმე ნათესავს, რომელსაც თვითონ დაუსახელებდა ჭირისპატრონი. ამ კაცმა თუ იცოდა,

რომ ავად იყო და მოსალოდნელი იყო მისი ნათესავის გარდაცვალება, მაშინვე იეჭვებდა, რისთვისაც მოვიდა კაცი... იგი მტყობიეს ეტყოდა: „მახვე მშვიდობით“ (მტყობიეს არ უუბნებიათ გამარჯვებას. სხვა დროს თუ უთხრეს მამაკაცს - მახვე მშვიდობითო, ის გაცხარდება: ქალად გამხდაო, და შუღლს აუტეხს). მტყობიე უპასუხებდა: „გადღეგძელას ღმერთმ“. სანამ ამბავს ჰკითხავდა, მტყობიეს ეტყოდა: „შენ კას საქმეზე არ ეტყობი გაჟჯილი“. „შენს მტერსა, მოავეს მაუვიდეს ეგეთ, რა-ზედაც მე აქ მავედ“, - ეტყოდა მოსული და დაუმატებდა იმ ამბავს, რაზედაც გარჯილიყო: აესა და ეს კაცი მოკვდაო. ნათესავი ძალიან დაინანებდა - ცუდი საქმე მომხდარაო, შეიძლება ცრემლებიც გადმოეყარა, მაგრამ წესს მაინც არ დაკარგავდა და მტყობიეს ამბავს ჰკითხავდა. ამბის კითხვას რომ მოათავებდნენ, მტყობიეს სახლში დაპატიჟებდნენ და პურს აჭმევდნენ“. თუ ზაფხული იყო, მტყობიე ყველა სოფელს დაივლიდა და კაცის გარდაცვალების ამბავს თავად შეატყობინებდა; ზამთარში კი (განსაკუთრებით ბუდეხევსურეთში) სოფლები ერთმანეთს „გაძახნებით“ ატყობინებდნენ.

მტყობიეს სტუმრების მოსაწვევად მიცვალებულის სახელზე გამართული ხარჯის დღეებშიც (საქნარი დღე, სანთელ დღე, წელთავება) აგზავნიდნენ. ჭირისპატრონი საქნარ-დილას მტყობიებს დაუძახებდა და მიიყვანდა კოლებთან, სადაც არაყი და ლუდი ინახებოდა და დაალევინებდა; შემდეგ დაარიგებდა, ვისთვის უნდა ეთხოვათ „გაძახნება“ ამა თუ იმ სოფელში, განსაკუთრებული პატივით ვინ უნდა დაეპატიჟნათ (იხ. „ქუდით თხოვნა“).

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართვე-

ლოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940, გვ. 8; ბ. გაბუური. ჰევსურული მასალები // საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული. 1923-1924, I-II, გვ. 128; ალ. ოჩიაური. სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში. თბ., 1980, გვ. 55-56.

მუზა - ერთ-ერთი დევი, რომელიც, დევ ბედელასთან ერთად, იახსარისა და კოპალას მიერ იქნა მოკლული.

მუზარადი - თავდაცვითი საჭურვლის სახეობა. გამოიყენებოდა ბრძოლის დროს თავდაცვის მიზნით. არქეოლოგიური მასალის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ბრინჯაოს მუზარადები, ხოლო გვიან საუკუნეებში მას რკინისა და ფოლადისაგან დამზადებული მუზარადები ცვლის. შუა საუკუნეების საუკეთესო ქართული მუზარადები საქართველოდან ევროპაში გაიტანეს მუზეუმის უცხოელმა თანამშრომლებმა. გვიანფოდალური ხანის ქართული საბრძოლო თავსაბურავები ძირითადად ოთხი სახისაა-ჩაჩქანი (ჯამის ფორმის), კვერცხისებური მუზარადი, ფაფანაკის ფორმის და ჩაბალახი. ქართული მუზარადები დამზადებულია ფოლადისაგან, კვერცხისებური თავსაბურავი ბოლოსკენ წაწვეტებულია და მთლიანობაში ძაბრისებულ ფორმას ღებულობს, წვერი უმეტეს შემთხვევაში ოთხწახნაგა შუბისპირით ბოლოვდება. ზედაპირზე უმეტესად გამოსახულია სხვადასხვა ორნამენტები და ვარდულები. მუზარადს წინა მხარეს აქვს საცხვირე (ცხვრის დასაცავი), რომელიც საჭირო მდგომარეობაში ხრახნის საშუალებითაა მიმაგრებული. მუზარადზე უკანა მხარეს, ყურებისა და კისრის დასაცავად, გარშემო დამაგრებულია ჯაჭვის მჭიდროდ ნაქსოვი ბადე (ზარადი). მუზარადს შიგნიდან გამოკრული ჰქონდა ნაბადი, ვინაიდან შიშვლად რკინის და-

ფარების შემთხვევაში, შესაძლოა მოწინააღმდეგის დარტყმა მებრძოლისათვის სავალალო შედეგით დამთავრებულიყო. მეომრები სვამდნენ გამარჯვების სადღეგრძელოს დამარცხებულთა მუზარადით. ხშირად მტრის მუზარადი ეკლესიისათვის შეუწირათ. მუზარადი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მას საბოძვრად, საჩუქრადაც გამოიყენებდნენ (იხ. აბჯარი). გარდა ამისა, საქართველოში წარჩინებული ვაჟკაცი იარაღის ხარისხითაც ფასდებოდა, „მანუჩარმა... ოქროიანი მუზარადი თავს დაირქვა“ ან „ლიპარიტის... ოქროთ მოჭედილსა ფარსა მისგან და მუზარადისა მიერ სხივნი სცვიოდენ ვითარცა მზისა მიერ“ და სხვ. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში, ხალხურ პოეზიასა და წერილობით წყაროებში უფრო ნაკლებად გვხვდება ტერმინი „მუზარადი“. ქართველები მას უმეტესად „ჩაჩქანს“, ასევე „ჩაფხუტსა“ და „ჩაბალახს“ უწოდებენ. მაგ.: „ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქროსი“ ან „საჩქაროდ გადაიხურა ჩაჩქანი ზარადიანი“ და სხვ.

ლიტ.: კ. ჩოლოყაშვილი, ქართული საჭურველი (ჩაჩქანი), სსმმ ტ XIX-A XXI-B, 1957; ქართული მეტერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

მუჟირა || **მუჯირა** (სვან., რაჭ.) - მონადირის აღჭურვილობაში შემავალი დაახლოებით 1.5 მეტრის სიგრძის შინდის ხის რკინისწვეტიანი (საკუთრივ მუჟირა) კეტი, თანმუზრდილი ან სპეციალურად გაკეთებული ხელსაყიდი ქანჩით, რაც მას ორკაპას ხდის. მუჟირა მონადირეებისათვის მეტად საჭირო იარაღია: უპირველეს ყოვლისა, იგი სანდო საბჯენია კლდოვან ადგილებში სიარულის დროს, შეუდარებული იარაღია ყინულიან ქარაფზე საფეხურების ამოსაკვეთად, ძალიან კარგად ასრულებს მაგარი საყრდენის ფუნქციას

თოფისთვის სროლის დროს, ასევე დაჭრილ ნადირთან ხელჩართულ შეხვედრისას სასიკვდილო იარაღს წარმოადგენს გამოცდილი მონადირის ხელში. სვანეთში ბავშვების სხვადასხვა სახის სათამაშოთა შორის მუჟირას მიზანში სროლაც არის დამოწმებული, რაც იმის დასტურია, რომ მუჟირა ოდესღაც სასროლ იარაღადც ყოფილა გამოყენებული.

ლიტ.: ალ. რობაქიძე, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, 1941.

მუჟედჷ || მუჟოდ („წინამძღოლი“)
/ ფუსნა ლემზირ || ფუსნა ლემზირ /
ფუსნა ტაბწლ - დიდი ღმერთის - ფუსნაბუჰსდიას / ხომა ღერბეთის სახელზე ახალ წელს შესაწირავი ჯვრისსახოვანი კვერი, რომელსაც მხოლოდ კაცები ჭამდნენ.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. თფ., 1939, გვ. 88, 93, 94, 95, 96, 97, 98, 138, 139, 140 და სხვ.

მუჟუნდი / ჭიაფერა - ხის ჭიისგან დამზადებული საღებავი. საღებავად ვარგისი ჭია მრავალწლიან მცენარეებზე, განსაკუთრებით მუხაზე ბუდობს. მათ აგროვებდნენ, ახმობდნენ, ფქვავდნენ და საღებავს ამზადებდნენ. ჭიაფერში შეღებილი ქსოვილები ძოწეულის სახელით იყო ცნობილი. ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

მუსი მურყვამ-ი („თოვლის კომკი“) - სვანური საახალწლო ციკლის დღეობების (ბარბლჷმ-ის, შუშხჷმ-ის, ზომხა-ს) დროს უმეტესად კალოზე დადგმული თო-

ვლის კომკი (მდრ. „ლამმუნ“), რომლის თავზე ჯული (იხ.), გჷიზ-ი (იხ.), კჷაფხწლ-ი (ყლორტებიანი თხილის ტოტი) იყო ჩარჭობილი. სოფ. ლენჯერში ზომხა-ს დღეობაზე კალოზე დადგმულ ასეთ კომკს ზურგზე შემოსალოც წამოკიდებული ქორჯ მწჷმხი (შინაური მეკვლე), ხართან ერთად, წაღმიდან შემოუვლიდა, შემდეგ დაიჩოქებდა ლაჭმხიწრ-ს (შემოსალოცს) ამომავალი მზისკენ აღმართავდა და „წლის შემცვლელს“ (ზჷრია მწცჷლ-ს) შეევედრებოდა: ახალი წელი კეთილი და გვიყენე, ოჯახი ბარაქით აგვივსეო. სოფ. ლაშთხვერში ბარბალობაზე მთავარანგელოზის ყმა უდესიანები და ჯაჯვანები ეკლესიის მოედანზე აღმართავდნენ დიდ თოვლის კომკს, შუაგულში ხეს დაატანებდნენ და მის წვერზე ხის ჯვარს დაამაგრებდნენ. მოგვიანებით, შექეიფიანებულები კჷირია-ს (საგალობელი) სიმღერით კომკს გარშემო უვლიდნენ, შემდეგ კი ნიჩბებს მოიმარჯვებდნენ, უბნების მიხედვით დანაწილდებოდნენ და ყოველი უბნის კაცები კომკის ძირის გამოთხრას თავისი მხრისკენ გამალებით შეუდგებოდნენ; რომელ მხარესაც კომკი წაიქცეოდა, იმ მხარეს კარგი მოსავალი იქნებოდა. გარდა ამისა, კარგი მოსავლის დაბეჯებისათვის მნიშვნელობა იმასაც ჰქონდა, თუ ვის ჩაუვარდებოდა ხელში კომკის წვერზე აღმართული ჯვარი.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. თფ., 1939, გვ. 10-11, 101, 141, 153.

მუყუდო (რაჭ.) - ბალახოვანი მცენარეა, მთაში იზრდება. მოგრძო ფოთლები და ზარისებრი ყვავილები აქვს. მის ნორჩ ყლორტებს ჭამენ, - კენკემა. მუყუდოს უმადა ვჭამთ (იხ. მაყ.).

მუშტა - თერძების იარაღი, ტყავის გა-

სასწორებელი, უტარო, თავიანი მეტალის ნივთი (ძირითადად თითბრისა და ხისა), რომელიც ხელოსანს მუშტში უჭირავს და მისი მრგვალი და ფართო თავით ტყავის დაჭმუჭნულ ნაწილებს ნელი დარტყმით ასწორებს.

მუცლის სალოცავი - მცირე ზომის საშობაო ყველიანი კვერი, რომლის შუა ნაწილში მთლიანი ან ნახევარი კვერცხია მოთავსებული; აცხობდნენ გურიაში ბრავაწობის (შობისწინა) ღამეს ოჯახის ყველა წევრისთვის. ასეთ კვერს შობა დილით დიასახლისი ბავშვებსა და ზრდასრულებს მუცელზე სამ-სამჯერ გაავლებდა და დაილოცებოდა: „ამისი მუცლის ტკივილი აღმა - ქარს, დაღმა - წყალს“. დალოცვილებს მუცელზე შემოვლებული კვერები მაშინვე ერთიანად უნდა შეეჭამათ. მისი თუნდაც ნამცეცის სხვისთვის მიცემა არ შეიძლებოდა, რადგან მუცლის ტკივილი გადაყვებოდა. სწამდათ, რომ მუცლის სალოცავის მირთმევით მთელი წელიწადი მუცლის ტკივილისაგან დაზღვეულნი იყვნენ.

ლიტ.: ა. წულაძე. ეთნოგრაფიული გურია. თბ., 1971, გვ. 74-76.

მუჭუარ-ი („რქები“) - სვანური რიტუალური კვერის ქიმები.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. თფ., 1939, გვ. 85, 97, 98, 99, 101, 130.

მეშგალიამ ლიმზურ-ი (სვ.) - წველის ბარაქიანობისა და მწველელი ქალების (მეშგალიამის) სახელობის სვანური წეს-ჩვეულება; იმართებოდა თიბვის დაწყების წინ, მწყემსების მიერ ლოცვა-შეწირულობის (ლიმზურის) ჩატარების შემდგომ შაბათს. ყოველი ოჯახი და ძროხის მეწველი ქალი სოფლის ეკლესიის ლადაბაში (იხ.)

მიდიოდა და თან ერთი ჯამი ფქვილი და წველა ყველი მოჰქონდა. იქ მწველელები ფქვილსა და ყველს გააერთიანებდნენ, თითოეულისთვის თითო ყველიან კვერს გამოაცხობდნენ და ბარბოლს შეწირავდნენ; ამ დროს ასაკით უფროსი ქალი ილოცებდა: „ბარბოლ ანგელოზო, მაღლიანო, ყველა მეწველი საქონლისა და მწველელი ქალის სალოცავი დღე არის, ამ დღეს კარგ გულზე გვამყოფე“. ლოცვის დასრულებისთანავე კვერებს იქვე შეჭამდნენ.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. ღვთაება ბარბარ-ბაბარ. თბ., 2006, გვ. 22-23.

მეშიამალ-ი / მეშიამ-ი (სვ.) - ლიშიამალის (იხ.) შემსრულებელი.

მეჭმხი („მეფერხე“) - ახალწლის მეკვლე. სვანის ოჯახს ახალ წელიწადს რამდენიმე მეკვლე ჰყავდა, რომელთაგან ერთი ოჯახის წევრი, ანუ შინაური მეკვლე იყო („ქორა მეჭმხი / სგა მეჭმხი“), მეორე - გარეშე, ანუ სხვა ოჯახიდან მოსული („ქამე მწჭმხი“) და მესამე - ხარი („მეჭმხი ქუილგმგენე“).

მღალავი - 1. ყოველგვარ ავსულთა (კუდიანთა, ავი თვალისა და ფეხის მქონეთა, ჭინკათა, ქაჯთა, ეშმაკთა და სხვათა) საერთო სახელწოდება; 2. ავსულთა სადგომი (შდრ. იმერული თქმა: „სა მღალავში იყავი“ (პ. გაჩეჩილაძე. იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა. თბ., 1976).

მდილის უქმე / კირკილას უქმე - გაზაფხულზე, ყველიერის ორშაბათს დაწესებული უქმე, რომლის დროსაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები ჩრჩილის საწინააღმდეგო საწესო მოქმედებას ასრულებდნენ. მდილს, კირკილას

(გუდამაყარი, ფშავი) - ჩრჩილს - დიდი ზიანი მოჰქონდა, ღრღნიდა და ანადგურებდა მატყლის ქსოვილებსა და ტანსაცმელს. ამიტომ აღნიშნულ დღეს ოჯახის დიასახლისი დილაადრიან ადგებოდა, უბრად მატყლიდან რამდენიმე მხარ ძაფს დაართავდა, თითისტარზე დაახვევდა, შეულოცავდა და კედლის ნიშში შედებდა. მორწმუნეთა წარმოდგენით, ჩრჩილი ამ ნართს დაეხვეოდა და მატყლის ნაწარმს არ გაეკარებოდა.

ფშავში უქმეთა რიგში ყველიერის ოთხშაბათი კირკილთ - ჩრჩილთ - საუქმე დღედ ყოფილა გამოცხადებული. ოჯახის უფროსი ქალი ოთხშაბათს დილაადრიან უმძრახი ერთ მხარ ფარტენას ჩამოართავდა ერბოთი გაჰპონხავდა და ეზოში საღმე ყორეში შემდეგი სიტყვებით შედებდა: „წელს ეს და კლოვ სხვას მოგართმევ, მოერიდე ჩემს ნახელავს ყველას, ჩემ ნართავ-საჩეჩს, ჩემ ნაქსოვ-ნაკერებს, ჩემ ბარგ-ბინას“.

ლიტ.: ც. ბეზარაშვილი. მასალები ფშაველი ქალის ჩაცმულობის შესწავლისათვის // საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები. თბ., 1964, გვ. 27; გ. ჩაჩაშვილი. ოჯახურ საფეიქრო წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი უძველესი რწმენა-წარმოდგენის შესახებ საქართველოში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XVI-XVII. თბ., 1972, გვ. 105.

მლოდავი უქმე - ასე უწოდებენ გურულები მოძრავ რელიგიურ დღესასწაულს. იგი ძირითადად დიდმარხვითა და აღგომით გამოითვლებოდა.

ლიტ.: ი. მეგრელიძე. ხალხური დღეობები ძველ გურიაში. 1. ბოსლობა // ხელეური. მასალები სა-

ქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXII. თბ., 1985, გვ. 149.

მყვირალი / მბღავანი / კრუტი (თუშ.) - თუშური დემონური არსებები - საცხოვრებელი ნაგებობის ფუძის ბინადარნი; არიან ამბივალენტურნი: წითელ-თეთრად დაჭრელებული ხბოს სახის მქონენი ოჯახს მფარველობენ, შავი ფერისანი - ვნებენ; ხშირად ჩნდებიან საქონლის ბაგაში. მათთან უცაბედი შხვედრა ავის მომასწავებელია. მყვირალი ზოგჯერ სოფლიდან მოშორებით, ხიდის თავში წევს და ადამიანის დანახვაზე ღრიალით ქრება. კრუტი კრუნისებურად კრიახობს.

ლიტ.: ნ. აზიკური. მასალები თუშური დემონოლოგიიდან // ისტორიულეთნოლოგიური ძიებანი. 2016, XVIII, გვ. 173-174.

მუხური (რაჭ.) -კუთხოვანი კრამიტი, რომლითაც სახურავის კუთხეებს ხურავენ.

მუჯირა || მუჟირა (რაჭ.) - 1. საბიჯგი ჯოხი, ბოლოში წვეტიანი რკინით (უფრო ზამთარში ხმარობენ). 2. მონადირის ჯოხი. მაგარი ხის გრძელი ჯოხი, რომელსაც ხელის მოსაკიდებელ ადგილზე კაპი აქვს. ჯოხს ბოლოში წაწკეტებული რკინა აქვს, სიგრძით 15-25 სმ. იხმარება ყინულში საფეხურების ა??????????

მუჯურეთული || მუჟურეთული (რაჭ.) - შავყურძნიანი ვაზის ჯიშია. ალექსანდრეულის ვარიაციად თვლიან. საუკეთესო ხარისხის საღვინე მასალას იძლევა.

მუჯურო (რაჭ.) - ჭურის ქვემო, დავიწროებული ნაწილი; ფსკერი (იხ. ფრ., 173, ჩიქოვ.).

მყნობა -- ვენახის გასაშენებლად, ფილოქსერის (ვაზის ავადმყოფობა) გავრცე-

ლების შემდეგ, შემოიღეს ვაზის მცნობა საქართველოში. ახლა ვაზს მწარე ლერწმზე - საძირზე ამყნობენ, იმას ფილოქსერა არ უჩნდება, სხვა რამემ თუ არ შეუშალა ხელი. წინათ დამყნობა არ იცოდნენ. მცნობა სხვადასხვაგვარია და სახელიც სხვადასვა ჰქვია. სახელდობრ, კალმით, კინწრით// კინწრით მცნობა, ცივათ მცნობა, დაკალმება და ა. შ. იხ. ნამყენი ვაზი.

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებ. 1978:110-111.

მშვილდი - საბრძოლო და სანადირო იარაღი, ისრის სასროლი. საქართველოში უხსოვარი დროიდან იცნობდნენ მშვილდ-ისარს, ხოლო ადრებრინჯაოს ხანაში, ხმარებაში ყოფილა როგორც დიდი (ადამიანის სიმაღლე), ასევე პატარა ზომის მარტივი და შედგენილი მშვილდები. ამ პერიოდიდან მოყოლებული XV-XVI ს-მდე, ვიდრე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ფართო ხასიათს მიიღებდა, მშვილდ-ისარი წარმოადგენდა შორ მანძილზე სროლის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას, ძველთაგან მომდინარე შურდულთან და შედარებით გვიან გაჩენილ არბალეტთან ერთად. თუმცა თოფის გამოგონების შემდეგაც მშვილდი დიდხანს ინახავდა საბრძოლო და სანადირო იარაღის ფუნქციას. ეს იარაღი მეომრებს საშუალებას აძლევდა ბრძოლა ეწარმოებინათ 150-200 მეტრამდე რადიუსში, თუმცა რეალურად ეფექტური დისტანცია 50-100 მეტრი იყო. შუა საუკუნეებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ე.წ. თურქული, მონღოლური, ინგლისური და სხვა სახეობების მშვილდები. ყველაზე შორსმსროლელს თურქული შედგენილი მშვილდები წარმოადგენდა, რომელთა სარეკორდო მაჩვენებლებიც 500-800 მეტრზე აღიოდა, მაგრამ ეს ამ იარაღის „სპორტული“ მაჩვენებელია და არა საბრძოლო. საქართვე-

ლოში ფართოდ იყო გავრცელებული თურქული და მონღოლური მშვილდები, თუმცა ადგილობრივადაც მზადდებოდა. ქართული მშვილდები, მათი დამზადების მასალის მიხედვით ორი ძირითადი სახისაა: მარტივი (ხის) და შედგენილი (ხე, რქა, ძვალი, ლითონი). მშვილდი კეთდებოდა ადამიანის გაშლილი მკლავების სიგრძე, მარტივი მშვილდი შედგება ხის ტოტის და მის ორივე ბოლოზე მიმაგრებული დაწნული თოკისაგან, რომელსაც ხევსურეთში „საბამი“ ეწოდებოდა. საბამი ჩვეულებრივ რქოსანი საქონლის ტყავისაგან ან ნაწლავებისაგან მზადდებოდა, გამოიყენებდნენ მცენარეულ ბოჭკოსაც, უკანასკნელ ხანს ამ მიზნით დაწნულ კანაფსაც ხმარობდნენ. მშვილდი უფრო ხშირად შოთხვის, თხილის, იფნისა და დგნალისაგან მზადდებოდა. სამშვილდეს ერთი კვირა გამოაშრობდნენ, შემდეგ გამოსაყვანად დებდნენ ნაკელში ან ცხენის მჩორეში ერთი-ორი კვირით. ზოგი მას ალუდის (ლუდის) სახარშ ქვაბში ხარშავდა, ზოგიც არყის ბუცი (ბუცი - არყის გამოხდის შემდეგ დარჩენილი ნაძირალი). გამოხარშვის შემდეგ გააცლიდნენ ქერქს და შუაში „სახელურას“ დაუტოვებდნენ. შემდეგ გოზანებს (გოზა - სახელურასა და კილონს შორის ადგილი) გვერდებს ჩაუთლიდნენ ელასტიკურობისთვის და ბოლოში გაუკეთებდნენ სამკუთხა ფორმის ქდეებს, რომელსაც „კილონი“ ეწოდებოდა. კილონი საბამის დაჭიმვას ემსახურება. საბამი მშვილდის ერთ ბოლოში მკვიდრადაა დამაგრებული, ხოლო თავში მარყუჟი აქვს გამონასკვული, რომლის საშუალებითაც ხდება მშვილდის „ჩამოყრა“ ან დაჭიმვა. მარტივი მშვილდის კატეგორიაში ერთიანდება ერთი მერქნისაგან დამზადებული მშვილდები, რომელთაც გაიარეს ან არ გაუვლიათ მუშა მდგომარეობაში მოყვანამდე სხვადასხვა დამუშავება (ნაკელში, მჩორეში, ლუდში, ბუცი და სხვ), მათ რიცხვში შედის აგრეთვე

ისეთი მშვილდები, რომელთა გოზანების გასაძლიერებლად დახვეული აქვს ტყავი, ნაწლავი, ლითონის მავთულები ან სხვა სარტყელები (ასეთ მშვილდებს ზოგიერთი მკვლევარი რთული მშვილდების კატეგორიაში განიხილავს). მარტივ მშვილდებს, საბას განმარტებით, „ბზაკალი“ ეწოდება. შედგენილი მშვილდის კატეგორიაში ერთიანდება ისეთი მშვილდები, რომლებიც შედგება სხვადასხვა მასალისაგან (ჩანართებისაგან - ძვალი, რქა, რკინა, ხე და სხვ). ამ მხრივ საინტერესოა ვახუშტის ცნობა გუდამაყრელთა შესახებ: „მშვილდმომქმედნი, აკეთებენ რქისაგან მჯიხვისა, თხისაგან და ხართაგან“. საბას განმარტებით, რქისაგან დამზადებულ მშვილდს აჯის მშვილდი ეწოდებოდა. ამავე კატეგორიას განეკუთვნება ორი ან სამგოზა მშვილდებიც. საყურადღებოა აგრეთვე საქართველოში ჯიდა მშვილდების არსებობაც, საბას განმარტებით - „ტყეთა შინა სასხლეტად მორთვენ მშვილდ-ისართა. რა ნადირნი გავლიან, შესძრავს, დასხლტება, მოჰკლავს“, ე.ი. ჯიდა მშვილდი, მანვე მშვილდია. მშვილდს მხარზე ან მხარიდლივ გადაკიდებულს ატარებდნენ, არსებობდა აგრეთვე მშვილდის „შთასადებელი“ რომელსაც - „ხილიფა“ ეწოდება, ხოლო საისრეს ისრის ქარქაში - „კაპარჭი“. მშვილდის მოზიდვის თავისებურებათა თვალსაზრისით, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ექვსი სხვადასხვა წესი: მარტივი, მეორეული, მესამეული, ხმელთაშუაზღვისპირული, მონღოლური და ვუტეს წესი, ხოლო საქართველოს ეთნოგრაფიული მასალის, კერძოდ თუშური მონაცემების მიხედვით დადგენილია მშვილდის მოზიდვის შემდეგი ვარიანტები: 1. წიკუთ მოწევა; 2. უბრალოდ მოწევა; 3. მჯიღით მოწევა; 4. ჯიგვური და 5. მუჯუგნით მოწევა. ამათგან ქართული წიკუთ მოწევა, ჯიგვური და მუჯუგნით მოწევა საერთოდ უცნობია

ზოგადი მშვილდის მოზიდვის კლასიფიკაციისათვის.

ლიტ.: ვ. ელაშვილი, მშვილდოსნობა, 1959. ს. მარგიშვილი, შუა საუკუნის სამხედრო ხელოვნება და საქლოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV სს. ნაწილი I. 2008; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

მშობიარის ბადე - ავსულთაგან მშობიარე და მელოგინე ქალისა და ახალშობილის დაცვის ერთ-ერთი ტრადიციული საშუალება. როგორც ჩანს, სათევზაო ბადეს, გარდა მისი სამეურნეო დანიშნულებისა, გარკვეული მაგიური ძალა მიეწერებოდა. საამისოდ იყენებდნენ მხოლოდ წრიული ფორმის სასროლ ბადეს, რადგან, ხალხის შეხედულებით, ავი ძალა წრეში მოქცევას, მასში გახლართვისა და წრიდან გამოუღწევლობის შიშით, გაურბოდა, ან კიდევ წრეში შეღწევას ვერ ახერხებდა (შდრ. მიწაზე წრის შემოხაზვის წესი სხვადასხვა რიტუალებში; გამჭოლი სიმრგვალის მქონე საწესო საგანთა მაგიური ფუნქცია; საჩვენებელი და ცერა თითების რკალში ღვინის გატარება და სხვ.). საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, მათ შორის ლაზეთსა და საინგილოში, ბადეს მშობიარე და მელოგინე ქალის საწოლთან კიდებდნენ (ზოგან ისე, რომ ქერამდეც კი აღიოდა), ან დედა-შვილს ერთად, ან კიდევ ქალს თავზე გადააფარებდნენ, უჩმური ვერაფერს დააკლებსო (ჯავახეთი, აჭარა, გურია, სამეგრელო), ღამდამობით შემოაკრავდნენ აკვანს (ლაზეთი. იხ. „ჯაზი“) და ა. შ. ერთი კვირის შემდეგ ამდგარი აჭარელი მელოგინე მარჯვენა ხელში წალდს ან დანას დაიკავებდა, მარცხენაში - მუგუზალს, პირში თავისავე თმას ჩაიდებდა, ბადეს წელზე შემოიკრავდა და გარეთ ასე გავიდოდა.

როგორც ირკვევა, ბადეს, რომელიც მშობიარე და მელოგინე ქალის ავი თვალისა და მავნე სულებისაგან დასაცავად გამოიყენებოდა, ძველად საგანგებოდ ქსოვდნენ. იგი ჩვეულებრივი სათევზაო ბადისგან ფერითაც და მორთულობითაც გამოირჩეოდა (შდრ. სულხან-საბა: „იქმენ აბრეშუმთაგან ბადე კარავთა, ოქრო-ვერცხლთა მოპეტალებულთა, დიდებულთა ცოლთა შობიარეთათვის“; ვ. ბატონიშვილი: „რა ჟამს განთავისუფლდის ქალი იგი და იშვის ყრმა, წარვიდის მთხრობელი მათთა ნათესავთა და მეგობართა თანა და სამშობლოსა ქალისასა, დღესა მესამესა, ჟამსა ბინდისასა შეაწვენენ ქალს ტახტსა ზედადიდათ ტურფითა საგალობელითა და გარდააგდებენ ბადებრ შვენივრად მოქსოვილსა ბაღდახინად“). ჩვენთვის საინტერესო საგანგებოდ მოქსოვილი ბადის ერთი ნიმუში საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებშიც არის დაცული. მის აღწერილობაში ვკითხულობთ: „ბადე მშობიარე ქალისა № 9-35/2, ენდროსფერი აბრეშუმის ძაფისაგან მოქსოვილი, ფუნჯები კი მწვანე ფერისა აქვს, ალაგ-ალაგ ვარსკვლავისა და მრავალკუთხედის ფორმის, თეთრი ფერის ბრჭყვიალა მძივებით შემკული ნაჭრები აქვს მიკერებული“. გ. ჩურსინის თანახმად, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების მუზეუმში დაცული ბადე მშობიარის საწოლთან ჩამოსაფარებლად ან ჩამოსაკიდად საგანგებოდ არის მოქსოვილი წითელი აბრეშუმის ძაფისგან და დაფარულია ზემო იმერეთიდან ჩამოტანილი მძივებით.

გარდა აღნიშნულისა, აჭარაში ავი თვალის საწინააღმდეგო სათევზაო ბადის ნაჭერს საქონელს რქებზე შემოახვევდნენ, ხოლო გურიაში, ამავე მიზნით, იგი უქმურის საწინააღმდეგო ლოცვებშიც იხსენიება („იხირხალი კარგია, ბადე თავსასთუმალსა, საჩეჩელი გვერდსა,

სამი ძმაი თავდგირიძე კვალს უკლოვენ აღს უქმურსა, მიეწია მთასა, ხელი სტაცა მკლავსა, ვაი რა ეშველება, ხვალ კი სჭრიან თავსა“).

ლიტ.: ვ. ბატონიშვილი. ისტორიები აღწერა. 1914, გვ. 18-19; ა. თანდილავა, მ. ვანილიში. ლაზეთი. თბ., 1964, გვ. 126; ნ. კაპანაძე. მშობიარობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი სამეგრელოში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXIII. თბ., 1987, გვ. 230-231; არქ. ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თბ., 1938, გვ. 67; ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 271; ქ. მირიანაშვილი. სათევზაო ბადეების რელიგიური მნიშვნელობა // XXIII. თბ., 1987, გვ. 232-235; ჯ. ნოღაიძე. ეთნოგრაფიული ნარკვევები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან. თბ., 1965, გვ. 8; სულხან-საბა ორბელიანი. თხზულებანი. ტ. IV. თბ., 1966, გვ. 196; ც. ყარაულაშვილი. საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ქსოვის ხალხური წესები კახეთში). საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1972, გვ. 44; ა. წულაძე. ეთნოგრაფიული გურია. თბ., 1971, გვ. 113; М. Машурко. Из области народной фантазии и быта Тифлисской и Кутаисской губернии // СМОМПК, вып. XVIII, отд. III, с. 306-307; А. Степанов. Поверья грузин Телавского уезда // СМОМПК, вып. XXII, отд. II, с. 132; А. Фон-Потто. Природа и люди Закавказского округа // ССКГ, вып. IV, с. 46; Г. Чурсин. Амулеты и талисманы Кавказских народов. Махачкала, 1929, с. 65.

მწარე ვაზი (რაჭ.) - ფილოქსერაგამძლე ამერიკული ვაზის ჯიში, რომელსაც ნამყენი ვაზისათვის საძირედ იყენებენ. მწარე ვაზს ფილოქსერა ვერაფერს უშვება.

მწარე კვახი / სარწყული კვახი (რაჭ.) - აყირო, ყელიანი გოგრა. მწარე კვახისაგან ხრიკას ვაკეთებთ (იხ. მაყ.).

მწარე მბალი (რაჭ.) - მწარენაყოფიანი ტყის ბალი, - ბალამწარა. მწარე მბალი გაყვავილებული.

მწვანე (რაჭ.) - თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია რაჭაში. ზოგი მწვანეს თბილულს ეძახის (იხ. ფრ., 36, ნიჟარ.).

მწვანია (რაჭ.) - მსხლის ჯიშია. ნაყოფი მწვანე ფერისაა, რბილობი _ მოთეთრო მწვანეა. გვხვდება საშემოდგომო და საზამთრო ჯიშები.

მწკრივი -- ვენახში ერთიმეორის მიყოლებით დარგულ ვაზებს ეწოდება. თითოეულ რიგს წკაპი//პწკალი//პწკარი ეწოდება ზემო იმერეთში, ხოლო მწკრივს უქონელს, უშაკოს ეძახიან. ქიზიყში „მარი“ მწკრივის სინონიმია. რაჭა-ლეჩხუმში მწკრივს რიგს ეძახიან.

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტურ. დაკავშირებული..., 1978:167-168.

მჭადო (რაჭ.) - საჭმელი სოკოა, - მჭადასოკო.

მჭედლობა - ხელოსნობის დარგი. ქართველი არქეოლოგებისაგან დადასტურებულია, რომ 3500 წლის წინ ქვემო ქართლში მცხოვრები ადამიანი იცნობდა რკინას, თუმცა მან ჯერ კიდევ არ უწყოდა ამ მადნისაგან მაგარი შენადნობის გაკეთება. ძვ. წ. V ს. საქართველოში უკვე რკინა-ფოლადის დამუშავება მაღალ დონეზეა.

მსოფლიო მელითონეობის ისტორიაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართველური მოდგმის ტომებმა: ხალიბებმა, მოსხებმა, ტიბარენებმა, თუბალებმა, მაკრონებმა და მოსინიკებმა. მელითონეობის დიდი ცენტრები არსებობდნენ მტკვრის ხეობაში, სვანეთში, ჭოროხის ხეობაში, შავიზღვისპირეთში, რომელსაც ბერძნები პონტოს უწოდებდნენ. ინგლისელი მეცნიერი, მეტალების ისტორიის ერთი დიდი სპეციალისტი, ფორბსი თვლიდა, რომ „საკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენას - ფოლადის აღმოჩენას დასაბამი მიეცა პონტოში“. ამავე დარგის მეორე დიდი მეცნიერი ეიჩისონი მივიდა დასკვნამდე, რომ „ადამიანის მიერ რკინის დამზადების ხელოვნება პირველად ჩაისახა და განვითარდა ხალიბების მიერ.“ თავად ბერძნები საუკეთესო რკინას ახლაც „ხალიბოს“ ეძახიან. ამავე ტომებმა მიაგნეს, გადაამუშავეს და გააუმჯობესეს კალის, თითბირის, სპილენძის, ვერცხლის, ტყვიისა და ოქროს მეტალები. სპილენძისა და ბრინჯაოს სახელწოდება ევროპულ ცნებაში შევიდა მოსინიკების (ფუძე მეს) მიხედვით, რომელნიც ევროპელი მეცნიერების, კარპენტიესა და პშევორსკის აზრით, „სპილენძ-ბრინჯაოსა და თითბირის პირველხარისხოვანი მწარმოებლები იყვნენ მთელს მსოფლიოში“. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ მსოფლიოს უდიდეს წიგნში - ბიბლიაში, ქართველთა ეთნარქი თუბალი დასახელებულია, როგორც რკინისა და რვალის მჭედელი. ქართული არქეოლოგიური აღმოჩენები ყველა ამ მუხედულებას დოკუმენტური სიზუსტით ადასტურებს. ისტორიული განვითარების პროცესში მჭედლობა მოიცავდა რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ხელობას - რკინა-მჭედლობას, მესპილენძეობას,

ოქრომჭედლობას, ნალბანდობას. მჭედლობის როგორც დარგის ჩამოყა-

ლიბება-განვითარებისათვის აუცილებელია სათანადო ნედლეულის ბაზა. საქართველოს ტერიტორიაზე ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება ამ დარგის სხვადასხვა ინტენსივობით არსებობა თითქმის ყველა რეგიონში. ფეოდალურ ხანაში ლითონის წარმოება და მასთან დაკავშირებული სამჭედლო საქმე ვითარდებოდა და ფუნქციონირებდა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების შესაბამისად. ხელოსნობის ეს დარგი შრომატევადია, მოითხოვს მაღალ პროფესიონალიზმს, ტექნიკური პროცედურების თანმიმდევრობაში სიზუსტეს, ნედლეულით უზრუნველყოფას. დარგის განვითარება პერიოდულად ფერხდებოდა ქვეყანაში შექმნილი მძიმე ვითარების გამო. XVII-ს-ში ერეკლე მეორემ გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები დარგის ასაღორძინებლად. (ახტალის და ალავერდის მადნების დამუშავება და სხვ), რაც 1795 წელს ალა-მაჰმადხანის შემოსევის შემდეგ კვლავ შეწყდა. რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების შემდეგ იყო ცდები მელითონეობის აღდგენისა, მაგრამ ამას ფართო მასშტაბები არ შეუძენია. მიუხედავად ამისა, მჭედლობა როგორც ხელოსნობის დარგი, განაგრძობდა არსებობას როგორც ქალაქად, ასევე სოფლად. საქართველოში რკინა-მჭედლობის დარგში დასაქმებულ პირთა პროფესიულ ღონეზე მიუთითებს სპეციალიზაცია-დიფერენციაციის არსებობა. აქ გამოიყოფა: საძიებო საქმის მწარმოებელი - მაძიებელი, მადნეულის ხარისხის შემმოწმებელი (ამომცნობი), საბადოდან გამოტანილი მარაგის „გამოწველის“ (მინარევებისაგან გათავისუფლება) მწარმოებელი, მზიდავი, მკმაზავი (ვინც ამზადებს მასალას ბრძმედში ჩასაყრელად), მბერავი (საბერველთან მომუშავე), მეუროე (ვინც ამტვრევს მადანს), მენახშირე (ნახშირის დამამზადებელი), მჭედელი (მთავარი ფიგურა, ნაწარმის დამზადებას), გამ-

სადებელი. მჭედლის სამუშაოს მთელი ციკლი მოიცავს რამდენიმე საფეხურს და ცალკეულ პროცესს: მადნის გამოხურება, გახურებული მადნის დაწურვა, ნაწური რკინის გადაღება, ხალასი რკინის დაკერვა, საჭედური რკინის „დაგვარება“ (სასურველი ნივთის ზომისა და ფორმის შესაბამისი რკინის ჩამოჭრა ზოდიდან), გამოჭედილი საგნის წრთობა. მჭედლობა საქართველოში შინამრეწველობის ხასიათს ატარებდა. მჭედლობას, როგორც ხელოსნობის დარგს, თბილისსა და სხვა ქალაქებში თავისი ორგანიზაციული ფორმა ჰქონდა. აქ არსებობდა მჭედელთა ამქარი თავისი სტრუქტურითა (ოსტატი, მეგირდი, ქარგალი) და ატრიბუტებით (დროშა, ფირი), დღესასწაულებით, წეს-ჩვეულებებით (ოსტატად დალოცვა, ქარგლის ხელდასმა). ხელოსნობის აღნიშნული დარგის სიძველეზე მეტყველებს რკინასთან, მჭედელთან და სამჭედლოსთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები (რკინის ნივთი - როგორც ავი თვალისაგან დამცავი და ბოროტი ძალების საწინააღმდეგო საშუალება, გრდემლი, კვერი, მარწუხი - საკულტო საგნები. დიდ ხუთშაბათს გრდემლზე კვერის დაკვრა და სხვ). მჭედლობის უძველესი კულტურა, რომელიც სათავეს იღებს გვიანი ბრინჯაოს ხანიდან დღემდე არ შეწყვეტილა და თუმცა შესუსტებულად, აქა-იქ კიდევ განაგრძობს არსებობას. რკინის საგნების ცხელი ჭედვით მკეთებელი ხელოსანი. მჭედელი საქართველოში რამდენიმე სახელით არის ცნობილი: მჭედელი (იმერეთში), „რკინაში ჭკადუ“ (სამეგრელოში), „ბერეჯმშიდი“ (სვანეთში), „დემურჩი“ (ახალციხეში). მჭედლები ჭედდნენ და აწრთობდნენ როგორც საბრძოლო, ისე სამეურნეო იარაღებს. სამეურნეო იარაღები: სახნისი, დანა, ნაჯახი, წალდი, თოხი, ნამგალი, გაზი, ორხელი, ნაჭა, სამფეხი, ხაფანგები, ე.წ. „აბდანი“ ანუ „აბუდანი“ ცხენისათვის, გარეული ცხოველისათვის.

მჭედლის პირველი ნახელავი ნაჯახისა და თოხის ყუა იყო, ბოლო კი „ნაჭა“ და ცხენის ბორკილი. ნაჭის გამოჭედვა ერთგვარ გამოსაცდელ ნაშრომს წარმოადგენდა მჭედლის ცხოვრებაში. მჭედლის დალოცვა ოსტატის მიერ საქართველოში ხდებოდა გრდემლთან, სადაც შესთხოვდნენ 363 ხელობის უფროსსსოლომონს, რომ ახალ ოსტატს ხელი მომართვოდა მომავალ საქმიანობაში. მჭედლები მუშაობდნენ ქალაქებში, დაბებში, სოფლებში. ისინი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. მათ, როგორც მაგიური ძალის მქონე რკინის დამმორჩილებლებს, ხალხი პატივს მიაგებდა. თვითმჭედლები წმინდად იცავდნენ სამჭედლოსთან დაკავშირებულ რიტუალებს, შაბათ დღეს მუშაობას ადრე ამთავრებდნენ, გრდემლზე სანთელს დაანთებდნენ და კვერის რამდენიმე დარტყმით ლოცვას ასრულებდნენ. სამჭედლოში გრდემლი წმინდა ადგილად ითვლებოდა. სოფლად თუ რაიმე ცუდი ამბავი მოხდებოდა, დამნაშავეს გრდემლთან დასწყევლიდნენ. ხალხის რწმენით, ამგვარი წყევლა აუცილებლად ასრულდებოდა.

ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში. თბ., 1953; მისივე. ქართული ხალხური მეტალურგია. თბ., 1964; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

მხალი - ზოგადი სახელია საქმელად ვარგისი ისეთი ბალახ-ბალჩუელობისა, როგორცაა ისპანახი, ჭარხალი, ჭინჭარი, სატაცური, ღვალო, მჟაუნა, ჯიჯილაყა, დანდური, არჯაკელი, კალნაბი, კეჟერა და ა.შ. ხევში მას ხიმხალს, თუშეთში საწებელს, ხოლო იმერეთში ფხალს უწოდებენ. მცენარეული კულტურის ეს სახეობა ზოგი უმად იჭმევა, ზოგი მოთუშულ-მონარშული, მათგან ამზადებენ შეჭამანდს, ურთავენ პურში (მხლოვანები), ახმობენ საზამთროდ გაღებად დაწნულს, იყენებენ სამკურნალოდ. მხალეული განსაკუთრებით მარხვის პერიოდში მოიხმარებოდა. ბალახეულით კვება გავრცელებული იყო ბერ-მონაზვნობაში და მისი მიმდევრები „მძოვრებად“ მოიხსენებოდნენ. მხალი და მხალეული ომიანობისა და მოუსავლიანობის დროს ძირითადი საკვების შემცვლელს წარმოადგენდა.

ლიტ.: გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქ-ში. 2007.

მხერვალი - ნაოსნობასთან დაკავშირებული ძველი ქართული ტერმინია და აღნიშნავს ხომალდის მესაჭეს, „ნავის მავლინებელს“ (საბა). ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი, ნაოსნობა საქართველოში. თბ., 1987.



ნაბადი - ტანსაცმელზე მოსაცმელი (მოსახურავი). ნაბადი მატყლისაგან მზადდებოდა, რომელიც ჯერ უნდა გაეჩეხათ და ჭილოფზე გაეშალათ. მატყლს ზოგჯერ ღებავდნენ, მერე ჭილოფს მატყლთან ერთად მუთაქასავით დაახვევდნენ და ფეხით თელავდნენ. როცა კარგად გაითელებოდა, ამოიღებდნენ და ერთი მიმართულებით სავარცხლით ჩამოვარცხნიდნენ. შემდეგ საყელოს ამოჭრიდნენ და მხრების თავებს გაუჭრიდნენ, რომლებსაც გაკერავდნენ; კალთებს შეასწორებდნენ, საყელოსა და კიდეებზე სირმას დააკერებდნენ. ზოგჯერ, საყელოს ტყავს დააკერებდნენ, დაასარჩულებდნენ ზურგის და მკერდის ზედა ნაწილს, მხრებისთავებს. ნაბადი სამგზავრო ტანისამოსად ითვლებოდა, ხოლო ვინც სამოგზაუროდ მიდიოდა, იგი საღარიბოდ წასასვლელ ტანისამოსს იცვამდა, რადგან ღარიბი არაბულად მოგზაურს ნიშნავს.

ნაბადი ბეწვიანი და უბეწვო იყო. ამ უკანასკნელს ქეჩა ნაბდებს უწოდებდნენ. ნაბდებს ბევრგან აკეთებდნენ, მაგალითად, ონში და სამეგრელოში, მაგრამ კავკასის ნაბდები საუკეთესოდ ითვლებოდა, ასევე, ინგუშების. ინგუშური ნაბადი მეგრულზე უფრო გრძელი იყო, მეგრულს პატარა ნაბადს უწოდებდნენ. ონური სამუალო და ზომიერი იყო, ინგუშური ნა-

ბადივით თავები ზემოთ აქვს აშვერილი. ქეჩა (უბეწვო) ნაბადი ონსა და სამეგრელოში იყო გავრცელებული. ზემო რაჭაში საწვიმარი ნაბადი იცოდნენ. მას ქვეშაგებელს ეძახდნენ და ლოგინის მაგივრად იყენებდნენ. ნაბადი ფორმის მიხედვით ორგვარი იყო: მხრებსწორედ დაშვებული და მხრებგაკიდებული. ქიზიყში ატარებდნენ ნაბადს, რომელიც არც ძალიან გრძელი იყო, როგორც თუშეთში და არც ძალიან მოკლე, როგორც სამეგრელოში. ნაბადი და ჩოხა საყოველთაოდ იყო გავრცელებული.

ქართულ-კავკასიური ნაბადი, სავარაუდოდ, თავისი საწყისი ფორმებით, სუმერულ ბეწვიან მოსასხამს უკავშირდება. ამავე დროს, აღნიშნული მოსასხამი და მისი სახელწოდება („კაუნაკე“), ახლოსაა მეგრულ გვაბანაკთან (იხ. გვაბანა//გვაბანაკი).

ლიტ.: მასალები საქართველოს შინამრეწველობის..., 1983:13, 214, 229, 247; გ. ჩიტაია, შრომები, ტ. IV, 2001:192; ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალ. კულტ., 1962:58.

ნაბდის ქუდი - მატყლისაგან ქუდის დამზადება შრომატევადი საქმე იყო. მატყლს ჯერ გაწეწავდნენ, მერე - ჩეჩავდნენ;

ამის შემდეგ, ჭილოფზე ითელეობდა, ზედ წყალს დაასხამდნენ, მუთაქასავით დაახვევდნენ და თელავდნენ, შემდეგ გასაპნავდნენ და გობზე აგრძელებდნენ თელვას. როცა გაითელეობდა, სავარცხლით დავარცხნიდნენ, გარეცხავდნენ და კალაპოტზე გადააკრავდნენ. ქუდი კალაპოტზე გამრეობდა, მოაძრობდნენ და კიდეებზე ზონარს აკერებდნენ, გვერებზე - გრეხილს და მზად იყო. ნაბდის ქუდს თუმურ ქუდს ეძახიან, რადგან საქუდე ნაბადი თუსეთიდან მოაქვთ (ქიზ.). მთიულები თავზე ქორხორს იყენებდნენ და ნაბდის ქუდს (თუმურს) იხურავდნენ.

ლიტ.: მასალები საქართველოს შინამრეწველობის..., 1983:16, 247; ს. მაკალათია, მთიულეთი, 1930:105.

ნაბჯი (რაჭ.) - მომკილი პურის (ქერის, ჭვავის...) კონა, - ძნა.

ნაგრეხალი (რაჭ.) - ხის ჯამი. ნაგრეხალს სართავად ხმარობდეს (სინონ. ზმ. ნარჯია).

ნაგუთნული (რაჭ.) შავყურძნიანი ვაზის ჯიში იყო. ამჟამად გადაშენებული ჩანს (იხ. ჯავახ. ეკ. ისტ., II, 441).

ნაგული (რაჭ.) - იგივეა, რაც გვრიჭა.

ნაგულარა (რაჭ.) - საჩეჩელში დარჩენილი მოკლებეწვიანი უვარგისი მატყლი (შდრ. ჭყ., მენტ., ქეგლ, ნიჟარ., კაიშ.: ნაგული / ნაგულა).

ნადბაგ-ი - სვანური სანთლებმემონტებული რიტუალური პური - სალასკარო დღეობის პურობაზე ახალდაბადებული ვაჟის სახელზე ოჯახის მიერ მიტანილი დიდი ზომის ხაჭაპური - ლუკუნენიხ-ი, ზედ დაწყობილი მოხარული ხორცის ნაჭრებით. ნადბაგ-ს გადასცემდნენ სუფრის

უფროსს, რომელიც მის მომტან ოჯახსა და ახალშობილს აღლევრძელებდა.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 56.

ნადბაშ-ი (სვ.) - სვანური რიტუალური კვერი, მრგვალი ფორმის. ქორწილის დროს ქმრის სახლში მიმავალ პატარძალს მშობლების სახლიდან მიჰქონდა ნახევარი ფუთი მოზელილი ცომი, რომლითაც იგი, ახალ ოჯახში შესვლამდე, ნადბაშში (ეკლესიის მინამენში) შეივლიდა და გამოაცხობდა კვერებს, ე. წ. ნადბაშები. ეკლესიაში ნაკურთხ ამ კვერებს, რამდენიმე დღის შემდეგ, ახალრძალი ქმრის ოჯახის წევრებსა და ნათესავებს დაურიგებდა.

ლიტ.: რ. ხარაძე. დიდი ოჯახის გადმონათები სვანეთში. თბ., 1939, გვ. 85; ნ. მაჩაბელი. ქორწინების ინსტიტუტი ქართლში. თბ., 1978, გვ. 74.

ნადი -- ურთიერთდახმარების ფორმა, რომელსაც სხვადასხვა შრომითი პროცესის დროს მიმართავდნენ. ნადის მოწვევა იცოდნენ: ყანის თოხნის, თიბვის, მკის, შეშის მოჭრის, სახლის მშენებლობის, ახოსა და მოსავლის აღების დროს და ა. შ. იტალიურლი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი სამეგრელოში ყანის თოხნისას, ნადის მოწვევას შთამბეჭდავად აღწერს: „სიცხეში ყანის თოხნის გასაადვილებლად ხერხი მოუგონიათ: ნადი, სიმღერა და უხვი საჭმელი, რომელსაც მამულის პატრონი იძლევა... სიმღერას 40-50 ჩარაზმული მთოხნელი იმისთვის მიმართავს, რომ ჩქარა იმუშაონ. საგანგებო სიმღერაზე თოხნას ისე აწყობენ, როგორც საკრავზე ცეკვას. მზის ჩასვლისას თოხნას ამთავრებენ და მი-

დიან პატრონის სახლში, მიიმდერიან, როგორც ერთი დროშის ჯარისკაცები.“ გურიაშიც ნადში ისეთი სიამოვნებით მიდიოდნენ, როგორც ქორწილში, მას დროსტარებად თვლიდნენ. კიდეც ეკითხებოდნენ ნადში მყოფს მეორე დღეს - გუშინ ნადში რომ იყავი, როგორი დრო გაატარეო. ნადური სიმღერა, კერძოდ, ყანური, კარგად შესრულებული ოთხ კილომეტრზეც ისმოდა. ნადი არ არის ქართული წარმოშობის სიტყვა, მაგრამ მისი ტრადიცია ადგილობრივ ნიადაგზე და ქართულ ეთნიკურ გარემოში იყო შექმნილი და განვითარებული.

ლიტ.: არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, 1991:51; აპ. წულაძე, ეთნოგრაფიული გურია, 1971:21; ქართველი ხალხის ეთნოლოგ. 2018:311.

ნადიარუბურე დიწრ / ნაჟხმობურე - „ნავახმმევის პური“ - სვანური რიტუალური პური - ბარბალობა საღამოს გამომცხვარი ყველიანი (ქუთ) ან ხორციანი (კუბად) კვერი. მესტიამი ამ სახსნილო პურებს ჯერ მიცვალებულთა სახელზე გააწყობდნენ, მათ შენდობას შეუთვლიდნენ და შემდეგ თავად მიირთმევდნენ. აქვე უნდა ითქვას, რომ სვანებში მარხვის დროს მიცვალებულთათვის საკურთხის დადგმა არ იცოდნენ, მაგრამ ბარბალობის ნავახმმევი უკვე ხსნილი იყო და ამიტომ მართავდნენ ე. წ. ლიფანეს - სულეების საკურთხს. ეს უკანასკნელი ყველა მარხვის დაურწყება ღამეს სრულდებოდა.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 12, 42.

ნავარი (რაჭ.) - ერთი ფიწალი თივა (იხ. ღლ. სიტყვ. კონა).

ნაველაი (მოხ.) - წისქვილის ნაწილი, ყუთი, რომლითაც მარცვალი ქვის ხვრელში ხვდება.

ლიტ.: ო. ქაჯაია. მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის // სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. XI. ცხინვალი, 1967, გვ. 375-451.

ნაველობი (ფშ.) - ცელით თიბვისას ერთჯერად გატანილი სვის (იხ. სვე) სიგანე.

ლიტ.: ივ. ქეშიკაშვილი. თედო რაზიკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ლექსიკა. თბ., 1969.

ნავი - 1. საქართველოში გავრცელებული მცირე მოცულობის წყლის ტრანსპორტის ზოგადი სახელი; გვხვდება როგორც ერთ ხეში ამოღებული, ისე დაჭედილი; იმართება ნიჩბებითაც და ჭოკითაც; 2. საწნახელი; 3. წყლის გეჯა (იხ.) - საქონლის დასარწყულებელი.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ნავი (რაჭ.) - კვერის წინა ნაწილი, ზემოთ აწეული, კოხით მოუჭედავი (იხ. ალავ. მასალ).

ნავსი დღე - ხიფათიანი, კვიმატი დღე ქართველთა რწმენა-წარმოდგენების თანახმად. ასეთ დღეებთან დაკავშირებული საერთო შეხედულება საქართველოში არ შემუშავებულა; ნავს დღეებად ყოველი სუბეთნიკური ჯგუფი კვირულის სხვადასხვა დღეს მიიჩნევდა; მაგალითად, სამეგრელოში ორშაბათს და პარასკევს არავითარ საქმეს არ წამოიწყებდნენ; კახეთში მხოლოდ სამშაბათი და ხუთშაბათი ით-

ვლებოდა კარგ, მაღლიან, წარმატების მომტან ღღეებად.

ლიტ.: ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 7, გვ. 4 (ხელნაწერი ინახება ავტორთან); ს. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

ნაზამთრი (რაჭ.) - ზამთარგამოვლილი საქონლის გრძელი ბეწვი, რომელიც გაზაფხულზე გასცვივა (იხ. ქველ).

ნაზარდული (რაჭ.) - წლოვანების აღმნიშვნელი რგოლები (მეგ., ჯიხვის რქაზე, აგრეთვე ხეზე). ჯიხვის წლოვანებას რქების ნაზარდულებით ვიგებთ.

ნაზუქი - რიტუალური ტკბილი პური (კვერი), მოგრძო ნახევარმთვარისებრი ნამცხვარი, რომელიც ფორმით დედასპურს (იხ.) წააგავს; მზადდება საფუვრიანი ცომისაგან (იზილება რძეში თაფლისა და კვერცხის დამატებით). ფორმამიცემულ ცომს ზემოდან წასმული აქვს ათქვეფილი კვერცხის გული, რაც თონეში ან ღუმელში გამომცხვარ ნაზუქს მოწითლო ფერს აძლევს. წარსულში ძირითადად სადღესასწაულოდ აცნობდნენ; ითვლებოდა შეძლებულთა საკვებად.

ტერმინი ნაზუქი „ნაზი, რბილი“ სპარსული წარმომავლობისაა, თუმცა, როგორც ჩანს, ქართველები ტკბილ პურს „თაფლაკვერას“ სახელითაც იცნობდნენ, რაც, გ. გოცირიძის აზრით, მის ადგილობრივ წარმომავლობაზე მეტყველებს (ზოგიერთი მკვლევარის მცდარი შეხედულებით, ნაზუქი ებრაული კულინარიის მიღწევაა).

ლიტ.: გ. გოცირიძე. კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში. თბ., 2007, გვ. 150-151; ზ. ჯინჯი-

ხაშვილი. საქართველოს ებრაელთა ყოფა და კულტურა (კვების სისტემა). თბ., 1999, გვ. 49; Миллер А. Б. Персидско-русский словарь. М., 1969.

ნათალი (რაჭ.) - სქელი ფიცარი, რომელსაც მორის შუაზე გაპობის და გათლის შემდეგ იღებდნენ (მორის დახერხვამდე).

ნათაურა CE - 1. საფუვრის თავი, საღმთოდ მოხარშული ლუდის კოდის დალოცვისას ხატის კარზე გასატანად ამოღებული ერთი თუნგი ლუდი; 2. პირველად მოგებული დეკულის რძის პირველი შენადღვების კალტი და კარაქი; 3. გაზაფხულზე ძროხის მოგების შემდეგ პირველი შენადღვები.

ლიტ.: ნ. აზიკური. კოტორი, როგორც რიტუალური პური თუშეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXIII. თბ., 1987, გვ. 218; გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 29.

ნათე - ახალწლის ციკლის დღეობებში (ქრისტეშობიდან წყალკურთხევამდე), ე. წ. წელიწდობებში, საგვარეულო ჯარობების განმწესრიგებელი და ხარჯის გამღები პირი, რომელსაც თუშები ერთი წლით ირჩევდნენ. ნათეს იგი თავისი ნათეობის წელს ჯვარის კუთვნილ სახნავ მამულს ნადის დახმარებით ამუშავებდა და მოწეული მოსავლის ნაწილით ალუდისათვის „ფორს“ ამზადებდა, ნაწილს საარყედ დაფქვავდა, ნაწილსაც - „საწელიწდობო“ პურების გამოსაცხობად. რამდენადაც ნათეს წელიწდობებში საკმაოდ დიდი ხარჯის გაწევა უხდებოდა, იგი გარკვეული შესაწევარით სარგებლობდა: ზაფხულში თავისი საგვარეულოს ცხვრის ბინებს დავილიდა და, რძის მოსაგროვებლად და ყველის დასამზადებლად, ყოველ ბინაში

თითო საგულე ტყავს დატოვებდა. ეს კი მის ხარჯს რამდენადმე ამსუბუქებდა. ნათეს საწელიწდო სამზადისსა და თვით წელიწდობის ჯარობებში ხალხის გამასპინზლებებაში დამხმარეები შველოდნენ (იხ. „მაქალათები“).

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 41-42.

ნათხუმ ჰარაყ - ნათავედი არაყი - სვანური რიტუალური სასმელი, რომლითაც ღვთაებების სადიდებელს ამბობდნენ.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 71.

ნაკეცალა (რაჭ.) - კეცის მონატეხი, ნატეხი.

ნაკისის ნაკისი (რაჭ.) - მეტად შორეული ნათესავი, ნათესავის ნათესავი (მღრ. შარაშ. ნართისნართი).

ნალბანდი - საქონლის რკინის ნალით დამჭედავი. იმისათვის, რომ საჯდომ და მუშა საქონელს საჯაფო სამუშაოთა შესრულებისას ჩლიქები არ დაუცვდეს, ლურსმნებით აჭედებენ რკინის ნალებს. დაჭედვისას კარგად გაბაწრულ ცხოველის ჩლიქის ძირებს ბრტყლად მოუსწორებენ დანით და დააჭედებენ ნალებს. ნალბანდს დიდი დაკვირვება მართებს, ლურსმანი გაატაროს ჩლიქის უგრძნობ ნაწილში და არ შეახოს საქონლის სად ხორცს, თორემ დაჭედილი პირუტყვისათვის იგი მუდმივი ტკივილის წყაროდ იქცევა და შესაძლოა, ამით სამუდამოდ დახეიბრდეს. ჩლიქში გვერდულად დარტყმული ლურსმნის წვერი მის ზედაპირზე გამოდის, რომელსაც ჩლიქებზევე გადაკეცავენ. ნალსა და ლურსმანს ძირითადად მჭედელი

სჭედდა, ზოგ შემთხვევაში კი თვით ნალბანდები ამზადებდნენ. დიდი სამუშაოების დროს სანალბანდო საქმიანობაში ქვედარგები ყალიბდებოდა. მუშა საქონელი წელიწადში 4-5-ჯერ იჭედებოდა, რაც განაპირობებდა სანალბანდო საქმიანობის შეუწყვეტელ ხასიათს.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ნალი - ცხენის, ხარის და ვირის ფლოქვებზე დასაჭედი რკინა, რათა ცხოველს სიარულისა და ჯაფის დროს ფლოქვები და ჩლიქები არ გაუცვდეს. ცხენისა და ვირის ნალი სქელია და რკალისებური, ხოლო ხარისა ბრტყელი და ნახევარწრიული. ნალი იკვრება საგანგებო ლურსმნების საშუალებით.

ნალია (რაჭ.) - ოთხ ან ექვს ბოძზე მდგარი წვნელებისაგან მოწნული (იშვიათად ფიცრის) სასიმიინდე. ორი ნალია სიმიინდი მოგვდიოდა ხვალმე (იხ. ქეგლ, ძოწ., გაჩ.).

ნალოკი (რაჭ.) - პირველად ნაპარსი მატყელი ახალგაზრდა ცხვრისა. საუკეთესო მატყლად ითვლება. ნალოკის გაროზის მოვიქსოვე.

ნალოჯი - ნალის მკეთებელი ხელოსანი. საქონლის დაჭედვის აღმავალი პროცესი მოითხოვდა ამ სფეროში შრომის დანაწილებას, ამიტომ ჩამოყალიბდა ცალკე პროფესია ნალოჯისა, რომელიც მხოლოდ ნალებს ამზადებდა.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ნამგალი - პურეული კულტურების სამკალი იარაღი. მზადდებოდა საქა-

რთველოს მჭედლობის ცენტრებში. ნამგალი ძირითადად მზადდებოდა ე.წ. ნაკუწი რკინისაგან - ჯართისაგან. ქურაში მჭედელი ჯართს ერთ ზოდად შეადუღებდა, ნამგლისათვის საჭირო ნაწილს ჩამოაჭრიდა, ჯერ სიგრძეზე გაჭიმავდა, მუაზე გააპობდა და ფოლადს ჩაუდებდა, შემდეგ სანამგლე რკინა-ფოლადს კვლავ ქურაში დაადუღებდა. როცა რკინა სათანადოდ გახურდებოდა და ყვითელ ფერს მიიღებდა, ქურიდან გადმოიღებდა, გრდემლზე დადებდა და კვერის ცემით ნამგლის ფორმას მისცემდა, „პირს გამოუყვანდა“. შემდეგ ეტაპზე ხდება პირისა და ტარის გამოყვანა. ნამგლის პირი წყალში წრთობის შემდეგ რომ არ გამრუდებულიყო, მომზადებული ჰქონდათ ნამგლის ფორმის ყალიბი და ძროხის ქონწასმულს ზედ დააკრავდნენ. ამ ხერხით იარაღის თხელი პირი აღარ მრუდდება და ფხა-ალმასიანი გამოდის. წრთობის სხვადასხვა წესები მჭედლის გვარში საიდუმლოდ რჩებოდა და მომავალ თაობას მემკვიდრეობით გადაეცემოდა. მათ დამტაც საგვარეულო ჰქონდათ (მაგ., მეჯვრისხველ მჭედელ მაზანაშვილების დამტა ე.წ. „კურდღლის კანჭი“ იყო, რომელიც დღემდე არსებობს მათ მიერ გაჭედულ რკინის იარაღებზე). ნამგალს, როგორც სხვა იარაღს, მჭედელი უკეთებდა დამტას, რაც ხშირად მოხელის გვარისა და სახლის ინიციალებით შემოიფარგლებოდა, ზოგჯერ სხვადასხვა ნიშნებს დაადასტავდა. მჭედლის დამტა თაობიდან თაობაში გადადიოდა. ოჯახის გაყრის შემთხვევაში ამ ნიშნით სარგებლობის უფლება გვარის განაყრებს ჰქონდათ. საქართველოში ცნობილია სხვადასხვა სახეობის ნამგალი: სამკალი, სათიბი, სასხლავი, საჩეხი და სხვ. საქართველოს ტერიტორიაზე ნამგლის არსებობა უძველესი დროიდან დასტურდება. ყველაზე ადრინდელ ტიპად კაჟის პირიანი ნამგლებია მიჩნეული.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, აღმ. საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, 1960.

ნამგალ-წვერი - აგრარული ხასიათის მთიულური წეს-ჩვეულება - მკის სამუშაოს დასრულებასთან დაკავშირებული რიტუალი. სამკალიდან მობრუნების შემდგომ ნამგალს ფქვილის გოდორში ჩადებდნენ; დიასახლისი გოდორთან ფქვილის ამოსაღებად მივიდოდა, თითს ნამგალზე გაიჭრიდა და ამ ფქვილისაგან გააკეთებდა ხინკალს, აანთებდა სანთლებს და ოჯახი ჭირნახულის მოსავლიანობაზე დაილოცებოდა.

ლიტ.: ნ. მაჩაბელი. მინდვრის სამუშაოებთან დაკავშირებული რიტუალური კვრები // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXI. თბ., 1981, გვ. 161.

ნამგოლი - ლუდის ხარშვისას დარჩენილი სვის (იხ.) კლერტები და ყვავილი, რომლებსაც მდულარე წყალში გაავლებდნენ და მის ნარეცხს, სისწვნის (იხ.) ნარჩენებთან ერთად, საარყედ იყენებდნენ.

ნამუჭი (რაჭ.) - მკის დროს ნამგლის 2-3 მოსმით მომკილი. პური, რაც მომკელს ხელში (მუჭში) დაეტევა, - ხელეური, მჭელეული.

ნამყენი ვაზი -- არის მწარე ძირზე დამყენილი და გახარებული სხვადასხვა ჯიშის ვაზი. ნამყენი ვენახი უწინ არ იყო. წინათ ქართული ვაზი ნერგით იყო გახარებული, მაგრამ ფილოქსერამ თიტქმის გაანადგურა დამყენილად დარგული ვენახები. ქართულ ვაზს კახეთში „ძველი ვაზი“ ეწოდება. მას ძირეული ვენახი ჰქვია რაჭაში. ნამყენ ვაზთა ერთად, „დამყენობილი ვაზი“ (კახ.) და დამყენი ვენახი გვხვდება. ნამყენი ვაზის შემოსვლის შემდეგ, მის დასაპირისპირებლად. ძველ

ქართულ ვაზს, რომელსაც არ ამყნიან, უმყნელ ვაზს უწოდებენ.

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებ. 1978:156-157.

ნამცეცობა (ქიზ.) - დიდმარხვის პირველ ორშაბათს, წმინდა ორშაბათს (მდრ. შავი ორშაბათი) ყველიერის მონარჩენი თევზის, ყველისა და სხვ. ჭამა. ხალხის რწმენით, მარხვაში ნამცეცობის გამართვა ცოდვად არ ითვლებოდა.

ლიტ.: ს. მენტეშაშვილი. ქიზი-ყური ლექსიკონი. თბ., 1943.

ნაოთხალი (რაჭ.) - 1. ოთხად გაპობილი ხის მეოთხედი; 2. საწყაოა - ბათმანი, კოდის მეოთხედი - 8-10 კილო. ორი ნაოთხალი ლობიო (იხ. ბერ.; მდრ. ქეგლ, ძოწ., გაჩ.).

ნარა - ავსულთა და მტაცებელ ნადირთა საწინააღმდეგო აჭარული თილისმა - წრიულად დახვეული ეკლის რგოლი, რომელსაც, პირუტყვის დაცვის მიზნით, აჭარული მესაქონლეები საქონლის სადგომის მხარეს სახლის კედელზე კიდებდნენ. აჭარლებმა ავი თვალის გასაუვნებელყოფად დარკალული ეკლის ჩამიკიდება ქალის ტახტზეც იცოდნენ.

ლიტ.: ჯ. ნოღაიძელი. ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარულთა ყოფა-ცხოვრებიდან. თბ., 1935. გვ. 7; ვ. შამილაძე.

ნართი - თითისტარზე (იხ.) ან ჯარაზე დართული მატყლი, რომლისაგანაც მიიღებოდა საქსოვი ძაფი. თანაბრად დართული და დაგრეხილი ნართისაგან კარგი ხარისხის ქსოვილი მზადდებოდა.

ლიტ.: ც. ყარაულაშვილი, ქსოვის ხალხური წესები კახეთში. თბ., 1985. 1985.

ნარევთ ოჯშამი - მიცვალებულის კულტის მსახურთათვის (იხ. „ნარევი“) გამართული ვახშამი. ხევსურეთში ნარევები მიცვალებულის სახლში დასაფლავების შემდეგ კიდევ ერთ ღამეს ათევდნენ, რომლის დროსაც მეზობლებისა და მოგვარეების მიერ მოტანილი საკვებ-სასმელით (ქადისკვრები, ხინკალი, ყაურმა, არაყი და სხვ.) ვახშამი ეწყობოდა. ნარევები დაილოცებოდნენ, ახალგარდაცვლილისა და ვახშმის მომწყობების მიცვალებულთა სულებისათვის შესანდობარს იტყოდნენ.

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940, გვ. 14; დ. გიორგაძე. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). თბ., 1987, გვ. 19.

ნარევი (ხევს.) / **მირეული** (ფშ., თუშ.) - მიცვალებულის კულტის მსახური აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში. თუშების, ფშავლებისა და ხევსურების შეხედულებით, მიცვალებული უწმინდური იყო და ყველა და ყველაფერი ის, რაც მას მიეკარებოდა, ასევე უწმინდურად მიიჩნეოდა (იხ. „სახლის განათვლა“). ასეთმა რწმენამ განაპირობა მიცვალებულის კულტის მსახურთა - ნარევთა || მირეულთა - ჯგუფის არსებობაც. მათ მოვალეობას შეადგენდა ცხედრის განბანვა, ჩაცმა, ღამისთევვა, საკაცეზე დაკვრა, დასაფლავება. ამიტომ ნარევები || მირეულები, როგორც მიცვალებულისაგან გაუწმინდურებულები, განწმენდამდე (დაახლოებით 6-დან 10 დღემდე, ზოგან ერთ თვემდე) ვერც სახლში მივიდოდნენ და ვერც ჯვარს (ხატს) მიუახლოვდებოდნენ. ისინი ამ ხნის განმავლობაში ცალკე ცხოვრობდნენ და პურსაც

მარტონი ჭამდნენ. ხევსურეთში ნარევის ხელმონაკიდებს არავინ გაეკარებოდა. მიუხედავად ამისა, მათ მიმართ ხალხი სათანადო ყურადღებასა და პატივისცემას იჩენდა: თუმი ჭირისუფალი მირეულს ერთი ნაპარსი მატყლითა და წინდებით ასაჩუქრებდა; ხევსურეთში კი ნარევისადმი პატივისცემის გამოხატულებად მიცვალებულის სახელზე გამართულ დოღში მისი ცხენის მონაწილეობა და დასაფლავების შემდეგ ე. წ. „ნარევთ ოჯშმის“ (იხ.) გამართვა ითვლებოდა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მიცვალებულისათვის ერთ-ერთი ღამისთვის ღროს ნარევები ე. წ. „წოლა-დგომას“ მართავდნენ, რაც ცოლქმრული ურთიერთობის სიმულაციას წარმოადგენდა (წოლა-დგომის გამართვა ხარკებშიც ცოდნიათ). მ. კოვალევსკის ცნობით, მსგავსი სცენების გათამაშება იმერეთშიც ყოფილა გავრცელებული.

ნარევი || მირეული მიცვალებულისაგან შერყვნილს, გაუწმინდურებულს ნიშნავს.

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940, გვ. 9; დ. გიორგაძე. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). თბ., 1987, გვ. 22-266. ხიზანიშვილი. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1940, გვ. 79; Ковалевский М. Закон и обычай на Кавказе. Т. II. 1890, გვ. 184.

ნარტყელა (რაჭ.) - შუაცეცხლის თავზე ჩამოკიდებული ჯოხები ორომის (ცომის გუნდის გასაბრტყელებელი ფიცარი) დასადებად (იხ. did., ქართ. დიალექტ., 687).

ნარწყული (რაჭ.) - სახარჯო ღვინო, წყალდასხმული ჭაჭისაგანმომზადებული, - შუაღვინო, წყალღვინო (იხ. წერ., ქეგლ, ფრ., 226).

ნარჯია (რაჭ.) - ხის ჯამი; სართავად ხმარობენ (სინონ. გლ. ნაგრეხალი).

ნასიბი (რაჭ.) - ბედი, იღბალი.

ნასიპის გატეხვა - იხ. „ხიბალ-კუდია-ნები“.

ნაფტკენი (რაჭ.) - შინაური ფრინველის (ბატის, ინდაურის, ქათმის) ფრთის მაგარი ბოლოებისაგან გაკეთებული პატარა კონა („ცოცხი“), რომელსაც ხმარობენ ბუჯრის, კეცების... მოსასუფთავებლად. ნაფტკენი ბატის ფრთის არი კარგი - უმფრო დიდია და მარჯვე მოსახმარი მდრ. დლ. სიტყვ. კონა;

ნაფურცლავი (რაჭ.) - თივის ზვინის დასადგმელად ოთხი ტოტი (გაუსხეპელი) ჯვარედინად დაწყობილი ზვინიგულის (იხ.) ძირში, რიკის თავზე და დვლერჭით მიმაგრებული ზვინიგულზე.

ნაქაჩი (რაჭ.) - ყურძნის ტკბილი, მიღებული ჭაჭის დაწნებით, - ნაქაჩი (მდრ. წერ., ქეგლ, ძონ., გაჩ.).

ნაყრი - 1. ლუდის მოსახარმად და არყის გამოსახდელად ჩაყრილი ჩვეულებრივი, დაუალაოებული ფქვილი. 2. საუზმე, სადილაო საკვები (ხევს., ფშ.). 3. ახალწლის დილას მეკვლისათვის მირთმეული ტკბილი ლუკმა (ფშ.).

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005; გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი. თბ., 2000.

ნაცარა ლობიო (რაჭ.) - ლობიოს ერთ-ერთი ჯიშია. ხშირი მონაცრისფრო წერტილები აქვს. საპარკედ იყენებენ (იხ. ძოწ.).

ნაცერალი (რაჭ.) - ღვლერჯის ძირში 15-20 სმ სიგრძეზე დაუგრეხელად დატოვებული ნაწილი (საჭიროა ღვლერჯის მოსაჭერად).

ნადრახი (რაჭ.) - ადგილი (ჩვეულებრივ ღელე, დაბურული ოლეებით), რომელსაც ცრუმორწმუნენი ავი სულების, კუდიანების ადგილსამყოფელად მიიჩნევენ, ღამით ასეთ ადგილებს არ გაეკარებიან (იხ. ქეგლ, გაჩ.).

ნაწბერი (რაჭ.) - ყურძნის ტკბილი, დაწმერვით მიღებული, - ნაქაჩი.

ნაწვეი (რაჭ.) - საქონლის ფეხის ტკივილი ცუდი დაჭედვის შედეგად. ხარების ჭედვისას ნალბანდმა ნალი ისე უნდა დააჭედოს, რომ ლურსმანმა მხოლოდ ფლოქის (იხ.) რქოვან ნაწილში გაიაროს. თუ ლურსმანი რბილობს მოხვდა, ხარს ფეხი გაუსივდება, ნაწვეი გაუჩნდება, თუ დროულად არ მიხედეს.

ნაწველ-ნადღვებისად სახელის დადება - მიცვალებულისთვის შესახლებული რძე და კარაქი. თუ ხევსურის ოჯახს რძის ნაწარმი უფუჭდებოდა ან რძე დაეღვრებოდა, რძესა და კარაქს მიცვალებულის სახელს „დასდებდნენ“ და იტყოდნენ: „ანაბრივ თხოულობს, ანაბრივ სჭირდება ზისცვარი პირის გასალობად და კარაქი წყრულის მოსაპოხლად“. როცა მიცვალებული წყლულით არ იყო დაავადებული, ამბობდნენ სხვისთვის სჭირდებაო, „სახლის მამყოლ იქნების ვინ, სად და ჩვენ არ ვიცით“-ო. სახელდების დროს მიცვალებულს ასე მიმართავდნენ: „სადაც შენ ხარ, შენი ანდაბი ას, შენამც გეჭ-

მარების, შენამც გერგების ეს ზისცვარი, ეს საპოხი. რაადაც გინდ, გჭირდების, იმაადაც გამაიყენებენ, შენ გჭირდებისა, თუ სხვა ვინ შამამბრუნავი მიხედავს, მიწვდას, მე არ ვიცოდ, მე არ ვიცნობდ, შენამც გასცემ, შენამც მისცემ“.

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ. მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. თბ., 1940, გვ. 57-58.

ნაწყევარ-ნაფიცარის წირვა - წყევლისა და ყალბი ფიცისგან ოჯახის დახსნის, „განთავისუფლების“ მიზნით გამართული გურული ლოცვა. საამისოდ დაკლავდნენ თხას, რომლის მოხარშულ ხორცს გობზე დააწყობდნენ, უნთებდნენ სანთელს, დააკმევდნენ საკმეველს, თან ღმერთს ეხვეწებოდნენ დაეხსნა ოჯახი. შემდეგ სუფრას მიუსხდებოდნენ, ხოლო მოწვეული მღვდელი, აიღებდა რახელში ღვინით სავსე თასს, შემდეგი სახის ლოცვას წარმოთქვამდა: „ღმერთო დიდებულო (შემდეგ იმ წმინდანის სახელს იტყოდა, რომლის სახელობისაც იყო სოფლის ეკლესია), შენ იხსენი ჩვენი მასპინძელი ყოველი ჭირისა და ფათერაკისაგან, ნაწყევარი იყოს, ნაფიცარი იყოს, თავზე შამონარები იყო, ყოველივე შეუნდე და მუუტავე, ცოდვას ნუ კითხავ და შენს მადლს და მოწყალებას ნუ მოაკლებ“. იქ მყოფნი მასპინძელს დაახლოებით ასეთივე ტექსტით დალოცავდნენ და მოილხებდნენ. სამსხვერპლო თხის თავ-ფეხი, ტყავი და ხორცის რამდენიმე საპატიო ნაწილი მღვდელს მიჰქონდა.

ლიტ.: ა. წულაძე. ეთნოგრაფიული გურია. თბ., 1971, გვ. 106.

ნაჭა - შუაგეცხლზე ქვაბის ჩამოსაკიდებელი ჯაჭვი. ნაჭა შედგება რკინის რგოლებისაგან. რგოლები გრეხილი, მსხვილი

რკინისაგანაა დაწნული და უფრო ხშირად რკინის ფორმა აქვს. ჯაჭვის ერთი ბოლო მრგვალი მასიური რგოლით ბოლოვდება, რითაც იგი ჩამოკიდებულია ქერზე საგანგებოდ მოწყობილ ხის საკიდზე. ნაჭის მეორე ბოლო, ე.წ. ქვაბის საკიდი, რკინის სქელი ფართო ნაჭერია, რომლის ზედა თავი ორყურაა, ყურის ბოლოები ან თავისუფლად არის დარჩენილი, ან მირჩილულია ტანზე. ყურებში გაყრილია ჯაჭვის მეორე ბოლო. საკიდის ქვედა ნაწილი შემოკეცილია ზემოთ, რაზეც ქვაბის სახელური იკიდება. ნაჭა მზითვის აუცილებელი ატრიბუტი და ახალი ოჯახის, ახალი კერიის შექმნის სიმბოლო იყო სამეგრელოში. სვანეთში ნაჭა კერასთან ერთად წმინდა ნივთად ითვლებოდა და მისი ოჯახიდან გატანა მიუღებელი იყო, რადგან ნაჭა გვარის, ოჯახის, სახლის სიძლიერის სიმბოლო იყო.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ნაჭრელა - ხევსურული ნაქარგობის ერთ-ერთი სახეობა. ხევსურული „გლუვი ნაჭრელა,“ ე. ი. ნაჭრელა, რომლითაც მთლიანად იფარება საქარგი არე, განვითარების მეტად მაღალ საფეხურზე დგას, როგორც ფერთა შეხამების, ისე ნაქარგის სიფაქიზის მხრივ. თანდათან გამარტივდა ქარგულობის სახე. ე. წ. „დაფათვლული ნაჭრელა,“ იმით განსხვავდება გლუვისაგან, რომ ქსოვილზე იმავე ტექნიკით, აქა-იქ ამოქარგულია გარკვეული სახეები, რომელთა შორის თავისუფალი, ამოუქარგავი ადგილებია დარჩენილი. იგი მცენარეული ორნამენტის სიჭარბით გამოირჩევა. „დაფათვლულ ნაჭრელას“ დრო და შრომაც ნაკლები სჭირდება, მანქანით ორნამენტირებას - კიდევ უფრო ნაკლები. ორნამენტთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს ფერების სიმრავლე

და ფერთა შეხამების გარკვეული კანონზომიერება. ნიშანდობლივია ფერთა სახელწოდებანი: ალისფერი, ანგელოზისფერი, ბულბულისფერი, ზაფრანისფერი, თუჯისფერი, ინისფერი, ისრიმისფერი, კვრინჩხისფერი, კამკამა თეთრი, მარჯნისფერი, მიხაკისფერი, ორფერი, პირისფერი, რეჰანისფერი, სანთლისფერი, უნაბისფერი, ფერფლისფერი, ფუსტული, ქარვისფერი, მაქსისფერი, წეროსფერი, ჭრელი, ხენდროსფერი, ჰაერისფერი...

ლიტ.: თ. ოჩიაური, ხევსური ქალის თანამედროვე ჩაცმულობა, მსე, VI, 1953:53-54; ნ. გვათუა, ჩაცმულობის ისტორიიდან, 1967:114-115.

ნაჭმხუნ (მრ. რ. ნაჭმხუნჟჳრ) || **ნაჭმხირა** || **ნაჭმხურა** - სვანური რიტუალური ღორისქონიანი კვერები, რომლებსაც შუმხჟჳმ ღამეს აცხოვდნენ. ამ კვერების გამოცხობის დამსწრენი მათ ახალწელიწად დილას ეზიარებოდნენ (იხ. „ტემხჟჳმ|ქემხჟჳმ||შემხჟჳმ|| შუმხჟჳმ/ ლიძიენალ“, „ზომხა/კანდა||კალანდა“).

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 95, 97, 98, 99, 100, 101, 102... ნაჭმხუნუარი გუიზ

ნაჭმხუნუარ-ი გუიზ - სვანური სამეკვლეო ფქვილი (იხ. „გუიზ / ტაბლჳშ“). სოფ. დავბერში (კალას თემი) ზომხა (ახალი წელი) დილით გათენებამდე ოჯახის უფროსი მამაკაცი და ქალი, რომლებიც ქორ, მჭმხების (შინაური მეკვლეების) მოვალეობას ასრულებდნენ, ხმამაღოდ ადგებოდნენ; ქალი ერთ ხელში - ნაჭმხუნჟჳრ გუიზს, მეორეში წყლით სავსე ჭურჭელს (კოჟოს) დაიჭრდა, მამაკაცი კი ხარს გამოიყვანდა, ზურგზე ლალჳშს (სა-

თესლე კალათს) წამოიკიდებდა და ორივენი გავიდოდნენ კალოზე, სადაც გრიგოლ ბაცი ძუღლა კალანდამის („გრიგოლ ბაცი ზღვის კალანდისა“) სახელზე ილოცებდნენ და უკან გამობრუნდებოდნენ.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 157.

ნაჯახი - ხელით სამუშაო საჭრელ-სათლელი იარაღი, ცულის სახესხვაობა. მზადდება მჭედლის მიერ. ფართოდ გამოიყენება სადურგლო საქმეში. ნაჯახი ქართული ცულისაგან მხოლოდ ქვედა ტანის მიხედვით განსხვავდება. მისი პირი (საჭრელი პირი) თითქმის სწორხაზოვანია. დამზადების წესებში გამოყოფენ მისი გაჭედვის ორ წესს - ძველსა და ახალს. თითოეულს საფუძვლად უდევს ერთი პრინციპი - „დედანის“ დამზადება და მისგან მთლიანი ტანის ჩამოქნა. (იხ. ცული).

ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, 1953.

ნაჯვარლენი (მეგრ.) - „ნაჯვარევი“ - ადგილი, რომელზედაც, მეგრელთა რწმენით, წმ. გიორგის მიერ ნატყორცნი მენი - ბოძალი (იხ. „ბორზალი|ბორძალი“) - ცეცხლოვანი ჯვრის კვლს სტოვებდა.

ლიტ.: ნ. აბაკელია. ქრისტიანული წმინდანები დასავლურ-ქართულ რწმენა-წარმოდგენებში (წმინდა გიორგი) // მაცნე. ისტორიის სერია. № 3. 1985, გვ. 149.

ნებიერი (რაჭ.) - უღლიდან გათავისუფლებული, გასასუქებლად იალადებზე გამკვებული ხარი. (იხ. ქეგლ, ძოწ., შდრ. ალავ.).

ნების კვირა (ქიზ.) - ყველიერის წინა კვირა, რომლის განმავლობაში ყოველდღე, გარდა ოთხშაბათ-პარასკევისა, ხორცეულს ჭამდნენ (იტყოდნენ: „ნებაზე უნდა ჭამოს კაცმაო“). შდრ. „შურის კვირა“.

ლიტ.: ს. მენტეშაშვილი. ქიზიური ლექსიკონი. თბ., 1943.

ნეკი - ვაზის გასხლულ რქას ნეკი ეწოდება. მევენახე ვენახის გასხვლისას ითვალისწინებს, რომელმა რქამ რა ფუნქცია უნდა შეასრულოს წელს და გაისად, მომავალში. ნეკს ორი ან სამი კვირტი აქვს. მას რაჭაში რქა-ნეკიც ეწოდება. საწინაო (იმერ.), სამამულე, სამამულო რქა უკვე სამემკვიდრეო ტოტების სახელწოდებაა (ქართ. კახ. ქიზ.). სამამულე რქას სანეკეც ეწოდება ლაგოდებში (კახ.); საწინდარი (იმერ.); სამაყოფე, სანაყოფო (იმერ. რაჭ. ლეჩხ.).

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებ. 1978:24-28.

ნენხარე (ლაზ.) - ფუძის, სახლის ანგელოზი. ასე აქვს იგი განმარტებული ა. თანდილაჟას. თუ ტერმინის ამოსავლად ნენხორას (ნან „დედა“, ხორა „სახლი“) მივიჩნევთ, მისი მნიშვნელობა იქნება „სახლის დედა“, ანუ „სახლის მფარველი“. შესაძლოა, ლექსიკონში ტერმინი არასწორად არის გადმოცემული, ან იგი დიალექტური ფორმაა.

ლიტ.: ა. თანდილაჟა. ლაზური ლექსიკონი. თბ., 2013.

ნერჩი პატონი - იხ. „ნერჩიმ ხვამა“.

ნერჩიმ ხვამა („ფუძის ლოცვა“) / **ოჯუმამხური** („საოთხშაბათო“) / **საადგილო** („საადგილო“) / **ოტუტუცე** (სატუტუცო) - ფუძის ლოცვის რიტუალი, რომელიც

მელიც სამეგრელოში დიდმარხვამდე დაახლოებით 25 დღით ადრე, ოთხშაბათს დღეს, სრულდებოდა (ლოცულობდნენ მხოლოდ მიწურიატაკიან ნაგებობაში, ფიცარნაგზე არ შეიძლებოდა). საამდლისოდ „დიასახლისი აცნობს ოთხ პატარა პურს, იკეტება მარტო, წინა და უკანა კარებზე ანთებს ორ-ორ სანთელს და ასრულებს საიდუმლო ლოცვას. ვიდრე სანთლები ანთია, ჭამს პურებს, შემდეგ ადებს კარებს. სავახშმოდ ჭვავის ფეკვილისაგან აცნობენ დიდ ლობიანს, დებენ გობზე, რომელსაც სახლის აღმოსავლეთ კუთხეში მიწაზე დებენ. დიასახლისი და ოჯახის უფროსი მამაკაცი რიგრიგობით მიდიან გობთან, ქედს იხრიან და ნახევარხმაზე წარმოთქვამენ ლოცვას, ახსენებენ რომელიდაც ღვთაებას - „ნერჩი პატონს“. მათ მაგალითს ოჯახის ყველა წევრი ბაძავს“. მოგვიანებით ი. ქობალია თავის „ავტობიოგრაფიაში“ კვლავ უბრუნდება აღნიშნულ რიტუალს: „მიწურიატაკიან სახლში, რომლის წინა და უკანა კარები დაკეტილია (კარებზე ორ-ორ სანთელს ამაგრებენ), დიასახლისმა გობით (მასზე ოთხი კვერი დევს) ხელში მარჯვენა მხრიდან ოთახი სამჯერ უნდა შემოიაროს შემდეგი ლოცვით:

ოთხი კვარი, შუაში ნერჩი,
 მახ...ფცნ ნძალი მეჩი!
 (ოთხი კვერი, შუაში ნერჩი,
 მტყ...ებს ძალა მიეცი!)“.

მეგრელები ფუძის ლოცვას „სატუტუცოსაც“ უწოდებდნენ. სალოცავად „იმდენ დედალს შეწვავდნენ, რამდენი ქალიც იყო ოჯახში. სანამ ყველაფერს გააწყობდნენ, შემწვარი ქათმები მამფურით კვდალზე იყო მიმაგრებული... ოტუტუცეს ლოცვის დროს ერთ მხარეზე ქალები დადგებოდნენ დაოთხილად, მეორე მხარეზე - მამაკაცები. მამაკაცები წამოვიდოდნენ ქალებისაკენ, თუ არ ასცდებოდნენ, იმ წელს

ბედნიერება და ყველაფერი იქნებოდა, თუ ... ასცდებოდნენ, ცუდის ნიშანი იყო“ (ა. ჭანტურია).

ნერჩის ლოცვა ნამშობიარები ქალის სახელობაზეც სრულდებოდა; მოხარშავდნენ ოთხ ყველიან კვერს და ხელის მოჭერით წყალს გამოასხამდნენ; შემდეგ ლოცულობდნენ: „ნერჩი ბატონო, დიდებულო, მის მკერდს ბედნიერება შენ მოუტანე, მტყ-ს ძალა მიეცი“.

ი. ქობალია მიიჩნევს, რომ „ნერჩი“ მიწის ღმერთია. ნ. აბაკელიას აზრით, „ნერჩი პატონი“ დიდი დედა ღვთაების ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს.

მეგრულის გარდა, ქართულ ტელურულ რიტუალებში შედის გურული „ნერჩის მიგორება“, იმერული „ფუძის გამოლოცვა“, სვანური „არგილიშ ლიმზირი“, „ჩუბავ ლემზირი“ (იხ. „მეზირი-ი“) და სხვ. აღმოსავლეთ საქართველოში „სახლთანგელოზობა“.

სამეგრელოში, ისევე როგორც მთელ დასავლეთ საქართველოში, გავრცელებული იყო სახლის ასაშენებელი ნაკვეთის გამოლოცვის წესი, რომლის დროსაც ნერჩის მიმართავდნენ და სამოსახლოდ შერჩეული ადგილის ბედნიერებას, ადამიანისა და პირუტყვის გამრავლებასა და კეთილდღეობას ევედრებოდნენ. ე. წ. სამშენებლო რიტუალების თვალსაზრისით, საყურადღებოა სახლის ანგელოზის ახალ სამოსახლოში „მიპატიჟების“ წესი: საამისოდ აუცილებელი იყო რვა ქადა და რვა სანთელი; ოთხი ქადა და ოთხი სანთელი ხმარდებოდა ძველ სახლში შესასრულებელ რიტუალს, რომლის დროსაც სახლის ანგელოზს ევედრებოდნენ, ახალ სახლში გადაბრძანება ენება, დანარჩენი ახალ ბინაში მიჰქონდათ და საცხოვრებლის კუთხეებში აწყობდნენ; იქვე რძეს მოასხუ-

რებდნენ და იტყოდნენ: „დატკბი და მობრძანდი ჩემო მამა-პაპის ანგელოზო“ (თ. ოჩიაური).

ლიტ.: ი. ქობალია. ჩემი ავტობიოგრაფია (ხელნაწერი ინახება ზუგდიდის ისტორიის მუზეუმში); ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. ???; ა. ჭანტურია. ეთნოგრაფიული ჩანაწერები. მეგრული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებანი // თსუ შრომები. ტ. 227. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ., 1982, გვ. 212-213, 214; ნ. აბაკელია. სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბ., 1997, გვ. 8-9; მისივე, Миф и ритуал в Западной Грузии. Тб., 1991, გვ. 37-64; И. Кобалия. Из мифической Колхиды // СМОМПК. № 32. Тф., 1903. გვ. 95.

ნესტარი - სისხლის ძარღვის გასახსნელი რკინის იარაღი. ბასრპირიანი, ცალგვერდზე წახრილი ოთხკუთხა ფორმისა. მისი ერთი მხარე ოდნავ მოხრილია და მთავრდება მოკაუჭებული წვერით. ნესტარი იყო სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის, ზოგჯერ ხისტარიანი, ზოგჯერ უტარო. იყო გახვრეტილი დასაკიდებლად.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ნეფის განადირება - საქორწილო ანტაგონიზმის ტრანსფორმირებული, თითქმის, სანახაობით წარმოდგენად ქცეული ქართული რიტუალი, რომელიც ნეფის სახლში გამართული ქორწილის მეორე დღეს შემდეგნაირად სრულდებოდა: ნეფის ან ნეფე-დელოფლის თანხლებით, ან მათ გარეშე პატარძლის მაყარი სო-

ფელს სიმღერით დაივლიდა, რომლის დროსაც ადგილობრივები ვალდებულნი იყვნენ ტუმრებს საკადრისად გამასპინძებოდნენ და საჩუქრებიც (ძირითადად ქათმები) გაეტანებინათ. თუ სტუმრებს საჩუქარი არ მოეწონებოდათ, თავად მოიპარავდნენ ან დახოცავდნენ ქათმებს ან პირუტყვს (გოჭს, ხბოს) და თან წაიღებდნენ. სამეგრელოში არამართო დედოფლის, არამედ პატარძლის სახლში მისული ნეფის მაყრებიც ასე იცეოდნენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შორეულ წარსულში „განადირებას“ ორივე კოლექტივი მიმართავდა. მართალია, ასეთ განადირებას ხალხი აუცილებელ ქმედებად თვლიდა და ამით ერთობოდა კიდეც, მაგრამ აღნიშნული რიტუალის არსში გარკვევა მექორწილე მხარეთა ურთიერთობებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების გათვალისწინებლად, შეუძლებელია.

ქართველთა და კავკასიის ხალხთა ტრადიციულ საქორწინო წეს-ჩვეულებებში რელიქტის სახით უკანასკნელ დრომდე მოქმედებდა რიტუალური ძალადობის ელემენტები, რაც მხარეთა შორის ურთიერთობათა მოწესრიგების ყველა ეტაპზე (დაწყებული მაჭანკლობიდან) იჩენდა თავს. ამ ორმხრივ საწესო ანტაგონიზმში ჩართულნი იყვნენ როგორც საკუთრივ ნეფე-დელოფალი (მდრ.: მათი შეურაცხყოფის, გატაცებისა და დახსნა-გამოსყიდვის იმიტაცია; აგრეთვე, სიძე-პატარძლის რიტუალური ორთაბრძოლა და სხვ.), ისე მაყრები (მდრ.: მათი ცემა, გათოკვა, სამოსისა და აღჭურვილობის წართმევა, სოფლის „დაწიოკება“ და ა. შ.).

საქორწილო ანტაგონიზმი უნივერსალური მოვლენაა და ფართოდ არის წარმოდგენილი მსოფლიოს მრავალი ხალხის შესაბამის რიტუალებში. არსებული მასალების ანალიზი საშუალებას

იძლევა დავასკვნათ, რომ გარდა მთლიანად ქორწილისა, როგორც საქონელგაცვლითი ურთიერთობის სიმბოლიზაციისა (მაგ.: ურვადი და მზითევი, ინდივიდუალური ორმხრივი საჩუქრები და ჯგუფური გამასპინძლება და სხვ.), მის ყველა ეტაპზე ხდება მექორწინე ოჯახთა შორის კავშირების სიმბოლიზაცია, რომელშიც ეს კავშირები ნეგატიურ ფორმებში მოდელირდება. სიმეტრიის კანონის (თანაბრობის პრინციპის) შესაბამისად, მხარეებს შორის არამარტო ტოლმნიშვნელოვან „ფასულობათა გაცვლა“, არამედ „ძალთა გაცვლა“ მიმდინარეობს. ამრიგად, არქაულ საზოგადოებაში საქორწინო ურთიერთობები არაცნობიერად დაფუძნებულია აპრიორზე, რომ ნებისმიერი ფასულობის „შეძენა“ შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ გაცვლით (მათ შორის „ძალის გაცვლითაც“). სწორედ ამ მსოფლმხედველობიდან მიმდინარეობს აწ უკვე, თითქმის, თეატრალიზებულ წარმოდგენად ქცეული ჩვენთვის საინტერესო ქართული წეს-ჩვეულებაც.

ზემოაღნიშნულ რიტუალებში იკვეთება თვით სოციუმის შიგნით მოქმედი ძალადობაც (კერძოდ, ქორწილამდე და ქორწილის შემდგომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქალ-ვაჟის წასვლა მამისეული სახლიდან და დროებით სხვაგან ცხოვრება, ნეფის გატაცება-გამოსყიდვა და სხვ.), რაც სქესობრივი ტაბუს დარღვევით უნდა იყოს მოტივირებული.

საქორწილო ანტაგონიზმის ფარგლებში პატარძლისა და ნეფის „გამოსყიდვის“ მთელი კომპოზიცია აგებულია ისე, რომ მასში თანმიმდევრულად არის აღნიშნული საცხოვრებელი სივრცის ყველა ძირითადი საკრალიზებული ნაწილი: კერა, დედაბოძი, ზღურბლი (საცხოვრებლის შესასვლელი კარი, ჭიშკარი, სოფლის საზღვარი ან გზაგასაყარი და სხვ.).

ლიტ.: თ. იველაშვილი. საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში. თბ., 1987, გვ. 100-105; მისივე, ხალხური სანახაობითი წარმოდგენები ელემენტები საქორწილო რიტუალში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXIII. Тб., 1987, გვ. 108-1114; მისივე, საქორწინო წეს-ჩვეულებანი საქართველოში. თბ., 1999, გვ. 226-231; ვ. კოპტონაშვილი. ახალციხის მაზრის ქართველთა შესახებ // ივერის. 1849, № 23; მამა პიროხელი. ჩვენებური ქორწილი // ივერია, 1904, № 167; ნ. ხიზანიშვილი. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1940, გვ. 208; ს. მაკალათია. მესხეთ-ჯავახეთი. ტფ., 1938, გვ. 85-96; ს. ხოსიტაშვილი. ქორწინებისა და მიცვალებულის დაკრძალვის წესი სამცხე-ჯავახეთში. თბ., 1983, გვ. 73; ნ. ანთელავა. კავკასიური საქორწილო ანტაგონიზმის სოციალურ-რელიგიური საფუძვლები // კავკასიოლოგთა II საერთაშორისო კონგრესის მასალები. თბ., 2010, გვ. 12-13; М. Сагарадзе. Обычаи и верования в Имерети // СМОМПК. XXVI. Тф., 1889.

ნეფის ვაშლი (რაჭ.) - საზამთრო ვაშლის ჯიშია, ნახევარი გვერდი წითელი აქვს. გაზაფხულამდე ძლებს (იხ. ბრეგ., 18).

ნეფისკერი - ხევსურული ქორწილის აუცილებელი ატრიბუტი - დისკოსებური ფორმის მძივებით მოჭრელებული და ძაფზე ასხული მძივებით კიდებგასხივოსნებული კვერი, რომელიც ნეფის ტაბლაზე მდგარ მძივებით მოჭრელებული ხის ჯვრებით გაწყობილ და სანთლებით გაჩირადდნებულ არყის ბოთლზე იყო ჩამოცმული. ეს კვერი, როგორც წესი, ნე-

ფე-დელოფალს ქორწილის მესამე დღეს უნდა შეეჭამა.

ლიტ.: ნ. მაჩაბელი. ქორწინების ინსტიტუტი ქართლში. თბ., 1978, გვ. გვ. 78-79; მისივე, მაგიურ-რელიგიური წეს-ჩვეულებები საქორწილო რიტუალში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XX. თბ., 1979, გვ. 120.

ნეფსა (რაჭ.) - თავკავის (იხ.) ერთ-ერთი ნაწილი - კავების თავებში გარდიგარდმო გაყრილი ჯოხი (იხ. did.).

ნექვი (რაჭ.) - თივის პატარ-პატარა ბულები ზვინის დასადგმელად.

ნეძიმ ტახუა (კაკლის გატეხვა) - მეგრული საახალწლო მკითხაობა კაკლის გულით. ახალწლის დღეს, ვახშმის შემდეგ, ოჯახის რომელიმე წევრი, რომლის გარშემო მთელი ჯალაბობა მოიყრიდა თავს, ყოველი მათგანის სახელზე კაკლის გატეხვას იწყებდა. თუ კაკლის გული ვარგისი აღმოჩნდებოდა, მისი პატრონი წლის მანძილზე ჯანმრთელი იქნებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში დამწუხრდებოდნენ და ქვითინსა და მოთქმას მოყვებოდნენ. უდიდეს ბედნიერებად მიიჩნევდნენ და საერთო მხიარულებას მიეცემოდნენ თუ ყველა კაკლის გული მათ უვნებელ მომავალს მოასწავებდა. ბოლოს, ჭურჭელში ჩაყრილ კაკლის გულებს ღვინოს დაასხამდნენ, დილამდე დააყენებდნენ და უზმოზე დალევდნენ; მიაჩნდათ, რომ ეს ნაყენი ადამიანს ჰარგ ფერს აძლევდა, იცავდა პირიდან გამომავალი მყრალი სუნისგან.

ლიტ.: И. Кобалия. Из мифической Колхиды // СМОМПК. № 32. Тф., 1903. გვ. 96.

ნიადაგის ნაირსახეობანი -- აჭარის მთის მოსახლეობა ნიადაგს ერთმანე-

თისაგან ანსხვავებდა, მაგალითად, მაჭახლის ხეობაში მიწა ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა: 1. ნაყოფიერების მიხედვით: მსუქანი მიწა, მჭლე მიწა; 2. სტრუქტურის მიხედვით: სილა მიწა, თიხა მიწა; 3. მცენარეულ საფართან დამოკიდებულების მიხედვით: თხმელნარი მიწა, შქერნალი მიწა; 4. წყლის მოქმედებების შედეგად შექმნილი ნიშან-თვისებების მიხედვით: სველი მიწა, ჭონჭყო მიწა, ჭაობიანი მიწა; 5. ფერის მიხედვით: წითელი მიწა, შავი მიწა; იყო ახალნაკაფი მიწა - ახოს აღების შემდეგ. ნასვენნი „ხამი“ მიწა. ნიადაგთმცოდნეობის გარეშე, შეუძლებელი იყო მეურნეობის გონივრული წარმართვა.

ხალხური დაკვირვებით, სამეგრელოში როგორც ბარის, ისე მთისძირა და მთის ზოლში სხვადასხვა თვისების ნიადაგებს შემდეგი ტერმინებით გამოხატავდნენ: წითელი მიწა, ეწერი, აყალო, ტკილი, ლები, ქვიშრობი, ჭაობი, ჭანჭრობი, ჭყანტი, დამპალა, დიხამბილი, დიხამყო, მდივნი, უტახი, მხუნა, ჭვარუა და სხვა. ჭვარუა-ში უგულისხმება სათესად გამზადებული მოახობული მიწა. ურეტი - დაუმუშავებელი მიწის გამომხატველია, მხუნა - ორ-სამ წელიწადს დასვენებულ მიწას ნიშნავს - „მიწა სამ წელიწადს დაუმუშავებელი რომ დატოვო მოიშხუნებს.“ ფშავი სასოფლო მიწების მდებარეობის მიხედვით, სამად განიყოფება: მთის, ბარისა და ჭალის მიწები. მიწების მდებარეობის გამოსახატავად ხშირად იყენებენ პურეული კულტურების სახელებს იმის მიხედვით, თუ სად მოდის. მაგალითად, „სასვილე“ - იგულისხმება მთის სახნავ-სათესი; „საქერე“ - მთის ქვემო ზოლის გამომხატველია; „საწმინდარი“ კი, „კარისა“ და „ჭალის“ მიწებს ნიშნავს. მიწებს განასხვავებენ მდებარეობის მიხედვით. მაგალითად, ნაკვეთს თუ მზე ადგას, „პირმზითის“

ხოლო ჩრდილოვანს - „ჩრდილიანის“ სახელით აღნიშნავენ.

სვანეთი ორ მიკრორაიონად განიყოფება: ქვემო და ზემო. ზემო სვანეთს ორად ყოფენ: ბალსზემო - თავისუფალი და ბალსქვემო - სადადეშქელიანო სვანეთად. ხემო სვანეთის ბალსქვემო რაიონში ნიადაგების ორი ძირითადი ტიპია: მთა-ტყისა და მთა-მდელოსი. ბალსზემო - ეწეროვანია. ხშირია მთის ფიქალნარევი ხირხატები, თხელფენოვანი სახნავები... იმერეთში დამოწმებულია: შავი მიწა, წითელი, მძიმე, ფხეკა, მჩატე, თარი, აყალო, თიხამიწა, ლაგაზი, ქირში, სილამიწა და სხვა.

ლიტ.: ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობა, ბათუმი, 1974:42-43; გ. ჯალაბაძე, მიწათმოქმედება სამეგრელოში, მასალები სამეგრელოს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1979:6; გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1986:68; გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1990:5; ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, 1974:609.

ნიგა / ნოგა (მეგრ., იმერ.) - პირგანიერი, მრგვალი, ფსკერჩადგმული ხის ჭურჭელი. მუცლის ქვემოთ ორმაგი სალტეთი გამაგრებული. კიდებში ნახვრეტები აქვს, სადაც მორკალული სახელურის თავებია გაყრილი. იხმარება წველის დროს რძის ჭურჭლად. იყო „ტუჩიანი“ და „უტუჩო“ სარძევე ნიგები. ძირითადად მწყემსები ამზადებდნენ.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ნიგზიკალია (რაჭ.) - ნიგზის შეჭამანდი. ნიგზიკალიას ასე ვაკეთებდთ: ნიგოზს დავნაყამთ და ხახვს უზამთ და ცოტა სიმიდის ქბილს ამოუკიდებთ საფენალს, ავადულებთ, მოვხარშამთა და ვჭამთ.

ნიზამი - დემურის ტიპის ტყავის დასამუშავებელი ბლაგვირიანი იარაღი, რათა ბეწვის გაცლისას ტყავი არ დააზიანოს. ძველად დაბახანებში ტყავზე ბეწვს აცლიდნენ ნაცრით, ან ხმარობდნენ ამ მიზნით მტრედისა და ქათმის სკორეს. დროთა განმავლობაში ბეწვის გაცლა ხდებოდა ნიზამის საშუალებით.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ნირის კოტორი - იხ. „ნირობა ღამე“.

ნირობა - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული საახალწლო ციკლის თუშური დღეობა; იმართებოდა გამცხადების წინა ღამეს. ახალსულის (ახალგარდაცვლილის) პატრონი საამდღისო სუფრისთვის, ჩვეულებრივი ზომის კოტორებთან ერთად, აცხობდა „ნირის“ - კოტორს, რომელიც ისე დიდი იყო, რომ საჯარეში მის მიტანას რამდენიმე კაცი ჭირებოდა. ყველა ოჯახის საჯარეში ტაბლა (კოტორი, ერთი ასხმული მწვადი, ხილი და სანთელ-ზედაშე) მოჰქონდა. მას ყოველი შემომსვლელი ნირთან მჯდომ ჭირისუფალს მიართმევდა, თან ეტყოდა: „ღმერთმა ახალი მკვდრის სული გიცხონოს“. ისიც მადლობით ჩამოართმევდა ტაბლას და საერთო სუფრაზე დადებდა. როცა ყველა ოჯახიდან მოიტანდნენ სანთელ ზედაშესა და მწვადს, ხელოსანი (ღვთისმსახური) მიცვალებულთა სულებს ახსენებდა: „ღმერთო, დიდება შენდა! ღმერთო, მადლი შენდა! ღმერთმან შეუნდოს ყველა ჩვენ მკვდართა.

სულნო ცოდვილნო, შინამ შამოხვალთა, კარიმც ღია დაგხვდებათა, ცეცხლიმ - დანთებული. თქვენსამ წინათ არსა ეს გამლილ სუფრა, ანთებულ სანთელი. ხელთამ გიჭერავთა ყანწი-დ საღვინეი. ავი-დ არამიმ ნურავინ დაგეწვევათა, ცოტაიმ დიდად მოგეჩვენებათა. ზამთრისემ ნუ გაგიყინავასთა, ზაფხულისემ ნუ დაგიობდებათა, ცისამ ცვრად გადაგეწვდებათა, ბორტვისამ მწვანილად ამოგივასთა. მშიერა'ნიმ დაგიძლებიანთა, მწყურვალნიმც დაგეთვრებიანთა. მანამდომც ნუ გაგიტავდებათა, სანამდ ჰარ ხვნივდესა, ცას ცვარი ჩამოზდიოდესა, გორს მწვანილ ამოდიოდესა, შავ ყორან თეთრად არ იქნებოდესა. ერთკვადსამ მი'წვევთა, ყველანი შინ შემოხვალთა, ძველნი ახალნი, წინანი, უკვენანი, თავისანი, ოხრისანი, ვისაც შინ მძახე არ ხყავ, იმათაცამ შემე'ყოლებთა, კარისკარამ ნუ გა'ბრუნებთა. ვინაც ჩვენ ვერ ვთქვათ, თავადამც მი'გონებთა, თავადამც მი'წვევთა თუ ვინ გახათრებდესთ ან დობილ-ძმობილობითა, ან სვილა-ნათლიაობითა, ან მიწა-მამულის პატრონი, ან წყალ-წისქვილის პატრონი, ან ცხენ-იარადის პატრონი, ან კალო-ნაფუძრის პატრონი, სუყველა'თამ შემე'წვევთა, ჩვენდამ კას ათქმევთა სულეთის ღმერთსა". ამ სულის სახსენებელს ყველა იქ მყოფს შეასმევდნენ; შემდეგ ნირის მომტანი ოჯახის მეკვლე ნირის კოტორს დაჭრიდა ისე, რომ საგვარეულოს ყველა წევრს შეხვედროდა. ვინც ჯარში არ იქნებოდა, იმასაც გაუგზავნიდნენ.

ლიტ.: ნ. აზიკური. კოტორი, როგორც რიტუალური პური თუ შეთმი // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXIII. თბ., 1987, გვ. 218; გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 55-56.

ნიტრა (რაჭ.) - პატარა ღოქი წყლისა და ღვინისათვის (იხ. ბერ., მენტ., ქეგლ, ქართ. დიალექტ., 687, ძოწ.).

ნიშანი - აქ: სანიშნო თარჯი. ტყეში მოწონებულ-შეგულებულ ხეს „ნიშანს“// „თარჯს“// „თანჯს“ ადებდნენ. ხის ტანზე ნიშნის დადებას „დანიშვნა“// „დათანჯვა“// „დაჯვარვა“ და ა.შ. ეწოდებოდა. ხის დასაკუთრება ხლებოდა ნიშნებით („ჯვარი“, „სამფოჩა ჯვარი“, „ცალქიმა“ და ა.შ.). ოჯახის გამრავლების, დანაწილების დროს „ფუძისეული“ ნიშანი უცვლელი რჩებოდა. ვისთანაც მამა იცხოვრებდა ოჯახის ნიშანიც მას ეკუთვნოდა. ხის დანიშვნა საქართველოს ბევრგან დასტურდება.

ნიშანიში ძვიბუა (მეგრ.) - „ნიშნის გატენვა“ - მიცვალებულის ტანსაცმლის - ნიშნის - ჩალით ან ბამბით გატენვა. ჩაცმულ-დახურულ ნიშანს, როგორც ცოცხალ ადამიანს, წლისთავზე (მოწანუა) ტახტზე დასვამდნენ, გარშემო წირისუფლები შემოუსხდებოდნენ და მოთქმით დაიტირებდნენ. წლისთავის შემდეგ ნიშანს აიღებდნენ, ტანსაცმელს ბამბასა თუ ჩალას მოაცილებდნენ და გაასაჩუქრებდნენ ან სამოსად დაიტოვებდნენ. აქვე უნდა ითქვას, რომ მეგრელებმა მიცვალებულის ტანსაცმლის, ანუ ნიშნის ტახტზე გაფენა დასაფლავების მეორე დღიდან იცოდნენ. თუ სამძიმარზე გასვენებაში არნამყოფი პირი მოვიდოდა, მას ნიშანთან მიიყვანდნენ და იქ იტირებდნენ. გარდა ამისა, წლამდე ყოველ შაბათს, მზის გადახრის დროს ამ ნიშანს გარეთ გაიტანდნენ და დაიტირებდნენ.

ლიტ.: ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 287; თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1956, გვ. 287; ნ. ანთელავა. სამეგრელოს

ექსპედიციის მასალები. რვ. № 6, გვ. 7 (ხელნაწერი ინახება ავტორთან).

ნიში - 1. კედელში ამოჭრილი თარო. იყენებდნენ ჯვარ-ხატების დასაწყობად. სალიტერატურო ქართულში ძველთაგანვე დაფუძნებული ტერმინია. 2. ქვებით მოზღუდული სალოცავი ადგილი საქართველოს მთიანეთში.

ნიშხა-ნიშხა - ქართული ხალხური საბავშვო თამაშობა, რომელშიც ინსცენირებულია მზის (მზის ღვთაებისა) და გველეშაპის ბრძოლის არქაული მითოლოგია. თამაშობს ორი მოწინააღმდეგე ბანაკი, რომელთაგან ერთ - ნიშხა-ნიშხა - თავდამსხმელია, ხოლო მეორე - ბარბალუკა - მომგერიებელი. ნიშხა-ნიშხა, დაეცემა რა ბარბალუკას, ამ უკანასკნელის მწკრივი უნდა გაარღვიოს და, გასამარჯვებლად, ან მისი კენტად დარჩენილი წევრი უნდა დატყვევოს, ან მთლიანად ჯგუფი.

სათანადო ენობრივი მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით, ვ. ბარდაველიძე ტერმინ ნიშხას (ბნელის, შავის მნიშვნელობით) გველეშაპის ეპითეტად, ხოლო ბარბალუკას - მზის ღვთაების სახელის (ბარბალეს||ბარბარეს/ქალ-ბაბარის) კნინობით ფორმად მიიჩნევს. მკვლევარი მნათობთა დაბნელებასთან დაკავშირებული ძველქართული წარმოდგენებისა და ჩვენთვის საინტერესო თამაშობის შედარების საფუძველზე, აღადგენს რა ნიშხა-ნიშხას თავდაპირველ ვარიანტს, ასკვნის: „ქართული საბავშვო თამაშობა „ნიშხა-ნიშხა“ ასახავს კოსმოსურ-მითოლოგიურ სცენას მნათობი მზისა და შავბნელი ძალის - გველეშაპის - დაუცხრომელი ბრძოლისას. ეს კოსმოსურ-მითოლოგიური სიუჟეტი ხალხს შეძლო შეექმნა უძველეს წარმოდგენებთან

დაკავშირებით დღე-ღამისა და ბუნებრივი სუზონების ცვლის გამომხატველ ნათელი და შავბნელი, კეთილი და ავი ძალების ჭიდილის შესახებ“.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. ღვთაება ბარბარ-ბაბარ. თბ., 2006, გვ. 113-121; გ. მერკვილაძე. ქართული მოძრავი თამაშობანი. ტფ., 1922, გვ. 10; Н. Гулисов. Об игрушках, играх и разных детских забавах, встречающихся в Грузии // СМОМПК, вып. V, отд. II, гв. 238.

ნიჩაბი || **ნიჩაფი** (თუმ.) / **აჩათანა** (ფშ.) - სამეურნეო ხის ხელსაწყო. ითლებოდა თელის ან ცაცხვის ხისაგან. შედგება ტარისა და პირისაგან. საშუალო სიგრძე 140 სმ, ნიჩბის პირის სიგრძე 42 სმ, სიგანე - 21 სმ. ნიჩბით კალოობის დროს მარცვალს ანიავედნენ. XI საუკუნის ქართული წერილობითი ძეგლი გვამცნობს: „რომლისა იგი ნიჩაბი ველთა მისთა და განინდოს კალოი თვისი და შეკრიბოს იფქლი ისი“. ნიჩაბი არნადთან (იხ.) შედარებით უფრო მომცრო იარაღია. საწნახლის ნიჩაბი არის თითებიანიც (იხ. მელული) და მთლიანიც. როდესაც საწნახელში ყურძენი კარგად დაიჭყლიტება, ნიჩბით უკანა მხარეს მიჰყრიან// შეაგუნდავებენ, ძირში ნიჩაბს გაურჭობენ და ჭაჭას ზემოდან დაუწყებენ დაწბელვას. ამ დროს ნიჩაბი ასრულებს პრიმიტიული საწბერის მოვალეობას. ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ნიჩაბი სანიავებელი - კალოობის პროცესში მარცვლის გასანიავებელი ხელსაწყო. მარცვლულის განიავება - ხვავისაგან მარცვლის, სილის, ქვების, სა-

რეველა მცენარეთა თესლის მოშორება, ამ პროცესის ბოლო საფეხურია და მას სათანადო ადგილი უკავია ხალხურ სამიწათმოქმედო სისტემაში. მარცვლეულის განიავება-გასუფთავება რამდენიმე ეტაპს მოიცავს: 1. ნიჩბით განიავება - „გამონიჩბვა“, 2. ცხავ-ცხრილით (იხ.) გასუფთავება - „გაცხავება“, „გაცხრილვა“, 3. მარცვლეულის ხელვარცლით, ტაბიკით და რიქით განიავება - „დატაბკვა“, „დაკეთება“, „დაწვეერვა“. ნიჩბით განიავების პროცესი კალოზე მაშინ ხდება, როდესაც სათანადო ძალის მქონე ქარი ქრის. განიავებელი ნიჩბით აზიდულ მარცვალს ქარის მიმართულებას აყოლებს და ამით ასუფთავებს და ახარისხებს მოწეულ მარცვლეულს. განიავების შედეგად განიავებლის მახლობლად მძიმე, სრულყოფილი მარცვალი ეცემა, მისგან მოშორებით - საშუალო სიმძიმის, უფრო შორს კი - მჩუტე და სუსტი მარცვალი.

სანიავებელი ნიჩაბი მზადდება მსუბუქი ხის ჯიშისგან; განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტარისა და პირის დამუშავებას იმ მიზნით, რომ ადვილი იყოს ამ იარაღით მუშაობა. ნიჩბის ტარი მორგებულია ორივე ხელზე. ნიჩბის პირი ფარფლიანია, რათა განიავების პროცესში მარცვლეული ადვილად დახარისხდეს.

საქართველოში სანიავებელი ნიჩბის ორი სახეობა არსებობდა. მათგან ერთი, შედარებით დიდი ზომის, გავრცელებული იყო იმ ადგილებში, სადაც მიწა ქართული

დიდი გუთნით (იხ.) მუშავდებოდა, ხოლო მეორე, უფრო მცირე, იმ რაიონებში, სადაც სახვნელ იარაღებად - აჩაჩა (იხ.) და ორხელა (იხ.) გამოიყენებოდა.

ლიტ.: მ. ხაზარაძე. მარცვლეულის გასანიავებელი ხელსაწყო-იარაღები საქართველოში // ძეგლის მეგობარი. 42. თბ., 1976. გვ. 15-16.

ნიხა (რაჭ.) - დასახნავ ან დახნულ ყანაში ერთმანეთზე 3-4 მეტრის დამორებით სახვნელით გავლებული კვლები. ორ კვალს შორის მოქცეულ ფართობს ნიხას ეძახიან. ნიხა სჭირდება მთესველს თესლის მობნევის საზღვრად (იხ. ბერ., ქართ. დი).

ნიხაჩო (რაჭ.) - ურმის ზესადგარის ნაწილია, - ჭანჭიკი, რომელიც ზესადგარის ყებებში გაყრილ რხმალებს (იხ.) ამაგრებს (შდრ. მენტ.).

ნიხი / ნიხის ყავარი (რაჭ., გლ.) - სახურავის კუთხე. ნიხის მარწუხები გაიწყობა 4 ცალი. სახურავის კუთხეებში მოთავსებულ ყავარს ნიხის ყავარი ჰქვია.

ნიჯრი (რაჭ.) - წალდის წინა ნაწილი, წალდის ცხვირი (იხ. მენტ., შდრ. გაჩ.).

ნოშრიო (რაჭ.) - შავყურძნიანი ვაზის ჯიშია. ამჟამად თითქმის აღარ გვხვდება (იხ. ჯავახ. ეკ. ისტ., II, 192; ფრ., 28).



ობურ მარე - ავი თვალ-ფეხის მქონე ბოროტი მამაკაცი სვანური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით. სვანებს სწამდათ, რომ ასეთი მამაკაცი ყოველ სოფელში ცხოვრობდა და შეეძლო ზიანი მიეყენებინა (სნეულება შეეყარა) როგორც ადამიანებისთვის, ისე - საქონლისთვის (დაეშრო რძე, დაეჩიავებინა, ავად გაეხადა და სხვ.). გარდა აღნიშნულისა, გავრცელებული იყო რწმენა, რომ ობურ მარე ღამლამობით შინაურ ცხოველებს სისხლს სწოვდა.

ლიტ.: ნ. ანთელავა. სვანეთის ექსპედიციის მასალები. რვ. № 4, გვ. 11 (ხელნაწერი ინახება ავტორთან).

ოგაფა || **აგაფა** (მეგრ.) - მარტივი სახვნელი იარაღი. შედგებოდა: მხრის (აგაფა, დედო), ქუსლის („ჩაფლა“), ერქვანისა და სახნისისაგან („კინა“). ასეთი სახვნელები გავრცელებული იყო თითქმის მთელ საქართველოში (გურია, იმერეთი, ლეჩხუმი, სვანეთი, ხევსურეთი, თუშეთი). ყველა ეს სახვნელი ერთიანდება კოლხური ტიპის სახვნელებში.

ოგაფას აკეთებდნენ აკაციის, წაბლის, ან თხმელისაგან. იგი ყოველთვის კარგად იყო გათლილ-დაწარბული, რომ საჭი-

როებისას მსუბუქი და საიმედო სიმაგრე ჰქონოდა. თითქმის ანალოგიური აღნაგობის იყო ცხენის ოგაფა, რომელიც წინა ოგაფისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ გამწევ ძალად, ნაცვლად ხარისა, ცხენს იყენებდნენ. ცხენის ოგაფას როგორც სახვნელი, ისე მიწის ასაფხვიერებელი და ნიშნულება ჰქონდა.

სამეგრელოში სახვნელი იარაღების ნაირსახეობა მიუთითებს ამ კუთხის სამიწათმოქმედო კულტურის დიდ სიძველეზე და სამეურნეო ცოდნის მაღალ დონეზე, რომელიც საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, მიწათმოქმედება სამეგრელოში, მასალები სამეგრელოს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1979:32-35, 43.

ოდო! (რაჭ.) - შეძახილი ძროხის გამოსარეკად (შდრ. წერ.: ოდედოო; ძოწ.: ოდედო! გაჩ.: ოდეელო! დეედო).

ოდიშურა (რაჭ.) - საშემოდგომო მსხლის ჯიშია. სრულ დამწიფედამდე არ იჭმება,

მჟავა, ქირშია (იხ.).

ოდიშური ნავი - საქართველო უძველესი საზღვაო ქვეყანაა. ნაოსნობაც უძველესი საქმიანობა იყო ქართველებისათვის. ამას ადასტურებენ ძველი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები, გეოგრაფები, მწერლები (ჰომეროსი, პინდარე, ევრიპიდე, აპოლონიოს როდოსელი, ჰეროდოტე, სტრაბონი, პლუტარქე). ბერძენი მწერალი და მეცნიერი აპოლონიოს როდოსელი თავის „არგონავტიკაში“ - მოგვითხრობს: როცა ბერძნებმა - არგონავტებმა - საქართველოდან ოქროს საწმისი და მეფის ასული მედეა გაიტაცეს, მეფე აიეტმა გამტაცებლებს უზარმაზარი ფლოტი დაადევნა, მისი ბრძანებით, „კოლხებმა მყისვე მოამზადეს ხომალდები, ააფრიალეს აფრები და იმავე დღეს შესცურეს ზღვაში. კაცი იტყოდა, ეს ხომალდთა ლაშქარი კი არა, ფრინველთა ურიცხვი გუნდი არის და ზღვას დაჟრიაბულეზსო“, ეს ამბავი ეხება ძვ. წ. XIII საუკუნეს. საქართველოში ნაოსნობას ხელი შეუწყო ქვეყნის გეოგრაფიულმა მდებარეობამ, აგრეთვე ძვირფასი ჯიშის ნავსაშენი ხე-ტყის სიმრავლემ, საუკეთესო ხარისხის სელმა, კანაფმა, ცვილმა და ა.შ. ჩვენს ლიტერატურულ თუ საისტორიო ნაშრომებში უხვადაა შემონახული სხვადასხვა სახის წყალწყვისა და დანიშნულების ხომალდების, მათი ცალკეული ნაწილების, ქარებისა თუ წყლის დინებების, ზღვის მფარველი ღვთაებების ქართული სახელები, ძველი ქართული სანაოსნო ტერმინები, მაგალითად: აფრა (ანუ საბერველი), აფქიო (ანუ აფრა), ბადე, ელესა (მეზღვაურთა სიმღერა). ელე (ნავის გვერდების ფიცრების შემაკავშირებელი), თეთროსანი (ქართველ მეზღვაურთა წარმართული ღვთაება), კამარა (საბრძოლო ხომალდი), ლარსა (მეთევზეთა მფარველი ღვთაება), მხერვალი (მესაჭე), ნერჩი (ნავის ძირი), ნიში, ანუ ნუმა, ოლეჭკანდერი, ხეჭება

(დიდი საბრძოლო ხომალდი) და ა.შ. სულხან-საბა ორბელიანი „სიტყვის კონაში“ ზუსტად განმარტავს ზოგი ქართული სანაოსნო საშუალების სახეობას. იგი წერს: „ნავი, ეს ზოგადი სახელი არს ყოველთა ნავთა. ხოლო მცირესა ნავსა ეწოდება ნუმა: მისსა უდიდესსა ვარცლი, კოპანო, კარაპა, კარჭაპა, ხუმალდი, კარაფითა, ოჩხომელი, ოლეჭკანდერი და კატარდა. ერთი მეორის უდიდეს-უდიდესნი არიან. ხოლო ხომალდი და დრომონი უდიდეს ყოველთა.“ „ოდიშური ნავი“ გავრცელებულია სამეგრელოში (მეტ-ნაკლებად გურია-იმერეთში). იგი კიჩოჩაწეული და ცხვირაწეული დაცურავს და შორიდან ქართულ ჭვინტიან ქალამანს მოგვაგონებს. სიგრძით 12-15 მეტრია, იტევს დაახლოებით 40-80 ფუთ ტვირთს. ემსახურება 5-7 მენიჩბე (მეზოფური), მართავს მესაჭე (მხერვალი). აქვს სამკუთხა აფრაც. ოდიშური ნავით გადაჰქონდათ შეშა, თივა, გადაჰყავდათ მგზავრები, საქონელი, იყენებდნენ სათევზაოდ. ოდიშური ნავის პრაქტიკული მნიშვნელობა საჩინო გახდა ბოლოდროინდელი წყალდიდობებისას, როცა მისი შემწეობით სამაშველო სამუშაოებს ასრულებდნენ. ლიტ.: ზ. კუტალიეიშვილი, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

ოდუდია / ოდუდია სამგარიო - მაკაცთა სალოცავი ქვევრი სამეგრელოში. ს. მაკალათიას მიხედვით, ამ სალოცავს ზამთარში, დეკემბრის ან იანვრის თვეში იხდიდნენ. საამისოდ გამოაცხობდნენ ოთხ ყველიან კვერს, დაკლავდნენ გოჭსა და მამალს; გაამზადებდნენ და ხონჩაზე დაალაგებდნენ, სანთლებს შემოუნთებდნენ და ოჯახის უფროსი მამაკაცი, უფროსი ვაჟიშვილის თანხლებით, ხონჩას შესახელებულ ქვევრთან მიიტანდა. ორივენი დაიჩოქებდნენ, უფროსი მლოცველი ხონჩას მარჯვნივ სამჯერ დაატ-

რიალებდა და დაილოცებოდა: ღმერთს ჯანმრთელობას, ავადმყოფობისგან და ცუდი შემთხვევებისგან დაცვას შეევედრებოდა; შემდეგ მოხდიდა ქვევრს და შიგ საზედაშე ღვინოს ჩაასხამდა. მამა-შვილი სანთელ-საკმეველს თავზე შემოივლებდა და ნაკვერჩხალზე დაწვავდა; ერთ კვერს, მამლის თავსა და გოჭის გულ-ღვიძლს იქვე შეჭამდნენ და ხონჩიანად სახლში დაბრუნდებოდნენ, სუფრას გაშლიდნენ და ოჯახის უფროსს დალოცავდნენ.

ი. ქობალიას თანახმად, ტაბლასთან ბავშვის (ვაჟის) პირველად დასმის დღეს ყველა ოჯახი უქმობდა და დღესასწაულობდა. მარანში ამ დღის სახელობაზე 1-2 ფოხალიან ქვევრს ჩაფლავდნენ „ოდუდიას“ სალოცავად. დაკლავდნენ გოჭს, შეწვავდნენ და, სანთელ-საკმეველთან ერთად, ხონჩით წაიღებდნენ მარანში, სადაც ბავშვი პირველად მიყავდათ. რამდენადაც ქვევრში ღვინო ჯერ კიდევ არ ესხა, მის თავზე ერთ ჭიქა ღვინოს დადგამდნენ და „ოდუდიას“ სახელზე დაილოცებოდნენ: „ოდუდია ბატონო, დიდებულო, სახელოვანო. დღევანდელი ლოცვა მლოცველს ღირსეულად შეარგე, მრავალი წლის ლოცვა მხიარული ჰყავ. ამ ლოცვის შემდეგ თავი არ ამტკივებიაო, - ათქმევინე. ასე წადმა შენ ამყოფე (ხონჩას მარჯვნივ შეაბრუნებს) და ყოველი ტკივილისა და გაჭირვებისგან ასე გამოიყვანე (ცერა და საჩვენებელი თითების შეერთებით მიღებულ რკალში ღვინოს გაატარებს), დაილოცოს შენი სახელი (ოდუდია პატენ, დიდებუანი, სახელუანი! დღარი მახვამურც ამუდღარი ხვამა ღირსუანი უყიი, ბრელი წანაში ხვამა ხიარულო დააცალი; თენა ქიბხვამიე უკული დუც ვემკობჭვებუნეე ორაგადაფე. თაში მორძგვიშე სი დაარინე დო თაში სი გაიშეეყნი ირი ჭუა-გაჭირებაშე, სქანი სახელი ხვამელი).

იმავე ავტორის ცნობით, ოჯახს „ოდუდია“ ქვევრი ყველა ვაჟის სახელობაზე ემარხა.

ლიტ.: ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 323; ი. ქობალია. ჩემი ავტობიოგრაფია. გვ. 19 (ხელნაწერი ინახება ზუგდიდის ისტორიის მუზეუმის არქივში); ა. ჭანტურია. ეთნოგრაფიული ჩანაწერები. მეგრული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებანი // თსუ შრომები. ტ. 227. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ., 1982, გვ. 213.

ოთურა - ცალფა ნავის გასათლელი ცული.

ოთხიანი ნალი (რაჭ.) - ოთხნახვრეტიანი ნალი. ხარებს წინა ფეხებზე ოთხიანით ვჭედამთ, უკანაზე – სამიანით.

ოკათური (მეგრ.) -- მესაქონლეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის დიდმასშტაბიანი ფორმა - მსხვილფეხა საქონლის მეპატრონეთა გაერთიანება. შრომის ორგანიზაციის ეს წესი მესაქონლეობის ერთ-ერთ ფორმასთან - მთა-ბარობასთან იყო დაკავშირებული.. მთა-ბარობა გულისხმობდა ძირითადი დასახლებისაგან ტერიტორიულად მოწყვეტილი საქონლის ჯოგისა და მომვლელი პერსონალის მუდმივ მოძრაობას ცენტრალური კავკასიის საზაფხულო საძოვრებიდან დასავლეთ საქართველოს საგაზაფხულო-საშემოდგომო და საზამთრო საძოვრებისაკენ და პირიქით.

ლიტ.: ვ. შამილაძე, მესაქონლეობა სამეგრელოში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა, II, 1974.

ოლესთი - „წარმართული ღვთაება ლაზებში“, - ასე განმარტავს ა. თანდილაშვილი. მის შესახებ სხვა ცნობა არ მოიპოვება.

ლიტ.: ა. თანდილაშვილი. ლაზური ლექსიკონი (ლაზური ნენაფუნა). თბ., 2013, გვ. 624.

ოლეჭკანდერი - შუა საუკუნეების საქართველოში (სამეგრელო) ფართოდ გავრცელებული აფრებიანი ხომალდი, რომელიც 200-დან 300-მდე მგზავრს გადაიყვანდა. გამოირჩეოდა სისწრაფითა და კარგი მანევრირებით. ლიტ.: ზ. კუტალიძე, ნაოსნობა... 1987.

ოლვე -- მაჭახლის ხეობაში ღომის თავთავის გასახმობი საგანგებო წნული ჭურჭელი.

ლიტ.: ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობა, ბათუმი, 1974:38.

ონგალო (რაჭ.) - ტალავერის ბოძებზე სიგრძით და სიგანით გაწყობილი ხის ღარტყები (შდრ. წერ., ფრ., 66).

ომორგუალე ორომე - „სამგლოვიარო ორომე“, რომელშიც მეგრული ქალი გარდაცვლილ ქმარს ორომცამდე გლოვობდა. წარმოადგენდა კვადრატული ფორმის (დაახლ. 1.5 X 1.5 მ.) ორომს, რომლის სიღრმე მგლოვიარის სიმაღლეს დაახლ. 0.5 მ. იყო ჩაცდენილი. ორომს, რომელსაც ფიცრის ნაჭრები ეხურა (წვიმიან ამინდში ან ზამთარში ფიცრებზე ჩალას აწყობდნენ), შემოვლებული ჰქონდა ან დაახლ. 1 მ-მდე სიმაღლის წნული ღობე, ან მის მთელ პერიმეტრზე ქვები ელაგა. მიცვალებულის დასაფლავების დღიდან ორომცამდე მგლოვიარე ცოლი ამ ფაცხაში, რომელიც წინა ეზოს რომელიმე კუთხეში იყო ამოთხრილი, ჯორჯოზე იჯდა და მხოლოდ წყალსა და პურს

(მჭადს) ჭამდა. ჭირისუფლები ქვრივს მალულად მორიგობით ღამეს უთევდნენ.

სამეგრელოში დღესაც კი ძალზე დიდ ლანძვად მიიჩნევა თქმა: „ორმო გამსკდარი“ (ორომე გოხარცქილი); იტყვიან ქალზე, რომელმაც უკადრისი საქციელი ჩაიდინა ან ქმრის გარდაცვალების შემდეგ გათხოვდა. როგორც ჩანს, იგი „სამგლოვიარო ორომოსთან“ არის დაკავშირებული.

ლიტ.: ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 4, გვ. 9 (ინახება ავტორთან).

ომორგუალე ფაცხა („სამგლოვიარო ფაცხა“) - მეგრული ტრადიციული წნული ნაგებობა, რომელშიც დაქვრივებული მამაკაცი ცოლის დასაფლავებამდე (რიგ შემთხვევაში, მეცხრე დღემდე ან ორომცამდეც კი) იმყოფებოდა. წარმოადგენდა გეგმაზე წრიული ან ოთხკუთხა ფორმის მცირე ზომის ფაცხას, რომლის უკანა კედელზე ე. წ. „გუა“ (სახელდახელო სკამ-ლოგინი) იყო მიდგმული. მეგრელები მას წინა (სუფთა) ეზოს რომელიმე კუთხეში მიცვალებულის გასვენების დღეს დილაადრიან აგებდნენ. თ. სახოკიას თანახმად, „ამ კარავში შედის დაქვრივებული ქმარი, დაღვრემილი, უზომო მწუხარებისა და სასოწარკვეთილების გამომხატველსახიანი. ამით გამოხატავს, რომ ამ დღიდან ისიც მკვდარია, ბნელშია, ღირსი არ არის მზის სინათლის ყურებისა. როდესაც მოტირალნი მიცვალებულს იტირებენ, მიდიან კარავთან და შიგ მჯდომ ქმარს მიუსამძიმრებენ. ზოგჯერ ტანისამოსს გაშლიან კუბოს მოშორებით ტახტზე - ქალისას და კაცისას. ერთი გამოხატავს მიცვალებულ ცოლს, მეორე - ქმარს. როდესაც ნამდვილ მიცვალებულ ქალს იტირებენ, მოტირალნი მიდიან ნიშნებთან და ორსავე დასტირიან. ეს ცერემონია

გამოხატავს ცოლის სიკვდილთან ერთად მისი ქმრის სიკვდილსაც. თვითონ ქმარი ამ დროს დამალულია, რომ დამსწრეთ სრული ილუზია მიიღონ სიკვდილისა, გაუჩინარებისა, მოსპობისა“.

თუ დაქვრივებული მამაკაცი ფაცხაში „მკლავის გახსნამდე“ (კილეშ გონწყუმა) ან ორმოცამდე დარჩებოდა, მას ოჯახის წევრები მხოლოდ ხმელა პურსა და წყალს აწვდიდნენ, რადგან მგლოვიარე სხვა რაიმე კერძს პირს არ დააკარებდა; ამ ხნის მანძილზე ფაცხიდან განსაკუთრებული საჭიროებისთვის გამოდიოდა და კვლავ უკან ბრუნდებოდა. თუ ქმარი ასაკმოყრილი იყო, ახლობლები ფაცხასთან ახლოს ისე, რომ მგლოვიარეს არ შეემჩნია, მორიგეობით ღამეს ათევდნენ.

ლიტ.: თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1956, გვ. 125; ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 4, გვ. 7-8 (ინახება ავტორთან).

ონიშე ოხვამერი - „სანავო სალოცავი“; მდებარეობდა პალიასტომის ტბის ნაპირზე, სადაც მეგრელი მენავეები თევზჭერის სეზონის დასრულებისთანავე ნავის ფორმის ყველისგულიანი კვერთხა (ყვალამ კვარი) და თევზეულით ლოცულობდნენ და წმ. ზებერდეს მადლობას სწირავდნენ.

ლიტ.: ზ. კუტალიეშვილი. ნაოსნობა საქართველოში. თბ., 1987, გვ. 264; ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 4, გვ. 6-7 (ინახება ავტორთან).

ონწელიში ქანდა (ლაზ. „აკვნის ქორწილი“) - საბავშვო ციკლის ლაზური წეს-ჩვეულება - ცოლოურთა სტუმრობა მოყვრებთან და ახალშობილისათვის აკვნისა და სხვა სახის საჩუქრების მიტანა.

ლაზები და, ზოგადად, ქართველები ვალდებულნი იყვნენ მშობიარობიდან არაუგვიანეს 1-1.5 თვის განმავლობაში ქალიშვილის პირველშობილი აკვნითა და მისი მოწყობილობით (არტახებით, შიბაქით, ლეიბით, საბნით, თეთრეულით, ფეხისა და მუხლის ბალიშებით და სხვა წვრილმანით) უზრუნველყოთ. საამისოდ სიძის ოჯახს მოლოგინებული ქალის მამისეული ოჯახის წევრები, ნათესავები და სხვა ახლობლები, უპირატესად ქალები, ბავშვისთვის განკუთვნილი საჩუქრებით სტუმრობდნენ. ლაზებში, სამეგრელოში, სადაც აღნიშნულ წესს „აკვნის მიყვანა“ (ონწეში მეყუნაფა) ერქვა, და აჭარაში („აკვნით სტუმრობა“ / „ძიობა“) სტუმრებს აუცილებლად უნდა ხლებოდა 12-16 წლის ვაჟი (ქალის ძმა ან დედმამიანი ბიძაშვილი), რომელსაც სახლში აკვანი შეჰქონდა. აკვნის შემტანს დიასახლისი ფულით ან სხვა რამით დაასაჩუქრებდა; წვეულებისთვის იმლებოდა სუფრა, რომლის დროსაც ბავშვს, მის მშობლებსა და ოჯახს ლოცავდნენ. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ამავე დღეს იცოდნენ აკვანში ბავშვის პირველი ჩაწვენაც. იმისათვის, რომ ბავშვი ავსულთაგან არ ვნებულიყო ან ვინმეს არ გაეთვალა, აკვანზე სხვადასხვა სახის ამულეტებს კიდებდნენ, ლეიბქვეშ და ბალიშქვეშ კი დანასა და მაკრატელს ამოუდებდნენ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩვილი ბავშვის ავადმყოფობის ან ქალის უშვილობის დროს ხატს პატარა აკვანს სწირავდნენ; საამისოდ ქართლში, სამეგრელოსა და სვანეთში ჩვეულებრივი და ვერცხლის მინიატურული აკვნები ყოფილა გამოყენებული. მთიულეთში ერთსა და იმავე აკვანში ბავშვების ხშირი სიკვდილიანობის შემთხვევებში, მას ხეზე შეაგდებდნენ: „უბედური, უიღბლო აკვანიაო“ (აკვანში, რომელშიც

ბევრი ბავშვი დაიზრდებოდა „იბლიან აკვანს“ უწოდებდნენ). აკრძალული იყო აკვანის დაწვა („აბა, ვინ დასწვავს აკვანის ხესა, ისევ თვითონ დაიშალოსა“), მაგრამ ხევსურეთში თუ ქალს შვილები ენოცებოდა, სოფელი აკვანს დააწვევინებდა ჯვარის ტყეში. აკვანის თხოვება არ იკრძალებოდა. აჭარაში აკვანს იმ ოჯახს გამოართმევდნენ, სადაც ბავშვები ჯანმრთელები დაიზარდნენ; იყო ფაქტები, როცა აკვანს რამდენიმე ღლით იმ მეზობლისგან ითხოვდნენ, რომლის აკვანში განათლებული და სასახელო ადამიანები გაზრდილა.

ლიტ.: მ. ვანილიში, ა. თანდილავა. ლაზეთი. თბ., 1964, გვ. 123-128; ვ. ბარდაველიძე-ლომია. ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალები მთიან ქართლში // საქართველოს მუზეუმის მოამბე. IV. ტფ., 1933, გვ. 239-243; გ. ჩიტაია. აკვანი // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. I. თბ., 1975; ჯ. ვარშალომიძე. აკვანი და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი აჭარაში // სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა. XIV. თბ., 1987, გვ. 81-90; ე. მაჭავარიანი. ბავშვის მოვლა-აღზრდის წესები მთიულეთში // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“. XIX-A და XXI-B. გვ. 251-278; ლ. ბედუკიძე. ხის ავეჯი რაჭაში // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“. XLII-B. თბ., 1997, გვ. 140; ნ. ანთელავა. ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამეგრელოში. თბ., 2004, გვ. 141-144.

ონწეში მეყუნაფა - იხ. „ონწელიში ჭანდა“.

ონჯარო - მომცრო საწნახელი დასავლეთ საქართველოში. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, სიტყვა ონჯარო დაკავშირებული უნდა იყოს ჭყლეტვასთან. სხვა კილოკავებში ონჯარო პატარა გობსაც ნიშნავს. ყურძნის საჭყლეტ საუკეთესო ონჯაროებს ისტორიული არგვეთის თემში ამზადებდნენ.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი. მსმკი. თბ., 1964.

ორბი (რაჭ.) - მთლიანი ხისგან გამოჭრილი ურმის თვალის შუაში ამობურცული ადგილი (იხ. ბერ.: ორბა).

ორგო - 1. მთლიანი ხის ბადიმი; 2. ხის, ქვის ან თუნუქის გობისებური ნივთი, რომელსაც სამეურნეო ნაგებობების ბოძებს ახურავენ ზემოდან, რათა ბოძებზე აყოლით მღრღნელებმა ვერ შეაღწიონ ნაგებობაში.

ორთაყვირი - ტივის სამართავი გრძელი ხე, ნიჩაბივით პირი აქვს.

ორთოხი -- მიწის დასამუშავებელი იარაღი, რომელსაც ერთი ფართო პირი მიწის დასამუშავებლად ჰქონდა განკუთვნილი, მეორე კი, უფრო ვიწრო და ძლიერი, ყამირისთვის. ასეთი თოხები გამოიყენებოდა ახლად გატეხილი ახოს დასამუშავებლად.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოლოგ. ლექსიკონი, 2011:303.

ორიკა (რაჭ.) - არაყის გამოსახდელი გრძელი როფი, რომელშიც გადის ქვების ხუფიდან გამომავალი მილი. ორიკაში ცივი წყალია (იხ. ალავ., ფრ., 153).

ორკვალობა (რაჭ.) - კურდღლის თავდაცვის ერთ-ერთი ხერხია – კვალის გაო-

რკეცება. თავის ნაკვალევს მიუბრუნდება, ერთხანს კვალს გააორკეცებს, მერე გვერდით ისკუპებს, შორს გადახტება და სხვა მხარეს მიაშურებს.

ორკოპე / კოპე / ხრიკა / ხეპარა - მწარე კვანისგან დამზადებული ჭურჭელი, რომლითაც ჭურიდან ღვინოს იღებენ (იხ. ხრიკა).

ოროკი -- მიწის გამაგრებისათვის მოწყობილი ტერასა, ხელოვნურად ანდა ბუნებრივად დასაფეხურებული, დატერასებული სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთი. ოროკის კედელი შეიძლება ქვა-ყორით, მოწნული დობითა, თუ ძელით შემაგრებულიყო. მას მთაში მცხოვრები მოსახლეობა რელიეფის დახრილობის პირობებში სახნავ-სათესი მიწის ფართობების რაციონალური გამოყენების მიზნით მიმართავდა. ტერასული მეურნეობა მესხეთში ასპინძის რაიონში არის განვითარებული. ტერასებზე, ძირითადად, ხეხილია გაშენებული. ქართლის ე. წ. წინა მთების ზოლში მისდევდნენ ბად-ბოსტნების ნაკვეთების საგანგებო მოწყობას, დასაფეხურებას. იგი განუყრელ კავშირში ჩანს მორყვასთან. აქ ტერასული მეურნეობა ძველთაგანვე სარწყავი მიწათმოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა იყო. დასაფეხურებული ნაკვეთის სახელწოდებად ქართლში ტახტი და ყათარი გვხვდება. ტახტი დიდი ზომის დასაფეხურებელ ნაკვეთს ეწოდებოდა; ყათარი კი, გაცილებით მცირე ზომისას, მაგრამ ის უფრო მეტი დაქანების მქონე ფერდობზე ეწყობოდა.

ლიტ.: ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2009:298; ნ. აბესაძე, სარწყავი და ურწყავი მიწათმოქმედება, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, 1980:31-32.

ორჩხომელი - საქართველოში გავრცელებული აფრიანი სათევზაო ხომალდი.

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი. ნაოსნობა საქართველოში. თბ., 1987.

ორჩხუმი - ჭურის სარეცხი ხელსაწყო სამეგრელოსა და გურიაში იგივე სარცხი, სარცხლი, წარმოადგენს გრძელ სარზე დამაგრებულ ძმერხლის მაგრად შეკრულ კონას, ან სიმინდის ფუჩეჩს.

ორჭე (რაჭ.) - ვიწრო გზა, რომელიც მოქცეულია ორ ყორეს შორის (იხ. ფრ., 55; დლ., სიტყვ. კონა).

ორჭყუპალა (რაჭ.) - ერთ ყუნწზე შეზრდილი ორი ნაყოფი, - ორტყუპა.

ორხელა -- სახვნელი იარაღი. შედგებოდა: მხრის, ქუსლის, ორხლის, კოკომის, სახნისისა და საკვეთლისაგან. ორხელაში, ჩვეულებრივ, 4-5 უღელი გამწევი ძალა იბმოდა. მუშახელს შეადგენდა გუთნისდედა და 2-3 მეხრე. იგი განსაკუთრებით მთის წინა ზოლის მეურნეობისათვის იყო დამახასიათებელი. ორხელას ტიპის სახვნელი იარაღი ცნობილი ყოფილა ძვ. წ. I ათასწლეულიდან.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე. აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღის ისტორიიდან, თბ., 1960.

ორხელი - ჯამისებური, ხის ორტირანი მარნის იარაღი, რომელიც ხმარებოდა ჭურიდან ნარჩენი ღვინის, მთხლისა და ნარეცხი წყლის ამოსაღებად. ორხელი არის თიხისა და ლითონისა. ყველაზე მეტად ლითონის ორხელია გავრცელებული. ორხელი ჯამისებურადაა მოყვანილი და მისადაგებულია ჭურის ძირის ფორმას, რათა მაქსიმალურად მოხერხებულად

ამოიღოს ძროში ჩარჩენილი სითხე. იარაღს აქეთ-იქით ასხია პატარა ყურები, რომლებშიც ამოებმება ერთ ტარზე შებმული ორი თოკი. მეორე ტარის თოკი ამოეცმება ძროში. სითხის ამოღებისას, ძროში ამობმულ ტარს ასწევინ, ორხელი დაყირავდება და ამოხაპავს სითხეს, მეღვინე მეორე ტარით გაასწორებს, გავსებულ ჭურჭელს ჭურიდან ამოიტანს და გადააქცევს.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ოსირო (რაჭ., სინონ. ბანძურა) - ხის გრძელ ტარზე დამაგრებული ჩვარი. იყენებენ ჭურის რეცხვის დროს ფსკერზე დარჩენილი წყლის ამოსამშრალეზად (იხ. ქეგლ; შდრ. ბერ.: ოფსინო, წერ.: ოფსილო).

ოსურ-ტოფუ („ქალ-თევზი“) - მდინარეთა და ტბათა წყლების გამგებელი, თევზთა და მეთევზეთა მფარველი მეგრულ მითოლოგიაში; წარმოდგენილი ჰყავთ ლამაზი, ოქროსფერთმიანი, წელსქვემოთ თევზის ფარფლებიანი ახალგაზრდა ქალის სახით. ცხოვრობს წყალქვეშა ოქროს სასახლეში; ხშირად ჩნდება წყლისპირზე გაშლილი თმებით, რომელსაც ოქროს სავარცხლით ივარცხნის (შდრ. ალი). ოსურ-ტოფუ განსაკუთრებით იმ მეთევზეებს წყალობს, რომლებიც თევზაობის წესებს იცავენ და თევზჭერას მხოლოდ სეზონურად მისდევენ. ამ წესების დამრღვევს იგი უბარაქობით სჯის.

ზოგჯერ ქალ-თევზი წყლის ალთან და წყლის დედასთან არის გაიგივებული (იხ. „ალი“, „წყარიშ დიდა“).

ლიტ.: ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 13, გვ. 21-22 (ინახება ავტორთან).

ოტა / ოტო (რაჭ.) - წვრილი მძივები, რომელსაც ქალის ტანსაცმლის გასაწყობად იყენებდნენ.

ოფურჩე (მეგრ.) - ჩალის შესანახი, ნახევრად ღია ნაგებობა,

ოქრობეჭედა / ქრისტებეჭედა (რაჭ.) - ბალახოვანი მცენარეა. ყანებსა და ტყისპირებში იზრდება. მის ნორჩ ფოთლებს გაზაფხულზე ფხალში ხმარობენ, ქათმისკუჭა, გორგელა (იხ. მაყ., ძოწ.).

ოქრომკელი - ერთგვარი ხარისხის ძაფი, რომლითაც იქსოვებოდა ტანსაცმლის სამშვენისები. ამზადებდნენ ყაზაზები. ოქრომკელი ძირითადად ორი სახისა იყო - აბრეშუმისა და ბამბის ძაფის. არსებობდა ვერცხლის, თითბრისა და სპილენძის ოქრომკელიც. ოქრომკედის დამზადებისას მეტალის ნაქლიბში ატარებდნენ ძაფს, შემდეგ კი ოქროს ვარაყში ამოავლებდნენ. ოქრომკელით ირთვებოდა ახალუხები, ჩაფარიშები, ბუზმენტები და სხვ. ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენიებულ ტერმინს - „ოქრონემსულს“ - მოგვიანო ხანის ძეგლებში „ოქრომკელით ნაკერი“ შეესატყვისება. ოქრომკელით მძიმედ ნაკერი ან ნაქსოვი ფარჩის აღსანიშნავად იხმარებოდა აგრეთვე ტერმინები „დიბა“ და „ადიმი“. საინგილოში ოქრომკელით ნაქარგს - „ზარბაბს“ უწოდებენ. ოქრომკელით ქარგვის ძველი ქართული ტრადიციები (მდიდარი ორნამენტი, მხატვრული სიმბოლიკა, სიუჟეტური კომპოზიციკა, შესრულების მანერა) კარგად იყო შემონახული XIX ს. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში. ქარგავდნენ უმთავრესად ხავერდზე, ატლასზე და სხვ. ძვირფას ქსოვილებზე ოქრომკელით ნაქარგ სახეებში ხშირად ურთავდნენ მარგალიტს, ფერად მძივებსა და ზოგჯერ პატიოსან თვლებსაც. ოქრომკელით ნაქარგობა ძველთაგანვე საექსპო-

რტო საგანი იყო. XIX ს. დამდეგს ირანსა და ოსმალეთში გატანილი ქართული ოქრომკედული ნაქარგობა საუკეთესო ნახელავად ითვლებოდა მთელ აზიაში და ყველაზე ძვირად ფასობდა. ოქრომკედით ნაქარგობის მთავარი მოტივებია უმთავრესად ნაყოფიერებასთან დაკავშირებული მცენარეული ორნამენტი (ვაზის ფოთლები და მტევნები, ხორბლის თავთავები და სხვ.), ანთროპომორფული და ზომომორფული გამოსახულებანი. ოქრომკედით ნაქარგობის უბრწყინვალეს ნიმუშებს წარმოადგენენ ქართული დაფარვები.

ლიტ.: მსხში. ტ. II. ნაწილი II. თბ., 1982; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ოქრომჭედელი - ძვირფასი ლითონებისა და ქვებისაგან სამკაულებისა და სხვა ნივთების მკეთებელი ოსტატი. ლეგენდები ოქრომჭედლების შესახებ ცნობილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ყველა შემთხვევაში ოქრომჭედლის პიროვნება უღრმესი არქაიკის შემცველ მოვლენებთან კონტექსტში ვლინდება. სარიტუალო სიმღერაში ოქრომჭედლის საქმიანობის ასახვა პირველად მესხეთ-ჯავახეთში გვხვდება. სიმღერა სრულდება დიდმარხვის დადგომის წინ, ერის კვირა ღამეს, ბერიკაობის დროს. კალოზე ფერხულს დააბამდნენ. ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, მკლავებს გადააჭდობდნენ და იწყებდნენ წრიულად საფერხულო სვლას. იმღერდნენ „მუხა ძონწილას“, სიმღერას იწყებდა ოთხი კაცი წრის ერთი ბოლოდან, მეორე ოთხეული იმეორებდა:

„პირველად ღმერთი ვახსენოთ და მერე ყოვლადწმინდაო!“ „მუხის ნადგომსა შენ ბიჭო, მამლი მუხასაო,

ჩიტის ნალი მიშოვნია, ჩემო მჭედელოო, მჭედელო, მჭედელო, ჩემო მჭედელოო! ერთი გუთანი გამიკეთე ჩემო მჭედელოო! რითა და რითა, შენ ბიჭო, მამლი მუხასაო! რაც რო იმას გადარჩება, ჩემო მჭედელოო! ერთი სახნისიც გამიკეთე, ჩემო მჭედელოო! რა რო იმას გადარჩება, ჩემო მჭედელოო! ერთი ჩეკიც გამიკეთე ჩემო მჭედელოო! რაც რო იმას გადარჩება ჩემო მჭედელოო! მჭედელო, ჩემო მჭედელო, ოქროს მჭედელოო!

აღნიშნულ საფერხულო სიმღერაში ოქრომჭედლობა თითქოს უფრო ძველ დარგად გამოიყურება, ვიდრე მჭედლობა. ამ მხრივ საგულისხმოა ამირანის თქმულების ერთ-ერთი რაჭული ვარიანტი, რომელიც „შუბლმზიანი“ ამირანის მამად ოქრომჭედელს ასახელებს. არქეოლოგიური და ისტორიული მონაცემები მიუთითებენ, რომ ოქრომჭედელთა შორის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემორჩენილი სპეციალიზაცია ძველთაგანვე უნდა მომდინარეობდეს: ოქრომჭედელი, ვერცხლის მუშაკი, მინაქრის ოსტატი, ამ უკანასკნელთან დაკავშირებულია სირმის ოსტატიც (სირმა ტიხრული მინაქრის აუცილებელი ელემენტია) და ოქრომქანდაკებელი. საინტერესოა ახალციხეში დამკვიდრებული ოქრომჭედელთა აღმნიშვნელი ტერმინები: 1. „ჩივთიხი“ - ჩივთის საქმის ოსტატი, ანუ ვერცხლის ფილიგრანის ოსტატი. „ჩივთი“ არის პატარა მსხვილობოლოებიანი პინცეტი, რომლითაც ხელოსანი სახეების მიხედვით აწყობს გრენილს. ტერმინი „ჩივთიხ“-იც პინცეტის დასახელებიდან მოდის. 2. „ყვინჩა“ - თითბერსა და სპილენძზე მომუშავე ოსტატი. 3. „ხალფა“ - ქვეოსტატი. „ჩივთის“ ხელოსნებს ჰქონდათ ალბომები ორნამენტის ნიმუშებით, რის მიხედვითაც შემკვეთს შეეძლო შეერჩია ნივთის სასურველი მოყვანილობა და ორნამე-

ნტის სახე. არსებობდა ოქრომჭედელთა პროფესიული გაერთიანებები, როგორც თბილისში, ისე ახალციხეში. პროფესიული გაერთიანება „ასნაფი“, რომელიც ახალციხეში არსებობდა, ორგანიზაციასაც წარმოადგენდა, სადაც ახალი ხელოსნის სწავლება-ჩამოყალიბება ხდებოდა. „ჩივთის“ ოსტატი იყვანდა მოსწავლეს და გარკვეული საფასურის ფასად ხუთი წლის განმავლობაში ხელობას ასწავლიდა. ოსტატსა და მოსწავლეს შორის გარკვეული უფლება-ვალდებულებები არსებობდა, რომელთაც მკაცრად იცავდა ორივე მხარე. საწყის ეტაპზე მოსწავლე ხელოსანსა და მის ოჯახს ემსახურებოდა, შემდეგ გადიოდა სახელოსნოში, სადაც ხელობას სწავლობდა და „ხალფად“, ქვე-ოსტატად იქცეოდა, ხუთი წლის შემდეგ კი ოსტატი ხდებოდა. „ყვინჩების“ სწავლის პერიოდი სამი წელი იყო. ოქრომჭედელთა სამოქმედო ასპარეზი მრავალმხრივია: საოჯახო საჭიროებისათვის განკუთვნილი ნივთების გაკეთება და შევერცხლვა, საბრძოლო იარაღისა და ცხენის შეკაზმულობის შემკობა, საკულტო დანიშნულების საგანთა და მრავალსახოვან სამკაულთა (კაცისა და ქალის შემკულობის) დამზადება და სხვა.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ოქრო-ქსოვილი - ფეიქრობის მფარველი ქალღმერთის (წმ. მარიაში || ლამარია) მიერ ღვთისმშვილებისა და ღმერთებისათვის მოქსოვილი სამოსი (მოხვეურ ვარიანტში ღვთისმობელი მარიაში ჩვეულებრივ ერთ ტოლს კი არ ქსოვდა, არამედ „ოქროს ქსელს“, ისევე როგორც მისი სვანური ორეული - ლამარია - „ოქროქსოვილს“, ხოლო იმერულ ვარიანტში - ქრისტეს კვართს. საგულისხმოა ერთ-ერთი სვანური გადმოცემა: მესტიის

თემის სეტის წმ. გიორგის ეკლესიისათვის შეწირული წმიდათაწმიდა ღროშა ლემ-ი სვანებისათვის ლამარიას პირადად გადაუცია). მართალია, სვანური და მოხვეური მონაცემებიდან არ ჩანს, თუ ვისთვის იქსოვებოდა „ოქროქსოვილები“, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხი ხევსურთა სარწმუნეობრივ შეხედულებებში იკვეთება. ხევსურის წარმოდგენით, „ოქროქსოილი“ ხატის || ჯვარის (ღვთიშვილის) სამოსელი ყოფილა (ვ. ბარდაველიძე). როგორც ჩანს ღვთიშვილებს ჩვეულებრივი ხევსურული ტალავარი კი არ ეცვათ, არამედ ოქროქსოვილის სამოსელი, რაც ღვთაებათა პანთეონში ღვთიშვილთა პრივილეგირებულ მდგომარეობაზე მიუთითებს.

ლით.: ვ. ბარდაველიძე. სვანური საგალობელი ბარბალ-დოლაში // ენიმკის მოამბე. ტ. V-VI. Tb., 1940, გვ. 555; გ. ჩაჩაშვილი. ოჯახურ საფეიქრო წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი უძველესი რწმენა-წარმოდგენის შესახებ საქართველოში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XVI-XVII. თბ., 1972, გვ. 107; В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тб., 1957, гв. 33-35, 44.

ოჩოპინტრე || **ოჩოპინტე** (ხევს.) || **ოჩონპეტრე** (თუმ.) || **ოჩოპინტრა** (რაჭ.) - ნადირთ მწყემსი ქართულ მითოლოგიაში; განაგებს და მფარველობს ნადირს, განსაკუთრებით ჯიხვებს. თუ ოჩოპინტეს არ სურს, მონადირე ჯიხვს ვერ მოიხელთებს. ამიტომ, როცა იგი ჯიხვს ეპარება, აუცილებლად იტყვის: „ნადირთ მწყემსო ოჩოპინტე, შენ გეხვეწები, მამეცი ჯიხვთ თავი, მამაკვლიე! სულნი ხომ შენია ნადირთანი?! რას მაკლდების შენთ ნა-

დირთ?“ ასე თხოვნის შემთხვევაში ოჩოპინტე გულმონწყალებას იჩენს და მონადირეს ხელცარიელს არ გაუშვებს. როცა ეს უკანასკნელი ნადირს მოკლავს, ხმაღალა იძახის: „მაღლობელი-ორ შენი, ოჩოპინტე, რო ჯიჰვი მამაკვლიე. რაც მე მოვაკალ შენთ ნადირთ, ორ ამოდენიმც მაგემატების! ნადირთ მწყემსობაიმც ნუ წაგერთმის, კლოვ მიაიმც კიდე შენგან ესრ ჰელიმც მამემართების! ჯიჰვებიმც გზაში ზედ შამამეყრების, კიდეგანაის წვერზეით ჯიჰვებიმც ნუ გათავდების, დღით ერთ რო მოგიკლ, ორიმც ქვე მაგემატების, დაბერდის ეხში ჯიჰვთ ჰორციმც ნუ გამაილევის, არხოტივნებს ჯიჰვთაზე გამარჯვებამც ნუ მაეშლების!“

თუშების წარმოდგენით, „წმინდა ნადირს“- ჯიხვს, ფსიტს, ირემს, შველს - ორი მწყემსი ჰყავს. მათგან ქალს დალი ჰქვია, კაცს კი - ოჩონპეტრე. ისინი მორიგეობით მწყემსავენ ნადირს; ერთ წელს - ერთი, მეორე წელს - მეორე; როცა დალია მორიგე, იმ წელიწადს მონადირეს უჭირს. დალი ძალზე ფრთხილია და ძნელად, რომ მას ნადირი ვინმემ მოუკლას. ოჩონპეტრე გულუხვია და მისი მორიგეობის ჟამს მონადირე იშვიათად ბრუნდება ხელცარიელი. „სანადიროებში, დამის სათევი ეხების წინ, ახლაც შეამჩნევს კაცი წვრილად წაგრძელებული ალის ნაკვალევს. ეს სანადიროდ გასვლის წინ დალისა და ოჩონპეტრეს სამხვეწროდ ნანთები სანთლების ნაკვალევია“ (გ. ცოცანიძე).

რაჭველი მონადირეები სანადიროდ წასვლის წინ, სანადირო ადგილზე მისვლისა და უკან დაბრუნების დროს სანთლებს ანთებდნენ და ნადირთმწყემსსა თუ ნადირთპატრონს შემდეგი ლოცვით მიმართავდნენ: „ოჩოპინტრა ბედნიერო, ოჩოპინტრა მშვენიერო, მოგვეცი შენი მოწყალეობა, შენი ნამწყემსური ნადირი“. ლოცვის დასრულებისთანავე ამ შემთხვე-

ვისათვის სპეციალურად გამომცხვარ ხმელგანატებს შეჭამდნენ. რაჭის ზოგიერთ სოფლებში ოჩოპინტრა ნადირთპატრონის მთავარი თანამემწე, ანუ ნადირთმწყემსია, ზოგან კი თავად არის ნადირთპატრონი. მონადირის წარმატებული ნადირობა დიდად არის დამოკიდებული ოჩოპინტრაზე და ამიტომ ლოცვაც მას მიემართება.

ლიტ.: ბ. გაბუური. ჰევსურული მასალები // ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული. 1923-1924, I-II. გვ. 153-154; ალ. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005, გვ. 684 ; გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 33; ა. რობაქიძე. კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში // შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში. თბ., 1941, გვ. 189-199.

ოჩხარი - 1. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გავრცელებული ჩვეულება - დაზარალებული მეცხვარის დახმარება. დაზარალებული მეცხვარე მართავდა სადილს, რომელზედაც მოწვეული სტუმრები ასაჩუქრებდნენ, შეეწოდნენ იმდენი ცხვრით, ვისაც რამდენი შეეძლო. 2. ხელმოკლე (ჩვეულებრივ, რაიმე უბედური შემთხვევის გამო დაზარალებული) კაცის კოლექტიური დახმარება საქონლით, მარცვლეულით, ფულით. ეს გარკვეული წესის შესრულებასთან იყო დაკავშირებული. გაჭირვებული კაცი არაყს გამოხდიდა და მეზობელ სოფელს მიაშურებდა. იქ შედარებით შეძლებულ ოჯახში გამართავდა წვეულებას. ოჯახის უფროსი მოიხმობდა თანასოფლელებს. აცნობებდა მათ, რომ მის ოჯახში იმართებოდა ოჩხარი. თავს მოიყრიდნენ გლეხები, რომელთაც შესაძლებლობა ჰქონდათ

რითიმე დახმარებოდნენ გაჭირვებულს. წვეულების დროს ყოველი მათგანი დახმარებას ჰპირდებოდა, რითაც შეეძლო: ზოგი საქონლით, ზოგი ხორბლით, „ვისაც რა მოჭარბდებოდა“. მეორე დღეს ოჩხარის მომწყობი თვითონ ჩამოივლიდა სოფელს და შეაგროვებდა დანაპირების მიხედვით. 3. შრომითი დახმარება გასამრჯელოს გარეშე, სამუშაოს პატრონის მიწვევით, გულუხვად გამასპინძლებით. ანალოგიური ფორმაა ნადი. 4. მეზობლების მიერ გაჭირვებული ოჯახის შრომითი დახმარება. შრომის ორგანიზაციის ანალოგიური ფორმაა: სამადლოდ დახმარება (ერწო-თიანეთი), შებრალებით შველა (მთიულეთი), შემწეობა (გურია,) შენწობა (სამეგრელო), სანიჭარი (მესხეთი). 5. საერთო ხარჯით გამართული ნადიმი, ღვინო, ჩვეულებრივ შემოდგომაზე, როდესაც ჭირნახულს დააბინავებდნენ. 6. მასობრივი ნადირობის შემდეგ მოწყობილი საერთო სასოფლო ღვინო (რაჭა).

ლიტ.: ზ. ბილანიშვილი, ოჩხარი, კრ. ძველი საქართველო ტ. II 1913. Геладзе Т. Формы коллективного труда в зеледилии Восточной Грузии, 1987.

ოჩხარი || **ოჩხორი** (რაჭ.) - შემოდგომაზე მოსავლის აღების შემდეგ საერთო ხარჯით გამართული ღვინო, ქეიფი.

ოჩხუჯი (იმერ.) - ჭურის სარეცხი//სარცხლი. შავი ბლის კანს დაჭრიან ოთხკუთხედად, ხის ტარზე მჭიდროდ წამოაცვამენ თავსა და ბოლოში და ხის კოტებით გაამგრებენ, რომ რეცხვის დროს ქერქები ერთმანეთზე მჭიდროდ იყოს მიტყუპული და არ დაიშალოს.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ოწინარი - სიმძიმეთა ასაწევი ტექნიკური ხელსაწყო. საბას განმარტებით, „ძელი შემზადებული ადვილად დიდთა ქუათა ასაღებლად და მალთა ოსტატისათანა მისატანებლად“. ხშირად ჭასთანაც აკეთებენ წყლის ამოსაღებად.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ოხარი || **ვოხარი** - ცილინდრის ფორმის ფსკერჩადგმული წყლის ჭურჭელი. ფიჭვის ოხარში წყალი ცივად ინახებოდა და გემოც კარგი ჰქონდა. გამოიყენებოდა აღმ. საქართველოს მთიანეთში.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ოხტოური (რაჭ.) - რაჭაში გავრცელებული შავყურძნიანი ვაზის ჯიშია. მოკლე მტევანი და მსხვილი მარცვალი აქვს (იხ. ფრ., 28).

ოჯინჯალი (რაჭ.) - 1. შუაცეცხლიან სახლში – დირე, რომელზეც ჩამოკიდებულია საქვაბე ჯაჭვი. 2. კაჩაზე (იხ.) გაწყობილი ყავრები (ან ფიცრები) სხვადასხვა ხორაგეულობის შესანახად (იხ. ბერ., ქეგლ, ძიძ., ჟღ., ნიჟარ., გაჩ.).

ოჯინჯახი (რაჭ.) - პურის ფაფის ულუფაში ჩართული დანაყილი ნიგოზი (ერბოს ნაცვლად) (შდრ. საბა, ქეგლ).



პალატი (რაჭ.) - ორსართულიანი სახლის ქვემო (ქვიტკირის სართული) სადგომი. (იხ. ქეგლ, ძოწ., გაჩ.).

პაპაჯვარი - ავსულთაგან დამცავი გურული თილისმა - დაახლოებით, 1-1,5 მეტრის სიგრძის ლუკუმხას (ხეჭრელის; ზოგან იელის) დაჭრელებული ჯოხი, რომლის ჩაჭრილ თავში განივად ჩასმული 25-30 სმ. სიგრძის იმავე მასალის ჯოხი პაპაჯვარს ჯვრის ფორმას აძლევს; გამოიყენებოდა ელიობის დღეს (20 ივლისს): არჭობდნენ ყანის, ბოსტნის, საფუტკრის შუაგულში, ათავსებდნენ სახლის სახურავზე, სამეურნეო ნაგებობებთან. თუ პაპაჯვარი ხეჭრელისგან იყო დამზადებული, მის გვერდით აუცილებლად იელის ბოლს (ტოტს) ჩაასობდნენ. ხალხის რწმენით, ხეჭრელის პაპაჯვარი დასაცავ ობიექტს ავი სულისგან „პატიულობდა“ (იცავდა), იელი კი - ჭეჯა-ქუხილისაგან. ამავე მიზნით, საფუტკრეში და სხვა სამეურნეო ობიექტებზე ეკლისგან მოწნულ გორგალსაც კიდებდნენ.

ლიტ.: ა. რობაქიძე. მეფუტკრეობა გურიაში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, V. თბ., 1951, გვ. 28; ა. წულაძე. ეთნოგრაფიული გურია. თბ., 1971, გვ. 109.

პაპუაშვილის მწვანე (რაჭ.) - თეთრ-ყურძნიანი ვაზის ჯიშია. მისგან ნახევრად ტკბილ ღვინოს ამზადებენ.

პაჭანიკი (რაჭ.) - ხვანჯრიანი შარვლის თათებს ან პაიჭის ქვევითა მხარეს მიკერებული პატარა ზონარი, რომელიც ფეხისგულს ამოედება შარვლის ან პაიჭის ჩაცმისას, – პაჭანაკი.

პაჭიჭი - მამაკაცის ფეხსამოსი. პაჭიჭი საჩოხე შალისაგან იკერებოდა და ორი ნაწილისაგან შედგებოდა: ქვემოთა პაჭიჭი და ზემოთა შამხე. კიდეები ზონარით იყო შემოვლებული. შამხეს ზემოთა კიდე სირმით იყო დაქარგული. შამხე პაჭიჭზე არ იყო მიკერებული. ჯერ პაჭიჭს იცვამდნენ, მერე - შამხეს. მის დასამაგრებლად იყო ლეკვერთხი და წვივსაკრავი, რომელიც ზონარის მსგავსად იქსოვებოდა. პაჭიჭებს კაცების მსგავსად, ქალებიც იცვამდნენ, რაც შემდეგ ყელმალალი შალის წინდებით შეიცვალა.

ლიტ.: მასალები..., 1983:248; ლ. ბოძაშვილი, ფშავი და ფშაველები, 1988:17.

პეპელა (რაჭ.) - ცხვრის ავადმყოფობა (იხ. ბერ., ქავთ. I, ძოწ., გაჩ.: პეპელი).

პირბადე//პირფაღი//პირსაფარი - ქორწილის დროს პატარძლის პირსახის დამფარავი ქსოვილი. ამ მიზნით გამოყენებული იყო თხელი ქსოვილის ნაჭრები, ან მზა თავსაფრები, ზოგჯერ ბადისებურად ნაქსოვიც. ამ წესს XX საუკუნემდე საქართველოს მთიანეთის ბევრ კუთხეში მისდევდნენ. თუშეთში პატარძალი პირველად ნიშნობაში გამოჩნდებოდა, ქორწილის დროს იგი, პირჩამოფარებული, ცალკე ოთახში ელოდებოდა საქმროს მყურებს. ეჯიბი მიჰგვრიდა ნეფეს და პატარძალი ეკლესიაში პირბადიანი მიჰყავდათ. საქორწინო რიტუალის ისეთი წესებიც, როგორც იყო დედ-მამის ოჯახთან გამოთხოვება, ახალ ოჯახში მისვლა, კერის გარშემო სამჯერ შემოტარება, პირჩამოფარებულ პატარძალს უნდა შეესრულებინა. ფშავშიაც ასრულებდნენ ამ წესებს. საინგილოში არამარტო პატარძალი იყო ვალდებული, პირბადე ჰქონოდა, არამედ ნეფესაც სახე აბლით უნდა ჩამოებურა და თანაც მთელი ცერემონიალის დროს უმძრახად ყოფილიყო. პირბადის ტარება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში დროებითი აქტი იყო და მისი გამოყენება გვირგვინების ახდის წესთან ერთად მთავრდებოდა. ეს წესი გვიანფოდალურ საქართველოშიც მოქმედებდა.

ლიტ.: გ. ბოჭორიძე, თუშეთი, 1993; ც. ბუზარაშვილი, ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 197; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

პირთხელი (რაჭ.) - თხელპირიანი ხისტარიანი სატეხი (იხ. ძიძ., ქეგლ, წერ., ძოწ., ალაზ. მასალ., გაჩ.).

პირისმჭერნი - მიცვალებულის „მონაცვლენი“ პირაქეთა ხევსურეთში. დასაფლავების დღეს ჭირისპატრონი თავისი

გვარიდან ორ მამაკაცსა და ერთ ქალს პირისმჭერებად ამოირჩევდა (თუ ქალი იყო მკვდარი - ორ ქალსა და ერთ მამაკაცს), ქვემო ოთახში ყვერფთან დასვამდა და თითო ქადას მისცემდა. ისინი არავის ელაპარაკებოდნენ. სულის ხუცესი (იხ.) ქალებს აკურთხებდა, რომლის დროსაც პირისმჭერნი ქალებს სამჯერ შემოატრიანებდნენ და თავიანთ სახლებში ჩუმად წავიდოდნენ. როცა უკან დაბრუნდებოდნენ, ფიცარს აიღებდნენ და მიცვალებულის ოთახის სარკმელს მიაფარებდნენ. მსგავს წესს არხოტის თემში „მამასაბრუნო“ ეწოდებოდა.

პირის საბანი - ცხვრის, ბატკნის და სხვა წვრილფეხა სამსხვერპლო შესაწირავის ზოგადი სახელი ხევსურეთში.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია) // მიმომხილველი. I. 1949, გვ. 128.

პირმოხვეული ცული (რაჭ.) - ცულის ერთ-ერთი სახეობაა. იყენებენ საწნახლის შიგნითა მხარის გამოსაჭრელად (იხ. ფრ., 145).

პირუტყვის გაბარება-დაზიარება -- საქონლის ზამთარში სხვისთვის მიცემა გამოსაკვებად. გაბარება შემოდგომაზე, მთის საძოვრებიდან დაბრუნების შემდეგ ხდებოდა. გაზაფხულზე პატრონს უბრუნდებოდა ძროხა და 7 კვირის ნაწველი, ხოლო გამოძვებს რჩებოდა ხბო და 14 კვირის ნაწველი. ეს იყო ძროხის გაბარების ყველაზე გავრცელებული ფორმა - „ძროხის გამბა.“ ძროხის სამოზიაროდ მიცემა ნიშნავდა: თუ ორ ძროხას გააბარებდნენ სამი წლით, ამ ვადის გასვლის შემდეგ, პატრონს უბრუნდებოდა ერთი სული თავისი ნამატიით და ნაწველით, ხოლო მეორე იყო გამკვების სამაზიარო.

ამ წესს ხევსურები უწოდებდნენ ძროხის „სანაშენზიაროდ“ მიცემას. საქონლის გაბარება-დაზიარება ფართოდ იყო გავრცელებული ჩრდილო კავკასიის მთიანეთშიც (ინგუშეთი, ჩაჩნეთი, ოსეთი).

ლიტ.: ბ. გამყრელიძე, ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები, თბ., 1989:83.

პირუტყვის მიბარება -- პირუტყვის მიბარება აჭარაში ფართოდ იყო გავრცელებული. უმეტესად ქვედა აჭარის მოსახლეობა, რომელსაც პირუტყვი ჰყავდა, მაგრამ ალპური საძოვრები არ გააჩნდა, ზაფხულში საკვების უქონლობის გამო, იძულებული იყო თავიანთი პირუტყვი მთის მცხოვრებლებისათვის მიეზარებინა. პირუტყვს ხულოს რაიონის მცხოვრებნი იზარებდნენ. მთის სეზონის დასრულების შემდეგ კი, ამბარებელი პირუტყვის პატრონს შეთანხმებისამებრ, რძის პროდუქტების ნაწილს აძლევდა და პირუტყვსაც უბრუნებდა. უწველი პირუტყვის მიბარების შემთხვევაში, მეპატრონე ქირას ფულით ანდა ნატურით, უმეტესად, სიმინდით იხდიდა. პირუტყვის უგზო-უკვლოდ დაკარგვის შემთხვევაში ამყვანი ვალდებული იყო მეპატრონესათვის დანაკარგი აენაზღაურებინა.

ლიტ.: ნ. კახიძე, აჭარის ალპური მეურნეობა, ბათუმი, 1948:71.

პირიხსნაი - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული მარხვის მოხსნა აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში. ხევსურები საპირუტყვო ცხოველს (ცხვარს, ბატკანს ან ხბოს) დაკრძალვიდან დაბრუნებისთანავე სულის ხუცესს (იხ.) დააკვლევინებდნენ. საკლავს იმავე საღამოს გაატყავებდნენ, ხორცს კი მეორე დღეს მოხარშავდნენ (მხოლოდ ახლო ნათესავები დაკვლისთანავე ცხოველის ღვიძლს

შეწავდნენ, სამ-სამჯერ მოკბეჩდნენ და სამჯერვე გადმოაფურთხებდნენ: ღვიძლით გაიხსნიდნენ პირს). მეორე დღით მცოდნე კაცები დადგამდნენ საპირუტყვო ტაბლას, რომელზედაც მოხარშული ხორცი, სატაბლე მრგვალი და გვერდებდაჭრელებული პურები, ყველი ელაგა. „ტაბლის დამგები“ სატაბლე პურებზე სანთლებს დააკრავდა; შემდეგ გამოჰქონდათ მიცვალებულის ტალავარი (ტანსაცმელი) და იარაღი, რომლებსაც ტაბლის გვერდით დააწყობდნენ. როცა ტაბლას, ტალავარსა და იატაღს სულის ხუცესი შენდობას ეტყოდა, მამაკაცები გარეთ გავიდოდნენ, დედაკაცები კი გაშლილ ტალავართაზე ტირილს შეუდგებოდნენ, რომლის დასრულების შემდგომ ქალებს ტაბლას დაუდგამდნენ და პურს შეაჭმევდნენ. ბოლოს, ქალებიც გამოვიდოდნენ და ტაბლას ნარევიები (იხ.) მიუსხდებოდნენ. ამით მთავრდებოდა პირიხსნაი. ზოგან (მაგალითად, თუშეთში) პირიხსნა დასაფლავების დღეს გამართულ ქელეხში იცოდნენ, მაგრამ თუ ადამიანი მარხვაში გარდაიცვლებოდა და დასაფლავდებოდა, პირსამსხსნელო სუფრას გახსნილების შემდეგ შლიდნენ.

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940, გვ. 14-15; გ. ბოჭორიძე. თუშეთი. თბ., 1993, გვ.305; ს. მაკალათია. თუშეთი. თბ., 1983, გვ. 177.

პირქუში - მითიური მჭედელი (ოქრომჭედელი) ფშავ-ხევსურულ მითოლოგიაში; ამზადებდა უბადლო იარაღსა და თას-განძს; დევების ტყვეობიდან იაქსარის მიერ განთავისუფლებულმა ფშავში, სოფ. აჯადში დაიდო ბინა; ბოლოს თვითონაც ხვთისშვილად გადაიქცა (მისი სახელობის სალოცავები მდებარეობს ბაცა-

ლიგოსა და აჯადში. ამიტომ ამ სოფლების მკვიდრნი ერთმანეთს ძმობენ) და ეწოდა პირქუში ცეცხლის ალიანი. პირქუშს ჰქონდა სამი ვერცხლის თასი, რომლებიც იაჯსარმა სთხოვა, მაგრამ უარო მიიღო. მაშინ ეს თასები იაჯსარმა თავის სამლოცველოში ძალით წამოიღო. როცა ერთიცა და მეორეც ხვთისშვილები გახდნენ, პირქუში ამ თასებს კვლავაც ედავებოდა. ბოლოს ხთის კარზე რჯული ჰქონდათ. დამბადებელმა და კვირიამ გაარჩიეს ეს საქმე და თასები პირქუშს არგუნეს, რადგან ძალით იყო წართმეული (ხთისშვილთა ერთმანეთთან ძალადობა ეკრძალებოდათ, ძალადობის უფლება მარტო დევ-კერპებთან ჰქონდათ). თასებმა იაჯსარიდან აჯადში - პირქუშში გადაინაცვლეს. მას აქეთ შუაფხოელი ქალის - აჯადში და აჯადელი ქალის შუაფხოში გათხოვება აკრძალა.

ლიტ.: ალ. ოჩიაური. ფშაური ხალხური დღეობები. 1947. რვ. № 6 (ხელნაწერი ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში).

პირქუში ცეცხლის ალიანი - იხ. „პირქუში“.

პიჯიმ გარსხინება - იხ. „გეგვილაფა“.

პოვნილი -- პოვნილი წითელყურძნიანი საღვინე ჯიში იყო. იგი მაღლარების სახით ქედის რაიონში იყო გავრცელებული. ადგილობრივ მოხუც პირთა გადმოცემით, აღნიშნული ჯიში მათ წინაპრებს ტყიდან ჩამოუტანიათ, გაუშენებიათ, როგორც უხვმოსავლიანი. ჯიშის სახელწოდება ვერ აღუდგენიათ და პოვნილი დაურქმევიათ.

ლიტ.: მ. რამიშვილი, გურიის, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები, 1948.

პიტლი (რაჭ.) - წყალში გახსნილი საქონლის ახალი ნეხვი და ნაცარი. ხმარობენ კალოს მოსაპიტლავად (იხ. კალოს მოპიტვლა). პიტლით კარგად უნდა მოჟებო კალო (იხ. ქეგლ).

პონჭვა (რაჭ.) - ცუდად კერვა (იხ. ბერ., ქეგლ; შდრ. ალაზ.: პონტვა).

პოსი -- თხა, ვაცი.

პური -- ადამიანის უმნიშვნელოვანესი საკვები პროდუქტი. საქართველო ითვლება პურეული კულტურების მომინაურების ერთ-ერთ უძველეს კერად. აღმ. საქართველოს ბარში შეიქმნა პურეული კულტურების მდიდარი ჯიშები და მასთან დაკავშირებულმა შრომის ორგანიზაციამ დახვეწილი ფორმა მიიღო, რაც ზოგადად ხელისშემწყობი გახდა იბერიის სახელმწიფოს აღმავლობისა. დასაფქვავ ხორბალს ჩვენში სულაღს უწოდებდნენ, ხოლო დაფქვილს - ფქვილს. არსებობდა სხვადასხვა ხარისხისა და თვისებების ხორბალი, რომელთაგანაც ნაირ-ნაირი პური ცხვებოდა. პურის გამოსაცხობად, თონეს და ფურნეს იყენებდნენ.

სახნავი მიწის ნაკლებობა და მოუსავლიანი წლები აიძულებდა ხევსურებს, რომ პურის მარცვალში სხვადასხვა თესლი შეერიათ.

საინტერესოა, რომ გამომცხვარი პური საქართველოს ზოგიერთ სოფელში სამოხელეო გადასახადში შედიოდა. პურის ცხობა ტრადიციულად საოჯახო რიტუალს წარმოადგენდა, ხოლო თონე წმინდა ადგილად იყო მიჩნეული. სწამდათ, რომ პურის ცხობისას მიცვალებულთა სულებიც იქვე ტრიალებდნენ, ამიტომ ცომის ზელისას და თონის კურთხევისას მათ აუცილებლად ახსენებდნენ.

ლიტ.: გ. ჩიტაია, ქართული თორნე, მსე II, 1951; ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, 1969.

პურის ოთახი (ადმოსავ. საქარ.) -- სოფლად, გლეხის საცხოვრებელი სახლის ერთ ნაწილს წარმოადგენდა „პურის ოთახი“, რომელიც დარბაზის გვერდით იყო. „პურის ოთახი“ მოწყობილი იყო საცხობლით, სადაც კეცები ელაგა, აქვე იყო ვარცლი, თაბახი, ხონჩები, საცრები, ცხრილები, ცხავი და სხვა. აქვე იდგა ფქვილის დიდი ამბარი და პურის შესანახი განჯინები.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოლოგ. ლექსიკონი, 2011:319.

პომოლა (რაჭ.) - დოღის პურის ქვესახეობაა (იხ. ჯავახ. ევ. ისტ., I, გვ. 334; მენტ., ალავ.).

პწკალა (გურ.) - კიბე.

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. დლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984.

პწკალი (კახ.) || **პწყალი** (იმერ.) || **ბრჭყალი** || **ბჭყალი** (იმერ.) -- ვაზის ერთ-ერთი ნაწილის, ძაფის მსგავსი ხვიარა წამონაზარდები, რომლებმაც დახვევა იცის სარზე და ვაზზე. მისთვის სხვადასხვა კუთხესა და სოფელში სხვადასხვა სახელი უწოდებიათ. კერძოდ, კაპწალა// ფრჩხილი//კავი//ბეწვი (ქართ.); კანჭი

(რაჭ.); შხანკო (გურ) და მისთანა. აღსანიშნავია, რომ ვაზის მოვლის დროს, ქართველ მევენახეს ვაზის წვეროსთვისაც, რქის ბოლოებისთვისაც დასჭირვებია სახელის დარქმევა. ასეთია: წვერი (ქართ. კახ. რაჭ.); ქოჩორი (კახ. იმერ. ლეჩხ.); ყური (იმერ.). ძველ ქართულში მასკნე-ვაზის უღვაშიც გვხვდება.

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებ. 1978:39-43.

პწნილები - ახალამოყვანილი ყველისგან (სულგუნისგან) მოწნული ან ნაძერწი პატარა ზომის მთლიანი ან შედგენილი ზოომორფული (ირმის, ხარის, ძროხის, თხის, ცხვრის, ყვინჩილას, კრუხ-წიწილების, ჩიტის და სხვ. გამოსახულებები) და ანთროპომორფული (ადამიანის) ფიგურები და სხვადასხვა საგნები (უღელი, სახრე, ღვედი, მათრახი, ჯამი, ჯაჭვი და სხვ.); გავრცელებული იყო გური-ში, იმერეთსა და სამეგრელოში, სადაც მათ „მოწნულებს“ (ბეჭილიფი) უწოდებდნენ; ამზადებდნენ მწყემსები სადღესასწაული დღეებში, უპირატესად საახალწლოდ ბავშვებისათვის. ამ ამჟამად საწესო პწნილების რიტუალური დანიშნულება საბოლოოდ გარკვეული არ არის.

ლიტ.: ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 11, გვ. 14-15 (ხელნაწერი ინახება ავტორთან); ჯ. რუხაძე. მესაქონლეთა საწესო ხელოვნება // ძეგლის მეგობარი. № 1. თბ., 1988, გვ. 50-55.



ჟამი - იხ. „უქმური“.

ჟამის საწირი//ღამის სამთელი (ხევს.) - სარიტუალო შესაწირავი პურები - სამი დიდი ხავიწიანი ქადა - ერთმანეთზე დაწყობილი და მათზე დადებული 9 უბრალო თხელი პური. ღამის სამთელის დასტურები მოიტანენ, დააწყობენ ტაბლასზე და დალოცავს ხევისბერი.

ჟანგარო - შავი საღებავი, შემზადებული თავშავა ბალახის, რკინის წიდისა და ჟანგიანი რკინების ნაყენით. საღებავ - ჟანგაროს სხვადასხვა ვარიანტში კაკლის, ბროწეულის ან თრიმლის ფოთოლიც გამოუყენებიათ. ჟანგაროს რეცეპტის ყველა ვარიანტის უცვლელ კომპონენტს თავშავა განეკუთვნება. ჟანგაროთი ღებვა ხანგრძლივი პროცესი იყო (ათი, დღე, ორი კვირა), ღებვა წარმოებდა ქვევრებში დაყენებული საღებავით, ღებვის ცივი წესითა და ჰაერზე გაქარვის საშუალებით მიღებული შავი გამოირჩეოდა ფერის ხარისხითა და მდგრადობით. ჟანგარო შავი საღებავის სახელით მხოლოდ ქიზიყშია ცნობილი.

ლიტ.: ს. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943. ლ. მოლოდინი, ხალხური ღებვის წესები ქიზიყში // ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. 1, 2000.

ჯანგული (რაჭ.) - რაჭული შავყურძნიანი ვაზის ჯიში. ჯანგული თვითონ შავია და ღვინო თეთრი ღვება (იხ. ფრ. 29).

ჯანქელი / ჯანტლი (რაჭ.) - ნელლი შეშა, ცეცხლი რომ ცუდად ეკიდება (იხ. ბერ.).

ჯაფარაი (ინგილ.) / **ჯაფა** (კახ.) - ტყავის მოსაქნელი, ჭონის იარაღი, რკინის, ოთხკუთხი მოყვანილობისა. ერთი პირი ნამგალივით მოხრილია შიდა მხარეს, პირში გამოატარებდნენ ბატკნის ტყავს და ხახუნით მოქნიან.

ჯელ (მრ. რ. **ჯელარ**) - „ძალღი“ („ძალღები“) - დიდი ღმერთის, წმ. გიორგის, მაცხოვრისა და სხვა ღვთაებათა დაქვემდებარებაში მყოფი ძალღები, რომელთა ქვეშ სვანური მითოლოგია მგლებს გულისხმობდა. მათ ფუნქციას ურჩ მეთემეთა დასჯა შეადგენდა და ამიტომაც სვანები ამა თუ იმ ღვთაებას ევედრებოდნენ, მათთვის ძალღები (მგლები) არ მიესია. ძალღები (მგლები) ხშირად იხსენიებოდნენ წყევლის სვანურ ფორმულებში, რომლებშიც გამოხატულია სურვილი, ღვთაებამ მაწყევარისთვის არასასურველ პირს თავისი ძალღები მიუსიოს.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართულთა უძველესი სარჭმუნოე-

ბის ისტორიიდან. ღროშა „ღემ“, მგელი-ძაღლი // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XII-XIII. თბ., 1963, გვ. 152.

ჟიპიტაური - შინნახადი მდარე არაყი. ჟიპიტაურის გამოხდას აწარმოებდნენ ძირითადად მთიელები, მათ შორის საქართველოს მთაში მცხოვრები ოსები.

ჟირი / ჯირი / ბჟირი (მეგრ.) - გარე-

ული ცხოველის (ირემი, შველი) ტყავი ორფად.

ჟიშკვი || **ჟიშქვი** (რაჭ.) - ძროხის ჯიქნის გამაგრება და შესივება დროულად მოუწველობის გამო. (იხ. ლეონ., შდრ. ბერ.).

ჟუტი-ჟუტი! (რაჭ.) - ბატის ბჟიტების მოხმობა (იხ. ქეგლ).



რავანჯა (რაჭ.) - მსხვილი კოჭი. ბოძებზე ეწყობა რავანჯები, მერე - კოჭები.

რანგი (რაჭ.) - სახარჯო ღვინო იყო. ამზადებდნენ ისე, როგორც ნარწყულ ღვინოს, რომელსაც შემდეგ თაფლს უმატებდნენ. ნარწყულ ღვინოს ჯობდა, მაგრამ მაინც სახარჯო იყო და სტუმრისათვის მიტანა სამარცხვინოდ ითვლებოდა (იხ. ბერ., ქეგლ).

რანდა - სადურგლო, გრძელი შალაშინი, ფიცრის კიდეების სისწორეში მოსაყვანი.

რაფათა - თონეზე პურის მისაკრავი ბალიში. მეპურე ხელით გაბრტყელებულ პურის ცომს რაფათაზე დადებს, ერთს კიდევ მიასწორ-მოასწორებს, მერე თავით თონეში გადაეკიდება, რაფათიან ცომს გაიქნევს და პურის გუნდას ოსტატურად მიატყეპებს გახურებული თონის ზედაპირს. თბილისში მყოფმა რუსეთის იმპერატორმა გახურებულ თონეში მთელი ტანით გადაყუდებული რაჭველი მეპურე რომ ნახა და ეს ჯოჯოხეთური სიცხე იგრძნო, რაც მის თავს ტრიალებდა, მეპურეებს გადასახადი შეუმცირა.

რახტის ქნა - იხ. ჰაგდანი || აგდანი.

რგვალკაბიშტონი (რაჭ.) - შავყუ-

რძინანი ვაზის ჯიშია. რგვალკაბიშტონის ღვინო ალექსანდრეულისას ბევრად არ ჩამოუვარდება (იხ. ფრ., 26).

რეგილი (რაჭ.) - იგივეა, რაც ბჯგინი (იხ.). ბოყვიან კედელს რეგილებით ამაგრებენ.

რვილა (გლ.) - საქსოვი დაზგის ერთ-ერთი ნაწილია. რვილაზე ეხვევა ნაქსოვი შალი. (იხ. ქეგლ, მენტ., ძოწ., გაჩ.).

რთველჩამოლოცვა (ქვ. რაჭა) / **კალოკვრობა** / **ნამგალდრეკა** (ზ. რაჭა) - სამომოდგომო ციკლის აგრარული ხასიათის რაჭული საოჯახო დღეობა; სრულდებოდა ჭირნახულის დაბინავების შემდეგ: აცხობდნენ ჯვარსახიან განატეხს (სოფ. უწერაში კალოკვრობაზე აკეთებდნენ ფელამუმს, რომელიც ოჯახის ყველა წევრს უნდა ეჭამა) და კლავდნენ ძველ მამალს, რომლის სისხლს ქვემო რაჭაში ვაზის ძირში აქცევდნენ, ხოლო ზემო რაჭაში - ცელსა და ნამგალს წაცხებდნენ; კერიაზე სამ სანთელს აანთებდნენ და ილოცებდნენ: კარგი მოსავლისათვის მადლობას უხდიდნენ „დიდებულ ღმერთს“ და „ყორიფელ ანგელოზს“ და სამომავლოდაც ასეთივე წყალობას გამოსთხოვდნენ. მაგრამ თუ ცუდი მოსავალი იყო და გულს აკლდათ, განსაკუთრებით იმ წმინდანს ევედრებოდნენ, რომლის მიზეზითაც სა-

რჩო-საბადებელი შემცირდა. ასეთ შემთხვევაში ხშირად „დამნაშავედ“ წმ. ელია გამოდიოდა და ამიტომ მას მოუბოდიშებდნენ, „ხელი დაგაკელით“, შესაფერისად ვერ გემსახურეთ, ნუ გაგვიწყრები და საღვთოსა და განატყენს არ მოგაკლებთო.

ქვემო რაჭაში მამლის სისხლის ვაზის ძირში ჩაქცევით, ხოლო ზემო რაჭაში ნამგალსა და ცელზე მისი წასმით, ღლეობის სახელწოდებებთან ერთად, აქცენტირებულია ამ ორი მიკრორაიონის მეურნეობის წამყვანი ღარგი.

ლიტ.: ს. მაკალათია. მთის რაჭა. თბ., 1987, გვ. 84; ლ. ფრუიძე. მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით. წიგნი I. რაჭა. თბ., 1974, გვ. 267.

რიგი - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული დამარხვის შემდგომი საწესო სუფრების (მათ შორის მეშვიდე დღის, ორმოცის, წლისთავის და სხვ.) საერთო სახელწოდება აღმოსავლეთ საქართველოში (იხ. „შვიდი“).

რიადაგი (რაჭ.) - კარ-მიდამო, არემარე. იგივეა, რაც ეზო-რიადაგი (იხ. ქავთ. I: რიადაგი, ძოლ.: რიადაგი, რიადაგი).

რიგით მენახირეობა - სოფლის ან უბნის საქონლის სანაცვლოდ მწყემსვა. თითოეული კომლი რიგრიგობით ეწეოდა მწყემსობას. ღლეების რაოდენობას განსაზღვრავდა საქონლის რაოდენობა. შრომის ორგანიზაციის ეს ფორმა ძირითადად გავრცელებული იყო საქართველოს მთიანეთის იმ რაიონებში, სადაც მესაქონლეობა შინაალპური ფორმისა იყო, ე.ი. საზაფხულო საძოვრები მოსახლეობის მუდმივ დასახლებას არცთუ ისე შორი მანძილით იყო დამორებული და ამის გამო ზაფხულობით დასახლებიდან საქონლის

გარეკვას არ მოითხოვდა (ლებაისკარი, შატილი, უშგული და სხვა). მწყემსობის ეს ფორმა შედარებით იშვიათად გვხვდება ბარის სოფლებშიც, სადაც საქონლის მოვლა-პატრონობა უშუალოდ ძირითად სამეურნეო ბაზრებზე - სოფლისა და სოფლისპირა საძოვრებსა და გასადევარზე ხდებოდა. შრომის ორგანიზაციის ეს ფორმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელწოდებით იყო ცნობილი: ძროხაჯერი, ქირით მენახირეობა, რიგით მწყემსობა, რიგ-რიგა, გაჯერება, ხარავანი.

ლიტ.: ვ. შამილაძე, მესაქონლეობა სამეგრელოში // სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა, II, 1974.

რიდე - თავსაბურავი, დედოფლის, ქალის თავსაბურავია, მაგრამ ქულების ხმარებასთან ერთად, ქალისა და კაცისათვის რიდე გვხვდება. მაგალითები მოიძებნება როგორც მინიატურებში, ისე „ვეფხისტყაოსანში.“ მამაკაცის თავსაბურავი, მოხელეთა შორის, თანამდებობების მიხედვით განსხვავებოდა. კაცის რიდე ქალსაც შეეძლო უცვლელად გამოეყენებინა. რიდე გამჭვირვალე ქსოვილი იყო, უფრო სამკაულად გამოეყენებული, ვიდრე თავსაბურავად.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალ. კულტურ., 1962:39-48, 86, 117, 136-138.

რიკი (რაჭ.) - ურმის, მარხილის ერთ-ერთი ნაწილია; მოკლე ჯოხი (იხ. საზიდი).

რიჯა - გამდნარი ლითონის გასაციებული საოქრომჭედლ;ო ჭურჭელი.

რკალი / რკვალი (რაჭ.) - საცრის, სამტკიცის, ცხრილის, კაკაბის დაახლოებით

10 სმ სიფართისა და 40 სმ დიამეტრის მქონე გამალაშინებული ყავრის რგოლი, რომელზეც ამაგრებენ ტკეჩის ბადურას ან ფუის წმინდა ბადეს. ცხრილი იწოდა და რკალი იცინოდაო.

რკინიკეტი (რაჭ.) - ძალაყინი. (ღობი სარებს რკინიკეტით ვასვამთ (იხ. ღლ.: სიტყვ. კონა).

რკინის ქალამანი - რიტუალური დანიშნულების მქონე რკინის ფეხსაცმელი. მისი ნიმუშები დაცულია ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (ქარელის რაიონის სოფ. ატოციდან, გორის რაიონის გერის წმ. გიორგის ეკლესიიდან, დუშეთის რაიონის ლომისის წმ. გიორგის ეკლესიიდან). ქალამანი გაკეთებულია ოთხკუთხედი ფორმის ბრტყელი და სქელი რკინის ფირფიტისაგან, ტერფის უკანა ნაწილს აქვს ოთხი ნახვრეტი თასმებისათვის ფეხზე დასამაგრებლად. რკინის ქალამანი არქეოლოგიურად დადასტურდა ცხინვალის რაიონის სოფ. დისევის ერთ-ერთ აკლდამაში, რომლის მსგავსი არქეოლოგიაში მანამდე ცნობილი არ ყოფილა. განათხარი რკინის ფეხსაცმელი გვანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება და უკავშირებენ მიცვალებულის კულტს (გრძელი გზის ადვილად გასავლელად). ეთნოგრაფიულ ყოფაში რკინის ქალამანი გამოიყენებოდა რიტუალური დანიშნულებით. მლოცველი მას იცვამს და გაივლის გრძელ გზას საკულტო ადგილამდე. რკინის ქალამანი ქართულ ხალხურ ზღაპრებში გვხვდება როგორც გმირის (პერსონაჟის) ნივთი, რომელსაც იყენებს მორეულ გზაზე წასვლისას. „რკინის ქალამანი“ გვხვდება ხალხურ მეტყველებასა და მხატვრულ ლიტერატურაში. რკინის ქალამნით მიდის მლოცველი სათხოვნელად სალოცავში (ავადმყოფის მორჩენის თხოვნით, უშვილობის შემთხვე-

ვაში და სხვ). რკინის ქალამანს სოფელში ადგილობრივი მჭედელი ამზადებდა. ლიტ.: გ. ჩიტაია, ოქრომჭედლობის ისტორიისათვის საქართველოში, შრომები, I 1997; ა. გოგიაშვილი, ფეხსაცმელი - რკინის ქალამანი, ეთნოლოგიური ძიებანი, II, 2003; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

რკო (რაჭ.) - ვაზის ჯიშია. გვხვდება როგორც შავი, ისე თეთრი რკო. რკომ დამწიფება იცის გვიან, ღვინო მჟავა ცოტა (იხ. ქეგლ, ჯავახ. ეკ. ისტ., II, 439; ძოწ., ფრ., 29; ღლ. სიტყვ. კონა).

რკულა (რაჭ.) - ღვინის სასმელი ჭურჭელი. ხისგან აკეთებდნენ, - კულა.

რობაგი - ჭილოფის საქსოვი ვერტიკალური დაზგა, გავრცელებული იყო სამეგრელოში. ჩვეულებრივი ოთხკუთხა ვერტიკალური ჩარჩო, აღჭურვილი იყო ქსლის გამყოფი - „ორცხონდით“ - სავარცხლით. ქსელის ძაფები დაჭიმული იყო დაზგის ქვედა ხილზე ჩასმულ კაუჭებზე, ქსელიც ზედვე უწყვეტად იქსელებოდა. საზედაო ძაფის გატარება ქსელში უშუალოდ ხელით ხდებოდა. რობაგზე ჭილოფის ქსელისათვის გამოყენებული იყო სელის ნართი, რაც კოლხური სელის წარმოების უძველესი ტრადიციიდან უნდა მომდინარეობდეს. ამავე დროს ივარაუდება, რომ რობაგი ვერტიკალური საქსოვის უძველესი სახეობაა და მისი წარმომობა-განვითარება ჰორიზონტალური საქსოვი დაზგის პარალელურად ხდებოდა. არქეოლოგიური მასალის მონაცემები (სელი, ქვისა და თიხის კვირისტავეები, საქსოვი დაზგის შვეულები, ქოთნის ძირზე შემოხვეული ჭილოფის ანაბეჭდი) საქართველოში ჭილოფის ქსოვის უძველესი დროიდან არსებობაზე მეტყველებს. ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი, ქართული ხალხური

საქსოვი დაზგები, სსმ, XVIII-B, 1954.

როგო რაჭ.) - კაკლის წენგო (იხ. ბერ, ქეგლ.).

როვროვი - ფოლადის მორკალულწვე-რიანი იარაღი, რომლის შემწობით ვერცხლის ნაკეთობაზე ამოჰყავთ სხვადასხვა სახეები.

როკაპი (რაჭ.) - ავი. ანჩხლი, კაპასი ქალი (იხ. ძოწ.; შდრ. ქეგლ: როკაპი).

როფი (რაჭ.) - 1. ღორის ფელიკების დასამარილებელი გრძელი გობი (შდრ. ხონჩა). 2. წყაროს ქვეშ დადგმული ორგანოფილებიანი დიდი გობი. წყაროს ქვეშ მრგვალად ამოჭრილია ჩაფის ჩასადგმელად. მეორე განყოფილება კი გრძელია (2-2,5 მ), სადაც წყალი გროვდება პირუტყვისათვის.

როჭო (რაჭ.) - წამოზრდილი წიწილა (იხ. ბერ.).

რუბი - მარცვლეულის საწყაო ჭურჭელი. უდრიდა კოდის მეოთხედს.

ლიტ.: ქელ. 2009.

რუმბი - ტყავის მოკუპრული ჭურჭელი. 25-30 ფუთი ტევადობისა, საუკეთესო რუმბები მზადდებოდა ასაკოვანი ხარის ტყავისაგან. რუმბები გამოიყენებოდა ღვინის გადასატანად და ამ თვალსაზრისით ერთობ მოხერხებული ჭურჭელი იყო, თუმცა, შორ მანძილზე გადატანისას ღვინო „ილახებოდა“ და ამავე დროს, კუპრის სუნსაც დებულობდა. რუმბი, კოლოტის (იხ.) მსგავსად, ტყავის მოკუპრულ ჭურჭელთა რიგს განეკუთვნება. **რქა** -- ვაზის ერთწლიან ტოტს ეწოდება, რაც უპირატესად, ქართლურში გვხვდება, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოში. რქის სინონიმია ლერწი, მისი

არეალი, ძირითადად დასავლეთ საქართველოში შემოიფარგლება. რქის მნიშვნელობით ვაზიც გვხვდება და ვენახიც. ძველ ქართულში რქის მნიშვნელობით ბაბილო გვხვდება. ვაზის გასამრავლებლად, დასარგავად გამოზადებულ რქას, ნერგი, ჩითილი ეწოდება. ხილის იქნება ჩითილი, თუ ვაზისა, ნერგსაც ეწოდება ქართლში, ასევე „დასაბაგი რქასაც.“ დასარგავი და გადასაწვენი რქის სახელწოდებები მღავალფეროვნებით გამოირჩევა. სახელდობრ, ძირეული (იმერ.); ჩასაგდები//ჩასაყრელი რქა (კახ. ქიზ.); ნაწიგარი//სანაწიგრი//სანაწიგრო (იმერ. ლეჩხ.); საფესვე რქა//სამორჩე რქა//ტყუილი რქა// გაწბილებული რქა (რაჭ.); კალამი//ახალგაშენებული რქა (ქიზ.); ტუკი (სულხან-საბა ორბელიანი); წიდნა კი, ძველი ქართული მნიშვნელობით.

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებ. 1978:19-20, 28-30; სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, 1993; ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1964.

რქის დაკავება - შეყელვის დროს ვაზის რქის მოღუნვა-დაკავება, სარზე ასაკრავად.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

რქის დადეროვება - ვაზის ნორჩი რქის დამსხვილება. სამამულედ შერჩეულ რქას მეტ თავისუფლებას მისცემენ და გაათამამებენ, რქას დეროდ აქცევენ.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

რქის წყალი - მსხვილფეხა შინური რქოსანი პირუტყვის ავადმყოფობა: რქაში ხარს ჩაუდგება სითხე, რომელიც

აწუხებს. მკურნალობენ რქის გადახერხვით. გადახერხილი რქიდან წყალი იწრიტება და პირიტყვი იკურნება.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

რცხილი || **რცხილა** (რაჭ.) - რაჭაში გავრცელებული შავყურძნიანი ვაზის ჯიში.

რცხალი (რაჭ., აჭარ.)- 1. ორი წლით ნასვენი მიწა (მდრ., საბა: „კრცხალი - ორწელ უთესველი ნარბილი“; 2. აჭარაში - მოსავლიანი და ნაყოფიერი მიწა.

ლიტ.: ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2009:322.

რცხლად გდება - ნარბილის უხნავ-უთესველად „დაგდება“, დატოვება დასასვენებლად.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

რძიფაფა (რაჭ.) - ფაფა, რომელსაც რძეში ამოკიდებული პურის ფქვილისაგან ამზადებენ. **რწინუა** (მეგრ.) - მიცვალებულის გაპატიოსნება, რომელსაც მარწინალი („გამპატიოსნებელი“) ასრულებს. ადამიანის გარდაცვალებისთანავე „სცენაზე გამოდის მარწინალი. დახელოვნებული მარწინალის როლი ასეთია: უნდა ეცადოს მიცვალებულს, რაც შეიძლება, ნაკლებ დააჩნდეს სახეზე საშინელი სურათი სიკვდილისა, რომელიც ასე უზო-


მოდ ანსხვავებს ცოცხალისაგან. სულის ამოხდომის წუთიდან ადამიანის მძოვრი ცოცხალთათვის საშინელებას წარმოადგენს. ამ ცხოველური შიშის გრძნობა მიცვალებულის გარშემომყოფთათვის მით უფრო ძლიერია, რაც უფრო დამახინჯებულია სახე ამ მიცვალებულისა. და აჰა, მარწინალი ანუ გამპატიოსნებელი, სანამ სხეული გაშეშდებოდეს, მიცვალებულს თვალებს უხუჭავს, პირს მოუკუმავს, გაუსწორებს ფეხებს, ხელებს გულზე ჯვარედინად დაუწყობს, თმასა და წვერ-ულვამს დაუვარცხნის“.

თ. სახოკია „რწინუა“ ტერმინს, არცთუ უსაფუძვლოდ, ქართულ „ბრწყენა“ სიტყვას უკავშირებს და მიფრავს, როგორც „სინათლის, სილამაზის მინიჭებას“ (შესაბამისად, „მარწინალი“ - „სინათლის, სილამაზის მიმნიჭებელი“).

ლიტ.: თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1956, გვ. 119-120.

რჭალი (რაჭ.) - მრგვალი წნელის რგოლი, რკალი, რომელიც გუდას ჰქონდა ჩაყენებული შიგნით (რამდენიმე რგოლი).

რხმალა || **ხრმალა** || **ხმალა** (რაჭ.) - 1. ხის მოკლე ბრტყელი ფიცარი, რომელიც ურმის ყბებს (იხ.) აკავშირებს ერთმანეთთან (ურემს 5-7 რხმალა აქვს). 2. საწნახლის თავსა და ბოლოს საშუბურის დასამაგრებელი ხის ჩარჩო.



სააბი (რაჭ.) - შავყურძნიანი ვაზის ჯიშია (იხ. ჯავახ., ეკ. ისტ., II, 442; ძონ., ფრ., 42).

საადრიო (რაჭ.) - საადრეო. საადრიო ყურძენი. საადრიო ვაშლი.

საალატრე (გლ.) - შუაცეცხლის თავზე მოწყობილობა, შედგებოდა 2-4 სარისაგან, რომლებზეც გარდიგარდმო ალაგებდნენ შეშას გასახმობად. ხან ტანსაცმელსაც ჩამოჰკიდებდნენ გასაშრობად.

სააქიმო (რაჭ.) - შესაწამლი. ვენახი. (იხ. გაჩ.).

საახალწლო ტაბლა - ჯავახური საახალწლო შემოსალოცი - სანთელშემონთებული ტაბლა საწესო პურებითა („წმინდა ბასილა“, „ხარის ქელი“, „ბანის პური“, „ბედის პური“, „ქათამ-წიწილი“) და თავლით ან ბაქმაზით. ახალწლის დილას ამ ტაბლით ოჯახის უფროსი მამაკაცი ბოსელს, საცხვრეს, საქათმეს მიუკვლევს; შემდეგ საცხოვრებელი ნაგებობის სახურავზე ადის და, გარშემო უვლის რა ბანს, დაილოცება: „ერდოსა შენსა შემოვდბი ფეხი, გწყალობდესთ, ჩემო ჩოლ-შვილმო ღმერთი; ჩემი ფეხი იყვეს კვალი მავალი მთავარ მიქელ-გაბრიელ ანგელოზებისა, წმინდის სამას სამოცდახუთის გიორგისა; მრავალს ასეთს ახალწელს შეგვასწროს,

ხელი ერთ პირათ, ყოუმახრაბა-ყარდა-შითა და დვინგვირებითა“ (მეგობარ-ნათესავ-ძმებითა და მოყვრებითაო), ამასთან, ერდოდან საცხოვრებელში ყრის პურებს, თვინიერ „ბედის პურისა“ და „წმინდა ბასილისა“: ჯერ „ბანის პურს“ ჩააგდებს, შემდეგ - „ხარის ქელს“, ბოლოს კი - ხელსახოცში გამოკრულ „ქათამ-წიწილს“; სახლში შესვლისთანავე ყველას გააღვიძებს, თავლით მიუკვლევს და ეუბნება: „ასე ტკბილად დამიბერდით“; ბოლოს, ჩამოყრილ პურებთან მიდის და მათი დაცემის ადგილსა და ფორმას აკვირდება: თუ „ბანის პური“ და „ქელი პური“ გულადმია დავარდნილი, ეს ცუდი მოსავლისა და საქონლის დახოცვის ნიშანია, თუ ბუხრისკენ - ხვავიანი ჭირნახულისა და საქონლის მატებისა; თუ „ქათამ-წიწილი“ დამტვრეული აღმოჩნდა - კრუხები ბევრ კვერცხს გაალაყებენ, თუ არა - ბლომად წიწილი გამოიჩეკება. „წმინდა ბასილას“ და „ბედის პურს“ ტაბლაზე ტოვებენ, მხოლოდ წყალკურთხევაზე დაჭრიან და ოჯახის წევრებს მიჰკერძავენ: ვის წილ „ბედის პურშიც“ მონეტა აღმოჩნდება, ამ წელს ის იქნება ბედნიერი და ფულიანი.

ლიტ.: გ. კოპტონაშვილი. ახალი წლის დღესასწაული ჯავახეთში // ივერია, 1888, № 256.

საახლოდ გასესხება - ჭირნხულის გასესხება სამერმისოდ, ახალი მოსავლით გადასახდელად. ამგვარი სესხი დიდი შემწეობა და შეღავათი იყო მათთვის, ვისაც ცუდი მოსავალი მოუვიდოდა და შუა წელში ჰური ან სიმინდი შემოაკლდებოდა.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

საბაკნიაი (ხევ.), **საჯამე** (ფშ.) - ოვალური კალათა, ჯამ-კოვზთა შესანახი. იქსოვებოდა ყაპყატოსაგან. ყაპყატო ფშავ-ხევსურეთში ეწოდება ხის ქერქს. „ვერნახავ ერთ მძივს, ან ღილსა, ეთერის ლერწამ ტანზედა; მხოლოდ ყაპყატოს კალათა გადაუგდია მკლავზედა“ (ვაჟა).

საბანი - 1. ლოგინის ნაწილი, მკვრივი ქსოვილი ან ნაჭერში გამოკერილ დალიანდაგებული ბამბა ან მატყლი. საბნის წინპირს გამოკრული აქვთ აბრეშუმის ან ატლასის ნაჭერი. ხევსურებთან დადასტურებულია ხალიჩურადნაქსოვი, მაღალხაოიანი საბნები. 2. ნაბდის საყელოების შესაკრავი თასმა (სამეგრ.)

ლიტ.: ქელ, 2009.

საბარკულა, **ბარკულა** - თუში ქალისა და კაცის ქვედა საცვალი. მასალად გამოიყენებოდა ბამბის ან აბრეშუმის ქსოვილები. ამ ტიპის ქვედა საცვალს კაცისას თუშეთში „მარვალსაც“ უწოდებდნენ, მისი ნაწილებია: „სათაურა“, „ტოტები“, „ადლი“. ტოტები ორტოლად ჩამვებულ ნაწილებს ერქვა, ადლი კი სამკუთხედის ფორმის ორმაგი ნაჭერი იყო. ტოტების შეერთების ადგილას უბეშედგმულია. სათაურად გადაკეცილ ნაწილში გაყრილი იყო შალის ძაფებით მოქსოვილი ზონარი - „ხონჯარი“, რომელიც წინ ან გვერდზე შეიკვროდა. 2. აბჯრის შემადგენელი ნაწილი, რომელიც რკინისაგან იყო დამზა-

დებული და მეომრის ფეხის ზედა ნაწილის (ბარკალი) დაცვას ისახავდა მიზნად. თ. ბაგრატიონის ცნობით - მას ვერც ხმალი და გინა ისარი ვერას აკლებდა.

ლიტ.: გ. ბოჭორიძე თუშეთი, 1993. ც. ბეზარაშვილი, თუში ქალის ტალავარი, კრ. თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1967.

საბერველი - სამჭედლოს ინვენტარი, დაკეცილი ტყავის გვერდების მქონე მოწყობილობა, რითაც ცეცხლს უბერავენ გასადვივებლად. ყოფაში დამოწმებულია საბერველი ორი ტიპი - ქართული და რუსული (რომელიც XIX ს-დან შემოდის). ქართული საბერველი ორპირია, აქვს ორი სახელური და ორი საქმინავი, საიდანაც განუწყვეტილად ხდება ჰაერის მიწოდება და ჩაბერვის ძლიერებით ხასიათდება. საბერველთან საჭიროა ერთი კაცის დგომა, მან ორივე ხელით უნდა იმუშაოს, რადგან დაბერვა ერთი განსაზღვრული ადგილიდან ხორციელდება. რუსული საბერველი ბერვას წყვეტილად აწარმოებს. მისი უპირატესობა ისაა, რომ ქურასთან მდგარ მჭედელს შეუძლია სხვის დაუხმარებლად ცალი ხელით ქურასთან იმუშაოს, მეორე ხელით საბერველი აამოქმედოს.

ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, 1953. ნ. რეხვიაშვილი, ქართული ხალხური მეტალურგია, 1964.

საბერკაცო ქუდი - შავი ცხვრის ტყავის გრძელბეწვიანი ბუნრის ქუდი, რომელსაც მოხუცები იხურავდნენ. ასეთივე ქუდი იკვებოდა თეთრი ცხვრის ბეწვისაგანაც და მას ახალგაზრდები ატარებდნენ.

საბეჭავი, **სავარცხელი** - მასიური, მრგვალი ან ოვალურთავიანი ხელსაწყო,

რომელსაც აქვს სავარცხლის მოყვანილობა და კბილები, რომლის მეშვეობითაც საქსელზე ხდება ნაქსოვი ძაფის ერთმანეთზე მიბეჭვა-მიმტკიცება. ყოველი ნაქსოვი ხაზის გავლების შემდეგ საბეჭავი ერთ მთლიანობაში აქსოვს ქსოვილს.

საბეჭური 1. ბეჭებზე მოსასხამი, სამხრე, ლევიტონი. 2. კაცის პერანგის მოქარგული უკანა ნაწილი ხევსურეთში. 3. ტანსაცმლის სარჩული ბეჭებთან (იმერ.)

საბეჭური - 1. უსახელო ზედატანი, მოჭიდავეები იცვამდნენ ხოლმე. ის კანაფისაგან იყო მოქსოვილი. 2. პერანგის ზონრებს ერქვა. საბეჭური სარწმუნოებრივი მოვალეობების აღმსრულებელთა სამოსელი ყოფილა. მაგალითად, ქართველ ბერებს შესამოსელად ჰქონდათ: ჩოჭა, საბეჭური, კუართი და თავზე კუნკული ეხურათ. საბეჭურები - სარჩული, პერანგზე, ან კაბაზე ბეჭებზე დადებულ სარჩულს ეწოდებოდა.

საბღუჯი - ხევსურული ფარის დეტალი, რომელიც დამაგრებულია ფარის უკანა მხარეს, ძირითადად წარმოადგენს დაწნული ტყავის თასმას, რომელიც გამოსკვნილია ოთხ რგოლზე (იხ. ფარი).

საბძელი - საქონლის საკვების შესანახი ნაგებობა. სამეურნეო კომპლექსის ერთ-ერთი აუცილებელი შენობა, ხისა ან ფიცრისა. გამოირჩეოდა დიდი ტევადობით. საბძელში ინახავდნენ მესაქონლეობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სამეურნეო იარაღსაც.

საგანძური - ქვითხურობაში ქვის განსაკუთრებულად დიდი ნივთი, რომელიც განძად დარჩება ოჯახსა და საგვარეულოს. იმერეთში დადასტურებული

ეს სახელი ეწოდება ქვის საწნახელს. როგორც ცნობილია, ქვის საწნახელები, საქართველოში მრავალგანაა დადასტურებული. საგანძური ქვის დამუშავების ცენტრებში გვხვდება და წარმოადგენს ორიდან ოთხ მეტრამდე სიგრძის მთლიანი ქვის ნივთს. საგანძურ საწნახლისთვის შეარჩევნ უძარღვო, უტალო, დედა ქვას. ასეთი ქვა იშვიათია და ამიტომაც ძნელად მოიპოვება. თუ გადააწყდებიან შემთხვევით, სხვა ნივთისათვის „აღარ გააფუჭებენ“ და იწყებენ მისგან საგანძურის გათლას. თერჯოლის რ-ნის სოფელ სეფარეთში ასეთი საგანძური გაუკეთებია საბა ბერძულს, რომელშიც ერთჯერად 200 ფუთი ყურძენი იწურებოდა. საწნახელი კეთდებოდა 2-3 თვის განმავლობაში. შემდეგ 12-15 უღელი ხარით ლამკინით//თუშით//მარხილით რამდენიმე დღის განმავლობაში ეზიდებოდნენ დანიშნულების ადგილზე რომ მიეტანათ. საგანძურის გაკეთება მნიშვნელოვანი იყო და მის ტრანსპორტირებაში მთელი სოფელი იღებდა მონაწილეობას. თერჯოლის რ-ნის სოფ. თავასაში აღმოჩნდა გვიან შუა საუკუნეებში დამზადებული ქვის საწნახელი ისარნით, რომელიც ამ სამეურნეო საგნის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

ლიტ.: ნადირაძე ე. ხალხური ქვითხურობა იმერეთში, 2001.

საგდებელი - ქამანდი, მოსაშვეტად მოწყობილი ცხენის საბელი, გრძელი თოკი, რომლის ერთ ბოლოს შორს ისვრიან საქონლის შესაპყრობად ან რისამე დასაჭერად „აწ, ვინცა ვიცით უკეთუ შეტყორცნა საგდებელისა“ (ვეფხისტყ.)

საგოზელა (რაჭ.) - ჭურისთავის დასაგოზი იარაღი. 1 მ სიგრძის ხე, რომელსაც ერთი თავი მსხვილი და მძიმე აქვს, მეორე თავისკენ თანდათან წვრილდება

და მაჯის სისხო ხდება. ჭურისთავზე დადებულ აყალო მიწას სცემენ და გოზავენ. გლოლაში ამ დანიშნულებით საუკუელს (იხ.) ხმარობენ.

საგომელა (რაჭ.) - წყლის ჭურჭელია, ხისგან გამოთლილი (იხ. ქეგლ, ძიძ., ქართ. დიალექტ., 687).

საგულე - მოხევე ქალის კაბა. მასალად გამოიყენებოდა ღია და მუქი ფერის ფარჩა და ქიშმირი. საგულე, თარგით ახალოხისებურია, გრძელი და უსაყელო, წელზე მომდგარი და წინ მთლიანად ჩახსნილი. ზედატანი ტანზე მორგებული და ქვედატანი რამდენიმე კალთისაგან („ფარდა“) შემდგარი. ხევში ორგვარი ტიპის საგულეები იყო გავრცელებული. მოხუცები ატარებდნენ ძველებურ კუჭნაოჭიან და შეხსნილი სახელოებით შედგენილ საგულეებს, ხოლო ახალგაზრდები ნაკეციებიან და ჩვეულებრივ სახელოებით შეკერილ საგულეებს. კუჭნაოჭიან საგულეებს ნაოჭი მარტო უკანა მხარეზე უკეთდებოდა. საგულის ჩახსნილი ნაპირები ერთმანეთს მხოლოდ უახლოვდებოდა. საგულეზე ატარებდნენ სხვადასხვა ზომისა და ფორმის სარტყელებს, ამათგან დიდი მოწონებით სარგებლობდა, „ჩაფრასტანი“, რომელიც ოქროში დაფერილი დაფანჯრული ვერცხლის ორი ნაწილისა და ქსოვილის ბრტყელი ზოლის შეერთებით მიიღებოდა. დიდი ყურადღება ექცეოდა საგარეო საგულის მორთვას. ნაპირებს რთავდნენ სირმის, ბუზმენტის ან ხავერდის ზოლებით, ხან ოქრომკედის ძაფით, რომლის გულისპირზე ჩამოყოლებულ გრეხილს „ბალთა“ ერქვა. სახელწოდება „საგულე“ მოხსენიებულია ქსნის ერისთავის ასულის ანას (1692-1703წ.) მზითვის წიგნში, ხოლო ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნში (1712წ.) „კაბა-საგულე“-ა ნახსენები.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

საგული (რაჭ.) - ტანსაცმელია, ჩოხის შიგნით იცვამდნენ, - ახალუხი (იხ. საბა, ბერ., ქართ. დიალექტ., 687; შდრ. ქეგლ).

სადაბადო - ქალის სალოცავი ქვევრი, რომელიც ოჯახის სალოცავი ქვევრის მოშორებით ცალკე ემარხა. სადაბადო სალოცავს, რომელიც „მეტისმეტად ჟინიანად ითვლებოდა... სულ უბრალო რაზედმე ურისხდებოდა ხოლმე მოსავს“ (თ. სახოკია) ოჯახის დიასახლისი იხდიდა. საამისოდ დაკლავნენ სალოცავად დაყენებული ძროხის სახარე ხბოს და ქალი ღმერთს ჯანმრთელობასა და ოჯახის კეთილდღეობას შევედრებოდა. თუ ძროხა ფურს მოიგებდა, მაშინ დიასახლისი სადაბადოს მხოლოდ ყველჩართული კვერებით გადაიხდიდა, ხოლო ფურს საძროხედ გაუმვებდა. როცა სადაბადოდ შესახელებული ძროხა დაბერდებოდა, დაკლავდნენ და სანაცვლოდ მის ფურს დააყენებდნენ.

ლიტ.: თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1956, გვ. 117; ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 323.

სადავე - ტყავი, „ცხენის აღვირის საპყრობი თასმები“ (თ. ბაგრ. იხ აღვირი).

სადამ-ი - სვანური საქორწილო სიმღერა; მღერიან ნეფის სახლში კერიის გარშემო პატარძლის შემოტარების დროს.

სადაფი, ღინჭლა - მოლუსკთა და ზღვის სხვა ცხოველთა კალციუმის ნიჟარა. გამოირჩევა ფერთა თამაშით, ელვარებით, ტალღოვანი გადასვლებით. სადაფის ან მისი შემკულობით

ამზადებდნენ ამულეტებს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, ღილებს, ყუთებს, სათუთუნეებს, საბრძოლო იარაღის ტარებს და ა.შ.

ლიტ.: ვ. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.

სადაქბულე || **სადაქფულე** (რაჭ.) - (კოდი) ფქვილის შესანახი დიდი კოდი.

სადგისი - ტყავის სახვრეტი, ხისტარიანი და რკინისწვერიანი ხელსაწყო.

სადგინი / ცხენტობევა - მიცვალებული მამაკაცის (იშვიათად ქალის) წლისთავზე გამართული დოდი თუშეთში. დოღში ოცი-ოცდახუთი მხედარი მონაწილეობდა. ჭირისპატრონის სახლში შესრულებული დალაობის (იხ. „დალაა“) შემდეგ, მოდალავეები, რომელთაგან მთავარი მოდალავე „სულის ცხენზე“ (იხ.) იჯდა, მკვდრის დედისძმასთან მიდიოდნენ. დალაობით მიმავალ მხედრობაში ერთი მეალმე - ალმის წამლები - იყო, ერთიც - მეალმედ, რომელსაც ხურჯინის თვლებში ალუდიანი ტიკები, ერთი პური და ერთი სანთელი ელაგა (ამ უკანსკნელს დედისძმასთან დაგებულ სუფრაზე დებდნენ). აქ ისინი კვლავ იდალავებდნენ, რის შემდეგაც სტუმრებს შინ შეიწვევდნენ და ცდილობდნენ დაუთრობელი არავინ გაეშვათ. დედისძმათაგან მეალმე და მეალმედ ადრევე წამოვიდოდნენ და ალამს საალმეში - ცხენტა სრბოლის მანძილის ბოლოში ჩაარჭობდნენ. დედისძმისას მყოფი მხედრები ცხენებს ადვირის მარჯვენა მხარეს, ყურთან თეთრ ნაჭრს შეაბამდნენ (ნიშნად მათი დედისძმასთან ნამყოფობისა). ამ ნიშნის გარეშე ცხენი დოღში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. აქედან მხედრები გასწევდნენ ცხენტარბევის ადგილისკენ, სადაც მათ ათი-თორმეტი წლის ბიჭები

დახვდებოდნენ და სადოღე ცხენებზე შესხდებოდნენ. ყველა მხედარს ევალეობდა ალამთან ცხენდაცხენ მისულიყო, მათრახით შეხებოდა და ლუდით მიცვალებულის შესანდობარი ეთქვა. პირველი მისული გამარჯვებულად ითვლებოდა და ალამიც ჭირისუფლის სახლში მას მოჰქონდა. დოღში მონაწილეებს ჭირისუფალი საჩუქრებს გადასცემდა.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 118-124.

სადგინის კვერი (თუმ.) - მრგვალი ფორმის პური, რომელსაც შუაგულში ჩარჭობილი ჰქონდა მიტკლის ნაკუნებზე მული პატარა ჯოხი, ამ კვერებს თუშეთში ურიგებდნენ იმ მხედრებს, რომლებიც მიცვალებულთა სულების სახელზე გამართულ დოღში იღებდნენ მონაწილეობას.

სადგომი (რაჭ.) - სახლ-მარანი, აგებული მალაღმთიანი სოფლების მცხოვრებთა მიერ ბარის სოფლების ტერიტორიაზე მდებარე მათ ვენახებში. სადგომს იყენებენ უმთავრესად ვენახში მუშაობის პერიოდში.

სადიაცო - ხევსური ქალის კაბა. მზადდებოდა ადგილობრივი შალისაგან. აქვს უბე-კალთა და ზურგნი. გვერდებში აზღოტები. კაბის სიგრძეს კოჭებამდე აგრძელებს ქოქომონი. სადიაცოს გულისპირი მარცხნივია ჩაჭრილი, მარჯვნივ დარჩენილ ნაწილს „ფარაგა“ ეწოდება და იკვრება დილ-შატით. საკინძის ჩაყოლებაზე ნაქარგს „ზიკი“ და „სამწყვეტლო“ ჰქვია. მათ გარშემო შემოუყვება ზოლებად ნაქსოვი ჭრელა. სადიაცოს დიდი ნაწილი მოქარგულია შალის ფერადი ძაფებით და დაკრული აქვს ვერცხლის სამკაული. სადიაცო ხევსური ქალის „სანამუსო“ სამოსი იყო და შვილის გაჩენამდე გულისპირი გაუხსნელი

უნდა ყოფილიყო. გლოვის დროს სადი-
აცო უკუღმა ეცვათ, რათა სამხიარულო
ჭრელები დაეფარათ.

ლიტ.: ლ ბოჭორიშვილი, ხე-
ვსურული ტალავარი, მსე, ტ.VII
1956.

სადიაცო სამანი - აღმოსავლეთ სა-
ქართველოს მთიანეთში ჯვარ-ხატებთან
ახლოს მიწაში ჩასმული ქვის სამან-მიჯნა
(„დანიშნული ადგილი“), რომლის იქით
ქალი, როგორც „უწმინდური“ არსება, ვერ
გადააბიჯებდა. ფშავში ასეთი სადიაცო
სამნები თითქმის ყველა ხატთან იყო
(მაგ., ლამარის ჯვარში, პირქუმის ხატში,
თამარის ჯვარში და სხვ.), რადგან მდე-
დრს სალოცავთან მიახლოება ეკრძალებ-
ოდა. სამართლიანად შენიშნავს მ. კა-
ნდელაკი: „... თუ მთიელი ქალის მაღალ
სოციალურ სტატუსს გავითვალისწინებთ,
ზემოთქმული აკრძალვა თავის დასაბა-
მსა და შესაბამის ახსნას უძველესი რწმე-
ნა-წარმოდგენების სამყაროში იღებს“.

ლიტ.: მ. კანდელაკი. სამანი სა-
ქართველოს მთიანეთში // ქართუ-
ლ-კავკასიური ეთნოგრაფიული
მტუდეები (1988). თბ., 1991. გვ. 82.

სადივარი (რაჭ.) - წისქვილის სათავის
ნაწილი, სადაც წყელი მიედინება ღარე-
ბამდე (მდრ. ალავ. მასალ.).

სადმელური || **სადმეალური** (რაჭ.)
- მწვანე თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია. სა-
უკეთესო ხარისხის ღვინოს აყენებენ (იხ.
ჯავახ. ეკ. ისტ. II, 445, ფრ. 37).

სადღვებელი - კარაქის დასამზადე-
ბელი ჭურჭელი. ამზადებდნენ სხვადასხვა
მასალისაგან (ხე, თიხა, ტყავი, ლითონი).
თავდაპირველად ტყავისა უნდა ყოფი-
ლიყო და რძის ჭურჭლად უნდა ეხმარათ.
შემდეგ, როცა ამ ჭურჭლით მომთაბარე-

ობისას (საცხოვრებლად ერთი ადგილი-
დან მეორეზე გადასვლისას) რძე გადაჰ-
ქონდათ და იგი შემთხვევით კარაქად
შეიღვებოდა, უკვე სადღვებლად გამოი-
ყენეს. ტყავის ჭურჭელს - გუდას (ოთხში
ამოღებული ცხვრის, თხის, ხბოს ტყავისა-
გან დამზადებული პარკი) რძის ნაწარმის
დასამზადებლად მსოფლიოს ბევრ ქვე-
ყანაში ხმარობდნენ. თუშეთში გემრიელ
და სახელგანთქმულ ყველს დღესაც გუ-
დაში ამზადებენ და მას „გუდის ყველი“
ჰქვია. ტყავის სადღვებელი გვიანობამდე
მხოლოდ მომთაბარე მესაქონლეებს შე-
მორჩათ, მიწათმოქმედნი კი ძირითადად
ხის, თიხის ან ლითონის სადღვებელს
იყენებდნენ. თიხის სადღვებლის რამდე-
ნიმე სახეობაა ცნობილი: ქართლური
სადღვებელი ექვსყურიანია, ქიზიყური
ორყურიანი, დასავლეთ საქართველოში
გავრცელებულია ერთყურიანი სადღვე-
ბელი. დასტურდება სამ და ოთხყურიანი
სადღვებლებიც. სადღვებლის გამოყე-
ნების ორი ვარიანტი არსებობდა - ჩამო-
საკიდებელი და სადგარზე ან ბალიშზე
დასადები. თიხის სადღვებელი ხასიათ-
დება გადაშლილი მრგვალი პირით, გა-
ნიერი ყელით, დაქანებული მხრებით,
ცილინდრული ფორმის მუცლით, სწორი
ძირით. სადღვებელში ასხამდნენ მისი
ტევადობის მიხედვით ნახევრად სავსე
რძეს, რათა ამ უკანასკნელს მოძრაობის
მეტი საშუალება ჰქონდეს. ჩამოსაკიდი
თიხის სადღვებლები მაღალია, აქვს
წვრილი ყელი, ძირი ვიწრო. ერთი ბოლო
თავშეკრული ყელით მთავრდება. მეორე
მხარეს დოს ჩამოსასხმელი ნაჩვრეტია
დატანებული. ყურების ერთი ნახევარი
ძირთან არის მირჩილული, მეორე ნა-
ხევარი ყელთან. ყურებში ჩამოსაკიდი
თოკებია გაყრილი. ხელის დახმარებით,
მოძრაობის გზით კარაქი იღვებება.
რაც შეეხება სადგარზე დასადებ სადღვე-
ბელს, რძის ჩასხმის შემდგომ თავზე სა-
ქონლის ფაშვს გადააკრავენ, პატარა ბა-

ლიძე დადებენ და ყურების მეშვეობით თანაბრად ამოძრავებენ. პირის დაბლა, ამოჭრილი ხვრელი ხის საცობით იხურება. დღვებისას დროდადრო შემოწმების მიზნით თითს ჩაყოფდნენ, თუ რძე „კუნდა-კუნდა მოხვდებოდა“ კარაქი მზადაა. ქართული თიხის სადღვებლებიდან რაჭული სადღვებელი უძველესი ფორმის უნიკალურ სახეობას წარმოადგენს. კარაქის დამზადებაში ქართველები ძველთაგანვე იყვნენ დახელოვნებული. მცხეთის სამთავროს ბრინჯაოს სამარხებში ნაპოვნია ძვ. წ. V საუკუნეზე ადრინდელი თიხის სადღვებლები, რომელთა მსგავსსაც დღესაც იყენებენ მთიულეთში. კარაქს საქართველოს ყველა კუთხეში არ ამზადებდნენ. მისი დამზადების წესს მთიანი რაჭისა და აჭარის გარდა არც იცნობდნენ დასავლეთ საქართველოში. სამაგიეროდ აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი მთიანეთში (ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, მთიულეთი) კარაქის დამზადების ხელოვნება მაღალ დონეზე იდგა. ხევსურული და ფშაური ერბო (გადამდნარი კარაქი) განთქმული იყო მესანიშნავი თვისებებით ისევე, როგორც თუშური ყველი და მეგრული სულგუნი. საქართველოში ხე-ტყით მდიდარ ქვეყანაში, ფართოდ იყენებდნენ ხის სადღვებელს. ხედათიხაუძველესი დროიდან ყველაზე ხელმისაწვდომი და იაფი მასალა იყო გლეხისათვის. ხის სადღვებელი ორი სახისაა. ერთია ჰორიზონტალური, ცილინდრული, მთლიანი, გულამოდებული, ორივე მხარეს დახურული გათლილი ხის მორი ე.წ. „ვარია“. ვარიას რძის ჩასასხმელად და კარაქის ამოსაღებად შუა წელში ზემოთ ამოჭრილი აქვს ოთხკუთხა ან მრგვალი ნახვრეტი - „ვარიას პირნი“. ზედ ძროხის გამხმარი ფაშვის ნაჭერი აფარია. ქვემოთ ფსკერზე გაკეთებული ნახვრეტიდან, რომელსაც ჩხირი აქვს დაცობილი, გამოდის ღო - კარაქის ამოდების შემდეგ დარჩენილი მომჭავო სითხე. ვარიას თო-

კით შენობის ჭერზე ჰკიდებდნენ და ხელით არწევდნენ რძის ასადღვებად. ხის მეორე სადღვებელია „ჩხუტ-ბრუნელი“. ეს ვერტიკალური მთლიანი ხის ცილინდრული, გულამოდებული მორია, რომლის ცალი მხარე დახურულია (ფსკერი აქვს), მეორე მხარე - ღია. მასში უმი (მოუღულარი) რძე ფირფიტებიანი ჯოხის - „ბრუნელის“ - ზემოდან ქვემოთ მოძრაობისას იღვავება. ჩხუტ-ბრუნელი ვარიასთან შედარებით მომცროა. ვარიასა და ჩხუტ-ბრუნელის დასამზადებელი ხე უმეტესად შემოდგომაზე და ზამთარში იჭრება. ასეთი ხისაგან დამზადებული ჭურჭელი არ სკდება. ვარიას დასამზადებლად ცაცხვის ხეს არჩევენ, რადგან გასათლელად ადვილია (რბილია). სკდება. ვარიის დამზადებისას ყველაზე ძნელი იყო გვერდების ამოვსება. აქ ჩასასმელ ფიცრებს წინასწარ თლიდნენ და ახმობდნენ. მათ ვარიის ნედლ გვერდებში სვამდნენ. გამრობისას სადღვებლის ნედლი გვერდები ხმელ ფიცრებს მჭიდროდ ეკვროდა და იქიდან სითხე ვეღარ ჟონავდა. საერთოდ, კარაქს უმი რძისაგან ამზადებდნენ, მაგრამ ხევსურეთში, სადაც ძველად ბევრი საქონელი ჰყავდათ, რძეს დიდ ბაკნებზე - გობებზე ასხამდნენ: რძე აქ ნაღებს მოიღებდა, ხევსურები ნაღებს აგროვებდნენ, შემდეგ ასხამდნენ ვარიაში და მისგან ამზადებდნენ კარაქს.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, დასურათებული ლექსიკონი. 2008; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

საუქიმო იარაღები - აქ: ხალხური მედიცინის მონაპოვარი, ნივთიერი მასალა, რაც ათვალსაჩინოებს ამ დარგის განვითარების პრაქტიკულ ფორმებს და წარმოადგენს მის საილუსტრაციო მასალას. სამთავროს სამაროვანში მიკვლეულ იქნა ტრეპანირებული თავის ქალები, რომ-

ლებიც X-XI საუკუნეებით იქნა დათარიღებული. ზოგადად ჩამოყალიბებულია აზრი, რომ ტრავმების მკურნალობის პრაქტიკა საკმაოდ გავრცელებული იყო საქართველოში, რაც ძირითადად წარმოებდა საექიმო იარაღების დახმარებით. ქართული სამედიცინო იარაღების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული XI ს. „უსწორო კარაბადინში“, XIII ს. „წიგნი საექიმო“-ში და XIV ს. ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი“. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთმა წარმოშო ხალხური ქირურგიის მდიდარი ემპირიული გამოცდილება, რომელიც ვითარდებოდა ისეთი საექიმო იარაღების მეშვეობით, როგორცაა: ასტამი, სატენი, ფიჩქი, სახოკი, დანა, ხმალიკა, ბორწკალი, მაშა, ილარი, ნესტარი, საფხეკი, ხვეწი, კოტოში, არტახი და სხვა. ცნობილია, რომ ხევსური დასტაქრები თავიანთი დამზადებული საექიმო იარაღებით აკეთებდნენ საკმაოდ რთულ ოპერაციებს, მათ შორის თავის ქალის ტრეპანაციას.

ლიტ.: პ. ფირფილაშვილი, ნარკვევები ძველი ქართული მედიცინის ისტორიიდან, 1985წ;

სავაზე -- ძველად, ვაზის სახლავ იარაღად სავაზეს იყენებდნენ, სასხლავი ჰქვია იმერულად, წალდივითაა, მოკლე ტარიანი (ლერხ.). დასავლეთ საქართველოში გასასხლავს სასხლავასაც ეძახიან. ასევე, „ვაზის მკრატელას,“ ხელწალდას// ხელწალდას; სამეგრელოში კი, ცხემლარს (ცელის მსგავსი იარაღი) დანასთან ერთად იშველიებდნენ. ხერხით ქართლ-კახეთში ბებერ ვაზებს გადახერხავდნენ. რაჭაში მას ხელიხერხს ეძახდნენ. ნამხრევებისა და ზედმეტი ყლორტების გაცლას - გამოფუნთხლვას გამოლორდვას, გამომორჩნას, გაფურცვლას (იმერ.) უწოდებენ. ლერხუმში - შეკვირტვას, გამოხშირვას - რაჭაში და სხვა ამის მსგავსი ტერმინებით

აღნიშნავდნენ. ძველ ქართულში აჯოჯვა//ჯოჯვა გვხვდება.

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებ. 1978:127-131.

სავაჟინე - ღვინის შესანახი ადგილი, საგანგებოდ ამ მიზნისათვის აგებული ნაგებობა. მარნისგან განსხვავებით, სადაც მთელი წლის მოსავალი ღვინო ინახებოდა, სავაჟინეში ხდებოდა ღვინის დახარისხებისა და სანადიმო მდგომარეობისათვის გასაცემი ღვინის მომზადება. აქვე იყო ღვინის ერთი ჭურჭლიდან მეორეში გადასატანი ხელსაწყოები და ჩაფ-სასმურები. სავაჟინე დამახასიათებელი იყო დიდი ფოთალური სახლის სამეურნეო სისტემისათვის. ათონის ივერთა მონასტრის ალაპების მიხედვით, სავაჟინე, როგორც ღვინის შესანახი ცალკე ნაგებობა, ჩვეულებრივად არსებობდა ბერ-მონაზვნურ კორპორაციაშიც.

სავარცხელი - აქ: ქვის დასამუშავებელი რკინისკბილებიანი იარაღი, სათლელის (იხ.) ნაირსახეობა. გარეგნულად სათლელი, სავარცხელი და საკოდელი ერთნაირი ფორმისაა, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავდება, როგორც მეტალის ხარისხით, ასევე ფუნქციით, რაც მხოლოდ საცნაურია ქვითხუროსათვის და შეუმჩნეველი უბრალო თვალისთვის. სავარცხლის კბილები დაჭრილია, სრულტანიანია და რბილის ქვის სათლელად გამოიყენება.

ლიტ: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხურობა იმერეთში, 2001.

სავარცხელი, საბარცხალი (იმერ.), **ორცხოხჯი** (სამეგ.), **ლაცხნირ** (სვან.) - დგიმ-სავარცხლიანი, ანუ ჰორიზონტალური საქსოვი დაზგის სამუშაო აპარატის ნაწილი, შედგენილი მჭიდროდ ჩაწყობ-

ბილი ჩალამ-კალამის, ლერწმის, თხილის ან ასკილის წმინდათ გამოთლილი წვნილით და ძაფით მოხლართული ჩარჩოსაგან. ლაფათინში (სავარცხლის ბუდე) ჩადგმული სავარცხელი ღვიმის მოძრაობით პირგახსნილ ქსელში მაქოთი გატარებული საზედაო ძაფის მიჯრა-მიმტკიცება-ჩაბეჭვისათვის იყო განკუთვნილი. ქსოვილის შესაბამისად გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის სავარცხლები: მომსხო კბილებიანი - ბამბისა და შალის საქსოვად, წმინდა-ხშირკბილებიანი - აბრეშუმისათვის. შესაბამისად არსებობდა 140-160-200 სათვალავიანი სავარცხელი. ლიტ.: ნ. აბესაძე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, 1957, მსმხი, ტII, ნაწ. II, 1982.

სავარძელი - გამორჩეულად შეძგული და მომზადებული საპატიო სკამი. სვანეთში ასეთი იყო საკურცხილი, საუფროსო სკამი (რაჭ.) და სხვა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, სავარძელი ქართული სიტყვაა. ამ სიტყვაში „ვერძი“, „ვერძუ“ ნიშნავს მამალს, მამალ ცხვარს, რაც იმის მაუწყებელია, რომ იგი უნდა უკავშირდებოდეს კაცს და მისთვის იყო განკუთვნილი. სავარძელი, ანუ საუფროსო სკამი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იყო გავრცელებული და მისი საკრალური დანიშნულება ყველგან გამოკვეთილია. სავარძლისთვის დიდ სახლში საგანგებოდ ადგილი იყო გამოყოფილი. საქართველოში ეს ტერმინი - სავარძელი - დამკვიდრებულია XVI ს. შემდგომ სავარძლის ძველი ქართული შესატყვისია „სელი“. ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში ნახსენებია, რომ მეფის მიერ მოწვეული დიდებულნი დასხდებოდნენ სელებზე, ხოლო დანარჩენი მოწვეულნი, თუ უწევნი იდგნენ ფეხზე. ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებში კარგადაა წარმოდგენილი ამ ტიპის ავეჯის სხვადასხვა სახეობანი, განსაკუთრებით ქედური და ფერწერული ტექნიკით შესრულებულ ხატებში სვანეთიდან, ბეჯა ოპიზრის მიერ შესრულებულ ანჩისხატის მოჭედილობაში, ბეშქენ ოპიზრის ბერთის ოთხთავის შემკულობაში, შემოქმედის მაცხოვრის ხატში და ა.შ. საინტერესოა ამ უკანასკნელში მოცემული სავარძელი, რომელიც დგას ხარატულ ფეხებზე, აქვს შესანიშნავად გამოყვანილი საზურგე და საჯდომი, რომლებიც დაფარულა რბილი ბალიშებით. ფაქტობრივად სასხდომის ასეთი ტიპი სრულიად შეესატყვისება დღევანდელი სავარძლის ფორმასა და დანიშნულებას. ზოგადად ისტორიული მასალა ცხადყოფს, რომ ადამიანთა სასხდომი ავეჯის ასეთი ტიპი მთელი ფეოდალური ხანის ხანგრძლივ პერიოდში ინტენსიურად გამოიყენებოდა ყოფაში.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2002. ვ. ართილაყვა, XVI-XVIII სს. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1965.

საზანდარი - აღმოსავლური სიმებიანი საკრავთა ანსამბლი. არის ორგვარი შემადგენლობის: 1) თარი, ქამანჩა, დაირა, ნაღარა (დიპლიპიტო); 2) საზი, ქამანჩა, სანთური, დაირა. ორივე შემადგენლობაში დასარტყამ ინსტრუმენტზე დამკვრელი მღერის. ანსამბლის ძირითადი დანიშნულებაა სიმღერის აკომპანირება ან ცეკვის თანხლება. გავრცელებულია აზერბაიჯანსა და სომხეთში. საქართველოში შემოვიდა XVII ს-დან. გავრცელდა თბილისის არაქართულ მოსახლეობაში და მოგვიანებით საზანდარის მსმენელთა აუდიტორია ქართველებითაც შეივსო. განსაკუთრებით პოპულარული გახდა არისტოკრატიაში (მაღალი წოდების მოხელეებსა და თავადაზნაურობაში). სიტყვა „საზანდარი“ სპარსული სიტყვიდან „საზენდე“ (მუსიკოსი). „საზანდარი“ გვაქვს „საზის დამკვრელის“ მნიშვნელობითაც.

საზედაო (რაჭ.) - სარცხი მცირე ზომის ქვევრის ზემოდან სარცხი გრძელტარნიანი სარცხი (მდრ. ძოწ., გაჩ.: საზედაო სარცხელი).

საზედაძე - რელიგიური დანიშნულების თიხის ჭურჭელი (სხვადასხვა ზომის ქილები და ქვევრები). საზედაძეები დამოწმებულია - ქართლში, ქიზიყში, სამეგრელოში, იმერეთში და სხვაგან. ყოველწლიურად ოჯახის უფროსი ამა თუ იმ ხატ-სალოცავის სახელზე ინახავდა ზედაძეს (იხ.). ეს იყო ღვინო, ერბო, ხორბალი, პური. უფრო მეტად ღვინის ზედაძე იყო გავრცელებული. აღმოსავლეთ საქართველოს მთიან სოფლებში კი უმთავრესად ერბოს ამზადებდნენ ზედაძედ. დღეობის დროს ოჯახის წევრები მარანში იკრიბებოდნენ საზედაძე ჭურჭელთან. ცერემონიალის შესრულებამდე საზედაძე ჭურჭლის ახდა იკრძალებოდა. იგი სავსე უნდა ყოფილიყო. თუ ოჯახს ძალიან გაუჭირდებოდა, საზედაძე ჭურს გახსნიდნენ და წმინდანს პატიებას სთხოვდნენ, რომლის სახელზეც იყო ზედაძე გადანახული. ერბოს თავს მოხდიდნენ, შეინახავდნენ, ქილაში დარჩენილს კი გაიხმარდნენ. აღთქმულ დღეს გადანახულ ერბოთი ქალებს დააცხობდნენ, სანთლებს დაანთებდნენ და სალოცავს ესტუმრებოდნენ. ერთდღიანი დღეობისათვის პატარა საზედაძე იყო განკუთვნილი, ხოლო ყველიერისათვის დიდი საზედაძეები ჰქონდათ. საზედაძე ჭურჭელს ხშირ შემთხვევაში ნიშნავდნენ, თუ რომელი ხატისათვის იყო განკუთვნილი. საზედაძე ქვევრს, რომელიც ბარის სოფლებში იყო გავრცელებული, განსაკუთრებით უვლიდნენ. არსებობდა სასოფლო და საგვარეულო საზედაძეები.

საზედაძე ხვრელი - მიცვალებულის კობოს სახურავის ნახვრეტი, რომელშიც საცობის სახით გრძელი ჯოხია გაჩრილი.

ეს ჯოხი სამარიდან ნეხევარი მეტრიტაა ამოშვერილი, და, როცა საფლავზე საკურთხი მიაქვთ, ჯოხს ამოაძრობენ და შიგ ზედაძეს ჩაასხამენ. ასეთი საზედაძე ხვრელი თუშეთში საფლავის ქვებზედაც არის ამოჭრილი.

ლიტ.: ს. მაკალათია. თუშეთი. თბ., 1983, გვ. 176-177.

საზეთე - ზეთის გამოსახდელი ნაგებობა. საქართველოში ზეთის გამოხდის დიდი ტრადიციები არსებობდა და „ზეთის სახლი“, ისე როგორც ღვინისა, ამ კულტურის წარმოების ფართო ხასიათზე მიუთითებს. ზეთის სახლში იღვა დიდი ქვის გელაზები, რომლის მეშვეობითაც ხლებოდა მისი გამოხდა.

საზელი - თიხის, რომლითაც ზელდნენ სამეთუნეო თიხას. ესაა ტექნიკური მანქანა. საქართველოში ორი ტიპის მიწის საზელი იხმარება; I მარტივი, ფეხით საზელი და II ე.წ. „მექანიკური“ საზელი, ფეხის საზელი წარმოადგენს ხის განიერ „ტახტს“, რომლის თავი და ბოლო ამოფიცრულია, გვერდები კი ღიადაა დატოვებული და მასზე მზელავი ფეხებით ზელს თიხას. მეორეა ე.წ. „მექანიკური“ საზელი იგივე „მიწის საზელი მანქანა“, რომელსაც ამოძრავებს გამწევი ძალა (ცხენი, ხარები, სახედარი). საზელის ტანს „კოდი“ ეწოდება. კოდი შეკრულია „ნაგვერდული“ ფიცრებისაგან, არის რკინის ან ცემენტისაგან. საზელის კოდი მრგვალია. კოდში ჩაშვებულია რკინის ღერძი, რომელზედაც ე.წ. „ფრთები“ ჩამოცმული ან შედუღებული. საზელი არის 14-დან 24-მდე ფრთიანი, ე.ი. 7 ან 12 წყვილი. საზელის ზედა ფრთას „წამლები“ ეწოდება, იგი მოხრილია და ხელს უწყობს საზელში მიწის ქვევით წაღებას, „გამომტანი“ ფრთა სწორია და ფართო რკინის ღერძს ფრთებიანად ამოძრავებს უღელში შებ-

მული გამწევი ძალა და იზილება მიწა. საზელ მანქანაში კარგად დამბალ მიწას ნიჩბით ყრიან. „ზედა წამლები“ ფრთის საშუალებით დასაზელი მიწა საზელის - კოდის შუა ნაწილში ხვდება, ფრთებით ერთმანეთში ირევა, იჭრება, იზილება და კოდის გამოსასვლელიდან გამოდის. გობიდან დაზელილი საჭურჭლე მიწას, წმინდა რომ გამოვიდეს, ორჯერ-სამჯერ ატარებენ საზელში, საჭურე მიწას კი ერთხელ ან ორჯერ.

ლიტ.: ც. კაკაბაძე, საზელები იმერეთში, ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, 1973, N 9.

საზი - აღმოსავლური სიმებიანი საკრავი, მსხლის ფორმის ღრმაკორპუსიანი, გრძელყელიანი. მზადდება სხვადასხვა ზომისა. საზი ერთ-ერთი უძველესი ხალხური საკრავია. იხსენიება ნიზამის (XII ს.) პოემებში. საზს წამყვანი ადგილი უკავია ხალხურ საკრავთა ანსამბლში. მასზე შემსრულებლები იყვნენ აშულები - ხალხური მომღერლები, პოეტი-იმპროვიზატორები, რომლებიც გამოდიოდნენ ბაზრების მოდნებზე, სახალხო შეკრებებზე. მათ რეპერტუარში წარმოდგენილი იყო საგმირო, ისტორიული, ეპიკურ-სატრფიალო სიმღერები. საქართველოში გავრცელდა XVIII ს-დან სხვა აღმოსავლურ საკრავებთან და ანსამბლთან ერთად. თბილისში განსაკუთრებით მიღებული იყო აზერბაიჯანულ მოსახლეობაში.

ლიტ.: დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკა (მოკლე ისტორიული მიმოხილვა), ქუთაისი, 1925. მ. შილაკაძე, ქართული ხალხური მუსიკალური ტრადიციები და თანამედროვეობა, 1988.

საზილი (რაჭ.) - ურმის ან მარხილის ფხიხილების (იხ.) ერთმანეთზე შესაკრავი

და უღელზე ჩამოსაკიდი ღვლერჭები. საზილი სამი ღვლერჭისაგან შედგება. ერთი უძრავად მჭიდროდ აკავშირებს ფრჩხილების თავებს, მეორე რკალისებურია, მესამე კი უღელს ქვემოდან აქვს შემოვლებული.

საზიდის გადაგდება / საზიდი გდება (რაჭ.) - საზიდი ჩვეულებრივ უღლის შუაშია ჩამობმული. მძიმე ტვირთის შემთხვევაში თუ ერთი ხარი მეორეზე უფრო ღონიერია და სუსტს უღლის გაწევა უჭირს, საზიდს გადასწევენ უღელზე ძლიერი ხარის მხრისაკენ. სუსტ ხარს უღლის გაწევა გაუადვილდება.

სათაგველა, სარეგველა (აჭარ. ქართლ.) - თაგვის დასაჭერი ხის ხელსაწყო, რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: ქვედა და ზედა ფიცრისგან, უღლისგან, ფირფიტისა და პალოსგან. ორივე ფიცარი ერთი ზომისაა. ქვედა ფიცარზე გამაგრებულია უღელი - ამ უკანასკნელზე მიმაგრებულია ზევითა ფიცრის ერთი გვერდი და ფირფიტა საჭმლით (რომელიც ჩვეულებრივ შემწვარი კაკალია ან პურის ნატეხი). ფიცრის მეორე გვერდი დაყრდნობილია ქვედა ფიცარზე - ბლაგვკუთხოვან სამკუთხედად. საჭმლის ჩამოწევით, ე.ი. ფირფიტის ოდნავი შერხევით ბაწარი იხსნება და ზევითა ფიცარი ქვედას ემხოება. არსებობდა სხვადასხვა კონსტრუქციის სათაგურები.

სათავე (რაჭ., სინონ. სარძისთავე) - ხის ჯამი ან თიხის ჭურჭელი, რომელშიც რძისთავს (იხ.) აგროვებენ (იხ. ქართ. დიალექტ., 687)

სათავსქვიოს კვერები - თუმური საწესო კვერები, ლუკმისტოლა მრგვალი პურები, რომლებსაც დიასახლისი ქრისტის (შობის) წინა ღამით აცხობდა და იმავე ღამეს ოჯახის ყველა წევრს სასთუმალ-

ქვეშ ამოუდებდა; ასეთივე კვერებს „კვალდაჭერად“ საცხოვრებლისა და საქონლის სადგომის კარების თავზე კედელში შეაღებდა.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 43.

სათაო (ხევს.) - საუკეთესო ამორჩეული შესაწირი ზვარაკი (სამსხვერპლო ცხოველი). ხატის მიწების მოხვნისას ხევსურები კლავენ სათაო საკლავს, მთელი სოფლის ნახირიდან საუკეთესოს, რომელიც წინასწარ იყოს არჩეული ამ დღისთვის (ცხვარი, კურატი).

ლიტ.: ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობები, აღმ. საქ. მთიანეთში, 1991.

სათაურა - ხევსური ქალის თავსაბურავის ნაწილი. რკალისებრი. კერავდნენ ბამბის ან შალის ქსოვილისაგან. მოსართავად იყენებდნენ მონეტებს, მძივებს, დილებს. ქარგავდნენ ფერადი ძაფებით. სათაურა რამდენიმე სახისაა: კავიანი, ყურიანი, საყენ-ყურიანი, საყენიანი და მაღალი. თავხურვას ხევსურეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. გათხოვილი ქალი მანდილის გარეშე გარეთ ვერ გავიდოდა, ვერავის შეეგებებოდა, რადგან ამგვარი ქვევა უზრდელობისა და უპატივცემულობის გამომხატველად ითვლებოდა. გასათხოვარ ქალს კი მარტო სათაურას ტარებაც შეეძლო. ახალ პატარძალს უფლება ჰქონდა მამის სახლში მოეხადა მანდილი, უმანდილოდ იგი ქმარსა და ქმრის ნათესავებს ვერ ეჩვენებოდა. ხევსურმა ქალმა სათაურა-მანდილის ხმარება მოგვიანებით დაიწყო, მანამდე კი იგი „ჭანჭიკის ხელსახოცს“ ატარებდა. ხოლო მას შემდეგ, რაც მოკლე თმის ტარება დაიწყო,

ჭანჭიკის ხელსახოცი მანდილს ვეღარ იჭერდა და მის მაგივრად ჩიხტისმაგვარი სათაურა შეუქმნიათ.

ლიტ.: ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1935, ც. ბეზარაშვილი, ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1974.

სათითე - თითზე ჩამოსაცმელი. მზადდებოდა სხვადასხვა მასალისგან. იყენებდნენ ხარაზები, დერციკები, მკერვალები, ანუ ყველა იმ პროფესიის ადამიანები, რომლებთაც უხდებოდათ ტყავისა და ნაჭრის მასალისაგან კერვა.

სათითე მკელის - მკელის აღჭურვილობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. მზადდებოდა რქისაგან, ზოგჯერ ხისგანაც. იცოდნენ როგორც ერთი (კახეთი), ისე ორი ან სამი (ქართლი) სათითის ხმარება.

სათითენი - ცივი იარაღი. სათითენში გაერთიანებულია მცირე ზომის, ბუჭდის მაგვარი კასტეტთა ნაირსახეობანი. ეს იარაღი მეტწილად აღ. საქართველოს მთიანეთში იყო გავრცელებული, უკანასკნელ დრომდე მისი ხმარების ტექნიკა და ილეთები მხოლოდ ხევსურეთშია შემორჩა, საცერულის სახით. ცალ თითზე წამოსაცმელი სათითე საკმაოდ მრისხანე იარაღია მჭიდრო შერკინებაში. მორკინალი მას საკუთარი ხელწერისა და ოსტატობის შესაბამისად ირჩევდა და ალბათ ამ გარემოებით აიხსნება მისი მრავალგვარობა, მარტო ხევსურეთში საცერულის ათამდე სახეობა არსებობდა. ხევსურთაგან განსხვავებით, მთიულეთში ვხვდებით ორთითიან (საჩვენებელ და შუა თითზე წამოსაცმელ) „საჯიჯგველაებს“. თუმცაში კი დამოწმებულია ოთხთითა „დაჯიები“. დაჯია (იხ.) ხევსურული საცერულის ერთ-ერთ სახეობასაც

ჰქვია, ოღონდ იგი თუმურისგან განსხვავებით, ცალთითაა. ოთხთითა სათითენი გურიაშიც არის დაფიქსირებული. სათითეს ხმარება თბილისშიც ყოფილა გავრცელებული. ყვენობის წინ ქალაქელი ხელოსნები მრავლად ამზადებდნენ საცერე რგოლებს. ამავე დროს, ეს იარაღი მოხმარების იმდენად თავისებურ ცოდნას მოითხოვს, რომ მისი საგანგებოდ შესწავლის სკოლაც უნდა არსებულიყო. 2001 წელს თბილისის წმინდა ორმეოც მოწამეთა ტაძრის გათხრის დროს XI-XIII სს. ფენაში აღმოჩნდა სათითე, რომელიც არა საბრძოლო, არამედ საჩვენებელი დანიშნულებისა უნდა იყოს, რადგან დამზადებულია სპილოს ძვლისაგან, სავარაუდოდ აღნიშნული სათითე არა რიგით მებრძოლს, არამედ ორთაბრძოლის ოსტატსა და მასწავლებელს უნდა ეკუთვნოდეს, რაც სათითეების მოხმარების ძირძველ ტრადიციებს უსვამს ხაზს.

ლიტ. ზნენი სამამაცონი, 2001.

სათიღავი (რაჭ.) - შალაშინი, რომელსაც ნარიმანდის ამოსაღებად ხმარობენ. სათიღავი მოკლა შალაშინია (იხ. მენტ., ძიძ.; შდრ. ბერ.: სეთიდი).

სათლელი - აქ: ქვის გასათლელი ხელსაწყო, ბრტყელპირა, ბასრი, ხისტარიანი იარაღი, რომლითაც თლიან რბილ ქვას, ზოგჯერ თლისას ქვაზე წარმოშობილ ხაზებსაც ტოვებენ, რაც განსაკუთრებით ეფექტურს ხდის ნამზადს. ქვის სათლელი იარაღების დამზადებას თავისებურად ნაწრთობი ლითონი სჭირდებოდა, რომელიც ქვის ჯიშისა და მისი შედგენილობის გათვალისწინებით იჭედება. სათლელი გამოიყენება ბუხრის პირის, სახლის სვეტებისა და კუთხის ქვების, ქვის კეცების, ფანჯრის კარნიზების, ანუ ისეთი ნამზადის სათლელად, რომლებთაც პრაქტი-

კული დანიშნულების გარდა სამშენის ფუნქციაც აქვთ დაკისრებული.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001,წ.

სათლი - სპილენძის ვედრო.

სათოფე (ხევს.) - აქ: თხელი და ფართო პური, რომელსაც ხევსურები მიცვალეზულის სახელზე გამართულ რიტუალში იყენებდნენ თოფის სამიზნედ. ასეთ პურებზე გადააკრავენ ნაჭერს, გაიტანენ სასროლ მანძილზე და ვინც რომელ სათოფეს მოარტყამს, ის პურიც მისია.

ლიტ.: ა. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობები აღმ. საქ. მთიანეთში, 1991.

სათოფელა - დიდგულას ტოტისგან გაკეთებული მილი, რომელსაც მოარგებენ ბამბის დგუმს და ბავშვები ისვრიან კუნელის ნაყოფს.

სათუთუნე - დაჭრილი თუთუნის შესანახი. არსებობდა სხვადასხვა ფორმის. თუთუნის სურნელებას კარგად ინახავს ხის სათუთუნე, თუმცა ყოველდღიურ ყოფაში სატარებლად ამჯობინებდნენ ტყავისა დანაჭრის სათუთუნეებს. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია ბაგრატიონთა ოჯახიდან შემოსული ვერცხლის სალტეებით შემკული სათუთუნე.

სათფური (მთ. გუდ.), **მეში** (ხევი), **კალთა** (ფშ-ხევს.)

ცხენის აკაზმულობის ნაწილი. ოთხკუთხა სქელი ტყავები, რაც უზანგის თასმის ზევითაა მოქცეული და იცავს მხედრის მუხლებს ცხენის ოფლისა და ბალნისაგან.

სათხვეული (*ძვ.*) - სასროლი ბადე, რომლის ბოლოების გასასწორებლად ორკაპა ჯოხს - „ბარამბას“ ხმარობდნენ.

სათხლე, სამთხლე, ლარპოტი (*გურ.*)-ხის გრძელტარიანი დიდი ციცხვი, რომლითაც ჭურიდან იღებენ ჭაჭასა და მთხლეს. ზოგჯერ ესაა ტარზე მორგებული ლითონის ოვალური ნაჭერი, ზოგჯერ კი ერთ ხეში გამოჭრილი დიდი კოვზი. გათვალისწინებული ჭურის პარამეტრებისთვის იმ მიზნით, რომ შეძლებისდაგვარად მოსახერხებელი ყოფილიყო ჭურიდან მთხლესა და ჭაჭის ამოღება.

საიფქლეები - სახატო მამულები ხევსურეთში, სადაც სარიტუალო ხორბალს მოიწევენ. ესაა წმ. პურის მოსაყვანი ტერიტორია, რომლის მიწებს ხალხი ერთობლივად ამუშავებს. საიფქლეები ყველაზე ადრე, ყველაზე კარგად იხვნება და საუკეთესო თესლით ითესება (ქერი, დიკა).

საკაკვავი (*გურ.*) - გურული ქალების წინასახალწლო წვნიანი, მზადდება საახალწლოდ დაკლული ქათმების თავ-ფეხისა და შიგნეულისაგან. მისი ჭამა მამაკაცებისათვის არ შეიძლებოდა, რადგან, გურულების აზრით, ნადირობაში, მგზავრობაში და სხვა საქმიანობაში წარუმატებლობის მომტანი იყო; მიიჩნევდნენ, რომ საკაკვავის მჭამელი მამაკაცი ხეზე ვერ ავიდოდა, მუხლები აუკანკალდებოდა. ამ წვნიანის მირთმევა ქალიშვილებისთვისაც არ იყო რეკომენდირებული - გათხოვების დროს მშობლიური ოჯახის დატოვებას დაინანებენ და მთელი ცხოვრება უიღბლონი, უკმაყოფილონი იქნებიან.

ლიტ.: Т. Мамаладзе. Народные обычаи и поверья гурийцев // СМОМПК. Вып. XVII, отд. II. Тф., 1893, გვ. 19.

საკანი (*ინგ.*) - ხის დიდი ყუთი, რომელშიც ფქვილსა და ხორბალს ინახავენ.

ლიტ.: მ. ჯანაშვილი. ახალწლის მიგებება საინგილოში. – „ივერია“. 1887, № 1.

საკარცხული, საკურცხილ (სვან.), ბაბუა (რაჭ.) - საუფროსო, ოჯახის უხუცესი გამგებლის სკამ-სავარძელი, რომელზედაც დაჯდომის უფლებას მხოლოდ საპატიო სტუმარს სთავაზობდნენ.

ლიტ.: ლ.ბედუკიძე, ხის ავეჯი რაჭაში, სსმმ, XII, 1997.

საკაცებო (*რაჭ.*) - ადგილი სახლში კერიასთან, სადაც მხოლოდ კაცები იხდნენ (იხ. ქართ. დიალექტ., 687).

საკაცე - ხის ან ლითონის მაშა, რომელსაც პურის ან მჭადის გამოცხობისას თიხის კეცებს ცეცხლს უფიცებდნენ. საკაცედ ნედლი თხილისა და ლელვის ხეს იყენებდნენ. გათლიან ერთ ზომაზე, მერე მოკეცავენ, ცოტას შერუჯავენ, შეახმობენ და მიტყუპებულ ბოლოებს ერთმანეთს გაუსწორებენ. ბუხრის საკაცე უფრო მოკლეა, ვიდრე თონისა.

საკაცური (*რაჭ.*) - ხის ან რკინის მაშა. იყენებდნენ ცხობისას (ცეცხლზე კეცების მოსაწყობად და ასაღებად). ჩვენ ხის საკაცურს უმფრო ვხმარობდით (იხ. ქეგლ, did.).

საკვეთელი - 1. სახვნელის ნაწილი (რკინისა), რომელიც ვერტიკალურ სიბრტყეში ჭრიდა ბელტს. საკვეთელი წარმოადგენდა რკინის ყუასქელ დანას, რომელიც ტარით ჩასმული იყო სახვნელის მხარში. პირის კვეთის მიხედვით არჩევენ საკვეთლის ორ ტიპს: ტოლფერდა პირიანს და ცალფერდას. უფრო განვითარებულ ტიპად მიჩნეულია ცალფერდა საკვე-

თელი. ქართულ სახვანეთა საკვეთლების ტიპებად დაყოფის საქმეში მთავარ პრინციპად საკვეთლის სამუშაო პირის სიდიდეა მიჩნეული. ამ მხრივ, მძიმე სახვანეთების საკვეთლის სამუშაო პირის სიდიდე ბევრად აღემატება მსუბუქი სახვანეთების სამუშაო პირის სიდიდეს. გარდა ამისა, გარკვეული მნიშვნელობა აქვს საკვეთლის მოყვანილობას, რომლის მიხედვითაც იგი ორგვარია: სწორი და მრუდე ფორმისა. სწორტანიანი საკვეთლები დამახასიათებელია მარტივი სახვანეთებისათვის, ხოლო მრუდტანიანი-მძიმე სახვანეთათვის (დიდი გუთანი). საკვეთელი სახვანელის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. ეს მოდგამში (იხ) ხვნადლეების განაწილებაშიც აისახა - საკვეთლის პატრონს ერთი ხვნადლე ერგებოდა. სახნის-საკვეთს დაპირვა სჭირდებოდა. ქიზიყში ამისათვის მოდგამს აყვანილი ჰყავდა მჭედელი, რომელსაც ყოველ შაბათს უნდა, გამოეწვივა სახნის-საკვეთი. ამაში მოდგამი მას ერთ ღლეს უხნავდა („მჭედლის ალო“). ქართლშიც იყო ცნობილი მჭედლის ალო, მაგრამ იქ მჭედელს გუთნისდედა უხნავდა ერთ ღლეს გუთნისათვის განუთვნილი ხვნადლეებიდან. გარდა ამისა, თუ მჭედელი სთხოვდა სოფელს, მას უსასყიდლოდაც უხნავდნენ ხოლმე. მჭედლისათვის მუშაობა რაჭაში კალაფორიას სახელწოდებით იყო ცნობილი.

2. მარტივი სახვანელი (მიწის გასაწერი), რომლის ფუნქცია იყო ნიადაგის დაწერა-დაკვალვა. მის უკან მომყოლ სახნისს უადვილებდა ხნულის გატანას. გამოიყენებდნენ ფერდობი ადგილების ხვნისას.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე. აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960; ნ რეხვიაშვილი. რაჭის ეთნოგრაფიული მივლინების ანგარიში, ენიმკის მოამბე, 1941

საკვესაბელი (რაჭ.) - პატარა ჩანთა, რომელშიც ტალ-კვესსა და აბელს ინახავდნენ (შდრ. ქეგლ: საკვესი, საკვესე).

საკვირაო (**ხეკს.**) - საჭურეთლით დაჭრელებული ხავიწისგულიანი პატარა ქადა.

საკვირაო - ხევისურეთში, არხოტის თემის სოფ. ამღაში ოდესდაც არსებული წმინდა წყარო, რომელთანაც, გადმოცემის თანახმად, კვირიას (იხ.) ლოცულობდნენ; წყაროს დაბინძურება (სარეცხის გარეცხვა, დედათწესიანი ქალის ბანაობა და სხვ.) იკრძალებოდა. ერთხელ ამ წყაროში ქალს სამრელოში ნაცვამი სადიაცო გაურეცხავს და წყალიც დაკარგულა. მკითხავის რჩევით, დამნაშავეს ნაწყაროვალზე საკლავი დაუკლავს, მაგრამ წყალი მაინც აღარ ამოსულა. იგი იქიდან დაახლოებით ორმოცი საჟენის დაშორებით მდინარე ასას პირზე გამოჩენილა. ამ წყაროს ძალიან უვლიან და წმინდად ინახავენ. სამრელოდან გამოსული ქალები მესამე ღლემდე წყაროს არ გაეკარებიან, არც სარეცხს გარეცხავენ.

ლიტ.: ალ. ოჩიაური. ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. ხევისურეთი (არხოტის თემი). თბ., 1988, გვ.197.

საკვლეველი - ახალი წელიწადის კახური სიმბოლო, თავისი ფუნქციით დასავლურქართული ჩიჩილაკის (იხ.), ზემო იმერული „აბრი პურის“ (იხ.), რაჭულ-ლეჩხუმური სამკლოვიარო გვერგვის (იხ.), ქართლური აბრამიანის (იხ.), ჯავახური „საახალწლო ტაბლის“ (იხ.), აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა საკვლევარის, სვანური დიდჯვრიანი ბედის პურის ანალოგია. ესაა ხახალზე ან ხონჩაზე დაწყობილი პური, საქონლის მოხარშული ხორცი, მოხარშული ღორის თავი, ხილი, ტკბილეული, ტყვია

(მტრის განგმირვის ნიშნად), ღულები (იხ. „ღული“), ბედისკვერები და სხვა სა-ახალწლო ნამცხვრები. ოჯახის უფროსი მამაკაცი საკვლევლით ხელში დილაად-რიან უმძრახად შემოივლის თავისი კარ-მიდამოს ყოველ კუთხე-კუნჭულს (ბოსელს, მარანს, საქათმეს და სხვ.) და მიუკვლევს; შინმობრუნებული მეკვლე სახლის დაკეტილ კარებს ფეხს მიარტყამს და დაიძახებს: „კარი გამიღო!“ ჰკითხავენ: „რა მოგაქვს?“ რაზედაც პასუხობს: „მომაქვს სავსე ხონჩა (დაასახელებს ხორაგს), სავსე ორმო, სავსე ქვევრ-მარანი, ბევრი ცხვარი, ბევრი ძროხა, სიკეთე და სიხარული“. ამ ტექსტის სამჯერ გამეორების შემდეგ, დიასახლისი კარს გააღებს; მეკვლე შევა, ყველას ჩამოუვლის და მწოლიარეთ ლოგინშივე ტკბილეულით (გოზინაყით, ჩურჩხელით, ჩირუულით და სხვ.) „დააბერებს“, ბოლოს საკვლევლს მიუჯდება და ჭამა-სმასა და მისალოც სადღეგრძელოებს შეუდგება.

ლიტ.: ს. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

საკიდელი (რაჭ.) - საყველედ რძის შესადელებელი სითხე, რომელსაც მაჭიკისაგან ამზადებენ, _ ღვრიტა, კვეთი (იხ. ქველ, ქართ. დიალექტ., 687, ძოწ.).

საკირჩნი (რაჭ.) - სავარცხელი მსხვილ და იშვიათბილებიანი სავარცხელი. გრძელი თმის დასავარცხნად ხმარობენ თავის დაბანისას (მდრ. ქავთ. II: საკირცხნი, საკირცხელი სავარცხელი; გაჩ.: კირჩხა).

საკმეველა (რაჭ.) - თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში იყო. ყურძენსაც და ღვინოსაც საკმეველის სუნი ჰქონდა. ახლა გადაშენებული ჩანს (იხ. ჯავახ. ეკ. ისტ., II, 445; მდრ. ჯანამ.: საკმელა; მარამ.: საკმილელა).

საკმილაყის ჩადგმა-აღება (თუშ.)

- ახალგაზრდა თუში მიცვალებულების სახელზე ახალწლის მეხუთე დღეს, გამცხადებაზე, აგრეთვე მხიარული თავშეყრების დროს გამართული წარმოდგენა: ალუდით ან არყით სავსე თასს (საკმილაყს) დაბლა დადებდნენ, გარშემო სიმღერით შემოუვლიდნენ, შემდეგ ფეხებგადაჯვარედინებულები და ზურგზე ხელებდაწყობილები დაიხრებოდნენ და აიღებდნენ კბილით ისე, რომ არ უნდა დაცემულიყვნენ. ამ წარმოდგენას წინ უსწრებდა საგამცხადებო წეს-ჩვეულება: დილით შობის სუფრაზე ოჯახის უფროსი ქალი სანთლებს აანთებდა, ოჯახის ბარაქასა და მოსავალზე კიდევ ერთხელ დაილოცებოდა და საამდღისოდ გამომცხვარ ყველიან ან ხაჭოიან კოტრებს ბავშვებს ჩამოურიგებდა. ახალგაზრდები ჩამოივლიდნენ სოფელს, ყველა ოჯახის კარზე სიმღერით მივიდოდნენ, დიასახლისს მიმართავდნენ („ქარმუნჯიდ გამოგვიტანე, ნინო, დემეტრეს მზემაო“. სიმღერის ტექსტში სახელები იმის მიხედვით იცვლებოდა, თუ ვის კარზე იმყოფებოდნენ) და აფიცებდნენ შვილის, მამის ან ქმრის მზეს, რომ ძღვენი გამოეტანა. მასპინძელი ფქვილს, კალტს ან ყველს, ერბოს, სასმელს გაიტანდა. ახალგაზრდები ასე მოაგროვებდნენ სოფელში პროდუქტებს, შემდეგ რომელიმე მათგანის სახლში შეიკრიბებოდნენ და კოტრებს გამოაცხობინებდნენ, რომელთა შორის ერთ-ერთი - საკმილაყობის კოტორი - ზომით ყველაზე დიდი იყო. ამ უკანასკნელს ვინმე უგვირგვინო ბიჭს დააჭრევინებდნენ და გარდაცვლილი მოლხინარი ახალგაზრდების შესანდობარს იტყოდნენ: „მესაკმილაყე ვინც იყო-დ' აღარ არიან, ისეც მოიქსენიოსავ“.

ლიტ.: ნ. აზიკური. კოტორი, როგორც რიტუალური პური თუშეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXIII. თბ.,

1987, გვ. 217; გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 57.

საკმილაყის ჩადგმა - ახალგაზრდა თუში მიცვალებულების სახელზე ახალწლის მეხუთე დღეს, გამცხადებაზე, აგრეთვე მხიარული თავშეყრების დროს გამართული წარმოდგენა: ალუდით ან არყით სავსე თასს (საკმილაყს) დაბლა დადებდნენ, გარშემო სიმღერით შემოუვლიდნენ, შემდეგ ფეხებგადაჯვარედინებულები და ზურგზე ხელეხდაწყობილები დაიხრებოდნენ და აიღებდნენ კბილით ისე, რომ არ უნდა დაცემულიყვნენ. ამ წარმოდგენას წინ უსწრებდა საგამცხადებო წეს-ჩვეულება: დილით შობის სუფრაზე ოჯახის უფროსი ქალი სანთლებს აანთებდა, ოჯახის ბარაქასა და მოსავალზე კიდევ ერთხელ დაილოცებოდა და საამდღისოდ გამომცხვარ ყველიან ან ხაჭოიან კოტრებს ბავშვებს ჩამოურიგებდა. ახალგაზრდები ჩამოივლიდნენ სოფელს, ყველა ოჯახის კარზე სიმღერით მივიდოდნენ, დიასახლისს მიმართავდნენ („ქარმუნჯიდ გამოგვიტანე, ნინო, დემეტრეს მზემაო“. სიმღერის ტექსტში სახელები იმის მიხედვით იცვლებოდა, თუ ვის კარზე იმყოფებოდნენ) და აფიცებდნენ შვილის, მამის ან ქმრის მზეს, რომ ძღვენი გამოეტანა. მასპინძელი ფქვილს, კალტს ან ყველს, ერბოს, სასმელს გაიტანდა. ახალგაზრდები ასე მოაგროვებდნენ სოფელში პროდუქტებს, შემდეგ რომელიმე მათგანის სახლში შეიკრიბებოდნენ და კოტრებს გამოაცხობინებდნენ, რომელთა შორის ერთ-ერთი - საკმილაყობის კოტორი - ზომით ყველაზე დიდი იყო. ამ უკანასკნელს ვინმე უგვირგვინო ბიჭს დააჭრევინებდნენ და გარდაცვლილი მოლხინარი ახალგაზრდების შესანლობარს იტყოდნენ: „მესაკმილაყე ვინც იყო-დ'ადარ არიან, ისეც მოიხსენიოსავ“.

ლიტ.: ნ. აზიკური. კოტორი, როგორც რიტუალური პური თუშეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXIII. თბ., 1987, გვ. 217; გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 57.

საკმილაყობის კოტორი - იხ. “საკმილაყის ჩადგმა-აღება“.

საკოდლე - ცალკე ნაგებობა ან საცხოვრებლის კომპლექსის მყუდრო, ბნელი ოთახი, სადაც ხდება ლუდის ფუება, მისი დალუდება. საკოდლეში ლუდის ფუება მიმდინარეობს 6-7 დღეს და ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ ლუდმა სრულყოფილად „იფუვლოს“. 2. საქართველოს მთაში ხატთან არსებული სამეურნეო ტიპის ნაგებობა, სადაც ინახებოდა წმინდა ხორბლეული სარიტუალო პურების გამოცხობისა და ლუდის გამოხდისათვის.

საკოდელი, დიშლა (იბერ). - ბრტყელპირა და თხელტანიანი იარაღი, ქვის მოსასუფთავებელი. არსებობს რამდენიმე კბილიანი საკოდელი.

ლიტ.: ს. ბედუკაძე, ქვის დასამუშავებელი იარაღები და საშუალებანი, სსმმ. XXII-B, 1961

საკოკე - კოკით წყლის გადაზიდვისათვის მოწყობილი საგანგებო ხის ხურჯინი, ცნობილი იყო ქიზიყში. საკოკე მზადდებოდა ორი წესით: შვინდის ან თხილის ოთხ ტოტს ცეცხლზე შემოატარებდნენ, ქერქს გააძრობდნენ. შემდეგ ტოტების შუა ნაწილს მოხრიდნენ. ერთმანეთზე ჯვარედინად გადადებდნენ და შვინდის ან რცხილის წნელით შეკრავდნენ. აკეთებდნენ სხვადასხვანაირადაც. შვინდის ხეს ძირში მოჭრიდნენ, ტოტებს მაღლა და შუა წელზე წნელით კრავდნენ და სახედარს ხურჯინივით გადაჰკიდებ-

დნენ. წნელის სიგრძე სახედრის წელის სიგანეზე იყო დამოკიდებული. საკოვე ნახევარ მეტრზე მეტი სიმაღლის არ კეთდებოდა. თითო საკოვეში ერთი დიდი კოკა იდგმებოდა. კოკების ყურები თოკით ერთმანეთზე იყო გადაბმული. იხმარებოდა წყლისა და ღვინის შორი მანძილიდან მოსატანად.

ლიტ.: ნ. სილაგაძე, საპალნე გადაზიდვის საშუალებები აღმ. საქართველოში, სსმმ, ტ. XXIV, 2001.

საკრი, საკრე, ასაკრავი - ვაზის ჭიგოზე დასამაგრებელი, სხვადასხვა მცენარის ტოტების ან კანისგან დამზადებული სახვევი მასალა. მისი ეტიმოლოგია ასე გამოიყურება: საკრი, საკრე, ასაკრავი, გასაკრავი, მარნა, მარნული, მანეული, კაპიჭი, სვია, სვე, საყელავი, სახვევი, საკონავი, ლაფანი, ხარალი, ხრალი, ქვთელა, ჭონი, ჭილი.

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში, 1978.

საკურატე - საქართველოს მთიანეთში (ხევს.) ხატის კართან არსებული ყორის მიწურბანიანი ნაგებობა, რომელიც ხატის ტყეში იყო გამართული. აქ ხატისთვის შესაწირავი ცხოველები იმყოფებოდნენ. ეს ხვასტაგი საკმაოდ დიდი რაოდენობით იყრიდა ხოლმე თავს და სანამ შეწირვის დრო მოაღწევდა, მანამდე მათთვის ხარის მსახურთ უნდა მოევლოთ. ზამთრობით ცხოველები საკურატეში იზამთრებდნენ, სხვა დროს კი გაშვებული იყვნენ მათზე მინდობილი კაცის მეთვალყურეობით. ხატის კურატეები ხატის საძოვრებში ბალახობდნენ და სხვას არავის ჰქონდა უფლება იქ კერძო საქონელი ებალახებინა.

ლიტ.: ალ. ოჩიაური, ქართ. ხალხ. დღეობათა კალენდარი, 1988.

სალამური - მუსიკალური ინსტრუმენტი, იგი ორგვარია - უენო და ენიანი. უენო სალამური ამ ტიპის საკრავის უძველესი ფორმაა. გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში (ქართლი, კახეთი, მესხეთი, თუშეთი, ფშავი). აღმოსავლურ ქართულ დიალექტებში „სტვირი“ ეწოდება, წარმოადგენს 38-40 სმ სიგრძის მილს. აქვს 5-6 თვალი (ნახვრეტი), ზოგჯერ დამატებითი თვალი უკანა მხარეს. ენიანი სალამურის ბგერა მკაფიო და ძლიერია. ენიანი და უენო სალამური მზადდება რბილგულიანი მცენარისაგან (ლერწამი, ლელი, დუდგულა) აგრეთვე ჭერმისაგან. დამზადების წესი ერთნაირია, ენიანს უკეთდება ენა, რომელიც აუცილებლად ლერწმისაა. სალამური ძირითადად მწყემსის საკრავად ითვლება. მასზე სრულდება მწყემსური და საცეკვაო მელოდიები. საქართველოს ტერიტორიაზე სალამურის ტიპის საკრავები უძველესი დროიდან ჩანს. ძვლის სამთვლიანი სალამური აღმოჩენილია სამთავროში (ძვ. წ. XV ს.), ხოლო უფლისციხეში, საკულტო ნაგებობაში აღმოჩენილი სალამური -ჩვ. წელთაღრიცხვამდე VI ს-ით თარიღდება. ლიტ.: მ. შილაკაძე, ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, 1970.

სალასტო (რაჭ.) - ტყეებისაგან მოწნული ყურძნის საზიდავი მოზრდილი ჭურჭელი (იხ. ბერ., ჩიქოვ.).

სალდა, სარდალა (რაჭ.) - სამკურნალო ბალახოვანი მცენარეა. წყლისპირას და ტყიან ადგილებში იზრდება, - წალიკა (იხ. მაყ.).

სალესავი, ქასური - სალესავი ქვა, ფართოდ იყო გავრცელებული ქართლ-კახეთში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში და ჩრდილო კავკასიაშიც. ესაა განსაკუთრებული ჯიშის ქვა, რომელიც თავისი ხაოიანი ზედაპირის მეშვეობით

კარგად ლესავდა რკინული იარაღთა პირს. ლესვის დროს ქასურს წყალში ასველებდნენ ან ერბოს წაუსვამდნენ, რაც იარაღს გადახურებას ს აცილებს. ქასური გამოიყენებოდა განსაკუთრებით პირბასრი იარაღების გასალესად (ნამგალი, ცელი, სამართებელი, სამყნობი დანა, სასხლავი, შალაშინის პირი და სხვა.) და საოჯახო ჭურჭლის (ქვაბები, ტაფები გასახეხად და გასაპრიალებლად). ქასურს იყენებდნენ აგრეთვე საფლავის ქვების დასამუშავებლად, ზედაპირის მოსასწორებლად, რათა წარწერა თუ ნახატი მკაფიო გამოსულიყო. საფლავის ქვის ამგვარად დამუშავებას გაქასურება ეწოდება. ქასურ სალესავებს ამზადებდნენ სათანადო მასალის მქონე სოფლებში: სნო, უხათი (ყაზბეგის რაიონი), საფარლო, ბოლნისი, საჩინო (ბოლნისის რაიონი), დმანისი, ჩათახი (დმანისის რაიონი), ატენის ხეობა (გორის რაიონი), ჭერათხევი (ხაშურის რაიონი), შრომა, საქასრია (ხარაგაულის რაიონი), მუხური, კურსები, სალესავის ქედი (ტყიბულის რაიონი). ქასურ სალესავზე მისი უფექტურობის გამო დიდი მოთხოვნილება იყო. ქაისხევიდან გასაყიდად გაქონდათ მეჯვრისხევეში, სადაც ბაზრობაზე ადგილობრივი მჭედლების ნამგლებიც იყიდებოდა. არქეოლოგიური მასალა (სამთავრო, ბრილი) მოწმობს, რომ მეომრებს იარაღთან ერთად სალესი ქვებიც ჰქონდათ საფლავში ჩატანებული. ტერმინი „ქასური“ სალესავი ქვის და განსაკუთრებით ცელის სალესის მნიშვნელობით დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში. ძველ ქართულში სალესავი ქვის აღმნიშვნელად გვხვდება „ქასრი“. არის მოსაზრება, რომ სალესი ქვის სახელი მომდინარეობს სოფლის ტოპონიმ ქაისხევიდან. მოგვიანებით „ქასური“ სალესი ქვის ზოგად სახელად იქცა, ხოლო გაქასურება გალესვა-გაპრიალების მნიშვნელობა შეიძინა. ტერმინი „ქასური“ ასახულია

შრომის სიმღერაში „გლესავ და გლესავ ნამგალო, ნამგალო ჩემო რკინაო, ქასური სალესავითა, ნამგალო ჩემო რკინაო“. ლიტ.: ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშაველები, 2005. ნ. რეხვიაშვილი, ქვის საკოდი იარაღი, სსმმ, XVII, 1953.

სალოცულო (რაჭ.) - სალოცავი.

სალტა - ქალის გარეთა სამოსელი აჭარაში. მასალად იყენებდნენ მძიმე ქსოვილებს, მაგალითად, მაუდს. ჩახსნილი გულისპირით, შესაბნევის გარეშე. სალტა შედგება სამი ნაჭრისაგან, რომელთა სარჩულად ჩითი აქვთ გამოდებული. სალტა გაფორმების მხრივაც გამორჩეულია. მორთვის საშუალებად იყენებდნენ ვერცხლისმკედს, რომელიც ზოლებად მიჰყვება როგორც საყელოს, ისე მხრებსა და კალთებს. ორნამენტი მეტწილად გეომეტრიულია. მცენარეულსაც (სამყურა, ყვავილები) იყენებდნენ. სალტის ფორმა მსგავსებას ავლენს წმ. გიორგის სახ. ეკლესიის (ახალქალაქი, XI ს.) ფრესკაზე გამოსახულ პირთა სამოსელთან. მსგავსი თარგისა და სახელწოდების სამოსელი ანატოლიაშიც მოწმდება. ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005.

სალტე, საკუდე (ხევს.), თალა (მთ. გუდამაყ.), ზალტე (თუშ., ფშ.)

1. უნაგირის საჭერი თასმა. 2. თხილის ან შვინდის ტოტებისგან შეკრული წრე, რომლითაც ამაგრებდნენ ყველის დიდ კასრებს.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხის ჭურჭელი, 1988.

სალუდე - საგანგებო ნაგებობა საქართველოს მთიანეთში, სადაც წარმოებდა ლუდის დადუღება. სალუდეში ინახებოდა ყველა ის ინვენტარი, რომელიც საჭირო

იყო ამ პროცესის წარმართვისათვის. სალულე ხატის კომპლექსის ერთ-ერთი საკრალური ნაგებობაა (ხევს). იგი შედის ისეთ სარიტუალო ნაგებობათა რიგში, როგორცაა დარბაზი, საზარე, ბელელი.

სამაგრისი (რაჭ.) - ნაკოდები (იხ.) ან მსხვილი მრგვალი შემა ბუხარში ან შუაცეცხლზე ცხობისას კეცების დასაწყობ-მისაყუდებლად. სამაგრისი მოიტანე რამე, თვარა კეცები რაზე მივაწყო? (იხ. ძოწ.).

სამალაჯა (რაჭ.) - ახალუხის მსგავსი ქალის ტანსაცმელი (ქართ. დიალექტ., 687).

სამალაჯა (რაჭ.) - ტანქვევით ჩასაცმელი (რაჭ.).

სამანი - 1. გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, ტერიტორიის (მამულის, სათიბის, ტყის და ა. შ.) განმსაზღვრელი მიჯნა, საზღვარი. ამ აზრით, საქართველოს მთიანეთში სამნის პარალელურად გვხვდება შემდეგი ტერმინები: ქვაკაცა, ყორღანი, ნიშანი, ზღვარი, მიჯნა, თარჯი (ლექსუმი), ნიში (ფშავი), ტყის საყარი (ხევსურეთში ტყეში ორი ერთმანეთის გვერდით დატოვებული ხე, რომელთა მოჭრა იკრძალება), მეგორავე (იმერეთში საზღვრებს შორის მთელი ყანის გაყოლებაზე დარჩენილი მოუხნავი მიწის წვრილი ზოლი) და სხვ. 2. ქართველ მთიელთა სოციალური ურთიერთობების აღმნიშვნელი სასამნო მიმართებები - საძმო (იხ. „საძმო სამანი“), სადიაცო (იხ. „სადიაცო სამანი“), სამრისხველო (იხ. „სამრისხველო სამანი“), სამწყალობნო ანუ სამახსოვრო (იხ. „სამწყალობნო სამანი“) და სხვ.

ზემოაღნიშნული ორივე სახეობის სამნები შეიძლება იყოს ბასრი ქვის (ზოგჯერ მთის ბროლისა), რვალის (მაგ., ფშავში: სოფ. ცაბაურთასა და სოფ. შუაფხოს

გამყოფი), რკინის (მაგ., ლეჩხუმ-სვანეთის საზღვარზე, რომელიც დღესაც არის დაცული), ხის. სამნის ჩასმის ადგილის შერჩევა, როგორც წესი, თვით სამნის სახეობა-დანამუშავებაზე იყო დამოკიდებული: დასავლეთ საქართველოს მთაში ეს ადგილი, უპირატესად, საზოგადოებრივ-საერო სექტორს მოიცავს, მაშინ როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში იგი ხშირად ჯვარ-ხატის ტერიტორიაზეც ფიქსირდება (მაგ., ხევსურეთის სოფ. გველეთის მთავარანგელოზის ჯვარში 1.5 მ. სიმაღლის მქონე ექვსი სამანი დღემდეა დაცული). სამანი მიწაში დაახლოებით ნახევარი მეტრის სიღრმეზე იყო ჩასმული. მიწის ზედაპირიდან მისი სიმაღლე 30 სმ. მაინც უნდა ყოფილიყო (გვხვდება 30 სმ-დან 1.5 მ-მდე ზომის სამნები).

სამნებს ხალხი დიდი რიდიტა და კრძალვით ექცეოდა, ერიდებოდა მათ უსანქციო მოშლას, ცოდვად მიიჩნეოდა ზედ გუთნის შეგდება. რაჭველთა რწმენით, სამნის მიწიდან ამომგლებს საიქიოში „სამნებს გოდრით ყელზე ჰკიდებდნენ“. თუკი ვინმე მას მალულად მოშლიდა და დანამაულში ჯიუტად არ გამოტყდებოდა, მას მაცხოვრის კარზე აფიცებდნენ. სამანთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებში კარგად ჩანს არამარტო თვით ქვა-სამნის, არამედ იმ მიწის „ძალა-შეძლება“, რომელშიც სამანია ჩასმული. ბუდე-ხევსურეთის მონაცემებით, თუ ავადმყოფი ადამიანი არც კვდება და არც ჯანმრთელდება, მაშინ თავთან სამნის მიწას დაუყრიდნენ, ხშირად გამოუცხობდნენ, სანთელს დაუნთებდნენ და ღმერთს მის მიღებას, წაყვანას შეთხოვდნენ. სამნის ძალა მიწიდან ამოგდება-მდე მოქმედებდა, რაც აგრეთვე სამანზე სამსხვერპლო ცხოველის დაკვლასა და მისი სისხლით სამნის ძირის „ჩაღობას“ გულისხმობს. სამნის ქვის მიწიდან „კა-

ნონიერი“ ამოგდების შემდეგ [ე. ი. თუკი დამნაშავე თემის, სოფლისა თუ გვარ-ოჯახის წინაშე პატიებას ითხოვს, მას ე. წ. ჯურუმის (დაზარალებულის სასარგებლოდ ხარისა და ცხვრის დაკვლა, ლუდის მოდულება. მისი სიდიდე დანაშაულის სიმძიმეზე იყო დამოკიდებული)] გადახდის შემთხვევაში დაუჯერებენ და ორ მოქიშვე მხარეს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა აღდგება.

სამნის ჩაყრისა და სასამნოს (იხ.) გადაცემის წესის მთავარი შემსრულებელი ჯვარის თავკაცი იყო: მიწაში სამნის ჩაგდების შემდეგ ხუცესი მოფიცარს გულზე დაჰკიდებდა გახვრეტილ ქვას, რომელიც ამ უკანასკნელს მუდამ თან უნდა ეტარებინა. ქვის ჩამოკიდება ჯვრის მიმართ მუდმივი ვალის დადებას გულისხმობდა. სამნის ჩაგდების აუცილებელი პირობა საკლავის დაკვლა იყო, რადგან ჯვარის (ხატის) კარზე საკლავით დაფიცება, ისევე როგორც საკლავით თხოვნა, ყველაზე სარწმუნო დაფიცებად ითვლებოდა.

საქართველოს მთიანეთში დგინდება სალოცავებში ჩადგმული სამნეების მიმართ განსაკუთრებულად მტკიცე და ურყევი დამოკიდებულება. სათემო ურთიერთობათა განმამტკიცებელი სამანი, როგორც წესი, სალოცავთა კარზე არსებობდა და თემ-სოფლის ინტერესებს იცავდა. სალოცავებთან სამნის მიმართების საკითხის მნიშვნელოვანი ასპექტის საილუსტრაციოდ გამოდგება ფშავის სოფ. უძილაურთასა და ხევსურეთის სოფლებში - კიმხსა და აკუმოში - მოსახლეთა შორის ურთიერთობა. მათ მყარი, მუდმივად დაუკანონებელი მიჯნის უქონლობის გამო, დაუსრულებელი სისხლიმღვრელი ბრძოლები ჰქონიათ. ბოლოს, უძილაურებს გამოსავალი უპოვნიათ - გადაუწყვეტიათ საზღვარზე კოპალეს ნიშის აღმართვა და მისი ლოცვა-დი-

დებისათვის დღესასწაულის დაწესება. სამნად დამდგარი კოპალეს წყალობით, მტრობა დასრულებულა. სახეზეა სამნის, როგორც სასაზღვრე ნიშნის, ჩანაცვლება საკულტო ნიშით.

ლიტ.: ბ. გაბუური. ხევსურული მასალები // წელიწდული. I-II. თბ., 1923-1924, გვ. 160-297; ვალ. ითონიშვილი. ხალხური მმართველობის ისტორიიდან („სამან-საყუდი“) ხევში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. IX. 1957, გვ. 78-92; მ. კანდელაკი. ამანათობა და „კარ-ქვაბით შეყრის“ წესი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში // მაცნე, ისტორიის სერია, 1984, № 1. გვ. 119-126; მ. კანდელაკი. სამანი საქართველოს მთიანეთში // ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მტუდიები (1988). თბ., 1991. გვ. 47-89; მ. კანდელაკი. ხევსიბერის ინსტიტუტის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით) // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XVIII. თბ., 1975, გვ. 115; მ. კედელაძე. სახატო მიწები მთიულეთში. ნაწ. III, 1949 (ინახება ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში); ალ. ოჩიაური. ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. თბ., 1988, გვ. 99-101; რ. ხარაძე. სათემო მმართველობის გადმონამთები ხევში // ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. IV, ნაკ. 2. თბ., 1959, გვ. 181-182; Канделаки М. Б. Из общественнобыта горцев Грузии – институт аманатства. Тб., 1987, გვ. 95-100; Харадзе Р. Л. Характер сельской общины грузин-горцев по этнографическим материалам. М., 1964, გვ. 6.

სამანი სადიაცო - აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჯვარ-ხატებთან ახლოს მიწაში ჩასმული ქვის სამან-მიჯნა („დანიშნული ადგილი“), რომლის იქით ქალი, როგორც „უწმინდური“ არსება, ვერ გადააბიჯებდა. ფშავში ასეთი სადიაცო სამნები თითქმის ყველა ხატთან იყო (მაგ., ლაშარის ჯვარში, პირქუმის ხატში, თამარის ჯვარში და სხვ.), რადგან მდებარე სალოცავთან მიახლოება ეკრძალებოდა. სამართლიანად შენიშნავს მ. კანდელაკი: „... თუ მთიელი ქალის მაღალ სოციალურ სტატუსს გავითვალისწინებთ, ზემოთქმული აკრძალვა თავის დასაბამსა და შესაბამის ახსნას უძველესი რწმენა-წარმოდგენების სამყაროში იღებს“.

ლიტ.: მ. კანდელაკი. სამანი საქართველოს მთიანეთში // ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მტუდეები (1988). თბ., 1991. გვ. 82.

სამანი სამახსოვრო - იხ. სამანი სამწყალობნო.

სამანი სამრისხველო - აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავ-ხევსურეთში, ხევში, მთიულეთსა და გუდამაყარში) გავრცელებული „ხის ან ქვის მოკლე ბოძი, მიწაში ჩასობილი ვისამე სარისხავად, დასაწყევლად“. ხევში დადასტურებული მასალა მოწმობს, რომ სათემო ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებით მიწაში ჩადგმული სამრისხველო სამანი მიზნად ისახავდა პრეროგატივა-პირველობის მცდელობის მქონე ოჯახების, ზოგჯერ მთელი გვარის იზოლაციას. მთიულეთში სოფლის წინაშე ჩადენილი დანაშაული მტრობის ტოლფასი იყო, ამიტომ ამის შემოქმედს ხალხი და დეკანოზი სამრისხველო სამანს ჩაუსვამდა. ხევის მსგავსად, მთიულეთშიც სამანი სოფლიდან მოკვეთის, დარისხების, დაწყევლის, ამოწყვეტის

სურვების ნიშანს წარმოადგენდა. მოკვეთილს დეკანოზი დაწყევლიდა, რასაც სოფელი ეთანხმებოდა. მ. კედელაძის მიერ სამრისხველო სამნის თაობაზე მთიულეთში დაფიქსირებული მონაცემებიდან განსაკუთრებულ ინტერესს სოფ. ნადიბანის ცეცხლისჯვრის სალოცავში არსებული სამნის ისტორია იმსახურებს: სათემო სალოცავის - ცეცხლისჯვრის - „კულუხის“ გადახდა ეკისრებოდათ კეკიშვილებს, რომელთაც თემის გაძლოლაში მონაცვლეობით სხვა გვარებიც შველოდნენ. მაგალითად, ჯერ სოფ. სეთურებიდან კაცი თავისი ხიზანით მოდიოდა, შემდეგ სოფ. გოგნაურიდან და ა. შ. გოგნაურიდან ჯერ კედელათ ბანძულა ყოფილა, რომელსაც კვლავ გოგნაურელი ოგბათ თადილა შენაცვლებია. ამ უკანასკნელს დაუკარგავს ცეცხლისჯვრის კურატი, რომელიც ქსნელებს (თეზელაანებს) მოუპარავთ და დაუკლავთ. თეზელაანები ძალიან აშარი ხალხი ყოფილა, მათთან შიშით ვერავინ მიდიოდა. კურატის ქურდებთან მხოლოდ ძალგულოვანი ოგბათ თადილა ჩასულა და დაკარგული საქონელი მოუკითხავს. თეზელაანებს იგი აუგად მიუღიათ - ქურდობას გვაბრალებსო, და უცემიათ, ერთი წლის ავადმყოფობის შემდეგ კი გარდაცვლილა. ამის გამო თემს საბოვრაცი (დროშის საბრძანო კოშკი) წინ სამრისხველო სამანი - კუთხოვანი მაღალი ბასრი ქვა - ჩაუსვამს და თეზელაანები ერთხმად დაუწყევლია. წყევლა ხატს შეუსმენია, და მათი დიდი ნაწილი სახადით ამოუწყვეტია; გადარჩენილები ამოსულან და სამრისხველო სამნის ამოღება უთხოვიათ. ხალხი დათანხმებულა, მაგრამ ხევისბერს - ოგბათ გიორგას - თანხმობა არ მიუცია და უთქვამს: ჯერ კაცის თავი მიზღონ და მერე სამნის ამოღება ითხოვონ. - ხალხს ხევისბერისთვის წინააღმდეგობა ვერ გაუწევია, თეზელაანი კი დაურიგებია: - კლოვ კლოვ გადმოდით, წამოიყოლეთ კურატი,

პურ-საჭამანდი და სამელი. ხატის კარზე მოყვანილ სამსახურს (საკლავს) და სამხვეწროდ მოტანილ საჭმელ-სასმელს ხატის ხათრითა და შიშით ხევსებერი უკან ვეღარ დააბრუნებს და სამანს ამოვადებთო. თეზელანები ასეც მოქცეულან და გიორგობა დღეს ხატში საკლავითა და დიდძალი ხორაგით მოსულან. ოგბათ გიორგა იძულებული გამხდარა მთხოვნელების ნებას დაჰყოლოდა, მხოლოდ იმ პირობით, რომ სამრისხველო სამანი თავად მათ ამოეგდოთ და არა ერთობლივ თემს. სამანი თეზელაან ორ ძმას ამოუგდია, შემდეგ კი დახოცილან. „ამით თეზელაანი მთლად გათავდნენ და მათი სახლების ნაყავრალებია დარჩომილი... იმიტომ დაიხოცნენ, რომ სამანი იმათ კი არ უნდა ამოეგდოთ, არამედ მთელს თემს უნდა თითო-ოროლა ქარჩის დაკვრით მოეთხარა, მემრე საბელი მაება და საბელისათვის ყველას ხელი მაეკიდა და ისე ამოეღო მიწიდან. სამნის ამოღების დროს მეტი ხვეწნა-ვედრება უნდა შეესრულებინა ხალხს, რაც ჩასმის დროს. ეს რომ ასე არ გაკეთდა იმიტომ ამოწყდნენ თეზელაანი... არც ხალხისთვის არის კარგი სამნის ჩასმა... არც ამოგდება ვარგა... თემს რომ ამოეგდო ეს სამანი, შეიძლება თეზელაანთ რაიმე ჰშველებიყო, მაგრამ რაკი თვითონ ამოაგდეს, იმით თავს კი არ უშველეს, თავის თავი დაღუპეს. ხევსებერმა ოგბათ გიორგამ ეს ყველაფერი კარგად იცოდა და ამიტომ უთხრა თეზელაანთ: „სამანი თქვენ თვითონ ამოაგდეთ“.

ლიტ.: მ. კანდელაკი. სამანი საქართველოს მთიანეთში // ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მტუდიები (1988). თბ., 1991. გვ. 47-89; მ. კედელაძე. სახატო მიწები მთიულეთში. ნაწ. III, 1949 (ინახება ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში); ა. მოჩხუბარიძე (ყაზბეგი).

მოხვევები და მათი ყოფა // დროება, 1880, № 7; ქართული დიალექტოლოგია. I. თბ., 1961, გვ. 563.

სამანი სამწყალობნო - კეთილი, წმინდა საქმის აღმსრულებლის სახელზე სალოცავთან ახლოს ან სამახსოვრო ადგილზე მიწაში ჩასმული ქვის სამანი (იხ.), დადასტურებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. გადმოცემის თანახმად, მთიულეთში, ცეცხლისჯვრის სალოცავში, „წინათ ოქროს ორი კონჩხა ჰქონიათ. ისინი ვიღაცას მოუპარავს, ბევრი უძებნიათ, მაგრამ ამაოდ - ქურდს ისინი გორში სომეხი მიკიტნისათვის მიუყიდნია. ხალხს დაუნახავს, რომ ეს ნივთები ეყიდა ვინმე გარაყანიძეს. თასზე ეწერა: „თავს-ხადა ცეცხლიჯვრისა ვარ“. აუღია ამ გარაყანიძეს ეს თასი, აუტანია თავ-ხადას (სოფ. შარუმთან), სადაც ცეცხლისჯვარი იყო, მისულა ცეცხლიჯვრის ეკლესიასთან, ოქროს კონჩხებთან ერთად ყველაფერი იქ აუტანია და სოფ. შარუმთან ერთად სხვა ხალხიც დაუპატიჟნია. უამბნია სად და როგორ იყიდა ხსენებული კონჩხები (თასები). მაშინ მთიულებს სამწყალობნო სამანი ჩაუსვამთ იმ გარაყანიძისათვის, რომელიც დღემდე არსებობს და ყოველი დღესასწაულის დროს ცეცხლისჯვარში ამწყალობნებენ: - „სული იმისა უცხონოს, დამრჩონი უმრავლოს“ (მ. კედელაძე).

ზემოაღნიშნული სამნის სახეობას წარმოადგენს ფშავში - „სამახსოვროს“, ხევსურეთში კი - „სამწყალობნოს“ სახლით ცნობილი ქვები - საგმირო ანუ სამახსოვრო საქმის მოსაგონარი სამნები. ბესარიონ გაბუურის თანახმად, „ხევსურეთში ძველ მეომართ ახლადაც რჯულად ას: თუ ხმლით შუღლში მოკლულ კაც ფეხადმ დაეყუდ, მაშინ შუღლ აღარ შაიძლების. მაშინ ღმერთს შამწვდარი-ას. მაშინ ჩაუგავ ხმალ ქალუნდაურს, უთქომ დამ-

რჩალ ზურაბის ჯართად (ზურაბ არაგვის ერისთავი): - მშვიდობით, ხელ მაგიმართასთ! ღმერთ აღარ მამც მეტის ხოცის ნებაი - და ამობრუნვილ ნაომარში, გზის პირში, სამან ჩაუდგავ, უთქომ: - ვინც ჩემ სიკვდილიდგეს ამაზე მგზავრ აივლ-ჩაივლის და ვინაც სამანთან სამს ყანწს არყიანს არ დაღლოცავს ამ ჩემის ხმლის ცოდვა ეკიდას, რაც ჩემ ხმაღს ცოდვა უქნავ და კაც მაუკლავ“. ამ სამწყალობნო სამნის თაობაზე ჩაწერილია ხალხური ლექსი:

თან მოჰყვნენ ქალუნდაურსა
მამუკას შუქნი მზისანი,
ბეკენგორ ქალუნდაურმა
სამანი ჩადგა ქვისანი,
ვინც ეგენ გარმომიყარნას,
ციდან მოჰკიდა ხმლისანი.

ფშავში, ლაშარის გორზე, მრავალი კეთილმოსაგონარი ამბის აღმნიშვნელი სამანია ჩასმული. მათ შორისაა: გარა თურმანაულის, სულმელჯი წოწკოლაურის, თადიაურის და სხვათა მოსახსენებელი სამნები. აქვე უნდა ითქვას, რომ ფშავში „სამანსოვრო“ სამანთა კატეგორიაში თავმოყრილია როგორც „კეთილი“, ისე „შესაძლო ბოროტი“ განზრახვის თავიდან ასაცილებელი სამანი. ასეთი სამანსოვრო სამანი ლაშარში მიცუელ ქისტებსა და ფშავლებს შორის არის ჩასმული. გადმოცემის თანახმად, ქისტები ფშაველთა ცხენებსა და ცხვარ-ძროხას იპარავდნენ, რის გამოც ფშავლებს მათთვის ფშავლის ჭალაზე გავლა აუკრძალავთ, ვიდრე მიცუელი ქისტები ფიცს არ დადებდნენ. სათანადო ფიცის შემდეგ ლაშარის ჯვარში ჩაუსვამთ სამანი, ზედ ხარი დაუკლავთ.

ლიტ.: მ. კანდელაკი. სამანი საქართველოს მთიანეთში // ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მტუდეები (1988). თბ., 1991. გვ. 47-89; მ. კედელაძე. სახატო მიწები

მთიულეთში. ნაწ. I, 1949 (ინახება ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში); ვ. კოტეტიშვილი. ხალხური პოეზია. თბ., 1961, გვ. 257; ბ. გაბუური. ხევსურული მასალები // წელიწადული. I-II. თბ., 1923-1924, გვ. 160.

სამანის ბარტყი - პატარა ქვა, რომელსაც სამანს ჩაუგდებენ გვერდით, სანამ სასამნე ორმოს მიწით ამოავსებენ და დატკეპნიან. სამანის ქვას მოზრდილსა და მოგრძოს არჩევენ რომ მიწის ზემოთ კარგად ჩანდეს, სამანის ბარტყს კი თავი ოღნავ აქვს მიწიდან ამოჩრილი და ცოტათი მოჩანს. „ბარტყი“ სამანის საყრდენიც არის და სანიშნოც. სხვა უბრალო ქვებისგან გამოსარჩევად.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

სამანის ნახშირი - სანამ სამანს ორმოში ჩააგდებენ (ჩასვამენ), ორმოს ძირში „ხაკა ნახშირს“ (დაფშვნილ ნახშირს) ჩაყრიან: თუ სამანს ვინმე ადგილს შეუცვლის, ან ჟამთა ვითარებაში ქვა ამოვარდება და სამანი დაიშლება – ნახშირის კვალი მაინც დარჩება. ნახშირი მიწაში დიდხანს სძლებს და თავის ირგვლივ ნიდაგსაც აშავებს. ამ კვლით ნასამნარის მიგნება ადვილია.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

სამანქანი - ჯაჭვის პერანგის ნაირსახეობა. „სამანქანი არს ჯაჭვის თვალი მრგვალი სამ-ფარეშოსანი, შიგნით ნიკარტოვანი, რბილი, გარდაგრეხით ძნიად გასატეხი.“(საბა). სამანქანური ჯაჭვი ყველაზე საუკეთესო ჯაჭვთა რიგს განეკუთვნება, მისი ყოველი რგოლი (ჭიკუ) ფარეშიანია (დამოქლონებული). სამანქანური ჯაჭვი ფართოდ იყო გავრცელებული სა-

ქართველოს მთიანეთში, ხევსურეთსა და სვანეთში უკანასკნელ დრომდე იყო შემონახული, ასეთი ჯაჭვის პოპულარობა ხევსურულ პოეზიაშიც აისახა „ჯაჭვა თქვა სამანქანურმა, ქაჯმა ამასხა თითითა“ და სხვა. (იხ. ჯაჭვის პერანგი).

ლიტ.: კ. ჩოლოყაშვილი - „ქართული საჭურველი ჯაჭვი“. სსმმ, ტ. XIX B. 1956. სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. II, 1993.

სამარე - მიცვალებულის სამარხი ადგილი. საბას განმარტებით, „მარი“ აღნიშნავს ხის საწყაოს. ადვილი შესაძლებელია, რომ შემდგომში მის სახელი გავრცელდა იმ ხის ჭურჭელზე, რომელსაც მიცვალებულის ჩასასვენებლად ხმარობდნენ და ადგილს, სადაც მიცვალებული იმარხებოდა, ეწოდა სა მარე, ხოლო სასაფლაოს სამაროვანი.

სამართი - წისქვილის ქვების მოსაყვანი ოთხკუთხედ გათლილი ხის იარაღი. სამართი არის ორმხრიანიცა და ცალმხრიანიც. შავ ფორმაში გამოჭრილ ქვაზე სამართს დაატრიალებენ, სადაც იმისი გადაქნილი ბოლო მოედება, იმ ადგილს აიღებენ სათლელით, მანამდე სანამ, სამართი ქვაზე ერთი მობრუნებით თავისუფლად არ დატრიალდება. სამართის ორივე მხარე გამოიყენება ქვის გასათლელად. მის ზედაპირს მამალი ქვის ქვედა პირი მოჰყავს, ხოლო ქვედაპირს დედალი ქვის ზურგი.

სამარილე, ქუბდე - (ფშ. ხვს.) - მარილის ჩასაყრელი ხის ნაირნაირი ყუთები, რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებული კონსტრუქციებითა და სანიმუშო ესთეტიკური შემკულობით. სამარილეების საუკეთესო ნიმუშები შემოინახა ადმ. საქართველოს მთიანეთმა. მარილი, როგორც ძვირფასი პროდუქტი საჭიროებდა მომჭირნეობით ხარჯვას და მისი დაცვის

აუცილებლობა კარგად აისახა ამ ჭურჭლის აგებულებაში. ხის სამარილეების უმრავლესობას გააჩნია კედელზე ჩამოსაკიდი თოკები, თასმები და მჭიდროდ დამაგრებული სახურავები, რომლებიც მოხერხებულად იკეტება და ჰიგიენის თვალსაზრისით კარგად არის დაცული. ასეთ სამარილეებს ძირითადად მარილის შენახვის ფუნქცია ჰქონდათ და არა სუფრაზე სახმარი. მარილის, როგორც ძვირფასი და ძნელად მოსაპოვებელი პროდუქტის მნიშვნელობა კარგად აისახა სამარილეთა შემკულობაში, რაც ბრწყინვალედ გამოხატა ხალხურმა ხითხურობამ.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

სამარიობო სხალი (რაჭ.) - მსხლის ერთ-ერთი ჯიშია, აგვისტოში შემოდის (იხ. ძოწ.).

სამასრე, საკვესი, ქირუბი (ქართ.), **საკვაიები** (კახ.), **საქილე** (იმერ.), **გულთათები** (გურ.)

ჩოხის გულისპირზე დაკერებული რამდენიმე ნაწილიანი მასრების ჩასაწყობი ჯიბე. ჯიბის ნაწილთა რაოდენობა სხვადასხვა იყო. ამას აპირობებდა როგორც შიგ ჩასაწყობ მასრათა რაოდენობა, აგრეთვე ჩოხის ფორმაც. ძველებურ ჩოხებზე მასრათა რაოდენობა არცთუ ისე დიდი იყო, შემდგომში ჩერქეზული ტიპის ჩოხაზე მათი რიცხვი 20-მდეც აღიოდა, ყარაჩოღულ ჩოხაზე კი ამ საჯიბეს მხოლოდ დეკორატიული მნიშვნელობა ჰქონდა და სხვათაგან განსხვავებით ცერადაც იყო მიკერებული. ძველად სამასრეს გარშემო შემოაკერებდნენ ჭრელად მოქსოვილ ზონარს - ჩაფარიშის მერე კი ყაითანს. ზოგჯერ მათ ნაცვლად სირმასაც იყენებდნენ. ლიტ.: მსშხი, ტ. III, ნაწ. I, 1983.

სამატი - შოლტებისაგან დაწნული ტყავი, რომელიც რვიანივითაა გამოყვანილი და მისი მეშვეობით ურმის ან სახნისის თავი ებმება უღელს.

სამაქნელი - ქვის ასაწევი ბერკეტი. ყოფაში დამოწმებულია წისქვილისა და ხელსაფქვაკვი ქვების ასაწევად. სამაქნელის ჰორიზონტალურად დადებული მორი ერთი ბოლოთი დაკიდულია მხრებიან ასაზიდზე და ის მხრები ქვის საბჯენებზეა დაყრდნობილი. მხრის აწევას იოლად ახერხებენ პირწამახული „კეტის ადებით“ და მხარქვემ იმ სისქის სოლებს უყენებენ რა სიმადლეზედაც სურთ სამაქნელის მეორე ბოლოზე დაბჯენილი ქვის აწევა.

სამამვლო (რაჭ.) - სამაჭანკლო, მაჭანკლის, მამვლის გასამრჯელო (იხ. ქეგლ).

სამაჭრია (რაჭ.) - ვაზის ჯიშია. ამჟამად თითქოს გადაშენებულია. თეთრიც ყოფილა და შავიც. სამაჭრია ადრე მწიფდებოდა და რთვლამდი ვკრიფამდით. მაჭრად უმფრო ვხმარობდით (იხ. ჯავახ. ეკ. ისტ., II, 442, ფრ. 29).

სამაჯე - სახელოთა ბოლოში წასაკერებელი პატარა, ბრტყელი და ორპირი ნაწილი. შეუსხნელი ან შეხსნილი და ღილებით შესაკრავი. ამზადებენ კაბის ან ზედატანისათვის განკუთვნილი მასალისაგან, რომელიც ხან ბამბის ქსოვილისაა, ხან კი ქიმიური და აბრეშუმის.

სამაჯური, დასტანაგი, სალტე - მაჯის სამკაული. სულხან-საბა „დასტანაგს“ განმარტავს, როგორც ქალთა სამკლავეს, „სალტეს“ კი ქალთა მაჯათა სამკაულად, რომელიც მზადდებოდა ძვირფასი ლითონებისაგან. სამაჯურის აღმნიშვნელი ძველი ქართულ ტერმინი - „სა-

ლტე“, დღემდე შემორჩენილია საინგილოში. სამაჯური შეიძლება იყოს მასური, ღრუ, სახსრიანი, ინკუსტრირებული, გავარსით შემკული, მომინანქრებული და სხვა. ადრეანტიკური ხანის საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული სხვადასხვანაირად შემკული აქემენიდური სტილის ზურგმედრეკილი სამაჯურები. ეს სტილი ირანიდან გავრცელდა სხვადასხვა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც. გვიანანტიკური ხანიდან გვხვდება სახსრიანი სამაჯურები. შუა საუკუნეებში საქართველოში ძალიან პოპულარული იყო ტიხრული მინანქარი და სამაჯურებს ხშირად ტიხრული მინანქრით ამკობდნენ. ვერცხლის სამაჯურებს რთავდნენ როგორც ფერადი თვლებით, ისე გავარსით. ამ ტიპის სამაჯურებს ბოლო დრომდე ამზადებდნენ დაღესტნელი ოქრომჭედლები. კავკასიაში ვერცხლის ფილიგრანული სამკაულებით და, მათ შორის, სამაჯურებით განსაკუთრებით განთქმული იყო საქართველო. შემკულობის გარდა სამაჯური ისევე, როგორც ბეჭედი, ყელსაბამი, გვირგვინი და დიადემა წარჩინებულობის ნიშნად, ინსიგნიად ითვლებოდა ძველ სამყაროში.

ლიტ.: ი. გაგოშიძე, ქართველი ქალის სამკაული, 1981. ლ. სოსელია, ოქრომჭედლობის შესწავლისათვის მესხეთში, კრ. მესხეთ-ჯავახეთი, 1972.

სამგლოვიარო ჯაჭვი / უბის ჯაჭვი/ ქოქირა, შავი ჯაჭვი - თუში ქალის სამგლოვიარო ნიშანი, იკეთებდნენ (დედა, ცოლი, და, დეიდა, მამიდა; ბიძაშვილ-დეიდაშვილებს და მამაკაცებს არ ევალებოდათ. გამონაკლისს წარმოადგენდნენ ომალოელი ქალები, რომლებიც წასწეს ხატის დამიზნების მიზით სამგლოვიარო ჯაჭვის ტარებას ერიდებოდნენ) მარჯვენა უბეზე (გოგოები ზურგზე) მამა-

კაცის გარდაცვალებისას; მზადდებოდა ძველი საომარი რკინის პერანგის ნარჩენებისაგან; წარმოადგენდა ლითონის ძალიან წვრილი რგოლებისაგან წმინდად მოქსოვილ ვიწრო და გრძელ ჯაჭვს (სიგრძე - არმინზე ცოტა მეტი, სიგანე - ერთი მტკაველი), რომელსაც ბოლოზე შავი ბაწრის ბურთულა ება, ამ უკანასკნელზე კი - შავი ფერის შალის ფოჩი, ე. წ. ქოქირა. მგლოვიარე დედაკაცები უბის ჯაჭვს ერთ წლამდე მაინც ატარებდნენ. ამ დროის მანძილზე ისინი ყოველ შაბათს წყალთან მივიდოდნენ, მიცვალებულის სახელზე წყალს დაღვრიდნენ, ქოქირას წყალში ჩაბერტყავდნენ და ამბობდნენ: „შეიწყალოს ღმერთმა ...“ (იტყოდნენ მიცვალებულის სახელს). როცა ჯაჭვის მოხსნის დრო დადგებოდა, მგლოვიარენი სამ კოტორს გამოაცხობდნენ, სანთელს აანთებდნენ, არაყსაც დადგამდნენ და მიცვალებულს დაიტირებდნენ, შემდეგ წყაროზე ან სოფლის გარეთ გავიდოდნენ და ჯაჭვს იქ შეიხსნიდნენ - ფოჩს დაკუნთავდნენ და გადაყრიდნენ, ჯაჭვს წყალში ამოავლებდნენ და თან წამოიღებდნენ, თაღხებსაც აქ მოიშორებდნენ.

ლიტ.: დ. გიორგაძე. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). თბ., 1987, გვ. 74-75; ს. მაკალათია. თუშეთი. თბ., 1983, გვ. 179.

სამეკვლეო - ხევსურული რიტუალური პური, რომელსაც ყოველი ოჯახი საახალწლოდ აცხობდა. ეს იყო მრგვალი, მოზრდილი პური, რომელსაც ერთი მხარე ჭიტი (ჩაზნექილი), მეორე კი ფერი (გლუვი) ჰქონდა. დიასახლისი სამეკვლეს კარებში შეაგებებდა ხატიდან მოსულ მეკვლეს, რომელიც მას საცხოვრებელში სამჯერ შეაგორებდა და ყოველი შეგორებისას იტყოდა: „ჩემიმც კვალ კაზე

დაგიჯდებისთ, პურიან, წულიან, კაციან, საქონიან! ბევრიმც წელი-დ კვალ გამაგევ-ვლებისტ, ერთ ეს, ათას სხვაი“. ერთ ცალ სამეკვლეს დიასახლისი საცხვრემიც შეაგორებდა.

ლიტ.: ალ. ჭინჭარაული. ხევსურული თავისებურებანი. ტექსტები და ინდექსით. თბ., 1960, გვ. 212.

სამზარეულო, სამზადი - საქმლისა და სხვადასხვა კერძულის მოსამზადებელი ადგილი. ზოგჯერ სახლის კომპლექსშია განთავსებული, ზოგჯერ ცალკე შენობას წარმოადგენს. დიდ სასახლეებს, როგორც წესი, ცალკე, ვრცელი სამზარეულოები ჰქონდათ. ასევე ცალკე სამზარეულოები გააჩნდათ მონასტრებს (სატრაპეზოებს). ეთნოგრაფიულ ყოფაში სამზარეულოს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ძირითადად ასეთი ობიექტი მოწყობილი ჰქონდათ სახლის პირველ სართულზე, სადაც ენერგიის წყაროსთან ერთად (შუაცეცხლი, ბუხარი, ღუმელი, გაზის ქურა) განთავსებულია განჯინა-თაროები, კარადები - ჭურჭლის, სანელებელთა და სხვადასხვა სამზარეულო იარაღებისათვის. ეთნოგრაფიულ ყოფაში შეძლებულ ოჯახებს ძველადაც და შემდგომაც სამზარეულო სახლები განცალკევებით ჰქონდათ აგებული. ქართული სუფრის მრავალფეროვანი ხასიათი აპირობებდა სამზარეულო სტრუქტურის სირთულეს. სამზარეულოს პრაქტიკულის გარდა გააჩნდა ესთეტიკური დანიშნულება, რაც გამოკვეთილი იყო მისი ინტერიერის ზოგად გაფორმებაში.

სამთვალა - ხის ორიგინალური სასმისი, რომელიც წარმოადგენს სამ ერთმანეთზე მიკრულ განყოფილებას, რომლებიც შიგნით გახვრეტილია და სმის დროს

სასმელი ზიარი ჭურჭლის პრინციპით ორიდან ერთ განყოფილებაში გადაედინება. სამთვალას განვითარებული და დახვეწილი ტიპია თიხის მარანი. საქართველოს მთიანეთში სამთვალას იყენებდნენ სარიტუალო დღესასწაულების დროს. სამთვალას მსგავს სასმისს რაჭაში კვატუში ერქვა.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

სამთილი / სამთილო (რაჭ.) - ქმრის ოჯახი (იხ. ძიძ., ალავ.).

სამთილოობა (რაჭ.) - ქმრის ოჯახი, ოჯახი, სადაც გათხოვილი ქალი ცხოვრობს. სამთილოობაზე წევიდა.

სამთხვრელა (გლ.) - ფეხისალაგი.

სამიანი ნალი (რაჭ.) - სამნახვრეტიანი ნალი, სამი ლურსმნით ეჭდება ხარის უკანა ფეხზე.

სამინდო * ჭურჭელი, სადაც მინდი იყრება, _ სამინდე.

სამინდო წისქვილი (რაჭ.) - დიდი წისქვილი, დოლაბის წისქვილი. სამინდო წისქვილი დიდია. სამი-ოთხი თვალი აქო, გრიტა პატაროცა წისქვილა არი.

ტ. III, ნაწ. I, 228).

სამკადრეო - 1. სამკადრეო დროშაზე შებმული ე. წ. „ველსაჰოცი“ (ქსოვილის ნაჭრები); 2. მკადრეს (იხ.) ქსოვილი, რომელსაც იგი, ხატის (ღვთიშვილის) მობრძანების შემთხვევაში, ღვთიშვილის დასაბრძანებლად ხელზე გადაიფენდა.

ლიტ.: თ. ოჩიაური. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ., 1954, გვ. 98,109-110.

სამკადრეო დროშა - დროშა, რომელსაც მკადრე (იხ.) ატარებდა. არსებობდა საგანგებო სამკადრეო დროშებიც (ლიქოკი, ხადო), რომლებიც დღეობების დროს ხუცესებს ეკავათ. ეს დროშები ზომითაც დიდი იყო და ჩვეულებრივზე მეტი ზარი და „ველსაჰოცი“ (ქსოვილის ნაჭრები) ამკობდა.

ლიტ.: თ. ოჩიაური. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ., 1954, გვ. 109-112.

სამკაული - ქალის სამოსის აქსესუარი. მაგ., მესხეთში ქალები გულზე იკეთებდნენ ვერცხლის ჯვარს და აგრეთვე, გულზე საკიდ ჩაფრასტებს, ჯილჯიდას, რომელსაც ჰქონდა ვერცხლის ძეწკვზე ასხმული ფიფინურები. მკლავებს ვერცხლის ფულებისაგან გაკეთებული სამაჯურებით იმკობდნენ. საერთოდ, საგულეზე ვერცხლის ფულებს იკერებდნენ და შიბებს (ფულებით შემკული ვერცხლეულის ძეწკვი) ატარებდნენ. ადრე თუში და ხევსური ქალები ფარაგს ვერცხლის შიბებით და ღილ-ბუზმენტებით იმკობდნენ. შემდგომ, დაუწყიათ ფერადი მაულების სკლატის ზიკებით თავიანთი ფარაგებისა და მამაკაცის საბეჭურების დაჭრელება, ტალავრის მაჯების შემკობა. სკლატის ზიკებს შიგადაშიგ ამკობდნენ მძივის კვერანებით, მძივ-ღილებით, ვერცხლის ცვარით და ჩაფრასტით (საკინძე). ქალები საყურეებს და ბეჭდებსაც იკეთებდნენ.

ლიტ.: ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1938:91; ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1984:153; ს. მაკალათია, ფშავი, 1985:125; ს. მაკალათია, თუშეთი, 1933:147; გ. ბოჭორიძე, თუშეთი, 1993:138.

სამკერდული, სამკედური (ქართ.) - საჯდომი ცხენის აღკაზმულობის ნაწილი.

იგი ყელისა და გულ-მკერდის სამკაულია. წინა მოსართავზე გამობმულია ტყავის თასმა, რომელიც წინა ფეხებშია გამოდის და მკერდთან ორ ტოტად იყოფა, სადაც ეკიდება ვერცხლის ბალთა, ორივე ტოტი ყელის მარჯვენა და მარცხენა მხარესაა ამოტარებული და ტახტზე დამაგრებული. მკერდის შემკულობა შეიძლება ყოფილიყო ვერცხლისა, რაც დამოკიდებული იყო ქონებრივ და წოდებრივ მდგომარეობაზე.

სამკვდილი - მკელის ტყავის წინსაფარი. ყანის მკის დროს მომკელი იკეთებს სამკვდილს გულზე, მხრებსა და მკლავებზე, რომ ნამჯამ არ შეაწუხოს. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში სამკვდილი მხოლოდ ქიზიყში დასტურდება. მსგავსი წინსაფარი სხვა ხალხთა ყოფაში არ ჩანს. ქიზიყში ტყავის სპეცტანსაცმლის არსებობას აპირობებდა მეცხოველეობის განვითარების მაღალი დონე, ტყავის დამუშავების საქმის ცოდნა-გამოცდილება. სიღნაღის რაიონში თავმოყრილი ყოფილა ჭონების დიდი რაოდენობა. სამკვდილის ტყავს თრიმლის საშუალებით ამუშავებდნენ. მასალად იყენებდნენ თხის, ცხვრისა და ხბოს ტყავს. სამკვდილი ერთი მთლიანი ტყავისგან შედგებოდა. მას წელზე მიკერებული ჰქონდა ტყავის ფუნჯები, ზედ ჰქონდა მიბმული სამაჯურები, საოფლე, სათითე და მუშა. სამკვდილს ჩაცმის წინ და მუშაობის დასრულების შემდეგ ცხვრის ქონით ჰოხავდნენ. მკელი მის შიგნით ან არაფერს, ან პერანგს იცვამდა. შეკერვის დროს ნაბალნევი მხარე შიგნით უნდა მოჰყოლოდა ოფლის საწინააღმდეგოდ. იკრება ორი ტყავისგან: ერთ ტყავს შუაზე საყელოს ამოუღებდნენ ისე, რომ ნახევარი ტყავი უკან მოექცეოდა და მხრებსა და ბეჭებზე ეფინებოდა, მეორე ნახევარი გულს უფარავდა, სიგრძივ წელის არეში (საქამრეზე) მიაკერებდნენ ტყავს,

რაც მუცელსა და ბარკლებს დაუფარავდა. სამკვდილს მარჯვენა ხელისათვის მიკერებული ჰქონდა სამკლავე. იგი გაუკერავია ხელის მოხრა რომ არ შეუშალოს მუშაობის დროს, მარცხენა ხელის მაჯაზე შემოხვეული აქვს ტოლადი, რომ ნამჯამ მაჯა არ „შეუჭამოს“.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

სამკვრე - კვარის დასადები ლითონის ნივთი სახლის გასანათებლად. ამზადებდნენ გრეხილი ლითონისაგან. (იხ. ლამტვარალი).

სამკვრე (გლ.) - კვრის დასანთები რკინის მოწყობილობა. სამკვრეზე მკვარს აწყობდეს და ანათებდეს. ლამფის მაგიერი იყო ეს. ეს იყო სასინათლო (იხ. did., მარტ.).

სამკლავე - 1. მკლავზე წამოსაცმელი, სახელოს მოყვანილობისა, იდაყვიდან თითებამდე სიგრძის. მოქსოვილი ან ნაჭრისგან შეკერილი. იყენებდნენ ზამთარში მკლავების გასათობად. სამკლავე სვანეთსა და ხევსურეთში საპირესა და სარჩულს შორის ბამბაფენილი და საპირეზე დალიანდაგებულიც უნდა ყოფილიყო. ხევსურული სამკლავე შეხსნილია და დილებით შესაკრავი. ამასთან, იგი მუშაობის მხრივაც გამორჩეულია. კერძოდ, შალისა თუ აბრეშუმის ძაფებით შესრულებულ ნაქარგში ჭარბად იყო გამოყენებული საქართველოს მთის ზოლისათვის ტიპური გეომეტრიული ჭრელი, აგრეთვე გაფორმების აპლიკაციის წესიც - ფერადი ქსოვილის პატარა ნაჭრებით მორთვას ითვალისწინებდა. 2. სამხედრო შეიარაღებიდან მკლავის დასაცავი ლითონის ფირფიტა. მას იყენებდნენ აგრეთვე ფარიკაობის დროს.

სამკლავური ტყავისა - გამოიყენებოდა სამეურნეო საქმიანობის დროს. ტყავის სამკლავურის დამზადება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. მას წვრილფეხა საქონლის ტყავისაგან ამზადებდნენ. შესაკერად ადრე ტყავის თასმებს იყენებდნენ. ბოლო ხანებში კი ძაფით ან ბაწრით კერავდნენ. სამკლავურს მესაქონლე ხალხი, უფრო მეტად მეცხვარეები ხმარობდნენ. გარდა ამისა, იყენებდნენ მჭედლები, გუთნისდედა და ღურგლები.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

სამკლოვიარო გვერგვი - ახალი წელიწადის რაჭულ-ლექსუმური სიმბოლო, თავისი ფუნქციით დასავლურქართული ჩიჩილაკის (იხ.), ზემო იმერული „აბრი პურის“ (იხ.), ქართლური აბრამიანის (იხ.), კახური საკვლეველის (იხ.), ჯავახური „საახალწლო ტაბლის“ (იხ.), აღმოსავლეთ საქართველოს მთიულთა „საკვლევარის“ (იხ.), სვანური დიდჯვრიანი ბედის პურის ანალოგია. მზადდებოდა შემდეგნაირად: ახალი წილის წინა დღეს, მწუხრზე, ოჯახის უფროსი მამაკაცი ვენახში ცხრა ძირ ვაზს თითო რქას შეაჭრიდა და ერთმანეთს წრიულად შეაგრეხდა, თავებს მანულის წეპლით დაუმაგრებდა და შუაგულში „ჯვრის სახედ“ ჩაუყენებდა თხილის პატარა ჩიჩილაკებს, რომლებიც კიდიდან ცენტრისკენ ისე იყო ათლილ-დაბურბუბული, რომ გარემომცველ რგოლს შიგნიდან სხივებივით ეფინებოდა. ამ ჩიჩილაკების წვერწამახულ ნაშვერზე ქალები, რომლებსაც სამკლოვიარო გვერგვის მორთვა ევალებოდათ, წითელ ვაშლებს წამოაცვამდნენ. წრიული გვერგვის ირგვლივაც შემოაყოლებდნენ და ზედაპირზეც დაალაგებდნენ ბზისა და ბაძგარის მარადმწვანე ფოთლოვან რტოებსა და თხილის „კვირხილს“. ასე გაწყობილ გვე-

რგვზე დადებდნენ დიდ ჯვარდასახულ განატეხს - „სამკლოვიარო საოჯახო ტაბლას“, რომელზედაც ღორის მოხარშულ გულ-ღვიძლს (ლექსუმი), ბეჭს (რაჭა), ჯამით თაფლს, ჯამით პურის ან ღომის მარცვლებს, ორ ცალ კვერცხს, ე. წ. „საწლოს“, ტკბილეულს მოათავსებდნენ (ლექსუმურ გვერგვზე ტყვიაც იდო). მორთულ გვერგვს ოჯახის ხვალინდელი მეკვლე - „მაკვრიელი“, რომელიც, როგორც წესი, ოჯახის უფროსი მამაკაცი იყო, ბელელში შეინახავდა (ზოგან საფუარზე დებდნენ) და გვერდით ღოქით ღვინოს მიუდგამდა. მაკვრიელი მეორე დილით, „ჩიტის აზვრამდე“ ადგებოდა და „სამკლოვიარო გვერგვით“ ხელში ახალ წელიწადს ჯერ ოჯახს მიულოცავდა (ყველას თაფლს მიუკვლევდა და ეტყოდა: „ასე დატკბა თქვენი სიცოცხლე, ეს ტყვია მოხვდა თქვენს მტერს და ორგულს“), შემდეგ შრამელ-ბურულებს (მარანი, ბოსელი, საბძელი და სხვ.) დაუვლიდა, ვენახშიც ჩავიდოდა და ვაზის „ბარობაზეც“ დაილოცებოდა: „ღმერთო დიდებულო, მამულის ანგელოზო, ლერწი გვიმრავლე და გაგვიხარე. სიკეთეში მოგვახმარე ხარისა და კაცის ნამუშევარი. ნუ მოაკლებ ჩვენს ყანა-ვენახებს ბარაქასა და ნოღავს“. შემდეგ გვერგვიდან ბზისა და ბაძგარის რამდენიმე ღერს გამოაძრობდა და ვენახში მიმოაბნევდა.

სამკლოვიარო გვერგვი ნათლისღებამდე სახლში სახილველ ადგილზე იდო, ნათლისღების ნასადილევს კი საცხოვრებლის სახურავზე შეაგდებდნენ.

3. ბარდაველიძე საკუთრივ გვერგვს, სვანურ გირგელსა (იხ.) და გურული ჩიჩილაკის კალპს (იხ. „ჩიჩილაკი“) ერთ სემანტიკურ წრეში აქცევს და მათ ასტრალურ კულტთან აკავშირებს (მზის ღვთაების ემბლემად მიიჩნევს), ხოლო საახალწლო გვერგვსა და კალპიან ჩიჩილაკს სიუხვისა და ბარაქის სიმბოლურ გამოხატულებად

თვლის. უეჭველია, რომ ჩიჩილაკი გვერგვში და კალპი ჩიჩილაკზე გაძლიერებული ნყოფიერების სემანტიკით არის დატვირთული.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ). თბ., 1941, გვ. 65-76; მ. ალავიძე. ლეჩხუმური ზეპირსიტყვიერება. თბ., 1951, გვ. 126-127; ი. სურგულაძე. ქართული საახალწლო ჩიჩილაკი // ძეგლის მეგობარი. № 36. თბ., 1974, გვ. 53-57; ლ. ფრუიძე. მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით. წიგნი I. რაჭა. თბ., 1974, გვ. 259-260; ფ. ქიქოძე-გარდაფხაძე. რაჭულ დღეობათა კალენდარი // ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი. გვ. 21-22; ფ. ქიქოძე-გარდაფხაძე. ლეჩხუმური ხალხური დღეობები // ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი. გვ. 16-17; ლ. ჭანჭალეიშვილი. საახალწლო დღესასწაული ლეჩხუმში // ეთნოგრაფიული გამოკვლევები. თბ., 1989, გვ. 52-53.

სამკლოვიარო საოჯახო ტაბლა - იხ. „სამკლოვიარო გვერგვი“.

სამონანულო - მიცვალებულის ხსოვნასთან დაკავშირებული ერთ-ერთი თუშური მკვდართ რიგი. წლების გავლის შემდეგ, ჭირისუფალი გარდაცვლილის სულის მოსახსენებლად რომელიმე მარხვაში სამონანულოს იხდიდა. ოჯახს შეეძლო, იგი თავისი რამდენიმე მკვდრისათვის ერთდროულადაც გაემართა. სამი დღით ადრე „მონანულებს დააყენებდნენ“: პირველ დღეს სამ პირს - ორ ვაჟსა და ერთ ქალს ან პირიქით, გაუგზავ-

ნიდნენ ნაკურთხი მარილის პატარა კვინებს, მეორე დღეს ხუთს - სამ ქალსა და ორ ვაჟს ან პირიქით, მესამე დღეს - შვიდს ან ცხრას. მონანულები შუადღემდის მძივრები იყვნენ, მერე იმ მარილის კვინებს შეჭამდნენ და სადილად ჭირისპატრონთან მიდიოდნენ, სამარხვო საქმელს შეჭამდნენ. მესამე დღეს ჭირისუფალი ნათესაობას მოიწვევდა და სამარხვო სუფრას გაუმლიდა.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 126.

სამონველი / სამონელი (რაჭ.) - საქონლის საწმენდი რკინისკბილიანი ხელსაწყო, - სამრველი (იხ. საბა, ღელონ., ქებლ).

სამოსელი - ტანსაცმელი. ძველ ქართულ წყაროებში ტანსაცმლის აღმნიშვნელი ტერმინი. საქართველოს ბარში ტანსაცმლის კომპლექსს ჩასაცმელ-დასახურავს უწოდებენ, აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობა მას ტალავრის სახელით აღნიშნავს. სამოსელი, როგორც ქალის, ისე მამაკაცის ტანსაცმლის აღმნიშვნელია. ზოგან (ჯავახეთი, ქართლი) იყენებდნენ კიდევაც. მაგალითად, პერანგი თეთრი სამოსელია, გრძელი, მუხლის თავამდე... უძველეს ქართულ ნათარგმნ ძეგლებში, ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში, ტანისამოსის ორი ზოგადი ტერმინი გვხვდება: „ქუეშეთი საცუმელი“ და „სამოსელი ზეთი.“ სამოსი და შესამოსელი ნაწარმოებია „შემოსვა“-სგან. შემოსვა გულისხმობს, რომ ადამიანს ყოველმხრივ შემოხვეული აქვს ქსოვილი. სამოსელის, ანუ ჩასაცმელის ნაწილებია თავსაბურავი, ფეხსამოსი და ფეხსაცმელი. სამოსი - ტანსაცმელი იყო დანიშნულების მიხედვით; იყო სადიაცო და სამამიცო, რასაკვირველია, საშინაო

და საგარეო, საქორწილო, თუ სამუშაო, სამგლოვიარო თუ სადღესასწაულო, სოციალური იერარქიის ამსახველი ტანსაცმელი - სამეფო, სადედოფლო, სამონხელეო და მისთანა.

ლიტ.: მასალები საქართველოს შინამრეწველობის..., 1983:167, 205-206; გ. ჩიტაია, შრომები, ტ. IV, 2001:185; ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალ. კულტ., 1962:67-81.

სამოსი, სამოსელი, შესამოსელი, ჩასაცმელი, ტალავარი - (ხევს. ფშ. ხევი) - ქალისა და მამაკაცის ჩასაცმელის ზოგადი სახელწოდება. ძველთაგანვე ცნობილი იყო სადიაცო და სამამაკაცო სამოსელი, თუმცა მათ შორის სხვაობა არცთუ დიდად ყოფილა შესამჩნევი და სახელწოდებანიც საერთო ჰქონიათ (კაბა, ჩოხა, ქათიბი, პაჭიჭი, წინდა და სხვ.). ძველ საქართველოში „მდაბური“-სა და „შეურაცხადი“-ს საპირისპიროდ გვხვდება „პატიოსანი“ და „უმჯობესი“ შესამოსელი. ტანსაცმელი სეზონის მიხედვითაც ირჩეოდა და კვირის დღეების მხრივაც. ეკლესიაში წასვლის ჟამს წამოისხამდნენ ლამაზ ხირდას და ბატონთან მისვლისას კი-ქათიბს. შინ პურის ჭამისას ქუქუნაკი ან ქურქი სცმიათ. ფეხზე საგარეოდ მოიხმარდნენ წითელ ან მწვანე, მაღალ მაძიებს, შინ კი ქოშებს. თუ ჩვეულებრივ დღეებში ჩით-ლაინის ტანსაცმელი ეცვათ, შაბათ-კვირას ატლასის ან სხვა ძვირფასი ქსოვილებისა. ადრეულ პერიოდში არსებობდა წოდებისა და სოციალური მდგომარეობით გამორჩეულ პირთა სამოსელი, თუმცა ფორმისა და მოყვანილობის მხრივ ქართული ჩაცმა-დახურვა სხვადასხვა წოდებაში ბევრი არაფრით განსხვავდებოდა. საქართველოს ზოგიერთი კუთხისათვის დამახასიათებელი იყო სხვადასხვა სტილის ჩაცმუ-

ლობა. მაგალითად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო მამაკაცის ორიგინალური ტანსაცმელი „ჩაქურა“, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში-ხევსურეთში გავრცელებული იყო მამაკაცის დაქარგული ელემენტებით შედგენილი „ტალავარი“. ცალკე იყო ადამიანის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ტყავის ტანსაცმელი-სამკვდელი, რომელსაც მკის დროს იცვამდნენ. ძველთაგანვე ერთმანეთს ემიჯნებოდა საშინაო და საგარეო დანიშნულების ტანსაცმელი. ეს უკანასკნელი დაძველებისა ან მოდიდან გასულობის გამოც საშინაო ხდებოდა. ჩვეულებრივ მიღებული ჩასაცმელიდან გამოყოფილი იყო სარიტუალო ჩასაცმელიც, რომელთა შორის სახელდებოდა როგორც საქორწინო, ისე სამგლოვიარო და მიცვალებულის საფლავში გასატანებელი სამოსელიც. ტანსაცმლის ყოველი ტიპის ერთიან შემადგენლობაში შედიოდა როგორც ზეითი (ზედა) და ქვეითი (ქვედა), ისე საცვლებიც. მართალია, სამოსელის ზოგადი ტერმინებიდან ბოლო დრომდე „ტანსაცმელი“ შემოგვრჩა, მაგრამ მასში იგულისხმება როგორც თავსაბურავი, ისე ფეხსამოს-ფეხსაცმელებიც.

ლიტ.: ი. ჯავახიშვილი, მქემკი, III-IV, 1962.

სამოძიგვე (გლ.) - ვაკე ადგილი, სადაც თივის ზვინებს თავს უყრიან, რომ ზამთარში ზვავებმა არ გაიტანოს.

სამრელო - დედათწესიანი, ანუ ნარევი (უწმინდური) ქალების სპეციალური დროებითი საცხოვრებელი ქოხი ხევსურეთში. ხევსურები სიპი ქვით ნაშენ დაბალ და პატარ ზომის სამრელოებს, რომლებშიც ორიოდ ადამიანი თუ დაეტეოდა, სახლის მახლობლად დგამდნენ (არხოტის ხეობაში სოფელი საერთო სა-

მრელოს აგებდა და მასში ყოველ ოჯახს თავისი ადგილი ჰქონდა გამოყოფილი). სამრელოს წინ შემოზღუდული იყო პატარა ეზო, სადაც მასამრელოე ქალები ხელსაქმობდნენ. ხევსური ქალი დედათწესის მოახლოებისას თავს მაშიშს უწოდებდა, ეს დრო გამოანგარიშებული ჰქონდა და წინასწარ თადარიგს იჭერდა: ოჯახისათვის აცხობდა ერთი კვირის სამყოფ პურს, რეცხავდა, საცხოვრებელს ალაგებდა, სამრელოსაც დაასუფთავებდა, შიგ საფენ-საგებს, სახელსაქმოს, საჭმელს შეიტანდა. სამრელოში მყოფი ქალი ოჯახში ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევიდოდა, რადგან, მისი რწმენით, ჯვარი (ხატი) გაჯავრდებოდა და ოჯახს გაუნადგურებდა. როცა ქალიშვილი სამრელოში პირველად შედიოდა, მას მეზობლის ქალები საკვლევი ძღვენით - ქადისკვერებით - მოიკითხავდნენ. დედათწესის შეწყვეტის შემდეგ, მირეული (ნარევი) ქალი სამრელოში თავის კუთვნილ ადგილს დაასუფთავებდა, ტანს დაიბანდა, ძველ სამოსს იქვე დატოვებდა და ახლობლების მიერ მოწოდებულ ტალავარს (ტანსაცმელს) ჩაიცვამდა, შინ წასაღებს კი გარეცხავდა და გაბერტყავდა (გაწკეპავდა); სამრელოდან გამოსული დადამებამდე შინ ვერ შევიდოდა. იგი მეცხრე დღემდე სახლის ჭერხობში და ბანზე ვერ ავიდოდა, ვერც ხატის მამულში გაივლიდა.

მესამრელოე ქალების მოვალეობას შეადგენდა „მექობე“ (იხ. „ქობი“) მიცვალებულის გაპატიოსნება, მისი შემოსვა და დასაფლავება.

ლიტ.: ს. მაკალათია. ხევსურეთი. თბ., 1984, გვ. 180-181.

სამრისხველო სამანი - აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავ-ხევსურეთში, ხევში, მთიულეთსა და გუდამაყარში) გავრცელებული „ხის ან ქვის მოკლე

ბოძი, მიწაში ჩასობილი ვისამე სარისხავად, დასაწყევლად“. ხევში დადასტურებული მასალა მოწმობს, რომ სათემო ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებით მიწაში ჩადგმული სამრისხველო სამანი მიზნად ისახავდა პრეროგატივა-პირველობის მცდელობის მქონე ოჯახების, ზოგჯერ მთელი გვარის იზოლაციას. მთიულეთში სოფლის წინაშე ჩადენილი დანაშაული მტრობის ტოლფასი იყო, ამიტომ ამის შემოქმედს ხალხი და დეკანოზი სამრისხველო სამანს ჩაუსვამდა. ხევის მსგავსად, მთიულეთშიც სამანი სოფლიდან მოკვეთის, დარისხების, დაწყველის, ამოწყვეტის სურვების ნიშანს წარმოადგენდა. მოკვეთილს დეკანოზი დაწყველიდა, რასაც სოფელი ეთანხმებოდა. მ. კედელაძის მიერ სამრისხველო სამანის თაობაზე მთიულეთში დაფიქსირებული მონაცემებიდან განსაკუთრებულ ინტერესს სოფ. ნადიბანის ცეცხლისჯვრის სალოცავში არსებული სამანის ისტორია იმსახურებს: სათემო სალოცავის - ცეცხლისჯვრის - „კულუხის“ გადახდა ეკისრებოდათ კეკიშვილებს, რომელთაც თემის გაძღოლაში მონაცვლეობით სხვა გვარებიც შველოდნენ. მაგალითად, ჯერ სოფ. სეთურებიდან კაცი თავისი ხიზანით მოდიოდა, შემდეგ სოფ. გოგნაურიდან და ა. მ. გოგნაურიდან ჯერ კედელათ ბანძულა ყოფილა, რომელსაც კვლავ გოგნაურელი ოგბათ თადილა შენაცვლებია. ამ უკანასკნელს დაუკარგავს ცეცხლისჯვრის კურატი, რომელიც ქსნელებს (თეზელაანებს) მოუპარავთ და დაუკლავთ. თეზელაანები ძალიან აშარი ხალხი ყოფილა, მათთან შიშით ვერავინ მიდიოდა. კურატის ქურდებთან მხოლოდ ძალგულოვანი ოგბათ თადილა ჩასულა და დაკარგული საქონელი მოუკითხავს. თეზელაანებს იგი აუგად მიუღიათ - ქურდობას გვაბრალებსო, და უცემიათ, ერთი წლის ავადმყოფობის შემდეგ კი გარდაცვლილა. ამის გამო თემს საბოკრაყის (დროშის სა-

ბრძანი კოჭი) წინ სამრისხველო სამანი - კუთხოვანი მატალი ბასრი ქვა - ჩაუსვამს და თუზელაანები ერთხმად დაუწყევლია. წყევლა ხატს შეუსმენია, და მათი დიდი ნაწილი სახადით ამოუწყვეტია; გადარჩენილები ამოსულან და სამრისხველო სამნის ამოღება უთხოვიათ. ხალხი დათანხმებულა, მაგრამ ხევსბერს - ოგბათ გიორგას - თანხმობა არ მიუცია და უთქვამს: ჯერ კაცის თავი მიზღონ და მერე სამნის ამოღება ითხოვონ. - ხალხს ხევსბერისთვის წინააღმდეგობა ვერ გაუწვია, თუზელაანი კი დაურიგებია: - კლოვ კლოვ გადმოდით, წამოიყოლეთ კურატი, პურ-საჭამანდი და სამელი. ხატის კარზე მოყვანილ სამსახურს (საკლავს) და სამხვეწროდ მოტანილ საჭმელ-სასმელს ხატის ხათრითა და შიშით ხევსბერი უკან ვედარ დააბრუნებს და სამანს ამოვაგდებთო. თუზელანები ასეც მოქცეულან და გიორგობა დღეს ხატში საკლავითა და დიდძალი ხორაგით მოსულან. ოგბათ გიორგა იძულებული გამხდარა მთხოვნელების ნებას დაჰყოლოდა, მხოლოდ იმ პირობით, რომ სამრისხველო სამანი თავად მათ ამოეგდოთ და არა ერთობლივ თემს. სამანი თუზელაან ორ ძმას ამოუგდია, შემდეგ კი დახოცილან. „ამით თუზელაანი მთლად გათავდნენ და მათი სახლების ნაყავრალებია დარჩომილი... იმიტომ დაიხოცნენ, რომ სამანი იმათ კი არ უნდა ამოეგდოთ, არამედ მთელს თემს უნდა თითო-ოროლა ქარჩის დაკვრით მოეთხარა, მემრე საბელი მება და საბელისათვის ყველას ხელი მაეკიდა და ისე ამოელო მიწიდან. სამნის ამოღების დროს მეტი ხვეწნა-ვედრება უნდა შეესრულებინა ხალხს, რაც ჩასმის დროს. ეს რომ ასე არ გაკეთდა იმიტომ ამოწყდნენ თუზელაანი... არც ხალხისთვის არის კარგი სამნის ჩასმა... არც ამოგდება ვარგა... თემს რომ ამოეგდო ეს სამანი, შეიძლება თუზელაანთ რაიმე ჰშველებიყო, მაგრამ რაკი თვითონ ამოაგდეს, იმით თავს კი არ

უშველეს, თავის თავი დაღუპეს. ხევსბერმა ოგბათ გიორგამ ეს ყველაფერი კარგად იცოდა და ამიტომ უთხრა თუზელაანთ: „სამანი თქვენ თვითონ ამოაგდეთ“.

ლიტ.: მ. კანდელაკი. სამანი საქართველოს მთიანეთში // ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მტუდიები (1988). თბ., 1991. გვ. 47-89; მ. კედელაძე. სახატო მიწები მთიულეთში. ნაწ. III, 1949 (ინახება ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში); ა. მოჩხუბარიძე (ყაზბეგი). მოხვევები და მათი ყოფა // დროება, 1880, № 7; ქართული დიალექტოლოგია. I. თბ., 1961, გვ. 563.

სამსახური - ცხვრის, ბატკნის და სხვა წვრილფეხა სამსხვერპლო შესაწირავის ზოგადი სახელი ხევსურეთში.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია) // მიმომხილველი. I. 1949, გვ. 128.

სამტკიცე - წმინდად მოქსოვილი საცერი. სამტკიცით გაიცრებოდა სარიტუალო პურ-ნამცხვრის ფქვილი.

სამუხველი (რაჭ.) - აბრეშუმის ძაფის ამოსახვევი ორი მტკავლის სიგრძის ორკაპი ჯოხი (იხ. ბერ. სამუხელი, ქეგლ: სამუხოველი, ძოწ., გაჩ.: სამუხველი).

სამძახის დაკვეთა - დასჯის ხევსურული წესი, რომელიც დანამაულში (სამარცხვინო საქმე, ბრძოლის ველის მიტოვება, ღალატი, ქალ-რძალში რაიმე „უკუთვნილო საქმის“ ჩადენა და სხვ.) ეჭვიტანილი პირის მიმართ რიგი მკაცრი ზომების განხორციელებას ითვალისწინებდა და სათანადო რიტუალით იყო თანხლებული. თუკი ვინმე საქვეყნო სამა-

რცხვინო საქმეს ჩაიდენდა, თემი შეიკრიბებოდა და სამძახს უკვეთავდა: დაკლავდა საკლავს, დაარისხებდა მათ, ვინც დამნაშავეს ქალს მიათხოვებდა, ან მისთვის შუაკაცობას გასწევდა. სამძახდაკვეთილი შეიძლებოდა ყოფილიყო ერთი კომლი ან უფრო დიდი ნათესაური გაერთიანება (მაგ., მამა). რამდენადაც დასჯის ეს წესი დანაშაულზე კოლექტიურ პასუხისმგებლობასაც გულისხმობდა, სამძახდაკვეთილებთან დამოყვრებას (საქორწინო კავშირის გაბმას) ვერავინ გაბედავდა. სამძახდაკვეთილობა, ყველაზე მცირე, ერთ თაობაზე მაინც ვრცელდებოდა, შემდეგ კი კაც-შუაკაცის ძალით და ჯვარში საკლავ-შეხვეწნით სამძახი უნდა აეხსნათ.

ლიტ.: მ. კანდელაკი. სამანი საქართველოს მთიანეთში // ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მტუდიები (1988). თბ., 1991, გვ. 68; ა. ოჩიაური. 1948-1951 წწ. მასალები. რვ. 4. (ინახება ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში).

სამწყალობნო სამანი - კეთილი, წმინდა საქმის აღმსრულებლის სახელზე სალოცავთან ახლოს ან სამახსოვრო ადგილზე მიწაში ჩასმული ქვის სამანი (იხ.), დადასტურებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. გადმოცემის თანახმად, მთიულეთში, ცეცხლისჯვრის სალოცავში, „წინათ ოქროს ორი კონჩხა ჰქონიათ. ისინი ვიღაცას მოუპარავს, ბევრი უძებნიათ, მაგრამ ამაოდ - ქურდს ისინი გორში სომეხი მიკიტნისათვის მიუყიდნია. ხალხს დაუნახავს, რომ ეს ნივთები უყიდა ვინმე გარაყანიძეს. თასზე ეწერა: „თავს-ხადა ცეცხლიჯვრისა ვარ“. აუღია ამ გარაყანიძეს ეს თასი, აუტანია თავ-ხადას (სოფ. შარუმთან), სადაც ცეცხლისჯვარი იყო, მისულა ცეცხლიჯვრის ეკლესიასთან, ოქროს კონჩხებთან ერთად ყველაფერი იქ აუტანია და

სოფ. შარუმთანთან ერთად სხვა ხალხიც დაუპატიჟნია. უამბნია სად და როგორ იყიდა ხსენებული კონჩხები (თასები). მაშინ მთიულესს სამწყალობნო სამანი ჩაუსვამთ იმ გარაყანიძისათვის, რომელიც დღემდე არსებობს და ყოველი დღესასწაულის დროს ცეცხლისჯვარში ამწყალობნებენ: - „სული იმისა უცხონოს, დამრჩონი უმრავლოს“ (მ. კედელაძე).

ზემოაღნიშნული სამნის სახეობას წარმოადგენს ფშავში - „სამახსოვროს“, ხევსურეთში კი - „სამწყალობნოს“ სახლით ცნობილი ქვები - საგმირო ანუ სამახსოვრო საქმის მოსაგონარი სამნები. ბესარიონ გაბუურის თანახმად, „ხევსურეთში ძველ მეომართ ახლადაც რჯულად ას: თუ ხმლით შულღში მოკლულ კაც ფეხადმ დაეყუდ, მაშინ შულღ აღარ შაიძლების. მაშინ ღმერთს შამწვდარი-ას. მაშინ ჩაუგავ ხმალ ქალუნდაურს, უთქომ დამრჩალ ზურაბის ჯართად (ზურაბ არაგვის ერისთავი): - მშვიდობით, ხელ მაგიმართასთ! ღმერთ აღარ მამც მეტის ხოცის ნებაი - და ამობრუნვილ ნაომარში, გზის პირში, სამან ჩაუდგავ, უთქომ: - ვინც ჩემ სიკვდილიდგეს ამაზე მგზავრ აივლ-ჩაივლის და ვინაც სამანთან სამს ყანწს არყიანს არ დაღლოცავს ამ ჩემის ხმლის ცოდვა უკიდას, რაც ჩემ ხმალს ცოდვა უქნავ და კაც მაუკლავ“. ამ სამწყალობნო სამნის თაობაზე ჩაწერილია ხალხური ლექსი:

თან მოჰყვნენ ქალუნდაურსა
მამუკას შუქნი მზისანი,
ბეკენგორ ქალუნდაურმა
სამანი ჩადგა ქვისანი,
ვინც ეგენ გარმომიყარნას,
ციდან მოჰკიდა ხმლისანი.

ფშავში, ლაშარის გორზე, მრავალი კეთილმოსაგონარი ამბის აღმნიშვნელი სამანია ჩასმული. მათ შორისაა: გარა თურ-

მანაულის, სულმელჯი წოწკოლაურის, თადიურის და სხვათა მოსახსენებელი სამნები. აქვე უნდა ითქვას, რომ ფშავში „სამახსოვრო“ სამანთა კატეგორიაში თავმოყრილია როგორც „კეთილი“, ისე „შესაძლო ბოროტი“ განზრახვის თავიდან ასაცილებელი სამანი. ასეთი სამახსოვრო სამანი ლამარში მიცულ ქისტებსა და ფშავლებს შორის არის ჩასმული. გადმოცემის თანახმად, ქისტები ფშაველთა ცხენებსა და ცხვარ-ძროხას იპარავდნენ, რის გამოც ფშავლებს მათთვის ფშავლის ჭალაზე გავლა აუკრძალავთ, ვიდრე მიცული ქისტები ფიცს არ დადებდნენ. სათანადო ფიცის შემდეგ ლამარის ჯვარში ჩაუსვამთ სამანი, ზედ ხარი დაუკლავთ.

ლიტ.: მ. კანდელაკი. სამანი საქართველოს მთიანეთში // ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მტუდიები (1988). თბ., 1991. გვ. 47-89; მ. კელელაძე. სახატო მიწები მთიულეთში. ნაწ. I, 1949 (ინახება ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში); ვ. კოტეტიშვილი. ხალხური პოეზია. თბ., 1961, გვ. 257; ბ. გაბუური. ხევსურული მასალები // წელიწდული. I-II. თბ., 1923-1924, გვ. 160.

სამჭყუპა / სამჭყუპალა (რაჭ.) - ერთ ყუნწზე გამობმული სამი ნაყოფი. სამჭყუპალა კაკალი. (მდრ. გაჩ.: სამჭყოპალა).

სამხელი შალაშინი (რაჭ.) - შალაშინი, რომელსაც სამი სახელური აქვს. ორი კაცი ხმარობს.

სანათლავი / მუჭათ სანათლავი / ჯელ-მჭრის სანათლავი - 1. ადამიანის, სახლისა და ყველა „მირეული“ (გაუნძინდურებული) საგნის განათვლის მისტიკურიასთან (იხ. „სისხლით განათვლა“) დაკავშირებული სამსხვერპლო საკლავი (უპირატესად, ცხვარი);

2. აქიმისთვის (ხევსური ტრავმატოლოგისთვის) ავადმყოფის ოჯახის მიერ გადახდილი მკურნალობის საფასური - ბატკანი ან ცხვარი, რომელსაც, მკურნალობის დაწყებამდე, ხევსბერი აქიმის სახლში დაკლავდა და მკურნალს განათლავდა.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია) // მიმომხილველი. I. თბ., 1949, გვ. 126-127; ნ. მინდაძე. მთიული დასტაქრები // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XIX. თბ., 1978, გვ. 120.

სანაკვეთო ყანწი - (ხევს.) - ბოლო ყანწი, რომლითაც მასპინძლის სახლში სტუმარი არაყს სვამდა. სანაკვეთო ერქვა იმიტომ, რომ მისი დაღვების შემდეგ მეტს აღარ დაღვდა. ლიტ.: ალ. ოჩიაური, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, 1980.

სანამალეო - გათხოვილ ქალთა რაჭული წეს-ჩვეულება; სრულდებოდა სახლის ანგელოზის სახელზე ყველიერის ხუთმაბათს (შიოობას. იხ.) ოჯახის გამრავლების მიზნით. სადილის შემდეგ, სახლიდან დაითხოვენ რა მამაკაცებსა და ბავშვებს (წინააღმდეგ შემთხვევაში ამ უკანასკნელებს თვალეები ასტკივდებათ), „ნაგვირგვინევი“ ქალები აიღებენ განატეხს (კვერს), ღვინოს, საამდლისოდ დაკლული ცხოველის ასოს და სახლის ანგელოზს ოჯახის გამრავლებას ევედრებიან; კვერებს კი მალულად შეჭამენ. სოფ. ჭიორაში სანამალეოს „არვარგიას“ უწოდებენ.

ლიტ.: ს. მაკალათია. მთის რაჭა. თბ., 1987, გვ., 75-76; მ. ძიციგური. მთარაჭული // ძიებანი

ქართული დიალექტოლოგიიდან. თბ., 1954, გვ. 213.

სანამგვლე - სისწვნის (იხ.) საწურავი ხელსაწყო აკვნის ფორმისა, ძირგამოწნული, რომელშიაც ყარტი - წნელები და ჩალაა ჩაფენილი. სისწვნის გაწურვის შემდეგ სანამგვლეში რჩება ნამგოლი (იხ.)

სანაჟურე - თიხის მოზრდილი ჭურჭელი, რომელშიც აგროვებდნენ მორჩენილ ღვინოს.

სანარწყავი - ადგილი ბოსლის ზღვესა და ზღვეს შუა, სადაც დაგებულია ფილაქანი, ხოლო თუ ზღვე ერთია, სანარწყავი მაშინ ზღვეს ბოლო ადგილია, სანარწყავში ზღვეებიდან იწრიტება საქონლის შარდი, იხვეტება ნეხვი... „ხბო სანარწყავში იხარშება“. ხევსურულად „სანერწყელი“ ჰქვია (ს. ქეთელ.).

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

სანაყი, როდინი (*ქართლი, იმერ., სამცხე-ჯავახ.*), ფილი (*კახ.*), ქვიჯა, ქვეჯა, ჩუგა (*გურ.სამეგრ.*), სანივრია, ყუნჭი (*ხევს.*) - როგორც მეტალის, ასევე ხისა. საქართველოს სოფლებში ძირითადად ხის სანაყები იყო გავრცელებული. სანაყები მასში ჩასანაყი პროდუქტის შესაბამისად იყო სხვადასხვა მოყვანილობის. ჩვეულებრივი ზომის სანაყი-როდინები ფართოდაა გამოყენებული სამზარეულო საქმიანობაში. იგი წარმოადგენს მაგარი ხისგან გაკეთებულ წელვიწრო და ფართოპირიან ჭურჭელს, რომლის ძირი მყარია და მასიური, ხანგრძლივ ნაყვას რომ გაუძლოს. სანაყის პირში იყრება დასანაყავი პროდუქტი და ინაყება ხელში კარგად ჩასაბღუჯი ბუნებრივი მოგრძო რიყის ქვით ან ხის კაკვით. სანაყი პრეისტორიული ხანიდან გამოიყენებოდა მარცვლეულის დასაქუცმაცებ-

ლად, რომელმაც შემდეგ განვითარება პოვა დიდი ზომის საცეხველებში.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

სანახი, სელი - კანაფის გაძენძილი თოკი, რომელსაც ხევსურები ხმარობდნენ ჭრილობის მოსაბანად და საფენად. მარილწყალში დაალობდნენ და ჭრილობაზე დაადებდნენ, რაც აჩერებდა სისხლს, ახდენდა დეზინფექციას, მარილი კი კუმშავდა ჭრილობას. მარილიანი სელის ამოღების შემდეგ ექიმი ჭრილობას „კარაქმდნარით“, ერბოთი ან თაფლით გაპოხილი გაჟღენთილი სელით გატენიდა. ექიმი სელს ჭრილობაში ორი-სამი დღით დატოვებდა და შემდეგ ამოიღებდა. ლიტ.: ნ. მინდაძე ქართული ხალხური მედიცინა. 1981.

სანახველა (რაჭ.) - ადგილი, სადაც ბოსლიდან დაგვილი ნაკელი იყრება და გროვდება, _ სანეხვე, სანაკელე. ნეტავი ბედი მამცაო და სანახველაზე დამსვაო. (იხ. ქავთ. I: სანეხველა, ძოწ., მაისურ.).

სანახშო (რაჭ.) - სასაუბრო ადგილი (იხ. ძიძ., ქართ. დიალექტ., 687).

სანდალი - ქალის, კაცის, ერთგვარი ფეხსაცმელი. ის შედგებოდა მხოლოდ (ხის ან ტყავის) ძირისაგან, რომელიც ფეხზე თასმებით იყო მიმაგრებული: „რომელსა ესხნენ სანდალნი“ (მრ. 6,9).

ლიტ.: ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, 1986:512.

სანდალი - ლაზური აფრებიანი ხომალდი, რომლის აგების ტრადიციები XIX ს. ბოლომდე შემორჩა ლაზეთის მოსახლეობაში. დაახლოებით 35-40 მეტრის სიგრძის ხომალდია, რომელსაც რამდე-

ნიმე ათასი ფუთი ტვირთის გადატანა და სამასამდე კაცის გადაყვანა შეეძლო. ჰქონდა ორი ანძა (იშვიათად სამანძიანიცაა), სანდალას კიჩოზე საგანგებოდ ყრიდნენ ქვებს ცხვირი რომ აეწია და სწრაფად ეცურა.

ლიტ.: კუტალეიშვილი, ზღვა-ოსნობა საქართველოში, 1987.

სანერბიელო (ხევს.) - მიცვალებულის ხსოვნასთან დაკავშირებით გამართულ დოღში მონაწილე მხედრისა და მისი ცხენისთვის განკუთვნილი ხავიწის გულიანი ქადა (ერბოთი მოზელილი ფქვილის ცომისგან გამომცხვარი პური). ხევსური ჭირისუფალი იმდენ ქადას აცხობდა, რამდენი მონაწილეც იყო დოღში. მხედარი სანერბიელოს ორად გაჭრიდა, ნახევარს თავად დაიტოვებდა, ნახევარს ცხენის „გამკეთებელს“ (ქალი, რომელმაც ცხენის ფაფარი ჩამოწნა და ფერადი ნაჭრებით შეამკო) მისცემდა. თუ ცხენი სხვისი იყო, მხედარს მხოლოდ პურის მეოთხედი დარჩებოდა, მეოთხედი - ცხენის პატრონს, ნახევარი კი - „გამკეთებელს“.

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940, გვ. 25; ალ. ჭინჭარაული. ხევსურული თავისებურებანი. ტექსტებითა და ინდექსით. თბ., 1960, გვ. 213; დ. გიორგაძე, ერთი ტრადიციული ჩვეულება აღმ. საქართველოს მთიანეთში, ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. II, 2003.

სანთელსაწვავი - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული თუშური წეს-ჩვეულება: ოჯახის წევრის გარდაცვალებიდან ორმოცი დღის გასვლის შემდეგ ჭირისპატრონი ახლო ნათესავებს მოიწვევდა, გლოვის ნიშნად მოშვებულ

თმა-წვერს შეაკრეჭინებდა. სასაფლაოზე არ გადიოდნენ, ეზოში ფლასს გამოიტანდნენ და ქალები ტირილს გამართავდნენ; ეზოშივე გაშლიდნენ მიცვალებულის სულის მოსახსენებელ სუფრას; „პირისმკრავებს“, ე. ი. იმათ, ვისაც აქამდე ხორცი არ ეჭამა, საკლავის ღვიძლის მოხარშული ნაჭრით „პირს ახსნევიდნენ“.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 114.

სანთური - აღმოსავლური სიმებიანი დასარტყმელი საკრავი. ტრაპეციის ფორმის ხის კორპუსიანი, რომელიც ერთმანეთთან მიწებებული ფირფიტებით კეთდება. ტრაპეციის ფუძის გვერდების სიგრძეა 73 და 32სმ, სიმაღლე 27 სმ, გვერდების სიგანე 12 სმ. ზემოდან გაკეთებული აქვს სარეზონანსო ნახვრეტები, განლაგებული ვარსკვლავისებურად. სიმები ლითონისაა და გაბმულია ტრაპეციის ფუძის პარალელურად. სიმები ერთ, ორ და სამგუნდიანია. თითოეულ ჯგუფში შემავალი უნისონურად იწყობა. სიმების ჯგუფები ეყრდნობა ჯორაკებს, რომლებსაც გადააადგილებენ საჭიროების მიხედვით. სიმების რაოდენობაა 16-დან 24-მდე, წყობა ქრომატიული. დიაპაზონი ორ ოქტავამდე. აქლერება ხდება ხის მსუბუქი ჯოხების სიმებზე დარტყმით. დაკვრის დროს საკრავი უღვეთ მუხლზე ტრაპეციის დიდი ფუძით მუცელზე მიყრდნობილი. სანთური გამოიყენება სოლოდ, მაგრამ, როგორც წესი, იგი საზანდარის - აღმოსავლური ინსტრუმენტული ანსამბლის მონაწილეა. სანთური გავრცელებულია აღმოსავლურ ქვეყნებში, საქართველოში, კერძოდ, თბილისში, შემოვიდა საზანდართან ერთად.

ლიტ.: დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკა, ქუთაისი, 1925.

სანიჭარი - 1. ქორწილში შესაწევარი. 2. საერთოდ შესაწევარი, საბოძვარი. 3. (მესხ.) შრომითი დახმარება გასამრჯელოს გარეშე (უკაცო ოჯახისათვის, რაიმე უბედურებისა თუ სხვა გაჭირვების შემთხვევაში, ოჯახის უფროსის ავადმყოფობის დროს და სხვა). თუ ოჯახი მუშახელისა და გამწევი ძალის უქონლობის გამო ვერ ერეოდა რომელიმე საშურ საქმეს (მოსავლის აღება, გადაზიდვა და სხვა), მღვდელი გადასძახებდა სოფელს და შეატყობინებდა ამის შესახებ. „წინაპირი“ ხალხი სასწრაფოდ შეიკრიბებოდა და მოეხმარებოდა ოჯახს ამ სამუშაოს შესრულებაში (ს. მუსხი). ოჯახი, რომელსაც ეხმარებოდნენ, შეძლებისდაგვარად უმასპინძლებოდა დამხმარეებს. თუ სანიჭარი ძალიან გაჭირვებულ ოჯახს ეხმარებოდა, ყველა მონაწილე აგროვებდა სანოვაგეს და თვითონვე აწყობდა ვახშამს. შრომის ორგანიზაციის ეს ფორმა იგივეა, რაც სამადლოდ დახმარება (ერწო-თიანეთი), შებრალებით შველა (მთიულეთი), შემწეობა (გურია), შენწოობა (სამეგრელო).

სანწკელო (მეგრ.) - მეგრული ლოცვა ქვევრთან; იხდიდნენ შემოდგომით. აღნიშნული სალოცავის სახელობაზე მარანში ქვევრი ჰქონდათ ჩაფლული. საამდღისოდ აცხობდნენ ლავაშის ფორმის პურს, რომელსაც ქვევრთან გობით მიდგამდნენ, სანთელს აანთებდნენ და დაილოცებოდნენ: „მადლიანო მაცხოვარო წკნელ, შენი წყალობა მოგვეცი მე, ჩემს შვილიშვილს და შთამომავლობას“ (მარდიან მანცხვარ წკნელ, სქან ტიბინი ქომუჩით მა, ჩქიმ მოთასი დო გამნაჭყამს).

ტერმინი და სალოცავის დანიშნულება გაურკვეველია.

ლიტ.: ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 321.

საოსტიგნე - სამზარეულო, სასადილო სახლი ან ოთახი ბერმონაზვნურ კომპოზიციაში. ხშირადაა მოხსენიებული ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში, მოგვიანებით მასთან ერთად დამკვიდრდა „სატრაპეზო“.

საოფლე, სარბილობელი - ცხენის აკაზმულობის ნაწილი. ნაბადი. ეფინება უნაგირის ქვეშ შიშველ ზურგს ცხენის შეკაზმვამდე, ოფლის შესაშრობად და ცხენის ზურგის დაზიანებისაგან დასაცავად.

საოშუალო, ოშუალე - ჰორიზონტალური დაზგის ტიპი. შედგენილი იყო ოთხ-ოთხი ლატნით შეკრული ოთხი ბოძისგან. ზევით გადებულ ჯოხზე ჩამოკიდებული იყო ზინგი (დგიმი) და სავარცხელი. ზინგზე გამობმული იყო ორ-ორი თოკი. ქსოვისას თოკებზე, ფეხის გამოდებით, ძაფები თანმიმდევრობით ზევით და ქვევით აიწევ-დაიწეოდა. შესაბამისად მაქოც, ძაფების განსწილ პირში მარცხნიდან მარჯვნივ და პირიქით იქნებოდა გატარებული. სავარცხლით ჩაბეჭილი ნაქსოვი თანდათან ეხვეოდა მრგვალ ჯოხზე. „ოშუალეზე“ იქსოვებოდა აბრეშუმის, შალის, ბამბის, სელის ქსოვილები. გამოთქმულია ვარაუდი, რომ „ოშუალეზე“ სელის ქსოვა, კოლხური სელის ქსოვის ტრადიციებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, რის შესახებაც ცნობებს გვაწვდის ისტორიის მამა - ჰეროდოტე.

ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი, ქართული ხალხური საქსოვი დაზგები, სსმმ, XVIII-B, 1954.

საოცრის მყენე - ადამიანის თანამდევი სული ხევსურულ მითოლოგიაში. ხევსურის რწმენით, საოცრის მყენე, რომელიც ყოველ ადამიანში ბუდობს, წარმოშობს და განაგებს მის განცდებს, წინაგრძნობებს, სიზმრებსა და მოჩვენებებს,

დალანდულს ძილში თუ სიფხიზლეში, დღის ნათელში თუ ღამის წყვდიადში. საოცრის მყენე ხშირად გაიგივებულია კაცის მცავ-მფარავ, ანუ კაცზე მდგომ-მავალ ანგელოზთან. ასეა იგი წარმოდგენილი ხუცობათა ტექსტებშიც. ვ. ბარდაველიძის ვარაუდით, საოცრის მყენე ოდესღაც გულის პერსონიფიკაციას წარმოადგენდა.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია) // მიმომხილველი. I. 1949, გვ. 132-133.

საპალნე - 1. საზომიერთეული. XIX ს-ის მასალებით იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში საპალნის ოდენობა 8-10 ფუთს შეადგენდა (დაახლ. 147 კგ). უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა საპალნე განსხვავებული ზომის იყო. ცხენის, ჯორისა და ხარის საპალნე თითქმის ერთი სიდიდის იყო, ვირის საპალნე კი მათზე 2-2,5-ჯერ ნაკლები. ლიტ.: ჯ. სონდულაშვილი, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის. გ. ჯაფარიძე, ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1974. 2. ტვირთი, პალანზედ ასაკიდებელი. ქართულად ნიშნავს ნაკს, კეხს, უნაგირს. ფართოდ იყო გავრცელებული მახლობელ და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. სიტყვა პალანი პირველად მოიხსენიება დაბადების ქართულ თარგმანში აქლემთან დაკავშირებით. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, საპალნე თავდაპირველად აქლემის ტვირთის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა ყოფილიყო, შემდგომში კი ყოველგვარი სახედარი საქონლის ტვირთის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა. თბილისსა და მის შემოგარენში, XIX ს-ში, საპალნეში 336 ჩარეუს, ანუ 42 ჩაფ ღვინოს ანგარიშობდნენ (აქაური ჩაფი 8 ჩარეუიანი საწყაო იყო). აქედან ორი ჩაფი შემდგომ დამატებითია. კახეთში საპალნეში 30

ჩაფი ღვინო ჩადიოდა, აქაც ისევე როგორც თბილისში ორ ჩაფს ამატებდნენ და 32-ჩაფიანად ანგარიშობდნენ.

ლიტ.: ჯ. სონდულაშვილი, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის. გ. ჯაფარიძე, ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1974.

საპანე (რაჭ.) - საპალნე, ღვინის საწყაო (უდრიდა დაახლოებით 5 კასრს=10 ფუთს) (იხ. ქავთ. I, გაჩ.).

საპენტი, საპენტელა - ბამბისა და მატყლის საპენტი საშუალება. საპენტელას ხმარობდნენ როგორც დასავლეთის (იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი), ისე აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში (ქიზიყი, კახეთი, ქართლი, მთიულეთი).

ლიტ.: მსხში, ტ. II 1982.

საპირე (რაჭ.) - ტკეჩისგან მოწნული ხარის პირის ამოსაკრავი ლეწვის დროს, რომ პური არ შეჭამოს.

საპირისწამლე - თოფისწამლის (დენტის) სატარებელი ჭურჭელი. მზადდებოდა სხვადასხვა მასალისაგან. ვინაიდან საქართველოში ფითილიანი თოფები არ იწარმოებოდა, შესაბამისად, საპირისწამლეების დამზადების ისტორიაც კაჟიანი თოფების პერიოდიდან იწყება (XVII-XVIII სს.). საპირისწამლეები კეთდებოდა ხის, რქის, თითბრისა და ვერცხლისაგან. ქართულ და კავკასიურ საპირისწამლეებს ძირითადად მოღუნული, რქისებური ფორმა აქვთ, არსებობდა აგრეთვე გულის ფორმიანი საპირისწამლეებიც. დენტის ჭურჭელს აქვს ძვლის ან რქის ხუფი საკეტი, რომელზედაც დამაგრებულია ძვლის საწყაო (ანუ ერთი დოზა დენტის საზომი, განკუთვნილი ერთი გასროლისათვის). გადმოპირქვაავების შემდეგ, რო-

დესაც საწყაო გაივსებოდა დენთით, საკუთით დახურავდნენ ხუფს, რათა ზედმეტი დენთი არგადმოყრილიყო. საწყაოს ზომას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან დენთის დაკლების შემთხვევაში გასროლა არადაამაკმაყოფილებელი იქნებოდა, ხოლო გადაჭარბების შემთხვევაში სავალალოდ დამთავრდებოდა. მეიარაღე ხელოსნები, როდესაც დაამთავრებდნენ თოფის მორთვა-მოპირკეთებას, მისსავე დეკორატიულ გაფორმებას უკეთებდნენ საპირისწამლეებსაც, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა დენთის ჭურჭელი ცალკე მზადდებოდა, მათ ამ შემთხვევაში სადა მორთულობა ჰქონდათ. თოფისა და დამბაჩის საპირისწამლეების განსხვავება, შესაბამისად მათ ზომებში გამოიხატებოდა, ხოლო დამზადების ტექნიკით თითქმის ერთნაირი იყო.

ლიტ.: მ. ქაფიანიძე, XV-XIX სს. ცეცხლსასროლი იარაღი, სამაგისტრო ნაშრომი, 2000.

საქეპავი (რაჭ.) - საგოზელას (იხ.) ფორმის სატკეპნი იარაღია. ზოგან კალოს სატკეპნად ხმარობენ.

სარაჯა (რაჭ.) - ფიჭიანი თაფლი, კიპრუჭი, გოლეული (იხ. ძოწ.: სარაჭა, სარაჯა).

სარაჯი, მეკეხე, მეყაიშე - უნაგირისა და ცხენის საკაზმის ოსტატი, სარაჯებს „მორნიკადაც“ იხსენიებდნენ. ეს რუსული სიტყვაა და ნიშნავს მეუნაგირეს. XVIII საუკუნეში თბილისელი ხელოსნები უხვად ჰყიდდნენ ცხენის აღკაზმულობას, გარდა იმისა, რომ აკმაყოფილებდნენ ადგილობრივთ და მეზობელ სოფლებს, ამარაგებდნენ კავკასიის სხვა ხალხებსაც მთის ჩათვლით და მეზობელ ირანელებს. იონანე ბაგრატიონმა თავის სახელგანთქმულ „კალმასობაში“ აღწერა XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX ს-ის დამდეგის თბი-

ლისის უამრავი ხელოსნური ნაწარმით სავსე ბაზრის სახე: „თბილისური ბაზრის ნახვით დაინტერესებულმა პირებმა... რა წაიარეს მცირე, იხილეს სარაჯები, რომელ სავსე აქვდათ ღუქნები ცხენის იარაღებით მზადა“. სარაჯები ხარაზების ამქართან იყვნენ გაერთიანებული და ცხენის აღკაზმულობის (იხ.) საჭიროების გამო მათი შემოსავალი ხელოსნობის სარფიან დარგს მიეკუთვნებოდა.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

სარეკელა - გრძელი ჯოხი დამაგრებულია ხვიმრაზე, ნაზზე(ხევს.), ბოლოთი ებჯინება წისქვილის ზედა ქვას, რომლის მოძრაობის დროს ჯოხი ხტუნაობს და ხვიმრიდან, ნავიდან მარცვალი იყრება წისქვილის ქვის შუაგულში. ლიტ.: მსხში, ტ. IV, 1976.

სარეცელი (ძვ.) - საწოლი, საგებელი. „ცხედარი ითქმის შიშველი საგებელთაგან, ხოლო სარეცელად დადგმული და გარდაგებული“ (საბა).

სარეჯი (რაჭ.) - ფიჭა. სარეჯს სამთლისგან აკეთებენ. იმას ნასვრეტები აქ და იმაში ასხამენ თაფს სკი ბუზები (იხ. ბერ.: სარაჭი, სარაჭა; გაჩ.: სარაჭი, სარაჯა).

სართაულა (რაჭ.) - მარხილის, თავკავის (იხ.), ურმის ნაწილია, მაგარი ხის ლარტყა, რომელსაც ორივე ბოლო გახვრეტილი აქვს და ჩამოცმულია კოჭებზე. მარხილს ორი სართაულა აქვს _ წინა და უკანა. უკანა წინაზე ცოტა უფრო გრძელია. სართაულეებზე ეწყობა შეშა თუ სხვა ტვირთი.

სართვი (რაჭ.) - სართვიანში (იხ. სართვიანი) ჩასადები გული: ლობიო, ბა-

რდა, ხაჭო, ყველი, ერბო, კაკალი და სხვ. (იხ. ქართ. დიალექტ., 688).

სართვიანები - ზოგადი სახელი ისეთი ტიპის ნამცხვრებისა, რომელთა შიგთავსია ყველი, მხალი, ლობიო, ქონი, ნიგოზი, კარტოფილი, ხორცი, სოიო და სხვ. აქედან ყველაზე გავრცელებული იყო ხაჭაპური, ლობიანი, მხლოვანი, ქონიანი, ნიგვზისგულიანი, ბაჭულები, კოტორი, კუბდარი, ჭვიშტარი, ფეტღვიარი და სხვ. ზოგიერთ ასეთ ნამცხვარს გამოკვეთილი მაგიური დანიშნულება ჰქონდა და მასში წმინდა საკვების საკრალური ფუნქციაა მოცემული. ამ იდეის გამოხატულებას წარმოადგენს რაჭული და სვანური სართვიანების (ლობიანი, კუბდარი) საჭრეთელათი მოჭრელება, რომელთა ფორმაში მზის სიმბოლური გამოსახულებაა ნავარაუდები. ასეთი პურები სხვადასხვა სამიზნო მოთხოვნილებათა გათვალისწინებით კეთდებოდა (ავადმყოფის გამოჯანმრთელების, წვიმის გამოწვევის, ბატონების გადალოცვის და სხვა მიზნით), ამავე დროს, სართვიანები ცხვებოდნენ ზებუნებრივი ძალებისადმი ძღვენად მისაგებად, რათა ისინი თავიანთ მიმართ კეთილად განეწყით.

ლიტ.: გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში. 2007.

სართიელი (რაჭ.) - ტვირთი (მორი, ნაკოდი...), რომელიც ერთი (მსხვილი) თავით ფრჩხილების სართაულაზეა (იხ.) დამაგრებული, მეორე თავი კი თრევით მიაქვთ (მდრ. ძოწ.: სათრევი, სათრეველა).

სართული (გლ.) - თივის ზვინის სარზე ზემოდან ჩამოცმული მოწნული ბალახი, რომ წვიმაში ზვინიგულს (სარს) წყალი არ ჩაჰყვეს და თივა არ დაღპეს. გარდა ამისა, სარზე მჭიდროდ ჩამოცმული

სართული თივას იცავს ქარისაგან (ქარმა რომ არ გაფანტოს) (სინონ.: ქუდი).

სარი - ვაზის საყრდენი ხისა. სარს შეუდგამენ ან სარზე მიაკრავენ ვენახს, რათა ვაზი ადვილი მოსავლელი იყოს, ლერწები მიწაზე არ დაიყაროს და ვენახი არ დაზიანდეს. საუკეთესო სარი გამოდის მუხის, წაბლისა და ეკლის ხისაგან. სარს ამზადებენ საგანგებოდ, მოჭრიან ხეს და დახეთქავენ იმსისხოდ, რომ ხელში ადვილი მოსახერხებელი იყოს, დაოთხილ ნაპობებს კარგად გაასუფთავენ ნაჯახით, შემდეგ წაუთლიან წვერს და ღრმად მიუსობენ ვენახს. სარისათვის პირის წათლა ხდება 2-3 წელიწადში ერთხელ. სარზე აკრული ვენახი ყოველმხრივ დაცულია და მოსავლელად ადვილი. ვენახის შესადგმელად ასევე გამოიყენებდნენ ჭიგოს.

სარიომო - „მექობე“ ქალის მეორადი დასაფლავების ადგილის ხევსურული სახელწოდება. ხევსურები „მექობე“ ქალს საერთო სასაფლაოზე არ მარხავდნენ. გარდაცვლილს ტანსაცმელს მხოლოდ „მესამრელოე“ (იხ. „სამრელო“) ქალები ჩააცვამდნენ, დანარჩენი დედაკაცები კი მიდიოდნენ ქოხის (იხ.) კარზე, სადაც მიცვალებული ესვენა. ქოხში გარდაცვლილს, როგორც უწმინდურს, არც სახლში არ შეასვენებდნენ და არც მამაკაცები მიეკარებოდნენ. ისინი მხოლოდ სამარეს გათხრიდნენ, ქალები კი ასაფლავებდნენ. თუ საერთო სასაფლაო ხატის ახლოს არ მდებარეობდა, მიცვალებულს სასაფლაოსგან მოშორებით დამარხავდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, „მექობე“ მიცვალებულს ქოხის, სამრელოს შორიახლო, ე. წ. საჩხებში (იხ. „საჩხეა გორა“) დაასაფლავებდნენ. დამარხვიდან შვიდი თვის ან ერთი წლის შემდეგ, მიცვალებულის ნეშტს, როგორც უკვე განწმენდილს, ამოიღებდნენ და საფლავს საერთო სასაფლაოს ახლოს მიუჩენდნენ.

მეორადი დასაფლავების შემდეგ ჭირისპატრონს „გზანი და საფლავნი უნდა დაენათლა“, ე. ი. საკლავის სისხლი იმ გზისა და საფლავებისთვის უნდა მოესხურებინა, რომლითაც მიცვალებული გაატარეს; მკვდრის წამსვენებლებისთვის კი „ხელებზე ასასხმელი“ უნდა გამოეცხო და დაენათლა, რადგან ისინი „მექოხე“ ქალს „შეერივნენ“, ანუ გაუწმინდურნენ.

ლიტ.: ალ. ჭინჭარაული. ხევსურული თავისებურებანი. ტექსტებითა და ინდექსით. თბ., 1960, გვ. 301.

სარიოში (რაჭ.) - ხის დიდი კათხა, რომელსაც სმურობის დროს მაგიდაზე იყენებდნენ, როგორც ღვინის სათავსს და სასმისებში იქიდან გადაჰქონდათ ღვინო.

სარკეში დოდგუმა (მეგრ. „სარკის დადგმა“) - სარკით მკითხაობა საბედოს ხილვის მიზნით. შუაღამისას ქვრივი ქალი დაუქორწინებელი ახალგაზრდებისთვის სარკეს შემდეგი წესის დაცვით დგამს: მაგიდას გადააფარებს ახალ, უხმარ ხელსახოცსა და პირსახოცს, რომელზედაც ათავსებს ჯერაც ჩაუხედავ სარკეს, ამ უკანასკნელის წინ დებს ახალ თეფშზე მდგარ უხმარ ჭიქას (უმჯობესია თასი) სამი სხვადასხვა გვარიდან მოტანილი ნაპარავი წყლით, რომელშიც ჰორიზონტალურ მდგომარეობაში დებს თავის ჯვარნაწერ ბეჭედს; თეფშის მარჯვენა და მარცხენა მხარეებს მიაკრავს ანთებულ სანთლებს. ჩაბნელებულ ოთახში, სადაც სარკეს დგამენ, აბსოლუტური სიჩუმე ისადგურებს, რადგან იტყვიან: „ხმაური შეაშინებს და არ მოვაო“; მაგიდასთან მიმჯდარი ახალგაზრდა მთელი ყურადღებით აკვირდება სარკეში არეკლილი ბეჭდის შუაგულს, სადაც მისი საბედო უნდა გამოისახოს.

ლიტ.: ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 5, გვ. 12-13 (ინახება ავტორთან).

სარუამ-ი || **ლისარუამ-ი** - სვანური სადღეობო სუფრის რიტუალი - სახსიგელის (იხ.) ერთ-ერთი სახეობა: სუფრიდან უფროს-უმცროსობით ორ-ორი წევრი წამოდგებოდა, სარუამ-საყანის (იხ. „საყანო“, „საყანო“) შესანდობარს დალევდა და გარეთ გავიდოდა. მეორე წყვილის გარეთ გასვლის შემდეგ პირველი ორი კაცი უკან შემობრუნდებოდა და თავის ადგილს დაიჭერდა.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 89, 143, 144.

სარმუზა - ფეხსაცმელი. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, სარმუზა ანუ ჩაფლა - „მოგვსა ზედა სცმიათ.“ ის წერილობით წყაროებში არ არის აღწერილი. „მოგვი“ საქართველოში მაღალყელიან ფეხსაცმელს ეწოდებოდა, რომელიც სასულიერო და საერო ლიტერატურულ ძეგლებში ხშირად გვხვდება.

ლიტ.: ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი, 1964:72, 141.

სარტყელი - ქალისა და მამაკაცის წელსარტყამი (საბა). კერავდნენ სხვადასხვა სახის ნაჭრისაგან და ასევე ქსოვდნენ შალისა და აბრეშუმის ფერადი ძაფებისაგან. ხმარობდნენ როგორც ვიწრო და მოკლე, ასევე ფართო და გრძელ სარტყლებსაც, რომელთა ჩამოშვებული, ზოგჯერ ფოჩიანი ბოლოები ტოტების როლს ასრულებდნენ (ფშავი, რაჭა, სვანეთი). ასეთი ტიპის ქსოვილის სარტყლებით მამაკაცებიც სარგებლობდნენ. მათ რიგშია მისათვლელი გურიასა და აჭარაში საკმაოდ ცნობილი ჩაქურას კომპლექტი

შემავალი თოლაბულუსის სამფერი სარტყელი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქალები კაბაზე ირტყამდნენ შალის ფერადი ძაფებით დაზგაზე მოქსოვილ ვიწრო და ფოჩებჩამოშლილ სარტყლებს. შალის ოთხკუთხა სარტყელი ქალის ჩასაცმელის აუცილებელი ატრიბუტი ყოფილა, რომელსაც ქორწილის დროს პატარძალს ძმა შემოართყამდა წელზე. ქალისა და მამაკაცის ძაფებით დაწნულ სარტყელს მოხვევებში „ქარშიკი“ ერქვა, აჭარაში კი - „თორ“-ი. ეკლესიაშიც ატარებდნენ სარტყლებს. დიაკვანი მარჯვენა მხარზე და მღვდელი კი მკერდზე. სარტყლის შემოხსნა დასჯის ფორმაც კი იყო მიღებული. ქალთა წრეში მისი ერთ-ერთი დანიშნულება ავითვალისაგან დაცვაა. ძველებური რწმენით, სარტყელზე გადაზომვით შესაძლებელი ხდებოდა შეშინებული ადამიანის გამოლოცვაც. სარტყელთა დიდი ნაწილი მზადდებოდა ვერცხლისა და ტყავისაგან. ვერცხლის სარტყელებში სრულყოფილად გამოვლინდა კავკასიის ხალხთა ოქრომჭედლობის თვითმყოფადი საოქრომჭედლო კულტურა. ვერცხლის სარტყელები დანიშნულებით იყო სამამაკაცო და სადიაცო, ბალთების გაწყობით - ერთიანი, მიჯრით მიწყობილი და „ნაჭრიანი“, აგებულებით - ყურუმი (მასიური) და ჭვირული, ანუ ბანდული; მოკაზმულობით-მინანქრიანი, სევადიანი, ოქროცურვილი, გრეხილურ-ცვარული და სხვ. საკინძის მიხედვით გობაკიანი და აბზინდიანი. პირველი დამახასიათებელია აღმოსავლეთ, ხოლო მეორე დასავლეთ საქართველოსთვის. აქედან გამოყენების თვალსაზრისით, უფრო დღეგრძელი გამოდგა აბზინდიანი სარტყელები, რომელიც ნაციონალური ტანსაცმლის განუყოფელ ატრიბუტად იქცა. რაც შეეხება გობაკიან სარტყელებს, მათი ყოფიდან გასვლა გამოიწვია იმ პროფესიათა მოშლამ, რომელთა წარმომადგენლებიც ასეთ

სარტყელებს ატარებდნენ (მაგ., ქალაქის ამქრის წარმომადგენლები, ყარაჩოღელები და სხვა. ასეთი სარტყელი შედგება: ბალთების, გობაკის, აბზინდის, ენის, ჯინჯილისა და ღვედისაგან.). მეორე რიგის სარტყელებს წარმოადგენდა ე.წ. აბზინდიანი, ანუ იმერული სარტყელები როგორც სადა ასევე ვერცხლის დეტალებით გაწყობილნი. ესაა ტყავის ღვედი, რომელსაც აქვს: აბზინდი, ენა, ხიდი, დილი, საქონე, საკვესი და სხვა სამშვენიის დეტალები. ქართული ჩოხა ასეთი სარტყელ-ქამრის გარეშე წარმოუდგენლი იყო. ქალთა სარტყელების განსაკუთრებით გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს ე.წ. ჭვირული (ბანდული) სარტყელები, რომელიც წმინდა ხელობით იყო ნაკეთები, ასეთი სარტყელებით განსაკუთრებით ცნობილი იყო ახალციხე და ამიტომაც ასეთებს „ახალციხურსაც“ უწოდებდნენ. სარტყელებს ძირითადად ამზადებდნენ საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში და დღევანდელამდე შემორჩენილი ნივთიერი მასალების ავტორებიდან ცნობილია: ძაძამიძის, ჯიქიას, ჯანელიძის, იმედაძის, არჩუაძის, ნიკოლაიშვილის, ლაბაძის, ბერუჩევის ნახელავი სარტყელები, ასევე სხვადასხვა ინიციალებით შემკული უამრავი სარტყელი, რომელთა ავტორთა ვინაობა დაუდგენელია.

ლიტ.: ლ. ბედუკიძე, ლ. სოსელია, მ. ჩართოლანი, სარტყელების კატალოგი, 1967.

გ. კვანტიძე, დიდგვაროვანი ქალის ჩაცმულობა XVII-XVIII სს-ის აღმოსავლეთ საქართველოში, სემმ, (51-B), 2015:142; ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი, 1964:108; ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალ. კულტ., 1962:275; ს. მაკალათია, ფშავი, 1985.

სარქველი - აქ: აღმოსავლეთ საქართველოში ქვევრის სახურავი, რომელიც გაკეთებული იყო სიპი ქვისაგან. იმერეთში ასეთ სახურავად ხის მასალა გამოიყენებოდა (იხ. ბადიმი), გურიაში ასეთ სარქველს „როგო“ ეწოდება, ხოლო სამეგრელოში - ორგუ. სამეგრელოში სცოდნიათ ჭურ-ქვევრის პირზე ჯერ ბლის ქერქის დაფარება და შემდეგ სარქველისა, ზოგჯერ ეს სარქველი ქვისაგან იყო.

სარჩველა - ხის ტარიანი იარაღი, წალღის ტიპის, რომლითაც სარს წაუჩეკავენ წვერს.

სარჩუტა (მ. ქართ.) - ახლად მოსული პატარა ვაზის მისასობი ჯოხი, ჩხირი.

სარცხი, სარცხლი, ორჩხეში (მეგრ.) - ჭურის სარეცხი ხელსაწყო, ბლის ან არყის ხის ოთხკუთხად გამოჭრილი ქერქი, რომლებიც ერთმანეთზე მჭიდროდაა დალაგებული და შიგ გაყრილია ხის ტარი: სარცხი ორი სახისაა „საზედაო“, ანუ გრძელტარიანი, ჭურის სიმაღლის შესაფერისი, მრეცხავმა რომ პირდაპირ ჭურისთავიდან რეცხოს და „საქვედაო“, ანუ ჩასავალი ჭურის გასარეცხი, რომელსაც აქეთ-იქით მოკლე ხელის ჩასაბღუჯი ტარები აქვს. სარცხის დასამზადებლად ლოპრობის დროს დანით დასერავენ ხის გარეთა მაგარ კანს და ააძრობენ ნაჭრებად, შემდეგ ამ ნაჭრებს სიმძიმის ქვეშ გაასწორებენ. როცა შუაში ქერქები მოდგება ოთხკუთხატარეებს გამოუჭრიან, ერთმანეთზე მჭიდროდ დაალაგებენ, შიგ თხილის ტარს გაუყრიან, კიდევ დაჭიმავენ და წინასწარ გამზადებულ ნახვრეტში რიკს გაუკეთებენ. დიდი მუერნობის მქონე მეღვინეს რამდენიმე სარცხი აქვს სხვადასხვა სიდიდის ჭურებისთვის. რეცხვისას სარცხი ხელში შეტრიალებით უნდა ამუშაოს მრეცხავმა, რათა რომელიმე მხარეს ზედმეტად არ გაცვიტოს და არაპროპორციული

არ გახდეს. სარცხით კარგად გარეცხილი ჭური საიმედოს ხდის ღვინის უნაკლოდ შენახვას.

სარძისთავე (რაჭ.) - ორყურიანი თიხის ჭურჭელი, რაშიც აგროვებენ რძისთავს (სინონ.: სათავე).

სარწყული ჭურჭელი - წყლის ჭურჭლის ზოგადი სახელი, სადაც ერთიანდება: კუტალი, წურწუმა, მათარა, თასუხა, თულუხი, გოვზაკი, სტამნი, მწარე გოგრისგან დამზადებული ჭურჭელი და სხვა. ამავე რიგში ექცევა ჩაფი, კოკა, თუნგი, ორძირა, კოფა, ჯიმური და სხვა.

სარხვიელი (რაჭ.) - ლობიოს სარი, ჭიგო (იხ. დღ. სიტყვ. კონა).

სასალაო / სასალო / სასელო (რაჭ.) - საზაფხულო მსხლის ჯიშია (იხ. ქველ., ჩიქოვ., ალავ.: სასელო მსხალი; ძოწ.: სასელო სხალი; გაჩ.: სასალო სხალი; ბრეგ., 72: სასელო მსხალი).

სასამნო (თუშ.) - სახევსურო დღეობებში ხევსურეთიდან მთათუშეთს მეგობრულად გადასულ ხევსურთ ჯვარიონის მიერ დამხვდური თუშებისათვის ძღვნად მიტანილი ქადა და არაყი.

ლიტ.: მ. კანდელაკი. ხევსურის ინსტიტუტის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით) // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XVIII. თბ., 1975, გვ. 115.

სასანთლე - 1. ბუხრის ყელის გამოწყული კარნიზი, რომელსაც უკეთდება ნიშები და ხშირად შემკულია სხვადასხვა სიუჟეტით. გამოიყენებდა სანთლის ან ნებისმიერი სანათი საშუალების დასაგდმელად. 2. (ხევს.) შესაწირავის ერთობლი-

ობა ხევსურეთში. მაგ. რიტუალის დროს ჩამოქნილ სანთლებს, ქაღებთან ერთად, თითოეული სალოცავის სახელზე ცალ-ცალკე ჩამოარიგებენ ტაბლაზე. ასეთი სასანთლე შეიძლება იყოს ერთიდან 15-მდე და უფრო მეტიც. სასანთლე დაიდგმება თითოეული სალოცავის სახელზე. რიტუალის შესრულებისას ხუცესი ერთი მხრიდან მიყვება სასანთლეებს და რომელიც რომელ სალოცავს ეკუთვნის, იმის მიხედვით დაილოცება. 3. სანთლის ასანთები, სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული.

ლიტ.: ა. ოჩიაური ქართ. ხალხ. დღეობათა კალენდარი, 1991.

სასანთლე, შანდალი - სანთლის ჩასამაგრებელი ჭურჭელი. გამოიყენებოდა როგორც ერთსანთლიანი, ასევე მრავალშტოიანი, მრავალსანთლიანი. სანთელს გააჩნია ღერო, ძირი, ბუდე, სანთლის დასადვენთი ფირიფტა და ზოგიერთ შემთხვევაში სახელური. სასანთლე იყო დასადგმელი, კედელზე დასაკიდებელი და ჭერში ჩამოსაკიდებელი. მრავალშტოიან სასანთლეს კანდელაბრი ჰქვია, ხოლო ეკლესიაში გამოსაყენებელ დიდ სანთელს - კანდელი. აქედანაა წარმოებული გვარი, „კანდელაკი“ რაც სანთლის ამნთებს ნიშნავს.

სასაფლაო - მიცვალებულთა სამარხავი საერთო ადგილი, ტერიტორია. სასაფლაოებისადმი თაყვანისცემა წარმართული და ქრისტიანული რელიგიების დამახასიათებელი მოვლენაა. იგი ძალზე გავრცელებული იყო კავკასიის ხალხებში. გამორჩეულ ადამიანთა საფლავები თაყვანისცემის ობიექტად იყო მიღებული, ხოლო წმინდანთა საფლავების ცხოველმყოფელი და განმკურნებელი ძალა აღიარებული იყო ქრისტიანული მრწამსით. ქართულ ისტორიულ ქრონი-

კებში სასაფლაო წარმოგვიდგება ამა თუ იმ მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლის საკუთრების აუცილებელ შემადგენელ ნაწილად. საქართველოში ყოველ სოფელს თავისი სასაფლაო გააჩნია, სადაც დადასტურებულია მემორიალური კულტურის სხვადასხვა ტიპის ძეგლები. ლიტ.: ე. ნადირაძე, საქართველოს მემორიალურ კულტურა, 2001.

სასაფუვრე (ლეჩხ.), ლასფავრ (სვან.) - ხის ან თიხის პატარა ჭურჭელი, რომელიც მკავე ცომის - საფუარის დასამზადებლად და შესანახად იხმარებოდა. ეს ფუნქცია მას გვიან უნდა ჰქონდეს შეძენილი, დაახლოებით იმ დროს, როცა კულტურული პურის რაოდენობა გაიზარდა. თავდაპირველად ამ ტიპის ჭურჭელი გამოყენებული უნდა ყოფილიყო ქერის ფქვილის სახელად, რომელიც ნაკლებად წელვადია. როცა კულტურული ხორბლეულის მარაგი გაიზარდა, განსაკუთრებით ბარში, სასაფუვრემ დაკარგა თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა და იგი საფუვრის ამოსაყვან ჭურჭლად იქცა. სვანეთში, სადაც ქერის წარმოებას ბოლომდე მისდევდნენ, სასაფუვრეში ხდებოდა ქერის ფქვილით მოზელა, ე.ი. ამ რეგიონში მან შეინარჩუნა თავისი ოდინდელი ფუნქცია.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

სასიმინდე - სიმინდის ტაროს შესანახ-სახმობი ნაგებობა. ძირითადად გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოში. ყველა სასიმინდე აგებულია იმ პრინციპის გათვალისწინებით, რომ მასში ჰაერმა იოლად იმოძრაოს და გამოაშროს შემოდგომით მასში შეყრილი სიმინდი. სასიმინდე ჩვეულებრივ ორი განყოფილებისაგან შედგება. ერთი მოწნულია წკნელით, რომ ჰაერმა იოლად იმოძრაოს და სიმინდი გააშროს ხოლო მეორე განყო-

ფილება გათლილი ფიცრითაა ნაშენი, სადაც გამხმარ სიმინდს ფშვნიან, ზოგჯერ ამ განყოფილების იატაკი დახვრეტილია და ტაროს ცეხვა-ფშვნიას სიმინდი დაბლა იყრება. სასიმინდე ზოგჯერ ხულას (იხ.) ელემენტებსაც ითავსებდა და გვევლინება ორსართულიანად. იგი, როგორც წესი, გამართული იყო ხის ან ქვის ბოძებზე. სასიმინდეებს ჰქონდათ საკეტები და არ უკეთდებოდა მუდმივი კიბე. მქერისა და თხილის წკნელით მოწნული სასიმინდეები გამოირჩევა წვნიან დახვეწილი ხელოვნებით. ასეთი ტიპის სასიმინდეებს ეწოდებათ: ძარული, ლასტური, ჩელტური, გრიგლური, დომური. გარდა ამისა, არსებობდა ფიცრული სასიმინდეები, რომლის ფიცრები აჟურული ხარატულებით იყო გამოყვანილი. სასიმინდე, როგორც უაღრესად საჭირო პროდუქტის შესანახი ნაგებობა, განაწყობდა ადამიანს იგი ესთეტიკურად ელამაზებინა და ამ სურვილის რეალიზაციამ წარმოშვა სასიმინდეთა ულამაზესი ტიპები.

სასრევი (რაჭ.) - სალესი ქვა (ცელისა და ნამგლის გასალესი) (იხ. საბა, ნ. და დ. ჩუბ., ქეგლ).

სასწორი - მასის ასაწონი მექანიკური ხელსაწყო. სასწორის უძველესი ნიმუშები დასტურდება ძველ ბაბილონსა (ძვ. წ. 2500 წ.) და ძველ ეგვიპტეში (ძვ. წ. 2000 წ.). სასწორი არის ტოლმხარა და არატოლმხარა. XII ს. არაბმა მეცნიერმა ალ ხაზინიმ პირველად აღწერა თეფშებიანი სასწორი. საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დასტურდება როგორც ტოლმხარა (მისი ყველაზე განვითარებული სახეობაა თეფშებიანი და პინებიანი სასწორი), ასევე არატოლმხარა სასწორები, ამ უკანასკნელის ნიმუშია სამეგრელოში გავრცელებული სასწორი ლადანკონი//ლადანაკი. ლიტ.: ქსე, ტ. IX, 1985.

სასხლავი - ხელით სამუშაო რკინის ხისტარიანი იარაღი. მისი თავისებურებაა გრძელი, წვერიანი და კაუჭა ცხვირი. ტარისათვის შერჩეულია ხის ისეთი ჯიში, რომელიც ადვილად არ სკდება. გარდა ე.წ. ყურნწიანი სასხლავისა, არსებობს „სარჩოლიანი“ და ბრტყელენიანი სასხლავებიც. ამ იარაღის ფუნქცია არის გადაბელვა და გასხეპვა, ჩირგვების მოჩეხვა, წვრილი წნელის მოჭრა, მაგრამ ძირითადად ბაღის ხეხილის გაწმენდა და გასხვლა. სასხლავი გავრცელებულია ბარის რეგიონებში, მთის ზოლში იგი იშვიათობაა. ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი, *მჭედლობა რაჭაში, 1953.*

სასხლავა / სასხლავი (რაჭ.) - მოკლე, ხის ტარის მქონე მჭრელი ბრტყელი, წალღის ფორმის იარაღია, წინათ ვაზის სასხლავად ხმარობდნენ (იხ. ჯავახ. ეკ. ისტ. II, 331, ქეგლ, ძოწ.: გაჩ.).

სასხლიპავი (რაჭ.) - ნედლი ტყავის გასაშრობად გასაჭიმავი ჯოხები -იხ. ნიჟარ., დლ. სიტყვ. კონა).

სატალახო (რაჭ.) - ნადიმის დროს სუფრიდან თუ ვინმე წამოდგა და გარეთ გავიდა, რომ დაბრუნდება მას ჯარიმად ასმევენ ღვინოს. ამ ჯარიმას სატალახო ჰქვია. ამ ყმაწვილს სატალახო დავალევიოთ.

სატარი (რაჭ.) - სახვნელის ნაწილია. გათლილი ხე ერთ ბოლოში მოხრილი და განიერია, მეორეში სწორი და ვიწრო. მოხრილი თავი გაჭედილია ქუსლში ანუ ფიცარში, ვიწროზე კი რიკებით დამაგრებულია წინახელა ანუ ხელა (სინონ. კავი; გლ. ხელანი).

სატენელა (რაჭ.) - საწნახელში ყურძნის დასატენი მსხვილი ხის ნაჭერი, რომელსაც ტარი აქვს დაგებული (იხ. ფრ., 179).

სატვინის ხე / სატვინო (რაჭ.) - სახლის სახურავის ნაწილია, – მთავარი ხე რომელზეც მარწუხებია დაწყობილი, – თავზე (იხ. ბერ., ღლ. სიტყვ. კონა).

სატკაცუნო (რაჭ.) - ბავშვთა სათამაშოა. ხის კოლოფში მოთავსებულია მაგარი ხის კბილანა. კოლოფის ერთი გვერდი თხელ ლარტყას წარმოადგენს და ერთი თავით ეყრდნობა კბილანას. ამ უკანასკნელის ტრიალით ლარტა იწყებს ტკაცატკაცს.

სატკრციალო, ჭრიალა, საჩხარუნებელი - განეკუთვნება ე.წ. თვითმქდურ საკრავთა ჯგუფს. შედგება 3-4 მართკუთხედის ფორმის ხის ფირფიტისაგან, რომლებიც მოძრავად არიან დამაგრებული სახელურზე. დაკვრის დროს საკრავს იქნევენ და ფირფიტების ერთმანეთზე დარტყმით ხდება აჟღერება. საკრავის დანიშნულებაა ცეკვის რიტმული თანხლება. ამ საკრავის ანალოგიურია ჩრდილო კავკასიის ხალხებში გავრცელებული საკრავები (მაგალითად, ადიღური ფხაწჩი, ყარაჩაელების ხარს, ოსების კარცგანაგ).

ლიტ.: დ. არაყიშვილი, ხალხური სამუსიკო საკრავების აღწერა და გაზომვა, 1940; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

სატუკელა, სატენელა (რაჭ.) - საწნახელში ყურძნის ჩასატკეპნი თავმსხვილი ჯოხი. საუბნო ქადა - ხევსურეთსა და მესხეთში საქორწილო ცერემონიალის შესრულების დროს საგანგებოდ გამოცხვარი პური. მის მოსამზადებლად საჭირო იყო 8-9 კგ ფქვილი, 1 ლიტრა ერბო და 2-3კგ ყველი. მას იშვიათად საგვარეულო ქადას (რადგან უბანი ერთ დროს ერთი გვარის მქონე ხალხის სამოსახლო იყო) და აწესო ნამცხვარსაც უწოდებდნენ.

ლიტ.: ნ. მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, 1978.

სატუკი / სატუკავი (რაჭ.) - ლობიოს, კარტოფილის... დასასრესი, მოსატუკავი (იხ. მოტუკავს) მრგვალი ხის ნაჭერი, რომლის ერთი თავი ვიწროვდება და სახელურს წარმოადგენს. ლობიოს სატუკავი პატარაა, ქართოფილის სატუკავი უმფრო დიდია (იხ. ღლ., სიტყ. კონა).

სატუკელი (რაჭ.) - 1. იგივეა, რაც სატუკი, სატუკავი (იხ. ბერ.). 2. იგივეა, რაც სატენელა (იხ.). 3. კალოს მოსასწორებელი ხის ნაჭერი გრძელი სახელურით და მსხვილი სწორად გადაჭრილი თავით, რომლითაც კალოს ზედაპირს სცემენ და გლუვს ხდიან.

სატყლაპავი (რაჭ.) - გაცვეთილ ქალამანში ჩასადები ტყავის ნაჭერი, რომელიც ნახვრეტს ფარავს (მდრ. მენტ.: ტყლაპი).

საუბნო ქადა - ხევსურეთსა და მესხეთში საქორწილო ცერემონიალის შესრულების დროს საგანგებოდ გამომცხვარი პური. მის მოსამზადებლად საჭირო იყო 8-9 კგ ფქვილი, 1 ლიტრა ერბო და 2-3კგ ყველი. მას იშვიათად საგვარეულო ქადას (რადგან უბანი ერთ დროს ერთი გვარის მქონე ხალხის სამოსახლო იყო) და აწესო ნამცხვარსაც უწოდებდნენ. ლიტ.: ნ. მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, 1978.

საუჭმელო - ნეფე-პატარძლის ჯვრისწერის შემდეგ, საქორწილო ნადიმის დაწყების დროს ნეფე ჩუმად იყო და ხელს არაფერს ჰკიდებდა. ამის გამო ხალხო აყვირებოდა: „ნეფე იბუტება. საუჭმელო, საუჭმელო“. მაშინ სიდედრი ვალდებული იყო მიერთმია სასიძოსათვის ხალათი, ბადდადი, ვერცხლის ქამარი ან სხვა რაიმე ნივთი, რომელსაც საუჭ-

მელო ერქვა. ამის შემდეგ ნეფე გამხიარულდებოდა და დაიწყებდა ჭამას.

საფეხნო, საფიხვნო - ადგილი, სადაც ხევსურები თავს იყრიან და თავიანთ საჭიროებაზე მსჯელობენ. „ფეხონი“ ეწოდებოდა სოფლის მამაკაცთა ყრილობას, „საფეხნო“ კი ამ კრებულისათვის განკუთვნილ ნაგებობას ან ადგილს. საფეხნოში, გარდა საქმის გარჩევისა და საუბრისა, თავს იქცევდნენ მსუბუქი საოჯახო ხელსაქმით. საფეხნოში ქალს შესვლა აკრძალული ჰქონდა. ტრადიციული საფეხნო იყო გამართული შატლიში, რომელიც წარმოადგენდა ყორით ნაგებ ფარდულის ტიპის შენობას, რომელსაც წინა კედელი არ ჰქონდა. საფეხნოში განლაგებული იყო საუფროსო სკამი და ქვის სიპები, რომელზედაც უხუცესები სხდებოდნენ. საფეხნოს კედელში დატანებული იყო რამდენიმე სიპი ე.წ. „დუქანი“ სხვადასხვანივთების დასაწყობად. შატლის საფეხნოში ტყავის საზელი ხელსაწყო „ხიმუნი“ იყო მოთავსებული. აქ მეტწილად ხელსაქმობის ისეთი სამუშაოები სრულდებოდა, რომელიც კოლექტიურ შრომას მოითხოვდა. საფეხნოში გრეხდნენ მუმს (ხის ქერქის თოკი), ამზადებდნენ ქალამნებს, თოფის წამალს და სხვა.

ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი, ხალხური მმართველობის ისტორიიდან ხევსურეთში, მსე ტ VII, 1955.

საფიცხობელი (რაჭ.) - ხორბლეულის სახმობი ნაგებობა. მიდგმული ჰქონდა ღუროიან სახლს მზიან მხარეზე. [ქვედრულამ] მოსტაცა კალო-საბძელი, საფიცხობელი გრძელია (ხალხური ლექსიდან). (იხ. ბერ., დიდ.: საფიცხობელი, ქებლ, ქართ. დიალექტ., 688).

საფენალი (რაჭ.) - წყალში გახსნილი ფქვილი წვნიანი შეჭამადის შესასქელებ-

ლად (იხ. ძოწ., ქავთ. I, გაჩ.: საფენელი; მდრ. ქებლ: საფანელი).

საფერე (რაჭ.) - შავყურძნიანი ვაზის ჯიშია. წითელი ფოცხვი აქ საფერეს, მუჯურეთულისა და ალექსანდრეულის ღვინის შესაფერად ვიყენებთ (იხ. ქავთ. I, ძოწ., ფრ. 29).

საფლაავზე მაცდომა - დაფიცების ხევსურული წესი - დანაშაულში ეჭვმიტანილის მისვლა ბრალმდებელთა ნათესავის საფლაავზე, ყურის გაკაწრვით სისხლის დაღენა და დაფიცება: „მე ამ მკვდრის უნცროსი და მონა ვიყო საიქიმოში, თუ ამის ჩამდენი (რასაც აბრალებენ ნ. ა.) ვიყო“. ხევსურები საფლაავზე მაცდომას მხოლოდ გამოუვალ სიტუაციაში მიმართავდნენ, რადგან იგი სასირცხვო საქმედ და ავის მომასწავებლად ითვლებოდა.

ლიტ.: ალ. ოჩიაური. ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. ხევსურეთი (არხოტის თემი). თბ., 1988, გვ. 103.

საფლაავის ახდა - ძველ საფლაავში ახალი მიცვალებულის დასაფლაავების ხევსურული წესი. იცოდნენ პირველი დაკრძალვიდან 7-10 წლის შემდეგ.

ლიტ.: დ. გიორგაძე. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუს-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). თბ., 1987, გვ. 86.

საფლაავის კუბო - საფლაავის ძეგლი - სამარხზე აგებული პატარა ყრუ კომპი ფშავში. საფლაავზე ყრუ კომპის დადგმა, ფშავის გარდა, თუშეთსა და ხევსურეთშიც იყო გავრცელებული (იქ მას, უბრალოდ, „კომპს“ უწოდებდნენ). ხევსურეთში ასეთ კომპებს მხოლოდ დედისერთა ან

უნაწილო მიცვალებულების საფლავებზე აგებდნენ.

ლიტ.: დ. გიორგაძე. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუს-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). თბ., 1987, გვ. 85-86.

საფლავის ქვა - მიცვალებულის სამარხზე დადგმული ქვის ძეგლი. ზოგადი სახელი ყველა ტიპის ძეგლისა, რომელიც ამ მიზნით გამოიყენებოდა. საფლავის ქვის ტიპებია ლოდი, ქვაჯვარი, სტელა, მატური, სახლის, ეკლესიისა და ეკვდერის მინიატურული ასლები, ზოომორფული (ცხვრისა და ცხენის ქანდაკებანი) და ანთროპომორფული (ადამიანის) ქანდაკებანი. საფლავის ქვებისთვის დამახასიათებელია ქრისტიანული სიმბოლოები, მცენარეული და ცხოველური ორნამენტები, სოლარული ნიშნები, სამეურნეო და საბრძოლო იარაღები. უაღრესად მნიშვნელოვანია მათზე დაწერილი ეპიტაფიები. საფლავზე ქვის დადგმის წესის ცხოველმყოფელობამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ამ დარგის აღმავლობა.

საფოთარა - ფრინველის მძლავრი ფრთებისაგან შეკრული კონა, რომლითაც წისქვილში დაგროვილ ხრილს გადახვეტავდნენ. იყენებდნენ სუფრის ნარჩენების გადმოსახვეტადაც.

საფოცხელი (გლ.) ფოცხი. სათიბში ხისკბილებიან საფოცხელსა ვხმარობთ (მდრ. ფოჩხი).

საფრიელა - ოთხკუთხედად მოწნული სახელურებიანი ჩელტი, რომელსაც ქვემო იმერეთში ხმარობდნენ მარცვლეულის გასანიავებლად. ლიტ. ქელ. 2009

საფუარი ლუღისა, ჭიჭი (ხევს.), ჩამა,

(ფშ.), **წვერის თხლე** (თუშ.) - ლუღის უცეცხლოდ ასადულებელი. ესაა ლუღის ფორის-პირველი ღუდილისას წამოსული ქაფი - ერთგვარი ღურღო, რომელსაც მოხდიან ქაფქირით, ქატოსთან ერთად შეზელენ, გაახმობენ და შეინახავენ. ლუღის საფუებლად ამ მასას სისწვენში გახსნიან და ჩაასხავენ კოდში, სადაც უნდა მოხდეს ლუღის დადუღება. საფუვრის სისწვენში შერევას ხევსურები „შაყრას“ უწოდებენ. მესაფუვრე ხევისბერი სისწვენისა და საფუვრის შაყრისას განიბანება, რადგან ფუება გაცოცხლების პროცესადაა აღქმული და მას რიტუალური მნიშვნელობა ენიჭება.

საფუარი (რაჭ.) - დიდი ორყურა სასაფუვრე ქოთანის, - სახამე. საფუარი გამიტყდა (მდრ. ქართ. დიალექტ.: საფუვრის ჩაგება).

საფუარის ჩაგება (რაჭ.) - საფუარში (იხ.) დარჩენილ ხაშს თბილ წყალს დაასხამენ, ფქვილს ჩაუმატებენ და ლაფერთხით (იხ.) ურევენ. ერთხანს თბილ ადგილას დადგამენ და ამოვა საფუარი (იხ. ქართ. დიალექტ., 688, ძოწ.: საფუარს ჩააგეფს).

საფუნებელი (რაჭ.) - იგივეა, რაც ნარტყელა (იხ.). ზოგან ოჯინჯალის (იხ.) მნიშვნელობითაც ხმარობენ (იხ. ძიძ., მდრ. ძოწ.).

საფუნარი - 1. ლითონის სხეპლით ნაქსოვი საბრძოლო ხელთათმანი, ხელის მტევნის დასაცავი. არსებობს ორი სახის საფუნარი, პირველი, - რომელიც წარმოადგენს ნაქსოვი ჯაჭვის ხელთათმანს, რომელშიც გამოცალკეებულია მხოლოდ ცერა თითი, და მეორე რომელიც იმავე ფორმისაა, ოღონდ არა ხელთათმანი, არამედ ტყავზე დამაგრებული ჯაჭვი, რომელიც ზემოდან იცავს ხელის მტევანს.

ცერა თითი გაყრილია ტყავის ქვემოთ არსებულ თასმაზე, ასევე თასმიტაა დამაგრებული ხელისგულიც. ტყავის დანარჩენი ნაწილი, რომელიც მაჯის ზემოთ ადის, ასევე ტყავის ან ქსოვილის თასმით იკვრება. 2. შალის ხელთათმანი. თითებიანი დაუთითებო. ერთითაა საფუხარს ხელმაჯი ჰქვია. ხევისურებში გვხვდება ნაქარგობითა და მძივ-ღილებით შემკული.

საფხაჭი - ერთმანეთზე შეტყუპებული ორი არათანაბარმხრიანი ჯოხი, რომლის ბოლოებზე აქეთ-იქით თავწაჭრილი ლურსმნებია დამაგრებული, მხრები ერთი გრძელია და ერთიც მოკლე, მათი საშუალებით დასამუშავებულ ქვაზე მოიხაზება ის ნაწილი, რომელიც უნდა ჩამოამტვრიან და ქვა ზომამი მოიყვანონ. საფხაჭს ამავე მიზნით ხმარობენ ხის ფიცარზედაც.

საფხეკელა (რაჭ.) - 1. ტალახის საფხეკი რკინის ან ხის, პატარა ნიჩბის ფორმის. 2. რკინის გრძელი ჯოხი. რომლის ერთი თავი ბრტყელია, ხოლო მეორე ჩანგლით თავდება. იყენებენ თორნეში ჩაკრული პურის ამოსაღებად, - საჩხრეკი.

საქალებო (რაჭ.) - ადგილი სახლში, სადაც მხოლოდ ქალები სხდებოდნენ. საქალებოში ქალები უმცროს-უმფროსობით იჯდეს (იხ. ქართ. დიალექტ., 688).

საქალთანო (თუშ.) - ახალდაქორწინებული სიძის ვალდებულება, ერთი წლის განმავლობაში პატარძლის მშობლებს ძღვენიტა და საკლავით ესტუმროს, სოფელი დაიწვიოს და გაუმასპინძლდეს. სოფელი სიძეს საქალთანოს არავითარ შემთხვევაში არ შეარჩენს და ვინც არ გადაიხდის, მას ქალები არბევენ, ართმევენ ქამარ-ხანჯალს, ცხენის აკაზმულობას და ეტყვიან, ტიტველი ცხენით მიბრძანდით. დარბეულ სიძეს თავდებად მოკეთე დაუ-

დგება და ქალები ჩამორთმეულ საგნებს დაუბრუნებენ. იმ შემთხვევაში თუ სიძე დათქმულ ვადაში საქალთანო სუფრას არ გამლის, იგი თავმდებმა უნდა გადაიხადოს.

ლიტ.: ს. მაკალათია. თუშეთი. თბ., 1983, გვ. 166.

საქარე (რაჭ.) - იხ. ლირსი.

საქარმუჯო - იხ. „თავმოკრულაფის საწლე“.

საქაჩი (რაჭ.) - მარხილზე ტვირთის მჭიდროდ შესაკრავი მოწყობილობა: ღვლერჭები და სარი (შდრ ქეგლი; მენტ.: ქანჩი).

საქაჯავი, საქაჩველი - ჭაჭის საწნეხი ხალხური სამეურნეო მანქანა. წარმოადგენს ბერკეტის პრინციპზე მოქმედ ხელსაწყოს. ძალის მოდების საშუალებად მასში გამოყენებულია ოწინარი. ქართულ ყოფაში ცნობილია ორი ტიპი: ოწინარიან-ტვირთიანი და ოწინარიან-უტვირთო. ოწინარიან-ტვირთიან წნეხში გამოირჩევა ჭაჭის (ხილის) მოსათავსებელი ფიცრით შეკრული სათავსი - კოდი და სამუშაო აპარატის ხის ბოძში - კაცაში ჰორიზონტალურად ჩამაგრებული დირე, მეორე თავისუფალ ბოლოზე რგოლებით ჩამოკიდებული ლილვი-“ქანჩი”//“დათვი” და დათვის რიკზე გამობმულ ბოლოზე მობმული „ასაკიდი ქვა“. ლილვში გაყრილი კეტებით ქანჩის დატრიალებით ხდებოდა ქანჩზე თოკის დახვევა და ქვის მალთა აკიდება, საიდანაც გადაცემული სიმძიმის ძალით ხდებოდა დირის კოდის შიგთავსზე დაწოლა და გამოწურული წვენიის დინება. უტვირთო-ოწინარიან წნეხში წნეხვა ხდებოდა უშუალოდ ოწინარის საშუალებით: ლილვის გარკვეული მიმართულებით დატრიალება იწვევდა დირის დაბლა დაწევასა და ჭაჭის წნეხვას. საქა-

ჯავი//საქაჩველი გავრცელებული იყო შ. ქართლში, იმერეთში, აჭარაში, გურიაში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში. ჯავახეთში X-XIII ს. კლდის სოფლებში (ჭაჭკარი, ფია, ახჩი) შემორჩენილი ასაკილი ქვისა და წნეხის ნაშთებიც ამავე პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს.

ლიტ.: ა. ლეკიაშვილი, ქართული ხალხური ღვინის წნეხები, მსე, XII-XIII, 1963. გ. გაფრინდაშვილი, ვარძიისა და მისი მიდამოების ქვაბები, 1957.

საქვაბურა (რაჭ.) - შუაცეცხლზე ან ბუნარში ჩამოშვებული ჯაჭვი ქვაბის ჩამოსაკიდებლად, _ საქვაბე, საკიდელი, ნაჭა (იხ. ალავ. ზეპირსიტყვ., ძოწ., გაჩ.).

საქოლი / საქოლე (რაჭ.) - ბრტყელი და მძიმე ქვები, რომლებსაც აწყობენ ულურსმნოდ ყავრით დახურული სახურავის თითოეულ ყრა (იხ.) ყავარზე, რომ ქარმა არ მოხსნას სახურავი. საქოლე ქვა ფტყელი და მძიმე ჯობია (იხ. ბერ.).

საქონე - ხის, ლითონის ან ძვირფასი ლითონის ყუთი, ასანთის კოლოფისოდენა, რომელშიც ინახებოდა დათვის, ქათმის ან ბატის ქონი, ხმალ-ხანჯლისა და თოფ-დამბაჩის ფოლადის ნაწილებზე წასასმელად. ვერცხლისაგან დამზადებული საქონე XIX ს-ის უკანასკნელ პერიოდში ჩოხის ქამარ-ხანჯლის სამშენისად მოგვევლინა.

საქონლის ფერხვა -- ფერხობისათვის „კარგად დაცდილ“ პირებს გამოჰყოფდნენ, რომლებიც დილით ხმის ამოუღებლად ახორში შედიოდნენ და საქონელს წყალს ასმევდნენ. საქონლის გამრავლება-ნაყოფიერება, რასაც ხშირად წყლის სტიქიას უკავშირებდნენ, ახალი წლის დილას საქონლის წყალზე გაყვანის ჩვეულებამაც ჩანდა. წყალზე მიჰქონდათ ჩალაში

გამოხვეული ბამბა, ნახშირი, ყველი, ერბო, რომელსაც „ნიჭს,“ „წილს,“ „წყალწილას“ უწოდებდნენ. ზოგს თაფლიანი ან ერბოიანი პური, ერბო ან შაქარი მიჰქონდა (ფშავლები). ზოგი ამ კვერს წყალში აგლებდა, ზოგიც - წყალთან ახლოს ქვაზე დებდა, თან წყალს ეტყოდა: „წყალო, ნიჭი მოგიტანე, ბედი გამომაყოლე კაცისა და საქონლისა, ორფეხისა, ოთხფეხისა, ქუდოსან მანდილოსნისა“ (ხევსურები). ამის შემდეგ, სახლში ბრუნდებოდნენ და წყალიც მოჰქონდათ.

ლიტ.: ზ. თანდილავა, შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი, 1980:54; ნ. ღამბაშიძე, ახალწლის დღეობათ ციკლი აღმოსავლეთ საქართველოში (ერწო-თიანეთი), თბ., 2004:32-33.

საქსოვი დაზგები - სხვადასხვა სახის ქსოვილების (შალი, ბამბა, აბრეშუმი, კანაფი, სელი) დასამზადებელი მანქანები. საქსოვი დაზგების ნაირსახეობიდან გამოირჩეოდა ბექ-საშევრიანი და დგიმ-სავარცხლიანი. საქსოვები თავის კონსტრუქციითა და შესაბამისი საქსოვი მასალის მონაცემებით კეთდებოდა როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური აღნაგობის. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ბექსაშევრიანი საქსოვებით („ყდა“, „ყდანი“ - ხევსურეთი, ფშავი, მთიულეთგუდამაყარი, „აკაზმები“ - თუშეთი) შალებსა და ფარდაგ-ხალიჩებს ქსოვდნენ. ჰორიზონტალური დგიმ-სავარცხლიან საქსოვებზე („საფეიქრო“ - ქართლი-კახეთი, „სამექსლებო“ - გურია, „ომუალე“ - სამეგრელო, „ქსელი“//საფეიქრო - რაჭა, „ლაშჯარ“ - სვანეთი) შალისა და ფარდაგების გარდა იქსოვებოდა აბრეშუმი, კანაფი, ბამბა, სელი. საქსოვი ყდის განსხვავებულ სახეობებზე - „ყდანი“ - ხევსურეთი, „ქსელი“ - რაჭა, „რობაგი“ - სამეგრელო, „ქსელი - აჭარა;

შალისა და ფარდაგების გარდა საცრის ძირები და ჭილოფიც (სამეგრელო) იქსოვებოდა. საქსოვი დაზგები მსოფლიო ეთნოკულტურის უძველეს მონაპოვარია. ცნობილია, რომ ძველ ეგვიპტეში სელის ქსოვილების დასამზადებლად ჰორიზონტალური საქსოვი დაზგა იყო გამოყენებული. ბერძენ მწერალთა (ჰეროდოტე, კალიმაქსი) ცნობებით, ძველ ეგვიპტესა და კოლხეთში სელის დამუშავების ერთნაირი წესი არსებობდა. ამ ნიშნით ძველ კოლხეთში სელის საქსოვად დგიმ-სავარცხლიანი დაზგის ნაირსახეობის გამოყენება ივარაუდება. ამ ტრადიციის დამადასტურებელი უნდა იყოს სამეგრელოში უახლოეს წარსულამდე არსებული სელის საქსოვი „ოშუალე“. ამავე დროს, ქართული საქსოვი დაზგების თავისებური ტექნიკა - საზედაო ძაფის ზევიდან ქვემოთ ან წინა ლილვისაკენ (თავისკენ) მიბეჭვა, განსხვავებით ბერძნულ-ევროპული დაზგების საწაფეებით დაჭიმული ქსელის ან საზედაო ძაფის ქვემოდან ზემოთ მიბეჭვისა, მიუთითებს ქართულ ჰორიზონტალური დაზგის უძველესობაზე.

ქართული ხალხური საქსოვი დაზგები ახლო და უშუალო კავშირშია კავკასიელი ხალხების ანალოგიურ საქსოვ დაზგებთან და თავისი საწყისი ფორმებით ძველ აღმოსავლეთის კულტურულ მონაპოვართა წრეში ექცევა.

ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი, ქართული ხალხური საქსოვი დაზგები, სსმმ, XVIII-B, 1954.

საქუსალი - ერთგვარი საქსოვი მანქანა, რომელზედაც ქსელი იგებოდა და ქსოვილი იქსოვებოდა.

სადამო (ხევს.) - აქ. ადამიანთა საგებ-სახურავი. ამზადებდნენ ცხვრის ტყავი-საგან.

საღენჭელი - ტყავის დასამუშავებელი ხელსაწყო, ქვის ან ხისა, გავრცელებულია საქართველოს ბარშიც და მთაშიც. ზოგ სოფელში საღენჭელის ქვა სოფლის ცენტრში, ხალხის თავშეყრის ადგილზე მდებარეობდა, მასზე ტყავის გამოქნა-დარბილება ყველას შეეძლო. ხის საღენჭელი ოჯახს ხშირად თავისისაკუთარი ჰქონდა. მასალად ცაცხვის ხე იყო მიჩნეული. ტყავის დამუშავება ასეთი თანმიმდევრობით ხდებოდა: საგანგებოდ შერჩეულ მსხვილფეხა საქონელს (ხარი, დეკეული, ძროხა არ უნდა ყოფილიყო გადაბერებული) დაკვლის შემდეგ სუფთად გაატყავებდნენ ბალანს გააცლიდნენ, ტყავს შოლტებად დაჭრიდნენ, თბილი, უმარილო ქონით გაპოხავდნენ და ამის შემდეგ იწყებდნენ გამოქნა-დარბილებას. ერთ მამაკაცს დახვეული ტყავი ეჭირა, მეორე კი საღენჭელზე კეტიტ აწვებოდა. კეტის მალლა აწევდაწევის დროს ტყავს აქეთ-იქით აბრუნებდნენ, სანამ ტყავი არ დარბილდებოდა. ბოლოს ამოიღებდნენ, გაშლიდნენ და გაანიავებდნენ. ძროხის ტყავის გამოქნას, მთელ დღეს ანდომებდა ორი მამაკაცი. საღენჭელით გამოქნილი ტყავი ძირითადად ფეხსაცმლის საძირეებად გამოიყენებოდა. სავარაუდოდ, ტყავის დასამუშავებელი ხელსაწყო უნდა არსებულიყო ძველადაც (VIII-XIII სს.) როცა დამუშავებულ ტყავს საწერად ხმარობდნენ. ეტრატის მკეთებელი ხელოსნების შესახებ ცნობები ნაკლებად მოგვეპოვება. მხოლოდ მინიმუმბა იმის თაობაზე, რომ IX საუკუნიდან ცნობილ ქართულ დიდ მონასტრებში ეტრატის მკეთებელი ხელოსნებიც ჰყავდათ.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები. 1973; შ.მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ I, 1982.

სადლაპუნა - სამეგრელოსა და გურიამი გავრცელებული ბარჯის მსგავსი

თევზსაჭერი იარაღი, რომლითაც ღამით ნადირობენ.

სადმროთ წირვა - გურული საოჯახო დღეობა; იმართებოდა ნაახალწლევს; დაკლავდნენ ღორს ან მოზრდილ გოჭს, რომელსაც მღვდელი აკურთხებდა: თიხის ჭურჭლის ნამტვრევებზე დაყრიდნენ ნაკვერჩხალს, ზედ საკმეველს დაადებდნენ და ღმერთს ოჯახისათვის მშვიდობიან და ბარაქიან წელიწადს სთხოვდნენ; ბოლოს, საამდღისოდ გაშლილ სუფრას მიუსხდებოდნენ.

ლიტ.: ა. წულაძე. ეთნოგრაფიული გურია. თბ., 1971, გვ. 105.

სადორე კვახი (რაჭ.) - გოგრის ერთ-ერთი სახეობაა. ადამიანებიც ხმარობენ საჭმელად _ მოხარშულს, შემწვარს. სხვადასხვა ფერის მაგარი ქერქი აქვს. თესლს სხვადასხვა დანიშნულებით იყენებენ (იხ. კვახაკალი).

სადორებო (რაჭ.) - ღორების საჭმელად გამოზადებული ჭაჭისა და სიმინდის ნარევი. ჭაჭას მზეზე გაახმობენ, სანახევროდ ან მესამედს სიმინდს აურევენ, დაფქვავენ. წყალში აზელენ და ღორებს აჭმევენ. (იხ. ფრ., 250).

სადოჯავი (გლ.) - თხილის ჯოხის ნაფხეკი, რომლითაც ხის ჭურჭლის ფსკერს გამოგმანავენ. დავფხეკთ თხილს და ნაფხეკს საფსკერავში ჩაუტანებთ და წვეთი წყალი არ გაუვა.

სადსადაჯის ხე - თრიმლის საბეგვაკი. სხვა ხესთან შედარებით მძიმეა და ამიტომაც მოსახერხებელი იყო თრიმლის დასაბეგვად. თრიმლს ერთდროულად 10-15 კაცი ბეგვავდა.

საყან || **საყან** - სამგლოვიარო სუფრის დასასრულის სვანური რიტუ-

ალი - არყის სმის წესი მიცვალებულთა სახელზე გამართულ ხარჯებში. პურობის დამთავრების შემდეგ, როცა ხალხი სახლში წასასვლელად წამოიშლებოდა, მასპინძელი საყან, „ნს“ გამართავდა: გასასვლელ კარში ჩადგებოდნენ მეგნეები (არყის ჩამომრიგებლები; არყის უშუალოდ კათხებში ჩამსხმელს წინდა ერქვა). მათ ხელში ეჭირათ კარქა (ხოკერი), რომელშიც ჩადგმული იყო არყით სავსე დიდი კათხა. თუ სახლს ორი კარი ჰქონდა, მაშინ ყოველ მათგანთან თითო მეგნე დგებოდა, ხოლო თუ ერთი - ორი მეგნე. ეზოში გაიტანდნენ არყით სავსე სეგდას (კასრს) და მასთან მდგარი მწდე ხალხს არაყს აწვდიდა. ყველას შეეძლო იმდენი დაეღია, რამდენსაც მოისურვებდა. სახლიდან გამოსულ სტუმრებს წინდა არყით სავსე კათხებს აწვდიდა. სტუმრები ოჯახს დალოცავდნენ, არაყს დალევდნენ და თავიანთ მიდიოდნენ (მდრ. „ოლური კულა“, „საკართანო“, „სატალახო“).

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 71-72, 75, 89.

საყდარ-ტახტი - აქ: საჯდომი ავეჯის განსაკუთრებული ტიპი, რომელიც გამოიყენებოდა მეფეთა, მთავართა და მაღალი სამღვდლო ფენის წარმომადგენელთა საწესო-სარიტუალო სასხდომად. „საყდარი“, ტახტის აღმნიშვნელი უძველესი ტერმინია. დიდებულთა საყდარი ხშირად მომთავრებული იყო გუმბათგავალაკით, ან დახურული ჩარდახით. საყდარ-ტახტი გვევლინება, როგორც ძალაუფლების სიმბოლო, ასევე სოციალური ადგილის მაჩვენებელი. ლიტ.: ვ. ართილაყვა, XVI-XVIII სს. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1965.

საყელო - აქ: ცხენის აღკაზმულობის ნაწილი. ყელის სამოსი (საბა). იგი შედგებოდა ერთი ან ორპირიანი ტყავისაგან. იმკობოდა ორნამენტებით და ძვირფასი ლითონის თვლებით.

საყველაწმინდაო (რაჭ.) - სულ ბოლო სადღეგრძელო, რომელსაც ნადიმობისას წარმოთქვამენ. უსურვებენ ერთმანეთს ყველაწმინდა (=ყოვლადწმინდა მარიამ ღვთისმშობელი) შეგვეწიოსო (იხ. ბერ.: საყოვლადწმინდაო).

საყირმუზა - „სამუხლე პოლოტიკი“ (საბა), ლითონის ფირფიტა, რომელიც განკუთვნილია მუხლის დასაცავად, საყირმუზას ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ვხვდებით საჩერნესა და ჯაჭვის შარვალზე. (იხ. ჯაჭვი). ძირითადად იგი წარმოადგენს წრიულ ფორმის მუცელ-შუზნეკილ რკინის ფირფიტას, რომელიც იშვიათად მორთულია თითბრის ზარნიშით.

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. II. 1993.

საყოვლადწმინდო || საყველაწმინდო - ქართული სუფრის უკანასკნელი სადღეგრძელო, ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის შეწევნით ოჯახისა და თანამეინახეების დალოცვა. აღსანიშნავია, რომ სამეგრელოში სუფრის დამამთავრებელი სადღეგრძელოს ტიპური ფორმულა იყო და არის ე. წ. „გამრავლება-სიკეთე“ (ძინა-ჯგირობუა).

საყოლიებლის შემოლოცვა - იმერული საახალწლო წეს-ჩვეულება - მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლისა და ფრინველის (ე. ი. საყოლიებლის) დალოცვა: ახალწლის დილას ოჯახის უფროსი ბელლიდან მარცვალს გამოიტანდა და შინაურ ფრინველს დაუყრიდა, თან გამრავლებას უსურვებდა; შემდეგ

ბოსელში შევიდოდა, ცხენს, ხარს ძროხას, ხბოს ხაჭაპურს გადაამტვრევდა და ეტყოდა: „როგორც ახლა ხართ, ისე გამყოფოსთ ღმერთმა. იცოდნენ აგრეთვე ბოსელში გოგრის შეგორება - „ასე თელად გამყოფოსთ ღმერთმა“-ო. ბოსელში შეჰქონდათ ახალგამომცხვარი და ოთხად დასერილი ძროხის ცურის გამომსახველი „ძროხის პურიც“. ღორებს ცალკე მიულოცავდნენ: მოიტანდნენ ლობიან პურს და ერთ ჭიქა ღვინოს; პურს ცხოველს შემდეგი სიტყვებით შეაჭმევდნენ: „მოშენდი, მომრავლდი, ბევრი გოჭები გეყოლოს“. ასე იცოდნენ ბარბალობაზეც.

ლიტ.: მ. მაკალათია. მეცხოველეობა ზემო იმერეთში // იმერეთი. მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბ., 1978, გვ. 72-73.

საყრდენი ვაზისა - ვაზის შესადგამი სარები, რომლებიც სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა სახელით მოიხსენება: მაგ. სარი, ჭიგო, ჭიღვა, ჭიგვა, ხარდანი, სარჩუტა, პალო, კაკვი, მერქანი, ცილამპალი, ჯღა, ჯღარი, ხალახინი, ოლიხი, ქანდარა, ჩანგალი, თალხი.

საყუე (რაჭ.) - ნაჯახის, ცულის... ყუის ნახვრეტი, რამიც ტარია ჩასმული.

საყურე - ადამიანთა ყურის სამკაული. მზადდებოდა მინის, ოქროს, ვერცხლის, მოვერცხლილი სპილენძის, და ა.შ. მთელს საქართველოში იყო გავრცელებული. მაგრდება სხვადასხვა საშუალებით, ძირითადად კავებითა და ხრახნებით. საყურეები შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმის. აღრეანტიკური ხანის საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ე.წ. „სხივანა“ საყურეები. ვანის მდიდრულ სამარხებში საყურეთა რამოდენიმე განსხვავებული ტიპი აღმოჩნდა. ყოველ მათგანს ყურში გასაყრელი

რგოლი ვარდულითა და გრეხილიანი ფირფიტით აქვს შემკული. საყურეების დამზადებისას გამოიყენებოდა ყველა ტექნიკური ხერხი: ჭედვა, რჩილვა, გრანულაცია, ფილიგრანი და სხვ. საყურეების უმეტესობა ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვებითაც იყო შემკული, გამოიყენებოდა პასტა და მარგალიტიც. შუა საუკუნეებში პოპულარული იყო საყურეები ტიხრული მინანქრითაც.

ლიტ.: ი. გაგომიძე, ქართველი ქალის სამკაული, 1981.

საყურე (გლ.) - კაჟიანი თოფის ჩახმანის ნაწილი, რაზეც წამალს აყრიდნენ.

სამარაონი / გზა-შარაის სამცხნელო

- სოფ. ამღაში (არხოტის თემი) მოქმედი „საბოდიშო“ წეს-ჩვეულება. აქ ჯვარის კარზე გადის გზა, რომლითაც საქონელს საძოვარზე მიერეკებიან. საქონლისა და მწყემსების სიარულით ჯვარი რომ არ შეწუნდეს და კაცსა და საქონელს არ ავნოს, გაზაფხულზე, ამაღლება დღეს „სამარაოს“ - საქონლის „გზა-შარაის სამცხნელოს“ იხდიან: აცხობენ სამ-სამ ცალ ყველიან და ხაჭოსგულიან ქადისკვრებს; ადუღებულ რძეში ერბოს „ჩაჰყრიან“ და ქალები ჯვარში წაიღებენ; ჯვარის კარზე მისულები რძეს სამ ადგილას დაღვრიან და „სამარაო“ შესაწირს ჯვარის ხუცესთან გაგზავნიან. ეს უკანასკნელი ასე დაილოცება: „დალოცვილო ლაღო იაჰსარო, შენ შამაგდახან შენ გზა-შარაზე, შენს კარის წინ მაარულთ ქლიკმბულთ ნუ დააზიანებ, ნუ დააზარალებ, დალოცვილო, შენ იხვეიშნი, შენ შაინდევი“ და ა. შ. ამ დროს კაცნიც და ქალებიც ეხვეწებიან: „შენ დალოცვილო ლაღო იაჰსარო! შენ გეხვეწებით, შენ გვიხვეწი, შენ შაგვინდევი, თუ რას გაწყენთ ენითა, ჳმამაღლა ძახილითა, თუ ფეჭით სიარულით. შენ გვაპატივი დალოცვილო“.

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ. მაკალათია. მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიიდან. თბ., 1989, გვ. 68.

სამობაო ღვეზელი - სამკუთხა ფორმის გურული საწესო ყველიანი ღვეზელი, რომელშიც სხვადასხვა რაოდენობის მთელ ან შუა გაჭრილ კვერცხს ჩაურთავდნენ. შობისწინა (ბრავაწობის) ღამით აცხობდნენ საუფროსო (4-5 კვერცხით) და საუმცროსო (2-3 შუა გაჭრილი კვერცხით) ღვეზელებს, რომლებიც შობაზე უნდა შეეჭამათ. აცხობდნენ აგრეთვე სტუმართათვის და მეალილოეთათვის განკუთვნილ ღვეზელებს, რომლებიც შედარებით დიდი ზომით გამოირჩეოდა.

ლიტ.: ა. წულაძე. ეთნოგრაფიული გურია. თბ., 1971, გვ. 74.

სამუდამო - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული თუშური წეს-ჩვეულება - სიკვდილის პირველსავე ღამეს თანასოფლელების მიერ მკვდრის სახელობაზე გამართული სუფრა; დაღამებისთანავე ეზოში დააფენდნენ ჭვავის ჩალის კონების სქელ ფენას, ზედ ფარდაგს გაადაფარებდნენ და მასზე მიცვალებულის ცხედარს დაასვენებდნენ; ეზოშივე დაანთებდნენ ცეცხლს; აქ მოსული ყველა მამაკაცი მოიყოლებდა არყიან ჩარექას, ერთ ჯამ ბიჭონს (მოხალულ მარცვლულს) და ერთ ფეხ შესამას, რომელსაც კოცონზე დადებდა; იქ მყოფებს არაყს დააღვინებდა და ბიჭონსაც შესთავაზებდა; არყით ახალსულის მასპინძლობით მომტანის გვარის მიცვალებულთა შესანდობარს იტყოდნენ; ჭირისუფალიც გამოიტანდა არაყს, ერთ ჯამ ბიჭონს, და ახალგარდაცვლილის სულს მოიხსენებდნენ. ქალებს თავიანთი ოჯახებიდან მოჰქონდათ სუფრები, ერთ სუფრას ჭირისპატრონებიც გამოიტანდნენ და სა-

ჭმწლად დასხდებოდნენ. ჭირისუფალს სწამდა, რომ ამ წესის შესრულებით სულეთში შესულ ახალსულს უმართავდა სუფრას, რომელზედაც იგი დამხვდურ სულებს დაიწვევდა და ცეცხლითაც გაათბობდა; მეზობლებს სჯეროდათ, რომ თუ ისინი სახლიდან წამოდებულ შემასაც არ მიამატებდნენ კოცონს, მათ მიცვალებულების საიქიოში ცეცხლს ვერ მიუახლოვდებოდნენ და შესცივდებოდათ, ხოლო თუ სუფრას თავადაც არ შეაწევდნენ სასმელსა და ბიჭონს, იქ იმ სუფრაზე სულები თავმოხრით ისხდებოდნენ, „ხელთუსაგზლონი“ დარჩებოდნენ და ცოცხალ ნათესავებს ცოდვას მოჰკიდებდნენ. არა მარტო საშუღამო ჩვეულებაზე, არამედ ქელებში და წლითავზე მისული ქალები სახლიდან მოტანილ სუფრებს გაიშლიდნენ, რათა თავიანთი მიცვალებულები საიქიოში „ხელთუსაგზლონი“ არ დარჩენილიყვნენ.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 103-104.

საშუბლე, საბუზე - აქ: ცხენის შუბლზე ჩამოსაფარებელი. ამზადებდნენ ხარის ტყავისგან და გაწყობილი იყო სამ მთავარ თასმაზე. უკეთებდნენ ფუნჯებს, ფირუზისფერ მძივებს, ნიჟარებს, ბალთებს. საშუბლე ცხენს იცავდა ბუზებისგან. არცთუ იშვიათად საშუბლე ცხენის სამშვენისს წარმოადგენდა.

საჩეკელა - ხისტარიანი რკინის იარაღი, წალდის ტიპისა, რომლითაც სარს წაუჩეკავენ წვერს.

საჩეკელა (რაჭ.) - ჯირკი, რომელზეც სარს თავს დაუდებენ და წაჩეკენ, წვერს წაუთლიან (იხ. ალაგ. მასალ., ფრ., 96).

საჩერნე - საბარკული, „საწვივე აბჯარი“(საბა). ჩერნის ანუ წვივის და-

საცავი ჯაჭვი, საჩერნე ფართოდ გავრცელებული თავდასაცავი იარაღია საქართველოს მთიანეთში, იგი წარმოადგენს წარგრძელებული მართკუთხედი ფორმის ნაქსოვ ჯაჭვს, რომელიც წვივსა და ფენის ბარკალზეც იკვრებოდა თასმებით. საჩერნეს ჯაჭვის რგოლები ხშირ შემთხვევაში ფარეშიანია, ანუ დამოქლონებული.

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. II. 1993. აღ. დლონტი, ქცთსკ. 1984.

საჩეჩელა (რაჭ.) - ყვითელი ფერის სოკოა. თავი საჩეჩლის კბილებს მიუგავს. იჭმება (იხ. მაყ.: საჩეჩელა-სოკო).

საჩეჩელი - მატყლის საჩეჩი ხელსაწყო. ესაა სამი ხის ფიცარი, რომლებიც სამკუთხედადაა შეკრული. ზედა ნაწილზე ერთ ან ორმწკრივად ჩასმულია ლითონის „კბილები“ (ჩხირები). ჩეჩვის დროს ძირს დგამენ და ფეხებით ამაგრებენ. ერთმწკრივად განლაგებულ ან „ცალკბილა“ საჩეჩელს თივთიკის დასამუშავებლად იყენებენ. გარეცხილ, გაწეწილ მატყლს საჩეჩელის კბილებზე ჩეჩავენ (ბეწვი ბუვდება და ერთი მიმართულებით ლაგდება) და ფთილებად ამზადებენ, შემდეგ მას თითისტარით ართავენ და ძახავენ. ლიტ: ლ. მარგოშვილი, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

საჩეხი (რაჭ.) - საქონლის საზაფხულო სამყოფელი, წნელით შემოღობილი (იხ. ბერ., ქეგლ, ძოწ., გაჩ.).

საჩიბე (რაჭ.) - წისქვილის ნაწილია, რაშიც ფქვილი ცვივა, - ალა (შდრ. ბერ.: ჩიბე; ძიძ.).

საჩითავი - სხვადასხვა ფორმის ხის ყალიბები, რომლითაც ხდებოდა ქსოვილის დაჩითვა საღებავის მეშვეობით. სა-

ჩითავ//საბეჭდავებზე გამოყვანილი იყო სხვადასხვა სახის მარტივი და რთული ჭრელები (გეომეტრიული, მცენარეული, ფრინველის, ადამიანის და ა.შ.) საჩითავად ირჩევდნენ მაგარი ჯიშის (მსხალი, მაქალო, პანტა, ბზა) ხეს. საჩითავზე ჭრელი ორი წესით გამოჰყავდათ: ჩაჭრით ან რელიეფური კვეთით. მოჩითვის დროს ერთი წესით საჩითავ ყალიბს ზედაპირზე უსვამდნენ საღებავს, შემდეგ ქსოვილზე დაადებდნენ და ხელით დაწნებავდნენ. მეორე წესით, საჩითავზე ჩაჭრის წესით დამზადებულ ჭრელს გამღვალ სანთელს წაუსვამდნენ და ქსოვილზე დაწნებავდნენ, რის შედეგადაც ჭრელი სანთლიანი სახეები გადაიტანებოდა ქსოვილზე. შემდეგ ქსოვილს შეღებავდნენ, მისი ფონი დაიფარებოდა ფერით, ხოლო სანთლიანი ნაწილები შეუღებავი რჩებოდა, მისი მოცილების შემდეგ შეღებილ ფონზე მრავალფეროვანი ჭრელი ამოვიდოდა. ქსოვილის დაჩითვა ხდებოდა ფერადადაც, რაც უფრო რთულ ტექნოლოგიურ პროცესს მოიცავდა და საჭიროებდა ერთ ნახატზე რამდენიმე საჩითვის დაწნევას. ქსოვილის დაჩითვა ხალხური ხელოვნების უძველესი დარგია და უშუალოდ უკავშირდებოდა მღებრობას. დაჩითვის ხალხური ტექნოლოგიის შესახებ კავკასიის ხალხებში ყურადღება აქვს გამახვილებული ჰეროდოტეს, რაც ამ დარგის უძველესობაზე მიუთითებს. დაჩითვის ხელოვნებას ფართოდ მისდევდნენ საქართველოს ქალაქებში, განსაკუთრებით, ახალციხესა და თბილისში, რომლის კოლორიტულ ნიმუშად წარმოგვიდგება ე.წ. „ლურჯი სუფრა.“ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია კავკასიის ხალხთა საჩითავების უნიკალური ნიმუშები.

ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი, საქართველოს მუზეუმის საჩითავები 1961.

საჩოჩი (რაჭ.) - სოლი, რომელიც რაჭული სახვნელის სატარს (კავს) და ერქვანს ამაგრებს ქუსლში (იხ.).

საჩეხა გორა - შატლიში არსებული ერთი ადგილის სახელწოდება. საჩეხა გორაზე მხოლოდ მშობიარობის დროს დაღუპულ ქალებსა და ბავშვებს მარხავდნენ, რადგან ისინი უწმინდურად იყვნენ მიჩნეულნი (იხ. „სარიოშო“, „ქოხი/საჩეხი“).

ლიტ.: ალ. ჭინჭარაული. ხევსურული თავისებურებანი. ტექსტებითა და ინდექსით. თბ., 1960, გვ. 301.

საჩხრეკი (რაჭ.) - ურმის (ან მარხილის) ფჩხილის (იხ.) კაპის უკანა ნაწილი, რაც მიწაზე მიცურავს, მიწას „ჩხრეკს“.

საცერი - ფქვილის გასაცრელი. უფრო წმინდა საცერს სამტკიცო ჰქვია. საცერი მზადდება ფართო ტკეჩის მორკალვით, რომელსაც გამოწნული აქვს წვრილი ძირი ან რაიმე მსხვილად ნაქსოვი ნაჭერი აქვს გამოკრული. საცერი პურეული კულტურის ხანგრძლივი მოხმარების დამადასტურებელი ნივთია.

საცერული (ხევს.) - ხევსურული საცერული ზოგადი სახელია იმ საბრძოლო იარაღისა, რომელიც ბეჭდის სახითაა წარმოდგენილი და ხელის ცერზე წამოსაგებადაა განკუთვნილი. ხევსურები საცერულს უბეში ინახავდნენ, ისინი ამ იარაღს მაშინ ამოქმედებდნენ, როდესაც სხვა იარაღი თან არჰქონდათ. ასეთ მდგომარეობაში ხევსური მაშინ იმყოფებოდა, როდესაც ლხინის წინ მას ღიაცები იარაღს ჩამოართმევდნენ და ის უბეში დაფარულისა ცერულის ამარად რჩებოდა. არსებობს საცერულის რამდენიმე სახეობა - „ლაჯია“, „მაღალი აფთარი“, „ხერხულა“, „წისქვილა“ და სხვა.

ლიტ.: გ. ჩიტაია, ხევსურული საცერული, შრომები, ტII, 2000.

საცეცხლური - საკმევლის ანთებისა და კმევის დროს საღმრთისმსახურო ჭურჭელი. ლითონის (ჩვეულებრივ - სპილენძის შენადნობი) პატარა თასი, რომელიც ჯვრის დაბოლოებიანი თავსახურითურთ სამ გრძელ ჯაჭვზეა დაკიდებული. მასში ათავსებენ გაღვივებულ ნახშირს, რომელსაც ზემოდან ადებენ საკმეველს. საკმეველი წვისას კეთილსურნელოვან კვამლს გამოყოფს. ღმრთისმსახურების გარკვეულ მომენტებში ხდება დიაკვნის ან მღვდლის მიერ გუნდრუკის კმევა ხატთა, ტაძრის სიწმინდეთა და მრევლის წინაშე საცეცხლურის საშუალებით. კმევისას გუნდრუკის (საკმევლის) კეთილსურნელება ნიშნავს ღმრთისადმი აღვლენილ ლოცვებსა და სულიწმინდის მადლს, რომელიც მლოცველთ ეფინება, საკმევლის სუნი არ უყვართ უწმინდურ ძალებს.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

საცეხველი, ჩამური, ოჩამური (გურ. სამეგრ.), **საძიგველი, საბეგველი** (აჭ.), **დენგი** (ხევს.), **ჯორგო, როფი** (ლექხ.) - მარცვლეულის ცეხვა ნაყვისათვის გამოყენებული ქვის როფი. იხმარებოდა ხორბლეულის, ღომის, ფეტვის, ასლის, ბრინჯის, გასაცეხვად. სელის, კანაფის, მარცვლის, თრიმლის, თოფის წამლის დასანაყად. ცნობილია საცეხველის სამი ტიპი: ა) ხელის ბ) ფეხის და გ) წყლის. საცეხველის ფორმათა ვარიაციული სახესხვაობა მთელ საქართველოში იყო გავრცელებული - ჩამურის (გურია, იმერეთი, სამეგრელო), ოჩამურეს (სამეგრელო), ჯორგოს სამცეხვლოს (ლექხუმი), დენგის (ხევსურეთი, სამცხე-ჯავახეთი), როდინის, როფის (იმერეთი), საძიგვე-

ლის (აჭარა), ფილის (კახეთი), ქვიჯარ (სვანეთი) და სხვა სახელით. სანაყ-საცეხველები უძველესი დროიდან არსებობდა. ისინი ენეოლითური და შუა ბრინჯაოს, ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ძეგლებშია დადასტურებული. საქართველოში ფეხის საცეხველი დასტურდება ქოროლოს ღვთისმშობლის ეკლესიის (X-XI სს.) ფრესკის მოხატულობაში. ფეხის საცეხველი ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიაში (ჩინეთი, იაპონია, ინდონეზია), ხმარობდნენ ფინეთში, აღმოსავლეთ გერმანიაში, პოლონეთში, იტალიაში, ესპანეთში, უნგრეთში. ფეხის საცეხველი გამართული იყო ბარჯგებზე. ცეხვის დროს საცეხველთან გამართულ ძელებს შუა გაბმულ თოკზე ხელჩაკიდებული მცეხვაკი ძელის ერთ ბოლოზე ფეხის დაკვრით ძელს მაღლა აღმართავდა და თავს ჩამურში ჩართყმევიანებდა, რასაც შიგთავსის ცეხვა ან ნაყვა მოჰყვებოდა. ეს მოქმედება რითმულად მეორდებოდა ცეხვის დამთავრებამდე. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო წყლის საცეხველი. სამეურნეო საქმიანობის გარდა, საცეხველი რელიგიურ კულტურაშიც გარკვეულ ფუნქციას ასრულებდა მაგ., თედორობის კულტისადმი მიძღვნილ ცერემონიაში (რაჭ. ლექხ.) - საცეხველთან ლოცვა და რიტუალური კვრის საცეხველისადმი ზიარება მიმართული იყო მოსავლისა და მარცვლის უდანაკარგოდ ცეხვის დაბეჯებისადმი. საცეხველი ისეთივე ძველ მონაპოვრად მოჩანს, როგორც მასში მოსაცეხვი პროდუქტი. საცეხველი ჩვენში ადგილობრივ, კულტურისა და ქართული სამეურნეო ყოფის მონაპოვრადაა მიჩნეული. ლიტ.: Г. Читаиа, Этнографические исследования в Грузии, советская этнография, т.IV, 1948. ჯ. რუხაძე, ხალხური აგროკულტურა დას. საქართველოში, 1970.

საცეხველი (გლ.) - იგივეა, რაც ჯერკო (იხ.). საცეხველში ნაყავდეს ხვარბალს (საკორკოტედ), მარილსაც (მდრ. ქეგლ).

საცეხველა (რაჭ.) - მოგრძო კეტი, რომელსაც ძირი მსხვილი აქვს, ზოგჯერ ჯორღლებიანი (იხ.) იყენებენ ჩელტში (ხვირში) ჩაყრილი ტაროების საცეხვად.

საცეხვლის თავი (გლ.) - ხის ხელსაწყოა, სანაყავად ხმარობდნენ. საცეხვლის თავი ძირ და ზემოთ უფრო ფსხვილია, შუაში – გამოყვანილი. ნაყავდეს ორივე ხელით საცეხველში (იხ.) მარილს, ხვარბალს.

საცვალი, საცვლები (ნიფხავ-პერანგი) - ნარმისგან ან მიტყლისგან იკერებოდა, ძველად ხამისაგან იყო შეკერილი. სვანეთში ადრე კანაფის ძაფისას („გვი“-ისას) კერავდნენ, შემდგომ - ნარმისგან („არშულ-ფატანს“ - საცვლებს), რომელსაც „ამრიკაჲ“-ს ეძახდნენ. მარვლის ქვეშ ჩასაცმელი ნიფხავი ჩერქეზული დაჭრილი იყო, წვრილი „ნაჭრუტლები“ ჰქონდა და მას აჭარაში ჩერქეზულს ეძახდნენ. ფარჩის ქვედა საცვალს (პერანგის შემდეგს), ჩაფარიშებით მორთულს, შეიდიში ერქვა (ქიზ.). მის მასალად, ყანაოზი, მოვი, მერდინი, ქიშმირი ყოფილა გამოყენებული. XI ს-ის დამდეგისათვის, საცვალი ჩვეულებრივ ტერმინად გვევლინება და X ს-დან ტანისამოსის აუცილებელ ნაწილებად უნდა ჩაითვალოს. ამაზე უწინარეს უკვე არსებობდა, მაგრამ რა ეწოდებოდა, ცნობები ამის შესახებ არ მოიპოვება. პერანგი სპარსული სიტყვაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სპარსეთიდან არის შემოტანილი. მისი ძველი სახელი კვართი ყოფილა (იხ. კვართი). თუ უძველეს ხანაში ქვეშეთი სამოსლის, საცვლის ერთადერთ სახელად ძეგლებში მხოლოდ კვართი გვხვდება, შემდგომ უკვე პერანგი ჩნდება (მაგ., „ვეფხისტყაოსანში“) და პერანგის ამხანაგი, რომელიც უფრო

გვიანდელია. იგი მზითვის წიგნებში გვხვდება. მისი უწინარესია ნიფხავი, რომელიც არაკორექტული გამონათქვამია.

ლიტ.: მასალები..., 1983:13, 236, 252, 262; ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალ. კულტ., 1962:5882-97; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

საცივი - დასავლურ-ქართული სამზარეულო ხელოვნების დიდი მონაპოვარი, რომელსაც ძირითადად ამზადებენ ნიგვზისა და ინდაურის ხორცისაგან. საცივი არის სადღესასწაულო სუფრის აუცილებელი ატრიბუტი, რომლის დამზადება მოითხოვს დიდ გამოცდილებას, რაშიც იგულისხმება სანელებელი მასალის კერძთან სწორი, ზომიერი მისადაგება და ფაქიზი გემოვნება. ნიგვზიანი კერძების მომზადებაა სხვა ხალხთა სამზარეულო ხელოვნებაშიც დიდი ადგილი უჭირავს, მაგრამ საცივის მომზადების სპეციფიკური წესები არსად არა არის ისეთი მასშტაბური, როგორც საქართველოში, საკვების ამ ტიპმა ჩვენთან შეიძინა ეთნიკური კუთვნილების ნიშანი. კვებითი ღირებულების გარდა, საცივი გამოვლენილია დიდი საგემოვნებო კულტურა, საკვებ-წარმოების ხალხური გამოცდილების მაღალი დონე, მისი, როგორც კულტურის ელემენტის, ფასეულობა და ღირებულება. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, საცივი არის მატერიალური კულტურის საგანი და იგი ასეთივე ეროვნული საგანძურია ქართველი ხალხისათვის, როგორც რომელიმე ხუროთმოძღვრული ძეგლი.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ხალხის კვება და მისი რაციონალიზაციის ამოცანები. 1939. გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა... 2007.

საცორ(ვ)ელა / საცურავი (რაჭ.) - წისქვილის ნაწილია. – რკინის ფეხი, რომლითაც ბოლოვდება ბორბლის ძირი. საცორელა ქიმებით ჩამაგრებულია ბორბლის ფეხში, ხოლო შუა ნაწილით ჩამჯდარია რკინის ქალამანში ანუ კიბორჩხალაში (იხ. ბერ.).

საწლე - ღვინის შესასმელი ჭურჭლის ზოგადი სახელი. საწლე ჭურჭელში ერთიანდებოდა: ფიალა, ჯამი, თასი, დოსტაქანი, ორთომლი, კვანჩხი, სარიოში, ყანწი, კულა, აზარფემა: აქედან მომდინარეობს ტერმინი „მწლე“, ანუ ღვინის დამსხმელი დიდი სუფრის დროს.

საწები (რაჭ.) - ყოველგვარი წვნიანი საჭმელი, კერძი (იხ. ქართ. დიალექტ., 688; შდრ. ქეგლ).

საწივარა (რაჭ.) - ბავშვთა სათამაშოა, რომელიც ჩაბერვისას წივილის, სტვენის ხმას გამოსცემს, _ სასტვენი. საწივარას თრიმლის კანისაგან ვაკეთებთ.

საწკრეტი (რაჭ.) - უნაგირის ტახტებზე გამობმული წვრილი თასმები, რაიმე ნივთის (ხურჯინის, ნაბდის...) მისაკრავად (იხ. ჭყ., ლეონ, ქეგლ).

საწკლიპი / საწკეპი (რაჭ.) - მცირე ზომის გრდემლი, რომელიც მთიბავეებს ჩანთით დააქვთ და საჭირო შემთხვევაში იყენებენ ცელის საწკეპად.

საწლო (რაჭ.) - გარდაცვალებიდან ერთი წლისთავზე გამართული ქელეხი, ალაპი. – რიგი. საწლოს როდის უხდიან? (იხ. ძონ., გაჩ.).

საძმო სამანი / ძმად შეყრა-გაფიცვის სამანი - ხევსურეთში გავრცელებული სამნის (იხ. „სამანი“) ერთ-ერთი სახეობა - ორი გვარის (სოფელს) დაძმობილობის სიმბოლო, ამგვარი ურთიერთობის გაუ-

ტეხლობის ნიშანი. საძმო სამნის მნიშვნელობის საილუსტრაციოდ მოგვყავს ხორნაულების გვარის უხუცესი წარმომადგენლის ნაამბობი: „წინათ ხორნაულთის მცხოვრებნი არაკაცმრავალნი ვყოფილვართ.მაშინ ჩვენს მამა-პაპათ სოფ. რომქისათვის ძმად შეყრა შეფიცვა უთხოვნია. ძმად შეყრის მიზნით, როგორც ჩვენს სალოცავ ჭიშხის ჯვარში, ისე რომქის მთავარანგელოზში ლუდი უღუღებია, თითოეულ ჯვარში თითო კერატი და ცხვარი მიუყვანია, სამნები ჩაუყუდებია და ხსენებული სამსხვერპლო ცხოველები ზედ სამანზე დაუკლავს; ძმად შეყრის მიზანი - მტრის თავდასხმების შემთხვევაში ერთურთის დაშველება იყო. მას აქეთ, რაც უფროსებმა ჯვარში ბროლის ქვა სამნად ჩასვეს, საკლავიც ზედ დააკლეს, რომქიონთ და ხარნაულთ ერთმანეთის ქალების მოყვანა აღეკვეთათ, რადგანაც ეს ორი სოფელი ძმად იყო შეყრილ-გაფიცული“. რომქიონნი ხორნაულთას ჯარით ანუ ჯარ-ქვაბით შემოყრილობად (განსხვავებით „გვარ-ძვალთ შემოყრისაგან“) მიიჩნევდნენ და ამის სიმტკიცის ნიშნად მთავარანგელოზის ჯვარსა და ხორნაულთა სალოცავ ჭიშხის ჯვარში ჩასმულ სამნებს აღიქვამდნენ.

ზემოაღნიშნულს ეხმიანება არხოტული მონაცემები ორი გვარის ძმობის თაობაზე. ამ მონაცემების თანახმად, დაძმობილების ნიშნად ხარი იკვლებოდა და ძმობის სამანი იდგმებოდა. ასეთი „ჯარით შამაყრილი, გაფიცული გვარები ერთად არიან, როგორც ნამდვილი გვარი, გვარსაც ერთს ატარებენ და ყველა ხევსურულ გვაროვნულ წესებში ერთიმეორეს ეხმარებოდნენ“ (ალ. ოჩიაური). უკაცური გვარის კაცრიელთან ჯარ-ქვაბით ძმობაზე ხატში ხარის დაკვლის წესით და სამნის ჩადგმით „დამტკიცდა ძმობაჲ. შაყრილ გვარის ქალ არ შეუძლიან, რომ მაიყვანას რომელიმე მათგანმა ცოლად. ესრ რო

მანქლების იმ სამანს ამააძრობენ და გაისრევენ, ძმობაც დაირღვევის“ (რ. ხარაძე). ამგვარად, ძმობის დამყარების სამანთან ერთად ძმობის გაყრის სამანიც არსებობდა.

ლიტ.: მ. კანდელაკი. სამანი საქართველოს მთიანეთში // ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები (1988). თბ., 1991. გვ. 47-89; რ. ხარაძე. ხევსურული „ძირი“ და „გვარი“ // მიმომხილველი. I. თბ., 1949, გვ. 194; ალ. ოჩიაური. ქართული ხალხური ღღეობების კალენდარი. ხევსურეთი (არხოტის თემი). თბ., 1988, გვ. 99-100.

საძუე - ცხენის აკაზმულობის ნაწილი, „ცხენთ საკუდარი“ (საბა). უნაგირზე მობმული ორპირი თასმა, ამოდებული ცხენის კუდის ქვეშ. უნაგირით მასაც ხელოსნები ძვირფასი ლითონის ბალთებითა და ღილებით რთავდნენ. საძუე ორ ფუნქციას ასრულებდა: ერთი მხრივ, იგი დაღმართზე უნაგირს წინ წაცურებისაგან იცავდა და მეორე მხრივ, ცხენის აკაზმულობას მწო-ლაზათს მატებდა.

ლიტ.: ლ. ლეონიძე, მესაქონლეობის ლექსიკონი, 1925.

საწელწდობო მამხალა - თუშური საახალწლო მამხალა; წარმოადგენდა ნახევარი მეტრის სიგრძის ჯოხს, რომელსაც გარშემო კონად შემოკრული ჰქონდა ბუკვინის - ფიჭვის კვარის წვრილად დაპობილი ნაჭრები. მამხლებს ჭერში გარჭობილს გაახმობდნენ. ახალი წლის საღამოს, ჯარად დასხდომის წინ, მამაკაცების საჯაროს დაბლა პატარა ტაფობში შეიკრიბებოდნენ, წრედ დადგებოდნენ, მარცხენა ხელს ერთიმეორეს მარზე გადახვევდნენ, მარჯვენაში ანთებულ მამხლებს დაიკავებდნენ და ნელი ტრიალითა და „ჯვარულის“ სიმღერით წავიდოდნენ საჯარისა-

კენ; სიმღერას ზედ საჯარის კართან დაასრულებდნენ, სამჯერ შემოტრიალებდნენ, დაიძახებდნენ, სწყალობდესო, და საჯარეში შევიდოდნენ; მამხლებს იქვე ცეცხლში შეყრიდნენ და უფროს უმცროსობის წესით სუფრას მიუსხდებოდნენ.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 58.

საწვალაი (ხევ.) - ბოსლის გვერდზე გამოყოფილი ახალშეუღლებულთათვის განკუთვნილი ოთახი, რომლითაც წყვილი ერთი წლის განმავლობაში სარგებლობდა. (აუცილებელი იყო ბოსელში, რადგან ეს უკაბნასკნელი ნაყოფიერების ადგილად მიიჩნეოდა).

ლიტ.: ვ. ითონიშვილი, მოხვევების საოჯახო ყოფა, 1970.

საწვიმარი - წვიმის დროს ტანსაცმელზე მოსასხამი. ნახსენებია გიორგის მთაწმინდელის ცხოვრებაში როგორც ძალზე გავრცელებული საცმელი. საწვიმრები ნახსენებია გვიანფოდალური ხანის ქონების ნუსხებშიც. შეკერილი უნდა ყოფილიყო მსხვილი ტილოს ნაჭრისაგან, რომელსაც წყალი არ უნდა გაეტარებინა. მთაწმინდელის „ცხოვრების“ მიხედვით დიდი წვიმის შემდეგ ის ბერები, რომლებთაც საწვიმარი ჰქონდათ, მონასტერში მოვიდნენ „მოლხინებით“, ხოლო ისინი ვინც უიმისოდ იყო, „გაჭირვებით“. საწვიმარის თავისებურ ტიპს წარმოადგენს ღართი (იხ).

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

საწვიმარა გუგა (თუშ.) - გაჭიანურებული გვალვების დროს, წვიმის გამოწვევის მიზნით, შესრულებული რიტუა-

ლის მთავარი პერსონაჟი - დედოფალა; გადაჯვარედინებულ ჯოხს პატარძლის სამოსით გამოაწყობდნენ, გრძელ ტარს გაუკეთებდნენ, მაღლა აწეულს კარდაკარ დაატარებდნენ და სანთელ-ზედაშესა და ფორს მოკრებდნენ; სანთელ-ზედაშეს ამინდის სალოცავის ნიშში გაიტანდნენ, სადილებელს ეტყობდნენ, ცის ნამს შესთხოვდნენ, თან გაიძახოდნენ: „ადარ გვინდა კორახი, ღმერთო, მოგვეც ტალახი“. შემდეგ საწვიმარა გუგას წყაროზე წაიღებდნენ და იმავე შეძახილებით გუგასაც და ერთურთსაც წყლით გაწუწავდნენ. მოკრებილი ფორისაგან საქვაბეში საავდრო სამხდოსთვის ალუდს მოხარშავდნენ: სალუდე ქვაბში ფორის ჩაყრისას ქვაბის სახელურებს აჟღიალებდნენ და თან გაიძახოდნენ: „ადარ გვინდა კორახი, ღმერთო, მოგვეც ტალახი“.

თუშეთში სადაროს ჟივლება დარავდრის სალოცავის, ჭახალეს ყმებს, ხისოელებს ევალებოდა, ოღონდ „სანაკრეფოს“ - ალუდის მოსახარშ სვე-ფორსა და სხვა სასმელ-საჭმელს - მთელს ჭანჭახოვანში აგროვებდნენ.

ლიტ. გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 150.

საწირავი - იხ. „ოხვამერი“.

საწიგნე - ქართულ ხელნაწერთა მინიატურებისა და ჩვენამდე მოღწეული ექსპონატების მიხედვით, ჯერ კიდევ XI ს. საქართველოში გვხვდება მაღალი გემოვნებით შესრულებული საწიგნე-სამწერლობო კიდობნები. ზოგიერთ შემთხვევაში საწიგნე კომბინირებულად იყო შეწყობილი საწერ მაგიდასთან. საწიგნეიყო როგორც უძრავი, მგალითად კედელში ჩატანებული, ისევე მოძრავი - ხისა. საწიგნეთა ნიმუშები დადასტურებულია სვანეთში: ლამარიას, იენამის, ჟიბიანის,

ლატალის ეკლესიებში. მატერიალური კულტურის ამ ტიპის ნიმუშების განხილვა აშკარად მიანიშნებს წიგნის ხმარების მაღალ კულტურაზე.

ლიტ.: ვ. ართილაყვა, XVI-XVIII სს. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1965.

საწიწვერი - წერაქვის ნაირსახეობა, რომელსაც წვეროები რკალურად აქვს მოხრილი და გამოიყენებოდა ქანიდან რბილი ქვის ამოსაჭრელად. ასეთ ქვას ძირითადად იყენებდნენ კეცებისთვის. (იხ. კეცი ქვისა).

საწლო - იხ. „სამკლოვიარო გვერგვი“.

საწმინდარ გასვლა / საწმინდარ ყოფა - დღეობისწინა განწმენდის ხევისურული წესი, ეხება როგორც ჯვარში ჯელოსნად პირველად მიმსვლელს, ე. წ. მესაჯელოეს, ისე უკვე ჯელოსნის (იხ.) სტატუსის მქონე მეთემეს. „საწმინდარში“ ყოფნა ხევისურეთის სხვადასხვა ჯვარში სხვადასხვა ხანგრძლივობისა იყო (ორი კვირიდან ერთ თვემდე). ამ ხნის განმავლობაში ხელოსნად მიმსვლელი მეთემე-მესაჯელოან ჯვარში ცხოვრობდა ან საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე - ჭერხოში. „საწმინდარში“ ყოფნის დროს მესაჯელოეს ეკრძალებოდა უწმინდურ ადგილებში გასვლა და ისეთი სამუშაოს შესრულება, რაც ოფლს დასდენდა, რადგან ეს უკანასკნელი უწმინდურად ითვლებოდა. იგი მსუბუქ სამუშაოებს ასრულებდა და ტანს ყოველდღიურად იბანდა. ხევისურეთის ზოგიერთი ჯვარი მეთემეთაგან განსაკუთრებულ სიწმინდეს ითხოვდა არამარტო ჯელოსნად პირველად მისვლის წინ, არამედ საზოგადოდ ჯელოსანობის დროს. ერთ-ერთი ასეთი ჯვარი ყოფილა სოფ. ზეისტეჩოს ჯვარი, რომელიც „თავის მოსამსახურე ახალგაზრდებს სწორფრობასაც კი უშლიდა“ (ალ. ოჩიაური).

საწმინდარში ყოფნის დროს ჰელოს-ნად მიმსვლელი მეთემისათვის საჭმელი, ე. წ. „საკვლევი“ სოფლიდან მოჰქონდათ. მესაველოე საკვლევის მომტანთ იმანსოვრებდა და საიმდლისო წესის შესრულების შემდეგ, დღეობის ბოლოს, ყველას თითო კომ ლუდს გაუგზავნიდა.

დღეობის დღეს ახალშეკერილ სამოსში გამოწყობილი მესაველოე, რომელსაც საველოში ჩადგომის | ზღუბლის დალაჰვის წესი (იხ.) უნაყროდ (უჭმელად) უნდა შეესრულებინა, დილით ადრე დგებოდა და ცხრა წყაროს წყლით ტანს ცხრაჯერ დაიბანდა (მდინარეში დაბანა არ შეიძლებოდა, რადგან მისი წყალი უწმინდურად ითვლებოდა). ასეთივე სიწმინდის დაცვა მართებდათ ჯვარის მსახურებსაც.

ლიტ.: ჟ. ერიაშვილი. „ჰელოსანის“ ინსტიტუტის საკითხისათვის ხევსურეთში („საველოში ჩადგომისა“ და „ზღუბლის დალაჰვის“ წესები) // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XIX. თბ., 1978, გვ. 102; ალ. ოჩიაური. ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. ხევსურეთი (არხოტის თემი). თბ., 1988, გვ. 58, 148, 155; თ. ოჩიაური. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ., 1954, გვ. 16-17.

საწნახელი - ყურძნის დასაწყლეთ-დასაწური ჭურ-ჭელი. არსებობს სამი ძირითადი ტიპი: ქვის, ქვიტკირით ნაშენი და ხის. მეღვინეობაში ყურძნის დაწურვას ქვის საწნახელში უძველესი ისტორია აქვს. დღემდე მოღწეულია როგორც კლდეში ამოკვეთილი საწნახლები, ასევე კირ-ხსნარით აშენებული. ეთნოგრაფიულ ყოფაში დასტურდება ერთიან ლოდში ამოკვეთილი საწნახლები. (ქვის საწნახელების საუკეთესო ნიმუშები

დასტურდება იმერეთში, განსაკუთრებით ქვის დამუშავებით განთქმულ ცენტრებში; ჭოგნარი, სეფარეთი). ქვის საწნახელები 2-დან 4 მეტრის სიგრძისაა, სიმაღლე - 40-60 სმ, მოყვანილია ხის საწნახელის მსგავსად. აქვს ზურგი, ტანი, გვერდები, წინპირი, ინდური, რომელიც გავრეტილია ტკბილის გამოსვლისათვის. ქვის საწნახლისთვის საჭიროა საუკეთესო უტალო და უარტამანო ქვა, რომელიც მოტყდება ურო-სოლის მეშვეობით. ითლება სათლელეებით და სატეხებით. საწნახლის კეთება მიმდინარეობს 2-3 თვის განმავლობაში. თავისი მნიშვნელობის გამო იგი იშვიათ ნივთთა რიცხვში ექცევა და იმერეთში „საგანძურსაც“ უწოდებენ (იხ. საგანძური). ტერმინ „საწნახელში“ ფაქტობრივად გამოხატულია მოქმედება, რომელიც ყურძნის ჭყლეტა-წინეხვას გულისხმობს. პრეისტორიულ ადამიანს ყურძენი ხელით უნდა დაეჭყლიტა და ეს პროცესი ალბათ გრძელდებოდა მანამ, ვიდრე კულტურული ვაზის მეურნეობა არ გაიჩინა. საგულისხმოა, რომ ძველ საქართველოში ყურძნის დაწურვა სცოდნიათ ტყავზე, გოდორში, ვარცლზე, სელის ტომრებში, მაგრამ განვითარებული მეღვინეობისა და მაღალი დონის მეურნეობის მაჩვენებელი საწნახელია, რომლის უძველესი, კლდეში ნაკვეთი ნიმუშები ამიერკავკასიაში IV ათასწლეულით თარიღდება. ასეთი, კლდეში ამოკვეთილი საწნახელები, საქართველოში ამჟამად არსებობს უფლისციხეში, ნეკრესში, ვარძიაში, გარეჯში. მათი დამუშავების ხელოვნება და გამოყენების პრაქტიკა, აშკარად მიგვანიშნებს, რომ ამ დროის საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობა მაღალ სამეურნეო დონეზეა ასული. საწნახლის მეორე ტიპია - კირხსნარით აშენებული საწნახლები, გავრცელებული საქართველოს ყველა კუთხეში, განსაკუთრებით კი ქართლსა და კახეთში. ასეთი საწნახლები ზოგჯერ გაყოფილი არიან ორად, შავი

და თეთრი ყურძნისათვის და ორივეს ცალ-ცალკე გააჩნდა წვენი გადმოსასვლელი ინდური - ნახევრად ღია მილი. კირხსნარით ამენებული საწნახლები დიდი მასშტაბური სამეურნეო საქმიანობისათვის იყო განკუთვნილი. ხის საწნახლისათვის საუკეთესო ხედ ითვლება ცაცხვი. სასაწნახლე ხეს წინასწარ შეიგულებენ, ზამთრის დამდეგს მოჭრიან, ერთ წლამდე ადგილზე დატოვებენ. მერე ნაჯახით გათლიან, გულს ამოუღებენ და საბოლოო დამუშავებისთვის სახლში მიიტანენ. საწნახელი მარანში იდგმება კედელთან, ხის ან ქვის სადგამებზე, ბოლო აწეული აქვს იმდენად, რომ ტკბილი იოლად დაეშვას ინდურისაკენ. საწნახელში ყურძენს დატყეპნიან თავგანიერი ხის უროთი. მწურავები შიშველი ფეხით ფრთხილად გადაუვლიან საწნახელში ჩაყრილ ყურძნის მასას. მერე ბოლოდან მოჰყვებიან და ნელი წნეხვით იწყებენ თანაბარ ჭყლეტას. როცა ყურძენი აითქვიფება, ნაჭყლეტ მასას მიყრიან საწნახლის უკან, შემდეგ გაუგდებენ ნიჩაბს და ზემოდან შედგებიან. რამდენიმე ასეთი პროცესის გამეორების შემდეგ ჭაჭას მთავარი წვენი გამოსული აქვს და გამზადებულია წბერში გასატარებლად. საწნახლებში ადრე სცოდნიათ წნელით დაწნული ჩელტების ჩადება, რასაც ზემოდან დააფენდნენ ჩადის, ჩადუნას ფოთლებს, იმ მიზნით, რომ ტკბილს არ გამოყოლოდა წიპწა და ჭაჭა. ჩადუნას ფოთლების მომეტება ზოგჯერ ღვინოს სპეციფიკურ გემოს აძლევდა და აქედან მოდის გამოთქმა „ჩადის გემო აქვსო“. დიდი და გამორჩეული საწნახელი ოჯახის ძლიერების სიმბოლოს წარმოადგენდა. დასავლეთ საქართველოს საახალწლო რიტუალში მარანი და საწნახელი იქცეოდა ერთ უმთავრეს ობიექტად, რომელთა ეშვობითაც ადამიანები ღმერთს გამრავლებასა და ბარაქიანობას შესთხოვდნენ.

საწოლი, სარეცელი, ცხედარი, თეე, ტახტი, სტივა - ადამიანთა მოსასვენებელი ავეჯი. X ს. ძეგლებში ბერთა საწოლად სარეცელია დასახელებული. ძველ საქართველოში საგებლის გარეშე, საწოლი ავეჯის სინონიმს წარმოადგენდა-ცხედარი. სულხან-საბას განმარტებით, - „ცხედარი ითქმის შიშველ საგებელთაგან, ხოლო სარეცლად დაგებული და გადაგებული“. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში გავრცელებული საწოლის ერთ გავრცელებულ სახეობას ტახტი ჰქვია. საწოლ სარეცელთა ორიგინალური ნიმუშებია მოცემული მამუკა თავაქარაშვილის მოხატულ „ვეფხისტყაოსანში“. ეს ავეჯი მეტ-ნაკლები რეალობით უნდა ასახავდეს ფეოდალური საქართველოს საწოლის ტიპებს. საქართველოს არისტოკრატიის საწოლი ავეჯის მაღალგანვითარებულობას ადასტურებს არმაზისხევში აღმოჩენილი სარეცელი, რომელზედაც აკლდამაში შესვენებული მიცვალებულები იყო მოთავსებული.

ლიტ.: ვ. ართილაყვა, XVI-XVIII სს. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1965.

საწულე - ჯვარიყმობის ინსტიტუტთან დაკავშირებული რიტუალი, თემის სრულუფლებიან წევრად გახდომის წესი ხევსურეთში. საწულეს წესის შესრულებით, მცირეწლოვანი ბავშვი ჯვარის ყმა ხდებოდა და, „წილ-ნაწილისა“ (იხ.) და „წილ-კერძის“ (იხ.) გარდა, იგი წილს იღებდა ყველა იმ უფლება-ვალდებულებაში, რომელიც მას, როგორც ჯვარის ყმასა და თემის წევრს, ეძლეოდა და მოეთხოვებოდა; ხოლო როგორც უკვე ჯვარის ყმა, იგი ამ ჯვარის მფარველობის ქვეშ ექცეოდა. „საწულეს“ წესს ხევსურეთში მხოლოდ ზოგიერთ თემში და ჯვარში ასრულდებოდა. იგი არ სრულდებოდა ისეთ თემებში, რომლებშიც გაერთიანებულ

გვარებს საერთო წარმოშობისა და თემის გამაერთიანებელი ჯვარისადმი თავდაპირველი ყმობის შესახებ გადმოცემები გააჩნდათ და, ამდენად, ამა თუ იმ ჯვარის „უნჯ||მკვიდრ“ ყმებად ითვლებოდნენ და „საწულეს“ გადახდის გარეშეც თავიანთი სალოცავის ყმები იყვნენ. მაგრამ თუ ეს უნჯი||მკვიდრი ყმები საცხოვრებლად სხვა თემში გადავიდოდნენ, „საწულე“ აუცილებლად მართებდათ; სხვაგვარად თემის სრულყოფილებიანი წევრები ვერ განდებოდნენ.

„საწულეს“ ერთ წლამდე ასაკის მამრობითი სქესის ბავშვს „ახალწულების დღეობაზე“, ანუ „საწულეობაზე“ უხდიდნენ. „საწულეობა“ სხვადასხვა თემში სხვადასხვა დროს იცოდნენ, მაგრამ მას აუცილებლად „დიდ დღეობებზე“ იხდიდნენ, ანუ მაშინ, როდესაც ჯვარის დროშა „გამოდიოდა“. საამდღისოდ „მესაწულეები“ (ბავშვის მშობლები) წინასწარ ამზადებდნენ „სასაწულეო ზღვენს“: მსხვერპლად შესაწირ საკლავს - ორი წლის მოზვერს ან ვერძს (შატილში ორ საკლავს - ცხვარსა და თხას), „სასაწულეო პურებსა“ და ქალებს, ლუდსა და არაყს, სანთლებს სწირავდნენ.

„საწულეობის“ წინა დღეს მესაწულეები ჯვარში წავიდოდნენ, თან „ღამისამთელოს“ - ქადასა და სანთელს წაიღებდნენ. ხუცესი, რომელსაც ტაბლაზე პატარა ქადა და „საკვირაო“ (რიტუალური პური) ეწყო, „მესაწულეების“ ლუდიან კოდს გახსნიდა, თასებში ჩამოასხამდა, ტაბლაზე დადგამდა, სანთელს მიაკრავდა და შეუდგებოდა ხოცობას: „ღმერთმა ადიდას შენ ძალი, შენ სახელი, მიქიელ მთავარო ანგელოზო (სოფ. ახიელის სასოფლო და სრულიად არხოტის თემის სალოცავი - ნ. ა.), შენა სამთავროდ მაიჭმარი ეს კოდ-საფუარი, სეფე-სანთელი, სადიდებელი. შენად გასამარჯოდ მაიჭმარი,

შენ მესაწულეეთად, შენთ მეხვეწურთად. გეძახან შენ მეხვეწური, გეხვეწებიან, წულითა, საწულით შაიხვეწენი. შენდ შამაიხვეწებიან მესაწულენი, შენ შენს გამჩენს მორიგე ღმერთს შაახვეწენი. ღირსულად იწირი ეს კოდ-საფუარი, გასამარჯოდ მაიჭმარი. აგრემც გაგემარჯების შენის გამჩენის ხთის კარზე“ (არხოტი). ლუდიანი კოდის ხუცობისა და კურთხევის დამთავრების შემდეგ, დასტურ-ხელოსნებს, რომლებსაც ლუდიანი თასები უჭირავთ, „შაჰმღერნებენ“ უთასოები. იმღერებენ საგმირო ხასიათის სიმღერებს. თასების დაცლის თასიანებიც „შაჰმღერნებენ“ უთასოებს, ლუდიან თასებს მიართმევენ და ახლა ისინიც შესვამენ. შემდეგ ტაბლას დადგამენ და ტაბლის წესებს შესარულეებენ.

მეორე დღეს, საწულეობის დილას მესაწულეები ჯვარში იმ წელიწადს დაბადებულ ვაჟიშვილებს, დაბანილებსა და სუფთად ჩაცმულებს, წაიყვანენ. ჟამისწირვის დამთავრებამდე ბავშვები არიან დედებთან, რომლებიც ჯვარისგან მოშორებით, „საქალებო ადგილზე“ სხედან. ჟამისწირვის შემდეგ ხუცესი გარეთ გამოვა და მესაწულეებს დაამწყალობნებს: „გწყალობდასთ მესაწულეებს სომხოს გიორგი (სოფ. არდოტის მთავარი სალოცავი. - ნ. ა.), საწალმართოდ მაგიარასთ, სიხარულად გაგიჰადასთ ზღვნობაიდ' სამსახური, მუდამ წულითად', საწულით შამაგიხვეწნასთ, ნუ გამალივას თქვენს სახლშიად' უბე-კალთაში წულიდ' წულის აკვანი. გიორგიმ გაგიზარდასთ ახალშამაბარებულ, შამაგორებული წულიდ' მონდავები სხვებ მაგცასთ“ (არდოტი).

ხუცესისა და ჯვარიონთაგან დამწყალობნების შემდეგ ხნიერი ქალები „დასხდებიან მუხლზე“ და ჯვარს შეეხვეწებიან: „დალოცვილო არდოტის სალოცაო, შენ უშველე შენს კალთაში შამაგორებულ,

შამაბარებულ არდოტელთ წულებს, დაზარდი, კაის ბედის კაცები გამაიყვანი, მაგიძღავ, დალოცვილო, ნუ ვის თვალ-გულს მადრევ“ (არდოტი). შემდეგ „მესაწულები“ „სასაკლაოზე“ მიიყვანენ მსხვერპლად შესაწირ საკლავს, რომელსაც დაჩოქილი დასტური „პირით აღმოსავლეთის მხარეს“ დაიჭერს. ხუცესი ყოველ საკლავს ცალ-ცალკე „მოახსენებს“, ანუ ახვეწებს იმ წულს და მის მშობლებს, ვინც საკლავი არის. ხუცობის შემდეგ ხდება საკლავების ცალ-ცალკე „შესახელება“ და დაკვლა, რომლის დროსაც სამსხვერპლო ცხოველის სისხლს ხუცესი ბავშვს გულზე და შუბლზე წაუსვამს, შემდეგ ხელში აიყვანს და იმ ადგილისაკენ წაიყვანს, სადაც დროშა „დაბძანებული“ და რიტუალის ძირითადი ნაწილი სრულდება. ხუცესი აქ სრულიად შეშველ ბავშვს დროშის ქვეშ სამჯერ შეაგორებს, თან ამბობს: „დიდო მიქიელ მთავარო ანგელოზო, შენდ მათუბარებავ ე ახალწული (სახელს იტყვის) შაიხვეწი, დალოცვილო, მიიბარე, გაზარდე, შენთ სახელიანთ ყმათაში გაური, გაზარდეკაის ბედის კაც გამაიყვანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს. მაგის დედ-მამათ მონდავი სხო მიეცი, წულითა საწულით შაიხვეწნიდი კიდევ“ (არხოტი). როგორც კი დედები ბავშვებს შინ წაიყვანენ, მამაკაცები საკლავებს გაატყავებენ (ტყავსა და მხარს ხუცესსა და ჯვარიონთ მისცემენ), ხორცს მოხარშავენ და ტაბლას დააგებენ: „სასაწულეო პურებზე“ ხორცს დააწყობენ და ლუდს დადგამენ. ტაბლა მთელი სოფლის მოსახლეობისთვის იდგმება. მესაწულები ფეხზე დგანან და პურის ქამის დროს იქმყოფებს ლუდს უსხამენ. ყველა წესის შესრულების შემდეგ, მესაწულები „ჯვარს მადლს მოსთხოვენ“ და შინ წავლენ. წასვლის წინ მათ ჯვარიონი ერთ საწდე ლუდს მისცემს, რომელსაც ისინი სოფელში წაიღებენ, შეიკრიბებიან ერთ-ერთი მესაწულის ოჯახში და მოილხნენ.

ფორმალური თვალსაზრისით, „საწულეს“ ანალოგიას წარმოადგენს ბავშვის ჯვარში მიბარების, ე. წ. „მისამბარეოს“ წესიც. „საწულეს“ და „მისამბარეოს“, ორივე ჯვარში სრულდება; ორივე წესისათვის დამახასიათებელია ერთი მეტად მნიშვნელოვანი საერთო მომენტი - ბავშვის შეგორება ჯვარის დროშის ქვეშ; „საწულეს“ მსგავსად ჯვარი „მისამბარეო ზღვენს“ (საკლავს, ლუდს, არაყს, პურსა და სანთელს) იწირავს და რიტუალის, თითქმის, იდენტურად სრულდება.

განსხვავებით „საწულესაგან“, რომელსაც ხევსურეთის ამა თუ იმ სოფელში გვიან ჩასახლებულები ასრულებდნენ, ბავშვის ჯვარში მიბარების („მისამბარეოს“) წესს მხოლოდ ამ ჯვარის უნჯი|მკვიდრი ყმანი მიმართავდნენ. მოსულნი მიბარების წესს იმ შემთხვევაში შეასრულებდნენ, თუ მკვიდრი მოსახლეობა ან ამოწყდებოდა, ან მთლიანად სხვაგან გადასახლდებოდა. განსხვავება „მიბარებულსა“ და საწულემსრულებულს შორის ის იყო, რომ პირველს ჯვარის მსახურად (ხუცესად, ქადაგად, მეზარედ, მედროშედ, მეგანძედ, მესაფუვრედ) მისვლის პერსპექტივა გააჩნდა (საქელოში ჩადგომისა და ზღუბლის დალაჰვის წესების შესრულების შემდეგ), მეორეს კი - არა.

„მისამბარეოს“ წესით, ორივე სქესის ბავშვის მიბარების ასაკი ერთიდან სამ წლამდე მერყეობდა. სათემო სალოცავებში მხოლოდ ვაჟებს აბარებდნენ, მდედრობითი სქესისას კი - ხანმატის ჯვარში. ხევსურეთის ზოგიერთ თემში (მაგ., არხოტისა და სამაგანძუროს თემებში) ბავშვის ჯვარში მიბარება აუცილებლად შესასრულებელი წესი იყო; ზოგან ამ წესს მხოლოდ მაშინ მიმართავდნენ, როცა ბავშვი ხშირად ტიროდა ან ავადმყოფობდა.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა „საწულესა“ და „მისამბარეოს“ წეს-ჩვეულებებში მოქმედი ძირითადი მომენტი - ჯვარის დროშის ქვეშ ბავშვის შეგორების რიტუალი. რამდენადაც დროშა თვით ჯვარს ხატის განმასახიერებელია, მის ქვეშ შიშველი ბავშვის შეგორება ჯვარს ხატის მიერ ჩვილის შობის სიმულაციას წარმოადგენდა, ისევე როგორც ამას შვილის აყვანის რიტუალებში ვხედავთ (იხ. „მითორგინაფა“). ეს აქტი კი მიუთითებდა ჯვარისა და „წულის“ (შვილის) გენეტიკურ კავშირზე, იმაზე, რომ ჯვარმა ბავშვი იშვილა, თავისი ყმა (შვილი) გახადა.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სიცოცხლისა და სიუხვის ხე ქართველთა სარწმუნოებაში // საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები. თბ., 1968, გვ. 44-64; ჟ. ერიაშვილი. „საწულესა“ და „მისამბარეოს“ წესები ხევსურეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XVI-XVII. თბ., 1972, გვ. 176-182; ჟ. ერიაშვილი. უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები საქართველოს მთიანეთში. თბ., 1982, გვ. 57-96; В. В. Бардавелидзе. Земельные владения древнегрузинских святыль // Советская этнография. № 1. 1949; В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. 1957, с. 61. **საწულეობა** - იხ. „საწულე“.

საწური - ნივთი, რომელიც იხმარება სამეურნეო საქმიანობაში სხვადასხვა ნივთიერების გასაწურად. მზადდებოდა ხის, თიხის, ლითონისა და მცენარეთა მტოებისაგანაც.

საწყევარა - სიპი ქვით ნაშენი პატარა კოჭი ხევსურეთში. საწყევარას ის პირი აშენებდა, ვინც რამე დაკარგა და ვინმეს ეჭვით აბრალებდა ქურდობას, ან ის, ვისაც ტყუილად დააბრალეს ქურდობა, ენა-ონა (ჭორი) თუ სხვა რამ. საწყევარას ამგები საწყევარაზე ან უსურაგის (საპალნე ცხოველის - ცხენის, ჯორის, ვირის) ძვალს დადებდა ან დამხრჩვალ კატას და მისთანას და თავის მოწინააღმდეგესაც დაწყევლიდა და თავის თავსაც. იგი ხმამაღლა დაიძახებდა: „რომენიც ჩვენჩიგით ტყუოდას, იმის მკვდრისად იყვას ეს ციცაი, მართლის მკვდართ ჳსნილობა ხქონდას“. საწყევარას, ჩვეულებრივ, თვალსაცემ ადგილზე აგებდნენ, რათა ყველას დაენახა“.

ლიტ.: ალ. ჭინჭარაული. ხევსურული თავისებურებანი. ტექსტებითა და ინდექსით. თბ., 1960, გვ. 300-301.

საწყაო - ზოგადი სახელი სხვადასხვა ზომა-წონის შედგენილობის ჭურჭლისა. აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულია მარცვლეული კულტურების შემდეგი საწყაო ჭურჭელი: ლიტრა, პინა, ჩანახი, ორიანი, სამიანი, ფოხალი, ჩხუტი, გვერდი, წასამალი, რუბი, კოდი და სხვა. მათ ძირითად საზომ ერთეულს ლიტრა წარმოადგენდა, თუმცა ეს საწყაოები სხვადასხვა ადგილას განსხვავებული მოცულობის იყო მაგ., მცხეთა-თბილისის რეგიონში ლიტრა 10 გირვანქას უდრიდა, ხოლო კოდი 10 ლიტრას შეადგენდა. ფშაური კოდი ათლიტრიანია, ლიტრაში კი 12 გირვანქაა. ხევსურული კოდი 12 ლიტრიანია, ხოლო კახეთის ლიტრა 13 გირვანქას შეადგენდა. უფრო მეტად ხმარებაში იყო 10 გირვანქიანი ლიტრა, რომელიც 4 კგ მარცვალს შეადგენდა. ამის მიხედვით იანგარიშებოდა - ჩანახი, პინა, ფოხალი,

კოდი. დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ფეოდალური დაქსაქსულობის პერიოდში, მრავალგვარი საწყაოები არსებობდა, რომელთაგან აღსანიშნავია: ქილა, ფოხალი, ბათმანი, გვერდი, გოდორი, გუდა, კოდი, ატარი, კაბიწი, ნაოთხალი, მენახევრე, კვილოლი, ოყა, გორო, კვანი, კვერციხი და სხვა. XIX ს. განსაკუთრებით გამოიკვეთა ძირითადი საწყაოები: ქილა, ფოხალი, ბათმანი, რომელთა განსაზღვრა ემყარებოდა ლიტრის ოდენობას, თუმცა ლიტრის ოდენობა ხშირად იცვლებოდა. მაგ., მეგრული ქილა უდრიდა 42 გირვანქა სიმინდს, გურული - 2 ბათმანს. ხის საწყაოები ძირითადად კეთდებოდა მთლიანი ხისგან, ქერქისგან და წნელისგანაც როგორც სახელურით, ასევე უსახელუროდ. ზოგჯერ, ხის საწყაოებს სიმაგრისათვის, თავსა და ბოლოში, რკინის სალტეებს უკეთებდნენ. ლიტ.: გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1975.

საწყაო ღვინისა - ღვინის საწყაოებად ქალაქში უფრო მეტად გამოიყენებდნენ სპილენძის კონუსურძირიან საწყაოებს, ერთი ჩარექიდან ორ ფუთამდე. ჩვეულებრივ სოფლად ხმარობდნენ თიხისა და წყლის ჩაფებს, რომელსაც მრგვალი პირი აქვს. მიუხედავად საწყლე ჩაფთან მსგავსებისა, მისგან განსხვავებული ჭურჭელია, რადგან იგი ზუსტად დადგენილი, შემოწმებული ღვინის საწყაოა. მისი დამზადება მეჭურჭლისაგან სიზუსტეს მოითხოვს. საწყაოდ დამზადებულ 10 ჩაფიდან არწყვა-შემოწმების შემდეგ საწყაოდ რომ 3-4 მაინც გამოვიდეს ზუსტი, ესეც მეჭურჭლის დიდ მიღწევად ჩაითვლება. ჭურიდან ამოღებულ ღვინოს საწყაო ჩაფში ასხამენ, ეს პრაქტიკულიც არის და მოსახერხებელიც. მოსახერხებელია იმიტომ, რომ ჩაფს ფართო, მრგვალი პირი აქვს და ღვინო კარგად ისხმება. პრაქტიკულია იმიტომ, რომ იციან რა რაოდენობის ღვი-

ნოს აკლებენ ჭურს. ჩაფი ღვინის საწყაოდ იმერეთის გარდა გამოყენებულია რაჭაში. რაჭაში ხმარებული საწყაო ჩაფების უმრავლესობა იმერეთიდანაა შემოტანილი. რაჭაში ხშირად გაიგონებთ გამოთქმას „საჩხერული“ ფუთიანი, „შროშული ჩაფი“ და სხვ. ჩაფს საწყაოდ ხმარობენ ქიზიყში, საინგილოში. ჩაფის ანალოგიური თიხის საწყაოებია: კოკა -(ქართლი, კახეთი, სამეგრელო), დორა, მენახევრე (რაჭა-ლეჩხუმი), „ჭარიკა“ (გურია) და ა.შ.

ლიტ.: ც. კაკაბაძე, შროშული კერამიკა, 1982. ლ. ბოჭორიძევილი, ქართული კერამიკა, I, კახური, 1949.

საწყვეტი - კეხის ამოშვერილ ნაწილებზე წინ და უკან ჩაბმული ჰქონდა ხურჯინის დასამაგრებელი ორი თასმა. ამავე დროს, საწყვეტი ეწოდებოდა მოლტის ბოლოს მიბმულ სატყლაშუნო თასმასაც.

საჭე - ხომალდის მთავარი სამართავი მოწყობილობა, რომლითაც შესაძლო ხდება ხომალდისთვის სასურველი მიმართულების მიცემა, ძვ. ქართულში მისი სინონიმია „სარეველი“. ლიტ.: ზ. კუტალეიძევილი ნაოსნობა საქართველოში. 1984.

საჭვრეთა, საჭრელებელი - ქალების დასაჭრელებელი, ხის საბეჭდავი, რომლის თავი შემკულია სხვადასხვა ხაზობრივი მოტივებით. გამოცხობის წინ საჭვრეთას დააბეჭდავენ სარიტუალო პურს და დააჩნდება. საქართველოში მრავალგან იყო გამოყენებული პურის დაბეჭდვის ამგვარი წესი (იხ. ბიქილა, დასტაგი - დაგი).

ლიტ.: ალ. ოჩიაური, ქართ. ხალხ. დღეობათა კალენდარი, 1988.

საჭიკა - თუში ქალის კაბის სარტყელი. მოქსოვილია ფირფიტებით ფერადი ძაფისაგან და გამოირჩევა სიმაგრით. ბილოებში ფოჩით მთავრდება. საშუალო ზომის საჭიკა 1,5 დან 2 მეტრამდეა სიგანით 3-დან 8 სანტიმეტრამდე.

საჭილაოს ნავი - მდინარე რიონზე გავრცელებული ნავის სახეობა, რომელიც ქალადილურ ნიშს წააგავს. ასეთი ნავების მისადგომი საჭილაოში იყო გამართული და აქედან მიიღო როგორც სახელწოდება.

სახაბაზო - პურის საცხობი. ძვ. ქართულად „პურის საქმარი“ ეწოდებოდა. შენობა-ნაგებობა, სადაც გამართული იყო ფურნე ან თორნე ყველა იმ ატრიბუტებით, რაც პურის გამოცხობას ესაჭიროება (გობები, ასტამები, საკეცები და სხვანი). სახაბაზო პურის ცხობას წარმართავდა ხაბაზი.

სახაპე (რაჭ.) - ხაპის (იხ.) გასაკეთებლად გამიზნული ხე.

სახარო გზა (რაჭ.) - გზა, რომელზედაც ხარ-ურმით დადიან. დიდი ხე სახარო გზამდინ გორებით ან დაცურებით მიგვაქ.

სახარჯო ღვინო (რაჭ.) - ღვინო, რომელიც საძველოდ, შესანახავად არ ვარგა, მდარე ხარისხისა ან წყალნარევია და ოჯახში დასახარჯავად არის განკუთვნილი (იხ. ბერ., ძოწ., გაჩ., ფრ., 226).

სახევსუროები - თუშეთში არსებული ხევსურული სალოცავების საერთო სახელწოდება. თუშეთის ყოველ სოფელში მოქმედ რამდენიმე საკულტო სალოცავს შორის ერთი აუცილებლად „სახევსურო“ ნიშა (ხანმატის ჯვრისა ან კარატის ჯვრისა, იგივე კოპალასი) უნდა ყოფილიყო. ათნიგენობების (იხ.) დღეებში თუშეთში თავთავიანთი დროშებით გადმოდის ხევსურ „ჯვარიონთა“ (ხე-

ვისბერთა და დასტურთა) ორი ჯგუფი - ხანმატიონნი და კარატიონნი. ხანმატიონნი იმ სოფლებში მიდიოდნენ, სადაც ხანმატის ჯვრის ნიშები იყო, ხოლო კარატიონნი - იმ სოფლებში, სადაც კარატის ჯვრის, ანუ კოპალას სახევსურო სალოცავები მდებარეობდა. მათ წინასწარ ჰქონდათ დაგეგმილი, სად შეჩერებულიყვნენ მხოლოდ გავლით და სად დამეუნდა გაეთიათ. ხევსურთა გადმოსვლის დღისთვის ყოველი სოფელი ალუდიან კოდსა და საკლავს ამზადებდა. ხევსური ხევისბერი ალუდის ნათაურათი (იხ. „ნათაურაჲ“) დაამწყალობნებდა და საკლავს დაკლავდა. ადგილობრივები ამ საკლავის ხორციტა და ალუდით სტუმრებს სუფრას გაუმლიდნენ და მოილხენდნენ. შეწირული ცხოველის ტყავს ხევსური ხევისბრები წაიღებდნენ და თავიანთი ჯვრების სხვა ნიშების შემოსავლელადგზას გააგრძელებდნენ.

თუშების რწმენით, ხევსური ხევისბრების ლოცვას მეტი ძალა ჰქონდა, ვიდრე ადგილობრივი დეკანოზებისას. ისინი ხევსურ ჯვარიონს ავადმყოფებს, თვალნაცემებს თუ ავზნიანებს ქვაბ-საკლავით (იხ.) მიაგებებდნენ. ხევისბერი მათ დაამწყალობნებდა, დრომას ზედ მათ თავზე დააქდრიალებდა და სამსხვერპლო ცხოველის სისხლით „განათლავდა“ (შუბლზე ჯვარს გამოუსახავდა). ხევსურ ხევისბერს „მოაყვანიებდნენ“ „მაქც-ფათურაგით“ (ზვავში მოყოლა, წყალში დახრჩობა, კლდიდან გადმოვარდნა და სხვ.) დაღუპული კაცის სულსაც (იხ. „სულის უსნა“).

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 133-134.

სახელსადებები - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ხევსურული

რიტუალური პურები, რომლებსაც ყველთან, ერბოსთან, ხორცთან და სხვა პროდუქტებთან ერთად ტაბლაზე (სუფრაზე) დააწყობდნენ და „სახელს დაზღებდნენ“ - მიცვალებულებს „გაუგზავნიდნენ საიქიოში“. სახელის დადების რიტუალს სისტემატურად ის ოჯახები ასრულებდნენ, რომლებსაც ახალი მიცვალებული ჰყავდათ. „სახელს ზღებდნენ“ როგორც გარკვეულ რელიგიურ დღეს, ისე სხვა დღეებშიც. იყო დღეები, როცა ყველა ოჯახი თავს ვალდებულად თვლიდა „სახელი დაედვა მკვდართათვის“.

„აჰვსებისა შაბათსაო,
მკვდარნი ჩავლენ ანდაფსაო,
ვინაც სახელს არ დაუდებს,
ვაი იმის ჯალაფთაო“.

ლიტ.: ალ. ჭინჭარაული. ხევსურული თავისებურებანი.

სახუცო კოჭობი - ვერცხლის სარიტუალო თასი, შემკული წყვილი მტრედის ვერცხლისავე ფიგურებით, აგრეთვე, შეწირული საგნებით: მონეტებით, ყაწიმებით, შიბებ-ძეწვებით, და სხვ. მხოლოდ ამ თასით იყო შესაძლებელი კოდიდან ლუდის ამოღება. ფშავ-ხევსურული მითოლოგიით, წარმოადგენს ჯვარის თას-განძში შემავალ „ციტ მოსულ“ წმინდა ჭურჭელს, რომელიც არა ოდენ მტრედის სახით განცხადებული ჯვარჩენის ნიშანია, არამედ განიხილება, როგორც ჯვარის წარმოშობის წიაღი. სახუცო კოჭობის საკრალურ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მას მხოლოდ წელიწადში ერთხელ გამოაბრძანებენ და ამ გამოაბრძანებას, ანუ თავად ჯვარის გამოაბრძანებას, საყმო მუხლმოყრილი და თავდახრილი ხვდება; შემდეგ მიდიან მასთან და, მუხლმოყრილნი, ბაგეებით ეხებიან, მოსვამენ ლუდს, რითაც სიმბოლურადაა გამოხატული თემის ერთიანობის იდეა.

თასს განსაკუთრებული ძალა ხევსიბერის ხელში ენიჭებოდა.

ლიტ.: ზ. კიკნაძე. ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა. თბ., 1985, გვ. 111-119; ე. ნადირაძე. ქართული ლუდი // ეთნოლოგიური ძიებანი. III. Tb., 2007

სახვიელი (რაჭ.) - ლობიოს სარი. სახვიელზე ლობიო თვითონ ეხვევა.

სახვნელი - ყველა ტიპის სახვნელი იარაღის ზოგადი სახელწოდება. ტერმინი „სახვნელი“ რამდენადმე ადრე უნდა გაჩენილიყო, ვიდრე სახვნელთა სახეობანი და მათი სახელები. გვიან სახვნელმა, როგორც სახვნელის კერძო სახელწოდებამ, ვეღარ დაიტია განვითარების შედეგად სახვნელთა მრავალსახეობა და ზოგად ტერმინად იქცა. მის შიგნით მოხდა სახვნელების სახეობათა მიხედვით სათანადო სახელწოდებათა შექმნა. თუმცა „სახვნელი“, როგორც იარაღის კერძო სახელი, მთლად არ დაკარგულა. ზოგიერთ კუთხეში (ხევსურეთი, რაჭა, ლეჩხუმი) იგი შემორჩა სახვნელის კონკრეტული ტიპის აღსანიშნავად.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1930.

სახვნიელი (ხევს.) - მარტივი სახვნელი იარაღი. შედგებოდა: ქუსლის, მხრის, ვერქვანის, საბეწვოს, სახნისისა და საკვეთლისაგან. ქუსლი სწორად გათლილი ხის წვერწამახულ ძელს წარმოადგენდა, რომელსაც წამოცმული ჰქონდა სახნისი. ქუსლს უკან ჰქონდა ორი ნაჩვრეტი, რომელშიც ჩაიდგმოდა სახვნელის მხრის ერთი თავი და ვერქვანი (სახელური). სახვნელის მხარი ბლაგვკუთხედ მოხრილი ხის ძელი იყო, რომელიც ერთი

მსხვილი თავით ქუსლის ნაჩვრეტში იყო ჩადგმული, ხოლო მხარის სწორი თავი წაგრძელებული ჰქონდა უღელზე მისამბელად. მხარს ორი ნაჩვრეტი გააჩნდა: ერთში საკვეთელი თავსდებოდა, ხოლო მეორეში საბეწვე. შაბეწვე სამალდის გამობმით, სახვნელის გამწვევ ძალას უკავშირდებოდა. ერქვანი წარმოადგენდა ოკლე გაკუთხულ სახელურიან ჯოხს, რომელიც მხვნელისათვის სახელურების დანიშნულებას ასრულებდა. ხევსურული სახვნელის კომპლექსში გარკვეული მნიშვნელობის დეტალია ჯამბარა, რომლის საშუალებითაც სახვნელი უღელზე იყო მიბმული. ჯამბარას ტყავისგან ამზადებდნენ. ხევსურები ამ საქმის კარგი მოხელეები ყოფილან. მეჯამბრეობას მთელი პირაქეთელი ხევსურები მისდევდნენ. სახვნელში ერთი უღელი ხარი იბმოდა. ხვნის დროს მიმართავდნენ შრომის ორგანიზაციის მარტივ ფორმას - „მანდავს“ „მონდავს“. ერთიანდებოდა ორი ოჯახი თითო ხარით. თითოეული მათგანი თავისი მიწის ხვნისას საკუთარ სახვნელ იარაღს-„სახვნელს“ იყენებდა. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ მონაწილეს არ ჰქონდა სახვნელი, ის მეორე წევრის სახვნელს გამოიყენებდა საზღაურის გარეშე. მანდავის წევრები ჯერ ერთთან მუშაობდნენ, მერე მეორესთან. თითოეული ხნავდა იმდენს, რამდენიც სჭირდებოდა. ე.ი. თუ ერთ-ერთ წევრს მეტი ჰქონდა დასახნავი ფართობი, მას მანდავის მუშაობის დროს ხვნადღეების მეტი რაოდენობა ერგებოდა. ზოგჯერ ამ განსხვავებას „ათანაბრებდნენ“ ვისაც ნაკლები ჰქონდა მოსახნავი, იმას შეეძლო თავისი მანდავის ხარი სხვა დროს გამოიყენებინა. მაგრამ ეს არ იყო აუცილებელი და თუ ხდებოდა, აბსოლუტურ სიზუსტეს არ იცავდნენ. თუმცა, ასეთ შეამხანაგებას ეკონომიკური თვალსაზრისით დაახლოებით ერთნაირი მდგომარეობის ოჯახები მიმართავდნენ, რომელთაც მოსახნავი მიწებიც დაახლო-

ებით თანაბრად ჰქონდათ და ამდენად, ფაქტობრივად შრომის შედეგის (ხვნადღეების) განაწილებაში მნიშვნელოვან განსხვავებას ადგილი არ ჰქონდა.

ლიტ: გ.ჯალაბაძე. მიწათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში. თბ., 1963 Читая Г. С. Земледельческие системы и пахотные орудия Грузии – Вопросы этнографии Кавказа 1952

სახინკლე - აქ. ოვალური ფორმის ტარიანი დაფა, რომელზედაც დააწყობდნენ ხინკალს და მიართმევდნენ სტუმარს. ამ ნივთით ხდებოდა აგრეთვე სარიტუალო დღესასწაულებზე მიცვალებულთა სულეებისათვის „ხინკლის დადგმა“. სახინკლე შემკული იყო სხვადასხვა სახის ასტრალური გამოსახულებებით, რაც მთიელთა რწმენაწარმოდგენების გამოცახილია.

სახიცვაკი (რაჭ.) - ხარების შესამელი ჯაჭვი ან თოკი ლეწვის დროს (მდრ.: გაიხიცვება) (იხ. ქართ. დიალექტ., 688).

სახლთანგელოზობა - იხ. „ნერჩიმ ხვამა“.

სახლი - საზოგადოებრივი, სამეურნეო და ადამიანთა საცხოვრისის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი. ძველ საქართველოში საცხოვრისის გარდა არსებობდა: სახლი საქრივო (გლოვისა), სალხინო, სამდივნო (სასამართლო), ასევე სახლი წისქვილისა, სახლი რკინისა. პატარა საცხოვრისს სახლაკს უწოდებდნენ.

სახლი ბარული - ერთთვლიანი სახლი, გავრცელებული ხევსურეთის ზოგიერთ პუნქტში, რომელიც წარმოადგენს მიწისზედა ნაგებობას და გვიანდელ პერიოდში უნდა იყოს შესული ხევსურეთში.

სახლი ბოყვებიანი - ბოყვების მეშვეობით აგებული ხის სახლის ტიპი, რომე-

ლიც გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოში. ესაა იმავე ბოყვებით აშენებული ოდა (იხ. ბოყვები).

სახლი დარბაზული - ძვ. ქართული საცხოვრებლის ტიპი. მოიცავს მთელ კომპლექსს, რომელშიც შედის კარაპანი, დარბაზი, საკუჭნაო, ბოსელი, საბძელი და ფურნე. მისი საუკეთესო ნიმუშები გავრცელებულია მტკვრისა და ქვაბლიანის ხეობებში.

სახლი დარბაზული - დარბაზული სახლი, დარბაზი - ერდოიან-გვირგვინიანი ხალხური საცხოვრებელი სახლი. «დარბაზი» როგორც გლეხის საცხოვრებლის სახელწოდება წერილობით წყაროებში პირველად XVIII საუკუნიდან გვხვდება. ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულია ორნაირი დარბაზული სახლი: ერთთვალისიანი გავრცელებული იყო ქართლ-კახეთში, კომპლექსური, «მოდარბაზული» კი - სამცხე-ჯავახეთსა და თრიალეთში, სადაც ყველა საცხოვრებელი სამეურნეო სათავსი ჰორიზონტალურად იყო განლაგებული ერთ ჭერქვეშ. ქსნის ხეობაში დარბაზული სახლის ტიპის საცხოვრებელს «ერთობის სახლი» ეწოდება, ფშავში - «მოქცეული სახლი». დარბაზული სახლის მთავარი თავისებურება გვირგვინიანი გადახურვა იყო. გვირგვინი ხის მრავალსაფეხურიან გუმბათს წარმოადგენდა, რომელიც საშუქე და ბოლის ასასვლელი პატარა ერდოთი მთავრდებოდა. დარბაზული სახლის შუაში კერა იყო გამართული, მის თავზე კი - აყარი.

ქართლ-კახეთში გავრცელებული დარბაზული სახლის შინაგანი სივრცის სტრუქტურისათვის დამახასიათებელი იყო სიღრმეში წაგრძელებული გეგმა; სამცხე-ჯავახეთის დარბაზული სახლისთვის კი - კვადრატული გეგმა 8-12-მდე კედლისპირა ხისავე ბოძი, მთელ

საცხოვრებელ ფართობზე გადაჭიმული გვირგვინი და მდიდრულად მოჩუქურთმებული ბუხარი. დარბაზული სახლის ინტერიერის ხუროთმოძღვრული მხატვრული თავისებურების მთავარი კომპონენტია შინაგანი სივრცის მდიდარი, პლასტიკური სტრუქტურა, კოჭების ნიყურების პარალელური ან კუთხური წყობით ნაგები 4-, 8-, 12-კუთხოვანი საფეხუროვანი გვირგვინი, ორიგინალური ბოძ-ბალავარი, მდიდრულად მოჩუქურთმებული დედაბოძი და ბალიში.ხალხური გადმოცემით, ძველად დედაბოძად ცოცხალ, ფესვებიან ხეს იყენებდნენ.

კონსტრუქციული თავისებურების გამო ამგვარი ერდოიან-გვირგვინიანი ნაგებობა კარგად უძლებდა სეისმურ მოვლენებს. საქართველოს გარდა დარბაზული სახლი ფართოდ იყო გავრცელებული სომხეთსა და აზერბაიჯანში, ტაჯიკეთში, ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში, ფერეიდანში, ავღანეთსა და ინდოეთში. გვირგვინული გადახურვა ხე, ქვა გავრცელებული იყო ძველ სამყაროში, კორეიიდან მოკიდებული ეგეოსის ზღვის ნაპირებამდე, მაგრამ ისეთი მრავალნაირი და მხატვრულად დამუშავებული გვირგვინი, როგორც საქართველოში იყო, არსად ჰქონიათ. ვარაუდობენ, რომ გვირგვინი უნდა ჰქონოდა აგრეთვე ეგეოსურ ძვ. ბერძნული ერდოიან, მიწურიან, დერეფნიან საცხოვრებელს - მეგარონს.

გვირგვინული კონსტრუქციის უძველესი აღწერა მოცემულია რომაელრი ვიტრუვიუსის ტრაქტატში «ათი წიგნი არქიტექტურაზე» ძვ. წ. I ს., იქ აღწერილი ოთხკუთხოვანი გვირგვინით გადახურული კოლხური სახლი დარბაზული საცხოვრებლის პროტოტიპს წარმოადგენს. დარბაზული სახლი დიდი ოჯახის საცხოვრებელი იყო. საქართველოში დარბაზული სახლის უძველეს ტრადიციაზე

მიუთითებს ურბნისის ქვაცხელების არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი უძველესი ფორმის ერდოიან-ბანიანი მეგარონი, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი ხევსურულ საბერო დარბაზულ სახლს უკავშირებს, ხოლო ფშავის სანაწვთებიან ტაძარ-ბელელს ძვ. წ. IV-III სს. - მცირეაზიულ ანალოგიური ძეგლებსა და ჩრდილო კავკასიურ მიწისზედა აკლდამებს II-III სს. სწორკუთხოვანი გეგმის დერეფნიან, ერთბოძიან, მიწურბანიან, ერდოიან სახლში დარბაზული სახლის უძველესი ფორმა უნდა იყოს შემორჩენილი. ფეოდალურ საქართველოში მის გავრცელებაზე მიუთითებს დარბაზული სახლთა ნაშთების სიმრავლე ქართლის რაიონებში, მარტივი სახის ქვის გვიგვინების გამოყენება მონუმენტური ხუროთმოძღვრების ძეგლებში. დარბაზული სახლი იყო ხალხური საფუძველი, რომლიდანაც განვითარდა ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრის სტრუქტურა. XIX საუკუნის შუა წლებში დარბაზული სახლი ჯერ ბანიან-ბუხრიან-სარკმლიანი, შემდეგ კი - ორსართულიანი, სხვენიან-აივნიან-ფანჯრიანი სახლით შეიცვალა.

ლიტ.: ჩუბინაშვილი გ., ქართლის დარბაზი, ნაკვ. 1-4, ტფ., 1926-1927; მისივე, Дарбази, древнейший тип грузинского народного жилища и его место в истории архитектуры, Тб., 1964; ჩიქოვანი თ., ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, თბ., 1967; ჩიტაია გ., გლენის სახლი ქვაბლიანის ხეობაში, «მომომხილველი», 1926, ტ. 1; ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. 1 - ფშავი, თბ., 1974; Сумбадзе Л. З., Грузинские дарбази, Тб., 1960.

სახლი დუროიანი - საცხოვრებელი სახლის ტიპი მთიან რაჭაში, რომელსაც თავდაცვითი დანიშნულებაც ჰქონდა. ოთხსართულიანი კოშკის მეოთხე სართულს დუროები (სათოფურები) ჰქონდა დატანებული ქვითკირით ნაშენ კედლებში. სახლის პირველ სართულს საქონლის სადგომად იყენებდნენ, მეორე სართულზე ოთახის შუაგულში კერა იყო გამართული და ოჯახის წევრები ცხოვრობდნენ. მესამე სართული წლის სარჩოს და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შესანახად გამოიყენებოდა. სართულები ერთმანეთს შიდა კიბით უკავშირდებოდა.

ლიტ.: გ. ჩიტაია, შრომები, ტ. IV, 2001.

სახლი ერდოიანგვირგვინიანი - ქართული საცხოვრებლის სახეობა. ცნობილია ასევე „დარბაზისა“ და „ერთობის სახლის“ სახელწოდებით. დამახასიათებელი იყო საოჯახო თემის, დიდი ოჯახის სპეციფიკისათვის. გავრცელებული იყო ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში. სახელწოდება მიიღო ორიგინალური გვირგვინისებური გადახურვის გამო. ერდო-გვირგვინიანი სახლის მოდიფიცირებული ვარიანტებით გამოირჩევა ამიერკავკასია. საქართველოში მან თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ერდო-გვირგვინიანი სახლი სხვადასხვა ვარიაციებით გავრცელებული იყო ქვემო და შიდა ქართლში, მესხეთ-ჯავახეთსა და თრიალეთში. ჩვეულებრივ ნაგები იყო ქვითა და ტალახით. მკაცრ კლიმატურ რეგიონებში მისთვის დამახასიათებელია მიწაში ღრმად ჩასულობა. ბანი გადახურული იყო ხის კონსტრუქციებით. სახურავი კი დაფარულია თიხატყეპნილით. ერდო-გვირგვინიანი სახლის კონსტრუქციაში უმნიშვნელოვანესი ადგილი

უჭირავს ხის ძელებით ორიგინალურად აგებულ გვირგვინს, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს როგორც შუაცეცხლის კვამლის გასასვლელს, ასევე დარბაზის სინათლის წყაროსაც. გვირგვინის გადახურვა ეყრდნობა თავხეებსა და უმთავრეს სამაგრს - დედაბოდს. მისი ყელი აცილებულია ბანს. ერდო-გვირგვინიანი სახლის ცენტრალური ნაწილია დარბაზი, რომლის ფართობი 50-დან - 120 კვ. მ.-ს აღწევდა. შუაგულში გამართული იყო კერა, ზედ დაშვებული რკინის საქვაბე ჯაჭვით. ერდო-გვირგვინიანი სახლში დედაბოდს არქიტექტურული მნიშვნელობის გარდა, სიმბოლური დატვირთვაც გააჩნდა - როგორც წესი, მასზე ამოკვეთილია რელიგიურ-აპოთროპეული შინაარსის სიუჟეტები. დარბაზში ადგილები განაწილებული იყო ასაკობრივ-სქესობრივი ნიშნით. ყველაზე გამორჩეული ადგილი (კერა, დედაბოდი) და საგანგებოდ შემკული სკამი ეკუთვნოდა ოჯახის უფროსს. დარბაზის კედლებში, შიდა მხრიდან, დატანებული იყო ნიშები, სადაც თავსდებოდა ყოველდღიური მოხმარებისათვის განკუთვნილი დგამ-ჭურჭელი. ერდო-გვირგვინიანი სახლი წარმოადგენს კომპლექსურ ნაგებობას, რომლის ცენტრალურ ნაწილსაც მჭიდროდ ეკვრის სამეურნეო სათავსები: მარანი, ბეღელი, სათონე, ბოსელი, საჯინიბო. ერდო-გვირგვინიანი სახლის მოდიფიცირებულ ვარიანტში, მესხურ-ჯავახურში, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ნახევრად ღია სათავსს - კარაპანს, სადაც აწარმოებდნენ საოჯახო სამეურნეო საქმიანობას. ლიტ.: გ. ჩუბინაშვილი, ქართლის დარბაზი, 1926; თ. ჩიქოვანი, ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, 1967.

სახლი კათხა (ზ. იმერ.) - ძველებური სახლი, შუაში კერა და ზემოთ ერდო ჰქონდა. შეკრულია მორებით.

სახლი კალოიანი - საცხოვრებლის ტიპი ხევსურეთში. წარმოადგენს ლიტონი ქვისგან აგებულ შენობას. პირველ სართულს ეწოდება სახლი, სადაც განთავსებულია კერა, ადამიანები და საქონელი. მეორე სართულს ეწოდება ჭერხო, რომელიც წარმოადგენს მამაკაცთა თავშესაფარს და ამასთანავე, სამეურნეო მარაგის საცავს, ხოლო მესამე სართულია კალო, ანუ მაღალი ბანი, სადაც ზამთრობით ყინულზე პურს ლეწავენ. აქვე განთავსებულია დახურული სათავსი, სადაც იარაღს ინახავენ. კალოიანი სახლი წარმოადგენს ხევსურეთისთვის ყველაზე დამახასიათებელ საცხოვრისს.

სახლი კომკური - საცხოვრებლის ტიპი ხევსურეთსა და საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონებშიც. მისი პირველი სართული საქონლისთვისაა განკუთვნილი (საძროხე, ბაშტე (თუმ)), მეორესა წვრილფეხა პირუტყვისთვის, მესამე - კერისა და ჯალაბობისთვის, ხოლო მეოთხე - ჭერხო მამაკაცებისა და სამეურნეო მარაგის შენახვისთვის. ასეთი სახლი შეთავსებულია მაღალმთიანი ზოლის სამეურნეო და საცხოვრებელ მოთხოვნილებასთან. იგი წარმოადგენს თავდაცვით ნაგებობასაც და ამ მიზნით არცთუ იშვიათად დატანებული აქვს ჩარდახი და სათოფურები.

სახლი ლაზური - დასავლურქართული ოდის ნაირსახეობა. ლაზური სახლი თავისი არქიტექტურული და დეკორატიული სრულმნიშვნელობით სამშენებლო ხელოვნების ძლიერ მიმართულებად გამოიკვეთება. ამასთანავე, ასეთი სტილის სხვადასხვა ვარიაციებით ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ლაზური სახლის მშენებლები ძირითადად იყვნენ ლაზი ოსტატები, რომლებიც არცთუ იშვიათად გეოგრაფიული და კლი-

მატური პირობების გათვალისწინებით ქმნიდნენ ლაზური სახლის კომბინირებულ ტიპებს, ამ მხრივ შესაძლოა დასახელებულ იქნეს თრიალეთში გავრცელებული ლაზურის ტიპის მიწურბანიანი ოდეები. ლაზური სახლი ხასიათდება ქვითხურობის დახვეწილი ფორმებით, რაც გამოიხატება აივნის, ბოძების, ფარდებისა და კარ-ფანჯრების მხატვრული ჭრილებით გაფორმებაში. ლაზურ ორნამენტში განსაკუთრებით გამოკვეთილია ზომომორფული, ასტრალური და მცენარეული (სიცოცხლის ხე) მოტივი, რაც, მჭიდრო სიუჟეტურ მსგავსებას ამჟღავნებს მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ სამყაროსთან.

ლიტ.: გ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, შრომები, ტ. II, 2000

სახლი ოდა - დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ტიპური საცხოვრებელი, დახვეწილი არქიტექტურული ფორმის ნაგებობა, რომლის პირველი სართული წარმოადგენს ქვის ბლოკებით აშენებულ პალატს, მეორე სართული კი მთლიანად ხისგანაა გაკეთებული. ოდასახლისთვის დამახასიათებელია ფართოაივანი, ზოგჯერ მასზე მიმაგრებული გრძელი სკამებით. ტიპური ოდასახლის მეორე სართული მოიცავს სამ ოთახს, ორი განაპირა საძინებლებისათვის და შუაში დიდი „ზალა“, რომელიც ერთმანეთისგან გამიჯნულია ხისავე ტიხრებით. ოდასახლში ზოგჯერ გამართულია ქვის ბუხარი და განსაკუთრებით კარგადაა გამოსატული ქვისა და ხის ერთმანეთთან შერწყმის ხელოვნება. როგორც წესი, ოდასახლის აივნებს უკეთდება ხის აჟურული ფარდები, რაც მას თავისებურ კოლორიტს სძენს. ოდასახლის პალატი განკუთვნილია სხვადასხვა საოჯახო და სამეურნეო საქმიანობისთვის.

საღდარი - (სამეგრ.) - იგივე ოდა სახლი (იხ. ოდა). მოსახლეობის შედლებული ნაწილის საცხოვრებელი სახლი სამეგრელოში. საღდარი, ოდა შედგებოდა რამდენიმე ოთახისგან, რომელსაც ჰქონდა წმინდად გათლილი ფიცრის ჭერი და იატაკი. ფიცრისთვის გამოიყენებდნენ წაბლის, მუხის, ფიჭვისა და თელის მასალას, რომელსაც უხვად ხარობდნენ სამეგრელოს მთაში. ფიცარი ითლებოდა ცულით, მოგვიანებით კი იხერხებოდა გრძელი ხელის ხერხებით, რაც მოითხოვდა მძიმე და ხანგრძლივ მუშაობას. ოდის მშენებლობას ეწეოდნენ დახელოვნებული ოსტატები. ტიპური მეგრული ოდა წარმოადგენს ოთხოთახიან და აივნიან ნაგებობას, რომლის სვეტები და ფარდები დიდი ხელოვნებითაა მოჩუქურთმებული. ჩვეულებრივი ორსართულიანი ოდების ქვედა სართულს ეწოდება პალატი. ოდაში გამართული იყო ქვის ბუხრები. ოდის სახურავი ოთხფერდიანია და გადახურული იყო ყავრით ან კრამიტით. ოდა წარმოადგენს საცხოვრებლის უაღრესად განვითარებულ ტიპს.

ლიტ.: ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 2006.

სახლი პიტაფიცარა - (მეგრ.) - საცხოვრებელი სახლი სამეგრელოში, ჯარგვალის გაუმჯობესებული ტიპი. ასეთი საცხოვრისის კედლები აშენებულია მოკლე, გათლილი ფიცრებით. ესაა ერთი მოზრდილი ოთახი, რომელსაც აქვს მიწური იატაკი და გადახურულია ისლით (ან ყავრით). პიტაფიცარას არ უკეთდება ბუხარი და ფანჯარა. ჯარგვალიდან გოდორში საცხოვრებლად გადასვლა გლეხისთვის დიდ წარმატებად ითვლებოდა.

ლიტ.: ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 2006.

სახლი საბძღური - ქვის ორფერდინი მიწისზედა ნაგებობა, რომელიც გავრცელებული იყო ხევსურეთში, სადაც მას ფშაურ სახლად მოიხსენიებენ.

სახლის განათვლა / ნაცივარი სახლის განათვლა - მირეული (იხ.), უწმინდური - მკვდარნასვენი სახლის განწმენდა საკლავის (სანათლავის) სისხლის საშუალებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (თუშ-ფშავ-ხევსურეთში). ოჯახი, სადაც ცხედარი („ცივი“) ესვენა, უწმინდურად ითვლებოდა და, ხალხის რწმენით, იქ ანგელოზები აღარ დგებოდნენ; ამიტომ სახლის სანათლავის (ხბოს, ცხვრის ან ბატკნის) დაკვლა სავალდებულოდ მიაჩნდათ. სახლის სანათლავს მიცვალებულის დასაფლავებიდან მეორე-მესამე დღეს საცხოვრებელში კლავდა სულის ხუცესი (იხ.). ჯამში ჩასხმულ სანათლავის სისხლს ჭვავის ჩალის კონით მთელ სახლში მოაჰკურებდნენ, ახლომახლო გზებზედაც მოასხურებდნენ, სახლის პატრონს დაამწყალობნებდნენ, უსურვებდნენ, ცუდი არაფერი შემთხვეოდა. ამ რიტუალის შესრულებით, სახლს უწმინდურობა მოშორდებოდა და იქ კვლავ ანგელოზი დაემკვიდრებოდა.

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940, გვ. 19-20; ვ. ბარდაველიძე. ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია). თბ., 1949, გვ. 126-127; დ. გიორგაძე. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). თბ., 1987, გვ. 23-24.

სახლის გაჯსნა (ქიზ.) - მიცვალებულის წლისთავის გადახდისა და, ამდენად, სამგლოვიარო პერიოდის გასვლის შემდეგ, მგლოვიარე ოჯახში სიმღერის პირველი შესრულება, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მგლოვიარობა დასრულდა და ცხოვრება ჩვეულებრივ რიტმს დაუბრუნდა (შდრ. „ფეჯის გაჯსნა“).

ლიტ.: ს. მენტშაშვილი. ქიზიური ლექსიკონი. თბ., 1943.

სახლის სანათლავი - იხ. „მეკეზის-წვრე ანგელოზი“, „სახლის განათვლა“.

სახლიშვილი (რაჭ.) - ქალის შვილი იმ ოჯახის წევრთათვის, საიდანაც გათხოვილია ეს ქალი და ქალის ახლო ნათესავებისათვისაც (იხ. ქეგლ, ალავ. მასალ., გაჩ.).

სახლი შუა - შუა სახლი, საცხოვრებლის ერთ-ერთი ტიპი, რომელიც გავრცელებული იყო რაჭასა და ლეჩხუმში. ესაა სქელი ფიცრისგან (ზოგჯერ 10 სმ სისქის) ნაშენი, დაახლოებით 60მ² ფართობის ნაგებობა, რომელიც ეყრდნობა მიწაზე „მორგებულ“ ქვებს. კედლის ფიცრები კოტებისა და ჭდეების საშუალებით, ხოლო ფიცრის ჩაჭრილი თავები ერთიმეორეზე მიყოლებით ერთმანეთშია ჩაჭადილი და შეკრულია ქილიქით. სახლი იხურებოდა ყავრით. შუა სახლში გაკეთებულია მიწის ტკეპნილი სოხანე და შუა ადგილას გამართულია კერა, რომლის ზემოთ - ჭერში დამაგრებულია კაჩა, კაჩხა და ზედ დაკიდებულია ნაჭა, დაგრეხილი რკინის საქვაბე ჯაჭვი (იხ. ნაჭა). კაჩას გამოიყენებენ შამხის გამოსაყვანად, სუნელულობის საშრობად, კვანიწელას გასახმობად და სხვა. კაჩაში გადის კვამლი და ადის საკვამურში, რომელიც სახლისათვის სინათლის წყაროსაც წარმოადგენს. შუა სახლს აქვს მასიური კარები, რომელიც იკეტება ურდულითა და საგ-

დულით. სახლის დირესა და სართულზე ფიცრებია გაყრილი, რომელსაც ქორედს უწოდებენ და ამ ნაწილს გამოიყენებენ სხვადასხვა სამეურნეო პროდუქტების შესანახად. შუა სახლში კედელთან მიდგმულია დიდი საწოლი ტახტი ე.წ. კოჩაბანდი რაზედაც იძინებდა ოჯახის ყველა წევრი, კოჩაბანდთან ერთად ასეთ სახლში საწოლის მოვალეობას ასრულებდა სკამლოგინიც. შუა სახლში წარმოდგენილია „სალარო“ - კედლის კუთხეში მიშენებულია ჭურჭლის შესანახი სათავსი და „ბუჯერი“ - მაღალი მაგიდა სხვადასხვა სამზარეულო ჭურჭლის დასალაგებლად. შუა სახლის სახურავი დიდადაა გადაცილებული კედლებს და მის ქვეშ წარმოქმნილია წვიმისგან დაცული სივრცე, სადაც ინახავენ სამეურნეო იარაღებს. ადრეულ პერიოდში შუა სახლში ადამიანისა და შინაური საქონლის თანაბინადრობაც დასტურდება.

ლიტ.: ა. კიკვიძე, შუა სახლი რაჭა-ლეჩხუმში, 1940; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

სახლი ხულა - აჭარლების სადგომი საზაფხულო იალაღებზე (იაილა). ხულა სახლში ქვემო სართული საქონლისთვისაა განკუთვნილი, მეორეზე კი ადამიანები ცხოვრობენ და შედგება სამი განყოფილებისგან: იაზდულის, საცეცხლურისა და სარძიესგან, სადაც რძის პროდუქტებს ამზადებენ და ინახავენ. ხულა სახლის ტიპი გ. ჩიტაიას შეხედულებით, იმეორებს ვიტრუვის მიერ აღწერილ კოლხური სახლის ფორმებს და ქართველთა უძველესი საცხოვრისის განვითარებულ ფორმად წარმოგვიდგება.

სახმილი, სახუმილი (ძვ.) - ღუმელი, ქურა, ბრძმელი, ცეცხლის დასანთები ადგილი.

სახნისი - აქ: სახვნელი იარაღის რკინის დეტალი. საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული ზონებისშესაბამისად სახვნელის სხვადასხვა ტიპი არსებობს და ყოველი მათგანი ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით არის ჩამოყალიბებული. გამოიყოფა სახნისის სამი ტიპი: 1. მთის ზონის სახნისები - სოლისებული ფორმის, უფრთო. ამგვარ სახნისიან სახვნელს საკვეთელი არა აქვს. 2. მთისწინეთის სახნისი - ორფრთიანი. გვხვდება საქართველოს ყველა რეგიონში. ამ ტიპის ზოგიერთი სახნისი ფრთიანი გუთნის სახნისისავენ გარდამავალ საფეხურს ასახავს. ასეთი სახნისები ძირითადად სამკუთხედის ფორმისაა, მაგრამ არის სხვადასხვა სიდიდის, პირმომრგვალებული სახნისებიც. (უფრო ხშირად გვხვდება ცენტრალური კავკასიის მოსახლეობაში). იგი ყველაზე დიდი ზომის სახვნელი იარაღის ნაწილია, რომელშიაც არანაკლებ ორი უღელი ხარი იყო შებმული. ამგვარი სახნისი აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინეთისათვის არის დამახასიათებელი და ბარის დიდი ფრთიანი გუთნის სახნისზე გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს. ასეთ სახნისის მქონე სახვნელი იარაღს საკვეთელიც დიდი ზომის ესაჭიროებოდა (45-47სმ). 3. სახნისის ეს ტიპი ბარული დიდი ფრთიანიგუთნისათვისაა, რომელშიც რვა და მეტი უღელი ხარ-კამეჩი იყოშეშებული. სახნისებს ქდავდა სათანადო კვალიფიკაციის მქონე ადგილობრივი მჭედელი, რომელიც ყოველწლიურად ახდენდა ასევე მათ დაპირვა-დაფოლადას. ამ სამუშაოსათვის მოდგამისაგან მას ერთი ალო (სამუშაო დღის მანძილზე მოხნული მიწის ფართობი) ეკუთვნოდა. სახნისი იჭედებოდა ერთი მთლიანი რკინის ნაჭრისგან, რომელსაც ჰქონდა საკვეთი ფრთები, ბუდე, ანუ საეშვე ყურები, მუცელი, ზურგი და წვერი. ცნობილია სახნისის დამზადების ორი წესი: ა) ლითონის გახურება-გაწევით სახ-

ნისის ფორმის მიცემა და ბ) რკინის ნაჭრის ცივად გამოჭრა. სახნისის ცალკეული ფორმები ასახავს სახვნელი იარაღისა და საკუთრივ ამ დეტალის განვითარების სხვადასხვა დონეს - მარტივიდან რთულამდე. მთის, მთისწინეთისა და ბარის სახვნელი იარაღების რკინის დეტალებიც თავის მხრივ განვითარების სხვადასხვა ეტაპებს ასახავს.

ლიტ.: გ.ჩიტაია, საქართველოს სამიწათმოქმედო სისტემა და სახვნელი იარაღები შრომები, ტ.1. 1997; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

სახოპავი - თევზსაჭერი ბადე, რომელიც გამოიყენება იქ, სადაც მდინარე მდორედ მიედინება. წარმოადგენს ოთხკუთხედ ჯოხებზე მიმაგრებულ ამოსასამელ ბადეს.

ლიტ.: ქელ., 2009.

სახრიკე (რაჭ.) - ხრიკისათვის (იხ. ხრიკა) განკუთვნილი. ხრიკის გასაკეთებელი. სახრიკე კვანი; სახრიკე ჯოხი.

საჯალაბო სახლი (რაჭ.) - ძველებური ფიცრული სახლი მთელი ჯალაბისათვის. სამზარეულოც იყო, სასადილოც და საძინებელიც (იხ. ძოწ.).

საჯგეგო (მეგრ.) - „საწმინდაგიორგობო“ ლოცვა; ასრულებდნენ შემოდგომის გიორგობაზე. საამდღისოდ დაკლავდნენ წმ. გიორგის სახელზე დანიშნული ძროხის სახარე ხბოს და გამოაცხობდნენ ყველიან კვერებსა და ლავაშებს. შესაწირი ცხოველის მოხარშულ თავსა და გულ-ღვიძლს, კვერებთან და ლავაშებთან ერთად, ხონჩაზე (ნისორზე) დაალაგებდნენ, სანთლებს შემოუნთებდნენ და ოჯახის უფროსი დაილოცებოდა: „წმ. გიორგი ჯეგე, შენი წყა-

ლობა მომეცი, ოჯახი გამიმრავლე, დამიფარე ყოველგვარი ფათერაკისგან. ჯეგე, მოგვანიჭე მრავალი წყალობა, თავი შენთვის მომინდვია. დაილოცოს შენი სახელი“ (წმ. გიორგი ჯეგე, სქანი ტიბინი სი ქომუჩი, ჩილი დო სჟუა გამიბრალი, დოფთხილე ირი ფათერაკიშე, ოთალე სქან ტიბინი სი ქომუჩი, სქანდა მა დუდი მითომი-ქოფუ, სქან სახელი ხვამირი).

ლიტ.: ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 320-321.

საჯილდაო ქვა - დიდი ზომის ქვა, რომლის აწევაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ძლიერი მამაკაცები. იგი სოფლის გამორჩეულ ადგილას იდო და ვისაც ძალა ერჩოდა, შეეჭიდებოდა.

საჯინიბო - ცხენების სადგომი. ფეოდალურ საქართველოში შეძლებულ ოჯახს, როგორც წესი, ცხენებისთვის ცალკე სადგომი ჰქონდა. ცხენი, როგორც სუფთა ცხოველი და ამავე დროს გამოსაჩენი, თავმოსაწონებელი, განსაკუთრებით ზრუნვის ობიექტი იყო. ამიტომ მისი განცალკევება სხვა საქონლისგან სასურველი იყო. საერთო ბოსელშიც კი იგი გამოყოფილი იყო ხარ-ძროხისგან. საჯინიბოში ინახებოდაცხენის აღკაზმულობა, რაც კიდევ ერთი პირობა იყო საჯინიბოს სისუფთავისთვის.

სევადა - ვერცხლის ნაკეთობის მოსართავი ნივთიერება. სევადას დასამზადებლად აიღებენ თითო გირვანქა სპილენძს, გოგირდს, ტყვიასა და ხუთ მისხალ ვერცხლს, ერთად შეაზავებენ და დაადნობენ. კარგი ღუდილის შემდეგ ჯამში გადმოასხამენ, გაცივების შემდეგ ნადნობისაგან დადგება შავი ნივთიერება - სევადა. საოქრომჭედლო სამუშაობისას მას კარგად დანაყავენ და აქცევენ წმინდა ფხვნილად, იმისათვის, რომ სევადამ კარგად „იმუ-

შაოს“, კარგად დაადნეს, ფხვნილს ბორას შეურევნ. ვერცხლის ნაკეთობაზე ამოჭრილ ორნამენტში ასეთი ტექნიკით მომზადებულ სევადას დააყრიან, შემდეგ გაახურებენ და იგი ჩადნება ამონაჭრელში, შემდეგ გაასუფთავენ და მიიღებენ ფერად, მომავო ნაზ მხატვრულ სახეებს.

სელი - სატვირთო ტრანსპორტის სახეობა. აგებულების მიხედვით სელი შერეული ტიპის საზიდთა რიგს განეკუთვნება, რადგან მასშიც გორვა-სრიალის შეერთებული პრინციპია მოცემული. იგი ახლო დგას აჩაჩა ურემთან იმ მხრივ, რომ აქაც ურემის წინა ნაწილით ხორციელდება თრევა-სრიალი, ხოლო უკანა ნაწილით - გორვა. აჭარაში სელი ეწოდება როგორც ბორბლიან საზიდს, ისე უბორბლოსაც. თუ აჩაჩა ურემში სასრიალო მოწყობილობა ფხიხილებია, რომელთა ბოლო მიწაზე ეთრევა, ხოლო თავი უღელს უერთდება, ბორბლიან სელში თრევის მოვალეობას ასრულებს ფეხები ანუ საცურავები, შედგმული საზიდის წინა ნაწილში სკამის ფეხის მსგავსად. ამრიგად, სელის ფეხები, როგორც სათრევი ნაწილი, ერთსა და იმავე დროს საზიდისა და გამწევი ძალის შემაერთებელი კი არაა, არამედ გამოყოფილია, როგორც ცალკე შემადგენელი ნაწილი. სელში უღელი ხელნების საშუალებით უერთდება საზიდს. სელი გავრცელებულია სამხრეთ საქართველოს დასავლეთ ნაწილში. აღსანიშნავია, რომ გავრცელების ამ არეში სამეურნეო-გეოგრაფიული პირობების შესაბამისად სელის კონსტრუქციას კონკრეტული თავისებურება ახასიათებს. აჭარაში საზიდის ეს სახეობა საგრძნობლად პატარა ზომისაა, ხოლო ზემო ქართლში სულ უფრო და უფრო იზრდება და ჩვეულებრივი ქართული ურემის სიდიდეს აღწევს.

ლიტ.: მ. გეგეშიძე, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

სენაი, სენე (სვ., ხევს.) - სვანეთში სენაი, სანაის სახელწოდებით სპეციალური დანიშნულების სამეურნეო ოთახს გარდა აღნიშნება სახლის („ქორ“) პირველი სართულის („მაჩვიბ“) კედლის მცირე ნიში, რომელიც მორწმუნე სვანის ყოფაში განსაკუთრებული დანიშნულების იყო. სვანის რწმენით, ყოველ გვარსა თუ გვარში შემავალ ყოველ ოჯახს თავისი „მეზირი“ ჰყავდა ამა თუ იმ უჩინარი ცხოველის სახით: ვერცხლის ან ოქროსფრად მოელვარე თაგვი, ხვლიკი, ხბო, ცხენი, კვიცი და სხვა. მეზირი გვარისა თუ ოჯახის მფარველად ითვლებოდა. მისი საცხოვრებელი ბინა სვანური სახლის სენაი, სანაი იყო. „მეზირის“ სახელზე ოჯახის უფროსი ქალი სენაისთან აცხობდა ორი სახის პურს - ლემზირს „ქორა ლეგემს“ ოჯახის სიუხვისთვის და „კერი ლემზირს“ (კერის შესაწირავი პური). პირველს ნიშიში შედებდა და იქვე პატარა ჯამით რძეს დადგამდა. მეორე ლემზირი კერასთან მიჰქონდა, კერის მარჯვენა ფეხს მარცხნიდა მარჯვნივ სამჯერ შემოავლებდა ლემზირს და დაჩოქილი ხმადაბალი ლოცვით „მეზირს“ ოჯახის კარგად ყოფნას შესთხოვდა. ხევსურეთის სენეც საგანგებო ადგილია სახლში, სადაც წარმოებდა რძის პროდუქტების დამზადება. ეს უძველესი ტერმინი გვხვდება ნიკორწმინდის სიგელში (XIX.), სადაც ის აღნიშნავს სახლში გამოყოფილ ადგილს ან ცალკე ოთახს, სადაც განსაკუთრებული სამეურნეო საქმიანობა ტარდებოდა. ყველაზე არგუმენტირებული ვარაუდით, აქაც რძის პროდუქტების დამზადება უნდა იყოს ნაგულისხმევი. ტერმინი სენე - სხვადასხვა ვარიაციებით გვხვდება ძველი აღმოსავლეთის უძველეს ხალხთა ენებშიც. ამ ტერმინს იცნობს სვანური და რაჭული დიალექტებიც. ყველა ვარიანტით ტერმინი სენე, სენა - მჭიდროდ უკავშირდება რძის მეურნეობის დარგს და ხაზს უსვამს ორგანიზებული მესაქონლეობის არსებობას.

სერი, ლიშანი - ხეზე დადებული დამლა, რომელიც კუთვნილ ხეზე პიროვნების ხელდებას ამტკიცებს. საქართველოში ასეთი ნიშნების მრავალსახეობა დგინდება. მაგ.: „თაჯი“-აჭარაში, „დაღარ“ - სვანეთში, „ნიშანი“ - ბორჯომის ხეობაში, „დაჯვარა“ - გურია, „თარჯი“ - ქართლი და სხ.

სერი, სერა - ერთგვარი სარქველი, რომელსაც სადღვებელზე პირს გადასაკრავად იყენებდნენ საქართველოს მთაში (მთიულ. ხევს. გუდამ.). ამზადებდნენ მსხვილფეხა საქონლის ფაშვისაგან. გაასუფთავებდნენ, გაფხუკდნენ და გაახმობდნენ. საბას განმარტებით „სერი“ ქოთნის პირგადასაკრავია.

ლიტ.: ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, 1979

სერკვი - მუხლის ძნა (ხევს.), ხუთულა (ფშ), ბულული, ჩერგილი(იმერ), მექვ(სვ). - თივის უსაყრდენო პატარა ზვინი. ასეთი ზვინები იდგმება სათიბ ადგილებში და ზამთარში მარხილებით ან დაცურებით მოაქვთ სახლში (იხ. ბულული).

სეფა - სანადიმოდ გაშლილი გრძელი სუფრა, ზოგჯერ სახელდახელო გადახურვით. „სვანი“, შურო, „ძელის სავალი“, „გერდევანი“, „ხალახინი“ - ტყეში გამორჩეული ბუნებრივი ღარი, სადაც საგორავებისა და კეტების დახმარებით სატივე მორებს აცურებენ. სვანის შესატყვისი „ძელის სავალი“ მოიხსენიება გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის“ ცხოვრებაში (Xს). ტყეში მოჭრილ მორებს მათრევენ ასეთ ადგილთან, გაასწორებენ და დაცურებული ხე ჩასრილდება სატრანსპორტო საშუალებასთან უფრო მოხერხებულ ადგილთან. „

სვასტიკა - სვასტიკა უძველესი სიმბოლური ნიშანია, რომელიც არსით ბრუნვის

იდეასთანაა დაკავშირებული. სვასტიკა განვითარებულია ბოლომეხრილი ჯვრებისაგან და ორივენი საფუძველს უქმნიან ბორჯღალას წარმოშობას. სვასტიკის გამოსახულებები დაფიქსირებულია ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ მასალებზე. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე სვასტიკის საუკეთესო გამოსახულება გვხვდება ზემო ქართლში (საბიდახე) მიკვლევულ თიხის ჭურჭლებზე, რომელიც II ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება. სვასტიკის საუკეთესო ნიმუშები დასტურდება ეთნოგრაფიულ ყოფაში განსაკუთრებით დედაბოძებზე, ავეჯსა და სხვადასხვა საოჯახო ნივთებზე. ზოგადად შესაძლებელია ითქვას, რომ ეს ნიშანი კავკასიის ხალხთა ორნამენტში უწყვეტად გვხვდება მთელი სამი ათასწლეულის მანძილზე. ფიქრობენ, რომ სვასტიკა აზიური წარმოშობის ემბლემაა, რომელიც შემდგომში გავრცელდა მთელს მსოფლიოში. სვასტიკაში გადმოცემულია მარადიული ტრიალის პრინციპი, რაც ეთანადება მზის მარადიულობას და შესაბამისად მასში მზის სიმბოლოცაა ნაგულისხმევი. განსხვავებით ჯვრისგან, სვასტიკა ერთი მიმართულებით ბრუნვას გადმოგვცემს და ეტოლება ციურ სხეულთა მოძრაობის მიმართულებას. სვასტიკა არაერთხელ ყოფილა გამოყენებული პოლიტიკური ძალაუფლების ემბლემად, როგორც მარადიულობისა და ძლიერების ნიშანი. ამ მხრივ შესაძლოა, მაგალითად, ავიდოთ გერმანელი ნაცისტები, რომლებმაც ეს ნიშანი უძველესი კულტურებიდან ისესხეს და გამოიყენეს.

ლიტ.: ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, 1993.

სვეტი ქვისა აქ.: ჭიშკრის სვეტი. საქართველოში ეზო-კარმიდამოს ჭიშკრის გაფორმების დიდი ტრადიცია არსებობდა

და ასეთი ნაგებობანი იგებოდა სხვადასხვა მასალისაგან. ჭიშკრის მშენებლობაში ადრიდანვე გამოიყენებოდა ქვა, როგორც ერთ ერთი საიმედო და მტკიცე მასალა. ჭიშკრების მშენებლობაში განსაკუთრებულ დახვეწას მიაღწია სვეტებმა, რომელთა სრულყოფილი ნიმუშები დასტურდება ქვემო იმერეთსა და სამეგრელოში. აქაური ჭიშკრების უმეტესობა წარმოადგენს ერთიან ლოდში ამოჭრილ საშუალოდ 2-2,5 მეტრის სიმაღლის ოთხკუთხა ქვის მონოლითებს, რომლებიც შემკულია მცენარეული და ცხოველური მოტივებით. ჭიშკრის კომპლექსში სვეტი გვხვდება სამი ცალი და წარმოქმნის ორ გასასვლელს - ერთს პატარას - ადამიანთათვის და მეორეს - დიდს - სატრანსპორტო საშუალებათათვის. სვეტებს შორის ძველად კრამიტით გადახურული ხის ჭიშკრები იყო აბმული, რაც ბოლო ხანს შეცვალა რკინის ჭიშკარმა. ჭიშკრის სვეტების დამზადება წმინდა ხელობის რიგში ექცევა, რაც პირველ ყოვლისა, მის შემკულობაში გამოიხატება. ჭიშკრის ქვის სვეტები ოჯახის ეკონომიკური სიძლიერის მანიშნებელიც იყო.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

სვია, სვე - ლუდის საკაზში მცენარე, რომელიც ლუდს აძლევს მომწარო და არომატულ გემოს. ლუდის მომზადებაში სვიის გამოყენებამ ახალ ეტაპს დაუდო სათავე. სვიის გამოყენებამდე, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ადამიანები მოიხმარდნენ მოტკბო ლუდს. საქართველოს მთიანეთში ეს მცენარე ძნელად ხარობს, ამიტომ მთიელები მას ყიდულობდნენ ან თავად ამზადებდნენ, იქ სადაც სვია ხარობდა. სვიას ამზადებენ შემდეგნაირად: მოკრეფენ, დაკეპავენ და დაყრიან წინასწარ კარგად გასუფთავებულ ადგილას. დაფუთნიან და ჩაახუ-

რებენ. სამი დღის შემდეგ გაშლიან, გააშრობენ, ჩატენიან ტომრებში და წამოიღებენ. სახლში მას ინახავენ გამომშრალ ადგილას. სვია გაწურულ სისწვენს დაეყრება იმდენი ჩხუტი, რამდენიც ფორი იყო. ასეთი პროპორციით მიცემული სვია ლუდს „სიმწარესა“ და „დათრობას“ აძლევს. სისწვენის აღუღებისას სვია მასში ჩაიხარშება, რის შემდეგაც სისწვენს კიდევ ერთხელ გაფილტრავენ სვიის ნარჩენებისგან (გაწურვა ხდება ჩალაში, ზარფუშის ყელში ან წვრილად მოწნულ გოდორში). სისწვენისთვის სვიის მიცემისა და მისგან გაფილტვრის შემდეგ იწყება ლუდის ფუება.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ქართული ლუდი, ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. III, 2007.

სვირი - 1. თიხის მილი, საიდანაც გამოდის საბერველიდან დაბერილი ჰაერი ცეცხლის გასაღვივებლად. 2. ხმელი, ადვილად საწვავი მუშა (ქართლ).

სვირიკე - ბლის ქერქისაგან მოქსოვილი, მცირე ზომის კალათა, სახელურებიანი.

ლიტ.: მსმხი, ტ. II. 1981.

სიათა - ფითილიანი თოფის სახეობა (იხ. არკებუზი).

სიგძე სანთელი - მშობლების მიერ ავადმყოფი შვილის სახელზე სალოცავისთვის აღთქმული („ოღონდ მოგვიჩინე ავადმყოფი და იმი სიგძე სანთელ დაგინებთ“) და, გამოჯანმრთელების შემდეგ, ბავშვის სიგრძის ჩამოქნილ-შეწირული სანთელი, რომელიც ბოლომდე უნდა დამწვარიყო.

ლიტ.: ს. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

სიმი - სიმებიანი საკრავის მთავარი ელემენტი, ძუისა, ცხოველის შიგნეულის ნაწლავისა (ძალი), ძაფისა (ლარი, ძაფი), ლითონისა (სიმი). სიმი იჭიმება და თითის ჩამოკვრისას გამოსცემს ხმას (იხ. ფანდური).

სიმქაში - ბრტყელტუჩა იარაღი, რომლის მეშვეობითაც იჭერენ ნივთს მუშაობისას (გახეხვა, გახვრეტა, გაჭრა, გაპრიანება).

სინგური - წითელი ფერის საღებავი, რომლითაც ჩვეულებრივ ძველ ტექსტებში სათაურები და საზედაო ასოები იწერებოდა. სინგური ფართოდ გამოიყენებოდა წიგნის მინიატურების შესრულებისას. შიო მღვიმისადმი გაცემულ ანდერძზე დავით აღმაშენებელს ხელი სინგურით აქვს მოწერილი.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, 1996.

სინი - სამზარეულო ჭურჭელთა რიგს განეკუთვნება. სინი ძირითადად მზადდება სპილენძისა და თითბურისაგან. ფორმით სხვადასხვაგვარია. დამზადების ტექნიკის მიხედვით გამოჭედილია სპილენძის ერთი ან რამდენიმე ფურცლისაგან. ზომების მიხედვით ყოფაში სამი ზომის - დიდი, საშუალო, და პატარა სინი დასტურდება. ყოფაში სინის რამდენიმე სახელწოდება მოწმდება: სინი, ლანგარი, ლანგარდი, თეფში-სინი, ტაბაკ-ხონჩა და სხვა. სინების განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიან აღმოსავლური (სპარსული) სინები, რომლებიც რადიკალურად გამოირჩევიან ქართული სინებისაგან, როგორც ზომით, ასევე შემკულობით. სპარსული სინები ხელოვნების თვალსაჩინო ნამუშევრებია, მათი განსაკუთრებული სიდიდე გამოიწვია მუსულმანური ტრადიციული კერძის „ფლავის“ საერთო სინიდან ჭამის ჩვეულებამ.

სინჯამ დიშკა (მეგრ. „სიძის შეშა“) - ფალოსის სიმბოლო, რომელსაც სამეგრელოში ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე ტყეში შეშის დამპობთა ხელმძღვანელი ამზადებდა; წარმოადგენდა დაახლოებით 1-1.5 მ. სიგრძისა და 10 სმ. დიამეტრის აკაციის გაკოპიტებულ და ლამაზად გათლილ ძელაკს, მომრგვალებული თავითა და წამახული ბოლოთი. დანიშნულების ადგილზე გადატანამდე, შეშის მჭრელთა უფროსი „სიძის შეშის“ მიწაში ჩაარჭობდა, ირგვლივ ფიჩხებს შემოუწყობდა და დაანთებდა ცეცხლს, რომლის გარშემო ეწყო სანეფოს ოჯახის მიერ საამისოდ გამზადებული ე. წ. „სიძის შეშის ულუფა“ (სინჯამ დიშკაში თია) - დოქით ღვინო, შემწვარი ქათამი, საქონლის მოხარშული ხორცი, ცივი ღომი და ყველი. ცეცხლის დანთებისთანავე უფროსი დაილოცებოდა, შესვამდა სიძე-პატარძლის სადღეგრძელოს. პირველი სადღეგრძელოს შესმის შემდეგ, შეშის მჭრელები ბილწსიტყვაობდნენ, თან კეტს ურტყამდნენ „სიძის შეშას“. ცეცხლი მანამდე ენთო, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეიმურებოდა; მერე ჩააქრობდნენ და შეუდგებოდნენ შეშის გადაზიდვას; ნეფის სახლს მიახლოებულებს უბნის ბიჭები მიეგებებოდნენ და „სიძის შეშის“ ჩვენებას ითხოვდნენ. დაკმაყოფილებული ბავშვები ძახილით: „სიძის შეშა მოაქვთ“ (სინჯას დიშკა მულუნა), მექორწილე ოჯახის ეზოში შეირბენდნენ; ქალები იმალებოდნენ, მამაკაცები კი „სიძის შეშას“ ბილწსიტყვაობით ათვალეერებდნენ. მჭრელთა უფროსი „სიძის შეშას“ გადასცემდა ახალდაქორწინებულთათვის განკუთვნილი დროებითი საცხოვრებლის გამმართავეებს, რომლებიც მას ფაცხის კუთხეში მიაყუდებდნენ. იგი, პირველი ღამის შემდეგ, ბავშვებს გამოჰქონდა და დიდი ზარ-ზეიმით წვავდნენ. იმ შემთხვევაშიმ თუ სიძე „შებორკილი“ ან გათვალული აღმოჩნდებოდა, „სიძის შეშას“

ხელს არ ახლებდნენ. იგი მხოლოდ პატარძლის დეფლორაციის შემდეგ გამოქ-ქონდათ. ხდებოდა ისეც, რომ, სიძის სქესობრივი უძღურების გამო, "... შეშა" ფაცხაში მთელი წელიწადიც კი რჩებოდა. ამ ხნის განმავლობაში ნეფეს მკურნალობდნენ (ცხოველთა ტესტიკულებით კვებადნენ) და სასურველი შედეგის მიღებისას იწვევდნენ მეზობელ-ნათესავებს, ამცნობდნენ, რომ ქალიშვილი „გატყნილია“ და „... შეშას“ დაწვავდნენ. მაგრამ თუ მკურნალობა უშედეგო აღმოჩნდებოდა, მას სადმე ხრამში გადააგდებდნენ (დაწვა არ შეიძლებოდა).

ლიტ.: ნ. ანთელავა. ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამეგრელოში. თბ., 2005, გვ. 159-161.

სკიბუმ ოხვამერი (მეგრ.) – „ხელსაფქვავის სალოცავი“; ასრულებდნენ ქირნახულის დაბინავების შემდეგ ნებისმიერ დღეს, ს. მაკალათიას ცნობით შობა-კალანდას შუა რომელიმე დღეს. დიასახლისი გამოაცხობდა „ჭვიშთარს“ (ყველიან ან ქონიან მჭადს), მიიტანდა ხელის წისქვილთან და დაილოცებოდა: „ღმერთო ამის დაფქული მუდამ ხვავიანი და გემრიელი ჰყავი, ჩემს ოჯახს და სტუმარს არასოდეს მოაკლო ამის ნაფქვავი“. დასასრულს, ჭვიშთარს პატარა ნაჭრებად დაანაწევრებდა ისე, რომ ოჯახის ყველა წევრს შეხვედროდა.

ლიტ.: ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 331; ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 3, გვ. 7 (ხელნაწერი ინახება ავტორთან).

სირმა - 1. 96% ვერცხლი, რომელსაც ნივთების გრეხილი შემკულობისთვის ხმარობდნენ. იგი შემდეგნაირად მზადდებოდა:

გადმნარ სირმას ვერცხლს რიჯაში ჩაასხამდნენ. მერე ზინდანზე ჩაქუჩით დანაყავდნენ, სიგრძეზე გაწვედნენ და ჰაღიღში//აღიღში გაატარებდნენ. აღიღში გატარება იწყება დიდი ნახვრეტიდან და თანდათანობით გადადიან უფრო წვრილებში, რისი მეშვეობითაც საბოლოოდ მიიღებენ სასურველი სისქის მავთულს. სირმის გამოსაწევად ხმარობენ ქალიფთინს. მავთულებს წყვილად შეაერთებენ და დაგრეხენ. შემდეგ ცეცხლზე გამოალობენ და დაჭრიან სასურველი ზომების მიხედვით და მიაღუდებენ ნამზადის სასურველ ადგილებში. 2. ქვითხურობაში ფანჯრის ჩარჩოს გრძელი ქვა, „უკარა“ ჰქვია პატარას. ჩარჩო შენდება ასეთი გათლილი ბლოკების - „სირმა“ „უკარას“ მონაცვლეობით, ხოლო შუაში ჩაიკეტება „ზანგით.“

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

სირჩა - ბროლის პატარა ქიქა. მთიულეთ-გუდამაყარში ლუდის ფეხიან სასმელს ჰქვია და სმურობისას პატივისცემის ნიშნად მსმელები ერთმანეთთან გადადიან.

სისწვენი, ზისწვენი (თუშ.) - უფუბელი ლუდის მასა, რომელიც დგება ფორისა და წყლის ნარევის ცეცხლზე ღუღების შემდეგ. ეს პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობს: სათანადო პროპორციით შერეული წყლითა და ფორის ნაზავით გავსებული სალუდე ქვაბი, ღუღილისას საგანგებო ჯოხით მოწმდება და ვიდრე დანიშნულ ადგილამდე არ ჩადუღდება მანამდე ადუღებენ. როცა დარწმუნდებიან, რომ მასა მოიხარშა, იღებენ ქვაბიდან, ფილტრავენ ხაკის ტომრებში და შემდეგ ამ სისწვენიდან აყენებენ, აფუებენ ლუდს (იხ. ლუდი).

ლიტ.: ე. ნადირაძე, ქართული ლუდი, ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. III, 2007.

სისხლით განათვლა - ადამიანის, სახლის, ჯვარის დროშის, ჯელოსანთა (იხ.) სვამისა და ყველა მირეულად (გაუწმინდურებულად) მიჩნეული საგნისათვის სამსხვერპლო საკლავის თბილი სისხლის წაცხების და ამ გზით მათი განწმენდის ხევესურული რიტუალი (იხ. „კაცის მცავ-მფარავი ანგელოზი || კაცზე მდგომ-მავალი ანგელოზი“, „მეკეზის წვრე ანგელოზი“, „სანათლაჳი||მუჭათ სანათლაჳი||ჯელ-მჳრის სანათლაჳი“, „სახლის განათვლა||ნაცივარი სახლის განათვლა“, „საჯელოში ჩადგომა||ზღუბლის დალაჳვა“).

ლიტ.: ალ. ოჩიაური. ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. ხევესურეთი (არხოტის თემი). თბ., 1988, გვ. გვ. 52, 124, 154, 155; ვ. ბარდაველიძე. ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია). თბ., 1949, გვ. 126-127; დ. გიორგაძე. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუშ-ფშავ-ხევესურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). თბ., 1987, გვ. 23-24.

სიქა - სიუჟეტიანი ტვიფარი, რომლითაც იჭრება ლითონის ფული. სიქით ასევე ოქროსა და ვერცხლის ნივთებზე დატანილია ხელოსნობისა და ოქრო-ვერცხლის შემადგენლობის ხარისხი.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

სიხმა ქალის გარეთა სამოსელი (აჭა. სამცხ-ჯავახ.). მასალად გამოიყენებოდა

ფაბრიკული ქსოვილები - ხავერდი, მაუდი, სატინა, ფარჩა. სიხმა წელამდე დასული და ტანზე შემოსალტული ზედაწელია. დასტურდება სიხმას ორი სახეობა: გულამოჭრილი და გულდახურული. პირველს ხმარობდნენ ბარში მცხოვრები ქალები, მეორე კი - მთის მაცხოვრებლები. გულდახურული სხვა მხრივაც იყო გამოჩეული, მას მკერდს ქვემოთ ნაკერები ედგმებოდა, რითაც მისი საკალთე ივსებოდა. წელზე მომდგარ სიხმას უკეთებოდა განიერი სახელოები, რომლის სიფართო მხართან და მაჯასთან ერთნაირი იყო. ამასთანავე, მხრებთან და მაჯებთან ნაოჭიც აუცილებელია. შესაკვრელად მკერდის ქვემოთ ჩაფრასტებს აკერებდნენ. წელამდე ჩახსნილი სიხმა სათანადოდ იყო გაფორმებული.

ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005.

სკა და გეჯა - მეფუტკრეობა საქართველოში უძველესი და ამჟამადაც მნიშვნელოვანი დარგია. მისი ჩამოყალიბება ველური ფუტკრის მოშინაურებიდან იწყება. ფუტკარი ველურად ცხოვრობდა კლდის ნაპრალებსა და ხის ფულუროში. შესაბამისად მას ტყის ან კლდის ფუტკარს უწოდებდნენ. ფუტკრის მოშინაურების შემდეგ ადამიანმა თავისი საცხოვრებლის ახლოს მიუჩინა ადგილი, ჩამოყალიბდა საფუტკრის თავისებური ტიპი - ხისგან საგანგებოდ გაკეთებული სადგომი, რომელსაც დღეს სკა ეწოდება. თანამედროვე სკა ჩვეულებრივ, ფიცრებისგანაა შეკრული და შიგნით მავთულგაყრილი ჩარჩოები აქვს ჩადგმული რომელზედაც ფუტკარი აკეთებს ფიჭას და ასხამს თაფლს. საფუტკრის ამ სახეობამდე ფუტკრის დასაბინავებლად იყენებდნენ გეჯას //ბუკს. გეჯა ორად გაპობილი და გულამოღებული მორია, რომე-

ლიც ორკაპა საბჭუნებზე დგას. ზოგჯერ საყრდენად გამოყენებულია კუნძები და ქვებიც კი. გეგები მიწიდან ნახევარი მეტრის სიმაღლეზე იდგმება. მათ გასაკეთებლად საუკეთესო მასალაა მურყანი (თხმელა), თელა, ცაცხვი, წაბლი. ამ ჯიშის ხეთა უპირატესობა ისაა, რომ ადვილი დასამუშავებელია და სითბოსაც კარგად ინახავს. ტყეში მოჭრილი საგეგე ხეს იქვე მორავდნენ, ანუ შუაზე აპობდნენ. თუ ნაპობი სწორი აღმოჩნდებოდა, სახლში მიჰქონდათ და ხელეჩოთი, სატეხითა და ნაჯახით მისგან გეგას (ბუკს) ამზადებდნენ. გაზაფხულზე გეგაში ახალ ნაყარ ფუტკარს ათავსებდნენ. ყოველ გეგას ხის ქერქს აფარებდნენ და ქარს რომ არ გადაეხადა, ზედ თეთრ ქვებს აწყობდნენ. თეთრს იმიტომ, რომ იგი მაგიურ ძალის მქონედ მიაჩნდათ - „საფუტკრეს ავი თვალისაგან იცავსო“. საფუტკრეები იყო როგორც დია, ასევე გადახურული. იგი ჩვეულებრივ სახლის სიახლოვეს იდგმებოდა და პირუტყვს რომ არ დაეზიანებინა, წნულით ან ფიცრით შემორაგვავდნენ. საფუტკრისათვის საგანგებოდ არჩევდნენ მზიან და ქარისაგან დაცულ, მყუდრო ადგილს.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

სკამი - საჯდომი ავეჯის ერთ-ერთი სახეობა. ცნობილია სკამის სხვადასხვა ტიპები, რომელთაგან ფუნქციის მიხედვით გამოიყოფა ზურგიანი და უზურგო. სკამთა რიგში შედის სავარძელი, საუფროსო, საკურცხალი, სამფენა ჯორჯო და ა.შ. სკამი დიდ ქართულ ოჯახში სოციალური ფუნქციის მატარებელი იყო. ისტორიულ წყაროებში სკამის ნიმუშები წარმოდგენილია ხელნაწერთა შემკულობაში. სასხდომი ავეჯის ეს ტიპი ტრადიციულია ქართული ეთნოგრაფიული ყოფისათვის.

სკარამანი - ძვირფასი ქსოვილი, ყვავილოვანი ორნამენტებით მორთულ-მოჩითული, საგანგებოდ ამზადებდნენ დიდებულთა ჩაცმულობისათვის.

სკიბუმ ოხვამერი (მეგრ.) – „ხელსაფქვავის სალოცავი“; ასრულებდნენ ჭირნახულის დაბინავების შემდეგ ნებისმიერ დღეს, ს. მაკალათიას ცნობით შობა-კალანდას შუა რომელიმე დღეს. დიასახლისი გამოაცხობდა „ჭვიშთარს“ (ყველიან ან ქონიან მჭადს), მიიტანდა ხელის წისქვილთან და დაილოცებოდა: „ღმერთო ამის დაფქული მუდამ ხვავიანი და გემრიელი ჰყავი, ჩემს ოჯახს და სტუმარს არასოდეს მოაკლო ამის ნაფქვავი“. დასასრულს, ჭვიშთარს პატარა ნაჭრებად დაანაწევრებდა ისე, რომ ოჯახის ყველა წევრს შეხვედროდა.

ლიტ.: ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 331; ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 3, გვ. 7 (ხელნაწერი ინახება ავტორთან).

სმინაობა - იხ. „მესმინაე“.

სოლი - ხეთა და ქვათა გასაპობი, ხისა და ლითონის ბრტყელპირიანი ან კუთხოვანთავიანი საგანი. სოლი ქვითხურობაში არის უძველესი იარაღი, რომლითაც ქვის მოტეხვა ხდებოდა. ქვის გატეხვისას მასივზე წერაქვით პატარა ღარს ამოიღებენ, სოლებს ჩაარჭობენ და მონაცვლეობით ხან წინიდან და ხანაც უკანა მხრიდან უროსცემინებით გააპობენ ქვას. ხის სოლებით ქვის გახეთქვა ქვის მოტეხვის ერთ-ერთი უძველესი წესია: ღრმად ამოწალკატებულ ქვის მასივში მკვიდრად გაჭედავენ ბზის ხის სოლებს, შემდეგ ყოველდღიურად ასხამენ წყალს, დროთა განმავლობაში ხე ჟივდება და ისეთი სიდიდით იმატებს, რომ ქვას ხეთქავს. პატარა

სოლებს იყენებენ სამეურნეო იარაღის ტარების დაგებისას.

სოლომო - წმ. სოლომინი - ყოველგვარი ხელობის, განსაკუთრებით სამჭედლო საქმის მფარველი მეგრული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით (იხ. „ხეხუნჯობა“). მეგრელები სოლომოს სამას სამოცდაცამი ხელობის შემქნელად თვლიდნენ, მაგრამ მის ძირითად ხელობად მჭედლობას მიიჩნევდნენ. გადმოცემის თანახმად, იგი შიშველი ხელით იღებდა გავარვარებულ რკინას და მუშტით ჭედდა თავის მუხლებზე. ამიტომ, დიდი სურვილის მიუხედავად, მან უბრალო მოკვდავთ ეს ხელობა ვერ შეასწავლა. ხედავდა რა ამას, სოლომოს იესო ქრისტემ აზიარა გრდემლის, კვერისა და მარწყხის დამზადების საიდუმლოებას. ამის შემდეგ კი მჭედლობა ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა.

ერთ მშვენიერ დღეს სოლომო ღმერთს ეახლა და ქვეყნიერების ღროებით მართვის ნება სთხოვა. მიიღო რა თანხმობა, იგი ქვეყნის მართვას შეუდგა და ღვთაებრივი ტახტის სიმაღლიდან შემდეგი რამ იხილა: მიდის ადამიანი გზაზე და, როცა წყლის დალევა მოუნდა, ცხენიდან ჩამოხტა, რათა გზისპირ მოჩუხჩუხე წყაროსთან წყურვილი მოეკლა და კვლავ გზა განეგრძო. მგზავრმა ვერ შეამჩნია, როგორ გადმოუვარდა ფულით სავსე ქისა. იქვე ახლოს მცხოვრებმა კაცმა წყაროსთან ქისა იპოვა და მიითვისა. სწორედ ამ დროს გზაზე ბერიკაცი გამოჩნდა; შორეული მოგზაურობით დაღლილი წყაროსთან დასასვენებლად მოეწყო. მგზავრმა ვერც კი მოასწრო დანაოჭებული შუბლის გაგრილება საგზლით დანაყრება, რომ თავს ქისადაკარგული მხედარი დაადგა. მოხუცმა მხედარს არწმუნებდა, რომ არც უნახავს და არც იცის სადაა ქისა. ბერიკაცის სიმართლეში და-

ეჭვებულმა მხედარმა დამბაჩა იძრო და უდანაშაულო მოხუცს სიცოცხლე მოუსწრაფა. ამ აღმაშფოთებელი სცენის შემყურე სოლომომ წამოიძახა: „ეს რა ნახეს ჩემმა თვალებმა! ჩაიქეც, დედაო მიწავ!“ დედამიწა შეკრთა, შეინძრა, წამიც და ჩაიქეცოდა, მაგრამ ღმერთმა სოლომოს ძალაუფლება წაართვა და თავად შეუდგა ქვეყნიერების მართვას. მიწაც დამშვიდდა. ღმერთმა სოლომოს აუხსნა, რომ ამქვეყნად გასაკვირი არაფერია, ყოველივე ღვთის განგებით ხდება: მოკლულის წინაპარს მკვლელის წინაპრის სისხლი ეღო, ხოლო ქისადაკარგულის წინაპარს ფულის მპოვნელის წინაპრის ვალი ემართა.

ლიტ.: Кобалия И. Из мифической Колхиды // СМОМПК, вып. XXXII, отд. II. Тф., 1903, გვ. 92-94.

სოხანე - მიწის იატაკი. ძველ ქართულ საცხოვრისში, მიწატკეპნილი იატაკი ჩვეულებრივი მოვლენა იყო. სასოხანე მიწა, რომელიც საგანგებოდაა შერჩეული, შეჭქონდათ ნაგებობაში, კარგად ასწორებდნენ, ხის უროებით ტკეპნიდნენ. დროთა განმავლობაში სოხანე უნდა გაახლებულიყო.

სოხასტერი - ბერის საყუდარი. აღთქმის მიხედვით, ბერები განილტვებოდნენ სამოღვაწოდ ანუ სამეუდაბნოედ ცხოვრებისათვის. კრებულისგან განცალკევება და ქრისტეს სამსახურში ჩადგომის ნაირგვარი ხერხები არსებობდა, რომელთაგან ერთ-ერთს ბერის დაყუდება წარმოადგენდა. სოხასტერი ეს იყო ბუნებრივი ან საგანგებოდ გაკეთებული ნაგებობა, სადაც ბერები მართლობაში ატარებდნენ ცხოვრების ნაწილს ან მთლიანად ცხოვრებას. მიუხედავად განდეგილობისა, ბერის მო-

ღვაწეობის ხარისხი მონასტრის ხელმძღვანელობის კონტროლით ხორციელდებოდა.

სპონდო, სპონტიკი (იმერ.) - წყალში ნამყოფი სიპი ქვა, რომელსაც მშენებლობისას ლიტონი კედლების ამოსაყვანად ხმარობდნენ. ოპის ტაძრის აგებისას 30 ხარ-უდელი ყოფილა გამოყოფილი „სპონდოს“ საზიდად.

სტელა - 1. მემორიალური ძეგლის-საფლავის ქვის, ერთ-ერთი ტიპი, რომელიც თავის შიგნით აერთიანებს მრავალ ნაირსახეობას. სტელისებური ძეგლების აღმართვის ტრადიცია მიცვალებულთა საფლავზე უძველესი დროიდან იყო გავრცელებული. სტელისებური ძეგლების საუკეთესო ნიმუშები დასტურდება მცხეთაში, ქვემო ქართლში, ზემო ქართლში. ასეთი ტიპის საფლავის ძეგლები მეტ-ნაკლები ინტენსიურობით ვითარდებოდა ქართულ მემორიალურ კულტურაში და ყველა ეპოქას მოეპოვება მათი დამახასიათებელი ნიმუშები. სტელები და სტელისებური ძეგლები ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ტიპია მემორიალური ძეგლებისა. არცთუ იშვიათად ასეთი ტიპის ძეგლებს „მატურის“ სახელითაც მოიხსენიებენ; 2. სალოცავი ობიექტები, რომელთა მრავალნაირი ტიპებია დადასტურებული საქართველოში; 3. სამიჯნო სტელები, რომელთა ნაწილზე რელიეფით ხელია ამოკვეთილი, როგორც მფლობელის უფლების დამადასტურებელი სიმბოლო.

სტემა - სამეფო გვირგვინის ტიპი, თვლებითა და მარგალიტებით შემკული ოქროს ან ვერცხლის ბრტყელი რკალი, რომელსაც გვერდზე თვალ-მარგალიტის ტოტები ახლავს. ხოლო რკალის შუა ნაწილში ჯვარი აქვს მიმაგრებული. ბიზანტიის მეფეების სტემა თეთრი, წითელი,

ლურჯი და მწვანე ფერისა იყო.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემკი, 1964.

სტვირი - სამ-ოთხ თვლიანი პატარა სალამური.

სუა (სამეგრ.) - ცხენის აჯაზმულობის ნაწილი. ტყავები კენის დაბლა აქეთ-იქით დამაგრებული მუხლების მისაყრდნობად, მხედრის ფეხები კენის შეხებისგან რომ ყოფილიყო დაცული.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

სუდარა, სამიშო, სულის ტალავარი, სამარხი ტალავარი - მიცვალებულის საფლავში ჩასაყოლებელი სამოსელი. სუდარად გამოიყენებოდა სხვადასხვა ქსოვილი. ძველად, უპირატესობას აძლევდნენ ბამბულს. XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში სასუდარედ ჩვეულებრივ ნახმარ ტანსაცმელს იმზადებდნენ. უხმარი ტანსაცმლის გატანება არ იყო წესად, სიცოცხლეშივე მის პატრონს ერთხელ მაინც უნდა მოესწრო მისი ჩაცმა. მიცვალებულს განბანვის შემდეგ შესუდრავდნენ. მსუდრავი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში საჩუქრად ან წინდებს ღებულობდა, ან ნაქსოვ ფეხსამოსს. სასუდარე ტანსაცმლის გარდა მიცვალებულის სახელზე უნდა დარჩენილიყო კარგი სამოსის ერთი ან ორი ხელი, რომელთა გამოყენება მიცვალებულის მოგონებასთან იყო დაკავშირებული. ხევსურეთში მიცვალებულს სამ სხვადასხვა ფერის (თეთრი, ლურჯი, წითელი) პერანგში გაახვევდნენ. შემდგომში ამის გამოძახილად უნდა ჩაითვალოს საფლავში სხვა ნივთებთან ერთად სხვადასხვა ფერის პატარა ნაჭრების გატანებაც. ლიტ.: ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1935. ც.

ბუზარაშვილი, ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1974.

სუზანი - ჭრელი ქსოვილი ტახტზე გადასაფარებელი.

სუთი - სუფთად გათლილი ჩოგანი, ღომის მოსარევი-ამოსაღები. გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოში. ყველგან, სადაც ღომს საკვებად იყენებდნენ.

სუიფი - სასოფლო მოედანი სვანეთში, ხშირ შემთხვევაში აქ იდგა წმინდა ხე, რომლის გარშემო ქვის სკამები იყო მოწყობილი. „სუიფი“ გამართული იყო სასოფლო დასახლების ცენტრში, შემადგენულ ადგილას და გაღავნით იყო შემოზღუდული. არსებობს მოსაზრება, რომ სვანური სიტყვა „სუიფ“ ქართული „სოფელ“//“სუფელის“ ნაირსახეობაა და სასოფლო ერის კრების მნიშვნელობას მოიცავს. სუიფის მსგავსი სასოფლო თავშესაფარი ცნობილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მაგალითად: ხევსურული - საფეხვნო, თუშური - საანჯმო, მოხევეური - ერობა, რაჭული - სანახმო, აჭარული - ჯამიკარი და შადრევანი, იმერული - სათემო. ყველა ესენი წარმოადგენდნენ სოფლის საჭირბოროტო საკითხების მოსაგვარებლად მამაკაცთა თავშეყრის, საუბრისა და გართობის ადგილს. სუიფი გენეტიკურად უკავშირდება სოფლის მმართველობის ინსტიტუტს. ლიტ.: გ. ჩიქოვანი, სასოფლო მოედნები, მაცნე №1, 1983. რ. გუჯეჯიანი, ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან. 2008.

სულამის დღე - „სულის ამოსვლის დღე“ - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ხევსურული წეს-ჩვეულება - სულის ტალავრის (იხ.) აღებამდე მიცვალებულის სახელზე ყოველკვირეული

ტაბლის დადგმა მისი გარდაცვალების დღეს. მაგალითად, თუ მიცვალებულის „სულამის დღე“ პარასკევი იყო, ჭირისუფლები ყოველ პარასკევს სახელსაღებებს (გულიანებს და უგულოებს) გამოაცხობდნენ, შენდობას ეტყოდნენ, გულიანებს (ქადისკვრებს) შეჭამდნენ, ხოლო ხმიალებს (სამს ან ხუთს) „ტალავართაჩი“ ჩადებდნენ, იქიდან კი ძველ ხმიალებს ამოიღებდნენ და შეჭამდნენ. ასე მეორედობდა, ვიდრე „ტალავარნი სხენ“. ამ უკანასკნელის აღების შემდგომ „სულამის დღეს“ მიცვალებულის სახელზე ტაბლას არ დგამდნენ.

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940, გვ. 44-45.

სულამოსავალაჲ კოტორი - ადამიანის გარდაცვალებისთანავე თუში ჭირისუფლის მიერ გამომცხვარი სამი ან ხუთი კოტორი. არყისა და ანთებული სანთლის გვერდზე სინზე დალაგებული კოტრები ვინმე უგვირგვინო ქალმა ჯერ მიცვალებულის მკერდზე უნდა დააბჯინოს, შემდეგ კი მიწაზე დადოს და ეს მოქმედება სამჯერ უნდა გაიმეოროს. შემდეგ იქ მყოფი უხუცესი იტყვის გარდაცვლილის შესაძლობარს, დაჭრის კოტრებს და ჩამოატარებს. აუცილებელია ყველამ თქვას შესაძლობარი და კოტრის ნაჭერიც მიირთვას.

ლიტ.: ნ. აზიკური. კოტორი, როგორც რიტუალური პური თუშეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXIII. თბ., 1987, გვ. 221.

სულგუნი - ყველის სახეობა, რომლის დამზადებით გამოირჩევიან მეგრელები და სვანები. მზადდება ძროხისა და კამეჩის რძისაგან. სულგუნის დამზადებისას

ახლად ამოყვანილ „ჩვილ“ ყველს ჩაჭრიან რძეში ან თბილ წყალში და ზეღენ ხელით ვიდრე არ ამოიწელება. შემდეგ ამ მასას მოაყრიან მარილს, მრგვალ თავებად შეახვევენ, ერთხანს ცივ წყალში ამყოფებენ და მერე შესანახად ჩაყრიან წათხში. შენახვის ხანგრძლივობით გამოირჩევა შებოლილი სულგუნი, რომელიც მკვრივია და სპეციფიკური სასიამოვნო სუნი და გემო აქვს. სულგუნისაგან ამზადებენ აგრეთვე სხვადასხვა ფორმის „პწილებს“, ფიგურებს (მაგ., ჩიტი, ხარის უღელი, ჭაპანი, ირემი, ცხვარი და ა.შ.). ეს ფიგურები საახალწლო სარიტუალო პურების მსგავსად ძველი რელიგიური რწმენა-წარმოდგენების კვალობაზეა შექმნილი და ძირითადად ნაყოფიერებისა და გამრავლების იდეას ემსახურებოდა. ლიტ.: გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში. 2007.

სულეთის საგძალი - საიქიოში მიმავალი მიცვალებულისათვის საგზლის მომზადები თუშური წეს-ჩვეულება. თუშები მიცვალებულს გარდაცვალებისთანავე განბანდნენ შემოსავდნენ სასუდრე ტანისამოსით; თავთან - პატარა ჭურჭლით წყალს, ჯამით ქერს ან ხორბალს დაუდგამდნენ, იქვე მატყლსა და მარილს დადებდნენ. დიასახლისი გამოაცხობდა სამ ან ხუთ კოტორს, რომელსაც უგვირგვინო ქალი მკვდარს ჯერ გულზე დაადებდა, შემდეგ ჯამით მიწაზე დადგამდა (ამას სამჯერ გაიმეორებდა); კოტრებს დაჭრიდნენ და ერთ ყანწ სასმელს და თითო ნაჭერ კოტორს დამსწრეებს ჩამოურიგებდნენ. ასე გაუმზადებდნენ მიცვალებულის სულს „სულეთის საგძალს“.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 102.

სულეთის ღმერთი - საიქიოს გამგებელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მითოლოგიაში. იგი სულეთის ყველაზე მაღალ ადგილზე - კამალაზე - ზის და ასე განაგებს იქაურობას. სულეთის ღმერთი აწესებს საიქიოში ახალი სულის სამყოფს, არეგულირებს სამზეოსა და სულეთს შორის ურთიერთობის საკითხებს და სხვ. მას ემორჩილებიან: ბედის მწერლები (იხ.), მგებრები (იხ.), მეგვამენი (იხ.), მესულთანე (იხ.), საიქიოს გამცდელნი (იხ.), ბჭენი||რჯულის კაცები (იხ.), ანდაბის უფროსი (იხ.), სულეთის კარის ყარაული (იხ.).

სულეთის ღმერთი, როგორც ეს ნასულეთარი ტექსტებიდან ჩანს, მორიგე ღმერთს ემორჩილება, რაც, სხვა მონაცემებთან ერთად, ზოგ მკვლევარს იმ ვარაუდის დაშვების საფუძველს აძლევს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების ასტრალურ ღვთაებათა პანთეონში მეორე ადგილზე მდგომი და მორიგე ღმერთის მორჩილი მზე||მზექალი||დღედღესინდელი იმავდროულად საიქიოს გამგებელიც იყო (ამ ფრიად საყურადღებო თვალსაზრისთან შეუთავსებელი ჩანს გ. კოპალეიშვილის მასალა, რომლის თანახმად, სულეთის ღმერთი არის თეთრწვერა მოხუცი, ხელში ოქროს კვერთხი უჭირავს და ზის ოქროს ტახტზე, რომელიც მაღალ სვეტზე დგას).

სულეთის ღმერთი ზოგჯერ ქრისტეს სახელითაც იხსენიება.

ლიტ.: დ. გიორგაძე. წარმოდგენები საიქიოზე ხევსურეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXI. თბ., 1981, გვ. 137-144; გ. კოპალეიშვილი. წარმოდგენები საიქიოზე ხევსურეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXI. თბ., 1981, გვ. 209;

В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тб., с. 55.

სულის ახსნა - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულება - სამგლოვიარო მარხვის მოხსნის რიტუალი; გურიაში სრულდებოდა დასაფლავებიდან მესამე დღეს (შდრ. „კილემ გონწყუმა“). გურულის რწმენით, სანამ მიცვალებულს „სულს არ აუხსნიდნენ“, იგი დაბნეული იყო, ვერც სამოთხეში შედიოდა და ვერც ჯოჯოხეთში. ამიტომ ჭირისპატრონი თავს ვალდებულად თვლიდა, საიქიოში მიცვალებულის გადასვლისთვის ყოველმხრივ ხელი შეეწყო: საამისოდ წინა დღით მღვდელს საზედაზე ღვინოსა და სანთელ-საკმეველს უგზავნიდნენ. მღვდელიც გარდაცვლილის სულის საოხ-შესანდობარს სწირავდა და წირვის შემდეგ ჭირისუფალს ეახლებოდა. ოჯახში ივლებოდა საკლავი (ხშირად ცხვარი), რომლისგანაც კეთდებოდა ხარჩო და მოსათალი ხორცი; მზადდებოდა, აგრეთვე, ქათმის წვნიანი, შემწვარი ქათამი, ღომი, ხაჭაპური და სპეციალურად საამდლისოდ გამომცხვარი პური. ყოველივე ეს შეადგენდა საკურთხს, რომელსაც მღვდელი დააკურთხებდა, ლოცვაში მოიხსენიებდა მიცვალებულს და ღმერთს შეთხოვდა „რათა დაამკვიდროს სული მისი წიაღსა შინა აბრამისასა, საცა მართალნი მისნი მკვიდრ არიან...“ შემდეგ მგლოვიარე ოჯახის ყველა წევრს პირში ხორცის ნაჭერს ჩაუდებდა, რითაც სამგლოვიარო მარხვა დასრულებულად ჩაითვლებოდა, მიცვალებულს კი საიმქვეყნო გზა ხსნილი ჰქონდა.

ხევსურეთში თავის ხარჯზე „საპირხსნოდ“ ანუ „სულის სახსრად“ საგანგებო ტაბლას დგამდნენ, ზედ დააწყობდნენ ცხვრის შემწვარ, წვრილად დაჭრილ ღვიძლს და ხმიადებს, რომლებსაც, სანთლის

ანთებს შემდეგ, ჭირისუფლებს დაურიგებდნენ. ტაბლას სულის ხუცესი ან ვინმე ხანშიშესული აკურთხებდა. არხოტის თემში, სადაც მიცვალებულს მეორე დღესვე ასაფლავებდნენ და ჭირისპატრონი მომზადებას ვერ ასწრებდა, საპირხსნო საკლავს ხუცესი დაკრძალვის დღეს კლავდა და სალამოს შემწვარი ღვიძლით ახლო ნათესავებს პირს დაახსნევინებდა.

იმერეთში სულის ახსნის რიტუალი დაკრძალვის მეორე დღეს ანუ დასაფლავებიდან მეშვიდე დღეს იცოდნენ. თუ მიცვალებულს მესამე დღეს დაკრძალვდნენ, სათანადო რიტუალსაც იმავე დღეს შეასრულებდნენ.

ლიტ.: ა. წულაძე. ეთნოგრაფიული გურია. თბ., 1971, გვ. 198-200; დ. გიორგაძე. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). თბ., 1987, გვ. 55-60; გ. გოცირიძე. კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში. თბ., 2007, გვ. 333-334.

სულის აჰსნა - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული კახური წეს-ჩვეულება - მარხვაში გარდაცვლილი და მარხვაშივე დაკრძალული ადამიანისათვის ხსნილში გადახდილი ქელეხი. საამისოდ უპრიანი იყო ცხვრის დაკვლა, შეიძლებოდა ძროხაც.

ლიტ.: ს. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

სულის სახელი - გარდაცვლილი ნათესავის სახელი, მამაკაცისა და ქალის რამდენიმე სახელთაგან (ჯვარის სახელი, ნათლობის სახელი, თიკუნი) ერთ-ერთი. მართალია, სულის სახელის მერქმევის ტრადიცია ზოგადქართული

მოვლენა იყო, მაგრამ, როგორც უკლებლივ ყველასთვის აუცილებელი ნორმა, იგი აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა (განსაკუთრებით ხევსურთა, ფშაველთა, მთიულთა, გუდამაყრელთა და მოხევეთა) ყოფას ბოლო დრომდე შემორჩა. ამ მონაცემების მიხედვით, სულის სახელის დარქმევის საქმეში აქტივობას თვით მიცვალებულები იჩენდნენ: ისინი ზემოქმედებდნენ ბავშვზე, ატირებდნენ მას, შემდეგ კი თავიანთ ნება-სურვილს სიზმრის საშუალებით, მკითხავის, ან მესულთანის მეშვეობით, ან თვით ბავშვის პირით ამ უკანასკნელის მშობლებს ატყობინებდნენ, რის შემდეგაც მოზარდს ერთ-ერთი გარდაცვლილის სახელს ანიჭებდნენ.

ქართველ მთიელთა რწმენის თანახმად, სულის სახელის შერქმევით, ახალ-შობილი ნათესავი მიცვალებულის განსახიერება ხდებოდა, ე. ი. „ახლად დაბადებული გარდაცვლილი წინაპრის ავატარას წარმოადგენდა. ამდენად, ეს ახლად დაბადებული გარდაცვლილის ადგილს იჭერდა“ (ვ. ბარდაველიძე).

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940, გვ. 42-43; ვ. ბარდაველიძე. ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია) // მიმომხილველი. I. თბ., 1949, გვ. 148-155.

სულის სახსარი - მიცვალებულის ცოდვების მოსანანიებლად დასაკლავი საქონელი.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

სულის ტალავარი / სამარხი ტალავარი - ხევსურული საწესო სამოსი - მიცვალებულის შესამოსელი. წარმოადგენდა მხოლოდ მიცვალებულისათვის განკუთვნილ სამი ფერის (თეთრი, წითელი, შავი ან ლურჯი) ბამბის ქსოვილისაგან შეკერილ პერანგს (ცოცხალთა ტალავარი// ტანსაცმელი შალისა იყო). ქართული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, შავი ფერი მიწისქვეშეთის, სულთა სამკვიდროს - „შავეთის“ - ფერი იყო, თეთრი - სამოთხის „მადლიანი“ ბინადრებისა (მდრ. ხევსურული წარმოდგენების სამოთხის თეთრი ციხე; თუშური სამგლოვიარო ტექსტი „დალაა“, რომლის თანახმად, მიცვალებული საიქიოში „მტრედის-ფრად“, ანუ თეთრად შედის), წითელი კი - ადდგომა-აღორძინების, სიცოცხლის ფერი. ამასთან, ქართული (და არამართო ქართული) მითოლოგიით, აღნიშნული ფერები იმავდროულად ქვესკნელს (შავი), ზესკნელსა (თეთრი) და შუასკნელს, ანუ ადამიანთა სამკვიდროს მიემართება. მიცვალებულის სულითვის განკუთვნილი საგანგებო სამოსი და მისი ფერი საიქიოს შესახებ შეხედულებების გარკვეულ წრეს კრავს.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიცვალებულის საგანგებო შესამოსელის აღსანიშნავად „სუდარის“ პარალელურად გამოიყენებოდა ტერმინები: „საბურავი“ (გურია), „საშიში/საშიშო“ (თუშეთი), „საშიშლო“ (სამეგრელო) და სხვ.

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940, გვ. 15-16; ც. ბუზარაშვილი. ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბ., 1970, გვ. 90; დ. გიორგაძე. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში

(თუმ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). თბ., 1987, გვ. 8; დ.გიორგაძე. რიტუალური სამოსელის საკითხისათვის („სულის ტალავარი“). // ანალები. 2010, № 6, გვ. 153-167; თ. სახოკია. მიცვალებულის კულტი სამეგრელოში. // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III, 1940; გ. ჩიტაია. ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ზოგიერთი საკითხი. მიცვალებულის კულტი. // შრომები, ტ. IV, თბ., 2001, გვ. 214-215; ა. წულაძე. ეთნოგრაფიული გურია. თბ., 1971, გვ. 184.

სულის ცხენი - მიცვალებულისათვის შეწირული//დაკურთხებული ცხენი აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში. ცხენს უპირატესად მამაკაცს უკურთხებდნენ, მაგრამ ეს წესი ზოგჯერ დიდი ავტორიტეტის მქონე ქალის დასაფლავებაზეც სრულდებოდა. ფშავ-ხევსურეთში და თუშეთში ცხენის დაკურთხება-დაყენება დასაფლავების დღეს, იშვიათად კი რომელიმე ხარჯის დროს ხდებოდა. თუ ოჯახს ცხენი არ ჰყავდა, იგი აუცილებლად უნდა ეყიდა. იყო შემთხვევები, როცა ღარიბი ოჯახი ვინმესგან ნახევარ ფასად იყიდდა ცხენს, შემდეგ კი კვლავ პატრონს დაუბრუნებდა. მაგრამ ცხენის „სხვისად დაკურთხებას“ ერიდებოდნენ, რადგან, ხალხის რწმენით, მიცვალებულს საიქიოში მის სახელზე დაკურთხებული ცხენი ემსახურებოდა, სხვისთვის შეწირული პირუტყვი კი უკვე სხვა მიცვალებულის საკურთხება იქნებოდა და თავისი საჭიროებისათვის ვერ გამოიყენებდა.

ხევსურეთში დასაკურთხებელ ცხენს განბანდნენ, კარგად გამოკვებავდნენ, ქალები ფაფარს დაუწნავდნენ და კისრის სიგრძედ ფარჩის „საფაფრეს“ გაუკეთებდნენ, ხოლო დაწნულ ქოჩორზე

„საშუბლეს“ შემოაკრავდნენ, მკერდს კი მძივებისაგან მოქარგული „ყელსალებით“ დაუმშვენებდნენ; ძუასაც დაუწნავდნენ და ბოლოში ფერად ნაჭრებს შეაბამდნენ. შემდეგ ცხენს შეკაზმავდნენ, უნაგირის ტახტზე სანთელს დააკრავდნენ და მათრახს ჩამოკიდებდნენ. უნაგირზე გადაკიდებდნენ ხურჯინს, რომელშიც „მკვდრის საგზალი“ (პურ-არაყი) ეწყო. ცხენს მიცვალებულის ტანსაცმელს, იარაღსა და ნაბადსაც აკიდებდნენ და ამგვარად მორთულ-მოკაზმულს დასაფლავების დღეს მიცვალებულს ხელზე თოკით გამოაბამდნენ. აღვირს ცოლი, დედა ან და დაიჭერდა. სულის ხუცესი ერთ ხელს აღვირს ჩაავლებდა, მეორეთი ყანწს ასწევდა და ამბობდა: „შენი სახმარი არის ეს შაკაზმული ცხენი, შენი საფერხე იყოს, სადაც დაგჭირდეს, გამაიყენე და აჯირითე, უცხენომც ნუ იქნები, ეს უნაგირი, ხურჯინ-საგზალი შენამც გეხმარების“. შემდეგ ლუდს ან არაყს ცხენის ფაფარსა და უნაგირს შეასხურებდა, მათრახს სამჯერ მსუბუქად დაარტყამდა და იტყოდა: „შენიმც სახმარი ას, შენამც გეხმარების, სწორებსამც ნუ ჩამორჩები“. ბოლოს ცხენს მიცვალებულის გარშემო სამჯერ შემოატარებდნენ. „სული ცხენი“ სასაფლაოზე არ მიჰყავდა. ცხენის დაკურთხების ანალოგიურ წესს დანარჩენი მთიელებიც ასრულებდნენ.

დაკურთხებულ ცხენს განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდნენ, ტვირთსაც კი არ აკიდებდნენ, საჯდომად თუ გამოიყენებდნენ. ხევსურეთში როცა სულის ცხენს ჭირისუფალი ქერს აჭმევდა, ქერს შენდობას ეტყოდა. იგი ქერს ჯერ თოფრაში ჩაყრიდა, შემდეგ სახელს დასდებდა: „სადაც შენ ხარ, შენიმც საჰმარი ას, შენს ცხენსამც აჭმევ, ცხენ უქერობითამც ნუ დაგაღონებსა-დ მგებრთაში იქნებისა თუ ცხენთაში, უკენამც ნუ ჩამარჩები ამხანაგებს“. შემდეგ ცხენს თოფრას თავზე ჩამოაცვამდა. შენდობას მა-

რილსაც ასე ეტყოდნენ: „ეს მარილიმც მენ გეჰმარების, რადაც გინდ იმადაც გამაიყენებ, ცხენისად გინდ თ სხვისად რაისად“. სახელდადებულ მარილს შეინახავდნენ და სულის ცხენს მხოლოდ მას აჭმევდნენ. შემოდგომაზე, როცა თივას სახლში მოიტანდნენ და ბან-კარზე ზვინებად დადგამდნენ, ჭირისუფალი ერთ კარგ ზვინს მიცვალებულის სახელზე შენდობას ეტყოდა. შენდობა ნათქვამ თივის ზვინს სულის ცხენს აჭმევდნენ და, როცა იგი გათავდებოდა, ჭირისპატრონი მეორე ზვინს „დასდებდა სახელს“. სახელდაულებ ქერს, ზვინსა და მარილს ცხენს არ აჭმევდნენ, რადგან შენდობა უთქმელი „საიქიოს მკვდართ არ ეხმარების და უქეროდ, უმარილოდ და უთივოდ კი დადონდების, ცხენი დაუწყებს წუხებას“. წლისთავის შემდეგ „სულის ცხენს“ გააჩუქებდნენ. მას დედის ძმას, დედის ძმისშვილს, ბიძაშვილს, ძმობილს აჩუქებდნენ. ამ უკანასკნელსებსაც ცხენის სამუშაოდ გამოყენება, ან გაყიდვა ეკრძალებოდათ. თუ რომელიმე მათგანი გაყიდვას დააპირებდა, ან კარგად არ მოუვლიდა, მიმცემს უფლება ჰქონდა ცხენი ჩამოერთმია და სხვისთვის გადაეცა.

დაკურთხებული ცხენი დიდ როლს თამაშობდა მიცვალებულის წლითავზე გამართულ ღოდში // სადგინში (იხ.), რომელშიც „სულის ცხენის“ მონაწილეობა სავალდებულო იყო. საამისოდ მას ზემოაღწერილი წესით კვლავ დააკურთხებდნენ. მელოდეებს წინ „სულის ცხენი“ მიუძღოდათ. საქართველოს სხვა კუთხეებშიც (სვანეთში, სამეგრელოში, აფხაზეთში, საქართველოს ოსურ მოსახლეობაში) ცხენს მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ფრიად საინტერესოა სვანეთში გავრცელებული ჩვეულება: სვანები დასაფლავების დღეს ცხენს საუკეთესოდ მორთავდნენ და პა-

ტრონის კუბოს მახლობლად დააყენებდნენ. გასვენებისას ამ ცხენზე ახალგაზრდა სვანი შეჯდებოდა და სამგლოვიარო პროცესიის წინ მას იმდენ ხანს აჭმებდა, რომ პირუტყვი მომკვდარიყო, ე. ი. თავის პატრონთან ერთად საიქიოში „გამგზავრებულებიყო“.

ლიტ.: დ. გიორგაძე. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). თბ., 1987, გვ. 11-14; მ. ბალიაური, ნ. მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940, გვ. 12, 29, 57; ს. მაკალათია. ხევსურეთი. თბ., 1984, გვ. 203-204; ა. ოჩიაური. მიცვალებულის კულტი რომკასა და უკენ ხაღუს თემებში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940, გვ. 77; ნ. ხიზანიშვილი. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1940, გვ. 76-77; გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ.

სულის ხუცესი (ხევს.) / ხუცესი (თუშ.)

- მიცვალებულის კულტის მსახური აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში. განსხვავებით ჯვარის ხუცესისაგან (იხ.), რომელსაც სიწმინდის დაცვა ევალებოდა (მიცვალებული კი უწმინდურად განიხილებოდა. იხ. „ნარევი || მირეული“, „სახლის განათვლა“), სულის ხუცესი მკვდრის რიგის მკურთხებელს (სულის ცხენის დაკურთხება, შენდობის თქმა, ხარჯებსა და სულის მოსახსენებელ დღეებში საკლავის დაკვლა, ტაბლის დალოცვა) წარმოადგენდა. თუ სულის ხუცესის ოჯახის წევრი გარდაიცვლებოდა, იგი მას არც განბანდა და არც სუდარას ჩააცმევდა, სხვა ყველა წესს კი შეასრულებდა.

როგორც წესი, სულის ხუცესად გახდომა შეეძლო ყველა ხნიერ მამაკაცს, რომელმაც „კურთხევანი“ ზეპირად იცოდა. ამ საქმეში განსწავლული სოფელში ერთი-ორი კაცი თუ იქნებოდა, ან ისიც არა.

ჩაწერილი და გამოქვეყნებულია სულის ხუცობის ტექსტები, რომლებიც სამი სახით არის წარმოდგენილი: „სახელსაღები“, „პირის ქარი“ და „კურთხევანი“. ამ ტექსტების ნაწილს (განსაკუთრებით „კურთხევანს“) ქრისტიანობის ზეგავლენა აშკარად ეტყობა, ნაწილი კი არქაულობის ნიშნითაა აღბეჭდილი.

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ. მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940, გვ. 43; ა. ოჩიაური. მიცვალებულის კულტი როშკასა და უკენხადუს თემებში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940, გვ. 81-86; დ. გიორგაძე. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუმ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). თბ., 1987, გვ. 26-29; ნ. ხიზანიშვილი. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1940, გვ. 83; Хаханов А. С. О пшавах // Сборник материалов для этнографии, издаваемой при Дашковском Этнографическом музее. Вып. III. М., 1888, гв. 9-10; Худадов Н. А. Заметки о Хевсуретии. 1887, гв. 27-28; Эристов Р. О. О тушино-пшаво-хевсурском округе // Записки Кавказского отдела Русского географического общества. 1854. Т. III, гв. 109.

სულის ჯსნა / სულთმოსხმა (ხევს.) / სულთმორეკვა (თუმ.) - ოჯახს გარეთ გა-

რდაცვლილი ადამიანის სულის „დახსნის“, სიკვდილის ადგილიდან „წამოყვანის“ წესი აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში, რომელთა მხედულების თანახმად, სიკვდილს ბოროტი სულები იწვევდნენ. ეს რწმენა განსაკუთრებით კარგად მუდავნდება უბედური შემთხვევებისაგან (წყალში დახრჩობა, ზვავში მოყოლა და სხვ.) გარდაცვლილთა სულის გამოხსნაში, რაშიც გადამწყვეტ როლს კარატის ჯვარი (ხევსურეთი, თუშეთი) და იაჰსარის ჯვარი (ფშავი) ასრულებდნენ, რადგან ისინი ავსულთა მტრებად ითვლებოდნენ. „სულის გამოსახსნელად“ ჭირისუფალი ლუდს აუღებდა, არაყს ხდიდა და ხმიადებს აცხობდა, ამასთან, ლიქოკის კოპალა კარატის ჯვარის მედროშეს ძღვნად ჭედილას, არაყს, ლუდს, ფულს გაუგზავნიდა და დახმარებას ითხოვდა. მედროშე დასტურს (ხატის ერთ-ერთი მსახურს) იახლებდა და დროშით ხელში გზას გაუდგებოდა, თუმცა წინასწარ არ ეუბნებოდნენ, თუ სად, რა ადგილას მოხდა უბედური შემთხვევა; ხალხის რწმენით, ეს თვით დროშას უნდა გამოეცნო. როცა შემთხვევის ადგილს მიუახლოვდებოდნენ, მედროშეს მოუსვენრობა დაეტყობოდა, იგი ზოგჯერ წყალში გადასახტომად, კლდეზე გადასაჩენად იწვევდა, მაგრამ დასტური აკავებდა; ბოლოს „დროშა მიიყვანდა“ იმ ადგილას, სადაც უბედურება მოხდა. აქ მედროშე დროშის ტარს მიწას დიდხანს არტყამდა, დროშას არხევდა, ბოროტ სულებს ხმამაღლა წყევლიდა, ემუქრებოდა და დაღუპულის სულის განთავისუფლებას ითხოვდა. ამ დროს ერთ-ერთი თანმხლები შავ ციკანს დაკლავდა და ხელუკუღმა გადააგდებდა; აქვე სანთელს აანთებდნენ და მიცვალებულისათვის შენდობას იტყობდნენ. ამის შემდეგ მედროშე ჭირისპატრონის სახლში მივიდოდა და დროშას ბანზე დაბერტყავდა, რაც სულის სახლში მოყვანის ნიშანი იყო. გამასპინძლების შემდეგ, უკანდაბრუნებულ მედროშეს და

დასტურს ჯვარის საჭიროებისათვის 3-4 კგ. სპილენძსა და ხატიონისათვის რამდენიმე ცხვარსაც გაატანდა.

ფშავში „სულის გამოსხნა“ იაქსარის ჯვარის ფუნქციებში შედიოდა და ხევსურული წესისამებრ. სრულდებოდა. თუშეთში „სულის სახსნელად“ კოპალა კარატის ჯვარს მიმართავდნენ მაშინ, როდესაც ათნიგენობის წინა კვირას ხევსურეთიდან იქ გადმოსულ ჯვარიონს თან ხანმატისა და კოპალა კარატის ჯვარის ღროშები მოჰქონდათ. „სულის გამოსხნის“ შემდეგ, რომელიც ფშავ-ხევსურეთში დამოწმებული ანალოგიურად ხდებოდა, კარატის ჯვარის მედროშე ჭირისპატრონის სახლისკენ გაემურებოდა. მას წინ თუში მიუძღოდა და იძახდა: „მოვალ და მომყავს (იტყოდა მიცვალებულის სახელს) სული“. ადგილზე მისული მედროშე სახლის ყველაზე მაღალ ადგილას სიპზე ავიდოდა და იქ ღროშას დაბერტყავდა.

იმ შემთხვევაში, როდესაც წყალში დამხრჩვალის თუ ზვავში მოყოლილის გვამს ვერ იპოვნიდნენ, ან უცხო ქვეყანაში, ან კიდევ ომში მოკლულს ვერ მოასვენებდნენ, ჭირისპატრონი მიცვალებულს სასაფლაოზე აუცილებლად საფლავს მაინც მოუზომავდა. საამისოდ, გამოსდიდნენ არაყს, გამოაცხობდნენ სახელსადებებს (ზოგს გულიანს, ზოგს უგულოს), დადგამდნენ თაბლას და ყოველივე ამას, მიცვალებულის „ტალავართან“ ერთად, სასაფლაოზე წაიღებდნენ, თან ახლობლებსაც გაიყოლებდნენ. იქ მიწას ოთხკუთხედად მოზომავდნენ, არ ამოთხრიდნენ, მხოლოდ ბარით ან თოხით შემოხაზავდნენ. მოზომილ მიწაზე ტაბლას დადგამდნენ და ტალავარს დააფენდნენ და სულის ხუცესი ილოცებდა. ამის შემდეგ გარდაცვლილი საფლავ-სამარეში წილდებულად ითვლებოდა (წილულებ მკვდარს ჭირის-

პატრონის ოჯახის სირცხვილად და უბედურებად მიიჩნევდნენ).

სულთმოსხმა, გარდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა, საქართველოს სხვა კუთხეებშიც იყო გავრჩელებული (იხ. „ქვინი ლიტხე“, „შურიმ მოცუნაფა“).

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ. მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. თბ., 1940, გვ. 53-54; გ. ბოჭორიძე. თუშეთი. თბ., 1983, 304-305; დ. გიორგაძე. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). თბ., 1987, გვ. 20-21.

სურა - მაღალყელიანი, უსახელურო, ლითონისა და თიხის ჭურჭელი. აქვს მრგვალი ძირი, მკვეთრად გამობერილი მუცელი, მაღალი და წვრილი ყელი. პირი უნისკარტო და მრგვალი. სურები საქართველოში XVII საუკუნეშიც ყოფილა ხმარებაში, რასაც მოწმობს ვახუშტი ორბელიანის ქონების სიაში დასახელებული როგორც ვერცხლის, ისე სპილენძის სურები.

სურდილი ცხენი (მეგრ.) – „შესუდრული ცხენი“ - გარდაცვლილი მამაკაცის ძუა- და ფაფარშეჭრილი ცხენი, რომელსაც „ჯაკით“ (შავი ფერის მცენარეული საღებავი) შეღებილი ქსოვილი ჰქონდა გადაფარებული. მიცვალებულის გასვენების დღისთვის ასე შესუდრულ ბედაურს დაკრძალვამდე ეზოში თვალსაჩინო ადგილზე დააყენებდნენ, შემდეგ საფლავზეც გაიყვანდნენ და უკან დააბრუნებდნენ ისე, რომ ზედ არავინ შეჯდებოდა. ვიდრე გლოვა არ დასრულდებოდა (ერთი წელიწადი მაინც) ცხენს არც საჯლო-

მად იყენებდნენ და არც სამეურნეო საქმისთვის (მდრ. „სულის ცხენი“).

ლიტ.: ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 7, გვ. 20 (ხელნაწერი ინახება ავტორთან).

სურდული ხოჯეფი (მეგრ. „შესუდრული ხარები“) - დედისძმების ან გამზრდელების მიერ წლისთავზე მიცვალებილისთვის შეწირული ბუდეები, რომელთაც შავი ქსოვილი ჰქონდათ გადაფარებული, თავ-კისერზე რამდენიმე ასხმა წაბლი ეკიდათ, რქებზე კი ანთებული სანთლები ეკეთათ. ჭირისუფლის ეზოში რაც უფრო მეტი ასეთი ხარი შემოვიდოდა, მით უფრო მეტად ფასდებოდა მისი შემწირველიცა და მიცვალებულიც. ხარებს ეზოშივე გაუშვებდნენ და იქ თავშეყრილ ხალხს უფლება ეძლეოდათ, მათთვის წაბლი შემოეცალათ. შავად მოსილი ხარების ნაწილს იმდღესვე დაკლავდნენ და წლისთავის სუფრისთვის და მოწვეულთათვის ულუფის (თია) შინ გასატანებლად მოიხმარდნენ; დანარჩენები მიცვალებულთა ხსოვნის დღეებში უნდა დაეკლათ. მათი სამუშაოდ გამოყენება იკრძალებოდა.

ლიტ.: ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ.

№ 6, გვ. 21-22 (ხელნაწერი ინახება ავტორთან); ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 288-289.

სუფრა - 1. მაგიდაზე ან მიწაზე დასაფენი პურობისას. გარდა ნაჭრისა ეთნოგრაფიულ ყოფაში გამოყენებული იყო ტყავისა და ნოხ-ფარდაგის სუფრები (მაგ. ხევსურეთში, დაგრაგნილ ტყავის სუფრას ხევსბერს მისცემდნენ, ხევსბერი სუფრას აიღებდა, დაილოცებოდა, დამსხდარი ხალხის წინ გასტყორცნიდა და გაშლიდა). სუფრამ მეტყველებაში მიიღო პურობის ზოგადი სახელწოდება. შემუშავებულ იქნა სუფრასთან სხდომის წესები. ქართველები სხდებოდნენ ორ მწკრივად. მინდორზე სხდომისას, დღესასწაულის დროს, ფიცრებზე ან ლასტებზე გაშლილი იყო სანოვაგე. სუფრასთან დასხდომა განისაზღვრებოდა სქესისა და ასაკის მიხედვით. საქართველოს მთაში, ხატობისას, კაცნი, ქალნი და ბავშვნი ცალ-ცალკე სხდებოდნენ. საქართველოს ბარში სუფრის ეტიკეტი და მისი გაწყობის ცერემონიალი გაცილებით დახვეწილი იყო და სხდომის წესიც მეტი დემოკრატიულობით გამოირჩეოდა.



ტაბლა || **ტაბლა**^A- მიცვალებულის სულის მოსახსენებლად გაწყობილი ნაკურთხი სუფრა, რომელზედაც, კერძების გარდა, ზოგჯერ გასაცემად გარდაცვლილის სამოსიც ელაგა.

ტაბლა - ხისაგან გაკეთებული ფეხებიანი, დაბალი სუფრა. ტაბლა მაგიდის სახელწოდებად იხსენიება ძველ ქართულ წყაროებში. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ტაბლა „ფიცრის სუფრაა ფეხელი“. ტაბლა სასულიერო მწერლობაში ევსტათი მცხეთელის მარტვილობაშია (VI ს.) მოხსენიებული, ხოლო საერო საისტორიო წყაროებში XI საუკუნიდან გვხვდება. XVI-XVII საუკუნის ყველა საისტორიო წყაროში სასადილო მაგიდის აღმნიშვნელ ტერმინად ყველგან ტაბლაა ნახმარი. როგორც ჩანს, მაგიდა XVII საუკუნიდან დამკვიდრებულა, ხოლო ტაბლა თავისთავად განაგრძობდა არსებობას. სვანეთში გავრცელებულ ხის სუფრას „ტაბაკი“ ჰქვია, მთიულეთსა და ფშავ-ხევსურეთში „ტაბლა“, მოხვევები ხშირ შემთხვევაში ასეთ სუფრებს - „ტაბლა-ხონჩასაც“ უწოდებენ. ყველა ეს სუფრა დამზადებულია ხის სქელი ფიცრისაგან, რომლის სიგრძე 2 მეტრს აღწევს, სიგანე კი 36-40 სმ. დგას ოთხ, ხუთსანტიმეტრიანი სისქის ფეხზე, რომელთა სიმაღლე 40 სმ-ს არ აღემატება. ასეთ სუფრებს იყენებდნენ ყოველდღიურ

ცხოვრებაში და ნადიმისა და ქორწილების დროს. სვანეთში გავრცელებულ სუფრებში მეტად საინტერესოა ხის მრგვალი სუფრა „ფიჩქ“, რომელსაც სამი ფეხი აქვს. იგი მასიური ფიცრისაგან არის გამოთლილი, ფეხების გარეშე აჭარულ ფეშხუმს ჰგავს. ყურადღებას იქცევს ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური სუფრების, კერძოდ, ტაბლების პარალელები. მცხეთის სამთავროს სამაროვანზე აღმოჩნდა თიხის ორი ტაბლისებური მოყვანილობის ჭურჭელი. ერთი ოთხ მინაძერწ ფეხზე დგას, ხოლო მეორე - სამ ფეხზე. პირველი ჭურჭელი დათარიღებულია ძვ.წ. III-III საუკუნეებით, ხოლო მეორე სამარხს, რომელშიც მრავალგანიკვკეთიანი სამფეხა ტაბლა იყო, ძვ.წ. X-IX საუკუნეებით ათარიღებენ. აღმოსავლეთ საქართველოსა და სვანეთის ხალხური ავეჯის შესწავლისას ეთნოგრაფ ლ. ბედუკიძის ყურადღება მიიქცია ტაბლების მრგვალმა მოყვანილობამ და მან შესაძლებლად მიიჩნია მათი ციურ მნათობთა შესახებ არსებულ რელიგიურ წარმოდგენებთან დაკავშირება, რის საფუძველზეც მივიდა დასკვნამდე, რომ ტაბლათა სიმრგვალე უძველეს რწმენა-შენეღულებებს უკავშირდება და სუფრად ხმარებული ტაბლის ფორმაც ასტრალურ მსოფლმხედველობასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ტაბლამი-ი (სვ) - კიდობანი, რომელშიც შენახულია პურის ფქვილი ან ხორბალი რელიგიური დღესასწაულისათვის.

ტაგიძურა (აჭარ.) - წითელყურძნიანი საღვინე ჯიშის ვაზი. მალღარების სახით მხოლოდ ქობულეთის რაიონში იყო გავრცელებული. გადმოცემით, აღნიშნული ჯიში ქობულეთის რაიონში ვინმე ტაგიძის მიერ ყოფილა შემოტანილი, რომელსაც იგი სოფელ ხუცუბანში მალღარების სახით გაუმენებია. ვინაიდან ჯიშის ნამდვილი სახელწოდება დაკარგულა, მოსახლეობას მისთვის ტაგიძე დაურქმევია. აქედან ყურძნის სახელწოდება ტაგიძურა წარმომდგარა.

ლიტ.: მ. რამიშვილი, გურიის, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები, თბ., 1948.

ტაგრუცი - ყუთი, კოლოფი, საფლავის ქვა, საბას განმარტებით, გუადრუცი არის ფიცრის კოლოფი, „დიდი გინა მცირე,“ ხოლო მეორე მნიშვნელობით - „მალა ნაგები საფლავი“. ხალხურ მეტყველებაში იგი აღნიშნავს - ყუთს, კიდობანს, სადაც ქალები ინახავდნენ სამკაულებსა და ხელსაქმის იარაღებს. ეს სიტყვა სახარებაში ყულაბის მნიშვნელობითაც იხმარება: იუდას ჰქონდა შენახული პირველ ქრისტიანთა საერთო თანხა; „გუადრუცი იგი მას აქუნდა და შთასადებელი იგი მას ჰკიდავნი“ (იოვ. 12:6). ქრისტიანობის განმტკიცების შემდგომ ასეთი ყუთები განსაკუთრებულად დაიხვეწა და ისინი იქცა ძვირფასი რელიკვიების დასაცავ ჭურჭლად. მაგ., გოლგოთაზე მიკვლულ ქრისტეს ჯვრის ნაწილებს დედოფალმა ელენემ შეუქმნა „გუადრუცი ვერცხლისადა შთაღვა იგი“. შემდეგ გუადრუცი იქნა გამოყენებული წმინდა ნაწილების დასაცავ ჭურჭლად და იგი გახდა სინონიმი ლარნაკისა. გი-

ორგი მთაწმინდელმა ექვთიმეს წმინდა ნაწილები „მშვენიერ გუადრუცი“ ჩაასვენა და ატარებდა მას ხალხის სანახავად. მოგვიანებით, ტერმინმა ტაგრუცი შეიძინა საფლავის ლოდების მნიშვნელობა, რადგან ასეთი ლოდები მიმგავსებული იყო ტაგრუცისებრ ყუთებს. ამას ითვალისწინებს საბას განმარტება, როცა ტაგრუცს ნაგებ მალა საფლავად წარმოგვიდგენს.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხურობა იმერეთში, 2001.

ტალავარი//ტალავარი - მამაკაცის, მანდილოსნის ორიგინალური ტანისამოსი, თავისი გამოჭრით და მორთულობით, რომელიც საქართველოში მხოლოდ ხევსურეთის მიკრორაიონშია გავრცელებული. მას ხევსური ქალები თვითონ კერავდნენ. მისი მთავარი ელემენტი - პერანგი (შალის ქსოვილის) თავისი ორიგინალური თარგითა და მდიდარი ნაქარგობით მთელი კავკასიის ხალხთა ჩაცმულობისაგან გამოირჩეოდა. თავისი საწყისი ფორმებით, უძველეს კულტურულ სამყაროს უკავშირდებოდა. ამ პერანგის თარგს შეადგენდა: მიდგმული სახელო, ამოკერილჩაჭიანი გვერდები, ამოღებული საყელო და შვეული საკინძიანი გულისპირი. თავდაპირველად, მას სადა ფორმა ჰქონდა. დროთა განმავლობაში მიიღო ხევსურული პერანგის სახე. მისი ძველი ქართული სახელწოდება „კვართი“ უნდა ყოფილიყო. მამაკაცის ტალავარის შემადგენელი ნაწილები იყო: ქუდი, პერანგი, ტანსაცმელი (ნიფხავი, შალვარი), პაჭიჭები, თათები, ქალამნები და ჯღანი (ხულჩა). ტანსაცმლის ელემენტები იყო აგრეთვე, შილუტკა, ტყავი. დიაცის ტალავარი შედგებოდა შემდეგი ნაწილებისაგან: თავსაბურავი - სათაურა, მანდელი, სადიაცო, ქოქლო ანუ ქოქლუა, ფაფანაგი, ქათიბი, სარტყელი, ტყავი,

პაჭიჭები, თათები, ქალაბნები. მის დასამზადებლად შინაური წესით მოქსოვილ ტოლის - შალს იყენებდნენ, კერავდნენ, ქარგავდნენ ნემსით.

ხევსურული ტალავრის დამზადება მძიმე შრომას მოითხოვს. განსაკუთრებით ძნელია მამაკაცის საბეჭურის მოქარგვა, ამიტომ სადა შემკულობას ამჯობინებდნენ. მოქარგვა ძვირადღაც ფასობდა. ქალის ხევსურულ ტალავარში მთავარი სადიაცო - კაბა იყო, რომელსაც მუქი ტოლისაგან კერავდნენ. სადიაცოს ამოღებული გულისპირი ჰქონდა, ფარაგი კი, ფერადი ძაფით იყო მოქარგული და მძივ-ღილებით შემკული. სადიაცოზე ქალებს ქოქლო ეცვათ, რომელიც გამოჭრილობით ქათიბს წააგავდა. ქოქლო წელიანი და მოკლე იყო.

სატალავრო ტოლი სქელი იყო და მას ხელით კერავდნენ. ქალის ტალავარი ერთი თვე იკერებოდა და ათი მეტი ტოლი სჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, თითოეულს რამდენიმე ტალავარი ჰქონდა. ის ორ წელიწადს ძლებდა; თითქმის ყოველ წელს ახალს იკერავდნენ.

მამაკაცის ხევსურული ტალავარი, თავისი გამოჭრილობით, ქართულ პერანგს და ჩოხას ჰგავდა, ხოლო ქალის - თუმურ ტალავარს. ორივე მათგანი ქალის ქართული კოსტუმის ძველ ფორმას წარმოადგენს.

ლიტ.: მასალები..., 1983:113; ლ. ბოჭორიშვილი, კახური ჩაცმა-დახურვა, ანალები, I, 1947:95-96; გ. ჩიტაია, შრომები, ტ. IV, 2001:183; ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1984: 137, 142, 153.

ტალავართ დასხმა - გარდაცვლილი ადამიანის სამოსისა და იარაღის, როგორც მიცვალებულის ნიშნის, გაშლა და მათზე ტირილი. მ. ბალიაურისა და ნ.

მაკალათიას ცნობით, არხოტის თემში მამაკაცის ტალავართაში შედიოდა: პერანგი, ქუდი, წვივსაკრავები, თათები (წინდები), საფუხრები (ხელთათმანები), სათამბაქოე და საარაყე (შემკული მინის ბოთლი), იარაღი (თოფი, ხმალი, ხანჯალი, ფარი და სხვ.). ტალავართაში შარვლის ჩადება კი წესი არ იყო. ქალის ტალავართაში დებდნენ: სათაურას, მანდილს, ქოქლოს, სადიაცოს, ფაფანაგს, ქათიბს, სადიაცო სარტყელს, თათ-პაჭიჭს, საქალამნე თათებს, ყელსადებებს, ზალტეებს (სამაჯურებს), ბეჭდებს და სხვ. ტალავართას დალოცავდნენ და ფარდაგზე ან ხალიჩაზე ისე დააწყობდნენ, როგორც ცოცხალს ეცვა. ტალავართას პირველად დასაფლავების მეორე დღეს შლიდნენ და ტიროდნენ. მისი პერიოდული გამოფენა და ტირილი რიგების დღეებში, აგრეთვე სამძიმარზე გვიან მოსული მოტირლებისთვისაც იცოდნენ.

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ. მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940, გვ. 15-16.

ტალმა//ტოლომა - კაბის მოსაცმელი. საგარეოდ კაბის ზევიდან ტალმას იხურავდნენ. ის უსახელო, უსარჩულო, ნაბადივით წამოსასხამი იყო. ტალმის ქსოვილი მაუდი, ან მირინოზი ყოფილა. საზაფხულო, აბრეშუმეული ტალმა უსარჩულო სცოდნიათ. ტალმა ნაბადისებურად იყო მოყვანილი: ნაბადივით გრძელი, კოჭებამდე ჩამოსული, კალთებგანიერი წინ მთლიანად იყო ჩახსნილი. ის ხშირად დალიანდაგებული სარჩულით იყო გაწყობილი, ირგვლივ აუცილებლად ქობა უნდა ჰქონოდა შემოკერებული. ზამთარში, როგორც მანდილოსნებს, ასევე, მამაკაცებს ქათიბი ეცვათ; ტყავი და ტოლომა ბეწვიანი,

ოლონდ ქალების კაბა და ტყავი მიწამდე სიგრძის იყო. ასე ყოფილა ქართლ-კახეთში, ხოლო იმერლები ჩაცმით მცირედ განსხვავდებოდნენ (ვახუშტი).

ლიტ.: მასალები..., 1983:15; ლ. ბოჭორიშვილი, კახური ჩაცმა-დახურვა, ანალები, I, 1947:206; ვ. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა..., ქ. ცხ. IV, 1974:46.

ტარადი - ქვის სათლელი რკინის იარაღი. აქვს სათლელისთვის დამახასიათებელი მასიური, მძიმე შუატანი. უცბად მომთავრებული ბასრი პირი. არსებობს რამდენიმე სახეობა. ტარადი ძირითადად გამოიყენება წმინდად თლისათვის.

ლიტ.: ე. ნადირაძე. ხალხური ქვითხურობა იმერეთში. თბ., 2001.

ტარკომა (ხევს.) || **ტარკომაყი** (თუშ.) - გრძელტარიანი კოში (იხ.); თუშეთში - ტარიანი სასმისი ლუდისათვის, სამიდან ხუთ ლიტრამდე ჩადის; გამოიყენებოდა საწდიდან ლუდის ამოსაღები ჩამჩაც; სასმისიც და ჩამჩაც კოშსა და ტარკოშს შორის შუალედური ფორმისა იყო.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005; თ. უთურგაიძე. თუშური კილო. თბ., 1960; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ტარმოკლია (ხევს.) - მოკლეტარიანი რვლის კოში (იხ.).

ლიტ.: ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

ტარ-ჭაბუკვი/ტარ-ბედნიერი/ტარბეზი/ტერბეზი (სვ.) - ნაყოფიერების, ოჯახის კეთილდღეობისა და საქონლის

მფარველი ღვთაება სვანური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით. პოლიფუნქციურ ტარ-ჭაბუკთან დაკავშირებულ რიტუალებში (იხ. „ჭაბგობ/ჭაბუკობა“) ამკარად იკვეთება ღვთაების ვეგეტატიური ბუნების ნიშნები. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ჭაბუკი ღვთაება მხოლოდ საგაზაფხულო დღეობაზე და მარგვლისა და ჰურეულის დაბინავების წეს-ჩუღლებში იხსენიება, რაც მის დროებით გაუჩინარებას უნდა უკავშირდებოდეს. ის ფაქტი, რომ ზემო სვანეთში ტარ-ჭაბუკის დღეობაზე ცალკე მკვდრის სუფრაც იმლებოდა და ტარბეზის სახელობის ლენჯერულ ქორა ლემზირში (სახლის სალოცავში) ქალები - „ქვევით ვედრებას“ (ჩუბავ ლიმზირ), ხოლო მამაკაცები „ზევით ვედრებას“ ასრულებდნენ, ღვთაებისა და მიცვალებულის კულტების კავშირზე არ უნდა მიუთითებდეს. ტარ-ჭაბუკი/ტარბეზი იმდენად უკავშირდება მიწასა და მიწისქვეშეთს, რამდენადაც მიწისქვეშეთობა დაბადების, აღორძინების საწყისია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჭაბუკის კულტი შესაძლოა, დაკავშირებული იყოს როგორც მიწიერ (კერიის), ისე ზეციურ ცეცხლთან და მზესთან, რაზეც ქართული ზღაპრების პერსონაჟის სახელი - მზე-ჭაბუკი - უნდა მიუთითებდეს.

სვანური ტარ-ჭაბუკის ზოომორფულ იპოსტასებს თეთრი ცხვარი და თეთრი ხბო წარმოადგენს. ზოგიერთი მკვლევარი, ირიბი მონაცემების საფუძველზე, დასაშვებად მიიჩნევს, ჭაბუკის ერთ-ერთ იპოსტასად განიხილოს ხარიც, როგორც გამანაყოფიერებელი ძალის მქონე ცხოველი (შდრ. ტბის ხარი). აქედან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესო თეონიმის პირველი სეგმენტი - „ტარ“ - დაკავშირებულია ამინდის ღმერთის ხათურ სახელთან Taru, რომელსაც, ფ. ჰაასის მიხედვით, ბერძნული Taurus-ის იდენტური

მნიშვნელობა („ხარი“) უნდა ჰქონდეს. უფრო ადრე ვ. ბარდაველიძე, „ტარ“ და ტაროს“ ტერმინების მატერიალური სიანხლოვის საფუძველზე აღნიშნავდა, რომ ტარ-ჭაბუკი დარ-ავდრის ღვთაებათა რიგს უნდა განეკუთვნებოდეს. მიგვაჩინია, რომ ეს უკანასკნელი თვალსაზრისი, ისევე როგორც „ხარის“ მნიშვნელობით სვანური „ტარ“ სიტყვის განხილვა, საეჭვოდ გამოიყურება. ლიტ.: ნ. აბაკელია. ჭაბუკი ღვთაების კულტი დასავლეთ საქართველოში („ტარ-ჭაბუკი“) // ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები. III. თბ., 1988, გვ. 129-139; მ. მაკალათია. წყლის კულტთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესწავლისათვის // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XVI-XVII. თბ., 1972, გვ. 299-307.

ტაყა (ინგილ.) - კასრ-ბელელი, მარცვლეულის შესანახი. სტანდარტული ზომის, ფორმით ცილინდრული იყო, ისე კონუსური ფორმისა, სიმაღლე 2,5 მ. ცილინდრულის დიამეტრი 1,2 მ. იგი ვერხვის ან ცაცხვის მთლიანი ხისაგან გამოგულვის წესით მზადდებოდა. ტაყაში მარცვლეულს ზევიდან ყრიდნენ, ამოდება კი ძირიდან (ძირში დატანებული ხვრელიდან) ხდებოდა, რომელიც საცობით იყო დახშული. ტაყას აივანზე ან საგანგებოდ აგებულ თალარში, ზოგჯერ აყარში ათავსებდნენ. გავრცელებული იყო სხვაგვარი ტაყები, რომლებიც ეზოში ედგათ, როგორც დამოუკიდებელი სამეურნეო დანიშნულების სათავსოები. კასრ-ბელელები იმერეთში, მთიულეთ-გუდამაყარში და სხვაგანაც გვხვდება. მცირე ზომის ხის ტაყას, 4 ფუთის ტევადობისას, მარცვლეულის საწყობად იყენებდნენ.

ლიტ.: მ. ბოკუჩავა, ინგილოთა ყოფისა და კულტ... 2017:47-49.

ტაჯგანაგი - სქელი მათრახი, რომლითაც შუა საუკუნეების საქართველოში დამნაშავეს სჯიდნენ. ამ ტიპისაა ე.წ. „დაზალტული მათრახი“, რომელსაც შიგნით ფოლადის მავთული ჰქონდა დატანებული და „ტირილის მათრახადაც“ იყო წოდებული.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ტენილი ყველი - მესხური ყველის სახეობა. ყველის ფენებს წვრილ ზოლებად აცალკევებდნენ და ნაღებში დებდნენ. ტენილი ყველი ძალზე ნოყიერი იყო და როგორც წესი, ქოთანში ინახებოდა. ქოთანს მიწაში ფლავდნენ, სადაც ყველი საბოლოოდ ვარგდებოდა.

ლიტ.: ქართული კულინარიის ატლასი, ტ. 8, 2007:151.

ტერასა, ტერასული მიწათმოქმედება - ფერდობზე ტერასების მოწყობა უძველესი სამეურნეო წესია, რომელიც მიზნად ისახავს ახალი სავარგულების ათვისებას, მთაში ეროზიისაგან ნიადაგების დაცვას. ხელოვნურად დაბაქნებული მიწის ნაკვეთები მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის იყო განკუთვნილი. მათი აღმნიშვნელი სახელწოდებებია: ოროკი, ტახტი, ბაქანი, საქვი, დარიჯი, კალონი და სხვა.

ტერასები ერთმანეთისაგან ტიპოლოგიურად განსხვავდებიან. საქართველოში კედლიანი და უკედლო ტერასები გვხვდება შემდეგი ქვესახეობებით: კედლიანი ტერასები - ქვისკედლიანი, ხისკედლიანი; უკედლო ტერასები - მევენახეობა-მებაღეობისათვის, მემინდვრეობისათვის გამოყენებული (ლარები).

ქვისკედლიანი ტერასები საქართველოს რამდენიმე კუთხეშია ცნობილი (მესხეთი, აჭარა, ქართლი, მთიულე-

თ-გუდამაყარი, სამეგრელო, სვანეთი). ხისკედლიანი ტერასები განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება საქართველოში, რელიეფურად დაცულია აჭარასა და გურიაში. უკედლო ტერასები ქართლის რეგიონში გვხვდება.

საქართველოს გარდამავალი ზონის სარტყელში საყოველთაოდ გავრცელებული ჩანს ნიადაგების ათვისების თავისებური ფორმა, რომელიც ტერასულ პრინციპს ემყარება და შესაძლებელია მისი ცალკე სახეობად გამოყოფა. ლარები ანუ ნახნავი ტერასები ხვნის პროცესში გავაკებულ და ვიწრო, გრძელ მონაკვეთებს ქმნის. ლარი ამავედროულად, ცხვრის ნაწლავებისაგან დამზადებული გრძელი სიმია, რომელიც ჩონგურს უკეთდება. სამეურნეო ტერმინ „ლარის“ სახელწოდება სწორედ მისი სიწვრილის, სისწორისა და სიგრძის გაგებასთან არის დაკავშირებული. ლარი ფერდობზე, მთის მაღალ კედლებზე გამოხნული მიწის ნაკვეთია, რომელიც პერპენდიკულარულადაა შეჭრილი ნიადაგში და სახნავ-სათეს ფართობს ქმნის. ის გავრცელებულია მესხეთში, ერწოში, კახეთში, თუშეთში, სვანეთში. ტერასული მეურნეობა მევენახეობა-მეღვინეობის, მებაღეობისა და მემინდვრეობის განვითარებულ ღონეს წარმოაჩენს, როგორც ინტენსიური მეურნეობის ერთ-ერთი ეფექტური ღონისძიება. ამავე დროს, თუ აღმოსავლეთ საქართველოში ტერასული მეურნეობა ეროზიის საწინააღმდეგო საშუალებათა შორის ნიადაგის წყლით მომარაგებასა და მის გეგმაზომიერ გამოყენებას ისახავს მიზნად. დასავლეთ საქართველოში, მაღალი ტენიანობის მქონე სარტყელში, იმავე საშუალებით მოჭარბებული წყლისა და წყლით შექმნილი დარეცხვის საწინააღმდეგო ფუნქციას ითავსებს.

ლიტ.: ლ. ბერიაშვილი, ტერასული მიწათმოქმედება საქა-

რთველოში, წიგნ. ქართველები, 2018:249-255.

ტერფმანი - ფეხსამოსი, რომელიც ფეხის კოჭს არ სცილდება (წულა, მაშია, ჩუსტი, ქალამანი, ჩაფულა, სანდალი, ტუფლი).

ლიტ.: ი. ციციშვილი, მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიიდან, 1954:62.

ტივი - საბას განმარტებით, ტივი არის „ძელნი შეწყობილნი წყალთა სავალად“ ე.ი. ერთად შეკრულ-შეკოჭილი დამორილი ძელები, რომლებსაც მდინარეზე აცურებდნენ, ჩაჰქონდათ სასურველ ადგილას, იქ შლიდნენ და ყიდდნენ, როგორც ხის მასალას. არსებობდა სატრანსპორტო და სხვადასხვა სამეურნეო ფუნქციისთვის გამოსაყენებელი ტივები. საქართველოში მეტივეობას მისდევდნენ მდინარეების - მტკვრის, ლიახვის, ცხენისწყლის, რიონის, ხობებში. რა თქმა უნდა, გამონაკლისები იყო სხვაგანაც. ეთნოგრაფიულ ყოფას უხვად შემორჩა ტივის კულტურასთან დაკავშირებული ემპირიული მასალები: ტივის ხის ჯიშების, მათი შერჩევა-მოჭრის, შეკვრა-შეკოჭვის, ორთაყვირის დასმის, დაცურებისა და „წყლის კაცების“, ანუ ეტივეობის საქმესთან დაკავშირებით. მეტივეობა ძირითადად დაწინაურებული იყო ხე-ტყით მდიდარ რეგიონებში. მეტივეობის კლასიკურ მხარეს წარმოადგენდა ბორჯომის ხეობა, სადაც უხვად მოიპოვებოდა მშენებლობისათვის საჭირო წიწვოვანი ხეები. აქ ტყის კაცები გვარებისა და ნათესაობის მიხედვით გაერთიანებულნი იყვნენ მოდგამში (არტელში) და გაყიდულ მორებში აღებული თანხას ინაწილებდნენ მათი შრომისა და გამოცდილების გათვალისწინებით. მორების დასამზადებლად გამოი-

ყენებდნენ სისო ხერხსა და ე.წ. მეტიურა (იხ.) ცულს, რომლის ფორმა თითქმის იმეორებს ბრინჯაოს კოლხური ცულების ფორმას. ხის მოჭრა ხდებოდა მთებში. მორებს აცურებდნენ შუროში//სვანში (ხალახინი, იმერ.). მოაგროვებდნენ მდინარის მდოვრე ადგილას, გაუკეთებდნენ ნაცხვირს, შიგნით ამოუყრიდნენ მაგარ წნელს, გაკოჭავდნენ ერთმანეთში, მიამაგრებდნენ ორთაყვირს, რომელიც მიმართულებას აძლევდა ტივის და დააცურებდნენ წყალზე. თუ მტკვარი მოდიდებული მოდიოდა, ბორჯომელი მეტივეები ერთ დღეში ჩამოდიოდნენ თბილისში, ხოლო ჩვეულებრივ 2-3 დღეს უნდებოდნენ. შუა საუკუნეების არაერთ საბუთში ტივი მოხსენიებულია, როგორც სატრანსპორტო და სურსათის გადატანის საშუალება. XI ს. ბაგრატ IV-ის თბილისის ამირა გაექცა ტივის მეშვეობით. XIX ს. მდინარე მტკვარზე ყოველწლიურად საშუალოდ 1500-დან 1800-მდე ტივის აცურებდნენ. თბილისში ორი სატივე, ანუ „სატიო“ იყო, სადაც ძირითადად ხდებოდა მორების გაყიდვა.

ლიტ.: გ. გასიტაშვილი, სატივეზე ტივი შევკარ. თბ., 2004; ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ტიკი - ტყავისაგან დამზადებული სითხის ჩასასხმელი ჭურჭელი. განსაკუთრებით გამოიყენებოდა ღვინის გადასატანად. სატიკედ გამოიყენებდნენ ხბოს ან თხის ტყავს.

ტობავარჩხილი (მეგრ. „ვერცხლის ტბა“) - სამეგრელოს მთიანეთში ასე იწოდება რამდენიმე „წმინდა ტბა“, რომელშიც, ხალხური წარმოდგენით, მხოლოდ წმ. გიორგი (ჯგერგე||ჯერგე||ჯაგე) და მიქელგაბრიელი (მიქამგარია) ბანა-

ობდა. მოკვდავთაგან ტობავარჩხილის წაბილწვა ყოვლად დაუშვებლად მიიჩნეოდა: თუ მწყემსი და შემთხვევითი მგზავრი მას მიუახლოვდებოდა, ან ამ ტბაში შევიდოდა, ან იქ საქონელს მიუშვებდა, ქარიშხალი ატყდებოდა და დამნაშავე სასტიკად დაისჯებოდა. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ პატიოსან მწყემსს ტბასთან დაბანაკება იმ შემთხვევაში შეეძლო, თუკი წმ. გიორგის პატიებას თხოვდა და მსხვერპლს შესწირავდა. ასეთ შემთხვევაში ტბაში მობინადრე ოქროსთმიანი ვერძი მის საქონელს გაანაყოფიერებდა.

ჯვარში, მდ. მაგანასა და წითელ მთას (ჭითა გვალას) შორის მდებარე „წმინდა ტბაზე“ ა. ჭანტურიას ჯვარელი კოწია ქუხილავასგან შემდეგი გადმოცემა ჩაუწერია: „ერთხელ მწყემსი, რომელიც ბევრ საქონელს მოერეკებოდა, ტობავარჩხილთან ნისლმა დაფარა. სხვა გზა არ ჰქონდა - იქ უნდა გაჩერებულიყო, თუ საქონლის დაკარგვა არ უნდოდა. მაგრამ არანაკლებ აწუხებდა იქ გაჩერება, რადგან ეშინოდა ტობავარჩხილის და დიდი რიდი ჰქონდა; თქვა: ბედს ჩემთვის ეს მოუტანია, ჩემი ბრალი არაა, რომ აქედან ვერ დავიძვრები, დავრჩები, თუ მაპატია ღმერთმა, მის სახელს ვენაცვალე, თორემ მაინც დავიღუპებიო, და გადაწყვიტა გაჩერება და საქონლის დაბინავება; ერთი ვერძი გამოიყვანა, დაატრიალა, ღმერთს შესწირა და დაკლა, ილოცა და ღმერთს სთხოვა: „თუ მაპატიებ და მომიტევებ ამადამ აქ დარჩენას, რასაც დამიწესებენ მცოდნე ადამიანები, იმას გავაკეთებ“. იმ ღამეს იქ იყო. შუადამე რომ შეიქმნა, ამოვიდა ოქროსთმიანი ვერძი და ყველა ცხვარი დაამაკა. როცა დოლის დრო მოვიდა, ყველა ცხვარმა ოქროსთმიანი ბატკანი მოიგო. ყველას გაუკვირდა; როცა მწყემსს ჰკითხეს, თქვა მიზეზი: ალბათ, ამა და ამ ღამეს ტობა-

ვარჩხილთან გაჩერება იქნებოდაო. ერთ არამ მწყემსს შეშურდა ეს ამბავი და ის სადამოქმამს წინასწარი განზრახვით ტობავარჩხილთან გაჩერდა, მუხლი მოიდრიკა და შეევედრა უსულგულოდ - თუ მისი ცხვრები ოქროსთმიან ბატკნებს მოიგებდნენ, ერთ ცხვარს შესწირავდა. შუალამე რომ გახდა, ამოვიდა ოქროსთმიანი ვერძი, გაუძღვა მთელ დაბანაკებულ საქონელს და წყალში შეიყვანა. ერთი ცალი რომ არ დარჩენილა ისე, ყველა იქ დაიკარგა“.

ლიტ.: ა. ჭანტურია. ეთნოგრაფიული ჩანაწერები. მეგრული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებანი // თსუ შრომები. ტ. 227. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ., 1982, გვ. 230; ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 17, გვ. 19-20 (ხელნაწერი ინახება ავტორთან).

ტომარა ხაკის - თხის ბეწვისგან დაშლადებული, რომელშიც ალბობენ ლუდის ფორს, ალაოს და რომელშიც წურავენ სისწვენს. მომზადებული სისწვენი გაიწურება ტომრებში, რომლებიც ჩამოკიდებულია სალუდეს თავხეებზე, ხოლო გაფილტრული სისწვენი ჩაედინება ლათბაში.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ქართული ლუდი, ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. III, 2007.

ტოპკირი//ტუპკირი - დაწნული ლასტი, რომელიც ყურძნის წურვისას იღებოდა საწნახელში. ყურძნის დაწურვისას მეურნე ცდილობდა რაც შეიძლება წმინდა წვენი მიედო უჩენჩოდ და უწიპწოდ. ამისათვის საწნახელში მაგარი წნელისაგან მოწნულ ლასტს დებდნენ, ზედ ჩადუნას//ჩადის ფოთლებს აფარებდნენ

და მერე ყრიდნენ ყურძნს. ყურძნის დაჭყლეტის დროს, წვენი ამ ჩადუნიანი ლასტის წყალობით იფილტრებოდა.

ლიტ.: ა. ლეკიაშვილი, მეღვინეობა კახეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XI, 1960:68; ლ. ფრუიძე, მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში (რაჭა), 1974:209.

ტოროკუჩხი უჩა - მტრედისფეხა, შავი ყურძნის ჯიში; წვრილმარცვლიანი, უხვწვნიანი. სამეგრელოში, გურიაში გვხვდება.

ტურაობა - ტურის სახის მქონე ავსულთა გამოჩენის დრო (15 მაისი) იმერული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით; ავსულები ვნებენ, ან იტაცებენ ბავშვებს. ამიტომ დედა ავვანთან იჯდა და ჩვილს, რომელსაც ყურზე სანთელი ჰქონდა მიწებებული, დამეს უთევდა. მოზრდილი ბავშვები ცეცხლს დაანთებდნენ და ზედ გადაახტებოდნენ, თან გაიძახოდნენ: „ჯვარი აქა, ჯვარი იქა, შენი სვი და შენი ჭამე, ჩემსას ჯვარი დამიწერე“. უფროსები ხელში ქვას დაიკავებდნენ, გააკეთებდნენ მწარე ბლის ქერქის ჯვარს, რომელსაც ჭიშკარში ჩაარჭობდნენ, სახლს ირგვლივ შემოუვლიდნენ და „ტურებს“ ზემონახსენები ტექსტით მიმართავდნენ.

ლიტ.: ნ. დოდობერიძე. ხალხური აღზრდის წესები და საბავშვო გართობა-თამაშობანი იმერეთში // იმერეთი. მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბ., 1978, გვ. 181-182.

ტეტამდარი-ი || ტუტადია-ი - მიცვალებულის დასაფლავების წინა დღეს გამართული მცირე ქელეხი ბალსქვემო სვანეთში, ბალსზემოთ კი ტეტაძინარს

დამარხვის დღეს მართავდნენ იმ შემთხვევაში თუ მთავარი ქელეხის - ლაშდღვალის (ტერმინის ბალსქვემოური ექვივალენცია ლაგვანა) - მოსაწყობად ოჯახი მზად არ იყო. ლაშდღვალისა და ტეტანდინს შორის განსხვავება ის იყო, რომ ტეტანდინის გამართვაში მიცვალებულის ოჯახს მთელი თემი ეხმარებოდა. საამისოდ, ყოველი მეთემის ოჯახს 6 ან 9 ცალი პური და ცერცვის ღერძილი მოჰქონდა, მაშინ, როდესაც ლაშდღვალ ძირითადად ქირისუფალის ხარჯით იმართებოდა, თუმცა ნათესავების შეწევნა იყო. ლაშდღვალ-ისათვის გაცილებით დიდი პურები ცხვებოდა, ვიდრე ტეტანდინსათვის. ლაშდღვალის პურები ქელეხში მოსულ მოტირლებს შინ მიჰქონდათ (ოჯახის ერთ სულზე ერთი პური), ტეტანდინსა კი - არა.

ლიტ.: მ. ჩართოლანი. ქართული ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1961, გვ. 170.

ტყავკაბა - მამაკაცის საზამთრო ტანსამოსი, რომელიც ცხვრის ტყავისაგან იკერებოდა. ნატყავები გარეთა მხარეზე იყო, ბეწვი - შიგნით. ამას ტყავს უწოდებდნენ, ხოლო თუ ტყავზე ფართალს გადააკერებდნენ - ტყავკაბას. მას უკან ცოტა ნაოჭი და დიდი ჩიბუხები ჰქონდა. ვახუშტი ბატონიშვილის დროს (XVIII ს.) ქართლსა და კახეთში ერთნაირად იცვამდნენ. „მათ შორის ტყავ-კაბა კაბისაგან უმოკლესი და ტყავი ზამთარს დიდი“ (ვახუშტი ბატონიშვილი), ხოლო „კაბა ლარისა, სკლათისა ანუ ჩოხისა მუხლთქვემომდე...“ (იხ. ჩოხა).

ტყავი, ტყავკაბით, „მისი ყოვლის რიგის ტანისამოსით“ უმაღლესი წრის ასულთა მზითვში გაყოლილ გამდელ-მხლებელთა თვალშისაცემი შესამოსელია,

რომელიც XVIII ს-ის მზითვის წიგნებში ხშირად გვხვდება. სათბუნებელი ტანსაცმლიდან, თუშეთში ორი ტიპის ტყავკაბა სცოდნიათ: ერთი ცრუსახელოებიანი - სახელოების სივიწროვის გამო, ხელის გაყოფა არ ხერხდებოდა და ამიტომ მხოლოდ მოსასხამის დანიშნულება ჰქონდა და მეორეს, ე. წ. ცრუ სახელო ილლიდან იდაყვამდე ჩაჭრილი ჰქონდა ხელის გასაყოფად, რომელსაც წელთან დაკერებულ ღილებზე დაამაგრებდა. მსგავსი ტყავკაბა დაღესტნის ხალხთა ყოფაში გვხვდება.

ზამთარში თუშეთში, ქათიბის ნაცვლად, ტყავკაბას იცვამდნენ, რომელიც ცხვრის ბეწვიანბრუნებული ტყავისაგან იკერებოდა. მას სახელოსა და კალთა-ბოლოში ბეწვი ჰქონდა შემოვლებული. ტყავკაბა წელში იყო გამოყვანილი კალთები დანაოჭებული ჰქონდა. ის წელიდან ილლიამდე ფერადი ტყავის ნაჭრებით და ფერადი ძაფით იყო მორთული; უკან ჩაქები ჰქონდა, რომელიც მრავალ ნაოჭს აკეთებდა.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის..., 1962:51-54; მასალები..., 1983:229; ვ. ბატონიშვილი, ადწერა სამეფოსა..., ქ. ცხ. IV, 1974:45; ც. ბუზარაშვილი, გ. ჯალაბაძე, ქართული ხალხური ტანსაცმელი, 1988:7; ს. მაკალათია, თუშეთი, 1933:146; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ტყლაპი - დამწიფებულ ტყემალს, ქლიავს, შინდს, ჭანჭურს დაკრეფენ, გარეცხავენ, თონეში ჩადგამენ, ან ცეცხლზე შედგამენ, რომ სატყლაპოდ ჩაითუთქოს. შემდგომ ამოიღებენ და ცხრილზე გახეხავენ, კურკასა და ჩენჩოს (ჩენჩს) გადაყრიან და წუას (ტყემლის გულს) სუფთა ფიცარზე დაასხამენ. ასე გააჩერებენ

სამი დღე და მერე გაფენენ. მსხლისგან და ვაშლისგან ტყლაპს ასეთივე წესით აკეთებენ. ვაშლის წუა ტკბილია, მას მარაფს უწოდებენ. ტყემლის, ალუჩის ღოღნოშოს ტყლაპი სიმჟავის შემცველია და საკაზმად იყენებენ ლობიოში და ხორცეულში. ტკბილი ტყლაპები (კომშის, თუთის, ჭერმის, ლედვის და სხვა) უფრო ნუგბარს განეკუთვნება. ჯავახეთში თითქმის გამშრალ ტყლაპზე იცოდნენ თავისი წვენის წასმა ოთხჯერ, როგორც ერთ, ისე მეორე გვერდზე. მერე გაახმო-

დნენ, გამოახვევდნენ, დაკეცავდნენ და შეინახავდნენ. ქვემო იმერეთშიც სცოდნიათ ტყლაპის დაწვენვა. სამჯერ დაწვენავდნენ, სამჯერ გაახმობდნენ და მერე შეინახავდნენ. ტყლაპის წვენს აგრეთვე დანაყილი ქინძით, ნივრით, ომბალოთი შეანელებდნენ და დაწვენვის დროს, შენელებულ წვენში ამოავლებდნენ. ასეთი ტყლაპი არასოდეს გახმება.

ლიტ.: მასალები..., 1986:119, 125, 132, 169, 173.



უბის ფარი (ხევს.) - ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია უბის ფარი, რომელიც ჩვეულებრივ ფართან შედარებით მცირე ზომისაა. უბის ფარიც მრგვალი მოყვანილობისაა, (დმ.დაახ. - 20 სმ.) უბის ფარის მასალად მხოლოდ ლითონია გამოყენებული. ფარის ზედაპირზე, შუაგულში დაკრულია ოთხკუთხედიანი ფორმის რკინა - „გუმბათის ხატი“, რომლის კუთხეები წაწვეტებულია ოთხი „შოლტით“. ამ ოთხ შოლტს ზევიდან წრიულად შემოვლებული აქვს ერთი რკალი - „გირგოლი“, რომელიც დამაგრებულია სამსჭვალეებით. უბის ფარი ზურგიდან ლითონგადაკრულია. მას ჩოხის ქვეშ ატარებდნენ გულ-მკერდის დაცვის მიზნით, მაგრამ საბრძოლველად იყენებდნენ: იმ შემთხვევაში, როდესაც მებრძოლს არ გააჩნდა სხვა საბრძოლო იარაღი და მოუხდებოდა ვინმესთან „შუღლი“, ამოადრობდა უბეში საბღუჯით ჩოხისკენ მოქცეულ ფარს და მოწინააღმდეგეს „ჩააფარებდა“, შესაძლოა აქედან მომდინარეობდეს ტერმინი „ჩაფარება“.

ლიტ.: კ.ჩოლოყაშვილი, ქართული საბრძოლო იარაღი, ფარი, სსმმ. ტ.XVIII 1954; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

უგოგრო ჯილდა - მიწის უბორბლებო სახვნელი, კავი. მასში მხოლოდ ხარებს აბამდნენ, ბორბლიანი ჯილდა კი, მხოლოდ ცხენის შესაბამელად იყო განკუთვნილი.

იმერული სახნავი კავი, სადაც, ჩვეულებრივ, ორი ხარი იბმოდა, გურიაში, სამეგრელოში, აჭარასა და აფხაზეთში გავრცელებული სახნავი კავის სახესხვაობას წარმოადგენს, რომელსაც პირობითად, კოლხურს უწოდებენ. იმერული კავის გვერდით, მოქმედებაში იყო ცხენის სახვნელი და დიდი გუთანა.

ლიტ.: ქართველი ხალხის ეთნოლოგ. ლექსიკონი, 2018:421.

უიღბლო აკვანი - იხ. „ონწელიში ჭანდა“.

ულამი - შრომითი დახმარება, იგივე ნადი. მკაში, თიბვაში, სახლის მშენებლობაში, შეშის მოტანაში. დამხმარეებს სადილ-სამხარით უნდა გამასპინძლებოდნენ. წინასწარ უნდა შეეტყობინებინათ, გუთნებით ხარ-კამეჩი მოურეკავთ, მუშა საქონლისთვისაც საკვები უნდა დაემზადებინათ. სიხარულით მუშაობდნენ ერთობლივად, მღეროდნენ ხოლმე - ყანას უნდა მომკაო, ვენახსა სათიბელსაო,

სიხარულით მივდიოდით ერთმანეთთან ჩვენაო.

ლიტ.: ჯ. რუხაძე, ქართლი, II, 2011:221-234.

უნაგირი - საჯდომი, ცხენის საკაზმი. აქვს წინა და უკანა ტახტა და გვერდის ფიცარი. გვერდის ფიცრებსაც აქვს წინა ფიტოლი და უკანა ლიტოლი. საუზანგე ორორი ხვრელიც გვერდის ფიცრების გვერდებზეა, რომეზედაც რკინის აბზინდით ჩამობმულია ბრტყელი თასმა, ბოლოში რკინისავე უზანგით. მასვე მადლა აქვს ხვრელები საძუე თასმის გამოსაბმელად, ხოლო ფიტოლებზეც ჩამობმულია თასმის საწყვეტები.

ლიტ.: მასალები საქართველოს შინა მრეწველობის და ხელოსნობის ისტორ., ტ. IV, ნაწ. I, 1986:103.

უნაწილო - იხ. „საწულე“, „წილ-კერძი“, „წილ-ნაწილი“.

ურწანი - ბერწი ფური, რომელსაც ხბო არასდროს მოუგია.

უჟმური - დაავადება (უპირატესად ბავშვთა) და ამ დაავადების გამომწვევი ავსული. როგორც დაავადება, „იგი ბავშვის ჭირვეულობას, უგუნებობას და, ზოგ შემთხვევაში, საყმაწვილო სენსაც გულისხმობდა. მთიელთა განმარტებით, უჟმური ავსული იყო. იგი ნესტიან ადგილებში ბინადრობდა და თუ იქ საღამოთი ბავშვი გაივიდა, აუცილებლად აჰყვებოდა“ (ნ. მინდაძე). უჟმურის შესახებ თ. სახოკია წერდა: მეგრელთა წარმოდგენით, „დედამიწაში არსებობს სიკვდილის შვილთათვის უხილავი სული გაცივებისა. გაცივების სულები უფრო ნოტიო ადგილას ბუდობენ, ჭინჭრობებში, დელეების ნაპირებზე. თუ ადამიანი, განსაკუთრე-

ბით ბავშვი, გუბეში ჩავარდა, ან თუ ზის სველ ან ნესტიან მიწაზე, ადგომისას თან აჰყვება სინესტე, რომელიც ეკუთვნოდა ჟამს, რომელიც ჩვენ გვსჯის გაცივებით, უმეტეს შემთხვევაში ციების ხასიათით. თვით დაავადების პროცესს მეგრულად ჰქვიან ჟამუა, ხოლო ის, ვისაც ჟამი სჯის, ჟამილი“.

ლიტ.: ნ. მინდაძე. ქართული ხალხური მედიცინა. თბ., 1981. გვ. 76; თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1956. გვ. 14-15.

ურჯულოსად სახელის დადება - მოკლული ქისტის სახელობაზე ტაბლის დადგმის ხევსურული წესი. საამისოდ გამოაცხობდნენ სახელსადებებს, სატაბლო პურებს და გულიანებს, ერბონარევ რძეს, რომლებსაც, ქსოვილის ნაჭერთან და წყალთან ერთად, დააწყობდნენ ტაბლაზე („ურჯულოს“ სანთელს არ აუნთებდნენ), რომელსაც კარების უკან დადგამდნენ, და მიკლულს შემდეგი სახის შენდობას ეტყობდნენ: „სადაც შენ ხარ, თუ ჩვენგან რას იხედავა-დ ჩვენგან რა მაგიდოდას საგძალ იქნებისა თუ პირის გასალბობი ზისცვარი, წყრულის საპირე გინდოდას თუ შესახვევი, ეს შენამც გეჭმარების, რა-ადაც გინდ იმაადაც გამაიყენებ. ჩვენებს მკვდრებსაც ნურაით დააღონება-დ შააწუხებ, შაგინდნას, მაგახმარას ღმერთმა“. ტაბლას ხელს სამჯერ უკუდმა შემოუქნევდნენ. თუ სიზმარში იხილახდნენ მიცვალებულს, რომელიც მათ ეტყოდა: „ესე მაწუხებს სახვიელის, ფეხსაცმლების და სამოსის თხოვნითო“ და მიუთითებდა „ურჯულოზე“, რომელიც მას უკან მოჰყვებოდა, „მამკლავის“ ოჯახი მოკლულისათვის სახელდებულ სახვიელს, ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს ღარიბებს დაურიგებდა.

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ. მაკალათია. მიცვალებულის კულტი

არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. თბ., 1940, გვ. 54.

უსახელოური - საუკეთესო საწარმოო ვაზის ჯიში ლეჩხუმში. იგი ცაგერის მუნიციპალიტეტის ზუბი - ოყურეშის მიკროუბანშია გავრცელებული კერძოდ, მდინარე ცხენისწყლის ხეობაში მდებარე ხუთი სოფელით იფარგლება: ოყურეში, ოფიტარა, ზუბი, ისუნდარი და მახურა. ამ სოფლების გარდა, ცალკე ნარგაობის სახით თითქმის არსად არ გვხვდება მაღალხარისხოვანი ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინის მომცემი ვაზის ჯიში უსახელოური. საერთოდ, საქართველო აბორიგენული ჯიშების ერთ-ერთი თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ბევრი მათგანი ენდემური ბუნებისაა, ანუ მხოლოდ გარკვეული ადგილისათვის, რეგიონისათვის არის დამახასიათებელი და სწორედ ამ მიკრორაიონში ამჟღავნებს იგი თავის საუკეთესო თვისებებს. ტერმინი მომდინარეობს უსახელო ტოპონიმიდან.

ლიტ.: ა. მათიაშვილი, უნიკალური ვაზი საქართველოში, 1976:4; ა. მიროტაძე, რაჭა - ლეჩხუმის ვაზის ჯიშები, 1938:154; ქართველურ ენათა ლექსიკა, I, 1936:139.

უსურვაზი - ქართლსა და კახეთში, ველური ვაზის მნიშვნელობის გარდა, გვხვდება როგორც სუროს აღმნიშვნელი ტერმინი.

უსხი (რაჭ.) - ბერწი ძროხა

უსხუაი || **ჟუისხუ** (სვ.) - ფუსნაბუასდიას, ანუ ხომა ღერბეთის (დიდი ღმერთის) სახელზე შეწირული ხარი - მუსხჟს (ფუსნაბუასდიას სახელზე შეთქმული „წმინდა“ ძროხის) ნაშობი (დიდ ღმე-

რთს სხვა ხარებსაც სწირავდნენ). უსხები ორგვარი იყო - შეწირული და უსხად დაბადებული. სვანები დიდი ღმერთისთვის შერჩეულ საუკეთესო ხარს შეთქმის მომენტიდან უღელს არ დაადგამდნენ, არ ამუშავებდნენ, დიდი პატივით უვლიდნენ, თითქმის ყოველდღე ბანდნენ ასუფთავებდნენ, განსაკუთრებულად კვებავდნენ და ავი თვალისგან იცავდნენ. თუ ოჯახს ასეთი უსხი ჰყავდა, ახალ წელიწადს ოჯახის მეკვლეც ის იქნებოდა. მეორეგვარი უსხი „წმინდა“ ძროხისგან იბადებოდა. სვანების რწმენით, მუსხჟს დამაკება უსხებით ფუსნაბუასდიას ნებით ხდებოდა. ის ამაკებდა ძროხას მაშინ, როცა უსხების ყოლა თავად მოუნდებოდა. დაბადებისთანავე ხბო, მშობლის მსგავსად, „წმინდა“ ირაცხებოდა. უსხს არ კოდავდნენ, მის მიმართ დიდ მოკრძალებას იჩენდნენ და საგანგებო პატივს მიაგებდნენ.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 72, 73, 95; მისივე. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბ., 1953, გვ. 118-120.

უფალათ კლდე - არხოტში (ხევსურეთი) მდებარე სალოცავი - წამოხრილი კლდე, რომელსაც შალშავის (მოცვის) საკრეფად მიმავალი ბავშვები ევედრებიან: „დალოცვილნო უფალნო, ნუ დაგვიშლით დაწილულს (მოკრეფილს), ნუ დაგვიშლით (ნუ დაგვიბნევთ) შალშავისა-დ. რომ გამოვივლით, თქვენს წილს არ გაგყრიოთ“; უკან მობრუნებისას, შალშავს უფალ კლდეს წაუსვამენ და იტყვიან: „ნუ დამიშლით, უფალნო, კლოვაც კიდე მაგისომთა“. შალშავი კლდეს შავ ფერად შეღებავს. ბავშვებს სწამთ, რომ თუ „უფალათ“ შალშავს არ წაუსვამენ, მოცვი დაებნევათ.

ლიტ.: ალ. ოჩიაური. ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. ხევსურეთი (არხოტის თემი). თბ., 1988, გვ.196-197.

უღელდება / ოცობა - საგაზაფხულო ციკლის თუშური წეს-ჩვეულება, რომელიც ძველი სტილით 25 მარტს, ხარებობის დღეს ანუ ოცობას (ოცი კვირა გადიოდა გიორგობიდან, საქონლის ბაგაზე დადგომიდან) სრულდებოდა. დილით ადრე ოჯახის უფროსი უნძრახაყი (უბრად) წავიდოდა ტყეში და მოიტანდა თურსაყის (ურძნის) ტოტებს, რომელთაც მოკლედ, დაახლოებით ერთი სმ-ის სგრძის ნაჭრებად დაჭრიდა და საქონელს წითელი ბაწრით კუდზე შეაბამდა (თუშების რწმენით, ეს უმძრახაყ თურსაყი საქონელს ავითვალისა და ავსულის მავნებლობისაგან იცავდა), რკინაზე გადაატარებდა და მიწოდორში ისე გაუშვებდა (ამ დღეს ხდებოდა პირველად ხარზე უღლის დადგმა - უღელდება). საამდღისოდ აცხობდნენ სამყურიან სამ ჯმიადს (უღელდების ჯმიადი - სამკუთხა ფორმის ნაფუარი ცომის ხმიადი) და ორი ცალ მრგვალ ჯმიადს, რომელიც სამყურა ჯმიადებს ზემოდან ელაგა; აცხობდნენ აგრეთვე დისკოსებური ფორმის „ოცობის კოტორს“. ყველა პური სახნავში გაჰქონდათ; ერთი კვალის გავლებისა და თესლის ჩაყრის შემდეგ, ხარებს რქებზე ანთებულ სანთლებს მიაკრავდნენ, ხმიადებს ან კოტრებს ყურებს ჩამოატეხდნენ და ნახნავში გადაყრიდნენ; მოჰნავი კი დაილოცებოდა: „გაუმარჯოს ჯარის ქედს, კაცის მარჯვენას, ცის ნამს, დედამიწის მოსავალს. ღმერთო, შენ დაგვიწერ ჯვარი ნაჰნავსა-დ ნათესს“; შემდეგ ჯმიადს ან კოტორს უღელზე, ან ხარის ქედზე გადატეხდა, ერთ ნახევარს ერთ ხარს შეაჭმევდა, მეორეს - მეორე ხარს. დანარჩენ დაჭრილ კოტრებს მხრე, მოჰნავი და იქ მყოფნი შეექცეოდნენ.

ანალოგიური ხასიათის რიტუალში გამოყენებულ ქადას ხევსურები „უღელზე გასაჭრელს“ (არხოტივნები „უღელზე გასახლეჩს“ და „საიხვნიოს“) უწოდებდნენ, ქართლები - „გუთნის ქადას“ და „მოთრეულას“, გუდამაყრელები - „ცხვეულას“ (პატარა კვერები, რომლებსაც ხარს რქაზე გადატეხავდნენ და მიწის განოყიერების მიზნით ხნულში ჩაფლავდნენ).

ლიტ.: ნ. აზიკური. კოტორი, როგორც რიტუალური პური თუშეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXIII. თბ., 1987, გვ. 221; გ. ცოცანიძე. თუშეთი. თბ., 1987, გვ. 91-92; ნ. მაჩაბელი. მინდვრის სამუშაოებთან დაკავშირებული რიტუალური კვერები // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXI. თბ., 1981, გვ. 156-158.

უღელი ხატისა - ხატის უღელი, სხვადასხვა გასაჭირის დროს, მორწმუნე ხატს რაიმეს ტარებას აღუთქვამდა, მას განსაზღვრულ დრომდე ატარებდა და მერე ხატს შესწირავდა. ამ თვალსაზრისით მთიანეთში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული იყო ხატის უღელი, რომელიც მზადდებოდა რკინისაგან და სხვადასხვა ზომის იყო. ზოგიერთი ასეთ უღელს ორსამ წელსაც ატარებდა. დადებული ვადის გასვლის შემდეგ ყელუღელიანი ქალი ან კაცი მივიდოდა შეთქმულ ხატში, მიიტანდა საწირავს (ნაზუქები, სანთელ-კელაპტრები), დეკანოზი შეხსნიდა უღელს და ხატის ნიშში შედებდა. ამის შემდეგ ადამიანი ხატის მონობისაგან თავისუფალი იყო. ასეთივე დანიშნულების იყო კისერზე დასადები მძიმე ჯაჭვები.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

უქმის სანათლაჳი - უქმე დღეებში თუ მუშებს შეყრიდნენ, უქმის სანათლაჳი ციკანი უნდა დაეკლათ, რაც უქმე დღეს მუშაობის უფლებას მისცემდათ.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული, ხევსურული..., 2005:868.

უღელაგდებული ხარი - ხატისთვის შესაწირად აღთქმული და იალაღზე გაშვებული ხარი, იგივე კურატი, რომელიც არც დაიკოლება და არც უღელში შეიბმება.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული, ხევსურული..., 2005:869; თ. უთურგაიძე, თუშური..., 1960:24.

უღელდებული (ჯვართ ენაზე) - ხატისგან მსახურად აყვანილი (დასტური, ხელოსანი).

ლიტ.: ა. ჭინჭარაული, ხევსურული..., 2005:869.

უღელი - „ხართა ქელსადები“ (საბა). სამეურნეო პირობებიდან გამომდინარე საქართველოში მრავალი დანიშნულების უღელი დასტურდება. ესენია: სამარხილე, სალაჩქიძე, საკალოე, სააჩაჩე. ასევე, საყევრის, საწკეპი, საჯდომი, საძირე და სხვა. ამათგან სამი ტიპი გამოიყოფა: დიდი გუთნის, ორხელასი და აჩაჩისა, რომელთაგან პირველი შეესაბამება ბარის, მეორე - გარდამავალი ზოლის (მთასა და ბარს შორის მოქცეულ) და მესამე მთის მიწათმოქმედებას.

ძველი ცივილიზებული სამყარო იცნობს საქედურიან უღელს. საქართველოში ამგვარი უღლები შუა ბრინჯაოს ხანით თარიღდება. ეტიმოლოგიურად, სიტყვა „უღელი“ ინდოევროპული წარმოშობის სიტყვაა და ფიქრობენ, რომ ადრეულ პერიოდში ჩვენში მის აღმნიშვნელად ტერმინი „ყვარი“ იყო დამკვიდრებული. აღმოსა-

ვლეთ საქართველოს რეგიონებში (ფშავი, ხევსურეთი), დასტურდება უღელთან დაკავშირებული საყურადღებო წეს-ჩვეულება - ე. წ. „უღელზე დატირება“. საქართველოს შუა ბრინჯაოს ხანის მასალებში აღმოჩენილია უღელი, რომელიც მიცვალებულის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ლიტ.: გ. ჩიტაია, ქართული უღელი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XIX, 1978:45-48.

უყვი (სვან.) - დასვენებული მიწა.

უყვაიჭარე || **უყვამჭარე** (მეგრ. „შუბლზე უწარწერო“) - უბელო, უბედური ადამიანი. მეგრელებს სწამდათ, რომ „ცაზე ამა თუ იმ ახლად დაბადებულის ვარსკვლავის გაჩენასთან ერთად ახალდაბადებულის შუბლზე სვებედის უხილავი ხელით იწერება ჩვეულებრივი ყველა სიკვდილის შვილთათვის მიუწვდომელი მომავალი ცხოვრება ახალდაბადებულისა, მთელი სიმწარე თუ სიტკბოება ამ ცხოვრებისა, ყოველი წვლილი ცხოვრებისა; შუბლზე აღნიშნულია აგრეთვე, თუ რამდენი ხნის სააქაო ანუ მიწიერი ცხოვრება უწერია მეგრელს, რა ასაკში უნდა მოკვდეს და რა სიკვდილით: ხიდან უნდა ჩამოვარდეს და მის ქვეშ განუტევოს სული, თუ წყალში უნდა დაიხრჩოს, ცხენიდან ჩამოვარდეს და ისე სიკვდილი უწერია და სხვ. რაიმე უბედურებისაგან უდღეოდ მკვდარ კაცზე იტყვიან ხოლმე: „ეტყობა ასე სწერებია შუბლზე“. ცნების „უბედური კაცის“ გამოსახატავად ხმარობენ ტერმინს „უყვამჭარე“, ე. ი. კაცი, რომელსაც შუბლზე არაფერი (კარგი) აწერია“.

თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1956, გვ. 112-113.

უწუნა (ბ.-ზ.) || **უწონჳმ** (ბ.-ქვ.) - „უხილავი“ - სვანური რიტუალური კვერები,

რომელთა ხილვა და ჭამა აღკვეთილი იყო იმ პირთათვის, რომლებიც დღეობებზე კვერების შემწირველთა ოჯახში ნაჭმუნის (იხ.) გამოცხობას არ დასწრებიან (მდრ. ლალყაჯ|ლელყაჯ).

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 3, 6, 7, 8, 9, 10, 13, 15, 17, 33, 34...

უხა - უდედოდ მოზელილი, სიმინდის ტაროთი გაბრტყელებული, მრგვალი, პატარა დაწინჯილი პური. უხა ქორწილში დიდი რაოდენობით ცხვებოდა. მას

სუფრის წევრები ყიდულობდნენ მცხობელებისგან არა მარტო საჭმელად, არამედ ოჯახში წასადებადაც. ქართლში ქორწილის დროს ჩამოატარებდნენ ხოლმე ასეთ პურებს. ხალხური რწმენით თუ გასათხოვარი გოგონა უხის ნაჭერს დადებდა ბალიშქვეშ - საბედოს ნახავდა.

ლიტ.: ნ. მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში. 1978.

უხა - ძალიან თხელი და კარგად გამომხმარი ლავაში, რომელსაც ავადმყოფებისთვის აცხობდნენ (გარე კახეთი).

ლიტ.: მასალები..., 1986:43.



ფალასა (ინგილ.) - კაბა გრძელკალთიანი.

ფალუსტაკი - თაფლით, ფქვილითა და ერბოთი შემზადებული საჭმელი, განკუთვნილი იყო ახალშეუღლებულთათვის.

ლიტ.: ი. გრიშაშვილი. ქალაქური ლექსიკონი. 1997.

ფანდური - სამსიმიანი, საქცევებიანი ჩამოსაკრავი ინსტრუმენტი. საქართველოს ყველა კუთხეში იყო მეტ-ნაკლებად გავრცელებული. სხვადასხვა კუთხის ფანდურები ერთმანეთისაგან განსხვავდება გარეგნული ფორმით, საქცევების რაოდენობით (ორიდან შვიდამდე). მთის კუთხეების ფანდურები დიდი ზომისაა, ბარის კუთხეებისა - უფრო პატარა და თანაც უფრო დახვეწილია. ფანდური გამოთლილია მთლიანი ხისაგან. მისი ტარი (ყელი) და კორპუსი (მუცელი) მთლიანია. ხევსურული ფანდურის კორპუსი ნიჩბისებურია, მასიური, ბრტყელი. სხვა კუთხეებისა - ნავისებური, ოვალური ან მსხლისებური ფორმისა. ფანდურის თავის ფორმა სხვადასხვაგვარია: ნიჟარისებური, ცხვრის ან გველის თავის ფორმისა. თავზე გაკეთებული აქვს სიმების მოსამართი მოქლო-

ნებისა (ჩხირები // ყურები // თითები // ჭალები) და საკრავის ჩამოსაკიდი თასმის გასაყრელი ნახვრეტები. ყელზე აქვს საქცევები (მალიკები // ფარდები) - ჭდეებში ჩასმული პატარა ჩხირი ყელის, რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავს ორ მეზობელ ბგერას. ხევსურულ ტრადიციულ ფანდურს ჰქონდა ორი საქცევი, ბარის კუთხეებისას - 6-7. ფანდურის სიმების საყენებელს ჯორა ეწოდება, რომელიც სიმებს იჭერს გარკვეულ სიმაღლეზე თავფიცრის ზედაპირიდან. სიმები (ძალი // ალყა // ლარი // ძაფი) თანაბარი სიგრძისა და სისქისაა. აღრე მზადდებოდა ცხვრის ნაწლავებისაგან (ძალი). უკანასკნელ ხანებში ფაბრიკულ ძუას იყენებენ. ფანდურის გვერდები, ყელი, კორპუსი ხშირად ორნამენტირებულია მცენარეული სახეებით. მუსიკალური ინსტრუმენტის ხარისხი ბევრადაა დამოკიდებული მასალაზე, რისგანაც იგი მზადდება. საქართველოს ყველა კუთხეში ფანდური მზადდება იმ ხისაგან, რომელიც მოცემულ რეგიონში ხარობს. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში საუკეთესო მასალად ითვლება ბჟოლი (თუთა//ფურცელი), თავფიცრისათვის - ფიჭვი ან ნაძვი. ხეს ჭრიან ზაფხულში, ითვალისწინებენ მთვარის ფაზებს (სავსე მთვარისას), ექსპოზიციას (მზის მხარე). ფანდური ერთ-ერთი ყველაზე პოპულა-

რული საკრავია საქართველოში. ითვლებოდა საუკეთესო სამახსოვრო ნივთად. ყიდვის დროს მისი ფასი ერთი ცხვრის ფასის ეკვივალენტი იყო. როგორც წესი ხევსურეთში ფანდურს გასაყიდად კი არ ამზადებდნენ, არამედ საჩუქრებად. ოჯახში ფანდური თვალსაჩინო ადგილას ჩამოკიდებული ინახებოდა. დაკვრის წინ სიმებზე წაუსვამდნენ ნიორს კარგი ჟღერადობისათვის, განსაკუთრებით ნისლიან ამინდში, რადგან ასეთ დროს სიმებს სუსტი და დახშული ხმა ჰქონდა.

ფანდურზე უკრავდნენ ქალებიცა და მამაკაცებიც. ფანდური ძირითადად სიმღერის თანმხლები საკრავია. მისი თანხლებით სრულდება საგმირო, სატრფიალო, სახუმარო შინაარსის ლექსები. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ძირითადად საგმირო ჟანრის ლექსები იმღერება. ამ სიმღერებში მთელი ყურადღება გადატანილია სიტყვიერ ტექსტზე, ერთსა და იმავე მელოდიაზე სრულიად სხვადასხვა ტექსტი (ლექსები) სრულდება. მთაში სიმღერის ცოდნა ფაქტობრივად ლექსის ცოდნას ნიშნავს. ფანდური მონაწილეობს იმ წეს-ჩვეულებებში, რომლებიც დაკავშირებულია „ბატონების“ კულტთან. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში (ხევსურეთი) საინტერესოა ფანდურზე დაკვრის წესი ჯვარში წმინდა ლუდის დაღვევის რიტუალში. დღეობა, სადაც შეყრილი იყო სოფლის ჯარი (მამაკაცები), შედგებოდა შემდეგი თანმიმდევრული მომენტებისაგან: ჯარის საერთო ლოცვა, მიცვალებულთა „შანდობა“, „ფანდურის გატეხა“ და წმინდა ლუდის დაღვევა. ამ უკანასკნელს ახლდა ე.წ. „ფეხზე მღერა“ ან „თაოზა და ნამუსი“: ერთ-ერთი ზედამდეგი (ახალგაზრდები, რომლებიც ფეხზე მდგარნი ემსახურებოდნენ სუფრას) იღებდა ფანდურს, მოდიოდა სუფრის ბოლოს და ფეხზე მდგომი ან ცალ მუხლზე ჩოქით

იწყებდა დაკვრასა და სიმღერას. ეს იყო ძველებური საგმირო სიმღერა, ხოლო დანარჩენი ახალგაზრდები, მდგომარენი იმეორებდნენ გუნდურად თითოეულ სტროფს. ამავე დღეობაზე ერთ-ერთ მომენტს წარმოადგენდა „თასებში მოგონება სახელის ჩამდენი კაცისა“. ამ რიტუალური სმის დროს სოფლის ჯარი იგონებდა ამა თუ იმ გვარის წარმომადგენელთ გმირობას. ერთ-ერთი უფროსთაგანი ადგებოდა ადგილიდან, აიღებდა ფანდურს და სუფრის ბოლოს ცალ მუხლზე ჩოქით იწყებდა დაკვრასა და სიმღერას იქ მყოფი რომელიმე გვარის წინაპრის გმირობის შესახებ; როდესაც ტექსტს ნახევრამდე შეასრულებდა, ადგებოდა სხვა „მეთასე“, გააგრძელებდა სიმღერას და ლუდით სავსე თასით ხელში მიუახლოვდებოდა დაჩოქოლს, ეს უკანასკნელი სიმღერას უკეთებდა აკომპანემენტს, რომელიც მღერით მიუახლოვდებოდა მას, მიუტანდა თავის თასს პირთან და თავის ხელიდან შეასმევდა სასმელს. როდესაც დაჩოქილი თასს დაცლიდა, „მეთასე“ ბრუნდებოდა თავის ადგილას. ახლა ადგებოდა მეფანდურე, ავსებდა თავის თასს ლუდით, მივიდოდა იმასთან, ვინც მას დააღვეინა და ეტყოდა: „ჯვარ დაგიწერას ღმერთმ!“; მობრუნდებოდა უკან, ისევ დაიჩოქებდა და განაგრძობდა შეწყვეტილ დაკვრას და მღერას. „მეთასენი“ წარმოთქვამდნენ დროდადრო: „აი დიდხანამც იმღერ!“.

სიმღერის დასრულებისას მეფანდურე დგებოდა და ხმამაღლა წარმოთქვამდა: „აი თქვენი გამარჯვებისა!“. ამის შემდეგ რომელიმე სხვა უფროსთაგან გაემართებოდა სუფრის ბოლოს, დაიჩოქებდა და ფანდურის თანხლებით დაიწყებდა სხვა საგვარო საგმირო სიმღერას. ახლაც იგივე ეტიკეტი განმეორდებოდა და გრძელდებოდა „პატივის მიტანა“. საგმირო ლექსებს ფანდურზე ამღერებდნენ დასტურები ხატის, ჯვარის შენობაში,

სხვადასხვა რიტუალის მსვლელობისას. მათში მოთხრობილია ხატის ყმათაგან რომელიმეს მიერ ჩადენილ საგმირო საქმეთა შესახებ. ხატში ფანდურის დაკვრა დასტურდება თუშურ ქორბერეღამიც (ქორბეღელა ორსართულიანი ფერხულია, სარიტუალო, სრულდება მხოლოდ მამაკაცთა მიერ). ფანდური მწყემსებს მიჰქონდათ ცხვარში, შედარებით თავისუფალ დროს გასართობად.

ლიტ.: მ. შილაკაძე, ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, 1970. გვ. 13-35.; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ფანდურის გატეხვა - იხ. „ფანდურის უკულმ შეკიდება“.

ფანდურის უკულმ შეკიდება - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულება - მგლოვიარე ოჯახის მიერ ფანდურის შებრუნებით დაკიდება კედელზე; გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სადაც, ისევე როგორც საქართველოს დანარჩენ კუთხეებში, ჭირისპატრონი ოჯახი ყოველგვარ მხიარულებასა და ლხინს აკრძალავდა. ასევე, სოფელშიც არ შეიძლებოდა სიმღერა, ცეკვა-თამაში, ფანდურზე დაკვრა და სხვა სახის გართობა. როცა ხატობის დრო დადგებოდა, როცა მხიარულება აუცილებელი იყო, ან სოფელში რომელიმე ოჯახი ქორწილის გადახდას მოისურვებდა, მაშინ თვით ჭირისუფალი „გასტეხდა ფანდურს“: ხალხში გავიდოდა, ფანდურზე დაუკრავდა, იმღერებდა და ითამაშებდა, შემდეგ დაკვრას სხვებსაც შეთავაზებდა. ასე „გატყდებოდა ფანდური“ სოფლისათვის, ახლობლები კი გლოვას წლის გათავებამდე განაგრძობდნენ. მგლოვიარე ოჯახში უკულმა შეკიდე-

ბულ ფანდურს „წლის ხარჯამდე“ ხელს არ ახლებდნენ. წლისთავზე, სუფრასთან ოჯახის უფროსი თავად აიღებდა ხელში ფანდურს, ჩამოჰკრავდა თითებს და ვინმეს გადასცემდა. ამის შემდეგ „ლხინი გატეხილი“ იყო.

ლიტ.: დ. გიორგაძე. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). თბ., 1987, გვ. 78.

ფარაგი//ფარაგა - სადიაცოს გულისპირი, მოქარგული და ნაირფეროვანი ღილ-მძივებითა და ლითონის ფირფიტით შემკული, გულ-მკერდის დასაფარად და დასამშვენებლად განკუთვნილი.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, ხევსურული ტალავარი, მსე, VIII, 1956:97-108; ს. მაკალათია, თუშეთი, 1933:144; ლ. ბოჭორიშვილი, ქართველი ხალხის მატერიალური... 2017:22.

ფარაგისად გაბმა - მკვლელი დაზარალებულის მოხუც დედას (ან ბებიას) ფარაგზე მოჰკიდებდა ხელს, რომ მას შთაეგონებინა მისიანებისთვის სისხლი არ აედოთ. რაკი მოხუცი ქალის ფარაგას შეეხებოდა, იგი უკვე მის შვილად ითვლებოდა. მას დანაშაულს შეუმსუბუქებდნენ, ან სულაც აპატიებდნენ.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული, ხევსურული..., 2005:878.

ფარაგის მაჭრა - უწინ წესად ყოფილა ხევსურეთში. რაიმე უზნეო საქციელის ჩამდენ ქალს უბეს მოაჭრიდნენ და სახალხოდ მკერდს გაუმიშვლებდნენ. იხ. კალთას მასჭრის.

ლიტ.: ა. ჭინჭარაული, ხევსურული..., 2005:877.

ფარაჯუგი - წამოსასხამი, იკერებოდა შინ ნაქსოვი მდარე ხარისხის მოუთელავი მალისაგან, მწყემსები იყენებდნენ.

ფარცხვა - ნათესის დაფარცხვა და თესილი მარცვლის დასაფარად და მიწის ბელტების დაფშვნა-გაფხვიერება. ამ დროს ერთი კაცი ხარებს უძღვოდა, მეორე კი - სიმძიმისათვის ფარცხზე დგებოდა.

ფარცხი//ფარჩხი - დასავლეთ საქართველოში ხნულის დასაფარცხი. ადგილობრივ ხის (წიფელი, ნაძვი) მასალისაგან ამზადებდნენ. ორ ოთხკუთხა მოგრძო ფიცარს ერთიმეორეზე დააკრავდნენ, ამოუყრიდნენ ორ კავს, ხის კომბლებს, რომლებზეც ხარების უღელს გამოაბამდნენ. თვით ფიცრებს ზოგან, მაგალითად, რაჭაში შუაში დაუტნევდნენ კვრინჩხის, მუხის, თხილის ან არყის ფარჩხი ან ეკლებს.

ლიტ.: ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება..., 1960:112.

ფატა (გურ.) - საქორწილო ლეჩაქი.

ფატან-ი (სვან.) - ქალის პერანგი, გრძელი იყო, კოჭებამდე. მის შესაკერად, სამი განი ნარმა, იგივე „ამრიკად“ - ორი განი ტანისათვის და ერთი - გვერდებზე ჩასაკერებლად, იყო საჭირო. სახელოებსაც ერთნახევარი განი უნდოდა, ვინაიდან გრძელი და განიერი იყო. საყელო („საყალ“) გვერდზე უნდა ყოფილიყო შესაბნევი.

ლიტ.: მასალები..., 1983:236.

ფაშა ვაშლი - ვაშლის სახეობა.

ფაშლაჯა (ხევსურ.) - ყაბალახი, ამზადებენ ცალპირა ტოლისაგან.

ფაფანაკი//ფაფადი (აჭრ.) - ბრტყელი ქუდი, მალის მაღალი ქუდი. მას ლეჩხუ-

მში ფრიალა ქუდს ეძახდნენ. გარეთ „შე-მოქუბილი“ იყო და სირმით, აპურით ყბაში ამოიდებდნენ. გურიაში ოქრომკერდით, ან ფერადი აბრეშუმის ძაფით მოქარგულს თავად-აზნაურები იხურავდნენ.

ლიტ.: მასალები..., 1983:208, 234, 257, 261.

ფეთქი - მაჭარი, დაუღუღარი, ახალდაწურული, ყურძნის წვენი (სამეგრელო).

ფესვი - ვაზის (ისევე, როგორც ყველა მცენარის) იმ ნაწილს, რომელიც მიწაში არის მოქცეული, ფესვი ეწოდება (ქართლ. კახ. იმერ. რაჭ. ლეჩხ.); ფერსო - კახეთში; ფესო - იმერეთში. ქართულ ენაში ფესვზე არანაკლებ არის გავრცელებული ძირი (ძვ. ქარ. ქართლ. იმერ. აჭარ. რაჭ.); ძირკვი (კახ. ქიზიყ.). ფესვის დატოტვამდე, ანუ ვაზის ტანის აღმნიშვნელი ტერმინებია დედა-ვაზი, დედო ვაზი - დედა (ქართ. კახ.), დედო ვაზი (რაჭ.), დედანი (ქართ.), მუშა ვაზი (კახ.), ღერი (რაჭ.) და სხვა. ვაზის დედა-ტანი, ისევე, როგორც მცენარის ტანი, თავდება პირველი გატოტვის უბესთან. შემდეგ იწყება სხვადასხვა ასაკის ტოტები. ვაზის ტოტების ასაკის გარკვევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვაზის გამწვანებისა და სწორად მოვლისათვის. ვაზის ძველი ტოტის აღმნიშვნელი ტერმინები - ძველი რქა (კახ.), ძველი ლერწი (იმერ.), ძველიანი (კახ. ქიზ. რაჭ.), ხელშავი (იმერ.).

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებ..., 1978:12-17.

ფესტამალა - ფშაველ ქალებს ფაფანაგის შიგნით, წინ ჰქონდათ აკრული. ის წელიდან კაბის ბოლომდე იყო დაშვებული. ფესტამალას ბოლოზე არმია ჰქონდა წაკერებული, რომლის ნაკერზე ვე-

რცხლის მონეტები და მძივები იყო გაყოფილი. ვერცხლის მონეტები ქალებს საგულეზე და ქამარ-სარტყელზეც ამშვენებდათ. ფასტამალა დაჭრელებული წინსაფარია, მისი არშია (მთიულეთში) ფერადი ძაფით იყო ნაქარგი.

ლიტ.: ლ. ბოძაშვილი, ფშავი და ფშაველები, 1988:17; ს. მაკალათია, მთიულეთი, 1930; ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1938:92.

ფეტვი - უძველესი მარცვლეული კულტურა, რომელის სხვა პურეულთან ერთად აღმოჩნდა არქეოლოგიურ განათხარში (მაგ., დინაგუძუბა). საადრეო მცენარეა მოკლე სავეეტაციო პერიოდის მქონე. ითესებოდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. ფეტვს რაჭა-ლეჩხუმში ჭადს (ლეჩხუმში ფეტვსაც და შავ ჭადსაც) უწოდებდნენ. ზოგჯერ ნაპურალზეც ითესებოდა და მაინც ასწრებდა შემოსვლას. უხვმოსავლიანია, მაგრამ ადამიანისათვის მაინცდამაინც საპატიო საკვებად არ ითვლებოდა, რასაც რაჭული საფერხულო სიმღერის ნაწყვეტიც მოწმობს: “დიასახლისი ჩიოდა, ვაი რას მოვესწარიო, მომივა გულის სტუმარი, ჭადზე ვარ მაინძელიო.” ფეტვის აღსანიშნავად, მეგრულში გვაქვს ფატი, ჭკიდი, ჩხვერი, ქუმუ... ფეტვის თავთავებს ცხვავდნენ ჩამურით, შემდეგ წისქვილში ფქვავდნენ. მისგან გემრიელი, სურნელოვანი მჭადი ცხვებოდა. ძველად საქართველოში ფეტვის კულტურა საეკლესიო-სახალხო რიტუალების აუცილებელ ელემენტად ითვლებოდა. სვანეთის სოფლის მეურნეობაში ფეტვს დღესაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ლიტ.: ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება..., 1960:74-77; ნ. მაშია, სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია..., 2021:64-65.

ფეტვრაალი - ფეტვიანი ხაჭაპური. სახაჭაპურე ცომში, გულსართად, ყველთან ერთად, ფეტვსაც დებენ, რაც სვანურ „ფეტვრაალს“ განსაკუთრებულ და განსხვავებულ გემოს აძლევს. ფეტვი ქართულ სამზარეულოში სიმინდმა შეცვალა, მაგრამ სვანურში მისი, როგორც მნიშვნელოვანი კულტურის მკვეთრი ნაკვალევი ახლაც გვხვდება. ადრე მჭადი ფეტვისგან ცხვებოდა და ის ზოგიერთ დიალექტში, დღესაც ფეტვისაგან გამომცხვარ პურს ნიშნავს.

ლიტ.: ქართული გემო, 2018:138.

ფეხის დაბძნა (რაჭ.) - ახალი წლის პირველ დღეებში სტუმრად მისვლა. ფეხის დასაბძნელად არჩევდნენ კარგ, სად, ბედნიერ ოჯახს. სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს წლის დადგომას მიულოცავდნენ, სტუმარს გაუმასპინძლებოდნენ (ჩვეულებრივ ტკბილეულით). თუ ფეხის დასაბძნელად მისული სტუმრს კარგი ფეხი აღმოაჩნდებოდა, მომდევნო წელსაც მოიწვევდნენ, თუ ცუდი - იმ წლის ყველა გასაჭირი სტუმარს დაბრალდებოდა.

ფეხის გაქსნა - მიცვალებულის კულთან დაკავშირებული ქიზიყური წეს-ჩვეულება - მგლოვიარის გაყვანა ხალხში მგლოვიარობის დასრულებისთანავე. მგლოვიარე პირველად ნათესავებს თავიანთ ოჯახებში 1-2 კვირით მიჰყავდათ, რის შემდეგაც მას სამუშაოდ გასვლა და საზოგადოებრივი თავშემყრის ადგილებში გამოჩენა შეეძლო.

ლიტ.: ს. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

ფეჭმველობა მარიანობითვეში (ქიზ.) - შვილის ან ქმრის (თუ ამ უკანასკნელს დედა ცოცხალი არ ჰყავდა) გამო გასაჭირში მყოფი აღთქმადებული დედის

(მეუღლის) ფეხშიშველი სიარული მარიამობის თვეში. გამოუვალი ვითარების ჟამს ქალი ერთი ან რამდენიმე წილის, ზოგჯერ სამუდამო ვადით დებდა შემდეგ აღთქმას: „ღმერთო (უმთავრესად წმ. ბარბარეს მიმართავდა), ოღონდ ამ ჭირს გადამარჩინე და შვილ (ქმარ) ნუ მაძიკლავ და მარიანობითვე ფეხშიშველა ვივლი“. ასეთი აღთქმადებული ქალების თაობაზე ს. მენტემაშვილი წერს: „აღამიანი ხშირად ნახავდა სოფლის მარაგზაზე ნათესავში მიმავალ კოპწიად გამოწყობილ ლეჩაქბაღდადიანს, ფარჩის ან შალის კაბიან ქალს, მაგრამ ფეხშიშველას“.

ლიტ.: ს. მენტემაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

ფიალა - ფართოდ გავრცელებული ღვინის სასმისი აღმ. საქართველოში, რომელიც სხვადასხვა ფორმა - მოყვანილობისა გვხვდება. იგი ჯერ კიდევ დაბადების ძველ ქართულ ნათარგმნ წიგნებშია მოხსენიებული (გამოსვ. 37.16 რიცხ. 4, 7). ფიალა ყოფაში გვხვდება თიხის (ქაშანური, მოჭიქული), სპილენძის, ვერცხლისა და ხის.

ლიტ.: ჯ. სონდულაშვილი, საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის..., 1974:211-212; ი. აბულაძე, ძვ. ქართ. ენის..., 1973:445.

ფითილის დახვევა - მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული, მესხურ-ჯავახურის წეს-ჩვეულება - ავადმყოფის „დამმიზეზებელი“ ხატის გამოვლენის რიტუალი. მაგალითად: როცა მთიულის ოჯახში ვინმე დაავადდებოდა, იტყოდნენ, ალბათ, ხატმა დაამიზეზაო. ამ ხატის გამოსაცნობად თითისტარზე ნართს ან ფითილს დაახვევდნენ და თან ხატებს ასახელებდნენ. თუ ზაქათას წმ. გიორგის ხატის ხსენებაზე ფითილი თავისით გადმოიხსნებოდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ ავადმყოფი ამ ხა-

ტისგან იყო „დამიზეზებული“ და მას შესაწირავს მიართმევდნენ: ხატს ირგვლივ მსხვილად დართული ბამბის ძაფს - პატრუქს - შემოახვევდნენ 4, 6, 8 წვერად ან იმდენს, რამდენსაც ფითილის დახვევისას დათქვამდნენ. თითქმის ასეთივე წესით, ოღონდ სხვა საწირავით ხდებოდა ამ რიტუალის შესრულება მესხეთ-ჯავახეთში და ხევში.

ლიტ.: ს. მაკალათია. მესხეთ-ჯავახეთი. თბ., 1938, გვ. 112; გ. ჩაჩაშვილი. ოჯახურ საფეიქრო წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი უძველესი რწმენა-წარმოდგენის შესახებ საქართველოში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XVI-XVII. თბ., 1972, გვ. 105.

ფილაკი//ფლაკი - ბრინჯისაგან მომზადებული კერძი. წყალში ჩვეულებრივი წესით მოხარშული ბრინჯი, რომელსაც სხვადასხვაგვარად ამზადებდნენ. აჭარაში მოხარშვის შემდეგ, ზემოდან დამწვარ ერბოს მოასხამდნენ. კერძის დამზადების შემდეგ, სუფრაზე ფლავთან ერთად, შაქარი, თაფლი, ნაღები, მაწონი და კომპოტი მიჰქონდათ. ხშირად ფლავს (ტკბილ ფლავს) ქიშმიშით, ალუბლით, შინდით, ქლიავით, ნუშით და სხვადასხვა ხილით ამზადებდნენ. ზოგჯერ, სუფრაზე ფლავი დაჭრილი ერბოკვერცხით შემოწყობილი მიჰქონდათ, რომელსაც ქვაბში ფლავის ძირში წვავდნენ.

ლიტ.: თ. ლომიძე, კულინარიის ხელოვნება და ქართული კერძების სამზარეულო, 1990:178.

ფილოქსერა, ფილაქსერა - ვაზის ავადმყოფობა. გასულ საუკუნეში გაჩნდა, თავლით დასანაზი მოგრძო ჭიას, ძირს უთხრის ვაზს და ერთიანად ახმობს. ამიტომ შემოდეს ვაზის მცნობა, წინათ დამცნობა არ იცოდნენ. მწარე ლერწზე ამცნობენ, იმას

ფილოქსერა არ უჩნდება. ვაზის სხვა მავნებლებიცაა: კოკონა, კოკონაჭია, ხანჭოჭია (ქართლ. კახ.), კვირტაჭია (ქართლ. იმერეთი). ამერიკული წარმოშობის სოკოები - ნაცარა და ჭრაქი (ხალხური ტერმინებით). ძველი ქართული ენის მნიშვნელობით, საერთოდ, ვაზის მავნებელს „ჭია“ ეწოდება.

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებ., 1978:83-84.

ფიფინა - პურის ფაფა. მას წყალზე ამზადებდნენ (რაჭაში); წყალზე, ან შრატზე დამზადებულს „ხავიწი“ ეწოდებოდა (ხევსურეთში) და შრატზე დამზადებულს - „ქაქია“ (გურიამში). წვრილად დაფქვილი მარცვლეულის (ხორბლის, სიმინდის, ფეტვის) თხელ ფაფას, ჩვეულებრივ, ყოველდღიური საჭიროების გარდა, შრომითი შეამხანაგებისას (რაჭაში), საგანგებოდ ხარშავდნენ ქალები და გამოხდილი ნიგვზის ზეთთან ერთად მიირთმევდნენ. ნიგვზის ზეთი, ურწყული, დანაყილი ნიგოზი ცომში თუ ფხალში, შეჭამანდებში, ტკბილეულში, თუ სადღესასწაულო კერძებში სანელებლებთან ერთად, ტრადიციული ხალხური კვების შეუცვლელ ინგრედიენტს წარმოადგენდა, რომელსაც დროდადრო, სხვადასხვა მიზეზით, ზოგიერთი მცენარეული ზეთი ენაცვლებოდა.

ლიტ.: გ. გოცირიძე, ხალხური კვების..., 2007:116.

ფიჩქი-ი - ინდივიდუალური ტრაპეზი-სათვის განკუთვნილი პატარა, მრგვალი და დაბალი ტაბლა, რომელზედაც სვანები მიცვალებულთა სულების „სტუმრობისას“ (ლიფანალის დღეობაზე ან მკვდართა სახელობის სხვა დღეებში) საკურთხს დებდნენ და სანთელს ანთებდნენ.

ლიტ.: ლ. ბელუკიძე. სვანური ავეჯი (ფიჩქი და ჰასკამი) // საქა-

რთველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“. XXXVI. 1982, გვ. 85-94.

ფიწალი - მემინდვრეობის კულტურების ნამჯეულობის ასაღები ხელსაწყო, გააჩნია ტარი და თითები. უფრო ხშირად 3 და 4 თითი. აკეთებდნენ როგორც ხისგან, ასევე რკინისგანაც.

ფლასის აღება - იხ. „აღუღები“.

ფლასის დაგება - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული თუშური წეს-ჩვეულება - მკვდრის ნიშნის დაფენა; იცოდნენ წლისთავზე (იხ. „აღუღები“). ეზოში დაგებული ფლასის მარჯვენა მხარეს დაფენილ ტილოზე ელაგა სამი პური, რომლებზედაც მოხარშული ხორცის თითო ნაჭერი იდო; იქვე ელაგა „საკვამლო კვერები“ - პატარა მრგვალი პურები შუაში ჩარჭობილი მიტკლის ლენტებში ჩხირებით. საკვამლო კვერები იმდენი იყო, რამდენი კომლიც ცხოვრობდა სოფელში. ფლასის წინ დაფენილ ტილოზე ეყარა ქერი; იქვე იდგა დოვიანი ბაკანი შიგ ჩადებული ქოჯოთი, ერთი ნაპარსი მატლი და ერთი მარილის ქვა. ფლასის მარცხენა მხარეს დასვენებული იყო ალაში, რომლის წითლად შეღებილ შუბის ფორმის ტარზე შებმული იყო თეთრი ფერის აბრეშუმის ნაჭერი და ზედ თითო წყვილი წინდა, ქუროები, ჩითები და ხელნაკერი სათამბაქო ქისა ეკიდა. ამგვარად დაგებული ფლასის სათავე მხარეს მოტირალი ქალები სხდებოდნენ. აქვე დგებოდა ხუთი მოდალავე ცხენოსანი (იხ. „დალაა“).

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 116-117.

ფლოსტი - უქუსლო ფეხსაცმელი, რომელიც ქოშის ყაიდაზე იკერებოდა, ოღონდ უქუსლო იყო სამინაოდ სატა-

რებლად. ქოშს, უმთავრესად, საგარეოდ იცვამდნენ. მესტები, ქოშები, ფლოსტები ადგილობრივად იკრებოდა. ამ ევროპული ტიპის ფეხსაცმელებში საყოველთაო მოწონება, უფრო დაღესტნიდან და არზრუმიდან მოტანილ ფლოსტებსა და ქოშებს ჰქონდა მოპოვებული. საყურადღებოა, რომ საქართველოში გავრცელებული იყო ფერადი ტყავისაგან შეკერილი ფეხსაცმელი და ფეხსაცმლის ფერი ტანსაცმელთან იყო შეხამებული.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალ..., 1962:158; ლ. ბოჭორიშვილი, კახური ჩაცმა-დახურვა, ანალები, I, 1947:209-210.

ფოთლით ცეკვა - საგაზაფხულო ეროტიკული ცეკვა, რომელსაც სათამაშოდ შეკრებილი გურულები აღდგომიდან ახალკვირამდე ასრულებდნენ. ა. წულაძის აღწერის თანახმად, „10-15 საცოლედ შედგებული ჭაბუკი სათამაშოდან მოშორებით ერთ-ერთ კარგ მოცეკვავე ვაჟს მთლიანად მორთავდნენ მწვანე ფოთლებით, დაამსგავსებდნენ ადამიანის ფიტულს, ქუდი და ქამარ-ხმალიც კი ფოთლებისაგან უნდა ყოფილიყო და ამავე დროს დამალული ჰქონოდა თავის ადგილას კარგა მოზრდილი მწვანე „ფალოსი“. ვაჟი არ უნდა ეცნოთ. როცა ქალ-ვაჟი თავდავიწყებით უვლიდნენ, ამ ფოთლის ვაჟს შემოატარებდნენ, გაარღვევდნენ წრეს და საცეკვაო წრეში შეაგდებდნენ. ის დაიწყებდა ცეკვას და ვაჟს ქალს წაართმევდა, დაღლიდა ერთს, გაიწვევდა მეორეს, მესამეს და შეიძლება მეტსაც, და როცა თვითონაც დაღლას იგრძნობდა, მაშინ „ფალოსს“ იშიშვლებდა და იმათ ყველა მხრივ სალამს აძლევდა - „აბაბრიკებდა“. შეიქმნებოდა ქალების წიოკი; დაირცხვენდნენ, მაგრამ ცალი თვალით მაინც უცქერდნენ; ვაჟები ჟრიამულობდნენ, იცი-

ნოდნენ, ამავე დროს წაეტანებოდნენ მას და ცდილობდნენ ფოთლის შემოგლეჯას, მაგრამ ის წრიდან თავის ტოლებს გაჰყავდათ. ზოგჯერ ვერც კი გაიგებდნენ, თუ ვინ ცეკვავდა“. ა. წულაძე სავსებით სამართლიანად ასკვნის: „ეს ცეკვა, უსათუოდ, გაზაფხულის მიგებებისა და გამრავლების კულტის არის“.

ლიტ.: ა. წულაძე. ეთნოგრაფიული გურია. თბ., 1971, გვ. 98.

ფორი//ალაო - სალუდე ფორი, ქერის დანადგარებული მასა, რომლისგანაც მოადუღებენ ლუდს. სალუდე მარცვალი, რომელიც ინახება ხატის ბედელში, ხევისბერის მითითებით გამოაქვით სადღესასწაულოდ. ჩაყრიან ხაკის ტომრებში (იხ. ტომარა ხაკის) და 2-3 დღის განმავლობაში ამყოფებენ წყალში. შემდეგ დამბალ მასას წაიღებენ, დაყრიან ჭერხოში ერთი ცილის სიმალღეზე და ზემოდან მშრალი ჩალით დაათბუნებენ. 3-4 დღის შემდეგ ქერი ბუსუსებს გამოიღებს, დაღვივდება („დაკიაბდება“//„გამაყივდება“//„დაიფორება“). დაღვივებულ ქერს მზის გულზე გააშრობენ, გაცხრილავენ, წისქვილში მსხვილად დაფქვავენ და შეინახავენ ბნელ ადგილას. „ქვაბების დაყრისას“ ფორის ფქვილს აწყავენ ჩხუტით და მისცემენ წყალს. როცა წყალი და ფორი ერთმანეთში კარგად აირევა, შეუნთებენ ცეცხლს და იწყება სისწვენის მომზადება.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ქართული ლუდი, 2010:71-72.

ფორის ტკბილა - ცომეული სარიტუალო ნამცხვრის ერთ-ერთი სახეობა. მას ამზადებდნენ ქერის, ქერ-სვილის ან ხორბლის დამტკბარი ფორით. აუდუღარი წყლით მოზელდნენ ცომს და მასში ფორს ჩადებდნენ. ამ ნამცხვარს, უმთავრესად, სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა; სახე-

ლწოდებაც ტკბილად ცხოვრების სიმბოლოდ მოიაზრება. მას ახალ წელს ერბოში ამოწებულს მიირთმევდნენ. პატარძალს ქმრის სახლში მიყვანისას, აგრეთვე, წყალზე გაყვანის დროსაც ფორის ტკბილას აჭმევდნენ.

ლიტ.: ვ. ითონიშვილი, მოხევეების ყოფა-ცხოვრება, 2015:105.

ფოსტალი - ფეხსაცმელი. მას ცხვირაწული, თხელი ძირი ჰქონდა, წინა პირი ნახევრად მოჭრილი და საპირეც ხშირად მოქარგული ჰქონდა. ფოსტალის მსგავსი იყო ოჩოფეხა ხის ძირით. მას აფხაზური ოჩოფეხა ერქვა. საპირეც ხის ძირზე იყო შემოჭადილი ლურსმნითა და ტყავით. მესხეთში ქალები ფეხზე მოქარგულ ქოშებს და ფოსტალს - „ფეხმაცველს“ იცვამდნენ.

ლიტ.: მასალები..., 1983:255; ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1938:91.

ფოცხი//ფარცხი//ფორჩხი - საომ-საფარცხი იარაღი, რომელიც საკმაოდ მძიმე სამუშაო იარაღია. მასში 4-5 უღელი გამწევი ძალა იბმებოდა. ანუღში ჯერ დაითესებოდა, შემდეგ ფორჩხს გადაატარებდნენ. ფოცხები საქართველოს ყველა კუთხეში თავისებური სახითაა წარმოდგენილი. ანალოგები კავკასიის ხალხთა მეურნეობაში გააჩნია, მაგრამ ქართლურ საომ ფორჩხს სიდიდის მხრივ ბადალი არ მოეპოვება.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, აღმოსავლ. საქართველ. სამიწათმოქმედო... 1940:92-104.

ფოხალი - საწყაო ერთეულია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში. დაახლოებით 1,5 ფუთი (24 კგ.). დასავლეთში უფრო ნაკლებს უდრიდა, 0,5 ფუთს (ლექს. რაჭა).

ფრიალა ქუდი (ლექს.) - თავსაბურავი. ფრიალა ქუდს ნაპირები არ ჰქონდა, ბრტყელი იყო, კეფაზე დასადები. იქით-აქეთ ყურების გასწვრივ, ჩაქები ჰქონდა შეკბილულივით და მასში ზონარი (ზორანი) იყო გამობმული ყბის ქვეშ ამოსაღებად. ამას აპური ერქვა. ფრიალა ქუდს ჰაჰანაკი ერქვა (ლექს.) და გარედან სირმით იყო შემოქუბილი.

ლიტ.: მასალები..., 1983:233.

ფუკობა - ფუტკრის დღეობა, ფუტკრის მოლოცვის დღე გურიაში. იმართებოდა დიდმარხვის შუა ოთხშაბათს. სალოცავად ყოველ მეფუტკრეს რამდენიმე თაფლიანი ჭადი უნდა გამოეცხო. მხოლოდ სუფსაში - ქადა-პურის - თაფლიანი პურის, ლანჩხუთში კი თაფლიანი ჭვავის პურის გამოცხოება იცოდნენ. თაფლიანი ჭადებისა თუ პურების რაოდენობა ოჯახის შეძლებაზე და ფუტკრის სიმრავლეზე იყო დამოკიდებული. ფუკობის დღეს მეფუტკრის ოჯახში გააწყობდნენ სუფრას და ზედ თაფლიან ჭადებსა (პურებსა) და სანთლის არაყს დაალაგებდნენ, ჩამოარიგებდნენ ანთებულ სანთლებს, რომლებსაც კარიდან მარჯვენა კედელზეც მიაკრავდნენ. შუა ცეცხლთან კარის მიმართულებით მდგარი ქუდმოხდილი მეფუტკრე შემდეგი სახის ლოცვას აღავლენდა: „ბატონო მეფუკე, გამიმრავლე ფუტკარი“. უნდა ითქვას, რომ ზოგან ფუტკრის მომრავლებას - დმერთს, ზოგანაც იობს (შდრ. „ანიგოლი“) შეთხოვდნენ. მეფუტკრეები, რომლებსაც ფუტკარი აგვართაში ჰყავდათ, რამდენიმე მამაკაცის თანხლებით სალოცავად იქ მიდიოდნენ, თან თაფლიანი ჭადები, სანთლის არაყი, სანთლები და ფიჭა მიჰქონდათ; თუკი ბუკები ხეებზე ჰქონდათ შემოწყობილი, სახლში დატოვებულ ორ ძირ ფუტკართან მოილოცავდნენ და გიდეღში ჩალაგებულ შესაწირავს იქვე მახლობლად ჩამოღებდნენ.

ფუკობა დღეს თაფლიანი ჭადის საქმელად მეფუტკრეს მეზობლებიც სტუმრობდნენ, რის გამოც რიგ შემთხვევაში ოჯახი დიდი ზომის სასტუმრო თაფლიან ჭადს საგანგებოდ აცხობდა. ცდილობდნენ, რომ თაფლიანი ჭადი რაც შეიძლება მეტ ადამიანს რგებოდა.

ფუკობაზე, გარდა ლოცვისა და მსხვერპლშეწირვისა, აუცილებელი იყო საფუტკრე საქმის გაკეთებაც. საამისოდ გამოთლიდნენ ბუკს ან უკვე გამოთლილ ბუკებს ხეებზე შემოაწყობდნენ, ათვალიერებდნენ „გაცოცხლებულ“ და დასუფთავებულ ბუკებს. იმ მიზნით, რომ ფუტკრის საქმე მთელი წლის მანძილზე კარგად წარმართულიყო.

ფუკობის გარდა, გურული მეფუტკრეები, ფუტკრის მომრავლების მიზნით, ბარბალობაზეც ლოცულობდნენ და შეპირებული რაოდენობის სანთელს სწირავდნენ.

ლიტ.: ა. რობაქიძე. მეფუტკრეობა გურიაში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. V. 1951, გვ. 26.

ფურრე უიჭმ-ი (სვ.) – „ფურების მარხვა“ - წველის ბარაქიანობისთვის განკუთვნილი მარხვა; იცავდნენ სულიწმიდის მოფენის მომდევნო ორშაბათიდან შაბათამდე; აღკვეთილი იყო რძისა და მისი პროდუქტების სმა-ჭამა. ამ მარხვის დამწესებლად სვანები ბარბოლს მიიჩნევდნენ. ფურრე უიჭმის უკანასკნელ დღეს, შაბათს, რომელსაც სვანები ჰელიმა სამტინს უწოდებდნენ, მარხვაში დაგროვილი ყველით დიასახლისი ხაჭაპურებს დააცხობდა, მიიტანდა აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან და დაილოცებოდა: „ო-ო, დიდებამც მოგსვლოდეს, მადლიმც მოგსვლოდეს, ოთხფენის (მსხვილფენა საქონლის) ღმერთს დი-

დება! ჩემს სახლში ფური და ხარი გაამრავლე, მადლი გექნება, მადლიანო“. ლოცვის დასრულებისთანავე შენაწირ კვერებს ჩამოირიგებდნენ და შეჭამდნენ. ამგვარ ხაჭაპურებს საღამოსაც დააცხობდნენ და მათ, ვახშმის წნ, სხვა სასმელ-საჭმელთან ერთად, მიცვალებულთა სულელების სახელზე აკურთხებდნენ. ამავე დღეს ეცერში მამაკაცები წიფლის ხისგან გააკეთებდნენ სახვნელის ქუსლსა და ნიჩბებს, ხოლო ქალები ტყიდან მოიტანდნენ რძის საკვეთის მოსარევე ეკალს და ნაეკლესიარ ადგილზე ლიდბაშს (იხ.) გადაიხდიდნენ: სალოცაქვეში წაიღებდნენ ფქვილსა და ყველს, იქვე ხაჭაპურებს გამოაცხობდნენ და მეწველი საქონლის გამრავლებისა და წველის ბარაქისათვის ბარბოლსა და ჰელიმა ლამზირს (ჰელიმის სალოცავს) ლოცვა-ვედრებით შესწირავდნენ.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. ღვთაება ბარბარ-ბაბარ. თბ., 2006, გვ. 20-21.

ფუფალა (ქიზ.) - უფალი, ღმერთი ბავშვის ენაზე.

ლიტ.: ს. მენტეშაშვილი. ქიზიური ლექსიკონი. თბ., 1943.

ფუმრუკი - ფაფეული შეჭამანდი. პურის, ან ფეტვის ფქვილისაგან რძით გაკეთებული თხელი ფაფა, რაშიც ფქვილი ასრულებს საფანელის, ან შესქელებული ნახევარფაბრიკატი კომპონენტის როლს სხვადასხვა შეჭამანდებში, რომლებიც წყალზე (ფიფინა), რძეზე (ფუმრუკი), ან ხილის წვენებზე (თხლის, ტყლაპის შეჭამანდი, ე. წ. კისელი) მზადდებოდა. ბრინჯის ფუმრუკს ფიფინა ეწოდებოდა (სულხან-საბა ორბელიანი). სამცხე-ჯავახეთში ტრადიციული ფაფეულიდან გამოირჩეოდა „ძიფუა“, რომელსაც ბავშვთა კვებაში იყენებდნენ (რძეზე მომზადებული

ხორბლის, ან სიმინდის ფქვილის ფაფა). ფუშრუკის ფქვილს ტაფაში მშრალად მოშუშავდნენ, ცხელ წყალს დაასხამდნენ, მარილს დააყრიდნენ და გასქელებამდე ურევდნენ. გასასქელებლად, ფქვილს ცოტ-ცოტას ამატებდნენ. მოშუშავდნენ ცეცხლზე და მზად იყო. მას შუაში ჩადებულ გამდნარ ერბოში ჩაწებით კოვზით მიირთმევდნენ. თუ ერბო არ ჰქონდათ, მაწვნით, ბაქმაზით და თაფლითაც ჭამდნენ.

ლიტ.: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი, წ. II, 1993:194; გ. გოცირიძე, ხალხური კვების..., 2007:115-116; მასალები..., 1986:159, 164-166; ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1938:77.

ფუძის ანგელოზი / სახლის ანგელოზი - იხ. „ნერჩიმ ხვამა“.

ფუძის გამოლოცვა - იხ. „ნერჩიმ ხვამა“.

ფშავ-ხევსურული ხაჭაპური - ფქვილოვანი ნაწარმი. ახალ დაფშვნილ ყველს კარაქს შეაზელდნენ და ქოთანში ათავსებდნენ, რომელსაც ცეცხლის პირას დადგამდნენ. შიგ ჩაუმატებდნენ ფქვილს და ხის კოვზით განუწყვეტილად ზელდნენ. დაახლოებით ერთი საათის დუღილის შე-

მდეგ, ჯამებზე ამოიღებდნენ და სუფრაზე ცხელ-ცხელს მიიტანდნენ.

ლიტ.: თ. ლომიძე, კულინარიის ხელოვნება..., 1990:212.

ფჩხილა (რაჭ.) - მარხილის ან ურმის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია. გრძელი (2 მეტრამდე სიგრძის) მაგარი ხის ჭოგრი, რომელსაც მსხვილი თავის ბოლოდან 60-80 სმ დაშორებით 30-50 სმ სიგრძის თავისივე კაპი უნდა ჰქონდეს.

ფწკალა (რაჭ.) - სანადირო მახეა; იყენებდნენ კვერნის დასაჭერად (იხ. რობაქ., 51).

ფხალი ბრინჯიანი - ბრინჯითა და მხლით დამზადებული კერძი. გარეული, ანუ მინდვრის ფხალი მარტში (გაზაფხულის პირზე) მოდის, ბოსტნის, ან ბაღჩეული - უფრო გვიან, შუა აპრილიდან. მათგან ზოგს ამწნილებენ, ზოგსაც ახმობენ და ზამთარში შეჭამანდად იყენებენ. უმრავლესობას სუნელებით (ქინძი, ქონდარი, შამტრამი, ზაფრანა, მაკილო, ნიახური, კამა, კვლიავი, პრასი, პილპილი), ნიგვზით, ძმრით, კვერცხით კაზმავენ. ფხალეულს, სახსნილოდ თუ სამარხვოდ, საქართველოს ყველა კუთხეში სახელდახელო, თუ სადღესასწაულო საკვებად იყენებდნენ.



ქადა - სადღესასწაულო, სარიტუალო პური ხევსურეთში. ფაქტობრივად ყველა დღესასწაულისა და სარიტუალო ქმედებისთვის აუცილებელი ატრიბუტი. სახატო, ანუ ჯვრის მამულების მოხვნის რიტუალისას დიასახლისი წვრილად დაჭრილ ხორცს, ყველს, ცოტაოდენ ქონს, ერთმანეთში აურევს, ჩადებს ცომში, გულს გაუკეთებს და გამოაცხობს. დიდ ქალებს ჰქვიათ „სასანთლე“, პატარებს „საკვირაო“. ქალების რაოდენობა ზოგჯერ განსაზღვრული იყო ხევსურთა სალოცავების რაოდენობით ე.ი. ამ სალოცავთა სახელობაზეა გამოცხობილი. სახატო მამულების მოხვნისას გამოაცხობდნენ ხავიწიან ქადას, რომელსაც უღელზე გასაჭრელი ჰქვია. გუთანში შებმული ხარების უღელზე დასტური ქადას დაჭრიდა და ლუდით დაილოცებოდა. ლიტ.: გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში. 2007. აღ. ოჩიაური, ქართ. ხალხ, დღეობები აღმ. საქ. მთიანეთში, 1991.

ქადაგად დაცემა (ფშ.) - 1. გაქადაგება; ხატში დღეობის დროს მლოცავთაგან ვინმეს (კაცს ან ქალს) გააქადაგებს ხატი და ის რაღაცა ძალით შეპყრობილი, ამ ქვეყნისაგან მოწყვეტილი, თვალდახუჭული ან ცისკენ თვალაპყრობილი იწყებს

გამკვივანი ხმით მოთქმას ხვთის ნებისას. რა მოსწონს და რა არ მოსწონს თავისი საყმოსი უფალს. რას უკრძალავს და რას მოითხოვს მათგან, რა არის მოსალოდნელი. ხალხი გასუსული უსმენს. ბოლოს ქადაგი უცებ დაეცემა არაქათგამოცლილი და დიდხანს მკვდარივით სძინავს. გამოფხიზლებულს აღარაფერი ახსოვს; 2. მეტისმეტად ბევრის ლაპარაკი.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქადაგი (ფშ.) - კაცი ან ქალი, რომელიც ვითომც “ქადაგად დაეცემა” ღვთის ძალით და შემდეგ რომ ქადაგობს, ვითომც ღვთის პირით უქადაგებს ხალხს” (ა. შანიძე).

გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქადა-პურები (ფშ.) - ხატში მისატანი ხავიწის გულიანი ქადა და პური, ხშიადი, ყველანაირი ნამცხვარი.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქადისკვერი (ფშ.) - ხელისგულისოდენა, პატარა კვერი, ქადასავით ხავიწის გულიანი. ქადას ერთს აცხობენ ხატში

მისატანს, ქადისკვერებს კი სამს. ქადებს გაჭრიდა ხევისბერი, ქადისკვერებს ბავშვებს დაუგორებდა.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქაზდარი (ფშ.) - მიწის იატაკი, კერა; ხმელი მიწა დასაწოლად.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქათიბი - ტყავის ჩასაცმელი, იგვე ქურქი. ქათიბი ახლანდელი ქულაჯა არის (თუშეთი). მას ბეწვი (კვერნის, მელიის) შიგნით და გარედანც შემოვლებული აქვს. მკლავებზე ხსნილი ჩასაცმელია. საქათიბე ქსოვილი იყო: მაუდი, აბრეშუმი, ხავერდი. ქათიბის ზედა ტანის გამოჭრილობა ქართული კაბის მსგავსი იყო, ყუთურმაჯიანი, უსაყელო. სარჩულად შიგნით ტყავი ჰქონდა, სიგრძით მუხლებამდე იყო. კაბის ზემოდან მოსაცმელი ქათიბი ზამთრობით გამოიყენებოდა. ხავერდის ან ატლასისგან შეკერილი ტყავკაბის მსგავსი ქათიბი მეტად საპატიო და ლაზათიან ჩასაცმელად ითვლებოდა. ქათიბის სახელოები ყოშით იყო დაბოლოებული. ის წელში იყო გადაჭრილი, რამდენიმე კალთისაგან შემდგარი ქვედა ნაწილი ზედა ტანთან ნაოჭით იყო გადაკერებული. ქათიბი წინ მთლიანად იყო ჩახსნილი და გულისძირთან ეკერა შესაკრავი დილები. მისი ფერები ჩამცმელის ასაკისა და გემოვნების მიხედვით ირჩეოდა. ოქრომკედის ქათიბები, ზოგჯერ დაბეწვილი, იეზდის ნაქსოვი ქათიბები, ზარბაზის ქათიბი და სხვა XVIII საუკუნის მხითვის წიგნებში, ქალ მხლებელთა გასაყოლად, უხვად გვხვდება. ქათიბს მამაკაცებიც იცმევდნენ (თუშეთი). ქალებმა მის ნაცვლად პალტო შემოიღეს.

ლიტ.: მასალები..., 1983:15; ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქა-

რთველი ერის..., 1962:51-54; ლ. ბოჭორიშვილი, კახური ჩაცმა-დახურვა, ანალები, I, 1947:205; გ. ბოჭორიძე, თუშეთი, 1993:133, 145.

ქათმის ფერხვა - ტრადიციული წეს-ჩვეულება, რომელსაც ახალი წლის მეორე დღეს ასრულებდნენ. 2 იანვარს ე. წ. „ქათმის ფერხვა“ იმართებოდა. ოჯახის წევრი ქალი, ან მოწვეული მფერხავის ქალი, ქათმის საკენკით ხელში, საქათმესთან მივიდოდა და ქათმებს დალოცავდა. ქალის მფერხაობა ვარიების მომრავლებას ნიშნავდა. კაცის მოსვლას იბრძნიდნენ, ბევრი ყვინჩილა იქნება წიწილებშიო. ამ დღეს აჭარაში მრავალგვარ აკრძალვას იცავდნენ; სკამზე თოკს შემოახვევდნენ - „კრუხი შორს არ წავაო.“ ოთახის დაგვაც ამ დღეს აკრძალული იყო - „ქათამი ყველაფერს დაჭეჭყავს ბოსტანშიო.“

ლიტ.: ჯ. ნოღაიდელი, აჭარული კილოს სალექსიკონო..., 2015:253.

ქათმიფეხაი - ორნამენტის სახე აჭარულ ნაქარგობაში.

ქაიბური (ფშ.) - მშვილდის ტარზე მბრუნავი ნაჭდევებიანი რგოლი, რომელიც მშვილდის დაჭიმულ ლარს იჭერს, ვიდრე დასხლტებოდეს. ბოძალდი” (ა. მანიძე).

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქალამანი - ტყავის საზაფხულო ფეხსაცმელი. ზამთარში - ქალამანი „ბანდული“ (რაჭ.) იყო ძველად. ქალამანს ქალიც ირგებდა და კაციც, შიგ მთის ბალახს ჩააფენდნენ, თბილიც იყო და ფეხზე ლამაზიც. ბანდული ტყავის ქალამანია, გადმობრუნებული და ქვეშ მისივე კანით გაბანდული. მას ადრე „ფა-

ჩატურს“ ეძახდნენ. ბანდულს ზამთარში წინდა-პაჭიჭზე უკეთ იყენებდნენ, თოვლში შიგნით წყალი არ რჩება, ოღონდ „წერეჟო (ბალახია) უნდა წაუგონ.“ მაღალ მთაში, სადაც წერეჟვა იზრდება, საქონელი ვერ ადის. სამეგრელოში ქალამანს გამოუყვანელი (დაუმუშავებელი) ტყავისაგან კერავდნენ. მას „კაზანი“ ერქვა. საპირეს ჯერ ალბობდნენ და შემდეგ ჭრიდნენ. ქალამანს ძირი არ ჰქონდა. მას ამოკერავდნენ, თასმებს (ამპოურს) დააკერებდნენ და მზად იყო საზამთრო ფეხსაცმელი. ძველად გურიაში ქალამანს ხმარობდნენ, რომელსაც ყველა კერავდა გადაუფხეკელი, მშრალი, ბალნიანი ძროხის, ხარის, ცხენის, ღორის და დათვის ტყავისაგან. აჭარლები ქალამანს//ქალაბანს ეძახდნენ, არის „პუნტყლიანი“ და „უპუნტყლო“ (ბალნიანი და უბალნი). ქალამანზე ბაწარს გადაიბამდნენ, ღვედს - არა, ამბობდნენ, გახმებაო. რაჭაში, საზამთროდ, პაჭიჭები და ქალამანი იყო უპირატესი ფეხსამოსი და ფეხსაცმელი. ზოგადად, მთაში, მაგალითად, მთიულეთში ქალამნის ამოსხმასს თავისი წესი ჰქონდა და კაცსა და ქალს, - ყველას უნდა სცოდნოდა.

ლიტ.: მასალები..., 1983:230, 235, 249-250, 253, 265; ს. მაკალათია, მთიულეთი, 1930:105; ლ. ბოძაშვილი, ფშავი და ფშაველები, 1988: 20; Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, Т. 2, Тиф., 1886.

ქალაფთონი / ყალიფთანი - ბრტყელპირიანი მარწუხი, რომლის მეშვეობით აღიდას (იხ.) ნახვრეტში შესულ მავთულს გამოსწევენ და „გაწურავენ“. მისი ბრტყელი პირის მეშვეობით მავთულის გაუწყვეტლად გამოღება ნახვრეტიდან უფრო იოლია.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ქალების ნადი - ნადური შრომითი გაერთიანება. სქესობრივი დაყოფის მიხედვით, შესასრულებელი სამუშაოს სიძნელესა და მეურნეობრივ თავისებურებებსაც ითვალისწინებდა. საერთოდ, ქართულ-კავკასიურ მთურ მიწათმოქმედებაში ქალის შრომა საკმაოდ ფართოდ გამოიყენებოდა. გავრცელებული იყო ნადი მატყლის საჩეჩავში; აჭარაში მას „საჩეჩავში ნადი“ ეწოდებოდა. მის შემადგენლობაში ოცამდე „ხელაქნარით“ (მარჯვე ხელსაქმით) ცნობილი ქალი იყრიდა თავს. ასეთი სახის ნადს, უმეტესად, შემოდგომა-ზამთარში იწვევდნენ და გულუხვად უმასპინძლებდნენ. აჭარის მთიანეთში ქალების ნადი ადრე ვახშობიდან მამლის პირველ ყივილამდე, საშუალოდ, 5-6 საათს მუშაობდა. იმის მიხედვით, თუ რომელ ნადზე იყო დაპატიჟებული ქალი, მას თან უნდა ჰქონოდა საჩეჩელი ანდა ხერტალი (ხელტარი). ქალების ნადის მოწვევა მატყლის რთვა-ქსოვის შრომატევადი სამუშაოთი იყო განპირობებული.

ლიტ.: ნ. ჩიჯავაძე, სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, 1969:43; ჯ. ჩხეიძე, შრომის პოეზიის ძირითადი სახეები აჭარის ზეპირსიტყვიერებაში, 1961:13; თ. გელაძე, კოლექტიური შრომის ფორმები გურიაში, მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1980:46.

ქალების ჩოხა - თორმეტნაოჭიანი მოკლე კაბა (რაჭ.).წინ ჩაბრატებით იბნევდნენ და გულთან გულსაფარს აიფარებდნენ, რომელიც უსახელო ჩასაცმელი იყო წელს ზევით, კაფთარას შიგნით. საქართველოში ქალისა და მამაკაცის ტანი-

სამოსს შორის დიდი განსხვავება არ იყო, სახელებიც საერთო იყო: კაბა, ქათიბი, ჩოხა და სხვა. განსხვავება მხოლოდ სიგრძესა და ზოგიერთ თავისებურებებში გამოიხატებოდა.

ლიტ.: მასალები..., 1983:228; ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის..., 1962: 72; Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, Т. 2, Тиф., 1886:9.

ქალთგორაობა - თუშური რიტუალი - მოპირისპირე სქესთა საწესო თამაში; იმართება ყველიერის შაბათს, დიდმარხვის მეორე კვირას. ეს რიტუალი სხვადასხვა სოფელში სხვადასხვაგვარად სრულდება. ქვემოთ წარმოდგენილია მისი ორი ვარიანტი - ვესტმოური (გომეწერის ხეობა) და ომალოური (ჩაღმა ხევი): ვესტმოში საამდლისოდ გათხოვილი ქალები სოფლის უგვირგვინო გოგო-ბიჭებს რომელიმე ოთახში შეკრებენ, კარებს ჩაუკეტავენ, საგანგებოდ გამომცხვარ „საგულაყიან კოტორს“ - „ქალთგორაობის კოტორს“ - „ქალსაგორნაყოში“ (ქალთგორაობისთვის გამოყოფილი ადგილი) წაიღებენ და თოვლში დამალავენ; შემდეგ ერთ-ერთი ქალი კარებს გაუღებს ახალგაზრდებს, რომლებიც დამალული კოტორის საძებრად გაეშურებიან; რომელიმე მათგანი იპოვის კოტორს და შორს გადაისვრის, თან დაიძახებს: „ღმერთო, მოგვიყვანე კარგი მოსავალი“; დანარჩენები კოტორის ძებნას შეუდგებიან; მპოვნელი კოტორს კვლავ იმავე სიტყვებით გადაადებს; ვინც მესამედ გასროლილს იპოვის, გამარჯვებულია და კოტორიც მისია. კოტორის გასროლასა და ძებნაში გოგო-ბიჭები ერთმანეთს თოვლს აყრიან; ასე თოვლობით წამოვლენ სოფლისკენ. აქ მათ ნიჩბებით გათხოვილი ქალები დახვდებიან

და ყველას თოვლს აყრიან (თოვლში „მარხავენ“). როცა თამაშით დაიღლებიან, იმ სახლში წავლენ, სადაც ჩაკეტილები იყვნენ, და იქ „ტამ-ტირილაყი“ (ლხინი) იმართება. ლხინში აუცილებლად გარდაცვლილ ახალგაზრდებსაც მოიგონებენ: „შეუნდოს იმ უგვირგვინო ახალგაზრდებს, ვისაც ოასთაყ ხუმრობა-გართობა გამუყვლია-დ ოახლ აღარ არიან“.

ომალოში, სადაც რიტუალს და თვით ყველიერის შაბათს „ქალთგორაობას“ უწოდებენ, სასოფლო კოტორს აცხობენ. რიტუალი მამაკაცებსა და ქალებს შორის მხიარული შეჯიბრის ხასიათს ატარებს. კოტორის ცხობის პროცესში, ან საამდლისო სუფრის განმავლობაში ცდილობენ, ერთმანეთს ფარულად ერთი კოტორი მოპარონ. მომპარავი მას თოვლში, საძნეში, ბოსელში ან სხვაგან დამალავს. თუ კოტორის მოპარვა ქალმა მოახერხა, იგი კაცებმა უნდა იპოვონ, თუ კაცმა - ქალებმა. ვინც კოტორს ისე დამალავს, რომ მოწინააღმდეგე ვერ იპოვის, გამარჯვებულიც ის დარჩება. თუ კოტორის მოპარვა მეორე მხარემ შეამჩნია, მომპარავს გამოუკიდებიან და წართმევას შეეცდებიან. აქ კი ქალები და მამაკაცები ერთმანეთს აკოტრიალებენ და თოვლში ფლავენ. სადამოს კვლავ ლხინი იმართება. ქალთგორაობა||ქალთგორაობის რიტუალში აშკარად შეიმჩნევა საგაზაფხულო ეროტიკული თამაშების კვალი.

ლიტ.: ნ. აზიკური. კოტორი, როგორც რიტუალური პური თუშეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXIII. თბ., 1987, გვ. 222; გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 84-85.

ქალმის ჩხირი - რქის სადგისი, აკეთებდნენ თხის რქისაგან. რქას ჩალებდნენ ცხელ ნაცარში ან ცხელ წყალში და როცა დალბებოდა, მას ნაჭრებად დაჭრიდნენ.

მემდეგ გამოთლიდნენ ფორმის მიხედვით, თავში გახვრეტდნენ, რათა თასმა გაეყარათ და ქამარზე ჩამოიკიდებდნენ. ქალმის ჩხირი ძველად მეტად საჭირო იარაღი იყო. იყენებდნენ ძირითადად ქალამნების ამოსხმის დროს. აღსანიშნავია, რომ რქის სადგისები საქართველოში გვხვდება ქვის ხანიდან მოყოლებული ფეოდალური ხანის ჩათვლით.

ლიტ.: ჯ. სონდულაშვილი, მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის. 1964; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ქალქვა - გურჯაანის რაიონში, იქ, სადაც დღეს ახტალაა, ოდესღაც ქალის ქვის ქანდაკი მდგარა, რომლის თაობაზე გადმოცემა შემდეგ გვაუწყებს: ერთხელ ქრისტეს ფერისცვალების დღეს კალოს გაღეწვა აუკრძალავს. მაცხოვრის ნათქვამი ერთ მღვდელს არ შეუსმენია და ამ დღეს კალო უღეწავს. ქრისტე ღმერთი გაჯავრებულა, გლახის სამოსი ჩაუცვამს, მღვდელთან მისულა და უნახავს კალოს როგორ ლეწავდა; უთქვამს: მღვდლო, დღეს რა დღეა, კალოს როგორ ლეწავო? მღვდელს უპასუხია: ჩვენმა ქალებმა დილაადრიან იცვალეს ფერიო; მაცხოვარი უსიტყვოდ გამობრუნებულა; ამ დროს მღვდელთან მისი გათხოვილი ქალიშვილი ბავშვთან ერთად ყოფილა, მისთვის უთქვამს: აიყვანე შენი შვილი და აკვანი და ქმრის სახლში უკან მოუხედავად წადი, თორემ გაქვავდებიო. ქალი რომ გამგზავრებულა, ქრისტე ღმერთს იქაურობისთვის ჯვარი გადაუსახავს და ახტალად უქცევია: ამოვარდნილა საშინელი ქარიშხალი და მღვდლის სახლ-კარი წაუღეკავს. ქმართან მიმავალ ქალს უფიქრია, ნეტა ჩემს მშობლებს რა დაემართაო, სერზე ასულა, უკან მოუხედავს და უხილავს, რომ მისი

დედ-მამის სახლ-კარის ადგილზე ნაცარტუტის ტბა დამდგარიყო; ერთი „უიმე“ დაუძახია და იქვე გაქვავებულა. ადგილობრივთა აღნიშვნით, ეს ქალქვა „უწინ რუს ჯენწიფეს“ წაუღია.

ანალოგიური მოარული სიუჟეტი საქართველოში არსებულ რამდენიმე ტბის გაჩენას უკავშირდება.

ქამალალო (ფშ.) - ირმის ფეხის (უკანა ფეხის) ტყავის მათარა.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქანდაკება - აქ: საფლავის ქვის ძეგლი, ერთ-ერთი ტიპი მემორიალური კულტურისა, რომელშიც გარდაცვლილია განსახიერებული. მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლური რწმენით ქანდაკების კვეთა აკრძალული იყო, მემორიალურ კულტურაში ამ დარგმა გარკვეული გზა მაინც გაიარა. ეს განსაკუთრებულად გამოჩნდა ხალხურ ქვითხურობაში, სადაც ქანდაკების არაერთი საყურადღებო ნიმუშები შეიქმნა. მემორიალურ კულტურაში ხალხური ქანდაკებების კვეთის საფუძვლები ჩამოყალიბდა ქვითხურობით განთქმულ დასავლეთ საქართველოს ცენტრებში (იმერეთი - ჭოგნარი, ბერეთისა, კაცხი, ლეჩხუმი - ლაილაში, ჩხუტელი, ქვ. სვან. ყვედრეში და სხვა), უფრო იშვიათად აღმოსავლეთშიც. ამ ტიპის ძეგლებს განეკუთვნება საფლავის ქვის ზოომორფული ძეგლებიც, რომლებიც გავრცელებული იყო ზემო და ქვემო ქართლში (იხ. ზოომორფული ძეგლები). ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული საფლავის ქანდაკებანი საინტერესოა ზოგადქართული ქანდაკების ისტორიის კვლევის თვალსაზრისითაც.

ლიტ.: ე. ნადირაძე. საქართველოს მემორიალური კულტურა. თბ., 2001.

ქანდაქი - გამოყვანილი და ნაჭრებად აჭრილი ღორის ტყავი, რომლისგანაც ქალამნებს ასხამდნენ („კანიში ჩაფლა“ მეგრ.). ხშირადაა დასახელებული სამეგრელო - აფხაზეთის საბეგრო გამოსაღების სიაში. საქანდაქო ღორი უნდა ყოფილიყო გარკვეულ ფიზიკურ დონემდე მიღწეული, რომ მისი ტყავი ხარისხიანი გამოსულიყო.

ლიტ.: ო. სოსელია, ნარკვევები... ტ. III. 1980; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ქანიშკაპი - ფიცრის ამოსადარავი ხელსაწყო. გამოიყენებოდა ხითხურობაში. ხის ნაგებობის კედლების ამოყვანისას, ფიცრების ჩასალაგებად იხმარებოდა ბოყვები (იხ.), რომლებიც მთელ სიგრძეზე იყო ამოღარული, რათა კედლის ფიცრების გაემაგრებინა. ასეთი ღარის ამოსაღები იყო ქანიშკაპი.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ქარასხა (ფშ.) - გუდა-სტვირის ჩასაბერი და დასაკვრელი”(ა.შანიძე.)

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქარგვა და ნაქარგობა - ქართული ქარგულობა ოდითგანვე იყო განთქმული. საზოგადოდ, მაღალი წრის ქართველი ქალები ქარგვის ხელოვნებაში ეძებდნენ თავიანთი ნიჭის გამოხატულებას. ქარგვაში ჩაქსოვილი ესთეტიზმი ბევრად განსაზღვრავდა ქალის ნიჭისა და გემოვნების სიმაღლეს და ასეთი დამოკიდებულება ყველა ფენისა და წოდების ქალთა ნამუშევრებში შეინიშნება. ქარგვის ხელოვნებას ხელს უწყობდა იმპორტული

აბრეშუმის შემოდინება. საქართველო თავადაც აწარმოებდა აბრეშუმს და ეს გარემოება კიდევ უფრო ახალისებდა ქარგვის პროფესიის ამაღლებასა და დახვეწას. უბრალო ფერად დაფთან ერთად ქარგულობაში დიდი ადგილი ეჭირა ოქრომკედსა და ვერცხლმკედს. ქარგვის ხელსაქმის ოსტატებში იყვნენ ისეთები, რომელთა ნაწარმი საექსპორტოდ გაჰქონდათა და იყვნენ ისეთებიც, ვინც სასაჩუქრედ ან თავის გამოჩენისათვის ქარგავდა. ქართულმა ქარგულობამ განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია ფეოდალური ხანის საეკლესიო დაფარნების შემკულობაში, რომლის მსგავსი იშვიათად თუ მოიპოვება ქრისტიანულ ხელოვნებაში.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ქარგულა (ფშ.) - სამჭედლოს საბერველი.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქართველი (ფშ.) - ქართლელი, თბილისელი (ამას გარდა დანარჩენი საქართველოა კახები და იმერლები).

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქართლური ჩოხა - ყუთმაჯებიან ჩოხას ქართლურს უწოდებდნენ, რომელიც პრივილეგირებულ საზოგადოებაში ქართული ჩაცმულობის გავრცელებული ტიპი იყო. მას სახელოები ღია ჰქონდა, ფართო და გრძელი, წელში კი, საშუალოდ იყო გამოყვანილი, აბრეშუმით იყო გამოწყობილი. გული გაწყობილი იყო, მაგრამ მასრები არ ჰქონდა, გულთათები ჩერქეზული ჰქონდა. წინათ მესხები ისეთივე ტანსაცმელს ატარებდნენ, რო-

გორც ქართლები. მამაკაცებს გრძელი და უკან ნაოჭიანი, ყურთმაჯიანი ჩოხა ეცვათ. ჩოხის შიგნით საგულე მოქარგულ, გრძელ პერანგს იცვამდნენ, რომელიც გვერდებზე იკვრებოდა და კალთის გვერდები ჩაჭრილი ჰქონდა. მამაკაცის სამოსის აუცილებელ ატრიბუტს (სამკაულს) ვერცხლის ნივთები და იარაღი შეადგენდა. ვერცხლისთავიანი მასრები - ქილები ჩოხის საქილეებში ეწყო, ვერცხლისნაწილებიანი ქამარი წელზე ეკეთათ და ზედ ვერცხლისქარქამიან ხანჯალს იკიდებდნენ. მაღალი წოდების წარმომადგენლები ხმალსაც ატარებდნენ. საგულისხმოა, რომ ვ. ბატონიშვილის ცნობით, ქართულ-კახნი ერთნაირად იმოსებოდნენ. ტანზე ლარის კაბა „სკლატის“, ანუ ჩოხის მუხლთქვემომდე იყო, მასზე სარტყელი, შიგნით საგულე ბამბიანი კაბის უმოკლესი აბრეშუმის, ბამბის, ანუ ტილოს პერანგი „უგრძე კაბისა.“

ლიტ.: მასალები საქართველოს შინამრეწველობის..., ტ. III, 1983:213, 216; ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1938:90; ც. ბუზარაშვილი, გ. ჯალაბაძე, ქართული ხალხური ტანსაცმელი, 1988:10; ვ. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა..., ქ. ცხ. IV, 1973:45; გ. ჩიტაია, შრომები, ტ. 4, 2001:185.

ქართული ხალხური ინსტრუმენტული ანსამბლები - ტრადიციული ქართული ინსტრუმენტული ანსამბლი ორი საკრავისგან შედგება: ერთ-ერთი მათგანია სიმებიანი ან ჩასაბერი საკრავი, მეორე - დასარტყმელი საკრავი. ამ უკანასკნელის ანსამბლში გაერთიანება საცეკვაო მელოდიების შესრულებისას ხდება. ანსამბლში გამოყენებული სიმებიანი საკრავია ჩონგური, რომლის დოლთან გაერთიანება აჭარაში დასტურდება. დაირისა და ფანდურის გაერთიანება ანსა-

მბლად კახეთსა და თუშეთში სცოდნიათ. ჩასაბერი საკრავებიდან დოლთან ერთად ანსამბლში ჭიბონი შედიოდა. ასეთი ანსამბლი აჭარაში გვხვდება. ორი სიმებიანი საკრავის - ჩანგისა და ჭუნირის ანსამბლი, რაც იშვიათობაა, მხოლოდ სვანეთშია გავრცელებული (ორივე საკრავი მხოლოდ სვანეთშია შემოინახა).

ამრიგად, ქართული ტრადიციული ინსტრუმენტული ანსამბლი აერთიანებდა ორ სხვადასხვა საკრავს, რომელთაგან ერთი აუცილებლად დასარტყმელი ინსტრუმენტი (დოლი, დაირა) იყო; შემოიფარგლებოდა მხოლოს საცეკვაო ჟანრით.

ლიტ.: მ. შილაკაძე. ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა. თ., 1970. გვ.81-82.

ქართული კაბა - ქალის ტანსაცმელი. ქართული კაბა ხუთი განისაგან შედგებოდა, ოთხი სწორი განი და მეხუთე ზედატანი, ანუ კარძოლი, რომელიც ბეჭებისა და ფერდებისაგან შედგებოდა. კაბის გული ირიბად იყო ამოღებული, საყულო არ ჰქონდა, ყუთურმაჯად სწორი განი იყო ორად მოკეცილი და ჩაკეცილი. საყუთურმაჯე ფარჩა და საკაბე სხვადასხვანაირი იყო; სარტყელი - სამი თითის დადება, რომელზეც ფოთლით ჩამოსაშვებს მიაკერებდნენ. კაბას მაღალი ქობა ჰქონდა შემოვლებული. ქვედა და ზედა ტანი ერთმანეთზე იყო მიკერებული, ხოლო წინა კალთა - მიუკერებელი. უკანა კალთა წინაზე ერთი მტკაველით გრძელი იყო. მოგვიანებით შემოსულ კაბებს კი, კალთები თანასწორი და კუდი პატარა ჰქონდა. საკაბე მასალად აბრეშუმის ქსოვილი ყოფილა მიღებული. საქართველოში ქართული კაბები იყო გავრცელებული, მაგრამ XVII ს-ში - სპარსეთის ძლიერების ხანაში, მაინც იყო განსხვავება ქართულსა და სპარსულ კაბებს შორის. ხშირად, ეროვნულად მიჩნეული ტანისამოსი უცხოეთიდან არის

შემოსული, რომელსაც გარკვეული ხასიათი ენიჭება და აღჭურვილია ეროვნული თავისებურებებით. განსხვავება ეროვნული თავისებურებების გარდა, წინათაობისა და თანამედროვე ტანსაცმელს შორისაც ვლინდება. ამ განსხვავების თვალსაჩინოებისათვის ნიშანდობლივია ქართული და სპარსული მინიატურები. ქალის ტრადიციულ ჩასაცმელში ოთხი ტიპი გამოირჩევა: ქართული, ანუ ქართლ-კახური, ხევსურული, თუშური და რაჭული.

ლიტ.: მასალები..., 1983:15; ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართული ერის მატერიალ..., 1962:102; ლ. ბოჭორიშვილი, ქართული ხალხის მატერიალური... 2017:5.

ქართული კვერი - სალენი იარაღი. შედგენილობის მიხედვით ორი სახისაა. ერთი ფიცრისაგან დამზადებული ცხენისათვის ყოფილა განკუთვნილი, ორი ფიცრისაგან კი - ხარებისათვის.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, აღმოსავლ. საქართველ. სამიწათმოქმედო... 1940:135.

ქართული მეღვინეობა - მეღვინეობა საქართველოში ჯერ კიდევ ჩვენ ერამდე გაჩნდა, რასაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ღვინის შესანახი ჭურჭლები, სასმისები, შრომის იარაღები ადასტურებს. კერძოდ, საქართველოში ვაზისა და ღვინის კულტურა კერ კიდევ 7000 წლის წინ იყო განვითარებული, რაც საქართველოს ღვინის სამშობლოს სტატუსს ანიჭებს. საქართველოში მეღვინეობა-მევენახეობას, ალკოჰოლური სასმელების წარმოების განვითარებას და დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბებას თავისი კვალი ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმაც და-

ამჩნიეს. ძირითადი, მაინც ქართველი მეურნის დაულალავი შრომის შედეგია. მეღვინეობასთან შედარებით, კონიაკისა და არყის ქარხნული წარმოება შედარებით უფრო ახალგაზრდაა და მისი განვითარება საქართველოში XIX ს-ის შუა ხანებში დაიწყო. ქართული სამარკო ღვინოების ტექნოლოგიის მრავალსაუკუნოვანი ისტორია მოიცავს ძირითად ეტაპებს: 1. მთელი მეღვინეობის წარსული XIX საუკუნის 80-იან წლებამდე; 2. XIX ს-ის 80-იანი წლებიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე; 3. ახალი ერაა (ისევე, როგორც მეურნეობის სხვა დარგებში) ქართული მეღვინეობის შემდგომი განვითარებისათვის. XIX ს-ში ქართული ღვინოების ასორტიმენტის გაზრდისა და მაღალი ხარისხის მიღების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ალექსანდრე ჭავჭავაძეს (როგორც კარგ მეურნეს, ახალი ჯიშები შემოჰქონდა), ი. ბაგრატიონ-მუხრანელს, (პარიზის საერთაშორისო გამოფენის მთავარი პრიზი -ოქროს მედალი მისმა ღვინომ - „მუხრანელმა“ დაიმსახურა 1889 წელს); აგრეთვე, ი. ზ. და ი. ვ. ჯორჯაძეებს (სოფელი ენისელი და საბუე). მათ პირველებმა დაამზადეს კახეთში ევროპული ტიპის ღვინოები და მაღალი შეფასება დაიმსახურეს; პ. ნ. ავერკინმა - ენთუზიასტმა მეღვინემ, 38 წლის მუშაობის პერიოდში შექმნა კახური და ევროპული ტიპის ღვინოების შესანიშნავი ენოთეკა. XIX ს-ში დასავლეთ საქართველოში შეიქმნა მაღალი ხარისხის სამარკო ღვინოები: „ოჯალეში“ (სამეგრელოში) და „ხვანჭკარა“ (რაჭაში). XIX ს-დან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, გაუმჯობესდა ტექნიკური ბაზა, გაფართოვდა სამარკო ღვინოების ასორტიმენტი მეტად მაღალი ღირსების ღვინოებით. ესენია: „წინანდალი“, „მუკუზანი“, „ნაფარეული“, „თელიანი“ და ა. შ. მესამე პერიოდში შეიქმნა მტკიცე მატერიალურ-ტექ-

ნიკური ბაზა, მომზადდა კვალიფიციური ნაციონალური კადრები, გაფართოვდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და სხვა.

ლიტ.: ნ. გელაშვილი, მეღვინეობა, ნაწ. II, 1961:214-215; თხევადი მზის ქვეყანა, 2012:3, 18, 52.

ქართული ნაჯახი - საქართველოში გავრცელებულ ხის დასამუშავებელ იარაღებს შორის ე.წ. „ქართული ნაჯახი“ სახელოსნო იარაღია. იგი მეტად თავისებური აღნაგობისაა, რაც სრულად შეესაბამება ხითხურობის (სადურგლო) საქმიანობის სპეციფიკას. ნაჯახის ძირითადი დანიშნულებაა: ხის გათლა, სამშენებლო (საკედლე ფიცარი ან სხვ.), სამეურნეო (სამიწათმოქმედო იარაღები) და საოჯახო (ავეჯი, დგამ-ჭურჭელი) თუ სხვადასხვა იარაღ-ხელსაწყოების მასალის დამუშავება. ქართული ნაჯახი ამჟამადაც საჭირო იარაღია. საქართველოს გარდა მეტ-ნაკლებად გავრცელებულია ჩრდილოეთ კავკასიაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ამ ნაჯახს ქართველი მჭედლები ამზადებდნენ და საკმაოდ რთული გასაჭედიც იყო, რასაც მისი დამუშავების ტექნიკასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიაც ცხადყოფს: საცულე რკინის „შერჩევა“, „გაზომვა“, „გახურება“, „გაკვერვა“, „გაყვანა“, „გაწევა“, „გაკოპიტება“, „მოქნა“, „მოკეცვა“, „დასარჩულება“, „შედულება“, „შემტკიცება“, „გაკაზმვა“, „დაყენება“, „გალესვა“, „წრთობა“, „გაფერვა“ და სხვ.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. 2011.

ქართული ცელი (ფშ.) - ძველებური ქართული ცელები იყო ხანჯალივით ორმხრივ მჭრელი, გამოსმითაც ჭრიდა ბალახს და უკან გაქნევითაც (ეხლა რაც ცელებია, რუსულია).

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშური ლექსიკონი.

ქართლური ჩოხა - ყუთმაჯებიან ჩოხას ქართლურს უწოდებდნენ, რომელიც პრივილეგირებულ საზოგადოებაში ქართული ჩაცმულობის გავრცელებული ტიპი იყო. მას სახელოები ღია ჰქონდა, ფართო და გრძელი, წელში კი, საშუალოდ იყო გამოყვანილი, აბრეშუმით გაწყობილს გულიც გაწყობილი, მაგრამ მასრები არ ჰქონდა, გულთათები ჩერქეზული ჰქონდა. წინათ მესხები ისეთივე ტანსაცმელს ატარებდნენ, როგორც ქართლები. მამაკაცებს გრძელი და უკან ნაოჭიანი, ყურთმაჯიანი ჩოხა ეცვათ. ჩოხის შიგნით საგულე მოქარგულ, გრძელ პერანგს იცვამდნენ, რომელიც გვერდებზე იკვრებოდა და კალთის გვერდები ჩაჭრილი ჰქონდა. მამაკაცის სამოსის აუცილებელ ატრიბუტს (სამკაულს) ვერცხლის ნივთები და იარაღი შეადგენდა. ვერცხლისთავიანი მასრები - ქილები ჩოხის საქილებში ეწყო, ვერცხლისნაწილებიანი ქამარი წელზე ეკეთათ და ზედ ვერცხლისქარქაშიან ხანჯალს იკიდებდნენ. მაღალი წოდების წარმომადგენლები ხმალსაც ატარებდნენ. საგულისხმოა, რომ ვ. ბატონიშვილის ცნობით, ქართლელ-კახნი ერთნაირად იმოსებოდნენ. ტანზე ლარის კაბა „სკლატი“, ანუ ჩოხის მუხლთქვემომდე იყო, მასზე სარტყელი, შიგნით საგულე ბამბიანი კაბის უმოკლესი აბრეშუმის, ბამბის, ანუ ტილოს პერანგი „უგრძე კაბისა.“

ლიტ.: მასალები საქართველოს შინამრეწველობის..., ტ. III, 1983:213, 216; ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1938:90; ც. ბუზარაშვილი, გ. ჯალაბაძე, ქართული ხალხური ტანსაცმელი, 1988:10; ვ. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა..., ქ. ცხ. IV, 1973:45; გ. ჩიტაია, შრომები, ტ. 4, 2001:185.

ქარის უქმი - ჯელუძრავი უქმე, რომელსაც ხევსურები ენკენის თვეში, დაახლოებით ენკენის დღეობის (იხ. „ენკენია“) სწორზე, ხუთშაბათ დღეს ჭირნახულის ქარისაგან დასაცავად ინახავდნენ და არავითარ შრომას არ ეწეოდნენ. სწამდათ, რომ მისი გატეხვა ძნებისა და თივების განადგურებას გამოიწვევდა. ქარისუქმს, რომელიც ოთხშაბათის ნაშუადღევს იწყებოდა, ემატებოდა პარასკევის, შაბათის, კვირისა და ორშაბათის უქმე დღეები, რის გამოც ქარისუქმის კვირას „დღენახევარას“ და „გძელ უქმს“ უწოდებდნენ (იხ. „დღენახევარანი“, „გძელ უქმი“).

ლიტ.: ალ. ოჩიაური. ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. ხევსურეთი (არხოტის თემი). თბ., 1988, გვ.193.

ქარობა - იხ. „ცელგამოლება“.

ქარჩი (ფშ.) - “რკინის იარაღი, მიწის სათხრელი, წერაქვი”. ქარჩვა, თოჯნა, მიწის დამუშავება ქარჩით. ქარჩი თოჯის მაგივრობას ეწევა მთაში, წერაქვივით ან თოჯივით არის, ბოსტანს იმით სწმენდენ გუდამაყარში. თოჯი ბევრს არც კი აქვს, ქარჩი კი ბევრია” (ა. შანიძე). ცალპირა წერაქვია, აქვს მხოლოდ ბრტყელი პირი.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშური ლექსიკონი. (რაზ.-ჭყ.)

ქასური (ფშ.) - 1. ჩალხის ქვისმაგვარი ქვა, იარაღის უხეშად სალესი. ძალიან დაბლაგვებულ იარაღს ჯერ იმით ლესავენ, მერე წმინდა სალესით მოუმართავენ ფხას. 2. ტახის ის კბილი (მოკლე და მსხვილი), რომელზედაც ეშვს ილესავს. “პირი უგვანდა სინასა, შუბლი ქასურის ქვასაო”.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშური ლექსიკონი.

ქაუშელდიან-ი / ქავშელდიან-ი - ციურ მნათობთა მცველი სვანური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით. როცა გველემაპი მთვარეს გადაყლაპვას დაუპირებდა, ე. ი. როცა მთვარის დაბნელება ხდებოდა, ხალხი სახლიდან გამოვარდებოდა და ქაუშელდიანს დაუწყებდა ყვირილს: „ქაუ, ქაუ, ქაუშელდიან, სად ხარ? მთვარე წაგვართვეს, სად ხარ, გაიღვიძე!“ (სოფ. ცხუმარი); ხოლო მზის დაბნელების დროს ხმაურსა და თოფის სროლას ატეხდნენ და მზეს უყვიროდნენ: „ა-ა-ა ქალბაბარო და ქავშელდიანო, სად ხარ? გაიღვიძე, გაიღვიძე!“ (სოფ. ფარი). ამით ხალხი მოუწოდებდა მზის ყარაულს ქავშელდიანს და მის „აფხანიკს“ ქალბაბარს ეხსნათ მზე გველემაპისაგან.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 131; მისივე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ). თბ., 2006, გვ. 107.

ქაფშიანი კვერცხი - შემწვარი თევზეული. უთავო, გაწმენდილ ქაფშიას დაამარილებდნენ და სიმინდის ფქვილში ამოავლებდნენ. ამავდროულად, ტაფაზე ერბოს დაწვავდნენ, ქაფშიას ჩააწყობდნენ და შეწვავდნენ. შემდეგ ათქვეფილ კვერცხებს მოასხამდნენ. როგორც კი კვერცხი შეიწვებოდა, ცეცხლიდან გადმოდგამდნენ და გაანაწილებდნენ.

ლიტ.: ქართველ ხალხის ეთნოლ. ლექსიკ., 2018:453.

ქამატობა - სამეურნეო ხასიათის ერთგვარი აკრძალვა, როცა მიწაზე მუშაობა არ შეიძლებოდა. ძვ. სტილით აპრილის ყოველი შაბათი ქამატობა იყო. ქამატობა დღეს, რკინეულს, თოხს, ცულს, სახნისს,

ჯილდას სახნავ მიწაზე არ გაატარებდნენ. დაჭედნილ ხარებსაც კი არ გაიყვანდნენ, რომ მიწა არ მოთხრილიყო და ნიაღვარს ყანები არ წაეღეკა.

ლიტ.: ჯ. ნოღაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, ბათუმი, 1971:191.

ქაცარიში რჯგინა („თხის ძლევა“) - მეგრული სამჯობინარო: ვიდრე ახალმობილი ციკანი დაიკინებდა, ადამიანს უნდა დაესწრო და ეთქვა: „გაჯობე, გაჯობე, გაიზარდე, ციკანო“; წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაჯობნ ადამიანს ხშირად წამოცდებოდა საწყენი სიტყვები. გარდა ამისა, მეგრელებში ცხოველებთან და ფრინველებთან დაკავშირებულ სხვა სამჯობინაროებიც იყო გავრცელებული: მაგალითად, გაზაფხულის პირზე მერცხლის მოფრენამდე, ანუ მის პირველ დანახვამდე, ან მისი ხმის გაგებამდე, ყოველ დილით წყალნარევი ღვინო უნდა შეესვათ, ფრინველის დანახვისთანავე კი ეთქვათ: “მერცხალო, მერცხალო, გაჯობე“. ამ წესის შეუსრულებლობა ავის მომასწავებლად ითვლებოდა; გუგულისა და მოლაღურის პირველი ხმიანობის მოსმენამდე, დილაადრიან მცირედით მაინც უნდა დანაყრებულებიყვნენ და მათი ხმის გაგებისთანავე დაეძახათ - გაჯობეო. ასევე უნდა მოქცეულიყვნენ ახალგამოჩეკილი წიწილის დანახვამდე, თუ არადა ადამიანს „გული დაეღეოდა“; ყვავზე „გამარჯვების“ მიზნით, დიდმარხვაში ნასუფრადიდან ცოტა ყველი, კვერცხის გული და სხვა რამ ნამცეცი კვერცხის ნაჭუჭში უნდა ჩაედოთ და დილაადრიან სხვის ყანაში გადაეგდოთ შეძახილით: „გაჯობე, ყვავო, გაჯობე“ (გორჯგინი ყვარია, გორჯგინი). სწამდათ, რომ ამის შემდეგ ყვავი ოჯახის ქათამსა და ჭირნახულს ვერ დააზარალებდა. გავრცელებული იყო სხვა სახის სამჯობინაროებიც.

ლიტ.: ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 334-335.

ქაჯია (ფშ.) - ცხოველის წინა ფეხის ძვალი მუხლიდან ჩლიქამდე” (ა. შანიძე). ცხვრის წვივის ძვალი, რომელიც საჯილდაოა. ქეიფისა და მხიარულობის დროს ახალგაზრდები, კაცები ჩამოატარებენ სუფრაზე, ვინ შეძლებს ხელით მის გადატეხას. ამას იშვიათად თუ ვინმე ახერხებს. გადმოცემით, ვერ მოუხერხებია ვერც ვაჟა-ფშაველას, მის მამას პავლეს კი ის ძვალი იოლად გაუტეხია, ხერხი სცოდნია.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქვანი თექალთო (ფშ.) - უნაგირის ქვეშ გადასაფენი ნაბადი, ქეჩა.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქერ-დიკა - მთის ზოლის ხორბლისა (დიკა) და ქერის შერეული ნათესი, იგივეა, რაც ქერჭრელი. აჭარაში დიკას როგორც წმინდად, ისე ქერთან შერევით თესდნენ. იხ. ქერჭრელი.

ქერი - უძველესი მარცვლეული კულტურა. საქართველოში მისი ენდემური ფორმების მრავალგვარობაა. პურეულის საერთო წარმოებაში ადრე მესამე ადგილი ეკავა. ერთ-ერთი მთავარი მწარმოებელი რესპუბლიკაში ონი (რაჭა) იყო. საადრეო მარცვლეულია, საგაზაფხულო კულტურაა და ამან განაპირობა მაღალმთიან ზონაში ფართო გავრცელება. ქერი - ქრთილი (ძველი აღთქმა), „სათესის იფქლი და ქრთილი“ (ეს. 28, 25).

ლიტ.: ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება..., 1960:48-52; ი. აბუ-

ლაძე, ძვ. ქართული ენის ლექსიკონი, 1973:452.

ქერობა - საგაზაფხულო ციკლის მესხურ-ჯავახური წეს-ჩვეულება. როდესაც გლეხი სახნავად ხარს პირველად გაიყვანდა და ჯილღაში შეაბამდა, ოჯახის უფროსი ამ ხარს შუბლზე კვერცხს მიარტყამდა და ეტყოდა: „წადი და ჰალაღად იმუშავე მთა და ბარში, ვინც კვირა-უქმეს შეგაბას, ხელი შეახმეს მკლავზე“.

ლიტ.: ს. მაკალათია. მესხეთ-ჯავახეთი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი). თბ., 1938, გვ. 110; გ. ზედგინიძე, ჯავახური ლექსიკონი, 2014:288.

ქერსვილი - ქერისა და ჭკავის შერეული ნაფქვავი.

ქერჭრელი - შერეული თესლი. ქერისა და დიკას თესლს აურევდნენ ერთმანეთში და ერთად თესავდნენ გაზაფხულზე. მას ეწოდებოდა ქერჭრელი. ქერ-დიკა, ერთმანეთში არეული ქერი და ხორბალი.

ქეშაო - ქვის სიმაღლის სიზუსტის საზომი იარაღი. ქეშაო მოყვანილობით ცალმხარწაჭრილ გონიოს მიაგავს.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ქემლური (ფშ.) - თხის ან შვლის ბეწვგაცლილი, დამუშავებული ტყავის პატარა გუდა, რომელშიც მწყემსები ხალს ზელავენ.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშური ლექსიკონი.

ქეჩეჩი (ფშ.) - სიმინდის ტაროს “ქოჩორი”, “თმა”, რომელსაც სამკურნალოდ

ხმარობენ: ოფლმდენი და შარდმდენი საშუალებაა.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშური ლექსიკონი.

ქეჩი (ფშ. < - თურქ. ქეჩი – თხა) (რაზ.-ჭყ.) - ცხვრის ფარის წინამძღოლი ვაცი” (ა. შანიძე).. “ნუ მიტრიალებ ქეჩებსა, შირაქში მიმავალსაო”.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშური ლექსიკონი.

ქვამ-საკიდელის ანგელოზი / ქვამ-საკიდელზე მდგომი ანგელოზი / ქვამ-საკიდელის მცავი ანგელოზი - ხევსურული ჯვარის (ხატის) საქვამის ქვამ-საკიდლის მფარველი სული.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია) // მიმომხილველი. I. თბ., 1949, გვ. 146-155.

ქვამ-საკლავი - იხ. ქვამშეკიდება / ქვამშეკიდება.

ქვამშეკიდება / ქვამშეკიდება (თუშ.) – საზედაძე ლუდის/ალუდის ხარშვის პროცესის დაწყება, რაც რაიმე ღირსსახსოვარ საზეიმო (ან სამგლოვიარო) დღეების აღნიშვნასთან არის დაკავშირებული. ასეთი საგანგებო ღონისძიება თუშეთში სამია: 1. სახალხო რელიგიური დღესასწაულები (ზამთარში „საწელწდობო“ ანუ ახალი წლის ციკლის დღეები და ზაფხულში „სათნიგენებო“ – ზაფხულის რელიგიური დღეობები; აგრეთვე „სასამხვდოე“ – გაზაფხულსა და შემოდგომაზე ამ პერიოდის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მომთავრების, „მესამხვდოე ანგელოზების“ სადიდებლი), 2. საქორწილო და 3. მიცვა-

ლებულის ხსოვნისადმი მიძღვნილი. ამ უკანასკნელთაგან უმთავრესი და აუცილებელი „წლის ხარჯია“, რომელსაც თუშეთში სახელადაც „ალუდს“ უწოდებენ.

გაურკვეველია, რატომ ჰქვია ამ საგანგებო დანიშნულების ლუდის მოხარშვას „ქვაბიდება“/ „ქვაბშეკიდება“, რადგან ამ საკრალური სასმელის ხარშვას ქვაბის დაკიდებასთან თუ ჩამოკიდებასთან არანაირი კავშირი არა აქვს. თუშეთში სიტყვა „ქვაბი“ ორნაირი მნიშვნელობით იხმარება: ზოგადი მნიშვნელობით, როგორც სალიტერატურო ენაში და ყველა ქართულ დიალექტში და ტერმინად, როგორც ლუდის მოსახარში ჭურჭელი და სალოცავის სახელზე მოხარშული, საკურთხად განკუთვნილი ლუდი. თუ რომელიმე ოჯახს მკითხავენ ან ქადაგი ეტყვის, რომ ესა და ეს სალოცავი შენგან ქვაბს ითხოვსო, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სალოცავის დღეობისთვის ლუდი უნდა მოხარშოს, სამსხვერპლო საკლავიც გაიჩინოს, მთელი ოჯახით წარსდგეს სალოცავის კარზე, იქ ღამე ათიოს, სამსხვერპლო პირუტყვი დაკლას, ამ საკლავის საწესობებით (დაუჭრელად მოხარშული მარჯვენა მხარგვერდი), სამი წყვილი სამყურა ხმიადით (წყვილი სამი ხმიადია) და ლუდის ნათავადით („ნათაურათი“) საკურთხი სუფრა დააგოს, რომელსაც ხატის ხუცესი დაულოცავს. დანარჩენი ლუდითა და ხორციტ დღეობაზე მოსულ სტუმრებს უნდა გაუმასპინძლდეს. თუშეთში ამ საგანგებო „ქვაბ-საკლავს“ „თანგირასაც“ ეძახიან.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. ლუდის მოთხრობა. თბ., 2018, გვ. 39-40.

ქვაკაცა (ფშ.) - მწყემსების, მონადირეების, მგზავრების მიერ მთის წვერებსა და გადასასვლელებზე აგებული ქვის სვე-

ტები გზის საორიენტაციოდ. შორიდან ეს სვეტები, მართლაც, კაცი ეგონება ადამიანს.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქვაჯვარი - აქ: საფლავის ქვის ძეგლი, ერთ-ერთი ტიპი მემორიალური კულტურისა, რომელიც ადრეული ქრისტიანობიდან მოკიდებული, ვიდრე დღევანდელ დღემდე, გამოიყენებოდა და იღვებოდა გარდაცვალებულის საფლავზე. არცთუ იშვიათად ქვაჯვრებს, მათი უკეთ გამოგრების მიზნით, უკეთდებოდათ უდე - კვარცხლბეკები, ასეთი ქვაჯვრების საუკეთესო ნიმუშები დასტურდება ზემო და ქვემო ქართლში. დიდი სიმბოლური დატვირთვის პარალელურად ქვაჯვართა გამოყენება საფლავის ძეგლად უფრო ხელმისაწვდომი იყო მოსახლეობის ფართო ფენებისთვის, თუმცა როგორც სათუთი ძეგლი იოლად ნადგურდებოდა და მათი უძველესი ნიმუშები ცოტაა შემორჩენილი.

ლიტ.: ე. ნადირაძე. საქართველოს მემორიალური კულტურა. თბ., 2001, გვ.

ქვევრი - ჭურჭელი, რომელშიც მიმდინარეობს ყურძნიდან მიღებული ტკბილის ჩასხმა, დადუღებასთან დაკავშირებული პროცესი, დაღვინება და ბოლოს თვითღვინის შენახვა საქართველოში, მევენახეობის კლასიკურ ქვეყანაში, მექვევრეობა მთლიანად მეღვინეობის ინტერესებს ემსახურება. ქვევრი ღვინის შესანახ ჭურჭლად. აქ ძვ.წ. VI-ს-ში ფართოდ ყოფილა გამოყენებული. ამიტომ სამეურნეო დანიშნულების, ღვინის დასადუღებელი და შესანახი ჭურჭელი წარმოიშვა და განვითარდა ადგილობრივი, კავკასიის ენეოლითის დიდი ზომის ჭურჭლების ბაზაზე. არქაულ დროში, ქვევრის მეორადი და-

ნიშნულებით, მიცვალებულთა დასაკრძალავადაც იყენებს ადამიანი, რომელმაც ახ. წ. III ს-მდე მოაღწია საქართველოში. ქვევრის სამარხები გავრცელებულია იმ ადგილებში, სადაც ვაზის კულტურის გაშენებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები არსებობდა. უამრავი ქვევრსამარხების მიუხედავად ქვევრი, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე წარმოქმნილი და საბოლოოდ ჩამოყალიბებული სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელია.

ადამიანის ქვევრში დაკრძალვის ორიგინალური წესი, რომელიც ანტიკურ ხანაში ჩნდება, ვაზისა და ღვინის კულტთან იყო დაკავშირებული. ვაზისადმი ქართველების საკრალური დამოკიდებულება ათასწლეულების სიღრმეში იკარგება. ამას მოწმობენ მკვლევრები ჰომეროსი, სტრაბონი, ქსენოფონტე. ამ უკანასკნელს 431 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე უზარმაზარი ღვინით სავსე ქვევრები უნახავს. ძველი საქართველოს მევენახეობის მხარეებიდან შიდა ქართლის (ურბნისი) და მესხეთში - ვარძია აღმოჩნდა უნიკალური, ურბნისში სქელკედლიანი ქვევრები, საღვინე ჭურჭელი, წიპწები, მარანი (VIII ს. თარიღდება), IV-VIII ვარძიის მრავალფეროვანი ქვევრები (ტევადობით 60-100-1800 ლ.) განვითარებულ მევენახეობა - მეღვინეობაზე მიუთითებს.

კახეთი და იმერეთი ძველთაგანვე საქართველოს მევენახეობის უმნიშვნელოვანესი ცენტრები იყო, ამიტომ მექვევრეობაც ყველაზე მეტად ამ მხარეებში გავრცელდა. საქართველოში დამზადებულ ქვევრთა მოცულობა სხვადასხვაა. მცირე მოცულობის - 10-12 ლიტრიან ქვევრს „ქოცოს“ უწოდებენ, ხოლო დიდი მოცულობისას (1000-5000 ლიტრის ტევადობის) - ჭურს. ღვინის დასაყენებელი და შესანახი თიხის ჭურჭელი მიწაში ჩასაფლავი (ქვევრი - ჭური - ლაგვანი), არის სხვადასხვა ზომის. მას უძველესი დროიდან ადგი-

ლობრივი ხელოსნები ამზადებდნენ. საქართველოს ტერიტორიაზე საღვინე ქვევრი ძვ.წ. VI- ს-დან არის დადასტურებული. მის პროტოტიპად თიხის ადგილობრივი, ენეოლითურ ჭურჭელს მიიჩნევენ. ქვევრების მიწაში ჩაფლვაზე ძვ.წ. III ს-ში გადავიდნენ, ხოლო ქვევრის სრულყოფის პროცესი ადრეფეოდალური ხანის ადრეულ საფეხურზე დასრულდა. მექვევრეობით განთქმული იყო სოფლები: კახეთში - ანაგა, ვარდისუბანი, იყალთო, ახალსოფელი; ქართლში - ცხავატილ; იმერეთში - შრომა, ბოსლევვი, ჩხიროული; გურიაში - აკეთი; სამეგრელოში - ნამიკოლაუ, ლეჩხუმში - საირმე. ქვევრი ჩვენი ეროვნული განძია, ხოლო ქვევრში ღვინის დაყენება, ქართული ტრადიციული მეღვინეობის მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

ლიტ.: ვ. ჯაოშვილი, კერამიკული მრეწველობა საქართველოში, 1958:102-103; ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა, 1949:113, 121; ლ. გაბუნია, ვაზო, შვილივით ნაზარდო, 2010:31; ა. ლეკიშვილი, შენ ხარ ვენახი, 1972:89; ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა, I, კახური, 1949:112; ა. ბოხჩაძე, მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში, 1963:115-116, 129-135; რ. რამიშვილი ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია, 2000:54, 60-61; კ. მოდებაძე, მეღვინეობა, 1948:11; ჟ. გაბრიჭიძე, ქვევრი და ქართული ტრადიციული მეღვინეობა, 2022:298.

ქვევრის ბეჭი - ქვევრის ყელის ქვემო ნაწილი.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. წერილები. თვალადური ქართულის ჭაშნიკი. თბ., 1975.

ქვევრის თავი - ქვევრის პირ, ქვევრის ის ნაწილი, რომელიც მიწის ზემოთ არის დატოვებული და რომელსაც თავისივე ზომის სარქვლით ხურავენ. მაგრამ „ქვევრის თავი“ ითქმის უფრო ფართო მნიშვნელობითაც. იტყვიან, „ქვევრის თავზე ვისხედით, ღვინო ქვევრის თავზე დავლიეთ“. აქ უკვე ქვევრის ირგვლივი ადგილი იგულისხმება.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. წერილებ. თვალადური ქართულის ჭაშნიკი. თბ., 1975.

ქვევრის მუცელი - ქვევრის შუაწელი. შუასარტყელსაც ეძახიან.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. წერილებ. თვალადური ქართულის ჭაშნიკი. თბ., 1975.

ქვევრის პირი - უშუალოდ ქვევრის ზემონაწილ, პირი, რომელიც მიწის ზემოთაა, სანამ დაატალახებენ და დაიფარება.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. წერილებ. თვალადური ქართულის ჭაშნიკი. თბ., 1975.

ქვევრის ფილი - ქვევრის ძირი. ღვინო რომ მიცოტავდება, იტყვიან, „ღვინო ფილში-ღა დგაო“.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. წერილებ. თვალადური ქართულის ჭაშნიკი. თბ., 1975.

ქვევრის ყელი - ქვევრის ზემო, მოწვრილებული ნაწილი.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. წერილებ. თვალადური ქართულის ჭაშნიკი. თბ., 1975.

ლადური ქართულის ჭაშნიკი. თბ., 1975.

ქვევრის ძირი / პოჭოჭიკი, იგივე თვალადური ქართულის ჭაშნიკი.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. წერილებ. თვალადური ქართულის ჭაშნიკი. თბ., 1975.

ქვეცა (ფშ.) - დედამიწა.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშური ლექსიკონი.

ქვეცრიელი (ფშ.) - ქვეცხნელის ძალა, რადაცა სული. „აბა გვეწოდენ, გვპატრონობდენ ზეცრიელი რამეა თუ ქვეცრიელი“.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშური ლექსიკონი.

ქვინი ლიტხე - „სულის დაბრუნება“ - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული სვანური რიტუალი; სრულდებოდა ოჯახს გარეთ დაღუპული ადამიანის ცხედრის გადმოსვენების დროს, როცა გვამთან ერთად შინ მიცვალებულის სულიც „მოყავდათ“. ქვინი ლიტხეს მაშინაც მიმართავდნენ, როდესაც მკვდრის ნეშტის გადმოსვენება შეუძლებელი იყო (მაგალითად, თუ ადამიანი წყალში დაინხრჩო ან ნადირობისას კლდის ნაპრალში დაიღუპა და გვამი ნაპოვნია არაა). ჭირისუფლები იმ ადგილას მიდიოდნენ, სადაც ადამიანი მოკვდა (ვთქვათ, წყლის ნაპირზე ან კლდეტან). რიტუალის ერთ მონაწილეს ჩანგი მიჰქონდა, მეორეს მარჯვენა იდლიაში მამალი ეჭირა. ადგილზე მისულნი იწყებდნენ მოთქმას და დაღუპულის მწარე ბედს დასტიროდნენ, თან მის სულს შინ დაბრუნებას ევედრებოდნენ. ამის შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ.

ნენ: პროცესიას, რომელიც ძალზე ნელი მსვლელობით მოემართებოდა, წინ მიუძღოდა მეჩანგე, რომელიც ინსტრუმენტზე განუწყვეტლივ უკრავდა; თუ სიმები კარგად ჟღერდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ სული თან მოჰყვებოდათ; ამას თუ გზად მამლის ყვილი დაერთვოდა, პროცესია სულის „წამოყვანაში“ საბოლოოდ დარწმუნდებოდა. ვიდრე შინ სულს არ „მიიყვანდნენ“, ოჯახის წევრებს მთვარის სახელის ხსენება ეკრძალებოდათ, რადგან სწამდათ, რომ დაღუპულის სულს, რომელიც მდინარის ნაპირთან ქვაზე იჯდა (თუ კაცი დამხრჩვალ იყო), შეეშინდებოდა - სინათლეზე მიჰოვნთან და სახლში დამბრუნებენო - და წყალში გადახტებოდა.

ქვინე ლიტხეს ანალოგიური რიტუალი საქართველოს სხვა კუთხეებშიც სრულდებოდა (იხ. „სულთმოსხმა | სულთმორეკვა“, „შურიმ მოყუნაფა“).

ლიტ.: თავისუფალი სვანი. სვანების საიქიო // ივერია, 1888, № 116, 118, გვ. 113, 166-167; მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1961, გვ. 170-171.

ქვიშინა (რაჭ.) - ღვინის სასმისი; აკეთებენ მსხლისა და ლედვის ხისგან; თავფართოა, კვერცხისებური ბოლოთი; აქვს ტარი. გამოიყენებოდა კათხიდან ღვინის ამოსადებადაც; წააგავს აზარფემას; დიდ ქვიშინაში ერთ ლიტრამდე ღვინო ჩადის.

ლიტ.: სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა. სპბ., 1912; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ქიბორჯი / ქიბორჯა (მთიულ.) – 1. შვინდის ხის ორკაპი ჯოხი. ხვნის დროს

ქიბორჯი გამოყენებული იყო როგორც გუთნის მოძრაობის დამხმარე საშუალება. ამ თვალსაზრისით იგი უნიკუმს წარმოადგენს, რაც კიდეც უფრო ამტკიცებს დებულებას ქართული სახვნელი იარაღების ორიგინალობისა და სიძველის შესახებ. 2. საშუალო სიდიდის ისარი.

ლიტ.: გ. ჩიტაია, შრომები, ტ. 1, თბ., 1987.

ქიზიყური -- ლობიოს სახეობა.

ლიტ.: ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, 1961

ქირაფქა - ჯაჭვის პერანგის ნაირსახეობა. ქირაფქა ჯაჭვის თითოეული რგოლი (ჭიკუ) „არს მობრტყე, ფარეშოვანი, რბილ-ბასრი და უფრორე ბასრი, გადაგრეხით ადვილად გასატეხელი“ (საბა). “ქირაფქა ჯაჭვის“ ნიმუშები საკმაოდ იყო შემონახული ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში (ხევს), რომელნიც ამჟამად დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (იხ. ჯაჭვის პერანგი).

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ქირქა (რქის რქა) - ვაზის რქაზე ამოსული ნორჩი რქა. „ქირქას“ ახვევის დროს აცლიან, რომ მთავარი რქის ზრდას ხელი არ შეუშალოს.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი.. ტ. 4. წერილები. თვალადური ქართულის ჭამნიკი. თბ., 1975.

ქობალიმ გინოძირაფა (მეგრ. „პურის გადანახულება“) - საქორწილო სუფრისთვის განკუთვნილი რიტუალური პურების დათვალიერების წესი სამეგრელოში. საამისოდ, მცხობელი ქალები

საწესო პურებს ტაბლაზე დააწყობდნენ, იქვე მომცრო ზომის კეცსაც დადებდნენ და მექორწილე ოჯახის წევრებსა და მათ ახლო ნათესავებს მოუხმობდნენ. ეს უკანასკნელნი, პურების დათვალიერების შემდეგ, ვალდებულნი იყვნენ კეცზე ფული (რამდენიმე აბაზი) დაედოთ. ამ ფულს მცხობლები ინაწილებდნენ. „პურის გადანახულების“ ანალოგიურია აღმოსავლურქართული „ვარცხლის დადგმის“ (იხ.) წესი.

ლიტ.: ნ. ანთელავა. ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამეგრელოში. თბ., 2005, გვ.166-167; ნ. მაჩაბელი. ქორწინების ინსტიტუტი ქართლში. თბ., 1978, გვ. 71-75.

ქიჩი (ფშ.) (რაზ.-ჭყ.) - “ქსლის საქსოვი, ყდის ნაწილია” (ა. შანიძე). ყდების (იხ.) ნაწილებია, ორი ცალი. პატარა, მოკლე ხეებია, კიბისებურად ამოჭრილი ყდების წინა მხარეს არიან ჩამსხდარნი, მათზეა ჩამოდებული გარა, რომლის კიბულებზე გადანაცვლებითაც ჭიმავენ ქსელს. 2. “ჩლიქი, შდრ. ქაჩი” (ა. შანიძე)

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქობული (ფშ.) - ბატკნის სადგომი” (ა. შანიძე). ბოსელში ან ბაკში ბატკნების თუ ხბორებისათვის შემოწნული, გადაღობილი, საზამთრო საძოვრებზე კი ამოთხრილი შიგ თივაჩაგებული, ხეხერა ბატკნის შიგ ჩასაწვენად. 2. ბატკანზე გადმოსამხობი სპეციალური გოდორი. ბატკნის დასამწყვდევი.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქობუნა - კრამიტის მოსაჭრელი ყალიბი. ქობუნას ერთი ბოლო ვიწროა, მე-

ორე გაფართოებული. ვიწროს შუაში პატარა წვერი აქვს გამოთლილი, ფართო ბოლოს კი მრგვალად მოყვანილი ტარი. ყალიბში ჩამოსხმულ, ზედაპირგადასწორებულ კრამიტს სველ ხელს მოუსვამენ და ქობუნაზე გადმოიტანენ. ამ დროს მეკრამიტე ქობუნას ტარს მუცელზე მჭიდროდ იკრავს, რათა მან არ იმოძრაოს. გადმოცურების შედეგად ყალიბს თიხა გამოეცლება და ყალიბში დაბრტყელებული თიხა ქობუნაზე დარჩება. კრამიტი ქობუნის მსგავსად მოიხრება და მის ფორმას მიიღებს.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ქოთანი - საოჯახო თიხის ჭურჭელი. მოხმარება-დანიშნულების მიხედვით არჩევენ: სარძევეს, საწველელს (უყურო, ტუჩიანი, ორყურა), ყველის ამოსაყვანს, ყველის შესანახს, საჭმლის მოსამზადებელს, საჭმლის წასაღებს და ა.შ. ზოგიერთი ქოთანი მისადაგებულია მასში მოსამზადებელი პროდუქტის თვისებას მაგ., ყველის ამოსაყვანი თიხის ქოთანი, ბრტყელძირაა, მკვეთრად გამობერილგვამიანია, დაბალყელა, ფართოდ პირგადაშლილი ყველის ამოყვანისას ხელებმა რომ თავისუფლად იმოძრაონ. საწველელ ქოთანს ორი ყური, კოტიანი პირი და ტუჩი აქვს, რომ შიგთავსი რძე ადვილად გადმოიღვაროს. აღსანიშნავია დახვეწილი, ორიგინალური ფორმის, ე.წ. სალობიე, საშეჭამანდე, ქოთნები. ზოგიერთ ქოთანში, კერძი შუა ცეცხლთან მიდგმით იხარშება. ზოგიერთი კი სამფეხზე იდება. ცეცხლზე სახმარი ჭურჭელი სადაა და მოუჭიქავია, როგორც ხელოსნები აღნიშნავენ „აზრი არა აქვს ასეთი ჭურჭლის გამშვენიერებას, რადგან ცეცხლზე ხმარების შემდეგ სულერთია ჭრელი არ შეიმჩნევა. საინტერესო ფორმა აქვს თიხის ე.წ.

„ხელსაქმის ქოთანს“, იგი მდიდრულად არის მოხატული, ცნობილია აგრეთვე თიხის „საყვავილე ქოთნების“ მრავალფეროვანი ნიმუშები; ბრტყელძირიანი, ოვალურძირიანი, ქუსლიანი, ორსართულიანი, პირგადაშლილი, კოტიანი და ა.შ. საყვავილე ქოთნების უმეტესობა შემკულია მცენარეული ორნამენტით.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011

ქოთარა (ლაზ.) - ფელუკას (იხ.) ტიპის დიდი ზომის ნავი, სატვირთო და სათევზაო დანიშნულებისათვის.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ქოთაო (ფშ.) - ცხენის ავადმყოფობაა, ყბისქვეშ უსივდება, დაბაბივით ჩამოუვა. არყის სოკოს ბოლება იცინან, ის არის უებარი.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქონ-დუმა (ფშ.) - 1. შუაცეცხლიანი სახლების ჭერში ან ბუხრის თავზე დაკიდებული დიდ კვერებად შეკრული ქონი და ცხვრის დუმა. მათი სიბევრეც იყო ოჯახის სიძლიერის ერთ-ერთი ნიშანი. 2. კარგად გაკვებულ, კარგ ბალახზე ნაძოვებ ცხვარზე იტყვიან: “ქონ-დუმაში არა ჩანო”.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქონის კვერი (ფშ.) - შემოდგომაზე ძროხას ან ხარს რომ დაჰკლავენ, ბევრი მუცლის ქონი გროვდება, მას ერთურთში შეჭუჭუნავენ, დიდ ჯამში ჩატენიან და კვერის ფორმამიცემულს მუცლისავე ქონს პერანგივით შემოახვევენ გარედან, შეკრა-

ვენ ბაწრით და ჭერში დაჰკიდებენ სითბოზე. ზამთარში ცოტცოტაობით ჩამოჭრიან ხოლმე და ისე ხმარობენ ხინკალში, საჭმელში. გადამდნარი ქონისაც კვერი გამოდის. “ერთ კოდი ჯორცით ავავსეთ, ერთი ქონის კვერ შავკარითა”.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქორაკი (ფშ.) -ჯორისა და ვირის ავმარა, ხის საყბურები ჯაჭვის საცხვირეთი. “იკურთხოს ჯორის გამჩენი, უნდა დაუწყოს მაქება ჯაჭვ-მუზარადით გართულსა, ქორაკ ახვევავ თავზედა”.

ლიტ.:გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქორჩი -- თოხისებური იარაღია, ვენახში იყენებენ (ქართ.). ანალოგიურია იმერეთში თოხწერაქვი//თოხწერაქვა. იქ, სადაც კავი არ უდგება, ვაზის მოსავლელად თოხწერაქვას იშველიებენ. კახეთში საამისოდ ვაზის გუთანი აქვთ, ქვემო რაჭაში - სახვნელი. ვაზის ძირების გასათიბად, ქიზიყში სათიბელა ჰქონდათ, პატარა ბიჭინა.

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებ., 1978:148.

ქომი - მამაკაცების ფეხსაცმელი ძველად, მარტო წვერი ჰქონდა და ზევით ამყოლი ფეხის წვერის წასადგამი; კარბები არ ჰქონდა. ქალები ასეთივე უქუსლო ფოსტლებს, იგივე სანდლებს იცვამდნენ, რომლებიც მხოლოდ ქვეშ იყო ამოგებული და ზევით თასმებით იყო შეკრული. ძველად, VI-X სს-ში ფეხსაცმელი, ძირითადად, უქუსლო და მაღალყელიანი იყო. ასეთივე იყო X-XIV სს-ში საქართველოში გავრცელებული ფეხსაცმელი (რელიეფებისა და ფრესკების მიხედვით), ძირითადად ერთი ტიპის იყო, მხოლოდ ფერით

განსხვავდებოდა. ქოშს მეტწილად ტყავი-საგან კერავდნენ, ძირს და პირს ტყავისას ამზადებდნენ; ზოგჯერ, ქოშის ძირს ხისგან თლიდნენ, საპირეს ტყავისას ჭრიდნენ, ზოგჯერ ხავერდსაც იყენებდნენ. ყველა სახის ქოშის პირი ჩიბუნხვით ამობრუნებული წვერით გვირგვინდებოდა. მოქარგულ ქოშებს და ფოსტალს, „ფეხმაცველს“ (მესხეთ-ჯავახეთი) აგრეთვე, ქალებიც იცვამდნენ. ლოცვაზეც ქოშები ეცვათ (XVIII ს.) და საშინაოდაც, ხოლო მაშია მწვანე და წითელი - საგარეოდ.

ლიტ.: მასალები..., 1983:234-235; ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი, 1964:141; ლ. ბოჭორიშვილი, კახური ჩაცმა-დახურვა, ანალები, I, 1947:209; ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1938:91; ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის..., 1962:55.

ქოჩახა (ფშ.) - თიხის ქოთნის, ჭურჭლის ნატეხი ძირი, რომელსაც ღამის ქოთნადაც ხმარობენ და სხვა ჭურჭყიანი რამეებისათვისაც (რუს. горшок).

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქოჩახი (ფშ.) - (რაზ.-ჭყ.) “ძველი უხმარი ქოთანი”. ქოჩახა ქვევრის ან ქოთნის ნატეხი, რომელშიც საქონლის შარდს ასხამენ და თავს იბანენ ქალები (წყლით დაბანა წილს გააჩენს თავშიო)” (ა. შანიძე).

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქოცო - მცირე ტევადობის თიხის ქვევრი, ღვინის არყისა და ტკბილის ჩასასხმელად. ქვევრზე პატარაა და კოკაზე მოზრდილი - 20-40 ლიტრის ტევადობის. მცირე ტევადობის ქვევრთა რიცხვს მიე-

კუთვნება აგრეთვე „ყვიბარი“, „ლახუტი“. (დას. საქ.), „ლაგვანი“ -(სამეგრ.), შრომაში 10- 12-ლიტრიანი ქოცოებიც მზადდება.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ქოჭი (ფშ.) - ჯორისა და სახედრის შეკაზმულობა, ამოკაულტოტებიანი, რომლებშიც აქეთ-იქიდან ჩაეწყობა ხოლმე ბარგი (ტომრები, შეშა და სხვ). ქოჭის ამოკაულ ხეებს ეწოდება ქოჭის ტოლები, ხოლო მათზე ჩამოცმულ კოფოებს – კოჭის დოთეები. “აჩუ, ჯორო, ქოჭიანო, უძილაურნ მოდიანო, აგვიდებენ საპალნესა, მოკდა აღარ იციანო”.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქოხი (ფშ.) - 1. მთის იალაღებზე მწყემს-მწველავეების თავშესაფარი. 2. მშობიარე ქალისათვის სოფლის მოშორებით გაკეთებული სახელდახელო გადახურული.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქოხი / საჩეხი - დედათწესიანთა და მშობიარეთა სახლი, „ფარღალალა ქოხი“ (ს. მაკალათია), ლიტონი ყორით ნაშენი, თივით გადახურული ნაგებობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში, მდგარი სოფლის განაპირას ან სანეხვზე. ფეხმძიმე ქალები მშობიარობის მოახლოებისთანავე საჭირო ჭურჭელს, საგებ-საცმელს და საჭმელს ქოხში წინასწარ შეიტანდნენ; როცა ტკივილი დაეწყებოდათ, მათ ოჯახის უფროსი დედაკაცები ქოხამდე მიაცილებდნენ, შემდეგ კი მშობიარეებს, როგორც ნარევეს (იხ.), ანუ უწმინდურებს, არავინ გაეკარებოდა, მარტოდ მშობიარობდნენ, ბავშვსაც თა-

ვად აიყვანდნენ და ჭიჭორასაც დუქარდით თავად გადაჭრიდნენ. მაგრამ თუ ქალს მშობიარობა გაურთულდა, დამხმარედ გამოცდილ და ნარეკ დედაკაცს მოიწვევდნენ, რისთვისაც მას ერთი ძროხის საფასურს გადაუხდიდნენ და გასანათლავად ხატში საკლავსაც დაუკლავდნენ. თუ ქალი მშობიარობას გადაყვებოდა, მას ნარეკები განბანდნენ, გასუდრავდნენ და თავისი სახლის მახლობლად დაასვენებდნენ. ოჯახი მიცვალებულს ყველა წესს შეუსრულებდა, დაიტირებდა და ორი-სამი დღის შემდეგ განცალკევებით დასაფლავებდა (იხ. „სარიომო“, „საჩენა გორა“).

მოლოგინებული ქალი ქოხში ოთხი დღე დარჩებოდა, შემდეგ, ბავშვთან ერთად, სამრელოში (იხ.) გადადიოდა, სადაც დაახლოებით ოთხი კვირა უნდა დაეყო. თუშეთში დედა-შვილი ქოხში ორმოცი დღე რჩებოდა. შემდეგ ქალი თავის ტანსაცმელსა და ქვეშაგებს სოფლიდან შორს ხევში, საამისოდ განკუთვნილ ალაგას, ყველაფერს გარეცხავდა, თავადაც განიბანებოდა და მერედა მივიდოდა სახლში. ამ ჩვეულების ანარეკლი ადგილობრივ ტოპონიმებში აისახა: მრავალი სოფლის სიახლოვეს ადგილს ხევში ან ნაკადულის წყალვარდნილთან „სარეცხელას“ ან „დედათ სარეცხელას“ ეძახიან.

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ. მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. თბ., 1940, გვ. 52-53; ალ. ჭინჭარაული. ხევსურული თავისებურებანი. ტექსტებითა და ინდექსით. თბ., 1960, გვ. 301; ს. მაკალათია. ხევსურეთი. თბ., 1984, გვ. 181- 182; გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 154-155.

ქრისტის მარხვა - მაცხოვრის სახელობის ორკვირიანი მარხვა თუშებში; იწყებოდა ქრისტეშობისთვის ათ რიცხვში, მზებულობის მეორე დღეს. წინა დღეს, რომელსაც თუშები „მარხვაშემოს“ უწოდებდნენ, გვარბიძაშვილები და ახლო მეზობლები ერთ ოჯახში მოიყრიდნენ თავს, ხინკლით მარხვას „შეიკრავდნენ“. ამ ღამეს მშობლების ოჯახებს იმ ზაფხულს გათხოვილი ქალები სტუმრობდნენ. ისინი მამისახლში სუფრებით მოდიოდნენ, თან ვინმე ქმრულთაგანი (დედამთილი, მამამთილი, მაზლი ან მული) მოყვებოდათ. მარხვაშემოს სუფრა რომ გაიშლებოდა, სანთლებს აანთებდნენ და ოჯახის უფროსი დაილოცებოდა: „ადიდოსა-დ გაუმარჯოს დღეს დღესინდელს, დღეს ნაჰსენებ ღვთიშვილთ, მარხვისი-დ ქრის-წელიწდობისიმ ძალ-მადლ შეგეწევათ დიდთაცა-დ წვრილთაც, სტუმარსაცა-დ მასპინძელსაც, დასაცა-დ დისწულთაც, ქალსაცა-დ ქალის შვილსაც, მრავალს ამ ღამესამც შეწწრობით სუ სიმთელით, სუ კარგ ყოფით, სუ მშვიდობით“.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 39.

ქრისტის საგძალი - დიდი ზომის საშობაო კოტორი, რომელსაც მაცხოვრის სახელობაზე შობისწინა ღამით აცხობდნენ და რომლის ნახევარს „ქრისტის სუფრაზე“ (იხ.) დებდნენ, მეორე ნახევარს კი - ოჯახის სუფრაზე.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 42.

ქრისტის სუფრა - მაცხოვრის სახელობის საშობაო სუფრა - ხონჩაზე დალაგებული „სალოცაები“ (ადამიანისა და შინაური ცხოველების სიმბოლური გამოსახულებები და დიდი ზომის კოტრის, ე.

წ. „ქრისტის საგძლის“ ნახევარი), „სითეთრე“ - კალტის კვერი ან ყველის პატარა ნაჭერი, კეჭე (მატყელი), მომცროჭურჭლით არაყი, ერთი სანთელი. ქრისტის სუფრას კიდობნის თავზე მოათავსებდნენ ან თახჩაში შედგამდნენ და გამცხადების დღემდე ხელს არ ახლებდნენ. გამცხადებაზე ხონჩას გადმოდგამდნენ და ქრისტის სუფრას დაშლიდნენ: ხონჩაზე სანთელს აანთებდნენ, „ქრისტის საგძალს“ დაჭრიდნენ, იმ არყით, რომელიც სუფრაზე იდგა, ადიდებდნენ ქრისტე-წელიწდობის ძალ-მადლს, რიტუალურ ნამცხვრებს ბავშვებს ჩამოურიგებდნენ.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 42-43, 56.

ქრისტის შიყარაი - თუშური სამობაო წეს-ჩვეულება - გვარ-ბიძაშვილთა შუყრა სანადიმოდ. საამისოდ, შობა დღეს ახალგაზრდები მოკრებდნენ საშიყარაო სასმელ-საჭმელს: ყოველი კომლიდან თითო ჩარეჯა არაყს, ერბოს, კალტს, ფქვილს, კოტრებს გამოაცხობდნენ და სადამოს მოილხენდნენ. სოფ. ომალოში ახალგაზრდები ადრევე მოკლავდნენ ერთ ყვავს, რომელსაც შობიწინა სადამოს გრძელ ჯოხზე მიაბამდნენ, ცხენს შეკაზმავდნენ, ხურჯინით ტიკებს გადაჰკიდებდნენ და შიყარაის სანოვაგისათვის ალილოზე ჩამოივლიდნენ: სახლთან რომ მივიდოდნენ, მკვდარ ყვავს სარკმელში შეახებდნენ, თან შეუმღერებდნენ:

ალილო და ქრისტე ღმერთი, ქრისტე
 მოსრულაო,
 ყვავსა ფენი დაზრობია, კარად
 მოსულაო.
 ვინც კაი პურს გამოგვიცხობს, კაის
 ყმისა აკავანი,
 ვინც მონა პურს გამოგვიცხობს, ფსია
 ქალის აკავანი.

მეალილოე ახალგაზრდებს შინ შეიწვევდნენ; დიასახლისი წინასწარ მომზადებულ ორ დიდი ზომის ქადას გამოიტანდა, ერთით იქვე გაუმასპინძლებოდა, მეორეს კი თან გაატანდა, ტიკში ერთ ჩარეჯა არაყსაც ჩაუსხამდა. ასე დაივლიდნენ ყველა მოსახლეს. შეღამებისას დაწყებული ალილოობა გამთენიისას დამთავრდებოდა. მეალილოები შეგროვილ სასმელ-საჭმელს წინასწარ საჯარედ არჩეულ ოჯახში მიიტანდნენ დაიშლებოდნენ. შობას ყველა თავის სახლში შეხვდებოდა. სადამოს იმ შეგროვილი სასმელ-საჭმლით შიყარას გამართავდნენ.

ქრისტის შიყარაის ღამეს ნათე (იხ.) მაქალათებს (იხ.) ირჩევდა.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 43-44.

ქრიში (ფშ.) - ხის ნაკეთობის ზედაპირის მოსაგლუვებელი ან რკინისათვის ჟანგის მოსაცილებელი უხეში რაიმე. ამჟამად კი ის, რასაც რუსულად “შურკა” ჰქვია.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშური ლექსიკონი.

ქრიჯა (ფშ.) - ყოში. წისქვილის ალატიდან ფქვილის ამოსაღები პატარა ნიჩაბი (რუს. савок).

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშური ლექსიკონი.

ქსოვის წინდა (ფშ.) - ერთი ფერის ძაფით მოქსოვილი წინდა, დაუჭრელები. “წინავ საკაცო წინდებ დამიბიან, საქალო კი ქსოვის წინდებ იცოლიან”.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშური ლექსიკონი.

ქუა - მასის საზომი ერთეული ფეოდალურ საქართველოში. ღომის საწყავადაა დასახელებული XVI ს. ეთნოგრაფიულ ყოფაში აღარ დასტურდება.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2002.

ქუბდია (ფშ.) - (რაზ.-ჭყ.) “ხის სამარილე თავსახურავიანი” (ა. შანიძე). სამარილე დედაბოძზე ეკიდება: მსხვილი, მაგარი ბაწარი ან ღვედი გახვრეტილ ყურებსა და სახურავში იყო აქეთ-იქიდან ამოყრილი. მარილს რომ ამოიღებდნენ სახურავი თავისით ეხურებოდა. ქუბდიას შაბათ-კვირას, უქმეში შეავსებდნენ ხოლმე სიპზე დანაყილი ქვამარილით.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშური ლექსიკონი.

ქუდი - მამაკაცთა და ქალთა თავსახურავი. საქართველოში გავრცელებული იყო სხვადასხვა სახის ქუდები, რომლებიც მზადდებოდა ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით. ქართული ქუდის ტიპური ნიმუშებია: კახური ნაბდის ქუდი, იმერული ფაფანაკი და ფარფალა ქუდი, სვანური, ხევსურული და თუშური ქუდები, მოხვეური წიწაკა ქუდი და სხვა. ფართოდ გამოიყენებოდა აგრეთვე კრაველის, ყალმუხის, ბუხრის და სხვა ტიპის ქუდები. XII ს. ბიზანტიელი სასულიერო პირი და ისტორიკოსი ევსტათი თესალონიკელი თავის ერთ-ერთ ისტორიულ შრომაში ახსენებს „იბერიულ ყაიდაზე შეკერილ კვამლისფერ ქუდს“, რომელიც დამზადებულია სახიანი ნაკეცებითა და ქობით. ქუდი ხურავს ბიზანტიელ წარჩინებულს დავით კომნენოსს. სხვათა შორის, ამ ავტორისავე ცნობით ირკვევა, რომ ქუდს სიმბოლური დანიშნულება ჰქონია. კერძოდ, ქუდის კვამლისფერობა გაიგება, როგორც კომნენოსის განზრახვა, კვამლში გაეხვია ყველა მო-

წინააღმდეგე, ვინც მის ძალაუფლებას არ დამორჩილებოდა. თავსახურავის ასეთი სიმბოლური დატვირთვა საყოველთაოდ მიღებული წესი იყო როგორც ძველი აღმოსავლეთის, ისე დასავლეთ ევროპის ხალხებში.

ქუდით თხოვნა - საქნარში (მკვდრის ხარჯში) საპატიო სტუმრის მოწვევის ხევსურული წესი. საამისოდ ჭირისპატრონი მტყობიეს (იხ.) მიცვალებულის ქუდს დააკავებდა და იმ პირის დასაპატიჟებლად გაგზავნიდა, რომელიც დიდი ალბათობით მოსვლას არ აპირებდა, ჭირისუფალს კი მისი წვევა ძალიან უნდოდა. ხევსურეთში ქუდით თხოვნა იმდენად საპატიო იყო, რომ წვეული საქნარში აუცილებლად მოვიდოდა.

ლიტ.: ბ. გაბუური. ჰევსურული მასალები // საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული. 1923-1924, I-II, გვ. 128; ალ. ოჩიაური. სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში. თბ., 1980, გვ. 56.

ქუთაისური (აჭარ.) -- სიმინდის ჯიში.

ლიტ.: თ. ლომთათიძე, სამიწათმოქმედო ციკლის ზოგიერთი წეს-ჩვეულება აჭარაში // კულტუროლოგიური და ისტორ. ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში. ბათუმი, 1996:79.

ქუთუთო (ფშ.) - ცხენის უკანა ფეხის ნაწილი, საოლავის (იხ.) თავზე.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშური ლექსიკონი.

ქულა (ფშ.) - პირველად დაჩეჩილი მატყელი, რომელიც უწყვეტ ნაკადად გამოდის მარცხენა მხრეს. მას შემდეგ დაჩეჩავენ ფთილებად.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქულაჯა - მამაკაცის ტანსაცმელი. ჩოხის ზემოდან ზამთარში, სათბილობლად ქულაჯას იცვამდნენ, რომელიც ჩოხაზე ცოტა გრძელი უნდა ყოფილიყო. მას შიგნიდან სარჩული ჰქონდა თბილი, ორჩაქიანი ჩოხის მსგავსი იყო, შვიდკალთიანი, ორი-სამი თითის სიმაღლე საყელოთი. ძველად, ახალგაზრდა მოკლე ქულაჯა სცოდნიათ და სცმიათ ჩოხის შიგნით.

ლიტ.: მასალები..., 1983.

ქურა - 1. ლითონის სადნობი. მესპილენძები მარტივი კონსტრუქციის ორი ტიპის ქურით სარგებლობენ: I სადნობი ქურა და II შემდუღებელი, ანუ გამოსაღობობი, იგივე გამწვევი ქურა. ჩვეულებრივი, ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული ქურა მიწის ზემოთ, ბალავრის გარეშე არის აშენებული. სამ მხარეზე ფიცრებით არის შეჭედილი, მეოთხე მხარე (ზურგი) აგურით, ფილაქვით (სვანეთში) არის ამოშენული. ქურის ცენტრში მოწყობილია ე.წ. „ქურის ორმო“, იგივე სპილენძის სადნობი ბრძმედი. იგი მრგვალი, ჩაღრმავებული, გადაჭრილი ქოთნის ფორმის ცეცხლგამძლე მიწით ან ნაცრით ამოლესილი მცირე ზომის ორმოა. სვანურად „ღვიმელი“ ეწოდება. აგურის კედელში, იგივე ზურგში, გაყრილია რკინის ან თიხის მილი, ცეცხლის გასაჩაღებლად. ოდნავ განსხვავებული კონსტრუქციისაა მეორე ტიპის ქურა, სადაც შემდუღებელ ქურაში საბერველის მილის ერთი ბოლო, სადნობი ქურისაგან განსხვავებით, მიწაშია ჩაშვებული და გამოსულია „სანახშირეში“, ჰაერმა ქვევიდან რომ დაუბეროს, მილის მეორე ბოლო კი საბერველთან არის შეერთებული. გამოსაღობ ქურას თავზე ახურავს ე.წ. „ქოლგა“, კვამლისა და ცხელი ჰაერის გასასვლელად. 2. თი-

ხის ნაწარმის გამოსაწვავი ნაგებობა. საქართველოს კერამიკის წარმოებით ცნობილ კუთხეებში ქურა სხვადასხვა სახელწოდებით არის ცნობილი. სულხან-საბა ორბელიანი თიხის ჭურჭლის გამოსაწვავ ნაგებობას „თუნად“ და „საგზებლად“ იხსენიებს, ხოლო ცეცხლის დასანთებ ნაგებობათა ზოგად სახელად ტერმინ „სახმილს“ მიიჩნევს. დღეს „საგზებელი“ და „სახმილი“ დავიწყებულია. ქსნის ხეობაში თიხის ნაკეთობის გამოსაწვავს „თუნი“ ეწოდება, მცხეთასა და გორში - „ქურა“, კახეთში - „სააგურე“ და „თორნე“, გურიაში - „თორნე“ და „ქურა“, იმერეთში - „საწვავი“ და „ქურა-ქარხანა“, ლეჩხუმში - „თონე“, სამეგრელოში - „თონე-ქურა“, საინგილოში „თუნ.“ სხვადასხვა კერამიკული ნაწარმის გამოწვას მათ შესაფერისად მოწყობილი ქურა ემსახურება. ჭურჭლის, აგურ-კრამიტის, თორნის გამოწვა ორსართულიან ქურაში ხდება, ქვევრის გამოსაწვავი კი ერთსართულიანია. იმერეთში სამი ტიპის ქურა მოწმდება: წითელი ჭურჭლის, ჭურისა და მოჭიქული ჭურჭლის. ქურა „გლეხურად“, კლდე-სიპი ქვისა და თიხისგან ანდა „უნდილი“ - გამოუწვავი აგურითა და ტალახით (კახეთი) შენდებოდა. იგი შემადლებულ ადგილას, სახლიდან მოშორებით ფერდობზე იდგმება, რათა მისი სამი მხარე ქარისგან ყოფილიყო დაცული. ქვედა სართული - „ძირის ქურა“, მეორე - „მაღალ ქურად“ წოდებულ სართულთან შედარებით მცირე მოცულობისაა. პირველი სართული, რომელსაც ერთი ან ორი (ქსნის ხეობა) „სათვალე“ აქვს დატანებული, „შემის შესართმევად“ - შესაკეთებლად არის განკუთვნილი. მეორე სართული, რომელიც პირველი სართულისგან „თადით“, „ცით“, „ტახტითა“ გამოყოფილი, ჭურჭლის დასაწყობადაა განკუთვნილი. ქურა, რომელიც მიწაში ღრმად ზის, „თავდია“ ქურადაა მიჩნეული. ჭურჭლის ჩალაგება-ამოწყობა ქუ-

რის თავიდან ხდება, ხოლო მიწის ზემოდან ნაგებ ქურას შუშის შესაკეთებელი „თვალის“ მოპირდაპირე მხარეს კარები უკეთდება ჭურჭლის შესაწყობად. კარები გამოწვის დროს ამოშენდება, ხოლო გამოწვის შემდეგ იხსნება. ამავე კედელში კვამლის ამოსასვლელი და დაკვირვების საწარმოებლად „დუთქაშები“ (იხ.) ანუ, სათვალეები აქვს დატანებული. ოსტატის ქურაში ჩასვლა-ამოსვლის გადავილების მიზნით მაღალ სართულს კედელში საფეხურებიც დაჰყვება. მოჭიქული ჭურჭლის ქურა თავშეკრულ მრგვალ ქურად ითვლება. იგი სანახევროდ მიწაშია ჩამჯდარი. ზემოაღწერილი ქურებისაგან განსხვავებით მისი თალი „თვლებით“ არ არის დაფარული. თაღს შუა ადგილას ქვევრის პირის მსგავსი ცეცხლის ამოსასვლელი აქვს ამოჭრილი, ხოლო კედლებზე ბოლის ასასვლელი 4-5 დუთქაში უკეთდება. მაღალ ქურის კედლის მთელი ფართობი ნაჩვრეტებით, ანუ სასულეებითაა მოფენილი. თითოეულ ნაჩვრეტში ორი სოლია გაკეთებული. მოჭიქული ჭურჭლის უმეტესი ნაწილი აღნიშნულ სოლებზე ეწყობა, ხოლო დიდი ჭურჭლის მცირე ნაწილი კალოზე თავსდება. დახელოვნებულმა ოსტატმა ჭურჭელი ისე უნდა განალაგოს ქურაში, რომ ცეცხლმა თანაბრად დაუაროს. ქურაში ჯერ დიდი ზომის ჭურჭელი იწყობა, შემდეგ წვრილ ჭურჭელს ათავსებენ. დარჩენილ სივარცელს დამტვრეული ჭურჭლის ნაწილებით - „ნატუნალათი“ ავსებენ, ამითვე გადაფარავენ მთელ ჭურჭელს, რათა ნიაჟი აიცილოს და ცეცხლსაც მეტი სიმხურვალე ჰქონდეს. ქურა ისეთი მასალით იხურება, რომელიც იცავს მას წვიმა-თოვლისგან. ამავე დროს, ადვილი მოსახლეგადასატანი იყოს. ქურაში დაახლოებით 100-მდე ჭურჭელი იწვის - 20-მდე დიდი და დანარჩენი პატარა ზომისა. ჭურჭლის გამოსაწვავად განკუთვნილი შემა არც ძალიან

გამხმარი უნდა იყოს და არც ნედლი. მან კარგად უნდა „იჩუვლოს“. ოსტატთა დაკვირვებით, „ყველაზე ხელსაყრელია წიფლის შემა. მუხა მაგარია, ვერხვი კი ფიცხი“. ჭურჭლის გამოწვის ხანგრძლივობა დამოკიდებულია თიხის თვისებებზე. გამოწვის პირველ ეტაპს ჭურჭლის გათბობა შეადგენს, რისთვისაც 4-5 საათი ივარაუდება. ამისათვის შემა ჯერ თუნის გარეთ სათვალეების ახლოს იწვის. ამის შემდეგ ცეცხლს აძლიერებენ, „ცეცხლმოკიდებულ“ ჭურჭელს ორი საათის განმავლობაში შავი ფერის კვამლი ასდის, თანდათან შავი ფერი დაიწმინდება ნატუნალი გაწითლდება ე.ი. ჭურჭელი გამოიწვა და შეშის მიმატება წყდება. გამოწვარი ჭურჭელი განელეობამდე ქურაში რჩება. „ჭურჭელი ერთ დღეს იწვის, ერთ დღეს ცივდება და მესამე დღეს გამოლაგდება“. 1980-იანი წლებიდან კერამიკული წარმოების უმრავლეს ცენტრებში შეშით საწვავი ქურების ადგილი ელექტროქურებმა დაიკავა. ისინი კონსტრუქციულად ძველი ქურების იდენტურია. ახალი ქურის კედელზე ელექტროსპირალები შემოუყვება. ელექტროქურის ჩართვა დაბალი ტემპერატურით იწყება, ტემპერატურეს თანდათანობითი გაძლიერება, ელექტროქსელის ხუთჯერადი ჩართვით სრულდება. წვის პროცესი 7 საათი გრძელდება. უძველესი სამეთუნეო სახელოსნო უბანი აღმოჩენილია ხოვლეს მახლობლად, რომელიც კონსტრუქციით მსგავსია ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული ქურებისა. როგორც არქეოლოგები ფიქრობენ, ხოვლეს მოსახლეობას ძვ. წ. I ათასწლეულის დამლეგიდან ძვ. წ. IV საუკუნემდე ემსახურებოდა მეთუნეთა ცალკე გამოყოფილი უბანი. იდენტური ქურები მიკვლეულია კახეთშიც, რომლებიც ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება, მსგავსი ქურები აღმოჩნდა თბილისში, ურბნისში, დმანისში. მსგავსი ორსართულიანი ქურები

დასტურდება ძველ ჩინეთში, ბერძნულ-რომაულ სამყაროში, შუა საუკუნეების ევროპაში, ეგვიპტეში.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ქურთემული (ფშ.) - თოფის უკანა ნაწილი. იარაღის უკანა მასიური ნაწილი.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქურთუმული (ფშ.) - გრდემლი.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქურქი - ტანსაცმელი, მოსაცმელი და არა ჩასაცმელი, იკერებოდა მაუდისაგან და საჩოხე შალისაგან. ეს იყო გრძელი, სადა, უყურებო ჩასაცმელი, რომელსაც ჩოხის ზემოდან იცვამდნენ. მისი საყულო ცხვრის ტყავის იყო და ჯიბეებზეც ცხვრის ტყავი ჰქონდა დაკერებული, ხოლო გრძელი და ვიწრო სახელოები ოქრომკერდით ნაქარგი იყო. ქურქი საპატიო მისართმევი ყოფილა, ისევე, როგორც ქათიბი.

ლიტ.: მასალები..., 1983:247; ვ. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველ., ქ. ცხ. IV, 1973:518, 740.

ქუქუმი (ფშ.) - ქალის ტანსაცმლის ბოლოზე (კაბის, ჯუბის, ქათიბის) შემოვლებული ფერად-ფერადი არშიები.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქუქუნაკი (ფშ.) - ქალის ზედა შემოსაცმელი, მოკლე ჯუბა.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქუმი (ფშ.) - ცხენის სასუნთქი ორგანოების დაავადება. არყის აბედის დაბოლებით მკურნალობენ “არინა, შენ ტყეში დახვალ, არყის ზოკო თუ სად მაგხვდა, წამამილოდი, ქუმი შჭირს ჩემ ცხენსა, უნდა უბოლო.”

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქუჩალა (ფშ.) - “მოწვერილ” თივაზე დასაფარებელი (ისევ თივისა), რომ წვიმა არ ჩაუვიდეს” (ა. შანიძე). შედარებით ნედლ ან ნესტიან თივას დაწეწვით დაყრიან, გადაკეცავენ ოთხივე მხრიდან და ბალიშის მაგვარს დაადებენ თავზე “თივას”(იხ.).

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.

ქცვა / ფაჯის ქცვა (ფშ.) - 1. გზიდან დაბრუნება. 2. სიძის გაბრუნება ცოლეურთას ქორწილის მეორე-მესამე დღეს.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი.



ღაბუში (ხევს.) - ხატის მეხედ (ქადაგად) ან ხუცესად აყვანის მიზნით, ჯვარის მიერ დაჭერილ-დამიწეხებული „რჩეული“ - ფსიქო-ნერვული ხასიათის დაავადებით დასნებოვნებული პირი (უპირატესად, მოზარდი), რომელიც, ვიდრე „ენას გამაიდებს“, ანუ ქადაგი (ხუცესი) გახდება, უღონოდაა, გული უწუხს, იტანჯება, იწყებს ღაბუშობას - არეულად ლაპარაკს; სიზმრად ხატის მორჩილია, დღისით - ეურჩება. მაგრამ „ავადმყოფობისაგან შეწუხებული ღაბუში ბოლოს ფარ-ხმალს ყრის და ღვთიშვილს მორჩილდება. ამის შემდეგ იგი „ენას გამოიტანს“ (გაქადაგდება). ავადმყოფობა სუსტდება, ახლად „დამდგარი“ ქადაგი თანდათან უკეთ შეიქმნება და დაკისრებულ მოვალეობას ჯვარის კარზე სიკვდილამდე ასრულებს“ (თ. ოჩიაური).

ლიტ.: ნ. მინდაძე. რჩეულობის ინსტიტუტი და ფსიქო-ნერვული დაავადებანი ფშავში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXI. თბ., 1981, გვ. 146-152; მისივე, ქართული ხალხური მედიცინა. თბ., 1981; თ. ოჩიაური. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ., 1954, გვ. 15-24.

ღაბუშობა - იხ. „ღაბუში“.

ღამის სამთელო (ხევს.) - შესაწირავთა ნაკრები სარიტუალო პურები. ესაა დიდი ხავიწიანი ქადა, ცხრა პატარ-პატარა თხელი უგულო პურები და ოთხი „საკვირაო“. დიდ ქადაზე უგულო პურებს აწყობენ, ზემოდან დაადებენ თითო ხავიწიან საკვირაოს. ყველა ეს პური დაჭრელებულია საჭრეთათი (იხ.) და გაპოხილია ერბოთი. როცა დალოცვის შემდეგ ლუდის სმა გახურდება, „ღამის სამთელონი“ ტაბლას გადმოდგამს ხუცესი, დაილოცება, ჯვარედინად გადაუსვამს დანას და გაჭრის ოთხად, შემდეგ კი უფრო პატარ-პატარა ნაწილებად - „ნაწვრეთებად“ დაანაწილებს და მიართმევს ყველას.

ლიტ: ალ. ოჩიაური, ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1988.

ღანწვიში (სვ.) - მარტივი სახვნელი იარაღი. შედგებოდა: მხრის („ლაციუ“), ქუსლის („ბერ“), ერქვანის („ქვაჯ“), და სახნისისაგან („მუკრა“). მხარი წარმოადგენდა მოხრილ ხის ძელს, რომელიც ერთი თავით ჩადგმული იყო ქუსლში. მხრის დასამზადებლად ძირითადად იყენებდნენ რცხილას, მუხას, იფანს, მაქალოს, იშვიათად ფიჭვს. სახვნელის ქუსლი წიფლის ან იფნისაგან მზადდებოდა.

ბოდა. იგი სოლისებური ფორმისა იყო და წვერზე წამოცმული ჰქონდა რკინის სახნისი. ერქვანი დაახლოებით 60 სმ სიმაღლის ჯოხი იყო, რომელიც ერთი თავით ქუსლში იყო ჩადგმული. ერქვანის საშუალებით ხვნის პროცესში მხვნილი (მოღანწუიში) მართავდა სახვნელს. რკინის სახნისი ფოლადით იყო წვერდაპირული. ქვემო სვანეთში, სადაც შედარებით რბილი ნიადაგი იყო, ზოგჯერ, როცა რკინის სახნისი არ გააჩნდათ, უიმისოდაც უხმარიათ სახვნელი. ხშირი ყოფილა სახნისის დანიშნულებით რქის გამოყენება. სვანურ სახვნელში უღელი ხარი იბმებოდა და საჭირო იყო ორი კაცი (მოღანწუიში და ხარისმძღოლი). სვანური სახვნელით მუშაობა ისევე წარმართებოდა, როგორც საქართველოს მთის დანარჩენ რაიონებში. ქუსლს ოდნე გვერდზე დახრილს და ბოლოაწეულად იყენებდნენ. მუშაობას ფერდობებში დაბლიდან მაღლა გარდიგარდმო სვლით წარმართავდნენ. ასეთ მდგომარეობაში მდგარი სახვნელი მიწას ანგრევდა, ფრთაზე აიცურებდა ანგრეული მიწის ბელტებს და ოდნავ გვერდზედაც აბრუნებდა. სახვნელი იარაღით მუშაობის დროს ცნობილი იყო შრომის ორგანიზაციის ორი მარტივი ფორმა: „ლიმარჯვე“ და „ლიმებალი“. ლიმარჯვე გულისხმობდა ხარებიტა და მუშახელით თანაბარ მონაწილეობას. იარაღით თანაბარი მონაწილეობა არ იყო აუცილებელი. ხვნა-დღეების განაწილება არ იყო რეგლამენტირებული. მას განსაზღვრავდა არა შრომით გაერთიანებაში მონაწილეობა ინვენტარითა და მუშახელით, არამედ ის, თუ ვის რამდენი ჰქონდა მოსახნავი. შრომის ორგანიზაციის მეორე ფორმა „ლიმებალი“ წარმოადგენდა ეკვივალენტურ ურთიერთდახმარებას. შრომის ორგანიზაციის ეს ფორმა იგივეა, რაც ხევსურეთსა და თუშეთში ცნობილი „მანდავი“. ეს ფორმა ძირითადად

ქვემო სვანეთში იყო გავრცელებული. რამდენიმე მეურნე თავისი ხარ-სახვნელით შეიყრებოდა და ერთმანეთთან მუშაობდა დღეების თანატოლ ოდენობას ლიტ.: გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობა სვანეთში // სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. 1970.

ლაჯია || **ლაჯია-ი** || **ლაჯი** (ხევს., მოხ., თუშ., მთიულ.,) - ცერა თითზე წამოსაცმელი რკინისკბილებიანი (5-დან 10 სმ-მდე)) ცივი იარაღი ; იყენებდნენ ჩხუბის დროს.

ლიტ.: გ. ჩიტაია. ხევსურული საცერული, შრომები. ტ. II. თბ., 2000; ა.ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თ., 2005; ო. ქაჯაია. მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის // სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. XI. ცხინვალი, 1967, გვ. 375-451; ჰ. ხუბუტია. თუშური კილო, ლექსიკა. თბ., 1968; ლ. კაიშაური. მთიულურის დარგობლივი ლექსიკა. თბ., 1967.

ღერძა (ქვ. იმერ.) - იხ. ლილვი.

ღერძკალა (ქართლ.) - მძიმე მორების საზიდი ურემი, სამკუთხად შეკრული ხელებით, უღლით და დაბალი თვლებში გაყრილი მოკლე ღერძით.

ლიტ.: მ. გეგეშიძე. ქართული ხალხური ტრანსპორტი. თბ., 1956. **ღვთიმობელა** (თუშ.) - მარიამ ღვთისმშობლისათვის შესაწირი დეკულის მოგებული პირველი ხბო. ხბო რომ ცხრა დღისა გახდებოდა, დეკულის ხსენის კალტისაგან კოტრებს გამოაცხობდნენ, ცხიმადაც ამ დეკულის რძისაგან პირველად მიღებულ კარაქს - ნათაურას - გაუკეთებდნენ, მარიამ

ღვთისმშობლის სალოცავში გაიყვანდნენ, ზედაშეს დალოცავდნენ, დედა მარიამს ხბო-ძროხის ბარაქას შეთხოვდნენ, ხბოს ანთებული სანთლით შუბლს შეუტრუსავდნენ და დაკლავდნენ. თუ სოფელში წმ. მარიამის სახელობის სალოცავი არ იყო, ხბოს ისეთ ადგილას დაკლავდნენ, საიდანაც ამ ღვთაების ნიში მოჩანდა. ხევსურეთში „ხთიშობელა“ ერქვა ჰაჭმატის ჯვარისა და ხთიშობლისათვის „შესახელებულ“ ძროხას.

გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე (ეთნოგრაფიული ექსკურსები თუშეთის ახლო წარსულში). თბ., 1987, გვ. 65; მ. ბალიური, ნ. მაკალათია. მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთელთა სამეურნეო ყოფის ისტორიიდან. თბ., 1989, გვ. 74.

ღვინის დადაღვა - ღვინით სავსე ჯამში ნაკვერჩხლს ჩააგდებენ, რომ ღვინოს ძალა დაეკარგოს და ადვილი სასმელი იყოს. ასეთ ღვინოს დადაღული ჰქვია. დადაღულ ღვინოს ასმევენ გუნების გამოსაყეთებლად, ვისაც წინა დღის ნამთვრალობა აქვს გამოყოლილი, აგრეთვე, - ავადმყოფს ღონის მოსამატებლად. ხევსურეთში იციან არაყის დადაღვა: არაყში ჩადებენ გახურებულ რკინის ნაჭერს და ამგვარად დაღავენ.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. წერილები; თვალადური ქართულის ჭაშნიკი. თბ., 1975.

ღვინის კოკობი - ერთმანეთს შეჯიბრებული ღვინის მსმელები გამოცლილ ყანწს მარცხენა ხელის ცერა თითის ფრჩხილზე დაიბერტყავენ. სასმისიდან ერთ-ორი წვეთი მაინც გამოიჟურება და

ფრჩხილზე დაჯდება. ამას ფრჩხილზე ღვინის კოკობის დასმას ეძახიან.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. წერილები; თვალადური ქართულის ჭაშნიკი. თბ., 1975.

ღვლერჭი (ქვ. იმერ., ლეჩხ., ქიზიყ.) || **ღლეჭი** (რაჭ.)- დაგრეხილი მსხვილი წნელი, იყენებენ თოკის თუ წებებოს (იხ.) ნაცვლად, ხელნის მისაბმელად უღელთან, სახრედ და სხვ.

ლიტ.: ზ. ჭუმბურიძე. მასალები პურეულის ლექსიკონისათვის ქვემო იმერეთში // თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული.V. თბ., თბ., 1950, გვ. 279; მ. ჩიქოვანი. ლეჩხუმური ლექსიკონი // ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები. I. თბ., 1941, გვ. 231-259; სტ. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943. სიტყვასთან ღვლერჭი.

ღილები//ღუგმები, ფიბულები, ქინძისთავები - სამოსთა შესაკრავი და დასამაგრებელი საგნები.

ღომი - დასავლეთ საქართველოში გავრცელებული სამეურნეო კულტურის სახეობა. ღომს თესავდნენ გვიან გაზაფხულზე. მარცვალი ძალიან წვრილი ჰქონდა, მიწა ღრმად არ უნდა მოხნულიყო. თოხით რამდენჯერმე მარგლავდნენ. ღომის მარცვალმა დაცვენა იცოდა, ამიტომ სრულ შემოსვლამდე მომკიდნენ, გააშრობდნენ, დაბერტყავდნენ („ჩაჩუა“ მეგრ.) და შემდეგ ხის ჩამურში გამოცეხავდნენ. გაცეხვილ ღომს გაანიავებდნენ და მზად იყო მოსახარშად.

ღომისგან ან სიმინდის ფქვილისაგან მოხარშულ ფაფასაც ღომი ეწოდება,

რომელიც დღესაც სასურველ საკვებად ითვლება. ღომი სამეგრელოში დიდი რაოდენობით მოჰყავდათ. ძველად სამეგრელოში ღომის რამდენიმე ჯიში იყო გავრცელებული: კუხურე, ქოჩობე, კაპედი, გუდურე, ხეკერე, ხეთურე, მოთოროზი//მოცუროზი, ზოდელა, გოგუა და სხვა.

XIII ს-ის ქართულ წყაროებში წერილობით დასახელებული „მოდის“ ღომის გამოსაღებია. XIII და XVIII სს-ების საეკლესიო და სამონასტრო ბეგარებში იგი ყველგან მოიხსენიება. საქართველოში თეთრი და ყვითელი ღომის საადრეო და საგვიანო ჯიშები გაზაფხულის სხვადასხვა პერიოდში ითესებოდა. შემოდგომით მოსავლის აღებას დიდი შრომა სჭირდებოდა.

ლიტ.: ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1941; ჯ. რუხაძე, ღომის კულტურა დასავლეთ საქართველოში, მსე, ტ. XI, 1960:82; გ. ჯალაბაძე, მასალები სამეგრელოს ეთნოგრ. შესწავლისათვის, 1979:12.

ღომლის დედა / კერაის დედა / ყვარბთ ნანო / ნაცრის დედა/ ჭერჩი-ჭყეტია - თუშური საწესო ნამცხვარი - კერიის მფარველი ანგელოზის ანთროპომორფული სიმბოლო, რომელსაც თავი ნისკარტის ფორმაზე აქვს წაწვეტილებული და თვალბად ცერცვის მარცვლები უზის. მას შობისწინა დამეს კერის პირს ჩასვამდნენ ისე, თითქოს, ჭერში იყურებო; ამიტომაც „ჭერჩიჭყეტისაც“ უწოდებდნენ. კვერი, სანამ არ ჩაიწვებოდა ან თავგ-კატები არ დაიხელთებდნენ, კერიის პირას რჩებოდა.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 43.

ღორაჩო || ღორეჩო (ქიზიყ..)-პირმომრგვალებული ეჩო ღარების სათელადა. ხელეჩოსა და ფეხეჩოს ნაირსახეობა.

ლიტ.: სტ. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

ღორმით ჯუმალეფი (ლაზ. „ღმერთი ძმები“) - ადამიანთა ბედის გამგებლები - ლაზურ მითოლოგიაში; ერთი „ღმერთძმა“ ზღვაში ცხოვრობს, მეორე - ხმელეთზე; ზღვის ბინადარი წელიწადის ერთ დღეს ზღვისპირზე ამოდის და თავის ძმას ხვდება. ძმები საქვეყნო საქმეზე ბჭობენ, წყვეტენ სულდგმულთა და უსულლოთა ბედს. ვინც ამ დღეს ზღვისპირზე გავა და ძმებს რაიმეს შეევედრება, ყველაფერი უსრულდება.

ლიტ.: ზ. თანდილავა. „მომაკვდავი ლაზური დღესასწაულის“ მითოლოგიური საწყისისათვის // სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება. IX. თბ., 1988, გვ. 57.

ღორის სალოცვი ტაბლა - იხ. „ღორის სალოცვილი“.

ღორის სალოცვილი - საკალანდო ღორის ქონით შეზავებული რაჭული განატეხი, რომლის ზედაპირი გამოცხობის წინ საფოთხით (შეკონილი ქათმის ფრთების წვერებით) იყო დაჩხვლეტილი („დაჭოჭიავებული“). კალანდა საღამოს ამ განატეხს, ღორის უძვლო ხორცს, ნაკვერჩხალსა და სანთელს ოჯახის უფროსი საღორის კართან მიიტანდა და ილოცებდა: „წმინდა ბასილამ ამრავლოს, მენ ამრავლე ჩვენი ღორები“. ამ სიტყვებს რამდენჯერმე გაიმეორებდა და იმდენჯერვე განატეხს ნაწილს მოატეხდა და შეჭამდა; განატეხის უკანასკნელ ნაწილს კი შინ წაიღებდა. სახლში შესვლამდე კარებთან დაიძახებდა: „ლოცვა ღორისა“,

რაზედაც შიგნით მყოფნი უპასუხებდნენ: „ამრავლოს წმინდა ბასილმა“. საცხოვრებელში შესვლის შემდეგ ოჯახის ახალგაზრდა ვაჟი სოხანუზე გაგორდებოდა სიტყვებით: „ტახი, ტახი, ტახი“.

რაჭაში მსგავსი რიტუალი სრულდებოდა ე. წ. ძალი პარასკევს, რომლის აღწერილობაში ნათქვამია, რომ იგი „განსაკუთრებული უქმეა ქალებისათვის; ნემსის ხელში აღებაც კი არ შეიძლება ამ დღეს. სადამოს გამოაცხობდნენ სართვიან (ლობიან) პურებს, ერთ განატეხს ხელდასმულს, რომელიც ქონიანი ანდა ლობიანი უნდა ყოფილიყო. ეს განატეხი, ჭიქით ღვინო და ანთებული სანთელი უნდა წაეღო უფროს კაცს საღორის კართან ვახშმობის დროს. იქ, საღორის კართან განატეხს წაღმა შეატრიალებდა და ილოცავდა: „წმინდა ბასილის ძალო და მადლო, გამიმრავლე გოჭ-ქათამი, ააშორე ჭირი და სახადი, მის ბარობაზე არ მოგიშალო განატეხი და ზედაში“. ამ განატეხს შემოიტანდა სახლში და დაჯდებოდნენ ვახშმად. გარეშე ადამიანებს ამ განატეხს არ აჭმევდნენ“ (ფ. გარდაფხაძე).

ანალოგიური რიტუალი სრულდებოდა ლეჩხუმშიც, სადაც კალანდა სადამოს გამოაცხობდნენ ექვს ცალ ე. წ. საოჯახო სალოცვ ტაბლას და ერთს მათზე უფრო დიდი ზომის ღორის სალოცვ ტაბლას. ეს ტაბლები ლობიოსგულიანები, ან ქონნარევი და ჯვარდასახულები, ხოლო ამათგან ღორის სალოცვი საგანგებოდ ღორის მარჯვენა ფეხით „დაჭოჭიავებული“ იყო. საოჯახო ლოცვის შესრულების შემდეგ, ოჯახის უფროსი მანდილოსანი საღორის კართან გაიტანდა ღორის სალოცვ ტაბლას, მოხარშული ღორის კუდს, ღომის თაველს და ანთებულ სანთელს; იქ მათ წაღმა შეატრიალებდა და შეალოცავდა: „ბასილ კალანდა, გაამრავლე ჩვენი ღორი და კაცის სულს სულ მშვიდობა მოგვანიჭე“; შემდეგ ღომის თა-

ველს დაფშვნიდა და მარცვლებს საღორეში შეყრიდა სიტყვებით: „ამდენი გოჭი, ამდენი ქათამი“; დასასრულს შინ დაბრუნდებოდა.

ლეჩხუმში, რაჭველების მსგავსად, კაი პარასკევს უქმობდნენ. „ეს დღე უქმეა - მეტად ქალებისათვის, კაცები კი საქმობენ. ამ დღეს ქალებს რეცხვა, კერვა და ქსოვა არ შეუძლიათ, რადგან ყველა ამ საქმემ თვალდაფსებული გოჭის მომრავლება იცისო. ამ დღეს, სადამოს, ვახშმობამდე დიასახლისი გამოაცხობდა ჯვარსახიან ტაბლას, - ერთს ქონიანს; ეს იყო ღორის სალოცი. ვახშმობამდე ქალი ამ ტაბლას, ჭიქა ღვინოს, ნაკვერჩხალს, სანთელ-საკმეულს კაცების უჩუმრად გაიტანდა, საღორის კართან გაჩერდებოდა, ღვინოს და ტაბლას წაღმა შეატრიალებდა და შეალოცავდა: „წმინდა ბასილა, გაამრავლე ჩემი ღორებიო“, ღვინოს იქვე დაღევდა და ტაბლას კი შინ შემოიტანდა, დასჭრიდა და ოჯახის ყველა წევრს უნაწილებდა; მიცემისას უნდა ეთქვა: ‘ლოცვა ღორის“, ნაწილის მიმღები კი უპასუხებდა: „ამრავლოს წმინდა ბასილამ“. შემდეგ ივახშმებდნენ, საღორესთან ქალის ლოცვის დროს მამაკაცი ახლოს არ გაივლიდა“ (ფ. გარდაფხაძე).

ამ რაჭულ-ლეჩხუმური რიტუალის ანალოგიურია შუშხ-ამ (იხ.) დამეს სვანეთში შესასრულებელი წესიც (იხ. „გუეჭ ტაბღლ | ნეზჷ-ტახი ტაბღლ“).

ლიტ.: ფ. გარდაფხაძე. ლეჩხუმური ხალხური დღეობები. 1937, გვ. 14-16, 33 (ხელნაწერი ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში); ფ. გარდაფხაძე. რაჭული ხალხური დღეობები, 1938, გვ. 12-13, 29 (ხელნაწერი ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში).

ღორურემა - „დიდი საძნე ურემია, რომელსაც წინა ნაწილი მიწაზე აქვს დადებული. ასეთი ურემი არ დაქანდება თავ-ქვეებში და აღმართებში. ძნელი სატარებელია და ხარ-კამეჩის ძალას ითხოვს“ (ვ. კოპტ. „ივერია“, 1894, № 22).

ლიტ.: ი. გრიშაშვილი. ქალაქური ლექსიკონი. თბ., 1997.

ღუბისთავ სვეტის ანგელოზი - ხევსურული ჯვარის (ხატის) დარბაზის კარის ზღურბლის თავის გასამაგრებლად შედგმული სვეტის მფარველი სული.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია) // მიმომხილველი. I. თბ., 1949, გვ. 126.

ღული - ოჯახის მამრობითი სქესის ყველა წევრისთვის განკუთვნილი კახური საახალწლო პური, რომლის ფრჩხილი (შოთი პურის თხელი მხარე) დაკბილულია ასტამით და, როგორც ადგილობრივები აღნიშნავენ, წარმოადგენს მუშახელის სიმბოლოს - ნამგალს. გარდა ნამგლისა, ქიზიყში მამაკაცებისთვის საახალწლოდ ხმლის ფორმის პურებსაც აცხობდნენ.

ლიტ.: ს. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

ღურუკო (რაჭ.) - მწყერის დასაჭერი მახე. შედგება ხის ჯოხისა და თვალისგან. თვალი წარმოადგენს ერთგვარ სასხლეტ მარყუჟს, რომელიც დაგრეხილია 2-3 წვერი ცხენის ძუისგან და მიმაგრებულია ღურუკოს წვერს. მეორე ბოლო მომარყუჟებულია. საღურუკოე ხე უნდა იყოს ცერის სიმსხო და ძალზე სწორი, დაახლოებით 3 მეტრის სიგრძის, იმისათვის, რომ ასეთი ჯოხი კარგად გაიმართოს, მას ჩამოჰკიდებენ რაიმეზე და ბოლოზე შეაბამენ ქვას,

2 კვირა მაინც ასე ტოვებენ, რომ შეხმეს და კარგად გასწორდეს. შემდეგ მკვიდრად მიაბამენ ცხენის ძუისგან დაწნულ მარყუჟს. სანადიროდ გასული მონადირე შეამჩნევს რა განაბულ მწყერს, მიუახლოვდება, მაღლა ქუდის ასროლით ან რაიმე ხერხით მწყერის ყურადღებას გაფანტავს და მოხერხებულად გადააცვამს თავზე მარყუჟს.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.



ყაბახი - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ქართულ-კავკასიური ჩვეულება - მიზანში საწესო სროლა. თვით ტერმინი აღნიშნავს საწესო საგანს - მიწაში ღრმად ჩასმულ გრძელ ძელს, რომლის თავზე დაკრული ან ჩამოკიდებულია სამიზნედ გამოყენებული ჯვარი ან ტყავის ნაჭერი, ქეჩა, ქალაღდი, მონეტა ან გარდაცვლილი მამაკაცის ზედა სამოსის სრული კომპლექტი (ეს უკანასკნელი ძელზე მატყლის დაფით იყო ჩამოკიდებული. შეჯიბრის მონაწილეებს დაფი სროლით უნდა გაეწყვიტათ და „პრიზი“ ჩამოეგდოთ); უფრო ადრე სამიზნეს შინაური ცხოველები - თიკანი, ბატკანი ან ქათამი წარმოადგენდა [ყაბაყი ეწყობოდა მიცვალებული მამაკაცის სახელზე გასვენების დღეს ან წლისთავზე გამართული დოდის შემდეგ. გამარჯვებულს ჭირისუფალი აჯილდოებდა მიცვალებულის კუთვნილი ხანჯლით ან ქამრით, ცხენით, ხარით ან ცხვრით.

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ყაბახის ჩვეულება კავკასიის რეგიონში შემოტანილია თანამედროვე ოსთა წინაპრების (სკვითურ-სარმატული მოდგმის ხალხების) მიერ შუა აზიიდან, სადაც იგი ცნობილი იყო შუასაუკუნეების ოღუზებში და თითქმის უკანასკნელ ხანებამდე შემოინახეს ტაჯიკებმა, უზბეკებმა

და თურქმენებმა. ჩვენთვის ცნობილი ეთნოგრაფიული მასალა აღნიშნულ თვალსაზრისს საეჭვოს ხდის. უნდა ითქვას, რომ მიზანში სროლის ჩვეულება საქართველოში (და არამარტო საქართველოში) იცოდნენ არამხოლოდ მიცვალებულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ დღეებში, არამედ ძეობაზე, ქორწილში, ახალ წელს და განსაკუთრებით გაზაფხულისა და ზამთრის ბუნიობასთან მაქსიმალურად მიახლოებული ხალხური დღეობების დროს. საქმე ისაა, რომ ბუნებაში ციკლურად მიმდინარე ცვლილებები, მათ შორის ბუნიობის პერიოდი, ისევე როგორც ადამიანთა ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მომენტი (დაბადება, სიკვდილი, მიცვალებულთა ხსოვნის დღეები, ძველი და ახალი წლების მიჯნა და სხვ.), არქაულ საზოგადოებაში ადქმულია კრიტიკულ დროდ, როცა ქაოსის დამანგრეველ ძალთაგან კოსმიური წონასწორობის, წესრიგის რღვევის საშიშროება დგება. ამიტომ ზოგადად სროლა (შდრ. სროლის ჩვეულება მზისა და მთვარის დაბნელების ჟამს) და კონკრეტულად მიზანში სროლა გენეტიკურად დემონური ძალების დაძლევის, მათი განადგურებისა და კოსმიური წესრიგის შენარჩუნების სურვილს უკავშირდება. ტერმინი „ყაბაყი“, „ყაბახი“ ქართველებისა და მისი მეზობელი ხალხების მიერ

გვიან ნასესხები ჩანს (იგი თურქების მიერ უნდა იყოს შემოტანილი); თავად ჩვეულება კი შუა აზიასა და კავკასიაში, ყოველგვარი სესხების გარეშე, დამოუკიდებლად უნდა წარმოქმნილიყო.

ლიტ.: ნ. ანთელავა. კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები. თბ., 2017.

ყაითანი - ფერადი ძაფისაგან დაწნული ბრტყელი ზონარი, რომელიც გაკერილებში ედებოდა ტანსაცმელს. იყენებდნენ კაბების ბოლოებისა და გულისპირების მოსავლებად.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ყაისნადი - საქსოვი ჩხირი, თავკაუჭიანი. ყაისნადს აკეთებდნენ ძირითადად ლითონისაგან, მოწმდება ხის ყაისნაყებიც. გამოიყენება ბამბის, აბრეშუმის, მატყლის ძაფის საქსოვად. ყაისნადით ქსოვენ ქსოვილზე მოსაყოლებელ არშიებს, ქუდებს, კედლის მოსართავებს (აჭარ.), სხვადასხვა ნივთების დასადებ ქსოვილებს, აგრეთვე ტახტისა და ლოგინის გადასაფარებლებს. ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ყალამი - ქვაზე ჩუქურთმის ამოსაყვანი რკინის ხისტარიანი იარაღი, განკუთვნილია ნატიფი სამუშაოს შესასრულებლად, ამიტომაცაა გაიგივებული მხატვრის ყალამთან, აქვს ოდნავ ოვალური პირი, არსებობს ყალმების ნაირსახეობი. შესაფერისი ტიპის ყალამი გამოიყენებოდა ოქრომჭედლობაშიც, რომელიც წარმოადგენს ხისტარიან ფოლადის წვერწამახულ იარაღს და მისი მეშვეობით ვერცხლის ნაკეთობაზე ამოკაწვრის წე-

სით ამოჰყავდათ სხვადასხვა სახეები; 2. ფუნჯი.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ყამა (გურ., მეგრ.) / **ბაბასყამა** (აჭარ.) - ხანჯლის ტიპის ცივი იარაღი. საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობდა აჭარული ყამა, რომელიც „ბაბასყამას“ სახელწოდებით იყო ცნობილი. ბაბასყამას პირი ფოლადისაგან მზადდებოდა, ცალტესული, დარიანი. ზომებით მრავალნაირია. ტარი ძირითადად მზადდებოდა რქის, ძვლისა და ხისგანაც. ბაბასყამას ზოგიერთი ნიმუშის ტარის ფორმაზე შეიმჩნევა თურქული იატაგანის გავლენა, რომელიც ორკაპა ფორმით ბოლოვდება. ორკაპთან ვხვდებით ნეკის სათითურს, რომელიც ქარქაშიდან ყამის სწრაფ ამოღებას ემსახურება. ქარქაშები დამზადებულია ხისაგან, რომელზეც ძირითადად შავი ტყავია გადაკრული. ყამის ქარქაშებისთვის დამახასიათებელია ოთხხუთ მწკრივად შემოვლებული სხვადასხვა ფერის (მწვანე, ყავისფერი და სხვ.) ტყავის სალტეები, რომელიც ფრაგმენტულად ჩაწნულია ქარქაშის ტყავში. აჭარულ ბაბასყამას თანამედროვე ქართველი ოსტატები ახლაც ამზადებენ.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ყანის დასვენება - აგრარული ხასიათის თუმური რიტუალი; სრულდებოდა ყანის მკის მოთავებისთანავე: მოძველნი ყანის აღმოსავლეთ კიდეში გავიდოდნენ, ყანისკენ ზურგმუქცევით დასხდებოდნენ და ნამგლებს ზურგსუკან გადაისროდნენ შემდეგი სიტყვებით: „ყანაო, დადებულის-დ დასვენებულნიც ხარი, ძნას კაბიწ,

ულოს გვერდ, ხვავიან-ბარაქიანიმც ხარი, სამხლო, საქორწილო, საჯვარისკაროიმც ხარი“. ამის შემდეგ დაიწყებოდა მომკილ-გათიბულის მიტანა-მიბინავება.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 153.

ყანწი - ღვინის (აგრეთვე არყის) რქის სასმისი. სულხან-საბას განმარტებით დიდ ყანწს „ქარახსას“ უწოდებენ. საქართველოში ყანწებს ძირითადად ჯიხვის, ხარის, ძროხის, კამეჩის, გარეული თხისა და ნიამორის რქისაგან ამზადებდნენ. ყანწები განიყოფება ორ სახეობად: „ჯიხვებად“, ანუ ღვინის სასმისებად და არყის სასმისებად, ანუ პატარა ყანწებად. დამუშავების მხრივ ყანწები შეიძლება კიდეც ორ ჯგუფად დაიყოს ხელოსნური ყანწები და არახელოსნური. არახელოსნური ყანწები მოკლებულია იმ ხელოსნურ ტექნოლოგიებს, რომელსაც ესა თუ ის რქის ხელოსანი ფლობდა საკუთრად. ასეთ უბრალო ყანწებს ყველა გლეხის ოჯახში ადვილად აკეთებდნენ. ყანწის კეთების საწყის სტადიაზე ჯერ რქას გამოხარშავდნენ. რქა იხარშებოდა გულითაც და უგულოდაც. უკეთესი იყო უგულოდ რქის გამოხარშვა. მოხარშულ რქას თბილ-თბილს გათლიდნენ დანით, შემდეგ ჭოპოსანში გამოიყვანდნენ, გაქლიბავდნენ და შუშით გაფხეკდნენ. გაფხეკილ ყანწს ნახშირიანი ტილოთი კარგად გაწმენდდნენ. შემდეგ ხდებოდა სასმისის დაფერვა. გაქონილ ნაბდის ნაჭერს რქას წაუსვამდნენ, რის შემდეგაც ყანწი პრიალებდა და სასურველ ფერს იღებდა. ზედა ნაწილის დამუშავების შემდეგ იწყებოდა გულის გასუფთავება და ამოხვეწა. ამისათვის ყანწში ჩაასხამდნენ ადუღებულ წყალს და ხვეწით ამოასუფთავებდნენ. გულის ამოღების შემდეგ ყანწს გამდნარ სანთელს გამოავლებდნენ. ასე კეთ-

დებოდა უბრალო ყანწები. მდიდრული ყანწი ოქრო-ვერცხლით იჭებოდა როგორც სევალით, ასევე ზარნიშის ტექნოლოგიით, ზოგჯერ ყელსა და წვერში ვერცხლისავე ძეწვით გადააბამდნენ. აღსანიშნავია, რომ საქონლის რქებისგან დამზადებული ყანწები სხვადასხვა ზომისა იყო. არყის სასმისად პატარა ზომის ყანწებს აღმ. საქართველოს მთიანეთში იყენებდნენ. არყის ყანწებიც ორნაირია: ხელოსნური და უბრალო. ძირითადად მზადდებოდა ხარის, ცხვრის, თხის ან შველის რქებისაგან. ხევსურეთში ყანწს ხატსაც სწირავდნენ. ასეთ ყანწს „სალოცავს“ უწოდებდნენ. მათ საგანგებოდ რთავდნენ ღილ-მძივებით, ვერცხლის ძეწვებითა და მონეტებით, წვერი ხშირ შემთხვევაში გველის ან ფრინველის თავის გამოსახულებით იყო დამშვენებული. მთაში არყის ყანწი მიცვალებულისთვის განკუთვნილ სასმისსაც წარმოადგენდა. გარდაცვლილის შესაძლობარს პირველად ამ სასმისით სვამდნენ. ყანწები ძირითადად ქორწილებსა და ნათლობა-დღესასწაულებზე გამოიყენებოდა. პირდაპირი დანიშნულების გარდა, „ჯიხვები“ სასტუმრო ოთახებისა და დარბაზების შესამკობად იხმარებოდა. ზოგიერთ ოჯახში დღესაც ინახება უზარმაზარი რქებით შემკული ჯიხვის თავი. ეს რქები, ამავე დროს, სასმისებსაც ე.წ. „ქარახსებს“ წარმოადგენს. საქართველოში ყანწის მნიშვნელობა განსაკუთრებით გამოკვეთა ღვინის კულტმა და ეს ამკარადაა დადასტურებული არქეოლოგიურ მასალებში. ეთნოგრაფიულ ყოფაში რქის დამუშავების კულტურაში ყანწს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა და თითქმის ყველა ოჯახს გააჩნდა ამ ტიპის გამორჩეული სასმელი, რომელიც ყველა ნადიმისათვის განუყრელ საგანს წარმოადგენდა. მოსახლეობაში მასიურად იყო გავრცელებული სხვადასხვა ზომის რქის შეუმკობელი ყანწები,

მაგრამ შეძლებული ოჯახები არჩევდნენ ვერცხლით შეჭადილ ყანწებს. არცთუ იშვიათად სათანადო წარწერებით ყანწი წარმოადგენდა ძალზე მიღებულ სასაჩუქრო - მემორიალურ ნივთს. ქართული ლხინისათვის ყანწი განუყრელ სასმისად ჩამოყალიბდა. დროთა განმავლობაში იგი გადაიქცა მოქეიფე მსმელთათვის ღვინის სმაში ერთგვარი შეჯიბრის საგნად და მისი უტილიტარული დანიშნულება ზედმეტად უტირიებული გახდა. ვანის არქეოლოგიურ მასალებში აღმოჩნდა ძვ.წ. V ს. ადამიანის ბრინჯაოს ფიგურა, რომელიც თამადის პოზაში ზის სკამზე და ხელში უჭირავს ყანწი. ესაა დოკუმენტური სურათი ქართული სუფრის თამადის 2500-წლოვანი ისტორიისა. ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. 2011.

ყანწი სანაკვეთო (ხევს.) - ბოლო ყანწი, რომლითაც მასპინძლის სახლში სტუმარი არაყს სვამდა. სანაკვეთო ერქვა იმიტომ, რომ მისი დაღვევის შემდეგ მეტს აღარ შესვამდა. ლიტ.: ალ. ოჩიაური, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, 1980.

ყაჭის პარკები (გურ.) / **აბრეშუმის პარკები / აბრეშუმის განატეხი** (იმერ.) - იხ. „იობი“.

ყარტი (ხევს.)- სვილის - ჭვავის - ჩალა.

ყარყარა - ღვინის სასმისი, ყელმოგრეხილი ვერცხლის სურა. ძირითადად გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით თბილისში. საბა ორბელიანის განმარტებით, ყარყარა არის „სარწყული სმაში ხმის მიმცემელი“. მისი სახელწოდება წარმომდგარია სმის დროს წარმოქმნილი „კარ-კარ-კარ“ ბგერათა შეთანაწყობით. სასმისის ასეთ თვისებას განაპირობებდა

მისი გრეხილი ყელი, რომელიც მსმელს არა ერთბაშად, არამედ ძუნწად აწვდიდა ღვინოს და „სიმშვენიერით მოსილ სანუკვარ სმას“ ახანგრძლივებდა. ყარყარას აქვს ტანი, ყელი და ძირი, რომლებიც ნაწილ-ნაწილ კეთდება და მერე უერთდება ერთმანეთს, ყელში შიგნიდან ჩამაგარებული აქვს სამგან გახვრეტილი ფირფიტა, სადაც ღვინო ჩაისხმება და ასევე სმის დროს გადმოედინება. ყარყარა ძირითადად მზადდებოდა ჭედური წესით ვერცხლის ცალკეული ფირფიტებისაგან. ყარყარა არის ჭურჭელი დიდ ნადიმთა დამამშვენებელი და ძველი ქართული წყაროების მიხედვით იგი ექცევა ჭურჭელთა რიგში, რომლებიც იყვნენ „სამსახურებელნი ტაბლათანი ტურფანი და სანადიმონი“. ყარყარას ტანი, ხშირ შემთხვევაში დამამშვენებელია სხვადასხვა ჟანრის ჭედური წესით შესრულებული რელიეფებით, რომლებიც აღებულია როგორც საქართველოს ისტორიიდან (თამარ მეფე, რუსთაველი) ასევე საყოფაცხოვრებო სფეროდან. ყარყარას საუკეთესო ხელოსნებად ითვლებოდნენ თბილისელი ოქრომჭედლები.

ლიტ.: ი. ბალახაშვილი, ძველი თბილისი. თბ., 1951.

ყაწიმი - „ხმლის სამხარიღლივე“ (საბა). ვერცხლის ნაწილებით შემკული მხარიღლივ გადაკიდებული თასმა, რომელზედაც ხმლის ქარქაშია ჩამოკიდებული.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ყდა (ხევს.) - შალის, ტოლის საქსოვი ვერტიკალური დაზგა. ყდის ნაწილებია: ორი ყდა (სვეტი), ორი ღვილვა, ორი წკეპლა (სათხორე და საშეკარი), ორი გარა, სოლები, ორი ქიჩი, ბეჭი (სავა-

რცხელი), ფხინი (გარას წამყვანი), წიწუ, ცხემლა (მაქო) და თხორნი. ყდის სვეტების თავთან ამოღებულ თვალში გაყრილია ზედა ლილვი, ქვედა ნაწილში ამოჭრილ საქიჩრებში ჩასმულ ქიჩებზე ჩამოკიდებულია საშევრის გარა, ყდის ძირზე გადგმულია ქვედა ლილვი.საქსოვ ყდაზე დაჭიმული იყო ქსელი, საშევრის გახსნილ პირში - ქირცში დაფდახვეული ცხემლა იყო გადებული. ზევით ქსელის გამყოფი გარა. ქსელის დაქსელვის შემდეგ იწყებოდა ქსოვა: ფხინის საშუალებით გარას მოძრაობის შედეგად ქსლის გახსნილ პირში ცხემლი დაფის გატარებას ბეჭით ჩაბეჭვა მოჰყვებოდა. საშევრის მემვეობით დაფების ზევით და ქვევით აწევ-დაწევა, დაფდახვეული ცხემლის მარცხნივ და მარჯვნივ მოძრაობა და ჩაბეჭვა თანმიმდევრული მონაცვლეობით ხდებოდა. ყდაზე ღღეში საშუალოდ 60-80 სმ. ტოლი იქსოვებოდა.ასეთივე ტიპის საქსოვი იყო თუშური „აკაზმები“, ფშავში არსებული „ყდა“ ხევსურულისგან განსხვავდებოდა. ამ საქსოვებზე შალთან ერთად ხალიჩა-ფარდაგებსაც ქსოვდნენ. ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი, ქართული ხალხური საქსოვი დაზგები, სსმმ, XVIII-B, 1954.

ყვლის ღედა -- კვეთი, რძის ჩასაკვეთად გამოყენებული ხსნარი. საქონლის კვეთს დაამარილებდნენ და გაახმოებდნენ, შემდგომ ქილაში ჩადებდნენ, ზემოდან მაწვნის შრატს დაასხამდნენ და ერთი კვირით თბილ ადგილზე გააჩერებდნენ. ცალკე შეამზადებდნენ გამოხდილ და გობზე დასხმულ, შემჟავებულ რძეს, რომელსაც შრატში ჩაგდებულ კვეთს დაასხამდნენ, მოურევდნენ და დაელოდებოდნენ. შემჟავებულ რძეს პერიოდულად მანამდე უმატებდნენ, სანამ არ შედგებოდა.

ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური სამზარეულო აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, XII, 1986:81.

ყვიბარი (რაჭ.) / ყვიბირი (იმერ.) - ღვინის შესანახი მცირე ზომის ქვევრი ლეჩხუმში. ყვივარისა და ქვევრის ტევეადობას ლეჩხუმში დორას მიხედვით საზღვრავენ. სამ დორიანზე პატარა ჭურს ყვიბარს უწოდებენ, უფრო დიდს - ჭურს. სიმაღლე დაახლოებით 80 სმ-მდეა. ლეჩხუმური ყვიბარი და იმერული ქოცო ერთი და იმავე შინაარსის მატარებელი ტერმინია.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ყისინა -- 1. თხის უხეში ბალნისაგან მოქსოვილი საბანი საქართველოს მთაში, რომელსაც მწყემსები იყენებდნენ. 2. დიდი ტომარა, ხორბლის გადასატანად.

ყიშლა სახლი -- საზაფხულო საძოვრების წინა საფეხური, საგაზაფხულო და სამემოდგომი საძოვარი, მესაქონლეთა სეზონური საცხოვრებელი, გარდამავალი შუალედური ადგილი ბარსა და მთას შორის.

ლიტ.: ვლ. მგელაძე, მესაქონლეობა ზემო აჭარაში, „მუზეუმის მაცნე,“ ბათუმი, 2012:103.

ყლორტი -- ვაზის ახლადამოყრილი ტოტების სახელწოდება. ქართული ენის თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება, რაც საერთოა სხვა მცენარეებთან.გარდა ყლორტისა, ვაზის ახლადამოყრილ ტოტს ყოტი ეწოდება (ქიზ.); ყოვერი (ქართ.); ყვიორი (რაჭ.); დოყი (კახ.); დუყი (გურ.); ტოლი (აჭარ.); მორჩი (რაჭ.); მორჩს ასევე ძველ ქართულში ეძახიან. ამონაყარი (იმერ. ლეჩხ.); ნაყარი (იმერ. გურ.) და ა. შ.

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში, 1978:17-19.

ყორე - ქვის ღობე, ერთგვარი ზღუდე, რომელსაც კარ-მიდამოს, ბაღ-ბოსტნების დასაცავად აგებდნენ. ეთნოგრაფიულ ყოფაში მშრალად ნაგები ყორეები გვხვდება, რომელთა მშენებლობის დიდი გამოცდილება არსებობდა. დასავლეთ საქართველოში ღობის სხვადასხვა ვარიანტები გვხვდება როგორც ხელოვნური (სარის), ისე ბუნებრივი - ცოცხალი ღობეები.

ყუთუდი / ლაიჭვარი / გობე (სვ.) / ღვედიში (მეგრ.) / ჩარხი (ქიზ.) - ტყავის დასამუშავებელი ხელსაწყო. ყუთუდს ფეხში ჩადგმული ჰქონდა გათლილი ბოძი, მისი ზედა ნაწილი წვრილი იყო და ზემოდან ჩამოცმული ჰქონდა ბოლოებმომრგვალებული მორი, შიგნით ერთი ნახვრეტით. ნახვრეტში შეყოფდნენ ღვედის თავს, დანარჩენი ნაწილი სვეტის გა-


რშემო ეხვეოდა. ჩარხის ორივე მხარეზე წამოზიდული ნაწილების - „ხელების“ - მეშვეობით ტყავს ატრიალებდა და არბილებდა.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ყურტმა - იხ. „დუღუა“.

ყურძნის ქვირითა - ყურძნის ზრდადაუსრულებელი წვრილი მარცვალი, მსხვილში გამორეული. ეს ემართება „დაწვრილშვილებულ ვაზს“. იხ. ვაზის დაწვრილშვილება.

ლიტ.: შატბერაშვილი, გიორგი. თხზულებანი. ტ. 4. წერილები; თვალადური ქართულის ჭაშნიკი. თბ., 1975.



ყვანაში ხვამა („ყანის ლოცვა“) / **ხვამა ივანობა** („ივანობისთვის ლოცვა“) - სამეგრელოში სიმინდის შემოსვლის შემდეგ, ყოველ მოსახლეს ორი ყანა ჰქონდა: დიდ ფართობზე დიდწილად სიმინდი ითესებოდა, მესამედზე - ღომი. ივანობისთვის მეორე ნახევარში მხოლოდ ღომის ყანაში ლოცულობდნენ. ამ დღეს უქმობდნენ და მამაკაცები არავითარ საქმეს არ ეწეოდნენ. შუა ყანაში ოჯახის უფროსი მამაკაცი დაასობდა ხისგან გაკეთებულ ჯვარს, რომლის მხრებზე მოსავლის სიმბოლოს, ე. წ. „კაკლარიმ ორდოხუს“ ჩამოკიდებდა; ჯვართან ხონჩით ყველიან კვერებს დადებდა. ჯვრის გარშემო ოჯახის წევრებს დააჩოქებდა, მუხლს თავადაც მოიყრიდა და წმ. ილიას სახელზე ლოცვას ადავლენდა - მოსავლის დაცვასა და ბარაქას შეთხოვდა; დასასრულს კვერებს ყანაშივე ყველას შეაჭამევდა, საღამოს კი მეზობლებს დაიწვევდა, კვლავ წმ. ილიას სადიდებელს იტყოდა და მოილხენდა.

ლიტ.: ი. ქობალია. ჩემი ავტობიოგრაფია. გვ. 28-29 (ხელნაწერი. დაცულია ქ. ზუგდიდის ისტორიის მუზეუმის არქივში).

ყუდეში ბორკუა („სახლის დაბორკვა“) - მეგრული მაგიური ხასიათის ქმედება - ოჯახის უფროსი მამაკაცის გარდაცვალებით

ბისთან დაკავშირებით საცხოვრებლის თოკით დაბმის წესი; მიცვალებისთანავე სახლს თოკს შემოაკრავდნენ და ორივე ბოლოთი ან ხეებზე, ან მიწაში ჩარჭობილ პალოებზე დააბამდნენ; თოკს ორმოცზე ან წლითავზე მოხსნიდნენ. როგორც ჩანს, „სახლის დაბორკვას“ ოჯახში სიკვდილის „არშემოშვების“ მიზნით მიმართავდნენ.

ლიტ.: ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 7, გვ. 5 (ხელნაწერი ინახება ავტორთან).

ყურუნეიმ ოხვამერი (მეგრ.) – „ყურძნის სალოცავი“; ასრულებდნენ ყურძნის დამწიფებამდე. გამოაცხობდნენ კვერებს, წაიღებდნენ ვენახში და მიწაში ჩაფლავდნენ, თან ღმერთს ყურძნის ბარაქიანი მოსავლის, კარგი და მაგარი ღვინის მოცემას ევედრებოდნენ.

ლიტ.: ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 331.



შაბათის პური და ჯოხის პური - ჯოხის პური სოფლის მენახირის სეზონური სამუშაოს გასამრჯელოს ერქვა. მწყემსს გასამრჯელოს უნაზღაურებდნენ ნატურით: ხორბლით, სიმინდით. მენახირე სოფლის ნახირს მწყემსსავდა გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, განსაზღვრული ვადით და განსაზღვრული ანაზღაურებით, მაგრამ თუ გაზაფხული ადრე დადგებოდა და მენახირე მუშაობას დაწესებულ ვადაზე ადრე შეუდგებოდა, ყველა ოჯახი შაბათობით აძლევდა თითო გამომცხვარ პურს, რომ გადაკვეთილი სამწემსურის მიღებამდე თავი გაეტანა. „ჯოხის პურის“ ანაზღაურებამდე შაბათობით მიღებულ გამომცხვარ პურს შაბათის პური ერქვა.

ლიტ.: შატბერაშვილი, გიორგი. თხზულებანი. ტ. 4: წერილები; თვალადური ქართულის ჭამნიკი. თბ., 1975.

შაბაქა / ჭია / გველიკუდა - პატარა ხერხის სახეობა. ასეთი ხერხით აჭრულებდნენ აივნის ფარდებსა და მოაჯირებს.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

შავები - სამგლოვიარო სამოსელი.

უძველესი პერიოდიდან მიცვალებულთან დაკავშირებით შექმნილ ტაბუაციის რთულ სისტემაში ერთ-ერთ საკითხს სამგლოვიარო სამოსელის ფერის შერჩევა წარმოადგენს. ძველი დროიდან ფერი სიმბოლური ინფორმაციის წყაროდ იყო მიჩნეული, რომელიც ძლიერ გავლენას ახდენდა ადამიანის ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობაზე. სხვადასხვა ხალხში ფერთა გამას სხვადასხვა დატვირთვა ჰქონდა. საქართველოში სამგლოვიარო სამოსი ძირითად შავი ფერისა იყო, აქედან მომდინარეობს სამგლოვიარო სამოსელის ერთ-ერთი სახელწოდებაც - „შავები“. ძველ საქართველოში გლოვის დროს ძირითად შავ ფერთან ერთად გამოიყენებოდა ლურჯი, ყავისფერი (ჯიგარი), იისფერი. სვანეთში და ხევსურეთში დაცული წესებით, შავთან ერთად წითელიც ჩანს გამოყენებული მიცვალებულის სახელზე მოკაზმული ცხენის ატკაზმულობაში, რაც საზეიმო და გლოვის ელემენტების შერწყმას უნდა გულისხმობდეს. სამეგრელოში დაცულია სამგლოვიარო სამოსელის სახეობა - „ონწერალი“, რომელიც შვილის, ქმრის და გაზრდილის - „მორდილი“- დაღუპვის დროს იყო გამოყენებული. ეს იყო თეთრი ნარმისგან („ჩენარმა“) დამზადებული კაბა. ამაზე „სამწარო“ აღარა ყოფილა, მაშინვე შეა-

ტყობდნენ, რომ ჩაცმულს ახალგაზრდა ახლობელი ჰყავდა დაკარგული.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. 2011.

შავი ლივანურა (აჭარ.) -- აჭარაში გავრცელებული წითელყურძნიანი ჯიში. ლივანურა აჭარული წარმოშობის არ იყო და იგი სავარაუდოდ, ლივანიდან უნდა ყოფილიყო შემოტანილი. სოკოვანი დაავადებისა და ფილოქსერის დროს, ლივანურას მადლარი მასობრივად განადგურდა. დანიშნულებით, იგი სუფრის ყურძნის ჯიში იყო.

ლიტ.: მ. რამიშვილი, გურიის, სამეგრელოს... თბ., 1948.

შავო (კახ.) / **შავფეხა** (იმერ.) / **უსულო** (გურ.) / **ჰუნმეტახილი** (მეგრ. „წელგაწყვეტილი“) - ჭიანჭველის, როგორც აბრეშუმის ჭიის მავნებლის, ტაბუირებული სახელი. ხალხის დაკვირვებით, ჭიანჭველა სასტიკად ემტერებოდა აბრეშუმის ჭიას, რომელიც მისი ნაკბენით უმალვე კვდებოდა. ამიტომ ქართველებმა ამ მავნებელთან ბრძოლის რაციონალური და ირაციონალური საშუალებები გამოიმუშავა; რაციონალურ საშუალებად ნაცარი იქნა აღიარებული. იმერეთში ამ მიზნით საგანგებოდ ინახავდნენ ე. წ. „უბრ“ ნაცარს. დიდ ხუთშაბათს დილაადრიან ადგებოდნენ და „უბრად“ აგროვებდნენ ნაცარს ისე, რომ ვინმესთან დალაპარაკებას ერიდებოდნენ. ამ ნაცარს ინახავდნენ და, ჭიანჭველის გაჩენის შემთხვევაში, ლასტებს გადააყრიდნენ, თან შესალოც ფორმულას წარმოთქვამდნენ:

შავი მოვა შავითა,
შავი მისი ჯარითა,
შავსა პირი აუხვიე
შავი აბრეშუმითა.

გურიაში დამოწმებულია შელოცვის შემდეგი ტექსტი:

შავი მოვა შავითა,
მთას ირემი წაქცეულა,
შავი მისი ჯარითა,
იქაა შენი სარჩო,
შავსა პირი აუხვიე
აქ რა ხელი აქვს უსულოს,
შავი აბრეშუმითა.
აქ რა ხელი აქვს უგულოს,
უსულო ხარ, უგულო ხარ,
წელმოწყვეტილ გლახასა,
წელმოწყვეტილი გლახა,
ჰაიდა, ჰაიდა.

კახური ვარიანტი:
შავო მოდი შავითაო,
შავო შევკარ, შევბეჭე,
შავითა და ბნელითაო,
შავსა ძაღლსა ავკიდე,
შავოს პირი აუხვიე
ძაღლი იქით გავახტუნე,
შავი აბრეშუმითაო,
შავო წყალში ჩავახტუნე.

მეგრული ვარიანტი:
პუნუ, პუნუ პუნუ თიშა,
ვიშო მეუ სკანი თიშა.
(კუზიანო, კუზიანო კუზიანებთან,
იქით წადი, შენიანებთან).

ლიტ.: ნ. აბესაძე. მეაბრეშუმეობა საქართველოში. თბ., 1957, გვ. 53-54.

შავშურა (ზ. აჭარ.) - თეთრყურძნიანი ადგილობრივი მნიშვნელობის სუფრის ყურძნის და საღვინე ჯიში. გადმოცემით შავშურა აჭარაში შავშეთიდან ყოფილა შემოტანილი და ზემო აჭარის ეკოლოგიურ პირობებს კარგად იყო შეგუებული.

შალაფი (ხევს., თუმ., მთიულ.) - საშუალო ზომის ბურღი, ხის სახვრეტი.

ლიტ.: გ. გასიტაშვი ლი, ხის დამუშავების ხალხური წესები. თბ., 1962; ალ. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005. სიტყვასთან შალაფი; თ. უთურგაიძე. თუშური კილო. თბ., 1960; ლ. კაიშაური. მთიულურის დარგობლივი ლექსიკა. თბ., 1967.

შალაშინი - რკინისპირიანი ხის იარაღი (სხვადასხვაგვარი), რომლითაც აშალაშინებენ ფიცრებს.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

შალვარი//შარვალი - მამაკაცის ტანსაცმელი. ძველად, საშარვლე მასალად შალი ყოფილა მიღებული. ქიზიყში საუკეთესოდ, მუხახის შალის შარვალი ყოფილა მიჩნეული (მუხახი სოფელია ზაქათალაში, იქ კრაველის კარგ შალებს ქსოვდნენ, ჩამოჰქონდათ სიდნადში, ღებავდნენ და იკერავდნენ ტანსაცმელს). ნიშანდობლივია, რომ XII საუკუნის ასტრონომიულ ტრაქტატში, მინიატურაზე გამოსახულ ვაჭარს თავისებური ჩაცმულობა ჰქონდა. ეცვა გრძელი შარვალი, სარტყელი ჰქონდა და ჯიბეები უჩანდა. ამ დროს ქართულში სიტყვა „შარვალი“ არ იხმარებოდა. იგი სპასრული სიტყვაა და შალისაგან შეკერილ ტანისამოსს ნიშნავს. შარვალი//შალვარი XVII ს-ში შემოვიდა და ნიფხავსაც აღნიშნავდა. ჩოხის ქვეშ ნაოჭიანი, ე. წ. „ბუდიანი“ შარვალი ეცვათ, ასევე, „ფარნიანი“ შარვლიც, განიერი, ფარანივით დაკეცილი და უკან უბე ჩამოჩაჩული. მესხეთ-ჯავახეთში და სხვაგანაც ქალები ატარებდნენ გრძელ შარვალს, რომელსაც ბოლოები ოქრომკერდითა და ფერადი

დაფებით ჰქონდა მოქარგული.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. 2011.

შალთა - თოხის ნაირსახეობა, გამოიყენება ბოსტანში სამარგლავად. სულხან-საბა მას ნამგლისებურად მოხრილ პირიან იარაღად მოიხსენიებს. შალთა განეკუთვნება პატარა პირიან თოხების ჯგუფს. ლიტ.: ქელ. 2009; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი.

შალთი (თუმ. - დიდი დანა).

ლიტ.: პ. ხუბუტია. თუშური კილო. ლექსიკა. თბ., 1969.

შამასაბრუნო - იხ. „პირისმჭერნი“.

შანა - ლითონის ნივთი, რომელსაც ადამიანი იბამდა ყელზე ავი თვალისაგან დაცვის მიზნით.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. 2011.

შანთი - 1. რკინის საზომი ერთეული, აღებმიცემობაში რკინა იზომებოდა შანთობით. შანთი უდრის 35 კგ. რკინას; 2. გრძელი, შამფურისებური რკინა, სხვადასხვა საგანთა სახვრეტად. ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი, ქვის საკოდი რკინის იარაღი, სსმმ, XVIII B, 1953.

შანკო (გურ.) – 1. ხის ჯოხი, რომელსაც საპალნე ყავარს უკეთებენ თავებში და წირეხით (იხ.) კრავენ; 2. თაფლის დასაწერი ორი გრძელი თანაბარი ზომის ჯოხი, რომლებიც ბოლოებში ერთმანეთზე დამაგრებული არ არის.

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა

სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი. თბ., 1984.

მაფურთა - ქუმელაურთის (თუშეთი) სალოცავი ჯვარი, შვილიერებისა და საქონლის ნაყოფიერების ქალღმერთი; დაბუდებულია სოფლის მალლა, ტყიან გორში მდგარ დიდ ფიჭვში. ადრე იგი ალაზნის გაღმა, ქუმელაურთა საბოსლეთთან ყოფილა. შემდეგ, რაკი ქალღმერთი განსაკუთრებულ სიწმინდეს მოითხოვდა, იქიდან წასულა - სალოცავიდან ცეცხლის ბურთი აფრენილა და გამოღმა მთაზე, სადაც ამჟამად მაფურთის ხატია, იქ დაშვებულა. ადგილობრივები მიმხვდარან, რომ ჯვარმა ადგილი იცვალა, და ამის შემდეგ იქ დაუწყიათ ჯვარისკრობის გამართვა. სოფლის მკვიდრთა წარმოდგენით, მაფურთობის ღამეს გაღმიდან გამოღმა ცეცხლის ბურთი გადად-გადმოდის, ე. ი. მაფურთის ჯვარს მთლიანად არ გაუწყვეტია კავშირი თავის ძველ ადგილსამყოფელთან. ამიტომ თუშის ქალებს ქალღმერთის ადრინდელი სამკვიდრო შემდგომაც წმინდად მიუჩნევიან და იქ სალოცავად სანთელ-ზედაშითაც უვლიან.

ქუმელაურების მაფურთობა ათნიგენობის ფარგლებში ღამარობის მეორე დღეს, ანუ აღდგომიდან მუასე დღის ახლო ორშაბათს იწყებოდა; მაფურთის მთაზე მიჰქონდათ მხოლოდ სანთელ-ზედაშე, ხმიალები, ანთროპომორფული და ზოომორფული ნამცხვრები, ე. წ. ბაცუკები (იხ.), და ალუდის ნათაურა (ხორცული არ შეიძლებოდა), საჭმელად კი მხოლოდ კოტრებს, მაჭკატებსა და ხავიწს აიტანდნენ. ნათაურას დალოცვისა და დამწყალობების შემდეგ, კაცები იქვე ჯვარისკარს ჯარად დასხდებოდნენ, ქალები სალოცავის წინ, გორის თხემზე მდებარე დიდი ფიჭვების ალყაში ჩამჯდარი მინდვრის მეორე ბოლოში სუფრას გაშლიდნენ. პურობის დამთავრებისთანავე მამაკაცები ცხე-

ნებზე შესხდებოდნენ და თავაწყვეტილი ჭნებიტა და ყიჟინით სოფლისკენ გაეშვებოდნენ; ქალები გზას გადაუღობავდნენ ჟრიამულიტა და სახრეების შხუილიტ; ცხენები დაფრთხებოდნენ, და რამდენადაც წასასვლელი არსაიტკენ ჰქონდატ, ქალები დაიტკრდნენ, მხედრებს ხელს ფეხებში წაავლებდნენ და ძირს ჩამოაგდებდნენ. ხალხის რწმენიტ, კაცს, რომელსაც ქალები ძირს ვერ დასცემდნენ, მაფურთა არ შეეწოდა. ამიტომ ცხენიდან ჩამოუტრეველს არავის დასტოვებდნენ. შემდეგ, ახალგაზრდები ქორბეღელას გააკეთებდნენ და სოფლის განაპირას კარატის ჯვარში ჩამოიტანდნენ, სადაც მზის ჩასვლამდე სასოფლო საკლავს დაკლავდნენ და ღამიტ ჯარობას გამართავდნენ.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 141-143.

მაფურთობა - იხ. „მაფურთა“.

სამუღამო - მიცვალებულთან დაკავშირებული სამუღამო სუფრა. თუშეთში გავრცელებული წესის თანახმად, „უწმინდურად“ მიჩნეულ მიცვალებულს ღამიტ გარეთ, ეზოში გამოასვენებდნენ, საბანს (ზამთარში ან ცუდ ამინდში - ნაბადს) გადააფარებდნენ და წინასწარ დაგებულ ფარდაგადაფარებულ ყარტის (ჭვავის ჩალის) კონებზე დაასვენებდნენ; გვერდზე დაუდებდნენ საგძალს (საგზალს): პურს, არაყს, მატყლს, მარილს. ეზოში ცეცხლს დაანთებდნენ. მიცვალებულთან მოვიდოდა მთელი სოფელი, თან ყოველი ოჯახი თიტო ფეხ შემას მოიყოლებდა და კოცონზე დადებდა; გარდა ამისა, მოჰქონდატ არყიანი ჩარექა და ერთი ჯამი ბიჭონი - მოხალული მარცვალი. ახალმოსული იქ მყოფებს არაყს დაალევიანებდა და ბიჭონსაც შესთავაზებდა. არყიტ მისი მომტანის გვარის მი-

ცვალებულთა შესანდობარს იტყოდნენ, ამ ახალი სულის მასპინძლობით. ჭირისუფალიც მოიტანდა არაყსა და ბიჭონს, რითაც ახალგარდაცვლილის სულს მოიხსენიებდნენ. დედაკაცები თავანთი ოჯახებიდან სუფრებს მოიტანდნენ, ერთ სუფრას მიცვალებულის ოჯახიც დადგამდა და საჭმელად დასხდებოდნენ. შაშუდამო სუფრის გასრულების შემდეგ, მიცვალებულთან ღამეს მხოლოდ მამაკაცები ათევდნენ.

მიცვალებულის გარეთ გამოსვენების წესს თუშები შემდეგნაირად ხსნიდნენ: „სული ჰაერში ვერ წადისავ, შინავ ტრიალებსავ, ერთ წლამდე ვერ წავავ, იმის სული შინ არისავ, შინავ ტრიალებსავ“. ძვალად თუშები ნაბადში გახვეულ სულმობრძავსაც უზომი დააწვენდნენ, რათა სული იქ დაეღია; დასაფლავებამდე იქვე ესვენა.

ლიტ.: გ. ბოჭორიძე. თუშეთი. თბ., 1993, გვ. 302-303; გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე (ეთნოგრაფიული ექსკურსები თუშეთის ახლო წარსულში). თბ., 1987, გვ. 103-104.

შეიდიში - კაბის ქვეშ ჩასაცმელი. იგი შალვრის ყაიდაზე იყო შეკერილი. მისი კოჭებამდე ჩამოსული ტოტები უბის გასწვრივ საკმაოდ ფართო იყო და ბოლოში შესამჩნევად შევიწროვებული. საწელე განიერი უნდა ყოფილიყო, სადაც შეიდიშს სათავეს გაუკეთებდნენ, ხოლო სათავეში ხონჯრად სახელდებულს, ძაფის გრენილს გაუყრიდნენ. ძვირფასი ქსოვილისაგან შეკერილი შეიდიშის ტოტებს ოქრომკერდით ქარგავდნენ, შემდეგ „ბუზმენტს“ შემოავლებდნენ, ან ე. წ. „ბაბთას“ - აბრეშუმის არშიას. შეიდიში ქალის პერანგის ტოლის მსგავსი დანიშნულების მორთულ ჩასაცმელ ტანისამოსად იყო მიჩნეული, მაგრამ თავდა-

პირველად, ეს ტერმინი ქსოვილის აღმნიშვნელი ყოფილა. შეიდიში - შარვალი, ძირითადად, დიდგვაროვანი ქალის ჩაცმულობის ერთ-ერთი ელემენტია, რომლის კაბიდან გამოჩენა სამარცხვინოდ არ ითვლებოდა. ამიტომ, შარვლის ტოტის ბოლოებს ორნამენტებით ქარგავდნენ სხვადასხვა ფერის აბრეშუმის, ვერცხლმკერდის და ოქრომკერდის ძაფებით.

ლიტ.: გ. კვანტიძე, დიდგვაროვანი ქალის ჩაცმულობა XVII-XVIII სს-ის აღმოსავლეთ საქართველოში, სემმ, VI (51-B), 2015:141; ლ. ბოჭორიშვილი, კახური ჩაცმა-დახურვა, ანალები, I, 1947:208; ს. მაკალათია, ფშავი, 1985:124; ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის..., 1962:96.

შელებური - დიდი ზომის მეგრული რიტუალური პური; აცხობდნენ ყველისგულიანს: ჭვავის ფქვილისგან - ხაჭაპურს, სიმინდის ფქვილისაგან კი - ჭვიშტარს.

ლიტ.: ა. ჭანტურია. ეთნოგრაფიული ჩანაწერები. მეგრული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებანი // თსუ შრომები. ტ. 227. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ., 1982, გვ.217-218.

შესანდობარი - მიცვალებულის სულის მოსახსენებელი სადღეგრძელო, წარმოთქმული ჭირის სუფრაზე. წარსულში შესანდობარების რაოდენობა მკაცრად იყო რეგლამენტირებული და, როგორც წესი, საკრალურ რიცხვს - შვიდს - არ აღემატებოდა. პირველს, მამაკაცთა ფეხზე ადგომით, ახალსულის შესანდობარს დაახლოებით ასე იტყოდნენ: „ღმერთმა გაანათლოს ოჯახიდან ახლად წასული, მისი სული ნათელში ამყოფოს გამჩენმა,

სამუდამო სასუფეველი დაუმკვიდროს, მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა, კეთილად წასულიყოს და ოჯახი დაელოცოს, აკმაროს მისი დანაკლისი ოჯახს, მის დანატოვარს..." ამ სიტყვის წარმოთქმის შემდეგ შეიძლება „პურის გატეხვა“, რადგან შესანდობარის დაღვევამდე ჭამის დაწყება დაუშვებლად მიიჩნეოდა. კახეთში შესანდობარის დაღვევა მიღებული იყო მარნიდან ახალგამოტანილი სველი ხელადით.

ლიტ.: ბ. გაბუური. კვესურული მასალები // ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II. ტფ., 1925, გვ. ; გ. გოცირიძე. კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში. თბ., 2007, გვ. 329; თ. იველაშვილი. ქართული სუფრის ეტიკეტი. თბ., 1995, გვ. 78; ლ. ფრუიძე. მევენახეობა-მეღვინეობა რაჭაში. თბ., 1974, გვ. 91; სტ. მენთეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

შვიდი - მიცვალებულის მოსახსენებელი წეს-ჩვეულება - გარდაცვალებიდან მეშვიდე დღეს საფლავზე გასვლა და საწესო სუფრის მოწყობა. სამცხე-ჯავახეთში ნათესავ-მეზობლებთან ერთად საფლავზე გასული ჭირისპატრონები სანთლებს დაანთებდნენ, მიცვალებულს დაიტირებდნენ და შესანდობრად აუცილებლად ჭიქა არაყს ჩამოატარებდნენ. შემდეგ მოწვეულები, რომლებსაც თან ერთი ან ნახევარი ბოთლი არაყი, ზოგს მოხარშული ქათამი, სამი პური ან ერთი დიდი ქადა მოჰქონდათ, ჭირისუფლის ოჯახში გადაინაცვლებდნენ და საამდღისო სუფრას მიუსხდებოდნენ. ნათესავი, რომელიც რაიმე მიზეზის გამო მიცვალებულის დასაფლავებას ვერ დაესწრებოდა, „შვიდზე“ (ორმოცზე ან

წლისთავზე) აუცილებლად მოვიდოდა და ჭირისუფალი ქალებისათვის შავი ფერის საკაბე და თავშალი მოჰქონდა, ასევე ქადა-ნამცხვარს, მოხარშულ ქათამსა და არაყსაც წამოიყოლებდა.

თუშეთში გარდაცვალებიდან მეშვიდე დღეს ეწყობოდა ე. წ. „შვიდის რიგი“, რისთვისაც აცნობდნენ ლავაშებს, ქალებს, ჳმიალებს, ხაჭოიან კოტორებს, ხარშავდნენ გორდილას (სიმინდის ან პურის კვერებს), ფაფას. საამისოდ მთელ სოფელში აგროვებდნენ რძეს. ახალსულის პატრონთან ამ დღეს მხოლოდ ნატესავები ივრიბებოდნენ. ქალები სასაფლაოზე გავიდოდნენ და ტაბლას (ქალებს, კოტორებს) გაიტანდნენ; საფლავზე სანთელს აანთებდნენ. შემდეგ წყალს დაღვრიდნენ და საჭმლის ნაწილს იქვე დატოვებდნენ, სახლში მობრუნებულები კი „ლიმანზე“ იტირებდნენ.

ფშავში შვიდის რიგში აუცილებლად ცხვარი ან თხა უნდა დაეკლათ: ცხვარი მიცვალებულის სულისთვის, თხა კი - მემაცილესათვის (ავსულისათვის). გააწყობდნენ სუფრას, რომელთანაც ერთად მიცვალებულის საფერვად სულის ცხენსაც დალოცავდნენ. ვინც მიცვალებულის სულისთვის დადგმულ სუფრას დალოცავდა, მასვე ეკუთვნოდა ყოველივე, რაც ამ ტაბლაზე ეწყო. გარდა ამისა, მასვე ატანდნენ ერთ ქადას, ერთ პურს, ერთ ბოთლ არაყსა და შვიდ ლავაშს, ცხვრისა და თხის თითო მხარს,

ლიტ.: დ. გიორგაძე. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). თბ., 1987, გვ. 53; ს. ხოსიტაშვილი. ქორწინებისა და მიცვალებულის დაკრძალვის წესები სამცხე-ჯავახეთში. თბ., 1983, გვ. 121-122.

შვიდკვირა - 1. ლობიოს ქვესახეობა, რომელიც მოსვლას შვიდ კვირაში ასწრებდა; 2. სიმინდის ჯიში.

შვიდის წირვა (ქიზ.) - ახალი მიცვალებულის სულის საცხონებლად პირველი შვიდი დღის განმავლობაში ჩატარებული წირვები. ხალხის რწმენის თანახმად, შვიდი დღე მკვდრის „სული ხორცს არ ეყრება“ და ამიტომ მიცვალებულისათვის წირვა მისი სულის შეწევნად განიხილებოდა.

ლიტ.: ს. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

შვილებიანი ლიტრა - იგივე გამბულა ლიტრა. თიხისა, მრავალი ჭინჭილებისგან შემდგარი სარიტულაო დანიშნულების ღვინის ჭურჭელი. შინაარსობრივად ენათესავება სასმის „მარანს“, განსხვავება ფორმათა თავისებურებაშია. შვილებიანი ლიტრის დამზადების კერად ითვლება ქსნის ხეობის სოფ. ცხავატი, რომელიც მთელ ქართლში იყო განთქმული თიხის ჭურჭლის წარმოებით. შვილებიანი ლიტრაში ერთი ძირითადი დედა-ლიტრა მოზრდილია და ჩარევა ღვინოს იტევს. დედა-ლიტრის მუცელზე შეზრდილი მცირე მოცულობის ჭინჭილები. ღვინო დედა-ლიტრაში ისხმება და აქედან პატარა ლიტრებში ნაწილდება. სითხე ჭინჭილიდან ისმევა და ამ გზით დედა-ლიტრაც იცლება. სასმისში დიდი და მცირე ლიტრების არსებობამ განაპირობა მისთვის სახელწოდება „შვილებიანი ლიტრის“ მიკუთვნება. რაც შეეხება მეორე ტერმინს „გამბულა“, მისი ხალხში დამკვიდრება ჭურჭლის დამზადების წესის თავისებურებით არის მოტივირებული. ოდნავ შემშრალ ჭინჭილებსა და დედალიტრას პატარა ხვრელები უკეთდება, შემდეგ დედა-ლიტრას მუცელზე ორი სანტიმეტრის დამორებით გვერდებახვრეტილ ჭინჭილებს ჩხირებით მიამაგრებენ. დამაკავში-

რებელი ჩხირები თიხის ფენით იფარება, თიხითვე იმალება დედა-ლიტრასთან შეხების წერტილებიც. სასმისს მთლიანად წერნაქით მოაჭრელებენ დაგამოსაწვავად ქურაში - „თუნში“ შედგამენ. გამოწვის დროს ლიტრათა გადამბმელი, დამაკავშირებელი ჩხირები იწვის და მის ადგილზე ღვინის გასასვლელი ხვრელები რჩება.

ლიტ.: ართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. 2011.

მხიფი - ხის ტარზე შუბივით წამოცმული კბილებიანი რკინის იარაღი, რომელსაც დამით მამხალეებით თევზზე ნადირობისას ხმარობენ.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

შინაურული ნადი -- ნადი, რომლის დროსაც დასახმარებლად მხოლოდ ნათესავებს, შინაურებს იწვევენ.

შნაკვი - პურის თავთავების სამკალ-საკრეფი ორიგინალური იარაღი. მტვრევად- თავთავიანობის გამო, კულტურული ხორბლის ინიციალური სახეობები (კილიანები) - მახა და ზანდური - ვერ იმკებოდა და ცელითაც ვერ ითიბებოდა - მწიფე მარცვლეული მიწაზე ცვიოდა. მოსავლის უდანაკარგოდ ასაღებად, უმარტივესი დასამზადებელი შეუცვლელი იარაღი რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთ-სამეგრელოში არის შნაკვი//შანკვი//შამკვი//მახალნიკი (რაჭა) და მაშაკი (ლეჩხუმი). იგი შედგება ორი, თითოტარის სისქის და 50 სმ სიგრძის ჯოხისაგან, რომლებსაც ერთმანეთის თავები თოკით მოძრავად აქვთ გადაბმული. შნაკვისავე მსგავსია ფიჭის დასაწურად გამოყენებული შანკოს//შანკის სახელით ცნობილი იარაღი.

ლიტ.: ნ. ბრეგვაძე, ხალხური აგროტექნიკა, წიგნში „ქართველები“, 2018:241-242.

შობი ქაქ-ი („შობის ფაფა“) - სანური საწესო საკვები; ამზადებდნენ წმინდა ხორბლისგან, ან ფქვილისგან (იხ. „გუიზ / ტაბლში“) შობა დღეს. სქლად მოხარული ფაფისთვის აკეთებდნენ საწებელს - მუჯორს (დანაყილი და ზეთგამოწურული კანაფის თესლი ან ნიგოზი, რომელსაც მარილით აზავებდნენ). ლენჯერში მომზადებულ ქაქს საღამომდე სარკმელზე შედგამდნენ და საღამოს ყურადღებით აკვირდებოდნენ: თუ მისი ზედაპირი გახეთქილი არ იყო, ეს ოჯახის ბედნიერებასა და სარგებლიან წელიწადს მოასწავებდა და პირიქით. ვახშმის წინ დიასახლისი ქაქს პეშვით ცალკე ჯამში გადაიღებდა, შუაში მუჭით აღებულ მუჯორს დაასხამდა, ჯამს კალათში ჩადგამდა, გვერდზე სამ ლემზირს მიუდებდა, კალათზე ანთებულ სანთელს მიაკრავდა, გუმ-ში (ბელელში) გაიტანდა, კიდობნის თავზე დადებდა და ლამშრისას (იხ.) შეევედრებოდა: ჩვენს ფქვილს ბარაქა მიეცი, პურს ნუ მოგვაკლებ და კეთილად მოგვახმარეო. შემდეგ კალათს კიდობანში ჩადგამდა და მეორე დილამდე ასე დატოვებდა, დილით კი ამოიღებდა ყველაფერს თავად შეჭამდა. მესტიაში შობაზე მომზადებულ ქაქ-მუჯორს და კანაფისგულიან კვერებს ოჯახის უფროსი მამაკაცი შობ ქრისდემს შესწირავდა და შეევედრებოდა: „ო-ო, დიდება მოგვლოდეს სობ ქრისდემისას, შობ ქრისდემისავ, შენ გეხვეწები, შენ შეიწირე ჩვენგან წმინდა პურის შესაწირი და წლის მოსავლით გაგვახარე, ბედი და ბარაქა მოგვეცი, დიდება მოგვლოდეს შობა ქრისდემისას“. დ. მარგიანი შობაზე ფაფის მოხარშვის წესის არსებობის თაობაზე წერს: „სვანი ქალები მშობიარეს რძის ფაფას უკეთებდნენ და აჭმევდნენ ხოლმე. ამ ჩვეულების მიხედვით, 24 დეკემბერსაც აკეთებდნენ დაცხვილი წმინდა პურის მა-

რცვლის ფაფას კანაფის ზეთით შემზადებულს და ვახშმამდე სუფრაზე ფაფას დგამდნენ ლამარიას სახელზე. ამ ფაფას შობა ქაქ-ს უწოდებდნენ“.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 35, 36, 37, 38,

შობის დედა - შობის მეორე დღე (ქრისტიანული კალენდრით, კრება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა) გურიასა და ლეჩხუმში; გურიაში უქმობდნენ და დროს გართობასა და ლხინში ატარებდნენ, ხოლო ლეჩხუმში უქმეს განსაკუთრებით ფეხმძიმე ქალები ინახავდნენ.

ლიტ.: ნ. აბაკელია. ქრისტიანულ წმინდანთა კულტები საქართველოში ანუ კიდევ ერთხელ დან დეცეშია შესახებ // დიდგორი. ისტორიული სამეცნიერო-პოპულარული კრებული. თბ., 1991, გვ. 30; ა. წულაძე. ეთნოგრაფიული გურია. თბ., 1971, გვ. 80.

შოდრა (აჭარ.) -- სიმინდის ჯიში.

შუბი - საძგერებელი იარაღი. „ვისრამიანის“ ქართველ ავტორს შუბი ამგვარად აქვს განმარტებული: „შუბები მანფურსა გუანდა, მწუადისა ნაცულად კაცი ეგის“-ო. ვეფხისტყაოსანში შუბი რამდენიმეჯერაა გამოყენებული. მაგ. „შუბი ვსთხოვე ხელი ჩავყავ მუზარადის დასარქმელად“. ტერმინი „შუბი“ უძველეს ძეგლებში არ გვხვდება. იგი გავრცელებული ჩანს XII საუკუნიდან. ამ დროს უკვე ისე გაბატონებულა, რომ წინანდელი „ჰოროლი“ დაუჩრდილავს. შუბი შედგება: შუბის პირისა, წვერის და შუბის ტარისაგან. საქართველოში გვიანფეოდალური ხანიდან „შუბი“ ყველაზე გავრცელებულ ტერმინად გვევლინება როგორც სალი-

ტერატურო ენაში, ასევე ეთნოგრაფიულ ყოფაში. აღსანიშნავია, რომ ყველა იმ ტერმინის ნაცვლად, რომელიც საძვერებელი იარაღს (ჰოროლი, ლახუარი, გმური, ლიბანდაკი, წათი და სხვ) გამოხატავდა, დამკვიდრდა ტერმინი „შუბი“.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი - მქე-მკი. ტ. III-IV 1962. სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

შოთი - პურის სახეობა, გრძელი და რკალისებური ფორმის. აქვს სქელი ყუა, თხელი პირი და წაწვეტებული ბოლო. განსაკუთრებით გრძელი და მოხრილი ხმლისებური შოთები იციან კახეთში, ქართლში კი შედარებით მოკლე შოთებს აცნობენ. სახელწოდება „შოთი“ წარმართულ ღვთაებასთან, მთვარესთან უნდა იყოს დაკავშირებული. ძველ საისტორიო წყაროებში საწირველად პურიცაა დასახელებული, ამასთან, ყოფითმა ტრადიციამ შემოინახა ხორბლის ზედაშეები, რისგანაც სარიტუალო პურებს აცნობდნენ. შოთი დღესაც განსაკუთრებით სადღესასწაულო დანიშნულებით გამოიყენება.

ლიტ.: გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში. 2007.

შუკუნაი (მოხ.) - საწმნდაო კუთხე, ფუძის ანგელოზის საბრძანისი, ჯვარ-ხატების განსათავსებელი ნიში, ამოჭრილი საცხოვრებლის („სამყოფოს“) აღმოსავლეთ კედელში. ყოველ შაბათ საღამოს ოჯახის უფროსი ფუძის ანგელოზს სანთელს აუთებდა და იქვე, კედელში დამაგრებულ ქვაზე ან დედაბოძზე მიაკრავდა; ლოცულობდა ოჯახისა და გვარის კეთილდღეობაზე. ფუძის ანგელოზის საბრძანისთან

დედაკაცის მისვლა იკრძალებოდა.

ლიტ.: ვ. ითონიშვილი. მოხვევების საოჯახო ყოფა. თბ., 1970.

შულტა - ხატ-სალოცავთა დღესასწაულებზე ჯარობების განმწესრიგებელი პირი, რომელსაც თუშები კენჭისყრით ერთი წლის ვადით ირჩევდნენ. მართალია, სადღეობო ხარჯი სოფლისა იყო, მაგრამ ყოველი კომლიდან საჭირო პროდუქტის აკრება, ლუდ-არყისა და საკლავის თადარიგის დაჭერა, სუფრის მომზადება და სოფლისა და სოფლის სტუმრების გამასპინძლება შულტას მოვალეობას შეადგენდა, რაშიც მას დამხმარეები - ზე-დამდექები - შველოდნენ.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 29.

შურდინაფილიმ გინოოთამა - იხ. „ჭკიდიმ გინოტახუა“.

შურდული - ქვის სატყორცნი იარაღთა ერთ-ერთი უძველესი სახეობა, რომელსაც თავის დროზე თითქმის ყველა ხალხი იყენებდა. შურდულით გასროლილი ქვა დიდ მანძილზე მიექანებოდა და გასროლის სიძლიერითაც გამოირჩეოდა. შურდული საკმაოდ ცნობილია ქართველი ხალხის ძველ საომარ საშუალებათა შორის. შუა საუკუნეების საქართველოს ლაშქარში მეშურდულეთა საგანგებო ნაწილების არსებობას მრავალი ისტორიული წყარო აღნიშნავს. მაგ., თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობაში მითითებულია: „წამოდგეს ბანთა და შუაკართა ზედა ისრის მსროლელნი და ქვის მტორცნელნი.“ შურდული მარტივი იარაღია, იგი სამი მთავარი ნაწილისაგან შედგება საქვე, და ორი მანა. საქვეს ბოლოების გაგრძელებას წარმოადგენს ერთსა და იმავე მასალისაგან დაწნული ორი მანა. შურდულის დასამზადებლად იყენებ-

დნენ ლაფანს (თელის, ტირიფის, თუთის და სხვა), ტყავს, შალის ქსოვილს, ძუასა და ქალის თმას. საშურდულედ უმთავრესად დეკულის ან მოზვრის, ზოგჯერ კი ძროხისა და ხარის ტყავს ხმარობდნენ. ხევსურთა გადმოცემით შურდულს ქალის თმისაგან წნავდნენ. აღსანიშნავია, რომ ქალის თმის გამოყენება საშურდულედ მასალად სხვა ხალხებშიც დასტურდება. საშურდულედ ლაფანსა და ძუას ხელით წნავდნენ, ბაწარს კი ყაისნალით ქსოვდნენ. ქვის მიზანში სროლისათვის შურდულის მანა ოთხპირა ბაწრით უნდა დაწნულიყო, ვინაიდან სამი ბაწრით გასროლილ ქვას არასწორი მიმართულება ეძლეოდა. დაახლოებით 50 სმ სიგრძის მანებს წვრილად წნავდნენ, შემდეგ მის ერთ ბოლოს მსროლელის საჩვენებელი თითის გასაყრელად გამონასკვავდნენ. ქვის ჩასადებს - საქვეს საგანგებოდ ჩადრმავებულს ქსოვდნენ ანდა ტყავისას აკეთებდნენ. გარდა შურდულისა, არსებობდა აგრეთვე ქვის შორს გასროლის ისეთი საშუალებაც, როდესაც ქვა ბაწარგამობმული იტყორცნებოდა, მას „კუდბაწარას“ უწოდებდნენ. როგორც ცნობილია, ბაგრატიონები თავს მიიჩნევდნენ ებრაელთა მეფის დავითის შთამომავლებად, რომელმაც შურდულით დაამარცხა გოლიათი. ამ დამოკიდებულების ილუსტრაციაა ბაგრატიონთა სამეფო გერბში შურდულის გამოხატვის ფაქტი.

ლიტ.: კ. ჩოლოყაშვილი, „შურდული“, მეცნიერება და ტექნიკა, № 1, 1958.

შურის კვირა (ქიზ.) - ყველიერის წინა კვირის (იხ. „ნების კვირა“) წინა კვირა. შურის კვირის განმავლობაში ხალხი ყოველდღიურად (ოთხშაბათ-პარასკევსაც) ხორცს ჭამდა, რადგან დიდმარხვა ახლოვდებოდა („უნდა დეეშუროსო, - ამბობ-

დნენ, - თორემ მემრე დიდმარხვა მოდის და მხოლოდ სამარხვო საჭმელები უნდა ჭამოსო“).

ლიტ.: ს. მენტეშაშვილი. ქიზიური ლექსიკონი. თბ., 1943.

შურიმ მოყუნაფა (მეგრ. „სულის მოყვანა“) - წყალში დამხრჩვალ კაცის სულის ამოსაყვანად, ქალიშვილები და ქალები წყლისპირას (მკვდრის გვამის ამოტანის ადგილზე) დასხდებოდნენ და ჩონგურზე უკრავდნენ. ანალოგიური რიტუალი აფხაზებშიც იყო გავრცელებული (იხ. „ა-ფსათგარა“)

ლიტ.: ნ. ანთელავა. აფხაზური მითები, რიტუალები, სიმბოლოები. თბ., 2006, გვ. 84; ნ. ანთელავა. სავლე რვეული № 16, გვ. 9-11 (ინახება ავტორთან); ა. ჭანტურია. ეთნოგრაფიული ჩანაწერები. მეგრული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებანი // თსუ შრომები. ტ. 227. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ., 1982, გვ. 227.

შურო (რაჭ., ლეჩხ., იმერ.) - მთის კალთაზე ჩამოშვებული დიდი თხრილი ხეების ქვევით დასაგორებლად, სათრიელი.

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი. თბ., 1984. სიტყვასთან შურო.

შუსტაკი, ჩიხტი - ქალის თავსაბურავი. შუსტაკის შემოტანამდე, ქალის თავსაბურავის ერთ-ერთი ელემენტი ქუდი ყოფილა, შემდეგ შუსტაკი შემოვიდა და მერე ჩიხტი, დაახლოებით, XIX ს-ის 30-იანი წლებიდან. სავარაუდოდ, შუსტაკი რამდენიმე ფენა ქსოვილის ზოლს წარმოადგენდა, რომელსაც ლეჩაქადაფარე-

ბულ თავზე შემოიკრავდნენ და შუბლის ქინძისთავით დაამაგრებდნენ.

ლიტ.: ნ. გვათუა, ჩაცმულობის ისტორიიდან, 1967.

შუფრა - ხარაზების იარაღი, ტყავის გასაფხეკ-გასაქერქი.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

შქვითული (მეგრ.) - „შვიდეული“ - მოსავლის დაბინავებასთან დაკავშირებული მეგრული სალოცავი. იმართებოდა ჭირნახულის ადების შემდეგ, ოქტომბრის ბოლო ორშაბათს. საამდლისო ლოცვა შვიდ სულ სხვადასხვა ცხოველს (გოჭს, ბატკანს, ციკანს, ხბოს, მამალს, იხვსა და თევზს) იწირავდა (შესაძლოა, აქედანაა წარმომდგარი რიტუალის სახელწოდება). გარდა აღნიშნულისა, ხორბლის, ფეტვისა და სიმინდის ფქვილისაგან აცხობდნენ კვერებს. დაიწვევდნენ ნათესავებსა და მეზობლებს. სუფრასთან დასხდომის წინ მამაკაცები ოჯახის უფროსის წინამძღოლობით შქვითულის სახელობის ქვე-

ვრთან მივიდოდნენ და დაიჩოქებდნენ. იქვე დადგამდნენ ხონჩას, რომელზედაც დაკლული ცხოველების მოხარშული გულ-ღვიძლი და თავები და კვერები ელაგა. ოჯახის ხელმძღვანელი ქვევრის თავზე ანთებულ სანთლებს მიაკრავდა და ბარაქიანი მოსავლის გამოგზავნისთვის ღმერთს სამადლობელ ლოცვას აღუვლენდა, ოჯახის კეთილდღეობასა და მფარველობას შეთხოვდა. იქ მყოფნი საკმეველს თავზე შემოივლებდნენ და ნაკვერჩხალზე დადებდნენ. ბოლოს, შქვითულის ქვევრს თავს მოხდიდნენ, ღვთის სადიდებელს შესვამდნენ და საიმდლისო სუფრას მიუსხდებოდნენ.

ლიტ.: ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 320.

შხუნა - აფრიანი ნავი ორი ან სამი ანძით.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.



ჩაბალახი/ყაბალახი/ბაშლაყი - იკერებოდა ყაითნით, ან სირმით, ზედ ფოჩებს ჰკიდებდნენ. იგი ორი ნაჭრისაგან შედგებოდა - საბეჭისაგან და მკლავებისაგან. ბაშლაყი რბილი ტყავისაგან იკერებოდა. ზემოთ გაწყობილი იყო ზონარებით და იმაზე - ფოჩით. „ბაშლაყი“-ს (მეგრ.) კერავდნენ საჩოხე მაუდისაგან, მატყლგარეული აბრეშუმისაგან და დარაიასაგან. ბაშლაყი//ყაბალახს აჭარლებიც იხურავდნენ. ორი ყური ჰქონდა, ერთი თავზე წამოსადები, რომელიც სირმით იყო გაწყობილი. კიდურებზე მთლიანად ყაითანი ჰქონდა მიკერებული. X-XIV სს-ში საქართველოში ქულების გარდა, მრავალი სახის ქსოვილის თავსაბურავს იყენებდნენ. ყაბალახისებური თავსაბურავი (რელიეფსა და ფრესკებზე), ან მისი მსგავსი ქართულ ძეგლებზე XV საუკუნემდე აღარ გვხვდება. საგულისხმოა, რომ ჩაბალახი, მუზარადი, საომარი თავსაბურავი, სულხან-საბას მიხედვით, საწვიმარიც იყო: „გინა წვიმაში თავს ჩამოსაცმელი“. წმ. მალვა ახალციხელზე ვახუშტი ბატონიშვილი წერდა, რომ „ჯრმალიცა ჩაბალახსა ზედა გასტეხოდა...“ - ჩაბალახი ლითონის საბრძოლო თავსაბურავი უნდა ყოფილიყო.

ლიტ.: მასალები საქართველოს შინამრეწველობის..., 1983:

213, 233, 248, 261; სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. 2, 1993:313; ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი, 1964:135; ვ. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა..., ქ. ცხ. IV, 1973:201; ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1938:91.

ჩათანი (მესხ.) - ძეწის წვეპლებისაგან მოწნული დიდი გოდორი სიმინდის გადასაზიდი და შესანახი ჭურჭელი.

ლიტ. ქელ. 2009; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ჩალქი - ზუთხის დასაჭერი ანკესი, ბასრი წვერითა და მასიური ტანით.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ჩალხზე გასვლა || ცახზე გასვლა - პარკის გასაკეთებლად აბრეშუმის ქიის გასვლა საგანგებოდ დამზადებულ მცენარეულის (ცოცხის, სატაცურისა და სხვ.) კონებზე. საბასთან „ჩახი“ და „ცახი“ - „საჭიე კონა“.

ლიტ.: მატბერაშვილი, გიორგი. თხზულებანი: -. სმ. ტ. 4: წე-

რილები; თვალადური ქართულის
ჭაშნიკი. თბ., 1975. სიტყვასთან ჩა-
ლხზე გასვლა.

ჩამური -- საცეხველი. ხის ანდა ქვის
დიდი და ღრმა ჭურჭელი, რომელშიც მა-
რცვლელს (მაგ., ღომის თავთავებს) ცეხ-
ვავენ. გარჩეულ მარცვლრებს ჩაყრიდ-
ნენ და მოკაუჭებული ხის საცეხველით
„კაკუტით“ ცეხვავენ. დაცეხვილ მარცვ-
ლელს ჩამურიდან ამოიღებდნენ და გაა-
ნიავებდნენ. გავცელებული იყო სამი ტი-
პის საცეხველი: ხელის, ფეხისა და წყლის.
მათ იმის მიხედვით განასხვავებდნენ, თუ
როგორ და რა საშუალებით ხდებოდა სა-
ცეხველის მოძრაობაში მოყვანა. ჩამურის
საცეხველს „წირის თავი“ ერქვა. ხისგან
გამოთლილს, სამუშაო მხარეზე რკინა
ჰქონდა წამოცმული.

ლიტ.: ალ. დავითაძე, ქა-
რთული მატერიალური კულტურის
ისტორიიდან, ბათუმი, 1974:63-64.

ჩანა - ხის დიდი ჭურჭელი, რაშიც და-
ბლები ტყავებს აწყობდნენ დასაღობობად
და სხვა პროცედურის ჩასატარებლად. ჩა-
ნების შემოღებამდე ტყავს ალბობდნენ
მდინარეში. ამ მხრივ საუკეთესო იყო
თბილისის ცხელი წყლების ბაზაზე მო-
წყობილი დაბახანები და დიდი ჩანები.
ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშა-
ვების ხალხური წესები საქართველოში,
1973.

ჩარხი - მეთუნის ხელსაწყო, რო-
მელზედაც შენდება სამეთუნეო ნაწარ-
მი. მეთუნეობაში ჩარხის შეხსნა ნიშნა-
ვდა ხელოსნისათვის ჩარხზე მუშაობის
დროებით აკრძალვას. ამქრის წესების
დარღვევის შემთხვევაში წესად ჰქო-
ნდათ შემოღებული ფულადი ჯარიმა,
რომელიც შეადგენდა სალაროს შემო-
სავლის ერთ-ერთ წყაროს. უმაღლესი
სასჯელი იყო ამქრიდან გარიცხვა, მა-

ნამდის კი დროებით ჩარხზე მუშაობის
აკრძალვა, რასაც „ჩარხის შეხსნა“ ერქვა.
მეჭურჭლესთან მივიდოდა ამქრის წარმო-
მადგენელი, ჩარხის თავს (ზედა ნაწილს)
მოუხსნიდა და წაიღებდა. ჩარხის თავის
შეხსნით დასჯა ამქრის კრებას უნდა გა-
დაეწყვიტა.

ლიტ.: ქართული მატერია-
ლური კულტურის ეთნოგრაფი-
ული ლექსიკონი. თბ., 2011.

ჩაფარიში - სხვადასხვა სახიანი ზო-
ნარი, არშია, ფერით, ან მასალით განსხვა-
ვებული. მას ტანისამოსის მოსართავად,
ან ნაკერზე მოსავლებად იყენებდნენ.

ჩაფულ, ჩაფულა (სვან.)– ტყავის
ფეხსაცმელი. საქალამნე ტყავს ჯერ და-
ქონავდნენ და მერე ხელებით დაზელ-
დნენ. ამის გარეშე, ჩაფულა დიღხანს
არ ძლებდა. მერე დაჭრიდნენ ფეხის სი-
გრძეზე, ფორმაზე, კანაფით შეიკრავდნენ.
ჩაცმის დროს, ქალამანში ჩატენილდნენ წე-
რაქვ-ს - მთის ბალახს. ჩაფულას ქალები
წინდაზე იცვამდნენ. წინდა უსახო იქსო-
ვებოდა. „ჩაფულა,“ როგორც ფეხსაცმლის
სახელწოდება „კამლის,“ „მოგვის,“ „ქა-
ლამნის“ გვერდით გვხვდება V-XIV საუკუ-
ნებში.

ლიტ.: მასალები..., 1983:238-
239; ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული
კოსტიუმი, 1964:141.

ჩაფი - 1. ღვინისა და წყლის სათავსი,
თიხის მოზრდილი ჭურჭელი. გავრცელე-
ბულია საქართველოს თითქმის ყველა
რეგიონში. ჩაფი, ხელჩაფი, ჩაფურა და
ქუთათური - ძველად, საღვინე ჭურჭე-
ლად ითვლებოდა. ჩაფი 10-15 ლიტრს
იტევს, ხელჩაფა, ჩაფურა და ქუთათურის
ტევადობა 2-3 ლიტრა. დასახელებული
ჭურჭლები ფორმით ერთსახოვანია, ტე-
ვადობით განსხვავებული. სითხის მოსა-

კავებელი თიხის ჭურჭელთა შორის ჩაფი ყელისა და პირის მოყვანილობით განსხვავდება. რაჭაში ღვინის საწყაო ჩაფს „მენახევრეს“ უწოდებენ. ბოლო ხანებში „მენახევრეს“ ცვლის ტერმინი „ფუთიანი“, რაც საწყაოს ახალი ზომის გამომნატველია. ჩაფი რაჭაში იმერეთიდან შეჰქონდათ, მას ზემო რაჭის სოფლებშიც (შეუბანი, სომიწო) ამზადებდნენ, თუმც მომხარებელი იმერულ ნაკეთობას ამჯობინებდა. სამთავროში აღმოჩენილ კერამიკულ ნივთთა შორის გვხვდება ჩაფის ანალოგიური სახის ჭურჭელი. 2. საწყაო. გავრცელებული იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით ტერმინი - „ჩაფი“ პირველად XIII ს-ში შედგენილ ვანის ქვაბთა შეწირულობებში მოიხსენიება. XVI ს-დან იგი ფართოდ ვრცელდება მთელს საქართველოში. სულხან-საბა ჩაფს კოკის ნაოთხალად თვლის და მას გურდის და დორაკის ტოლფას საწყაოდ მიიჩნევს. XIX ს-ის მონაცემებით ჩაფი შეიცავდა 3 თუნგსა და 12-თუნგიანი კოკის მეოთხედს შეადგენდა. უფრო მოგვიანებით ჩაფს 1-თუნგიან ჭურჭლადაც მოიხსენიებენ. ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ არსებობდა ჩაფი, რომელიც 12,3 ლიტრს იტევდა. აღმ. საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში სპილენძის ჩაფიც დასტურდება და ძირითადად გამოიყენება ქვევრიდან ღვინის ამოწყვის დროს. კარგად გაწყობილ მარანში, როგორც წესი საწყაო ჩაფი აუცილებელი ნივთი იყო.

ლიტ.: ლ. ფრუიძე, მეღვინეობა საქართველოში, 1974. ჯ. სონდულაშვილი, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის, 1974. გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973.

ჩაქალოზი (გურ.) - დიდი თოფი, რომელიც საგანგებო დაზგაზეა დაკრული და ისე ისვრიან. გამოიყენებდნენ ციხის კედელთა შესანგრევლად.

ლიტ.: ქელ. 2009.

ჩაქურა - დაჭმუჭნული მარვალია, სრულიად განსაკუთრებული გამოჭრილობის, რომელსაც ანალოგი არ ეძებნება. მას თავდაპირველად ჩაქვში კერავდნენ, იქიდან გადაიდეს აჭარაში და ამიტომ ჰქვია ჩაქურა. აჭარის, გურიისა და ლაზეთის ეთნიკურ გარემოში შემუშავდა კოსტუმის მეტად ორიგინალური სახეობა, რომელიც ჩაქურას სახელწოდებით არის ცნობილი. ეს კოსტუმი ნაწილობრივ, სამეგრელოშიც იყო გავრცელებული. მესხეთ-ჯავახეთშიც გურული ჩაქურას მსგავსი ტანსაცმელი ეცვათ, შინ მოქსოვილი შალით შეკერილი. აჭარლები მას ლაზური „შალის“ სახელითაც იხსენიებდნენ. ჩაქურა რამდენიმე ნაჭრისაგან შემდგარი უბისა და ორი ტოტის კომბინაციას წარმოადგენდა.

ლიტ.: მასალები..., 1983:253; გ. ჩიტაია, შრომები, 2001:185, 195; ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1938:89; ლ. ბოჭორიშვილი, ქართველი ხალხის მატერიალური... 2017:42.

ჩაჩქანი - საომარი თავსაბურავი. ძველ ქართველებს ჩაჩქანისათვის მასალად ხე და ტყავი, ხოლო მოგვიანებით ბრინჯაო, სპილენძი და რკინა. ქართულ საბრძოლო თავსარქმელი ძირითადად ოთხი სახისაა: ჩაჩქანი - ჯამის ფორმის, კვერცხისებური, ფაფანაკის ფორმის და ჩაბალახი - ლიტონი ჯაჭვით ნაქსოვი. ქართულ ჩაჩქანს დაბალი ჯამის (ლამბაქის) ფორმა აქვს, რომელზედაც შემოვლებულია ჩაჩქნის ზარადი (ჯაჭვის ნაქსოვი ბადე). ზარადი შესაძლოა იყოს ფა-

რეშიანი, უფარეშო ან დადუღებული, ის იცავს სახეს, კისერს და შუბლს. გერდებზე ჩამობმული აქვს ტყავის დაწული თასმა, რომელსაც მეომარი ბრძოლის დროს ყბის ქვეშ ამოიღებდა. არსებობდა ჩაჩქნის მეორე სახესხვაობაც, გრძელ - პირბადიანი, რომელსაც სამხერად მხოლოდ სათვალეები ჰქონდა ამოჭრილი, დანარჩენ პირსახეს ჯაჭვი ფარავდა. ჩაჩქანის დამზადების ტექნოლოგია უკანასკნელ დრომდე მხოლოდ ხევსურეთმა შემოინახა, მჭედელი ჩაჩქნის ჯამის რკინას გრდემლზე კვერით გაასწორებდა, შემდეგ ხის ფარგლით შემოხაზავდა და თარგის საშუალებით მრგვალ საჩაჩქნეს გამოჭრიდა, რომელსაც რკინის მორგვზე კვერის დარტყმით თანდათან მისცემდა ჯამის ფორმას. ამის შემდეგ ჩაჩქანს გარე წრესთან სახვრეტათი დახვრეტდა, ჯაჭვის სხმულის (ზარადის) ჩასამაგრებლად. ზოგ ჩაჩქანს ზევიდან გადააკრავდნენ ვერცხლის არშიას და შუაში უკეთებდნენ „უსმარს“ (სამსჭვალს). ჩაჩქნის დახურვა შიშველ თავზე არ იყო გამართლებული, რადგან ასეთ შემთხვევაში, მოწინააღმდეგისაგან მოხვედრილი იარაღი, მებრძოლს სასიკვდილოდ თუ არა, ისე მაინც „დაჟეჟავდა“. ამიტომ საჭირო იყო ჩაჩქნის ქვეშ ნაბდის დაგება. აღმოსავლეთ საქართველოში ჩაჩქნის ნაბდად, თუმურ ქუდსაც ხმარობდნენ. ქართულ ხალხურ პოეზიაში ხშირად არის ნახსენები ჩაჩქანი, მაგ.: „ელვა დგას ჩაჩქნებისაო“, ან „საჩქაროდ გადაიხურა ჩაჩქანი ზარადიანი“. ტერმინი „ჩაჩქანი“ ქართული უნდა იყოს, ვინაიდან ზმნა „ჩეჩქვასთან“ არის დაკავშირებული. მსოფლიოს თითქმის ყველა კულტურულ ხალხს გააჩნია თავისი საკუთარი ფორმის საბრძოლო თავსაბურავი. ასეთი დაბალჯამიანი ფორმის ჩაჩქანი ტიპურია საქართველოსათვის და მისი გავრცელების სათავეც აქაა საგულვეტელი.

ლიტ.: კ. ჩოლოყაშვილი, ქართული საჭურველი, მ.მ. ტXIX-A, XIX-B. 1957. ივ. ჯავახიშვილი, მქემკი, ტIII-IV 1964.

ჩეთე - საქართველოში გავრცელებული სამხედრო ხომალდი, აფრებიტა და ნიჩბებით, სწრაფი მანევრირების გამო მოულოდნელი თავდასხმისათვის მოსახერხებელი იყო, მდინარის დელტაშიც ადვილად მოქმედებდა.

ლიტ.: ზ. კუტალიეშვილი, ნაოსნობა საქართველოში, 1987.

ჩეკი - წერაქვის იდენტური ქვის დასამუშავებელი იარაღი, შედარებით მომცრო ზომის.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ჩეკია - ბოსტნის იარაღი. ერთი პირი ფართო აქვს, მეორე ვიწრო. იხმარება ლობიოს საბუდნად და ბოსტნეულის სამარგლავად.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ჩელთი - ფარის ნაირსახეობა. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით ჩელთი ფარია „ოთხკუთხი“ ან „კვერცხებრი“ ფორმის. ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ჩელთი აღარ გვხვდება, არსებობს „ჩელტი“ (რაჭ. იმერ.) - წნული, ლასტი, წნულისაგან დაღობილი გრძელი და ოთხკუთხა, აბრეშუმის ჭიის დასასმელი (ალ. ღლონტი). თუ გავითვალისწინებთ, რომ ძველი ბერძნული წყაროების მიხედვით ქართველურ ტომებს წნელისგან მოწნული და ტყავგადაკრული ფარები ჰქონდათ, მაშინ სავარაუდოა, რომ ეთნოგრაფიული ტე-

რმინი „ჩელტი“, შორეულ წარსულში ფარა-
დაც ანუ ჩელთად გამოიყენებინათ, რასა-
კვირველია, უფრო მჭიდროდ მოწნული და
საბღუჯით აღჭურვილი (იხ. საბღუჯი).

ლიტ.: ალ. ღლონტი -ქოსკ,
1984. ივ. ჯავახიშვილი, მექვი,
ტ. III-IV, 1962.

ჩელტი -- 1. წნელისაგან მოწნული
ლასტი, რომელიც სხვადასხვა დანიშ-
ნულებით გამოიყენებოდა. 2. მოწნული
ფაცხა. 3. წნული ღობე, ტყრუშული. მარ-
ცვლეულის გასახმობი ჩელტი უფრო მჭი-
დროდ იყო მოწნული, ხოლო მიწის გასა-
ფხვიერებელი ჩელტი უფრო მსხვილი და
გამძლე წნელისაგან მზადდებოდა.

ლიტ.: შ. ნიჟარაძე, ქართული
ენის აჭარული დიალექტი,
1971:399.

ჩეო (ლექს.) - წნელისგან მოწნული
მომცრო ბარი, ჩელტი, ნეხვის საზიდი.

ლიტ.: მიხ. ჩიქოვანი. ლრჩხუ-
მური ლექსიკონი // ა. ს. პუშკინის
სახ. თბილისის სახელმწიფო სა-
მასწავლებლო ინსტიტუტის შრო-
მები. I. თბ., 1941, გვ. 231-259.

ჩერგე (აჭარ.) -- მთის საძოვრებზე,
იალაღებზე სახელდახლოდ აგებული
ღამის გასათევი პატარა სათვალთვალო
ფაცხა, საიდანაც მწყემსი საქონელს ნა-
დირის თავდასხმისაგან იცავდა.

ლიტ.: შ. ნიჟარაძე, ქართული
ენის აჭარული დიალექტი, 1971:400.

ჩექთურა - საჭაპანე ნავი, რომელსაც
ნაპირიდან თოკებით ეწვევიან.

ლიტ.: ქართული მატერია-
ლური კულტურის ეთნოგრაფი-
ული ლექსიკონი. თბ., 2011.

ჩითა - თუშური ნაქსოვი ფეხსაცმელი.
იგი რამდენიმენაირი სახელწოდებით
იყო ცნობილი: ჩითა, ფეკები, ბორაგი,
ხოლო ხევსურეთში ჩითას „თათს“ უწო-
დებდნენ. ჩითას ქალიც და კაციც იცვა-
მდა. „სამააცო“ და „სადიაცო“ ჩითა ერ-
თნაირად იქსოვებოდა და ფორმითაც
თითქმის ერთნაირი იყო, „ნაჭრელის“
სირთულეს თუ არ ჩავთვლით. ჩითას
ქსოვა წვერიდან იწყებოდა, ორ ჩხირზე
ზომის მიხედვით თვლებს ჩააწყობდნენ,
შემდეგ ერთ ჩხირს გამოაცლიდნენ და
თვლებს ორ ჩხირზე გადაიტანდნენ, გა-
ყოფდნენ და თან ნაპირებში უმატებდნენ;
მერე ოთხ ჩხირზე გადაანაწილებდნენ.
დასაწყისში სადაც ქსოვდნენ, რადგან
კერვის დროს ნაქსოვი იფარებოდა, შე-
მდეგ ჭრელის ქსოვას იწყებდნენ წინდის
მსგავსად. საერთოდ, წინდის ჩხირებით
ნაქსოვი თუშური ქსოვილები (ჩითა, წი-
ნდა, პაიჭი) ყველა ცალპირი ნაქსოვი იყო.
ორმაგი ნაქსოვი მხოლოდ შესამკობად
იყო გამოყენებული, მაშინ, როდესაც მის
მეზობელ ხევსურეთში ორმაგი ქსოვა
იყო მიღებული. იგივე ითქმის დაღესტა-
ნზეც, რომელის თუშეთს ჩრდილოეთით
ესაზღვრება. ჩითაზე ყოველთვის დიდი
მოთხოვნილება იყო და ფასობდა კიდევ.
მან ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღე-
მდე შემოინახა თავი. ნიშანდობლივია,
რომ ხევსურული გამოკრებულნი თათი-წი-
ნდა იგივე ყელმალალი ჩითაა, მხოლოდ
ფერების შეხამებით და ნაქსოვის თვისე-
ბით განსხვავებული. ხევსურული თათი
მოუხეშავი იყო და ღია ჭრელი, თუშური წი-
ნდა კი - წმინდა ნაქსოვი და მუქი ჭრელი.

ლიტ.: ც. ყარაულაშვილი, ნაქ-
სოვი ფეხსაცმელი, თუშეთის ეთ-
ნოგრაფიული შესწავლისათვის,
1967:264-281; ს. მაკალათია, თუ-
შეთი, 1933:81; ს. მაკალათია, ხე-
ვსურეთი, 1984:156; გ. ბოჭორიძე,
თუშეთი, 1993:158.

ჩითილის დაყვერვა - ახლად ამოსულ ჩითილს გადარგავენ. მერე კიდევ გადარგავენ. ასეთ ჩითილს დაყვერილი ჰქვია. დაყვერვა გაუმჯობესების მიზნით ხდება.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

ჩიტაკვერცხა (რაჭ.) - ლობიოს ერთ-ერთი (და გავრცელებული) ჯიშია, მრგვალი ჭრელი მარცვლები აქვს, კუტია, - ჩიტკვერცხა (იხ. წერ., ქეგლ, ძოწ.).

ჩიტატაფობა - ყველიერში ალების ორშაბათს ლიახვის ხეობაში იცოდნენ ჩიტების საწინააღმდეგო წესის შესრულება, ყანები რომ არ გაუუჭებინათ. ღიასახლისი მოამზადებდა : „დედავ, დედავ, რას აკეთებ?“ დედა უპასუხებდა: „ჩიტაფაფასა, ჩიტაფაფასა“, შემდეგ შვილს შეეკითხებოდა: „ჩიტები სად არიან?“ ბავშვი მიუგებდა: „სხვისა ყანასა“ (იტყოდა მეზობლის სახელს). ფაფა ბავშვებს უნდა შეეჭამათ. ცოტას ნაფოტით აიღებდნენ, ზედ ერბოს დაადებდნენ სიმინდის ძარზე დადებდნენ ჩიტების წილად.

ლიტ.: ს. მაკალათია. ლიახვის ხეობა. თბ., 1971, გვ. 73.

ჩიტითავა (რაჭ.) - ბალახოვანი მცენარეა, გაზაფხულზე ფხალში ხმარობენ, - მაჩიტა (იხ. ქეგლ: ჩიტისთავა; გაჩ.).

ჩიტისთავალა -- თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში, რომელიც ქართლ-კახეთში იყო ცნობილი. აჭარა - ხულოს რაიონში გავრცელებული ჩიტისთავალა წითელყურძნიანი იყო, ასწლოვანი მაღლარების სახით შემორჩენილი, მაგრამ კახურისგან განსხვავებით სამეურნეო ღირებულებას სრულად მოკლებული. ქართლ-კახური ჩიტისთავალა ხარისხოვან სუფრის ყურძნის ჯიშთა ჯგუფს განეკუთვნებოდა.

ლიტ.: მ. რამიშვილი, გურიის, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები, 1948:445.

ჩიტის უქმე (ქიზ.) - ბელურებისგან მოსავლის დაცვის მიზნით, ზაფხულის ერთი რომელიმე დღის უქმობა. ამ დღეს არავინ, არც მამაკაცი და არც ქალი, არ მუშაობდა. ქალები ფაფას მოამზადებდნენ, ფიცრებზე დადებდნენ და გარეთ გადგამდნენ, რათა ჩიტების გული მოეგოთ და ამით მოსავალი წახდენას გადაერჩინათ (შდრ. „ჩიტიფაფაობა“).

ლიტ.: ს. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

ჩიტიფაფაობა (ქიზ.) - ჩიტებისთვის მომზადებული და გარეთ გადგმული ფაფა; იცოდნენ ყველიერში. ხალხის რწმენით, ამ ფაფის ჭამის შემდეგ, ჩიტები ყანას აღარ წაახდენდნენ (შდრ. „ჩიტის უქმე“).

ლიტ.: ს. მაკალათია. მთიულეთი. 138; ს. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

ჩიქილა (რაჭ.) - ქალის თავსაბურავი, - მანდილი, ლეჩაქი. ძველად იცოდეს ჩიქილები მიტკლისა. ჩიქილას თავზე იხურამდეს შემოჩინჩიყებულსა.

ჩიჩილაგი (რაჭ.) - ფრჩხილის ირგვლივ აქერცლილი ნუნა. მკაზე იცის ჩიჩილაგების გაჩენა.

ჩიჩილაკი || **ჩიჩილაგი** / **ქუჩუჩი** (მეგრ.) / **ქუჩუღა** (ლაზ.) / **შიშლაგ** (სვ.) - საახალწლოდ მორთული ბურბუმელებიანი ხე. ჩიჩილაკისთვის შეარჩევდნენ თხილის ტოტს. კალანდობამდე რამდენიმე დღით ადრე მოჭრიდნენ და შეინახავდნენ. წინა დღეებში ოჯახის უფროსი იწყებდა მის დამზადებას. საჩიჩილაკე

ჯოხს ცეცხლზე გარუჯავდნენ, მერე მის დარბილებულ და სათლელად გაიოლებულ ტანს დაუწყებდნენ ათლას ქვევიდან ზევით და ამ ხუჭუჭა ანათალებს, ანუ „წილამურებს“ ზედვე ტოვებდნენ. წარმოიქმნება ხუჭუჭად გამოყვანილი ოვალური ხის იმიტაცია. ჩიჩილაკს თავი ოთხად ჰქონდა შეხეთქილი, სადაც ჯვარედინად იყო ჩამაგრებული ჯოხები - ზედ დამაგრებული სანთლებით. ჩიჩილაკს ამკობდნენ ტკბილეულით, ხილით, ჩურჩხელებით, მარადმწვანე ფოთლებით, წითელნაყოფიანი კურკანტელით, აბრეშუმის ძაფებითა და სამკაულებითაც. დაძინების წინ ოჯახის უფროსი ჩიჩილაკსა და ხონჩას (იხ.) სახლიდან გაიტანდა მარანში ან ბელელში და თვითონაც იქ დაიძინებდა. ახალი წლის დილას, გამთენიისას გაეშურებოდა წყაროზე, ხელპირს დაიბანდა, წაიღებდა ჩიჩილაკს, ხონჩაზე აანთებდა სანთლებს, დაილოცებოდა, შემოუვლიდა კარ-მიდამოს, საქონლის სადგომებს და გამრავლებას ინატრებდა, მერე მიადგებოდა საცხოვრებელ სახლს და ოჯახის წევრებს მიულოცავდა ახალ წელს. წყალკურთხევამდე (6 იანვარი) ჩიჩილაკს ოჯახში ინახავდნენ, შემდეგ შემოაცლიდნენ ტკბილეულს, ცეცხლში გარუჯავდნენ და ბოსტანში ჩაფლავდნენ - „ბოსტანს ჭია-მატლი ვეღარ გააფუჭებსო“. მიჩნეულია, რომ ჩიჩილაკის რიტუალში ხის თაყვანისცემის უძველესი ჩვეულებაა ასახული.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. 2011.

ჩიჩხონა (რაჭ.) - ღორის ქონის (რცმელების) გადადნობის შემდეგ დარჩენილი ნაჭრები. (იხ. ქეგლ, ბერ.).

ჩიხორული სხალი (რაჭ.) - საშემოდგომო მსხლის ჯიშია ერთგვარი (იხ. ბრეგ., 56).

ჩიხრიხი - 1. ხის ხელსაწყო, რომელიც ბამბას აცლის კურკებს. საშუალო ზომის ჩიხრიხი ნახევარი მეტრი სიმაღლისაა. ესაა ორი ბოძი, რომელთა ზემო ნაწილში გაყრილია ორი მრგვალი სახელურიანი ჯოხი, ჩიხრიხზე მუშაობს ორი კაცი, რომლებიც აქეთ-იქიდან ატრიალებენ ჯოხებს და მათ შუაში მჭიდროდ მოქცეულ ბამბას. ასეთი ტრიალის შედეგად სცვივა კურკები. გაწმენდილი ბამბა იპენტება ხის ჯოხით. 2. თხის ბალნის დასართავი იარაღი. შედგებოდა კისერზე ჩამოსაკიდებელი მოხრილი გირკალისაგან. მის ქვედა ნაწილში გატარებული იყო ჯოხი. ჯოხის მეორე ბოლო გადიოდა ორ გადაჯვარედინებულ ბრტყელი ჯოხების ცენტრში. ჯოხის ხელის გულებით დატრიალებისას მიწაზე დაფენილი ბალანი ჩიხრიხის ჯოხზე ეხვეოდა. ჩიხრიხის ბალნის დასართავად გამოყენებას მისდევდნენ კახეთსა და მთიულეთში. ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ჩიხტი - ქალის თავსაბურავის ძირითადი ელემენტი, რომელიც მაღალი და დაბალი ყოფილა, საბოლოოდ, დაბალი ჩიხტი დამკვიდრდა. საერთოდ, ქართლში მაღალს, ხოლო კახეთში დაბალ ჩიხტს იყენებდნენ. ჩიხტი ქაღალდისგან მზადდებოდა შესაფერისი წესით. რკალისებურად მოყვანილი ჩიხტის უკანა ნაწილი ბრტყელი და დაქანებული იყო თავზე კარგად მოსარგებად. ჩიხტის დაბლა კიდზე ქობას შემოაკერებდნენ, რომლის გამოცვლა საჭიროებისამებრ ადვილად შეიძლებოდა. ქობიდან მცირე მანძილის დაცილებით, ჩიხტს თავსაკრავს შემოაკრავდნენ. ხევსურული თავსაბურავი ჩიხტისაგან განსხვავდებოდა, მას უფრო რელიეფურად გამოყოფილი ფასადი გააჩნდა, რომელსაც მრავალფერი მძივებით, ფერადი ძაფებითა და ვერცხლის

სამკაულებით ამკობდნენ. მას სათაურას უწოდებდნენ, რომელიც შეკერილი იყო ჩიხტის ფორმაზე ბამბის, ან შალის ქსოვილისაგან.

ქართველი ქალის ეროვნული კოსტიუმის ძირითად ელემენტთაგან - ქართული კაბა, ლეჩაქი, ჩიხტი-კოპი, წინდები და ქოშები, მანდილოსნებმა თავდაპირველად, ქოშები დათმეს; უქუსლო ფეხსაცმელი მხოლოდ მეჯლისებზე ეცვათ. მის ნაცვლად, ფეხსაცმელები მოირგეს, რომელიც საყოველთაო გახდა.

ლიტ.: ნ. გვათუა, ჩაცმულობის ისტორიიდან, 1967:25; ქ. მუშუღიანი, ნ. დათუნაშვილი, ევროპული კოსტუმის დამკვიდრება XIX საუკუნის თბილისის საქალაქო ცხოვრებაში, სემ, N1, 2015:246; ლ. ბოჭორიშვილი, კახური ჩაცმა-დახურვა, კრ. ანალები, I, 1947:210; ც. ბეზარაშვილი, გ. ჯალაბაძე, ქარტ. ხალხ. ტანსაცმელი, 1988:6.

ჩლატანი//ჩილატანი (აჭარ.) – ფეხსაცმელი, ხის ქერქიდან მოქსოვილი ქალაბანი. თელას ტყავს გააძრობდნენ, „დაფცილავენ“, წვრილად „დაპწნიდნენ“ თმასავით, მერე მოქსოვდნენ ბიზით. ჯერ ბრტყელი ტყავით დაქსელავდნენ და შემდეგ შიგნით „დაპწნილით“ ქსოვდნენ.

ლიტ.: მასალები..., 1983:264.

ჩოგანი (რაჭ.) - ხის მოკლეტარიანი ნიჩაბი, სიჩიბიდან (იხ.) ფქვილის ამოსაღებად ხმარობენ (იხ. ძოწ.).

ჩოდლიანი (გლ.) - ცული, წამხდარი, გაფუჭებული. ჩოდლიანი ქართოფი.

ჩოინა (რაჭ.) - მრავალფსკერიანი თუჯის ქვაბი (მღრ. თუჯია. იხ. ბერ., ქეგლ).

ჩონგური || ჩანგური - ოთხსიმიანი ჩამოსაკრავი ინსტრუმენტი, გავრცელებული დასავლეთ საქართველოს ბარის კუთხეებში: სამეგრელო, გურია, აჭარა, იმერეთი. გვხვდება აფხაზეთში „აჩამგურის“ სახელწოდებით. სხვადასხვა კუთხის ჩონგურები კონსტრუქციულად ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. ფორმით შუაზე გაჭრილი- მსხლისებურია. მუცელი დამზადებულია ერთმანეთზე შეწყებებული 2 მმ სისქის ბჟოლის ტკეჩებისაგან, თავფიცარი - 2-3 მმ სისქის ნაძვის ფირფიტისაგან. მასზე გაკეთებულია 2-3 მმ დიამეტრის რამდენიმე სახმო ნახვრეტი. ტარი (თავი და ყელი) კაკლის ხისაა. თავი ნიჟარისებურია, ყელზე, შუა ადგილას, გაკეთებულია ნახვრეტი სიმის მოქლონისათვის. სიმები აბრეშუმის ძაფებია. სამი თანაბარი სიგრძისაა, მეოთხე (ზილი) - მათზე 1/3- ით მოკლე. იგი მდებარეობს I და II სიმებს შორის. გაბმულია ტარის შუა ნაწილიდან. მისი სიმოკლე განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ მან ერთი სიმაღლის ყველაზე მაღალი ბგერა უნდა გამოსცეს. ამისათვის მას არ უნდა შეეხოს დაკვრის დროს მარცხენა ხელის თითები, რაც ძნელად მოხერხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ისიც დანარჩენი სიმების სიგრძისა იქნებოდა. ხოლო მაღალი ბგერის მისაღებად სიმის სიმოკლე გამართლებულია. დაკვრისას გამოიყენება სიმის მოზიდვისა და სიმებზე თითების ჩაკვრა-ამოკვრის ხერხი. ჩონგურს რამდენიმე წყობა აქვს. სხვადასხვა სიმღერა სხვადასხვა წყობაში სრულდება, მაგრამ ყოველი მათგანი თავიდან ბოლომდე ერთ წყობაშია. ტემბრი საკრავისა რბილი და ლამაზია რასაც სიმების მასალაც (აბრეშუმის დაგრეხილი ძაფი) განსაზღვრავს. ჩონგურზე უკრავენ ქალებიც და მამაკაცებიც. მაგრამ უფრო მეტად მასზე შემსრულებლები ქალები იყვნენ. ჩონგური ოჯახისათვის წარმოადგენდა

ძვირფას ნივთს. ჩონგურის თანხლებით სრულდება სოლო ერთხმიანი, ორ და სამხმიანი სიმღერებიც. ტრადიციულ საჩონგურო რეპერტუარს ერთხმიანი სატრფიალო და სახუმარო ლექსები წარმოადგენს. საჩონგურო ლირიკული სიმღერების ტრადიცია სამეგრელოში საყოველთაოდ ცნობილია. ჩონგური ტრადიციულად არ ერთიანდება ანსამბლად სხვა რომელიმე საკრავთან. ამასთანავე, თუნდაც ორი ჩონგურის ერთდროულად ანსამბლში გამოყენებაც არ ხდებოდა. ჩონგურის თანხლებით სრულდებოდა საწესო სიმღერები. მაგალითად, „ბატონებიან“ ავადმყოფთან „ბატონებო მოუოხეთ“, „საბოდიშო“ (გურიაში) - ულამაზესი საგალობელი, სითბოთი და ლირიზმით სავსე. სამეგრელოში დამოწმებულია ასეთი წესი: თუ ავადმყოფს ჩაეძინება, ყველანი გაჩუმდებიან და ჩონგურს ავადმყოფის ახლოს, კედელზე ჩამოჰკიდებენ. ამბობენ, ბატონები თავის მხრივ ჩუმად უკრავენ ჩონგურზე. ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებულ რიტუალში ძეობის სიმღერა „მზე შინა და მზე გარეთა“ სამეგრელოსა და გურიაში სრულდებოდა ჩონგურის თანხლებით. ჩონგური ფანდურთან შედარებით განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე დგას. ეს გამოსატულია ჩონგურის კონსტრუქციულ სრულყოფილებაში (სარეზონანსო კორპუსის მოცულობა, დახვეწილობა, კედლების სისქე, სიმების მასალა) და აქედან გამომდინარე, ტემბრის ხარისხში.

ლიტ.: დ. არაყიშვილი, ხალხური სამუსიკო საკრავების აღწერა და გაზომვა, 1940; ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, ტფ., 1938; მ. შილაკაძე, ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა. თბ., 1970. 36-50.

ჩორჩოტი (რაჭ.) - გოზინაყი (იხ.), კაკლის მთლიანი ლებნებისაგან აცმული.

ჩოტი / ჩოტილა (რაჭ.) - მცირე ზომის ჩოგანი. ხმარობენ თოხზე, ბარზე, გუთანზე... მიკრული მიწის ასაფხვკად, აგრეთვე მარანში სარქველების მოსაწმენდად (მდრ.: ხოფიჩა, ხოწი; იხ. ჭყ., წერ.: ჩოთი; ალავ. ოკრიბ., ძოწ., გაჩ.).

ჩოქელა - ადრეული სიმინდის ჯიში. ძალიან დაბალი იზრდება, პატარა ტარო აქვს.

ლიტ.: მატბერაშვილი, გიორგი. თხზულებანი: 4 ტომად. - თბ.: საბჭ. საქართველო, 1970. - 20 სმ. ტ. 4: წერილები; თვალადური ქართულის ჭამნიკი. - 1975.

ჩოხა - 1. ქართველი კაცის ჩასაცმელი ჩახა-ახალუხი იყო; 2. ძველად ქართულში, სიტყვა „ჩოხა“ ორივე სქესის ბერ-მონაზონთა სამოსელს აღნიშნავდა; 3. ქსოვილის სახის აღმნიშვნელი. ჩვეულებრივი ჩოხა მოკლე იყო, რვაჩაქიანი და თექვსმეტი კალთისაგან შედგებოდა, სახელოები ფართო და გრძელი ჰქონდა. საჩოხე მასალად შალი იხმარებოდა. აქლემის ყელის მატყლის ჩოხა საუკეთესო, საჯეილო იყო. ძველად, მაუდი კაბისთვის ყოფილა გამოყენებული, რომელიც ნაოჭიანი და ყუთურმაჯიანი იყო. ყურთმაჯებთან მთელი ეტიკეტი იყო დაკავშირებული: უმცროსი რომ უფროსს შეხვდებოდა, ნიშნად პატივისცემისა და მორჩილებისა, ყურთმაჯებს მხრებიდან ჩამოიყრიდა. ყურთმაჯების მკლავებზე შებმა და წვერმოუპარსავობა, გლოვის ნიშანი იყო. ნაოჭებს გუჯასტებს ეძახდნენ, იყო შვიდ, ცხრა გუჯასტიანი ჩოხები. მას რაც მეტი გუჯასტი ჰქონდა, უკეთესი იყო.

ჩოხას სამკერდეზე საქილეები და გვერდებზე ჩიბუხები ჰქონდა, ქვემოთ, გახსნილი კალთები - ჩაქები. ჩოხის შესაბნევს დილ-კილოები ერქვა. ჩოხა XIX ს-ში მამაკაცის ზედა სამოსს ეწოდებოდა, რომელიც ზოგჯერ, ჩერქეზულის სახელწოდებით აღინიშნებოდა. ძველად, ორივე სქესის ზედა სამოსს ყაბა, ანუ კაბა ეწოდებოდა (არაბ. ყაბა-აბა-კაბა).

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, საქართველოს სოციალ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ და საზოგადოებრივმა ცვლილებებმა (მაგალითად, ქალაქების ზრდა-განვითარებამ) ხელი შეუწყო ევროპული მოდის დამკვიდრებას. XX ს-ის 30-40-იანი წლების შემდეგ, ქართული ჩაცმა-დახურვა ძირითადად, თეატრის სცენას შემორჩა. ამჟამად, ეროვნული სამოსი სარიტუალო დანიშნულებით გვხვდება სევალით, ან ქამარ-ხანჯლით დამშვენებული. ფშაველები ქამარ-ხანჯალს შიგნით, ახალუხზე შემოირტყამდნენ და ჩოხაზე მხარიღლივ ხმალს გადაიცილებდნენ.

ლიტ.: ქართული ეროვნული ჩაცმულობა, ჟურ. „კლდე“ N40, 1915:13; მასალები..., 1983:12; ი. ციციშვილი, მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიიდან, 1954:57-58; ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1938:89; ლ. ბოძიაშვილი, ფშავი და ფშაველები, 1988:19.

ჩოდრათო - ვერცხლის დიდი კულა, ყელდაგრეხილი, ტარივით გაშვერილი სასმელი ღარით. ეთნოგრაფიულ ყოფაში აღარ დასტურდება.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ჩოჩია - მარხილის ტიპის საზიდი. მცირე საოჯახო საქმეთა შესასრულებ-

ლად. ჩოჩიაში ებმებოდა ერთი ხარი ან ვირი.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ჩოჩო (იმერ., ლეჩხ., გურ.) - ახალამოყვანილი ყველის შესანახი ჭურჭელი (წნული ან ხის ტკეჩით ძირგამოწნული, ან ოთხკუთხა ფიცრის კოლოფი)

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984.

ჩოჩობა (გურ.) - კალათივით მოწნული ჭურჭელი, რომელშიც სახელდახელო სანოვაგეს აწყობდნენ; კიდედნენ სამზარეულო სახლის სხვენში.

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984.

ჩოჩობი (იმერ.) - ღომის ჩალის ჭილობი.

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984.

ჩოხადამპალა (იმერ.) - ივნისისა და ოქტომბერ-ნოემბრის თვეთა მეტსახელი, მერქმეული ხშირი წვიმების გამო.

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984.

ჩუთი (ქართ.) - მიწის მარტივი სახვნელი იარაღი. ჩუთი ისევე, როგორც

სხვა მსუბუქი სახვნელი იარაღები, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში მძიმე სახვნელი იარაღების პარალელურად მოქმედებდა და მეორე რიგის სამუშაოებს ასრულებდა. ჩუთით შესრულებულ მუშაობას აჩუთვას, აოშვას და აკავებასუწოდებდნენ. როგორც ვარაუდობენ, ჩუთი გუთნის გაჩენამდე ძირითადი სახვნელი იარაღი უნდა ყოფილიყო, გუთნის გაჩენის შემდეგ კი ჩუთის ფუნქცია ვიწროვდება და იგი ძირითადი იარაღიდან დამხმარე სახვნელის ადგილზე ინაცვლებს. ჩუთის ანალოგიური სახვნელების გავრცელების არეალი საკმაოდ დიდია. იგი ოდნავ სახეცვლილი გვხვდება როგორც საქართველოს სხვა კუთხეებსა და საერთოდ კავკასიაში, ისე წინა აზიის, შუა აზიის და ევროპულ ქვეყნებშიც. ტიპოლოგიურად იგი ენათესავება ბაბილონში დამოწმებულ სახვნელებს.

ლიტ.: გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზურობა აღბულაღის რაიონში, სსმმ, 1928.ტ. IV. გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, 1960.

ჩქუთი - ნახევარწრისებური რკინის ოვალურპირიანი და ხისტარიანი სატენი. საბას მიხედვით ჩქუთი „ძელთ ამოსათლელი“, პირმოხვეული სატენია, გამოიყენებოდა კოდების, ჩანახების, ციცხვების და ა.შ. გასათლელად.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ჩხავერი -- შავყურძნიანი ვაზის ჯიში. თვლიან, რომ ჩხავერი ვაზის ქართული აბორიგენული ჯიში იყო, რომელსაც მოგრძო მტევანი ჰქონდა. იგი გვიან მწიფდებოდა. აჭარის გარდა, გურიაშიც იყო გავრცელებული, უპირატესად, მაღლარად

ვითარდებოდა და საუკეთესო ღვინო იცოდა.

ჩხიროლი (ლექხ.) - იხ. ხემამული.

ჩხრუნკი (რაჭ.) - ღორის ავადმყოფობაა ერთგვარი.

ჩხუტ-ბრუნელი (თუშ.) / **ჩხუტ-ბარნელა** (ფშ.) / **ჩასარევაი** / **ყუიკა** (ხევს.) -- ვერტიკალური ტიპის ნაღების სადღვებელი. მცხეთა-სამთავროს ბრინჯაოს ხანის სამარხებში აღმოჩენილი თიხის სადღვებლები მსგავსია საქართველოს მთიანეთში გავრცელებული სადღვებლებისა, რაც ნათლად მიუთითებს რძის პროდუქტის ტექნოლოგიის უწყვეტობისა და მისი დამუშავების მაღალ კულტურაზე.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოლოგ. ლექსიკონი 2011:527.

ჩხუტი - ლუდის ხალხურ წარმოებაში გამოსაყენებელი ტუჩიანი და სახელურიანი ჭურჭელი. ამზადებდნენ ხისგან და სპილენძისგანაც. აქვს მაგარი სახელური, მძიმე სამუშაოებს რომ გაუძლოს. ზოგჯერ ჩხუტი ერთ ხეშია ამოღებული, ე.ი. მთლიანია და მხოლოდ ძირი აქვს გამოყენებული. ჩხუტი ძირითადად 10- 15 ლიტრის ტევადობის ჭურჭელია, მაგრამ არსებობს პატარა ჩხუტებიც. ჩხუტი ზოგჯერ შემკული იყო რაიმე სიმბოლური მოტივით და საგვარეულო დამდით.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.



ცალი (რაჭ.) - ღვინის საწყაო იყო – საპანის (იხ. საპანე) ნახევარი, დაახლოებით 5-6 ფუთი (შდრ. მენტ., ქართ. დიალექტ., 690).

ცალხაშა - ჩვეულებრივად, პურის გამოცხობის წინა სადამოს, ძველ ხაშს „წაადელებენ“, გადაახალისებენ: ცოტა ფქვილსა და თბილს წყალს დაამატებენ, ჩაზელენ და მეორე დღისათვის შეინახავენ. ეს არის ჩვეულებრივი, ნორმალური ხაში... თუ დაავიწყდათ ხაშის წადელება და გადაახალისება, პურს ძველი, წაუდელებელი ხაშით აცხობენ. წაუდელებელი ხაშით მოზელილ ცომს ცალხაშა ცომი ჰქვია, ხოლო პურს – ცალხაშა პური. ცალხაშა ცომი სწრაფად ფუვდება, თონეზე არ ჩერდება, ცვივა. ამიტომ უთქვამს ქართველ კაცს ასე ხატოვნად: „ცალხაშა ცომი ცხენიან კაცს გაასწრებსო“.

ლიტ.: შატბერაშვილი, გიორგი. თხზულებანი: 4 ტომად. - თბ.: საბჭ. საქართველო, 1970. - 20 სმ. ტ. 4: წერილები; თვალადური ქართულის ქაშნიკი. - 1975

ცახი - მეაბრეშუმეობაში გამოყენებული სხვადასხვა ხის ტოტებისაგან ან ბალახოვანი მცენარეებისაგან (გვიმრა,

ჯაგრცხილა, სატაცური, გვირილა, ღომის ჩალა, მინდვრის ცოცხა და სხვ.) შეკრული კონები. იხმარებოდა ჩელტებიდან მეოთხე ასაკის აბრეშუმის ქის გასათავსებლად. ცახის ცოცხზე ზრდადამთავრებული აბრეშუმის ქია იწყებდა პარკის ახვევას. დახვეული ცახიდან მოცილებული პარკები დაირჩეოდა და დახარისხდებოდა.

ლიტ.: ნ. აბესაძე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, 1957.

ცელად გასვლას - იხ. „ცელგამოდება“.

ცელგამოდება - აგრარული ციკლის თუშური წეს-ჩვეულება - რიტუალური თიბვა. მკათათვის თორმეტიდან თვრამეტ რიცხვამდის, ხუთშაბათ დღეს გამოაცხობდნენ კოტრებს, რომლებსაც, სანთელ-ზედაშესთან ერთად, მთიბელი (უხუცესი ქალი) ნამგლით ხელში სათიბში გაიტანდა და დაილოცებოდა: „ღმერთო-დ კვირა'ეო, ცა-ქვეყნის გამჩენო, ჯვარ და გვიწერ, ბარაქა დაგვიღვენ წლევანდელ ნათიბ-ნამკალს, ზღველ მშვიდობისა მოგვგვარი, მშვიდობას გვაჭმიე-დ გვაჭმარი“ (ვარიანტი: „ღმერთო, ბარაქას ნუ გამოგვიღვე, ბარაქა მიეცი ჩვენ ნაჭნა-

ვ-ნათესს“). შემდეგ სამ ხელეურს გამოთი-
ბავდა და შინ წავიდოდა. მეორე დღეს, პა-
რასკევს „ქარობას“ იუქმებდნენ, ნათიბი
და ნამკალი ქარმა არ დაგვიზიანოსო, შა-
ბათს სეტყვის უქმს შეინახავდნენ, კვირას
ხომ მაინც უქმობდნენ და ორშაბათიდან
თიბვის სეზონი გაიხსნებოდა. სოფ გი-
რევიში, სადაც ამ წესს „ცელად გასვლას“
უწოდებდნენ, კოტორთან ერთად მაჭკატს
(ბლინს) აცხობდნენ.

ლიტ.: ნ. აზიკური. კოტორი,
როგორც რიტუალური პური თუ-
შეთში // მასალები საქართველოს
ეთნოგრაფიისათვის. XXIII. თბ.,
1987, გვ. 221; გ. ცოცანიძე. გიორ-
გობიდან გიორგობამდე. თბ., 1987,
გვ. 153.

ცვარა / გავარსი - ქართული ოქრომ-
ჭედლობისათვის დამახასიათებელი
ხერხია და ნიშნავს ნივთის შემკობას,
ზედ დარჩილული ოქროს ან ვერცხლის
წვრილი ბურთულებით. მსგავსად ფე-
რადი თვლებით შემკობისა, ლითონის
ლითონითვე შემკობაც, ინკრუსტაციის სა-
ხესხვაობას წარმოადგენს. იმ მხატვრულ
არსენალში, რომელიც ადრეული რკინის
ხანის ქართული საოქრომჭედლო სკოლის
თავისთავადაბას ქმნის, უმთავრესია გავა-
რსი და მისი დაწყობის წესი, რაც უხვადაა
წარმოდგენილი საქართველოს სხვადა-
სხვა რეგიონში არქეოლოგიური გათხრე-
ბის შედეგად აღმოჩენილ ძვ.წ. VII-VI სს-
ის საკიდებსა და საყურეებზე, რომელთა
პირდაპირი მემკვიდრეა ადრეანტიკური
ხანის ქართული სამკაული, კერძოდ, სხი-
ვებიანი საყურეები. განსაკუთრებით საყუ-
რადლებო და საინტერესოა ვანში აღმო-
ჩენილი ოქროს გავარსიანი ნივთები,
რომლებიც ადგილობრივი ქართული ნა-
ხელავია. არასოდეს არც მანამდე და არც
ადრეანტიკური ხანის შემდეგ არ უკეთე-
ბიათ საქართველოში ასეთი გავარსი - 0,1-

0,2 მმ დიამეტრის მქონე ბურთულებით.
მხატვრული თვალსაზრისით, გავარსი
პოლიქრომიის შემცვლელია და ოქრომ-
ჭედლობაში იმავე როლს ასრულებს, რა-
საც ფერადი ინკრუსტაცია. საქართველოს
სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენილი ამავე
და ცოტა უფრო მოგვიანო ხანის (ძვ.წ. V-IV
სს.) ოქროს სამკაულის საუკეთესო ნაწი-
ლიც გავარსიანია. მათ შორის განსაკუთ-
რებით აღსანიშნავია ახალგორის განძის
ცხენის გამოსახულებებიანი სასაფეთქლე
საკიდები და საყურეები, აგრეთვე გომ-
ბეშოებიანი ყელსაბამი. სწორედ ამგვარ
ნაწარმოებში ჩანს ქართული ოქრომჭედ-
ლობის ნამდვილი სახე და ინდივიდუა-
ლობა. ტექნიკური პროცესი ცვარას, ისევე
როგორც გრეხილის, დამზადებისა მრავ-
ალი საუკუნის განმავლობაში უცვლელი
იყო.

ლიტ.: ი. გაგომიძე, ქართველი
ქალის სამკაული, 1981.

ციბრუტი / ციბრუნდი- სახვრეტი ია-
რადი. არსებობს მისი სხვადასხვა სახე-
ები და ძირითადად გამოიყენებოდა ხის,
ქვისა და ლითონის სახვრეტად.

ლიტ.: ქართული მატერია-
ლური კულტურის ეთნოგრაფი-
ული ლექსიკონი. თბ., 2011.

ციდა - უძველესი ქართული საზომი.
მოიხსენიება „დაბადების“ ქართულ თა-
რგმანში. ამ ერთეულს „ქართულ ლექსი-
კონში“ ასახელებს სულხან-საბა, თუმც
არ იძლევა მის მიმართებას სხვა ზომებ-
თან. ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით,
ციდა იყო მანძილი სალოკ თითსა და
ცერს შორის. თეიმურაზ ბაგრატიონის
ცნობით, ციდა ჩარექის ნახევარია. მეტ-
რულ სისტემაში ის 12,65 სმ შეადგენდა.
ლიტ.: გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული
მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973.

ცივიზიზავერა -- ჩხავერის მსგავსი ვაზის ჯიში, აჭარაში მალლარად იყო განვითარებული.

ლიტ.: მ. რამიშვილი, გურიის, სამეგრელოსა და აჭარის ... 1948.

ცირიხერხი - დიდი საფიცრე მორების საჭრელი ხერხი. გამოიყენებდნენ ნავმშენებლები.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ცისაქუნარაყი - საწესო კოტორი, რომელსაც თუმები ადრე გაზაფხულზე მიცვალებული ბავშვების, იშვიათად ყველა მიცვალებულის, სახელზე აცხობდნენ (მისი გამოცნობა ოთხშაბათს და პარასკევს არ შეიძლებოდა). კოტორს გულად ედო შვიდი სახის მცენარეულობა (ენძელა ძირიანად, ჭინჭარი, ღოღო, „ხავარტანაყი“, „საჯარაყ“ ...). კოტორზე დაანთებდნენ სანთელს და შესანდობარს იტყოდნენ: „ცისაქუნარაყ გიცხევთა-დ' ნუამ დაგაშინებენ ავ ქარნი-დ' ავ კაცნი“. ხალხის რწმენით, ამის შემდეგ მიცვალებულ ბავშვებს ჭეპა-ქუხილის ადარ შეეშინდებოდათ.

ლიტ.: ნ. აზიკური. კოტორი, როგორც რიტუალური პური თუმეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXIII. თბ., 1987, გვ. 220; გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 220.

ცის ნამის დაცემა - ქიზიყელთა რწმენით, ადამიანს თუ ცის ნამი დაეცემოდა, დაადუნებდა, დამბლას დასცემდა. ამიტომ ცალმხარდადუნებულ ადამიანზე იტყვიან: „ცის ნამი დაძეცილია“.

ლიტ.: ს. მენტეშაშვილი. ქიზი-

ყური ლექსიკონი. თბ., 1943.

ციხემოსობა - მიცვალებულის კულთან დაკავშირებული თუშური წეს-ჩვეულება - მგლოვიარე ოჯახისა და მთელი სოფლის მიერ ყოველგვარი საქმიანობის (მიწის დამუშავების, საქონელში წასვლის და სხვ.) შეწყვეტა. მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ, როდესაც „საპირჯნო“ დაიკვლებოდა, საქმის გაკეთების უფლება ყველას ეძლეოდა.

ლიტ.: დ. გიორგაძე. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუმ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). თბ., 1987, გვ. 78.

ცომთხელი (ხევს.) - წყალში ათქვეფილი ფქვილი, რომელსაც სიმსივნის დასაცხრობად, ძირმაგარის „დასამწიფებლად“ და სხვ. დაავადებების განსაკურნებლად იყენებდნენ.

ცომის შეცოლქმარება - პურის ცომი ზელვის ღროს კარგად რომ შეიკვრება და შედედდება, იწელება და ნაწილნაწილ არა წყდება, იტყვიან, ცომი შეცოლქმარდაო. აგრეთვე: ცომის ზელვის ღროს თუ შეატყობენ, რომ ცომი ცოტა მოუვიდათ, იმავე ვარცლში მეორე პატარა ცომს კიდევ მოზელენ, მერენ ორივე ცომს ერთმანეთში გადაზელენ – შეაცოლქმარებენ.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

ცული - უძველესი სამეურნეო იარაღი. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ქვის ხანის ადამიანს კაჟის ქვის ცული უხმარია. შემდეგ სპილენძისა და ბრინჯაოს ცულები თიხის ყალიბებში ჩამოუსხამს, ხოლო როცა რკინის ეპოქა დამდგარა, ცულების მოყვანილობა და დანიშნულება გამრავალფეროვნებულა.

ბრინჯაოს ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები ცულს იყენებდნენ როგორც საბრძოლო, ასევე სამეურნეო იარაღად. ბრინჯაოს ხანაშივე ადამიანებს მიაჩნდათ, რომ ლითონის ამ მრისხანე იარაღს დიდი ჯადოსნური ძალა ჰქონდა. სხვანაირად ვერ აიხსნება, თუ რატომ ამზადებდნენ ყელზე ჩამოსაკიდებელ პატარა ბრინჯაოს ცულებს, რომელთა სიდიდე 2 სმ-ს არ აღემატება. ჩვენი წინაპრების აზრით ისინი პატრონს ავი თვალისაგან იფარავდა. ეს რწმენა ჩვენში გვიანდელამდე შემორჩა. XIX ს-ის 70-იან წლებში ქართველი მჭედლები მოსახლეობის დაკვეთით სამჭედლოში სხვების შეუმჩნევლად შედიოდნენ, ჟურას უმძრახად გააღვივებდნენ და რკინის ავგაროებს (პატარა ცულებს, ნალებს, წალდებს) ამზადებდნენ, რომელთაც ან აკვანზე, ან სახლის კარიბჭეზე ჰკიდებდნენ, ან ბავშვს ყელზე შეაბამდნენ. ძველად ოჯახის წევრი შინ გვიან თუ დაბრუნდებოდა, კართან დადებულ წალდზე ან ცულზე უნდა გადაეხიჯებინა, რომ სახლში ავი ძალა არ შეჰყოლოდა. აკვანში მწოლიარე ბაღლებს თავქვე ან აკვნის ქვეშ წალდუნას უდებდნენ ბოროტისაგან დასაცავად. ეთნოგრაფიულ ყოფაში რკინის ნივთთან დაკავშირებული მაგიური წეს-ჩვეულებები ჩვენში ლითონის დამუშავების, ე.ი. მეტალურგიის სიძველეზე მეტყველებს. ქუთაისის მუზეუმში ინახება ცული, რომელიც 3300 წლის წინათ უხმარიათ ჩვენს წინაპრებს, როგორც ამულეტი.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

ცული სოლა - ცულ-ნაჯახების ერთ-ერთი სახეობა. სოლა ცული, ანუ სოლა ნაჯახი ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში წარმოქმნილი და ფართოდ გავრცელებული, ე.წ. „ქართული ცულის“

ნაირსახეობაა, რომლის სახელწოდება სრულად გამოხატავს მის აღნაგობასა და სამეურნეო დანიშნულებას. აღნაგობით სოლს წააგავს. სხვა ცულ-ნაჯახებისგან განსხვავებით, მას აქვს ვიწრო და მაღალი პირი. ეფექტურია ხის მოჭრისას და მორის გასაპობად. აგრეთვე კარგად ასრულებს სოლის დანიშნულებას. სოლა ცული ძირითადად გავრცელებულია მთიან აჭარაში, ასევე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოშიც.

ლიტ.: ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობა, ბათუმი, 1974.

ცული ქართული - გამორჩეული ტიპის იარაღი, რომელსაც შექმნილი აქვს ისეთი ინდივიდუალური ფორმა, რომელიც მხოლოდ საქართველოსთვისაა დამახასიათებელი. ქართული ცულის დამზადების წესის ძირითადი ეტაპებია: საცულე რკინის შერჩევა, მოზომვა, მოკვეთა, გახურება და „მოთელვა“. ამის შემდეგ გრძლად გაბრტყელებული რკინის შუაგულიდან მჭედელი აძლევს მიახლოებით ფორმას, უკეთებს „სატარეს“, ანუ ყუას, შემდეგ ცულის ტანს ქურაში ცეცხლზე დაამუშავებენ. ცულის პირის სათანადო დამუშავების შემდეგ, რასაც მჭედელი ატყობს (ცეცხლის ალისფერით, ნაპერწკლით), იწყება კვერვა, რის შედეგადაც ცულის ტანი სათანადო ფორმას იღებს. კვერვის შემდეგი პროცესია „გაწვიპვა“ - უსწორმასწორო ადგილების მოსწორება, რაც საგანგებო იარაღით - „ლიპით“ ხორციელდება (ლიპი - სწორი და ბრტყელთავიანი ხელკვერი), ამის შემდეგ ცული უნდა გაილესოს, იწროს, დაიფეროს და უკვე მზად ითვლება. ქართულ ცულს ტარი ეგება ყუაში ამოცმით, რაც ცულის ტარიდან წაძრობას გამორიცხავს. ქართული ცულის ძირითადი თავისებურებებია: ვიწრო ტანი, დაქანებული „შუბლი“, კუთხედი, ტრაპეციის ფორმის სატარე, ოდ-

ნავ მომრგვალო პირი...ეთნოგრაფიულ ყოფაში რკინის ნივთთან დაკავშირებული მაგიური წეს-ჩვეულებები ჩვენში ლითონის დამუშავების სიძველეზე მეტყველებს.

ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, 1953.

ცულ-ქარჩი - ორმხრივი, ყამირი მიწის დასამუშავებელი რკინის იარაღი, ორი ფუნქციის მატარებელი (ცულის და ქარჩის). ძირითადად გამოიყენება ახოს ადების დროს, ხის ფესვების ამოსაძირკვად. ამ ტიპის იარაღი საქართველოში ტყიანი რაიონების გავრცელების ზოლში ფიქსირდება. ლიტ.: გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 1986.

ცხავი, ცხრილი - მარცვლეულის გასანიავებელი ხელსაწყოები. „გაცხავების“ ანუ მარცვლის ცხავით განიავების დროს ხელსაწყო თანაბრად ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, ხანაც ზემოთ „უქცევდნენ“ - ამოძრავებდნენ.

ლიტ.: მ. ხაზარაძე. მარცვლეულის გასანიავებელი ხელსაწყო-იარაღები საქართველოში // ზეგლის მეგობარი. 42. თბ., 1976. გვ. 15-16.

ცხავი - ხორბლეულის საცხრილავი, მისი ძირი არყის ხის ტკეჩისგან კეთდებოდა, ქერისათვის განკუთვნილი ცხავის ძირი „ფაცხატად“, ანუ დიდი „თვლებით“ იწვნოდა, ხორბლეულისათვის კი პატარა „თვლებით“. ცხავის ტანზე ზემოთ და ქვემოთ დანით „ამოჭდული“ იყო „სათითნიკა“ თითების ადგილი, რათა ადამიანს მტკიცედ დაეჭირა ხელში.

ლიტ.: მ. ხაზარაძე. მარცვლეულის გასანიავებელი ხელსაწყო-იარაღები საქართველოში // ზეგლის მეგობარი. 42. თბ., 1976. გვ. 15-16.

რაღები საქართველოში // ზეგლის მეგობარი. 42. თბ., 1976. გვ. 15-16.

ცხემალი (სვ.) - კონდახიანი მშვილდის ნაირსახეობა.

ცხემლის ჭრა - გურული საკალანდო წეს-ჩვეულება - შეშის დამზადება ცხემლის ხისგან და ცეცხლისთვის ახალი წლის მილოცვის რიტუალი. წინა დღეს დაჩეხილი შეშით საწესო ცეცხლის დანთება და ლოცვა ახალწლის დილას იცოდნენ; საამისოდ, ოჯახის თითოეული წევრი კერაზე ცხემლის შეშას დებდა და ამბობდა: „ცეცხლო, ღმერთმა მრავალი კალანდა მშვიდობით გაგიტენოს შენი ბატონიანა“. ცეცხლის გაჩაღების შემდეგ, იწყებოდა საქონლისა და ფრინველისათვის ახალწლის მილოცვა, რომელსაც ოჯახის ყველაზე „ფეხბედნიერი“ წევრი ასრულებდა: კერიიდან ცხემლის დიდ მუგუზლებს აიღებდა, რომლებსაც ბოსილის, საქათმისა და საჯინიბოს შესასვლელში ისე დადებდა, რომ ცხოველს მასზე გადაებიჯება შეძლებოდა, და იტყოდა: „ცხენო, ძროხავ, ხარო, ღმერთმა მრავალი კალანდა მშვიდობით გაგიტენოთ თქვენი ბატონიანა“.

ლიტ.: Мамаладзе Т. Народные обычаи и поверья гურიццев // СМОМПК. Вып. XVII, отд. II. Тф., 1893.

ცხენიძეძე -- სასუფრე ყურძნის ჯიში. ცხენის ძუძუ ვაზის ჯიშს ვხვდებით გური-აში, სამცხეში, რაჭაში, ქართლ-კახეთში, რომლებიც ამპელოგრაფიული ნიშან-თვისებებით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. ცხენის ძუძუ, მაღლარების სახით, წარსულში შუა და ზემო აჭარაში ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რომელსაც მოსახლეობა მხოლოდ ყურძნად იყენებდა. ვაზზე დატოვებული ყურძენი იანვრამდე ძლებდა და არ ჭენე-

ბოდა, ხოლო დაკრეფილი - გაზაფხულამდე ინახებოდა.

ლიტ.: ქართველი ხალხის ეთნოლ. 2018:530.

ცხრა მარტი -- აჭარაში მიწის სამუშაოების დაწყება ძველი სტილით ცხრა მარტის შემდეგ იყო ნებადართული. ხალხური გადმოცემით: „9 მარტს ზღვიდან გამუა წყლის კაცი. თუ გათბა დეილოცება და იმ წელიწადში კაი ამინდი იქნება, თუ შეცივდა, დეიწყევლება და ამინდიც წახდება.“ ცხრა მარტს ბუნაგიდან დათვიც დგებოდა. ამ დღეს ცდილობდნენ საქონელი საძოვარზე არ გაეშვათ ანდა ახლო-მანლოს ეძოვებინათ.

ლიტ.: თ. ლომთათიძე, სამინათმოქმედო ციკლის ზოგიერთი წეს-ჩვეულება აჭარაში, კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, ბათუმი, 1996:44.

ცხრილი - მარცვლეულის საცხრილავი. იხმარებოდა კალოობისას, ლეწვის დროს პურეულის საცხრილავად. სანამ ხვავს კალოდან აიღებდნენ, ხორბალს ჯერ ცხავში გაატარებდნენ, მას მსხვილი თვალეები აქვს და მარცვალი გადის ცხავში, დიდი ნარჩენები კი შიგ რჩება. ცხრილს წვრილი თვალეები აქვს, გაცხრილვის დროს ხორბლის მარცვალი შიგ რჩება, ქვეშ გადის წვრილი ნარჩენი, მიწა. ხის ცხრილი მზადდებოდა თხმელის ან თხილის ტკეჩისაგან, იწვნიოდა იმ ზომის თვლებით, რომ შიგ მარცვალი არ გავარდნილიყო. ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულია ორი სახის ტყავის ძირიანი ცხრილი: გამოწნული ტყავის თასმებით და დაჩვრტილი სამეურნეო კულტურების გასაცრელ-გასაცხრილავად. ორივე ტიპის ტყავის ცხრილი ხის სალტეზე იყო გამოკრული. ტყავის ცხრი-

ლების დამზადების ტრადიცია ეთნოგრაფიულ ყოფაში არ დასტურებდა. ხის ცხრილებს კი ამჟამადაც აკეთებენ და ბაზრობებზე მათი საუკეთესო ნიმუშებია გამოტანილი.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში. თბ., 1973.

ცემხვა, ცემჰვა (მეგრ. „ცის ლოცვა“ ან „წვიმის ლოცვა“). მეგრული ცე შეიძლება გავიგოთ როგორც „ცა“ და როგორც „წვიმა“, „წყალი“ (მდრ. „ცე მუწენს“ - წვენი, სითხე გასდის, - იტყვიან მწიფე ხილზე) საერთო სათემო ლოცვა ხანგრძლივი გვალვის დროს წვიმის გამოწვევის მიზნით. იმართებოდა ხუთშაბათს ანუ ცის დღეს (მეგრ. „ცამხა“) იმართებოდა. (აფხაზური ა-ცენიჰვა - ლოცვა წვიმის გამოსაწვევად).

ლიტ.: ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 7, გვ. 8-12 (ინახება ავტორთან); ა. ჭანტურია. ეთნოგრაფიული ჩანაწერები. მეგრული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებანი // თსუ შრომები. ტ. 227. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ., 1982, გვ. 227.



ძაბრი - სითხის გადასაღები ფართოპირიანი და ვიწროყელიანი ნივთი. მზადდებოდა მეტალისგან, თიხისგან. მეღვინეობაში გავრცელებული იყო მწარე კვანის ძაბრები, რისთვისაც საგანგებო ჯიშის კი ჰქონიათ გამოყვანილი. ზრდის პროცესში ნაყოფს ისეთ მდგომარეობას შეურჩევდნენ, ძაბრს რომ დამსგავსებოდა. შემდეგ ნაყოფს ძირს გადაუჭრიდნენ, გაასუფთავებდნენ, გამობარშავდნენ და იყენებდნენ სათანადო საქმიანობისთვის. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია ხის ტყავგადაკრული დიდი ზომის უნიკალური ძაბრი რომელიც გამოიყენებოდა რუმბში ღვინის ჩასასხმელად.

ძალაყინი - მძლავრი რკინის კეტი. ერთი თავი წვეტიანია, მეორე - ფართო. იმერეთში „ლომს“ უწოდებენ.

ძარა - დიდი მოწნული გოდორი. სახნავ-სათეს ნაკვეთში ორგანული სასუქის - ნაკელის საზიდი საშუალება. გარდა სამეურნეო ფუნქციისა, მას ამინდის მართვის მაგიურ წეს-ჩვეულებაშიც იყენებდნენ. გვალვის დროს წყალში ჩადგამდნენ, შიგნით შელოცვილ ქვებს ჩაყრიდნენ და გაწვიმებამდე წყლიდან არ ამოიღებდნენ. „ამ შელოცვილ კენჭებს... წყალში ჩადგმულ ძარში აგდებენ და ელოდებიან წვიმის მოსვლას.“

ლიტ.: თ. სახოკია, მოგზაურობანი, 1985:285.

ძარი, ხვირი (იმერ.) – 1. მოწნული სათავსი, რომელიც იღება ურემზე და გამოიყენება სხვადასხვა სამეურნეო პროდუქტების გადასატანად. 2. სიმიდის საწყაო უდრის 5 კოდს; 3. 4.გოდორივით მოწნული, წვრილფეხობის დასამწყვდევადა; 5. მოწნული სასიმინდე, ნალია.

ლიტ.: ქელ. 2009.

ძაფეძია - მეგრული ტრადიციული საქორწინო გვირგვინი; წარმოადგენდა ლერწმისაგან მოწნულ რგოლს, რომელსაც, არცთუ იშვიათად, ოთხ მოგრძო ტოტს უკეთებდნენ. ასეთივე გვირგვინი მზადდებოდა გურიაში და იმერეთში.

განსხვავებით დასავლურ-ქართული გვირგვინისაგან, ქართლურ-კახური ფოჩებიანი გვირგვინი დისკოსებრი ფორმისაა და ოქროსა და ვერცხლისფერი სირმებით არის მოქარგული. გვირგვინზე ჩამოკიდებულია ოთხი ერთმანეთისაგან თანაბრად დამორებული ფოჩი, რომელიც თორმეტ-თორმეტი ოქროსა და ვერცხლისფერი სირმისაგან გაკეთებული ბურთულებისაგან შედგება. გვირგვინის ტოტების ბილოები სამ-სამი მოკლე ფოჩით თავდება. მამაკაცის გვირგვინს ცენტრალურ ადგილას

მიმაგრებული აქვს სირმით მოქარგული ჯვარი. გვირგვინს, როგორც წესი, მამაკაცი ნაბდის ქუდზე იხურავდა, ქალი კი - ჩიხტი-კოპზე. ქართლის ეთოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულია გვირგვინის დაწვნა ვაზის რქებისაგან. ანალოგიური ფაქტი დადგენილია კახეთშიც. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მკვლევარი გვირგვინს ვაზის კულტს უკავშირებს. ნ. მაჩაბლის მართებული აზრით, საქორწილო გვირგვინი მზისა და მთვარის ფუნქციის მატარებელია და ამ მნათობთა მარადიული შეუღლების სიმბოლიზაციას გამოხატავს. მისი შეხედულებით, გვირგვინში მზისა და მთვარის ელემენტი ოქროსა და ვერცხისფერი სირმებისა და გასხივოსნებული ტოტების სახით ჩნდება. ამასთან, გვირგვინის ფოჩებში ოქროსა და ვერცხლისფერი ბურთულების რაოდენობა წყვილ-წყვილად არის წარმოდგენილი.

ვ. ბარდაველიძის შეხედულებით, „ნეფე-დედოფლის თავზე ამგვარი გვირგვინის დადგმა ოდესღაც მაგიური ზემოქმედების მიზნით ხდებოდა. ახლად დაქორწინებულებს მზის მსგავს საგანს ადგამდნენ იმისათვის, რომ მზის ცხოველმყოფელი ძალა და ნაყოფიერების თვისება ნეფე-დედოფალზე გადასულიყო“.

ნ. მარის თანახმად, „გვირგვინი“ ტერმინისათვის ამოსავალია სიტყვა „გრგვინვა“ (მდრ. ბრეტონული kürün „ქუნილი“, „გვირგვინი“).

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. ღვთაება ბარბარ-ბაბარ. თბ., 20006, გვ.83-84; ნ. მაჩაბელი. მაგიურ-რელიგიური წეს-ჩვეულებები საქორწილო რიტუალში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XX. თბ., 1979, გვ. 117-119; ჯ. სონდულაშვილი.

საქართველოს მევენახეობა-მღვინეობის ისტორიისათვის. წიგ. III (ხელნაწერი); Н. Мара. Бретонская нацменовская речь в увязке языков Афревразии // Избранные работы. Т. IV. გვ. 217.

ძალა - ხარაზის სახმარი სამღებრო მასალა. წარმოადგენდა სპეციალური შავი მიწისა და შაბის ნაზავს, რომელიც გახსნილი იყო წყალში. უსვამდნენ ფეხსაცმლის საძირეს გარშემო და საპირეს ზევიდან შავი ფერის მისაღებად. ტყავის გამავება ძველად ხარაზებსა და მეჩემქმეებს ანწლის წვენითაც სცოდნიათ.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ძაღლ-ციცათად ცემა (ხევს.) - უდანაშაულობის დამტკიცების მიზნით, დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის მიერ შესრულებული რიტუალი: ეჭვმიტანილი რომელიმე სახლის ბანზე გავიდოდა, ხელში ძაღლს ან კატას დაიჭერდა და ხმამაღლა იტყოდა: „ვინც მე ქურდობას (ან სხვა დანაშაულს - ნ. ა.) მატარალებს, მაშინ იმის საყურებლად-დ სოფლის საყურებლად ვიძახ, თუ მე ამ საქმეში დამნაშავე ვიყვან-დ, მართალ არ ვიყვ, მაშინ ეს ძაღლ იყვას ჩემის მკვდრისად, ამ ძაღლის სისხლ გადავასხა ჩემთ მკვდართ საფლაფზე, და თუ არა და ვინაც მე მატარალებს ტყუილად, მაშინ ძაღლ იმის მკვდრისად იყოსა-დ, ამის სისხლს გადაესხას იმის მკვდართ საფლაფზე“; შემდეგ, ძაღლს ჯოხს სამჯერ მაგრად დაჰკრავდა და, ცხოველი რომ აწკმუტუნდებოდა, დაუმატებდა: „მტყუვნის მკვდართ საფლაფზედამც აწკმუტუნდების ეს ძაღლ ეესრ“. თუ „შამწირველს“ ხელში კატა ეჭირა, მას მიწაზე სამჯერ დანარცხებდა და იტყოდა: „ციცა იყოს იმის მკვდრის საპირიჯსნო, ვინაც მტყუანი ას“.

ხშირად, თავის მართლების დროს, ეჭვმიტანილი ძაღლს თოფით მოკლავდა და დაიძახებდა: „ემ ძაღლის სისხლითამ ეზიარებიანა, გადაინათლებიანა მტყუვნის მკვდრის სულნი“.

იმ შემთხვევაში თუ სოფელში რაიმე დაიკარგებოდა და ქურდს ვერ აღმოაჩენდნენ, ქურდის „მკვდართ საწირავად“ კატას მოკლავდნენ და გზისპირ ხეზე ჩამოკიდებდნენ.

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ. მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. თბ., 1940, გვ. 55.

ძაღლი ჰარასკევი - იხ. „ღორის სალოცვილი“.

ძაძა - ქალის სამგლოვიარო სამოსელი. XIX ს. საქართველოში მგლოვიარე ქალები ერთი წლის ვადით შავი ფერის ჩასაცმელს ხმარობდნენ. აუცილებელი იყო თავზე დიდი ზომის შავი თავსაფრის დაბურვაც. სამეგრელოში მგზავრობის დროს გამოყენებული ჩანს მთელ ტანზე მოსახური, ნაბდის მსგავსი - „ანაფორა“. „ძაძა“ ძირითადად ღაზლის ქსოვილია, სამეგრელოში დაცული „ძანძა“ კი კანაფისა და სელის ქსოვილების ზოგადი სახელწოდებაა. სამგლოვიარო სამოსელთან დაკავშირებით საქართველოში ბევრი ძველქართული წესია შემორჩენილი, განსაკუთრებით სვანეთსა და სამეგრელოში, სადაც გლოვის ყველაზე ხანგრძლივი ვადებია დაფიქსირებული. მეგრელთა რწმენით, ძაძა თავგანწირულთა სამოსელია და მას მაშინ იყენებენ, როცა ახლობელი დაედუპებათ. ასხვავებენ ძაძის ორგვარ სახეობას: დაკბილულნაპირებიანი სამოსი და ფოჩებჩამოშლილი, დაწესებული იყო მათი ტარების ვადებიც, 7 ან 40 დღე. ძაძის განახლება

თითქოს სხვის სიკვდილს იწვევდა, მის დაკრებასაც კი ერიდებოდნენ. ნახმარ ძაძას ეზოს გარეთ გაიტანდნენ დასაწვავად, ან ჩამდინარე წყალს გაატანდნენ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გლოვისას ტანსაცმელზე გულსაფარს აიკრავდნენ, რათა მისი მოქარგული ნაწილები დაეფარათ. აქვე შემოინახა ერთი ძველი წესიც, მიცვალებულის სახელზე თმების მოკვეცისა და საფლავში გატანებისა. ხევსურეთში ამ წესს უმცროსი ძმის სიკვდილის შემთხვევაში მიმართავდნენ. ძმის გამო გლოვა სხვა მხრივაც იყო გამოხატული, თუ გაუთხოვარ ქალს უცოლშვილო ძმა მოუკვდებოდა, მთელი სიცოცხლის მანძილზე ტანსაცმლის ნაქარგიდან უნდა ამოეღო თეთრი, ყვითელი, ცისფერი, წითელი ძაფები, სირმა, სამკაული და მძივები, აღარ იცეკვებდა და აღარც იღექებდა, ზოგიერთი უძმოდ დარჩენილი ქალი მთელ თავის სიცოცხლეს სულ შავებში გაატარებდა. თუმეტში ღრმა მწუხარებისას ქალი კაბის უბეზე ერთი არშინის სიგრძის ლითონის ჯაჭვს დაიკიდებდა, რომელსაც ბოლოზე შავი ბაწრის ძაფებით ეკიდა ფოჩებჩამოშლილი „ქოქირაი“. გლოვის დასასრულსჯაჭვის ბაწრიან ნაწილებს დაკუნთავდნენ და ჩამდინარე წყალს გაატანდნენ. საქართველოში გლოვის სხვა წესებთან ერთად აღსანიშნავია ხევსურეთში მანდილის კანჭის ჩამოშვებისა და თუმეტში მანდილის ორივე ყურის ყელზე შემოხვევის წესები. მგლოვიარეს არც სახლში შეეძლო უთავსაბუროდ ყოფნა, იგი შავ დიდ თავსაფარს რამდენჯერმე დაკეცილი თავსახვევით იმაგრებდა. სამგლოვიარო ტანსაცმელს არ ატარებდნენ ერთ წლამდე ბავშვის სიკვდილის, მენდაცემულის, „ბატონებით“ გარდაცვლილისა და სულით ავადმყოფის დაღუპვის დროს. მგლოვიარე ქალი დროებით აკრძალვებსაც უნდა დამორჩილებოდა. ვისაც ოჯახში პატარა ჰყავდა, დიდხანს გლოვა არ შეეძლო.

დროებით უნდა გაეხადათ სამგლოვიარო ტანსაცმელი დიდი დღესასწაულების პერიოდში, ასევე ნიშნობა-ქორწილებში, „ბატონების“ სტუმრობისა და ლოცვის დროს.

ლიტ.: ც. ბეზარაშვილი, სამგლოვიარო ტანსაცმელი ქიზიყში -“ძაძა-ფლასი“, სსმმ, ტ. XLII-B, 1997.

ძაძა-ფლასი - ქალის სამგლოვიარო ჩასაცმელი. საქართველოს კუთხეებიდან XX ს. პირველ ათეულ წლებში ქიზიყსა და გურიაში ჯერ კიდევ ახსოვდათ სამგლოვიარო ჩასაცმელის აღსანიშნავად გამოყენებული ძველი სახელწოდება „ძაძა-ფლასი“. საქართველოში ტერმინი „ძაძა“ სამგლოვიარო სამოსელის ზოგად სახელწოდებადაა ცნობილი. ქიზიყში დადასტურებული ეს სახელწოდება კი განსხვავებული შინაარსის მატარებელია - „ძაძა“ თავზე მოსახური, ბამბის დაუძახავი ძაფისგან მოქსოვილი და ნაპირებჩამოშლილი თავსაფარია. საბასთან ძაძა შალის უხეში ღაზლის ქსოვილადაა განმარტებული, ხოლო ფლასი თხის ბალნისაგან დამზადებულს ჰქვია. ორივე ფორმისათვის ნიშანდობლივია სისადავე და კაბის ნაპირების შეუკეცავობა. გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ ზოგჯერ ამგვარი კაბების შემოკეცვაც შეეძლოთ, მაგრამ ძაძა-თავსაფარი, რომელსაც საგარეოდ მოიხმარდნენ, შემოუკეცავი უნდა გაეცვითათ. გურიაში ყველაზე მეტად ქმრისა და შვილის დაკარგვის გამო გლოვობდნენ. ქვრივს აუცილებლად ძაძა-ფლასი უნდა ეტარებინა, რომელიც იმ პერიოდში გავრცელებული სამოსის ფორმა იყო, მაგრამ უბრალო მასალისაგან ულაზათოდ შეკერილი და თანაც შემოუტეხავი. ძაძა-ფლასში გახვეულებს საცვლებიც შავი უნდა სცმოდათ, ასევე ფეხშველა უნდა ევლოთ და ლოგინის გარეშე, ხმელ ჭილოფზე

უნდა დაეძინათ. ეს ტანსაცმელი თავისით უნდა გაცვეთილიყო, ეკრძალებოდათ საკერავის დადება და განახლება. ძაძა-ფლასის ტარების ვადად ძირითადად 40 დღე იყო.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ძეღყოფი - 1. ძვ. ქვითა და ძელით ნაგები გალავანი; მორებით გამაგრებული ადგილი, რომელიც ქვებითაა ამოვსებული.

ძეღვი - მირჩილული და მიურჩილავი რგოლებით შედგენილი სამკაული, რომელსაც ამზადებდნენ ოქროს, ვერცხლის, პლატინის, თითბრის, სპილენძის მოქროვილი ან მოვერცხლილი მეტალისგან. ძეღვები იხმარება ჯვრების, კულონების, მედალიონების, საათების, ლორწების, სათვალეების და სხვა ნაწარმის სატარებლად. მსხვილი ძეღვი შეიძლება დამოუკიდებელი სამკაულიც იყოს. რგოლების ფორმის მიხედვით არის ჯავშნისებური, ღუზისებური, ხვეული და სხვა. ძეღვს აქვს საკეტი. საქართველოში ძეღვები გავრცელებული იყო ჯერ კიდევ ადრეანტიკურ ხანაში. ძვ.წ. IV-V სს-ში ძალიან პოპულარული იყო ფანტასტიკური ცხოველების თავებით დაბოლოებული ძეღვები. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებში აღმოჩენილია სხვადასხვა სტილით ნაკეთები უბრწყინვალესი ხელოვნებით დამზადებული ძეღვები. ადგილობრივ დამზადებული ძეღვების გარდა ფართოდ იხმარებოდა უცხოური (ბერძნულ-რომაული) ძეღვებიც. XIX ს-ში დიდი რაოდენობით ძეღვები შემოდიოდა რუსეთიდან და ევროპიდან.

ლიტ.: ს. სელივანჯინი, პ. სერენკო, პ. ციპლაკოვი, საიუველირო საქონელი და საათები, 1958.

ძეხვი, (ქართლ.კახ.), **შიგნით**, **შიგნითაღი** (თუმ.), **ძეხვი**, **მძეხვი** (ფშ.), **ჭიჭნაფური** (ინგ. ჭან.), **კუპატი** (იმერ.) - გასუფთავებულ, მსხვილ ნაწლავებს გადმოაბრუნებენ, გაბერავენ და მზეზე გააშრობენ. შემდეგ ცოტათი დაასველებენ და ჩატენიან მასში წინასწარ გამზადებულ დაკვიპილ ხორცსა და ქონს, შენელებულს მარილით, მწვანილებითა და ხახვით, თავბოლოს მოუკრავენ, მოკეცავენ ორად და გააშრობენ მზეზე, ან კერის თავზე. კარგად გაკეთებული შიგნითა 3-4 წელი ძლებს. საჭიროების დროს მოხარშავენ ან შეწვავენ. სისხლშერეული შიგნეულისა და ხორცის ძეხვს ეწოდება „ქუმფასი“.

ძიკვა - „წვიმის დედოფალასა“ და გვალვის საწინააღმდეგო რიტუალის მეგრული სახელწოდება. ხანგრძლივი გვალვების ჟამს, როცა სოფელს წვიმის მოსვლის ყოველგვარი იმედი გადაეწურებოდა, წვიმის დედოფალას გააკეთებდნენ: ხის ძირში ქალ-ვაჟი ტიკინას გვიმრით დატენიდა და პატარძალივით გამოაწყობდა; „პატარძალს“ იქვე დააწვენდნენ, აგინებდნენ, ურტყამდნენ და დასტიროდნენ; შემდეგ ჯოხზე დასვამდნენ და ახალგაზრდები სოფელს კარდაკარ დაივლიდნენ; პროცესიის მონაწილეებს ყველანი დიდი სიხარულით ხვდებოდნენ, ძიკვას წყლით წუწავდნენ და მოსულებს პროდუქტებით ასაჩუქრებდნენ; შემდეგ დიდი და პატარა, ქალი და კაცი დედოფალას ყვირილით მდინარისკენ გააქანებდნენ. ადგილზე მისვლისას ძიკვას გამომწყობი ვაჟი იტყოდა: „რადგან არ წვიმს, უნდა დაგახრჩო“; გამომწყობი ქალი პასუხობდა: „ნუ დაახრჩობ, მოწვიმს“. ამ ტექსტის სამჯერ გაიმეორების შემდეგ, დედოფალას წყალში ჩააგდებდნენ და ჩაძირავდნენ იმ იმედით, რომ გვალვა შეწყდებოდა. ბოლოს ახალგაზრდები შეგროვილი სურსათით მდინარისპირზე სუფრას გაშლიდნენ და მოილხენდნენ.

მეგრელები ძიკვას უწოდებდნენ ყანებისა და ბოსტნების საფრთხობელებსაც, რომლებსაც, გვალვის შემთხვევაში, წყლით წუწავდნენ და ღმერთს წვიმის გამოგზავნას ევედრებოდნენ.

ტერმინი „ძიკვა“, როგორც ჩანს, აფხაზური წარმომავლობისაა (მდრ.: აფხ. „ძიუოუ || ძივოუ“).

ლიტ.: ნ. ანთელავა. საველე რვეული № 18, გვ. 27; ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 331; ა. ჭანტურია. ეთნოგრაფიული ჩანაწერები. მეგრული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებანი // თსუ შრომები. ტ. 227. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ., 1982, გვ. 219.

ძიობა - იხ. „ონწელიში ჭანდა“.

ძიქვა - “რძის ქვა“, მდებარე სოფ. მურჯახეთში (ჯავახეთი). ს. მაკალათიას აღწერით, წარმოადგენს 3,2 მ-ის სიმაღლის მრგვალი ფორმის მუქ ნაცრისფერ ქვის სვეტს. მის გვერდით მდგარა (ამჟამად წაქცეულია) ასეთივე ფორმის, მაგრამ შედარებით მცირე ზომის (2,6 მ.) ქვის სვეტი, რომელსაც ხალხი ლალიას (ბლუს) უწოდებს. ძიქვაზე გამოსახულია მამაკაცისა და დედაკაცის სასქესო ორგანოები (პენისი და კტეისი) „განაყოფიერების მომენტში და ეს მოცემულია პრიმიტიულ ნახაზებში. ამიტომ მნახველი, ერთი შეხედვით, მას უფრო ქალის ძუძუს ამსგავსებს, და ხალხიც ამ ქვას ძუძუს ქვას უწოდებს. ძიქვაზე ფალოსის გამოსახულებას პირი დასავლეთისაკენ აქვს მიმართული. ლალიას ერთ გვერდზე ორი მრგვალი ნაჩვრეტი აქვს. შეიძლება მას წაქცეულ მხარეზედაც ჰქონდეს რაიმე გამოსახულება, მაგრამ ამ დიდი სვეტის გადაბრუნება და მისი გასინჯვა შეუძლებელია“ (ს. მაკალათია).

გადმოცემის თანახმად, ძიქვა და ლალია და-ძმანი ყოფილან. ერთხელ მურჯახეთს ლეკები შემოსევიათ; ამ დროს დას ძმასთან, რომელიც იქვე ცხვარს აძოვებდა, სადილი მიჰქონდა. გზაზე დას ლეკები გამოდგომიან; შეშინებულს უთქვამს: „ღმერთო მე და ჩემი ძმა გაგვაქვავე, რომ მტერს ტყვედ არ ჩავუვარდეთ“. ღმერთს შეუსმენია და ქალიშვილი იქვე გაუქვავებია. ლეკებს მისთვის თოფი უსვრიათ; ძიქვას ტყვია თავში მოხვედრია (ძიქვას ამიტომ აქვს თავში ნაჩრეტო). როდესაც ძმას დაუნახია, რომ მის დას ლეკები მისდევდნენ, შიშისგან „დალაღავებულა“ (ენა ჩავარდნია) და გაქვავებულა (ამიტომ მას „ლალია“ უწოდეს).

ძიქვასთან სალოცავად და სხვერპლშესაწირად ჩვილბავშვიანი ურძეო ქალები ხუთშაბათობით დაკვირაობით (თათრის ქალები პარასკევობით), ძმებთან ერთად, მიდიან, თან „შავი საღრმთო“: შავი ფერის მტრედი, ქათამი, ბატკანი და სხვ. მიყავთ და ძიქვას ღამეს უთევენ (ძიქვასთან ბავშვიც მიყავთ, რათა იტიროს (იქნებ, ქვამ შეიბრალოს და დედას რძე მისცეს). დილით საკლავს დაკლავენ, თავ-ფეხს ძიქვას ძირში მიწაში დაფლავენ, ხორცს კი რომელიმე დატაკ ოჯახს გაუგზავნიან. შემდეგ მუხლმოყრილი ქალები ძიქვას სვეტს სამჯერ შემოუვლიან, კოცნიან მას და რძის მოცემას ევედრებიან, თან ორი თითით კარაქს ჯვრის ფორმით ჯერ ქვას წაუსვამენ, შემდეგ ძუძუზე წაიცხებენ და თითებს ბავშვსაც პირში გამოავლებენ. როცა ამას მორჩებიან, ლალიასთან მივლენ და შეევედრებიან: „შენ მაღლიანი ხარ, ღმერთსა სთხოვე და დაგალალა, ჩვენ მოგვეცი სათხოვარი, იმისი ძმა ხარ და რძე მოგვეცი“. ლალიასაც კოცნიან და მუხლის მოყრით შემოუვლიან. წასვლისას ქალები ძიქვას მიწას წაიღებენ და მურჯახეთის საზღვარს ისე გაცდებიან, რომ სვეტებისკენ არ მოიხედავენ. შინ

მისულები მიწას წყალში გახსნიან მასში დედა-შვილი იბანავებს. ურძეო ქალებს ორმოცი დღე ქმართან წოლა ეკრძალებათ.

ძიქვასთან და ლალიასთან ხშირად უშვილო ქალები (ლალიასთან უშვილო კაცებიც) საწირ-საკლავით, მიდიან, ღამეს უთევენ და ევედრებიან: „ღმერთო, ნატვრა შემისრულე, ლალიავ და ძიქვავ, შვილი მომეცი“.

ს. მაკალათიას აზრით, ძიქვა და ლალია თავიანთი მოყვანილობითა და ფორმით წარმოადგენენ ფალოსის გამოსახულებას, რომელსაც, როგორც ნაყოფიერების მომნიჭებელს, ხალხი ეთაყვანება.

ლიტ.: ს. მაკალათია. მესხეთ-ჯავახეთი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი). თბ., 1938, გვ. 114-116; მურჯახეთისა და განძის სვეტები // მოგზაური. 1901, № 1, გვ. 31-33; И. П. Ростовов. Ахалкалакский уезд в археологическом отношении (с ключом к чтению надписей древней Джавахетии т картой) // СМОМПК, 1898, вып. 25, с. 93; Э. Такаишвили. Материалы по археологии Кавказа. Вып. XII. М., 1909.

ძნა - მომკული და გაულეწავი პურის კონა, რომელიც შედგება ხელეურებისაგან. ნამგლით მკისას მკელი მოსამკელი პურის თავთავებს ერთი ხელით ბღუჯავს, ხოლო მეორეთი ძირში ჭრის. რაც ერთ მოჭრაზე ხელში დაეტევა, იმას ეწოდება ხელეური. 10-15 ხელეურისაგან შეიკვრება ერთი ძნა. თავთავის გალენჯვისას ძნებს კალოზე მიიტანენ, იქ დაშლიან და დაყრიან, რათა კვერით გალენონ.

ძობანი - დამბალ ხაჭოს გასახმობ-შესაბოლოი წნული მოწყობილობა. საძობნე შვინდის წნული (აუცილებლად ტყისა და

არა ველისა ან ბუჩქნარებისა), წვრილი და გრძელი უნდა იყოს, რადგან ხშირ, მაღალ და ფართოფოთლოვან ტყეში მოზარდი შვინდის შტოები უფრო მსხლარტეები იზრდებიან, სიმალლეში მიდინ და წვრილ გამონაზარდებს იმდენად არ იკეთებენ. ასეთი წნელი უფრო ელასტიურია და იოლად იგრიხება, არ ტყდება მოხმარებისას. ასეთი ელასტიური წნელი კი იმიტომ ჭირდება ძობანს, რომ ის ოვალურად, რთული გეომეტრიული ფიგურის ფორმით იწვნება და სამუშაო მასალა თუ ხელსა და საქმეს ლაღად და ფონედ არ მიჰყვება, ხისტია და წამდაუწუმ ტყდება, ოსტატს ძალიან გაუჭირდება საქმის წარმატებით გასრულება. წვნიის პროცესი: ჯერ ძირის ლასტი უნდა მოიქსოვოს; სწორ, ვერტიკალურად დარჭობილი საძირე შედარებით მსხვილ წნელებით იქსოვება. მერე ამ ლასტს ოთხივეკუთხევი უნდა გაეშვას წნელები, რომლებსაც მორკალავ და კვადრატულ-ოვალურად შეკრავ. აი, ამის შემდეგ იწყება წვალება, რადგან ოვალის სამშენებლო წნელები იმ კვადრატებში უნდა აძვრინო ისე, რომ არ გაგიტყდეს. ეს კი ერთობ მოუხერხებელია, რადგან კვადრატები ვიწროა და თუ წნელი წვრილი, მობილური და ნამეტანავდ ელასტიური ან, საჭიროების შემთხვევასა და ადგილებში, დაგრეხილი არ არის, აუცილებლად გატყდება, არაფერი გამოვა მცდელობიდან, როგორმე გააძვრინო ის შუალედებში. წვრილი წნელებით ქსოვას კი, შესაბამისად, მასალაც ბევრი უნდა და დროც. ძობანს წინიდან პატარა ღიობი, საკარე ადგილი უნდა დაუტოვო, საიდანაც შესაძლებელი იქნება მასში ხაჭოების შეწყობა, ხოლო მალლა, გუმბათის შუაწელში, ორი საკიდელი უნდა დაუმონტაჟო, რომლითაც მის დამაგრებას შეძლებ საცეცხლურის მალლა ხარიხაზე ისე, რომ მასში მუდმივად მიდოდეს ბოლი. რა არის ძობანი და რისთვის არის ის საჭირო? ძობანი ერთ-ერთი უმ-

ნიშვნელოვანესი საციქველია იმ ფშაური ოჯახისთვის, ვისაც საქონელი ყავს და დამბალი ხაჭოს კეთება განუზრახავს. ყველა ასეთ ოჯახს აქვს ცალკე მოჩარდახებული ადგილი, სდაც საცეცხლური აქვს მოწყობილი. ამ საცეცხლურში მუდმივად ყრია დადარ-მღვივარი ყუნჭები (კუნძები), რომელიც დაუსრულებლად ბოლავს. აი, სწორედ იმ ადგილას, სადაც საცეცხლურიდან ეს ბოლი ადის, კიდია ძობანი და მასში ეწყობა ოდნავ-პირამიდულად დაგორგლილი ახალი ხაჭოს კვერები, რომლებიც დაახლოებით ორი კვირის მანძილზე ხმება და იბოლება. შემდგომ შებოლვისა, ამ კვერებს ძობნიდან ჩამოიღებენ, თბილ ნელ-წყალში გარეცხავენ, ერთი-ორი დღის მანძილზე მზეზე გააშრობენ და ჩაალაგებენ თიხის დიდ ქოთანში. ქოთანს მჭიდროდ, ჰერმეტიულად მოუკრავენ პირს და გამხმარ-შებოლილი ხაჭოები მძიმე-მძიმედ იწყებენ ობის მოკიდებასა და ლბობას, რასაც, სრულ დავარგებამდე, მაქსიმუმ ორნახევარი-სამი თვე მაინც ჭირდება.

ძუძუნატი - ქალის გულმკერდის მოყვანილობის ქანდაკი – წარმართული ხატი. ინახებოდა ქვათახევის ტაძარში. გადმოცემით, „დედა-ღვთისადაც“ ყოფილა ქვათახევის მონასტერში ამოტანილი. „დედა-ღვთისა“ ღვთიშობლის აწ დანგრეული ნიშია ქვათახევის მახლობლად, ქრისტიანული დედაღვთისას ნიშის გაჩენამდე ამ ადგილას, ალბათ, წარმართული „ძუძუნატის“ საუფლო იყო. ძუძუნატი ნაყოფიერების ღვთაების გამოსახულება უნდა ყოფილიყო, რადგან ქვათახევის ტაძარში გადმოტანის შემდეგაც ამ ქვის ქანდაკის ნაბანი წყლით „მკურნალობდნენ“ უშვილო ქალებსა და ბერწ პირუტყვს. ამჟამად „ძუძუნატი“ ქვათახევიში ადარა ჩანს.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.



წათი - საჩხვლეტ-საძგერებელი იარაღი. საბას განმარტებით, „წათიაფთ-შუბაა, ხოლო აფთი მახვილია ბრტყელი და ტანგრძელი.“ წათი - საჭურველთა შორის მხოლოდ უძველეს ძეგლებში გვხვდება. წათის ისევე როგორც მახვილის ხელში მქონებელს, რიგით ადამიანს თუ ჯარისკაცს წათოსანი ან მახვილოსანი ეწოდებოდა.

ლიტ.: სულხან-საბა - ლექსიკონი ქართული, ტ. II, 1993.

წათხი - ყველის შესანახი სითხე, მზადდება მარილწყლის, ძმრისა და მცირეოდენი შაქრის შერევით.

წაკატი (გურ., ზ. აჭარ.) || **წარკანტი** (მეგრ.) -- წერაქვის (იხ.) მსგავსი სამუშაო იარაღი. გამოიყენებოდა ქვიანი და მაგარი, ყამირი მიწების დასამუშავებლად.

წაკულაკი - კურკოვანო ხილის ადრეული, მკვახე, მჟავე ნყოფი. ბავშვები ეტანებიან.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1075.

წალამი (ქართლ., კახ., იმერ.) / **წალარი** / **წილამი** (იმერ.) -- ვაზის გასხვლისა და სხვა სამუშაოების დროს წაჭრილი და

წამტვრეული ტოტების სახლეწოდებებია, რომელსაც, როგორც წესი, კონებად კრავდნენ და ღობეზე შემოსდებდნენ ხოლმე სიმაღლის მისაცემად, ან იყენებენ თონის ჩასანთებად და სხვა. ამ წაჭრილ რქებს „წალამი“ ეწოდება ძველ ქართულში. ნასხლავს ჯარჯს//ნაფურჩქნის//თავნატებს ეძახიან ლეჩხუმში, ჩხანკოს (გურიაში) და ა. შ. ვაზის გაფურჩქნის, თავის გადატენის (ცის გახსნა) და გამოთხელების დროს, როგორც გაირკვა, თავისი კუთხური სახელები აქვს, ისევე როგორც ზედმეტ ყლორტებს, რომელიც ხელს უშლის ვაზის გახარებას და მევენახე მას თავის დროზე ამორებს. მაგალითად, ნამკვრევი (ქარ. კახ.), ნაბარტყი//ნაბურტყალა//მაცილობელა (რაჭ.), ბუმი (იმერ. ლეჩხ.), რქისრქა//არამი (ქიზ.) და სხვა. ნიშანდობლივია, რომ ვაზის ხვიარა წამონაზარდებსაც თავისი აღმნიშვნელი სახელი აქვს. იხ. პწკალი//ბრჭყალი. მას 22 სინონიმური ვარიანტი აქვს.

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში, 1978:33.

წალდი რკინისპირიანი და ხის ტარიანი იარაღი, რომლის მრავალნაირი ფორმა არსებობს. წალდის გამოყენების ხანგრძლივ, უწყვეტ ტრადიციას ადასტუ-

რებს არქეოლოგიური მასალა (ბრინჯაოს წალღები). გავრცელებულია საქართველოს ყველა რეგიონში. წალღი არის სანიადაგო იარაღი ტოტემისა და ბუჩქნარების საკაფავად. ძირითადად გავრცელებულია ორი ტიპი: ნისკარტიანი-ტოტემის მოსაწევად და უნისკარტო სათლელ-საკეპად. ფართოდ გამოიყენებოდა საყანე ადგილის მომზადებისას ჩირგვების, ბუჩქნარების, ბარდების გამოსაკაფად. აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ წალღებს ყუა ზემოდან უკეთდება, სადაც ჩაესმებათ ტარი, ხოლო დასავლეთში ნაჯახისებური ყუა და გრძელი ტარი აქვთ. წალღი საქართველოს ფარგლებს გარეთ გვხვდება ჩრდილო კავკასიაში, ჩერქეზეთში, ლეკებში, ჩეჩნეთში, ინგუშეთში, თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეულ ლაზეთსა და შავშეთში, აზერბაიჯანის ქართულ მოსახლეობაში (საინგილო) აკად. გ. ჩიატაიამ ყურადღება მიაქცია ადიღეური წალღის სახელწოდებას - „სალდა“-ს, რომელიც ქართული წალღის სახენაცვალ ფორმად მიიჩნია. არის მოსაზრება, რომ წალღის ეს ტიპი გენეტიკურად კოლხური კულტურის მონაპოვარია. ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება, რომ წალღი აღმოსავლეთ საქართველოში რაჭა-იმერეთიდანაა გადმოსული.

ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, 1953. გ. ჩიატაია, შრ. ტ. V, 2001.

წალღუნა - წალღუკა, სასხლავი, ხელით სამუშაო იარაღი. ტანის მოყვანილობით წალღის მსგავსი. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ცნობილია სახელწოდებით: წალღუნა (ქართ.), წალღუკა, სასხლავი (იმერ.), ხელწალღა (გურ.), სასხლავა (ლეჩხ.), ცხემლარი (სამეგ.). წალღის ამ ტიპს უფრო დანის მოყვანილობა აქვს, ოდნავ მოკაუჭებული წვერით. ინმარებოდა ახალგაზრდა ხე მცენარეუ-

ბის და მალღარი და დაბღარი ვაზის გასასხლავად.

წალკატი - ქვის დასამუშავებელი ორწვერა იარაღი (იხ. წერაქვი).

წალო - ფარდებჩამოფარებული თახჩა. გამოიყენებოდა ლოგინის დასაწყობად.

წამოსასხამი - აქ: ხევსური ქალის გარეთი, რიტუალური სამოსელი. მასალად გამოყენებულია ადგილობრივი, საოჯახო წესით დამზადებული შვინდისფერი შალი - „ტოლი“. კალთების ბოლოები და ნაკერის თითქმის ყველა ადგილი დაფარულია ოქროსფერი ძაფის ყაითნით ან ბრტყელი სირმით, თეთრი ღილებითა და ფერადი მინის მძივებით. წელის გასწვრივ, აქა-იქ შემორჩენილია წვრილი მძივების მცირე აცმა, რომელზედაც მსხლის ფორმის ყვითელი ლითონის სამკაულები კიდია. ცრუსახელოებით შედგენილი ეს წამოსასხამები ფორმითა და დანიშნულებით ნათესაობას ამჟღავნებს საქართველოში, მცხეთასა და ატენში გამოვლენილ ქანდაკებათა (VI-VII სს.) სამოსელთან.

ლიტ.: ც. ბეზარაშვილი, ხევსური ქალის ორი წამოსასხამი, მსე ტ. XXVI, 2004.

წანდილი | **წადილი** - მიცვალებულის სულის სამადლოდ მომზადებული საწესო საკვები - გარჩეული და კანგაცლილი ხორბლისგან მოხარშული, თაფლით ან შაქრით, ქიშმიშით, ნიგვზით შეზავებული ფაფის ტიპის კერძი; ჭირის სუფრაზე (ქელეხში, ორმოცზე, წლისთავზე, საკურთხის ღღებში და სხვ.) იდგმება ჯამით და მისი დაგემოვნება აუცილებლად ითვლება. ხალხური რწმენით, საიქიოში ხორბალი ჯეჯილად ამოდის და გარდაცვლილს იქ საკუთარი ცხოვრებისათვის საძოვარი ექმნება. გარდა ამისა, ეს შეხედუ-

ლება უკავშირდება რწმენას იმის შესახებ, რომ საიქიო სააქაო ცხოვრების გაგრძელებაა და მიცვალებულებს ესაჭიროებათ ყოველივე ის, რაც ცოცხალ ადამიანებს.

ლიტ.: თ. ოჩიაური. დაკრძალვის წესები ქართლში ძველად და ახლად. თბ., 1987, გვ. 31; გ. გოცირიძე. კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში. თბ., 2007, გვ. 112-113.

წარმო-უკუნი - იხ. „დამრჩვალის დღე“.

წაღა, წუღა - ფეხსაცმლის ტიპი. გავრცელებული იყო მთელ კავკასიაში. წარმოადგენს უბრალო, რბილლანჩიან ფეხსაცმელს. წაღებს თუშეთში „ყურიან ჩუსტებსაც“ უწოდებდნენ. ზოგიერთს, ქუსლის ზევით, ჩასაცმელი ყურები ჰქონდა გაკეთებული. წუღის ტიპებია: კილიტებიანი, მოხდილი, ყურიანი, თასმებიანი, მაღალპირიანი. ქალაქში გავრცელებული იყო ე.წ. „სირაჯული წაღაც,“ რომელსაც მოღუნული წვერი აქვს, ქუსლზე ნალი აკრავს და ყელი ფუნჯიანი ყაითნით ეკვრება. **წაღა** - ჩექმის მსგავსი ფეხსაცმელი, უქუსლო. ჩაფლა//ჩაფალა (მეგრ.) წაღა უძირო ჩასაცმელი იყო, წუღა - უყელო. წაღები, წუღა-მესტები სადღესასწაულო (საგარეო) ფეხსაცმელები იყო ხარაზული დამუშავებით, ქალამანი კი, ყოველდღიურად ეცვათ.

ლიტ.: მასალები..., 1983:230-231, 250.

წბერი, ხარხიმი - ყურძნის საწური ხალხური სამეურნეო საშუალება. გაწყობილი იყო ცალმხრიანი ბერკეტის პრინციპზე. წნევისათვის ძალის მოღებას ემსახურებოდა ხრახნი//ხრახნილი. საქართველოში წბერის//ხარხიმის ორი სახეობა იყო ცნობილი: ხრახნიან-ტვირთი-

ანი და ხრახნიან უტვირთო. წბერი//ხრახნი შედგებოდა სამუშაო ნაწილისა და დასაწნეხი ყურძნისათვის განკუთვნილი ფიცრის ჭურჭლისკოდის// ჩალანგარისაგან. ტვირთიანი წნეხის სამუშაო ნაწილს შეადგენდა ხრახნილი -მიწაში ჩამაგრებული მუხის ან თელის ხის კაპა, მის თავში დამაგრებულია სხვადასხვა ხის (გარდა ცაცხვისა) ორკაპა დირე და ვაშლის ხის ქანჩი//დავთი//ქუდი, დავთში გაყრილია, ე.წ. „ძივა ისარი“ და მის ბოლოზე ჩამოცმულია ქვის კვირისტავი. ქვის თავზე - ხრახნიში გაყრილი კეტის საშუალებით ხდებოდა ისარის ხრახნის ამოძრავება ზევიდან ქვევით და პირიქით. გადაცემული ძალით ხდებოდა კოდიდან ნაწბერის დინება. წბერი-ხარხიმი უმეტესად გავრცელებული იყო რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, გურია-სამეგრელოში.

ლიტ.: ა. ლეკიაშვილი, ქართული ხალხური ღვინის წნეხები, მსე. ტXII-XIII, 1969.

წბერი (რაჭ.) - ქარხნული ან შინაკეთი ჭაჭის გამოსაწურავი მოწყობილობა, - წნეხი.

წებაში - ზემო სვანეთში მარხილისა და უღლის გადასაბმელი საქონლის ტყავისაგან დამზადებული ღვედი.

წერაქვი - ორწვერიანი ქვის დასამუშავებელი იარაღი. იხმარება ქვის მოსამტვრევად, გასაკოპიტებლად, გასაწვერად. მისი ტანი მძიმეა და კუთხოვანი მოყვანილობის - ქვაზე ძალა რომ მიიტანოს. ქვის დამუშავების პრაქტიკაში ერთ-ერთი სანიადაგოდ სახმარი იარაღია. ხალხურ მეტყველებაში წერაქვის მრავალი სინონიმი დაცული. მაგ., წერაქვა, წალკატი, ორწვერი, წვერო, წერექო, საწიწვერი. ამავე ტიპის, მხოლოდ, უფრო მასიურია ქართლში დამოწმებული ქულუნგი. გვხვდება აგრეთვე კომბინირებული სა-

ხის წერაქვი, რომლის ერთი წვერი საკვეთია, ხოლო მეორე სათლელის ან ჩაქუჩის მოვალეობას ასრულებს. ქანიდან რბილი ქვის ამოხდისათვის იხმარება შედარებით გრძელწვერიანი და მოხრილი წერაქვები (იხ. წერექო). წერაქვში ყველა ვარიანტში მოქცეულია მისი ძირითადი ფუნქციის - წვერით ქვის დამუშავების შემცველი შინაარსი. ქართულ წერილობით ძეგლებში წერაქვი და წალკატიერთმანეთისგან განირჩევა. საბას განმარტებით, წერაქვი „ესე არს ცალგანით სათხროლი აქვნდეს კლდეთა დასარღვევად, წალკატი - არს ორგნით საკვეთი აქვნდეს ქვათა სათლელად“. ამჟამად ასეთი დაყოფა არ შეინიშნება და წერაქვი უფრო ზოგადი სახელწოდებაა ამ ტიპის ყველა იარაღისა.

ლიტ: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

წერექო (იმერ.) - წერაქვის იდენტური იარაღი. ძირითადად იხმარება საკეცე ქვის მადნის ამოკაფვისთვის. იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში გავრცელებული იყო და ნაწილობრივ ახლაც მისდევენ ქვის კეცების დამზადებას. წერექოს ორივე წვერი ჩვეულებრივ წერაქვთან შედარებით უფრო გრძელია და უფრო მეტად მოხრილი. კარიერში ჩასული ხელოსანი შეარჩევს საკეცე ქვის მონაკვეთს და წრიულად 8-10 ადგილას ურტყამს წერექოთი, სანამ მისი პირი არ დაიმალება. როცა ყველა ნახვრეტი სათანადო სიღრმეს მიიღებს, შემდეგ ერთ-ერთში ჩაარტყამს წერექოს წვერს, მოსწევს ფრთხილად და ამოტყდება ქვის კეცისთვის საჭირო მადანი. წერექოს წვერი იმიტომაა გრძელი, რომ ქანში, რომელიც რბილია და იოლად ითლება ღრმად წავიდეს და კეცისთვის შესაფერისი სისქის მასალა ამოიკაფოს.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ქვის კეცების დამუშავება იმერეთში, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1973, №3.

წერნაქი (ქართ., კახ.), **წარნაქი** (ზ.იმერ.), **წანაქო** (ლეჩხ.) - ერთგვარი მიწა, გამოიყენება თიხის ჭურჭლის მოსახატად. აღმოსავლეთ საქართველოში წერნაქის საბადოებად მიჩნეულია კასპის რ-ნში ფაშიანის გორა, რომელსაც ახალქალაქელი მეჭურჭლეები იყენებდნენ, ქიზიყელი მეჭურჭლეები კი კარდენახის მთაში მოიპოვებდნენ. შიდა კახეთის ოსტატები გარე კახეთიდან - მარტყოფ-ლილო-პატარძელის მიდამოებიდან ეზიდებოდნენ. მცხეთელებისათვის წერნაქის ბუდედ ბებრისციხის შემოგარენი ითვლებოდა. შროშელ (იმერელ) მეჭურჭლეებს იგი ზესტაფონის რ-ნის სოფ. კვალითიდან მოჰქონდათ. წერნაქი ბუნებაში სამი სახითაა წარმოდგენილი: 1. კლდეშია, საიდანაც ხელით გამოიღებენ. 2. მინდორშია მიმობნეული და 3. ფიქალ ქვებს შორისაა მოქცეული. იგი არსებობს ფხვნილის ან „კაკლისტოლა კორხების“ სახით. მეჭურჭლეთა გადმოცემით, წერნაქის გამოჩენა ახალ მთვარეს უკავშირდება - „წერნაქს ზაფხულში გამოყრის, სიცივეში არა“. ცნობილია, რომ ახალი მთვარის გამოჩენას ახლავს ამიდნის ცვლა, წვიმები. მიწის ჟანგი,, ანუ წერნაქი კი მნიშვნელოვანი ტენიანობის პირობებში წარმოიქმნება. წერნაქის მომზადებისას გარკვეული რაოდენობის მიწას თიხის ჯამში ყრიდნენ, დაასხამდნენ წყალს ისე, რომ „მასა არც თხელი ყოფილიყო და არც სქელი“. წერნაქი შემშრალ ჭურჭელს გამოწვის წინ ესმევა. დასაწყისში იგი მიწის ფერისაა, გამოწვის შედეგად წითლდება. შიდა კახეთის მეჭურჭლეები ჩარხზე მდგომ ყურმეუბმელ ნედლ ჭურჭელს ფუნჯით აჭრელებენ. შემშრალი ჭურჭელი ოსტატს ხელში უჭირავს და წერნაქის ხსნარში ამოვლებული ფუნჯით აჭრელებს. წერნაქის გამოყენებას ქართულ კერამიკაში უძველესი ტრადიციები აქვს. ამის დადასტურებაა ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხა-

ნებით დათარიღებული მოწერნაქებული ჭურჭელი თრიალეთის ყორღანებიდან. ძველ საქართველოში, წერნაქს, სახლის ნაწილების მოსახატავადაც იყენებდნენ. დასავლეთ საქართველოში გასულ საუკუნეში ამ საღებავს ზანდუკების დასაჭრელებლად ხმარობდნენ.

წერისკვრა - ხევსურული რიტუალურ პური; აცხობდნენ კუდიანთ წუხრაზე (დიდ ხუთშაბათს) მარილში შერეული მცირე რაოდენობის ფქვილსგან. ეს იყო პატარა ზომის მრგვალი კვერი. სამ ასეთ კვერს გასათხოვარი გოგო ან უცოლო ბიჭი შეჭამდა, მთელი დღე არც წყალს დალევდა და არც პურს მიირთმევდა; საღამოზე სოფლის განაპირას რომელიმე ხიდთან ან წყლისპირზე მივიდოდა და იქ „სმენაობდა“. ხევსურთა რწმენით, „კუდივნები“ (ემმაკები) „მესმენაეს“ (იხ.) დაუძახებდნენ, თუ ვინ იყო მისი საბედო.

ლიტ.: ალ. ჭინჭარაული. ხევსურული თავისებურებანი. ტექსტებითა და ინდექსით. თბ., 1960, გვ. 212-213.

წვეტი კვარი (მთიულ.) - იგივე წერაქვი, რომლის მეშვეობით მოსატენი ქვის მასივი გაიდარება, რათა მასში სოლებმა მოიკიდოს პირი. მთიულეთში ამას „სოლების ჩაკვრას“ უწოდებენ.

წვივსაკრავი - პაიჭზე შემოსაკრავი თოკი. უფრო სადა და უბრალო, ვიდრე ჩახსაკრავია, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში მუხლსაკრავსაც უწოდებენ.

წიბარი (წერიფი) - ფეხსაცმელი, მთაში სასიარულოდ იყენებდნენ. თასმებით იცვამდნენ ტერფზე.

ლიტ.: მასალები..., 1983:244.

წითელთის ელია - იხ. „წითელთობა“.

წითელთობა - აღრესაშემოდგომო ციკლის თუშური დღეობა, რომელსაც ომალოელები ცა-დრუბელთა გამრიგეს - წითელთის ელიას - უძღვნიდნენ და მარიამობის დღეს იხდიდნენ. წითელთობა ყანების გაჭრას - ყანების მკის დაწყებას წინ უძღოდა და სწორედ ამიტომ მლოცველები ელიას კარგ ამინდს შესთხოვდნენ.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 150.

წიგნის შეკერვა . ძვ. იგივე აკინძვა. ასეთ ხელობას ასრულებდნენ „მმოსველნი“, ანუ წიგნის შემკერეულნი. მონასტრებში წიგნის შეკერვის საგანგებო ოსტატები არსებობდნენ.

წივა - მსხვილფეხა პირუტყვის მზეზე გამომშრალი ნაკელი. მთიან ადგილებში (მაგ., ჯავახეთი), სადაც შემის ნაკლებობაა, საქონლის ნაკელს მოაგროვებენ, დააკალაპოტებენ და გააშრობენ. წივას ზამთარში იყენებენ როგორც ენერგეტიკურ წყაროს.

წილამურები - ჩიჩილაკის (იხ.) ბურბუშელა.

წილ-კერძი - ჯვარის||ხატის ყმათა კუთვნილი წილი ჯვარში საჯარო პურობის - „ჯარის დასხდომის“ - დროს; შედგება პურის, ხორცისა და ლუდისაგან. ხევსურეთის გარკვეულ თემებში „წილ-კერძში“ წილი არ ედო მხოლოდ „უნაწილოს“ (იხ.), ანუ მამრობითი სქესის იმ მეთემეს, რომელსაც „საწულეს“ (იხ.) წესი შესრულებული არ ჰქონდა (ამ წესის შესრულება ყველა ხევსურული თემებისათვის სავალდებულო არ იყო); აგრეთვე „ამანათს“ (იხ.), უკანონოდ შობილს, ისეთ ქვრივს, რომელსაც ვაჟიშვილი არ ჰყავდა (ე. ი.

„წილ-კერძში“ წილი არ ედოთ თემის მდებარეობითი სქესის წარმომადგენლებს). საჯარო პურობაში მონაწილეობა და „წილ-კერძი“ ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მამაკაცი თემის წევრია და იმ კულტის მატარებელი, რომლის „წილ-კერძსაც“ ის იღებს. მამაკაცის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მას და მის ოჯახს სათანადო ავტორიტეტი გააჩნდათ, ჯვარიდან ერთი წლის განმავლობაში უგზავნიდნენ გარდაცვლილის „წილ-კერძს“.

ლიტ.: ჟ. ერიაშვილი. უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები საქართველოს მთიანეთში. თბ., 1982, გვ. 63-65.

წილნადები საფლავი - წყალში დამხრჩვალნი, ზვავში მოყოლილი ან ომში დაღუპული იმ მიცვალებულის სახელზე მოზომილი საფლავი ხევსურეთში, რომლის გვამი ნაპოვნი არ იყო. მკვდრის სახელზე საფლავის „გაფორმება“ შემდეგი სახის რიტუალის შესრულებას ითვალისწინებდა: ჭირისპატრონი ტაბლას და მიცვალებულის ტანსაცმელს სასაფლაოზე წაიღებდა, თავის ანდაბში (იხ.) მიწას ბარით ან თოხით შემოხაზავდა და ზედ ტალავარს (სამოსს) დააწყობდა; სულის ხუცესი კი ტაბლასა და ტალავარს მიცვალებულისათვის აკურთხებდა. ამის შემდეგ ეს უკანასკნელი თავის საფლავში „წილნადებად“ ითვლებოდა. „საფლავში წილუდებლად“ მიცვალებულის დატოვება ოჯახისათვის დიდ უბედურებას მოასწავებდა.

ლიტ.: დ. გიორგაძე. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუს-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). თბ., 1987, გვ. 80.

წილ-ნაწილი - სოფლის კუთვნილი ადგილ-მამული (სახნავი, სათიბი, ტყე),

ზოგჯერ ის მიწაც, რომელიც ამა თუ იმ კომლს ეკავა. ხევსურები მას „ქონებასაც“ უწოდებდნენ, მაგრამ მასში არც საქონელი იგულისხმებოდა და არც სახლი. სოფლის „წილ-ნაწილში“ წილი მხოლოდ იმ მამრობითი სქესის წარმომადგენლებს ედოთ, რომლებსაც ე. წ. „საწულე“ (იხ.) ჰქონდათ გადახდილი (იქ, სადაც ამ წესის შესრულება სავალდებულო იყო). წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ჯვარის ყმებად, თემის სრულუფლებიან წევრებად არ ითვლებოდნენ და ამდენად, „უნაწილონი“ იყვნენ. „უნაწილონი“ იყვნენ ის ოჯახებიც, რომლებსაც მარტო ქალიშვილები ჰყავდათ, აგრეთვე უკანონოდ შობილნი. „წილ-ნაწილში“ წილი არ ედო ე. წ. „ამანათს“ (იხ.), როგორც ჯვარის არაყმას, მიუხედავად იმისა, რომ თემის ტერიტორიაზე სახლობდა.

ლიტ.: ჟ. ერიაშვილი. უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები საქართველოს მთიანეთში. თბ., 1982, გვ. 63-64.

წინდა - ფეხსამოსი. ქსოვენ მატყლის, ბამბის, ყაჭისა და აბრეშუმის ძაფისაგან. წინდა ორი სახისაა: მაღალყელიანი (მუხლამდე, ზოგჯერ მუხლსაც ფარავდა, და დაბალყელიანი (წვივს ფარავდა). მაღალყელიანი წინდას მხოლოდ ქალები ხმარობდნენ, დაბალყელიანს კი - ქალიცა და კაციც. ძირითადად იცოდნენ „თეთრი“ და „ჭრელი“ წინდების ქსოვა. ახალგაზრდის წინდა მეტად მრავალფერადი და რთულსახიანი იყო, ვიდრე ხანშიშესულისა. ერთმანეთისაგან განირჩეოდა საქორწინო-სამგლოვიარო და საშინაო-საგარეო წინდებიც.

ლიტ.: ც. ყარაულაშვილი, ქსოვის ხალხ. წესები კახეთში, 1985.

წინდები - ქალისა და მამაკაცისა, ერთნაირად იქსოვებოდა ჩხირებით. ჯერ

ყელს მოქსოვდნენ, შემდეგ ორ ჩხირზე ქუსლი გამოჰყავდათ და მერე წინანაწილს ქსოვდნენ. თითებში თვლებს უკლებდნენ, სახიანი წინდები სამეგრელოში არ იცოდნენ. წინდის შემოსვლამდე იყო კარაჭინი (გურია). იხ. კარაჭინი. აჭარლები ფერად (ექვს ფერზე მეტიც იყო) წინდებს ქსოვდნენ ბამბით, მატყლით, აბრეშუმით. ჯერ წინდის თათს მოქსოვდნენ, მერე - საქუსლეს და ბოლოს - ყელს, თავს გადაუკეთებდნენ და კვილოებს გაუკეთებდნენ. წინდები ცხვრის მატყლის ბაწრის სცოდნიათ, ზაფხულში სადას ქსოვდნენ, ზამთარში ორმაგს, ჭრელს. წინდა მოკლუეყელიანი იყო, ყელის ბოლოს ყულფებივით ჰქონდა, რომლებსაც სახლართს უწოდებდნენ, შიგ სახვევი იყო გაბნეული და იმით იმაგრებდნენ კანჭზე. შარვლის ტოტს, ჩვეულებრივ, წინდის ყელში იტანდნენ. ქალისა და მამაკაცის წინდა ჭრელიც იყო და სადაც, ქალისა - უფრო სადა. თუშეთში ერთი წინდა „საკარგაოდ“ ჰქონდათ, სხვა - „სამემცხვარეოდ.“ მათ წინდას ნაჭრელი ერთ მხარეს ერთნაირი ჰქონდა, მეორე მხარეს - მეორენაირი.

ლიტ.: მასალები..., 1983:17, 253, 263; გ. ბოჭორიძე, თუშეთი, 1993:159.

წინსაფარი სხვადასხვა სამუშაოთა შესრულებისას ტანსაცმლის დასაცავი ტყავის ან სქელი ნაჭრის საფარი, ხშირად ჯიბეებდაკრებული. აქვს კისერზე ჩამოსაკიდებელი და წელზე შესაკრავი ზონრები. წინსაფარი ხელოსნის ჩვეულებრივ ატრიბუტს წარმოადგენდა. არსებობს წინსაფრის სხვადასხვანაირი ტიპები (იხ. ფეშტემალი).

წინამასწარა ვარსკვლავი - ვარსკვლავი, რომელიც ყველაზე ადრე ამოღის.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. ტ. 4. თბ., 1975.

წინწანაქარი - წინწანაქარი ჩვენში მხოლოდ პირველად გამონადენი არყის მნიშვნელობით გამოიგონია. მაგრამ როგორც ჩანს, საერთოდ პირველგამონადენთა ზოგადი მნიშვნელობის გამომხატველი სიტყვაა. ძველ და ახალ ლექსიკონებში ეს მოვლენა ამგვარად არის ახსნილი: საბას განმარტებით „წინწანაქარი პირველგადმონადენი ტყბილი“-ა. ნ. ჩუბინაშვილი აფართოებს ამ სიტყვის მნიშვნელობას: „წინწანაქარი პირველი გამონადენი დაწურვილი ღვინისა, ან გამოხდილი არყისა“. იქვე, მომდევნო განმარტებაში ნ. ჩუბინაშვილი ღვინისა და არყის წინწანაქარს „ერბო წინწანაქარსაც“ უმატებს. რაც მისი ახსნით გადაუმდნარ ერბოს, კარაქს ნიშნავს. (დ. ჩუბინაშვილი ახსენებს „ლუდის წინწანაქარსაც“). (ხევსურულად „პირველად გამოსულ არაყს წვერის არაყი (წინწვერი, წინწვერის არაყი, წინწარაქალი, წინ წინაქარი ეწოდება, ნაბოლოვარს კი შამანი“. (ალ. ჭინჭარ.). ზემო იმერულად „წინაქარი, წანაქარი“ (ბ. წერეთ). ლეჩხუმურად „რახი“ (მ. ავალ.) ამათ გარდა, არის „ქიპიტაური“ და სხვ.). წინწანაქარის ხარისხსზე და თვისებაზე არც საბა, არც ჩუბინაშვილები არაფერს ამბობენ. წინწანაქარის ხარისხს ქიზიყური მეტყველების საფუძველზე ხსნის სტ. მენტეშაშვილი თავის „ქიზიყურ ლექსიკონში“. მისი განმარტებით ყურძნის წურვისას „პირველად გავარდნილ წვენს“ ქიზიყში წინწანაქარს ეძახიან და თვისობრივად ეს წვენი „წყალწყალაა“. ასევე „წყალწყალაა“ მისი თქმით „პირველად გამოსული არაყი“, ანუ წინწანაქარი. ქართულ ლექსიკონებში ღვინის, არყის, ლუდის და ერბოს წინწანაქარის დდასტურება საკმაოდ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ „წინწანაქარი“ მივიჩნიოთ „პირველგამონადენის“ აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. ტ. 4. თბ., 1975.

წიპწა (ქართლ., კახ., ქიზიყ., იმერ.) / **წაპწა** / **ქეფჩო** / **ჩენჩო** / **დურღლი** / **ცილა** / **ჟული** (ქართლ.) / **წინა** / **წინწი** / **ხინწკალი** / **ხუნწარი** / **კეკალი** / **აკვი** (იმერ.) / **ტყავი** (აჭარ.) / **ღუნძლი** || **ღვინძლი** || **ღვირძგლი** (რაჭ.) - ყურძნის თესლი.

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში, 1978:57-65.

წირეხი (გურ., ზ. აჭარ.) – 1. დაგრეხილი შოლტი; 2. თხილის, თუთის ან წიფლის წნელი, რომელსაც გრეხენ და თოკის ნაცვლად ხმარობენ. შდრ.: ღვლერჭი, ღვლერჭი. ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984. სიტყვასთან წირეხი.

წისქვილა - საცერულის (იხ.) სახეობა. გავრცელებული იყო ხევსურეთში. მზადდებოდა რკინისაგან, ჩამოსხმით, გვერდი ირიბია და წიბოვანი. წისქვილას განსაკუთრებით მოხუცები ხმარობდნენ. ლიტ.: გ. ჩიტაია, ხევსურული საცერული, მრ. ტ. II, 2000.

წისქვილი - მარცვლეული კულტურების დასაფქვაკვი სამეურნეო ნაგებობა. არსებობს წყლის წისქვილის ორი სახეობა - ჰორიზონტალურბორბლიანი, ანუ აზიური წისქვილი და ვერტიკალურბორბლიანი, რომელიც საქართველოსთვის იშვიათობას წარმოადგენს და გავრცელებული იყო თბილისში, მდ. მტკვარზე. საქართველოს დანარჩენ კუთხეებში ძირითადად გავრცელებული იყო ჰორიზონტალურბორბლიანი წისქვილი, რომლის ზოგადი სახელი ვრცელდებოდა მთელი შენობისა, სადაც გამართული იყო მფქველი ქვებისგან შემდგარი მანქანური ტიპის მოწყობილობა და მოძრაობაში მოდის წყლის მეშვეობით. წისქვილის გამართვისათვის აუცილებელ იყო წყალი, რომელიც

გამოჰყავდათ საგანგებოდ გაკეთებული სათავის მეშვეობით. სათავიდან წყალი ჩაედინება 2-3-მეტრიან ხის ღარში, რომელიც მიმართულია ბორბლისკენ. ბორბალს გააჩნია ფრთები და ღერძი, რომელიც მოძრაობაში წყლის ჭავლის მეშვეობით მოდიოდა. წისქვილის იატაკიდან ღერძი ამოდის მფქველი ქვების გულში. ძირა, დედალი ქვა უძრავია, ზედა მამალ ქვას კი აბრუნებს მოძრავი ღერძი, რომელიც რკინის არქეთი გაჭედილია მამალი ქვის ფოსოში. დასაფქვაკვი მარცვლეულის სათავსს წარმოადგენს დაყირავებული პირამიდისებური ხის ყუთი - ხვიმირა, რომლის წვერიდანაც გამოდის მარცვლეული და იყრება დოლაბის ყელში. მარცვლეულის გადმოყრას ხვიმირიდან (კრიჭა) არეგულირებს რკინის ნაჭერი - სარეკელა, რომელიც ქვაზეა დადებული და მისი მოძრაობა გადაეცემა ხვიმირის ყელს. მეცნიერებაში გამოთქმული შეხედულების თანახმად, წისქვილი დასავლეთის სამყაროში მცირე აზიიდან იქნა შეტანილი, ამ არეალში ექცევა ამიერკავკასია და განსაკუთრებით საქართველო, სადაც ყველა პირობა არსებობდა სრულყოფილი წისქვილის შესაქმნელად (დაქანებული მდინარე, ხორბლეული კულტურა, რკინამჭედლობის ტრადიციები), ამიტომ საქართველო მიჩნეულია წისქვილის მოხმარების უძველეს კერად.

ლიტ.: ს. ბედუკაძე, წყლით მბრუნავი წისქვილები არაგვის ხეობაში, 1964. ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

წისქვილი გვიმიანი - მისი წარმოშობა ნაკარნახევია მცირედებეტიანი წყლის პირობებით. როცა თვითდინებით მომდინარე წყალი ვერ აბრუნებს წისქვილის ფრთას, მაშინ აკეთებენ საგანგებო რეზერვუარს - გვიმს, რომელშიც მოკავებული წყლის წნევით, მოქმედებაში მოჰყავთ

წისქვილის ბორბალი. გვიმი თავისი აგებულებით რადიკალურად განსხვავდება ხის ღარისგან. იგი წარმოადგენს 2,5-3 მეტრი სიმაღლის ცილინდრული ფორმის ქვის მილს, რომელიც შედგება წრიულად (კოდისებურად) გულამოღებული ქვის ნაწილებისგან. ქვედა ქვის რადიუსი 20-30 სმ-ია, ხოლო სულ ბოლო ზედასი 1მ-20 სმ. თითოეული ასეთი ნაწილის სიმაღლე 40-50 სმ-ია და ისინი გათლილია დიდი სიზუსტით, რომ ერთმანეთს კარგად მოერგოს და წყალი არ გაატაროს. ყოველი კონუსურად გათლილი თავი მომღვენოს ძირის ტოლია, ისინი თანდათანობით განიერდება ბოლოში და წარმოქმნის ერთიან ძაბრისებურ დიდ მილს. პპირველ ქვას, რომელიც ყველაზე მასიურია, გახვრეტილი აქვს საფშვირე და მიმართულია წისქვილის ბორბლებისკენ. როცა გვიმი ბოლომდე გაივსება ფშვირიდან გამოაგდებენ ხის საცობს, დიდი წნევით გამოსული წყალი ბორბალს ეცემა და აამუშავებს. როცა გვიმი დაიცლება, ნახვრეტს კვლავ დაკეტავენ და ახლიდან იწყება რეზერვუარის შევსება. ლეჩხუმური მასალით გვიმიანი წისქვილის შემადგენელი ნაწილებია: ბელდარა, გვიმი, ლემაქანია, მეჯა, ფურცხვი//საცორელა, კინტი, ბორბალი, მურგვი, ფრთები, ღერძი, ცულა, რგოლი, გუგულა, ქვაბი, ხვიმირა, ლაკორა, სარეკელა, მანჭო, ჩიბე, ჩოტი, კარბა. გვიმიანი წისქვილი გავრცელებული იყო გურიასა და ლეჩხუმში. სოფ. ლაილაშში ოქრონიშის წყაროს წყალზე გამართული იყო 20-მდე ასეთი წისქვილი. გვიმიანი წისქვილი საფქველი მანქანის განვითარებულ ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ, სადაც კარგადაა წარმოჩენილი ქართველი მეურნის გერგილიანობა და გონებამახვილობა. ლიტ.: გ. ჩიტაია, შრომები, ტ. V, 2001; ე. ნადირაძე, გვიმიანი წისქვილი ლეჩხუმიდან, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1981, № 8.

წისქვილი ხელის - მარცვლეული კულტურების საფქვაკი მოწყობილობა. სასრევ-სანაყების შემდეგ ხელწისქვილი კაცობრიობის უძველესი მონაპოვარია. საქართველოში ხელწისქვილები ყველგან იყო გავრცელებული. დიდი წისქვილების არსებობის პირობებშიც კი შენარჩუნებული ჰქონდათ ხელწისქვილები მცირე მასშტაბიანი საფქველი სამუშაოების შესასრულებლად. საქართველოს მუზეუმში დაცულია ხელწისქვილების რამდენიმე ეგზემპლარი. ერთი მათგანი წარმოადგენს ოთხ ფეხზე გამართულ და ხის ორ ნაჭერზე დამაგრებულ ქვას, რომელიც უძრავადაა გაჭედილი ხის ჩარჩოში და შუაში ჩამაგრებული აქვს მრგვალი რკინა, შესაბამისად მამალ ქვაში ჩამაგრებულია რკინის არქე, რომელიც ჩამოეცმება მას იმისათვის, რომ მოძრაობისას ქვა აქეთ-იქით არ გაიქცეს. მამალ ქვას გაკეთებული აქვს ხის სახელური, რომლის მეშვეობითაც მოჰყავთ მოძრაობაში. ფქვილის გამოსასვლელთან გაკეთებულია ალა//ჩიბე// საფქვილე, სადაც ზედა ქვის დატრიალების შემდეგ ფქვილი იყრება.

წისქვილის არქი - რკინის ნაწილი, რომელიც წისქვილის ქვის საარქეში შედის და აბრუნებს ქვას. სხვადასხვა კუთხეში მისი სინონიმებია: ყავარზენი (ზ. სამეგრ.), გულა, წისქვილის არქა (იმერ.), თოხნი (მესხ.), გურდალი (სამეგრ.). გარდა რკინისა, იხმარებოდა მაგარი ჯიშის ხისგან გამოთლილი არქებიც.

წისქვილის დაქნა - წისქვილის ქვის გათლა-დამუშავების ერთ-ერთი ეტაპი, რაც გულისხმობს მოსაფქვაკი პირების მოსწორებას თარგის, ანუ სამართის (იხ.) მეშვეობით.

წისქვილის მკაზმავი (ძვ.) - წისქვილის გამწყობი, სადაც იგულისხმება ქვების

დადგმა, მორგება, სარეკელას, ხვიმირს, ალას, ჩიბეს ბორბლის და საერთოდ გამართვა მთელი საფქვაკი მოსწყობილობისა.

წისქვილის მოკოდვა - გაცვეთილი ქვებისათვის ახალი სამუშაო პირების გამოჩენის მიზნით ქვების მოკოდვა ხდება წერაქვით, წალკატით. მოკოდვას იწყებენ გულიდან ნაპირისკენ და მთლიანად იღებენ გაცვეთილ ზედაპირს. მოკოდვისას ზედა ქვა გადმოაქვთ, ხოლო ქვედა, რომელიც უძრავადაა ჩასმული ბუდეში, ადგილზე იკიდება. როცა მოკოდილ ქვებს კვლავ გამართავენ, დააყრიან მარცვლულს და ამუშავენ, რათა პირველმა მუშაობამ ქვას გამოაცალოს რბილის ქანები, გამოაჩინოს „კბილები“ და გარეთ გამოიტანოს ზედმეტი ნარჩენები.

წისქვილის სახლი - ერთიანი ჩამოყალიბებული სამეურნეო ნაგებობა, სადაც გამართულია მფქველი ქვები, მეწისქვილის პატარა ოთახი, ბუხარი, ტაბლა, წისქვილის მუშაობისათვის საჭირო ინვენტარი. წისქვილის სახლში იგულისხმება მთელი კომპლექსი თავისი ქვებითა და სახლით. არცთუ იშვიათად წისქვილის სახლს უკეთებენ გადახურულ დერეფანს. შესაძლოა წისქვილის სახლს ჰქონდეს მარცვლულის შესანახი ბედელიც.

წისქვილის ქვა, დედალი ქვა, მამალი ქვა, საზედაო და საქვედაო (იმერ. ლერხ.) - მარცვლულის საფქვაკი განსაკუთრებული ჯიშის ქვა, რომელიც გამოირჩევა მაგარი შედგენილობით. დედალი ქვა წისქვილის კომპლექსში უძრავია, მამალი კი მოძრავი, რომელიც ქვედა ქვაზე ტრიალებს ღერძის მეშვეობით. წისქვილის ქვას მოიპოვებენ ამ მიზნისათვის შერჩეულ სათანადო საბადოში. ქვას არჩევენ სიმაგრის, სიფიცხის, ნაპერწკლიანობის, კაჟიანობისა და მჭრელი კბილების

მეშვეობით. ქვას განარჩევენ ფერითაც და ადგილმდებარეობითაც. ქვის მოპოვებისას კარგად გაასუფთავენ კლდის მასივს, მოტეხავენ უროთი და რკინის სოლებით (თავისებური წესით სრულდებოდა ხის სოლებით მოტეხვაც). მოტეხილ ლოდს შემოხაზავენ ფარგლით, შემოთლიან წრიულად, დაიყვანენ სისქეზე, ამოუჭრიან საგულეს// თვალს და გამოიყვანენ თარგში, ანუ სამართში (იხ.), რომელიც წარმოადგენს წისქვილის ქვისათვის სათანადო სისწორის მიმცემ იარაღს. სამართი არის ოთხკუთხად გათლილი ხის მხრებიანი ჯოხი, რომელსაც შუაში აქვს უღელი, ანუ თვალზე ჩამოსაგები, შავ ფორმაში გამოთლილ ქვაზე სამართს დაატრიალებენ, სადაც მისი გადაქნილი ბოლო მოედება იმ ადგილს აიღებენ სათლელით მანამაღე, სანამ სამართი ქვაზე არ დატრიალდება. ზომისთვის სამართის ორივე მხარეს იყენებენ. ზედა მხარე მამალი ქვის ქვედა პირის მომყვანია, ხოლო ქვედა - დედალი ქვის ზედაპირისა. სამართით გათლილ ქვებს შუაგულში „თარალი“ (იმერ.) ე.ი. მცირე ადგილი//ხანი აქვს, საიდანაც ხდება მარცვლულის შეთრევა ქვებს შორის, მისი მსხვილად დანაღერდება და გატანა „საწმინდაოზე“ იქ, სადაც ორივე ქვა მჭიდროდ ეკვრის ერთმანეთს. დიდი ხნის ნამუშევარ ქვას კბილები უცვდება და საჭირო ხდება მისი მოკოდვა, ანუ ახალი სამუშაო კბილების გამოჩენა. მოკოდვისას ზოგიერთ ადგილას ქვას უკეთებენ ღარებს, რაც ფქვილს იცავს სიმშრალისაგან და თავის პირვანდელ ბუნებას უნარჩუნებს. ახლად მოკოდილ ქვას გამოსუფთავებისთვის და ახალი სამუშაო კბილების გამოჩენისთვის 10-15 კგ. მარცვლულია საჭირო. წისქვილის ქვების გათლა და მათი ერთმანეთზე მორგება დიდ გამოცდილებას მოითხოვდა და ამიტომ წისქვილში ქვების დამდგმელის საგანგებო პროფესია ჩამოყალიბდა, რომლებიც მხოლოდ ამ მიმართულებით იყო

დაოსტატებული. საუკეთესო საწისქვილე ქვებით დასავლეთ საქართველოში განთქმული იყო სოფ. მუხურა (ტყიბულის რ-ნი), ასევე ჟონეთი და წიფლაკა (ხარაგაულის რ-ნი), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ალგეთისა და არაგვის ხეობის საწისქვილე მადნები. წისქვილის ქვები განირჩეოდნენ სიდიდის მიხედვითაც: დოლაბი - დიდი ქვაა, ბუჭულა - საშუალო, ხოლოკორჩიოტა - პატარა.

ლიტ.: ს. ბედუკაძე, წყლითმბრუნავი წისქვილები არაგვის ხეობაში, 1960. ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხურობა იმერეთში, 2001.

წიფხა - საწყაო მარცვლისა და ფქვილისათვის. გავრცელებული იყო და დღემდე დასტურდება ლეჩხუმელთა ეთნოგრაფიულ ყოფაში. წიფხას ცაცხვის ან თელის ქერქისაგან აკეთებდნენ და ტკეჩით შეკრავდნენ. მასში თავსდებოდა 2-4 კგ ფქვილი ან მარცვალი.

ლიტ.: ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დას. საქართველოში, 1969. ხის პატარა ჯამისებური სასმისი ფშავში.

წიწანი (ფშ.) - ხის პატარა ჯამი, სუფრაზე ერბოს, თაფლის, მარილის, ნიორწყლის და მისთანათა მოსატანად; ბავშვის ჯამი.

ლიტ.: გ. ხორნაული. ფშაური ლექსიკონი. თბ., 2000. სიტყვასთან წიწანი.

წიწილ-კრუხი - საახალწლო პური; აკეთებდნენ დიასახლისისათვის, ჩვეულებრივი ცომით, რითაც საახალწლო პურს აცნობდნენ... ჯერ გააბრტყელებდნენ ცომს, მერე წინდის ჩხირით ჩხვლეტდნენ, თან ამბობდნენ: „ამდენი კვრცხი, ამდენი

წიწილა, ამდენი ვარია, ამდენი კრუხი წლის ბოლომდისაო“, შემდეგ ამ დაჩხვლეტილ ცომზე დააკრავდნენ ცომის წიწილ-კრუხს და ასე გამოაცხობდნენ თონეში.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

წვიპარტი და წვიპურტი - წვიპარტი ჰქვია ნამგლის ერთი გამოსმით გამოძილ პატარა ხელეურს, რომელსაც პატივისცემის ნიშნად მიართმევდნენ ხოლმე სამკალში მისულ საპატიო კაცს, მებატონეს, ან ახლოს გამვლელ მგზავრს, რომელიც მკვლევს თავის მხრივ ხვავიან მოსავალს, ბარაქას უსურვებდა და ფულით ასაჩუქრებდა. დასაჩუქრებული გლეხი შემდეგ დაწნავდა პურის ჯვრას და, თუ ხელი მიუწვდებოდა, სამაგიერო საჩუქრად გაუგზავნიდა დამჯილდოებელს.

სხვა მნიშვნელობით აქვს ახნილი „წვიპარტი“ საბა ორბელიანს. მისი განმარტებით „წვიპარტი“ საბა ორბელიანს მისი განმარტებით „წვიპარტი თითის კურა“-ა (ხევსურულადაც ს. ქეთელაურის ცნობით „ისვიპარტი ჰკრა“ ნიშნავს – წვიპარტი ჰკრა). საბას მომდევნო ლექსიკოგრაფებიც ამ შინაარსით განმარტავენ წვიპარტს.

„წვიპარტი ერთი თითის მეორეხედ დასხლეტით შემოკვრა“. (ნ. ჩუბ.).

„წვიპარტი თითით წაკვრა, целчок (აჭარულ დიალექტში „წვიპარტი“ ნიშნავს თითის კვრას (ფრიდონ ხალვაშის ცნობით). (დ. ჩუბ.).

თუ თანამედროვე ქართულ მეტყველებასა და ლიტერატურას დავაკვირდებით, დღეს თითის კვრას წვიპურტი ჰქვია და არა წვიპარტი, ასევე განმარტავს „წვიპურტს“ 1959 წელს გამოცემულ რუსულ-ქართული ლექსიკონი: „целчок წვი-

პურტი, წიპურტის კვრა, ცხვირში წიპურტის კვრა... თითების ტკაცუნა“.

როგორც ვხედავთ, ახალმა ქართულმა მეტყველებამ ანგარიში გაუწია საბაორბელიანსა და მისი საქმის გამგრძელებლების განმარტებას და წიპარტი „წიპურტით“ შეცვალა.

ქიზიყური „წიპურტიც“ ყანის მკასთან არის დაკავშირებული და სტ. მენტეშვილის განმარტებით ნიშნავს „ხელეურის შესაკვრელ წველს“. რაც თავისი დანიშნულებით ქართლურ ულოს მოგვაგონებს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ულოთი ძნას კრავენ, ქიზიყურ „წიპურტს“ კი ხელეურებს „აგრეხენ“ („წიპურტი-ნაგრეხი მუჭეულები“).

ქართულ დიალექტებში, ლექსიკონებსა და ზეპირ თუ წერილობით მეტყველებაში წიპარტისა და წიპურტის მნიშვნელობათა არევა გასაკვირველი არ უნდა იყოს ამ ორი სიტყვის გარეგნული მსგავსების გამო. შესაძლოა, ამის მიზეზი სხვა უფრო არსებითი რამეც იყო – სახელდობრ, მათი არქაული მნიშვნელობის იგივეობა.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

წმინდანიანი (რაჭ., იმერ.) – 1. სანადირო ადგილი, რომლის ბინადარი ნადირი რაჭველი მონადირეებისთვის „წილიანი“ (შდრ.: ნაწილიანი“) იყო. ამ შეხედულებიდან გამომდინარე, მონადირე ნადირობის წინა დღეებში ერიდებოდა ლანძღვა-გინებას და უშვერი სიტყვების წარმოქმნას, ქალთან კავშირს და მასთან მიახლოებასაც კი დედათწესიანობისა თუ ორსულობის დროს. მიუხედავად იმისა, რომ ღორის ტყავის ქალამანი საუკეთესოდ იყო მიჩნეული, მონადირე ასეთი ქალამნით შიშველ კლდეზე, იქ, სადაც

ჯიხვი ეგულეობდა, მონადირე არავითარ შემთხვევაში არავიდოდა. 2. იმერული რწმენა-წარმოდგენებით, წმინდანიანი ღამის ფრინველია და ფრენის დროს ცოტათი ანათებს; სადაც ის ჩაფრინდება, იქ უთუოდ ვინმე გარდაიცვლება.

ლიტ.: ა. რობაქიძე. რაჭაში მივლინების ანგარიში (1939 წლის 10. VII – 7. VIII) // ენიმკის „მოამბე“, XI. თბ., 1941, გვ. 1-10; ვ. ბერიძე. სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა. თბ., 1986.

წმიდა ჭურჭელი - ჭურჭელი, რომელიც გამოიყენება ევქარისტის საიდუმლოს აღსრულებისას: ბარძიმი, ფეშხუმი, ვარსკვლავი, დაფარნები, ლახვარი, კოვზი, ღრუბელი, სამირონე, სანაწილე, საცეცხლური ნახშირით და საკმევლითურთ. მათთან შეხება არ შეუძლია ერისკაცს და დაბალ სასულიერო პირს. ზოგადი მნიშვნელობით, ეს არის საეკლესიო ღვთისმსახურებისას გამოსაყენებელი ჭურჭელი და საგნები. მაგალითად, ზემოჩამოთვლილს სამღვდელმთავრო მსახურებისას ემატება ტიკირი და დიკირი, რიპიდები. გარდა ამისა, ტრაპეზზე აუცილებლად ასვენია ოდიკი, წმიდა ნაწილითურთ, სახარება, ჯვარი.

ლიტ.: მართმადიდებლის მცირე ლექსიკონი, 2002. მოკლე განმარტება ლიტურგიისა, 1998.

წნეხი - აქ: ჭაჭის საწნეხი ტექნიკური მანქანა. ეთნოგრაფიულ ყოფაში ცნობილია საქაჯავის, საქაჩავის, საქანჩველის, წბერის, წკბერის, საწბერავის, ხარხინის სახელწოდებით. წნეხის უმთავრესი დანიშნულებაა ახლად დაწურული ყურძნის ჭაჭის დაწნეხვა წვენის მაქსიმალური გამოწბერვის მიზნით. საწნახელში ყურძნის ფეხით დაწურვის შემდეგ ქვევრებში და-

სადუღებლად ჩასხმულ ტკბილს ეყრება მხოლოდ ჭაჭის ნაწილი, ხოლო დანარჩენ ჭაჭას წნეხით დაწნეხენ. მეორე შემთხვევაში წნეხი უშუალოდაა დაკავშირებული ხალხურ მეღვინეობაში გავრცელებულ საწნახელში დაყენებული მაჭრიანი ჭაჭის გამოწნეხვასთან. ამ წესის მიხედვით ღვინის დადუღება წარმოებს ჭაჭის მთელ რაოდენობაზე, რომელიც მიმდინარეობს საწნახელში. დუღილის დამთავრების შემდეგ ღვინო ქვევრში გადააქვთ, ხოლო ღვინით გაჯერებულ ჭაჭის მთელ მასას საწნახელში გამოწურავენ. ჭაჭის საწბერი წნეხები წარმოადგენენ ცალმხრივი ბერკეტის პრინციპზე მოქმედ მანქანებს და იყოფიან სამ მთავარ ჯგუფად 1. ხრახნიანი წნეხები 2. ოწინარიანი წნეხები 3. მარტივი წნეხები (უოწინარო და უხრახნო). ხრახნიანი და ოწინარიანი წნეხების დეტალებია: გობი, კოდი, კვირისტავი, უღელი, კაცა, დირე, ხმალა, დათვა, ხრახნი, სარქველი, ისარი, ქალაბანი და ღვედი. ქართული საწნეხების ნაირსახეობა და მათი დახვეწილი ტიპები ხაზს უსვამს ხალხური მეღვინეობის მაღალ დონეს.

ლიტ.: ლ. ფრუიძე, მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში (რაჭა), 1974. ალ. ლეკიაშვილი, ყურძნის საწნეხი საშუალებები საქართველოში, მსე, ტ. XII-XIII, 1963.

წუმის მანახვა (ქიზ.) - დიდმარხვის პირველი ორმაბათის მძიმე მარხვა. საამდღისოდ გასათხოვარი ქალიშვილები და ზოგიერთი დაუქორწინებელი ვაჟი საერთოდ არაფერს ჭამდნენ და სვამდნენ; დამე, დასაძინებლად დაწოლის წინ მათ ვეძიკვერას (იხ.) აჭმევდნენ, რათა მწყურვალეებს სიზმარში წყლის მომწოდებლად თავიანთი საბედოები (საქმროები) ეხილათ.

ლიტ.: ს. მენტეშაშვილი. ქიზი-ყური ლექსიკონი. თბ., 1943.

წურწუმა - მილაკიანი წყლის ჭურჭელი. ფორმით „იბრიღ, იბრეხ, იბრედ“-ის იდენტური. წურწუმა კეთდებოდა სპილენძის ფირფიტებისაგან. არის მოკალუული და მოუკალავიც. წურწუმის დამახასიათებელია ლამაზად გამოყვანილი მილი. ძირი ქუსლიანი ან ბრტყელი აქვს, მუცელი - მრგვალი ან მსხლისებური, ყელი მაღალი, ძირში განიერი, პირისკენ ვიწრო. ჭურჭლის ტანზე და პირთან დამაგრებულია სპილენძის სამჭვალეებით წურწუმა აღმოსავლური ჭურჭელია. მას ძირითადად იყენებდნენ ვარდის წყლის დასაყენებლად, ხელ-პირის დასაბანად, რიტუალური დანიშნულებით ხმარებაში იყო აგრეთვე წურწუმა-სურა, თუნგი-წურწუმა. წურწუმა საქართველოსთვისაც ტრადიციული ჭურჭელი ყოფილა, რაც XIX ს. არქეოლოგიური გათხრებითაც დასტურდება. მას პარალელები თიხის ჭურჭელთან ეძებნება.

წუღა - 1. მამაკაცის ჩუსტი. 2. წაღებზე შემოსაცმელი, უძირო, ნაკერი ქვეშ 3ქონდა. ყელიანი იყო კოჭებამდე, წინ ენა 3ქონდა ამოკერებული. „საკაიდლო“ წუღებს მერე „ბაშმაკები“ დაარქვეს (რაჭ.) სამეგრელოში წუღასთვის ჯეს საპირეს გამოჭრიდნენ. ამოჭრილ კიდეს წვრილ ტყავს შემოავლებდნენ. საძირეს რომ გამოჭრიდნენ, საპირესთან შეაერთებდნენ. კერვისას, ნახვრეტებს სადგისით უკეთებდნენ, მერე გადააბრუნებდნენ და ჩაღებდნენ კალაპოტში, სადაც გაშრებოდა. წუღებს მესხეთში ყარვალებს ან იავნებს უწოდებდნენ. ქალამანი და წინდა-პაიჭები საყოველთაოდ იყო გავრცელებული.

ლიტ.: მასალები..., 1983:209, 231; ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1938:90.

წყალთ დალოცვა - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ხევსურული

წეს-ჩვეულება - გარდაცვლილის სახელობის წყაროს აგება და დალოცვა მან, სანამ მკვდრის ხარჯებს გადაიხდიდნენ. ქირისუფალი ამოირჩევდა ხალხმრავალ ადგილს და იქ „ააგებდა წყარუათ“ (წყაროს): ააშენებდა ქვის კოშკს, რომლის თავზე თეთრ ბროლებს დააწყობდა, გაამზადებდა საწყლელ ღარს, რომლის თავში აგების დროს შუკუნს(თახჩას) გააკეთებდა და შიგ ქიტს (ხის ჩამჩას) შედგამდა; როცა წყაროს მოწყობას მორჩებოდა, გამობდიდა არაყს, გამოაცხობდა სახელსადებებს: გულიან ქალებს, კვერებს და კუბატებს (ხორცის ან ყველის გულიან კვერებს), რომლებსაც ყველთან და ერბოსთან ერთად სუფრაზე (ტაბლაზე) დაალაგებდა და წყაროსთან მიიტანდა. აქ სულის ხუცესი არაყს, ყველს, ერბოს, ნამცხვრებს და წყაროს მიცვალებულის სახელზე დალოცავდა. შემდეგ იქ მყოფნი არაყს დალევდნენ და ქადა-პურებს შეჭამდნენ; დარჩენილი ქალებისა და პურების ნაჭრებს შუკუნში შედებდნენ, რათა წყაროსთან გამვლელ მგზავრებს შეეჭამათ და მიცვალებულისათვის შენდობა ეთქვათ.

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940, გვ. 20.

წყალწილა - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ხევსურული წეს-ჩვეულება, რომლის მიზანი საიქიოში მიცვალებულის წყლით „უზრუნველყოფა“ იყო; იხდიდნენ საქნარის (იხ.) წინა დღის საღამოს; ამზადებდნენ რძის ფაფას. ვახშმობისთვის ქირისუფალი მოგვარეებსა და „მეშაბათეებს“ (ქირისპატრონის ყოფილი მოგვარეები, რომლებმაც მოგვიანებით სხვა გვარი მიიღეს) დაპატიჟებდა, ფაფას ქვაბიდან ჯამებში ამოიღებდა და

ყოველ მათგანში თითო კოვზ ერბოს ჩალებდა; ფაფასთან ერთად, ტაბლაზე ერბოჩაყრილ რძეს ჯამებით დადგამდნენ და ყველს, ლუდს, არაყს და ცხრა კვერსაც დალებდნენ. სულის ხუცესი ტაბლას დალოცავდა და იტყოდა: „წყალჩი წილიმც გიძეს საიქიოს, წყალჩი წილუდებლობითამც ნუ დაღონდები“. სწამდათ, რომ წყალ წილას წესის შესრულების შემდეგ მიცვალებულს სულეთში წყალში წილი დაეღებოდა.

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940, გვ. 34-35.

წყარიმ დილა („წყლის დედა“) - ამბივალენტური ხასიათის წყლის სული მეგრულ მითოლოგიაში. ლამაზი სახის, თეთრი ტანის (ზოგი მონაცემით, დიდძუძუებიანი) გრძელთმიანი წყლის დედა, რომელიც მდინარეში ცხოვრობს, მართავს წყლის მდინარებას, იცავს და თვალყურს ადევნებს თევზების გამრავლებას. უპირატესად ღამით იმ ადგილებში ჩნდება, სადაც ფონია და ქვეითი თუ ცხენოსანი მგზავრი გადის. მთვარიანი ღამით, როცა ვარსკვლავებით მოჭდილ ცას წყლის ზედაპირი ირეკლავს, იგი მდინარის შუაგულში პირადმაა ჩაწოლილი, ცხენის აღვირს ხელს წაავლებს და მხედარს არც წინ უშვებს და არც უკან, ბოლოს წყალში ცხენიანად ღრმად ჩაითრევს. ხშირად წყლის დედას მებადურები ხვდებიან. როცა იგი ბადეში ეხვევა, განრისხებული მებადურს ახრჩობს. ყოველ ასეთ შემთხვევაში კოკისპირული წვიმა იწყება და მანამ არ გადაიღებს, სანამ წყლის დედა დამხრჩვალს თავისი მკერდიდან არ მოიშორებს და მდინარისპირზე არ გამოიყვას. წყლის დედისგან მოხიბლული მამაკაცი მისი მორჩილი საყვარელი ხდება.

ასეთი მამაკაცი ოჯახში უგუნებოდ და უგულოდ არის, ვერ მუშაობს, გარე-გარე დადის და წყლის დედის სიყვარულითაა გატაცებული.

ზოგჯერ წყლის დედა, რომელიც წყლის აღს მოგვაგონებს, გაიგივებულია მდინარეთა გამგებელ ქალ-თევზასთან (იხ. „ოსურ-ტოფუ“).

ლიტ.: ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 337; თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1956, გვ. 15; ა. ჭანტურია. ეთნოგრაფიული ჩანაწერები. მეგრული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებანი // თსუ შრომები. ტ. 227. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ., 1982, გვ. 226; ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 13, გვ. 19-21 (ინახება ავტორთან).

წყარიმ გოჭოფუა (მეგრ.) – „წყლის მომწყვდევა“ - მკურნალობის ირაციონალური ხერხი სამეგრელოში. ადამიანს, რომელსაც წყლიდან რაიმე სახის დაავადება ამოყვებოდა, ავადმყოფობის შეყრის ადგილას მიიყვანდნენ, ცულის პირით გოგრის ქერქში წყალს ჩაასხამდნენ და იტყოდნენ: „ეს ავადმყოფობა ისე დააშრე, როგორც ეს წყალი გოგრაში“ (თე ლახალა თემ დასქირე, მუჭოთ თე წყარი ჭურას); შემდეგ, წყლიანი გოგრის ქერქს საკიდელზე დაკიდებდნენ და წყალიც მალე ამოშრებოდა.

ლიტ.: ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 325.

წყარო - ჰიდროტექნიკური სისტემის დამამთავრებელი ნაგებობა, დასახლებული ადგილის წყლითსარგებლობის

ძირითადი ობიექტი. ძველი ქართული საისტორიო საბუთების მიხედვით, ჰიდროტექნიკური სისტემების მაშენებლებსა და მომვლელებს „წყლის მკაზმავები“ ეწოდებოდათ (რომლებიც თავიანთი პროფესიის დიდი მნიშვნელობის გამო გათავისუფლებული იყვნენ სახელმწიფო გადასახადებისაგან), ხოლო იმ ადგილს, სადაც წყალი გადმოედინებოდა „წყაროს თუალნი“ და „ავაზანიც“ ეწოდებოდათ. „რაზომცა ციხენი და ქალაქნი აღაშენა ყოველგან წყაროს თვალნი გამოადინა“ (ვისრამიანი), „მტილ-სამოთხენი, თვალთ სამოთხენი, ზედ ავაზანთა შექმნილობანი“ (აბდულმესია). წყარონაგებობანი თავიანთი აგებულებით ერთ რომელიმე არქიტექტურულ სტილს არ ემორჩილებიან, მაგრამ მათი საერთო ნიშანი ქართული ხუროთმოძღვრული იერის მატარებელია, რომელიც ყველაზე მეტ მსგავსებას ამჟღავნებს საეკლესიო არქიტექტურასთან. ეთნოგრაფიული მასალით დგინდება, რომ წყარონაგებობის მშენებლობა სოფლისათვის პრესტიჟულ საქმიანობას წარმოადგენდა და მასში ყველა მოსახლე თანაბრად მონაწილეობდა. წყლის გაყვანისა და წყარონაგებობის მშენებლობას ხელმძღვანელობდა საგანგებოდ არჩეული პირი, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის გადაჭრა. განსაკუთრებით წყარონაგებობის ამშენებელი ქვითხუროს შერჩევა. ტიპური დასრულებული წყარო ნაგებობა ორი უზისაგან შედგება, რომელთაგან ერთში სასმელად საჭირო წყალი ჩაედინება, ხოლო მეორე სხვადასხვა საჭიროებისათვისაა განკუთვნილი. წყარონაგებობათა მშენებლობაში უმეტესად გათვალისწინებულია მისი ჰიგიენურად დაცულობის პრინციპი. წყარო თავისი აუცილებელი საჭიროების გარდა, წარმოადგენდა სოფლის საკრებულოს, სათემო თავმჯერის ადგილს და ფართო სოციალური ფუნქციის მატარებელი იყო.

წყაროს მკაზმავნი, მეწყაროე, ქუქა-ნკი - წყალსადენთა გამომყვანნი და გამოსავალი ნაგებობის მაშენებელი ოსტატები, მათი საქმიანობის მნიშვნელობის გამო გათავისუფლებული იყვნენ ზოგიერთი მნიშვნელოვანი გადასახადისგან.

წყეული - ავსული რაჭულ მითოლოგიაში. რაჭველთა წარმოდგენი, წყეული, რომელიც ხშირად ავთვალა ადამიანშიც ისადგურებს, უჩინარია, შედის ოჯახში და აჯადოებს ადამიანებს, საქონელს, ფრინველს, აოხრებს ყანებს, რაც ოჯახის ბარაქიანობის გაქრობას, მოსავლისა და საქონლის ზარალს, ადამიანის ავადმყოფობასა და სიკვდილს იწვევს. წყეულთა მავნებლობისაგან თავის დაცვის მიზნით, რაჭველი ქალები გულზე „ანგაროზს“ ატარებენ. ავგაროზი წარმოადგენს უბრალო ტყავში გახვეულ გრძელ გრაგნილ ქაღალდს, რომელზედაც ავთვალის საწინააღმდეგო შელოცვები წერია; გარდა ამისა, თან დააქვთ სხვა სახის თილისმები - „ღუა“ (ჯადო), ნიჟარა, თეთროზოლიანი მძივები - ე. წ. „სათვალე“; მიმართავენ სხვადასხვა შელოცვებს, რადგანაც, მათი რწმენით, თუ წყეულის თვალნაკრავს დროული შელოცვით არ ეშველა, იგი კვდება. შემლოცველი დედაკაცი დანით ნახშირს ფხეკს, ამთქნარებს და ნახშირს სულს უბერავს, თან ლოცვას ჩურჩულებს.

ლიტ.: ს. მაკალათია. მთის რაჭა. თბ., 1987, გვ., 84-85.

წყითე კვარიში ჭკომუა (მეგრ. „მლაშე კვერის ჭამა“) - დაუქორწინებელ ქალიშვილთა და ვაჟთა მკითხაობა სიზმარში მომავალი საბედოს ხილვის მიზნით. ამ სახის მკითხაობას მიმართავდნენ წყალკურთხევის შემდგომ მარხვამდენებისმიერ ე. წ. „გეკულა დღეს“ (სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს). საამისოდ

ახალგაზრდები რომელიმე ქვრივ ქალს თხოვდნენ, მათთვის მლაშე კვერების მომზადებას. მცხობელი სამი სხადასხვა გვარის სიმინდის ფქვილით, მარილითა და წყლით (აქედან ორი ჭისა იყო, ერთიც - გამდინარე წყაროსი), რომლებიც საბედოს „ხილვის“ მსურველს უნდა მოეპარა, მოზელდა ცომს და დააცხობდა მლაშე კვერებს; თითოეულს სამ-სამ კვერს გადასცემდა და დააყოლებდა: „ღმერთმა ქნას, თქვენი ბედ-იღბალი დაგესიზმროთ“ (ლორონთქე უუას, თქვანი ბედი დო იღბალი ქიგერძირაფუდან). ახალგაზრდები შუალამისას სამი გზის გასაყრზე ერთს კვერს შეჭამდნენ, მეორეს - თავს ზემოთ გადაიდებდნენ, ხოლო მესამე - სასთუმალქვემ დასაღებად წამოიღებდნენ; უკან უბრად დაბრუნდებოდნენ და დასაძინებლად ან სასიმინდესა და ბელელს მიაშურებდნენ, ან ისეთ ოჯახს, სადაც არასოდეს წოლილან, და მწყურვალეები იმ იმედით დაიძინებდნენ, რომ სიზმრად თავიანთი მომავალი მეუღლეები წყალს მიაწვდიდნენ. თუკი ისინი ღამეს სხვა ოჯახში გაათევდნენ, ბალშქვემ, კვერთან ერთად, მოპირისპირე სქესის საცვალს ან დაკეტილ ბოქლომს გასაღებითურთ ამოუდებენ.

მკითხაობა უმნიშვნელო თავისებურებით ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

ლიტ.: ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 5, გვ. 10-11 (ინახება ავტორთან).

წყლის ნანო / წყლის ბერდედა - იხ. „ბუღლაჯაღი“.

წყელიან ლიმზირ-ი || **ლიმზერ-ი** (სვ. „წმინდა ლოცვა-ვედრება“) - ახალი წლის ღამის ლოცვა, რომელსაც ლენტეხელი ქალები, მამაკაცებისა და ბავშვების დაუსწრებლად, ასრულებდნენ; აცხობდნენ ე. წ. კერი ლემზირს („კერიის პურს“) და

კერძასთან ჯრგელი ანგლოზ-ს (იხ.) სწი-
რავდნენ.

ლიტ.:მ. ჩართოლანი. ქა-
რთველი ხალხის მატერიალური
კულტურის ისტორიიდან. თბ.,
1961, გვ. 177.

წყრთა - უძველესი ქართული სიგრძის
საზომი. პირველად მოიხსენიება დაბადე-
ბის ქართულ თარგმანში. შინაარსობრი-
ვად წყრთა გამოხატავდა მანძილს იდა-
ყვიდან შუა თითის წვერამდე. რაჭა-ლე-
ჩხუმში წყრთა//მცხლა, როგორც საზომი
ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე და-
სტურდება. სულხან-საბას განმარტებით,
წყრთა ნახევარადლი იყო, ე.ი. საშუალოდ
50,6 სმ. ამ ზომის წყრთა XVI ს-დან არის სა-
ვარაუდო. განსხვავება უძველეს და შედა-

რებით გვიანდელი ხანის (XVI ს.) წყრთებს
შორის მხოლოდ 14 მმ-ა. ქართულ სა-
ზომთა სისტემაში მტკაველს სიდიდით
მოსდევდა წყრთა, წყრთას კი ადლი.
საქართველოში ადრეულ ხანაში ნაგე-
ბობათა მშენებლობის დროს (ბაგინეთი,
უფლისციხე, გორისციხე) მშენებლები იყე-
ნებდნენ განზომილების განსაზღვრულ
ერთეულს, რომელიც უტოლდება 52 სმ-
ს. ირ. ციციშვილმა გამოარკვია, რომ ეს
ერთეული არის წყრთა.

ლიტ.: გ. ჯაფარიძე, ნარკვევები
ქართული მეტროლოგიის ისტო-
რიიდან, 1973.



ჭა - წყალმომარაგების მიწისქვეშა ობიექტი, ძირითადად, ინდივიდუალური სარგებლობისათვის. საქართველოს ბარში მეტ-ნაკლებად ყველგან იყო გავრცელებული. განსაკუთრებული განვითარება პოვა დასავლეთ საქართველოში. ჭა ჩვეულებრივ ამოშენებულია ქვით, მაგრამ გვხვდება ამოშენებული ქვებიც (მაგ., გურიამი). ჭის მშენებლობა პროფესიულ ხელობათა რიგში ექცევა, ამიტომ ამ ცოდნას საგანგებო დაუფლება სჭირდება. ჭა იჭრება წერაქვითა და ნიჩბით. ჭის მშენებლობის დაწყებიდან 1,5 მეტრის სიღრმის შემდეგ, იდგმება ხის ოწინარი, რომლის მეშვეობით ამონათხარი მიწა ამოაქვთ მაღლა, ხოლო სამშენებლო ქვები ჩაეწოდება მიწის სიღრმეში მომუშავე ხელოსანს. როგორც კი ჭის ძირზე წყალი ამოხეთქავს, ხელოსანი იწყებს მის ამოშენებას ქვით. ჭა შენდება როგორც საგანგებოდ მოტეხილი, ასევე რიყის ქვითაც. ჭის მშენებელი კარგად უნდა ფლობდეს ქვების ერთმანეთზე „კბილებით“ მორგების წესებს, რადგან ქვამ ქვა უნდა გაამაგროს. შენება მიმდინარეობს წრიულად და საბოლოოდ წარმოიქმნება 40-50 სმ. დიამეტრის ქვის მილი, რომლის სიღრმე ზოგჯერ 20 მეტრსაც აღწევს. ამოშენებულ მილს მიწის ზედაპირზე უკეთდება გვიმი ქვის, ხის

ან თიხის. ჭა საცხოვრებელი ნაგებობის კომპლექსის შემადგენელი ნაწილი იყო. ამიტომ მის ესთეტიკურ გაფორმებას დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ჰიგიენის დაცვის მიზნით ჭის გვიმსაც უკეთებდნენ თავსახურს და ხურავდნენ მაღალ ბოძებზე დამყარებული სახურავით. ჭასთან, როგორც წესი, იდგმებოდა ქვის გეჯები, შინაური ცხოველების დასარწყულებლად. ჭიდან წყლის ამოღების გაიოლების მიზნით ჭას უკეთებოდა ოწინარები და მექანიკური გორგოლაჭიანი და სახელურიანი სატრიალებელი. 2-3 წელიწადში ერთხელ მაინც ხლებოდა ქების ამორეცხვა-ამოსუფთავება. ჭა, როგორც წყლით მომარაგების ეფექტური ჰიდროტექნიკური ობიექტი, სავსებით აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნილებას, რაც ოჯახს ესაჭიროებოდა ყოველდღიური საქმიანობისთვის.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

ჭაბგობა / ჭაბუკობა - ტარ-ჭაბუკვის/ტარ-ბედნიერის (იხ.) სახელობის სვანური ლოცვა; სრულდებოდა აღდგომის შემდგომ ოთხშაბათს, ანუ იმ დღეს, როცა, სვანთა რწმენა-წარმოდგენების თანახმად, ოჯახს სტუმრობდა ღვთაება ჭაბუკი. ჭაბგობი დიდი მნიშვნელობის დღეობად

ითვლებოდა და მისთვის საგანგებოდ ემზადებოდნენ. ნ. აბაკელიას მიხედვით, საამდღისო რიტუალი შემდეგნაირად სრულდებოდა: „დილით ადრე, გათენებამდე, გადაკეთავდნენ ეზოს ისე, რომ სხვა ვერ შესულიყო; ზოგან ... სოფლის შესასვლელში დააყენებდნენ მეთვალყურეს, რომ უცხო არავინ გაჰკარებოდა სოფლის ტერიტორიას... მის მოსვლას ოჯახი განსაკუთრებული სისუფთავით უნდა დახვედროდა; დედათქესიანი ქალები წინა დღით წიქვილში მიდიოდნენ. ჭაბუკის გულის მოსაგებად... ცხვებოდა ერთი დიდი რიტუალური პური (ლესკერი, ლემზირი, ტაბული), ე. წ. „ცერცვიანი“... ჭაბუკისათვის განკუთვნილ სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო მოხარშული ღორის ხორცი ან შამხი, სუფრა ივსებოდა ყველით, ხილით, ბოსტნეულით. ლოცვის ეფექტურად წარმართვის აუცილებელი პირობა იყო საკვების დამზადება ისე, რომ უცხო თვალს არ დაენახა. ლემზირს (ე. ი. რიტუალურ პურს თუ ვინმე დაინახავდა, გავრცელებული რწმენების მიხედვით, ოჯახი იმ წელს გასაზრდელს ვერ გაზრდიდა. ასევე სასურველად არ ითვლებოდა ვინმესგან დაძახება გარედან. ქვემო სვანეთში ჭაბუკისათვის სუფრა იშლებოდა ცეცხლის პირას - ქლებისათვის ცალკე, კაცებისათვის ცალკე. ზემო სვანეთშიც ორი სუფრა იშლებოდა: ერთი - უშუალოდ ჭაბუკისათვის დარბაზში, ე. ი. სვანური სახლის მეორე სართულზე - „მაჟიბში“, მეორე - მიცვალებულთათვის „მაჩვიბში“ - ქვედა სართულში... ჭაბუკს, ოჯახში მისვლის შემდეგ, გარკვეული ხნით „მარტო“ ტოვებდნენ გამლილ სუფრასთან... ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, რომ ჭაბუკი არ შეეწუხებინათ. მლოცველი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ოჯახის უფროსი მამაკაცი იყო... რიტუალური პურით გარეთ გავიდოდა და იქ დაილოცებოდა.

„დიდება შენდა, ტარ-ჭაბუკო!
 რასაც ჩვენ ვულოცავთ,
 ტყუილად არ ჩაიაროს ამ ლოცვამ,
 შენ გვიშველე, ჩვენ სახლსაც და
 საქონელსაც,
 სანამ შენი ლოცვა არ დაგვავიწყდეს,
 ნურც შენ დაგვივიწყებ“.

ამგვარი ლოცვა-ვედრების შემდეგ, მიაკაკუნებდნენ კარებზე, რომ წაბუკისათვის გაეგებინებინათ შესვლა ოთახში, სადაც მარჯვენა ფეხს შეაბიჯებდნენ და დაიძახებდნენ: „ჭაბუკ ბედნიერს გაუმარჯოს“. ქუდმოხდილები და დაჩოქილები ლოცულობდნენ; შემდეგ სუფრას მარჯვნიდან მოუვლიდნენ და დასხდებოდნენ“.

მ. ჩართოლანის ცნობით, ბალს ზემო სვანეთში სახლის მფარველი ტარ-ჭაბუკი „ქორჯ მუზირის“ და „ტარის“, ხოლო ბალს ქვემოთ - „ქორჯ ტჯრბეზის“/„ქორა ტჯრბეზის“ (სახლის ტარბეზი/ტარბედი, ანუ ტარ-ბედნიერის) სახელებითაა ცნობილი. მისივე მასალით, ქორჯ ტჯრბეზის სახელობის რიტუალის შესრულების დროს ქალები გარეთ ისტუმრებდნენ მამაკაცებს და თავიანთთვის აცხობდნენ კიხვს (რიტუალურ პურს). პურის მცხობელი (მარბიელი) დაიჩოქებდა და ე. წ. „ქვევით ვედრებას“ (ჩუბავ ლიმზენ) ასრულებდა. კიხვს კერის გარშემო სამჯარ მარჯვნივ შემოატრიალებდა და ფიქალი ქვის მარჯვენა კუთხეში დადებდა; აქაც სამჯერ მარჯვნივ შემოაბრუნებდა და დაილოცებოდა: „ქორა ტარბედ ღმერთო! შენ გვიშველე! საქონელსა და ადამიანს სვე და ბარაქა მოგვახვიე, შენი წყალობა შენს შესაწირად და კაცის სალხინებლად მოგვეცი“. ამის შემდეგ, ქალები მამაკაცებს სახლში მოიწვევდნენ და ოჯახის ყველა წევრისთვის ხაჭაპურებსა და ლემზირებს აცხობდნენ. ამ ლემზირებს

უფროსი მამაკაცი „ავედრებდა ზევით“. მეორე დღეს ქალები, მამაკაცებისა და ბავშვების დაუნახავად, შედიოდნენ ბედელში, სადაც სარიტუალო პური ჰქონდათ შენახული, სხდებოდნენ მიწაზე და კიხვს შეჟამდნენ.

აღდგომიდა მეორე ან მეოთხე დღეს ჭაბუკობას აღნიშნავდნენ რაჭა-ლეჩხუმშიც. ლეჩხუმში ეს სალოცავი მარგვლასთან და მოსავლის დაბინავებასთან იყო დაკავშირებული. საამდღისოდ დიასახლისი გამოაცხობდა ყველიან ან ლობიან ტაბლას (პურს), წაიღებდა ყანაში და ლოცვის („ღმერთო! გაგვიკეთე ნათეს-ნამუშევარი“.) შემდეგ მარგვლას შეუდგებოდა. ლეჩხუმშივე გავრცელებული იყო „მახის კრეფის ჭაბუკობა“, რომელიც პეტრე-პავლობის მომდევნო ორშაბათს, ანუ იმ დღეს აღინიშნებოდა, როცა ქალები დილიდანვე მახის კრეფას იწყებდნენ. საღამოს გამოაცხობდნენ ერთ ნიგვზიან ან მარილიან ტაბლას, დაკლავდნენ და მოხარშავდნენ მამალს და დიასახლისი დაილოცებოდა: „ღმერთო! გაგვიკეთე ჩვენი ნათესი, მოგვაწევინე მახა-პური, ნუ დაგვიბნევ და ბედნიერებაში მოგვახმარე“. ტაბლასა და მამლის ხორცს ოჯახის წევრები შეჟამდნენ.

რაჭაში ჭაბუკობა კვირიკობის პირველ, მეორე და მესამე დღეს აღინიშნებოდა: კლავდნენ მამალს, აცხობდნენ სართვიანებს, რომელთაგან ერთს ჭაბუკობის ბარობაზე შეულოცავდნენ. ოჯახის უფროსი მამაკაცი კალოზე გავიდოდა, თან მამლის შიგნეულსა და თავ-ფეხს წაიღებდა და იქვე დანთებულ ცეცხლში სანთელს ჩააკმევდა. როგორც ფ. გარდაფხაძე აღნიშნავს, ეს დღე ხვავიან მოსავალსა და კალოს ეძღვნება; სამი ჭაბუკობა, სამი ორშაბათი ან სამი ხუთშაბათი ის ვადაა, რომლის განმავლობაში შეიძლება ამ ლოცვის ჩატარება. მასამე

ხუთშაბათის შემდეგ აღარ ლოცულობდნენ.

ლიტ.: ნ. აბაკელია. ჭაბუკი ღვთაების კულტი დასავლეთ საქართველოში („ტარ-ჭაბუკვი“) // ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები. III. თბ., 1988, გვ.129-139; ნ. ბრეგაძე. მემინდვრეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი რაჭა-ლეჩხუმში // მაცნე (ისტორიის სერია), № 2. თბ., 1964, გვ. 128; ფ. გარდაფხაძე. ლეჩხუმური ხალხური დღეობები. 1937 (ხელნაწერი ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში); ფ. გარდაფხაძე. რაჭულ ხალხურ დღეობათა კალენდარი. 1938 (ხელნაწერი ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში); მ. მაკალათია. წყლის კულტთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესწავლისათვის // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XVI-XVII. თბ., 1972, გვ. 299-307; მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1961, გვ.172-201.

ჭადი, მჭადი - სიმინდის ფქვილის ნამცხვარი.

ჭადპურა ხორბლისა და სიმინდის ფქვილის ნარევი, ჭარბობს პურის ფქვილი (*ხევს.*, *ქს. ხეობა*). ფშავში ქერისა და სვილის ფქვილში ურევენ სიმინდის ფქვილს და ისე აცხობენ ჭადპურას. დიდხანს ინახება, ბარაქიანი გამოდის ცხობაში და ობიც გვიან ეკიდება. სვანეთში ხორბლისა და სიმინდის ფქვილს ცერცვსა და ქერსაც ურევენ. მისგან გამომცხვარ პურს „კოკორას“ უწოდებენ. „სათავისოდ“ ხმარობენ, სტუმარს არ აკადრებენ.

ჭალა, ჭალი - აქ: ურმის ხელნებში ჩასმული წვერწამახული პალოები, რომლებზედაც სიმაგრისთვის ჩამოცმულია ზეწრები. ჭალა წარმოადგენს ერთგვარ სამაგრ ზღუდეს, რომლის მეშვეობით ტვირთი ურემზე მაგრდება.

ჭალადიდური ნიში - დიდი ზომის ნავი, რომელიც XX ს. შუა წლებამდე იხმარებოდა რიონსა და ხობზე. ნავის ეკიპაჟი 8-10 კაცისგან შედგებოდა, რომელთაგან ერთი მესაჭე იყო, ერთი ჭოლოკინით ნავის თავში იდგა, ხოლო დანარჩენები ნიჩბებთან ისხდნენ. ამგვარ ნავებს ერთი აფრაც ჰქონდა, მაგრამ მას ნაკლებად იყენებდნენ. ჭალადიდური ნიში 12-15 მ სიგრძის ნავს წარმოადგენდა და იტევდა 200-300 ფუთ ტვირთს. ტერმინი „ნიში“ მეგრული ნისორიდანაა შემოსული, რომელიც თავდაპირველად ერთ ხეში ამოღებულს ნიშნავდა.

ლიტ.: ზ. კუტალიეშვილი, ნაოსნობა საქართველოში, 1987.

ჭანი - დაკოდლი ხარი, რომელიც სქესობრივ მოთხოვნილებას მაინც ამქლავნებს. ფურებს არ ასვენებს, უკან დასდევს, მაგრამ ამაოდ. ასეთივე მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას ქიზიყურ მეტყველებაში (ჭანი – ცვედანი) და ასევეა ახსნილი ვუკ. ბერიძის „სიტყვის კონაში“.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

ჭანჭიკის ხელსახოცი (ხეკს.) - თავისებური სათაურა, რომელიც მანდილზე ადრე გამოიყენებოდა ხევსური ქალის თავსაბურავად. მისი მოხმარება განსაკუთრებული ვარცხნილობით იყო შეპირობებული. ეს იყო ბრტყლად დაკეცილი ბამბის ხელსახოცი, რომლის შუბლის ნაწილი საგანგებოდ ირთვებოდა შალის ფერადი ძაფებითა და მძივ-ღილებით.

ძველად ხევსურეთში ქალები გრძელთმიანები ყოფილან. გაზრდილი თმებისაგან რამდენიმე ნაწნავი - „ნაჭაპნი“ უნდა დაეწნათ. ყურებთან ორ-ორს გრძელს დაიტოვებდნენ, ლოყების გასწვრივ კი სამ-სამს დაახვევდნენ და შუბლთან გადაიჯავრედინებდნენ. ამ ვარცხნილობაზე ჯერ თავშალს - „ჩიქილას“ გადაიფარებდნენ და შემდგომ ხელსახოცით თავზე დაამაგრებდნენ, ისე რომ შუბლთან თმები გამოჩენილიყო და ხელსახოცის მორთული ნაწილიც. ხელსახოცს უკან შეიკრავდნენ და მის ფუნჯებით გაწყობილ ბოლოებს კი მხრებზე გადმოუშვებდნენ. „ჭანჭიკის ხელსახოცს“ უკავშირდება შემდგომში ხევსური ქალის თავსარქველად საკმაოდ ცნობილი „სათაურას“ განვითარების გზა.

ჭაპანი - ღვედისებური, მაგრამ ღვედზე მოკლე, დაწნულია რამდენიმე წვერი თავსმისაგან. გამოიყენება ყვეარი ხარის ჩასაბმელად, მაშინ, როცა გუთანში ან ურემში ერთ უღელ ხარს მეორე უღელს (ყვეარს) უმატებენ, მძიმე ტვირთის აღვილად გასაწევად ჭაპანი უფრო მოხერხებულია. ჭაპნის დასამზადებლად ერთი ხარის ტყავია საჭირო. ლიტ.: გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, 1960.

ჭარიკი - სითხის საზომი ერთეული ფეოდალური ხანის საქართველოში, რომელიც საბა ორბელიანის განმარტებით, შეადგენს ნახევარ კოკას. ქ. წყლის ჭურჭელია გურიამი. ლიტ.: ივ. ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2002.

ჭაფხურ - სვანური საწესო კვერი - მზის სიმბოლო; წარმოადგენდა თხელ, მრგვალ და მრავალქიმიან ლავაშს; აცნობდნენ ბალობის (იხ.) დღეობაზე. ანალოგიურ კვერს, რომელსაც ფარე-

ლები კანდას (იხ.) დღესასწაულზე ამზადებდნენ, მზის ღვთაების სახელი - ქალ-ბაბჭრ - ეწოდებოდა. ახალწელიწადს ოჯახის უფროსი ღია კართან მივიდოდა, კვერს მალა აწევდა და მზის ღვთაების სადიდებელსა და ლოცვა-ვედრებას წარმოთქვამდა. ოჯახის დანარჩენი წევრები ამ დროს საცხოვრებლის წინ მდებარე კალოზე გავიდოდნენ და ქალ-ბაბჭრით მზის მიმოქცევის გამომხატველ მაგიურ მოქმედებას ასრულებდნენ. შემდეგ კვერებს ოჯახის წევრებს შორის გაანაწილებდნენ და შეჭამდნენ. „სხივოსანი მზის სახის კვერის შეჭმა, ალბათ, ვარაუდობდა თეოფანიის გამოხატვას სათაყვანებელი მზის ხატით ზიარების საშუალებით, რაც (თეოფაგია) წარმართულ ხალხებში, როგორც ცნობილია, ღვთაების ძალასთან ზიარების საუკეთესო საშუალებად ითვლებოდა“ (ვ. ბარდაველიძე).

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939, გვ. 130-131; ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ). თბ., 1941, გვ., 100-102; ვ. ბარდაველიძე. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბ., 1953, გვ. 83-84.

ჭამი ეფართხუა - „ჩალის აყრა“ - სამშობიარო ციკლის მეგრული წეს-ჩვეულება. პირველად ამდგარ მელოგინეს, მას შემდეგ, რაც დედამთილი სამჯერ შემოაბრუნებდა და დალოცავდა, ბებია-ქალი (დედფანია) წყლით სავსე ჭიქას დააკავებდა და ეტყოდა: „გემატოს“ (გიძინდას), ამასთან, თეთრეულს გამოუცვლიდა და ლოგინს აუფერთხავდა, რასაც „ჭამი ეფართხუას“ უწოდებდნენ (როგორც ჩანს, წარსულში ქალს ჩალაზე ამშობიარებდნენ). ბებია-ქალი, რომელსაც ოჯახი საგანგე-

ბოდ ამ დღისთვის მომზადებულ ოთხ ყველიან კვერს (ყვალამ კვარი), ერთ ე. წ. შქამი ნერჩს („შუა ფუძე“) - გრძელ ყველიან ღვეზელსა და ერთ სანთელს დაახვედრებდა, მელოგინეს დალოცავდა, ჯანმრთელობასა და გამრავლებას უსურვებდა და ყველიან კოკრებს შეაჭმევდა, დაჭრილ ღვეზელს კი, ოჯახის წევრებთან ერთად, თავადაც შეჭამდა.

გურიაში ლოგინის ადების შემდეგი წესი იყო გავრცელებული: „გამოაცხობდნენ ღომის გულს, შიგ შეურთავდნენ ნიგოზს, ხახვს, ბროწეულს. ბროწეული ბავშვს კარგ ფერს მისცემსო, ხახვი - კარგ ხორცს, ნიგოზი - სიმსუქნისათვის. თუ ხსნილი იყო, ყველსაც შეაყოლებდნენ. დადებდნენ ტაბლას გობზე, შემოუნთებდნენ სამ ღერ სანთელს, ტაბლაზე დადებდნენ ერთ ნაჭერ სქონლის ხორცს, თხის არ შეიძლებოდა. ბებია-ქალი ხელში დაიჭერდა სამ ცალ ნიგოზს და ღომის ჩხოს, დამსწრე ქალთაგან ერთი დაიკავებდა ბოთლით ღვინოს. გობთან ახლოს დასვამდნენ დედას მისი ბავშვით, პირს მიაბრუნებდნენ აღმოსავლეთისაკენ. ბებია-ქალი უვლიდა გარშემო და აგორებდა ნიგოზს და რამდენიმე ადგილს მოხაზავდა ჯვარედინად მიწას, ჯვრის შუა გულზე ამოტივნიდა დანის წვერით მიწას და დამსწრე ქალი ჩაასხამდა შიგ ღვინოს. ბებია-ქალი შიგ ჩაყრიდა ჩხოს და ტაბლიდან მოციცქნილ ფინჩხებს. ასე მეორდებოდა სამჯერ, მერმე წინ, აღმოსავლეთისაკენ წააჩოჩებდნენ გობს და ქალ-ბავშვს. გობზე შემორების დროს ბებია-ქალი ამბობდა: „ნერჩო, ბედნიერო, ნერჩო მშვენიერო, ღვთისაგან ნაბრძანებო, საბედნიეროთ, საკეთილდღეოთ ლოცვა მოგვიხსენებია, მიწა გაგვიჯერებია (სახელი დედის და ბავშვის) საკეთილდღეოთ, საბედნიეროთ, ჯანსაღობა მიეცი, ტანის სიმრთელე, გულის სიმხიარულე, აღმატება წაღმ ყოფნა. იხსენი ყო-

ველი ფათერაკიდან, იხსენი დაავადებისა და ავი საქმისაგან“ (ა. წულაძე). ლოცვის შემდეგ, მელოგინის ლოგინს აფერთხავდნენ (აალაგებდნენ).

ლიტ.: ნ. კაპანაძე. მშობიარობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი სამეგრელოში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXIII. თბ., 1987. გვ., 229-230; ა. წულაძე. ეთნოგრაფიული გურია. თბ., 1971, გვ. 111-112.

ჭახრაკი - ჭაჭის საწბერი მანქანა.

ჭერის მოსარჩულება - ოთახის ჭერში ლამფის გაკვრას „ჭერის მოსარჩულებას“ ეძახიან.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

ჭერის სარჩული - ლამფა, ოთახის ჭერში გაკრული თხლად გარანდული ფიცარი.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

ჭერო-ბედელზე მდგომი ანგელოზი - ჯვარის ჯელოსანთა სადგომი ოთახისა (ჭეროსა) და ჯვარის პურის საცავი ბედლის მცავ-მფარავი სული, რომელსაც უკენ-ჰადუს სანების ჯვარის ხუცესი ახალწლის ღამეს ჯვართ გადიდების მომენტში შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: „ჭერო-ბედელზე მდგომო ანგელოზო, მცავი, მფარავი ხარ სანების ჭერო-ბედელთაი, შენ დაეჭმარი მეკვლეთად ჭერო-ბედელთ დალაჰვისად ნუ შაუსაწყინდები“. გარდა ამისა, არსებობდა საკუთრივ ბედლის სული, ე. წ. თავად ბედლის ანგელოზი, რომელიც მხოლოდ ბედელს პატრონობდა და ბედელში ჩადენილი უწესობისთვის ხატის ყმებს სასტიკად სჯიდა.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია) // მიომხილველი. I. თბ., 1949, გვ. 124.

ჭვნიერობა - საგაზაფხულო ციკლის დღეობა; იხდიდნენ სოფ. ბანძაში (მარტვილის რ-ნი), ახალკვირის ორშაბათს. დღეობაზე ბანძელები მოიწვევდნენ ნათესავებს და სხვა ახლობლებს, რომლებსაც თან ძღვენი მოჰქონდათ. საამდღისოდ ოჯახს რაც უფრო მეტი სტუმარი ეყოლებოდა, მისთვის მით უფრო დიდი პატივი იქნებოდა. დღეობაზე აუცილებლად უნდა მოსულიყვნენ სოფლიდან გათხოვილი ქალები, რომლებსაც ე. წ. „სადაბალო“ (იხ.) ქვევრთან ძმებთან ერთად უნდა ელოცათ და ღმერთსთვის და-ძმური სიყვარულის განმტკიცება და ოჯახის კეთილდღეობა უნდა ეთხოვათ. სადილის შემდეგ, შეზარხოშებული ბანძელები სტუმრებიანად იქვე მდგარი წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მოედანზე შეიკრიბებოდნენ და სიმღერითა და ცეკვა-თამაშით ერთობოდნენ. ნაშუადღევს გაბუნიას გვარის უხუცესი წარმომადგენელი, იქ მყოფთა თანხლებით, წითელი ბურთით ხელში ეკლესიას სამჯერ შემოუვლიდა და სამჯერვე დაილოცებოდა: „წმ. გიორგი, დღეის ჭვნიერობაზე შენ მოგვეცი გამარჯვება, ძალი და ღონე, იყავი ჩვენი ხალხის მფარველი, გაგვიმრავლე ჭირნახული და საქონელი, მტერი დაგვიმარცხე, შენს კარზე მოსულ სტუმარ-მასპინძლებს ლოცვა-ვედრება აუსრულე“. შემდეგ იგი მოედანზე გავიდოდა და ბურთს ორ მოწინააღმდეგე ჯგუფად გაყოფილ მოთამაშეებს შორის მალლა აისროდა. ჯგუფი, რომელიც ლელოს პირველი გაიტანდა, ეკლესიისკენ სიმღერითა და ბუკის დაკვრით გაემართებოდა. მას უკან მიჰყვებოდნენ მეორე ჯგუფი და დღესასწაულის დანარჩენი მონაწილეები, რომლებიც ტა-

ძარს კირილესონის გალობით სამჯერ შემოუვლიდნენ. შემდეგმთელი სოფელი, დიდი და პატარა, ეკლესიის ეზოში მდგარ წინასწარ შერჩეულ ყველაზე დიდ ხესთან შეჩერდებოდა და, გაბუნიასა და კეკელიას გვარის კაცების თაოსნობით, მის ამოგლეჯას შეუდგებოდა: ზოგი ხის წვერზე გავიდოდა, ზოგი ტოტებზე, ზოგიც ხის ტანსა და ფესვებს ჩაებლაუჭებოდა და ცდილობდნენ, რაც შეიძლება სწრაფად მოეგლიჯათ, თან შველას წმ. გიორგის შეთხოვდნენ. მოთხრილ ხეს დიდი ზარ-ზეიმით, კირილესონის გალობითა და ბუკის ყვირილით ეკლესიის გარშემო სამჯერ შემოატარებდნენ და იქვე ააყუდებდნენ. შემდეგ მასზე ასული უხუცესი პარჯვარს გადაწერდა, ხალხს დალოცავდა და წმ. გიორგის მიმართავდა: „წმ. გიორგი, შენ მიეცი ბანძელებს მშვიდობა, დღეგრძელობა და მტერზე გამარჯვება, დაასწარი მრავალ ქვენიერობას ჩვენი სტუმრებითა და მოკეთებებით“. ლოცვის შემდეგ, იგი ქურდებს დაწყევლიდა: „ვინც დღევანდელ დღეს იქურდოს და რაიმე მოჰპაროს სტუმარ-მასპინძლებს და ნაქურდალი არ გამოაჩინოს, წმ. გიორგი ძლიერო, დაჰკარი მას შენი ბოძალი და ოჯახიანად გაანადგურე“. ხალხი დაიძახებდა „ამინ!“ და ხეს მისცვივდებოდა და შინ წასაღებად ტოტებს, როგორც წმინდა ნაწილებს, შეატეხდა (ხეს მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დაწვავდნენ). ბოლოს კვლავ გაიმართებოდა ლელოს თამაში, რომელშიც გამარჯვებულს კარგი წელიწადი დაეებდებოდა.

ლიტ.: ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 370-372.

ჭვილთი - სათევზაო ბარჯი.

ჭვინტი ფეხსაცმლის მოხრილი წვერო, ესთეტიკური სამშვენისი, პირო-

ვნების წარჩინებულობის ერთგვარი გამომხატველი ძველ სამყაროში.

ჭიანური (რაჭ. თუშ. ხევს. გურ.), **ჭუნირი** (სვ.) - ერთ-ერთი არქაული საკრავი ქართულ ინსტრუმენტარიუმში. იგი ყველაზე ცოცხლად სვანეთშია შემონახული. რაჭული ჭიანური ორსიმიანია, სვანური და თუშური - სამიანი. სვანური ჭუნირი კორპუსი (კარვა, საცერი) წარმოადგენს რკალს, რომელსაც თავფიცრის ნაცვლად გადაკრული აქვს მემბრანა - საქონლის ფაშვი და ქვემოდან ღიაა. სახელური ბრტყელია, თავზე გაკეთებული აქვს ნახვრეტები. სიმები (ჯილარ) ძუისაა. ხემი მშვილდისებურია. რაჭაში მთლიანი ხისაგან გამოთლილი კორპუსის მქონე ჭიანურიც გვხვდება, რომელიც ნავისებური ფორმისაა. ზემოდან გადაკრული აქვს ტყავი (რაჭ. შეირა), თავი მომრგვალებულია, ხემი (რაჭ. კაკვი) - მშვილდისებური. სვანური ჭუნირის სიმებს სიმღერის ხმების სახელები აქვთ: კივ (მაღალი ხმა), მაჟოლ (დამწყები), ბან (ბანი).დაკვრის წინ ხემის ძუას გაუსვამენ ფისზე, რომელიც საკრავის კორპუსზე არის წასმული, რათა ხემმა ხრინწიანი ბგერები არ გამოსცეს. ჟღერადობის გასაუმჯობესებლად საკრავს დაკვრის წინ მზეზე ან ცეცხლთან ათბობენ. დაკვრის დროს შემსრულებელს საკრავი მუხლებს შორის ვერტიკალურ მდგომარეობაში უჭირავს. ჭუნირს ფართო ადგილი ეჭირა სარიტუალო პრაქტიკაში. ამ მხრივ აღსანიშნავია სვანეთში დამოწმებული „სულის დაჭერის“ წესი: როცა ვინმე სახლიდან შორს გარდაიცვლებოდა და გვამს სახლში მიიტანდნენ, იწყებოდა ზრუნვა მისი სულის დაბრუნებაზე. ძველი რწმენით, სული რჩება სიკვდილის ადგილას. ნათესავები მოიწვევდნენ ჭუნირის კარგ დამკვრელს, სახლიდან წაიყვანდნენ მამალს და წავიდოდნენ იმ ადგილას, სადაც მათი ნათესავი დაიღუპა. დაიწყებდნენ დაკვრას და

უკრავდნენ მანამ, ვიდრე სულის პოვნის რაიმე ნიშანს არ მიიღებდნენ. ანალოგიური რიტუალი სრულდებოდა რაჭაში ზვავით გატანილის სულის მოსაძებნად და სახლში დასაბრუნებლად. ხემიანი საკრავის კავშირი მიცვალებულის კულტთან მის სიძველეზე მეტყველებს.

ლიტ.: მ. შილაკაძე, ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, 1970. ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1938.

ჭიბონი, თულუმი - მუსიკალური საკრავი, გუდასტვირის ნაირსახეობა. გავრცელებული იყო აჭარაში, მესხეთში, ლაზეთსა და შავშეთ-იმერხევში. სახელწოდება „თულუმი“ თურქულია. წერილობითი წყაროების საფუძველზე ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობდა ამ საკრავის გავრცელებას საქართველოში ჭიბონი // ჭიმონის სახელწოდებით. აჭარული ჭიბონის გუდა თხის (იშვიათად ცხვრის) ტყავისაა. ითვლება, რომ თხის ტყავი ადვილი დასამუშავებელია და დიდხანსაც ძლებს (10-15 წელიწადს). გუდას ბეწვიანი მხარე შიგნით აქვს. გუდის უკანა კიდურები და ყელი მაგრად არის შეკრული, ისე, რომ ჰაერი არ გამოვიდეს. ყელის ადგილზე „სილამაზისათვის“ ჩადგმულია სარკე. ერთ-ერთ წინა კიდურში იდგმება საბერავი, საიდანაც ივსება ჰაერით გუდა. საბერავი მზადდება დიდგულისაგან, იშვიათად წიფლის ან ნაძვისაგან და უკეთდება სატუჩე. საბერავს გუდაში ჩამაგრებული ნაწილის ბოლოს მილთან მიმაგრებული აქვს მეში - ტყავის პატარა ნაჭერი, რომელიც გუდაში ჩასულ ჰაერს უკან აღარ ატარებს (რაჭაში ჰქვია „პეპელა“). ჭიბონის ხის ნაწილი ე.წ. „ნავი“ (რაჭაში „სტვირის ბუდე“) მზადდება ლეკის, თხმელის, ცაცხვის ან კაკლისაგან. ნავის სიგრძეა 20-25 სმ. მასში ჩასმულია დედნები, ორი

ლერწმის მილი, რომელზედაც გაკეთებულია ნახვრეტები. ხმის დასარეგულირებლად ბანის დედანზე ნახვრეტს საჭიროების შემთხვევაში სანთლით ამოლესავენ. დედნებში ჩასმულია ლერწმის ორი პატარა მილაკი. ჭიბონი საკმაოდ პოპულარული საკრავი იყო. პროფესიონალი მეჭიბონეები სასურველი სტუმრები იყვნენ ქორწილში, წვეულებებსა და ხალხურ დღესასწაულებზე. თუ ორი ან მეტი მეჭიბონე ერთად აღმოჩნდებოდა, მათ შორის შეჯიბრიც იმართებოდა. ქორწილში მიღებული იყო მეჭიბონისათვის გასამრჯელოს მიცემა - დამკვრელის წინ დაფენილ „მანდილზე“ ფულის დადება. იყო შემთხვევები, როცა მეჭიბონეს ოჯახი წინასწარ საგანგებოდ იწვევდა და გასამრჯელოსაც აძლევდა. მეჭიბონეები ნახევრად პროფესიონალები იყვნენ. ჭიბონი იშვიათად სიმღერის თანმხლებიც იყო. აჭარაში გავრცელებული წესით, მეჭიბონე უკრავდა და სიმღერას სხვა ასრულებდა (განსხვავებით რაჭულისაგან, სადაც მესტვირე თავად მღერის). არც ის იყო უჩვეულო, როცა მეჭიბონე ერთდროულად უკრავდა, მღეროდა და ცეკვავდა.

ლიტ.: ვ. ახობაძე, ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერები, ბათუმი, 1961.

ჭიგო, ჭიგვა, ჭიღვა, ჭირღვა - ვაზის შესადგმელი პატარა სარი. თუ სარს საგანგებო ხეებისგან ამზადებდნენ (მუხა, წაბლი, ეკალი), ჭიგო ყველა ხისგან შეიძლება დამზადდეს (კოპიტი, რცხილა, იფანი). ზოგჯერ იგი არაა გათლილი და ამ ხეთა ტოტს წარმოადგენს. თითო ვაზს, ისე როგორც სარს, თითო ჭიგოს შეუდგამენ. ჭიგოს უფრო ახალშენი ვენახებისთვის ხმარობენ.

ჭიის ზიარება - აბრეშუმის ხვავიანი მოსავლის დასაბევებელი კახური რი-

ტუალი; სრულდებოდა ამაღლება სა-
დამოს. დახუნძლულ ტყემლის ტოტს,
აბრეშუმას (ბალახია), ნიორს, ვარდს,
ღვინოს ან ძმარს, პურსა და დიდ ქვას
მოიტანდნენ; ღვინოს, პურსა და ვარდს
ერთმანეთში აურევდნენ და ლასტებს
გადაასხურებდნენ, ხოლო ტყემლის
ტოტს, ნიორს, აბრეშუმას და დიდ ქვას
ერთად შეკრავდნენ ხარლით და ან ლა-
სტზე დადებდნენ, ან საჭიეს კარებზე
ჩამოკიდებდნენ. რიტუალი შემდეგი სი-
ტყვებით სრულდებოდა: „რამდენი გირ-
ვანქა ეს ქვა გამოვა, იმდენი ფუთი აბრე-
შუმი გამოდი; ღვინის სიმაგრე აბრეშუმი
მოგვეცი, ქვის ტოლი პარკი, ტყემლის
ტოტივით დახუნძლე პარკი, ნიორივით
ხშირად გააკეთე პარკი, ისეთი სასიამო-
ვნო და კარგი პარკი გააკეთე, როგორც
აბრეშუმა და ვარდია“.

ლიტ.: ნ. აბესაძე. მებაბრეშუმე-
ობა საქართველოში. თბ., 1957.

ჭიკუ - ჯაჭვის პერანგის შემადგენელი
რგოლი. ჭიკუ შეიძლება ყოფილიყო რკი-
ნის ან ფოლადის, ჭიკუს თავების შეკვრის
წესის მიხედვით განასხვავებენ ჯაჭვის პე-
რანგის ტიპებს (იხ. ჯაჭვის პერანგი).

ჭილობი, ჭილოფი - ჭილისგან მოქ-
სოვილი საფენი, გამოიყენებდნენ და-
საგებად, საფენად, საწოლად, წნავდნენ
სხვადასხვა სახის სამეურნეო ნივთებს.

ჭინჭილა - ღვინის სასმისი. მზად-
დებოდა როგორც თიხისგან, ასევე ხის-
განაც (ბზა, კაკალი, ძელქვა). მუცლიანი
და ყელიანი პატარა სასმისია. შავ ფო-
რმებში გამოთლის შემდეგ მუცელს ძი-
რიდან შეყვებიან და გამოიღებენ პატარა
ხვეწებით, შემდეგ ყელს გახურებული
შანთით ჩახვრეტენ და ძირში ხეს გამო-
უყენებენ. თიხის ჭინჭილები გვხვდება
როგორც მოჭიქული, ასევე მოუჭიქავიც.
აქვთ თითის გასაყრელი სახელური -

ყური. ჩარხზე გამოთლილი ხის ჭინჭი-
ლები ერთობ ლამაზი შეხედულებისაა.
თავისი კოპწია მუცლებითა და ლამაზად
გამოყვანილი სატუჩეთი. ღვინოს ძუნწად
აწვდის და ღვინოს მოწყურებულ ადამი-
ანს სმის სიამოვნებას უხანგრძლივებს.
ჭინჭილა - ღვინის სასმისი. მზადდებოდა
როგორც თიხისგან, ასევე ხისგანაც (ბზა,
კაკალი, ძელქვა). მუცლიანი და ყელიანი
პატარა სასმისია. შავ ფორმებში გამოთ-
ლის შემდეგ მუცელს ძირიდან შეყვებიან
და გამოიღებენ პატარა ხვეწებით, შემდეგ
ყელს გახურებული შანთით ჩახვრეტენ
და ძირში ხეს გამოუყენებენ. თიხის ჭინჭი-
ლები გვხვდება როგორც მოჭიქული, ასევე
მოუჭიქავიც. აქვთ თითის გასაყრელი სა-
ხელური - ყური. ჩარხზე გამოთლილი ხის
ჭინჭილები ერთობ ლამაზი შეხედულები-
საა. თავისი კოპწია მუცლებითა და ლა-
მაზად გამოყვანილი სატუჩეთი. ღვინოს
ძუნწად აწვდის და ღვინოს მოწყურებულ
ადამიანს სმის სიამოვნებას უხანგრძლი-
ვებს.

ლიტ.: ქართული მატერია-
ლური კულტურის ეთნოგრაფი-
ული ლექსიკონი. თბ., 2011.

ჭირის წყენა - მისამძიმრების ხევ-
სურული წესი. მიუხედავად იმისა, რომ
ტრადიცია ხევსურ მამაკაცებს მიცვა-
ლებულთან მიახლოებას უკრძალავდა,
ზოგი მათგანი ჭირისპატრონის ხათრით
მკვდრისკენ მაინც მიიწევდა, მაგრამ გა-
რდაცვლილის სახლის კართან მდგომი
ერთ-ერთი ნათესავთაგანი მათ შიგნით
არ უშვებდა. მამაკაცები ბანზე ან ეზოში
რჩებოდნენ, იქ, სადაც ოჯახის უფროსი
მამაკაცი იჯდა. იგი სამძიმარზე მოსუ-
ლებს ფეხზე მდგომი და თავდახრილი
ხვდებოდა; მოსულებიც მწუხარების ნიშ-
ნად თავდაზრილნი „ჭირს უწყენდნენ“.
მისამძიმრების დროს მხარეებს შორის
შემდეგი სახის დიალოგი იმართებოდა:

ჭირისმწყენელი: ვერ გეძნ ჩემ თავი, სანამ ეგეთას გნახევდი...

ჭირისუფალი: შენის მტრისაი-დ ღუმშინისაი.

ჭირისმწყენელი: ბრალი ას, დიდის ღმერთის წყენაი ას, რომ შენ გულ სწუხდებოდას, შენ ძმა (შვილი) გაკლდებოდას, ჩემ კვალ კაცი მზეს იარებოდას, სიტყვას გეტყოდას.

ჭირისუფალი: ბრალ აისეთაისაი, რომ თქვენ დაგითმავისთ, თქვენ მაგკვდომივათ, მავშჩებით შიმშილ-წყურვილს, ბეცაობას...

ჭირისმწყენელი: სიბეჩავე კი არაჩი გეკადრებისთაა-დ არც გეჭირებისთ: დედან სადეღუფლონი ხართ, მამან საბატონონი, კა მთა-ბარ დაგცდებისთ, კა ცხენ-ი-არაღი, კა მაკეთეი.

ჭირისუფალი: მზე დაგცდების კაცთ სწორი-დ კაის მაკეთის თავი. ჩვენ სიკვდილ მასალოცავი ას, დასამადლები ას: მახვეითავ, მაისვენეთავ, გაჭირებას, სიღარიბეს, სიბეჩავეს მაშჩითავ.

ჭირისმწყენელი: ვისაც შენდ გაესვენებოდას, ღმერთმ შინით ნუ დაუღივას თავისად, ვისაც თავის და-ძმისავით რო აისრ არ სწყინდას, ყველაისად გამასადეგნი ხართ: ძმისანი, მამიძმისანი, თემისანი, სოფლისანი; მტრისანი გაჯავრენი ხართ, მაკეთისან გამლაღენი.

ჭირისუფალი: ღმერთმა საწყენ ნურა მიმიცას თქვენს თავს, ზიანი. თქვენ რო სიტყვას იტყვით, ჩვენ არც მთელნი ორთიმის ფასნი-დ არც მკვდარნი.

ჭირისმწყენელი: ღმერთმა შენ გულ კაით გაკურნას, ღმერთმა მარხე ნუღარა მაგცას; ავი-დ მარხეი, კაით დაგაცილას. ზედამრჩოთ ღმერთმ ჯვარ დაგწერასთ.

ჭირისუფალი: რაის კაისად ორთ, მთელნიცად მკვდარნიც ბეჩაობისად ორთ. სრუაც არ ას ასატეხ ჩვენ სიკვდილი.

ამ მთელი ხევსურეთისათვის ტიპური დიალოგის დასრულების შემდეგ, სამძიმარზე მოსული მამაკაცები ჭირისუფალს მოშორდებოდნენ და იქვე ახლოს წინასწარ გამოზადებულ ფიცრებზე და ძელებზე დასხდებოდნენ.

ლიტ.: მ. ბალიაური, ნ მაკალათია. მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940, გვ. 5-6.

ჭირკოტიანი - ვინც ხშირად ავადმყოფობს, ჩივის, წუწუნებს თავის ჯანმრთელობაზე და „ხიზიმიზიანობს“, იტყვიან, ჭირკოტიანიო... საბას აქვს „ჭირკოდილა“. ჭირკოდილას საბას განმარტებით ეძახიან ბავშვს, რომელიც ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გამოკეთდება. ქიზიყური მეტყველებით ჭირკოდალა ის არის, „კოდილა“-ს მნიშვნელობის დაზუსტება ხერხდება დ. ჩუბინაშვილის „კოდილობა“-ს მეშვეობით: „კოდილობა, დაკოდილობა“. ქართულში ამ სიტყვის არსებობა დ. ჩუბინაშვილს დამოწმებული აქვს „ქილილა და დამანას“ ტექსტის მითითებით (ქილ. 211). „კოდილა“ კოდილობას კნინობითი უნდა იყოს. „ჭირ“-ის დართვით „კოდილა“ (ჭირკოდილა), ჭირით, ავადმყოფობით დაკოდილს უნდა ნიშნავდეს გადატანით, რადგან ამ კომპოზიციის ორივე შემადგენელი ნაწილი – ჭირი-ც და კოდილა-ც შეცვლილი მნიშვნელობით არის ნახმარი: ჭირი ნიშნავს საერთოდ ავადმყოფობას, ხოლო კოდილა დაავადებულს. ასევე უნდა ითქვას თვალაღური ჭირკოტიანის გამოც, რაც ჭირკოდილას ნაირსახეობა ჩანს.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

ჭირნილი - დაჭედლილი ლაზური ნავი სათევზაოდ.

ჭიფხუ (მეგრ.) - მატყლისგან დაგრეხილი თოკი, რომელსაც ფხვიერი მასისგან დანაყულ საღებავში ამოავლებენ და სანავე ფიცრის სწორად გახაზვაში იყენებდნენ.

ჭიქური - თიხის ჭურჭლის შესაღებად განკუთვნილი ნივთიერება - ტყვიის, კალის, თაგვმარილას, შუშისა და შავი ქვის (მარგანცის) ნაერთი. მოჭიქული ჭურჭელი ორჯერ გამოიწვის. პირველ გამოწვას „წითლად დაწვას“ ეძახიან, მეორედ კი - „ქამანურად დაწვას“. საქართველოში მოჭიქული ჭურჭლით სახელგანთქმულია კახეთი, ქართლი, იმერეთი. ჭიქურით ძირითადად წვრილი ჭურჭელი იღებება, მსხვილი ჭურჭლიდან კი 3-5-ხელადიანი ჩაფურა-გოზაურები და ქილები. მოჭიქულ ჭურჭელს ხალხი მოკალულ, ჩინურ, ქამანურ, წამალგადასმულ და ინგლისურ ჭურჭელს უწოდებს. სამეცნიერო ლიტერატურაში უპირატესობა მონიჭებული აქვს ტერმინ „მოჭიქულ ჭურჭელს“, რაც განპირობებულია ჭურჭლის მოჭიქვის ტექნოლოგიური შინაარსით - საჭიქურე „წამალში“ საკუთრივ ჭიქა (მინა, ბროლი) 50%-ზე მეტია. ჭიქურის მისაღებად მეჭურჭლენი კალამოჭარბებულ ჭიქურის კაზმს ხმარობდნენ და მოკალულ ჭურჭელსაც ამ ნიშნის მიხედვით უწოდებდნენ. ტერმინი - „ჩინური“ და „ქამანური“ ჩინეთიდან და სპარსეთიდან შემოტანილი მაღალი წოდების წრეებში ხმარებული ჭურჭლის მიმსგავსებითაა განპირობებული. „წამალგადასმული ჭურჭელი“ მეჭურჭლეთა მიერ მისადაგებული სახელწოდებაა, რადგან ისინი ჭიქურის კაზმს „წამალს“ ეძახიან. ტერმინი „ინგლისური ჭურჭელი“ დაკავშირებული უნდა იყოს ჭურჭლის „განგლესა“, „განგოზვასთან“. საოჯახო ყოფაში მოჭიქული ჭურჭელი გამოიყე-

ნება მწნილეულის, ყველის, მურაბების, გაწურული დოსა და მაწვნის, მუჟუჟის და სხვა პროდუქტების შესანახად. სადა ჭიქურით უმეტესად ქოთან-ქილები და ჯამ-ლანგრები მზადდება, რომლებიც ყოველთვის შიგნიდან და გარედანაა მოჭიქული, სითხის დასაყენებელ-შესასმელი ჭურჭლები გარემოჭიქულობით მშვენდებოდა და მეტწილად თეთრ ჭიქურს ქვეშ მწვანედაა მოხატული. წითლად გამომწვარი ჭურჭელი ჯერ თოგალით (იხ.) დაჭრელდება და შემდეგ მოჭიქურდება. ჭიქურის კაზმის ანუ წამლის შემადგენელი ნივთიერებანი ტყვია, კალა, თოგალი და თაგვმარილა ჯერ ცალ-ცალკე უნდა შემზადდეს-დაიწვას, შუშა და კვარციანი მიწა კი უნდა დაინაყოს და გაიცრას, შემდეგ სათანადო პროპორციით ერთმანეთში აირიოს და ხელის ან წყლით მბრუნავ წამლის წისქვილზე (იხ. წამლის წისქვილი) დაიფქვას. ხალხური ჭიქური მდიდარი ფერებით გამოირჩევა: ცისფრად ან მწვანედ მოჭიქული ჭურჭელი უმეტესად სადა - მოუხატავია, თეთრად, ნაცრისფრად და ყვითლად მოჭიქული კი თითქმის ყოველთვის თოგალითაა მოხატული, ჭურჭელზე ხატავენ: კლავნილს, კორკორას, კუნუბებს, დილაკებს, მცენარეებს, ბადიებსა და ლანგრებზე ფრინველთა და ცხოველთა გამოსახულებებს. ჭურჭელთა უმეტესობა გეომეტრიული ორნამენტებითაა დაფარული. მოხატული ჭურჭელი სწრაფად შრება და მაშინვე იწყება მისი მოჭიქვა. ჭურჭლის მოჭიქვა ხდება ჭიქურის შემოსხმით მის გარე ზედაპირზე. ჭურჭელი უჭირავთ მარცხენა ხელით თავდაყირა, თაღარიდან ჯამით ამოდებულ ჭიქურს ხელოსანი მარჯვენა ხელით შემოასხამს ან ჩაასხამს ჭურჭელში. ჭიქურში გავლებული ჭურჭელი მაშინვე ეწყობა ქურაში. ჭიქურით იმოსებოდა არა მხოლოდ ჭურჭელი, არამედ სამშენებლო მასალებიც (მაგ., კრამიტი, კარნიზი, ფილა და ა.შ.). მოჭიქული ჭურჭელი საქართველოში

ადმოჩენილია სამთავროში, ბაგინეთში, არმაზისხევის სამაროვანში, რაც მიუთითებს საქართველოში მოჭიქული ჭურჭლის წარმოების უძველეს ტრადიციებზე.

ლიტ.: ს. ბედუკიძე, მოჭიქული ჭურჭლის წარმოებისათვის შიდა ქართლში, მმტXIX-A XXI-B, 1957.

ჭიშკარი - ტრადიციული ქართული საცხოვრებელი ეზო - კარის შესასვლელი, სხვადასხვა ტიპის და მასალისგან აგებული ნაგებობა. არსებობდა ტიპური ჭიშკრების მარტივი და რთული ფორმები. მარტივი ჭიშკარი პატარაა, რთული ჭიშკრები დიდი და ხუროთმოძღვრულ ყაიდაზე შესრულებული. ჭიშკრებში მთავარი ფუნქცია კისრება ცენტრალურ, წინა ეზოს შესასვლელ ჭიშკარს და ვხვდებით როგორც გადახურულ, ასევე გადაუხურავს. გადახურული ჭიშკრების უმეტესობა ორქანობიანია და დახურულია კრამიტით ან ყავრით. ზოგჯერ ჭიშკრების სახურავქვეშ აწყობდნენ სხვადასხვა სამეურნეო სათავსს. ჭიშკრის მასალად გამოყენებული იყო ხე, ქვა, რკინა. განსაკუთრებით საინტერესოა ხის ჭიშკრები, თავიანთი ხარატული სამშენისებითა და ანთროპომორფული და ზოომორფული მოტივებით. დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული ქვის სვეტებიანი ჭიშკრები. ერთ ჭიშკარში განთავსებული იყო სამი სვეტი, რომლებიც ქმნიდნენ ორ გასასვლელს, ერთს - პატარას - ადამიანთათვის და მეორეს დიდს - ტრანსპორტისათვის. ქვის სვეტების შემკულობაში დიდი ადგილი უჭირავს სხვადასხვა ტიპის ორნამენტებს, სიცოცხლის ხეს, ვაზს, ირმისა და ლომის გამოსახულებებს, წარწერებს და ა.შ. ქვის სვეტებიანი ჭიშკრები ოჯახის შეძლებაზე მიანიშნებდა. ასეთი მიდგომა აპირობებდა ხელოსნური დონის ამალლებას და მაღლა სწევდა მის ფასს.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხურობა იმერეთში, 2001.

ჭიჭი (ხევს.), ჩამა (ფშ), წვერის თხლე (თუშ.) - ლუდის უცეცხლოდ ასაღებელი საფუარი, პირველი ადუღებისას ლუდზე წამოსული ქაფი, ერთგვარი ღურღო, რომელსაც მოხდიან ქაფქირით (მოქაფავენ), ქატოსთან ერთად შეზელენ, გაახმობენ და შეინახავენ მომავლისათვის. სისწვენის ლუდებისათვის ამ მასას გამთბარ სისწვენში, ცალკე ჭურჭელში გახსნიან და მისცემენ კოდებში საფუებლად გამზადებულ გაფილტრულ სალუდე მასას (ზისწვენს, სისწვენს).

ჭიჭნახუხტი - ძველ ქართულში აღნიშნავდა აბრეშუმს. მოგვიანებით შეცვალა სპარსული ენიდან შემოსულმა „აბრეშუმმა“. ტერმინი გვხვდება V საუკუნიდან.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2002.

ჭკდის ამაგდება - დამნაშავეს მიერ ფიცის დადების ხევსურული წესი: ახლობლის შეურაცხყოფაში, ჩხუბში ან სახვარაიმე წვრილმან დანაშაულში მხილებული პირი პატარა ჯოხს აიღებდა, დანით ჭდეს გაუკეთებდა და იტყოდა: „ასე ამოვარდას ჩემობა, თუ მე აწიდგე ესიდ ჩავიდინ“, შემდეგ ნაჭდევიან ჯოხს ჯვარში წმინდა ადგილზე დააგდება. ჭკდის ამაგდება ძლიერი ფიცი იყო; სწამდათ, რომ მისგან გადახვევა ოჯახის ამოწყდომას მოასწავებდა.

ლიტ.: ალ. ოჩიაური. ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. ხევსურეთი (არხოტის თემი). თბ., 1988, გვ. 102.

ჭკიდიმ გინოტახუა (მეგრ. მჭადის გადატეხვა) - მეგრული საახალწლო წეს-ჩვეულება, რომელსაც თ. სახოკია შემდეგნაირად აღწერს: „საკალანდო ტაბაჯზე საჭმელი უხვადაა. საჭმელთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს „ბა-

სილას“ ანუ წმ. ბასილის სახელობაზე სიმინდის ფქვილისაგან გამომცხვარ მჭადს. ეს მჭადი ჩვეულებრივ მჭადზე უფრო მეტია სიდიდით. გულად აქვს წვრილად დაჭრილი ზურგის ქონი ღორისა, მარილითა მსხვილად დანაყილ ნიგვზით შეზავებული. ბასილა ტაბაკზე ჩვეულებრივ გამოჩნდება შუა სადილობისას, მაგრამ სანამ მის ჭამას შეუდგებოდნენ, უნდა გადასტეხონ. ეს გადატეხვა ასე ხდება: კერიდან „ბასილას“ რომ გამოიღებენ. სდებენ ცეცხლზე დადებულ დედა-შეშაზე. მის ერთ ნახევარზე ხელს დაავლებს მამრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო მეორე ნახევარზე წარმომადგენელი მდედრობითი სქესისა. მაგრამ როცა ოჯახში მამრობითის სქესის წარმომადგენელი არავინაა, მამრის როლს ასრულებს ქალი, მხოლოდ თავის მოწინააღმდეგე ქალს წინდაწინ უნდა უთხრას: „ მე - მამაკაცი (ვიქნები), შენ - დედაკაცი“. ამის შემდეგ ორივე მხარე ცდილობს ერთად გადატეხონ ბასილა. ამ გადატეხვის დროს თითოეული გადამტეხელი ვაჟი და ქალი ცდილობს უფრო მეტი წილი იმას ერგოს. მაშასადამე მჯობნელად ის ითვლება, ვინც ნახევარზე მეტს თავისკენ წამოიღებს. ამ ჯობნა-დამარცხებით შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ, თუ მომავალი წელიწადი რამდენად მოსავლიანი იქნება. თუ აჯობა მამაკაცმა - ამ წელიწადს სამამაკაცო საქმე ზღვად გასკდება: სიმინდი, ღვინო ბევრი მოვა, ხოლო თუ ქალმა გაიმარჯვა, უნდა მოველოდეთ „საქალო საქმის“ გამარჯვებას: უხვი მოსავალი იქნება აბრეშუმის პარკებისა, შინაური ფრინველი გამრავლდება, საჩოხე შალებს ბევრს მოქსოვენ ქალები და სხვადასხვა. ზოგნი, ბასილას რომ გასტეხენ, სახლიდან გამოვარდებიან და ეცდებიან პირველად შემოვიდნენ სახლის მოწინააღმდეგე კარიდან. გამარჯვებული იქნება ის, ვინც პირველი შემოვა სახლში. ეს

ჩვეულება სხვანაირადაც სრულდება. ბასილას სდებენ ბუკზე, ხოლო ცეცხლზე დაიჭერენ თხილის ჯოხს. ამ ჯოხის ერთი თავი მამრობითი სქესისას უჭირავს, ხოლო მეორე თავი - მდედრობითისას. როცა ჯოხის შუა ნაწილი გაიწვება და თითოეულს მისი თითო ნახევარი შერჩება, ამ ნაწილებით გარეთ გამოვრდებიან და ცდილობენ სახლში მეორე კარიდან პირველი შემოვიდნენ. შემოვა თუ არა, მივარდება ბასილას, დიდ ნაწილს მოსტეხს და ამნაირად გამარჯვება იმას დარჩება“. სამეგრელოს რიგ რაიონში (ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ხობი), სადაც ჯოხის (მას გველის ტაბუირებული სახელი - შურდინაფილი - „სულდაკარგული“ - ჰქვია) ნახევრებს ეზოს გარეთ აგდებენ, ამ საახალწლო შეჯიბრს „სულდაკარგულის გადაგდებას“ (შურდინაფილიმ გინოთამა) უწოდებენ (იხ. ავტორის სავალე რვეული № 21, გვ. 17-19).

მეგრული „მჭადის გადატეხვისა“ და „სულდაკარგულის გადაგდების“ დიდად ტრანსფორმირებულ წეს-ჩვეულებაში სვანური ჯულის (იხ.) რიტუალის მკრთალი ანარეკლი გამოსჭვივის.

ლიტ.: თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1956, გვ. 48-49; И. Кобалия. Из мифической Колхиды // СМОМПК. № 32. Тф., 1903. გვ. 95.

ჭინკა - ავსული ქართულ მითოლოგიაში. 3-4 წლის ბავშვისოდენა ჭინკები ცხოვრობენ გამოქვაბულში და ხევებში; ქვეყნად 15 ღვინობისთვის ღამეს მოდიან და 7 გიორგობის თვემდე რჩებიან (იხ. „ჭინკობა“); იჭერენ ადამიანებს, განსაკუთრებით ბავშვებს.

ლიტ.: კ. მაღრაძე. ჭინკობა იმერეთში // ივერია. 1886, № 227; Кавказ. 1857, № 59.

ჭინკობა - ჭინკების მოსვლის დრო (15 ღვინობისთვიდან 7 გიორგობის თვემდე) იმერეთში. „ჭინკის მოსვლის დროს წვიმა მოვა ხოლმე და მაშინ იტყვიან: „ჭინკა წვიმით ჩამოვიდაო“; თუ მოსვლისას არ მოვიდა წვიმა, წასვლისას მაინც იწვიმებს. ჭინკის მოსვლის დამეს ყველაფერი უნდა „მოჭინკო“: აიღებენ პატარა ქვას, ანუ თიხის ნატენს, გაფხაჭენ ზედ ჯვარედინად, მერე ამ ქვას ანუ თიხას ერთს ჭურის თავებზე გადააგდებენ ან ბოსელში შეაგდებენ, ზოგს ტანისამოსზე დაადებენ: „წმინდა გიორგის ბეჭეღია“. 15 ღვინობისთვიდან 7 გიორგობის თვემდე თუ დაიბადა ვინმე, გიორგი ან მარიამი უნდა დაარქვან. ამ სახელებისა ჭინკას ეშინია. ჭინკას ძალიან უყვარს ცხენთან თამაში. 7 გიორგობის დღეს, მთავარ-ანგელოზობის წინა დამეს, მოვა მიქელ-გაბრიელი მთავარ-ანგელოზი, „შეჰკრავს, შეჰბოჭავს“ ყველა ჭინკებს ერთად და გადაყრის წყალში. ამას ხალხი ეძახის „მოფირჩხა“, ე. ი. ფარჩხი მოუსვა და გადაჰყარა წყალშიო“.

ლიტ.: კ. მადრაძე. ჭინკობა იმერეთში // ივერია. 1886, № 227.

ჭობოსანი, ჭოპოსანი - რკინის, ხისტარიანი იარაღი, იხმარებოდა ნაკეთობის გასასუფთავებლად. ქლიბისებურია, „ტანზე კბილები აყრია“.

ჭოგრიტი - ღურბინდის ადრეული ტექნიკური ნაირსახეობა. გამადიდებელი ლინზების მეშვეობით ახლოს მოაქვს საგნები. აქვს მხოლოდ ერთი გასახედი. აქტიურად გამოიყენებოდა საბრძოლო და საზღვაო პერიპეტიებისას. სანუკვარ საგანს წარმოადგენდა სვანი მონადირეებისათვის.

ჭოდი -- წითელყურძნიანი ვაზის ჯიში, მაღლარების სახით ხულოს რაიონში იყო გავრცელებული. მის მოსავალს ადგილობრივი მოსახლეობა ყურძნად იყენებდა.

ჭოთი - ბამბის ძაფით ნაქსოვი ქსოვილი, სიმაგრისათვის პურის ფქვილის ფაფით იყო გახამებული. ხმარობდნენ ლეიბების გადასაპირავად. დაჩითული ჭოთით ქალის კაბებიც იკერებოდა.

ჭონი - ბეწვეულის „მკერვალი“, მექედე. ჭონების ამქრული გაერთიანებები არსებობდა საქართველოს ქალაქებში და მათ ჰქონდათ თავიანთი ამქარი მისთვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტი.

ლიტ.: მენტეშაშვილი სტ., ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

ჭონია, კვარტუა - მოკლე ჩოხა. მამაკაცის სამოსელის კომპლექტის - „ჩაქურას“ ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი. მასალად გამოიყენებოდა შავი, წითელი, ყავისფერი, ცისფერი შინაქსოვი შალი, ასევე მაუდი და ატლასი, სარჩულად უდებდნენ ბამბის ქსოვილებსაც. ჰქონდა: წინა კალთები, საგულე, ზურგი, ანუ მხარი, სახელოები-სამკლავე, მაჯები, სამასრე ჯიბეები, გულთათები (გურია).წინგახსნილი ზედატანი წელზე იყო მოყვანილი. დასამკუთხებული გულისპირის კალთები გვერდებში თითო ხელის დადებაზე იყო შეხსნილი. გულისპირზე დაკრებულ გულთათებში ხშირად ხისთავიანი მასრები ეწყობო, წარჩინებულთ კი სპილოს ძვლისა, ან ვერცხლით მოჭედილი და სევადიანი. მაჯები და ზურგი ხშირად ორპირი ქსოვილისა იყო, ზოგჯერ სახელოებს იდაყვის ქვემოთა ნაწილზე მეში ჰქონდა წაკრებული. კალთა-სახელოთა ნაპირები ყაითანშემოვლებული და ზოგჯერ სირმითაც იყო დამშვენებული. ჩოხას იკერავდნენ აბრეშუმის ძაფის ღილ-კილოებით ან ყინჩების მიერ დამზადებული ლითონის (თითბერი, ვერცხლი) ღილებითაც. კალთების ბოლოზე ეკერათ შალის ძაფის დაგრეხილი ზონარი, რომელსაც უკან შემოტარებით წინ შეიკრავდნენ. ჭონიაზე

ერტყათ სამფერი აბრეშუმის გრძელი და განიერი „თოლაბუსის სარტყელი“.

ჭონკანამაი (ფერ. „ლამაზიჭინკა“) - ნადირთმწყემსი ფერეიდნელ ქართველთა მითოლოგიაში. ფერეიდნელთა წარმოდგენით, ჭონკა ნამაი ზოომორფული სახისაა, ნადირთაგან (გარე თხებისგან) სილამაზით გამოირჩევა: მუბლზე თეთრი ხალი აზის, მოსავს ხალეებიანი ბეწვი და ამკობს არაჩვეულებრივად დაგრეხილი რქები. მონადირეს, რომელიც მას ვერ შეიცივებს და ესვრის, თუნდაც ვერ მოკლას, გარდაუვალი სიკვდილი ელოდება.

ლიტ.: გ. გოცირიძე... // ისტორიულ-ეთნოგრაფიული მტუდები. 1982.

ჭრაქი - გასანათებელი, სანათი. ამზადებდნენ ცეცხლგამძლე მასალისგან: თიხა, ლითონი და იშვიათად, მინა. შედგება საკუთრივ ჭურჭლისაგან, რომელშიც საწვავს - ქონს, ზეთს ან ნავთს ასხამდნენ და პატრუქისგან, რომელსაც ცეცხლს უკიდებდნენ. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ჭრაქებიდან ყველაზე ადრეულია რიონის ქვემო წელზე აღმოჩენილი თიხის ჭრაქები (ძვ.წ. VI-V სს.). ისინი პატარა ჯამის ფორმისაა, მოუჭიქავია, უსახელურო და სახმარად პრაქტიკული. შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელდა მოუხატავი, ჭიქურით შემკული ჭრაქები. თბილისის კერამიკული სახელოსნოს გათხრებმა გამოავლინა ნიჟარისებური, შიგნით სამმხრივად გვერდებჩაკეცილი, ბრტყელძირა ჭრაქები, გვერდებს შორის პატარა საპატრუქეთი და მოპირდაპირე მხარეს - სახელურით. ამ ჭრაქების შიგა ზედაპირი დაფარული იყო ფერადი (ცისფერი, სოსანისფერი, ღვიძლისფერი) ჭიქურით. აქვე აღმოჩენილ იქნა კოჭობის ფორმის, თიხის, მილნისკარტიანი ორი ჭრაქი, ძირზე სამი პატარა ფეხით

(IX-VIII სს.). გვიანი შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელია ჭრაქის უფრო განვითარებული ტიპი: სოკოსებური ფორმის, ცალყურა, რომელიც ჭრაქის ტანთან განუყოფელ ბრტყელ ლამბაქზე დგას. ადრე შუა საუკუნეებიდან საქართველოს ტერიტორიაზე დასტურდება მინის მოხდენილი ჭრაქები. შუაფეოდალურ ხანაში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფართოდ გავრცელდა მწვანე და მომწვანო ტონის ფერის ჩამოსაკიდი ლამპრები. დასადგმელთან შედარებით ჩამოსაკიდი ლამპრით შესაძლებელი იყო ინტერიერის უფრო დიდი ფართობის განათება. დავითგარეჯში ნათლისმცემლის განათხარ მასალებში აღმოჩნდა საწვავჩამხმარი ჭრაქები, რომლის ქიმიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ აქაური ბერები საწვავად იყენებდნენ ნავთობის მასალას. ლითონისგან დამზადებული ჭრაქებიც ფართოდ იყო გავრცელებული ყოფაში და მათ მჭედლები ამზადებდნენ. დროთა განმავლობაში ლითონის ჭრაქის ფორმები და შემკულობაც იხვეწებოდა და ზოგიერთი მათგანი ხელოვნების ნამდვილ ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს. ჭრაქის ასანთებად საჭირო იყო საწვავი: ზეთი (სელის, კანაფის), ცხოველური ცხიმი (მესაქონლეობით დაწინაურებულ რეგიონებში), თევზის ქონი (შავისზღვისპირა ზოლში). XIX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან საქართველოში ნავთობისა და ნავთის შემოტანა დაიწყო ბაქოს ნავთობსარეწებიდან. ჭრაქს უკვე სოფლადაც ნავთით ანთებდნენ, მაგრამ მისი სიძვირის გამო მოსახლეობის მხოლოდ შეძლებული ფენისთვის იყო ხელმისაწვდომი. საპატრუქედ იყენებდნენ ბამბის დაძახულ მსხვილ ძაფს, კანაფის თოკს ან ქსოვილის დაგრეხილ ნაჭერს. ჭრაქმა, ყოფაში გამოსაყენებელმა ამ მეტად საჭირო ნივთმა, არსებობა პრიმიტიული ფორმით დაიწყო და დროთა განმავლობაში ხელოსნობის

განვითარებასთან ერთად უფრო დახვეწილი და სრულყოფილი გახდა. რა თქმა უნდა, იცვლებოდა მისი დასამზადებელი დასაწვავად გამოსაყენებელი მასალაც და მაინც, მიუხედავად ელექტროფიკაციისა, XX საუკუნის ბოლოსაც კი, ენერგეტიკული კრიზისის პირობებში საქართველოს ბევრ რეგიონში კვლავაც გამოიყენებოდა.

ლიტ.: მ. მიწიშვილი, მოჭიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეების თბილისში, 1979. მ. ჩხატარაშვილი, მინის ჭურჭელი შუა საუკუნეთა საქართველოში, 1978. ნ. კიდურაძე, ჭრაქები, დიდი პიტიუნტი, II, 1977.

ჭუკია - თიხის ჭურჭლის გამოსაწვავ ჭურაზე ცეცხლის შესანთები „თვალი“. ტერმინი გავრცელებულია ლეჩხუმის რაიონში, ხოლო მისი შესატყვისი „სათვალი“, „შემის შესართმევი“ დასტურდება თიხის ჭურჭლის კეთებით ცნობილ ყველა ცენტრში. ჭურის წინა ნაწილზე - სიგანეზე ერთიმეორისაგან განცალკევებული ცეცხლის შესანთები ოთხი ჭუკია მოთავსებული. ასეთივე სამი ჭუკი-კვამლის გასასვლელად და დაკვირვების საწარმოებლად ჭურის უკანა კედელშია დაყოფილი. ჭურაში ქვევრ-ჭურჭლის შეწყობამდე და ცეცხლის დანთებამდე უკანა ჭუკები ნამჯით ამოივსება და შეილესება. ცეცხლის გაძლიერების დროს, უკანა კედლის ჭუკიებიდან შელესილი მიწა ჩამოიფხიკება, იქიდან გამოწვის დამთავრების მომასწავებელი ნაპერწკლები ამოცვივა და შემის შეკეთებაც შეწყდება.

ლიტ.: ფ. გარდაფხაძე, მეჭურჭლეობა და მექვევრეობა ლეჩხუმში, მმ.ტ. XIVB, 1947.

ჭურა - დიდი მწარე კვანისაგან გაკეთებული მაშველი. წარმოადგენდა მოსუფთავებულ და მჭიდროდ თავდაცულ კვანს, რომელსაც მდინარეზე გადამსვ-

ლელი წელზე მიიკრავდა და თუ წყალში ჩაინთქმეოდა, ჭურა ამოაფირფიტებდა ზედაპირზე.

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი, ნაოსნობა საქართველოში, 1987.

ჭური, ქვევრი - ღვინის შესანახი დიდი ზომის თიხის ჭურჭელი. ჭურის მკეთებელ ხელოსანს „მეჭურე“, ხოლო დარგს „მეჭურეობა“ ეწოდებოდა. ხელოსანი ჭურის ძირს ასე ერთ მტკაველამდე „მორგვზე“ აშენებს. შემდეგ საგანგებო სადგამზე გადააქვს. 70 სმ სიმაღლის ამოყვანის შემდეგ ხდება მშენებარე ჭურის „დაკუტება-დაბინავება“ ცალკე ადგილზე, სადაც ხდება მისი ეტაპობრივი შენება-ამოყვანა თიხის ფთილების ან „სორსოლებისაგან“. ჭურის შენებას სჭირდება გათითვა, გალესვა, შებეჭვა, შეყელვა, დაფარფლა და ა.შ. ეს შრომატევადი სამუშაო პროცესები ზუსტი თანმიმდევრობით მეორდება ყოველი ჭურის აშენებისას. ჭური დასავლეთ საქართველოში მხოლოდ დიდი ზომის ჭურს ეწოდება. ტერმინი ჭური, აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული იდენტური ჭურჭლის-ქვევრის სინონიმია. დიდი ჭურის გასარეცხად კაცი შიგ უნდა ჩავიდეს, ამიტომ მას ჩასავალსაც უწოდებენ. ჭურის ტევადობა ოცფუთიანიდან-სამასფუთიანამდეა. შრომული მეჭურეები დღეისათვის მხოლოდ „კუნჭულოიან“ ჭურებს აკეთებენ. კახელი მექვევრეები „კუნჭულოს“ შესატყვისად „ქუსლს“ ხმარობენ; საირმელი (ლეჩხუმი) ხელოსნები - „მუჯოროს“; გურული (სოფ. აცანა, აკეთი) - „ჭურის ნიჟურს“, „კუმტურს“ უწოდებენ და ა.შ. საგანგებოდ ამზადებენ ე.წ. „საზედაშე“ და „საღვთო“ ჭურებს.

ჭურჭელი - აქ: სპილენძის სამზითვო ჭურჭელი, რაც სოციალურ ურთიერთობაში გამოკვეთილად წარმოადგენილი.

მზითვევი ქალისათვის მამის ოჯახიდან გატანებული ქონებაა. მზითვევის გატანება წესად იყო ყველა წოდებისა და მდგომარეობის ქალისათვის. სამზითვო სპილენძის ჭურჭელია: ტაშტი, თუნგი, ქვაბი, ტაფა, ავგარდანი და ა. შ. მდიდარ ოჯახებს არყის გამოსახდელი ქვაბიც კი გაუტანებიათ მზითვევში. გამზითვების დროს წინასწარ ხდებოდა გარიგება თუ რა სპილენძის ჭურჭელს მისცემდნენ პატარდალს. აჭარაში საქორწილო საჩუქრებში ყველაზე ფასეული სპილენძის ჭურჭელი ყოფილა. ხოლო „ავგარდანი“-ს (ბანაობისას წყლის დასასხმელი ჩამჩა) ნაცვლად მდიდარი ოჯახები იმავე დანიშნულებისთვის ატანდნენ „ტაშტი-წურწუმას“, ანუ „ალთაფას“ ტოლჩით. სამზითვო ჭურჭელს შეკვეთით ამზადებდნენ, უკვეთავდნენ ყველაზე კარგ ხელოსანს - ოსტატს. ხელოსანიც დაინტერესებული იყო სანიმუშო ჭურჭელი დაემზადებინა. ჭურჭლის ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელია ფორმის დახვეწილობა, ყოველი მათგანი შემკულია ლაკონიურად და ქართული ხალხური ხელობის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. მათზე შესრულებული წარწერებით დასტურდება სპილენძის ჭურჭლის მზითვად გატანების აღნიშნული წესებიც.

ლიტ.: მ. იაშვილი, მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები), 1974.

ჭურჭელი წნული - წნული ჭურჭელი საკმაოდ გავრცელებული იყო სოჯახო ყოფაში. განსაკუთრებული სიუხვით გვხვდება მევენახეობითა და მეხილეობით დაწინაურებულ რეგიონებში. წნული ჭურჭლის ზოგად სახელწოდებას ძველ ქართულში გამოხატავს ტერმინები „სფირიდი“ და „მარაგული“. საბას განმარტებით სფირიდი შედის ბალახოვანი მცე-

ნარეებისგან (ჭილი, ბაია) უსაყრდენოდ მოქსოვილი ნივთები და ჭურჭელი, რასაც ზამბილიც ეწოდება. ხოლო მარაგულში შედის წნელისგან დამზადებული ნაწარმი, რაც საყრდენის საშუალებით იწვნება ამ კლასიფიკაციაში შედის ჭურჭელი თხზული. ესაა ძველი ტერმინი და ამჟამად მხოლოდ აჭარულ დიალექტშია დაცული. რაც შეეხება „მარაგულს“, იგი დაკავშირებულია ზემო იმერულში შემორჩენილ რაგვასთან, რაც აქ წვნას აღნიშნავს. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ტერმინ „წვნას“ ხშირად ენაცვლება ტერმინი „ქსოვა“. წვნის ხერხებიდან დასტურდება სპირალურ-ჩალიჩური, გადაბმული, ჭილობისებური, ნაწნავისებური, საყრდენიანი, ანუ ჩარჩოიანი წვნა და ა.შ. წნული ჭურჭელი მეურნეობის ძირითად დარგებთანაა დაკავშირებული და იყოფა მარცვლეულის, მევენახეობა-მეღვინეობის, მეხილეობის, მესაქონლეობის დარგში გამოსაყენებელ სხვადასხვა აგებულების ისეთ ნივთებად, როგორიცაა - გოდორი, ლასტი, ჯინი, კალათა, კოკონცხა, ხვირი და სხვა. წნული ჭურჭელი გამოირჩევა პროდუქტის შენახვის საუკეთესო თვისებებით, იოლად მოსაპოვებელი და მოსახმარია, გამოირჩევა სიმსუბუქითა და უადრესად დახვეწილი „ესთეტიკური“ თვალსაზრისით.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართულ ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

ჭურჭელი ხისა - საქართველოს საოჯახო და სამეურნეო ყოფაში უდიდესი როლი ეჭირა ხის ჭურჭელს, რომელიც პრეისტორიული ხანიდანვე ყველაზე ხელმისაწვდომი იყო ადამიანისთვის. საქართველოში, როგორც ხის დამუშავებით განთქმულ ქვეყანაში, ხის ჭურჭლის ნაირგვარი სახეობა შეიქმნა, რომელთა უტილიტარული დანიშნულების პარალელურად წარმოიშვა მათი შემკობის უდიდესი

ტრადიციები. საკვები პროდუქტის მნიშვნელობამ და მისმა სარიტუალო დანიშნულებამ განაპირობა ამ ჭურჭელთა მორთვის ასეთი მაღალი დონის ხელოვნება და თანამედროვე ყოფას დღემდე შემორჩა ეს ძირძველი ტრადიციები. ჭურჭლის ფორმასა და ხარისხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურის ისტორიის შესწავლისათვის, რადგან მისი წარმოშობა-განვითარება ბევრად განსაზღვრავს ხალხის კულტურულ დონეს. საქართველოში გავრცელებული ჭურჭელი ფუნქციის მიხედვით შესაძლებელია დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: ა) მარცვლეულისა და ფქვილის შესანახი - კოდი, კასრი, ხოკერი. ბ) ცომი მოსაზეული - ვარცლი, ხონი, ტმოშტი, გობი. გ) რძის პროდუქტები დასამზადებელი და შესანახი - სადღვებელი, ვარია, ჩხუტ-ბრუნელი, საწველელი - დურკი, კასრი, ნაღების შესაგროვებელი - საზუური,

ნაღების მოსაყენებელი - ბაკანი, პინა, სანაღბე, კარაქის მოსაკავებელი ერბოს ჩასადები - ბაზუნა (აღმ. საქართველო). დ) სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი. პირველში ერთიანდება: ხონჩა, სანაყი, როდინი, ფილი, ხელხონა, სამარილე, ქუბდა, ტაგანი, კოვზები. საფაფენი, ფოცხვი, ციცხვი, ქაფქირი. სუფრის ჭურჭელს განეკუთვნება: ჯამი - საჯალაბო, საკაცო, საქალო, საბალდო, წიწანი, ტაბაკი, ხონჩა, თუშურა, ქიტი, კონჩხა, კოში, ტარკომა, სუფრის კოვზები და ა.შ. ე) წყლის ჭურჭელი - კასრი, ტაგანი, წურწუმა, კოკა და სხვა. ხის ჭურჭლის რიგში ექვევა აგრეთვე ხის ქერქის ჭურჭელიც, რომლის ზოგადი სახელი აღმ. საქართველოს მთიანეთში „ხოკერია“.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართულ ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.



ხავიწი - მთიელთა საჭმელი. ხავიწის მოსამზადებლად გაადნობენ ერბოს, აადულებენ, დააყრიან ფქვილს და ნელ-ნელა შეზუღენ ერთმანეთში, სანამ კვლავ არ წამოდუღდება. შემდეგ გადმოდგამენ ცეცხლიდან. ცოტა რომ შეიყინება, აწყავენ სპილენძის ჯამით - ჩანახით და ჩააკალაპოტებენ. გაციებულ ხავიწს გადმოაპირქვავენ ფიცარზე და დაჭრიან სათანადო ზომაზე. ასეთნაირად მომზადებული ხავიწი დიდხანს ინახება. სადღესასწაულო ქაღებს გულად ხავიწს ჩაურთავენ ხოლმე. ხარისხიანია ის ქაღა, რომელსაც ბარაქიანხავიწიანი გული აქვს.

ხათრიტი - სამამფურე, გულდრუიანი ნაჩვრეტებიანი თიხის ჭურჭელი. დადასტურებულია ლეჩხუმსა და სამეგრელოში. გამოიყენებოდა მწვადის შეწვისას მამფურის წვერების შესაყოფად. ხრათითის მეგრული სახელწოდება ბარჯგია.

ხალა - კაკლის საბერტყი გრძელი ჯოხი.

ხალათი - ერთგვარი მოსასხამი, ეს პარსული ტერმინი ქართულ წერილობით ძეგლებში ჩნდება XVII საუკუნიდან. დროთა განმავლობაში ხალათი ოსმალთა და სპარსი მებატონეების წყალობის

საგნად იქცა, რაც ქართველმა მეფეებმაც გადაიღეს და თავიანთ ქვეშევრდომებს პატივისა და წყალობის ნიშნად უბოძებდნენ ხოლმე. ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვებით, ყაენმა „რაც საქართველოს კაცნი: იმერელნი, ქართველნი და კახნი ტყვეთ იყვნენ... აპატივეს და ყველას ხალათი ჩააცვეს“. XVIII ს. შუა წლების ქრონიკაში საქმროს სამოსლად ხალათია დასახელებული, რომელსაც სიდედრი უგზავნის სიძეს პატივისცემისა და დაფასების ნიშნად. ლიტ: ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1962.

ხალათი (სპარს.) - საპატიო სამოსი. ძველად, აღმოსავლეთში, ყურადღებასა და პატივისცემას საპატიო სამოსის ჩუქებით გამოხატავდნენ. ამ ჩვეულების მიხედვით, მბრძანებელი მოიხსნიდა მოსასხამს, რომელსაც ატარებდა და იმ პირს მოახურავდა, ვისი დასაჩუქრებაც (პატივისცემაც) სურდა. აღმოსავლეთში დიდ პატივად ითვლებოდა იმ სამოსის ტარება, რომელიც თვით ხელმწიფეს ემოსა. მოგვიანებით, ასეთი საჩუქარი უკვე სამეფო სალაროდან, ან მთლად ახლად შეკერილი გაიცემოდა. საპატიო სამოსთან ერთად, ხშირად ეძლეოდათ ხანჯალი,

ცხენი და ა. შ. საპატიო სამოსის, როგორც შემადგენლობა, ისე მისი ქსოვილი და ხარისხი დამოკიდებული იყო იმ პირის წოდებაზე, ან სამსახურის მნიშვნელობაზე, რომელსაც ასაჩუქრებდნენ. ქართული მატრიანები მდიდარია ცნობებით ამაგვარ წყალობათა შესახებ. XVII-XVIII სს-ში სპარსეთის პოლიტიკურ გავლენასთან ერთად, შემოდის სპარსული და თურქული ტანისამოსი ჯერ საჩუქრის სახით, ხოლო შემდეგ ჯერ უკვე ადგილობრივები ითვისებდნენ და ასე თანდათან ვრცელდებოდა. საყურადღებოა, რომ XVIII ს-ის შუა წლებში, თვით ნიშნობის წესში საქმროს სამოსელად ხალათიც არის დასახელებული.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალ..., 1962:40, 115; ი. ციციშვილი, მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიიდან, 1954:59-60.

ხალამი (რაჭ.) - ყველის შესანახი (და დასავარგებელი) თიხის მოზრდილი ჭურჭელი, დერგი. ჭყინტილი ყველი ხო კაია, მარა მე დასვრეტილი ხალამის ყველი მირჩევნია. კაი

ხალამის ყველს და ცხელ ჭადს რა სჯობია საჭმელად! (იხ. ბერ., ქეგლ, ძოწ., გაჩ.; მღრ.: საბა, ჩუბ.: ხალანი).

ხალამი თიხის - იგივე დერგი, მოზრდილი თიხის ჭურჭელია. არის მოჭიქულიც და მოუჭიქავიც, დაჭრელებული ან დაუჭრელებელი; სახურავიანი ან უსახურავო. იხმარება ყველის შესანახად. მზადდება საჭურჭლე მიწისაგან, ამზადებენ წითელი ჭურჭლის მკეთებელი ხელოსნები. მას იყენებენ აგრეთვე ფქვილისა და სხვა პროდუქტების შესანახად, აწყობენ ხილს, აწნილებენ მწნილს და ა.შ. დიდი ზომის დერგში ინახავდნენ სიმინდს, პატარაში - ლობიოს

ხალენი - მატყლის უხეში ქსოვილისგან დამზადებული მოსასხამი. უცხოეთსა და საქართველოში X საუკუნემდე იყო ხმარებაში, შემდეგ - ქრება. ამჟამად, სრულად მივიწყებულია. ამავე ხანებში, X-XI სს-ში ჩვენში ძალიან იყო გავრცელებული წამოსასხამი „მაზარა,“ რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო დღევანდელ მაზარასთან.

ხალთა - ტყავის აბგა. ხალთა, როგორც ფქვილის გადასატანი ჭურჭელი მთელს საქართველოში იყო გავრცელებული. ხალთას ამზადებდნენ ცხვრის, თხისა და ხბოს ტყავისაგან. აქედან საუკეთესოა ხბოს ტყავის ხალთა, რომელიც უფრო გამძლეა, სუფთა და უსუნო. ოთხში ამოღებულ ცხოველის ტყავს საგულდაგულოდ გაასუფთავებენ, შემდეგ თივით გატენიან და უმზეო ადგილას გაჭვიდებენ. 10-14 დღის შემდეგ თივას ამოყრიან, გასანთლული ბაწრით ფეხებს გამოუნასკვავენ, გაუკეთებენ სამხრეულებს. ხალთა ძალზე მოსახერხებელია შორ მანძილზე ფქვილის გადასატანად. ხალთა და მისი მსგავსი ჭურჭელი ფართოდ იყო გავრცელებული მთელ საქართველოში. მათი ზოგადი სახელწოდებაა „ვაშკარანი“.

ხალთა (რაჭ.) - თხის (ან ცხვრის) ტყავისაგან გაკეთებული ჭურჭელი (ჩანთა), ხმარობდნენ საჭმლის ჩასადებად მგზავრობის დროს. (იხ. საბა, ჩუბ., ქეგლ, ძოწ., გაჩ.).

ხალი - აქ: მოხალული ქერის ფქვილი. ამზადებდნენ ასევე იფქლის, შვრიის, სიმინდის, სვილის, ცერცვის, ქერშვილის, სიმინდნარევი ქერისგანაც. ყველაზე კარგი სიმინდშერეულია. ხალი ძირითადად მწყემსების საჭმელია და მთაში იგი პურის მაგივრობას სწევს. მიუხედავად იმისა, რომ კახეთის ბარში ქერის მოსავალი უფრო უხვი იცის, თუმეები არჩევენ თუშურ ქერს, რადგან მისი ხალი უფრო ტკბილი და გე-

მრიელი გამოდიოდა. ხალის მომზადებისას სახალე მარცვალს მოხალავდნენ ღუმელში, რომელსაც მარცვლის „სატყრობი“ ისე აქვს მოწყობილი, რომ ქერის მარცვლები თანაზომიერად გაფიცხდეს და ქერქი შემოასკდეს. თუ ამზადებენ ნარევი მარცვლის ხალს, ჯერ ქერი, მერე იფქლი და ბოლოს სიმინდი „უნდა შაიწვეს“. ასარევად ფლასზე დაყრიან, დაცხრილავენ და დასაფქვავად მოამზადებენ. დაფქვილს გულებში ინახავენ. ხალის მომზადებისას ფქვილს გაცრიან, წყალს ან რძეს დაასხამენ, ხელით მოზელენ გუნდებად და სუფრაზე მიიტანენ. სამგზავრო ხალი კვერებად, გუნდებად კეთდება. როდესაც მწყემსს დრო არა აქვს დასაჯდომად, რადგან ცხვარს მისდევს, ფეხზე ზელს გუდაში ხალს, ქუმელს. ხალში იციან ერბოს ან კალტის გარევა, რის მიხედვითაც ასეთს ეწოდება ერბო-ხალი, ერბოიან ყვავი, ან კალტიან ყვავი. კალტსა და ყვალს ერთად მოზელილს თუში მეცხვარეები „ნახელას“ უწოდებენ. პირიქითა ხევსურეთში (მატილი, არხოტი, ჯუთა, არდოტი, ხახაბო) იცოდნენ ერბოში გაზელილი ხალის სამი „ბურკვის“ გაკეთება, სამი „ფეხი“ სანთლის ანთება და შესახელება ხახმატის ხატისათვის, როგორც მონადირის მფარველი ხატისათვის. მთა-თუშეთში ხატის მიწების გარდა, საერთო ნაკვეთი ყოფილა „სახალე“, რომელსაც სოფლურად ამუშავებდნენ და მიღებულ ქერს კომლურად ინაწილებდნენ. როგორც ხალი, ისე სასოფლო სახალე მიწა, მიწის სათემო სარგებლობის ერთი ძველი გადმონაშთია.

ლიტ.: ივ. ბუქურაული, ტბათანიდან წოვათამდინ, 1897. ალ. ჭინჭარაული, ხევსურეთის თავისებურებანი, 1960.

ხალიჩა - მხატვრულ-დეკორატიული ნაწარმი, რომელიც ხასიათდება მხატვრული ორნამენტებით. ხალიჩების

წარმოება უძველესი დროიდანაა ცნობილი. ხელნაქსოვი ხალიჩებისათვის დამახასიათებელია მრავალფეროვანი ორნამენტული კომპოზიცია, რომელიც განთავსებულია ცენტრალურ ნაწილში და გარშემორტყმულია არშიით. ხელით ნაქსოვი ხალიჩების მთავარი მხატვრული ღირებულებებია: ორიგინალური სურათი და კოლორიტული სტილი. ხელნაქსოვი ხალიჩების ძირითადი მასალაა ცხვრის მატყლი, ასევე თხისა და აქლემის მატყლიც. გარდა მატყლისა, ფართოდ გამოიყენება ბამბა, სელი და ზოგ შემთხვევაში აბრეშუმიც. ხალიჩების ღირსების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია მისი ქსოვის ხარისხი, რაც კვანძების რაოდენობაში გამოიხატება, კვანძების რაოდენობა შეიძლება იყოს 1 კვ. მ ფართობზე 75 ათასიდან 800 ათასამდე. სწორედ ამით განისაზღვრება ხალიჩის ხარისხი. საშუალოდ 90-დან 175 ათასამდე ნასკვი ერთ კვ. მეტრზე და 175 ათასიდან ზევით, ეს უკვე არის მაღალი ხარისხის ხალიჩები.

ხამანჯა (რაჭ.) - 1. პატარა სასმისი (იხ. ბერ., ქეგლ, ფრ., 199). 2. პატარა თინის კოვზი უწინ ბავშვისათვის წამლის მისაცემად ხმარობდნენ.

ხამი, სამოსელი, ხამივნი, ხამიჩე, ჩეში (სამგრ.) - ბამბის ქსოვილი. იქსოვებოდა „საქსელოში“, ორდგიმში, ცალფა ან ორმაგი ძაფით. სიმინდის ან პურის ფქვილის ფიფინაში გახამებული ბამბის ძაფით. ძირითადად თეთრი ფერისა იყო. ქსოვდნენ სხვადასხვა დანიშნულებისათვის. ხამს ხმარობდნენ უბრალოსაც და სახიანსაც, საბნისა და ლეიბის თეთრეულად, პირსახოცებად, საცვლებისა და ახალახის შესაკერად.

ლიტ.: ც. ბუზარაშვილი, ქალის ქვეშითი სამოსელი საქართველოს მთიანეთში, სსმ XXXII - B, 1982.

ხამი სარი (რაჭ.) - ფოთლოვანი ხის სარი, რომელსაც ვაზს მიუსობენ. ჩვეულებრივ 1 ან 2 წელიწადს ძლებს, განსხვავებით წიწვოვანი ხის (ნაძვის ტოტების) სარისაგან, რომელიც დიდხანს ძლებს და წაჩეკვაც (იხ.) კი ყოველ წელიწადს არ სჭირდება. ხამი სარი მალე ლპებოდა და შეშად ვიყენებდით.

ხამლი - უყელო ფეხსაცმლის ძველ-ქართული სახელწოდება, ყოველდღიური ჩასაცემელი, რომელიც იკვრებოდა თოკით.

ხანა (ჯავახ.) - ოთხკუთხა დაზგა, რომელზედაც იქსოვებოდა ჭილობი, ფარდაგი, ხურჯინი და სხვ.

ლიტ.: ს. მაკალათია. სამცხე-ჯავახეთი. თბ., 1938, გვ. 89.

ხანულობა (შიდა და ქვემო ქართლ., გარე კახ., სამცხ.-ჯავახეთი) - ძროხების პატრონთა შეამხანაგება ჯერობით რძის საწველად. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანებული იყო ხუთი მეზობლის თითო ძროხა, თითოეული მონაწილე ოჯახის დიასახლისი ხუთი ძროხის ნაწველს იღებდა ერთ წველაზე. ხანულებს შორის დაცული იყო ურთიერთობის მტკიცე ნორმები. ხანულობა გამოწვეული იყო საქონლის სიმცირით საქართველოს ბარში. საქართველოში ბარული მესაქონლეობის საერთო დამახასიათებელ ნიშნად მეურნეობის ამ დარგის შეზღუდული ხასიათი არის მიჩნეული. მცირე მასშტაბის ბარული მესაქონლეობა სამეურნეო-ეკონომიკური და ორგანიზაციული გაძღოლის თვალსაზრისით ორგანულად იყო დაკავშირებული ძირითად სამეურნეო ბაზებთან და წლის განმავლობაში ადგილობრივი სასოფლო საძოვრებისა, სახნავ-სათესი სავარგულებისა, ხოლო ზამთარში საკვები მარაგის ბაზაზე გადიოდა, რომელთა რაციონალური გამო-

ყენება ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში კი ზამთრის გარკვეულ პერიოდშიც, თანმიმდევრული სისტემით იყო ჩამოყალიბებული. ხანულობა დადასტურებულია შიდა და ქვემო ქართლში, გარე კახეთში. მისი არსებობა დაფიქსირებულია მესხეთის ბარის იმ სოფლებში, საიდანაც მეწველ საქონელს მთაში არ მიერეკებოდნენ და სოფლისპირა საძოვრებზე ჰყავდათ გადენილი. შრომის ორგანიზაციის ანალოგიური ფორმაა ჯერში ჩასვლა ცხვრის წველის დროს ქსნის ხეობაში. ხანულობის ინსტიტუტის წარმოშობა საქართველოს ბარში დიდი ოჯახის რღვევასთან არის დაკავშირებული, როდესაც ცალკეულ კომლთა განკარგულებაში არსებული პირუტყვი არ აღმოჩნდა საკმარისი რძის მეურნეობის დამოუკიდებლად წარმართვისათვის.

ლიტ.: ვ. შამილაძე. ბარული მესაქონლეობის ზოგიერთი თავისებურების შესახებ საქართველოში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, IV, თბ., 1978. თ. ცაგარეიშვილი. მესაქონლეობის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1987.

ხანჯალი - საბრძოლო იარაღი. დიდ ხანჯალს სატევარი ეწოდება. ხანჯალი შედგება ტარის, პირისა და ქარქაშისაგან, ხანჯლის ტარი უმეტეს შემთხვევაში დამზადებულია ძვლისაგან ან რქისაგან (ორი, ან სამი გობაკით). ფოლადის პირი შეიძლება იყოს ერთღარიანი (ცერგასმული), ორღარიანი ან სამღარიანი, არის უღაროებიც ე.წ. ქელიანი ხანჯლები. ქარქაში უმეტეს შემთხვევაში ტყავგადაკრულია, ერთი სალტით და ბუნიკით, არსებობს მთლიანად ვერცხლის ტარქარქაშებიც, არის აგრეთვე ძვლის ფირფიტებით გაწყობილიც. ხანჯლები და სატევრები

ირთვება თეთრი ან შავი სევადით, ოქრო-ზარნიშით, ვარაყით, ძვალზე კვეთით, ფილიგრანული ტექნიკით, ცვარათი და სხვ. ჯერ კიდევ III ათასწლეულში, მელითონეობის გარიჟრაჟზე, სპილენძისა და ბრინჯაოს იარაღებს შორის ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი სწორედ სატევრის ფორმის, ფართოპირიან, ორლესულ, მოკლე მახვილებს ეკავა, რადგან მასალის სირბილე გრძელი ფორმის იარაღის დამზადების საშუალებას არ იძლეოდა. შემდგომში ფოლადის დამკვიდრებასთან ერთად, მახვილიც დაწვრილდა და გაიზარდა სიგრძეში, მაგრამ მისი წინამორბედი იმდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომ კიდევ ორი ათასი წელი იარსება როგორც დამოუკიდებელმა სახეობამ და ჩვენამდე სატევრის სახით მოაღწია. სატევარი და ხანჯალი დღევანდელი ტერმინოლოგიური დატვირთვით ერთმანეთისაგან მხოლოდ ზომებით განსხვავდება. სატევარი უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე ხანჯალი, ხოლო ხანჯლის ძმა კიდევ უფრო პატარა, ხანჯლის შვილი (ხანჯლისშვილა) კი იმდენად მცირეა, რომ სატევრის ქარქამის უკან ბუდეში ჯდება. XVIII-XIX სს-ში ამიერკავკასიაში მალაღონეზე იდგა ხმალ-სატევრების წარმოება. ამ მხრივ განსაკუთრებით თბილისი გამოირჩეოდა, საიდანაც ასეთი იარაღებით მარაგდებოდა როგორც კავკასიის სხვა მთის ხალხები, ასევე ირანი და სხვა ადმ. ქვეყნები. ეს არცაა გასაკვირი, რადგან თბილისი იმდროინდელი კავკასიის დედაქალაქს წარმოადგენდა და დამკვეთიც და შემსრულებელიც ერთ ადგილას იყრიდა თავს. თბილისში მოღვაწეობდნენ როგორც ქართველი, ასევე დაღესტნელი, ჩერქეზი, სომეხი და სხვ. მეიარაღე ოქრომჭედლები. XIX ს-ის I ნახევარში, მეიარაღეთა შორის ყველაზე ცნობილი იყო ელიზარაშვილების ოჯახი (მამა - გიორგი, იაგორი; შვილები-ეფრემი და ყარამანი), მათი დამზადებული ბუ-

ლათის ფოლადის ხმალ-სატევარი განთქმული იყო როგორც კავკასიაში, ასევე ირან-თურქეთ-რუსეთის კარზეც. რუსეთის იმპერატორის დავალებით ელიზარაშვილებმა (ეფრემმა და ყარამანმა) 1828-1832 წწ. გასცეს ბულათის ფოლადის ხმალ-სატევრის დამზადების საიდუმლო და სანაცვლოდ ოქროს მედალი (ანას ლენტი) და 1000 ჩერნოვეცი (ოქრო) მიიღეს. გარდა თბილისისა, საქართველოს მასშტაბით, ხანჯალ-სატევრების დამზადება ფართოდ იყო გავრცელებული ზუგდიდში, ოზურგეთში, ქუთაისში, ბათუმში, ახალციხეში, გორში, სიღნაღში, თელავში და სხვ. ქართული მეიარაღე-ოქრომჭედლობის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს ქართველი ოსტატების ძაძამიძის (ძაძამია-ზუგდიდი), ზაქარაიას, კვატაშიძის, ჯღამაძის, ჯიქიას, გიორგაძის და სხვათა ნახელავი შედევრები. საერთოდ, ხელოსანის ვინაობისა და დამზადების ადგილის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს ხანჯლის პირზე არსებულ დამღებსა და წარწერებს. ხშირად ტარისა და ქარქამის ვერცხლის ფირფიტებზე გამოსახულია სევადით შესრულებული ხელოსნის ან პატრონის გვარები და დამზადების თარიღები. დამღებისა და წარწერების გარდა, ხანჯალ-სატევრები ფორმისა და მორთულობის მიხედვითაც შეიძლება გაირკვეს თუ რომელ ეთნოკულტურულ გარემოშია დამზადებული. აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და მთლიანად კავკასიაში, მესატევრეობის ფართოდ განვითარების ერთ-ერთ პირობად, კავკასიური კოსტიუმის (ჩოხის) თავისებურება წარმოადგენდა, რომლის უცილობელ ატრიბუტს ხანჯალი წარმოადგენდა. ეთნოგრაფიული მასალით ცნობილია, რომ კავკასიელი მამაკაცი ხანჯალს სიყმაწვილის ასაკიდან ატარებდა და შეიძლება ითქვას, მასთან ერთად იზრდებოდა. ამიტომაც ითვლებოდა ხანჯალი ყველაზე პოპულარულ

იარაღად, რომლის ხარისხსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა თავმოყვარე კავკასიელისთვის. მოგვიანებით ხანჯალმა მხოლოდ კოსტუმის სამშვენისის დატვირთვა მიიღო და ძირითადი აქცენტი მის დეკორატიულ გაფორმებაზე გადავიდა.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011. კ. ჩოლოყაშვილი, ბულატის თბილისელი ოსტატები, ჟურ. „მეცნიერება და ტექნიკა“ N5, 1956. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული ტ. II, 1991; Э. Аствацатурян, оружие народов кавказа, 1995.

ხაპი (ზ.რაჭ.) - საწნახელი. სინონ. ხორგო (ქვ.). ზოგი ხაპი ისე დიდია, შიგკიბით ჩადიან (იხ. ქეგლ, ძიძ., ფრ., 137; შდრ. ნიჟარ., ძოწ., გაჩ.).

ხარაგი, ხარაია - კალოზე გამშრალი მოჭრილი აგურის-ალიზის დაწყობა-გაფენა. ახლად მოჭრილ, კარგად გამშრალ აგურს მეაგურები დაახარავებდნენ. კალოზე, განსაზღვრული სიგრძის ადგილზე, რა სიგრძის ხარაიაც აქვთ ნავარაუდევ, გამომწვარ აგურებს ან ფიცრებს დაალაგებდნენ, „რათა ხარაიას ქვეშ წვიმის წყალი არ წაუდგეს“. ფეხზე მდგომ აგურებს ერთმანეთის გვერდით დააწყობდნენ, აგურებს შორის თავისუფალი ადგილი უნდა დარჩეს, რათა „ნიავმა იმუშაოს“. ამგვარად გამწვრივებული აგურების თავზედაც აგურების მეორე პირს დააწყობენ და ხარაიას 5-7 პირად დადგამდნენ. წვიმის საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, ზემოდანაც ფიცრებს დააფარებენ. როცა აგური თეთრ ფერს მიიღებდა, ე.ი. გამომხმარი იყო და, მას გამოსაწვავად გაამზადებდნენ.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, კახური კერამიკა, 1947.

ხარაზი - ქალისა და მამაკაცის აზიური ფეხსაცმელების (წულა, ჩუსტი, მესტი, ქოში, ფლოსტი, ჩექმა, ქალამანი) მკერავ-ხელოსანი. ხარაზები იყვნენ როგორც სოფლებში, ისე ქალაქებში. ქალაქელ ხარაზებს ჰქონდათ თავისი ამქარი და ყველა ის ატრიბუტი, რომელიც ამქრული ორგანიზაციისათვის არის დამახასიათებელი.

ხარაილა - სამკაული ქალის. ამზადებდნენ ვერცხლის რამდენიმე ძეწკვის გრენილისაგან. განსაკუთრებით ფასობდა სვანური ხარაილა. გარდა სვანეთისა, ხარაილას ჩრდილო კავკასიაშიც ამზადებდნენ სხვადასხვა ვარიაციით.

ხარალი - ცაცხვის ლაფნის შიდა ფენა. ხარალს სველ, ჭაობიან ადგილებში ალბობდნენ. 2-3 კვირის შემდეგ მიღებულ დაშლილ წვრილ ძაფებს „მუმს“ უწოდებდნენ. თუშეთში ძველად ამ ძაფებით მოქსოვილ კაბას „ხარალის კაბის“ სახელით იხსენიებდნენ, მისგან საბელებსაც გრეხავდნენ.

ლიტ.: ც. ბუზარაშვილი, ქალის სამოსელი აღმ. საქართველოს მთიანეთში, 1974.

ხარატი მეავეჯე ხითხურო, იყენებს მექანიკურ იარაღებსაც.

ხარდანი (ქვ. რაჭ.) - დაბლარი ვაზის საყრდენი ჭიგო (სინონ. ზ. რაჭ. - სარი).

ხართავისაბელი / საბელი (რაჭ.) - თოკი, რომლითაც უღელში შესაბმელ ხარებს რქებში მოაბამენ. თუ უღელში შებმულ ხარებს წინძლოლი (იხ.) ჰყავს (მაგ., ხვნაში), მას ხართავისაბელში (საბელში) უჭირავს ხელი და ისე მიუძღვის (იხ. ალავ.: ხართავისაბელი; შდრ. ქეგლ: ხართსაბელი).

ხარის გოგა - იხ. „ბედისკვერა“.

ხარის კვერი - იხ. „ბედისკვერა“.

ხარკალი - ერთგვარი სამეთუნეო ხის დანა, რომელიც გამოიყენება „სახელავზე“ მოხელილი თიხის ნაჭრებად დასაჭრელად. ხარკალით დაჭრის პროცესს ლეჩხუმში კალაპოტის გამოყვანა ეწოდება. კალაპოტს გურიასა და იმერეთში თიხის ნაჭერი ჰქვია, იმერეთში ასევე დადასტურებულია ტერმინები - „გვარგვალა“ და „გუნდა“. კალაპოტებას ად. საქართველოს კერამიკით ცნობილ კერებში „ალაფებას“ უწოდებენ.

ლიტ.: ფ. გარდაფხაძე, მეჭურჭლეობა და მექვევრეობა ლეჩხუმში, სსმმ, ტ. XIV-B, 1947.

ხარო (რაჭ.) - 1. საკვების (უმთავრესად მარცვლეულის) შესანახი დიდი ყუთი ან ბელლის თვალი (იხ. ძოწ., გაჩ.; შდრ. საბა, ნ. და დ. ჩუბ., ნიჟარ.); 2. ბეღელი.

ხარხენი, ხარხინი

ჭაჭის გამოსაწერი სამეურნეო მანქანა. ივ. ჯავახიშვილის აზრით ტერმინი მომდინარეობს სიტყვა „ხრახნილისაგან“. ამ მანქანაში მთავარი დეტალია ბერა, რომელსაც აქვს ხრახნები და მისი მეშვეობით ხდება სიმძიმის მაღლა აწევა, რაც იწვევს ჭაჭის წბერვასა და წვენის გამოქაჩვას (იხ. საწბერი/ საქაჩავი).

ხასი - დახვეწილი, წმინდა აბრეშუმი.

ხატარეშობა - ლეჩხუმური ხალხური დღეობა; იმართებოდა აღდგომის შემდგომ მესამე ორშაბათს დეხვირის (ჩვალბეჩის) თემში შემავალ სოფლებში (დეხვირი, მცხეთა, ლასხანა, თხიზურგა, ლესინდი, ლეშკედა და წილამიერი). ითვლებოდა უქმე დღედ. ხატარეშობა დილით

სადეხვირო დეხვირის ციხიდან როგორც კი ბუკის ხმას გაიგებდა, დიდიან-პატარა ანა მცხეთისკენ გასწევდა. ეკლესიიდან გამოსვენებულ ხატს ერთ კილომეტრზე გაჰყვებოდნენ და ებელარში დაასვენებდნენ. ვინმე მკლავმაგარი ახალგაზრდა კაცი ქვით ხელში აღმოსავლეთის მიმართულეებით გაიქცეოდა და ლელესგაღმა გაისროდა. საამისოდ სპეციალურად გამოყოფილი კაცი აკვირდებოდა, ქვა სად დავარდებოდა და რომელ მხარეს შეტრიალდებოდა. მიწაზე დაცემისას ქვა თუ წაღმა შემობრუნდებოდა, იტყოდნენ: წრეულს კარგი წელიწადი იქნებაო. ბოლოს დეხვირის ციხისკენ გასწევდნენ და ლხინს გამართავდნენ.

ლიტ.: მ. ალავიძე. ლეჩხუმური ზეპირსიტყვიერება. თბ., 1951, გვ. 129.

ხატის აძვრა - ავადმყოფის მორჩენის მიზნით სოფლის ეკლესიაში ჩატარებული ლოცვა და რიტუალი გურიაში. საამისოდ მღვდელი იმ წმინდანის ხატთან მივიდოდა, ვისი სახელობისაც ეკლესია იყო, და ვედრება-ხვეწით ხატს მიმართავდა: „მთავარანგელოზო, ძლიერო, შენს დიდებასა და ძლევამოსილებას შენს მლოცავთ ნუ მოაკლებ... მახარობელ მახარაძე ავით არის და ჩემი ცოდვილი და უღირსი პირით გევედრება მოუოხე და მოარჩინე, ყოვლად ძლიერო და ყველაფრის შემძლე“. შემდეგ ხატს ადგილიდან დასძრავდა და ზემოთ ასწევდა; ამ დროს წირვაზე მოსული მლოცველები ერთხმად შესძახებდნენ: „მოარჩინე, მოარჩინე მთავარანგელოზო, ძლიერო“.

ხატის აძვრა იმის ნიშანი იყო, რომ მძიმე ავადმყოფს მასთან უბრად მყოფი მეზობელი თუ ნათესავი სასწრაფოდ უნდა შერიგებოდა. არცთუ იშვიათად, მწყევარი-გადამცემიც კი თავს ვალდებუ-

ლად თვლიდა, ეკლესიაში მისულიყო და ხატს შევედრებოდა: „მთავარანგელოზო, ძლიერო, მუხლმოდრეკილი გვედრები, მე რომ პეტრე კილაძე დავსწყევლე და გადავეცი - ნუ ისმენ უფალო, ჩემი წყევლა და კრულვა ლოცვით მოგვარე და მოარჩინე, ყოვლად ძლიერო და ყველაფრის შემძლე“.

ლიტ.: ა. წულაძე. ეთნოგრაფიული გურიი. თბ., 1971, გვ. 135-136.

ხატის კალო (ხევს.) - კალო, სადაც სახატე მამულებში მოწეული მოსავალი გაილეწებოდა. ეს იყო კარგად მოსწორებული და დატკეპნილი ადგილი, თუ საჭიროება მოითხოვდა, გვერდები ქვებით ჰქონდა გამაგრებული, კალოსთავზე ძნები ეწყობოდა და მას საძნოვარი ეწოდებოდა. 20-25 ძნიდან ერთი კალო გაილეწებოდა, ხოლო დღეში 3 კალო. საკულტოდ გალეწილ ქერს ხევსურეთში „ქერ-ოქროს“ უწოდებდნენ. კალოს ძირითადად დასტურები ლეწავდნენ და კალოობის დამთავრების შემდეგ ლუდით კალოზევე ხატიონისა და ხატის სადიდებლებს წარმოსთქვამდნენ.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ხატის მონა - ხატის მიერ დანაშაულის გამო დამიზნებული ადამიანი (უპირატესად ქალი). ხატის მონობის ინსტიტუტი, რომელიც ხატის სამსახურში დამიზნებულის ჩაყენებას ითვალისწინებდა, გავრცელებული იყო კახეთში. ხატის მონას თავად ხატი ირჩევდა და აძლევდა „გონებას, ჭკუას, ნიჭს ღვთიურს, რათა მან სხვას არწმუნოს ღმერთი“ (ნ. აბაკელია). რჩეული თავდაპირველად ხატს ეწინააღმდეგებოდა, რის გამოც იტანჯებოდა გულწასვლით, გულყრით, საღათას ძილითა და სხვა სატანჯველით; მოგვიანე-

ბით იგი წყნარდებოდა და ხატსა და ადამიანთა შორის თავისებური შუამავლის მუზღუდული ფუნქციით აღიჭურვებოდა: ვარდებოდა ტრანსში, იწყებდა უცნაურ ლაპარაკს, დაეცემოდა ქადაგად, მაგრამ ღმერთთან კავშირს უშუალოდ ვერ ამყარებდა, ალაპარაკებდა წმ. გიორგი ან რომელიმე სხვა წმინდანი ღმერთის მეშვეობით. ღმერთთან კავშირი კი შემდეგი სახით ხორციელდებოდა: გასაჭირში ჩავარდნილი პირი მიდიოდა ხატის მონასთან და უამბობდა თავის გასაჭირს, რომელსაც იგი წმ. გიორგის ან იმ წმინდანს გადასცემდა, ვის მონადაც ითვლებოდა; ეს უკანასკნელი უხორცოთა ძალას - მთავარანგელოზს - ატყობინებდა; მთავარანგელოზი კი ღმერთს მოახსენებდა. საბოლოოდ, მახვეწური მონის საშუალებით იგებდა, თუ როგორ უნდა მოეგო მას ხატის გული. არსებული მასალის მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში მოქმედი ქადაგისაგან განსხვავებით, ხატის მონის ფუნქცია მხოლოდ მკითხაობით და მორალის საკითხებით ამოიწურებოდა.

ლიტ.: ნ. აბაკელია. „ხატის მონობის“ ინსტიტუტი კახეთში (1976-77 წწ. კახეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით) // საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1982, გვ. 121-128.

ხატის უღელი - ხატის უღელი, სხვადასხვა გასაჭირის დროს, მორწმუნე ხატს რაიმეს ტარებას აღუთქვამდა, მას განსაზღვრულ დრომდე ატარებდა და მერე ხატს შესწირავდა. ამ თვალსაზრისით მთიანეთში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული იყო ხატის უღელი, რომელიც მზადდებოდა რკინისაგან და სხვადასხვა ზომის იყო. ზოგიერთი ასეთ უღელს ორსამ წელსაც ატარებდა. დაღებული ვადის გასვლის შემდეგ ყელუღელიანი ქალი ან კაცი მივიდოდა შეთქმულ ხატში, მიი-

ტანდა საწირავს (ნაზუქები, სანთელ-კელაპტრები), დეკანოზი შეხსნიდა უღელს და ხატის ნიშში შედებდა. ამის შემდეგ ადამიანი ხატის მონობისაგან თავისუფალი იყო. ასეთივე დანიშნულების იყო კისერზე დასადები მძიმე ჯაჭვები.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ხატიმ გინოჩამა („ხატზე გადაცემა“) - დამნაშავის ან მტრად მიჩნეული ადამიანის დაწყევლის, ხატზე გადაცემის მეგრული წესი. სამეგრელოში ყველაზე სამძიმო საქმედ ილორის ხატზე გადაცემა ითვლებოდა, რადგან ილორის წმ. გიორგი გადაცემულს („გინოჩამილს“), უეჭველად, დაამიზუნებდა და ბოლოს მოუღებდა. ამიტომ მას უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდნენ. დაზარალებული დანაშაულში ეჭვმიტანილს გადაცემის თაობაზე წინასწარ გააფრთხილებდა. თუ არ იცოდნენ, ვინ იყო ქურდი ან სხვა რაიმე ბოროტების ჩამდენი, მაშინ სოფლის ყრილობაზე ან ეკლესიაში წირვის შემდეგ გამოაცხადებდნენ, რომ მავანი მიდის ილორში ხატზე დამნაშავის გადასაცემად. დაიცდიდა რამდენიმე დღე და თუ დამნაშავე არ გამოტყდებოდა და ნაქურდალს არ მოიტანდა, დაზარალებული ილორში წავიდოდა, სანთელსა და ფულს მიიტანდა და მნათეს სათანადო რიტუალის შესრულებაში დახმარებას სთხოვდა. მნათე მას ხატთან მიიყვანდა, დააჩოქებდა, სანთლებს აანთებდა და ხელაღპყრობილი დაზარალებული იტყოდა: დიდებულო ილორის წმ. გიორგი, ვინც მე ესა და ეს ნივთი (საქონელი) წამართვა, მომპარა (თუ იცის, მის სახელს იტყვის), ორი კვირის განმავლობაში მოატანინე თავისი ხელით, თუ არადა გევედრები, გამოიჩინე შენი ძალა, გააგიჟე და ისე გა-

ამწარე, რომ ჩემს სახელს ყვიროდეს“ და ა. შ. გადაცემის დროს სხვადასხვაგვარად დაიწყევლებდნენ (მაგალითად: „წმ. გიორგი ილორისაო, მისი ქალიშვილი გააგიჟე და შენს კარზე თმებით დააბი, ვაჟი კი საჯალურით [ჯაჭვით] შეკრული მოიყვანე და შენს კარზე დააბი“. ხარის ქურდის გადაცემის დროს დაზარალებული ილორში უღელს მიიტანდა, იქვე მდგარ ცაცხვის ხეზე მიაბამდა და დაიწყევლებოდა: „ამ უღლის ხარი ვინც მოიპარა, წმ. გიორგი ილორისაო, მისი ოჯახი დაამხე, ვაჟი გაუგიჟე და ჩემი სახელი აყვირე. ვიდრე ხარს არ მოიყვანს, ეს უღელი არ მოხსნას და უღელში შებმული ხარი ჩემს ოჯახში არ მოიყვანოს“. წყევლის დროს ცაცხვზე ლურსმნის მიჭედებაც იცოდნენ). ამაზე მნათე იტყოდა: „შეუსრულე წმ. გიორგი ისე, როგორც გეხვეწება“, და გადაცემის რიტუალს სამჯერ „ამინ“-ის თქმით დაასრულებდა. მოსალოდნელი შედეგის დაგვიანების შემთხვევაში, წყევლის დროულად ახდენის მიზნით, გადამცემი ილორში ყოველწლიურად საწირავ სანთლებს აგზავნიდა და წმ. გიორგის სთხოვდა, დამნაშავის მიმართ რისხვა ჩქარა გამოეხატა. თუ ცნობილი დამნაშავის ოჯახში ვინმე მოკვდებოდა, ან დაავადდებოდა, იტყოდნენ - წყევლამ გაჭრაო, და გადამცემი ილორის წმ. გიორგის მაშინათვე ციკანს შესწირავდა, რათა წყევლა არ დაბრუნებოდა. ზოგჯერ ხატზე გადაცემულმა და არც მისმა შთამომავლობამ არცკი იცოდნენ, რომ დაწყევლილები იყვნენ; თუ საამისო ეჭვი გაჩნდებოდა, მიმართავდნენ მკითხავს, რომელიც იტყოდა: თქვენი პაპა თუ პაპის პაპა ამა და ამ კაცმა ილორში ხატზე გადასცა და „გამოლოცვა“ (გითოხვამუა) სთხოვეო. ხატისაგან დამიზუნებული გადამცემის ოჯახში თხოვნით მივიდოდა და, რამდენადაც წყევლიდან დიდი დრო იყო გასული, ორივე მხარე შერიგებაზე იოლად თანხმდებოდა. გადაცემული გა-

დამცემს თავის ოჯახში მოიწვევდა, გულუხვად გაუმასპინძლებოდა და საწინდრად („გინალუეფი“) მისცემდა რაიმე საგანს (იარაღს ან ჭურჭელს), რომელსაც გადამცემი გამოლოცვამდე სახლში ინახავდა. შემდეგ ორივე მხარე საწირ-სანთლებით ილორში წავიდოდა და გადამცემი წმ. გიორგის ხატთან გამოლოცვისთანავე საწინდარს უკან დააბრუნებდა.

ხატზე გადაცემული ქურდი ზოგჯერ შეშინდებოდა და ნაქურდალს ილორის ეკლესიის ეზოში დაყრიდა, მაგრამ მისი წაღება პატრონს არ შეუძლო, რადგან იგი ეკლესიის საკუთრებაში გადადიოდა. დაზარალებული წმ. გიორგის შიშით იძულებული ხდებოდა წყევლა მოეხსნა. ზოგიერთი გაკერპებული გადამცემი წყევლას მოუხსნელად დატოვებდა და იტყოდა: „ილორის წმ. გიორგი, სანამ ქურდი ჩემი თვალით არ ვნახო, ჩემი წყევლა ძალაში დარჩეს“. მეგრულთა რწმენით, როდესაც წყევლა გაჭრიდა, გადაცემულის ოჯახის რომელიმე წევრი გაგიჟდებოდა და გადამცემის სახელის დაძახებას დაიწყებდა, ავადმყოფს ეკლესიის კარზე დააბამდნენ და იქ გამოილოცებდნენ.

ლიტ.: ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 351-354; თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1956, გვ 115-116.

ხატიმ ითონჯირაფა (მეგრ.) - „ხატქვეშ დაწვენა“ - ხატის ძალით მკურნალობის მეგრული წესი - ფსიქიურად დაავადებული ან თვალთ სნეული ადამიანის წმ. გიორგის ხატის წინ დაწვენა, ღამისთევა და მისი განკურნებისათვის ვედრება. ასეთ ავადმყოფს, რომელსაც ხელები ჯაჭვით (ხაჯალურით) ჰქონდა შეკრული, ჯერ ეკლესიის კარებთან დააყე-

ნებდნენ, შესაწირ საკლავს სამჯერ შემოუტარებდნენ და იტყოდნენ: „შენი მიზეზით ყოფილა დაავადებული, გვედრებით, დღეიდან გაათავისუფლო“ (სქან დალახებულ ყოფე, ამდღარშე სითავისუფლე ქიმეჩი); შემდეგ ეკლესიაში შეიყვანდნენ, ხატის წინ დააჩოქებდნენ და წმ. გიორგის ავადმყოფის შველას ეხვეწოდებდნენ; ბოლოს ხატქვეშ დააწვენდნენ, კლავ გამოჯანმრთელებას შეევედრებოდნენ და ღამესაც ხატთან გაათევიებდნენ. ზოგჯერ ეკლესიაში (განსაკუთრებით ილორის წმ. გიორგის ხატქვეშ) ავადმყოფი ღამეს მთელი კვირა ათევდა. თუ ავადმყოფი „ჟინიში ლახარათი“ (ზეციური ავადმყოფობით) იყო შეპყრობილი და ბნედა მოსდიოდა, მას ე. წ. „ეტლეჩობას“ ათამაშებდნენ: ტაშის კვრით ამბობდნენ: „ატლეჩობა თემურ ყვარა, ღმერთმა მისცეს თავის შველა, ავდგეთ ვიცეკვოთ, აწ გვექნება ჩვენ დახმარება“ (ატლეჩობა თემურ ყვარა, ღორონთქ მეჩას მუშ მოხვარა, გევირთათი ქოვსხაპათი, აწ მიღუნა ჩქი მოხვარა). ავადმყოფი ამ დროს დახტის, ფეხებს გაუსვამს და თამაშობს.

ლიტ.: ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 303, 350-351.

ხაფანგი - ნადირ-ფრინველთა და მღრღნელთა საჭერი. ეთნოგრაფიულ ყოფაში დასტურდება მრავალგვარი ფორმის ხაფანგი.

ხაში - მოხარშული საქონლის ფაშვი და ჩლიქები, რომელიც თავის წვენთან ერთად კეთდება ნივრით. ძირითადად გავრცელებული იყო თბილისელი ხელოსნების წრეში.

ხაჩირი - 1. გადაწინდვით გაშენებული ვენახი ლეჩხუმში. 2. ხუროს იარაღი. ერთგვარი თოკები, რომლითაც ადგენენ კუთხის სისწორეს.

ხაჩირი (რაჭ.) - ხუროს იარაღია, სწორი კუთხის გამოსაყვანი. სახლის ხაჩირში მოყვანა. ვენახი ხაჩირში მოიყვანა (იხ. ბერ.; შდრ. ქეგლ, ალავ. მასალ.).

ხაჭაპური - ყველიანი ქადა, შესაძლოა ადრე ხაჭოს შერევით მზადდებოდა (აქედან სახელწ.). არსებობს სხვადასხვა სახეობის (იმერული, მეგრული, აჭარული, გურული და სხვ.) განსაკუთრებით ცნობილია იმერული ხაჭაპური. ხაჭაპური ნაციონალური საკვები კულტურის მონაპოვარია. ხაჭაპურის ნაირსახეობას წარმოადგენს თუშური „კოტორი“.

ხახალი - მრგვალად მოწნული სინი ხორაგეულის სუფრაზე მისატანად. ხახალზე დააწყობენ მოხარშულ თევზსაც გასაციებლად.

ხახალი (ქვ. რაჭ.) - მანულისაგან მოწნული კალათისმაგვარი ჭურჭელი. ხმარობენ

ყურძნისა და ხილის საკრეფად (იხ. ფრ., 75; შდრ. ბერ., მენტ., ქეგლ).

ხელა (რაჭ.) - 1. სახვნელის ნაწილია (სინონ. 1. წინახელა. 2. ერქვანი) (იხ. დიდ.). 2.

თავკავისა (იხ.) და ერთ-ერთი ნაწილია. სიგრძივ მუაზე ჩახერხილი ხე, რომელიც ერთი თავით უღელს უერთდება, მეორეთი კი ჩამოცმულია ნეფსაზე (იხ.). იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ფჩხილები მარხილში.

ხელადა - წყლის დასალევი თიხის ჭურჭელი. კახეთში იგი ცნობილია, როგორც „თუშურ ორხელადიანი“ და „დუქნური“ ხელადა. ასეთი ხელადა ძირითადად მუშახელისათვის იყო გამოსაყენებელი. იგი დაჰქონდათ სამუშაოდ წყლის დასალევად. დასავლეთ საქართველოში

ხელადა სუფრაზე მისატან ჭურჭლადაც ითვლება. ხელადის ყელი ძირში ვიწროა და პირისაკენ გაფართოებული. იგი ტუჩიანია და უქუსლო - სწორი ძირით. ქუსლიანი, ანუ „დუქნური“ ხელადა უმეტესად პირგადაშლილი და ტუჩიანია, მისთვის დამახასიათებელია ყურს ზემოთ ყელზე შემოვლებული რკალი. კახეთში გავრცელებული ყოფილა ძირგანიერი ხელადა, რომელსაც „დაჯდა ხელადას“ უწოდებენ. (იხ. დაჯდა ხელადა).

ხელანი (გლ.) - სახვნელის კავი.

ხელგობა (რაჭ.), **ხელგობაი** (გურ., ზ. აჭარ.) - პატარა ვარცლი, პატარა გობი. ხმარობენ ლობიოს პარკისა და ფხალის მოსაკეპად, ჯამ-ჭურჭლის გასარეცხად, გობში ასხამენ რძეს ნაღების მოსახდელად.

ლიტ.: კ. გვარამიძე. გურული ლექსიკონი // „მოგზაური“ № 10. 1901. გვ. 946-952;

ხელდასადები (კახ.) - სასიძოსაგან საპატარძლოსათვის მირთმეული ნივთა (ბეჭედი ან სხვა რამე) დასანიშნავად, - საწინდარი.

ლიტ.: ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი. ქართული ენის კახური დიალექტი. თბ., 1956; შ. ნიჟარაძე. ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა). ბათუმი. 1971.

ხელუდანი (იმერ.) - საღვინე ღოქი, ხელადა.

ლიტ.: პ. ჯაჯანიძე. მასალები იმერული ლექსიკონისათვის // ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. IX. 1949., გვ.271.

ხელეჩო - ხის დასამუშავებელი ხელ-ჭურჭელი. აქვს პირი - წინა და უკანა, და ხის ტარი. იყენებენ ჯამების, ხონჩების, გობებისა და სხვადასხვა რიგის ხის ჭურ-ჭელთა სახვეწად, ამოსათლელად, „სა-დაც ცული ვერ უდგება, იქ ხელეჩო მუშა-ობს“.

ლიტ.: გ. გასიტაშვილი, ხის და-მუშავების ხალხური წესები, 1962.

ხელთათმანი, თათმანი, ხელჯაგი, საფუხარი (*ხევი, ხევი*) - საბას განმარტებით, ხელთათმანი ესაა „ჩასაცმელი რამე ხელთა ზედა სითბოსათვის“. საქართველოს მთამ მოგვცა ხელთათმანების ულამაზესი ნიმუშები, რომლებიც იქსოვებოდა მატყლისა და ბამბის ძაფი-საგან, ხმარებაში იყო ტყავის ხელთათმანებიც. ხელთათმანი, როგორც წესი, იქსოვებოდა ჩხირებით. ხელთათმანი იყო მთლიანი, სათითურებიანი, მოკლეთითებიანი. იყო აგრეთვე სამონადირეო ხელთათმანი ერთი სათითით, რომელიც თოფის სასხლეტის გამოსაკრავად იყო გამიზნული. საფუხარი (იხ) უფრო რკინის სხეპლისაგან დაწნულ ხელთათმანს ეწოდებოდა.

ხელთათმანი - ანუ ქურო (თუშეთი) კაცისაც იყო და ქალისაც. მას ჩხირებით ქსოვდნენ. ადრე ჭრელი იყო, ახლა კი, სადა ფერის აქვთ. მისი ნაწილებია: მაჯა, ტერფი (სავარცხლის ნაწილი), თითები და ჯიგვი (ცერი). ხელთათმანს მაჯაზე მოსაჭერი ნაწილი ქუროს ანუ „სახმუწი“ ჰქონდა.

ლიტ.: გ. ბოჭორიძე, თუშეთი, 1993:135.

ხელთუსაგზლონი - იხ. „სამუღამო“.

ხელის ახსნა - იხ. „თოფის დამზამვა“ / „თოფის შერცხვენა“.

ხელისმღები (რაჭ.) - წინასწარ შერჩეული კარგი, დაცდილი ხელის მქინე პირი, რომელსაც, მონადირის შემდეგ, მოკლული ნადირს პირველი ახლებდა ხელს, თან იტყოდა: „ას-ას“. ამ წესის შესრულებამდე მონადირე ნანადირევის ხორცს არავის გაუზიარებდა.

ლიტ.: ა. რობაქიძე. კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში // შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში. თბ., 1941, გვ. 172.

ხელკვერი (რაჭ.) ცელის გამოსაკვერავი პატარა ჩაქური (იხ. ქეგლ).

ხელნავი - მეომრის ზედაკიდურების დასაცავი. წარმოადგენს ნავისებური ფორმის რკინის ან ფოლადის ფირფიტას, რომელიც მეომრის ხელს იცავს მაჯიდან იდაყვამდე. მაჯასთან ხელნავი შედარებით ვიწროა და იკვრება ჯაჭვითა და ლითონის ფირფიტებით გაწყობილი სალტით. უკანასკნელ ფირფიტაზე მიმაგრებულია ორი ენიანი ბალთა, რომელშიც ეყრება ხელნავზე დამაგრებული ტყავის თასმები და იკვრება. ხელნავის გაფართოებულ ადგილზეც იდაყვთან, ერთ მხარეს დამაგრებულია ტყავის თასმა, ხოლო მეორე მხარეს ენიანი ბალთა. საქართველოში ხელნავებს თითქმის ყველა კუთხეში გამოიყენებდნენ და ამზადებდნენ კიდეც. ხშირად ხელნავები ირთვებოდა ვერცხლით, ოქროზარნიშით და სევალით.

ხელსაფქვაკი - მარცვლეულის დასამუშავებელი (დასაქუც მაცებელი, დასაფქვაკი) ქვის იარაღი. მისი დამზადების წესების სიძველე და არქეოლოგიური მასალები - ადასტურებს, რომ მას დიდი ხნის ისტორია აქვს. ცნობილია ხელსაფქვაკის ორი ძირითადი ტიპი: 1) მრგვალი

და ბრტყელი 2) მრგვალი და მაღალი, კონუსური ფორმის მძიმე ხელსაფქვავი. პირველი ტიპი, რომელიც ორი სახისაა: 1) მარგილიანი, ანუ უთოხო და 2) თოხიანი, გარეგნულად ერთმანეთისგან არ განსხვავდება. მარგილიანი, ანუ უთოხო ხელსაფქვავი წარმოადგენს ერთმანეთზე შედგმული თანაბარი დიამეტრისა და თითქმის ტოლი სიმაღლის ორ მრგვალ ბრტყელ ქვას. მამალი ქვა და დედალი ქვა. ზედა ქვას საბრუნებლად ჩასმული აქვს ხის ტარი. ხელსაფქვავის ქვები მოსაფქვავი ზედაპირით ერთმანეთს ემთხვევა. ქვედა ქვის მოსაფქვავი პირი კიდისკენ უფრო დაბალია, ცენტრისკენ კი ამადლებული. თოხიანი ხელსაფქვავი გარეგნულად ისეთივეა, როგორც უთოხო. მისი არსებითი განმასხვავებელი ნიშანია ე.წ. თოხი//არქი, ეს არის რკინის დეტალი, მიმაგრებული ქვედა ქვაზე. ხელსაფქვავის დამზადების ტრადიციები XX საუკუნის შუა წლებამდე ცოცხლად შემორჩა - ალგეთში (თეთრიწყაროს რ-ნი), ქაისხევი (დუშეთის რ-ნი), მოლითი (ხარაგაულის რ-ნი), ჟონეთი (წყალტუბოს რ-ნი), მუხურა (ტყიბულის რ-ნი), თრიალეთი, ჭერემი (გურჯაანის რ-ნი), იყალთო (თელავის რ-ნი), აკეთი (ლანჩხუთის რ-ნი), ზომლეთი, ვანი (ჩოხატაურის რ-ნი), გორისფერდი (ოზურგეთის რ-ნი). განსაკუთრებით სახელგანთქმული ყოფილა იმერეთის მუხურა და ჟონეთი, სადაც იყო საწისქვილე ქვის საბადოები. ხელსაფქვავის წინამორბედად ითვლება ქვის სასრესები და სანაყები. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ხელსაფქვაკები თარიღდება ძვ.წ.ად.-ის I ათასწლეულით (ბრინჯაოს ხანა, XIII-IX სს.ფლავისმანი, გორის რ-ნი) და ადრეული რკინის ხანით (VII-VI სს.)

ხელსაფქვაკები მოპოვებულია მცხეთის (ბაგინეთი, არმაზი), კოლხეთის, შიდა ქართლის, რუსთავის, უჯარმის, რაჭის ტერიტორიაზე. ხელსაფქვავის ის ტიპი, რომელიც საქართველოშია ცნობილი, ითვლება დაწინაურებულ ტიპად, რომლის ბაზაზეც უძველესი მანქანა - წყლის წისქვილი განვითარდა.

ლიტ.: ს. ბედუკაძე, საფქველების განვითარების ისტორიისათვის. ხელწისქვილები. სსმმ., XIX-B, 1956.

ხელჭურჭელი (იმერ.) - ზოგადი სახელია სახელოსნო იარაღებისა, რომელიც ხელოსანს მიაქვს სამუშაოდ.

ხეში - ლარგაბმული მოხრილი ჯოხი (ქამანა), რომლითაც უკრავენ ჭუნირს.

ხერხი ბეწვა - წვრილკბილებიანი და მახვილწვერიანი ხერხი, რომელიც იხმარება აივნის ფარდების ჭრილისა და სხვადასხვა ფიფურების ამოსაჭრელად.

ხერხი ბირდაბირი - ფართოპირიანი გრძელი ხერხი, რომელსაც თავბოლოში ტარები აქვს ჩაბმული და ორი კაცის მშვეობით გაწევ-გამოწევის პრინციპით მუშაობს.

ხერხი გაბმული, სისო - ხითხუროს იარაღი, რომელიც საკმაოდ რთული კონსტრუქციით გამოირჩევა. ხერხს გააჩნია პირი და უღელი, რომლებიც ჩაბმულია მხრებში. ხერხის სიმჭიდროვეს არეგულირებს გრეხილი ბაწარი. ხერხის პირს მიმართულებას აძლევს საგანგებო სახელური. ხერხის ასეთი ფუნქცია ხელოსანს საშუალებას აძლევს, მისი პირი სასურველი კუთხით დააყენოს. გაბმული ხერხი ხალხური ხითხურობის მაღალგანვითარებულობის დამადასტურებელია.

ხერხი საზედაო, ხიზარი (გურ.) - ფიცრების სახერხი ხერხი, რომელსაც ორი ადამიანი ამუშავებს. ამ გრძელ ხერხს ესაჭიროება მაღალი დაზგა-ხარაჩო, რომელიც

მელზედაც გასახერხი მორი დევს 1.5-2 მეტრის სიმაღლეზე. ხერხვის დროს ერთი მხერხავი მიწაზე დგას, მეორე კი ხარაჩოვბზეა გასული და მორს თავიდან ბოლოსაკენ მიჰყვება ხერხვით.

ხერხულა - საცერულის (იხ.) სახეობა. გავრცელებული იყო ხევსურეთში და მთლიანად აღ. საქართველოს მთიანეთში. ასხამდნენ თითბერისაგან. ხერხულა წარმოადგენს თითბერის რგოლს, რომელსაც მოკლე და გლუვი კბილები აქვს, კბილების რაოდენობა არ არის განსაზღვრული. საცერულის ამ სახეობას უფრო ხშირად ყმაწვილები ხმარობდნენ. ლიტ.: გ. ჩიტაია, *ხევსურული საცერული*, მრ. ტ. II, 2000.

ხეჩანი (თუშ.) - აკვანში ჩასაწვენი ბავშვის დასახვევი, თხელი და რბილი შალის ქსოვილი. იქსოვებოდა ბატკნის მატყლისაგან. ხეჩანს ორად მოკეცავდნენ და ბავშვს გულმკერდზე შემოახვევდნენ, ისე, რომ ხელებიც დაფარული ჰქონოდა. სასთუმლად მატყლის ბალიშს უდებდნენ. ხეჩანში გახვეულ ბავშვს აკვანში, ჩვილთა საგებელზე (თივის, ჩალის, ბატკნის მატყლის ლეიბზე) აწვენდნენ.

ლიტ.: ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფური, ი. ქავთარაძე, *ქართული დიალექტოლოგია*, I, 1961.

ხეხუნჯობა (მეგრ. ხე - „ხელი“, ხუჯი || ხუნჯი - „მხარი“) - საზამთრო ციკლის დღეობა (ხელ-მხრის დალოცვა), რომელსაც მეგრული მჭედლები ყოველი წლის 31 დეკემბერს იხდიდნენ. საამდღისოდ, მჭედლობის მარველ წმ. სოლომოს (იხ.) - სამას სამოცდასამი ხელობის გამჩენს - სწირავდნენ ღორს, რომელსაც „ოხეხუნჯეს“ უწოდებდნენ. გარდა ამისა, დღეობამდე მჭედლის შვილები, ე. წ. „მეხეხუნჯეები“, სოფელს დაივლიდნენ და სურსათ-სანოვაგეს შეაგროვებდნენ. მჭედლის

მეუღლე სადღეობოდ დააცხობდა მარწუნის, კვერის, ნალის და სხვ. ფორმის ყველიან მჭადებს (ჭვიშტარებს), რომლებსაც მჭედელი და მისი ვაჟები ღორის მოხარშულ თავთან და გულ-ღვიძლთან ერთად სანთელმიკრულ გობზე დაალაგებდნენ, სამჭედლოში შეიტანდნენ და იქ ჩაფლულ თავმოხდილ საზედაშე ქვევრთან დადებდნენ; ყველანი მუხლს მოიყრიდნენ და მჭედელი შემდეგი სახის ლოცვას აღავლენდა: „წმ. სოლომო, სუმოს სუმენეჩდოსუმი ხელუაში გორჩქინუუ! მა დო ჩქიმი სქუალეფც დღარი ხვამა სი გოუტიბინე, ხე-ხუჯი მოუმართი, წანაში ხვამამა სი ქიმიიყუნი დო თაში მორძგვიშე სი დაარინე, სქანი სახელი ხვამელი!“ (წმ. სოლომონ, სამას სამოცდასამი ხელობის გამჩენო, მე და ჩემს შვილებს დღევანდელი ლოცვა შეგვარგე, ხელ-მხარი მოგვიმართე, მომავალი წლის ლოცვამდე მიგვიყვანე და ასე წაღმა გვამყოფე. დაილოცოს შენი სახელი!), ამასთან, გობს მარჯვნივ შეატრიალებდა. ბოლოს, მჭედლის მუხლმოყრილი ვაჟები დიდი და საჩვენებელი თითებით წრეს შეკრავდნენ, რომელშიც მამა ცოტაოდენ ღვინოს გაატარებდა და ყოველ ჯერზე იტყოდა: „ასე გამოიყვანე ჩემი ... (ამბობდა შვილის სახელს) ყოველი ტკივილიდან და გაჭირვებიდან“ (თაში სი გაიშუნი ჩქიმი ... ირი ჭუა-გაჭირებაშე).

ლიტ.: ნ. აბაკელია. სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბ., 1997, გვ. 34; ნ. ანთელავა. აფხაზური მითები, რიტუალები, სიმბოლოები. თბ., 2006, გვ. 109-110; ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 14, გვ. 5-8 (ინახება ავტორთან); И. Кобалия. Из мифической Колхиды // СМОМПК. № 32. Тф., 1903. გვ. 111-112.

ხვავი - მოწეული მოსავლის გროვა. აქედანაა სიტყვა „დახვავებული.“

ხვანჭკარა (რაჭ.) - იხ. ალექსანდრეული / ალექსანდროული.

ხვარადი (გურ.) - მიცვალებილისათვის შესაწირავი ცხოველი.

ლიტ.: ა. წულაძე. ეთნოგრაფიული გურია. თბ., 1971. გვ. 198.

ხვანა (ზ. რჭ.) - დანა, წვერში მოღუნული. კოვზების სათლელად ხმარობენ, _ ხვეწი (იხ).

ძიძ.; შდრ. საბა: ხუეწი, ნ. და დ. ჩუბ., ქეგლ: ხვეწი; ბერ.: ხვანაწინი).

ხვედა - ხის ურო.

ხვეულა - საცერულის (იხ.) სახეობა. გავრცელებული იყო ხევსურეთსა და მთლიანად აღ. საქართველოში. ხვეულა წარმოადგენს ორ ან სამ ერთმანეთთან დაკავშირებულ ან სპირალურად დახვეულ რგოლს. თითოეული რგოლის გვერდი საკმაოდ ამონაწიბურებულია, თუმცა უფრო გლუვია, ვიდრე ბასრი. ხვეულას თითბერისაგან ამზადებდნენ და პირზე ორნამენტებსაც უკეთებდნენ. შიდა დიამეტრის დასაპატარავებლად და ცერზე მოსარგებლად ხევსურები ხმარობდნენ „დგინდგელ“-ს (მზადდება ფიჭვისაგან), რომელსაც ხვეულას შიგნიდან უსვამდნენ. ხვეულა თავისი კონსტრუქციით არა საკაწრავი, არამედ საცემარი იარაღია. „ხვეულა მოწინააღმდეგეს ჟეჟავს, ხოლო „მაღალი“ და ღაჯია ფხაჭნის.“ ერთ-ერთი ვერსიით ხვეულა გამოიყენებოდა ასევე თოფის ჩახმახის მოსამართად და ზუმბის ამოსაღებად.

ლიტ.: გ. ჩიტაია, ხევსურული საცერული. შრ. ტ. II. 2000.

ხვანა (ზ. რჭ.) - დანა, წვერში მოღუნული. კოვზების სათლელად ხმარობენ, _ ხვეწი (იხ).

ძიძ.; შდრ. საბა: ხუეწი, ნ. და დ. ჩუბ., ქეგლ: ხვეწი; ბერ.: ხვანაწინი).

ხვეწი- აქ: ხალხურ მედიცინაში ძვლის საფხეკი იარაღი, რკინის ოთხკუთხატიანი იარაღი, რომლის ერთი თავი მოხრილია და ალესილი. დასტაქრები ხვეწს ხმარობდნენ ოპერაციის დროს ძვლების გასასუფთავებლად. ხევსურები მისი საშუალებით ახორციელებდნენ თავის ქალის ტრეპანაციას.

ხვიანდაგი (ქართლ.) - მათრახის ენა, წვერი, რომელსაც ფოჩებივით აქვს ჩამოშვებული ბოლოები.

ხვითო - ქვების განსაკუთრებული სახეობა, რომელთა ნალეს ფხვნილს ჭრილობათა სამკურნალოდ ხმარობდნენ. საქართველოს მთაში ასეთ ქვებს „მარგალიტადაც“ მოიხსენიებენ და მიიჩნევენ, რომ მათი ნახვა მხოლოდ რომელიმე ფრინველის ან ცხოველის კუჭშია შესაძლებელი. ხვითო-მარგალიტით წამლობა საკმაოდ ძვირად ფასობდა. მისი ერთი ჩამონაფხეკი, ერთი ცხვარი ღირდა, ამიტომ ამ ნაფხეკს მხოლოდ სახის ჭრილობისათვის ხმარობდნენ. ქვებით მკურნალობა მთელს კავკასიაში გავრცელებული ჩვეულება იყო. ლაბორატორიული კვლევები ადასტურებს, რომ ასეთ ქვებს მართლაც გააჩნიათ სამკურნალო თვისებები.

ლიტ.: პ. ფირფილაშვილი, ქვის გამოყენება სამკურნალო მიზნით, მაცნე № 2, 1972.

ხვილა (ქვ. რაჭ.) - ნაყარი ქვები ყანაში (იხ. ქეგლ).

ხვიმირა - წისქვილის სამარცვლე, მარცვლის ჩასაყრელი. ძაბრისებური პრინციპით მოწყობილი. ამზადებენ ხის ფიცრებისაგან. ზოგიერთგან იცოდნენ წნელით მოწვნაც.

ხვირი (რაჭ.) – 1. წნელით მოწნული ოვალური ფორმის სათავსი, რომელიც იდება ურემზე და გამოიყენება სხვადასხვა ტვირთის გადასაზიდად (მარცვლელი, ყურძენი და სხვ.). 2. (იმერ.)ნეხვის გასაზიდავი დაბალი ჩელტი. ხვირს დავდგამთ მარხილზე, მივაყენებთ სანახველაზე, ჩავყრით ნეხვს და გავზიდამთ. ხვირით ქართოფილსაც ვზიდამთ ხვალმე (იხ. ქეგლ; შდრ. ძიძ., წერ., ალაზ., ძოწ.).

ხთიშობელი - ბალიაურთა გვარის სალოცავი ხევსურეთში, არხოტის თემის სოფ. ახილში; სწირავდნენ ხარს. მოგვიანებით ვინმე დათვია ბალიაურს სახლის საძირკვლის გათხრისას ჯვართ ნიშიც მოუთხრია, რის შემდეგაც ეს ადგილი „გამიწრივებულა“, ე. ი. ადრე ანგელოზის სახით მყოფი ხატი ეშმაკად ქცეულა. ამიტომ თუ წარსულში მას ადამიანების დახმარება შეეძლო, გამიწრივლების შემდგომ მხოლოდ ვნება მოჰქონდა. ამბობენ, რომ გამიწრივლებული ხთიშობელი იქვე მდგარი ქვითკირის კუთხეში ქალის სახით ცხოვრობსო და მწვანე ტანსაცმელი აცვიაო. იმ ადგილის ახლოს ბავშვებს არ უშვებდნენ, რადგან, ხევსურთა რწმენით, თუ მათ ჯვარ-ეშმაკი შეხვდათ, დოყვი (მუწუკები) დაედებათ.

ლიტ.: ალ. ოჩიაური. ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. ხევსურეთი (არხოტის თემი). თბ., 1988, გვ.194-195.

ხიბალ-კუდიანები (თუშ.) - ყველა ჯურის ავსული თუშური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით; ვნებენ ადამიანებს, დაძრწიან ღამღამობით და დაეძებენ

მსხვერპლს, რათა ხელში ჩაიგდონ, „დაიტომონ“ (ჭკუიდან შეშალონ) ან ტყვედ წაიყვანონ; თავზე ახურავთ ჯორის ჩლიქის ფორმის ჩაჩი, რომელიც მათ უხილავს ხდის; არიან მაქციები, შეუძლიათ, მიიღონ ნებისმიერი სახე. ადამიანებს ისინი უფრო ხშირად ღამაზი ქალის, მორთული პატარძლის ან დედაბრის, არცთუ იშვიათად, კატის სახით ეჩვენებიან. მართალია შეუძლიათ მიიღონ ადამიანის სახე, მაგრამ ტერფებშებრუნებულ ფეხებს ვერაფერს უხერხებენ; როგორც კი ხორციელის სახეს მიიღებენ, მოკვდავთა თვისებები უჩნდებათ: სტკივათ დარტყმული, იჭრებიან და კვდებიან; ბინადრობენ კლდოვან ადგილებში, მდინარეთა ნაპირებზე, ხევებში, განსაკუთრებით ჩანჩქერებსა და ქანჩახებში; დადიან თითოობით და ადამიანებსაც ერთეულებად ეჩვენებიან; ყველა სოფლის მიდამოებში აქვთ თავშეყრისათვის ამოჩემებული ადგილები, სადაც ანთებენ კოცონს და მის გარშემო ცეკვა-თამაშს - „ერულას“ მართავენ; იქ გავლილ კაცსა თავისთან ეპატიჟებიან და თუ შეაშინებენ - „ნასიპს გაუტეხენ“, დაიტომებენ და მასაც ერულაში ჩააბამენ; თუ ვინმესთვის „ნასიპის გატეხა“ გაუჭირდებათ, თავიანთ უფროსს - დორაისხვევლს (იხ.) - უხმობენ; თუ დორაისხვევლიც ვერ შეაშინებს, მაშინ ან დალოცავენ ან დაწყევლიან. ასე დაუწყევლიათ ხახაბოში ერთ-ერთი გულადი კაცი თორღვა: შენს გვარში შვილი მამას ნუ მოესწრება და მამა შვილსაო; „მართლაც ეგრე მოდიან ეგ თორღვაანები, მაგათი შვილი მამას ვერ ეწევა და მამა - შვილს; ახლა სულაც გათავდნენ ხახაბოში; ერთი კაციღაა და ისიც ართანაში ცხოვრობს“, - ყვებიან თუშები.

ხიბალ-კუდიანები განსაკუთრებით კლინისა და ხორცის კვირაში აქტიურდებიან (იხ. „კლინი“): ღამღამობით ხმაურობენ, ერთურთს მწკვიანი ხმით გასძახიან,

ადამიანთა ბედს წინასწარმეტყველებენ. ავსულთა ხმები მხოლოდ და-ძმებში კენტ რიგში (პირველი, მესამე, მეხუთე და ა. შ.) დაბადებულებს ესმით და ამით ვისიმე თავს მოსალოდნელ ბედნიერებასა თუ უბედურებას წინასწარ იგებენ (იხ. „მესმინაე“).

ხიბალ-კუდიანები კდინის კვირიდან მთელი ორი-სამი კვირის განმავლობაში დაძრწიან სოფლად, მერე კი იქაურობას დოვებენ. მათ გასასტუმრებლად თუშები ერთგვარ რიტუალს ასრულებდნენ: დიდ-მარხვის აღების დამეს (ხორციელის კვირა სადამოს) ბავშვები ისრებს შემდეგნაირად გაამზადებდნენ: წვერებს დანით ცოტაზე ჩაჭრიდნენ, შიგ ბუკვის პატარა ნაჭრებს ჩაურჭობდნენ და ბაწრის შემოხვევით გაამაგრებდნენ. დელები კოტრებს გამოუცხოებდნენ და ახალ შებინდებულზე ამ კოტრებს, სანთელ-ზედაშესთან ერთად, გარეთ გამოუტანდნენ და ბავშვებს მოი-სართა შესანდობარს ათქმევინებდნენ. შემდეგ ბავშვები სოფლის გარეთ გავი-დოდნენ და ცეცხლმოკიდებულ ისრებს სოფლისკენ ისროდნენ, თან გაიძახოდ-ნენ: „ხიბალო კუდიანებო, კაკალო გული-ანებო, თქვენამც გჩრიათ“. წარსულში ამ ისრების სროლა უფროსების მოვალეობა ყოფილა.

ლიტ.: გ. ცოცანიძე. გიორგობი-დან გიორგობამდე. თბ., 1987, გვ. 67-78; ნ. აზიკური. მასალები თუ-შური დემონოლოგიიდან // ისტო-რიულ-ეთნოლოგიური ძიებანი. 2016, XVIII, გვ.157-184.

ხიზი - 1. საქონლის ცხიმისა და ნაც-რის ნაზავი, რომლითაც იცოდნენ ხის ჭურჭლის გახიზვა - წასმა, რათა არ და-მსკდარიყო. 2. გატეხილი ჭურის და-საგლესი. დაინაყება კრამიტის ნატეხი, გაატარებენ სამტკიცში, შემდეგ ქონში

ამოსვრილ ბამბას შეზულენ ამ გამტკი-ცულში და დაუსვავენ ჭურს გაბზარულ ადგილას. იცოდნენ ქვევრის მთლიანად გახიზვა. ამ ხელობის ოსტატებს მხიზა-ვები ერქვათ.

ხითხურო - ხის ხელოსანი ოსტატი. ძირითადად ხის სახლების ამგები. ხი-თხუროები ფლობდნენ სახლის აგება-გა-წყობისა და მოჩუქურთმება-მოხარატე-ბის დიდ ემპირიულ ცოდნას. ქართულ ხითხუროობაში დიდი წვლილი შეიტანეს ლაზმა, რაჭველმა, ხითხუროობის უნი-კუმს წარმოადგენს.

ხილაბანდი - ქალის საშინაო თავსა-ბურავი. მთიული ქალები ხილაბანდს და თავშალს იხვევდნენ. ლიტ.: ს. მაკალა-თია, მთიულეთი,

ხიმე - ნაპობი ძელის ღობე. ერთმა-ნეთზე მჭიდროდ და ირიბად მილაგე-ბული.

ხიმუნი, ხიმური - ტყავის მოსაქნელი ხელსაწყო. შატლის საფიხვნოში (ხე-ვსურთ თავშესაყარი ადგილი) სხვა ინ-ვენტართან ერთად ბოლო დრომდე შე-მორჩა ორი ხიმური, ერთი მოქმედი და ერთი გაუქმებული. ხიმური იჭრებოდა ცაცხვის მთლიანი კუნძიდან, გულს სი-გრძლით ამოუღებდნენ და მასში მოათავ-სებდნენ მრგვლად გათლილ ხის ტარს - კედის წვერს. დარის ნაპირებში რკინის რიკები იყო გაყრილი, რაც კედის მოძრა-ობის დროს დარიდან ამოვარდნას ხელს უშლიდა. დარის ნაწიბურები და კედის შუა ტანი დაკბილულია ჭდეებით, რაც ხელს უწყობდა უკეთ მოზელვას და ხელს უშლიდა ტყავის გადაცურებას.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები სა-ქართველოში, 1979.

ხინკალი - აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული საჭმელი. ხინკალი წარმოადგენს დაკეპილ ან მანქანაში გატარებულ ხორცს, რომელიც გახვეულია თხელი პურის ცომის მასაში და მოხარშულია წყალში. ხინკალი კეთდება როგორც ახალი, ასევე დამარილებული ხორცისაგან. სახინკლე ხორცს აზავებენ ხახვით, ქონდრით, პილპილით, შემდეგ დაასხამენ წყალს და კარგად ახევენ. სახინკლე ცომი ძარღვიანი უნდა იყოს. ხარშვისას იოლად რომ არ გასკდეს, თორემ ხინკალში წყალი შევა და გაფუჭდება. სახინკლე ცომი იზილება ცივი წყლით, რადგან თბილი წყლით მოზელილი იოლად სკდება. რაც უფრო თხელი ცომი აქვს ხინკალს, მით უკეთესია. სახინკლე ხორცს დადებენ ერთ ზომაზე მოჭრილ თხელი ცომის ფირფიტაზე და ამოახვევენ ნაოჭებად. როცა მარილჩაყრილი წყალი კარგად აღუდდება, ხინკალს ჩაყრიან და ცოტა ხნის შემდეგ ქვაბსაც შეანჯღრევენ, რომ ხინკალი მის ძირზე არ დაჯდეს, 10-15 წუთის დუდილი საკმარისია, რომ ხინკალი მოიხარშოს. კარგად გაკეთებული ხინკალი გამოყოფს გემრიელ წვენს და მჭამელი უნდა ცდილობდეს თავისი უგერგილობით იგი არ დაღვაროს. ამიტომ ხინკლის ჩანგლით ჭამა გამართლებული არაა. ხინკალი არის ქართული სამზარეულოს ერთი მიღწევათაგანი. მთაში ხორცის ხინკლის გარდა აკეთებენ მხალეულის, ყველის, ხაჭოსა და კარტოფილის ხინკალსაც.

ხიორი - „საქალო და სავაჟო თავსახურავი“ (საბა), ესაა გვირგვინისებური თავსახურავი. ქართულ წყაროებში ხიორის შემცვლელად ზოგჯერ ნახმარია - ვარჯის სადგმლი.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემკი, 1962.

ხირიმი - ცეცხლსასროლი იარაღი (კაჟიანი თოფის ტიპი). საქართველოში XVII ს-იდან იარაღის წარმოების სფეროში უცხოეთის გავლენა უფრო გაძლიერდა, ინდოეთსა და ხვარაზმული იარაღის მაგიერ XVII საუკუნიდან ინტენსიურად იწყება ევროპული იარაღის გავრცელება. დასავლეთ ევროპიდან იარაღი, ოსმალეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, ძნელად მაგრამ მაინც შემოდიოდა ყირიმის მეშვეობით, რაც ხალხურ მეტყველებაში აისახა, ყირიმული თოფის გაგებით. ყირიმის გზით შემოსული ევროპული ლულების გარდა, საქართველოში XVIII-XIX სს-ში უშუალოდ ყირიმში დამზადებული დამასკური ფოლადის ლულებიც შემოდიოდა. ქართველი ხელოსნები ცეცხლსასროლი იარაღის დასამზადებლად სწორედ ყირიმულ ლულებს ირჩევდნენ, საიდანაც მომდინარეობს მისი სახელწოდებაც „ყირიმი“, ანუ „ხირიმი“. ყირიმული ლულები ძირითადად რვაწახნაგია, არსებობდა გლუვწედაპირიანებიც, შიდა სივრცით 6-8-ღარიანია, ყალიბი - 13-15 მმ. ორნამენტად გამოყენებულია მცენარეული და გეომეტრიული მოტივები, რომელიც შესრულებულია წვრილი ოქროს მავთულით და ჩაჭდულია ლულის ამოკაწრულ ზედაპირზე. ოქროს მავთულის გარშემო კიდეები მორთულია რელიეფური კომპოზიციებით. ყირიმული ლულებისათვის დამახასიათებელია ორი დამლა, ერთი ლულის ზედა წახნაგზე (5-კუთხიანი, შესაძლოა მრგვალიც), რომელიც ეკუთვნის ხელოსანს, ხოლო მეორე - ლულის გვერდითა წახნაგზე (ფოთლისებური ფორმის), რომელშიც არაბულად წერია „იმტიხან“, რაც ნიშნავს, რომ ლულამ გამოცდა გაიარა (ე.ი. მისი ხარისხი დამაკმაყოფილებელია). ხშირ შემთხვევაში დამლებთან ერთად ლულაზე გამოსახულია ოქროზარნიშით შესრულებული არაბული წარწერაც „ის, რაც სურს ღმერთს“ და სხვ. ასეთი ლუ-

ლები ძირითადად თარიღდება XVIII ს-ის უკანასკნელი მეოთხედით, ხოლო XIX ს-ის დასაწყისით დათარიღებული ლულები ძალზედ იშვიათია, რაც, სავარაუდოდ, მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ყირიმის რუსეთთან შეერთების შემდეგ ადგილობრივად ლულების წარმოება შეწყდა. ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემკი ტ. III-IV, 1962. კ. ჩოლოყაშვილი, თოფი ქართული წარწერით, სსმმ XVII ნ, 1953. Э. Аствацатурян, оружие народов кавказа. 1995.

ხირდა - უხეში ქსოვილისაგან დამზადებული მოსასხამი.

ხიჯა (რაჭ.) - გამლილი ხელის ცერისა და ნეკის ირგვლივ დახვეული ძაფი, რომელსაც

რამდენჯერმე გადაკეცავენ და გვრიქის (იხ.) საწყისად (გულად) იყენებენ (მღრ. აჯაჭვა

ნართის) (იხ. ქეგლ, ღლ. სიტყვ. კონა).

ხიფების გადაჭრა - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული კახური წეს-ჩვეულება: ოჯახში მოხუცი ქალი თუ გარდაიცვლებოდა, მას სამი ფერის (ძირითადად თეთრი, წითელი, ყვითელი, ლურჯი და შავი ფერის) აბრეშუმის ძაფის პატარა ხიფებს გულზე დაადებდნენ; გამოსვენების წინ ხიფებს თავებს გაუჭრიდნენ და ძაფებს ხალხში დაარიგებდნენ ისე, რომ თითოეულს ამ სამი ხიფიდან თითო ღერი შეხვედროდა. მორწმუნეთა ერთი ნაწილის აზრით, ხიფების გაჭრით მიცვალებულს საიქიოსკენ გზა ეხსნებოდა; მეორე ნაწილის შეხედულებით, ეს რიტუალი რომ არ შეესრულებინათ, მიცვალებული ვერ მოინანიებდა იმ ცოდვებს, რომელიც მას ვალად აწვა. აბრეშუმის მოყვანის დროს შეიძლება, მას ძაფის მო-

პარვის შემთხვევა ჰქონდა; ამიტომ მას ამ ხიფების სახით სამაგიერო რომ არ ეზღო, შეიძლებოდა, მიცვალებულს საიქიოში ძაფები პირიდან ამოსვლოდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ საინგილოში გავრცელებული ყოფილა ჭაბუკობის ასაკის მიცვალებულისათვის ერთი კვანძი „ხაიათის“ ჩატანების წესი.

ლიტ.: ნ. აბესაძე. მეაბრეშუმეობა საქართველოში. თბ., 1957; ზ. ედილი. საინგილო (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი). თბ., 1947, გვ. 113-114; მ. ჯანაშვილი. საინგილო. თბ., 1910, გვ. 128.

ხიმტაკი - თითბრის ხელსაწყო. მის ზედაპირზე სხვადასხვა სიდიდის პაწაწინა ორმოებია ამოჭრილი. იხმარება ვერცხლის ცვარას დასამზადებლად.

ხიმტი - საძგერებელი იარაღი. საბას განმარტებული აქვს ცალკე „ხიმტი - პირგრძელი ლახვარი“ და ლახვარის ქვეშაც „ხიმტი არს ლახვარი პირ-გრძელი, ძგიდემახვილი, ტარ-კოტა.“ ხიმტი XI-XIII ს-ის თხზულებებში მოგვეპოვება, მანამდე იგი არ ჩანს. ძველი ძეგლების მიხედვით ეს სპარსული სიტყვაა. ქართული ძეგლების განმარტებით, მას თოფის საჩხვლეტის მნიშვნელობა აქვს, ისეთი, როგორიც დღევანდელი დატვირთვით. მართალია ხიმტი საჩხვლეტი იარაღი იყო, მაგრამ თოფისაგან სრულიად დამოუკიდებელი, თოფს იგი ბოლო ხანებში „მიაკერეს.“ ხიმტი ცეცხლსასროლი იარაღის განვითარების ისტორიაში XVI-XVII საუკუნეებიდან, ანუ კაჟიანი თოფების ეპოქაში აქტიურად ჩნდება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ფითილიანი თოფების პერიოდშიც ფიქსირდება მისი არსებობა. XIX საუკუნიდან კი თითქმის ყველა საბრძოლო თოფს გააჩნია ხიმტის დასამაგრებელი მოწყობილობა.

ხლუ-ი (გურ.) - გველის მსგავსი ქვემძრომი. შდრ.: ხლიკვი.

ლიტ.: კ. გვარამიძე. გურული ლექსიკონი // „მოგზაური“, № 10. 1901. გვ. 952; ალ. დლონტი. გურული ლექსიკური მასალა. 1935.

ხმალი - მკვეთელი, საბრძოლო იარაღი. ხმლის შემადგენელი ნაწილებია - პირი, ტარი და ქარქაში. ხმლის პირს აქვს - ნესტარი (წვერი), შამარი (ორლესული წვერი), ფხა (ალესილი პირი), გნდე (ყუა, აულესავი პირი) და ღარი (ან ღარები); ტარი შედგება - კოტასაგან (საკუთრივ ხეტარი, ან რქა, ან ლითონი), ვადაჯვარისაგან (ვადა-პირისა და ტარის შეერთების ადგილი, სადაც განთავსებულია ჯვრის ფორმის მტევნისდამცავი, ანუ ვადაჯვარი), ვაშლისაგან (ტარის მოხრილი ბოლო, ანუ ქუდი) და დვარისაგან (მოქლონი, რითაც დამაგრებულია ხეტარი პირზე); ქარქაში მზადდება ხის ორი ფირფიტისაგან, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებულია პირის ფორმის შესაბამისად და გარედან გადაკრული აქვს ან ტყავი, ან თითბრის სალტეები. თითბრის სალტეებიან ხევსურულ ქარქაშებს აქვს „საცვეთებიც“, რომელნიც ქარქაშს კიდეებზე სიგრძივად დაუყვება. ქარქაშზე დამაგრებულია ყაწიმების (ყაწიმი - ხმლის სამხარიდლიე) დასამაგრებელი სალტეები. ქარქაშის ბოლოში კი წამოცმულია ლითონის ბუნიკი. სულხან-საბა ახასიათებს საუკეთესო ხმლის თვისებებს და ასახელებს მხოლოდ ორი ხმლის სახეობას გორდასა და კალდიმს, რომელთაც „ქართველნი ჰყვარობენ“. ქართული ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალით კი დასტურდება ხმლის ისეთი ნაირგვარობა, როგორიცაა დავითფერული, მისრული, დაშნა, შიშნა, ნიჩბა, ჭოლასური, ლეკური, გველისპირული, თუშური ორლესული, უნგრული, ფრანგული და

სხვ. თითოეული მათგანი განსხვავდება ერთმანეთისგან ტარის, პირისა და ქარქაშის ფორმა-მოყვანილობის მიხედვით. საქართველოში ხმლები ადგილობრივად მზადდებოდა, მაგრამ შემოდოდა ევროპული იარაღიც, რომელთა სადამლო ნიმუშებს ქართველი ხელოსნები აქტიურად იყენებდნენ თავიანთ ნახელავ იარაღზე. ხევსურეთში ევროპული ხმლების საერთო სახელად ფრანგული იყო მიღებული, არჩევდნენ დედალ და მამალ ფრანგულს. გერმანიიდან და ავსტრიიდან შემოსულ ხმლებს დედალ ფრანგულს ეძახდნენ, ხოლო იტალიურს - მამალ ფრანგულს. თავისთავად დედალი ფრანგულიც დაბალი ღირსების ხმალს არ გამოხატავდა. მაგ., ძალზედ იყო გავრცელებული გერმანული წარმოების ხმლები, რომელზედაც იყო დამლა მგლის სტილიზებული გამოსახულებით. ამ დამლას XIVს-ის პასაუელი ხელოსნები ხმარობდნენ, ხოლო XVIIIს-დან ზოლინგენის ხელოსნები. იმის დასამტკიცებლად, რომ ხმალი ადგილობრივია (ქართული) და არა გერმანული, მეტყველებს ის ფაქტი, რომ ცხოველი გამოსახულია არა სტილიზებულად (9-11 შტრიხით), როგორც ეს ევროპულ ვარიანტშია, არამედ მთლიანი ტანის კონტურით, სადაც აქცენტირებულია სახეც და ბალანიც კი, მამასადამე, საქმე გვაქვს ქართულ ან თუნდაც კავკასიურ მინაბაძებთან. ჩვენ ქვეყანაში ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობდა XVI ს-ის იტალიელი ოსტატების ანდრეა და ჯანდონატო ფერარების მიერ დამზადებული ხმლის პირები, პოპულარული იყო ასევე იტალიური, გორდას დამლიანი ხმლის პირებიც და სხვ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ადგილობრივი ქართველი ხელოსნები ამ დამლებს გამოყენებით არ ცდილობდნენ თავიანთი შემოქმედება ევროპულად გაესაღებინათ, ისინი უბრალოდ პოპულარულ დამლას იყენებდნენ თავიანთ ნახელავ ხმლებზე, თორემ ფო-

ლადის დამზადების ტექნოლოგია, ტარისა და ქარქაშის მორთულობა მთლიანად ქართული იყო და უმაღლესი ხარისხის. ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემკი, ტ. III-IV, 1962. გ. ჯალაბაძე, საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიული ფონდების გზამკვლევი, 1979.

ხმალიკა - 1. (ხევს.) იარის მოსაფხეკი და ჩირქის მოსაწმენდი. მაგარი ჯიშის ხისგან გამოთლილი დანისებური იარაღი. 2. ხმალიკა-ბორწკალი კომბინირებული იარაღია, გამოთლილი მაგარი ჯიშის ხისგან, გლუვზედაპირიანი, ერთი ბოლო წარმოადგენს ბორწკალს-მამას, რომელიც კარგად ასრულებს საოპერაციო დამჭერის ფუნქციას, მეორე ბოლო კი საფხეკია.

ლიტ.: ნ მინდაძე, ქართული ხალხური მედიცინა, 1981.

ხმელგანატეხი (რაჭ.) - მონადირეთათვის განკუთვნილი მრგვალი და ბრტყელი საწესო პური, რომლის ცომი ერთბოში იზილება (ღორის ქონის გამოყენება აკრძალულია). ხელგანატეხის ზედაპირი მზის დაფანტული სხივების მსგავსად არის დაჭრელებული. მისი გამოცხობის დროს დედაკაცი ლოცულობდა: „ნადირთ წმინდა ანგელოზო, მშვიდობით ჩამოიყვანე გახარებული ჩვენი მონადირე“. ხელგანატეხი ქვემო სვანეთშიც სცოდნიათ და საინტერესო აქ ის გარემოებაა, რომ იგი მონადირისათვის აუცილებლად ცოლს ან დედას უნდა გამოეცხო.

ლიტ.: ა. რობაქიძე. კოლექტიური ნადირობის გადმონათები რაჭაში // შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში. თბ., 1941, გვ. 165.

ხმიადი - უსაფუვროდ გამომცხვარი პური. ძირითადად აცხობდნენ რიტუალისათვის.

ხოზოკვარი / ხოზოკონი - იხ. „დიშკამ კვარიშ ხაშუა“.

ხოკერა - ხის ქერქისგან დამზადებული და ძირგამოყენებული ჭურჭელი, იყენებდნენ სხვადასხვა პროდუქტის შესანახად.

ლიტ.: ქელ 2009.

ხოლი (რაჭ.) - 1. კაკლის დასაბერტყი გრძელი ჯოხი, _ ხალა, ჭოკი. ხოლს ნიგვზის მოსარეკ ჯოხს უძახით. 2. ზმ. ხევი (იხ. ბერ., ქეგლ, ძოწ.; მდრ. საბა: ხალა; ქავთ. II: ხალი).

ხოლიხი - წვრილი თევზსაჭერი ბაღე.

ხომალი - დიდი ზომის აფრებიანი ნავი.

ხონი (თუშ.) - ცომის მოსაზელი პირგადაშლილი, ოდნავ ღრმა ტაბაკი, რომელსაც გააჩნდა სამი ფეხი და სახურავი, თუშები ქუმელის მოსაზელადაც იყენებდნენ. ხონი ქალთა სუფრის მოვალეობასაც ასრულებდა და მასზე გამოცხვარ პურსაც ინახავდნენ.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

ხოჩა - მოგრძო ტაბაკი, ხის ლანგარი ოდნავ ნაპირებზემოფარგლული, ზოგჯერ ოვალური, ზოგჯერ კუთხოვანი ნაპირებით. იხმარება სხვადასხვა პროდუქტის დასაწყობად და სუფრაზე მისატანად. ბატონების გადალოცვის დროს ხოჩაზე დააწყობენ წითელყვითელ ნაჭრებს, ტკბილეულს, ნიგოზს....წაიყვანენ ავადმყოფს და სახლიდან მოშორებით გადაულოცავენ ბატონებს.

ხოჩა (რაჭ.) - 1. ქვის როფის მსგავსი ხის ოთხკუთხედი გრძელი ჭურჭელი, რო-

მელშიც ფელიკებს (ფეშხოებს) ამარილებენ. ფელიკებს ჯერ ხონჩაში ჩავაწყობთ და დავამარილებთ. რამდენიმე დღე იქნება ხონჩაში, თან გადავაბრუნ-გადმოვაბრუნებთ ხვალმე, მერე ქე ამევილებთ და ღვლერქებით ჩამოვკიდებთ.

ხონჯარი, ხვანჯარი - მარვალ-საცვალის სათავეში გასაყრელი მსხვილად მოქსოვილი ზონარი, იქსოვებოდა ფირფიტებით. ხონჯარს ანალოგი ეძებნება ეგვიპტურ და ბაბილონურ მატერიალურ კულტურაში. ქსოვის ასეთი ტექნოლოგია გვიანობამდე შემორჩა საქართველოს ქალაქებში.

ხოპი / ხოფი (რაჭ.) - მოკლეთარიანი ხის პატარა ნიჩაბი. იყენებენ ბარზე, თოხზე, სახვნელზე, ჭურის სარქველებზე მიკრული მიწის ასაფხეკად; წისქვილში ალიდან ფქვილის ამოსაღებად და სხვ. (იხ. ქეგლ).

ხორა (რაჭ.) - ზვინად დაწყობილი კუბური საჟენი შემა. (იხ. ქეგლ, ძოწ.; შდრ. გაჩ.).

ხორგო (ლეჩხ.) - დიდი საწნახელი.

ხორგო (რაჭ., ქვ.) - საწნახელი (სინონ. ზმ. ხაპი).: ყურძნის დაწურვამდე გამოვადრობთ ხორგოს შუბლის ნახვრეტში შეყრილ ნაქურჩალას და გამოუშობთ ჩაგუბებულ ტკბილს (იხ. ჭყ., ქეგლ, ქართ. დიალექტ., 680).

ხორცი შებოლილი - ერთგვარი საზამთრო მარაგი, რომელსაც საგანგებო წესით ამზადებდნენ. ხევში გულად გატყავებულ ცხვრის ხორცს ერთ კვირამდე ამ ტყავგულამივე ჩაამარილებდნენ, ხოლო შემდეგ აყარზე დაჰკიდებდნენ, რომ კვამლში გამოსულიყო. ახალ//აპატენა//ალალ(ხევსურეთი) ხორცზე მეტად შემქვარტლულს სცემდნენ პატივს. „ხორცი რომ დაისვენებს და მალლა გამოშრება უფრო

გემრიელია“ (მთიულეთი). „კაი გემო ჰქონდა შემქვარტლულს, როგორც ჭერნი ისე გამავდებოდა“ (ფშავი). ნელ შებოლვას დიდხანს აყოვნებდნენ, რომ უფრო კარგად გამოსულიყო კვამლში. შებოლილ ხორცსა და ქონს მთიელთ ყოფაში უაღრესად დიდი და საპატიო ადგილი ეჭირა. სვანეთში მარილის ნაკლებობის გამო წარსულში მიმართავდნენ ნაცრით დამახშვის ხერხსაც. საინტერესოა ხალხში დაგროვილი დიდი ცოდნა, „კომლში გამოყვანა“ - დამარილებასთან დაკავშირებით. დასამარილებლად დაჭრილი ხორცის ნაჭრები სქელი არ უნდა ყოფილიყო, რომ მარილს კარგად შეედწია სიღრმეში. შებოლილი ხორცის მაღალი ხარისხით დამზადებისათვის იცავდნენ ყველა წესს, საუკუნეთა მანძილზე გამოცდილებამ რომ აჩვენა. საჭირო იყო გარკვეულ სიმალლეზე მოთავსება და ტემპერატურის დაცვა. ძალიან რომ არ გამომშრალიყო, ყურადღება ექცეოდა შეშის შერჩევასაც. თელისა და მუხის კვამლი სასიამოვნო გემო-სუნს აძლევდა, წივაზე შებოლილი კი უფრო ნაკლები ხარისხის გამოდიოდა.

ხორცწვნი - კერძი. ახალდაკლულ საქონლის ხორცს გაურეცხავს მოხარშავდნენ წყალში, შეანელებდნენ ხახვით, წიწკა-მარილით და კარტოფილით. თუ ხორცი დამარილებული ან ყალია იყო (იხ.), იმას ჯერ გარეცხავდნენ, შემდეგ მოხარშავდნენ და შეანელებდნენ.

ხოტურა (რაჭ.) - შავყურძნიანი ვაზის ჯიშია. მთლიან ადგილებში გვხვდება. ხოტურა კაი გამოსავლიანი ქვე არი, ღვინო მჟავე ღებება, სამხევი დასალეჯია (იხ. ჯავახ. ეკ. ისტ., II, 441, ქეგლ, ფრ., 32).

ხოტი - ლუდის გამოხდისას, გაწურული წვენის ნარჩენი. ხაკის ტომრებში დარჩენილი უხეში ფორის მასა. აჭმევენ ცხოველებს.

ხოფი - დიდი ნიჩაბი, რომელიც ზოგჯერ ორ ადამიანს მოჰყავდა მოძრაობაში, გამოიყენებოდა აფრიან გემებზე, მაშინ როცა სასურველი ზურგის ქარი არ უბერავდა.

ხოშაქა (ფშ.) - ხანმატის ჯვრის ერთ-ერთი ღობილთაგანი.

ლიტ.: ვაჟა-ფშაველა მცირე ლექსიკონი. შეადგინა ალ. ჭინჭარაულმა. თბ., 1969.

ხოშორი (გლ.) - ნაკვერცხლებიანი ღველფი. „ერთ ცალს უძახით ნაკვერცხალს და თუ

ბევრია - ხოშორს“ (შდრ. საბა, ქეგლ, ძოწ., გაჩ.).

ხოწი, ხვეწი - ღვედის პრინციპით მოძრავი რკინისპირიანი იარაღი, რომლის მეშვეობით ხითხურო ხვეწდა სხვადასხვა ნივთს - თეფშებს, ჯამებს, სამარილეებს, მანძლებს, რიკულებს და ა.შ. საგანთა შესაბამისად ხოწს ჰქონდა სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის კბილები.

ხოწი (რაჭ.) - 1. რკინის ან ხის ტარის მქონე ასტამის ფორმის რკინის პატარა ნიჩაბი,

რომელსაც ხმარობენ ვარცლზე პურის ცომის ასაფხეკად, ცომის გუნდის ჩამოსაჭრელად

შეკეცილ ბაჭულების ზედაპირის მოსაჭეჭელიაებლად და სხვ. 2. იგივეა, რაც ხვაწა. (იხ. საბა: ხუწი, ნ. ჩუბ. ხვეწი.).

ხოჭიჭი - ამოდრუებული ფიცარი, სადაც აკვანში გადაყვანამდე აწვენდნენ ჩვილს.

ხოჯობაია-ფუჯობაია („ხარობაია-ფურობაია“) - მეგრული საგაზაფხულო ერო-

ტიკული თამაში, რომელშიც მოწიფული ასაკის გოგო-ბიჭები მონაწილეობდნენ; ახალდათესილი მინდვრის ერთ მხარეს, სიმაღლის მიხედვით, გოგონები გამწვრივდებოდნენ, მეორე მხარეს - იმავე რაოდენობის ბიჭები (მათ შორის მანძილი სახნავ-სათესი ფართობის მოცულობაზე იყო დამოკიდებული). მოპირდაპირე მხარეები ოთხზე დადგებოდნენ: ბიჭები კურობივით ბლაოდნენ, გოგონები - ძროხებივით. ასე დაოთხილი ახალგაზრდები, უკანალის თამაშით, ერთმანეთისკენ ილტვოდნენ; მიახლოებისას ჯერ უკანალებს შეარკინებდნენ, შემდეგ კი „ხარები“ “ფურებს“ მოეკიდებოდნენ და ზედ წაქცევამდე ესხდნენ. გამარჯვებულად ის წყვილი ითვლებოდა, რომელიც ყველაზე ბოლოს წაიქცეოდა. ამ თამაშის ერთ-ერთი აღმწერი წერს: „რომ იცოდეთ, ახალგაზრდებს ტილოს გრძელი პურანგის გარდა, არც ზემოთ და არც ქვემოთ, სხვა არაფერი ეცვათ. გასაკვირი ის არის, რომ ასეთი სათუთი (საციცამო) თამაშიდან, როგორც გადმოგვცემენ, მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ვინმე ფელანგიას ნამუსი აუხდია პარტნიორისთვის. ფელანგია დაუსჯიათ: მისთვის სამი წლის განმავლობაში ახალგაზრდობის თავყრილობებში მონაწილეობა აუკრძალავთ“ (ი. ქობალია).

ეს ამკარად მაგიურ-ეროტიკული თამაში, როგორც ჩანს, მოსავლის ნაყოფიერების გაზრდას ემსახურებოდა. იგი პარალელს პოულობს არაერთი ხალხის ყოფაში დამოწმებულ წეს-ჩვეულებებში, რომლებიც ახალგაზრდულ ხნულზე სექსუალური სცენების გათამაშებას, ზოგჯერ კი სქესობრივ აქტის განხორციელებას ითვალისწინებდა.

ლიტ.: ი. ქობალია. ჩემი ავტობიოგრაფია. გვ. 22-23 (ხელნაწერი დაცულია ქ. ზუგდიდის ისტორიის მუზეუმის არქივში); ა. ჭანტურია.

ეთნოგრაფიული ჩანაწერები. მეგრული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებანი // თსუ შრომები, № 227. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ., 1982, გვ. 240; ნ. ანთელავა. სამეგრელოს ექსპედიციის მასალები. რვ. № 5, გვ. 17-18 (ინახება ავტორთან).

ხრათითი - სამამფურე, გულდრუიანი ნაჩვრეტებიანი თიხის ჭურჭელი. დადასტურებულია ლეჩხუმსა და სამეგრელოში. გამოიყენებოდა მწვადის შეწვისას სამამფურის (იხ.) წვერების შესაყოფად. ხრათითის მეგრული სახელწოდება ბარჯგია.

ხრიკა (რაჭ.) - დამრეცად თავწაჭრილი და გულამოდებული მწარე კვახი (იხ.), რომელსაც გრძელი ტარი აქვს დაგებული. იხმარება ქვევრიდან ღვინის (ან რეცხვისას - წყლის) ამოსაღებად, - ორშიმო, კოპე. მარანში რამდენიმე ხრიკა არი სამჭინო ჭურების სიდიდის კვალობაზე.

ხრიკოლა (რაჭა) - ქვის სატყორცნი საშუალება. გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, ძირითადად რაჭაში. ხრიკოლა წარმოადგენს ხის გახვრეტილ მილს, ცილინდრს, რომლის ერთ ბოლოში წამოცმული იყო ქვის ან ლითონის კვერი, ხოლო მეორე დახურულ ბოლოსკენ გამოჭრილი იყო ღარი, რომელიც სათითეთი ბოლოვდებოდა. მილში წინასწარ იწყობოდა დაკალიბრებული ქვები, ბოლოს წინა ფიქსირდებოდა ცერათითით, ხოლო ბოლო ქვა კი დაქნევით გაიტყორცნებოდა, შესაძლებელი იყო ორი ან რამდენიმე ქვის ერთად გასროლა. კვერიანი ხრიკოლას უპირატესობა ის იყო, რომ ახლო ბრძოლაში მისი ჩუგლუგად გამოყენება შეიძლებოდა. არსებობს აგრეთვე უკვერო ხრიკოლა, რომელიც

მელსაც წინა მხარეს კვერი არ ეგო, ამიტომ მხოლოდ ქვების სატყორცნად გამოიყენებოდა.

ლიტ.: ა. გიორგობიანი, სტ. ქვის კულტი და ქვის საბრძოლო იარაღები, გაზ. „რაეო“, 1997.

ხროგი / ხროლი / ხრონდი (რაჭ.) - შავყურძინი ვაზის ჯიში, ახლა

გადაშენებული. (იხ. ჯავახ. ეკ. ისტ. II, 442, ქეგლ, ფრ., 33).

ხუა (რაჭ.) - სოკოვანი დაავადებაა. უჩნდება სიმინდს. მომწვანო რუხი ფერის მუშტისოდენა წანაზარდია. შიგნით ფაშარი აგებულებისაა, მომწიფებისას შავი ფერის მტვრად იქცევა, - სიმინდის გულაფშუტა. ხუა თუ გოუჩადა სიმინდს, ტაროს ვერ გეიკეთებს (იხ. ჩიქოვ., ძოწ.; მდრ. ჭყ.: ხუ).

ხუთო - სამკურნალო ქვა. ზოგი ამ ქვას „ციდან ჩამოვარდნილს“ ეძახის, ზოგის თქმით კი მსხვილფეხა ავადმყოფი საქონლის ღვიძლის ქვაა (შირიმი), ხველების დროს ამოვარდნილი. ამ ქვით მკურნალობენ „დასუნთქულს“. დასუნთქულად ითვლება ქვეწარმავალთა, მხამიან მწერთა, ორმოცფეხას ნაკბენი ან დასუსხული („დასუნთქული ხილი არ იჭმევა“). ხუთო მრგვალია, შუაზე გადაკვეთილი, გადაკვეთილი მხრიდან ლესავენ (ხეხავენ) ჯამში, რომელშიც წყალი ასხია. მერე წყალში ნალესი მხრით უსვამენ დასუნთქულ ადგილზე. ქვას რაღაც მარილები აქვს: კანს სწვავს და ამრობს. ხუთო-ქვა გახვრეტილია. ნახვრეტში კანაფია გყრილი. ამ კანაფით ხუთოს ჰკიდებენ ლურსმანზე, რომელიც კედელშია ჩარჭობილი. ალბათ იმიტომ ჰკიდებენ, რომ არ დაიკარგოს, მაგრამ ასე არა ხსნიან... კედელზე ჩამოკიდებას რაღაც ცრუ რწმენას უკავშირებენ. საბა ამგვარ ქვას „გესლთმკურნალ“ ქვას უწოდებს.

ლიტ.: შატბერაშვილი, გიორგი. თხზულებანი: 4 ტომად. - თბ. 1975.

ხულა (რაჭ.) - 1. წნელებისაგან მოწნული (ან ხის) დროებითი სადგომი ყანაში, სათიბში.

სადამოკებით მივდიოდით ხულაში საყარაულოდ, დათვი რო არ შემოსულიყოს ყანაში,

დილით ქვე ვბრუნდებოდით სახში. ხმელი შეშუკეები გვეკონდა ხულასთან მიყრილი და

გვემთო ცეცხლი 2. მარცვლეულისა და სხვადასხვა სამეურნეო პროდუქტების შესანახი ნაგებობა, პატარა ბუდელი, რომელსაც აქვს მაღალზღურბლიანი კარი და დაგმანულია იმის გათვალისწინებით, რომ მღრღნელებმა ვერ შეაღწიონ.

ხულიხი - წვრილი თევზის საჭერი ბადე.

ხულუგო (რაჭ.) - დოლის პურის ერთ-ერთი სახეობათაგანია. ჩვენ თეთრ ხულუგოსაც ვთესამდით, წითელსაც (იხ. ჯავახ. ეკ. ისტ., I, 327, ქეგლ, მაყ.; შდრ. საბა: ხულუნგო).

ხუნდა (გლ.) - 1. კალაპოტი იარაღისათვის. შალაშინის ხუნდას სხლისას ვაკეთებთ. 2. საჩეჩლის ნაწილი, რაშიც კბი-

ლებია ჩასმული.

ხურდუმი - გათლილი ქვების გროვა, თუნდაც გაუთლელისაც. ხელოსნები ქვებს თლიან და „ხურდუმხურდუმ“ დგამენ, სანამ შემკვეთი წაიღებს.

ხურო - ხის ხელოსანი (იხ. ხითხურო), ძველ ქართულში გვხვდება ტერმინები „ხურონი ქვათანი“ და „ხურონი ხისანი“, რაც იმის დამადასტურებელია, რომ „ხურო“ ორივე დარგის ხელოსანთა საერთო სახელი ყოფილა. მოგვიანებით, უფრო ხისხუროს მანიშნებლად იქცა.

ხურჯინი - მხარსა და ცხენის უნაგირზე გადასაკიდებელი სურსათ-სანოვანის სატარებელი ორთვლიანი აბგა. ამ ტიპის ხალიჩური ნაწარმი, როგორც სანიადაგო ნივთიც შემკულია ორნამენტებით, გამოირჩევა ფერადოვნებით და ზოგადად, ესთეტიური თვალსაზრისით ძალზე კარგადაა შესრულებული.

ხუტარა (< ქისტ. ხუტარ - „ფაფა“) - ხევსურული (არხოტული) სამარხვო საკვები - მსხვილად დაფქული შვრიისაგან საფუარზე დამზადებული მჟავე გემოს საჭმელი.

ლიტ.: ალ. ჭინჭარაული. ხევსურული თავისებურებანი. ტექსტებითა და ინდექსით. თბ., 1960, გვ. 214.



ჯაბუჯი (მთიულ.) - მარხილის გარდმი-
გარდმოში გაყრილი მსხვილი ხე.

ლიტ.: ლ. კაიშაური. მთიულუ-
რის დარგობლივი ლექსიკა. თბ.,
1967.

ჯაგირი (ხევს., თუშ.) - კარისპირული
მამული, სახლთან ახლომდებარე მა-
მული; სახნავი მიწის ნაკვეთი.

ლიტ.: ალ. ჭინჭარაული. ხევსუ-
რულის თავისებურებანი. თბ., 1960.

ჯადური (მოხ.) - მინდვრის ბარდა.

ლიტ.: ო. ქაჯაია. მასალები მო-
ხური კილოს ლექსიკონისათვის //
სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პე-
დაგოგიური ინსტიტუტის შრომები.
XI. ცხინვალი. 1967. გვ. 375-451.

ჯადური (ხევს.) - ნაქარგის (ნაქსო-
ვის)ერთგვარი სახე.

ლიტ.: ალ. ჭინჭარაული. ხევს-
ურულის თავისებურებანი. თბ.,
1960. გვ. 262.

ჯარზაბა (ინგილ.) - გარეული მტრელი.

ლიტ.: მ. ჯანაშვილი. კაკ-ელი-

სენში შეკრებილი სიტყვები // მ.
ჯანაშვილი. ფარსადან გორგიჯა-
ნიძე და მისნი შრომანი. თბ., 1896.
გვ. 86-123.

ჯართ შემონდვება (ხევს.) - ორი თი-
თოხარიანი გლეხის შეამხანაგება ხარე-
ბით, რომ გუთანში ორი ხარი შეაბან.

ლიტ.: ალ. ჭინჭარაული. ხევს-
ურულის თავისებურებანი. თბ.,
1960. გვ. 197.

ჯართ შაყრა (ხევს.) - კალოზე ხარები-
სათვის უღლის დადება; ერთი ხარის და-
უღლვა - ჯარის შაგდებაა.

ლიტ.: ალ. ჭინჭარაული. ხევს-
ურულის თავისებურებანი. თბ.,
1960. გვ. 204.

ჯარჩამავალი (ხევს.) - სწპილენძის
დიდი ქვაბი, ხარი ეტევა.

ლიტ.: ალ. ჭინჭარაული. ხევს-
ურულის თავისებურებანი. თბ.,
1960. გვ. 159.

ჯატარი (მთიულ.) - 1. ძალიან მშრალი
საჭმელი; 2. ადგილი, სადაც ცუდი მოსა-
ვალი მოდის; 3. გამხმარი.

ლიტ.: ლ. კაიშაური. მთიულურის დარგობლივი ლექსიკა. თბ., 1967.

ჯევი (ქიზიყ.) - წყალნატარი ადგილი, ნალვარევი, დირღიანი, კაჭრეთი, ღვარი. (იხ. ხევი).

ლიტ.: სტ. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

ჯევ-ხმელი (ფშ.) - წყალი და ხმელეთი, მთელი ქვეყანა, დედამიწა.

ლიტ.: ქართული დიალექტოლოგია. თბ., 1989. გვ.596.

ჯელადა (ქიზიყ.) - საწყაო: თიხის ქურქელი, რომელშიც ორი ლიტრი ჩადის. ჯელადა ორნაირია: შინაური და ღუქნური. შინაური ჯელადა დაბალია, ძირგანიერი, მუცლიანი, დაბალყელა, პირგანიერი და ოდნავ პირგადაშლილი, ცალყურა, ორი ჩარეჯა (ლიტრი) და ცოტა მეტი ჩადის. ამას რვიანი ჯელადა ჰქვია, რადგან ჩაფში რვა ჯელადა ჩადის. ღუქნური ჯელადა მაღალია, რამდენადმე ყელვიწრო, პირი კი გადაშლილი აქვს და პატარა ტუჩიანია. მასში სრული ორი ჩარეჯა (ლიტრი) ჩადის; მას ცხრიან ჯელადას უწოდებენ, რადგან ჩაფში ცხრა ჯელადა ჩადის. ორივე ჯელადა ღვინის საწყაოდ იხმარება.

ლიტ.: სტ. მენტეშაშვილი. ქიზიყური ლექსიკონი. თბ., 1943.

ჯელოსანი - ხევსურული ჯვარიონის - ქადაგის, ხუცესის, მედროშის, მეზარის, მესაფუჯრის, მეგანძის და სხვათა საერთო სახელი. რამდენადაც ჩამოთვლილი ხატის მსახურები ჯელოსანთაგან დგებოდნენ, ისინი, არცთუ იშვიათად, იწოდებოდნენ, როგორც „ხუცესი-ჯელოსანი“, „მედროშე-ჯელოსანი“, „მეგანძე-ჯელოსანი“, „მეზარე-ჯელოსანი“, „მესაფუჯრე-ჯელო-

სანი“ და ა. შ. ჯელოსნად დადგომა მხოლოდ გარკვეული წესების შესრულების შემდეგ შეიძლებოდა (იხ. „საჯელოში ჩადგომა“ | „ზღუბლის დალაჯვა“). ჯელოსნებად იწოდებოდნენ განათლულ-განწმენდილი მეთემეებიც, მაგრამ ისინი საღვთისმსახურო თანამდებობებს ვერ დაიკავებდნენ, არასოდეს დაიშვებოდნენ ჯვარის დარბაზში; შეედლოთ მხოლოდ „საჯელოსნოში“ („ჭეროში“) - ჯელოსნთა სადგომოთახში - ყოფნა; ვერ დაესწრებოდნენ ჟამისწირვას და დარბაზში ჰურობას და სხვ.

ლიტ.: ჟ. ერიაშვილი. „ჯელოსანის“ ინსტიტუტის საკითხისათვის ხევსურეთში („საჯელოში“ ჩადგომისა და „ზღუბლის“ დალაჯვის წესები) // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XIX. თბ., 1978, გვ. 101-111; ჟ. ერიაშვილი. ჯელოსანის ფუნქციები ხევსურეთში. 1. ჯვრის ჯელოსანთაგან მედროშეთა დაყენება // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXI. თბ., 1981, გვ. 128-136.

ჯინჭრიკვაი (თუშ.) - მაგიური ძალის მქონე ბარაქის მომტანი მრგვალი ფორმის ქვა თუშური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით; ათავსებდნენ „პურის ბუნაგში“, ერბოს კასრში და სხვ. (მოსალოდნელი უბარაქობის შიშით, მიუღებლად თვლიდნენ ამ ქვის დაკარგვას). აღსანიშნავია, რომ თუშებს ჯინჭრიკვაის ნაცვლად მრგვალი კვერის გამოყენებაც ცოდნიათ. მათი რწმენით, ამ კვერს მრგვალი ქვის ტოლძალოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ხსენებულ კვერს დიასახლისი ახალ წელს აცხობდა.

ჯინჭრიკვაის იდენტურ ქვას ხევსურები ბოსელში (სამყოფოში), ხოლო ფშავლები სახლში სადიაცოს მხარეზე მდგარ ერბოს კასრსა და საპურე კილობანში აგებდნენ.

გარდა მრგვალი ქვისა, ხევსურეთში ბარაქის მომტანად თურსისა და ცირცელის ხის ნაფოტიც ითვლებოდა. ხევსურთა რწმენით, ოჯახს ბარაქა დაებეღებოდა თუ ოჯახის უფროსი მამაკაცი გუგულის მოფრენასთან დაკავშირებულ ერთ ფრიად საინტერესო რიტუალს შეასრულებდა: გუგულის მოფრენის პერიოდში იგი სახლიდან გაიპარებოდა და დედიშობილა სამჯერ შემოუვლიდა ხეს, რომელზედაც გუგულს შენიშნავდა, და იტყოდა: „ გუგულო, დოლა მოგპარე, ბარაქა დამიტანეო“. იგი ყოველ შემოვლაზე ხეს ნაფოტს ან ქერქს შემოათლიდა და უცხო თვალისგან მალულად ერბოს კასრში, საპურე კილობანში, ან გოდორში აგებდა.

ლიტ.: ლ. ბედუკიძე. ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1967, გვ. 192-193.

ჭმიადი (ხევს.) / ლელიც დიარ-ი / უტიხა დიარ-ი (სვ.) - უსაფუაროდ გამომცხვარი ქართული რიტუალური პური, რომელიც უპირატესად მემინდვრეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების აუცილებელი ატრიბუტი იყო. აცხობდნენ სხვადასხვა ზომისას, ზოგიერთ კუთხეში (მაგალითად, კახეთში) მისი წონა 10-12 კილოგრამს აღწევდა.

ლიტ.: ნ. მაჩაბელი. მინდვრის სამუშაოებთან დაკავშირებული რიტუალური კვრები // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXI. თბ., 1981, გვ. 156.

ჭული / ბებერაჲ - ქრთველ მთიელთა საახალწლო მორი - ძველი წლის ქართული სიმბოლო, რომელთანაც დაკავშირებული ფრიად საინტერესო რიტუალი არქაულ რწმენა-წარმოდგენებს ავლენს.

სვანები ახალიწლის წინა დღეს, რო-

მელსაც შუმხვამს || ეშხვამს || ეშხვამს უწოდებდნენ, ტყეში ნაძვის, კაკლის ან მსხლის ხეს მოჭრიდნენ, გასხეპავდნენ. ასე დაამზადებდნენ ჭულს - საახალწლო მორს. მეორე დღეს „... ორი მამაკაცი გაიღებდა მხარზე ჭულს, რომლის შუა ადგილზე ბავშვს მოათავსებდნენ (ეს ბავშვი თუ ბიჭი იყო, მაშინ ჭულს მხედრულად გადააჯდებოდა, ქალი კი მას მუცლით გადაეკიდებოდა) და ყველანი სახლში შედიოდნენ. კერიას გარს უვლიდნენ და თან გაიძახოდნენ: „ბომბლა, ბომბლა, ბედლის კარზე დატვირთული, რიჩხ!“ ჭულზე შემჯდარ ბავშვს ყოველი მხრიდან ბწკენდნენ და ჩხვლეტდნენ ისე გამეტებით, რომ ხშირად ბავშვი ატირდებოდა ხოლმე. ჭულს რომ კერიის გარშემო შემოატარებდნენ, შემდეგ სგირის (სახლის ქვემო სართულის - ნ. ა.) აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან მივიდოდნენ და მის წინ ჭულის მზიდავნი უეცრად დაეცემოდნენ მიწაზე და ბავშვიც გადმოვარდებოდა. განთავისუფლებულ ჭულის ერთ ნაჭერს კერიაში შეუკეთებდნენ, სადაც ის ნელ-ნელა უნდა დამწვარიყო, მეორეს - ლიფანალისთვის (მიცვალებულთა დღისთვის - ნ. ა.) შეინახავდნენ, ხოლო მესამე პატარა ნაჭერს მომავალ კანდამდე (ახალწლამდე - ნ. ა.) ინახავდნენ. სახლის უფროსი მივიდოდა ცეცხლში შეკეთებულ ჭულის ნაჭერთან, ჩაცუცქდებოდა, ჭულის ნაპირზე ნაჭმხუნ-ს (ღორისქონიან კვერს - ნ. ა.) მოათავსებდა და შეუდგებოდა და-ნით მის ჩხვლეტას სიგრძესა და სიგანეზე ჯვრის სახედ. ამ დროს ის გაიძახოდა:

ყველა ღმერთის წყალობა, ყველა ღმერთის წყალობა,

დიდი ღმერთის წყალობა, დიდი ღმერთის წყალობა,

ადამიანის მშვიდობიანობა, ადამიანის მშვიდობიანობა,

საქონლის სიმრავლე, საქონლის სიმრავლე,

ეს ხორბალი, ეს ხორბალი, ეს ხარი, ეს ხარი,

ეს ფური, ეს ფური, ეს ცხვარი, ეს ცხვარი,

ეს ცხვარი, ეს ვაჟკაცი,

ეს ქალი, ეს ქალი,

ეს კილობანი, ეს კილობანი ...

და მრავალ სხვა სიკეთეს ჩამოსთვლიდა. სვანს ეგონა, რომ რაც უფრო მეტ ჯერ გაიმეორებდა თვითვეული მათგანის სახელს და რაც უფრო მეტჯერ დაჩხვლევდა ნაჭმუნ-ს, იმდენად მეტი რაოდენობით და სიუხვით ექნებოდა წლის განმავლობაში ჩამოთვლილი სასურველი სიკეთე. ბოლოს ჯვარედინად დაჩხვლევითი კვერი ოთხად გაიჭრებოდა. ამას ელოდნენ მაყურებლებიც, მაშინვე მისცვივდებოდნენ და კვერის ნაჭრებს დაიტაცებდნენ. ნაჭმუნის-ს შეჭმის შემდეგ სტუმრები სტოვებდნენ ოჯახს და ზოგი თავის სახლში წავიდოდა, ზოგი კი მეორე მეზობლის კარ-მიდამოს მიაშურებდა ჯულ-ის შეტანის წეს-ჩვეულების შესრულებაში მონაწილეობის მისაღებად“. ვ. ბარდაველიძის მიერ სოფ. ფარში ჩაწერილი ეს რიტუალი სვანეთის სხვა სოფლებში გავრცელებულ ჯულთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს მეტ-ნაკლები სიზუსტით ასახავს.

ზემოაღწერილის იდენტური რიტუალი, დამოწმებული აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, „ბებერაჲს“ სახელითაა ცნობილი. ბებერაჲ ანუ ტყეში მოჭრილი იფნის, მსხლის, ვაშლისა თუ სხვა ჯიშის ხის კარგად გასხეპილ-გასუფთავებული მორი უნდა ყოფილიყო. მთიულეთში ბებერაჲ აცხობდნენ ბედისკერებს; გუდამაყარში, ისევე როგორც სხვა რაიონებში, თაფლ-ერბოწასმულ („წელს ეს მოგვითმევია, კულა სხვას მოგართმევთ-ო“) და ცეცხლში ჩადებულ ბებერას წვის პროცესში ნაპერწკალი არ უნდა გასცვენოდა,

რადგან ეს ავის მომასწავებელი იყო. გუდამაყარში და ერწო-თიანეთშიც იცოდნენ ბებერაჲ მომლიმარი ბიჭის, როგორც ბერ-მეკვლის, მხედრულად დასმა და დიალოგის გამართვა: შეკითხვაზე „რა მოგაქვს?“, ბერი (ბიჭი) პასუხობდა: „ღალიანობა, პურიანობა, წულიანობა, მშვიდობიანობა, მრავალი ახალი წლის დასწრება როგორც კაცით და საქონლით, ისე ნახნავ-ნათესით“. მთიულეთში ბებერას ტოტს ახალი წლიდან წყალკურთხევამდე ინახავდნენ, წყალკურთხევაზე კი დიასახლისი ბებერას ტოტს ახალწლიდან დაგროვებულ საქონლის ნაკელზე „დააყულებდა“, ირგვლივ ბაგიდან ამოხვეტილ ჩალას მიაყრიდა და ცეცხლს წაუკიდებდა.

ჯულისა და ბებერაჲს რიტუალების გამოძახილია საახალწლო მკითხაობა-შეჯიბრის ერთი მეგრული წეს-ჩვეულება, რომელიც, თავის დროზე, თ. სახოკიამ აღწერა: „... ბასილას (საახალწლო პურს - ნ. ა.) სდებენ ბუკზე, ხოლო ცეცხლზე დაიჭრენ თხილის ჯოხს. ამ ჯოხის ერთი თავი მამრობითი სქესისას უჭირავს, ხოლო მეორე თავი - მდედრობითისას. როცა შუა ნაწილი ჯოხისა გაიწვება, და თითოეულს ჯოხის თითო ნახევარი შერჩება, ჯოხის ამ ნახევრით გარეთ გამორბის და ცდილობს, მეორე კარიდან პირველი შემოვიდეს სახლში. შემოვა თუ არა, ეს მივარდება ბასილას და დიდ ნაწილს მოსტეხს და ამნაირად გამარჯვება იმას დარჩება... ამ ჯობნა დამარცხებით შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ, თუ მომავალი წელიწადი რამდენად მოსავლიანი იქნება. თუ აჯობა მამაკაცმა - ამ წელიწადს სამამაკაცო საქმე ზღვად გასკდება: სიმინდი, ღვინო ბევრი მოვა, ხოლო თუ ქალმა გაიმარჯვა, უნდა მოველოდეთ „საქალო საქმის გამარჯვებას: უხვი მოსავალი იქნება აბრეშუმის პარკებისა, შინაური ფრინველი გამრავლდება, საჩოხე შალებს ბევრს მოქსოვენ ქალები და სხვადასხვა“. სამეგრელოს

რიგ რაიონში (ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ხობი), სადაც ჯოხის (მას გველის ტაბუირებული სახელი - შურდინაფილი - „სულდაკარგული“ - ჰქვია) ნახევრებს ეზოს გარეთ აგდებენ, „სულდაკარგულის გადაგდებას“ (შურდინაფილიმ გინოთამა) უწოდებენ.

ჟულისა და ბებერაას იდენტურია ოსური დარან-ყადი (იხ.), ჩეჩნური გულა (იხ.) და ინგუშური ნაჯი. ქართულ, ოსურ, ჩეჩნურ და ინგუშურ საახალწლო მორთან დაკავშირებული წეს-ჩვეულების ანალოგიურია ევროპის ხალხებში, განსაკუთრებით სამხრეთის სლავებში (სერბებში, ხორვატებში, სლოვენებში, ბულგარელებში) „ბადნაკის“ || „ბადნაკის“ || „ბადნიკის“, ლიტვულებში „ფერფლის დღის“, უკრაინელებში „მორის“ სახელწოდებებით ცნობილი რიტუალები. მაგალითად, სერბები მზის ამოსვლამდე ან მისი ჩასვლის შემდეგ ტყეში საზეიმოდ ჭრიდნენ მუხის ხეს, რომელსაც სამად ან იმდენ ნაწილად ყოფდნენ, რამდენი მამაკაციც იყო ოჯახში, და სახლში მზის ჩასვლის შემდეგ შექონდათ, ზედ ღვინოს, რძეს, თაფლს ასხამდნენ და ხორბლის მარცვლებს აყრიდნენ, შემდეგ ნელ-ნელა წვავდნენ (ზოგჯერ მთელი ორი დღე-ღამე), გამეტებით ურტყამდნენ (ძახილით: „ძველო ბადნაკო“ – Стари Баднак) და „ახალგაზრდა ბოჟიჩს“, „ახალგაზრდა ღმერთს“ (Мали Божић, Млади Бог) ოჯახის ბედნიერებასთან ერთად, გაცვნილი ნაპერწკლების რაოდენობის ხარს, ცხენს, თხას, ღორს, სკას და სხვ. თხოვდნენ.

დაბერებული ბადნაკის || ბადნაკის (Стари Баднак), როგორც ძველი წლის განმასახიერებელი პერსონაჟის („ძველი ღმერთის“) საპირისპირო სახეა სამხრეთსლავური მითოლოგიური პერსონაჟი ბოჟიჩი (Млади Божић), დაკავშირებული ახალგაზრდობასთან, შობა-ა-

ხალწელთან. ბოჟიჩის იდენტური პერსონაჟია ქართული ბერი, რომელსაც ძველ, „დაბერებულ“ წელიწადზე ბებერააზე || ბებერაზე და ძველი წლის სიმბოლოზე ჟულზე გადამჯდარი ბერ-მეკვლე ბავშვები განასახიერებენ. სწორედ ამიტომ ბებერაას შემოტანის შემდეგ, ოჯახის უფროსსა და დიასახლისს შორის გამართულ დიალოგში აღნიშნულია, რომ მოდის ბერი ბერობითა, რომელმაც ოჯახში „კაცინობა, საქონიანობა, კარგა ყოფნა და მხიარულება“ უნდა მოიტანოს.

ქართველი მკვლევარები საახალწლო მორს ფალოსის სიმბოლოდ განიხილავენ. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს მორის ფორმა და ზოგიერთ რიტუალში მისი სემანტიკა, მაგალითად, მეგრულ საქორწილო წეს-ჩვეულებათა კომპლექსში მოქმედი თავწამახული მორი ე. წ. „სიძის შეშა“ (სინჯაში დიშქა) აშკარად ფალოსზე (უფრო ზუსტად სიძის პენისზე) მიუთითებს. ქორწილიც და ახალი წელიწადიც ნაყოფიერების მოლოდინის დროა, როცა ფალიური ღვთაებები და სიმბოლოები აქტიურდებიან, მაგრამ ჟულთან და ბებერაასთან, ისევე როგორც, ზოგადად, საახალწლო მორთან დაკავშირებული რიტუალები არქეტიპული მითოლოგიის გამოძახილია და მათი ნაყოფიერებასთან კავშირი გვიანდელი გადააზრების შედეგია. ის რომ მორი, ჯოხი არ არის მარტო ფალოსის სიმბოლო, კარგად მიაჩნებას ერთი აჭარული ხალხური დღეობა ე. წ. გარგნობა, რომელიც გველებისგან დაცვას ეძღვნება. იგი წითელ პარასკევს - აჭარულ ბზობას (მაჭახლის ხეობაში ძველი სტილით აპრილის პირველ პარასკევს - ზღვის კაცის გამოსვლის დღეს) ემთხვევა; ივრძალება შეშის მოტანა, რადგან, ადგილობრივთა რწმენით, გარგნობის დღეს გველები მოგზაურობენ, და მათი შიშით ტყეში ვერავინ შედის; გარგნობაზე სახლში შეტანილ შეშას გველი

მოჰყვება და ოჯახს მთელი წელიწადი არ მოშორდება. „გარგნობა“ ტერმინი უკავშირდება აჭარულ, გურულ და იმერულ დიალექტებში დადასტურებულ სიტყვას გარგანა „დიდი ჯოხი“, „მორი“ და გააზრებულია, როგორც გველის სიმბოლო.

ი. ტოპოროვის მიერ განხორციელებული ლინგვისტური ანალიზით, სავსებით მართებულად არის დადგენილი სერბულ-ხორვატულ-სლოვენურ-ბულგარული ბადნაკის ეტიმოლოგია - „გველი“. როგორც ჩანს, ასეთივე ეტიმოლოგიზირების საშუალებას იძლევა სვანური ჯულიც. ჰ. ფეინრიხისა და ზ. სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ გაზიარებულია გ. კლიმოვის თვალსაზრისი და ხვლიკის ამოსავალ ფორმად აღდგენილია *მხულ-:

ქართ.: მ ხ უ ლ- მ ხ უ ლ-ივ-ი „ხვლიკი“;
ხვლ-ივ-ი (ახ. ქართ.)

მეგრ.: ხ ვ ი ლ- || ხ ო ლ- || ხ ვ ე ლ-
ხვილ-არ-ი || ხველ-არ-ი || ხოლ-არ-ი
„ხვლიკი“.

ლაზ.: მ ხ ო ლ- || ხ ო ლ- მხოლ-ურ-ე
|| ხოლ-ურ-ა „ხვლიკი“.

ტ. ფუტკარაძე უეჭველად მიიჩნევს სახელ ხვლიკისა და მისი მრავალრიცხოვანი ფონეტიკური ვარიანტების მომდინარეობას *ხ უ ა ლ- არქეტიპისაგან. არ არის გამორიცხული, რომ სვანური ჯულისთვისაც ეს არქეტიპი იყოს ამოსავალი. ჯულის, როგორც ხვლიკისა თუ გველის, სემანტიკურ წრეში შემოდის სვანური ჯურუ „ხვრელი“ (<- ხურელი), ხოლა „ცუდი“ და სხვ. აჭარული გველის დღის, „გარგნობისა“ (გარგანა - „დიდი ჯოხი“) და მეგრული საახალწლო მკითხაობა-შეჯიბრის სახელწოდების გარდა, ამ თვალსაზრისის სისწორეზე უნდა მიუთითებდეს

ტერმინ ბებერაჲს, როგორც ძველი წლის სიმბოლოს, მნიშვნელობებიც: „მოხუცებული“, „დიდი ხნის“, აგრეთვე, „აბურცული წყალჩამდგარი წყლული ხელზე“, „ობობა“ (შდრ. აბებრება - კანის აბურცება, ტყავის აბურცება; დაბებრება - აბებრება, ტყავთ დაბურცება, ტყავის ადგომა, წყლულთ დაბურცება (საბა). ამდენად, ვფიქრობ, რომ ორივე საახალწლო მორი (ჯული და ბებერაჲ) რიტუალში გველს განასახიერებს, ხოლო საკუთრივ რიტუალი არქაულ მითოლოგიის - მსოფლიო ხის ფესვებთან მობინადრე გველის ცეცხლით (და/ან ჭექა-ქუხილის ღვთაების სხვა იარაღით - ცულით, შუბით, კომბლით და ა. შ.) განგმირვის გამოძახილია.

ბებერაჲსა და ბერის, ისევე როგორც ძველი ბადნაკისა და ახალგაზრდა ბოჟიჩის, ბინარულ დაპირისპირებაში შეიძლება, ჩვენთვის საინტერესო მითის წყვილი გმირების - გველისა და მისი მოწინააღმდეგის (ჭექა-ქუხილის ღვთაების) - ტრანსფორმირებული ურთიერთობა დავინახოთ; პირველს ეკუთვნის ძველი წლის უკანასკნელი დღე, მეორეს - ახალწლის პირველი დღე, როცა კოსმიური, მაორგანიზებული საწყისი იმარჯვებს. მითით ინსცენირებულ რიტუალში იოლი გასაგები ხდება, თუ რატომ ბჭკენდენ და ჩქმეტდენ გამეტებით ჯულზე შემჯდარ ბავშვს, რატომ ჩხვლეტდენ ჯულის ლემზირს - ნაჭმხუნს, რატომ დაათრევდენ ლიტველები კარდაკარ მორს სკაბრეზული შეძახილებით, რატომ ხდებოდა უკრაინულ რიტუალში მორის სიკვდილისა და გაცოცხლების ინსცენირება: საახალწლო დღესასწაულის ადრეულ რიტუალურ სისტემებში სამსხვერპლო ცხოველსა თუ ადამიანს კლავდენ, ანაწევრებდენ და სხვადასხვა ადგილზე ფანტავდენ იმ აზრით, რომ საბოლოოდ ქაოსი დაემკვიდრებინათ (მხოლოდ ქაოსიდან იყო შე-

საძლებელი შესაქმნის დაწყება, ქაოსის ძალების თანდათანობითი დაძლევა და მის პარალელურად მიმდინარე სინთეზირება (კოსმოსისა); შემდეგ მსხვერპლის ნაწილებს, რომლებსაც კოსმოსის ელემენტებთან აიგივებდნენ, კვლავ შეკრებდნენ და შეაერთებდნენ. სამყაროს ხატება მსხვერპლის სახით, თითქოს, იცვლება არარაობიდან აღმდგარ რეალურ სამყაროზე, რომელშიც ბრუნდება ორგანიზებულობა, ნაყოფიერება, სიცოცხლე, აღორძინება; იქმნება ახალი ქვეყნიერება, ახალი დრო, ახალი სოციუმი.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფილისი. 1939, 131-132; ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. ღამბაშიძე. ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი. თბ., 1991, გვ. 37-38; დ. გიორგაძე. ახალი წლის დღეობათა ციკლი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (წყალკურთხევა) // მაცნე. ისტორიის სერია. თბ., 1984. № 2. გვ. 132-133; ნ. ღამბაშიძე. ახალწლის დღეობათა ციკლი აღმოსავლეთ საქართველოში (ერწო-თიანეთი). თბ., 2004, 99-100; თ. სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1956, გვ. 48-49; ჯ. რუხაძე. ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში. თბ., 1976, გვ. 171; ი. სურგულაძე. ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. თბ., 1986, 142; ჯ. ნოღაიძელი. ნარკვევები და ჩანაწერები. წიგნი პირველი. ბათუმი, 1971, გვ. 62; ზ. თანდილავა. მასალები მესეფებზე // სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება. IV. თბ., 1978, გვ. 30;

ჰ. ფეინრიხი, ზ. სარჯველაძე. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონი. თბ., 1990, გვ. 347; ტ. ფუტკარაძე. ხვლიკ, სვლიკ ფუძეთა ისტორიისათვის (ქართველურ ენათა დიალექტების მიხედვით) // საენათმეცნიერო ძიებანი. V. თბ., 1996, გვ. 267-271; Бардавелидзе В. В. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племён. Тб., 1957, гв. 187; Топоров В. Н. Πύθων. Аhi budhnya. Бадньак и др. // Этимология. 1974. М., 1976, гв. 9-10; Иванов В. В., Топоров В. Н. Исследования в области славянских древностей. Лексические и фразеологические вопросы реконструкции текстов. М., 1974, гв., 228-235; Иванов В. В., Топоров В. Н. Божич // Мифы народов мира. I. Главный редактор С. А. Токарев. М., 1980; Иванов В. В., Топоров В. Н. Бадняк // იქვე; Толстой Н. И. Три обряда: литовск. Каладе, украинск. Колодий, сербск. Баднак // Балто-славянские этноязыковые отношения в историческом и ареальном плане. Тезисы докладов второй Балто-славянской конференции. Москва, 29 ноября – 2 декабря 1983 г., М., 1983, 47; Ильясов Л. Культура чеченского народа. М., 2009, гв. 37-38; Мадаева З. А. Народные календарные праздники вайнахов. Грозный, 1990; Танкиев А. Х. Ингуши. Саратов, 1998.

ჟულიმ ლემზირ-ი (სვ.) - ჟულზე (იხ.) დასაღები კვერი.



ჯაბადარი (*ძვ.*) - ჯავშან-საჭურვლის მნე, გამგებელი. აქედანაა გვარი „ჯაბადარი“.

ჯაბახანა - არსენალი, საჯაბადრო, სადაც ამზადებდნენ თოფისწამალს, ტყვიას, თოფს, ზარბაზანს. აქედანაა გვარი ჯაბადარი - ზედამხედველი ჯაბახანისა. საქართველოში, კერძოდ, თბილისში ერთ-ერთი უკანასკნელი ჯაბახანა (XVIII ს-ის ბოლო) ისაია თაყუაშვილს ეკუთვნოდა, სადაც თოფისწამალს აკეთებდნენ.

ჯაბურ/ჯაბირ/ჯაბრალ (სვან.) - სანადირო ფეხსამოსი, რომელიც ქვეშ მისივე თასმებით იყო დაბლანდული. ჯაბრალს იყენებდნენ ფეხი რომ არ დასცურებოდათ, როცა სამუშაოდ მთაში მიდიოდნენ.

ლიტ.: მასალები..., 1983:239.

ჯაბუნაკის ჭმევა (გურ.) - მიწის (ნეხვის) ჭმევა სასიწროცხვო საქციელისთვის (მაგალითად, თუ კაცი საზოგადოებაში მუცელს დააცემინებდა პირში მიწას ჩაუტენიდნენ და შუაჭმევდნენ).

ლიტ.: ქ. სიხარულიძე. ქართული საბავშვო ფოლკლორი. თბ., 1938.

ჯაგა (ოკრიბ.) - თხილის წნელისგან მოწნული გოდორი.

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984.

ჯაგანი - წვრილ ტოტზე ჩამოკიდებული ან მანულის გრეხილში ყუნწით ჩატანებული ყურძნის მტევნების ასხმა, რომელიც საზამთროდ ინახებოდა. საჯაგნე ყურძენს (ბუდეშური, თითა, განჯური, ქვიშხური, ცხენის ძუძუ და სხვა) საგანგებოდ გადაარჩევდნენ, დიდ მტევნებს დაბლა ჩამოჰკიდებდნენ, უფრო მომცროებს მაღლა და მაღლა, შემდეგ მოათავსებდნენ დაცულ ადგილას. ჯაგნის გარდა ქართლკახეთში გავრცელებული იყო ყურძნის თონეში დაჩამიჩება, რომელიც დიდხანს ინახებოდა.

ჯადა (ქართლ.) - შემოუღობავი ეზო, მამული.

ლიტ.: თ. სალარიძე. ქართლური ლექსიკიდან // იკვ, XVII. თბ., 1970, გვ. 300-320.

ჯავა-ი (მოს.) - ლეწვის დროს დარჩენილი გამოუსადეგარი ბზე.

ლიტ.: ო. ქაჯაია. მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის // სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. XI. ცხინვალი. 1967, გვ. 375-451.

ჯავარი (ხევს.) - ცივი იარაღის ეპითეთი.

ლიტ.: ალ. ჭინჭარაული. ხევსურული თავისებურებანი. თბ., 1960, გვ. 305, 306.

ჯავახური *Medicago dzhavakhetica* (აჭარ.) — მინდვრის ბარდა, ხანდური.

ლიტ.: ალ. მაცაშვილი. ბოტანიკური ლექსიკონი. თბ., 1961.

ჯავშანი - გულმკერდის საცავი იარაღი. სულხან-საბას განმარტებით, „ჯავშანი არს აბჯარი რკინისა, ტანსაცვამი ჯაჭვი“ და ჩამოთვლის ჯაჭვის პერანგების (იხ. ჯაჭვის პერანგი) ნაირსახეობებს. ბოლოში კი აღნიშნავს „ხოლო თორნი არს მთელი რკინა პოლოტიკი, ტანს საცმელი.“ მაშასადამე, ჯავშანი არის ტანის დასაცავი საბრძოლო იარაღი, რომელშიც ერთიანდება როგორც ჯაჭვის პერანგი, ასევე თორნიც, ბეგთარიც და სხვ.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ჯაზი - ავსულა ადამიანი, მაქცია ლაზური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით. იგი ღამით დგება, ფრთებს ისხამს და დაფრინავს, რათა ხალხს ავნოს; განსაკუთრებით უყვარს ჩვილთათვის გულის ამოდება, მშობიარისა და მელოგინისათვის ზიანის მიყენება. იმისათვის, რომ ახალშობილი ჯაზებისაგან დაიცვან,

ლაზები აკვანს თევზსაჭერ ბადეს (მოსას) შემოაკრავდნენ, მშობიარის საწოლთან დაკიდებდნენ, რადგან, ხალხის რწმენით, ისინი ბადეში გახლართებოდნენ და შებოჭილები დედა-შვილთან ვერ მივიდოდნენ (იხ. „მშობიარის ბადე“). ტერმინი ჯაზი მომდინარეობს თურქული სიტყვიდან ჯაზუ „ჯადოქარი“.

ლიტ.: ალი-თანთ-ოღლი. ისტორიული და ეთნოგრაფიული ნარკვევები ლაზთა ყოფა-ცხოვრებიდან. ხელნაწერი ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში; ა. თანდილავა, მ. ვანილიძე. ლაზეთი. თბ., 1964, გვ. 126; Вл. Гордлевский. Из османской демонологии // Этнографическое обозрение. № 1-2. М., 1914.

ჯაკელა / ჯაკელი (მეგრ., გურ., იმერ.) - დეკეული.

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984.

ჯალა (მთიულ.) - თაფლგამოწურული ფიჭა.

ლიტ.: ლ. კაიშაური. მთიულურის დარგობლივი ლექსიკა. თბ., 1967.

ჯალაბი (რაჭ.) - დიდი, მრავალსულიანი ოჯახი.

(იხ. საბა, ქეგლ, ქართ. დიალექტ., 692, ძოწ.; შდრ. შარაშ., ნიქარ.).

ჯალამბარი - სამშენებლო საქმეში სიმძიმეების მაღლა ასატანი ხელსაწყო. ფეოდალური ხანის მასალებში ასეთ ტექნიკურ მანქანას „აზარმაცი“ ეწოდება.

ჯალემას ლეჩაქი (იმერ.) - თავშალი. გლოვის დროს ბამბის ძაფისაგან მოქსოვილ ლეჩაქს ატარებდნენ, რომელსაც „ჯალემას ლეჩაქს“ უწოდებდნენ. იგი ქართლიდან შემოსულა.

ჯამბარა - 1. ტყავის საბელი, რომლის საშუალებითაც სახვინელი უღელზე იყო მიბმული. 2. ტყავისაგან დაწნული ბაგირი. დიდი ფრთიანი გუთნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი. მისი დამზადების ორი წესი არსებობდა: დაწნული და შეგრეხილი. მზადდებოდა ხარისა და კამეჩის ტყავისაგან. მოგვიანებით ტყავის ჯამბარა რკინის ჯაჭვმა შეცვალა. ჯამბარის ძირითადი დანიშნულება გუთნის ყელის ფაფმფალაყზე მობმა იყო. ჯამბარის საშუალებით (დამოკლება-დაგრძელებით) ხდებოდა ხნულის სიდრმის და კვალის სისწორის დარეგულირება. დაწნული ჯამბარის დამზადება პროფესიულ დაოსტატებას მოითხოვდა და კარგადაც ფასობდა. ამ საქმის კარგ მოხელეებად ხევსურები ითვლებოდნენ. ხევსური მეჯამბრეები ქართლ-კახეთის ბარის სოფლებში და სომხეთშიც კი დადიოდნენ. ამას „ჯამბარობაზე“ წასვლას უწოდებდნენ.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 1986.

ჯამბურა (რაჭ.) - 1. ციგა (შდრ. დომბურა). 2. (ზ.რაჭ.) დაბალი სკამი.

ჯამე - მუსლიმანთა სალოცავი შენობა. საქართველოში საუკეთესო ჯამეები აშენებულია აჭარაში. ერთ-ერთი მათგანი ექსპონირებულია თბილისში, ღია ცის ქვეშ მუზეუმში და ქართულ ხითხურობის უნიკუმს წარმოადგენს.

ჯამი თიხის- ყოველდღიურად სახმარი ჭურჭლის უძველესი სახეობა, რომელიც გამოიყენებოდა სხვადასხვა და-

ნიშნულებისათვის. ჯამები მზადდებოდა ხისგან, თიხისა და ძვირფასი მეტალები-საგან. ჯამი არის ღრმა, პირგადაშლილი, დიდი, საშუალო, პატარა. ჯამს გამოიყენებდნენ ღვინის, წყლის, რძის, ყველის (ნასვრეტებიანი), სხვადასხვა პროდუქტისა და სახელოსნო საქმიანობისათვის. სანადიმო სუფრისათვის ამზადებდნენ აგრეთვე მოჭიქული ჯამებს, რომლებიც შემკულნია სხვადასხვა მცენარეული და ცხოველური მოტივებით. ჯამი თავისი მარტივი ფორმის გამო იოლად კეთდებოდა და საოჯახო ყოფის განუყრელ ნივთს წარმოადგენდა. საქართველოს არქეოლოგიურ მასალებში ნაირფეროვანი ჯამების დიდი რაოდენობაა მიკვლეული და ეს მასალები კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა ეპოქისათვისაა დამახასიათებელი.

ჯამი სპილენძის - იჭედებოდა სპილენძის ერთი, იშვიათად ორი ფირფიტისაგან ცივად კვერვის წესით; მასში გამოყენებულია გადაკერების სხვადასხვა ხერხი. სპილენძის ჯამი უმეტესად ქუსლიანია. აქვს დაბალი ან მაღალი, სწორი ან გადგმული ქუსლი, რომელიც მორჩილულ-მიმაგრებულია ჯამის ტანთან. ფორმის მიხედვით ჯამი არის დიდი, პატარა, ღრმა, პირგადაშლილი, პირმოხვეული, ფარფლიანი, შიპიანი, მრგვალპირიანი, მუცელგამობერილი სადა-უორნამენტოც და ორნამენტებით (გეომეტრიული, ყვავილოვანი, ცხოველების სქემატური გამოსახულებებით) შემკული. ქართულწარწერიანი და ა.შ. წარწერები შესრულებულია ლამაზი მხედრულით, ამოღარვა-ამოკაწვრის წესით, რომლებიც გვამცნობენ პატრონის ან გამკეთებლის ვინაობას, საქმიანობას, გაკეთების თარიღს, სურვილებს და ა.შ. წარწერა ჯამზე ყოველთვის თვალსაჩინო ადგილზეა და ხშირად ორნამენტის მოვალეობას ასრულებს. ჯამის ფუნქციური დანიშნულებაა: სად-

ვინე, საწყლე, საწვნე-საშეჭამანდე, სარიტუალო, სამზითვო და ა.შ. სუფრის ჭურჭლეულიდან საქართველოში ყველაზე მეტად ხმარებაში იყო საღვინე ჯამი. როგორც ცნობილია, სპილენძის გარდა ჯამი მზადდებოდა ოქროს, ვერცხლის, თიხის, ბროლის და „შემის“, ანუ ხისაგან. შემთხვევითი არ არის, რომ „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ცალკეა მოხსენებული „მეჯამეთუხუცესის“ საქმიანობა. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ჯამი ქართულ წერილობით წყაროებში უკვე XI ს-ში იხსენიება, როგორც საღვინე და საკერძე ჭურჭლის სახეობა. გარკვეულ ეპოქაში ჯამი საწყაოსაც წარმოადგენდა.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ჯამი ხის - ხის ჭურჭლის ნაირსახეობა. საბას განმარტებით, ჯამი „წნოანთა“ ზოგადი სახელია და აერთიანებს შემდეგ სახეებს: ბადია, ლოდაკი, უსურა, პინაკი, ფილჯამი. ეთნოგრაფიულ ყოფაში ხის ჯამების სახეობანი გაცილებით მეტია და საჭმელთან დაკავშირებული ამ ჭურჭლის სახეობანი ერთ კლასიფიკაციაში ექცევა. საგულისხმოა, რომ ჯამი იყო როგორც ფეხიანი, ასევე უფეხოც. საქართველოს მთიანეთში გავრცელებული იყო დიდი საფაფე ჯამები, საიდანაც სამი-ოთხი კაცი ერთდროულად ჭამდა თავისი კოვზით. ჯამები ნაწილდებოდა ასაკისა და სქესის მიხედვით. მაგ., საჯალაბო, საკაცო, საქალო, საბაღლო, რომლებიც განირჩევიან სიდიდითაც. სამეურნეო და სამზარეულო საქმეშიც სხვადასხვანაირი ჯამები იყო გავრცელებული. მაგ., ჯამი - ქუმელის საზელი (თუმ.), საკუსე - ყველის დასადები (ხევს.), ჯამი ნაოთხალი, ხომიკა, საჩაჩიქულე (ხევს.), წიწანი (ფშ.), ცუტუნი (თუმ.), ხონურა (ფშ.), სალობიე, საფაფე და ა.შ. ჯამი იმდენად გავრცელებული ნივთი იყო, რომ დროთა

განმავლობაში ჭურჭელთა ზოგადი სახელწოდება მიიღო. სამზარეულოს უფროსს ძველ საქართველოში „მეჯამეთუხუცესი“ ეწოდა. ყოფასა და წერილობით წყაროებში გავრცელებული კომპოზიტები - ჯამ-ბუნაგი, ჯამ-ჭურჭელი, ჯამტაბაკი, ჯამ-ჭიქნი, ჯამ-თასი ამ ჭურჭლის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

ჯანაბერა (იმერ.) || ჯანაბერი (ლეჩხ.) || ჯანაბერაი (ზ. აჭარ.) || ჯანაბირი (ქართლ.) – 1. სიმინდის საცეხვი; 2. ოთხ მაღალ ფეხზე შეყენებული წნულგვერდებიანი ოთხუთხა ძარი, რომელსაც ქვეშ მეჩხრად ჭოკები უგია; 3. ბზის ამნ ფუჩეჩის საზიდი დიდი ძარი.

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984. სიტყვასთან ჯანაბერა.

ჯანაბერი (რაჭ.) - დიდი ზომის, მაღალი ძარი. ბზის საზიდავად ხმარობენ. ჯანაბერს

ურემზე დავდებთ, ჩავყრით ბზეს, მაგრა მოვტენით ფეხებით და წევილებთ შესანახად.

(იხ.ჭყ.: ჯანაბირი, ქეგლ: ჯანაბერი, ძოწ.: ჯანაბირი; შდრ. ქავთ. I: ჯანაბირა; ნიჟარ.: ჯანაბერა~).

ჯანაგვირი - წნელისგან დაწნული გოდრისებური ჭურჭელი, რომელიც ნახევარს ზემოთ მოწნული არ იყო და მხოლოდ წნელის საყრდენი მხრები იყო თავგადაქობილი იმისათვის, რომ სხვადასხვა ზომის შეშა და ჯირკები კარგადმოთავსებულიყო.

ლიტ.: ქელ. 2009.

ჯაო (ზ. რაჭ.)- ღორის ქეჩოს და ზურგის ჯაგარი. უწი. ჯაოს ვაგროვებდით და

მეწვრიმალებს მიჰქონდაყე (იხ. ბერ., ლეონ., ქეგლ).

ჯარა, ჯარანი (თუმ.), ჭახრაკი (სამცხ.ჯავახ.) - მატყლის ბამბის დასართავ-დასაძახი. ჯარის მთავარ ნაწილს შეადგენდა ფრთიანი ბორბალი, მორგვი, მასზე წამოღებული იყო ლამბი. ძაფის სართავ-საძახი თითისტარი - ჯარა-ტარი ბორბლის წინ გარდიგარდმო დოლებში იყო ჩასმული. თუმეთში ჯარას სამი ტიპი იყო თბეებიანი, ბორბლიან-ფერსოიანი და მირგვალი, მრგვალი.ხელით სატრიალებელ ჯარას გარდა არსებობდა წყლით სატრიალებელი ჯარაც. ჯარა სართავ-საძახად ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს ბარისა და მთის მოსახლეობაში (ქიზიყი, ქართლ-კახეთი, ხევსურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, მესხეთი, საინგილო, იმერეთი).

ჯარატარი (ქიზიყ., თუმ.) - ჯარის ტარი, რკინის გრძელი და წვრილი ტარი, რაზედაც ართავენ. ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ლლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984.

ჯარახი (თუმ.) -დართული ბაწრის საგრეხი ხელსაწყო.

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ლლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984.

ჯარგვალი - პრიმიტიული საცხოვრებელი სახლის ტიპი სამეგრელოში. ფაცხისაგან (იხ.) განსხვავებით ჯარგვალის კედლები ნაგები იყო გრძელი გაჩორკნილი ძელებით, იყო ოთხკუთხედი ფორმისა, მიწურიატაკიანი და ორფერდასახურავიანი ისლით გადახურული. სოციალურად

დაწინაურებული მოსახლეობის ფენებში ჯარგვალი გვხვდება ოდის კომპლექსთან და შეძლებული მეპატრონის უნარის მიხედვით მისი ფორმები და შენების ხარისხი უფრო დახვეწილი და მკვიდრად გამოიყურება.

ჯარჯული (იმერ.) - ღობე, რომელსაც წალმისაგან (ვაზის ნასხლავისაგან) გაკეთებული თავსახური აქვს წვიმისგან დასაფარავად.

ლიტ.: ვ. ბერიძე. სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა. სპბ., 1912. სიტყვასთან ჯარჯული.

ჯაურა (ქართლ., ქსნის ხეობ.)-თივის ზვინი.

ლიტ.: ი. ჭყონია. სიტყვის კონა...

ჯაფა - ტყავის მოსაქნელი იარაღი. ხმარობდნენ ჭონები. წარმოადგენს რკინის, ოთხკუთხა მოყვანილობის, სამგვერდა ნივთს. ერთი მხარე შიგნით ნამგალივით აქვს მოხრილი, ჯაფა გვერდებით ჩაჯდება სვეტში. ნამგალივით მოხრილ პირში ტყავს გამოატარებენ და მოქნიან ხახუნით.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ჯამგიშურია || ჯამქეშია || ჯასქეჩერი - მეგრული ლოცვა ხესთან; იმართებოდა ზაფხულში, ივნისის ან ივლისის თვეში, სხვა ცნობით - მარიამობაზე (28 აგვისტოს). საამდღისოდ დიასახლისი ოჯახის ყველა წევრისთვის დააცხოვდა კვერებს, რომლებიც, ღვინოსთან ერთად, ეზოში მდგარ ვაზმიშვებულ ხესთან მიჰქონდათ. აქ ხეს მარჯვენა ფეხს მიადგამდნენ, ქვეშ კვერს გამოატარებდნენ და

დაილოცებოდნენ: „დღეის მარიამობის მობრძანებაჲ, შენი წყალობა მომეცი; სადაც ავიდე, ხმელი გამინედლე, ნედლი გაამაგრე, ძარღვი გამიმაგრე, გული გამიმაგრე, შენი წყალობა მომეცი“ (ღღარი მარაშონაში მოზოჯუა, სქანი ტიბინი ქომუჩი, სოთ იშველათი, ხუმლა გამილაღირი, ლაღირი გამგარ, ჯერღვი გამგარ, გური გამგარ, სქანი ტიბინი ქომუჩი). დასასრულს, ცოტა ღვინოს ხის ძირში დაღვრიდნენ, კვერებს, მკერდზე მიიღების შემდეგ, იქვე შეჭამდნენ და ღვინოსაც დააყოლებდნენ. სწამდათ, რომ ამ რიტუალის შესრულებით, ხეზე ასვლისას ფეხები არასოდეს აუკანკალდებოდათ და არც ჩამოვარდებოდნენ (მღრ. აფხაზური „აწლა ნიჰვა“).

აშკარაა, რომ ტერმინი ორნაწილედია, რომლის პირველი სეგმენტი (ჯამი||ჯამ) ნიშნავს „ხის-ას“, მეორე გაურკვეველია.

ლიტ.: ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 319-320; ა. ჭანტურია. ეთნოგრაფიული ჩანაწერები. მეგრული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებანი // თსუ შრომები. ტ. 227. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ., 1982, გვ. 223.

ჯამი ოხონალი (მეგრ. „ხის სახვნელი“) - მარტივი სახვნელი (მიწის საწერი იარაღი). შედგებოდა: მხრის, საკვეთელისა და სახელურისაგან. იყენებდნენ ბალახმორეული ნიადაგის გასაღარ-დასაწერად. ჯამი - ოხონალში უღელ ხარს აბამდნენ. იგი ისეთივე მარტივი აგებულებისა იყო, როგორც სვანური „ლაღრაჲ“, თუშური „საკვეთელი“, ხევსურული „კავწერა“, „საწერა“. ამ ტიპის იარაღს ანალოგები ევროპაშიც მოეპო-

ვება. იგი სახვნელთა შორის ყველაზე მარტივი და ადრეული ტიპის იარაღია. ჯამი-ოხონალი არ იყო დამოუკიდებელი სახვნელი იარაღი, ამ იარაღით დაღარვის შემდგომ უკვე მეორე სახის სახვნელს - ოგაფას გაატარებდნენ. ჯამი - ოხონალის გამოყენებით მის მიმყოლ ოგაფას უადვილდებოდა მიწის გაპობა, რადგან ოგაფას სახნისს, რომელიც ჰორიზონტალურ სიბრტყეში ჭრიდა ბელტს, წინდაწინ უკვე ვერტიკალურ სიბრტყეში გაჭრილი სახნავი ფენა ხვდებოდა. ორი სხვადასხვა სახვნელი იარაღის კომპლექსური მუშაობა სახნის-საკვეთლიანი სახვნელის ფუნქციას ასრულებდა. როგორც ჯამი-ოხონალით, ისე ოგაფით მუშაობისას ხშირად მიმართავდნენ დროებით შრომით გაერთიანებას (იხ. ოგაფა).

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, მიწათმოქმედება სამეგრელოში // მასალები სამეგრელოს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1979..

ჯაჭვი რკინის - სხვადასხვა ფუნქციის მქონე ნივთი რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა სამეურნეო საქმიანობაში. კერძოდ, პირუტყვის დასაბმელად, მძიმე საგნის გადასატანად, ტყიდან მორების გამოსაზიდად, გუთნის ყელის ფამფალაჲზე დასამაგრებლად და სხვ.ჯაჭვი წარმოადგენს ერთმანეთზე გადაბმული რგოლებისაგან შემდგარ საბმელს, რომლის ერთ ბოლოზე სოლისებური დეტალია (კოტა), მეორეზე - რკალის ფორმის დეტალი (საჭედური). შედგება მსხვილი, მასიური, ოვალური ფორმის რგოლებისაგან. მათი რაოდენობა და ზომები სხვადასხვაა ჯაჭვზე სხვადასხვაა. თავსა და ბოლოში აუცილებლად აქვს გამოსაბმელი.საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია რამდენიმე ჯაჭვი, რომელთა სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენება შეუძლე-

ბელია. თითო-თითო რგოლი დაწახნაგებულია, რისი გაკეთებაც მჭედლისაგან დიდოსტატობასა და ცოდნას მოითხოვს. ჩანს, რომ გამოყენებულია ტრადიციული მეთოდები და ტექნიკური ხერხები (ჭედვა, შედუღება და სხვ.). ეს ჯაჭვები შემოტანილია ეკლესიებიდან და მათ მხოლოდ რიტუალური დანიშნულება უნდა ჰქონოდათ. (იხ. ჯაჭვი სარიტულო).

ლიტ.: ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1940.

ჯაჭვი სარიტულო - აღმ. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, დადასტურებულია ფაქტები: ყელზე ჯაჭვით მლოცველი ტაძარს ხოხვით სამჯერ შემოუვლის, მას ღვთის წინაშე აღთქმა აქვს დადებული, ერთი კონკრეტული სურვილი რომ შეუსრულოს ღმერთმა. ჯაჭვი აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ხატ-ჯვარის შესაწირავსაც წარმოადგენდა. მისი გამოყენება ყველა მლოცველს შეეძლო. ჯაჭვი, როგორც სარიტუალი საგანი და მასთან დაკავშირებული წესები, წინაქრისტიანული რელიგიური რწმენებიდან მომდინარეობს.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, I. ფშავი. 1974.

ჯაჭვი ტუსადის - ადამიანთა დასაბორკილებელი-დასაბმელი საშუალება. ქართველ ფეოდალთა სადამსჯელო სისტემაში დამნაშავეთა ჯაჭვით დაბმა ფართოდ გავრცელებულ ადმინისტრაციულ სასჯელს წარმოადგენდა.

ჯაჭვის პერანგი - მეომრის თავდასაცავი აღკაზმულობა. ჯაჭვის პერანგში

რგოლის - „ჭიკუს“ თავების შეკვრის წესით გამოიყოფა სამი მთავარი ჯგუფი: „ფარეშინი“ (ანუ თავები შეკრულია რკინის მანჭვალით), „უფარეშო“, ანუ უბრალოდ მიანლოებულია ერთმანეთთან და „დადუღებული“. სამივე ტიპის ჯაჭვის ყოველი შემადგენელი რგოლი - „ჭიკუ“ - ჩასმულია ოთხი მხრივ მსგავს რგოლში, ზევით და ქვევით, მარჯვნივ და მარცხნივ. გარდა ჯაჭვის კიდურა რგოლებისა, რომლის ყოველი რგოლი ერთმანეთთან ჩამაგრებულია ორი მეზობლად მდგომი რგოლით. ჯაჭვის კალთების შუაში, ოდნავ აჭრილი ადგილების განაპირა რგოლები ორმაგია - წყვილ-წყვილადაა ერთმანეთში ასხმული. ჯაჭვის საყელო ღუგმებით იკვრება. ჯაჭვი საქართველოში ძველთაგანვე იყო ცნობილი: კლდეეთში აღმოჩენილია ბრინჯაოს ჯაჭვის ნაშთი, რომლის ყოველი რგოლი ფარეშინი თვლებითაა შეკრული, რაც მეტად მნიშვნელოვანია. II-III სს-ში ჯაჭვის დამზადების ტექნიკას საქართველოში უმაღლესი საფეხურისთვის მიუღწევია, რადგან ის უკვე ფარეშანია. ჯაჭვები არა მარტო რგოლების შეკავშირებით, არამედ თარგითაც განირჩევა. უფარეშო ჯაჭვის პერანგები წინ გულგახსნილია, ხოლო ფარეშანი და დადუღებული ტიპი კი ჯაჭვის თავგასაყრელ სახეობას წარმოადგენს. თავგასაყრელი პერანგის სახეობა უფრო დაწინაურებულია, რადგან ბრძოლის დროს მეზობლის მკერდი მკვიდრადაა დაცული. საინტერესოა, რომ ხევსურები დადუღებულ ჯაჭვს მიიჩნევდნენ კარგ ჯაჭვად, რომელიც იქ ძველად ხუთ ძროხად ფასობდა. გარდა ამ ტიპოლოგიურად დალაგებული ჯაჭვის სახელწოდებებისა, საქართველოში არსებობდა აგრეთვე ჯაჭვის სხვადასხვა სახელებიც, რომელნიც მომდინარეობდა სახელთა ცნების და ქვეყნების მიხედვით, სადაც მას აკეთებდნენ, მაგ., სამანქანი, ზეიდალი, ხოსროვანი, ქირაფქა, ჯაბალა. მასალის მიხედვით ჯაჭვის პერანგები

უმეტესწილად ფოლადისაგან მზადდებოდა. ფოლადის სხეულისაგან კრავდნენ ჯაჭვის თვალს. ჭიკუს ფორმა ნებისმიერი შეიძლება ყოფილიყო: წვეტიანი, უწვეტო, ბრტყელი და სხვ. ერთი ჯაჭვის მოსაქსოვად საჭირო იყო დაახლოებით 15-20 ათასი რგოლი, ჯაჭვთა რგოლების რაოდენობა დამოკიდებული იყო ასასხმელი ჯაჭვის მოცულობაზე. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით დადასტურებულია, რომ ოქრომჭედლის საქმიანობაში (სვანეთი, რაჭა, ხევსურეთი) ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, ხოლო ხევსურეთში ქალებიც ესოვდნენ ჯაჭვის პერანგებს, თავისი მამების, ძმებისა და სწორფერებისათვის. ჯაჭვის პერანგს საბრძოლო ფუნქციის გარდა ესთეტიკური დანიშნულებაც ჰქონდა. განსაკუთრებით მეფე-მთავრებისა და მთავარსარდალთა აღკაზმულობაში. ცეცხლსასროლი იარაღის დამკვიდრებასთან ერთად მთელს მსოფლიოში ჯავშნისა და ჯაჭვის პერანგის წარმოება თანდათან დავიწყებას მიეცა, მიუხედავად ამისა, საქართველოს მთამ, კერძოდ ხევსურეთმა, სხვა კუთხეებთან შედარებით ყველაზე უკეთ შემოგვინახა, ჯაჭვის დამზადების ტექნოლოგია.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ჯგრაგუნა || ჯგერაგუნა || ჯგირაგუნა - მეფუტკრეობის მფარველი მეგრული რწმენა-წარმოდგენების თანახმად. მისი სახელობის ლოცვა, ე. წ. სკამ ხვამა („ფუტკრის ლოცვა“) ამადლების დღეს იმართებოდა. საამდღისოდ მეფუტკრის ოჯახში დიდი რაოდენობით აცნობდნენ ელიფსის ფორმის ყველიან მჭადს - ჭვიშტარს - „მრავალრიცხოვანი სკის სიმბოლოს“ (ი. ქობალია), აგრეთვე კვერებს, რომლებიც, სანთელ-საკმეველ-

თან ერთად, საფუტკრეში მიჰქონდათ. უფროსი მეფუტკრე სანთელს აანთებდა, საკმეველს დადებდა და ლოცვას ადავლენდა: „ჯგერაგუნა დიდებულო, ჩემს სკას ნუ დააკლებ ზღვასა და მთაში თავის საძოვარს, ყველგან შენ დაიცავი და გამიმრავლე“ (ჯგერაგუნა დიდებუანი, ჩქიმ ფსკას ზღვა დო გვალას ოღიარე ვემიარკა, ირდინას ქუმინჯი დო ამიშენი). ლოცვის შემდეგ, შეწირულ პურებს მთელი ოჯახი ადგილზე შეჭამდა. უნდა აღინიშნოს, რომ საუკეთესო სკა ჯგერაგუნას კუთვნილებად იყო მიჩნეული, ამასთან ჯგერაგუნა „ნიშნავს დიდ ხვავიან მოსავალს“ (ა. რობაქიძე). ზოგიერთი ცნობით, მეგრელები ბერწ (ბურჭი) ფუტკარს „ჯგერაგუნას“ უწოდებდნენ (ა. ჭანტურია).

გარკვეულია, რომ ტერმინი ჯგერაგუნა||ჯგერაგუნა||ჯგირაგუნა ორნაწილელი სიტყვაა. მისი პირველი სეგმენტი ჯგერ||ჯგირ მეგრულში ამჟამად „კარგს, კეთილს“, ხოლო წარსულში „წმინდასაც“ აღნიშნავდა; მეორე ნაწილი - აგუნა (ბერძ. ἀγών – „ბრძოლა, ასპარეზობა, მოღვაწეობა“) - ბერძნული წარმომავლობის სიტყვაა. ამდენად, ჯგერაგუნა||ჯგერაგუნა||ჯგირაგუნა „წმინდა აგუნას“, ანუ „წმინდა მებრძოლს“, „წმინდა მოღვაწეს“ ნიშნავს და, როგორც ეპითეტი, წმ. გიორგის მიემართება (როგორც ეს ა. რობაქიძემ დაადგინა, თითქმის მთელ საქართველოში მეფუტკრეობის მფარველად უმთავრესად სწორედ წმ. გიორგი გვევლინება). გარკვეულია ისიც, რომ წმ. გიორგის სვანური ჯგერაგ სახელისათვის ამოსავალია მეგრული ჯგერაგუნა||ჯგერაგუნა.

ლიტ.: ა. ლეკიაშვილი. წმინდა გიორგის ქართული კულტის საკითხისათვის // საქნათმეცნიერო კრებული. თბ., 1979, გვ.146-152; ა. რობაქიძე. მეფუტკრეობის წარმო-

შობა და მისი ადგილი ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში. თბ., 1955, გვ. 242-246. ხელნაწერი (სადოქტორო დისერტაცია); ა. რობაქიძე. მეფუტკრეობის ისტორიისათვის. თბ., 1960, გვ. 174-198; ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 317-318; ა. შანიძე. სვანური კულტის ტერმინი ჯგერაგ // მაცნე. ენის სერია. № 2, 1973, გვ. 108-118; ა. ჭანტურია. ეთნოგრაფიული ჩანაწერები. მეგრული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებანი // თსუ შრომები. ტ. 227. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ., 1982, გვ. 226; И. Кобалия. Из мифической Колхиды // СМОМПК. № 32. Тф., 1903. გვ. 107.

ჯაგე-მისარონი - იხ. „მირსობა | | ნირსობა (მეგრ.) / მოისარობა (გურ.) | | მეისარობა (რაჭ.-ლეჩხ.) | | მეისარიბ | | მეისარობ (სვ.)“.

ჯაგე ხანგარამი (მეგრ. ჯაგე - „წმ. გიორგი“, სვ. ხანგარ - „დანა, ხანჯალი, დაშნა, ხმალი“) - „გიორგი ლახვროსანი“ - წმ. გიორგის ერთ-ერთი ეპითეტური სახელი.

ლიტ.: ა. შანიძე. სვანური კულტის ტერმინი ჯგირაგ // მაცნე. ენის სერია. № 2, 1973, გვ. 113-114.

ჯელგაობა (ზ. რაჭ.) - მასობრივი ნადირობა დიდთოვლობის დროს. მთებიდან ძირს ჩამოსულ შველზე ნადირობდა რამდენიმე ათეული კაცი, თანაც სხვადასხვა იარაღით - ხანჯლით, თოფით, მუჯირით... ცნობილი მონადირეები ჯელგაობაში მონაწილეობას არ იღებდნენ.

რაჭული ლექსიკონი.

ჯარკო (რაჭ.) - ოთხუთხედი ხისაგან გამოთლილი დიდი როდინი, ერთ-ერთ მხარეს მოკლე ტარი აქვს. (იხ. ბერ., ქეგლ; შდრ. ჩიქოვ.).

ჯაჯიმი - აბრეშუმნარევი ზოლებიანი ქსოვილი (უფრო მუთაქებისათვის), წმინდად ნაქსოვი.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ჯვალო - უხეში, სელის ან შალ-ბამბის ტლანქი ქსოვილი, რომლისგანაც ქსოვდნენ ტომრებს, ჯვალოს სამოსს. ატარებდნენ დერვიშები, ქრისტიანი ბერები, მგლოვიარენი.

ჯვარ-ეშმაკი - იხ. „გამიწრივლება“.

ჯვართ ენა - ხევსური ქადაგის საგანგებო, ჩვეულებრივი სასაუბრო ენისაგან განსხვავებულ ტერმინთა წყება, რომელსაც იგი ჯვარის (ღვთისშვილების) ნება-სურვილის გამოცხადების დროს იყენებდა. ხალხის რწმენით, ჯვართ ენა ღვთაებათა (ღვთიშვილთა) წმინდა ენა იყო, რომელსაც ქადაგი ამა თუ იმ მოვლენის, საგნისა თუ სხვათა გამოსახატავად ხმარობდა. ჯვართ ენაში სულიერი არსებების, საგნებისა, სხვადასხვა მოვლენების გამომხატველი სიტყვებია წარმოდგენილი. ტერმინთა ერთი ნაწილი ადამიანების, მათი ორგანიზმის ნაწილების, ადამიანთა ნათესაური ურთიერთობისა და ჯვარში მათი თანამდებობის ამსახველია, მეორე ნაწილი - გარეული და შინაური ცხოველების, კერძოდ, ჯვარის სამსხვერპლო საქონლის სახელწოდების სახით გვხვდება, სხვანი საჯვარო ნაგებობებს, მათ ინვენტარსა და რიტუალური დანიშნულების ნამცხვრებსა და სასმელს, რიგი ავი სულებისა და ადამიანის მოსალოდნელი უბედურების გამო-

მნატველია. გვხვდება ჯვართ ენის ისეთი რიგის ტერმინები, სადაც სულიერ არსება, საგანი თუ მოვლენა სახელდებულია მითვის დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით. ქვემოთ მოგვყავს ჯვართ ენის ტერმინთა ლექსიკონი, რომელიც თ. ოჩიაურის მიერ არის შედგენილი: ალვანი - ჯვარის ტყე, ჯვარის ხეები; ალვის ტანი - დროშა; ახალწული - ახალშობილი; ბალინჯი - ხიფათი; ბერჭუნდი - მოხუცი კაცი; ბიჟიონი - ქალი; ბნელი - ღამე; ბორაყი - დროშა; ბორაყ-ალვისტანი - დროშა; ბუბუნა - ხარი; ბუჟიერნი | ბურჟიერნი - საქონელი, ძროხები; ბუღაური - ხარი; ბუჭრეული - ჯვარის მიერ დაჭერილი მიწა-წყალი; გაბუჭრულება - გათავება, ამოწყვეტა; დალაგმვა - ჯვარის მიერ დაჭრა; დედამზდელი - დედა; ვარდის დღეობა - ათენგენობა; ვერცხლის ბურთვი/ღილი - ვაჟი, მამაკაცი; ზარ-სარეკები - ზარი; ზედაშ-ნათავარი - არაყი, პირველად ამოღებული ლუდი; თეთრეულთ მეურე - მეგანძური; თეთრეული - „საყურ-სამკაული“, ვერცხლეული; იამანმახვილი - ხმალი, ხანჯალი; კარ-კამალა - ჯვარის დარბასის „კარ-საკვამი“; კბილსაორცხელა - ეშმაკი, ქაჯი; კვინმაღალი - თხა; კოდბადაგი - ლუდი; მალიკა - ენა; მალიკაობა - საუბარი; მამა მგებარი/მამა მზირდული - მამა; მანანანი - ცრემლები, ნამი; მატყიერი - ცხვარი; მამხარა - ცეცხლი; მაცხოვარნი - ცხვარი; მბღავანი - თიკანი; მეენე - ქადაგი; მეჭიმმარიტე - ხუცესი; მზექალი - მზე; მიწა-თიკანი/მიწა მყარი - დედამიწა, მიწა; მოდე - დაე; მონაგონი - შვილები; მოძალე - „რომენიც არ ხყაბულდების ჯვარს, ხპარავს მიწა-წყალს“; მოძმე - ძმა; მოჯალაფე - მეუღლე, ქმარი; მუცლით მქანავი - გველი; მუჭანი - ხელები; მუჭა-მახვილი - ხელში ნაჭერი იარაღი; მუჭა-სანთელი - ჯვარში დასაკლავი „სანათლავი“, საკლავი; მუჯირი | ბუჯირი - ჯვარის დასტური; მყეფავი - ძაღლი; მწესე-მრიგე - ხუცესი; მწკავანი | მტკავანი - კატა; მხვიანი - ზარი; ოქროს

ბურთვი - ვაჟი, მამაკაცი; პირისაბანი - „სანათლავი“, საკლავი; რემანი - ცხენები; რიოში - უწმინდური, „სამრელოში მირეული“; რკინა - რკინის მახვილი, იარაღი; რქამაღალი - თხა; რქაჯანგიანი - ვერძი; საბოლოო - „შვილბოლო“ (შვილები, შვილიშვილები); საგოგავნი - ფეხები; საზღუდალი - ლოგინი; სამსახური - საკლავი; სანთელ-თეთრეული - სანთელ-საწირი; საოცარი - სიზმარი; საქუნარი - თოფი; სახედველნი - თვალეები; სენ-სამსალნი - დობილნი („ჯვარის დობილნი“); სიმური - წყალი, მდინარე; ცისკარი - დილა, გათენება, დღე; სეფე/სეფეკვერი - „სასანთლე ქადისკვერი“, „მოსანთები ჰური“; სულწმინდა - მიცვალებული; ტანთ საკადრისეი - ჯვარის დროშაზე ჩამობმული ხელსახოცები, „სამკადრეოები“; უსუსური - მიცვალებული; ფერუგლელნი - ჯვარის ფიჭვები, ფიჭვი; ქანდარა - ქადაგი, „ქანდარაი ჯვარ სადაც თოკვს გააბომს“; ქვაქასური - ქვა; ქერ-ოქრონი - ჯვარის ყანები; ქერ-ოქროთ დამკაზმავი - ჯვარის დიასახლისი; ქოჩრიანნი - ბარელი, ნასწავლი ხალხი, რუსი, ეშმაკი; ღირებული - „წელგამავლილ საკლავი“; ღრებლი - უწმინდური, მირეული; ყუდრო / ყუდრო კარი - სახლი; შტოგძელნი - ჯვარის ტყე; ცავრ-ნამი - წვიმა; ცის გიდელი - ცა; ცივი - მიცვალებული; წვრილეულნი - „დობილნი“; წული - შვილი; წყრულიანი - დაჭრილი; ჭიქა-ბარძიმი - თას-განძი; ჭლიკ-მირგვალი - ცხენი; ჭიმმარიტი - ხუცესი; ხიმონი | ხიმუნი - ხიფათი, ვნება, ავადმყოფობა; ჯარმანიში - ხარი; ჯელდებული - ჯვარის ხელოსანი; ჯიგვი - ცერი, გოჯი.

ქადაგობის ტექსტში ჯვართ ენის მხოლოდ ცალკეული სიტყვები იხმარებოდა; გაბმული ტექსტი საერთოდ არ გვხვდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში გარკვეული მნიშვნელობის მქონე ფრაზებს, მაგალითად: ჯიჯვის თავ-რქანი გადმამაყოლნ მერიგემ ღმერთმ - სიკვდილიანობის ნი-

მანი, მტრის თავდასხმა; **ღორდიან გოდორთ გადმოყოლება** - სეტყვის მოსვლა; ქეროქროთ გადაფანტვა მზექალის მიერ - გვალვა; მზექალ მშვენიერ მაგვიჯდ მაღალზედ, გადამიფანტ ქეროქრონი - მოსავლის დაზრობა ან გვალვა; ფიფქთ გადადენა და მწვანით ამადენა - ამადლების დღეობა, გაზაფხულის მოსვლა; ფიფქთ ჩამადენა - ზამთარი; თვალეზზე ოქროს საცრის დაფარება - დაბრმავება; სენ სამსალათ გამაშობა - ავადმყოფობის გაჩენა.

თ. ოჩიაურის აზრით, „ჯვართ ენის წარმოშობის ერთი მიზეზთაგანი საძებარია ჯვარის ზებუნებრიობისათვის ხაზგასმის სურვილში და, აქედან, ამ ენის შემქმნელ ქადაგთა მიერ თავისი საკუთარი მდგომარეობის განმტკიცების ცდაში“. ამასთან, გასათვალისწინებელია სამონადირეო და სალაშქრო ენის წარმოშობის მიზეზებთან ჯვართ ენის მიმართების საკითხი.

ლიტ.: თ. ოჩიაური. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ., 1954, გვ. 128-135.

ჯვარი - სამკაულის ერთ-ერთი სახე. შუა საუკუნეების ქრისტიანულ ქვეყნებში სამკაულთა შორის საპატიო ადგილი დაიკავა ჯვარმა, როგორც ქრისტიანული რელიგიის სიმბოლო. ჯვრის დასამზადებლად გამოიყენებოდა ოქრომჭედლობის ყველა ძირითადი ხერხი: ჭედვა, ჩამოსხმა, რჩილვა და სხვ. ჯვარს ამზადებდნენ, როგორც სადას, ისე თვლებითა და ტიხრული მინანქრით შემკულს. გულსაკიდი ჯვარი ქართველი ქალის სამკაულის აუცილებელი ელემენტი იყო.

ლიტ.: ი. გაგოშიძე, ქართველი ქალის სამკაული, 1981.

ჯვარი, ვარსკვლავი - აქ: თავთავისაგან გაკეთებული ჯვარი, რომელიც თავთა-

ვებისაგანვე დაწნულ გვირგვინშია მოქცეული. ზაფხულში კალოობისას წინა წელს დამზადებულ ასეთ ჯვარს დამლიდნენ და კალოზე გაფენილ ძნებში მიმოაბნევდნენ ბარაქიანი მოსავლის დაბევების მიზნით. გვიან პერიოდში, სოციალიზმის ბატონობის ჟამს, რიტუალი კვლავ მოქმედებდა, ოღონდ ჯვარს ვარსკვლავის ფორმა მისცეს და სახელიც „ვარსკვლავით“ შეუცვალეს. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ამ უნიკუმის ერთადერთი ნიმუშია დაცული.

ჯვარისკარ გაყვანა - ახალშობილის ჯვარში (ხატში) მიყვანის სავალდებულო წესი, რომელსაც თუშები დაბადებიდან 12 კვირის შემდეგ, რომელიმე დღეს, უმეტესწილად კი დღეობის დროს ასრულებდნენ (12 კვირის გასვლამდე ხატში მისვლა და წყლის მოტანა დედას ეკრძალებოდა). ვინც ამ წესს არ შეასრულებდა, აუცილებლად გაიკიცხებოდა. საამდღისოდ გამოაცხობდნენ ერთ დიდ, ან სამ პატარა კოტორს, რომელიც, ერთ ბოთლ არაყთან და სანთელთან ერთად, სალოცავში მიჰქონდათ. ხატის მსახურები კოტორს დაჭრიდნენ, ბავშვს დალოცავდნენ და და ხატის კარზე გადააგორებდნენ.

ლიტ.: ნ. აზიკური. კოტორი, როგორც რიტუალური პური თუშეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXIII. თბ., 1987, გვ. 21.

ჯვარის პური - საქორწილო რიტუალური პური ქართლში. იგი შეიძლება იყოს: 1. ჯვრის ფორმის, სადა ან მძივებით მორთული; 2. მრგვალი, რომელზეც ხელის ნაჭდევით გამოყვანილია ჯვარი; 3. ხის ჯვარჩასობილი, რომელსაც წვერზე ვაშლი აქვს ჩამოცმული და 4. ასტრალური ორნამენტებით დაჭრელებული. მას საქორწილო რიტუალურ პურებს (ნე-

ფის კვერი) შორის ცენტრალური ადგილი უკავია. ჯვრის პურს ამზადებდნენ რძისა და შაქრისგან, ზემოდან უსვამდნენ კვერცხს. ის ჩვეულებრივ ქართულ პურზე დიდია და ჯვართან ერთად, ზოგჯერ მორთულია იმავე ცომისგან დამზადებული სხვადასხვა ფორმის ჩიტებით, ასევე ხილითა და ტკბილეულით. როდესაც ოჯახი საქორწილო ღვინისთვის მზადებას შეუდგებოდა, პურის ცხობას 2-3 დღით ადრე იწყებდნენ. გადმოცემით, „კარგ“ ქორწილში უნდა გამოეცხოთ 12 ფუთი ლიკან-ლაკაში, ან შოთი, ერთი ფუთი „უხა“ და „ჯვრის პური“. ქორწილის დაწყების წინ ჯვრის პური, მცხობელ ქალებს მეჯვარისთვის მიჰქონდათ. მას მეჯვარე „დიდი ვაჭრობის“ შემდეგ ყიდულობდა. საინტერესოა ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული ჯვრის პურის კიდევ ერთი ფორმა, რომელზეც ცხენზე მჯდომი ბიჭია გამოსახული მათრახით ხელში. ხალხი მას ვაჟიანობის მომასწავებლად თვლიდა. ვ. ბარდაველიძის აზრით, ჯვრის პური მზისა და ხარის კულტის შერწყმის შედეგად არის მიღებული. ჯვრის გამოსახვა საქორწილო რიტუალურ კვერზე ხარის კულტიდან მომდინარეობს, ხოლო მრგვალი კვერი მზის ამსახველ ემბლემას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ჯვარის პური სიცოცხლის ხის გამომსახველიცაა, როდესაც ის სანთლებით გაჩირადდებული და ვაშლებით მორთული ხის ჯვართაა წარმოდგენილი. ასე მორთული რიტუალური კვერი ძალიან ახლოს დგას ჩიჩილაკთან და ის ხის კულტს უკავშირდება.

ლიტ.: ნ. მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, 1978.

ჯვარის სახელი - თეოფორული სახელი - მამაკაცისა და ქალის რამდენიმე სახელთაგან (სულის სახელი, ნათლობის სახელი, თიკუნი) ერთ-ერთი. მართალია, ჯვარის (ხატის) სახელის შერქმევის

ტრადიცია ზოგადქართული მოვლენა იყო, მაგრამ, როგორც უკლებლივ ყველასთვის აუცილებელი ნორმა, იგი აღმოსავლეთ საქართველოს ნკვიდრთა, უპირატესად მთიელთა ყოფას ბოლო დრომდე შემორჩა. ხევსურეთში ჯვარის სახელს, როგორც წესი, ახალშობილ ბავშვს არქმევდნენ ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი, დედასთან ერთად, ქოხში (იხ.) და სამრელოში (იხ.) იმყოფებოდა. აღნიშნული ტრადიცია ეფუძნებოდა რწმენას, რომ ჯვარის (ღვთისშვილის) სახელის მინიჭებით, ახალშობილზე გადადიოდა ჯვარის ძალა, მისი ცხოველმყოფელური და გონივრული მოქმედების ენერჯია.

ასაკმოყრილი ხევსური დედაკაცები ჯერ კიდევ ფეხმძიმე ქალს ურჩევდნენ, ბავშვისთვის ჯვარის სახელი დაბადებისთანავე დაერქმია: „კაი ას, უფერ ვერ გაეკარების. უსახელო ბაღს უფერ მარჯვედ მაუღების“. ხევსურები გოგონებისათვის ჯვარის სახელებიდან უპირატესობას სამძიმარს ანიჭებდნენ, რადგან ხანმატის გიორგის ღობილთაგან იგი ყველაზე მეტად მფარველობდა მექონე ღიაცებსა და ბავშვებს, ხოლო ვაჟებისათვის - გიორგის, რადგან ეს ღვთისშვილი უფერსა და ქაჯ-ემმათ თავისი ლახტით ხოცავს და, ამდენად, ბავშვს უფერი და ქაჯ-ემმაკები ვერ გაეკარებიან. იღენტური რწმენის საფუძველზე, ქართლელის იმ ოჯახში, სადაც ბავშვი ადრევე უკვდებოდათ, ახალშობილს ხატის სახელს არქმევდნენ (მაგ., გერის ჯვრის სახელს - გერისოს, ან, ქრისტიანული ზეგავლენით, იობას, ადამას და სხვ.). გარდა ამისა, ასეთ შემთხვევებში, ქართლში, ისევე როგორც თითქმის მთელ საქართველოში, გავრცელებული იყო ბავშვის „გაყიდვის“ ჩვეულება, რის შემდეგაც ჩვილს (ქართლში) სახელად ნაყიდას უწოდებდნენ. ხევსურეთში დაფიქსირებულია ბავშვის „გაყიდვის“ ფრიად საინტერესო ჩვეულება:

„როდესაც შვილები უჩნდებოდათ, მაგრამ არ ეზრდებოდათ, ეხოცებოდათ, მაშინ იცოდნენ როგორც „ბავშვის მიბარება იღბლიანი კაცისად“, ისე მისი „გაყიდვაც“. უკანასკნელ შემთხვევაში უნდა გაეყიდათ ცხრა ადგილას. ცხრა მოსახლისათვის უნდა მიეყიდა დედას. ბავშვს ხელში დაიჭურდა, კარდაკარ დადიოდა და ეკითხებოდა ხალხს: „არ გინდათა, არ იყიდათა“. მყიდველი შეეკითხებოდა: „რა ღირს, რამთვეს აფასებ, თუ ძვირად არ დააფასებ, მე ვიყიდი“. ბავშვის დედა ეტყოდა: „რასაც თქვენ გაიმეტებთ, რასაც მამცემთ, მე იმას ავიღებ, ოღომც იყიდეთ. მე არ მინდ რო მყვანდას ეს შვილიდ ჩემს სახელზე, ჩემს იღბალზე იზრდებოდას“. მყიდველი ეტყოდა: „აბა გაწირ ჩვენთანად მე ფასს მაგცემ“. მყიდველი მისცემდა პურს ან ყველის ნატეხს; ზოგი ფქვილს ან ფულსაც აძლევდა. დედა ცხრა მოსახლის კარზე მივიდოდა და ყველგან ასეთი სიტყვებით ავაჭრებდა შვილსა. გამობრუნების დროს იტყოდა: „თქვენ იყვას, თქვენ სახელზე იზრდებოდას, ჩემს იღბალზე დამც ნულარ იზღების. მე გაყიდული, გაცემული მყავ, ამაში ფასი მაქვ აღებული. რაიც გინდათ ის ქენით, რახელაც გინდათ, აისრ გაზარდეთ“. შვილს მყიდველს არ უტოვებდნენ, ისევ შინ მიჰყავდათ, მაგრამ ამბობდნენ: „გაყიდული მყავ, ჩემ შვილად არ ას, სამადლოდ ძუძუს ვაწოვებ“.

ლიტ: ვ. ბარდაველიძე. ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია) // მიმომხილველი. I. თბ., 1949, გვ. 146- 155; მ. ბალიაური. ბავშვის დაბადება-აღზრდის წესები ხევსურეთში (ხელნაწერი. რვ. № 4, გვ. 199-200).

ჯვარის ხუცესი - ხევსურული თემის სასულიერო და საერო ცხოვრების წარმ-

მართველი, რომელიც ხშირად ქადაგის ფუნქციასაც ითავსებდა. ქადაგთან ანუ ჯვარის მეწესთან ერთად, იყო რა სათემო ჯვარის მთავარი ქურუმი, ხუცესი ფაქტიურად თემის უფროსს წარმოადგენდა. ხუცესი „სახელის პარალელურად სრულიად ხევსურეთის თემისა და მასში შემავალი ზოგიერთი მსხვილი თემის უფროსები ჰევსიბერის სახელს ატარებდნენ. ჰევსიბერი // ხუცესი და მეწენ სათემო ჯვართან ყველაზე დაახლოებულ პირებად ითვლებოდნენ, რომლის სახელითაც ისინი თემში წეს-წყობილებას ამყარებდნენ. ამიტომაც ეს ორი პირი თავ-მორიგენის, ანუ თავ-მერიგენის ეპითეტით მოიხსენიებოდნენ. მსხილ თემებში ჰევსიბერი, ანუ ხუცესი რამდენიმე ... იყო და ამათგან თავ-მორიგედ მხოლოდ ერთი ითვლებოდა. თავ-მორიგეთა (ე. ი. თემის უფროსისა და ჯვარის მეწენის) ხელისუფლება მუდმივი, ხოლო მათი თანამდებობა რიგ თემებში მემკვიდრეობითი იყო. ისინი უნჯ // მკვიდრ ყმათა წრიდან გამოდიოდნენ და ამასთანავე სათემო ჯვარის მიერ არჩეულ და თავის თანამდებობაზე დაყენებულ პირებად ითვლებოდნენ“ (ვ. ბარდაველიძე).

ხუცესის // ჰევსიბერის, როგორც თემის მთავარი ქურუმის მოვალეობას შეადგენდა: რელიგიური ხასიათის დღესასწაულების გაძღოლა, სადღეობო რიტუალების შესრულების ხელმძღვანელობა, მლოცველის მიერ მოყვანილი „სამხვეწროს“ მსხვერპლად შეწირვა, „ხუცობა“ (ლოცვების წარმოთქმა) და სხვ.; სათემო ჯვარის ქონების (ჯვარის მიწებისა და საქონლის) მართვა; ჯვარის საჭურჭლისა და ქონების დაცვის საქმის მეთვალყურეობა; ჯვარის მეურნეობის გაძღოლა; ჯვარში საღალე, საბეგრო და საბალახე შემოსავალთა და სხვა ვალდებულებათა უზრუნველყოფა. გარდა აღნიშნულისა, ხუცესები, „განსაკუთრებით მსხილი თე-

მების ჰევისბერები, რჯულის საკითხებშიც ერეოდნენ, ხოლო სრულიად ხევსურეთის თემის ჰევისბერ-მეწე სადმართო გუდანის ჯვარის სახელით მთავარი რჯულისმდებლის როლში გამოდიოდა ხევსურეთის მასშტაბით“ (ვ. ბარდაველიძე).

ხუცესის // ჰევისბერის ხელისუფლების ინსიგნია არგანი, ანუ ყავარჯენი იყო. გარდა არგნისა, მის ატრიბუტს ვერცხლის შიბები და ყელსადები ხატი // ჯვარი წარმოადგენდა. ხუცესის // ჰევისბერის, როგორც წმინდა არსების, სახელის წარმოთქმა და მის საცხოვრებელში შესვლა ქალებს ეკრძალებოდათ. არის ცალკეული მაგალითები სიკვდილის შემდეგ ხუცეს-ჰევისბერის გაღმერთებისა, მისი საფლავის საკულტო ალაგად ქცევისა და იქ საჯვარო დღეობების გამართვისა.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ხევსურული თემის მმართველობის სისტემა // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. XIII, № 10. თბ., 1952, გვ. 626-627; თ. ოჩიაური. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ., 1954, გვ. 113-127.

ჯვარის ჯარი (ხევს.) - ჯვარისთვის აღთქმული, შესაწირავად გამზადებული ხარი.

ა. ჭინჭარაული. ხევსურული ლექსიკონი. თბ., 2005.

ჯვარი წინა - საწესო სიმღერა, გავრცელებული კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, ხევში, თუშეთში, ფშავში და სხვ. სრულდებოდა ვაჟის სახლში გამართულ ქორწილში კერის ირგვლივ ნეფე-დედოფლისა და მაყრიონის საწესო შემოვლის დროს. გ. თედორაძის თანახმად, ფშავში „ჯვარი წინას“ შემდეგი წესის დაცვით მღეროდნენ: ნეფის სახლში შესვლისას ორ ჯგუფად

გაყოფილი მაყრიონი კერის ორ მხარეს ერთმანეთის მოპირდაპირედ განლაგდებოდა. ნეფე-დედოფლის, მდადისა და მაყრების მიერ კერის ირგვლივ სამჯერ შემოვლისას ორივე ჯგუფი სიძე-პატარძალს ერთი და იმავე სიტყვების განმეორებით სამერმისო ბედნიერების სიმღერას - „ჯვარი წინას“ - უძღვნიან. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში სიმღერა წმ. გიორგისადმი არის მიმართული:

„ჯვარი წინასაო, ჯვარი წინასაო.
ანგელოზები მარჯვნივ მხარესაო.
სამოცდასამი წმინდა გიორგი
თუ დასწერს ჯვარსა ჩვენს ნეფიონსაო“.

ვარიანტი:

„ვინ დასწერს ჯვარსა, ჩვენს ნეფიონთა,
წმინდა გიორგი,
ის დასწერს ჯვარსა ჩვენს ნეფიონთა“.

ე. ვირსალაძის აზრით, „ამ სიმღერით კერის გარშემო ნეფიონის შემოვლა, როგორც ჩანს, ძველი ქართული საქორწინო რიტუალის ძირითად მომენტს წარმოადგენდა და ქრისტიანული ქორწილის რიტუალზე ბევრად ძველი იყო“. სპეციალისტთა შეხედულებით, აღნიშნული სიმღერა შესრულების ადგილის, წესისა და მელიოდიური ქსოვილის ინტონაციით გენეტიკურ კავშირს ავლენს მეგრულ საქორწინო სიმღერასთან (იხ. „კუჩხა ბედინერა“).

ლიტ.: გ. თედორაძე. ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში. თბ., 1930. გვ. 153-155; თ. იველაშვილი. საქორწინო წეს-ჩვეულებანი საქართველოში. თბ., 1999, გვ. 217; ქ. ჭითანავა. მეგრული სიმღერა „კუჩხა ბედინერა“ // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათ-

ვის XXIII. თბ., 1987. გვ., 255-260; ე. ვირსალაძე. ქართული სამონადირეო ეპოსი. თბ., 1964, გვ. 149; დ. არაკიშვილი. Грузинское народное музыкальное творчество // Оттиски из V т. Трудов МЭК. С. 147;

ჯვრის სუფრა - სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხის თუშური ნაირსახეობა. წარმოადგენს დისწულის ქორწილში დედისძმის მიერ მოტანილ სინზე (ლანგარზე) მოთავსებულ დიდ პურში ჩარჭობილ ხის ჯვარს, რომელზეც დაკრულია ანთებული სანთლები და კიდია სასაჩუქრე წინდები ან პირსახოცი, გვერდით ნაშვერებზე კი ვაშლებია წამოცმული. გარდა ამისა, სინზე აწყვია სამი ან ხუთი კოტორი, მონარშული ქათამი, ყველი და ტკბილეული. შეიძლება ნეფე-პატარძლის წინ ორი ჯვრის სუფრა მდგარიყო - ერთი ღვიძლი დედისძმის მოტანილი, მეორე კი - მამის პირველი (გარდაცვლილი) ცოლისძმისა. ჯვრის სუფრას საამისოდ სპეციალურად მიჩენილი პირი - მეჯვარე - დარაჯობდა, რომელიც მას მესამე დღეს დაშლიდა და ზედ დაკიდებულ წინდებს, როგორც სამეჯვარეოს, თავად აიღებდა. თავისი სემანტიკით ჯვრის სუფრის იდენტური ჩანს ქართლ-კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, მთიულეთში, ერწო-თიანეთსა და ფშავ-ხევსურეთში გავრცელებული ჯვრის პური. ერწო-თიანეთში რძითა და შაქრით მოზეულილი ცომით გამომცხვარ ჯვრის პურს ზევიდან კვერცხს უსვამდნენ და ცომისაგან დამზადებული სხვადასხვა ფორმის ჩიტებით რთავდნენ. პურს ზედაპირზე, შუაში, ზოგჯერ ხელის ნაჭდევით ჯვარს უკეთებდნენ ან არჭობდნენ ხის ჯვარს, რომლის სამ თავისუფალ ბოლოზე ვაშლებს წამოაცვამდნენ. ხშირად ჯვარზე ნაირი ხილი და ტკბილეული ეკიდა. ჯვრითა და ვაშლებით მორთული მთიულური ჯვრის პურის ვაშლები ნეფე-დედოფალსა და ნათლიას შორის ნაწილდებოდა. ანალოგიური ფორ-

მის ფშავურ ჯვრის პურს, სეფისკვერთან ერთად, ვაჟის ოჯახში აძლევდნენ ნათლიას, რათა იგი მშობლიური სახლიდან პატარძლის წამოყვანისა და ნეფის ოჯახში მოყვანისას ხელში ჭეროდა. ამავე ჯვრით ხელში ნათლია წინ მიუძღოდა სიძე-პატარძალს კერიის გარემოვლის დროს. მიძიებითა და წითელი ნაჭრებით შემკული ხევსურული ჯვრის პური ნეფის ტაბლაზე უნდა მდგარიყო. აღსანიშნავია, რომ პურის ეს სახეობა ფერეიდნელმა ქართველებმაც შემოინახეს.

თუშეთში, გარდა აღნიშნულისა, სამგლოვიარო ჯვრის სუფრაც იცოდნენ. თუკი დისწული „უგვირგვინოდ“ გარდაიცვლებოდა, დედისძმას ჭირისუფლის ოჯახში ჯვარი მიცვალებულის გასვენებამდე უნდა მიეტანა. სამგლოვიარო ჯვრის სუფრა საქორწილოსგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ ჯვარი ან შავად იყო შეღებილი, ან მას შავი ქსოვილი ჰქონდა შემოხვეული. ამდენად, ჭირსა და ღვინში ჯვრის სუფრის ფუნქციონირება ქორწინებისა და სიკვდილის ურთიერთკავშირის შესახებ არსებული არქაული წარმოდგენების ანარეკლია.

ლიტ.: ნ. აზიკური. კოტორი, როგორც რიტუალური პური თუშეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXIII. თბ., 1987, გვ. 220; გ. ცოცანიძე. გიორგობიდან გიორგობამდე (ეთნოგრაფიული ექსკურსები თუშეთის ახლო წარსულში). თბ., 1987, გვ. 215-216; ნ. მაჩაბელი. მაგიურ-რელიგიური წეს-ჩვეულებები საქორწილო რიტუალში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XX. თბ., 1979, გვ. 119-120; მისივე, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში. თბ., 1978, გვ. 70, 120, 122; გ. გოცირიძე. საქორწინო რიტუალური პურები

ფერეიდნელ ქართველებში // ძეგლის მეგობარი. 64. თბ., 1983, გვ. 34; მისივე, ქორწინება ფერეიდნელ ქართველებში. თბ., 1987, გვ. 70-73.

ჯიგოლი (გლ.) - გასახმობად ოთხკუთხად დაწყობილი ნედლი ფიცარი.

ლიტ.: რაჭული ლექსიკონი.

ჯილა - ტყვიაჩასხმული კოჭი ან კაკალი, რომელსაც ესვრიან მწკრივში ჩამწკრივებულ კოჭებს ან კაკლებს. მძიმე როცაა მიზანში კარგად მიდის. ვინც ჯილით ერთ კოჭს გაიტანს, დანარჩენიც მისია. ჯილას ეძახიან ტოლებში გამორჩეულ ჭაბუკსაც.

ჯილეხი (რაჭ.) - საქონლის გადამდები ავადმყოფობა (ადამიანზეც გადადის), ხუზარა, ციმბირის წყლული (იხ. ქეგლ, ნიქარ.; შდრ. შარამ.).

ჯილმეხი (რაჭ.) - მრავალწლიანი მცენარეა, ტყეში იზრდება. ცხოველების კარგი საკვებია. ძმერხლი (იხ. მაყ., ალავ.).

ჯილყი (გლ.) - ერთად შეკრებილი მრავალი ნადირი ან ცხოველი (მგლები, არჩვები; ცხვარი, ცხენები...). (შდრ. ბერ.: ჯელგა).

ჯილდა (მესხ.) - ფამფალაკიანი სახვნელი. ჯილდამ თავი, ბოლო დრომდე შემოინახა მესხეთში, სადაც იგი წარმოადგენდა ძირითად სახვნელ იარაღს. ჯილდის გარდა აღნიშნულ კუთხეში ხმარებაში ყოფილა აგრეთვე დიდი გუთანი და მსუბუქი სახვნელი არონა. დიდი გუთანი იშვიათად, უმთავრესად ყამირის მოსახლავად გამოიყენებოდა, არონა - მოხნულის ხელმეორედ გადასახლავად. რაც შეეხება ჯილდას, ის წარმოადგენდა იმ უნივერსალურ სახვნელს, რომელიც გა-

მოიყენებოდა როგორც საანულო, ისე საგაზაფხულო ხვნის დროს და კარგად იყო შეგუებული ადგილობრივ პირობებთან, კერძოდ, ზეგანის მიწათმოქმედების საანულო სისტემასთან, რომელიც არ მოითხოვდა ღრმად ხვნას. შედგებოდა ტოლგოგორებიანი ფამფალაკისაგან, მხრის, ერქვანის, ქუსლის, ხმალასა და სახნისისაგან. მასში 4-5 უღელი ხარი იბმებოდა. ჯილდას საკვეთელი არ გააჩნდა, თუმცა ვარაუდობენ, რომ მას აღრე საკვეთელიც უნდა ჰქონოდა. ამას ადასტურებს საფლავის ქვებზე გამოსახული საკვეთლიანი ჯილდები. ფამფალაკის შემწეობით ჯილდა თავისებური კონსტრუქციის გუთანი იყო. ჯილდა ცალკეული კომპონენტების მეშვეობით უახლოვდება დიდი გუთნის კონსტრუქციას და ამავე დროს, გუთნისაგან განსხვავებულ ელემენტებს შეიცავს. ის ერთგვარი შუალედური რგოლია ქართული სახვნელების განვითარების ეტაპებზე და ერთგვარად გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს შედარებით მარტივიდან რთული იარაღისაკენ. ჯილდა საქართველოში ერქვანის სახელწოდებით V საუკუნეიდანაა ცნობილი.

ლიტ.: გ. ჩიტაია, მასალები საქართველოს სახვნელი იარაღის ისტორიისათვის, სსმმ, ტ. V, 1928; ლ. ბერიაშვილი, მიწათმოქმედება მესხეთში, 1973.

ჯიკა (რაჭ.) - ახალი ყველისაგან დაზაღებული საჭმელი, სქელია ფაფასავით, იწელება. „სულგუნს ფქვილი არა აქ, ჯიკა კი ფქვილიანია“. (იხ. ძიძ., ქეგლ).

ჯიმური (ხევს.) - ჩხუტზე პატარა კასრი (იხ. ჩხუტი), სითხის გადასატან-გადმოსატანი.

ლიტ.: ალ. ჭინჭარაული. ხევსურული თავისებურებანი. თბ., 1960, გვ. 217, 219.

ჯიმუშ ბირა (მეგრ. „მარილის სიმღერა“ - მეგრული საწესო სიმღერა; სრულდებოდა საქორწილო სუფრაზე და ეძრვნებოდა ე. წ. „წითელი მარილის“ (ჭითა ჯიმუ - მშრალი აჯივის მაისახეობა - ერთად დანაყილი წითელი წიწაკა და მარილი, რომელიც ხორცის საწებლად გამოიყენება) დამამზადებელ ქალიშვილებს. თუ „წითელი მარილი“ ძალზე ცხარე აღმოჩნდებოდა და მაქორწილე მამაკაცთა ქებას დაიმსახურებდა, ეს უკანასკნელნი ქალიშვილებს უმღეროდნენ:

ჰოი, ძღაბი, მუ გიკაკუ,
 ჰოი, გოგო, რა დაგინაყავს
 ოჰო-ჰოდა, ოჰო-ჰო,
 ოჰო-ჰოდა, ოჰო-ჰო,
 ართო დაჩხირი ქუმომკათუ,
 მთლად ცეცხლი შემომანთო,
 ოჰო-ჰო.
 ოჰო-ჰო.
 სით დაჩხირი უოფექუ დო
 შენც ცეცხლი ყოფილხარ და
 მათ დაჩხირი ქომომკათუ,
 მეც ცეცხლი წამიკიდუ,
 ოჰო-ჰოდა-ოჰო-ჰო.
 ოჰო-ჰოდა, ოჰო-ჰო.

სიმღერის ტექსტი აშკარად ეროტიკული ხასიათისაა და საქორწილო განწყობას ეხმიანება. როგორც ჩანს, მეგრელისათვის წიწაკა ფალოსის სიმბოლოდაც აღიქმებოდა; ცხარე წიწაკაზე იტყვიან: „საჯდომუსაცვლო ქალის დარგულია“ (მუნდუკურთე ოსურიშ ნარგი რე) - სახეზეა პენისისა და კტიისის კავშირი.

ლიტ.: ნ. ანთელავა. ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამეგრელოში. თბ., 2005, გვ. 161-162.

ჯინგოდორა (ქართლ.) - წნელის ნალია, სასიმინდე.

ლიტ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. დლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984. სიტყვასთან ჯინგოდორა.

ჯინი, ხვირი (ფშ.), **ჩაფი** (ხევ., ხევს.) –
 1. გრძელი მოწნული ჭურჭული, რომელიც ტვირთისა და სხვათა გადასაზიდად გამოიყენებოდა. იდებოდა მარხილსა და ურემზე.
 2. თხილის წნელისაგან დაწნული საწოლი საქართველოს მთაში. ჯინის საწოლად ხმარებას, ხალხის დაკვირვებით, პრაქტიკული საფუძველი გააჩნდა. წნული კედლები ხელს უწყობდა ჰაერის მოძრაობას და მასში ჩაგებული ქვეშსაგებლის მშრალად შენახვას.
 3. ბარი, ხელგათი, ჩეო (ლეჩხ.), ჩავ (სვან.), ჯანაბერი, ჯოჯობინა (რაჭ.) - პატივის გასატანი მოწნული სათავსი, გვხვდება როგორც მარხილსა და ურემზე დასადები, ასევე ზურგით საზიდი. თუშეთში ჯინი მოწნულ საწოლს ჰქვია, ხოლო ზემო ქართლში სიმინდის დასაცეხვს. ძირითადად მაინც პატივის გასატანად ხმარობდნენ და ერთგვარად მის საწყაოსაც წარმოადგენდა. იგი მოგრძო ოვალური ფორმისაა, წინ ვიწრო, უკან უფრო ფართო, რაც მარხილისა და ურმის ფორმით არის განპირობებული.
 ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

ჯინჯიბახი - ხის ბოძი, რაიმეს შესაყენებლად.

ჯირგინი (თბ.) - ღარი ეზოში, სადაც წვიმისა და სხვა ნარეცხი წყალი გაედინება.

ჯიდ-ჯიდა - ვერცხლის აჟურული ქალის სამკაული სამცხე-ჯავახეთში.

ჯიჩ, ჯიჩ! (რაჭ.) - ქათმების მოხმობა (იხ. ქეგლ: ჯიჩი, ბერ. ჯიჭ., გაჩ.).

ჯინამ კარიშ გონჯამა (მეგრ.) – „ციხის კარის გაღება“ - სამშობიარო ციკლის მეგ-

რული წეს-ჩვეულება. მძიმე მშობიარობის დროს ბებია-ქალი (დედმანია) ფეხებს მიწაზე წაუსვამდა და იტყოდა: „ცინის კარი გამიღია“. მშობიარის ოთახში მყოფებს ქამრები უნდა შეეხსნათ და ეთქვათ: „ღმერთო, ასე გაანთავისუფლე“. გარდა ამისა, დააყენებდნენ მუხლებზე, ხელში დააკავებდნენ ცარიელ ბოთლს, რომელშიც მაგრად უნდა ჩაებერა და მუცლისთვის ძალა დაეტანებინა; ევედრებოდნენ მელოგინის „ჯინჯი ხატს“ (ძირი ხატს), მარიამ ღვთისმშობელს, რომელსაც შეუთქვამდნენ ე. წ. „ოდაბადეს“ (სამშობიაროს); მკერდზე ქმრის ქალამნებს დაადებდნენ, გველნაკლავ ცულს მუცელზე სამჯერ შემოუტარებდნენ. იკრძალებოდა მშობიარესთან ფეხმძიმე ქალის შეშვება, რადგან ამ უკანასკნელის მუცლადმყოფ შვილს შეიძლება, მშობიარის ბავშვისთვის ეთქვა: „მე მომიცადე“; ამით კი მოლოგინება გაჭირდებოდა. უნდა ითქვას, რომ მშობიარობის შესამსუბუქებლად მეგრელები სხვადასხვა ირაციონალურ საშუალებებს მიმართავდნენ: ფეხმძიმეს მუცელზე თევზის წებოს ჩამოკიდებდნენ; ავი თვალის საწინააღმდეგოდ თავქვეშ მკრატელს ან ხანჯალს ამოუდებდნენ; ამავე მიზნით, საწოლთან სათევზაო ბადეს გაუბამდნენ; არ აჭმევდნენ თხილსა და ნიგოზს - ბავშვი ტყირპლიანი იქნებაო, არც თაფლს - დორბლიანი იქნებაო.

ლიტ.: ს. მკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 271-272.

ჯიჯაფეხა (გლ.) - შეშის სახერხი ჯოჯგინა. ჯიჯაფეხაზე გადებულ შეშას სი-სოხერხით ხერხამდა (იხ. ქეგლ).

ჯოლბორდი (ძვ.) - ისრის მთლელი და ზოგადად მშვილდ-ისრის მკეთებელი.

ჯონჯი (რაჭ.) - კაბაზე შემოვლებული ნაოჭებიანი ქობა (შდრ. ზმ. ჯარჯი, მნიშვ.

2; მარაშ.: ჯორჯალი).

ჯორა - ფანდურის ალყი. სიმების დასაცალკავებელი და გამჭიმავი.

ჯორმა (გლ.) - შიგნეულობისაგან დამზადებული კერძი (შიგნეულობა, მოხარშული საკუთარ წვენიში).

ჯოხის მიყუდება - დავალება, იძულება. მწყემსები ერთ რომელიმე ამხანაგს დაჩაგრავდნენ, მორბედივით იყენებდნენ, სამწყემსო ჯოხს მიუგდებდნენ: „ჯოხს მიაყუდებდნენ“. ეს გამოთქმა გადატანით იხმარება სხვა ვითარებაშიც: „რახან ჯოხი მომაცუდეთ, რას ვიზამ, გავწევ თამალობასა“.

ლიტ.: გ. შატბერაშვილი. თხზულებანი. ტ. 4. თბ., 1975.

ჯოჯობინა (ლექს.) - ჯინი (იხ. ჯინი 1).

ლიტ.: მიხეილ ალავიძე. ლექსმური ლექსიკონი // ქართველურ ენათა ლექსიკა. I. თბ., 1938, გვ. 139-164. სიტყვასთან ჯოჯობინა.

ჯოჯობა / დოდობა - თბილისური დღესასწაული; იმართებოდა აღდგომის კვირის სამშაბათს ავლაბარში, მტკვრის კლდოვან ნაპირზე. აქ არსებულ ერთ-ერთ პატარა გამოქვაბულში, გადმოცემით, წმ. დოდოს - წმ. დავით გარეჯელის თანამოღვაწეს - უცხოვრია. წმ. დოდოს, როგორც უიღბლოთა მფარველის, გამოქვაბულთან მოდიოდნენ ის ქალები, რომელთა ახლობლები შინ არ იმყოფებოდნენ. კლდოვან ნაპრალებში მრავლად ბინადრობდნენ ხვლიკები (ჯოჯოები - *Agama caucasica*), რომელთა ქვევით ახლობელთა ბედის გაგება შეიძლებოდა. ქალებს თან წამოდებულ კვნიტ შაქარს ქვებზე მოისროდნენ და, მუხლმოყ-

რილნი, ხვლიკების მოახლოებას ელოდ-
დნენ; ცხოველს თხოვნით მიმართავდნენ
და ყურადღებით აკვირდებოდნენ: თუ
ხვლიკი ქალს პირდაპირ თვალელებში შეს-
ცქეროდა, ეს იმის მომასწავებელი იყო,
რომ ახლობელი მალე დაბრუნდებოდა.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ,
XIX ს-ში ხვლიკების კვების რიტუალი არ-
სებითად დღესასწაულის შინაარსის მთა-
ვარი მომენტი გახდა. ამ ვითარებამ გამო-
ინატულება ჰპოვა მის ხალხურ სახელწო-
დებაში „ჯოჯობა“, რომელმაც დღეობის
თავდაპირველი სახელწოდება ხმარები-
დან ამოაგდო. გარკვეულ მიზეზთა გამო,
ამ მოსაზრების მართებულობა საეჭვოა.

ლიტ.: Анчабадзе Ю. Д.,
Волкова Н. Г. Старый Тбилиси.
Город и горожане в XIX в. М., 1990,
გვ. 230-231; Б. Заметки тифлисского
фельетониста // Кавказ, 1855, № 2;
Е. Т.-А. Неделя св. Пасхи у армян и
у грузин в Тифлисе // Кавказ, 1883,
№ 112.

ჯუბა (თუშეთი) – 1. უბიანი ჩოხა, თუში
და ფშაველი ქალის კაბა. მასალად გამო-
იყენებოდა სახლში მოქსოვილი შალი
- „ტოლი“ („ორმაგულა“ და „ცალპირა“).
საქორწინო ჯუბა ზოგჯერ საქმროს ოჯა-
ხიდან გამოგზავნილი მატყლით მზად-
დებოდა. თუშური ჯუბის თარგს ქმნიდა
მთლიანი შალის მასალიდან ბეჭებში გა-
უკერავად ამოღებული „წინაობა“ და „უკა-
ნაობა“. წინაობაში შედიოდა „სათავე“,
„უბე“, „წინა გვამი“//წინა ბოლო, ხოლო
უკანაობაში - „ბეჭები“ და „უკანა გვამი“.
გვერდებში აყენებდნენ „შაშბებს“ ანუ
„ჩაქებს“, წვრილსა და ირიბ კალთებს.
ჯუბას უკეთდება სწორი და ვიწრო „სა-
ხლები“. ჯუბის ბოლოს წინა მხრიდან
შეკეცავდნენ, ნაწიბურიანი უკანა მხარე
კი ფერადი დაფებით იყო გალამაზებული

(„ქუქუმო“). სიმაგრისათვის ნაპირზე ბაწ-
რის გარემოსაც შემოაკერებდნენ. ჯუბა
ქალის ტანს მთლიანად ფარავდა. წინ
საკმაოდ დიდი მონაკვეთი იყო გულისპი-
რის - „ფარაგას“ მოსათავსებლად. ნაპი-
რებს ჩამოჰყვებოდა ჩამცმელის ასაკისა
და საზოგადოებრივი მდგომარეობის
მიხედვით განსაზღვრული ბრტყელი, ხა-
ვერდის ან მაუდის ფერადი დაფით დამ-
შვენებული და ვერცხლის სამკაულებით
მორთული ნაჭრები, რაც ღრთთა განმა-
ვლობაში თუშური ტანსაცმლის ყველაზე
ნიშანდობლივ ელემენტად იქცა. ჯუბაზე
იკეთებდნენ ფერადი დაფებისაგან მოქ-
სოვილ სარტყლებს. ფშაველი ქალის
ჯუბის მასალად შინაქსოვ შალს იყენებ-
დნენ. თუშური ჯუბისაგან განსხვავებით,
ფშაური გამოირჩეოდა სისადავით. მის
შესაკერად ორად მოკეცილი შალიდან
ბეჭებში გადაუჭრელ ტანს ამოიღებდნენ.
ჯუბა უსაყელო იყო და თავზე გადასაცმე-
ლად წინ ცოტაზე ჩახსნიდნენ. ნაპირებს
გრეხილს შემოაკერებდნენ და ღილით
ან ბაწრით დააკავშირებდნენ. ჯუბას მო-
კერებული ჰქონდა სწორი და ვიწრო „სა-
ფლები“, ზოგჯერ სახელოთა მასალად
ფართალიც გამოუყენებიათ. ვიწრო და
ტომარასავით ამოკერილ ფშაურ ჯუბას
გვერდებში უყენებდნენ პატარა „აზლო-
ტებს“, თუ ქალი ტანმსხვილი იქნებოდა
„აზლორტის“ სიგრძე იღლიამდე ადიოდა.
ბოლოზე მოაყოლებდნენ ენდროში შეღე-
ბილ ქუქუმოს, რომელიც შალის ფერადი
დაფებით - „შობაით“ ან „კავწყვეტილათი“
ირთვებოდა. ჯუბის სამაგრად ფარჩის გა-
ნიერ და გრძელ სარტყელს ხმარობდნენ.

ლიტ.: ქართული მატერია-
ლური კულტურის ეთნოგრაფი-
ული ლექსიკონი. თბ., 2011.

ჯუბა, ჯუბაჩა - ძველ საქართველოში
ზევიდან მოსაცმელი, მოკლე და სახელო-
ებდაკვეთილ კაცის ქურთუკს ეწოდებოდა.

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ჯუბა ყოფილა როგორც საზეიმო, ისე მწუხარების დროს ჩასაცემელი, რაც მის ფერში გამოიხატებოდა. არსებობდა ჯუბაჩაც, ანუ მოკლე ჯუბა, რომელიც კაბაზე მოსაცემელ, მოკლესახელოებიან სათბილოს წარმოადგენდა.

ლიტ.: გ. ბოჭორიშვილი., თუშეთი, 1993; ც. ბეზარაშვილი, ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1974; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ჯუბა - მუსლიმურ ქვეყნებში გავრცელებული მთლიანი შალის (კაბა) საყოველთაო სამოსი. მრავალი ცნობის მიხედვით, საქართველოშიც („ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით) ორივე სქესის ტანსაცემელი ყოფილა. თანამედროვე საბერძნეთში მას „ჯუბა“ ეწოდება. ჯუბა ყველგან გრძელი იყო, კოჭებამდე, ან მუხლს ქვემოთ, წინ გახსნილი, ვიწრო და მოკლესახელოებიანი, ამხადებდნენ მატყლისაგან სხვადასხვა ფერადობით. სხვაგან საჯუბე ქსოვილი თალხი და მოწითალო იყო, საქართველოში კი - შავი და ნარინჯისფერი. VII-X საუკუნეების რელიეფურ ძეგლთა ანალიზით ირკვევა, რომ საქართველოში იმდროინდელი ჩაცმულობა, საცვლის გარდა, ძირითადად ჯუბისა და ქურქისაგან შედგებოდა. ჯუბის ქსოვილი ნაქარგი და სახიანი იყო, საყელო გადაკეცილი ჰქონდა. მისი სახელოები გრძელი, მკლავზე გაწყობილი და მაჯასთან ვიწრო იყო. ჯუბაზე სარტყელს იკრავდნენ. მიწამდე გრძელი იყო ქურქი (იხ. ქურქი). თუშეთში ადგილობრივი შალისაგან კვართისებურად შეკერილ კაბას ჯუბას//უბიან ჩოხას უწოდებდნენ. მისი ძირითადი ნაწილი შედგებოდა წინა და უკანა კალტებისაგან, რომელთა შორის, გვერდებში უდგამდნენ ირიბად აჭრილ ნაჭრებს. ჯუბას

სწორ და ვიწრო სახელოებს აკერებდნენ, რომლებიც სიგრძით იდაყვამდე იყო. ამის შემდეგ, სახელოს სიგრძეს ავსებდა მოქარგული მოძრავი სახელო. ეს კაბა ქალის სხეულს თითქმის მთლიანად ფარავდა. კაბა გულისპირში ჩახსნილი იყო და საგულე დიდად ჰქონდა ამოჭრილი ვერცხლის სამკაულებით გაწყობილი გულისპირის - „ფარაგის“ - ჩასადგმელად. ფშაველებს კონტად ჩაცმა უყვარდათ, ამიტომ ერთი ხელი ახალი ტანისამოსი ყველას ჰქონდა შენახული, ჯარობაში ლაზათიანად რომ გასულიყვნენ.

ლიტ.: ი. ციციშვილი, მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიიდან, 1954:52, 72; ც. ბეზარაშვილი, გ. ჯალაბაძე, ქართული ხალხური ტანსაცემელი, 1988:7; ს. მაკალათია, ფშავი, 1985:125; ლ. ბოძაშვილი, ფშავი და ფშაველები, 1988; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ჯუნდა - სპეციალური ხის რგოლი, კოლხურ ხომალდზე, რითაც ანძაზე აფრების გამლა-ჩამოშვება ხდებოდა.

ჯუში - ნივთიერება. ოქრომჭედლობაში ვერცხლის ოქროთი დაფერვისას იყენებენ. მზადდება გოგირდის შაბისა და მარილის ნარევისგან, რომელთაც თასში ჩაყრიან, ძმარს დაასხამენ და ადუღებენ, რომ ნახარში ამოვლებულმა მოოქროვილმა ნივთმა კარგი ფერი მიიღოს.

ჯღა, ჯღარი - ტოტებიანი სარი, რომელსაც ვენახს შეუდგამენ - ჯღა სარივით არის და ზედ აქვს თითები, ზოგან ჯღა და ხარდანი გაიგივებულია.

ჯღანი (იმერ.) - უშნო ქალამანი.



ჰაგდანი, აგდანი - ეწოდება თალარს ან ორმოს, რაშიც ცხვრის ტყავს ყრიდნენ და სამუშავებლად, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ტყავს კირწყალს წაუსვამდნენ, დაკეცავდნენ და ბალნის გასაცლელად შეახურებდნენ. მთელ ამ პროცესს რახტის ქნად მოიხსენიებდნენ, ტყავის მოქნას კი ხეშვა ერქვა.

ლიტ.: სტ. მენტემაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

ჰალვა - ტკბილეული, რომელიც მზადდება დანაყილი ნიგვზით ან მზესუმზირით მაქართან ერთად.

ჰამბახი (ლაზ.) - ადგილი ნავში, სადაც თევზსაჭერ მოწყობილობებს, საკვებს, წყალს, ტანსაცმელს და დაჭერილ თევზს ინახავდნენ.

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი. ნაოსნობა... 1987.

ჰასკამ-ი / სასკამ-ი (სვ.) - მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული სვანური სარიტუალო სკამი; კეთდებოდა „ლიფანალის“ - სულის მოსახსენებელი - დღეობისათვის; წარმოადგენდა საუფროსო სავარძლის სიმაღლის ოთხ ფეხზე შემდგარ სკამს ზურგსაბჯენი ფიცრით. მასზე დებდნენ მიცვალებულის კუთვნილ ტანსაცმელს და,

როგორც წესი, საწესო სუფრასთან ახლოს დგამდნენ. ჰასკამს ორმოცის გადახდისთანავე წვავდნენ ან ეკლესიას სწირავდნენ.

ლიტ.: ლ. ბელუკიძე. სვანური ავეჯი (ფიჩქი და ჰასკამი) // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“. XXXVI. 1982, გვ. 85-94.

ჰერამოდა || ჰერემოდა _ ჰერემოდა აჭარულ ტრადიციულ საცხოვრებელში საქორწინო წყვილის ოთახი იყო, დედოფალიც იქ შეჰყავდათ. ჰერემოდა ძველებური სახლის ერთი იმ ოთახთაგანი იყო, რომელშიდაც ცოლ-შვილის პატრონი ოჯახის წევრი ცხოვრობდა. ამ ოთახს, ჩვეულებრივ, ოჯახის საერთო ჯალაბობის ანდა სტუმრისათვის არ იყენებდნენ. იგი საცხოვრებელში ახალდაქორწინებულ წყვილთა საძინებელი იყო. აბდესხანა ასეთი ოთახის განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა. „აბდესხანაც“ სპარსული წარმომავლობის სიტყვად მიიჩნევა და ქართულში თურქულიდან გავრცელდა. კონკრეტულად აბდესხანა პირსაბანს, აბდესის ასაღებ ადგილს ნიშნავდა. ქართველ მუჰაჯირებში ტერმინი პირსაბანი იყო გავრცელებული: „ძუელ სახლებ ბუხრიან ოღაში ხის აბდესხანები ქონდა. ახლა ჩემზე ვიღებთ აბდესსა“. აბდესხანებს ოთახის ძირში პატარა ხვრელი ჰქონდა სათანადო წყლის გამტარებელი

ღარით, საიდანაც როგორც სარიტუალო, ისე საოჯახო მოხმარების წყალი სახლის უკან მდებარე „ხალხამზე“ გადაედინებოდა. აბდესხანა უპირველესად ჰიგიენის დაცვას ემსახურებოდა და ცოლ-ქმარს შორის სქესობრივი ურთიერთობის შემდეგ განბანისათვის გამოიყენებოდა. ამ მიზნით საღამოთი ცოლი ოთახში შეშას სპეციალურად მოიმარაგებდა, ცალკე დააწყობდა და დაწოლის წინ ბუხარს შეუთებდა. ყველა საქორწინო წყვილის ოთახისათვის ბუხარი აუცილებელი კომპონენტი იყო. როცა ბუხარი ინთებოდა, შესაბამისად, ოთახი თბებოდა და წყალიც ცხელდებოდა. სქესობრივი აქტის შემდეგ უკვე გამთბარ ოთახში მდებარე აბდესხანაში როგორც ქალი, ისე მამაკაცი იბანავებდა, განიწმინდებოდა და იქვე სექსზე გამართულ ქვეშაგებში ჩაწოლილნი მომავალი დღის მოლოდინში ერთად იძინებდნენ. სხვათაშორის, გომოვლენილია ისეთი აბდესხანებიც, რომლებიც ოთახის კედლის გასწვრივ მოთავსებული ტახტის _ სექვის ერთ ბოლოში იყო გამართული, სექვის, რომელსაც თავზე ეხურებოდა. მას სათვალე, ხოლო სახურავს სათვალეს თავი ეწოდებოდა. საჭიროების შემთხვევაში სექვის ამ ნაწილის თავსახურს წამოწევდნენ, შიგ ჩაჯდებოდნენ და სხეულზე თბილ წყალს გადაივლებდნენ, სადაც, როგორც ითქვა, სპეციალური ხვრელიდან გამოიყენებული წყალი სახლის უკან _ ხალხამზე გადაიღვრებოდა. შემდეგ სექვის ეს ნაწილი იხურებოდა და ჩვეულებრივ ტახტის ბუნებრივ გაგრძელებად რჩებოდა.

ტერმინი ჰერამოდა თურქული წარმომავლობისა, აბდესხანა კი - სპარსული.

ლიტ.: ფუტკარაძე. ჩვენებურების ქართული. წიგნი პირველი. ბათუმი. 1993; შ. ნიჟარაძე. ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი. 1971. გვ.450; თ. ტუნაძე. დახურული კერის კონსტ-

რუქცია და კერასთან დაკავშირებული სამშენებლო ტრადიციები მარეთის ხეობაში // კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, ბათუმი. 1996. გვ. 96; ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი. აჭარა. ბათუმი. 2018.

ჰებეჩა - თურქული წყაროების მიხედვით ქართული საზღვაოსნო აფრებიანი ხომალდი. გამოირჩეოდა სწრაფი მანევრირებით. აჭარელი და ლაზი მეზღვაურები შორ მანძილზე ასეთი ტიპის ხომალდით დაცურავდნენ. ტერმინის წარმომავლობა უნდა მომდინარეობდეს ქართული „ხეჭუპადან“.

ლიტ.: ზ. კუტალიეშვილი, ნაოსნობა საქართველოში, 1987.

ჰინა - უნაბისფერი საღებავი, მზადდება მცენარისგან. მისით იღებავენ ფრჩხილებსა და თმას.

ჰოვია - ოქრომჭედლობაში ნივთების კალით შესაკავშირებელი.

ჰორია || **ჰერია მიშვი**-ი (სვ. “ემმაკთა კვირა“) / **ლიგოფალი** || **ლიგოფინალი** - ავსულთა განდევნის ოთხდღიანი პერიოდი (დიდმარხვის უკანასნელი კვირის ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით), ეგზორციზმთან დაკავშირებული ტრადიციული წეს-ჩვეულებანი სვანეთში. სვანები ემმაკებისაგან ოჯახის განწმენდას აღდგომის წინა ორშაბათს იწყებდნენ. ამიტომ ამ დღეს ჰორიამ ღეშღვიშს (ემმაკთა ორშაბათი) უწოდებდნენ, სამშაბათს - რახის სამშაბათს, ოთხშაბათს - ქვიშობის ოთხშაბათს, ხუთშაბათს - ნახშირიანი ხუთშაბათი.

ორშაბათ დილით ოჯახიდან ერთი კაცი ცელს ან ასტამს, ან ზარს აიღებდა, კერიას სამჯერ შემოუვლიდა რკინაზე მრგვალი ქვის მირტყმით ხმაურს ატეხდა, თან ამ-

ბობდა: „ჰორი, ჰორი, ჰორი, მომცილდით, მომცილდით, მომცილდით, ყვავილიანო, მთის თეთრი ქვის, ბარის ქვიშის მეტი ყველაფერი გამოგელიოთ შესახრამუნებლად. ამტალეზის ყამირში ჩხიკვი წუხელი მომკვდარა, იმის დასატირებლად ყველა მიდის, თქვენც წადით. ქათმის კუჭ... შეგერჭოთ ...“. ორშაბათ ღამით ოჯახი ყველა წევრი თავზე ერთმანეთში აწელილ ნიორსა და ღორის ქონს ისვამდა, ეშმაკები ვერ მიეკარებოდა.

სვანების რწმენით, სამშაბათს ეშმაკები ადამიანს მუცელში თხლეს უმატებდნენ. ამიტომ ამ დღეს ოჯახის ყველა წევრი და საქონელი ისე უნდა გამძღარიყო, რომ მუცელში რაზი არ ჩატეოდათ. ოთხშაბათს ყანების შუაგულში ქვიშას ყრიდნენ იმ იმედით, რომ ეშმაკები მარცვალს ვერ აიღებდნენ, მხოლოდ ქვიშას წააწყებოდნენ.

ეშმაკთა განდევნა ხუთშაბათ დილაშე გრძელდებოდა, როცა მათ ოჯახის უფროსი გარეთ „გარეკავდა“ და სახლის კარებს დაუკეტავდა; შემდეგ ეზოში გავიდოდა და ეშმაკებს თოფს ესროდა, ეკლის ჯოხებს კარ-ფანჯრების კამარაზე დაკიდებდა. ქალები ლემზირებს დააცხობდნენ და შეავედრებდნენ. მერე მარბიელი (მცხობელი) ხმამაღულდებლად (უშუშუნ) წყლის ნაპირზე გავიდოდა და მოიტანდა: ე. წ. ლამყინას ქვას რძის საკვეთის ქვეშ დასადებად, ეკლის ჯოხს საკვეთის ამოსარევად. შემდეგ იწყებდნენ შავი ძაფის დართვას. დართულ ძაფს ღამით ოჯახის წევრებს - მკლავსა და ფეხზე, აგრეთვე, უღელს, პურის ფქვილის კიდობანს, ფქვილის ამოსაღებ პატარა ნიჩბებს შეაბამდნენ. ამ ძაფს სვანები თანაფლას უწოდებდნენ და სწამდათ, რომ თანაფლასაშეხებულს ეშმაკი ვერ მიეკარებოდა. ამავე დღეს ყანებში გაჰქონდათ ეკალი, ნახშირი, ქვიშა და თეთრი ქვა. შუა ყანაში ეკალს მიწაში ჩაარჭობდნენ, ძირში ნახშირსა და ქვიშას მიაყრიდნენ, იქვე თეთრ ქვასაც დადებდნენ. ქვიშას საფუარის ქვეშაც

ყრიდნენ და ფანჯრებზეც, მრგვალ ქვებს კერიის მარჯვენა მხარეს, ხოლო თეთრ ქვებს რძის საკვეთში და საფუარში ათავსებდნენ. საღამოს რკინის რაჩხუნითა და მუგუზლების ქნევით ეშმაკებს საბოლოოდ „გარეკავდნენ“, კარებს დახურავდნენ და ავსულებს ეზოდანაც გაყრიდნენ, თან მუგუზლებსა და ქვებს მიაყოლებდნენ. ხუთშაბათის ნაცარი წლიდან წლამდე სახლის კარების კედელში დატანებულ განჯინაში (ვვალჩაბ) ინახებოდა. ამ ნაცარს დროდადრო, საძოვარზე გარეკვის წინ, საქონელს ზურგზე აყრიდნენ, თან „ბეკენიას ენით“ შეულოცავდნენ.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ). თბ., 2006, გვ. 82; მ. ჩართოლანი. ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1961, გვ. 157-162.

ჰოროლი - შუბისმაგვარი საძგერებელი იარაღი. აქვს ტარი, ანუ ბუნი, მასრა და ორკაპა წვერი რომლითაც ჩხვლეტდნენ. ტანი გრძელი უნდა ყოფილიყო. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, ჰოროლი ძველ წერილობით წყაროებში გვხვდება. აღსანიშნავია, რომ „ჰოროლი“ და „ოროლი“ ქართული „ვისრამინისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორებს არც ერთხელ არა აქვთ ნახმარი, რაც იმის დასტურია, რომ ეს ტერმინი XII ს-ის სასაუბრო ენის ცოცხალ განძეულს უკვე აღარ ეკუთვნოდა. შემდეგდროინდელ ძეგლებში ჰოროლი აქა-იქ გვხვდება. ეთნოგრაფიულ ყოფაში არ ფიქსირდება, მის მაგივრად გამოიყენება ტერმინი „შუბი“.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ჰელმა ლამზირ-ი იხ. „ფურრე უიჭმ-ი“.

ჰელმობ || ჰელიმ || ულიმ || ვილიმ

- სვანური ხალხური დღესასწაული, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, უხსოვარ დროში მტრის ძლევისა და სვანეთის მიწა-წყლიდან მისი განდევნის სახელობაზე დაარსებულა; იმართებოდა პეტრე-პავლობის მარხვამდე ერთი კვირით ადრე და მას სხვადასხვა საზოგადოებაში სხვადასხვა ხანგრძლივობით (ერთიდან ხუთ დღემდე) უქმობდნენ. ქვემოთ მოგვაცქს მესტიის საზოგადოების სოფ. სეტის წმ. გიორგის ხატის თემში (სეტი ჯგერაგი მწარლ, ლელჯგერაგ) გამართული დღეობის აღწერილობა.

სეტის წმ. გიორგის წლიურ დღეობათა ციკლში ჰელიმ (აღინიშნებოდა პეტრე-პავლობის მარხვის წინა შაბათიდან ორშაბათის ჩათვლით) ერთადერთი საერთო სახელო დღესასწაული იყო, რომლის დროსაც (კვირა-ორშაბათს) წმ. გიორგის ეკლესიიდან იქ დაცული ტრადიციული დროშა ლემ (იხ.) გამოჰქონდათ. დღეობაზე თავს იყრიდა მთელი ზემო სვანეთი ლახამულის საზოგადოებამდე და მასპინძლებიც მესტიელები იყვნენ (ხვდებოდნენ სტუმრებს, რომლებსაც ერთმანეთში ინაწილებდნენ და თავიანთ ოჯახებში იწვევდნენ). მაგრამ მთავარ მასპინძლებად და დღეობის გამწესრიგებლებად მოლჯგერაგები (სეტის წმ. გიორგის თემის წევრები) ითვლებოდნენ.

სეტის მოედანზე აწყობდნენ სხვადასხვა სახეობის სადღეობო თამაშობას, რომელშიც მესტიის მთელი მოსახლეობა სტუმრებიანად ესწრებოდა. ამ თამაშობათა დასრულების შემდეგ, იმართებოდა დოდი, რომელშიც არანაკლებ თხუთმეტი მხედარი მონაწილეობდა. ჯაფარიძეთა გვარის წარმომადგენლის მეთაურობით, საუკეთესო ცხენებზე მსხდარი მხედრები ტაძრის კართან გამწვრივდებოდნენ. მოკილი||მეკილი (ხატის გასაღების, საგან-

ძურისა და ხაზინის მცველი) ეკლესიიდან დროშა ლემს გამოიტანდა და „ლემის მპყრობელს“ (ლემი მეღვინე) - ჯაფარიძეს - ჩააბარებდა. ეს უკანასკნელი თანაშემწის დახმარებით დროშის ბუნს უზანგზე დაამაგრებდა, ცხენზე შეჯდებოდა, მარცხენა ხელით დროშას დაიკავებდა, მარჯვენათი - სადავეს და, დანარჩენი მხედრების თანხლებით, ადგილიდან დინჯად დაიძვრებოდა. „ლემის მპყრობელს“ მარჯვნიდან ცხენითვე მისი თანაშემწე მისდევდა. თუკი დოდის დროს დროშის ჩამოვარდნის საფრთხე გაჩნდებოდა, მას ხელი უნდა შეეკლო. მხედრები ლემი მეღვინეს სადოღველის ადრევე დანიშნულ დასავლეთ მიჯნასთან ნელი სვლით მიჰყვებოდნენ; აქ შემობრუნდებოდნენ და იმავე ტემპით აღმოსავლეთ მიჯნამდე გაივლიდნენ; შემდეგ კვლავ უკან დაბრუნდებოდნენ; დასავლეთ მიჯნამდე მესამედ მისულები ერთ მწკრივად დაეწყობოდნენ და სასტარტო ნიშნის მიცემისთანავე ცხენებს გააჭენებდნენ. გამარჯვებულად ის მხედარი ჩაითვლებოდა, ვინც აღმოსავლეთის მიჯნასთან ყველაზე ადრე მიიჭრებოდა. თუ ამ რბოლაში პირველობა მედროშეს ერგებოდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ სვანებს ყოველგვარ საქმეში ხელი მოემართებოდათ და წელიწადიც უხვმოსავლიანი იქნებოდა. გადმოცემის თანახმად, უძველეს დროში, როცა სვანებს ცხენები არ ჰყავდათ, დღეობაზე დროშით სირბილი იმართებოდა.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. დროშა „ლემ“, მგელი-ძალი // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XII –XIII. 1963, გვ. 141-156; ს. ბარნაველი. ქართული დროშები. ტფ., 1953, გვ. 29-31; В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тб., 1957, გვ. 37-44.

შემოკლებანი

აჭარ .- აჭარული

ბ.-ზ. - ბალს ზემოური

ბ.-ქვ. - ბაქლს ქვემოური

ბეჩ. - ბეჩო

ბორჩხ. - ბორჩხა (დაბა)

გაჩ. - გაჩეჩილაძე პ. იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა. თბ., 1976.

გლ. - გლოლა

გურ. - გურული

ზ. აჭარ. - ზემო აჭარული

თბ. - თბილისი

თუმ. - თუშური

იმერ. - იმერული

იმერხ. - იმერხეული

ინგილ. - ინგილოური

ინეგ. - ინეგოლი

იხ. - იხილე

კახ. - კახური

კლარჯ. კლარჯული

ლაზ. - ლაზური

ლატ. - ლატალი

ლახ. - ლახამულა

ლენტ. - ლენტეხი

ლენჯ. - ლენჯერი

ლეჩხ. - ლეჩხუმური

მასალები - მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის.

მაჭ. - მაჭახლური

მეგრ. - მეგრული

მესხ. - მესხური

მთიულ. - მთიულური

მსე - მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის.

ნიჟ. - ნიჟარაძე შ. ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა). ბათუმი. 1971.

რაჭ. - რაჭული

რაჭული ლექსიკონი - ალ. კობახიძე, რაჭული ლექსიკონი , თბილისი, 1987.

სამცხ. - სამცხე

საქართველოს ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული... - საქართველოს ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული სასურსათო პროდუქტების ატლასი., თბ., 2009.

სემმ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე

სსმმ - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე

სვ., სვან. - სვანური

ტფ. - ტფილისი

ფარ. - ფარი

ფერ. - ფერეიდნული

ფშ. - ფშავური

ქავთ. - ქავთარაძე ი. მასალები იმერული ლექსიკონისათვის // ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. III. თბ., 1963. გვ. 109-160.

ქართ. ეთნ. ლექს. - ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2009

ქეგლ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ნაკვეთი პირველი, ნაკვეთი მეორე. თბილისი. 1990.

ქართლ. - ქართლური

ქართული მატერიალური... - ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2011.

ქეგლ. - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

ქიზ. - ქიზიყური

ქკოსკ - ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი. მეორე გამოცემა. თბ., 1984.

შდრ. - შეადარე

ჩიქოვ. - ჩიქოვანი მიხ. ლეჩხუმური ლექსიკონი // ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო

სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები. I. 1941.

ჩოლ. - ჩოლური

ძიძ., ქართ. დიალექტ. - ძიძიგური შ. ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ. თბ., 1956.

წერ. - წერეთელი ბ. ზემოიმერული ლექსიკონი // ქართველურ ენათა ლექსიკა. I.

ხევს. - ხევსურული

ჯავახ. - ჯავახური

ჯაჯან. - ჯაჯანიძე პ. მასალები იმერული ლექსიკონისათვის // ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. IX. 1949. გვ. 241-271.

М. – Москва

СПб. – Санкт-Петербург

Тფ. - Тифлис

დამონები ული ნყაროები და ლიტერატურა

1. აბაკელია ნ., ქრისტიანული წმინდანები დასავლურ-ქართულ რწმენა-წარმოდგენებში (წმინდა გიორგი) // მაცნე. ისტორიის სერია. № 3. 1985
2. აბაკელია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბ., 1997
3. აბესაძე ნ., აბრეშუმის ქსოვილის დამზადების ისტორიისათვის საქართველოში // მსე, ტ. V, 1963
4. აბესაძე ნ., სარწყავი და ურწყავი მიწათმოქმედება, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, თბ., 1980
5. აბესაძე ნ., ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, 1986
6. აბესაძე ნ., მეაბრეშუმეობა საქართველოში, 1957
7. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1973
8. ადამია ი., ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, აჭარა, თბ., 1956
9. ადვიშვილი ქ., იანტბელიძე ი., კლასიკური ქართული სამზარეულო, თბ., 2018
10. აზიკური ნ., თუშური „ბაცუკა“ // ძეგლის მეგობარი. № 42. თბ., 1976
11. აზიკური ნ., კოტორი, როგორც რიტუალური ჰური თუშეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXIII, თბ., 1987
12. აზიკური ნ., შრომის ორგანიზაციის ფორმები თუშეთის მეცხვარეობაში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXI, 1981
13. აზიკური ნ., მასალები თუშური დემონოლოგიიდან // ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი. 2016, XVIII
14. ალავიძე მის., ლეჩხუმური ლექსიკონი // ქართველურ ენათა ლექსიკა. I. თბ., 1938, გვ. 139-164.
15. ანთელავა ნ., ახალი „ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილის გაგებისათვის („მიდგომილება ანტესებრივი“) // საისტორიო შტუდიები. V. თბ., 2004, გვ. 39-42
16. ანთელავა ნ., კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები. თბ., 2017
17. ასათიანი ლ., ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში, თბ., 1978
18. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 1976
19. ახალი აღთქუმად, თბ., 2005
20. ახალი „ქართლის ცხოვრება“. მეორე ტექსტი // „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა

- ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ., 1965
21. ახობაძე ვ., ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული, 1957
 22. ბადრიშვილი გ., კარტოფილის კულტურა საქართველოში, თბ., 1963
 23. ბალიაური მ., მაკალათია ნ., მიცვალებულის კულტი არხოტის თემში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940
 24. ბალიაური მ., მაკალათია ნ., მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიულთა სამეურნეო ყოფის ისტორიიდან. თბ., 1989
 25. ბარდაველიძე ვ., სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფ., 1939
 26. ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ). თბ., 1941
 27. ბარდაველიძე., ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია) // მიმომხილველი. I. თბ., 1949
 28. ბარდაველიძე ვ., ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბ., 1953
 29. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. დროშა „ლემ“, მგელი-ძაღლი // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XII-XIII. თბ., 1963
 30. ბარდაველიძე ვ., აგუნა-ანგურა. ძეგლის მეგობარი 16, თბ., 1968
 31. ბარდაველიძე-ლომია ვ., ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან ქართლში // სსმმ. ტ. IV, 1953
 32. ბარისაშვილი გ., მარანი, ქვევრი, ღვინო, თბ., 2019
 33. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973
 34. ბახია-ოქრუაშვილი ს., აფხაზურ-ქართულ ეთნოგრაფიულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 2020
 35. ბახტაძე დ., კოლუაშვილი პ., ქართველთა კვების კულტურა, თბ., 2009
 36. ბედუკაძე ს., მოჭიქული ჭურჭლის წარმოებისათვის შიდა ქართლში. 1953.
 37. ბედუკაძე ს., წყლით მბრუნავი წისქვილები არაგვის ხეობაში, თბ., 1964
 38. ბედუკიძე ლ., ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბ., 1973.
 39. ბედუკიძე ლ., ხის ავეჯი რაჭაში // სსმმ., XLII, 1997.
 40. ბეზარაშვილი ც., თუში ქალის ტალავარი // თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1967
 41. ბეზარაშვილი ც., ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1974
 42. ბეზარაშვილი ც., სამეგრელოში ქალის ჩაცმულობა // მასალები სამეგრელოს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1979.
 43. ბეზარაშვილი ც., ჯალაბაძე გ., ქართული ხალხური ტანსაცმელი, თბ., 1988
 44. ბერიაშვილი ლ., მიწათმოქმედება მესხეთში, თბ., 1973
 45. ბერიაშვილი ლ., საქართველოს პარკოსანი კულტურები (ლობიო), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XIX, თბ., 1978
 46. ბერიაშვილი ლ., ნიადაგის ათვისებისა და დაცვის ტრადიციები საქართველოში, 1989.

47. ბერიაშვილი ლ., ტერასული მიწათმოქმედება საქართველოში, წიგნში „ქართველები“, თბ., 2018
48. ბერიძე ვ. სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა. სპბ., 1912
49. ბერიძე მ., ყავრელიშვილი ს., სამცხე-ჯავახეთის სამზარეულო, ახალციხე, 2016
50. ბეჯია მ., ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, 1974
51. ბოკუჩავა მ., ინგილოთა ყოფისა და კულტურის საკითხები, თბ., 2017
52. ბოძაშვილი ლ., ფშავი და ფშაველები, თბ., 1988
53. ბოჭორიშვილი ლ., კახური ჩაცმა-დახურვა, ანალები, I, თბ., 1947
54. ბოჭორიშვილი ლ., ქართველი ხალხის მატერიალური კულტურა, ჩაცმა-დახურვა, თბ., 2017
55. ბოჭორიშვილი ლ., ხევსურული ტალავარი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VIII, თბ., 1956
56. ბოჭორიშვილი ლ., ქართული კერამიკა, I, კახური, თბ., 1949
57. ბოჭორიძე გ., თუშეთი, თბ., 1993
58. ბოხჩაძე ა., მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით უძველესი დროიდან ახ. წ. XII-XIII საუკუნემდე, თბ., 1968
59. ბრაილაშვილი ნ., ასეთი მახსოვს საქართველო, თბ., 1990
60. ბრეგაძე ნ., მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1960
61. ბრეგაძე ნ., ხალხური აგროტექნიკა, წიგნში „ქართველები“, თბ., 2018
62. ბრეგაძე ნ., საქართველო მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერა, თბ., 2004
63. გაბრიჭიძე ჟ., ქვევრი და ქართული ტრადიციული მეღვინეობა, თბ., 2022
64. გაბუნია ლ., ვაზო შვილივით ნაზარდო, თბ., 2010
65. გაბუნია ლ., მასალები იმერეთის მევენახეობის შესახებ, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XIV, თბ., 1968
66. გაბუნია ლ., ვაზის გასხვლის ხალხური წესები იმერეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, XXI, თბ., 1981
67. გაბუური ბ., ხევსურული მასალები // საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული. 1923-1924, I-II.
68. გაგომიძე ი., ქართველი ქალის სამკაული, თბ., 1981
69. გამყრელიძე ბ., ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები, თბ., 1989
70. გასიტაშვილი გ., ხის დამუშავების ხალხური წესები, 1962
71. გეგეშიძე მ., საწრყავი მიწათმოქმედება საქართველოში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის ცდა, თბ., 1961
72. გეგეშიძე მ., მორწყვა, წიგნში „ქართველები“, თბ., 2018
73. გელაშვილი ნ., მეღვინეობა, II ნაწ., თბ., 1961
74. გელაძე თ., მემინდვრობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები, მასალების ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1975
75. გელაძე თ., კოლექტიური შრომის ფორმები გურიაში, მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1980
76. გელაძე თ., კოლექტიური შრომის

- ფორმები ლეჩხუმში, მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1985
77. გვათუა ნ., ჩაცმულობის ისტორიიდან, თბ., 1967
78. გვარამაძე კ., გურული ლექსიკონი // მოგზაური, № 10. 1901
79. გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია. 1. დიალექტთა განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი. თბ., 1961
80. გიორგაძე დ., მიცვალებულთა სულების მოსახსენებელი დღე - სულთაკრეფა - აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში // საისტორიო კრებული. თბ., 1974
81. გიორგაძე დ., წარმოდგენები საიქიოზე ხევსურეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXI. თბ., 1981
82. გიორგაძე დ., დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუმ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). თბ., 1987
83. გიორგობიანი ა., ქვის კულტი და ქვის საბრძოლო იარაღები, 1977
84. გორგილაძე რ., კერძთაყვანისცემა, თბ., 2012
85. გოცირიძე გ., საახალწლო ხონჩა // ძეგლის მეგობარი. № 1. თბ., 1988
86. გოცირიძე გ., კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში, თბ., 2007
87. გოცირიძე გ., ჭყონია ლ., მევენახეობის საკვები პროდუქტები, მასალების საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, V, თბ., 1951
88. გრიშაშვილი ი., ქალაქური ლექსიკონი. თბ., 1997.
89. გრიშაშვილი ი., ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა. თბ., 1986
90. გუჯუჯიანი რ., ერთი ეთნოგრაფიული ნივთის შესახებ // ეთნოლოგიური ძიებანი, ტ III, 2007.
91. დადუანი ლ., შობა-ახალწელიწადი სვანეთში // ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე. თბ., 1973
92. დავითაძე ალ., ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974
93. ედილი ზ., საინგილო, თბ., 1997
94. ელიავა გ., მხარეთმცოდნის თვალთ, თბ., 1996
95. ელიავა გ., სამეგრელო ჩემს თვალსაწიერში, თბ., 1996
96. ვაჟა-ფშაველა. აფხუშოობა // ივერია. 1886, № 141
97. ვარშალომიძე ჯ., ხეზე ორნამენტის ძირითადი მოტივები აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, VIII, თბ., 1980
98. ვირსალაძე ე., ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება. მთიულეთ-გუდამაყარი. თბ., 1958
99. ვირსალაძე ე., ქართული სამონადირეო ეპოსი. თბ., 1964
100. ზანდუკელი მ., ქართული ხალხური კერამიკა, თბ., 1982
101. ზედგინიძე გ., ჯავახური ლექსიკონი თბ., 2014
102. ზუხბაია ვ., ქვის კულტურა საქართველოში, 1965
103. ზუხბაია ვ., გალი, თბ., 1988
104. თათარაიძე ე., დემონოლოგიური თქმულებები აღმოსავლეთ საქართველოს მთაინეთში. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998

105. თანდილავა ა., ვანილიში მ., ლაზეთი. თბ., 1964
106. თანდილავა ზ., მასალები მესეფებზე // სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება. IV. თბილისი, 1978
107. თანდილავა ზ., შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი, ბათუმი, 1980
108. თანდილავა ა., ლაზური ლექსიკონი. მთავარი რედაქტორი მ. ჩუხუა. თბ., 2013
109. თევდორაძე გ., ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში. წიგნი 2. თბ., 1939
110. თოღუა რ., სამეთუნეო ნაგებობანი სამეგრელოში // მსე, ტXX. 1979
111. თოფურია ნ., მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები კახეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXI, თბ., 1981
112. თოფურია ნ., თუშური ყველი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVI-XVII, თბ., 1972
113. თოფურია ნ., მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები კახეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXI, თბ., 1981
114. თოფურია ნ., მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები ქართულ ეთნოგრაფიულ ატლასში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XX, თბ., 1979
115. თოფურია ნ., ღვინის ზედაშეები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, თბ., 1979
116. თოფურია ნ., ქართული მარანი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VII, თბ., 1955
117. თოფურია ნ., საკულტო ნაგებობა, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXII, თბ., 1985
118. თოფჩიშვილი რ., მამაკაცის საერთო კავკასიური სამოსის გენეზისის შესახებ, თბ., 2019
119. თოფჩიშვილი რ., ქართული კვებითი კულტურის ისტორიიდან, სულგუნი, თბ., 2018
120. თხევადი მზის ქვეყანა, თბ., 2012
121. იველაშვილი თ., აჯილაკი სამცხე-ჯავახეთში // ძეგლის მეგობარი. № 55. თბ., 1980
122. იველაშვილი თ., საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში. თბ., 1987
123. თ. იველაშვილი. საქორწინო წეს-ჩვეულებანი საქართველოში. თბ., 1999
124. ითონიშვილი ვ., მოხვევების ყოფაცხოვრება, თბ., 2015
125. ითონიშვილი ვ., თუშეთი და თუშები, თბ., 2012
126. იოსელიანი ა., იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, თბ., 1950
127. იმნაიშვილი ი., ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1986
128. კაიშაური ლ., მთიულეთის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 1967
129. კაიშაური ლ., მთიულური ტექსტები. თბ., 1978
130. კაკაბაძე ც., შრომული საღვინეები // ძეგლის მეგობარი 1971, № 24.
131. კალანდაძე ბ., ჭაჭა ქართული ფენომენი, თბ., 2016.
132. კანდელაკი მ., მეკოდების ტრადიცია თუშეთში, თბ., 1995
133. კაპანაძე ნ., მშობიარობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი სამეგრელოში // მასალები

- საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXIII. თბ., 1987
134. კარიჭაშვილი დ., ივ. ბუჭურაული ივ., თუშურს ლექსებში ნახმარის სიტყვების განმარტება // ძველი საქართველო. ტ. II. ტფ., 1913. განყ. V, გვ. 129-139.
135. კახიანი კ., საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებული ზოგიერთი რწმენა-წარმოდგენა იმერეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXIII. თბ., 1987
136. კახიძე ნ., მაჭანლის ხეობა, ბათუმი, 1974
137. კახიძე ნ., აჭარის ალპური მეურნეობა, ბათუმი, 1948
138. კახიძე ნ., ხელოსნობა აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, VII, თბ., 1990
139. კეცხოველი ნ., მცენარეები და სოფლის მეურნეობა ხალხის ზეპირსიტყვიერებაში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბ., 1953
140. კეცხოველი ნ., რამიშვილი მ., ტაბიძე დ., საქართველოს ამპელოგრაფია, თბ., 1960
141. კვანტიძე გ., დიდგვაროვანი ქალის ჩაცმულობა XVII-XVIII სს-ის აღმოსავლეთ საქართველოში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, VI (51-B), თბ., 2015
142. კიკვიძე ა., „შუა სახლი“ რაჭა-ლეჩხუმში // ენიმკის მოამბე. ტ. V-VI, 1940
143. კიკვიძე ი., მორწყვა ძველ საქართველოში, თბ., 1963
144. კობალავა დ., მეცხენეობის განვითარება საქართველოში, თბ., 1981
145. კობახიძე ალ., რაჭული ლექსიკონი, თბილისი, 1987
146. კობერიძე მ., ზემო აჭარული დარგობრივი ლექსიკა, თბ., 2011
147. ლამბერტი არქანჯელო, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1991
148. ლეკიაშვილი ა., შენ ხარ ვენახი, თბ., 1972
149. ლეკიაშვილი ა., მეღვინეობა კახეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, თბ., 1960
150. ლეკიაშვილი ა., ქართული ხალხური ღვინის წნეხები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, თბ., 1969
151. ლეონიძე ლ., მესაქონლეობის ლექსიკონი, თბ., 1936
152. ლომთათიძე თ., სამიწათმოქმედო ციკლის ზოგიერთი წეს-ჩვეულება აჭარაში, კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, ბათუმი, 1996
153. ლომიძე თ., კულინარიის ხელოვნება და ქართული კერძების სამზარეულო, თბ., 1990
154. მათიაშვილი ა., უნიკალური ვაზი საქართველოში, თბ., 1976
155. მაკალათია მ., მეცხოველეობა, მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1975
156. მაკალათია მ., წყლის კულტის გადმონამუბები ლეჩხუმში // მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბ., 1985
157. მაკალათია ს., ახალწელიწადი საქართველოში, ტფ., 1927
158. მაკალათია ს., თუშეთი, თბ., 1933
159. მაკალათია ს., მთიულეთი, თბ., 1930
160. მაკალათია ს., მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938
161. მაკალათია ს., ფშავი, თბ., 1985
162. მაკალათია ს., ხევი, თბ., 1934

163. მაკალათია ს., ხევსურეთი, თბ., 1984
164. მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941
165. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. III, ნაწ. I, თბ., 1983
166. მასალების საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. IV, ნაწ. I, მესაქონლეობა, თბ., 1986
167. მარშია ნ., სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია მეგრულ-ლაზურში, თბ., 2021
168. მაყაშვილი ა. ბოტანიკური ლექსიკონი. მესამე გამოცემა. თბ., 1991
169. მაჩაბელი ნ., ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, 1978
170. მაჩაბელი ნ., მინდვრის სამუშაოებთან დაკავშირებული რიტუალური კვრები // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXI, თბ., 1981
171. მგელაძე ნ., აჭარული ნოგრო და გვარი, ბათუმი, 2004.
172. მგელაძე ნ., ლევიძე ლ., ტუნაძე თ., რიტუალური პურის საცხობი ყალიბი ოლადაურის თემიდან // კავკასიის ეთნოლოგიური კრებული. XI. თბ., 2005.
173. მენთეშაშვილი სტ., ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943
174. მენთეშაშვილი სტ., ქართლურის სალექსიკონო მასალა (ალგეთის ხეობა) // იკე, XVII. თბ., 1970, გვ. 251-282
175. მეწოფელი თ., ლენგ-თემურის ისტორია. თარგმანი, შესავალი და კომენტარები პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგისა. თბ., 1937
176. მინდაძე ნ., ქართული ხალხური მედიცინა, 1981
177. მინდაძე ნ., რჩეულობის ინსტიტუტი და ფსიქო-ნერვული დაავადებანი ფშავში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXI. თბ., 1981, გვ. 146-152
178. მირიანაშვილი ქ., თევზჭერის იარაღების შესწავლისათვის // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, თბ., 1960
179. მირიანაშვილი ქ., მეთევზეობის შესწავლისათვის საქართველოში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXI, თბ., 1981
180. მირიანაშვილი ქ., სათევზაო ბაღების რელიგიური მნიშვნელობა // XXIII. თბ., 1987
181. მიროტაძე ა., რაჭა-ლეჩხუმის ვაზის ჯიშები, თბ., 1938
182. მოღებაძე კ., მეღვინეობა, თბ., 1948
183. მოლოდინი ლ., ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ხალხური ზეთსახლედი იარაღები), თბ., 1963
184. მოლოდინი ლ., ღებვის ხალხური წესები (წითლად ღებვა) // სსმმ, ტ. 45, 2003-2004
185. მსოფლიო ხალხთა სასმელები, თბ., 2008
186. მსხილაძე ალ., ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკის ისტორიიდან, 1969
187. მუშკუდიანი ქ., დათუნაშვილი ნ., ევროპული კოსტიუმის დამკვიდრება XIX ს-ის თბილისის საქალაქო ცხოვრებაში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე VI (51-B), თბ., 2015
188. ნადირაძე ე., ქართული ლუდი // ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. I, თბ., 2007
189. ნადირაძე ე., ხალხური ქვითხურობა იმერეთში, თბ., 2001
190. ნადირაძე ე., მსოფლიო რელიგიები. თბ., 2001

191. ე. ნადირაძე, ქართული ლუდი. თბ., 2011
192. ნაკაშიძე ერ., მევენახეობა-მეღვინეობა გურია-სამეგრელოში, აჭარაში და აფხაზეთში, თბ., 1929
193. ნანობაშვილი ი., ვაზის ძველი კულტურა ქიზიყში, თბ., 1990
194. ნანობაშვილი ი., ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, თბ., 1973
195. ნიჟარაძე ბ., სვანების ზოგიერთი ჩვეულებანი და ცრუმორწმუნეობანი (შეკრებილია თავისუფალ სვანეთში) // ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე. თბ., 1973
196. ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, თბ., 1971
197. ნოღაიდელი ჯ., აჭარული კილოს სალექსიკონო მასალები - XX ს-ის 30-50-იანი წწ., ბათუმი, 2015
198. ნოღაიდელი ჯ., ნარკვევები და ჩანაწერები, ბათუმი, 1971
199. ნოღაიდელი ჯ., ეთნოგრაფიული ნარკვევები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან. თბ., 1965
200. ნოღაიდელი ჯ., აჭარული კილოს სალექსიკონო მასალები - XX ს-ის 30-50-იანი წწ., ბათუმი, 2015
201. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991, ტ. II, თბ., 1991
202. ოჩიაური ა., მიცვალებულის კულტი რომკასა და უკენ ხაღუს თემებში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. III. 1940
203. ოჩიაური ალ., სტუმარ-მასპინძლობა ხევსურეთში. თბ., 1980
204. ოჩიაური ალ., ქართულ ხალხურ დღეობების კალენდარი. ხევსურეთი (არხოტის თემი). 1988
205. ოჩიაური თ., ხევსური ქალის თანამედროვე ჩაცმულობა, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბ., 1953
206. ოჩიაური თ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ., 1954
207. ოჩიაური თ., მითოლოგიური გადმოცემები ადმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბ., 1967
208. ოჩიაური თ., ნიადაგის განოყიერება, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, მასალები, თბ., 1980
209. რამიშვილი მ., გურიის, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები, თბ., 1948
210. რამიშვილი რ., ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია, თბ., 2000
211. რეხვიაშვილი ნ., ქართული მეტალურგიის ისტორიიდან, მჭედლობა რაჭაში, თბ., 1953
212. რეხვიაშვილი ნ., ქართული ხალხური მეტალურგია. თბ., 1964.
213. რეხვიაშვილი ნ., ქართული გიშერი // „ძეგლის მეგობარი“, №24
214. რობაქიძე ალ., კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში // შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში. თბ., 1941
215. რობაქიძე ალ., თოფისწამლის დამზადება პირაქეთ ხევსურეთში // ანალები ტ. I, 1947
216. რობაქიძე ალ., მეფუტკრეობა გურიაში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, V, თბ., 1951
217. რობაქიძე ალ., მეფუტკრეობა კახეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბ., 1953
218. რობაქიძე ალ., დასახლების ფორმა ბალყარეთში, დასახლების

- ტიპოგრაფია // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, I, თბ., 1960
219. რობაქიძე ალ., მეფუტკრეობა სვანეთში // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VII, თბ., 1955
220. რუსთაველი შ., ვეფხისტყაოსანი. პ. ინგოროყვას რედაქტორობით და შენიშვნებით. თბ., 1953
221. როსტიაშვილი ნ., ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978
222. რუხაძე ჯ., ქართლი, II, თბ., 2011
223. რუხაძე ჯ., კახეთი, II, თბ., 2015
224. რუხაძე ჯ., ხანი იმერეთის ხევსურეთია. თბ., თბ., 1989
225. რუხაძე ჯ., სამიწათმოქმედო ყოფა, წიგნში „ქართველები“, თბ., 2018
226. რუხაძე ჯ., ცოცხალი ისტორიები, თბ., 2021
227. რუხაძე ჯ., ღვთაება ოჩი || ბოჩი ახალი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით // სამეცნიერო სესია მიძღვნილი პროფ. ვ. ბარდაველიძის ხსოვნისადმი. მოხსენებათა თეზისები. თბ., 1972
228. რუხაძე ჯ., ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976
229. რუხაძე ჯ., ღომის კულტურა დასავლეთ საქართველოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, თბ., 1960
230. სადუნიშვილი თ., მაისაია ი., საქართველოს აგრარული კულტურა, თბ., 2021
231. სამსონია ი., ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005
232. სამსონია ი., ხალხური სამზარეულო აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, XII, 1986
233. საქართველოს ადგილმდებარეობათა დაკავშირებული სასურსათო პროდუქტების ატლასი., თბ., 2009
234. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, თბ., 1986
235. საქართველოს კულინარიული ატლასი, ტ. 4, ტ. 6, თბ., 2017
236. სახოკია თ., მოგზაურობანი, თბ., 1985
237. სვანიძე ჯ., თორთლაძე ლ., ცხოველთა მოვლა-მოშენების ტრადიციები საქართველოში, თბ., 2018
238. სიმონიძე მ., ყირმელაშვილი ლ., ქართული ტრადიციული კერძები, თბ., 2010
239. სონდულაშვილი ჯ., საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის, თბ., 1974
240. სონდულაშვილი ჯ., მებოსტნეობა თბილისის სანახებში, თბ., 1959
241. სოსელია ლ., მესხეთის ოქრომჭედლობის შესწავლისათვის // კრებ. მესხეთ-ჯავახეთი“. თბ., 1979
242. სუმბაძე ლ., ქართული მარნის ხუროთმოძღვრება, მსე, XVI-XVII, თბ., 1972
243. სურგულაძე ი., ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, 1993
244. სუჯაშვილი ნ., ფიცხელაური ი., მოხეური ლექსიკონი, თბ., 2005
245. უთურგაიძე თ., თუშური კილო, თბ., 1960
246. ფრუიძე ლ., მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში (რაჭა), თბ., 1974
247. ფრუიძე ლ., ღვინო „ხვანჭარის“ ისტორიისათვის, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVI-XVII, თბ., 1972
248. ფსალმუნნი, თბ., 2005
249. ფუტკარაძე შ. ჩვენებურების ქართული.

- წიგნი პირველი. ბათუმი, 1993.
250. ქართული გემო, თბ., 2018
251. ქართული ეროვნული ჩაცმულობა, ჟურ. „კლდე“ N40, ტფ., 1915
252. ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბ., 1936
253. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1975
254. ქართული კულინარიის ატლასი, ტ. 4, ტ. 6, ტ. 8, თბ., 2007
255. ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი - აჭარა. პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ნ. მგელაძე. რედაქტორი რ. მეტრეველი. ბათუმი, 2018.
256. ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2009
257. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986
258. ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 2011
259. ქართული სამზარეულო და საოჯახო სამეურნეო ნაცადნი ცნობანი, შედგენილი ბ. ჯორჯაძისაგან, ტფ., 1874
260. ქაჯაია ო., მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის // სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური იონსტიტუტის შრომები, ტ. XI, თბ., 1967
261. ქეშიკაშვილი ი., ღმერთები, მითები, რიტუალები. თბ., 1990
262. ქობალია ა., მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010
263. ქსნის ხეობა, თბ., 1975
264. ქურდაძე აღ., ვაზისა და ღვინის საგალობელი, თბ., 2004
265. ღამბაშიძე ნ., ახალწლის დღეობათა ციკლი აღმოსავლეთ საქართველოში (ერწო-თიანეთი), თბ., 2004
266. ღლიღვაშვილი ვ., საქართველოს მეთხეობა., თბ., 1996
267. ღლონტი თ., გოლიაძე ო., ქართველები, ვაზი და პურ-ღვინო, თბ., 2000
268. ღოდობერიძე ნ., თუშური საბავშვო გართობა-თამაში და სათამაშოები // თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. თბ., 1967
269. ღოდობერიძე ნ., დედოფლების კატალოგი. 1968
270. ყარაულაშვილი ც., ნაქსოვი ფეხსაცმელი, თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1967
271. ყარაულაშვილი ც., საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ქსოვის ხალხური წესები კახეთში). საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1972
272. ყიფშიძე ი., რჩეული თხზულებანი. თბ., 1994
273. შამილაძე ვ., ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969
274. შამილაძე ვ., მესაქონლეობა, წიგნში „ქართველები“, თბ., 2018
275. შამილაძე ვ., მესაქონლეობა სამეგრელოში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა, II, თბ., 1974.
276. შამილაძე ვ., ბარული მესაქონლეობის ზოგიერთი თავისებურების შესახებ საქართველოში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, IV, თბ., 1979
277. შარაშიძე გ., გურული ლექსიკონი // ქართველურ ენათა ლექსიკა. თბ., 1938, გვ. 1-96
278. შატბერაშვილი გ., თხზულებანი, ტ. 4: წერილებ; თვალადური ქართულის ქაშნიკი. თბ., 1975.

279. შილაკაძე მ., ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა. თბ., 1970
280. მ., ქართული ხალხური მუსიკალური ტრადიციები და თანამედროვეობა, 1988.
281. მ., ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1961
282. გ., ქართული გლეხის მამაკაცის კოსტიუმი XIX ს-სა // სსმმ ტ. XIX, 1957
283. გ., გელაზი // ძეგლის მეგობარი. № 20, 1970
284. გ., შრომები, ტ. I, თბ., 1997
285. გ., შრომები, ტ. IV, თბ., თბ., 2001
286. ჩიტაია გ., თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში // ენიმკის მოამბე, ტ. XI, თბ., 1941
287. გ., ხევსურული სახლის სენე // ანალები, I, თბ., 1947
288. გ., ქართული უღელი // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XIX, თბ., 1978.
289. გ., მასალები საქართველოს სახვნელი იარაღის ისტორიისათვის // სსმმ, ტ. V, თბ., 1928
290. ჩიქოვანი თ., ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან. თბ., 1967
291. ჩიქოვანი მ., ქართული ეპოსი. ტ. I. თბ., 1959
292. ჩიჯავაძე ნ., სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, თბ., 1969
293. ჩლაიძე ლ., ქართულ-აღმოსავლური დემონოლოგიური ურთიერთობიდან // მაცნე., ისტორიის ... სერია. 1975, № 1.
294. კ., ქართული საჭურველი - ჯაჭვი. სსმმ. ტ. XIXB.
295. ჩოლოყაშვილი კ., დავით აღმაშენებლის დროინდელი საჭურველისათვის // ჯვარი ვაზისა. 2. 1989.
296. ჩოფიკაშვილი ნ., ქართული კოსტიუმი, თბ., 1964
297. ჯ., შრომის პოეზიის ძირითადი სახეები აჭარის ზეპირსიტყვიერებაში, თბ., 1961
298. ცაგარეიშვილი თ., მესაქონლეობის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1987
299. ცაიშვილი ს., ზოგიერთი მოსაზრება დედასპურის შესახებ // ლიტერატურული ეტიუდები, 1984
300. ციციშვილი ი., მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიიდან, თბ., 1954
301. ცოცანიძე გ., გიორგობიდან გიორგობამდე. თბ., 1987
302. ძველი ქართული კერძები, თბ., 2006
303. ძიძიგური შ., ქართლში ჩატარებული სალექსიკოლოგიო მუშაობის ანგარიში, ქსნისა და ლიახვის ხეობაში // ენიმკის მოამბე. II. Tბ., 1937, გვ. 317-324
304. ძიძიგური შ., ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ. თბ., 1956
305. ძონენიძე ქ., ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974
306. წულაძე აბ., ეთნოგრაფიული გურია, თბ., 1971
307. ჭავჭავაძე ი., ღვინის ქართულად დაყენება 1887 წ., თბ., 2012
308. ჭანტურია ა., ეთნოგრაფიული ჩანაწერები. მეგრული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-ჩვეულებანი // თსუ შრომები. ტ. 227. ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია. თბ., 1982
309. ჭინჭარაული აღ., ხევსურული

- თავისებურებანი. ტექსტებითა და ინდექსით. თბ., 1960
310. ჭინჭარაული ა., ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005
311. ჭყონია ი., სიტყვის კონა, სანკტ-პეტერბურგი, 1910
312. ხაზარაძე მ., დასურათებული ლექსიკონი, თბ., 2008
313. ხარაძე რ., ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალები. 1938 // კავკასიის ეთნოლოგიური კრებული. XIV. თბ., 2012
314. ხარაძე რ., ხევსურული „ძირი“ და „გვარი“ // მიმომხილველი. I. თბ., 1949
315. ხიზანიშვილი ნ., ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1940
316. ხორნაული გ., მთები და სახელები. თბ., 1983
317. ხორნაული გ. ფშაური ლექსიკონი. თბ., 2000.
318. ხოსიტაშვილი ს., ქორწინებისა და მიცვალებულის დაკრძალვის წესი სამცხე-ჯავახეთში (ეთნოგრაფიული ნარკვევი). თბ., 1983
319. ხუბუტია პ., თუშური კილო. 1969
320. ჯავახიშვილი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1964
321. ჯავახიშვილი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ტ. III, თბ., 1962
322. ჯავახიშვილი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ტ. IV, ნაწ. I თბ., 1966
323. ჯავახიშვილი ივ., მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, ნაკვ. IV, V, თბ., 1964
324. ჯალაბაძე გ., აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960
325. ჯალაბაძე გ., მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 198
326. ჯალაბაძე გ., მემინდვრეობის კულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1990
327. ჯალაბაძე გ., მემინდვრეობა სვანეთში, სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1970
328. ჯალაბაძე გ., მევენახეობა-მეღვინეობა ლეჩხუმში, მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1985
329. ჯალაბაძე გ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული ფონდების გზამკვლევი, თბ., 1979
330. ჯალაბაძე გ., ძველი და ახალი სამეურნეო კულტურები გურიაში, მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1980
331. ჯალაბაძე გ., მიწათმოქმედება სამეგრელოში, მასალები სამეგრელოს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1979
332. ჯაოშვილი ვ., კერამიკული მრეწველობა საქართველოში, თბ., 1958
333. ჯაფარიძე გ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან. 1973
334. ჯაჯანიძე პ. მასალები იმერული ლექსიკონისათვის // ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. IX. 1949. გვ. 241-271
335. ჯაჯანიძე ვ., აჭარული ლექსიკონის მასალები, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXIII, თბ., 1961
336. ჯინჯიხაშვილი ზ., საახალწლო

- დღეობათა ციკლი ქართველ
ებრაელებში // მაცნე. ისტორიის სერია.
№ 3. თბ., 1987
337. ჯოხია ც., მასალები მევენახეობა-
მეღვინეობის ეთნოგრაფიული
შესწავლისათვის ხულოს რ-ში,
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს
ყოფა და კულტურა, XII, თბ., 1986
338. Ареальные исследования в языкознани
и этнографии. (язык и этнос). Ленинград,
1983
339. Бардавелидзе В., Древнейшие
религиозные верования и обрядовое
графическое искусство грузинских
племен. Тб., 1957
340. Геладзе Т., Формы коллективного труда в
земледелии Восточной Грузии, Тб., 1987
341. Джанашвили М., Картвельские поверья
// СМОМПК, 1893, вып. 17, отд. II
342. Джикия Н., Культура питания грузинских
горцев, Тб., 1988
343. И. С. Бедис мцერлеби // Мифы народов
мира. Главный редактор С. А. Токарев. Т.
I. М., 1980.
344. Кикнадзе З. Бегела // Мифы народов
мира. Главный редактор С. А. Токарев. Т.
I. М., 1980
345. Кобалия И., Из мифической Колхиды //
СМОМПК. № 32. Тф., 1903
346. Марушко М. Г., Из области народной
фантазии и быта Тифлисской и
Кутаисской губернии // СМОМПК, вып.
18, отд. III.
347. Марушко М. Г., Из области народной
фантазии и быта // СМОМПК, вып. 32,
отд. III
348. Материалы для изучения
экономического быта государственных
крестьян Закавказского края , Т. 2, Тиф.,
1886
349. Рухадзе Дж. Бери-Бера // Мифы народов
мира. Главный редактор С. А. Токарев. Т.
I. М., 1980
350. Степанов А., Поверья грузин Телавского
уезда // СМОМПК, вып. XXII, отд. II
351. Сумбадзе Л., Архитектура грузинского
народного жилища дарбазию Тбилиси,
1984
352. Толстой Н. И., Некоторые проблемы
и перспективы славянской и общей
этнолингвистики. Изв. АН СССР, сер. Лия,
1982б т. 41, № 5, с. 397-405
353. Толстые Н. И. и С. М., Славянская
этнолингвистика: вопросы теории. Ко
Второму Всероссийскому совещанию
славистов. Москва, 5–6 ноября 2013 г.,
Москва 2013
354. Фон-Потто А., Природа и люди
Закавказского округа // ССКГ, вып. IV
355. Читая Г., Земледельческие системы и
пахотные орудия Грузии // Вопросы
этнографии Кавказа, 1952.
356. Чурсин Г., Амулеты и талисманы
Кавказских народов. Махачкала, 1929, с.
65.
357. Linguistic structures of native America, N. Y.,
1946
358. Hymes D. H., Directions in (ethno-)linguistic
theory, в кн.: Transcultural studies in
cognition, Menasha, 1964
359. Language in culture and society. A reader in
linguistics and anthropology, N. Y. — [a. o.],
1964
360. Studies in southwestern ethnolinguistics.
Meaning and history in the languages of the
American Southwest, The Hague — P., 1967
361. Ethnolinguistics: Boas, Sapir and Whorf
revisited, by M. Mathiot, The Hague, 1979.